Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

29

იბეჭდება
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1950

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1952

ვ. ი. ლენინი

ტომი

29

1919 მარტი — აგვისტო

წინასიტყვაობა

ოცდა მეცხრე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, რომლებიც მიეკუთვნება 1919 წლის მარტიდან აგვისტომდე განვლილ პერიოდს. მასალები «რკპ(ბ) პროგრამის პროექტისა» დაწერილია 1919 წლის თებერვალ-მარტში; ტომში ეს მასალები წამძღვარებული აქვს რკპ(ბ) VIII ყრილობის დოკუმენტებს, რომლებთანაც უშუალოდაა დაკავშირებული.

ტომში შესულ ნაწარმოებთა უმრავლესობას შეადგენს ლენინის მოხსენებები და სიტყვები ყრილობებზე, კონფერენციებზე, კრებებსა და მიტინგებზე. ამ ნაწარმოებებში ასახულია ვ. ი. ლენინის სახელმწიფო მოღვაწეობა და გაშუქებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები იმ პერიოდისა: სოციალისტური სამშობლოს დაცვა, დამოკიდებულება საშუალო გლეხობისადმი და ბრძოლა სამეურნეო სიძნელეებთან.

ტომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ლენინის მოხსენებები და გამოსვლები რკპ(ბ) VIII ყრილობაზე — ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მოხსენება და საბოლოო სიტყვა პარტიული პროგრამის შესახებ, მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ და სხვ.

მთელი რიგი ნაწარმოებები: «მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ» მოსკოვის საბჭოს 1919 წლის 3 აპრილის პლენუმის საგანგებო სხდომაზე, «წერილი პეტროგრადის მუშებს აღმოსავლეთის ფრონტის დახმარების შესახებ», «რკპ(ბ) ც. კ-ის თეზისები

აღმოსავლეთის ფრონტის მდგომარეობასთან დაკავშირებით», «მოხსენება პროფესიულ კავშირთა ამოცანების შესახებ აღმოსავლეთის ფრონტისთვის მობილიზაციასთან დაკავშირებით» პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს 1919 წლის 11 აპრილის პლენუმზე, «სიტყვა კოლჩაკთან ბრძოლის შესახებ მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების კონფერენციაზე» 1919 წლის 17 აპრილს და სხვები ეძღვნება მუშათა კლასისა და მშრომელი მასების მობილიზაციას კოლჩაკთან საბრძოლველად.

«წერილში მუშებისა და გლეხებისადმი კოლჩაკზე გამარჯვების გამო» ლენინი აყალიბებს იმ ძირითად ამოცანებს საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში, რომლებიც გამომდინარეობს კოლჩაკის წინააღმდეგ ძლევამოსილი ბრძოლის გამოცდილებიდან.

მოხსენებაში «თანამედროვე მდგომარეობისა და საბჭოთა ხელისუფლების უახლოესი ამოცანების შესახებ» სრულიად რუსეთის ცაკ-ის, მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოსი, პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის საბჭოსი და მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმომადგენელთა შეერთებულ სხდომაზე 1919 წლის 4 ივლისს, «მოხსენებაში რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ რკპ(ბ) მოსკოვის კონფერენციაზე» 1919 წლის 12 ივლისს, «სიტყვაში სასურსათო და სამხედრო მდგომარეობის შესახებ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, პროფკავშირებისა და მოსკოვის ცენტრალური მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა მოსკოვის კონფერენციაზე» 1919 წლის 30 ივლისს და სხვ. ლენინი მოუწოდებს მასებს დაძაბონ მთელი ძალ-ღონე დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ნაწარმოებებში, ისე როგორც ტომში შესულ სხვა ნაწარმოებებში, ლენინი განმარტავს საბჭოთა სასურსათო პოლიტიკის საფუძვლებს და სახავს ღონისძიებებს ჩვენი ქვეყნის სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

სტატიებში «მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში», «III ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ» და სხვ. ლენინი ცხადყოფს III, კომუნისტური ინტერნაციონალის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას და განსაზღვრავს მის ამოცანებს.

«სიტყვაში თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით ხალხის მოტყუების შესახებ» სკოლისგარეშე განათლების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1919 წლის 19 მაისს და «სიტყვაში განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე» 1919 წლის 31 ივლისს ლენინი ავითარებს პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტულ თეორიას, ააშკარავებს წინააღმდეგობას პროლეტარულ და ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის.

სვერდლოვის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციაში «სახელმწიფოს შესახებ» გადმოცემულია საფუძვლები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა სახელმწიფოზე — მის წარმოშობასა, დედაარსსა და ისტორიულ ფორმებზე.

ტომში შედის ლენინის ცნობილი ნაშრომი «დიადი თაოსნობა», რომელშიც ის შეფასებას აძლევს პირველ კომუნისტურ შაბათობათა როლს და გვიჩვენებს შრომის მაღალი ნაყოფიერების გადამწყვეტ მნიშვნელობას კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ტომში ქვეყნდება 15 ახალი დოკუმენტი, რომლებიც წინათ ვ. ი. ლენინის თხზულებებში არ შედიოდა. ნაწარმოებში «პასუხი ბარათებზე» პეტროგრადის საბჭოს 1919 წლის 12 მარტის სხდომაზე ლენინი ახასიათებს სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობას.

თხზულებებში პირველად იბეჭდება: ოთხი დეპეშა ი. ბ. სტალინს (1919 წლის მაისი — ივნისი), «პროექტი რკპ(ბ) ც. კ-ის დადგენილებისა პეტროგრადის ფრონტის შესახებ», ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დეპეშა უკრაინის სახკომსაბჭოს, აგრეთვე ლენინისა და სტალინის მიერ ხელმოწერილი «პროექტი ც. კ-ის დირექტივისა სამხედრო ერთიანობის შესახებ». ამ დოკუმენტებში ასახულია ლენინისა და

სტალინის ერთობლივი მუშაობა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ხელმძღვანელობის საქმეში.

მიმართვაში «უფრთხილდით ჯაშუშებს!» ლენინი წინადადებას იძლევა გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად.

რკპ (ბოლშევიკების) ც. კ-ის წერილში «ყველაფერი დენიკინთან საბრძოლველად!», ლენინი ამოცანად სახავს ყველა დაწესებულების გარდაქმნას სამხედრო ყაიდაზე და ჩვენი ქვეყნის გადაქცევას ერთიან სამხედრო ბანაკად დენიკინზე გამარჯვების მოსაწყობად.

დოკუმენტში «დამატება გერმანელი მუშებისა და იმ გლეხებისადმი მიმართვის პროექტისა, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან» ლენინი აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლებისადმი მთელი მსოფლიოს მშრომელთა თანაგრძნობის ზრდას და II ინტერნაციონალის ლიდერებს ახასიათებს როგორც სოციალიზმის გამცემლებს და ბურჟუაზიის დანაშაულობათა თანამონაწილეებს.

ტომში პირველად ქვეყნდება დეპეშა უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის სახელზე (1919 წლის აპრილის დამლევი).

«რკპ(ბ) პროგრამის პროექტში» ჩართულია ახალი დოკუმენტები: «რკპ პროგრამის პროექტის შავად მონახაზი» ქვეყნდება საწერ მანქანაზე დაბეჭდილი ასლისა და ხელნაწერების მიხედვით პროგრამის ყველა განყოფილების ჩართვით. პროგრამის პროექტის შავად მონახაზის განყოფილება «პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ამოცანები რუსეთში» პირველად ქვეყნდება მთლიანად. შეტანილია აგრეთვე «ჩანართი ნაციონალურ საკითხზე პროგრამის მუხლის საბოლოო პროექტში» და «რკპ (ბოლშევიკების) პროგრამის პროექტი», რომელიც წარმოადგენს ლენინის მიერ გაკეთებულ პროგრამის პროექტის პირველ განყოფილებათა შემდგომს რედაქციას.

პეტროგრადის საბჭოს სხდომა 1919 წ. 12 მარტს

1

მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ

მოკლე საგაზეთო ანგარიში

(ამ ხანაგ ლენინის გამოჩენას ტრიბუნაზე მქუხარე ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან.) ეს დარბაზი მომაგონებს ჩემს პირველ გამოსვლას პეტროგრადის საბჭოში, სადაც მაშინ ჯერ კიდევ მეფობდნენ მენშევიკები და ესერები. ჩვენ ძალიან მალე დავივიწყეთ ახლო წარსული. ახლა კი რევოლუციის განვითარების მსვლელობა სხვა ქვეყნებში ჩვენს მეხსიერებაში ანახლებს იმას, რაც ჩვენ ცოტა ხნის წინათ განვიცადეთ. ფიქრობდნენ, რომ დასავლეთში, სადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი უფრო ძლიერაა განვითარებული, უფრო განვითარებული კაპიტალიზმის შესაბამისად, რევოლუცია რამდენადმე სხვა გზით წავიდოდა, ვიდრე ჩვენში, და ძალაუფლება ერთბაშად გადავიდოდა ბურჟუაზიისგან პროლეტარიატის ხელში. მაგრამ, რაც ახლა გერმანიაში ხდება, საწინააღმდეგოს გვიჩვენებს. გერმანიის ბურჟუაზია, რომელიც გაერთიანდა ფეხზე დამდგარი პროლეტარული მასებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, ძალას პოულობს დასავლეთის ბურჟუაზიის მეტ გამოცდილებაში და სისტემატურ ბრძოლას ეწევა პროლეტარიატთან. გერმანიის რევოლუციურ მასებს კი ჯერჯერობით არა აქვთ საკმაო გამოცდილება, რომელსაც ისინი მოიპოვებენ მხოლოდ ბრძოლის პროცესში. ყველას ახსოვს 1905 წლის რევოლუცია, როცა რუსეთის პროლეტარიატი ისე ჩაება ბრძოლაში, რომ არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა. ახლანდელ

რევოლუციაში კი ჩვენ გავითვალისწინეთ და გამოვიყენეთ ის გამოცდილება, რომელიც 1905 წლის რევოლუციამ მოგვცა.

შემდეგ ლენინი მიმოიხილავს სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობას. იგი მოგვაგონებს რევოლუციის პირველ პერიოდს, როცა მასებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ რა ეკეთებინათ, და მათ არც საკმაოდ ავტორიტეტული და ძლიერი ხელმძღვანელი ცენტრები ჰქონდათ.

ჩვენ კარგად ვიცოდით, — ამბობს ლენინი, — რომ დაწყებული ბრძოლის წარმატებისთვის საჭირო იყო ყველა ექსპლოატირებული მასებისა და ქვეყნის ყველა მშრომელი ელემენტის რაც შეიძლება მჭიდროდ დარაზმვა, და ამიტომ ჩვენს წინაშე გარდუვალად წამოიჭრა ორგანიზაციის ფორმების საკითხი. და ჩვენ, მშვენივრად გვახსოვდა რა საბჭოების როლი 1905 წელს, აღვადგინეთ ისინი, როგორც ყველაზე გამოსადეგი იარაღი მშრომელთა გაერთიანებისა და ექსპლოატატორებთან მათი ბრძოლის საქმეში. ვიდრე გერმანიაში რევოლუცია მოხდებოდა, ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ საბჭოები ყველაზე შესაფერისი ორგანოებია რუსეთისთვისაო. ჩვენ მაშინ არ შეგვეძლო იმის მტკიცება, რომ ისინი ასევე შესაფერისნი აღმოჩნდებოდნენ დასავლეთისთვისაც, მაგრამ ცხოვრებამ სულ სხვა დაგვანახვა. ჩვენ ვხედავთ, რომ დასავლეთში საბჭოები სულ უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იძენენ და მათი გულისთვის იბრძვიან არა მარტო ევროპაში, არამედ ამერიკაშიც. ყველგან იქმნება საბჭოები, რომლებიც ადრე თუ გვიან თავიანთ ხელში აიღებენ ძალაუფლებას.

საინტერესო მომენტს განიცდის ამჟამად ამერიკა, სადაც იქმნება საბჭოები. შესაძლოა, რომ იქ მოძრაობა იმ გზით არ წავიდეს, როგორც ჩვენში მიდის, მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იქაც ორგანიზაციის საბჭოთა ფორმამ ფართო პოპულარობა მოიპოვა. ამჟამად ამ ორგანიზაციამ პროლეტარულ ორგანიზაციათა ყველა სხვა ფორმა შესცვალა. ანარქისტებმა, რომლებიც საერთოდ ხელისუფლების მოწინააღმდეგენი იყვნენ, როცა ხელისუფლების საბჭოთა ფორმას გაეცნენ, ცნეს საბჭოთა ხელისუფლება. ამით მათ ქვა-ქვაზე არ დაუტოვებიათ

ანარქიზმის თეორიაში, რომელიც უარყოფს ყოველგვარ ხელისუფლებას. ორი წლის წინათ საბჭოებში გამეფებული იყო ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის შემთანხმებლური იდეა. საჭირო იყო განსაზღვრულ დროს გაევლო, რომ მასების შეგნებიდან გამოგვეგავა ის ძველი ხარახურა, რომელიც ხელს უშლიდა მათ გარკვეულიყვნენ იმაში, რაც ხდებოდა. ამის მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ ცხოვრების სახელმწიფო მშენებლობაში საბჭოების პრაქტიკული მუშაობით. ახლა ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებიან გერმანიის მუშათა მასებიც, რომელთა შეგნებიდანაც საჭიროა იმავე ხარახურის განდევნა, მაგრამ იქ ეს პროცესი მიმდინარეობს უფრო მკვეთრ, უფრო მკაცრ და სისხლისმღვრელ ფორმებში, ვიდრე ჩვენში.

ჯე ცოტა გადაკუხვიე იმ თემას, რომელიც პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმმა დამავალა, მაგრამ ეს აუცილებელი იყო.

სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობა გასული წლის მანძილზე ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია გავიგოთ, თუ საბჭოების როლს შევაფასებთ მსოფლიო რევოლუციის მასშტაბით. ხშირად მართვა-გამგეობის ყოველდღიური წვრილმანები და მშენებლობის საქმეში გარდუვალი ცალკეული მომენტები განზე გვახვევინებენ და გვაიძულებენ დავივიწყოთ მსოფლიო რევოლუციის დიადი საქმე. და მხოლოდ მაშინ, თუ საბჭოების როლს მსოფლიო მასშტაბით შევაფასებთ, ჩვენ შევძლებთ სწორად გავერკვეთ ჩვენი შინაური ცხოვრების წვრილმანებში და თავის დროზე მოვაწესრიგოთ ისინი. წარჩინებული ბერნელი რევიზორები[1] ჩვენზე ლაპარაკობენ, როგორც ძალმომრეობის ტაქტიკის მომხრეებზე, მაგრამ, როცა ამას ლაპარაკობენ, ისინი სავსებით ხუჭავენ თვალს იმაზე, თუ რას აკეთებს მათი ბურჟუაზია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ძალმომრეობით განაგებს.

ვიდრე მართვა-გამგეობის საბჭოთა ფორმაზე გადავიდოდით, ჩვენ რამდენიმე თვე გავატარეთ და ამ ხნის განმავლობაში მასა ემზადებოდა სახელმწიფო მართვა-გამგეობის ახალი, ჯერ კიდევ არნახული ფორმისათვის. ჩვენ ძაფ-ძაფებად დავწეწეთ კერენსკის მთავრობა, დროებითი მთავრობა ვაიძულეთ

სამინისტრო ათურმა განეკლო მარჯვნივ და მარცხნივ, ქვევით და ზევით, რამაც მასებს საბოლოოდ დაუმტკიცა, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობის უნარი არ შესწევდა ბურჟუაზიულ-შემთანხმებლურ ხროვას, რომელიც მაშინ პრეტენზიას აცხადებდა ხელისუფლებაზე, — და მხოლოდ ამის შემდეგ ავიღეთ ხელისუფლება.

ბევრად უფრო რთულია საქმე მსოფლიო მასშტაბით. ამ შემთხვევაში მარტოოდენ რევოლუციური ძალმომრეობა არ კმარა, და რევოლუციურ ძალმომრეობას წინ უნდა უსწრებდეს ისეთივე მოსამზადებელი მუშაობა, როგორც ჩვენში იყო, მაგრამ, ბუნებრივია, რამდენადმე უფრო დიდი ხნით. თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ბრესტის ზავმა, ხოლო ზოგიერთმა ვაჟბატონმა გადაწყვიტა საბჭოთა ხელისუფლების ეს ნაბიჯი გამოეყენებინა თავისი დემაგოგიური მიზნებისთვის, და შემთანხმებლურს უწოდებდა მას. მაგრამ თუ ამას შემთანხმებლობას ვუწოდებთ, მაშინ უნდა ვიმსჯელოთ აგრეთვე მეფესთან შემთანხმებლობაზედაც, როცა ჩვენ სახელმწიფო სათათბიროში მივდიოდით, რათა შიგნიდან აგვეფეთქებინა იგი. ბრესტის ზავი ჩვენ დავდევით იმის მოლოდინში, რომ გერმანიაში დადგებოდა ის აუცილებელი საშინაო პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს ვილჰელმის დამხობა, და ეს გარემოება ცხადყოფს, თუ რამდენად სწორად იყო გათვალისწინებული ჩვენი ნაბიჯი.

«შეთანხმების» ქვეყნებში ამჟამად ვხედავთ მასების გამოღვიძებას, რომლის ჩაქრობას მათი მთავრობები ყოველნაირად ცდილობენ. ამ მიზნით ჯერ კიდევ შეუგნებელი მასების მთელ ყურადღებას მიმართავენ «პატრიოტიზმისკენ». მასები დაპირებებით იკვებებიან და ძლევამოსილი ზავის სარფით იხიბლებიან, მათ უთვალავ სარფას ჰპირდებიან ზავის დადების შემდეგ. მათ ილუზიებით ჰკვებავენ. მაგრამ, თუ რამდენად სწორია ამ ილუზიების განხორციელების ვარაუდი, შეიძლება დავასკვნათ ჩემი ამასწინანდელი საუბრიდან ერთ ამერიკელ, ფხიზელ, კომერციულად განწყობილ, ვაჭართან, რომლისთვისაც უცხოა ჩვენი ინტერესები. საფრანგეთის მდგომარეობას

იგი შემდეგნაირად ახასიათებს: საფრანგეთის მთავრობა მასებს ჰპირდება ოქროს მთებს, რომელთაც ვითომ გერმანელებისგან მიიღებს, მაგრამ საჭიროა, რომ გერმანელებს ჰქონდეთ გადახდის საშუალება, ხოლო იმ მოვალისგან, რომელსაც არაფერი გააჩნია, ვერაფერსაც ვერ მიიღებ და მთელ ამ ილუზიებს, დამყარებულს გერმანიასთან ხელსაყრელი ზავის დადებაზე, მოჰყვება კრახი, ვინაიდან დადებული ზავი კრახის ზავი იქნება. ამას გრძნობენ თვით რევოლუციის მტრებიც კი, რომლებიც შექმნილი მდგომარეობიდან ვერავითარ სხვა გამოსავალს ვერ პოულობენ, გარდა კაპიტალიზმის დამხობისა. ამ მხრივ ამჟამად დამახასიათებელია განწყობილება საფრანგეთის ხალხისა, რომელიც ყველაზე გულისხმიერი და გულშემატკივარია. იმ დროს, როცა იგი ამჟამად ბურთს სჩრის პირში ბოლშევიკების წინააღმდეგ მოლაპარაკეს, ნახევარი წლის წინათ იგი უსმენდა იმათ, რომლებიც ყოველნაირად აძაგებდნენ ბოლშევიკებს. ჩვენი იდეების პროპაგანდის საქმეში ბურჟუაზიამ დიდი სამსახური გაგვიწია. თავისი თავდასხმებით მან აიძულა მასები ჩაფიქრებოდნენ და ემსჯელნათ, რის გამოც პარიზის მოაზროვნე მასები უშუალოდ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ, რაკი ბურჟუაზიას ასე სძაგს ბოლშევიკები, მაშასადამე, მათ შესძლებიათ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაო. ანტანტამ ამჟამად მთელი თავისი ყურადღება მომართა ჩვენსკენ, მას სურს ჩვენი ჯიბით გაასწოროს მისთვის წარდგენილი ანგარიშები. ჩვენ იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ ძლიერ მტერს, რომელიც აღგვემატება სამხედრო თვალსაზრისით, მაგრამ ეს დიდხანს ვერ გასტანს: დადგება იმედის გაცრუება გამარჯვებაში, რის შედეგი იქნება «მოკავშირეთა» ყველა კომბინაციის სრული კრახი, თუ მანამდე არ წაეჩხუბნენ ერთმანეთს. ამჟამად ყველა ქვეყანა შიმშილს განიცდის, და ვერავითარი გამარჯვება ვერ უშველის მის თავიდან აცილებას. ჩვენ ვდგავართ რთული ამოცანების წინაშე, რომლებიც საგარეო პოლიტიკამ დაგვიყენა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს გამოცდილება ბრესტის ზავისა — სახალხო კომისართა საბჭოს საგარეო პოლიტიკის ყველაზე არსებითი ნაბიჯისა. ბრესტის

ზავი დაიდო ძლიერ მტერთან, რომელიც აღგვემატებოდა სამხედრო თვალსაზრისით და ამან უთანხმოება გამოიწვია თვით ჩვენს წრეშიც, მაგრამ ასეთი უნდა ყოფილიყო პირველი ნაბიჯი პროლეტარული სახელმწიფოსი, რომელსაც ყოველი მხრივ გარს არტყია იმპერიალისტური მტაცებლები. ბრესტის ზავმა ძირი გამოუთხარა ჩვენს ძლიერსა და მძლავრ მტერს. გერმანია, რომელმაც თავს მოგვახვია მძარცველური პირობები, სულ მოკლე ხნის განმავლობაში დაეცა, ამასვე უნდა მოველოდეთ სხვა ქვეყნებშიც, მით უმეტეს, რომ ყველგან ვხედავთ არმიების დაშლას.

საჭიროა მოვიგონოთ ის დრო, როცა ჩვენი არმიის დაშლას ხსნიდნენ რუსების მოუთმენლობით, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს ხვედრია ყველა ქვეყნისა, რომელიც რევოლუციის გზას ადგება. აშკარა ძარცვა, რომლითაც ახლა გართულნი არიან «დემოკრატიული» მთავრობები პარიზში, თვალს უხელს მასებს, მით უმეტეს, რომ ნადავლის გაყოფის დროს წარმოშობილი უთანხმოება, რაც ხშირად სერიოზულ ჩხუბად გადაიქცევა ხოლმე, საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს [2]. მიუხედავად ყოველგვარი არახელსაყრელი პირობებისა, რომლებშიც უხდება ცხოვრება საბჭოთა რუსეთს, ჩვენ გვაქვს ერთი პლუსი, რომელსაც ხაზგასმით აღნიშნავს ბურჟუაზიული გაზეთი «ტაიმსიც» [3]. სამხედრო მიმომხილველის სტატიაში ის აღნიშნავს იმ დაშლას, რომელიც სწრაფად ვითარდება ყველა ქვეყნის არმიებში და რომელიც უცნობია რუსეთისთვის. მხოლოდ რუსეთში, გაზეთ «ტაიმსის» სიტყვებით, არმია კი არ იშლება, არამედ შენდება. ეს გასული წლის ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთი არსებითი ნაწილია. მტრებისგან ყოველიმხრივ გარშემორტყმულნი, ჩვენ თავს ვიცავთ, ბრძოლით ვიბრუნებთ საბჭოთა რუსეთის ყოველ მტკაველს, და ჩვენი ბრძოლის ყოველი თვე სულ უფრო და უფრო გვიახლოებს მსოფლიო რევოლუციას. მთელ მსოფლიოში ჩვენ პირველმა ავიღეთ ხელში ძალაუფლება, და ამჟამად ჩვენში განაგებენ მშრომელთა საბჭოები. შევძლებთ თუ არა ძალაუფლების შენარჩუნებას? თუ ვერ შევძლებთ, მაშინ ძალაუფლების აღება

ისტორიულად არაკანონზომიერი იყო. მაგრამ ახლა უკვე შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ეს გამოცდა ჩვენ ჩავაბარეთ, და, მიუხედავად განუზომელი ტანჯვისა, მშრომელთა ძალაუფლება დავიცავით.

შემდეგ ლენინი ჩერდება სპეციალისტების საკითხზე.

ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, — ამბობს ლენინი, — აღშფოთებულია იმით, რომ წითელი არმიის სათავეში დგანან მეფის მსახურნი და ძველი ოფიცრობა. ბუნებრივია, რომ წითელი არმიის ორგანიზაციის დროს ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს, და მისი სწორად დაყენება განსაზღვრავს არმიის ორგანიზაციის წარმატებას. სპეციალისტების საკითხი უფრო ფართოდ უნდა დაისვას. ჩვენ ისინი უნდა გამოვიყენოთ მშენებლობის ყველა დარგში, სადაც, ბუნებრივია, რაკი არა გვაქვს ძველი ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოცდილება და მეცნიერული მომზადება, თვითონ ჩვენი საკუთარი ძალებით თავს ვერ გავართმევთ. ჩვენ არა ვართ ის უტოპისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სოციალისტური რუსეთის მშენებლობის საქმე შეიძლება შეასრულონ ვიღაც ახალმა ადამიანებმა, ჩვენ ვსარგებლობთ იმ მასალით, რომელიც ძველმა კაპიტალისტურმა სამყარომ დაგვიტოვა. ძველ ადამიანებს ჩვენ ახალ პირობებში ვაყენებთ, სათანადო კონტროლს ვაწესებთ მათ მიმართ, პროლეტარიატის ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ ვაყენებთ მათ და ვაიძულებთ შეასრულონ ჩვენთვის საჭირო სამუშაო. მხოლოდ ასე შეიძლება სწორედ შენება. თუ თქვენ შენობის აგება არ შეგიძლიათ ბურჟუაზიული სამყაროს მიერ ჩვენთვის დატოვებული მასალით, მაშინ თქვენ საერთოდ ვერ ააშენებთ მას, და თქვენ კომუნისტები კი არა, ცარიელი ფრაზიორები ყოფილხართ. სოციალისტური მშენებლობისთვის საჭიროა სრულად გამოვიყენოთ მეცნიერება, ტექნიკა და საერთოდ ყველაფერი, რაც კაპიტალისტურმა რუსეთმა დაგვიტოვა. რა თქმა უნდა, ამ გზაზე ჩვენ დიდი სიძნელეები შეგვხვდება. შეცდომები გარდუვალია. გადამრბენნი და ბოროტი მესაბოტაჟეები ყველგან არიან. აქ უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ძალმომრეობა. მაგრამ ამის

შემდეგ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ პროლეტარიატის მორალური გავლენა, ძლიერი ორგანიზაცია და დისციპლინა. სრულიადაც არ არის საჭირო ჩვენთვის სასარგებლო სპეციალისტების განდევნა. მაგრამ ისინი უნდა ჩავაყენოთ გარკვეულ ჩარჩოებში, რაც შესაძლებლობას მისცემს პროლეტარიატს კონტროლი გაუწიოს მათ. მათ უნდა მიენდოს სამუშაო, მაგრამ ამასთანავე ფხიზელი მეთვალყურეობა უნდა გაეწიოს მათ, უნდა დაენიშნოთ კომისრები და აღიკვეთოს მათი კონტრრევოლუციური ზრახვები. ამავე დროს საჭიროა ვისწავლოთ მათგან. ამასთანავე ერთად — არავითარი პოლიტიკური დათმობა ამ ვაჟბატონებს, მათი შრომა კი უნდა გამოვიყენოთ ყველგან, სადაც კი შესაძლებელია. ნაწილობრივ ჩვენ კიდევაც მივაღწიეთ ამას. კაპიტალისტების დათრგუნვიდან ჩვენ გადავედით მათ გამოყენებაზე, და ეს, შეიძლება, ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ საშინაო მშენებლობის ერთი წლის მანძილზე.

ჩვენი კულტურული მშენებლობის ერთ-ერთი სერიოზული საკითხია სოფლის საკითხი. საბჭოთა ხელისუფლება ითვალისწინებს მშრომელთა უფართოეს დახმარებას. მთელი ამ ხნის განმავლობაში ამაში მდგომარეობდა მთელი ჩვენი პოლიტიკა სოფლის მიმართ. საჭირო იყო ქალაქის პროლეტარიების დაკავშირება სოფლის ღარიბებთან, და ჩვენ ეს გავაკეთეთ. ამჟამად უკვე უმჭიდროესი კავშირია დამყარებული ათასობით უჩინარი ძაფით. როგორც ყოველგან, აქაც ჩვენ დიდ სიძნელეებს ვხვდებით, ვინაიდან გლეხები მიჩვეული არიან იმას, რომ თავიანთ თავს დამოუკიდებელ მეპატრონეებად სთვლიდნენ. ისინი მიჩვეული არიან თავიანთი პურის თავისუფლად გაყიდვას, და ყოველი გლეხი ამას თავის ხელშეუვალ უფლებად სთვლიდა. ახლა საჭიროა კოლოსალური მუშაობის ჩატარება, რათა საბოლოოდ დავარწმუნოთ ისინი, რომ იმ გაჩანაგების დაძლევა, რომელიც ომმა დაგვიტოვა, შეიძლება მხოლოდ მეურნეობის კომუნისტური ორგანიზაციით. აქ უნდა ვიმოქმედოთ უკვე არა ძალმომრეობით, არამედ მხოლოდ დარწმუნებით. რა თქმა უნდა, გლეხობაშიც გვყავს აშკარა

მტრები — კულაკები, მაგრამ გლეხობის მასა — ღარიბები და მათთან ახლო მდგომი საშუალო გლეხები ჩვენ მიგვყვებიან. კულაკების, როგორც ჩვენი აშკარა მტრების, წინააღმდეგ კი ჩვენ მხოლოდ ერთი იარაღი გვაქვს — ესაა ძალმომრეობა. როცა ჩვენ დავიწყეთ ჩვენი სასურსათო პოლიტიკის განხორციელება დამშეულთათვის ნაჭარბის გადაცემის პრინციპის მიხედვით, აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებიც შესძახოდნენ გლეხს: «გძარცვავენო!». ესენი მენშევიკურ, მემარცხენე-ესერულ ანდა კიდევ მასხარას რაიმე სხვა კოსტიუმებში გამოწყობილი აშკარა მტრები არიან გლეხების, მუშებისა და კომუნიზმისა და ჩვენ მათ კვლავაც ისევე მოვეპყრობით, როგორც ვეპყრობოდით.

«სევერნაია კომმუნა» № 58,
1919 წ. 14 მარტი

იბეჭდება გაზეთის «სევერნაია კომმუნას» ტექსტის მიხედვით

2

პასუხი ბარათებზე

ამხანაგებო, ახლა მინდა ვუპასუხო ბარათებზე, რომელთაგან ორი არცთუ სავსებით ნათელია. ერთ მათგანში მაინც, როგორც ჩანს, ორი ძირითადი აზრია. ჯერ-ერთი, ბარათის ავტორი უკმაყოფილოა ბოლშევიკებისა, რომლებმაც თითქოს შეტოპეს, და თანაუგრძნობს მენშევიკებს თანდათანობისათვის. მეორეც, მეკითხება გლეხთა აჯანყებების შესახებ.

რაც შეეხება პირველ შეკითხვას, უნდა მოგახსენოთ, რომ თუ ასე დავაყენებთ ბრალდებას ბოლშევიკების წინააღმდეგ, უნდა მიეთითებინათ რაში შეტოპეს მათ და რით არის კარგი თანდათანობა. ძირითადი საკითხი, რის გამოც ჩამოვშორდით მენშევიკებს, ის იყო, რომ ჩვენ დაჟინებით მოვითხოვდით მთელი ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისთვის და იმდენად შევტოპეთ, რომ შარშანწინ ოქტომბერში ავიღეთ ეს ძალაუფლება. მენშევიკები კი მოითხოვდნენ თანდათანობას, რადგან არ სურდათ ძალაუფლების ეს გადაცემა. და, მაგალითად, მენშევიკების თანამგრძნობი, ცნობილი სოციალისტი კაუცკი, 1918 წლის აგვისტოში წერდა ბროშურაში, რომ ბოლშევიკებმა ძალაუფლება არ უნდა აიღონ, რადგან ვერ შეინარჩუნებენ მას, დაიღუპებიან და მთელ პარტიასაც დაღუპავენო. ჩემი აზრით, ეს შეხედულება მოვლენათა მსვლელობამ უარყო, ასე რომ მასზე შეჩერება არა ღირს, მეტადრე, თუ წამოყენებული არ არის ნათელი საწინააღმდეგო მოსაზრებები. გერმანიაში კაუცკი დაჟინებით იცავდა დემოკრატიას, დამფუძნებელ

კრებას. არ შეიძლება საბჭოებს ძალაუფლება მიეცეთო — ამას ამბობდნენ როგორც აქაური, ისე გერმანელი მენშევიკები. გერმანიაში დამფუძნებელი კრება შეიკრიბა, და იქ იანვარსა და მარტში მოხდა მუშათა მთელი რიგი უდიდესი აჯანყებები, სამოქალაქო ომი, რომლის შედეგად გერმანელი მენშევიკები ჰილფერდინგის მეთაურობით უკანასკნელ სტატიებში წინადადებას იძლეოდნენ დამფუძნებელი კრება და საბჭოები შეერთდნენ იმგვარად, რომ საბჭოების ცენტრალურ კომიტეტს უფლება მიენიჭოს შეაჩეროს დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებები და საკითხი გადაიტანოს საყოველთაო სახალხო კენჭისყრაზეო. ეს იმას გვიჩვენებს, თუ როგორ მთლად დაიბნენ გერმანელი მენშევიკები, საუკეთესონიც კი. დამფუძნებელი კრების შეერთება საბჭოებთან, ბურჟუაზიის დიქტატურის შეერთება პროლეტარიატის დიქტატურასთან — ეს იდეა მხოლოდ დაცინვის ღირსია.

რაც შეეხება გლეხთა აჯანყებებს, აქ მოცემული იყო შეკითხვა ამ თემაზე. რა თქმა უნდა, ჩვენ განვიცადეთ მთელი რიგი კულაკური აჯანყებები და ახლაც განვიცდით. შარშან ზაფხულში კულაკური აჯანყებების მთელმა ხანამ გადაიარა. კულაკი ჩვენი შეურიგებელი მტერია. და აქ სხვა იმედი არაფრისაა, გარდა მისი დათრგუნვისა. სხვა საქმეა საშუალო გლეხი, ეს არ არის ჩვენი მტერი. არ არის სწორი, თითქოს რუსეთში გლეხთა ისეთი აჯანყებები იყო, რომლებიც მოიცავდნენ გლეხთა, და არა კულაკთა, მნიშვნელოვან რიცხვს. კულაკებს უერთდება ცალკეული სოფელი, ვოლოსტი, მაგრამ გლეხთა აჯანყებები, რომლებიც მოიცავდნენ რუსეთის ყველა გლეხს, საბჭოთა ხელისუფლების დროს არ ყოფილა. იყო კულაკური აჯანყებები და კვლავ იქნება ისეთი მთავრობის დროს, რომელიც მოითხოვს, რომ ყოველი ნაჭარბი პური მტკიცე ფასში უნდა გადაეცეს მშივრებს. ასეთი აჯანყებები გარდუვალია, იმიტომ რომ კულაკს, რომელსაც პურის დიდი მარაგი აქვს, შეუძლია გაყიდოს იგი რამდენიმე ას მანეთად ფუთი, და ყველამ ვიცით, რა ფასად ჰყიდიან პურს მეტომრეები. კულაკებს რომ ასეთი თავისუფლება

მივცეთ, მაშინ მდიდარი, რომელსაც გადამალული აქვს ქალაქის ფულის, კერენკების, დიდი მარაგი, მაძღარი იქნება, ხოლო უმრავლესობა, რომელიც არაფერს მალავს, იშიმშილებს. ამიტომ ჩვენ თვალს არ ვხუჭავთ იმაზე, რომ კულაკთა აჯანყებები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გარდუვალია. როდესაც კაპიტალისტების ხელისუფლება არსებობდა, გარდუვალი იყო მუშების აჯანყებები მათ წინააღმდეგ, გლეხების აჯანყებები მემამულეების წინააღმდეგ. როდესაც მემამულე და კაპიტალისტი მოტეხილია, კულაკთა აჯანყებები სულ უფრო და უფრო იშვიათი გახდება. საჭიროა მოვახდინოთ არჩევანი. ხოლო თუ ვისმე სურს, რომ ყველაფერი ისე წარიმართოს, რომ არავითარი აჯანყება არ მოხდეს და მდიდრებმა თეფშით მოგვართვან სიყვარულის ახსნა და მთელი ნაჭარბის მშვიდობიანად მოცემის დაპირება, ვფიქრობ, ასეთ ადამიანს სერიოზულ ადამიანად ვერ მივიჩნევთ.

მეორე გაურკვეველი ბარათი ასეთი შინაარსისაა: როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც მუშები, ესერების მოწოდებით გაბრუებულნი, სასურსათო ნიადაგზე არ მუშაობენ, იფიცებიან და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიდიან. რა თქმა უნდა, მე იმის იმედი არა მაქვს, რომ ყველა მუშა უკანასკნელ კაცამდე საბჭოთა ხელისუფლების მომხრე იყოს. როდესაც 1871 წელს პარიზში პარიზის მუშების აჯანყება იყო, სხვა ქალაქთა მუშების მცირე რიცხვი როდი იბრძოდა მათ წინააღმდეგ თეთრგვარდიელთა ჯარებში და ახშობდა პარიზის მუშებს. შეგნებულ სოციალისტებს ეს ხელს არ უშლიდა ემტკიცებინათ, რომ პარიზელი კომუნარები წარმოადგენენ მთელ პროლეტარიატს, ე. ი. ყველაფერს, რაც კი რამ საუკეთესო, პატიოსანიაო, თეთრგვარდიელთა ჯარებში კი იყვნენ მუშების ჩამორჩენილი ფენებიო. ჩვენცა გვყავს შეუგნებელი, ჩამორჩენილი მუშები, რომლებსაც დღემდე ვერ გაუგიათ საბჭოთა ხელისუფლება; ჩვენ ვესწრაფით იმას, რომ გავანათლოთ ისინი. მუშების მუდმივი მასობრივი კრებებისთვის არც ერთ მთავრობას არ მოუცია იმდენი, რამდენიც მოგვცა საბჭოებმა, რომლებიც ქარხნის ყოველ წარმომადგენელს აძლევენ

ადგილს სახელმწიფო დაწესებულებაში. ჩვენ, შეძლებისდაგვარად, ვიზიდავთ მუშებს, რომ ისინი თვითონ იყვნენ სახელმწიფო პოლიტიკის შემოქმედნი; კაპიტალიზმის დროს და რესპუბლიკების დროსაც კი მუშებს ერეკებოდნენ პოლიტიკისგან, საბჭოთა ხელისუფლება კი მთელი ძალ-ღონით იზიდავს მუშებს, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ დიდხანს ექნებათ ზოგიერთებს მიდრეკილება ძველისკენ.

თქვენს შორის ცოტანი არიან, შესაძლოა, თითო-ოროლაც კი, რომლებსაც ახსოვთ ბატონყმობა, ეს შეიძლება ახსოვდეთ მხოლოდ მოხუცებს, მაგრამ მაინც მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ახსოვთ ის, რაც 30—40 წლის წინათ იყო. ვინც სოფლად ყოფილა, მან იცის, რომ 30 წლის წინათ სოფლად ცოტანი როდი მოიპოვებოდნენ ისეთი მოხუცნი, რომლებიც ამბობდნენ: «ბატონყმობის დროს სჯობდაო, მეტი წესრიგი, სიმკაცრე იყო, დედაკაცებს მორთულ-მოკაზმულად არ აცმევდნენო». ახლა რომ წავიკითხოთ უსპენსკი, რომელსაც ძეგლს ვუდგამთ, როგორც გლეხის ცხოვრების აღმწერ ერთ-ერთ საუკეთესო მწერალს, 80-იანი და 90-იანი წლების ხანიდან ვიპოვით აღწერას, როცა გულწრფელი კეთილსინდისიერი მოხუცი გლეხები ანდა ზოგჯერ პირდაპირ ხანში შესულნი ამბობდნენ, ბატონყმობის დროს სჯობდაო. როდესაც ძველ საზოგადოებრივ წესწყობილებას სპობენ, მისი ერთბაშად მოსპობა ყველა ადამიანის შეგნებაში შეუძლებელია, რჩება კიდევ მცირე რიცხვი, რომელსაც გული მიუწევს ძველისკენ.

ზოგიერთი მუშა, როგორც, მაგალითად, მბეჭდავები, აჰბობს, კაპიტალიზმის დროს კარგი მდგომარეობა იყო, ბევრი გაზეთი გამოდიოდა, ახლა კი ცოტა გამოდის, მაშინ რიგიან გასამრჯელოს ვიღებდი და არაკითარი სოციალიზმი არ მინდაო. ცოტა როდი იყო მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც დამოკიდებული იყვნენ მდიდარ კლასებზე ანდა ფუფუნების საგნების წარმოებით არსებობდნენ. კაპიტალიზმის დროს დიდ ქალაქებში ბევრი მუშა ფუფუნების საგნების წარმოებით ცხოვრობდა. საბჭოთა რესპუბლიკაში ჩვენ მოგვიხდება ეს მუშები დროებით უმუშევრად დავტოვოთ. ჩვენ

მათ ვეტყვით: «ხელი მოჰკიდეთ სხვა სასარგებლო სამუშაოს». ის იტყვის: «მე ფაქიზ სამუშაოს ვეწეოდი, ოქრომჭედელი ვიყავი, სუფთა სამუშაო იყო, კარგი ბატონკაცების შეკვეთით ვმუშაობდი, ახლა კი ყველაფერს ტეტიობა დაეუფლა, კარგი ბატონკაცები გარეკა, მე მინდა კაპიტალიზმს უკანვე დავუბრუნდეო». ასეთი ადამიანები დაიწყებენ ქადაგებას, დავუბრუნდეთ უკან კაპიტალიზმს ანდა, როგორც მენშევიკები ამბობენ: წავიდეთ წინ ჯანსაღი კაპიტალიზმისა და ჯანსაღი დემოკრატიისაკენო. მოიძებნება რამდენიმე ასეული მუშა, რომლებიც იტყვიან: «ჩვენ კარგად ვცხოვრობდით ჯანსაღი კაპიტალიზმის დროსო». კაპიტალიზმის დროს კარგად მცხოვრებ ადამიანთა რიცხვი ფრიად უმნიშვნელო უმცირესობა იყო, ჩვენ კი ვიცავთ უმრავლესობის ინტერესებს, უმრავლესობისა, რომელსაც კაპიტალიზმის დროს ცუდად ეცხოვრებოდა. (ტ ა შ ი.) ჯანსაღმა კაპიტალიზმმა მსოფლიო ხოცვა-ჟლეტა გამოიწვია ყველაზე თავისუფალ ქვეყნებში. ჯანსაღი კაპიტალიზმი შეუძლებელია არსებობდეს, ხოლო არსებობს ისეთი კაპიტალიზმი, რომელიც ყველაზე თავისუფალ რესპუბლიკაში, როგორიცაა ამერიკის კულტურული, მდიდარი, ტექნიკურად მოწინავე რესპუბლიკა, ამ დემოკრატიულმა კაპიტალიზმმა, ყველაზე რესპუბლიკურმა კაპიტალიზმმა გამოიწვია ყველაზე გააფთრებული მსოფლიო ხოცვა-ჟლეტა მთელი მსოფლიოს გაძარცვის გულისთვის. 15 მილიონ მუშაზე მთელ ჩვენს ქვეყანაში თქვენ იპოვით რამდენიმე ათას კაცს, რომლებიც კაპიტალიზმის დროს ჩინებულად ცხოვრობდნენ. ხოლო მდიდარ ქვეყნებში ასეთი მუშები უფრო მეტია, იმიტომ რომ ისინი მუშაობდნენ მილიონერებისა და მილიარდერების უფრო მნიშვნელოვანი რაოდენობისთვის. ისინი მომსახურებას უწევდნენ ამ ერთ მუჭა ხალხს და მათგან განსაკუთრებით მაღალ ხელფასს იღებდნენ. თუ თქვენ აიღებთ რამდენიმე ასეულ ინგლისელ მილიონერს, ისინი იხვეჭდნენ მილიარდებს, იმიტომ რომ ძარცვავდნენ ინდოეთს და მთელ რიგ კოლონიებს. მათთვის იოლი საქმე იყო გადაეგდოთ 10 — 20 ათასი მუშისთვის ნასუფრალი, მიეცათ მათთვის ორმაგი ან უფრო

მაღალი ხელფასი, რათა ამ მუშებს სპეციალურად მათთვის კარგად ემუშავნათ. მე როგორღაც წავიკითხე მოთხრობა ერთი ამერიკელი პარიკმახერის მოგონებებზე; ამ პარიკმახერს ერთი მილიარდერი ერთ დოლარს აძლევდა დღეში გაპარსვისათვის. და ამ პარიკმახერმა დაწერა მთელი პატარა წიგნი, რომელშიც ქება-დიდებას ასხამდა მილიარდერს და მის შესანიშნავ ცხოვრებას. დილით მის ფინანსურ აღმატებულებასთან ერთი საათით მისვლისთვის იგი ერთ დოლარს იღებდა დღეში, კმაყოფილი იყო და კაპიტალიზმის გარდა არაფერი უნდოდა. ასეთი საბუთის წინააღმდეგ ფხიზლად უნდა ვიყოთ. მუშათა უდიდესი უმრავლესობა ასეთ მდგომარეობაში არ ყოფილა. ჩვენ, მთელი მსოფლიოს კომუნისტები, ვიცავთ მშრომელთა უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს, ხოლო მშრომელთა უმნიშვნელო უმცირესობას კაპიტალისტები ქრთამავდნენ მაღალი ხელფასით და მათ კაპიტალის ერთგულ მსახურებად ხდიდნენ. როგორც ბატონყმობის დროს იყვნენ ადამიანები, გლეხები, რომლებიც ეუბნებოდნენ მემამულეებს: «ჩვენ თქვენი მონები ვართ (ამას ეუბნებოდნენ განთავისუფლების შემდეგ), თქვენგან არ წავალთო». მერე ბევრნი იყვნენ ისინი? უმნიშვნელო რიცხვი. განა შეიძლება მათი დამოწმებით უარვყოთ ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, არა. ასევე ახლაც იმ მუშების უმცირესობის დამოწმებით, რომლებიც ჩინებულ გასამრჯელოს იღებდნენ ბურჟუაზიულ გაზეთებზე მუშაობით, ფუფუნების საგნების წარმოებით, მილიარდერების პირადი მომსახურებით, კომუნიზმის უარყოფა შეუძლებელია.

ახლა გადავალ იმ შეკითხვებზე, რომლებიც გამოთქმული იყო ნათლად, ჯერ-ერთი, საერთოდ კონცესიებისა და განსაკუთრებით ჩრდილოეთის დიდი გზის საკითხზე[4]. ამბობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მტაცებლებს გასაძარცვავად მისცე სახალხო სიმდიდრეო. ამაზე მე ვუპასუხებ, რომ აქ საკითხი მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ბურჟუაზიულ სპეციალისტებთან და მსოფლიო იმპერიალიზმის საკითხთან. შეგვიძლია თუ არა ჩვენ ამჟამად მოვტეხოთ მსოფლიო

იმპერიალიზმი? ჩვენ რომ ეს შეგვეძლოს, ვალდებული ვიქნებოდით ეს გვექნა, მაგრამ თქვენ იცით, რომ ამჟამად ეს ჩვენ არ შეგვიძლია, როგორც 1917 წლის მარტში არ შეგვეძლო კერენსკის დამხობა; ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეცადა საბჭოთა ორგანიზაციების განვითარებისთვის, გვემუშავნა ამაზე და დაუყოვნებლივ არ ავჯანყებულიყავით კერენსკის წინააღმდეგ. სწორედ ასევე ახლაც, შესაძლებელია თუ არა შეტევითი ომი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ რომ უფრო ძლიერი ვიყოთ, ხვალ მივიღებდეთ ბევრ პურს, გვქონდეს ტექნიკური მოწყობილობა და სხვა, ჩვენ სპარტაკელების განადგურებას კი არ დავანებებდით შეიდემანებს, არამედ დავამხობდით მათ. მაგრამ ამჟამად ეს უადგილო ფანტაზიაა, ამჟამად მსოფლიო იმპერიალიზმის დამხობა მარტოოდენ ჩვენს ქვეყანას არ შეუძლია, ვიდრე სხვა ქვეყნები ისეთ პერიოდს განიცდიან, როცა საბჭოთა უმრავლესობა არ არის, ბევრ ქვეყანაში საბჭოები მხოლოდ ეს-ეს არის ჩნდება, ამიტომ იძულებული ვართ დავუთმოთ იმპერიალისტებს. ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია რკინიგზების დიდი მასშტაბით შენება, ღმერთმა ქნას თავი გავართვათ არსებულთ. ჩვენ არ გვყოფნის პური, სათბობი, ორთქლმავლები, რამდენიმე მილიონი ფუთი პური გვიძევს ვოლგა-ბუგულმინის გზაზე და ვერ გამოგვიზიდნია. ამ დღეებში სახალხო კომისართა საბჭოში დავადგინეთ გავგზავნოთ რწმუნებულნი ფართო უფლებებით ამ პურის გამოსაზიდად. ხალხი შიმშილობს პეტროგრადსა და მოსკოვში, იქ კი მილიონობით ფუთი პურია ჩაყრილი და ვერ გამოგვიზიდავს იმიტომ, რომ არ გვყოფნის ორთქლმავლები, არ არის საათბობი. და ჩვენ ვამბობთ, რომ უმჯობესია ხარკი მივცეთ უცხოელ კაპიტალისტებს, ოღონდ რკინიგზები გავიყვანოთ. ასეთი ხარკის გაღებით ჩვენ არ დავიღუპებით, ხოლო თუ რკინიგზის მოძრაობას ვერ მოვაგვარებთ, შეიძლება დავიღუპოთ იმიტომ, რომ ხალხი შიმშილობს; თუმცა რუსი მუშა დიდად ამტანია, მაგრამ ამტანობასაც ხომ საზღვარი აქვს. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა მივიღოთ ზომები რკინიგზის მოძრაობის გასაუმჯობესებლად, თუნდაც

კაპიტალიზმისთვის ხარკის მიცემის ფასად. ავია თუ კარგია, ჯერჯერობით სხვა არჩევანი არ არის. ვიდრე მსოფლიო კაპიტალიზმს საბოლოოდ არ დავამხობთ, იმით, რომ ჩვენ ხარკს გადავიხდით, საბჭოთა ხელისუფლებას არ დავღუპავთ. გერმანელ იმპერიალისტებს ჩვენ გადავუხადეთ ოქრო, ბრესტის ზავის პირობების მიხედვით ჩვენ ვალდებული ვიყავით ეს გვექნა, ახლა შეთანხმების ქვეყნები ართმევენ მათ ამ ოქროს — გამარჯვებული ყაჩაღი ართმევს დამარცხებულ ყაჩაღს. ახლა ჩვენ ვამბობთ, ვიდრე პროლეტარიატის მსოფლიო მოძრაობა არ გაიმარჯვებს, ჩვენ ან ვიომებთ, ან ამ ყაჩაღებს ხარკით მოვიცილებთ და ამაში ცუდს არაფერს ვხედავთ. ვიდრე ჩვენ გერმანელ ყაჩაღებს რამდენიმე ასეულ მილიონს მივცემდით და ამით თავიდან მოვიცილებდით, ამ ხნის განმავლობაში განვამტკიცეთ ჩვენი წითელი არმია, გერმანელი ყაჩაღები კი ახლა ხელცარიელი დარჩნენ. ასე მოუვათ სხვა იმპერიალისტ ყაჩაღებსაც. (ტ ა შ ი.)

შემდეგ ამხანაგი წერს, რომ ის დაუპატიმრებიათ ოთხი დღით იმისთვის, რომ წინააღმდეგია საშუალო გლეხების გაჩანაგებისა, და მეკითხება, რა არის საშუალო გლეხიო და იმოწმებს გლეხთა მთელ რიგ აჯანყებებს. რა თქმა უნდა, თუ ამხანაგი იმისთვის დააპატიმრეს, რომ მან პროტესტი განაცხადა საშუალო გლეხთა გაჩანაგების წინააღმდეგ, ეს არ იყო სწორი და, იმის მიხედვით თუ განვსჯით, რომ ის მალე გაუთავისუფლებიათ, მე ვფიქრობ, რომ ვიღაცამ — თვითონ დამპატიმრებელმა თუ საბჭოთა ხელისუფლების სხვა წარმომადგენელმა — გაითვალისწინა, რომ დაპატიმრება უმართებულო იყო. ახლა ვიტყვი საშუალო გლეხზე. კულაკისაგან ის იმით განსხვავდება, რომ არ მიმართავს სხვისი შრომის ექსპლოატაციას. კულაკი იპარავს სხვის ფულს, სხვის შრომას. ღარიბი გლეხები, ნახევრადპროლეტარები — ეს ისინია, რომლებსაც ექსპლოატაციას უწევენ; ხოლო საშუალო გლეხი ის არის, რომელიც სხვას არ უწევს ექსპლოატაციას, რომელიც თავისი მეურნეობით ცხოვრობს, რომელსაც დაახლოებით ჰყოფნის პური, რომელიც არ კულაკობს, მაგრამ

არც ღარიბებს ეკუთვნის. ასეთი გლეხები მერყეობენ ჩვენსა და კულაკებს შორის. მათი მცირე რიცხვი შეიძლება კულაკი გახდეს, თუ ბედმა გაუღიმა, ამიტომ მათ მიდრეკილება აქვთ კულაკებისკენ, მაგრამ უმრავლესობა კულაკი ვერ გახდება. და თუ სოციალისტებსა და კომუნისტებს გონივრულად შეუძლიათ ელაპარაკონ საშუალო გლეხს, ისინი დაუმტკიცებენ მას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველა სხვა ხელისუფლებაზე უფრო ხელსაყრელი ხელისუფლებაა, რადგან სხვა ხელისუფლება ჩაგრავს და ახშობს საშუალო გლეხს. მაგრამ საშუალო გლეხი მერყეობს. დღეს ჩვენ გვიჭერს მხარს, ხვალ კი სხვა ხელისუფლებას; ნაწილი ჩვენ გვიჭერს მხარს, ნაწილი კი — ბურჟუაზიას. პროგრამაშიც, რომელსაც რამდენიმე დღეში მივიღებთ, ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი ძალმომრეობისა საშუალო გლეხის მიმართ. ამას აცხადებს ჩვენი პარტია. თუ დაპატიმრებანი ხდება, ჩვენ ამას ეგმობთ და გამოვასწორებთ. კულაკის მიმართ — მხარს ვუჭერთ ძალმომრეობას, საშუალო გლეხის მიმართ — წინააღმდეგი ვართ ძალმომრეობისა. ჩვენ მას ვეუბნებით: თუ შენ საბჭოთა ხელისუფლების მომხრე ხდები, ძალით შენი შეყვანა კომუნაში ჩვენ არ გვინდა, ძალით ჩვენ გლეხები არასოდეს არ შეგვირეკია კომუნაში, და ასეთი დეკრეტი არც არის. თუ ეს ადგილებზე ხდება — ეს უფლების ბოროტად გამოყენებაა, რომლისთვისაც თანამდებობის პირებს ხსნიან და პასუხისგებაში აძლევენ. ეს დიდი საკითხია. საშუალო გლეხი ორ ბანაკს შუა დგას. მაგრამ, აბხანაგებო, აქ საკვლევით ნათელი პოლიტიკაა: ჩვენ წინააღმდეგი ვართ ძალმომრეობისა საშუალო გლეხების მიმართ, ჩვენ მომხრე ვართ მათთან შეთანხმებისა, მომხრე ვართ დათმობისა. საშუალო გლეხს ნელი გზით შეუძლია მივიდეს კომუნიზმამდე და მივა კიდევაც. ყველაზე თავისუფალ კაპიტალისტურ რესპუბლიკაში საშუალო გლეხს ემუქრება კაპიტალი, რომელიც ასე თუ ისე მას ავიწროებს და ჩაგრავს.

შემდეგ მეკითხებიან, რა აზრისა ხართ ბალტიის ფლოტზეო. მე ბალტიის ფლოტის საკითხი არ გამირჩევია და არც

შემიძლია ახლა პასუხის გაცემა, შესაძლოა, ის ამოწურულიც იყოს ფლოტელი ამხანაგის გამოსვლით.

შემდეგ საკითხი ეხება იმას, რომ ადგილებზე ბევრი ობი, ბიუროკრატიზმი და ხავსი გაჩნდა და ამას უნდა ვებრძოლოთო. ეს სავსებით სამართლიანია. როდესაც ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო ძველი ბიუროკრატები, ეს იმიტომ გააკეთა, რომ საბჭოები შექმნა. ძველი მოსამართლენი მან განდევნა და სასამართლო სახალხო გახადა. მაგრამ სასამართლოს მოწყობა უფრო ადვილი იყო, ამისთვის საჭირო არ იყო ძველი კანონების ცოდნა, უნდა გვეხელმძღვანელნა მხოლოდ სამართლიანობის გრძნობით. სასამართლოებში ბიუროკრატიზმის მოსპობა ადვილი იყო. სხვა სფეროებში ამის გაკეთება ბევრად უფრო ძნელი იყო. ჩვენ განვდევნეთ ძველი ბიუროკრატები, მაგრამ ისინი კვლავ გაჩნდნენ, ისინი თავიანთ თავს «კომუნისტებს» უწოდებენ, თუ არ შეუძლიათ თქვან კომუნისტი, ისინი წითელ ღილს იკეთებენ, თბილ ადგილს ეტანებიან. როგორ მოვიქცეთ აქ? ისევ და ისევ უნდა ვებრძოლოთ ამ უწმინდურებას, ხოლო თუ ეს უწმინდურება მაინც გაძვრა, ისევ და ისევ უნდა გავწმინდოთ, გავაგდოთ, ვუმეთვალყურეოთ და ვუთვალთვალოთ მუშა კომუნისტების, გლეხების მეშვეობით, რომლებსაც თვეობით და წლობით იცნობენ. შემდეგ აქ დაყენებული იყო კიდევ მეორე საკითხი — ბარათი, რომელშიც ნათქვამია, რომ უპირატესობის მინიჭება პარტიის წევრებისთვის ბოროტებაა, იმიტომ რომ მაშინ გაიძვერა ადამიანები გვეტმასნებიანო. ამის წინააღმდეგ, ამხანაგებო, წარმოებს და მომავალშიც იწარმოებს ბრძოლა, ამჟამად დავადგინეთ პარტიულ ყრილობაზე არ დავუშვათ ის დელეგატები, რომლებიც პარტიაში იყვნენ ერთ წელიწადზე ნაკლები, ასეთ ზომებს შემდეგშიც მივიღებთ. როდესაც პარტია დგას ხელისუფლების სათავეში, თავდაპირველად იძულებული ვართ უპირატესობა მივცეთ პარტიულებს, — ვთქვათ, მოდის ორი კაცი, ერთი იღებს პარტიულ ბილეთს და ამბობს, კომუნისტი ვარო, მეორეს კი ბილეთი არა აქვს, ორივეს ერთნაირად არ იცნობენ, აქ, ბუნებრივია,

უპირატესობა ეძლევა პარტიულს, რომელსაც ბილეთი აქვს. როგორ გავარჩიოთ, ნამდვილად რწმენით არის კაცი პარტიაში თუ მიტმასნებულია? პარტიულ ბილეთზე უნდა დაიწეროს — რა დღეს შევიდა პარტიაში, პარტიული ბილეთი არ უნდა მიეცეს, ვიდრე ადამიანი არ გაივლის შემოწმებას, არ გაივლის სკოლას და სხვ.

შემდეგ არის ბარათი რევოლუციური გადასახადის[6] შესახებ, რომ იგი საშუალო გლეხებს აწვებაო. ამის შესახებ სპეციალური სხდომა იყო, ბევრი საჩივარი იყო და შესამოწმებლად ასე მოვიქეცით: ჩვენ გვაქვს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, სადაც მოწვეული არიან რუსეთის საუკეთესო სპეციალისტები სტატისტიკაში, ამ სპეციალისტების უმრავლესობას შეადგენენ ესერები, მენშევიკები და კადეტებიც კი; კომუნისტები, ბოლშევიკები, ცოტანი არიან— ისინი უფრო ცარიზმთან ბრძოლით იყვნენ გართულნი, ვიდრე პრაქტიკული საქმიანობით. ეს სპეციალისტები, რამდენადაც მე შევამჩნიე, დამაკმაყოფილებლად მუშაობენ; რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცალკეულ პირებთან არ გვიხდებოდეს ბრძოლა. ჩვენ დავალება მივეცით სასინჯად გამოეკვლიათ რამდენიმე ვოლოსტი, თუ როგორ გაანაწილეს გლეხებმა რევოლუციური გადასახადი. ძალიან ბევრი საჩივარია; რა თქმა უნდა, თუ წარმოვიდგენთ, რომ ათასი საჩივარი შემოდის მთელი რუსეთიდან, მთელი რუსეთისთვის ეს უმნიშვნელოა, — თუ რამდენიმე მილიონ კომლზე ათასი საჩივარი მოდის, ეს არაფერია; თუ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ყოველდღე სამი კაცი მოვა, ერთი თვის განმავლობაში დაგროვდება 90 საჩივარი, შთაბეჭდილება კი ისეთი იქნება, რომ უამრავი საჩივარია. შესამოწმებლად გადავწყვიტეთ გამოგვეკვლია რამდენიმე ვოლოსტი და მივიღეთ ზუსტი პასუხი პოპოვის მოხსენებაში, რომელიც გაიმეორეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მუშების თანდასწრებით. ამ მოხსენებამ ცხადყო, რომ უმეტეს შემთხვევაში გლეხები სამართლიანად ანაწილებენ გადასახადს. საბჭოთა ხელისუფლება მოითხოვს, რომ ღარი-

ბებს არაფერი გადახდეთ, საშუალოებს — ზომიერად და მდიდრებს — ბევრი; რა თქმა უნდა, ზუსტად იმის განსაზღვრა, თუ ვინ არის მდიდარი და ვინ ღარიბი — შეუძლებელია, შეცდომები ხდება, მაგრამ უმეტესად გლეხები გადასახადს სწორად ანაწილებენ. ასეც უნდა იყოს. (ტ ა შ ი.) რა თქმა უნდა, შეცდომები იყო. მაგრამ, მაგალითად, რკინიგზის დაბალმა მოსამსახურემ შემოიტანა საჩივარი, უსამართლოდ დამბეგრა სახლის კომიტეტმაო. ამის შესახებ მან აცნობა საბჭოთა ხელისუფლებას. მაშინ თქვეს: გაჩხრიკეთ, სპეკულაციას ეწევაო. მას მილიონი კერენკებით გატენილი რამდენიმე ტომარა უნახეს. ვიდრე ვერ გვიპოვნია ყველა ძველი ქაღალდის ფულის ახალი ფულით შეცვლის საშუალება, ეს იქნება. როდესაც ამ ძველ ქაღალდებს ახლებით შევცვლით, მაშინ საამკარაოზე გამოვიყვანთ ყოველ სპეკულანტს. ყველა იძულებული იქნება ძველი ქაღალდები ახლებზე გადაცვალოს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.) ვინც ცოტა ფულს წარმოადგენს, რაც მუშა კაცს ესაჭიროება, მას მანეთში მანეთს მივცემთ, თუ 1 — 2 ათასს წარმოადგენს, მაშინ მანეთში მანეთი. ხოლო თუ მეტს წარმოადგენს, ნაწილს მივცემთ ნაღდი ქაღალდებით, დანარჩენს კი ჩავწერთ დავთარში — მოიცდის. (ტ ა შ ი.) ასეთი რამ რომ მოვახდინოთ, საჭიროა დავამზადოთ ახალი ქაღალდები. ძველი ქაღალდის ფული დაახლოებით 60 მილიარდი გვაქვს. ახლებზე გადასაცვლელად ასეთი დიდი რაოდენობა საჭირო არ არის, მაგრამ სპეციალისტებმა იმსჯელეს და ცნეს, რომ საჭიროა არა ნაკლებ 20 მილიარდის ახალი ნიშნები. 17 მილიარდი უკვე გვაქვს. (ტ ა შ ი.) სახკომსაბჭოშიც დაყენებულია საკითხი, რომ უახლოეს დროში მომზადდეს საბოლოოდ ეს ღონისძიება, რაც ლახვარს ჩასცემს სპეკულანტებს. ეს ღონისძიება გამოააშკარავებს იმათ, ვინც კერენკებს მალავს. მისი განხორციელება დიდ ორგანიზაციას მოითხოვს, ეს ადვილი საქმე როდია.

შემდეგი შეკითხვა ეხება იმას, როგორაა თესვის საქმე, ძნელია დათესვაო. ეს, რა თქმა უნდა, მართალია. დაწესებულია სათესი ფართობის კომიტეტი[8]. აქ, მიწათმოქმედების

კომისარიატთან, საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი დეკრეტით დაწესებულია მუშათა კომიტეტი[7], რომელიც მოეწყობა პროფესიულ კავშირებთან შეთანხმებით. მისი ამოცანა იქნება თვალყური ადევნოს იმას, რომ მიწა დაუთესავი არ დარჩეს, სადაც მემამულის გაშვებული საყანე ადგილია, მუშებს მიეცეთ. არის დადგენილება, რომ თუ გლეხი არ აიღებს მიწას, სახელმწიფო შეეცდება გამოიყენოს იგი. რა თქმა უნდა, თესლი საკმაო არ არის. აქ საჭიროა, რომ ღარიბმა გლეხებმა გამოააშკარაონ ის კულაკები, რომლებმაც მიმალეს პურის ნაჭარბი და სათესლედ არ გასცეს. კულაკის ინტერესი მოითხოვს დამალოს ეს ნაჭარბი, იმიტომ რომ შიმშილობის თვეებში ის თვითეულ ფუთში ათას მანეთს აიღებს, ის გარემოება კი, რომ პური არ დაითესება, რომ ამით ის ავნებს ათასობით მუშას, მას არაფრად მიაჩნია. ის ხალხის მტერია, ის უნდა გამოვააშკარაოთ.

შემდეგ გვეკითხებიან ხელფასის შესახებ: სპეციალისტებს 3 ათას მანეთს აძლევთ, იგი ადგილიდან ადგილზე გადადის და მისი დაკავება ძნელიაო. სპეციალისტებზე მე ვამბობ, რომ ესენი არიან ადამიანები, რომლებიც იმდენად დაუფლებული არიან ბურჟუაზიულ მეცნიერებას და ტექნიკას, რამდენადაც მთელი მუშებისა და გლეხების უდიდესი უმრავლესობა არ არის დაუფლებული, ასეთი სპეციალისტები საჭიროა, და ამიტომ ვამბობთ, რომ ამჟამად ჩვენ არ შეგვიძლია ხელფასის სრული თანაბრობა შემოვიღოთ და ვიცავთ იმას, რომ სამი ათას მანეთზე მეტი ვაძლიოთ. კიდევაც რომ გადავიხადოთ წელიწადში რამდენიმე მილიონი, — ეს ძვირი არ არის, თუ მათი შემწეობით ვისწავლით კარგად მუშაობას. ჩვენ ვერ ვხედავთ სხვა საშუალებას საქმის ისე მოსაგვარებლად, რომ მათ იმუშაონ არა იძულებით, და ვიდრე სპეციალისტები ცოტა გვყავს, ჩვენ იძულებული ვართ დავთანხმდეთ მაღალ ხელფასს. ამას წინათ ჩვენ ამ საკითხზე ლაპარაკი გვქონდა შრომის კომისართან, შმიდტთან, ისიც ეთანხმება ჩვენს პოლიტიკას და ამბობს, რომ წინათ, კაპიტალიზმის დროს, შავი მუშის ხელფასი 25 მანეთი იყო თვეში,

კარგი სპეციალისტის ხელფასი კი არა ნაკლებ 500 მანეთისა თვეშიო — განსხვავებაა 1 — 20; ახლა დაბალი ხელფასია 600 მანეთი, სპეციალისტები კი იღებენ 3 ათას მანეთს, განსხვავებაა 1 — 5. ამრიგად, დაბალი და მაღალი ხელფასის გასათანაბრებლად ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ და შემდეგაც განვაგრძობთ დაწყებულ საქმეს. ამჟამად კი ხელფასის გათანაბრება არ შეგვიძლია, ვიდრე ცოტა სპეციალისტები გვყავს, ჩვენ უარს არ ვამბობთ მათი ხელფასის გადიდებაზე. ჩვენ ვამბობთ, რომ უმჯობესია ზედმეტი მილიონი ან მილიარდი გავიღოთ წლიურად, ოღონდ გამოვიყენოთ ყველა სპეციალისტი, ვინც კი გვყავს, — ისინი მეტს ასწავლიან მუშებსა და გლეხებს, ვიდრე ეს მილიარდი ღირს.

შემდეგი შეკითხვა ეხება სასოფლო-სამეურნეო კომუნებს, შეიძლება თუ არა ყოფილი მემამულეები დავტოვოთ მათშიო? ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი მემამულეა. ისეთი დეკრეტი არ ყოფილა, რომ მემამულეები არ მივიღოთო. რა თქმა უნდა, მემამულე უნდობლობას იწვევს, იმიტომ რომ ის საუკუნეობით ჩაგრავდა გლეხებს, რომლებსაც ის სძაგს, მაგრამ თუკი მოიპოვებიან ისეთები, რომლებსაც გლეხები იცნობენ, როგორც რიგიან ადამიანებს, მათი მიღება არათუ შეიძლება, არამედ ვალდებულიც ვართ მივიღოთ. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ასეთი სპეციალისტები, მათ აქვთ მსხვილი მეურნეობების მოგვარების ჩვეულება და მათ შეუძლიათ ბევრი რამ ასწავლონ გლეხებს და სოფლის მეურნეობის მუშებს.

შემდეგ მეკითხებიან: დავუშვათ თუ არა საშუალო გლეხები მიწის საზოგადოებრივ ხვნაზე? რა თქმა უნდა, ჰო. უკანასკნელ ხანებში მთელმა მაზრებმა დაადგინეს გადავიდნენ საზოგადოებრივ ხვნაზე; რამდენად შესრულდება ეს, არ ვიცი, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ საშუალო გლეხების მიზიდვას, იმიტომ რომ ღარიბები გვეთანხმებიან, საშუალო გლეხები კი ყოველთვის როდი გვეთანხმებიან და ისინი უნდა გადმოვიბიროთ. ჩვენ მოშხრე ვართ ძალმომრეობისა კაპიტალისტების, მემამულეების მიმართ და არა მარტო

ძალმომრეობისა, არამედ იმის სრული ექსპროპრიაციისაც, რაც მათ დაუგროვებიათ, ჩვენ მომხრე ვართ ძალმომრეობისა კულაკის მიმართ, მაგრამ არა მისი სრული ექსპროპრიაციისა, იმიტომ რომ იგი მიწის მეურნეობას უძღვება და ნაწილი მას დაგროვილი აქვს საკუთარი შრომით. აი ეს განსხვავება მტკიცედ უნდა შევითვისოთ. მემამულისა და კაპიტალისტის სრული ექსპროპრიაცია; კულაკებს კი მთელ საკუთრებას ვერ წავართმევთ, ასეთი დადგენილება არ ყოფილა; საშუალო გლეხი გვინდა დავარწმუნოთ, მივიზიდოთ მაგალითით, შეგონებით. აი ჩვენი პროგრამა. თუ ადგილებზე უხვევენ ამას, ესენი საბჭოთა ხელისუფლების დადგენილების დამრღვევნი არიან, — ან ისეთი ადამიანები არიან, რომლებსაც არა სურთ ჩვენი დადგენილება განახორციელონ, ანდა ვერ გაუგიათ იგი.

შემდეგი შეკითხვა ეხება იმას, რომ დავაჩქაროთ რკინიგზელები და თან მეკითხებიან რკინიგზის მოძრაობის შეწყვეტის შესახებ. სახალხო კომისარიატ საბჭოში ეს საკითხი განსაკუთრებით გულმოდგინედ ირჩეოდა და მრავალი ღონისძიებაც იყო მიღებული. ეს მთავარი საკითხია. მილიონობით ფუთი ხორბალი გვიძევს ვოლგა-ბუგულმინის გზაზე და შეიძლება დაიღუპოს, იმიტომ რომ ხორბალი ზოგჯერ თოვლქვეშ ჰყრია, დაიწყება წყალდიდობა და დაიღუპება. იგი ახლაც დატენიანებულია (20%-მდე ტენი აქვს). ეს ხორბალი უნდა გამოვზიდოთ, თორემ დაიღუპება. მთავარი ის არის, რომ რკინიგზელები თვითონ საჭიროებენ პურს. ამისთვის საჭიროა სამგზავრო მოძრაობის შეწყვეტა 18 მარტიდან 10 აპრილამდე, როგორც ეს გამოიანგარიშეს ჩვენმა ამხანაგებმა გზათა კომისარიატში. სამგზავრო მოძრაობის ამ შეწყვეტას შეუძლია მოგვცეს სამნახევარი მილიონი ფუთი პური, რომლის გამოზიდვა შეიძლება თუნდაც სუსტი სამგზავრო ორთქლმავლებით. ამ მატარებლებით რომ მეტომრეებს მოჰქონდეთ პური, სულ დიდი, ისინი გადმოიტანდნენ ნახევარ მილიონ ფუთ პურს. ისინი, ვინც სამგზავრო მოძრაობის შეწყვეტას უჩივიან, უსამართლოდ იქცევიან. მეტომრეები საუკეთესო შემთხვევაში გადმოიტანენ ნახევარ მილიონ ფუთს, ჩვენ კი, თუ მთლად ავავ-

სებთ ვაგონებს პურით, თუ რკინიგზელები დაგვეხმარებიან, გადმოვზიდავთ სამნახევარ მილიონ ფუთს და ამით გავაუმჯობესებთ სასურსათო მდგომარეობას. აი რატომ ვამბობდით და ვამბობთ, რომ ყველა ამხანაგი, უფრო განვითარებული, ორგანიზებული, უნდა გამოვიდეს სამხედრო და სასურსათო სამუშაოზე. მოგვეცით რაც შეიძლება მეტი ხალხი, რაც უნდა ძნელი იყოს ეს. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ პიტერმა ყველაზე მეტი მოგვცა მთელ რუსეთში, ვიდრე სხვა ქალაქმა, იმიტომ რომ პიტერში ყველაზე ორგანიზებული, განვითარებული მუშები არიან. მაგრამ ეს ნახევარწელი მძიმეა. 1918 წლის პირველმა ნახევარწელმა მოგვცა 27 მილიონი ფუთი პური, მეორე ნახევარწელს ჩვენ გვქონდა 67 მილიონი ფუთი. ჩვენ ფეხი შევდგით მშიერ ნახევარწელში. მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი მძიმე თვეები იქნება. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მთელი ძალ-ღონე დავძაბოთ. ყოველ ფაბრიკაში, ყოველ წრეში უნდა დავსვათ კითხვა — არის თუ არა მამაკაცი, რომელიც შეიძლება დავაყენოთ საქმეზე რკინიგზის სახელოსნოში, შევცვალოთ ქალით, ის კი ამ სამუშაოზე დავაყენოთ. ამაზე უნდა ვიფიქროთ ყოველ წრეში, ყოველ ჯგუფში, ყოველ ორგანიზაციაში, უნდა მოგვცენ ახალ-ახალი მუშები, მაშინ ჩვენ თავს გავართმევთ ამ მძიმე ნახევარწელს. (ტ ა შ ი.)

იბეჭდება პირველად,
სტენოგრამის მიხედვით

პეტროგრადის გუბერნიის სოფლის მეურნეობის მუშების I ყრილობის სხდომა[8] 1919 წ. 13 მარტს

1

სიტყვა სოფლის მეურნეობის მუშების პროფესიული კავშირის ორგანიზაციის შესახებ

ამხანაგებო, დიდად მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მივესალმო სოფლის მეურნეობის მუშების ყრილობას, რომლის ამოცანას შეადგენს სოფლის მეურნეობის მუშების პროფესიული კავშირის დაარსება.

ამხანაგებო, პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის საბჭოში ჩვენ არა ერთხელ გაგვიმართავს უკვე თათბირი შრომის სახალხო კომისართან ამხ. შმიდტთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის საბჭოს წევრებთან და სხვებთან ერთად იმ საკითხზე, თუ როგორ შევდგომოდით სოფლის მეურნეობის მუშების დარაზმვას. არსად მსოფლიოში, თვით ყველაზე მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ უკვე პროფესიული კავშირების შექმნის არათუ ათეული წლების, არამედ ასეული წლების ისტორია, სოფლის მეურნეობის მუშები ვერ ახერხებდნენ ცოტად თუ ბევრად მუდმივი პროფესიული კავშირის შექმნას. თქვენ იცით, რა დაბრკოლებას წარმოადგენს აქ გლეხის, სოფლის მეურნეობის მუშის ცხოვრების პირობები, რა უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს ის, რომ სოფლის მეურნეობის მუშები გაფანტული, დაქსაქსული არიან, ამიტომ მათთვის კავშირში დარაზმვა განუზომლად უფრო ძნელია, ვიდრე ქალაქის მუშებისთვის.

ამავე დროს მუშურ-გლეხური ხელისუფლება შეუდგა, მთელი ხაზით, კომუნისტური საზოგადოების აშენებას. მან ამოცანად დაისახა არა მარტო მემამულეებისა და კაპიტალისტების საბოლოოდ აღგვა, — ეს საქმე ჩვენ თითქმის უკვე გავაკეთეთ — არამედ ისეთი საზოგადოების აშენება, სადაც კვლავ შესვლა აღარ შეეძლოს არც მემამულეს და არც კაპიტალისტს. რევოლუციებში არა ერთხელ მომხდარა, რომ მემამულეებისა და კაპიტალისტების აღგვა ხერხდებოდა, მაგრამ კულაკობიდან, მდიდარი გლეხებიდან, სპეკულანტებიდან საკმაოდ მოკლე ვადაში ჩნდებოდნენ ახალი კაპიტალისტები, რომლებიც, ზოგჯერ, კიდევ უფრო მეტად ჩაგრავდნენ მუშებს, ვიდრე ძველი მემამულეები და კაპიტალისტები. აი ამოცანა, რომელიც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ: ისე მოვაწყოთ, რომ არა მარტო ძველი კაპიტალისტები აღიგავონ, არამედ ახლებიც ვეღარ გაჩნდნენ, რომ ძალაუფლება სრულად, მთლიანად, მხოლოდ და მხოლოდ იმათ დაუმკვიდრდეთ, ვინც შრომობს, ვინც თავისი შრომით ცხოვრობს. როგორ გავაკეთოთ ეს? ამისთვის არსებობს ერთი გზა — გზა სოფლის მუშების, პროლეტარების დარაზმვისა; ეს ორგანიზაცია მუდმივი უნდა იყოს; სოფლის მეურნეობის მუშები მხოლოდ მუდმივი ხასიათის მასობრივ ორგანიზაციაში შესძლებენ ისწავლონ თვითვე გაუძღვნენ მსხვილ სოფლის მეურნეობათა მართვის საქმეს, რადგან, თუ თვითონ ისინი ვერ ისწავლიან ამას, მაშინ, — როგორც დიდი ხანია ყველას გსმენიათ «ინტერნაციონალის» სიმღერაში, — აქ ვერავინ შესძლებს დახმარების გაწევას. სულ დიდი-დიდი, რის გაკეთებაც შეუძლია საბჭოების ხელისუფლებას, საბჭოთა ხელისუფლებას — ესაა ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა ასეთი ორგანიზაციისთვის. კაპიტალისტური ორგანიზაციები ყოველი ძალ-ღონით, ყოველგვარი კანონიერი საშუალებებით, სხვადასხვა ხრიკით, პოლიციური ოინებით, შარის მოდებით, ყოველგვარი არმობითა და ალალმართლობით ხელს უშლიდნენ ამას. ყველაზე მოწინავე ევროპულ ქვეყანაში — გერმანიაში, დღემდე არ არსებობს კავშირების თავისუფლება სოფლის მუშებისთვის; იქ დღემდე დარჩენილა კანონი

შინამსახურთა შესახებ, და სოფლის მუშები არსებობას განაგრძობენ შინამსახურთა ცხოვრების პირობებში. დიდი ხანი არ არის, რაც ვესაუბრე ერთ გამოჩენილ ინგლისელს, რომელიც რუსეთში ჩამოვიდა ომის დროს. წინათ იგი კაპიტალიზმის მომხრე იყო, ხოლო შემდეგ, ჩვენი რევოლუციის დროს, საუცხოოდ განვითარდა, პირველად მენშევიკამდე, ახლა კი ბოლშევიკამდეც. და აი, როცა მე მასთან საუბარი მომიხდა ინგლისში მუშაობის პირობებზე, — ინგლისში კი გლეხები არ არიან, არიან მხოლოდ მსხვილი კაპიტალისტები და მიწათმოქმედი მუშები, — იგი მეუბნება: «მე ამას კარგი თვალით არ ვუყურებ, იმიტომ რომ ჩვენი სოფლის მუშები ცხოვრობენ ფეოდალიზმისა და არა კაპიტალიზმის პირობებში, — იმდენად დაბეჩავებული, გონებადაჩლუნგებული, დაჩაგრული არიან მუშაობით, იმდენად ძნელია მათთვის გაერთიანება». და ეს ხდება ყველაზე მოწინავე ქვეყანაში, სადაც სოფლის მუშების კავშირის შექმნის ცდა უკვე ნახევარი საუკუნის წინათ მოახდინა ერთ-ერთმა ინგლისელმა სოფლის მუშამ. აი რა პროგრესს ვხედავთ თავისუფალ კაპიტალისტურ ქვეყნებში! ჩვენში სახელმწიფო ხელისუფლებამ თავიდანვე გადაწყვიტა დახმარება აღმოეჩინა სოფლისა და სხვა მუშების დარაზმვისათვის. ჩვენ ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ. ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა იმის დანახვა, რომ აქ, პიტერში, სადაც ამდენი მშვენიერი შენობები, სასახლეებია, რომელთაც სრულიად უმართებულო დანიშნულება ჰქონდათ, ამხანაგები სწორად მოიქცნენ, როცა ჩამოართვეს ეს სასახლეები და გადააქციეს ისინი მოსახლეობის სწორედ იმ კლასთა კრებების, ყრილობებისა და თათბირების ადგილებად, რომლებიც ამ სასახლეების აგებაზე მუშაობდნენ, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ამ სასახლეებს ქმნიდნენ და რომლებსაც ერთ ვერსზედაც არ უშვებდნენ ამ სასახლეებთან! (ტ ა შ ი.) მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ახლა, როცა პიტერის თითქმის ყველა სასახლე გადაქცეულია კრებებისა და კავშირების სახლებად ქალაქის მუშებისთვის, უპირველეს ყოვლისა, და სოფლის მუშებისთვის, გლეხობის მშრომელი

ნაწილისთვის, — მე ვფიქრობ, ამაში ჩვენ საფუძველი გვაქვს დავინახოთ პირველი ნაბიჯის გადადგმა იმისკენ, რომ მოსახლეობის მშრომელი, ექსპლოატირებული ნაწილი დარაზმვის შესაძლებლობას მიიღებს. ვიმეორებ, საბჭოთა ხელისუფლება დაუყოვნებლივ და უეჭველად გააკეთებს ყველაფერს, რაც მას ძალუძს, რათა ასეთ ორგანიზაციას დაეხმაროს სოფლის ცხოვრების გარდაქმნაში, რათა აღარ დარჩეს ადგილი კულაკისთვის, რათა შეუძლებელი გახდეს სპეკულაცია, რათა ამხანაგური საერთო შრომა საერთო წესად იქცეს სოფლად. აი ამოცანა, რომელსაც ჩვენ ყველანი ვისახავთ. თქვენ მშვენივრად იცით, რა ძნელია ეს ამოცანა, რომ სოფლის ცხოვრების ყველა პირობის გარდაქმნა არ შეიძლება არც დეკრეტებით, არც კანონებით, არც ბრძანებულებებით. ბრძანებულებებითა და დეკრეტებით შეიძლებოდა მემამულეების, კაპიტალისტების დამხობა, შეიძლებოდა კულაკების ალაგმვა, მაგრამ თუ მილიონობით სოფლის მუშას საკუთარი ორგანიზაცია არ ექნება, თუ ისინი ამ ორგანიზაციაში არ ისწავლიან თანდათანობით ყველა თავიანთი საქმის თვითონვე გადაწყვეტას, არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამეურნეო საქმისაც, — სამეურნეო საქმეები კი ყველაზე მნიშვნელოვანია, — თუ არ ისწავლიან მსხვილი მამულების მართვას, თუ არ გადააქცევენ მათ — რაკი ისინი ახლა უკეთეს პირობებში არიან ჩაყენებული, ვიდრე სხვა მამულები — ექსპლოატაციის ნიმუშებიდან, სადაც წინათ სისხლსა და ოფლს ადენდნენ მუშებს, საამხანაგო მეურნეობის ნიმუშებად, ეს თვით მშრომელთა ბრალი იქნება. მაგრამ ძველი მეურნეობების აღდგენა ახლა უკვე შეუძლებელია; იმის მიღწევა, რომ ჩვენ 100 დესეტინაზე (თუ ათ-ათ დესეტინას ავიღებთ 10 წვრილ მეურნეობაზე) გვყავდეს 10 კარგი ცხენი, გვქონდეს 10 კარგი გუთანი, ამის მიღწევა შეუძლებელია. ასეთი რაოდენობით ჩვენ არც ცხენები დაგვრჩენია და არც გუთნები. მაგრამ თუ ვიმუშავებთ იმავე 100 დესეტინიან მსხვილ მეურნეობაში საამხანაგო ან საზოგადოებრივი მიწის მოხვნით ან ნებაყოფლობით მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო კომუნებად, მაშინ, შესაძლოა, იმავე 100 დესეტინაზე დაგვჭირდეს არა

10 ცხენი და არა 10 გუთანი, არამედ 3 ცხენი და 3 გუთანი. აი როგორ შეიძლება ადამიანის შრომის დაზოგვა და უკეთესი შედეგების მიღწევა. მაგრამ ამისკენ მივყავართ მხოლოდ ერთ გზას — ქალაქისა და სოფლის მუშების კავშირის გზას. ქალაქის მუშებმა ძალაუფლება აიღეს ქალაქში; ყველაფერი, რაც საუკეთესო რამ არის შექმნილი ქალაქში სასახლეების, შენობების აზრით, კულტურის აზრით, ყოველივე ეს ქალაქის მუშებს მიაქვთ სოფლად, რადგან იციან, რომ ქალაქის მუშების ძალაუფლება შეუძლებელია მტკიცე იყოს, თუ არ იქნება მტკიცე კავშირი სოფლის მეურნეობის მუშებთან. მხოლოდ ასეთ კავშირს, რომელსაც თქვენ აქ საფუძველს უყრით, შეუძლია მიგვიყვანოს მტკიცე გარდაქმნამდე. ამ კავშირში ნებაყოფლობით შევლენ საშუალო გლეხებიც. რა თქმა უნდა, ბევრი შრომის დახარჯვა მოგვიხდება, — ერთბაშად არაფრის გაკეთება არ შეიძლება. თუ თქვენი კავშირი დაარსდება, გაიზრდება, განვითარდება, გავრცელდება მთელ რუსეთში, თუ ის უმჭიდროეს ერთიანობას დაამყარებს ქალაქის მუშების კავშირთან, მაშინ ამ ძნელ ამოცანას ერთობლივი ძალ-ღონით, მილიონობით ორგანიზებული სოფლის მეურნეობის მუშებისა და ქალაქის მუშების ძალ-ღონით ჩვენ გადავწყვეტთ და თავს დავაღწევთ იმ გაჩანაგებას, რომელშიც ჩააგდო ყველა ხალხი და ჩვენც ოთხი წლის ომმა; თავს დავაღწევთ, მაგრამ გამოვალთ არა ძველი მეურნეობის გზაზე ცალ-ცალკე, დაქსაქსულად, — ასეთი მეურნეობა ხალხს უმზადებს სიბნელეს, სიღატაკეს, დაქუცმაცებას, — არამედ გამოვალთ საერთო, მსხვილ, საამხანაგო მეურნეობის გზაზე. მაშინ ყველაფერი, რაც მოუპოვებია ადამიანის მეცნიერებას, ადამიანის ტექნიკას, სპეციალისტების ყველა გაუმჯობესება, მთელი ცოდნა, — ყველაფერი უნდა ემსახუროს გაერთიანებულ მუშას. მუშები უნდა გახდნენ ყველაფრის ბატონ-პატრონნი, მათ უნდა ისწავლონ მართვა-გამგეობა და იმ პირთა გაძღოლა, რომლებიც დღემდე, როგორც, მაგალითად, მრავალი აგრონომი, მოქმედებდნენ, როგორც კაპიტალისტების ნოქრები, მუშების წინააღმდეგ. ეს ამოცანა არ არის იოლი, მაგრამ ქალაქებში ამ ამოცანის გადასაწყვეტად ძალიან ბევრი

რამაა გაკეთებული. პირველ ნაბიჯებს ახლა თქვენა დგამთ, რათა ეს ამოცანა გადაწყვიტოთ სოფლად. მე ნებას მივცემ ჩემს თავს დავამთავრო იმით, რომ კვლავ მოგესალმოთ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით და გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ თქვენი კავშირი, რომელსაც თქვენ აქ საძირკველს უყრით, ახლო მომავალში გადაიქცევა სოფლის მეურნეობის მუშათა სრულიად რუსეთის ერთიან პროფესიულ .კავშირად. იგი იქნება საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი დასაყრდენი სოფლად, იგი იქნება მთელი სოფლის ცხოვრების ისე გარდაქმნის დასაყრდენი, მოწინავე არმია, რომ ვერავითარი ექსპლოატაცია, ღარიბებზე მდიდრების ვერავითარი ბატონობა ვეღარ აღორძინდეს საერთო, გაერთიანებული, საამხანაგო შრომის ნიადაგზე. აი ჩემი სურვილები, ამხანაგებო! (ტ ა შ ი.)

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა
1919 წ. 14 მარტს გაზეთში
«სევერნაია კომმუნა» № 58

პირველად სრულად დაიბეჭდა
1923 წელს ჟურნალში
«რაბოტნიკ ზემლი ი ლესა» № 4 — 5

იბეჭდება ჟურნალის ტექსტთან
შედარებული სტენოგრამის
მიხედვით

2

პასუხი ბარათებზე

აქ შემოტანილია ორი ბარათი, და ორივე ეხება საკითხს, ნებადართულია თუ არა წვრილფეხა პირუტყვისა და ფრინველის შენახვა საბჭოთა მეურნეობებში, ცალკე ბოსტნების გაშენება. მე ახლა მოვითხოვე იმ კანონის ტექსტი, რომელიც ამას წინათ განხილულ იქნა ჩვენთან სახალხო კომისართა საბჭოში და დამტკიცებულია ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში; ამ კანონს ეწოდება «დებულება სოციალისტური მიწათმოწყობისა და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებების შესახებ». მე არ ვიცი, მოიპოვება თუ არა აქ ამ კანონის ტექსტი. მე მონაწილეობას ვიღებდი მის შემუშავებაში, მომხსენებლად ვიყავი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შექმნილ კომისიაში. თუ მეხსიერება არ მღალატობს, — კანონი ჩვენ ბევრი გვაქვს, ასე რომ ყველას ვერ დაიხსომებ ზეპირად, მას შემდეგ ბევრი კანონია გამოცემული, — ამ კანონში არის სპეციალური მუხლი, რომელიც ამბობს, რომ საბჭოთა მეურნეობებში საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს აკრძალული აქვთ ცალკე პირუტყვის ყოლა და ცალკე ბოსტნების გაშენება. მე ვთხოვ მონახონ ეს კანონი და შეამოწმონ. (ლენინს აწოდებენ კანონის ტექსტ'ს.) მე აქ ვხედავ 46-ე მუხლის ტექსტს: «მუშა-მოსამსახურეთაგან არავის არა აქვს უფლება მეურნეობებში გაიჩინონ საკუთარი პირუტყვი, ფრინველი და ბოსტნები». ამრიგად, ისე გამოდის, რომ ყველა თქვენგანმა არ იცოდა ეს

კანონი. როგორც მითხრა ამხანაგმა, პრეზიდიუმის წევრმა, თქვენთანაც ყრილობის განმავლობაში დიდი დავა ყოფილა სწორედ ამ საკითხზე. ეს ჩემთვის სავსებით ნათელი არ არის. მე ახლა მომცეს «იზვესტიას» ნომერი, სადაც დაბეჭდილია ეს კანონი — «დებულება სოციალისტური მიწათმოწყობისა და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებების შესახებ». რატომ შევიდა ეს მუხლი კანონში? რომ შეიქმნას საერთო შრომა საერთო მეურნეობაში. ხოლო თუ კვლავ ცალკეულ ბოსტნებს, ცალკეულ პირუტყვს, ფრინველს და სხვ. გავიჩენთ, მაშინ, ალბათ, ყველაფერი დაუბრუნდება წვრილ მეურნეობას, როგორც დღემდე იყო. მაშასადამე, ღირს ეს დავიდარაბად? ღირს განა საბჭოთა მეურნეობის მოწყობა? რასაკვირველია, თუ თქვენ ამ საკითხს განიხილავთ, თქვენ კი კარგად იცნობთ პეტროგრადის გუბერნიაში მუშაობის პირობებს, — მე მითხრეს, რომ თქვენი ყრილობა შეკრებილია მხოლოდ პეტროგრადის გუბერნიის წარმომადგენლებისგან, — თუ თქვენ პეტროგრადის გუბერნიაში, რომელსაც კარგად იცნობთ, მუშაობის გამოცდილების საფუძველზე, მიუხედავად ყოველგვარი მოსაზრებისა, რაც საერთო მეურნეობის სასარგებლოდ ლაპარაკობს, იმ დასკვნამდე მიხვალთ, რომ, ვთქვათ, საჭიროა დავუშვათ დროებითი გამონაკლისი პეტროგრადის გუბერნიისთვის, მაშინ ჩვენ მეორედ განვიხილავთ ამ საკითხს. მაგრამ მაშინ თქვენ უნდა ეცადოთ დაგვიმტკიცოთ, რომ ეს გამონაკლისი მართლაც აუცილებელია, რომ პეტროგრადის გუბერნიაში არის ისეთი თავისებურებანი, რომლებიც სხვაგან არ არის, თორემ დანარჩენებიც იმასვე მოგვთხოვენ. შემდეგ საჭიროა განმარტოთ, რომ ამ ღონისძიებას თქვენ ურჩევთ მთავრობას, ან მოითხოვთ მთავრობისგან, მიგაჩნიათ რა იგი დროებით ღონისძიებად, იმიტომ რომ ვეჭვობ საჭირო იყოს დავა იმაზე, რომ საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ღირსი არიან საბჭოთა მეურნეობის სახელწოდებისა, აგებულ უნდა იქნან საერთო შრომაზე. ისეთ შრომას, როცა გლეხი მუშაობდა თავის მიწის

ნაკვეთზე, თავის ეზოში, თავისი პირუტყვით, ფრინველით, ფარცხით, კავით და სხვა, — ჩვენ ვხედავდით მრავალი წლის, მრავალი საუკუნის განმავლობაში; ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ რუსეთში და სხვა ქვეყნებშიც აქედან გამოდის მხოლოდ გლეხის სიბნელე, სიღატაკე, მდიდრების ბატონობა ღარიბებზე, იმიტომ რომ დაქსაქსულად დაძლევა იმ ამოცანებისა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სარეწების წინაშე დგას, — შეუძლებელია. შეიძლება მივიღოთ ისევ ძველი სიღატაკე, რომლიდანაც ასში ერთი, ან, შესაძლოა, ასში ხუთი იკაფავს გზას და მდიდარი ხდება, დანარჩენები კი სიღატაკეში ცხოვრობენ. აი რატომ არის ახლა ჩვენი ამოცანა — მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გადასვლა, მსხვილ საერთო მეურნეობაზე გადასვლა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მხრივ რაიმე ძალდატანება შეუძლებელია; ამაზე არავითარი კანონი არ ატანს ძალას. სასოფლო-სამეურნეო კომუნა არსდება ნებაყოფლობით, მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გადასვლა შეიძლება მხოლოდ ნებაყოფლობით, ამ მიმართულებით მუშურ-გლეხური მთავრობის მხრივ რაიმე იძულება შეუძლებელია, და არც კანონი უშვებს ამას. ვინმე თქვენგანმა რომ ასეთი იძულება დაინახოს, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ეს უფლების ბოროტად გამოყენებაა, რომ ეს კანონის დარღვევაა, რის გამოსწორებასაც ჩვეი ძთელი ძალ-ღონით ვცდილობთ და გამოვასწორებთ კიდევაც. ჩვენი დამხმარე უნდა იყვნენ სოფლის მეურნეობის ორგანიზებული მუშები; მხოლოდ მათი საკუთარი დარაზმვით შეიძლება იმის მიღწევა, რომ უფლების ასეთი ბოროტად გამოყენება არ იყოს. მაგრამ სხვა საქმეა საბჭოთა მეურნეობები. ეს ისეთი მეურნეობებია, რომლებიც ცალკეულ წვრილ მეკერძონეთა ხელში არ ყოფილან; მათ თავის ხელში იღებს საბჭოთა ხელისუფლება და ამბობს: ჩვენ იქ გავგზავნით აგრონომებს, რომლებიც გვყავს, ყველაფერს, რაც კი დარჩა სასოფლო-სამეურნეო იარაღებიდან, მივცემთ ამ მეურნეობებს. თუ ომის დამთავრება და ამერიკასთან ზავის დადება შევძელით, მაშინ ჩვენ იქიდან მივიღებთ გაუმჯობესებულ იარაღთა

ტრანსპორტს და მივცემთ მათ საბჭოთა მეურნეობებს იმისთვის, რომ მსხვილ მეურნეობებში საერთო შრომით ყველაფერი ყეთდებოდეს უკეთესად, ვიდრე წინათ, უფრო იაფად, ვიდრე წინათ, და უფრო მეტი, ვიდრე წინათ. საბჭოთა მეურნეობა ამოცანად ისახავს თანდათან შეასწავლოს სოფლის მოსახლეობას დამოუკიდებლად შეიმუშაოს ახალი წესი, საერთო შრომის წესი, როცა შეუძლებელი იქნება ერთი მუჭა მდიდრების კვლავ წარმოშობა და ღარიბთა მასების ჩაგვრა, როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა და არა მარტო ჩვენს სოფლებში, არამედ ყველაზე თავისუფალ რესპუბლიკებშიც. თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჩვენს სოფლებში დარჩა მრავალი სპეკულანტი-გლეხი, რომლებმაც ომიანობის დროს ასიათასობით მანეთი იშოვეს, უფრთხილდებიან ამ კერენკებს, რათა კვლავ დაატრიალონ ისინი და შეავიწროონ ღარიბი გლეხი. ბრძოლის რა საშუალების გამოყენება შეიძლება აქ? სხვა არაფრისა, გარდა საერთო მეურნეობაზე გადასვლისა. სასოფლო-სამეურნეო კომუნა არსდება ნებაყოფლობით, რაიმე იძულება შეუძლებელია; ასევეა მიწის საზოგადოებრივი დამუშავების მიმართაც. საბჭოთა მეურნეობას აქვს მიწა, როგორც საერთო-სახალხო მიწა, — თქვენ იცით, რომ მიწის ყოველგვარი საკუთრება გლეხების უდიდესი უმრავლესობის მოთხოვნით გაუქმდა 1917 წლის 26 ოქტომბერს, პირველსავე ღამეს ჩვენი საბჭოთა რევოლუციის შემდეგ. ამ საერთო-სახალხო მიწას, რომელიც ეძლევათ მსხვილი მეურნეობების მოსაწყობად, ეწოდება საბჭოთა მეურნეობები. განა შეიძლება საბჭოთა მეურნეობებში კვლავ განვითარდეს ძველი წვრილი მიწათმოქმედება? ვფიქრობ, თქვენ ყველანი დამეთანხმებით, რომ ეს შეუძლებელია, რომ ეს არ უნდა მოხდეს. თუ პეტროგრადის გუბერნიის მეურნეობის პირობების გამო, მისი პრაქტიკული პირობების გამო, რომლებსაც თქვენ ჩინებულად იცნობთ და რომელთა გათვალისწინება ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვეძლო, შეიძლება არც კი გვცოდნოდა ისინი, — თუ ამ პირობების გამო, ამ საკითხის ყურადღებით, ყოველმხრივ,

განხილვის შემდეგ, თქვენ იმ დასკვნამდე მიხვალთ, რომ პეტროგრადის გუბერნიისთვის შეიძლება გამონაკლისი გავაკეთოთ, გამონაკლისი დავუშვათ განსაზღვრული დროის განმავლობაში, — მაშინ, ჩვენი გადაწყვეტილება რომ შევცვალოთ, უნდა ეცადოთ მოგვცეთ ამ აუცილებელი საჭიროების რაც შეიძლება უფრო ზუსტი დასაბუთება, და მე შემიძლია შეგპირდეთ დანამდვილებით, რომ, თქვენი ყრილობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ჩვენ კვლავ განვიხილავთ ამ საკითხს სახალხო კომისართა საბჭოში და შემდეგ კიდევ განვიხილავთ მას ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში. ჩვენ განვსჯით, ხომ არ შეიძლება 46-ე მუხლიდან, რომელიც კრძალავს საკუთარი ბოსტნების მოწყობას, რომელიც კრძალავს წვრილფეხა პირუტყვის, ფრინველისა და სხვ. შენახვას, დავუშვათ გამონაკლისი პეტროგრადის გუბერნიისთვის განსაზღვრული მოკლე ვადით, განსაზღვრულ პირობებში. თუ ჩვენ შევთანხმდებით იმაში, რომ საჭიროა საერთო მეურნეობაზე გადასვლა, თუ მთელი მუშაობა ამ მხრივ იქნება წარმართული, მაშინ იმ ადამიანთა მითითებით, რომლებიც კარგად იცნობენ პრაქტიკას, ჩვენ მიუხედავად ამისა დავუშვებთ ამა თუ იმ გამონაკლისს, — ჩვენ ამაზე უარს არ ვამბობთ, რადგან ზოგჯერ გამონაკლისის დაშვება აუცილებელია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეთი მუშაობით საქმე შეთანხმებულად წავა და ჩვენ შევძლებთ საძირკველი ჩავუყაროთ ნამდვილ სოციალისტურ მიწათმოქმედებას. (ტ ა შ ი.)

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება სტენოგრამის **მიხედვით**

სიტყვა პეტროგრადის სახალხო სახლში გამართულ მიტინგზე 1919 წ. 13 მარტს

საგაზეთო ანგარიში

მთავარი საკითხი, რომელიც აინტერესებს თქვენს უმრავლესობას, ეს არის საკითხი, თუ რა მდგომარეობაშია სასურსათო საქმე და რა ზომები მიიღო ამ საქმეში სახალხო კომისართა საბჭომ. მე ნებას მივცემ ჩემს თავს მოკლედ გიამბოთ ამ ღონისძიებების შესახებ. ჩვენ გადავედით მძიმე, დამშეულ ნახევარწელში, როცა ყველა ჩვენი გარეშე და შინაური მტერი, მათ შორის მემარჯვენე და მემარცხენე ესერები და მენშევიკები, რომლებმაც იციან, თუ რა მძიმე მდგომარეობაშია მოსახლეობა, ცდილობენ ხელი მოითბონ ამაზე, ცდილობენ დაამხონ საბჭოების ხელისუფლება და ამით შეგნებულად თუ შეუგნებლად ძალაუფლება დაუბრუნონ მემამულეებსა და კაპიტალისტებს. ჩვენ დროის ისეთ პერიოდში შევდგით ფეხი, როცა პურის დამზადებამ წინ გაუსწრო მის მოზიდვას, და საბჭოთა ხელისუფლების შექმნა უკრაინაში შესაძლებლობას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალ ნახევარწელს ჩვენ უკეთ გავართმევთ თავს სასურსათო საქმეს, ვიდრე შარშან, თუმცა ჩვენ მოგვიხდება ახლახან განვლილ ნახევარწელზე უფრო მძიმე ნახევარი წლის გადატანა. ჩვენთვის დიდი პლუსია გლეხთა მასების მნიშვნელოვანი ნაწილის შემობრუნება საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. იქ, სადაც ჩეხოსლოვაკები იყვნენ, ვოლგის იქითა მხარესა და უფის გუბერნიაში, თვით შეძლებული გლეხების განწყობილებაც კი მკვეთრად შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, ვინაიდან

ჩეხოსლოვაკებმა მათ მკაცრი საგნობრივი გაკვეთილი მისცეს. სულ რამდენიმე დღეა რაც ჩემთან მოვიდა სარაპულის მაზრის 5 ვოლოსტის გლეხთა დელეგაცია, — სწორედ იმ ვოლოსტებისა, რომლებმაც შესძლეს სულ უკანასკნელ დროს ორმოცორმოცი ათასი ფუთი პურის გაგზავნა მოსკოვისა და პეტროგრადისთვის. როცა მე ამ დელეგაციას შევეკითხე საბჭოთა ხელისუფლებისადმი გლეხთა დამოკიდებულების შესახებ, დეპუტაციამ მიპასუხა: «დიახ, ჩეხოსლოვაკებმა ჩვენ ჭკუა გვასწავლეს, და ახლა ვერავინ გადაგვახვევინებს ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებისგანო». მაგრამ სხვა ადგილებშიც, წინაურალში, სადაც, უნდა ითქვას, პურის უდიდესი მარაგია, გლეხები ახლა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე არიან. იყო დრო, როცა მენშევიკებისა და მემარცხენე ესერების გავლენით, — როგორც ვიცით, მემარცხენე ესერმა მურავიოვმა კინალამ გაუხსნა ჩეხოსლოვაკებს ჩვენი ფრონტი, — ამ ადგილების გლეხები საბჭოების წინააღმდეგი იყვნენ. მაგრამ ჩეხოსლოვაკთა არმიის ოფიცრების უხამსობამ, სიმკაცრემ მოსახლეობის მიმართ, მეფისა და მემამულეების წესწყობილების მთელი სისრულით აღდგენის მისწრაფებამ, — ყოველივე ამან ჭკუა ასწავლა გლეხებს. ამჟამად ყველა ამ გუბერნიაში ისეთი საბჭოთა მუშაობაა გაჩაღებული, რომლის შესახებაც აქ წარმოდგენაც კი არა აქვთ, — ვინაიდან აქ, დიდ ცენტრებში, ხალხს უკვე ქანცი გაუწყდა ხანგრძლივი შიმშილობით, იქ კი, სადაც პურის შედარებით დიდი მარაგია, კუჭის საკითხები უკანა რიგში დგება.

გადავდივარ დეტალებზე. უფის გუბერნიაში პურის მარაგი აღწევს 60 მილიონ ფუთს, და პურის დამზადება სწრაფად მიმდინარეობს. მაგრამ აქ ჩვენ წავაწყდით კოლოსალურ სიძნელეებს ტრანსპორტის მხრივ. რკინიგზის ხაზებზე: ყაზან — სარაპულსა და ვოლგა — ბუგულმაზე, 10 მილიონ ფუთამდე უკვე დამზადებული პური გვაქვს. მაგრამ ჩვენ ვერ გამოგვიტანია იგი, რადგან არ არის საკმარისი ორთქლმავლები, ვაგონები, სათბობი და უზომოდ დაუძლურებულია საორთქლმავლო

სამსახური. ჩვენი რკინიგზების საქონლის გამტარუნარიანობა რომ გაგვეძლიერებინა, ჩვენ მოგვიხდა მეტად გადამჭრელი ზომების მიღება: 18 მარტიდან 10 აპრილამდე მთელ რუსეთში შეწყდება სამგზავრო მატარებლების მოძრაობა. ვიდრე ასეთი ღონისძიების მიღებას გადავწყვეტდით, სამჯერ განვიხილეთ ის რკინიგზელ ამხანაგებთან და რკინიგზის საქმის გამოჩენილ სპეციალისტებთან ერთად. ჩვენ მხოლოდ მას შემდეგ დავადექით ასეთ ღონისძიებას, როცა ყოველმხრივ განვიხილეთ ის და წინასწარ გამოვიანგარიშეთ შესაძლებელი შედეგები. გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ სამგზავრო მოძრაობის შეწყვეტა გაათავისუფლებდა 220 ორთქლმავალს, თუმცა სუსტებს, მაგრამ რომელთაც მაინც შეუძლიათ 3½ მილიონი ფუთი პურის გადმოტანა. ხოლო თუ ჩვენ განვიხილავთ მონაცემებს მეტომრეების მიერ პურის გადმოტანის შესახებ, — იყო ისეთი კვირეები, როცა იძულებული ვიყავით ნება დაგვერთო თავისუფლად გადმოტანისა, — აღმოჩნდება, რომ იმავე 3 კვირის განმავლობაში მეტომრეებს შეუძლიათ ჩამოიტანონ არა უმეტეს 200 ათასი ფუთისა. ამ გაანგარიშებამ გადაწყვიტა საკითხი. რასაკვირველია, აღმოჩნდებიან კულაკები, სპეკულანტები და თვით ცალკეული მუშებიც, რომლებიც ამის გამო ღმუილს ასტეხენ და დაიწყებენ ლაპარაკს, რომ ერთი ფუთი პურის წაღების უკანასკნელ საშუალებასაც კი გვართმევენო; ჩვენ ვიცით, რომ გაჩნდებიან ესერები და მენშევიკები, რომლებიც გამოიყენებენ შიმშილს და აამხედრებენ მოსახლეობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ აქ, ისევე როგორც ყოველ გასაჭირში, ჩვენ იმედებს ვამყარებთ მხოლოდ მუშათა მოწინავე მასების შეგნებულობაზე. უმჯობესია გაჭირვება მოვითმინოთ, უმჯობესია ესერებისა და მენშევიკების მტრულ აგიტაციას შევხვდეთ, მაგრამ საშიშროებას პირდაპირ უნდა შევხედოთ და აშკარად განვაცხადოთ: «ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ სასურსათო სიძნელეებს, თუ არ მივიღებთ უაღრესად გადამწყვეტ ზომებს, თუ არ დავძაბავთ მთელ ძალ-ღონეს პურის გამოსაზიდად». ბევრ ადგილას

გამოსაზიდად დანიშნული პური აწყვია სადგურთან, პირდაპირ მიწაზე, და გაზაფხულის წყალდიდობის დროს წაილეკება და ხელიდან წავა. უნდა დავაჩქაროთ მისი დატვირთვა და გამოზიდვა. როცა ასეთ გადამწყვეტ ზომას ვიღებდით, ჩვენ ყველა თანაური გარემოება გავითვალისწინეთ. ჩვენ ვიცით, რომ აღდგომის წინ მუშების მიმოსვლა რკინიგზებზე იზრდება, ამიტომ აღდგომისთვის მოძრაობა აღდგენილი იქნება. ჩვენ ვიცით, რომ საგარეუბნო მოძრაობა უსათუოდ საჭიროა მუშებისთვის, ამიტომ ის ახლაც არ იქნება შეწყვეტილი. ჩვენ ადგილებზე დავგზავნეთ ყველაზე ენერგიული და გამოცდილი ამხანაგები; სასურსათო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე, ამხ. ბრიუხანოვი, რომელიც მშვენივრად იცნობს უფის გუბერნიას, მივლინებულია იქ. მას დახმარებას გაუწევენ სამხედრო უწყების ამხანაგები, რადგან იქიდან ახლოსაა ფრონტი. მეორე რკინიგზის ხაზზე — ყაზან-სარაპულზე — მივლინებული არიან აგრეთვე სამხედრო უწყების ამხანაგები. მათ დავალებული აქვთ მობილიზაცია გაუკეთონ ადგილობრივ გლეხობას და მთელი ძალ-ღონე დაძაბონ პურის გამოსაზიდად, თუნდაც ყაზანამდე, რითაც გადავარჩენთ პურს და უზრუნველვყოფთ მის მიზიდვას დედაქალაქებსა და არასამიწათმოქმედო ადგილებში. აი რაზე ვამყარებთ ჩვენ შიმშილის დაძლევის იმედს. მენშევიკებისა და ესერების ანგარიში ხელი მოითბონ სახალხო უბედურებაზე — კვლავ დამსხვრეული იქნება.

შარშანდელი წლისგან განსხვავებით, როცა ჩვენ გვიტევდნენ ჩეხოსლოვაკები, რომლებიც ყველაზე პურისმოსავლიან ადგილებს გვართმევდნენ, ახლა ჩვენ მოგვეპოვება პურის ორი ახალი წყარო, რომელთა იმედი არ შეიძლებოდა ჰქონოდათ ჩვენს სასურსათო მუშაკებს გასული წლის შემოდგომაზე, როცა ისინი მომარაგების გეგმას ადგენდნენ მთელი წლისათვის, — ეს არის უკრაინა და დონი. გასული წლის შემოდგომაზე უკრაინა ჯერ კიდევ გერმანელების ხელში იყო, გერმანიის იმპერიალისტებმა პირობა დასდეს უკრაინიდან გერმანიაში

შეეზიდათ 60 მილიონი ფუთი პური და სურსათის ამ შეზიდვით მოესპოთ გერმანიაში ბოლშევიზმის ჩანასახი ხალხის მასებში. მაგრამ პრაქტიკაში სულ სხვა გამოვიდა. 60 მილიონი ფუთი პურის ნაცვლად გერმანელებმა უკრაინიდან შეიტანეს სულ მხოლოდ 9 მილიონი ფუთი. მაგრამ ამ პურთან ერთად მათ გერმანიაში შეიტანეს ის ბოლშევიზმი, რომელიც იქ ასე საუცხოოდ აბიბინდა. ახლა გერმანიაში ბოლშევიზმი ბერლინის ქუჩებში იბრძვის სოციალ-გამცემლებთან, რომლებიც მუშათა სისხლით რწყავენ ბერლინს. ჩვენ ვიცით, რომ გერმანელი სოციალ-გამცემლები ისევე დამარცხდებიან, როგორც ჩვენში დამარცხდა კერენსკი. (ტ ა შ ი.)

მაგრამ უკრაინის გარდა ჩვენ გვაქვს კიდევ დონი. კრასნოვის კაზაკებს ყოველთვის თავი გაჰქონდათ უცხოეთის ოქროს დახმარებით: ჯერ გერმანიისა, შემდეგ ინგლის-საფრანგეთისა. მაგრამ ამან ვერ უშველა მათ. ჩვენი გამარჯვება კაზაკებზე უზრუნველყოფილია. ამჟამად ჩვენ ხელთ გვიჭირავს ცარიცინლიხაიას ხაზი, ის ხაზი, რომელიც აერთებს პურის მარაგს და ქვანახშირის მარაგს. ამრიგად, ჩვენ გვაქვს მარაგის ორი წყარო — უკრაინა და დონი. უკრაინაში ჩვენ საქმე გვაქვს ძმურ საბჭოთა რესპუბლიკასთან, რომელთანაც ჩვენ საუკეთესო ურთიერთობა გვაქვს. ჩვენთვის დახმარების აღმოჩენის საკითხს ეს რესპუბლიკა წყვეტს არა ჩარჩულად, არა სპეკულანტურად, არამედ ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ მხურვალე სურვილით — დაეხმაროს დამშეულ ჩრდილოეთს. უკრაინის ყოველ მოქალაქის პირველი სოციალისტური მოვალეობაა — დაეხმაროს ჩრდილოეთს. მაგრამ უკრაინაშიც ვხვდებით უდიდეს სიძნელეებს. სახალხო კომისართა საბჭოს არა ერთხელ გამოუწვევია ამხ. რაკოვსკი მოსალაპარაკებლად და გაუგზავნია უკრაინაში ამხანაგები სამხედრო წრიდან. თურმე, ორგანიზაციულად უკრაინაში ახლა საქმე უფრო ცუდადაა, ვიდრე ჩვენში იყო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. მაშინ კერენსკისგან ჩვენ მემკვიდრეობად მივიღეთ ერთგვარი სასურსათო აპარატი. რა თქმა უნდა, სასურსათო საქმის

მოხელენი საბოტაჟს გვიწევდნენ და სმოლნში მოდიოდნენ არა იმისთვის, რომ ჩვენთან ემუშავნათ, არამედ ეჯანჯლათ. მაგრამ ჩვენ ვტეხდით ამ ჯგუფთა წინააღმდეგობას და შედეგად მაინც ვაიძულეთ ისინი ემუშავნათ. უკრაინაში სრულიად არ არის სასურსათო აპარატი. გერმანელები იქ მხოლოდ ძარცვას ეწეოდნენ, — ძარცვავდნენ, ვიდრე ძალა მათ ხელში იყო, და რასაკვირველია, მათ არავითარი ორგანიზაცია, არავითარი აპარატი არ დაუტოვებიათ. უკრაინაში არ არის სასურსათო მუშაკები და არც ის მსხვილი მუშათა ცენტრები, საიდანაც შეიძლებოდა ასეთი მუშაკების მიღება. დონეცის აუზი ისეა განადგურებული, რომ მის შესახებ ჩვენ წარმოდგენაც კი არ გვაქვს. ჯერ კიდევ დღემდე დონეცის აუზის სიღრმეში დაძრწიან კაზაკთა ბანდები, რომლებიც უმოწყალოდ ძარცვავენ ადგილობრივ მოსახლეობას. უკრაინის ყველა ადგილიდან ისმის გოდება: მოგვეცით მუშები! უკრაინაში ჩვენ შევქმენით სასურსათო ბიურო პროფესიული მოძრაობის წარმომადგენელთაგან. ჩვენ ვორონეჟისა და ტამბოვის გუბერნიებიდან უკრაინაში გადაგვყავს უფრო გამოცდილი სასურსათო მუშაკები და სასურსათო ორგანიზაციებში ვიზიდავთ ქალაქის უფრო განვითარებულ პროლეტარებს. მაგრამ ყველაფერ ამასთან ერთად უკრაინაში არ არის ჩაყრილი პური, არ არის შემსყიდველი ორგანოები, გლეხები არ ენდობიან ფულის ნიშნებს, ხოლო სანაცვლო საქონლის მიცემა ჩვენ არ შეგვიძლია. ყველა ამ არახელსაყრელ პირობებში ჩვენ უკრაინელ ამხანაგებს მივეცით დავალება 1919 წლის 1 ივნისისთვის რუსეთში შემოზიდონ 50 მილიონი ფუთი პური. მე ვფიქრობ, რომ ეს დავალება მთლიანად არ იქნება შესრულებული, მაგრამ თუ ნახევარს ან ორ მესამედს შემოიტანენ, — ისიც კარგი იქნება.

შემდეგ ლენინი აღნიშნავს, რომ დონში ჩვენი გამარჯვებები შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ პარტიული და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებით წითელი არმიის რიგებში. — ამან გამოიწვია ფსიქოლოგიური

გარდატეხა, და შედეგად ჩვენმა წითელმა არმიამ დაგვიპყრო დონი. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

საერთოდ, ჩვენი წითელი არმია დღითი დღე მაგრდება, ბურჟუაზიული სამხედრო სპეციალისტებიც კი აღიარებენ, რომ იმპერიალისტურ ქვეყნებში არმია ირღვევა, მაშინ როდესაც ჩვენი არმია ეწყობა, მაგრდება და ძლიერდება. დონზედაც მოიპოვება პურის დიდი მარაგი. იქაც არ არის სასურსათო აპარატი, მაგრამ იქ არის ჩვენი დისციპლინირებული არმია, ეს კი უკვე ის აპარატია, რომლის შემწეობით ჩვენ მივიღებთ პურს უფრო ნაკლები დანახარჯით და მეტი შედეგებით.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩეხოსლოვაკები და კაზაკები განაგრძობენ თავიანთ ტაქტიკას — ანგრევენ ყველაფერს, რაც კი შეუძლიათ. მათ ააფეთქეს რკინიგზის ხიდი ვოლგაზე და შემდეგ მოსპეს ყველა ხიდი და სრულიად გააფუჭეს ვოლგის-იქითა მხარის მთელი რკინიგზის მაგისტრალი. სახალხო კომისართა საბჭოში ჩვენ დიდხანს ვთათბირობდით იმის შესახებ, თუ როგორ აღგვედგინა თუნდაც ორი რკინიგზის ხაზი: ლისკი — როსტოვი და ლიხაია — ცარიცინი. მიღებულ იქნა გადამჭრელი ზომები, და თავდაცვის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც შესდგა ორშაბათს 10 მარტს, გამოირკვა, რომ ამ ხაზებზე უკვე მიზიდულია ყველა ინსტრუმენტი და მასალა და საგაზაფხულო უგზოობის დაწყებამდე ეს გზები აღდგენილი იქნება.

ლენინი ერთხელ კიდევ აღნიშნავს იმ სასურსათო დახმარებას, რომელსაც ჩვენ აღმოგვიჩენენ დონი და უკრაინა და ამბობს: «ეს ნახევარწელი — უკანასკნელი მძიმე ნახევარწელია!». (ტ ა შ ი.)

საერთაშორისო მდგომარეობა, თუმცა ჯერ კიდევ მძიმეა, მაინც უმჯობესდება. თქვენ ყველამ ნახეთ და მოისმინეთ III ინტერნაციონალის უცხოელი დელეგატები[5], რომლებიც თავიანთ მოხსენებებსა და ცნობებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ის გზა, რომელსაც ჩვენ დავადექით, — სწორია და უტყუარი. ბოლშევიზმმა მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვა.

ეს იქიდან ჩანს, რომ ყველაზე მოწინავე ბურჟუაზიული დემოკრატიები, რომელთაც ასე მოჰქონდათ თავი თავიანთი თავისუფლებით, რეპრესიულ ზომებს მიმართავენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. უმდიდრესი ბურჟუაზიული რესპუბლიკა — ამერიკის შეერთებული შტატები, მისი ასმილიონიანი მოსახლეობით, იჩქარის თავისი ფარგლებიდან გააძევოს რამდენიმე ასეული რუსი ბოლშევიკი, რომელთა უმრავლესობამ ინგლისური ენაც კი არ იცის. საიდანღა წარმოსდგება ეს შიშის ზარი ბოლშევიზმის წინაშე? პარიზის მუშათა კრებებზე, როგორც გაზეთები იუწყებიან, ის მუშებიც კი, რომლებიც ბოლშევიკებს არ თანაუგრძნობენ, კრინტსაც არ აძვრევინებენ იმ ორატორებს, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი ბოლშევიზმისადმი. (ტ ა შ ი.) მიუხედავად მთელი სიცრუისა, იმ ბინძური ცილისწამებისა, რომელსაც დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული პრესა ყოველდღე ანთხევს ბოლშევიკების მიმართ, ხალხი მაინც მიხვდა სიმართლეს და გაჰყვა ბოლშევიკებს. — დაე წეროს საფრანგეთის ბურჟუაზიულმა პრესამ, რომ ბოლშევიკები — ღვთის პირისაგან შეჩვენებულები არიან, რომ ისინი ჩვილ ბავშვებსა სჭამენ, — საფრანგეთის მუშები ამ პრესას არ უჯერებენ.

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ სიტყვა «საბჭო» გასაგები გახდა ყველა ენაზე. მასებმა გაიგეს, რომ მათი ხსნა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებაში, საბჭოებშია. აი რატომ მოხდა, რომ მოსკოვში, III ინტერნაციონალის ყრილობაზე, ასე ადვილად მივაღწიეთ შეთანხმებას. სულ მივარდნილ კუთხეებში, იტალიის რომელიმე პოშეხონიეში, იკრიბებიან მოჯამაგირეები და მუშები და აცხადებენ: «ჩვენ მივესალმებით გერმანელ სპარტაკელებსა და რუს საბჭოელებს და მოვითხოვთ, რომ მათი პროგრამა მთელი მსოფლიოს მუშების პროგრამა გახდეს». მე აქ ვიმეორებ იმას, რაც უკვე ვთქვი მოსკოვში [10]. ეს გვიჩვენებს, რომ გამარჯვება ჩვენია და ამაში რაიმე ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მიუხედავად ბურჟუაზიული პრესის მთელი სიცრუისა, მუშათა თანაგრძნობა ჩვენ მოპოვებული

გვაქვს. ამავე დროს იმპერიალისტები სამშვიდობო კონფერენციაზე ვერ შეთანხმებულან და მზად არიან ერთმანეთს ეკვეთნონ. ბოლშევიკური სენი უკვე შეიჭრა ევროპისა და ამერიკის ყველა ქვეყანაში. ბოლშევიკების ვერავითარი გასახლება საქმეს ვერ უშველის. დასავლეთი ევროპა კიდევაც რომ გაგვემიჯნოს ჩინური კედლით, ყველა რუსი ბოლშევიკი რომ ქვესკნელში შთაინთქას, — ეს ვერ შეამსუბუქებდა დასავლეთის იმპერიალისტების მდგომარეობას. ხალხის მასები მიხვდნენ, რომ პარლამენტის შემწეობით ისინი ვერ მიაღწევენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას. საჭიროა მუშათა ხელისუფლება, საჭირონი არიან საბჭოები. ომმა შექმნა უდიდესი დავალიანება, იმპერიალისტები კი იმდენად უგუნურნი არიან, რომ ხალხებისგან მოითხოვენ სამხედრო სესხების გადახდას. ისინი ეუბნებიან ხალხებს: «გადაგვიხადეთ მილიარდები იმისათვის, რომ ჩვენ ისე მოწყალენი ვიყავით, რომ ნება დავრთეთ გაეჟლიტათ 10 მილიონი ადამიანი, რათა გადაგვეწყვიტა ჩვენი მოგების საკითხი». ყველა ქვეყანაში იმპერიალიზმი იმავე უფსკრულში გადაიჩეხება, რომელშიც ის გერმანიაში გადაიჩეხა. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

«სევერნაია კომმუნა» № 58,
1919 წ. 14 მარტი

იბეჭდება გაზეთის «სევერნაია კომმუნას» ტექსტის მიხედვით

საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი და სიძნელენი

ცალკე ბროშურად დაიბეჭდა
1919 წ. მარტ-აპრილში და გამოსცა
პეტროგრადის მუშათა და წითელ-
არმიელთა დეპუტატების საბჭომ

ბოლოსიტყვაობა პირველად
დაიბეჭდა 1922 წელს

იბეჭდება ბროშურის ტექსტის
მიხედვით
ბოლოსიტყვაობა — ხელნაწერის
მიხედვით

სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ შევძელით რევოლუციური ინტერნაციონალის, კომუნისტური ინტერნაციონალის აღდგენა, სწორედ ახლა, როდესაც მოძრაობის საბჭოთა ფორმა თავისთავად გახდა მთელი III ინტერნაციონალის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული პროგრამა, — სწორედ ახლა უადგილო არ იქნება გავიხსენოთ საბჭოების საერთო განვითარება. რა არის საბჭოები? რა მნიშვნელობა აქვს ამ ფორმას, რომელიც შექმნეს მასებმა და ვისიმე გამოგონილი არ არის?

ჩემი აზრით, მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება სწორად შევაფასოთ ის ამოცანებიც, რომლებიც უკვე დასახულია ჩვენს წინაშე, — პროლეტარიატის მიერ მოპოვებული ხელისუფლების წინაშე, და ამ ამოცანების ის შესრულებაც, რომლის მოცემას ჩვენ უკანასკნელი წლის განმავლობაში, როცა რუსეთში უკვე პროლეტარიატის დიქტატურა გვქონდა, ვცდილობდით და კიდევაც ვიძლეოდით.

საბჭოების მხოლოდ საერთო როლის, მათი საერთო მნიშვნელობის, მსოფლიო-ისტორიულ განვითარებაში მათი ადგილის თვალსაზრისით შეიძლება გავიგოთ, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდით ჩვენ, რატომ უნდა გვემოქმედნა ასე და არა სხვანაირად, და რით უნდა შევამოწმოთ, როცა უკან მივიხედავთ, ჩვენი ნაბიჯების სისწორე თუ უსწორობა.

ხოლო ასეთი უფრო ზოგადი, უფრო ფართო და უფრო შორს მჭვრეტი შეხედულებები ჩვენთვის ახლა ერთიორად

საჭიროა, იმიტომ რომ პარტიულ ადამიანებს ახლა რუსეთში ზოგჯერ გული სტკივათ, ხედავენ თავიანთი მუშაობის ნაკლოვანებებსა და არადამაკმაყოფილებლობას იმის გამო, რომ მართვა-გამგეობის იმ გადაუდებელი, მიმდინარე, მორიგი, საჭირბოროტო ამოცანების პრაქტიკულად შესრულება, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას დაეკისრა, და ეკისრება, ხშირად იპყრობს, ანაგვიანებს ყურადღებას, გვაიძულებს, მიუხედავად მთელი ჩვენი ღონისძიებისა, — აქ მუშაობის პირობების წინააღმდეგ ვერაფერს გახდები, — მეტად დიდი ყურადღება მივაქციოთ მართვა-გამგეობის წვრილმან მხარეებს და დავივიწყოთ მთელი პროლეტარული დიქტატურის საერთო, მსოფლიო მასშტაბით განვითარების მსვლელობა, მისი განვითარება საბჭოების ხელისუფლების გზით, უფრო სწორად რომ ვთქვათ, საბჭოთა მოძრაობის გზით, საბჭოების შიგნით პროლეტარული მასების მოძრაობის გზით — ის, რაც ჩვენ ყველამ განვიცადეთ და დავივიწყეთ — და საბჭოების შიგნით დიქტატურის განხორციელების ცდის გზით.

აი რა სიძნელეები დაგვაწვა ჩვენ, და აი, ჩემი აზრით, რა ზოგად ამოცანებს უნდა მივაქციოთ ყურადღება, რათა, შეძლებისდაგვარად, რამდენადმე თავი დავაღწიოთ მართვა-გამგეობის იმ წვრილმანებს, რომლებიც აწვებაᲬ ყოველ ადამიანს, ვინც პრაქტიკულ საბჭოთა მუშაობას ეწევა, და რათა გავიგოთ, რა დიდი ნაბიჯის გადადგმა დაგვრჩენია ჩვენ, როგორც მსოფლიო პროლეტარული არმიის რაზმს.

მსოფლიო მასშტაბით სრული, საბოლოო გამარჯვება მარტოოდენ რუსეთში შეუძლებელია, ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ქვეყანაში, თუნდაც ყველა მოწინავე ქვეყანაში ან რამდენიმე დიდ მოწინავე ქვეყანაში მაინც გაიმარჯვებს პროლეტარიატი. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ჩვენ სრული დარწმუნებით ვთქვათ, რომ პროლეტარიატის საქმემ გაიმარჯვა, რომ ჩვენი პირველი მიზანი — კაპიტალიზმის დამხობა — მიღწეულია.

ეს მიზანი ჩვენში განხორციელდა ერთი ქვეყნის მიმართ და მან ჩვენს წინაშე დააყენა მეორე ამოცანა. თუ საბჭოების ხელისუფლება განხორციელებულია, თუ ბურჟუაზია დამხობილია ერთ ქვეყანაში, მეორე ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა საერთაშორისო მასშტაბით, ბრძოლა სხვა ასპარეზზე, პროლეტარული სახელმწიფოს ბრძოლა კაპიტალისტური სახელმწიფოების გარემოში.

მდგომარეობა მეტისმეტად ახალი და ძნელია.

ხოლო მეორე მხრივ, თუ ბურჟუაზიის ხელისუფლება დამხობილია, მთავარ ამოცანად ხდება მშენებლობის ორგანიზაციის ამოცანა.

ყვითელ სოციალისტებს, რომლებიც ახლა ბერნში შეიკრიბნენ და ჩვენს გაბედნიერებას აპირებენ წარჩინებულ უცხოელთა სტუმრობით, ყველაზე მეტად უყვართ ასეთი ფრაზის წამოსროლა: «ბოლშევიკებს სწამთ ძალმომრეობის ყოვლისშემძლებლობაო». ეს ფრაზა მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ მას ისვრიან ის ადამიანები, რომლებმაც რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში, როცა მათ სულ მთლად ავიწროებს ბურჟუაზიის ძალმომრეობა, — შეხედეთ, რა ხდება გერმანიაში, — არ იციან როგორ ასწავლონ თავიანთ პროლეტარიატს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ ი ს ტაქტიკა.

არის ხოლმე პირობები, როცა ძალმომრეობა საჭიროც არის და სასარგებლოც, და არის პირობები, როცა ძალმომრეობას არავითარი შედეგების მოცემა არ შეუძლია. თუმცა ყოფილა მაგალითები, რომ ამ განსხვავებას ყველა ვერ ითვისებდა, და ამაზე ლაპარაკი საჭიროა. ოქტომბერში ძალმომრეობამ, ბურჟუაზიის დამხობამ საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ძველი მთავრობის განდევნამ, რევოლუციურმა ძალმომრეობამ ბრწყინვალე წარმატება მოგვცა.

რატომ? იმიტომ, რომ, ჯერ-ერთი, მასები დარაზმული იყვნენ საბჭოებში, და მეორეც, იმიტომ, რომ მტერი — ბურჟუაზია — ძირგამოთხრილი, შერყეული, წალეკილი იყო გრძელი პოლიტიკური პერიოდით თებერვლიდან ოქტომბრამდე,

როგორც ყინულის ნატეხი გაზაფხულის წყლით, და შინაგანად უკვე სრულიად დაუძლურებული იყო. ამიტომაც ოქტომბრის მოძრაობამ, თუ შევადარებთ მას თუნდაც გერმანიის ახლანდელ რევოლუციურ მოძრაობას, ასე ადვილად მოგვცა ჩვენში რევოლუციური ძალმომრეობის სრული, ბრწყინვალე გამარჯვება.

განა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბრძოლის ასეთი გზა, ასეთი ფორმა, რევოლუციური ძალმომრეობის ადვილი გამარჯვება შესაძლებელია ამ პირობების გარეშე?

ასეთი ვარაუდი უდიდესი შეცდომა იქნებოდა. და რაც უფრო დიდია განსაზღვრულ პირობებში მიღწეული რევოლუციური გამარჯვებები, მით უფრო ხშირად ჩნდება იმის საშიშროება, რომ ჩვენ გვაცდუნებს ეს გამარჯვებები, თუ გულგრილად, მშვიდად და ყურადღებით არ ჩავუფიქრდებით იმას, თუ რა პირობებში იყო ეს შესაძლებელი.

როდესაც ჩვენ კერენსკის მთავრობა, მილიუკოვის კოალიციური სამინისტრო, შეიძლება ითქვას, ნაწილ-ნაწილად ავწეწეთ, მოვსინჯეთ ყველა კომბინაცია, თუ როგორ დაგვესვა ისინი მინისტრების ადგილებზე, ვაიძულეთ ისინი მინისტრების ათურმა გაეთამაშათ მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ, ქვევიდან ზევით და ზევიდან ქვევით, მაშინ აღმოჩნდა, რომ, როგორც უნდა დამსხდარიყვნენ, ჭიანურის დამკვრელებად მაინც არ გამოდგებოდნენ, და მაშინ ისინი ბუმბულივით გაიფანტნენ ჰაერში.

განა ჰგავს ამ მდგომარეობას ის, რაც ახლა ჩვენი პრაქტიკული ამოცანა გახდა მსოფლიო იმპერიალიზმის მიმართ? რა თქმა უნდა, არა.

აი რატომ გამოიწვია ბრესტის ზავმა ამდენი სიძნელე საგარეო პოლიტიკის სფეროში. მოძრაობის მასობრივმა ხასიათმა ხელი შეუწყო მის დაძლევას.

მაგრამ რაშია იმ შეცდომების წყარო, რომლებიც ამხანაგების ერთ ნაწილს აფიქრებინებდნენ, თითქოს ჩვენ გაუგონარ დანაშაულს ჩავდიოდით? ახლაც მოიძებნებიან ისეთი ერთე-

ული ახირებული პირები იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც კალამი ემარჯვებათ და წარმოუდგენიათ, რომ ისინი პირადად რაღაცას წარმოადგენენ, რომ მათ აქვთ გამოცდილება, შეუძლიათ სწავლება და სხვ., და რომლებიც ახლაც ირწმუნებიან, რომ ეს იყო შემთანხმებლობა გერმანიის იმპერიალიზმთან.

დიახ, ასეთი შემთანხმებლობა იყო, როდესაც ჩვენ «ვეთანხმებოდით» მეფეს, მონაწილეობას ვიღებდით საზიზღარ რეაქციულ სათათბიროში და შიგნიდან ვაფეთქებდით მას.

განა შეიძლებოდა იმის ვარაუდი, რომ მარტოოდენ ძალმომრეობის ხმარებით დავამხობდით მსოფლიო იმპერიალიზმს, თუ სათანადოდ განვითარებული არ იქნებოდა პროლეტარიატი ამ იმპერიალისტურ ქვეყნებში?

თუ ამოცანას ასე დავაყენებთ, — ჩვენ კი, როგორც მარქსისტები, მუდამ ვასწავლიდით, რომ ამოცანა უნდა დავაყენოთ ასე და მხოლოდ ასე, — აქ ძალმომრეობის პოლიტიკის გამოყენება სულ მთლად სისულელე და უაზრობა და იმ პიროებების სრული გაუგებლობა იქნებოდა, როცა ძალმომრეობის პოლიტიკას წარმატება აქვს.

ახლა ჩვენ ამას ვხედავთ. ჩვენ გამდიდრებული ვართ გამოცდილებით.

იმ დროს, როცა ბრესტის ზავის პერიოდში ძალ-ღონე უნდა მოგვეკრიბა და უსაშინელესი სიძნელეებით ჩაგვეყარა საძირკველი ახალი არმიისათვის, წითელი არმიისათვის, იმ ქვეყანაში, რომელიც ისეა გაჩანაგებული და გაწამებული ომით, როგორც არც ერთი ქვეყანა მსოფლიოში, იმ დროს, როცა ჩვენ 1918 წლის პირველ ნახევარსა და მეორე ნახევრის დასაწყისში ქვას ქვაზე ვადებდით და ისე ამოგვყავდა ნამდვილი სოციალისტური წითელი არმიის საძირკველი, — იმ დროს სხვა ქვეყნების იმპერიალიზმს ძირი ეთხრებოდა შინაგანი დაშლით, პროტესტის ზრდით და ძალა ელეოდა.

და რევოლუციურმა ძალმომრეობამ გერმანიაში მაშინ გაიმარჯვა, როცა ბრძოლის მრავალი თვის განვითარებამ ძირი

ბოლშევიკებს ასე აგინებენ კაპიტალისტები, მაშასადამე, ამ ბოლშევიკებს შესძლებიათ კაპიტალისტებთან ბრძოლაო!».

აი რატომ აღმოჩნდა ის პოლიტიკა, რომლის წარმოება ჩვენ მოგვიხდა ბრესტის ზავის, ყველაზე მხეცური, ძალმომრეობითი, დამამცირებელი ზავის განმავლობაში, ერთადერთი სწორი პოლიტიკა.

და მე ვფიქრობ, რომ უსარგებლო არ იქნება ერთხელ კიდევ მოვიგონოთ ეს პოლიტიკა ახლა, როცა მსგავსი ხდება მდგომარეობა «შეთანხმების» ქვეყნების მიმართ, როცა ისინი კვლავ აღსავსე არიან მძვინვარე სურვილით — რუსეთს დაეკისრონ თავიანთი ვალები, სიღატაკე, გაჩანაგება, გაძარცვონ, გასრისონ რუსეთი, რათა აირიდონ თავიანთი მშრომელი მასების მზარდი აღშფოთება.

ფხიზლად რომ შევხედოთ ამბებს, სრულიად გარკვევით უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს, თუ არ გვინდა თავიც მოვიტყუოთ და სხვებიც მოვატყუოთ,—ეს კი მავნე საქმეა რევოლუციონერისთვის, — უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს, რომ ანტანტა ჩვენზე უფრო ძლიერია სამხედრო ძალის თვალსაზრისით. მაგრამ თუ საქმეს შევხედავთ მის განვითარებაში, ვიტყვით ასევე სრული სიცხადით და რწმენით, რომელიც ემყარება არა მარტო ჩვენს რევოლუციურ შეხედულებებს, არამედ გამოცდილებასაც, რომ «შეთანხმების» ქვეყნების ეს ძლიერება დიდხანს ვერ გასტანს; ისინი დგანან თავიანთი მასების განწყობილების უდიდესი გარდატეხის წინ.

მათ საფრანგეთისა და ინგლისის მუშები დაპირებებით გამოკვებეს: «ჩვენ მთელ ქვეყნიერებას უკანასკნელ შესაძლებლობამდე გავძარცვავთ, და მაშინ შენ მაძღარი იქნებიო». აი რას გაჰყვირის მთელი ბურჟუაზიული პრესა და ყოველივე ამით თავს უტენავს განუვითარებელ მასებს.

რამდენიმე თვის შემდეგ ისინი, ვთქვათ, შეკრავენ ზავს, თუ იქვე არ წაიჩხუბნენ, რისი მთელი რიგი უაღრესად სერიოზული ნიშნები არსებობს. მაგრამ თუ მათ შესძლეს ზავის შეკვრა და ერთმანეთს არ სწვდნენ თმებსა და ყელში, ეს ზავი

იქნება დაუყოვნებლივი კრახის დასაწყისი, იმიტომ რომ ამ გაუგონარი ვალის გადახდა და საშინელ გაჩანაგებაში შველა, როცა საფრანგეთში ხორბლის მოყვანა ერთიორად და მეტად შემცირდა, ხოლო შიმშილი ყველგან კარებს აკაკუნებს, და საწარმოო ძალებიც დანგრეულია, — ამის შველა მათ არ ძალუძთ.

თუ საქმეს ფხიზლად შევხედავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ვითარების შეფასების ის წესი, რომელიც ასეთ სწორ საზომს იძლევა რუსეთის რევოლუციის შეფასებისას, დღითი დღე იმის დადასტურებასაც იძლევა, რომ მსოფლიო რევოლუცია მოხდება. ჩვენ ვიცით, რომ ის ნაკადები, რომლებიც წარიტაცებენ ანტანტის ყინულის ნამსხვრევებს — «შეთანხმების», კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის ყინულის ნამსხვრევებს, — დღითი დღე ძლიერდება.

ერთი მხრივ, «შეთანხმების» ქვეყნები ჩვენზე უფრო ძლიერი არიან, მეორე მხრივ — ისინი თავიანთი შინაური მდგომარეობის გამო ვერავითარ შემთხვევაში დიდხანს ვერ გასძლებენ.

ამ მდგომარეობიდანვე გამომდინარეობს საერთაშორისო პოლიტიკის რთული ამოცანები — ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ჩვენ, შესაძლოა, და მოსალოდნელიცაა, უახლოეს დღეებში მოგვიხდეს და რომელთაც მე საკმაოდ არ ვიცნობ სრული კონკრეტულობით, მაგრამ რომელთა შესახებ მე მსურს ყველაზე უფრო მეტად ვილაპარაკო, — სწორედ იმიტომ, რომ გამოცდილება სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის სფეროში, საგარეო პოლიტიკის სფეროში თქვენს წინაშე იდგეს, ამხანაგებო, ნათელი და მიმზიდველი ფორმით.

ყველაზე არსებითი ჩვენი გამოცდილება ბრესტის ზავია. აი რა არის ყველაზე არსებითი სახალხო კომისართა საბჭოს საგარეო პოლიტიკის შედეგად. ჩვენ იძულებული ვიყავით გველოდინა, უკან დაგვეხია, მიხვეულ-მოხვეული გზით გვევლო, ხელი მოგვეწერა უაღრესად დამამცირებელ ზავზე და ამით შესაძლებლობა მიგვეცა ახალი სოციალისტური არმიის

ბოლშევიკებს ასე აგინებენ კაპიტალისტები, მაშასადამე, ამ ბოლშევიკებს შესძლებიათ კაპიტალისტებთან ბრძოლაო!».

აი რატომ აღმოჩნდა ის პოლიტიკა, რომლის წარმოება ჩვენ მოგვიხდა ბრესტის ზავის, ყველაზე მხეცური, ძალმომრეობითი, დამამცირებელი ზავის განმავლობაში, ერთადერთი სწორი პოლიტიკა.

და მე ვფიქრობ, რომ უსარგებლო არ იქნება ერთხელ კიდევ მოვიგონოთ ეს პოლიტიკა ახლა, როცა მსგავსი ხდება მდგომარეობა «შეთანხმების» ქვეყნების მიმართ, როცა ისინი კვლავ აღსავსე არიან მძვინვარე სურვილით — რუსეთს დააკისრონ თავიანთი ვალები, სიღატაკე, გაჩანაგება, გაძარცვონ, გასრისონ რუსეთი, რათა აირიდონ თავიანთი მშრომელი მასების მზარდი აღშფოთება.

ფხიზლად რომ შევხედოთ ამბებს, სრულიად გარკვევით უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს, თუ არ გვინდა თავიც მოვიტყუოთ და სხვებიც მოვატყუოთ,—ეს კი მავნე საქმეა რევოლუციონერისთვის, — უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს, რომ ანტანტა ჩვენზე უფრო ძლიერია სამხედრო ძალის თვალსაზრისით. მაგრამ თუ საქმეს შევხედავთ მის განვითარებაში, ვიტყვით ასევე სრული სიცხადით და რწმენით, რომელიც ემყარება არა მარტო ჩვენს რევოლუციურ შეხედულებებს, არამედ გამოცდილებასაც, რომ «შეთანხმების» ქვეყნების ეს ძლიერება დიდხანს ვერ გასტანს; ისინი დგანან თავიანთი მასების განწყობილების უდიდესი გარდატეხის წინ.

მათ საფრანგეთისა და ინგლისის მუშები დაპირებებით გამოკვებეს: «ჩვენ მთელ ქვეყნიერებას უკანასკნელ შესაძლებლობამდე გავძარცვავთ, და მაშინ შენ მაძღარი იქნებიო». აი რას გაჰყვირის მთელი ბურჟუაზიული პრესა და ყოველივე ამით თავს უტენავს განუვითარებელ მასებს.

რამდენიმე თვის შემდეგ ისინი, ვთქვათ, შეკრავენ ზავს, თუ იქვე არ წაიჩხუბნენ, რისი მთელი რიგი უაღრესად სერიოზული ნიშნები არსებობს. მაგრამ თუ მათ შესძლეს ზავის შეკვრა და ერთმანეთს არ სწვდნენ თმებსა და ყელში, ეს ზავი

იქნება დაუყოვნებლივი კრახის დასაწყისი, იმიტომ რომ ამ გაუგონარი ვალის გადახდა და საშინელ გაჩანაგებაში შველა, როცა საფრანგეთში ხორბლის მოყვანა ერთიორად და მეტად შემცირდა, ხოლო შიმშილი ყველგან კარებს აკაკუნებს, და საწარმოო ძალებიც დანგრეულია, — ამის შველა მათ არ ძალუძთ.

თუ საქმეს ფხიზლად შევხედავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ვითარების შეფასების ის წესი, რომელიც ასეთ სწორ საზომს იძლევა რუსეთის რევოლუციის შეფასებისას, დღითი დღე იმის დადასტურებასაც იძლევა, რომ მსოფლიო რევოლუცია მოხდება. ჩვენ ვიცით, რომ ის ნაკადები, რომლებიც წარიტაცებენ ანტანტის ყინულის ნამსხვრევებს — «შეთანხმების», კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის ყინულის ნამსხვრევებს, — დღითი დღე ძლიერდება.

ერთი მხრივ, «შეთანხმების» ქვეყნები ჩვენზე უფრო ძლიერი არიან, მეორე მხრივ — ისინი თავიანთი შინაური მდგომარეობის გამო ვერავითარ შემთხვევაში დიდხანს ვერ გასძლებენ.

ამ მდგომარეობიდანვე გამომდინარეობს საერთაშორისო პოლიტიკის რთული ამოცანები — ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ჩვენ, შესაძლოა, და მოსალოდნელიცაა, უახლოეს დღეებში მოგვიხდეს და რომელთაც მე საკმაოდ არ ვიცნობ სრული კონკრეტულობით, მაგრამ რომელთა შესახებ მე მსურს ყველაზე უფრო მეტად ვილაპარაკო, — სწორედ იმიტომ, რომ გამოცდილება სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის სფეროში, საგარეო პოლიტიკის სფეროში თქვენს წინაშე იდგეს, ამხანაგებო, ნათელი და მიმზიდველი ფორმით.

ყველაზე არსებითი ჩვენი გამოცდილება ბრესტის ზავია. ეი რა არის ყველაზე არსებითი სახალხო კომისართა საბჭოს საგარეო პოლიტიკის შედეგად. ჩვენ იძულებული ვიყავით გველოდინა, უკან დაგვეხია, მიხვეულ-მოხვეული გზით გვევლო, ხელი მოგვეწერა უაღრესად დამამცირებელ ზავზე და ამით შესაძლებლობა მიგვეღო ახალი სოციალისტური არმიის

ახალი საძირკვლის ჩასაყრელად. და ეს საძირკველი ჩვენ ჩავყარეთ, ხოლო ჩვენი ოდესღაც ღონიერი და ყოვლად ძლიერი მოწინააღმდეგე უკვე უძლური აღმოჩნდა.

აქეთკენ მიდის საქმე მთელ მსოფლიოშიც, და ეს მთავარი და ძირითადი გაკვეთილია. რომელიც რაც შეიძლება მტკიცედ უნდა შევითვისოთ და შევეცადოთ რაც შეიძლება უფრო ნათლად გავიგოთ, რათა შეცდომები არ დავუშვათ საგარეო პოლიტიკის მეტად რთულ, მეტად ძნელ, მეტად დახლართულ საკითხებში, რომლებიც დღეს თუ არა ხვალ დადგება სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, საერთოდ მთელი საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

ამით დავამთავრებ საგარეო პოლიტიკის საკითხზე ლაპარაკს, რათა გადავიდე ზოგიერთ სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ამხანაგებო, რაც შეეხება სამხედრო საქმიანობას, 1918 წლის თებერვალსა და მარტში — ერთი წლის წინათ — ჩვენ არავითარი არმია არ გვყავდა. ჩვენ გვყავდა, შესაძლოა, 10 მილიონი შეიარაღებული მუშა და გლეხი, რომლებიც შეადგენდნენ სრულიად დაშლილ ძველ არმიას; ეს არმია გამსჭვალული იყო წასვლის, გაქცევისა და უეჭველად ყველაფრის მიტოვების აბსოლუტური მზადყოფნით და გადაწყვეტილებით.

ამ მოვლენას მაშინ უყურებდნენ როგორც მხოლოდ და მხოლოდ რუსულ მოვლენას. ფიქრობდნენ, რომ რუსები, რუსების დამახასიათებელი მოუთმენლობის თუ არასაკმაო ორგანიზებულობის გამო, ვერ აიტანენ, გერმანელები კი აიტანენო.

ასე გვეუბნებოდნენ ჩვენ. ახლა კი ვხედავთ, რომ გავიდა რამდენიმე თვე — და გერმანიის არმიის ორგანიზაციასაც, არმიის, რომელიც ჩვენს არმიაზე განუზომლად უფრო მაღლა იდგა კულტურულობის, ტექნიკის, დისციპლინის მხრივ, ავადმყოფებისთვის, დაჭრილებისთვის ადამიანური პირობების მხრივ, შეებულებების მხრივ და სხვ., იქაც მის ორგანიზაციას ასეთივე ისტორია დაემართა. ხოცვა-ჟლეტა, მრავალი წლის

ხოცვა-ჟლეტა ყველაზე კულტურულმა და დისციპლინიანმა მასებმა ვერ აიტანეს, დადგა აბსოლუტური ნგრევის პერიოდი, როცა გერმანიის მოწინავე არმიამაც კი იარაღი დაჰყარა.

ცხადია, არათუ რუსეთისთვის, არამედ ყველა ქვეყნისთვის არსებობს საზღვარი. სხვადასხვა ქვეყნისთვის სხვადასხვა საზღვარია, — მაგრამ არსებობს საზღვარი, რომლის იქით ომის წარმოება, კაპიტალისტების ინტერესების გულისთვის, შეუძლებელია. აი, რას ვხედავთ ჩვენ ახლა.

გერმანიის იმპერიალიზმმა ბოლომდე გამოამჟღავნა თავი იმ მხრივ, რომ ის მტაცებელი იყო. უმთავრესი ის არის, რომ ამერიკაშიც, საფრანგეთშიც, ამ ყბადაღებულ დემოკრატიებში (დემოკრატიებზე ლაყბობენ სოციალიზმის გამცემლები, მენშევიკები და ესერები, ეს უკუღმართი ადამიანები, რომლებიც სოციალისტებს უწოდებენ თავიანთ თავს), მსოფლიოს ამ მოწინავე დემოკრატიებში, ამ რესპუბლიკებში დღითი დღე თავხედდება იმპერიალიზმი, და აშკარავდება გარეული მხეცები, მტაცებლები, როგორც არსად სხვაგან. ისინი ძარცვავენ მთელ მსოფლიოს, ეჩხუბებიან ერთმანეთს და იარაღდებიან ერთიმეორის წინააღმდეგ. ამის დიდი ხნით დამალვა შეუძლებელია. ამის დამალვა კიდევ შეიძლებოდა, როცა ომის თავბრუ იყო. თავბრუ ქრება, ზავი ახლოვდება, და მასებიც სწორედ ამ დემოკრატიებში ხედავენ, მიუხედავად მთელი სიცრუისა, რომ ომმა ახალი ძარცვა-გლეჯა გამოიწვია. ყველაზე დემოკრატიული რესპუბლიკა მხოლოდ სამკაულია უაღრესად მხეცური, ცინიკური მტაცებლისთვის, რომელიც მზად არის გააჩანაგოს ასეული მილიონობით ადამიანი, რათა გადაიხადოს ვალები, ე. ი. გადაუხადოს ბატონ იმპერიალისტებს, კაპიტალისტებს იმისთვის, რომ მათ მოწყალება მოიღეს და ნება დართეს მუშებს ყელი გამოლადრონ ერთმანეთს. მასებისთვის ეს დღითი დღე უფრო ნათელი ხდება.

აი მდგომარეობა, როცა შესაძლებელი ხდება ისეთი პოლიტიკური გამოსვლები, როგორიცაა ერთი სამხედრო მიმომხილველის სტატია ყველაზე მდიდრისა და პოლიტიკურად ყველაზე

გამოცდილი ბურჟუაზიის გაზეთში — ინგლისურ «ტაიმსში»; მიმომხილველი ამბებს ასეთი გამოთქმებით აფასებდა: «მთელ მსოფლიოში ირღვევა არმიები, მაგრამ არის მხოლოდ ერთი ქვეყანა, სადაც არმია შენდება, და ეს ქვეყანაა — რუსეთი».

აი ფაქტი, რომელსაც აღიარებს ბურჟუაზია, სამხედრო თვალსაზრისით გაცილებით უფრო ძლიერი, ვიდრე საბჭოთა ბოლშევიზმი. და ამ ფაქტით ჩვენ ვუდგებით იმის შეფასებას, თუ რა გავაკეთეთ ჩვენ ამ ერთი წლის საბჭოთა მუშაობის განმავლობაში.

ჩვენ შევძელით მიგვეღწია იმ გარდატეხისთვის, როცა ათმილიონიანი არმიის ადგილას, არმიისა, რომელიც სულ ერთიანად გაიქცა, ვერ აიტანა ომის საშინელებანი და მიხვდა, რომ ეს ომი დანაშაულებრივი ომია, დაიწყო შენება, ას-ასი ათასობით, სოციალისტური არმიისა, რომელმაც იცის, რისთვის იბრძვის, რომელიც მეტ მსხვერპლს იღებს და მეტ გაჭირვებას იტანს, ვიდრე ცარიზმის დროს იყო, რადგან იცის, რომ იცავს თავის საქმეს, თავის მიწა-წყალს, თავის ძალაუფლებას ფაბრიკაში, იცავს მშრომელთა ძალაუფლებას, ხოლო სხვა ქვეყნების მშრომელები, თუმცა ძნელად და მძიმედ, მაგრამ მაინც იღვიძებენ.

ასეთია ის მდგომარეობა, რომელიც ახასიათებს საბჭოთა ხელისუფლების ერთი წლის გამოცდილებას.

ომი არაჩვეულებრივ ძნელია საბჭოთა რუსეთისთვის, ომი არაჩვეულებრივ ძნელია ხალხისთვის, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში იტანდა იმპერიალისტური ომის საშინელებას. ომი საბჭოთა რუსეთისთვის წარმოუდგენლად მძიმეა. მაგრამ ამჟამად ძლიერი მტრებიც კი აღიარებენ, რომ მათი არმია ირღვევა, ჩვენი კი შენდება. იმიტომ რომ ისტორიაში პირველად შენდება არმია საბჭოებისა და არმიის დაახლოების, განუყრელი დაახლოების, შეიძლება ითქვას — განუყრელი შედუღების საფუძველზე. საბჭოები აერთიანებენ ყველა მშრომელსა და ექსპლოატირებულს — და არმიაც შენდება სოციალისტური დაცვისა და შეგნებულობის საწყისებზე.

პრუსიის ერთმა მონარქმა XVIII საუკუნეში ჭკვიანური ფრაზა თქვა: «ჩვენს ჯარისკაცებს რომ ესმოდეთ, თუ რისთვის ვომობთ, ერთი ომის წარმოებაც კი შეუძლებელი იქნებოდაო». პრუსიის მოხუცი მონარქი უჭკუო კაცი არ იყო. ჩვენ კი ახლა, როცა ჩვენს მდგომარეობას ამ მონარქის მდგომარეობას ვადარებთ, მზადა ვართ ვთქვათ: ომის წარმოება ჩვენ იმიტომ შეგვიძლია, რომ მასებმა იციან, რისთვის ომობენ, და კიდევაც სურთ იომონ, მიუხედავად გაუგონარი ტვირთისა — ვიმეორებ, ომის ტვირთი ახლა უფრო მეტია, ვიდრე ცარიზმის დროს იყო, — იციან, რომ იღებენ საშინელ, ძნელ და მძიმე მსხვერპლს, იცავენ რა თავიანთ სოციალისტურ საქმეს, იბრძვიან რა იმ მუშების მხარდამხარ სხვა ქვეყნებში, რომლებიც «იხრწნებიან» და იწყებენ ჩვენი მდგომარეობის შეგნებას.

მოიპოვებიან სულელი ადამიანები, რომლებიც გაჰყვირიან წითელ მილიტარიზმზე; ესენი არიან პოლიტიკური თაღლითები, რომლებიც ისეთ სახეს იღებენ, თითქოს სჯერათ ეს სისულელე და წაღმა-უკუღმა ისვრიან ამგვარ ბრალდებებს, იყენებენ რა საამისოდ თავიანთ ადვოკატურ ოსტატობას — ყალბი საბუთების შეთხზვასა და მასების თვალის დაბრმავებას. მენშევიკებიც და ესერებიც გაჰყვირიან: «შეხედეთ, სოციალიზმის ნაცვლად წითელ მილიტარიზმს გაჩეჩებენ ხელშიო!».

მართლაც, «საშინელი» დანაშაულია! მთელი მსოფლიოს იმპერიალისტები ეკვეთნენ რუსეთის რესპუბლიკას, რათა ჩაეხრჩოთ იგი, ჩვენ კი დავიწყეთ არმიის შექმნა, რომელმაც ისტორიაში პირველად იცის, რისთვის იბრძვის და რისთვის იღებს მსხვერპლს; ის წარმატებით უწევს წინააღმდეგობას უფრო მრავალრიცხოვან მტერს და წინააღმდეგობის გაწევის ყოველი თვე გვიახლოებს დღემდე უნახავი მასშტაბის მსოფლიო რევოლუციას, — და ამას კიცხავენ, როგორც წითელ მილიტარიზმს!

ვიმეორებ — ესენი ან სულელები არიან, რომლებიც არავითარ პოლიტიკურ შეფასებას არ ექვემდებარებიან, ანდა პოლიტიკური თაღლითები.

ყველამ იცის, რომ ეს ომი ჩვენ თავს მოგვახვიეს; 1918 წლის დამდეგს ჩვენ დავამთავრეთ ძველი ომი და ახალი არ დაგვიწყია; ყველამ იცის, რომ ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრეს თეთრგვარდიელებმა დასავლეთში, სამხრეთსა და აღმოსავლეთში მხოლოდ ანტანტის დახმარების წყალობით, ანტანტისა, რომელიც მილიონებს აბნევდა მარჯვნივ და მარცხნივ, ამასთან მოწინავე ქვეყნებმა შეაგროვეს იმპერიალისტური ომის შემდეგ დარჩენილი საჭურვლისა და სამხედრო ქონების უდიდესი მარაგი და გადმოისროლეს თეთრგვარდიელების დასახმარებლად, რადგან ეს ბატონმა მილიონერებმა და მილიარდერებმა იციან, რომ აქ წყდება მათი ბედი, რომ აქ ისინი დაიღუპებიან, თუ დაუყოვნებლივ არ გაგვსრესენ.

სოციალისტური რესპუბლიკა გაუგონრად ძაბავს ძალღონეს, იღებს მსხვერპლს და იმარჯვებს; და თუ ახლა, ერთი წლის სამოქალაქო ომის შედეგად, შევხედავთ რუკას: რას წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთი 1918 წლის მარტში, რა გახდა იგი 1918 წლის ივლისისთვის, როცა დასავლეთით იდგნენ გერმანიის იმპერიალისტები ბრესტის ზავის ხაზით, როცა უკრაინა გერმანიის იმპერიალისტების უღელქვეშ გმინავდა, ხოლო აღმოსავლეთით ყაზანამდე და სიმბირსკამდე ფრანგებისა და ინგლისელების მიერ ნაყიდი ჩეხოსლოვაკები ბატონობდნენ, და თუ ავიღებთ ახლა რუკას, დავინახავთ, რომ ჩვენ გაუგონრად გავფართოვდით, უდიდესი გამარჯვებები მოვიპოვეთ.

აი მდგომარეობა, როცა სალანძღავი სიტყვების თქმა და ჩვენთვის წითელი იმპერიალიზმის დაბრალება შეუძლიათ მხოლოდ უაღრესად ბინძურ და მდაბალ პოლიტიკურ თაღლითებს.

ისეთი რევოლუციები, რომლებიც, გამარჯვების შემდეგ, შეიძლება ჯიბეში ჩაიდო და განცხრომას მიეცე, ისტორიაში არ ყოფილა. ვინც ფიქრობს, რომ ასეთი რევოლუციები შესაძლებელია, ის არათუ რევოლუციონერი არ არის, არამედ მუშათა კლასის უცუდესი მტერია. არ ყოფილა არც ერთი ისეთი რევოლუცია, მეორეხარისხოვანიც კი, ბურჟუაზიულიც

კი, რომ ლაპარაკი ყოფილიყოს მხოლოდ იმაზე, რომ ძალაუფლება ერთი მქონებელი უმცირესობის ნაცვლად მეორე უმცირესობას გადავცეთო. მაგალითები ჩვენ ვიცით! საფრანგეთის რევოლუციას, რომლის წინააღმდეგ XIX საუკუნის დამდეგს ამხედრდნენ ძველი სახელმწიფოები, რათა გაესრისათ იგი, დიდს სწორედ იმიტომ უწოდებენ, რომ მან შესძლო თავის მონაპოვართა დასაცავად ფეხზე დაეყენებინა ხალხის ფართო მასები, რომლებიც გაუმკლავდნენ მთელ მსოფლიოს; სწორედ აქ არის ერთ-ერთი მისი დიდი დამსახურება.

რევოლუციის ყველაზე მეტი გამოცდა ხდება საქმით, ბრძოლაში, ცეცხლში. თუ შენ დაჩაგრული, ექსპლოატირებული ხარ და იმაზე ფიქრობ, რომ დაამხო ექსპლოატატორების ხელისუფლება, თუ შენ გადაწყვიტე ბოლომდე მიიყვანო დამხობის საქმე, უნდა იცოდე, რომ შენ მოგიწევს მთელი მსოფლიოს ექსპლოატატორების შემოტევის გამკლავება; და თუ შენ მზადა ხარ წინააღმდეგობა გაუწიო ამ შემოტევას და ახალი მსხვერპლი გაიღო, რათა გაუძლო ბრძოლას, მაშინ შენ რევოლუციონერი ხარ; წინააღმდეგ შემთხვევაში გაგსრესენ.

აი როგორ აყენებს საკითხს ყველა რევოლუციის ისტორია.

ჩვენი რევოლუციის ნამდვილ გამოცდას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჩვენ, ჩამორჩენილ ქვეყანაში, სხვებზე ადრე შევძელით ძალაუფლების აღება, მართვა-გამგეობის საბჭოთა ფორმის მოპოვება, მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ძალაუფლების მოპოვება. შევძლებთ თუ არა მის შენარჩუნებას, თუნდაც იმ დრომდე, ვიდრე სხვა ქვეყნების მასები ამოძრავდებიან? და თუ ჩვენ ვერ შევძელით ახალი მსხვერპლის გაღება და გაძლება, იტყვიან: რევოლუცია ისტორიულად არაკანონზომიერი აღმოჩნდაო. მაგრამ ცივილიზებული ქვეყნების თავით ფეხამდე შეიარაღებულ დემოკრატებს ეშინიათ რაღაც ასიოდე ბოლშევიკის გამოჩენისა რომელიმე ასმილიონიან თავისუფალ რესპუბლიკაში, მსგავსად ამერიკისა; ეს ძალიან გადამდები სენია! და ბრძოლა დამშეული, გაჩანაგებული

რუსეთიდან გამოსულ ასეულ ადამიანთან, რომლებიც ბოლშევიზმზე დაიწყებენ ლაპარაკს, თურმე დემოკრატების ძალღონეს აღემატება! მასების სიმპათიები ჩვენს მხარეზეა! ბურჟუების ხსნა ერთ რამეშია: ვიდრე მახვილი ხელიდან არ გავარდნიათ, ვიდრე ზარბაზნები მათ ხელშია, მიმართონ ეს ზარბაზნები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და გასრისონ იგი რამდენიმე თვეში, იმიტომ რომ შემდეგ მას ვერაფრით გასრესს. აი რა მდგომარეობაში ვართ, აი რით განისაზღვრება სახალხო კომისართა საბჭოს სამხედრო პოლიტიკა ამ წლის განმავლობაში, და აი რატომაა, რომ ჩვენ, აღვნიშნავთ რა ფაქტებს, შედეგებს, უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ განსაცდელს ვუძლებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ომით გაუგონრად დაქანცული მუშები და გლეხები ქმნიან ახალ არმიას კიდევ უფრო მეტად მძიმე პირობებში და იჩენენ ახალ გმირობას.

ეს არის საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის მოკლე შეჯამება სამხედრო სფეროში. აქ მე ჩემს თავს ნებას მივცემ კიდევ რამდენიმე სიტყვა ვთქვა ერთ პუნქტზე, სადაც პოლიტიკა სამხედრო საკითხში უკავშირდება პოლიტიკას სხვა საკითხებში, სამეურნეო პოლიტიკას, — მე ვლაპარაკობ სამხედრო სპეციალისტებზე.

თქვენ, ალბათ, იცით, რა დავა გამოიწვია ამ საკითხმა და ის ამხანაგები, რომლებიც ყველაზე ერთგულ და მტკიცე რწმენის ბოლშევიკ-კომუნისტთა რიცხვს ეკუთვნიან, რა ხშირად გამოთქვამდნენ მხურვალე პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ წითელი სოციალისტური არმიის მშენებლობაში ჩვენ ვიყენებთ ძველ სამხედრო სპეციალისტებს, მეფის გენერლებსა და ოფიცრებს, რომლებსაც შებღალული აქვთ სახელი ცარიზმისადმი სამსახურით, ხოლო ზოგჯერ სისხლისმღვრელი ანგარიშგასწორებით მუშებთან და გლეხებთან.

წინააღმდეგურობა თვალში გვეცემა, აღშფოთება აქ, შეიძლება ითქვას, თავისთავად იბადება. როგორ უნდა ვაშენოთ სოციალისტური არმია ცარიზმის სპეციალისტების დახმარებით?!

აღმოჩნდა, რომ ის მხოლოდ ასე ავაშენეთ. და თუ ჩვენ ჩავუფიქრდებით იმ ამოცანას, რომელიც აქ წილად გვხვდა, ძნელი არ არის იმის გაგება, რომ მხოლოდ ასე შეიძლებოდა მისი აშენება. ეს მარტო სამხედრო საქმე როდია, ეს ამოცანა ჩვენს წინაშე დადგა ხალხის ცხოვრებისა და სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში.

ძველ სოციალისტ-უტოპისტებს ეგონათ, რომ სოციალიზმის აშენება შეიძლება სხვა ადამიანებთან ერთად, რომ ჯერ კარგ, სუფთა, მშვენივრად დახელოვნებულ ადამიანებს აღზრდიან და მათგან სოციალიზმს ააშენებენ. ჩვენ მუდამ დავცინოდით ამას და ვამბობდით, რომ ეს დედოფალას თამაშია, რომ ეს სოციალიზმით გატაცებული ნაზ-ნარუქა ქალიშვილების თავშესაქცევია და არა სერიოზული პოლიტიკა.

ჩვენ გვსურს სოციალიზმი ავაშენოთ იმ ადამიანთაგან, რომლებიც აღზარდა კაპიტალიზმმა, მან გააფუჭა, გარყვნა, მაგრამ სამაგიეროდ მანვე გამობრძმედა ბრძოლისათვის. არიან პროლეტარები, რომლებიც ისე არიან გამობრძმედილი, რომ შეუძლიათ გადაიტანონ ათასჯერ მეტი მსხვერპლის გაღება, ვიდრე რომელიმე არმიას; არიან ათეული მილიონობით დაჩაგრული გლეხები, რომლებიც ბნელნი, დაქსაქსულნი არიან, მაგრამ რომლებსაც უნარი შესწევთ, თუ პროლეტარიატი მარჯვე ტაქტიკას დაადგება, მის გარშემო გაერთიანდნენ ბრძოლაში. და შემდეგ არიან მეცნიერების, ტექნიკის სპეციალისტები, რომლებიც სულ მთლად გაჟღენთილი არიან ბურჟუაზიული მსოფლმხედველობით, არიან სამხედრო სპეციალისტები, რომლებიც აღიზარდნენ ბურჟუაზიულ პირობებში, — და კიდევ კარგი, თუ ბურჟუაზიულ პირობებში, და არა მემამულურ, ცემა-ტყეპის, ბატონყმურ პირობებში. რაც შეეხება სახალხო მეურნეობას, ყველა აგრონომი, ინჟინერი, მასწავლებელი — ყველა ისინი მიჰყავდათ შეძლებულთა კლასიდან; ჰაერიდან როდი ჩამოვარდნილან ისინი! დაზგის ხელმოკლე პროლეტარს და გუთნის გლეხს უნივერსიტეტის დამთავრება არ შეეძლოთ არც მეფე ნიკოლოზის, არც რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილსონის დროს. მეცნიერება და ტექნიკა

მდიდრებისათვის, შეძლებულთათვის; კაპიტალიზმი კულტურას იძლევა მხოლოდ უმცირესობისთვის. ჩვენ კი სოციალიზმი უნდა ავაშენოთ ამ კულტურიდან. სხვა მასალა ჩვენ არ მოგვეპოვება. ჩვენ გვსურს სოციალიზმი ავაშენოთ დაუყოვნებლივ იმ მასალიდან, რომელიც კაპიტალიზმმა დაგვიტოვა გუშინდლიდან დღეისთვის, ახლავე, და არა იმ ადამიანთაგან, რომლებსაც სათბურებში დაამზადებენ, თუ თავს შევიქცევთ ამ ზღაპრით. ჩვენ გვყავს ბურჟუაზიული სპეციალისტები, და სხვა არაფერი გაგვაჩნია. ჩვენ არა გვაქვს სხვა აგურები, ჩვენ არავითარი მასალა არა გვაქვს, რომ ვაშენოთ. სოციალიზმმა უნდა გაიმარჯვოს, და ჩვენ, სოციალისტებმა და კომუნისტებმა, საქმით უნდა დავამტკიცოთ, რომ უნარი შეგვწევს ავაშენოთ სოციალიზმი ამ აგურებით, ამ მასალით, ავაშენოთ სოციალისტური საზოგადოება პროლეტართაგან, რომლებიც უმნიშვნელო რაოდენობით სარგებლობდნენ კულტურით, და ბურჟუაზიულ სპეციალისტთაგან.

და თუ თქვენ ვერ ააშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას ამ მასალით, მაშინ თქვენ უბრალო ფრაზიორები, მოლაყბენი ხართ.

აი როგორ არის საკითხი დაყენებული მსოფლიო კაპიტალიზმის ისტორიული მემკვიდრეობის მიერ! აი ის სიძნელე, რომელიც წინ გადაგვეღობა კონკრეტულად, როდესაც ძალაუფლება ავიღეთ, როდესაც საბჭოთა აპარატი მივიღეთ!

ეს არის ამოცანის ერთი ნახევარი, და ეს ამოცანის მეტი ნახევარია. საბჭოთა აპარატი იმას ნიშნავს, რომ მშრომელები ისე არიან გაერთიანებული, რომ თავიანთი მასობრივი გაერთიანების წონით გასრისონ კაპიტალიზმი. მათ კიდევაც გასრისეს იგი. მაგრამ გასრესილი კაპიტალიზმი ვერ გაგაძღებს. უნდა ავიღოთ კაპიტალიზმის მიერ დატოვებული მთელი კულტურა და მისგან ავაშენოთ სოციალიზმი. უნდა ავიღოთ მთელი მეცნიერება, მთელი ტექნიკა, მთელი ცოდნა, ხელოვნება. **უამისოდ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრებას ვერ ავაშენებთ. ეს მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება კი სპეციალისტების ხელში და მათ თავშია.**

ასეა დაყენებული ამოცანა ყველა სფეროში — ამოცანა წინააღმდეგური, როგორც წინააღმდეგურია მთელი კაპიტალიზმი, უძნელესი, მაგრამ შესასრულებელი ამოცანა. არა იმიტომ, რომ ოციოდე წლის შემდეგ ჩვენ აღვზრდით სუფთა კომუნისტ-სპეციალისტებს: კომუნისტების პირველ თაობას, უმწიკვლოს და უბადლოს; არა, უკაცრავად, ჩვენ ყველაფერი უნდა მოვაწყოთ ახლავე, არა ოცი წლის შემდეგ, არამედ ორი თვის შემდეგ, რათა ვიბრძოლოთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიული მეცნიერებისა და ტექნიკის წინააღმდეგ. აქ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენი მასობრივი წონით უნდა ვაიძულოთ ბურჟუაზიული სპეციალისტები გვემსახურონ — ეს ძნელია, მაგრამ შესაძლებელია; და თუ ამას შევძლებთ, გავიმარჯვებთ.

როცა ამას წინათ ამხ. ტროცკიმ მაცნობა, ჩვენს სამხედრო უწყებაში ოფიცრების რიცხვი რამდენიმე ათი ათასს შეადგენსო, მაშინ მივიღე კონკრეტული წარმოდგენა, თუ რაში მდგომარეობს ჩვენი მტრის გამოყენების საიდუმლოება: როგორ ვაიძულოთ ისინი კომუნიზმი აშენონ, ვინც მისი მოწინააღმდეგენი იყვნენ, აშენონ კომუნიზმი იმ აგურებით, რომლებიც კაპიტალისტებმა შეარჩიეს ჩვენს წინააღმდეგ! სხვა აგურები მოცემული არა გვაქვს! და აი ამ აგურებით, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, ჩვენ უნდა ვაიძულოთ ბურჟუაზიული სპეციალისტები აშენონ ჩვენი შენობა. აი რა არის ძნელი, და აი რაშია გამარჯვების საწინდარი!

რა თქმა უნდა, ამ გზაზე, როგორც ახალსა და ძნელზე, ცოტა შეცდომა როდია დაშვებული, ამ გზაზე ჩვენ ცოტა დამარცხება როდი მოგველოდა; ყველამ იცის, რომ სპეციალისტების განსაზღვრული რაოდენობა სისტემატურად გვღალატობდა: სპეციალისტებს შორის ქარხნებში, აგრონომიაში, მართვა-გამგეობის საქმეში ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვეღობებოდა და გვეღობება ბოროტგანზრახული დამოკიდებულება საქმისადმი, ბოროტგანზრახული საბოტაჟი.

ჩვენ ვიცით, რომ ყოველივე ეს უდიდესი სიძნელეებია და მათ მარტოოდენ ძალმომრეობით ვერ დასძლევ... ჩვენ, რა თქმა

უნდა, ძალმომრეობის წინააღმდეგი არა ვართ; ჩვენ მათ, ვინც უარყოფით უყურებს პროლეტარიატის დიქტატურას, დავცინით და ვამბობთ, რომ ეს სულელები არიან, რომლებსაც ვერ გაუგიათ, რომ უნდა იყოს ან პროლეტარიატის დიქტატურა, ან ბურჟუაზიის დიქტატურა. ვინც სხვანაირად ლაპარაკობს — ან იდიოტია, ან პოლიტიკურად იმდენად უვიცია, რომ მისი არათუ ტრიბუნაზე გამოშვება, არამედ კრებაზე დაშვებაც კი სირცხვილია. შეიძლება ან ძალმომრეობა ლიბკნეხტისა და ლუქსემბურგის მიმართ, მუშათა საუკეთესო ბელადების დახოცვა, ან ექსპლოატატორების ძალით დათრგუნვა, ხოლო ვინც შუათანა რამეზე ოცნებობს—ჩვენი ყველაზე მავნე და საშიში მოწინააღმდეგეა. ასე დგას ახლა საკითხი. ასე რომ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ სპეციალისტების გამოყენებაზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ საბჭოთა პოლიტიკის ერთი წლის გაკვეთილი; ამ წლის განმავლობაში ჩვენ მოვტეხეთ და დავამარცხეთ ექსპლოატატორები, ახლა კი უნდა გადავწყვიტოთ ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოყენების ამოცანა. აქ კი, ვიმეორებ, მარტოოდენ ძალმომრეობით ვერაფერს გახდები. აქ, ძალმომრეობის დამატებით, ძლევამოსილი ძალმომრეობის შემდეგ საჭიროა ორგანიზებულობა, დისციპლინა და მორალური წონა გამარჯვებული პროლეტარიატისა, რომელიც იმორჩილებს და თავის მუშაობაში აბამს ყველა ბურჟუაზიულ სპეციალისტს!

იტყვიან: ძალმომრეობის ნაცვლად ლენინი მორალურ ზეგავლენას გვირჩევსო! მაგრამ სისულელე იქნებოდა ფიქრი, თითქოს მარტოოდენ ძალმომრეობით შეიძლებოდეს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში ახალი მეცნიერებისა და ტექნიკის ორგანიზაციის საკითხის გადაჭრა. სისულელეა! ჩვენ, როგორც პარტია, როგორც ადამიანები, რომლებსაც რაღაც გვისწავლია საბჭოთა მუშაობის ამ წლის განმავლობაში, ამ სისულელეს არ ჩავიდენთ და მასებსაც გავაფრთხილებთ არ აჰყვნენ ამ სისულელეს. გამოვიყენოთ ბურჟუაზიული, კაპიტალისტური საზოგადოების მთელი აპარატი — ასეთი ამოცანა მოითხოვს არა მარტო ძლევამოსილ ძალმომრეობას, იგი მოითხოვს, გარდა ამისა, ორგანიზაციას, დისციპლინას,

მასების ამხანაგურ დისციპლინას, მთელ დანარჩენ მოსახლეობაზე პროლეტარული ზეგავლენის მოწყობას, ახალი მასობრივი ვითარების შექმნას, როცა ბურჟუაზიული სპეციალისტი ხედავს, რომ მას გამოსავალი არა აქვს, რომ ძველ საზოგადოებას ველარ დაუბრუნდება და რომ მას თავისი საქმის კეთება შეუძლია მხოლოდ იმ კომუნისტებთან ერთად, რომლებიც მის გვერდით დგანან, მასებს ხელმძღვანელობენ, მასების აბსოლუტური ნდობით სარგებლობენ და იქითკენ მიდიან, რომ ბურჟუაზიული მეცნიერების, ტექნიკის ნაყოფი, ცივილიზაციის ათასი წლის განვითარების ნაყოფი არ ერგოს ერთ მუჭა ადამიანებს, რომლებიც ამით იმისთვის სარგებლობენ, რომ გამოირჩეოდნენ და მდიდრდებოდნენ, არამედ ერგოს გამოუკლებლივ ყველა მშრომელს.

უდიდესი სიძნელის ამოცანაა, რომელსაც, მის სავსებით გადასაწყვეტად, ათეული წლები უნდა შეეწიროს! ხოლო ეს ამოცანა რომ გადაწყვიტო, უნდა შექმნა ისეთი ძალა, ისეთი დისციპლინა, ამხანაგური დისციპლინა, საბჭოთა დისციპლინა, პროლეტარული დისციპლინა, რომელიც არა მარტო ფიზიკურად გასრესდა ბურჟუაზიის კონტრრევოლუციონერებს, არამედ მთლიანად მოიცავდა კიდევაც მათ, დაიმორჩილებდა, აიძულებდა ევლოთ ჩვენს რელსებზე, სამსახური გაეწიათ ჩვენი საქმისთვის.

ვიმეორებ, სამხედრო მშენებლობის და სამეურნეო მშენებლობის საქმეშიც, სახალხო მეურნეობის თვითეული საბჭოს მუშაობაშიც, თვითეული ქარხნის კომიტეტის, თვითეული ნაციონალიზებული ფაბრიკის მუშაობაშიც ჩვენ ყოველდღე გვეღობებოდა ეს ამოცანა. არა მგონია ყოფილიყოს თუნდ ერთი კვირა, როცა წელს სახალხო კომისართა საბჭოში, ასე თუ ისე, ამა თუ იმ ფორმით, არ ყოფილიყოს დაყენებული ასეთი საკითხი და არ გადაგვეწყვიტოს. და მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთში არ ყოფილა არც ერთი ქარხნის კომიტეტი, არც ერთი სასოფლო-სამეურნეო კომუნა, არც ერთი საბჭოთა მეურნეობა, არც ერთი სამაზრო მიწგანი, რომლებსაც

საბჭოთა მუშაობის ერთი წლის მანძილზე ათეულჯერ არ გადაჭლობებოდა ეს საკითხი.

აი რაშია ამოცანის სიძნელე, მაგრამ აი რაშია ნამდვილი მადლიერი ამოცანაც, აი რა უნდა გავაკეთოთ ახლა, მეორე დღეს იმის შემდეგ, როცა პროლეტარული აჯანყების ძალამ გასრისა ექსპლოატატორები. ჩვენ გავსრისეთ მათი წინააღმდეგობა, — ეს უნდა გვექნა, — მაგრამ არა მარტო ეს უნდა გვექნა, არამედ მშრომელთა ახალი ორგანიზაციის, ამხანაგური ორგანიზაციის ძალით უნდა ვაიძულოთ ისინი გვემსახურონ, უნდა განვკურნოთ ისინი ძველი მანკისაგან, ხელი შევუშალოთ, რომ თავიანთ ექსპლოატატორულ პრაქტიკას არ დაუბრუნდნენ. ისინი დარჩნენ ძველ ბურჟუებად და სხედან ოფიცრების პოსტებსა და ჩვენი არმიის შტაბებში, ისინი, ინჟინრები, და აგრონომები, ეს ძველი ბურჟუები, რომლებიც თავიანთ თავს მენშევიკებსა და ესერებს უწოდებენ. სახელწოდებით არაფერი იცვლება, მაგრამ ისინი სულიან-ხორციანად, თავით ფეხამდე, თავიანთი მსოფლმხედველობითა და ჩვეულებით ბურჟუები არიან.

რა გაეწყობა, განა ჩვენ გადავყრით მათ? ასეულ ათასებს ვერ გადაყრი! ხოლო რომ გადავყაროთ, იმავე ტოტს მოვჭრიდით, რომელზედაც ვზივართ. ჩვენ კომუნიზმს ვერაფრით ავაშენებთ, თუ არა მხოლოდ იმით, რაც კაპიტალიზმს შეუქმნია. კი არ უნდა გადავყაროთ, არამედ უნდა მოვტეხოთ მათი წინააღმდეგობა, თვალყური ვადევნოთ მათ ყოველ ნაბიჯზე, არ დავუშვათ არავითარი პოლიტიკური დათმობა, რასაც უხასიათო ადამიანები ყოველ წუთს ემორჩილებიან. კულტურული ადამიანები იმიტომ ემორჩილებიან ბურჟუაზიის პოლიტიკას და გავლენას, რომ მთელი თავიანთი კულტურა მათ შეითვისეს ბურჟუაზიული ვითარებიდან და მისი მეშვეობით. აი რატომაა, რომ ისინი ყოველ ნაბიჯზე ბორძიკობენ და პოლიტიკურ დათმობებზე მიდიან კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მიმართ.

კომუნისტი, რომელიც ამბობს, არ შეიძლება ისეთ მდგომარეობაში ჩავარდე, რომ ხელი გაისვარო, რომ მას სუფთა

კომუნისტური ხელი უნდა ჰქონდეს, რომ ის სუფთა კომუნისტური ხელით შეუდგება კომუნისტური საზოგადოების შენებას, არ გამოიყენებს საზიზღარ კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიულ კოოპერატორებს, — ცარიელი ფრაზიორია, იმიტომ რომ, პირიქით, არ შეიძლება არ გამოვიყენოთ ისინი.

პრაქტიკულად ამოცანა ამჟამად ისე დგას, რომ ისინი, ვინც კაპიტალიზმის მიერ ჩვენს წინააღმდეგ არიან აღზრდილი, შემოვაბრუნოთ ჩვენდა სამსახურად, ყოველდღე თვალყური ვადევნოთ მათ, დავუყენოთ მათ მუშა კომისრები კომუნისტური ორგანიზაციის ვითარებაში, ყოველდღე აღვკვეთოთ ხოლმე კონტრრევოლუციური მცდელობა და ამავე დროს ვისწავლოთ მათგან.

ჩვენ, საუკეთესო შემთხვევაში, მოგვეპოვება აგიტატორის, პროპაგანდისტის, იმ ადამიანის გამოცდილება, რომელიც გამობრძმედილია ფაბრიკის მუშის თუ მშიერი გლეხის მძიმე ჯოჯოხეთური ბედით, — გამოცდილება, რომელიც გვასწავლის დიდხანს გავძლოთ, შეუპოვრობა გამოვიჩინოთ ბრძოლაში, რამაც გვიხსნა აქამდე; ყოველივე ეს საჭიროა; მაგრამ ეს არ კმარა, მარტოოდენ ამით ვერ გაიმარჯვებ; გამარჯვება რომ სრული და საბოლოო იყოს, უნდა ავიღოთ კიდევ ყოველივე ის, რაც კაპიტალიზმს აქვს რიგიანი, დავეუფლოთ მთელ მეცნიერებასა და კულტურას.

მერე საიდან ავიღოთ ეს? ჩვენმა მოწინავე გლეხებმა, შეგნებულმა მუშებმა თავიანთ ფაბრიკებში უნდა ისწავლონ მათგან, ჩვენს მტერთაგან, სამაზრო მიწგანში ბურჟუაზიული აგრონომისაგან, ინჟინრისაგან და სხვ., რათა შეითვისონ მათი კულტურის ნაყოფი.

ამ მხრივ ის ბრძოლა, რომელიც ჩვენს პარტიაში წარმოიშვა გასულ წელს, მეტისმეტად ნაყოფიერი იყო; მას ცოტა მკაცრი შეჯახება როდი გამოუწვევია, მაგრამ ბრძოლა არც ხდება ისე, რომ მკაცრი შეჯახებები არ იყოს; ჩვენ კი შევიძინეთ პრაქტიკული გამოცდილება იმ საკითხში, რომელიც ჩვენს წინაშე არასდროს არ დასმულა, მაგრამ ურომლისოდაც კომუნიზმის კონსტრუქციელება ვერ მოხერხდება. ეს ამოცანა, თუ

როგორ შევაერთოთ ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუცია ბურჟუაზიულ კულტურასთან, ბურჟუაზიულ მეცნიერებასა და ტექნიკასთან, რაც დღემდე მცირეთა კუთვნილება იყო, ეს ამოცანა, კიდევ ვიტყვი, ძნელია. აქ მთელი საქმე მშრომელი მასების მოწინავე ფენის ორგანიზაციაში, დისციპლინაშია. რუსეთში რომ მილიონობით დაბეჩავებულ, უმეცარ, დამოუკიდებელი მშენებლობის სრულიად უუნარო გლეხთა, მემამულეების მიერ საუკუნეობით დაჩაგრულ გლეხთა სათავეში არ ყოფილიყო, მათ ახლოს რომ არ ყოფილიყო მოწინავე ფენა ქალაქის მუშებისა, რომლებიც მათთვის გასაგები, მახლობელი არიან, რომლებიც მათი ნდობით სარგებლობენ, რომლებსაც გლეხი დაუჯერებს, როგორც თავისიან მუშა ხალხს, რომ არ ყოფილიყო ეს ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია დარაზმოს მშრომელი მასები და ჩააგონოს მათ, განუმარტოს, დაარწმუნოს ისინი, თუ რა დიდმნიშვნელოვანია მთელი ბურჟუაზიული კულტურის მიღების ამოცანა, — მაშინ კომუნიზმის საქმე უიმედო იქნებოდა.

ამას ვამბობ არა განყენებული თვალსაზრისით, არამედ მთელი წლის განმავლობაში ყოველდღიური გამოცდილების თვალსაზრისით. თუ ამ გამოცდილებაში ბევრი წვრილმანია, ზოგჯერ მოსაწყენი, არასასიამოვნო, ამ წვრილმანებს იქით უნდა დავინახოთ რაღაც უფრო ღრმა, უნდა გავიგოთ, რომ მუშაობის ამ წვრილმანებში, შეჯახებაში ქარხნის კომიტეტსა და ინჟინერს შორის, ამა და ამ წითელარმიელსა და ამა და ამ ბურჟუაზიულ ოფიცერს შორის, ამა და ამ გლეხსა და ბურჟუაზიულ აგრონომს შორის, — რომ ამ კონფლიქტებში, შეხლა-შემოხლაში, წვრილმანებში განუზომლად უფრო ღრმა შინაარსია. ჩვენ დავძლიეთ ის ცრურწმენა, რომ ეს ბურჟუაზიული სპეციალისტები უნდა განვდევნოთო. ჩვენ ავიღეთ ეს მანქანა, ის ჯერ კიდევ ცუდად მოძრაობს, — ნუ მივეცემით ილუზიას: იგი ყოველ ნაბიჯზე ბორძიკობს, ყოველ ნაბიჯზე შეცდომებს უშვებს, ყოველ ნაბიჯზე თხრილში ვარდება, ჩვენ კი კვლავ ამოგვაქვს იგი, — მაგრამ ის ამოძრავდა, და ჩვენ მას სწორი გზით წავიყვანთ. ასე, მხოლოდ ასე დავაღწევთ თავს რღვევის

იმ ჭანჭრობს, საშინელ სიძნელეებს, გაჩანაგებას, გაველურებას, სიღატაკეს, შიმშილს, რომელშიც ომმა ჩაგვყარა, და ყველა ქვეყნის იმპერიალისტები ცდილობენ შიგ გადაგვჩეხონ და გვაიძულონ იქ ჩავრჩეთ.

და ჩვენ დავიწყეთ იქიდან ამოფოფხვა. ეს პირველი ნაბიჯებია.

ერთი წლის საბჭოთა მუშაობამ გვასწავლა ამ ამოცანის ნათლად გაგება საქარხნო პრაქტიკისა და გლეხის მუშაობის პრაქტიკის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში და ამ მუშაობის შეთვისება. ეს საბჭოთა ხელისუფლების ერთი წლის უდიდესი მონაპოვარია. ამაზე ერთი წლის დაკარგვა დასანანი არ არის. ჩვენ არ დავიწყებთ, როგორც ძველად, თეორიულად მსჯელობას საერთოდ ბურჟუაზიული სპეციალისტების მნიშვნელობაზე და პროლეტარული ორგანიზაციების მნიშვნელობაზე, ჩვენ გამოვიყენებთ ყოველ ქარხნის კომიტეტში და ყოველ საადგილმამულო ორგანიზაციაში მიღებული გამოცდილების ყოველ ნაბიჯს. თუ ჩვენ საძირკველი ჩავუყარეთ წითელ არმიას, თუ მოგვეპოვება მცირე საძირკველი, თუ მოგვეპოვება ისეთი ნაციონალიზებული საწარმოები, სადაც მუშებმა შეიგნეს თავიანთი ამოცანები და დაიწყეს შრომის ნაყოფიერების ვადიდება იმ ბურჟუაზიული სპეციალისტების დახმარებით, რომლებიც ყოველ ფეხის გადადგმაზე ცდილობენ დაბრუნდნენ უკან, ხოლო მუშების მასობრივი ორგანიზაციები აიძულებენ მათ წინ წავიდნენ საბჭოთა ხელისუფლების მხარდამხარ, — ეს საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე დიდი მონაპოვარია. ეს არის უჩინარი მუშაობა, მასში ბრწყინვალე არაფერია, მთელი მისი მნიშვნელობის შეფასება ძნელია, მაგრამ ჩვენი მოძრაობის წინ გადადგმული ნაბიჯი სწორედ იმაში ჩანს, რომ ექსპლოატატორების უბრალო დათრგუნვის უბრალო ამოცანიდან იმ ამოცანამდე მივედით, რომ ვასწავლოთ თვითონ ჩვენს თავს, ვასწავლოთ მასებს კომუნიზმის შენება კაპიტალისტური აგურებით, ვაიძულოთ კაპიტალისტური ბურჟუაზიული სპეციალისტები იმუშაონ ჩვენთვის. მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ გამარჯვებას. და ახლა ჩვენ ვიცით, რომ, მივდივართ რა ისე,

როგორც დღემდე მივდიოდით, ამ გამარჯვებას მართლაც მივაღწევთ.

ამხანაგებო, გადავალ უკანასკნელ საკითხზე, რომელიც მინდა გავაშუქო თუნდაც მოკლედ, რადგან მეტად გამიგრძელდა სიტყვა, — სოფლისადმი დამოკიდებულების საკითხზე.

თუ მე აქამდე ვლაპარაკობდი სამხედრო მუშაობაზე, დიქტატურაზე, ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოყენებაზე, აქ კომუნისტური მშენებლობის ახალი უდიდესი სიძნელეა.

როგორ მოვიქცეთ, თუ ძალაუფლებას პროლეტარიატი დაეპატრონა ისეთ ქვეყანაში, სადაც ქალაქის პროლეტარიატი უმცირესობას შეადგენს, ხოლო უმრავლესობას შეადგენენ გლეხები, რომლებიც შეჩვეული არიან მეურნეობის წარმართვას ცალ-ცალკე, სულ მთლად გაჟღენთილი არიან მეურნეობის დაქსაქსულად გაძღოლის ამ ჩვეულებით?

მაგრამ ამ გლეხთა უმრავლესობა ისეა გაჩანაგებული, გალატაკებული და გაწამებული მემამულეებისა და კაპიტალისტების უღლით, რომ ხალისით უწევენ დახმარებას პროლეტარებს. თუ ქალაქის მუშა რამდენადმე გონივრულად, ტაქტიანად, ადამიანურად, და არა ისე, როცა კაცს სურს მბრძანებლობა და ამით კანონიერ სიძულვილს იწვევს, — თუ ქალაქის მუშა რამდენადმე ადამიანურად უდგება გლეხს, ის მასში ხვდება უაღრესად ამხანაგურ ნდობას და სრულ მხარის დაჭერას. ეს ჩვენ ვიცით. საბჭოთა ხელისუფლებას ამით გააქვს თავი სოფლად. მას შეეძლო თავი გაეტანა მხოლოდ მშრომელთა უმრავლესობის უაღრესად გულწრფელი მხარის დაჭერით. ეს მხარის დაჭერა ჩვენ იმიტომ მოვიპოვეთ, რომ ქალაქის მუშები ათასნაირი გზით, რომელთა შესახებ ჩვენ წარმოდგენაც კი არა გვაქვს, დაუკავშირდნენ სოფლის ღარიბებს.

სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც წინათ ამას ხელს უშლიდა, ახლა ყოველნაირად ცდილობს დაეხმაროს ამას. მხოლოდ ამის წყალობით გააქვს თავი საბჭოთა ხელისუფლებას, მხოლოდ ამაშია გამარჯვების საწინდარი.

უდიდესი სიძნელეები, რომლებიც ეს-ეს არის მოვიხსენიე, იმაში მდგომარეობს, რომ გლეხი მიჩვეულია განმარტოებით

მუშაობას, თავისუფლად პურის გაყიდვას, და მას ჰგონია, რომ ეს კანონიერია. როგორ შეიძლება, რომ მე, — მსჯელობს ის, — რომელმაც ვიშრომე პურის მოყვანაზე, ამდენ ოფლად და სისხლად რომ მიღირს იგი, უფლება არა მქონდეს თავისუფლად გავყიდო იგი? გლეხს ეს საწყენად მიაჩნია.

მაგრამ ჩვენ ვიცით რუსეთის განვითარების მთელი გამოცდილებით, რომ თავისუფლად ვაჭრობა ნიშნავს კაპიტალისტების თავისუფლად გამრავლებას; ხოლო თავისუფლად ვაჭრობა იმ ქვეყანაში, რომელიც გაწამებულია შიმშილით, სადაც მშიერი ადამიანი ლუკმა პურისთვის მზად არის მისცეს ყველაფერი, რაც გნებავთ, მონადაც კი გახდეს, თავისუფლად ვაჭრობა, როცა ქვეყანა შიმშილობს, — ეს ნიშნავს უმცირესობის თავისუფლად გამდიდრებას და უმრავლესობის გაჩანაგებას.

ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ იმ ქვეყანაში, რომელიც შიმშილით არის გაწამებული, პირველი ამოცანაა დაეხმარო გლეხობას; მაგრამ დახმარება შეიძლება მხოლოდ მისი მოქმედების გაერთიანებით, მასების გაერთიანებით, რადგან გლეხები დაქსაქსული, დაქუცმაცებული არიან, ისინი მიჩვეული არიან ცალ-ცალკე ცხოვრებას და მუშაობას.

გარეგანი დაბრკოლებანი ამ ძნელი ამოცანის განსახორციელებლად არ არსებობს. სწორედ აქ, რაც ძალმომრეობით უნდა გაკეთებულიყო, გაკეთებულია; ჩვენ ძალმომრეობას არ უარვყოფთ; ჩვენ ვიცით, რომ გლეხებში არიან კულაკები, რომლებიც აქტიურად გვეწინააღმდეგებიან, პირდაპირ თეთრგვარდიულ აჯანყებებს აწყობენ; ეს არ შეეხება გლეხთა მთელ მასას. კულაკები უმცირესობას შეადგენენ; და აქ საჭიროა ბრძოლა და ბრძოლა, საჭიროა მათი დათრგუნვა, და ჩვენ კიდევაც ვთრგუნავთ, მაგრამ სოფლად ექსპლოატატორების დათრგუნვის ამოცანის ძლევამოსილად გადაწყვეტის შემდეგ დგება საკითხი, რომლის ძალმომრეობით გადაწყვეტა შეუძლებელია; ამ სფეროში, ისე როგორც ყველა დანარჩენ სფეროშიც, ჩვენი ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ

მასობრივი ორგანიზაციით, გლეხობაზე ქალაქის პროლეტარიატის ხანგრძლივი აღმზრდელობითი ზეგავლენით.

შეეძლებთ თუ არა ჩვენ ამ ამოცანის განხორციელებას? — დიახ; ჩვენ ეს გამოცდილებით ვიცით; და მხოლოდ იმიტომ, რომ გლეხების უდიდესი უმრავლესობა ენდობა მუშათა ხელისუფლებას, მუშებისადმი ამ ნდობის გამოცდილებაზე შეიძლება ავაგოთ საძირკველი, რომელიც უკვე დაწყებულია, და კიდევაც უნდა განვაგრძოთ მისი აგება, მაგრამ უნდა ავაგოთ ამხანაგური ზემოქმედებისა და დისციპლინის გზით.

აი ამოცანა, რომელიც პრაქტიკულად დადგა ჩვენს წინაშე.

როცა ჩვენ ვქმნიდით ღარიბთა კომიტეტებს [11], როცა ვცდილობდით საქონლის გაცვლა-გამოცვლა მოგვეხდინა სოფელთან, ჩვენ მივისწრაფოდით არა იმისკენ, რომ მდიდრებს მიეღოთ საქონელი, არამედ პირველ რიგში მიეღო ღარიბს ის მცირეოდენი საქონელი, რომლის მოცემა შეეძლო ქალაქს, რათა ღარიბთათვის დახმარების გაწევით ჩვენ შეგვძლებოდა მათი შემწეობით დაგვემარცხებინა კულაკი და ჩამოგვერთვა მისთვის ნაჭარბი პური.

მოსახლეობის პურით მომარაგების ამოცანის გადაწყვეტა უზარმაზარ ქვეყანაში, სადაც მიმოსვლის საშუალებანი ცუდია, გლეხობა დაქსაქსულია, არაჩვეულებრივ ძნელი იყო, და ამ ამოცანამ ყველაზე მეტი საზრუნავი გაგვიჩინა. ვიგონებ სახალხო კომისართა საბჭოს ყველა სხდომას და ვამბობ: არ ყოფილა არც ერთი ამოცანა, რომელზედაც ასე ბევრი ემუშაოს საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც ამ ამოცანაზე. ჩვენში გლეხები უდიდესად დაქსაქსული, დაქუცმაცებული არიან, სოფლად ყველაზე მეტია სიბნელე, ყველაზე მეტია ჩვეულება ცალკეული მეურნეობის გაძღოლისა, იქ პურის თავისუფლად გაყიდვის აკრძალვას უყურებენ, როგორც საწყენ საქმეს, აქ კი, რა თქმა უნდა, დროით სარგებლობენ და ჩნდებიან პოლიტიკური თაღლითები, ყოველგვარი ესერები და მენშევიკები, აგულისებენ გლეხებს და ეუბნებიან: «გძარცვავენო!».

ხომ არიან ისეთი არამზადები, რომლებიც საბჭოთა მუშაობის ერთი წლის შემდეგ, როცა, სხვათა შორის, სასურსათო

მუშაკებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენ უკანასკნელ თვეებში სოფელს მივეცით 42 ათასი ვაგონი პროდუქტები, ნაცვლად კი მივიღეთ მხოლოდ 39 ათასი ვაგონი ხორბალი, — არიან არამზადები, რომლებიც მაინც გაჰყვირიან: «გლეხებო, თქვენ გძარცვავთ საბჭოთა ხელისუფლებაო!».

იმ დროს, როცა მუშები წელში წყდებიან ქალაქებში, — ხოლო ისეთი საშინელი შიმშილი, როგორც ქალაქებსა და არასამიწათმოქმედო რუსეთშია, არსად არ არის, — იმ დროს, როცა გლეხებმა ხელში ჩაიგდეს მემამულეთა მთელი მიწა და თავისთვის წაიღეს პური, იმ დროს, როცა გლეხები მასობრივად, ჩვენ ეს ვიცით, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს თავისთვის მუშაობდნენ და არა ბატონისა და არა ვაჭრისთვის, და კვებაც გაიუმჯობესეს, იმ დროს, როცა ქვეყანა შიმშილით იტანჯება ქალაქებსა და არასამიწათმოქმედო ადგილებში, როცა ყველა კაპიტალისტი ცდილობს არაქათი გაგვიწყვიტოს შიმშილით, — ამ დროს მოიძებნებიან მენშევიკურ, ესერულ ან სხვა სამასხარაო ტანისამოსში გამოწყობილი ადამიანები და ბედავენ ჩიჩინს: «გძარცვავენო!». ესენი კაპიტალიზმის აგენტები არიან და ჩვენ მათ ვერც მოვეპყრობით და არც უნდა მოვეპყრათ სხვაგვარად, თუ არა როგორც კაპიტალიზმის აგენტებს!

ისეთ დროს, როცა საბჭოთა ხელისუფლება უმთავრეს სიძნელეს ხედავს შიმშილის საკითხში, ყოველი საბჭოთა ადამიანის ვალდებულებაა მთელი ნაჭარბი პური მისცეს მშიერს. ეს იმდენად ნათელია, ცხადია, ეს ისე გასაგებია ყოველი მშრომელი ადამიანისთვის, რომ ამის წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება. მხოლოდ სიცრუეს, პოლიტიკურ თაღლითობას შეუძლია, რომ უბრალო, ნათელი, ცხადი ჭეშმარიტება ბუნდოვანი, გაუგებარი გახადოს და დაამახინჯოს იგი!

ამ ჭეშმარიტებას ეყრდნობა ქალაქის მუშა. ამ ჭეშმარიტების სიცხადის გამო ასრულებს ის თავის უძნელეს საქმეს. დღემდე მუშა ეუბნებოდა ღარიბ გლეხებს: ჩვენ თქვენთან ერთად შევადგენთ საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ დასაყრდენს. ამისთვის იქმნებოდა ღარიბთა კომიტეტები, საქონლის გაცვლა-

გამოცვლის ორგანიზაციები, კოოპერატივების სავალდებულო ჩაბმა მთელი მოსახლეობის გაერთიანების საქმეში. მიწათმოქმედების სფეროში გამოცემული ყველა დეკრეტი გამსჭვალულია ამ ძირითადი აზრით, ყველა მოწოდებაში ქალაქის მუშებისადმი ნათქვამი იყო: გაერთიანდით სოფლის ღარიბებთან, უამისოდ თქვენ ვერ გადაწყვეტთ ყველაზე მნიშვნელოვან და ძნელ საკითხს — პურის საკითხს. გლეხებს კი ვეუბნებოდით: ან შენ გაერთიანდები ქალაქის მუშასთან, და მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ, ან დაემორჩილები კაპიტალისტებისა და მენშევიკურ კოსტიუმებში გამოწყობილი მათი ნოქრებისა და ლაქიების ჩაგონებასა და დარიგებას, რომლებიც ჩაგჩიჩინებენ: «ნუ გააძარცვინებ თავს ქალაქს, ივაჭრე თავისუფლად; ვინც მდიდარია, ფულსაც ის იგებს, ხოლო თუ შიმშილით დაიხოცებიან, შენ რა გესაქმებაო», — და მაშინ შენც დაიღუპები, კაპიტალისტის მონა გახდები და საბჭოთა რუსეთსაც გააჩანაგებ. მხოლოდ კაპიტალიზმის დროს მსჯელობდნენ ასე: «მე ვვაჭრობ, მე ვმდიდრდები, თვითეული თავისთვის, ღმერთი კი ყველასთვისო». ასე მსჯელობდა კაპიტალიზმი და მან ომი წარმოშვა; და აი რატომ იყვნენ მუშები და გლეხები ღატაკნი, ხოლო უმნიშვნელო რაოდენობა — მილიარდერები.

ამოცანა ის არის, თუ როგორ უნდა მივუდგეთ გლეხს პრაქტიკულ მუშაობაში, როგორ დავრაზმოთ ღარიბები და საშუალო გლეხი, რათა ყოველ ნაბიჯზე ვებრძოლოთ მათს ლტოლვას ძველისადმი, უკან, თავისუფალი ვაჭრობისაკენ დაბრუნების ცდას, მათს მუდმივ მისწრაფებას «თავისუფლად» წარმართონ მეურნეობა. სიტყვა «თავისუფლება» კარგი სიტყვაა; ყოველ ნაბიჯზე გვესმის «თავისუფლება»: «თავისუფლება» ვაჭრობისა, გაყიდვისა, თავის გაყიდვისა და სხვ.. და მოიძებნებიან მენშევიკები და ესერები, არამზადები, რომლებიც ამ მშვენიერ სიტყვას «თავისუფლებას» ყოველ გაზეთსა და სიტყვაში აბრუნებენ და აუღლებენ; მაგრამ ყველა ესენი სულ ერთიანად მატყუარები, კაპიტალიზმის პროსტიტუტები არიან, რომლებიც უკან ეწევიან ხალხს.

ბოლოს, სახალხო კომისართა საბჭოს, ისე როგორც თავდაცვის საბჭოს, ზრუნვის მთავარი საგანი და მოქმედების მიზანი უკანასკნელ დროს, უკანასკნელ თვეებსა და კვირეებში შიმშილთან ბრძოლა იყო.

შიმშილი ჩვენთვის უდიდესი ბოროტებაა სწორედ ახლა, გაზაფხულის წინ; გაზაფხულზე კი უაღრესად მძიმე პერიოდი მოგველის. როგორც გასულ წელს ზამთრის მიწურული, გაზაფხული და ზაფხულის დამდეგი ყველაზე მძიმე დრო იყო, ისე წელსაც სწორედ ახლა შევდივართ მძიმე ხანაში. ახლა კვლავ ძლიერდება თეთრგვარდიელთა, მემამულეთა და კაპიტალისტთა იმედები იმისა, რომ მათ, რომლებსაც არ ძალუძთ საბჭოთა ხელისუფლების მოტეხა აშკარა ბრძოლაში, იქნებ ერთხელ კიდევ ხელი მოითბონ შიმშილზე.

და იმ ადამიანებსაც, რომლებიც მენშევიკებსა და ესერებს, მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს უწოდებენ თავს, რომლებიც ისე დაბლა ეცემიან, რომ სიტყვიერად მუშა ხალხის მომხრეებად აცხადებენ თავს, ხოლო როდესაც სასურსათო მდგომარეობა მწვავდება, როდესაც შიმშილის საფრთხე გვემუქრება, ცდილობენ ხელი მოითბონ მასზე და ხალხის მასებს უსისიანებენ მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას, არ ესმით, რომ როგორც მემარცხენე ესერის, მურავიოვის, ღალატი შარშან აღმოსავლეთის ფრონტზე თეთრგვარდიელებთან ომში ათი ათასობით მუშისა და გლეხის სიცოცხლედ დაჯდა, ისე ახლაც ყოველგვარი ასეთი პოლიტიკა, ყოველგვარი აგიტაცია და შიმშილის გამოყენება, რომელსაც მემარცხენე ესერები მიმართავენ ვითომდა მუშების სასარგებლოდ, თეთრგვარდიელთა პირდაპირი დახმარებაა და სხვა არაფერი. ყოველგვარი ასეთი აგიტაცია ათასობით ზედმეტ მსხვერპლს იწირავს თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ომში. გასულ წელს, როდესაც მურავიოვმა გვიღალატა, მან კინაღამ გახსნა მთელი ფრონტი და მთელი რიგი მძიმე დამარცხებანი გამოიწვია.

ამიტომ მე მსურს უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად სულ მოკლედ შევეხო მთავარ ფაქტებს.

თუ ახლა ჩვენი მდგომარეობა კვლავ, როგორც გასული წლის გაზაფხულზე, სურსათის მხრივ გაუარესდა, ახლა სერიოზული იმედი გვაქვს არა მარტო იმისა, რომ დავძლევთ ამ სიძნელეს, არამედ იმისაც, რომ გასულ წელზე უკეთ დავაღწევთ მას თავს. ეს იმედი იმას ემყარება, რომ აღმოსავლეთსა და სამხრეთში საქმე გაცილებით უკეთაა, ხოლო აღმოსავლეთი და სამხრეთი მთავარი ბეღლებია რუსეთის პურისა. თავდაცვის საბჭოს და სახალხო კომისართა საბჭოს მთელ რიგ თათბირებზე უკანასკნელ დღეებში ჩვენ ზუსტად გამოვარკვიეთ, რომ ყაზანისა და სარატოვის გზებზე და ვოლგა-ბუგულმინის გზაზე, სამარიდან აღმოსავლეთისკენ, ვოლგას იქით, დაგროვილია ჩაყრილი მზა ხორბალი 9 მილიონ ფუთამდე.

მთელი უდიდესი სიძნელე, მთელი დიდი საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ტრანსპორტი ისეა დაავადებული, ორთქლმავლების ისეთი დიდი ნაკლებობაა, რომ დარწმუნებული არა ვართ, გამოვიტანთ თუ არა ამ პურს. ასეთი იყო მთავარი საზრუნავი ჩვენს მუშაობაში უკანასკნელ ხანებში, და აი რატომ მივმართეთ ისეთ ღონისძიებას, როგორიცაა სამგზავრო მოძრაობის შეწყვეტა, სრული შეჩერება 18 მარტიდან 10 აპრილამდე.

ჩვენ ვიცით, რომ ეს მძიმე საქმეა. მოიძებნებიან აგიტატორები, რომლებიც ეხმარებიან თეთრგვარდიელებს და მორთავენ ყვირილს: «შეხედეთ, ხალხი შიმშილობს, მას კი სამგზავრო მატარებლები წაართვეს, რომ პურის წაღება შეუძლებელი გახდესო». ასეთი აგიტატორები არიან. მაგრამ ჩვენ ვეუბნებით ჩვენს თავს: ყველა სიძნელის დროს ჩვენ იმედს ვამყარებთ შეგნებულ პატიოსან მუშებზე, და ისინი ჩვენს მხარეზე იქნებიან.

მოძრაობის შეჩერება, როგორც სპეციალისტებმა გვაცნობეს, 220 ორთქლმავალს გაათავისუფლებს. ეს სამგზავრო ორთქლმავლები საქონლის ორთქლმავლებზე უფრო სუსტია, უფრო ნაკლებ ზიდვაუნარიანია, მაგრამ ჩვენ ვიანგარიშეთ, რომ მათ შეუძლიათ ამ ხნის განმავლობაში მოგვცეან სამნახევარ მილიონ ფუთამდე. ხოლო ამ ხნის განმავლობაში

რომ პური ცალ-ცალკე ეზიდათ მეტომრეებს, მშიერ ადამიანებს, რომლებიც დაძრწიან ვინ სად, საუკეთესო შემთხვევაში მათ შეეძლოთ გამოეტანათ ნახევარი მილიონი ფუთი. ამის სიმართლეს დაადასტურებს ყოველი გამოცდილი რკინიგზელი მუშა, ყველა, ვისაც გაუვლია ვოლგის იქითა გზაზე და უნახავს, ზოგჯერ როგორ ყრია ხორბალი პირდაპირ თოვლზე. ხორბლიანი ტომრები შეიძლება დაიღუპოს, ხორბალი ისედაც ტენიანია; განსაკუთრებით ცუდად წავა საქმე, როცა წყალდიდობა დაიწყება. მაგრამ ჩვენ ამ მძიმე ღონისძიებას მივმართეთ, დარწმუნებულებმა იმაში, რომ მუშების უდიდეს მასას სიმართლეს ვერ დაუმალავ, რომ მათ მემარცხენე ესერების აგიტატორები სწორი გზიდან ვერ გადაახვევინებენ და ეს სიმართლე გაიმარჯვებს.

და ისეთ მძიმე ღონისძიებას, როგორიცაა სამგზავრო მოძრაობის შეჩერება, შეუძლია მოგვცეს რამდენიმე მილიონი ფუთი პური. თუ უკუვაგდებთ სიცრუეს, ცილისწამებასა და ჩმახვას, თითქოს სამგზავრო მოძრაობის შეწყვეტა მავნებელია, უნდა ვთქვათ, რომ ეს საკმაო პურს მოგვცემს პეტროგრადის, მოსკოვისა და ივანოვო-ვოზნესენსკის მუშების დახმარებით, რომლებიც ამისთვის მიემგზავრებიან სამხრეთში. სხვათა შორის უნდა ვთქვა, რომ არც ერთ ქალაქს არ მოუცია იმდენი ძალა სასურსათო საქმის მოსაწყობად, როგორც პეტროგრადმა მოგვცა; მისი ყველა საუკეთესო ძალა უკვე გაგზავნილია სამუშაოზე, და სწორედ ასე უნდა მოიქცნენ მოწინავე ქალაქთა მუშები.

სოციალისტურ რევოლუციას უმუშათაკლასოდ ვერ მოახდენ; მას ვერ მოახდენ, თუ მუშათა კლასში დაგროვილი არ არის იმდენი ძალები, რომ უხელმძღვანელოს ათეული მილიონობით კაპიტალიზმის მიერ დაბეჩავებულ, განაწამებ, უცოდინარ და დაქსაქსულ სოფლელებს. მათი ხელმძღვანელობა კი შეუძლიათ მხოლოდ მოწინავე მუშებს. მაგრამ საუკეთესო ძალები უკვე ამოიწურა, წელში გაწყდა და მოიქანცა. ისინი უნდა შევცვალოთ, უნდა ავამოძრაოთ საშუალო გლეხები, ახალგაზრდობა. შესაძლოა, მათ შეცდომები დაუშვან, — არა უშავს რა;

ოლონდ ერთგული იყვნენ მუშათა საქმისა, აღზრდილი იყვნენ პროლეტარული ბრძოლის ვითარებაში.

ჩვენ უკვე მივიღეთ მთელი რიგი ღონისძიებები, რომ ვოლგა-ბუგულმინის გზაზე გაიგზავნოს საუკეთესო ძალები. მუშების რაზმთან ერთად იქ გაემგზავრა ამხ. ბრიუხანოვი. სამხედრო რაზმები და მათთან ერთად მუშები გაიგზავნენ სხვა გზებზედაც, და, ვიმეორებ, სერიოზული იმედი გვაქვს, რომ პური გვექნება. გვექნება მძიმე ნახევარწელი, მაგრამ ეს იქნება უკანასკნელი მძიმე ნახევარწელი, იმიტომ რომ იმ მტრის ნაცვლად, რომელიც მაგრდებოდა, ჩვენ გვყავს მტერი, რომელიც ირღვევა, რადგან ყველა ქვეყანაში იზრდება საბჭოთა მოძრაობა.

ასეთია ის საფუძვლები, რომელთა მიხედვით ჩვენ, ფრთხილი მსჯელობისა და გაანგარიშებათა მრავალგზის შემოწმების შემდეგ, განვაცხადეთ, რომ სამგზავრო მოძრაობის შეწყვეტა საშუალებას მოგვცემს გადმოვზიდოთ რამდენიმე მილიონი ფუთი პური და გამოვიყენოთ აღმოსავლეთისა და სამხრეთის უმდიდრესი ბეღლები. ამ მძიმე ნახევარწელს ჩვენ დავძლევთ ჩვენს მთავარ მტერს, შიმშილს, და, გარდა ამისა, ჩვენ ახლა გასულ წელზე უკეთეს პირობებში ვიმყოფებით, იმიტომ რომ მარაგი გვაქვს.

შარშან ჩეხოსლოვაკები ყაზანამდე და სიმბირსკამდე მოვიდნენ, უკრაინა გერმანელების ჩექმებქვეშ გმინავდა, კრასნოვი გერმანიის ფულით ჯარებს აგროვებდა დონზე, ხოლო სამხრეთი მოწყვეტილი იყო ჩვენგან; ახლა კი უკრაინა თავისუფლდება გერმანიის იმპერიალისტებისაგან, რომლებსაც უნდოდათ უკრაინიდან გაეტანათ 60 მილიონი ფუთი პური, ხოლო გაიტანეს სულ მხოლოდ 9 მილიონი და დამატებით გაიტანეს ისეთი რამ, რასაც ისინი ვერ მოინელებენ, — გაიტანეს ბოლშევიზმი. სწორედ მასზე მოიტეხეს კისერი გერმანიის იმპერიალისტებმა, მასზე მოიტეხენ კისერს საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტებიც, თუ საშუალება მიეცათ ღრმად შემოიჭრან რუსეთში.

ახლა ჩვენ გვაქვს საბჭოთა უკრაინა. ხოლო უკრაინის საბჭოთა მთავრობა ჩვენ, როცა პურის საკითხი დადგება, დაგვიფასებს არა მევახშურად, არა ისე, როგორც აფასებს სპეკულანტი და ის გლეხი, რომელიც ამბობს: «მშიერი ათას მანეთსაც გადაიხდის ფუთში, ფეხზე მკიდია სახელმწიფო მონოპოლია, მე მხოლოდ ჯიბე გავისქელო, ხოლო თუ ხალხი შიმშილობს, მით უკეთესი, მეტს მომცემენო». ასე მსჯელობს სოფლის ბურჟუაზია, ასე მსჯელობენ კულაკები, სპეკულანტები, და მათი დამხმარეა ყველა, ვინც გაჰყვირის პურის მონოპოლიის წინააღმდეგ, ვინც იცავს ვაჭრობის «თავისუფლებას», ე. ი. მდიდარი გლეხის უფრო გამდიდრების თავისუფლებას და მუშის შიმშილით საბოლოოდ სიკვდილის თავისუფლებას, მუშისა, რომელიც ვერაფერს მიიღებს. და უკრაინის მთავრობამ თქვა: «პირველი ამოცანაა — დავეხმაროთ დამშეულ ჩრდილოეთს. უკრაინა ვერ გასძლებს, თუ ვერ გასძლო შიმშილობით განაწამებმა ჩრდილოეთმა; უკრაინა გასძლებს და უეჭველად გაიმარჯვებს, თუ დაეხმარა დამშეულ ჩრდილოეთს».

უკრაინაში პურის უზარმაზარი მარაგია. მაგრამ მთლად ერთბაშად მისი წამოღება შეუძლებელია. უკრაინაში ჩვენ გავგზავნეთ ჩვენი საუკეთესო საბჭოთა ძალები და უკვე მივიღეთ ასეთი ერთობლივი ცნობა: «პურის უდიდესი მარაგია, მაგრამ მთლად ერთბაშად მისი გამოზიდვა შეუძლებელია, არა გვყავს აპარატი». გერმანელებმა იმდენად გააჩანაგეს უკრაინა, რომ იქ მხოლოდ ახლა ყალიბდება მცირეოდენი აპარატი; იქ სრული ქაოსია. გაჭირვების ის ხანა, როცა ჩვენ სმოლნში ვისხედით პირველ კვირეებში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და ვებრძოდით ნგრევას, არარაა იმ სიძნელეებთან შედარებით, რასაც ამჟამად უკრაინა განიცდის. მოისმის უკრაინელი ამხანაგების გოდება, არა გვყავს ხალხი, არავინაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ააშენოს, არა გვყავს არავითარი აპარატი, არა გვაქვს ისეთი პროლეტარული ცენტრი, როგორიცაა პიტერი ან მოსკოვი, ხოლო უკრაინის პროლეტარული ცენტრები მტრის ხელშიაო. კიევი არ არის **პროლეტარული**

ცენტრი, შიმშილით გაწამებული დონეცის აუზი განთავისუფლებული არ არის კაზაკებისაგან. «დაგვეხმარეთ, ჩრდილოეთის მუშებო!»

ამიტომ უკრაინელი ამხანაგების სახელით ვეუბნებით პიტერის მუშებს, თუმცა ვიცით, რომ მათ ყველა სხვა ქალაქზე მეტი მოგვცეს: «მოგვეცით კიდევ, კიდევ დაძაბეთ თქვენი ძალ-ღონე!». ახლა ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა დავეხმაროთ უკრაინელ ამხანაგებს, იმიტომ რომ მათ უხდებათ საბჭოთა ხელისუფლების აპარატის შენება იმ ადგილას, რომელიც ისეა გაწმენდილი და აოხრებული ტანჯვით, როგორც არსად არ განუცდიათ და არ უტანჯიათ!

ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ჩვენ განვიხილეთ ეს მდგომარეობა და მივეცით დავალება — ჯერ ყველაფერი გააკეთეთ აპარატის მოსაწყობად უკრაინაში, როცა იარაღი გექნებათ ხელში და აპარატიც, შეუდექით მუშაობას, ხოლო 1 ივნისისთვის მიიღეთ ამისთვის 50 მილიონი ფუთი პურიო.

მე სრულიადაც არ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს ამოცანა შესრულებული იქნება. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ, რამდენი ამოცანაც კი ვიკისრეთ, მათი შესრულება ვერ შევძელით დათქმულ ვადაზე. დაე ამ ამოცანის მხოლოდ ნაწილი შესრულდეს. მაგრამ მაინც მტკიცედ იცოდეთ, რომ შავი დღისთვის, როცა შიმშილი უფრო და უფრო გამწვავდება ჩვენში და როცა აღმოსავლეთსა და სამხრეთში სრულიად ამუშავდება მთელი სასურსათო აპარატი, საშუალება იქნება მივიღოთ სასწრაფო დახმარება სამხრეთიდან და გავიუმჯობესოთ მდგომარეობა.

გარდა უკრაინისა, კიდევ გვაქვს წყარო — დონის ოლქი. იქ წითელი არმიის გამარჯვებებმა სასწაულები მოახდინა. რამდენიმე კვირის წინათ დონში კრასნოვთან, მთავარ მტერთან, ოფიცრებთან, კაზაკებთან ომში, რომლებსაც მილიონებით ქრთამავდნენ ჯერ გერმანელები, ხოლო შემდეგ ინგლისელები და ფრანგები, და ახლაც განაგრძობენ მათ დახმარებას, — რამდენიმე კვირის წინათ ჩვენი მდგომარეობა მძიმე იყო; დღეს კი უდიდესი სისწრაფით დავიპყარით ამ ოლქის ტერიტორია არათუ ცარიცინამდე, არამედ ცარიცინსაც გავ-

ცილდით სამხრეთით. კრასნოვის და დონის კონტრრევოლუციონერები გავტეხეთ და იმპერიალისტების ვერავითარმა დახმარებამ მათ ვერ უშველა.

მერე რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მივუახლოვდით ქვანახშირსა და პურს, ურომლისოდაც ვიღუპებით, რადგან ქვანახშირის ნაკლებობის გამო ჩერდებიან რკინიგზები და ფაბრიკები, პურის ნაკლებობის გამო მუშები ქალაქებში და საერთოდ არასამიწათმოქმედო ადგილებში შიმშილით იტანჯებიან.

დონში, ისე როგორც უკრაინაში, პურის უდიდესი მარაგია; გარდა ამისა, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იქ აპარატი არ იყოს; ყოველ სამხედრო ნაწილში არის კომუნისტური უჯრედი, მუშა-კომისრები, სასურსათო მუშაკთა ჯგუფები; მთავარი სიძნელე იქ ის იყო, რომ თეთრგვარდიელები უკან დახევისას აფეთქებდნენ ხიდებს და ამიტომ გზის ორი მთავარი ხაზიდან არც ერთი არ ვარგოდა.

თავდაცვის საბჭოს და სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელი სხდომა ჩვენ მოვანდომეთ სპეციალისტების გამოწვევას და მათ დაკითხვას იმის შესახებ, თუ როგორ გვეშოვა მასალა ხაზების შესაკეთებლად და როგორ შეგვეკეთებინა თუნდაც ერთი მათგანი. თავდაცვის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე ჩვენ დავრწმუნდით, რომ ძალ-ღონის უდიდესი დაძაბვით არათუ მასალები მოიტანეს, არამედ ადგილობრივი ამხანაგები გვარწმუნებენ, რომ ისინი წყალდიდობამდე ორივე ხაზის აღდგენის თითქმის გარანტიასაც იძლევიან. ტრანსპორტის ორი ხაზის ეს აღდგენა ჩვენ, შესაძლებელია, კაზაკებზე მრავალ გამარჯვებად გვიღირს, და ეს საშუალებას გვაძლევს ვთქვათ: «უნდა გავძლოთ კიდევ რამდენიმე მძიმე თვე, დავძაბოთ ძალ-ღონე, დაგვახმაროთ პეტროგრადის, მოსკოვისა და ივანოვო-ვოზნესენსკის მუშები». გარდა აღმოსავლეთისა, საიდანაც ძნელია რაიმეს გამოტანა, გარდა უკრაინისა, სადაც უდიდესი მარაგია, მაგრამ არ არის აპარატი, არსებობს დონი, დამარცხებული წითელი არმიის მიერ. აი რატომ ვამბობთ ჩვენ ფრთხილად, ფხიზელი გაანგარიშებით, მას შემდეგ, რაც ყოველივე

ეს შევამოწმეთ ადგილებიდან მიღებული მრავალგზისი მოხსენებებითა და ცნობებით და მოვუსმინეთ სასურსათო და რკინიგზის საქმის სპეციალისტებს, რომ ჩვენ გვაქვს უაღრესად სერიოზული, დასაბუთებული რწმენა, რომ არათუ შეგვიძლია გავძლოთ ისე, როგორც შარშან გავძელით, არამედ შეგვიძლია მნიშვნელოვნადაც გავიუმჯობესოთ მდგომარეობა.

ჩვენი მტერი შინაგანად იხრწნება, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გასძლებს დიდხანს ვერც გარეშე მტერი. ამხანაგებო, ამაში ჩვენ განსაკუთრებით იმან დაგვარწმუნა, რაც გავიგონეთ აქ ჩამოსული უცხოელი ამხანაგებისაგან, რომლებთანაც ერთად ამას წინათ მოსკოვში კომუნისტური ინტერნაციონალი დავაარსეთ. პარიზში სახალხო კრებებზე ტრიბუნიდან აგდებენ ორატორებს ბოლშევიზმის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. დიახ, გამარჯვება ჩვენს მხარეზეა! იმპერიალისტებს კვლავ შეუძლიათ ათასობით მუშის სისხლი დაღვარონ, მოჰკლან როზა ლუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტი, ინტერნაციონალის ასობით საუკეთესო წარმომადგენლები, შეუძლიათ სოციალისტებით აავსონ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის საპყრობილეები, მაგრამ ეს ვერ უშველის! გამარჯვება ჩვენს მხარეზეა! ვინაიდან, თუ რა არის საბჭოები, რა არის საბჭოთა ხელისუფლება — ეს, მიუხედავად მთელი სიცრუისა, ტყუილისა და ბინძური ცილისწამების მთელი ნიაღვრისა, გაიგეს ყველა ქვეყნის მუშებმა. და ყველა ქვეყნის კაპიტალისტებს გამოსავალი არა აქვთ. ვიმეორებ, ისინი წაეჩხუბებიან ერთმანეთს მაშინ, როდესაც ზავს შეკრავენ. საფრანგეთი მზად არის ეკვეთოს იტალიას, ისინი ვერ გაიყოფენ ნადავლს, იაპონია იარაღდება ამერიკის წინააღმდეგ. მათ გაუგონარი ხარკი, მილიარდობით სამხედრო სესხი დააკისრეს ხალხებს. მაგრამ ხალხები ყველგან დატანჯული არიან ომით, ყველგან პროდუქტების ნაკლებობაა, წარმოება შეჩერებულია, ყველგან შიმშილობაა. ანტანტას, რომელიც დახმარებას ჰპირდება კონტრრევოლუციონერებს მარჯვნივ და მარცხნივ, თავისი ქვეყნებიც ვერ გამოუკვებავს. პარიზის, ლონდონისა და ნიუიორკის მუშათა მასებმა სიტყვა «საბჭო» თარგმნეს თავიანთ

ენებზე, გასაგები გახადეს ეს სიტყვა ყოველი მუშისთვის, რადგან იციან, რომ ძველი ბურჟუაზიული რესპუბლიკით საქმეს ვერ უშველი, რომ შველა შეუძლია მხოლოდ მუშათა ხელისუფლებას.

და თუ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების წინაშე უდიდესი სიძნელეები დგას, ეს იმიტომ, რომ რუსეთს თავს დაატყდა მსოფლიოს ყველაზე მეტად შეიარაღებული, ყველაზე ძლიერი სახელმწიფოების სამხედრო ძალა. მიუხედავად ამისა, რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო მთელი მსოფლიოს მუშების თანაგრძნობის, ყურადღებისა და ზნეობრივი მხარის დაჭერის მოპოვება. და ამ სრულიად გაუზვიადებელი მონაცემების საფუძველზე, არ ვხუჭავთ რა თვალს იმაზე, რომ როგორც გერმანიაში, ისე სხვა ქვეყნებში იღვრება მუშების სისხლი და სოციალიზმის მრავალი საუკეთესო ბელადი იღუპება, მხეცურად წამებული, — ეს ჩვენ ვიცით და ამაზე თვალს არ ვხუჭავთ, — ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გამარჯვება ჩვენს მხარეზეა, სრული გამარჯვება, იმიტომ რომ სხვა ქვეყნების იმპერიალისტები შეირყნენ, მუშები უკვე თავს აღწევენ თავბრუდახვევისა და მოტყუების მდგომარეობას, საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე მიაღწია იმას, რომ იგი სცნეს მთელი მსოფლიოს მუშებმა; ყველგან იმედებს ამყარებენ მხოლოდ საბჭოების შექმნაზე, იმედს მხოლოდ იმაში ხედავენ, რომ მუშები ხელთ აიღებენ ძალაუფლებას.

ხოლო როდესაც მუშები გაიგებენ, რომ ჩამორჩენილ ქვეყანაში თვით განუვითარებელმა, გაერთიანებულმა მუშებმა, ხელთ იგდეს რა ძალაუფლება, შესძლეს ისეთი ძალის შექმნა, რომელიც წინააღმდეგობას უწევს მთელი მსოფლიოს იმპერიალისტებს, რომ ამ მუშებმა შესძლეს ფაბრიკების ჩამორთმევა კაპიტალისტებისთვის და მემამულეთა მიწების გადაცემა გლეხებისთვის, — როცა ეს სიმართლე შეაღწევს ყველა ქვეყნის მუშათა მასებში, მაშინ ერთხელ კიდევ შეიძლება სრული რწმენით ითქვას ყველას გასაგონად, რომ ჩვენი გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფილია, რადგან ბურჟუაზია შეირყა, ის ვეღარ მოატყუებს მუშებს, ვინაიდან ყველგან

წარმოიშვა საბჭოთა მოძრაობა, და ჩვენც მალე დავინახავთ, როგორც 1917 წლის 25 ოქტომბერს დავინახეთ საბჭოთა რესპუბლიკის წარმოშობა, როგორც ამ დღეებში დავინახეთ მოსკოვში III, კომუნისტური ინტერნაციონალის წარმოშობა, — ასევე მალე დავინახავთ საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკის წარმოშობას. (სიტყვა წყდებოდა და დამთავრდა ხანგრძლივი ტაშით.)

ძალიან ვთხოვ პიტერელ ამხანაგებს ქვემომოყვანილი დაბეჭდონ ჩემი სიტყვის წინასიტყვაობად ან ბოლოსიტყვაობად, თუნდაც სულ წვრილი პეტიტით.

17/IV.

ლენინი

ბოლოსიტყვაობა [12]

ცოტა შრომა როდი დამიხარჯავს ჩემი სიტყვის ჩანაწერის გასწორებაზე, ამიტომ იძულებული ვარ დიდი თხოვნით მივმართო ყველა იმ ამხანაგს, ვისაც სურს ჩემი სიტყვები ჩაწეროს პრესისთვის.

თხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ არასოდეს არ ენდონ ჩემი სიტყვების არც სტენოგრაფიულ და არც სხვა რაიმე ჩანაწერს, არასოდეს არ გამოედევნონ მათ ჩაწერას, არასოდეს არ დაბეჭდონ ჩემი სიტყვების ჩანაწერები.

ნაცვლად ჩემი სიტყვების ჩანაწერისა, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, დაბეჭდონ ამ სიტყვების ანგარიში. გაზეთებში მე მინახავს ჩემი სიტყვების ისეთი ანგარიშები, რომლებიც დამაკმაყოფილებელი ყოფილა. მაგრამ მე ერთხელაც არ მინახავს ჩემი სიტყვის რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებელი ჩანაწერი. მე არ ვკისრულობ იმის განსჯას, თუ რატომ ხდება ეს, ჩემი სიტყვის მეტისმეტად სწრაფი წარმოთქმის, მისი უმართებულოდ აგებისა თუ სხვა რამის გამო, მაგრამ ფაქტი ფაქ-

ტად რჩება. ჩემი სიტყვის არც ერთი დამაკმაყოფილებელი ჩანაწერი, არც სტენოგრაფიული და არც სხვა რაიმე, ჯერ არც ერთხელ არ მინახავს.

უმჯობესია სიტყვის კარგი ანგარიში, ვიდრე მისი ცუდი ჩანაწერი. სწორედ ამიტომაც გთხოვთ: არასოდეს არ დაბეჭდოთ ჩემი სიტყვების არავითარი ჩანაწერი.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

17. IV. 1919.

ი. მ. სვერდლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკ-ის საგანგებო სხდომაზე 1919 წ. 18 მარტს

ამხანაგებო! იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვის დაკრძალვა ჩვენ გვიხდება იმ დღეს, როცა მთელი მსოფლიოს მუშები დღესასწაულობენ პარიზის კომუნის გმირულ აღმავლობას და მის ტრაგიკულ ბოლოს. ამხ. სვერდლოვს წილად ხვდა ჩვენი რევოლუციის მსვლელობაში, მის გამარჯვებებში, უფრო სრულად და უფრო მთლიანად გამოეხატა, ვიდრე რომელიმე სხვას, პროლეტარული რევოლუციის ყველაზე მთავარი და ყველაზე არსებითი მხარეები, და სწორედ ამაში მდგომარეობს კიდევ უფრო მეტად, ვიდრე რევოლუციური საქმისადმი მის თავდადებულ ერთგულებაში, მისი, როგორც პროლეტარული რევოლუციის ბელადის, მნიშვნელობა.

ამხანაგებო! იმ ადამიანების შეხედულებით, რომლებიც ზერელედ მსჯელობენ, ჩვენი რევოლუციის ურიცხვი მტრების ან იმათი შეხედულებით, ვინც დღემდე მერყეობს რევოლუციასა და მის მოწინააღმდეგეთა შორის, — ამ ადამიანების შეხედულებით ყველაზე უფრო თვალში გვხვდება რევოლუციის ის მხარე, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა ექსპლოატატორებთან და მშრომელი ხალხის მტრებთან გადამჭრელი, ულმობელი მტკიცე ანგარიშის გასწორებაში. ეჭვი არ არის, რომ ამ მხარის გარეშე, — რევოლუციური ძალმომრეობის გარეშე, — პროლეტარიატი ვერ გაიმარჯვებდა, მაგრამ არ შეიძლება აგრეთვე დაეჭვება იმაშიც, რომ რევოლუციური ძალმომრეობა წარმოადგენდა რევოლუციის აუცილებელ და კანო-

ნიერ საშუალებას მხოლოდ მისი განვითარების განსაზღვრულ მომენტებში, მხოლოდ განსაზღვრულ და განსაკუთრებულ პირობათა არსებობისას, მაშინ როდესაც ამ რევოლუციის გაცილებით უფრო ღრმა, მუდმივ თვისებას და მის გამარჯვებათა პირობას წარმოადგენდა და წარმოადგენს პროლეტარული მასების ორგანიზაცია, მშრომელთა ორგანიზაცია. აი მილიონობით მშრომელთა ამ ორგანიზაციაში მდგომარეობს სწორედ რევოლუციის საუკეთესო პირობები, მის გამარჯვებათა ყველაზე ღრმა წყარო. პროლეტარული რევოლუციის სწორედ ამ თვისებამ წამოაყენა ბრძოლის მსვლელობაში ისეთი ბელადები, რომლებმაც ყველაზე მეტად განასახიერეს რევოლუციაში ეს წინათ არნახული თავისებურება — მასების ორგანიზაცია. პროლეტარული რევოლუციის ამ თვისებამ წამოაყენა ისეთი ადამიანიც, როგორც ი. მ. სვერდლოვი, რომელიც უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ორგანიზატორი იყო.

ამხანაგებო! ჩვენ, რუსებს, რევოლუციონერებისთვის განსაკუთრებით მძიმე ხანებში, რევოლუციის მძიმე, ხანგრძლივი, ზოგჯერ მტანჯველი და უზომოდ დიდხანს მზადების ხანებში, ყველაზე მეტ ზიანს გვაყენებდა შეუთანხმებლობა თეორიასა, პრინციპებსა, პროგრამასა და საქმეს შორის, ჩვენ ყველაზე უფრო ხშირად გვაყენებდა ზიანს მეტისმეტად ღრმად ჩაფლობა თეორიაში, რომელიც მოწყვეტილი იყო უშუალო მოქმედებას.

რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორია მრავალი ათეული წლის განმავლობაში იცნობს იმ ადამიანების მარტიროლოგს, რომლებიც თავდადებული იყვნენ რევოლუციური საქმისა, მაგრამ რომლებსაც შესაძლებლობა არ ჰქონდათ პრაქტიკული გამოყენება ეპოვათ თავიანთი რევოლუციური იდეალებისთვის. ამ მხრივაც პროლეტარულმა რევოლუციამ პირველად შეუქმნა წინანდელ ერთეულებს, რევოლუციური ბრძოლის გმირებს ნამდვილი ნიადაგი, ნამდვილი ბაზა, ნამდვილი პირობები, ნამდვილი აუდიტორია და ნამდვილი პროლეტარული არმია, სადაც ამ ბელადებს შეეძლოთ თავი გამოეჩინათ. ამ მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩევიან სწორედ

ის ბელადები, რომლებმაც, როგორც პრაქტიკულად მოქმედმა ორგანიზატორებმა, შესძლეს ისეთი განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილის მოპოვება, როგორიც მოიპოვა და რომლითაც დამსახურებულად სარგებლობდა ი. მ. სვერდლოვი.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ პროლეტარული რევოლუციის ამ ბელადის ცხოვრების გზას, მაშინვე დავინახავთ, რომ მისი შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭი გამომუშავდა ხანგრძლივი ბრძოლის მსვლელობაში, რომ პროლეტარული რევოლუციის ამ ბელადმა დიდი რევოლუციონერის თვითეული თავისი შესანიშნავი თვისება თვითვე გამოსჭედა, განვლო და განიცადა სხვადასხვა ეპოქა რევოლუციონერის მოღვაწეობის ყველაზე მძიმე პირობებში. თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში, ჯერ კიდევ სავსებით ჭაბუკი, იგი, განიმსჭვალა თუ არა პოლიტიკური შეგნებით, ერთბაშად და მთლიანად გადაეშვა რევოლუციაში. ამ ეპოქაში, როცა მხოლოდ იწყებოდა XX საუკუნე, ჩვენს წინაშე ამხ. სვერდლოვი იყო, როგორც პროფესიონალი რევოლუციონერის უაღრესად გამოკვეთილი ტიპი, — ადამიანი, რომელსაც სავსებით უარეყო ოჯახი, ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების ყოველგვარი პირობები და ჩვევები, ადამიანი, რომელიც მთლიანად და თავდადებით მიეცა რევოლუციას და რომელმაც ხანგრძლივი დროის, ათეული წლების განმავლობაშიც კი, გადადიოდა რა საპყრობილიდან გადასახლებაში და გადასახლებიდან საპყრობილეში, გამოიჭედა ის თვისებები, რომლებიც დიდი, დიდი ხნით აკაჟებდნენ რევოლუციონერებს.

მაგრამ ეს პროფესიონალი რევოლუციონერი არასოდეს, ერთი წუთითაც არ სწყდებოდა მასებს. თუ ცარიზმის პირობები უმზადებდნენ მას, ისე როგორც ყველა მაშინდელ რევოლუციონერს, უმთავრესად ფარულ, არალეგალურ მუშაობას, ამხ. სვერდლოვი ამ ფარულ და არალეგალურად მუშაობაშიც ყოველთვის მხარდამხარ და ხელიხელჩაკიდებული მიდიოდა მოწინავე მუშებთან ერთად, რომლებმაც სწორედ XX საუკუნის დამდეგიდან იწყეს შეცვლა ინტელიგენციიდან გამოსული რევოლუციონერების ძველი თაობისა.

სწორედ ამ დროს მოწინავე მუშები ათობით და ასობით გამოვიდნენ სამუშაო ასპარეზზე, მათ გამოიმუშავეს ის გამობრძმედილობა რევოლუციურ ბრძოლაში, ურომლისოდ, მასებთან უმტკიცეს კავშირთან ერთად, არ შეიძლებოდა მომხდარიყო პროლეტარიატის წარმატებითი რევოლუცია რუსეთში. არალეგალური მუშაობის სწორედ ეს ხანგრძლივი გზა ყველაზე მეტად დამახასიათებელია იმ ადამიანისთვის, რომელიც, მუდამ ბრძოლაში ჩაბმული, არასდროს არ სწყდებოდა მასებს, არასდროს არ სტოვებდა რუსეთს, ყოველთვის მოქმედებდა საუკეთესო მუშებთან ერთად და რომელსაც ეხერხებოდა, მიუხედავად ცხოვრებისგან იმ მოწყვეტილობისა, რომელსაც რევოლუციონერს უმზადებდა მუდმივი დევნა, — ეხერხებოდა გამოემუშავებინა თავის პიროვნებაში არა მარტო მუშების საყვარელი ბელადი, არა მარტო ისეთი ბელადი, რომელიც ყველაზე ფართოდ და ყველაზე მეტად იცნობდა პრაქტიკას, არამედ მოწინავე პროლეტარების ორგანიზატორიც. და თუ ზოგიერთები ფიქრობდნენ — ყველაზე ხშირად ასე ფიქრობდნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ან მერყევი ადამიანები, — რომ არალეგალურ მუშაობაში ეს სრული შთანთქმა, პროფესიონალი რევოლუციონერის ეს თვისება სწყვეტს მას მასებისაგან, სწორედ ი. მ. სვერდლოვის რევოლუციური მოღვაწეობის მაგალითი გვიჩვენებს, რამდენად დიდად მცდარია ეს შეხედულება, რამდენად, პირიქით, სწორედ ის თავდადებული ერთგულება რევოლუციური საქმისადმი, რომელიც ახასიათებდა ბევრ საპყრობილეგამოვლილ და ციმბირის მეტად შორეული გადასახლების ადგილებშემოვლილ ადამიანთა ცხოვრებას, სწორედ ეს ქმნიდა ასეთ ბელადებს, ჩვენი პროლეტარიატის ნაღებს. ხოლო თუ ეს თავდადება შეერთებული იყო ადამიანებში გარკვევის, ორგანიზაციული მუშაობის მოგვარების თვისებასთან, ცოდნასთან, სწორედ ეს სჭედდა ხოლმე დიდ ორგანიზატორებს. არალეგალური წრეების გზით, რევოლუციური ფარული მუშაობის გზით, არალეგალური პარტიის გზით, რომელსაც ისე სრულად არავინ ასახიერებდა და არ გამოხატავდა,

როგორც ი. მ. სვერდლოვი, — მხოლოდ ამ პრაქტიკული სკოლის გზით, მხოლოდ ამ გზით შეეძლო მას მისულიყო პირველი ადამიანის პოსტამდე პირველ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში, ფართო პროლეტარული მასების ორგანიზატორთაგან პირველი ორგანიზატორის პოსტამდე.

ამხანაგებო! ყველასთვის, ვისაც უხდებოდა, როგორც მიხდებოდა მე, დღითი დღე მუშაობა ამხ. სვერდლოვთან, მათთვის განსაკუთრებით ცხადი იყო, რომ მხოლოდ ამ ადამიანის განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭი უზრუნველგვყოფდა ჩვენ იმით, რითაც ჩვენ დღემდე ვამაყობდით და ვამაყობდით სრული უფლებით. იგი სრულიად უზრუნველყოფდა ჩვენთვის ერთსულოვანი, მიზანშეწონილი, ნამდვილად ორგანიზებული მუშაობის შესაძლებლობას, ისეთი მუშაობისა, რომელიც ღირსი იქნებოდა ორგანიზებული პროლეტარული მასებისა და დააკმაყოფილებდა პროლეტარული რევოლუციის საჭიროებას, — იმ დარაზმული ორგანიზებული მუშაობისა, ურომლისოდ ჩვენ არ გვექნებოდა არც ერთი წარმატება, ურომლისოდ ჩვენ ვერ დავძლევდით ვერც ერთ იმ უთვალავ სიძნელეს, ვერც ერთ იმ მძიმე განსაცდელს, რომლებიც ჩვენ განვვლეთ დღემდე და რომლებიც ჩვენ იძულებული ვართ განვვლოთ ახლა.

იმ გაცხარებულ ბრძოლაში, როგორიც არის რევოლუცია, იმ განსაკუთრებულ პოსტზე, რომელზედაც ყოველი რევოლუციონერი დგას, თუ მუშაობა თუნდაც პატარა კოლეგიისა მსჯელობად გადაიქცევა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს დიდს, ბრძოლის მსვლელობაში მოპოვებულ, უდავოდ ურყევ მორალურ ავტორიტეტს, ავტორიტეტს, რომელიც თავის ძალას იკრებს, რა თქმა უნდა, არა განყენებულ მორალში, არამედ რევოლუციური მებრძოლის მორალში, რევოლუციური მასების რიგებისა და მწკრივების მორალში.

თუ ჩვენ ერთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში შევძელით გადაგვეტანა უზომო სიძნელეები, რომლებიც თავს ატყდებოდა თავდადებულ რევოლუციონერთა ვიწრო წრეს, თუ ხელმძღვანელი ჯგუფები ასე მტკიცედ, ასე სწრაფად, ასე

ერთსულოვნად ახერხებდნენ უძნელესი საკითხების გადაწყვეტას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ შორის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ისეთ განსაკუთრებულ, ნიჭიერ ორგანიზატორს, როგორიც იყო იაკობ მიხეილის-ძე. მხოლოდ მან შესძლო თავის პიროვნებაში შეეერთებინა პროლეტარული მოძრაობის ხელმძღვანელ მოღვაწეთა პირადი შემადგენლობის საკვირველი ცოდნა, მხოლოდ მან შესძლო ბრძოლის ხანგრძლივი დროის განმავლობაში, — რომლის შესახებ მე აქ შემიძლია მხოლოდ მეტად მოკლედ ვთქვა, — გამოემუშავებინა თავის პიროვნებაში პრაქტიკოსის შესანიშნავი ალღო, ორგანიზატორის შესანიშნავი ნიჭი, ის უეჭველად ურყევი ავტორიტეტი, რომლის წყალობით იაკობ მიხეილის-ძე მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ ერთპიროვნულად განაგებდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის უდიდეს დარგებს, რომლებსაც მხოლოდ ადამიანთა ჯგუფი მოერეოდა. მხოლოდ მან შესძლო მოეპოვებინა ისეთი მდგომარეობა, რომ საკმარისი იყო უამრავ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციულ პრაქტიკულ საკითხში, საკმარისი იყო ერთი მისი სიტყვა, რომ უცილობლად, ყოველგვარი თათბირების გაუმართავად, ყოველგვარი ფორმალური კენჭისყრის გარეშე, საკითხი გადაწყვეტილიყო ერთხელ და სამუდამოდ, და ყველანი სრულებით დარწმუნებული იყვნენ, რომ საკითხი გადაწყვეტილია ისეთი პრაქტიკული ცოდნისა და ისეთი ორგანიზატორული ალღოს საფუძველზე, რომ არათუ ასობით და ათასობით მოწინავე მუშები, არამედ მასებიც ამ გადაწყვეტილებას საბოლოო გადაწყვეტილებად ჩათვლიან.

ისტორიამ უკვე დიდი ხანია დაგვანახვა, რომ დიდი რევოლუციები თავისი ბრძოლის მსვლელობაში აწინაურებენ დიდ ადამიანებს და გასაქანს აძლევენ ისეთ ტალანტებს, რომლებიც წინათ შეუძლებელი სჩანდნენ. არავინ დაიჯერებდა, რომ არალეგალური წრისა და ფარული მუშაობის სკოლიდან, პატარა დევნილი პარტიისა და ტურუხანის საპყრობილის სკოლიდან შეიძლებოდა გამოსულიყო ისეთი ორგანიზატორი, რომელმაც აბსოლუტურად ურყევი ავტორიტეტი მოიხვეჭა,

მთელი საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზატორი რუსეთში და, თავისი ცოდნით, იმ პარტიის მუშაობის ერთადერთი ორგანიზატორი, რომელმაც შექმნა ეს საბჭოები და პრაქტიკულად განახორციელა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ახლა თავის მძიმე, მწარე, სისხლით მორწყულ, მაგრამ ძლევამოსილ მსვლელობას ახდენს ყველა ხალხისკენ, მთელი მსოფლიოს ქვეყნებში.

ასეთ ადამიანს, რომელმაც გამოიმუშავა ეს განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭი, ჩვენ ვერასდროს ვერ შევცვლით, თუ შეცვლად გავიგებთ ერთი პიროვნების, ერთი ამხანაგის მონახვის შესაძლებლობას, რომელსაც შეთავსებული ექნება ასეთი ნიჭნი. არავის, ვინც ახლოს იცნობდა, თვალყურს ადევნებდა იაკობ მიხეილის-ძის მუდმივ მუშაობას, არ შეუძლია დაეჭვდეს იმაში, რომ ამ გაგებით იაკობ მიხეილის-ძე შეუცვლელია. იმ მუშაობას, რომელსაც იგი მარტოდ ასრულებდა ორგანიზაციის, ადამიანთა შერჩევის, პასუხსაგებ პოსტებზე მათი დანიშვნის სფეროში ყველა მრავალგვაროვანი სპეციალობის მიხედვით, — ამ მუშაობას ახლა ჩვენ შევძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველ დიდ დარგში, რომელსაც ერთპიროვნულად განაგებდა ამხ. სვერდლოვი, თქვენ წამოაყენებთ იმ ადამიანთა მთელ ჯგუფებს, რომლებიც, თუ მის კვალს გაჰყვებიან, შესძლებენ მიუახლოვდნენ იმას, რასაც ერთი კაცი აკეთებდა.

მაგრამ პროლეტარული რევოლუცია ძლიერია სწორედ თავისი წყაროების სიღრმით. ჩვენ ვიცით, რომ იმ ადამიანების ადგილას, რომლებმაც უანგაროდ გასწირეს თავიანთი სიცოცხლე, თავი დასდეს ამ ბრძოლაში, იგი აყენებს სხვა ადამიანთა რიგებს, შესაძლოა, უფრო ნაკლებ გამოცდილთ, უფრო ნაკლებ მცოდნეთ და უფრო ნაკლებ მომზადებულთ მათი სავალი გზის დასაწყისში, მაგრამ ადამიანებს, რომლებიც ფართოდ არიან დაკავშირებული მასებთან და რომლებსაც უნარი შესწევთ წასულ უდიდეს ტალანტთა ადგილას დააწინაურონ იმ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც განაგრძობენ მათ საქმეს, ივლიან მათი გზით, დაამთავრებენ იმას, რაც მათ დაი-

წყეს. და ამ აზრით ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ პროლეტარული რევოლუცია რუსეთში და მთელ მსოფლიოში წამოაყენებს იმ ადამიანთა ახალ-ახალ ჯგუფებს, წამოაყენებს მრავალრიცხოვან ფენებს პროლეტარებიდან, მშრომელი გლეხებიდან, რომლებიც მოგვცემენ ცხოვრების იმ პრაქტიკულ ცოდნას, იმ, თუ ერთპიროვნულს არა, კოლექტიურ ორგანიზატორულ ტალანტს, ურომლისოდაც პროლეტარების მილიონიანი არმიები ვერ მიაღწევენ გამარჯვებას.

ამხ. ი. მ. სვერდლოვის ხსოვნა დარჩება არა მარტო საუკუნო სიმბოლოდ რევოლუციონერის ერთგულებისა თავისი საქმისადმი, დარჩება არა მარტო პრაქტიკული სიფხიზლისა და პრაქტიკული უნარიანობის, მასებთან სრული კავშირისა და მათი წარმართვის უნართან შეხამების ნიმუშად, — არამედ იქნება იმის თავდებიც, რომ პროლეტარების სულ უფრო და უფრო ფართო მასები იხელმძღვანელებენ ამ მაგალითებით და წავლენ სულ წინ, სულ წინ მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის სრული გამარჯვებისაკენ.

«პრავდა» № 60,
1919 წ. 20 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტთან შედარებული სტენოგრამის მიხედვით

სიტყვა ი. მ. სვერდლოვის დაკრძალვაზე 1919 წ. 18 მარტს

საქრონიკო ჩანაწერი

ჩვენ სამარეში ჩავუშვით პროლეტარული ბელადი, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა მუშათა კლასის ორგანიზაციისათვის, მისი გამარჯვებისათვის. ახლა, როცა მთელ ქვეყანაზე ფართოვდება საბჭოთა ხელისუფლება და ელვისებური სისწრაფით ვრცელდება ის იდეა, თუ როგორ იბრძვის თავისი იდეების განხორციელებისათვის საბჭოებში დარაზმული პროლეტარიატი, ჩვენ ვასაფლავებთ პროლეტარიატის წარმომადგენელს, რომელმაც მაგალითით გვიჩვენა, თუ როგორ უნდა ბრძოლა ამ იდეებისათვის.

მილიონობით პროლეტარები გაიმეორებენ ჩვენს სიტყვებს: «საუკუნო ხსენება ამხ. სვერდლოვს; მის საფლავზე ჩვენ საზეიმო ფიცს ვდებთ კიდევ უფრო მტკიცედ ვიბრძოლოთ კაპიტალის დასამხობად, მშრომელთა სრული განთავისუფლებისათვის!..».

დაიბეჭდა 1919 წ. 19 მარტს
მოსკოვის საბჭოს გაზეთში
«ვეჩერნიე იზვესტია» № 196

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

რკპ(ბ) პროგრამის პროექტი[13]

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
პროგრამის პროექტის მუხლები
ნაციონალურ საკითხზე პირველად
დაიბეჭდა 1925 წელს
რკპ პროგრამის პროექტის შავად
მონახაზი სრულად ქვეყნდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერებისა და
საწერ მანქანაზე დაბეჭდილი
ასლების მიხედვით

1

რკპ პროგრამის პროექტის შავად მონახაზი

გეგმა: პროგრამა შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან: .

1. შესავალი. პროლეტარული რევოლუცია დაიწყო რუსეთში და ყველგან სწრაფად იზრდება. მის გასაგებად საჭიროა გავიგოთ კაპიტალიზმის ბუნება და გარდუვალობა კაპიტალიზმის განვითარებისა პროლეტარიატის დიქტატურისაკენ. — 2. კაპიტალიზმი და პროლეტარიატის დიქტატურა. ამის შესახებ აღდგენილ იქნას ჩვენი ძველი, მარქსისტული, პლეხანოვის მიერ შედგენილი, პროგრამა, მის მთავარ ნაწილში, რათა გავარკვიოთ ჩვენი მსოფლმხედველობის «ისტორიული ფესვებიც». — 3. იმპერიალიზმი. 1917. V-ის პროგრამის პროექტიდან. — 4. სამი მიმდინარეობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში და ახალი ინტერნაციონალი. 1917 წ. V-ის პროექტის გადაკეთება. — 5. ძირითადი ამოცანები პროლეტარული დიქტატურისა რუსეთში. 1917. XII — 1918. I-ის პროექტიდან [14]. — 6. ამ ამოცანების კონკრეტიზაცია პოლიტიკურ დარგში (ახალი). — 7. იგივე ნაციონალურ, რელიგიურ, პედაგოგიურ დარგში (ახალი). — 8. იგივე ეკონომიურ დარგში (ახალი). — 9. იგივე აგრარულ დარგში (ახალი). — 10. იგივე მშრომელთა დაცვის დარგში (წერს შმიდტი). — 11 და 12. დამატებანი სხვა დარგების შესახებ (არ არის დაწერილი).

ამ შავად მონახაზში ბევრი რამ არ არის დამთავრებული, მეტადრე სარედაქციო მხარე, და პროგრამული ფორმულირების ნაცვლად ზოგჯერ დროებით აღებულია კომენტატორული.

(1) 1917 წ. 25. X (7. XI) რევოლუციამ რუსეთში განახორციელა დიქტატურა პროლეტარიატისა, რომელმაც, უღარიბესი გლეხობის ანუ ნახევრადპროლეტარიატის მხარის დაჭერით დაიწყო კომუნისტური საზოგადოების შექმნა. პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ზრდამ ყველა მოწინავე ქვეყანაში, ყველგან გაჩენამ და განვითარებამ ამ მოძრაობის საბჭოთა ფორმისამ, ე. ი. ისეთი ფორმისამ, რომელიც პირდაპირ მიმართულია პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებისაკენ, ბოლოს, ავსტრია-უნგრეთში და განსაკუთრებით გერმანიაში რევოლუციის დაწყებამ და მისი განვითარების მსვლელობამ, ყოველივე ამან თვალსაჩინოდ დაგვანახვა, რომ მსოფლიო პროლეტარული, კომუნისტური რევოლუციის ერა დაიწყო.

(2) ამ რევოლუციის მიზეზების, მნიშვნელობისა და მიზნების სწორად გაგება მოითხოვს, ჯერ-ერთი, კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული საზოგადოების რაობის, ძირითადი ბუნების გარკვევას, კომუნიზმისაკენ მათი განვითარების გარდუვალობას, ხოლო მეორე, იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომების ბუნების გარკვევას, ომების, რომლებმაც დააჩქარეს კაპიტალიზმის კრახი და დღის წესრიგში დააყენეს პროლეტარული რევოლუცია.

* * *

(3) კაპიტალიზმისა და იმ ბურჟუაზიული საზოგადოების ბუნება, რომელიც ჯერ კიდევ ბატონობს ცივილიზებული ქვეყნების უმეტესობაში და რომლის განვითარებას გარდუვალად მივყავართ და მიგვიყვანა პროლეტარიატის მსოფლიო კომუნისტურ რევოლუციამდე, ჩვენმა ძველმა მარქსისტულმა პროგრამამ დაახასიათა შემდეგ დებულებებში:

(4) «ასეთი საზოგადოების მთავარ თავისებურებას შეადგენს სასაქონლო წარმოება კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის საფუძველზე, როცა წარმოების საშუალებათა და საქონლის მიმოქცევის მეტად მნიშვნელოვანი და საგრძნობი ნაწილი ეკუთვნის მცირერიცხოვან პირთა კლასს, მაშინ რო-

დესაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა შესდგება პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარებისაგან, რომლებიც თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით იძულებული არიან მუდამ ან პერიოდულად ჰყიდონ თავიანთი სამუშაო ძალა, ე. ი. მიექირაონ კაპიტალისტებს, და თავიანთი შრომით შექმნან საზოგადოების მაღალი კლასების შემოსავალი.

(5) კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის ბატონობის სფერო სულ უფრო და უფრო ფართოვდება იმისდამიხედვით, თუ ტექნიკის მუდმივი გაუმჯობესება, ადიდებს რა მსხვილ საწარმოთა სამეურნეო მნიშვნელობას, რამდენად იწვევს წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებელთა განდევნას, მათ ერთ ნაწილს ხდის პროლეტარებად, ხოლო დანარჩენთა როლს ზღუდავს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში და ალაგ-ალაგ აყენებს მათ მეტნაკლებად სრულ, მეტნაკლებად აშკარა, მეტნაკლებად მძიმე დამოკიდებულებაში კაპიტალისაგან.

(6) გარდა ამისა იგივე ტექნიკური პროგრესი შესაძლებლობას აძლევს მეწარმეებს სულ უფრო და უფრო მეტად გამოიყენონ ქალისა და ბავშვის შრომა საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში. ხოლო რადგან, მეორე მხრივ, ეს ტექნიკური პროგრესი იწვევს მეწარმეთა მხრივ მუშათა ცოცხალი შრომის მოთხოვნილების შედარებითს შემცირებას, ამიტომ მოთხოვნილება მუშახელზე აუცილებლად ჩამორჩება მის მიწოდებას, რის გამო იზრდება დაქირავებული შრომის დამოკიდებულება კაპიტალისაგან და მატულობს მისი ექსპლოატაციის დონე.

(7) საქმის ასეთი ვითარება ბურჟუაზიული ქვეყნების შიგნით და მსოფლიო ბაზარზე მათი ურთიერთი მეტოქეობის მუდმივი გამწვავება სულ უფრო და უფრო აძნელებენ მუდამ მზარდი რაოდენობით დამზადებული საქონლის გასაღებას. ჭარბი წარმოება, რომელიც თავს იჩენს მეტნაკლებად მწვავე სამრეწველო კრიზისებში, რასაც თან სდევს მრეწველობის შეფერხების მეტნაკლებად ხანგრძლივი პერიოდები, წარმოადგენს ბურჟუაზიული საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების აუცილებელ შედეგს. კრიზისები და სამრეწველო

შეფერხების პერიოდები თავის მხრივ კიდევ უფრო მეტად აჩანაგებენ წვრილ მწარმოებლებს, კიდევ უფრო ადიდებენ დაქირავებული შრომის დამოკიდებულებას კაპიტალისაგან, კიდევ უფრო აჩქარებენ მუშათა კლასის მდგომარეობის შედარებითს, ხოლო ზოგჯერ აბსოლუტურ გაუარესებას.

(8) ამრიგად, ტექნიკის გაუმჯობესება, რაც შრომის ნაყოფიერების გადიდებას და საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას ნიშნავს, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აპირობებს საზოგადოებრივი უთანასწორობის გაძლიერებას, შეძლებულთა და ხელმოკლეთა შორის მანძილის გადიდებას და არსებობის უზრუნველყოფის შემცირებას, უმუშევრობისა და მშრომელთა მასების სულ უფრო და უფრო ფართო ფენების სხვადასხვაგვარი გაჭირვების ზრდას.

(9) მაგრამ, რაც უფრო იზრდება და ვითარდება ყველა ეს წინააღმდეგურობა, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებას მოსდგამს, იმისდამიხედვით იზრდება აგრეთვე მშრომელი და ექსპლოატირებული მასის უკმაყოფილებაც არსებული ვითარებით, იზრდება პროლეტარების რიცხვი და დარაზმულობა და მწვავდება მათი ბრძოლა თავიანთ ექსპლოატატორებთან. ამავე დროს ტექნიკის გაუმჯობესება, რომელიც ეწევა წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა კონცენტრაციას და შრომის პროცესის განსაზოგადოებას კაპიტალისტურ საწარმოებში, სულ უფრო და უფრო აჩქარებს კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის კომუნისტურით შეცვლის მატერიალურ შესაძლებლობას, — ე. ი. იმ სოციალური რევოლუციის მატერიალურ შესაძლებლობას, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო კომუნისტური პარტიის, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი მოძრაობის შეგნებული გამომხატველის, მთელი მუშაობის საბოლოო მიზანს.

(10) შესცვლის რა წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა კერძო საკუთრებას საზოგადოებრივით და შექმნის რა საზოგადოებრივ-ნაყოფიერი პროცესის გეგმაშეზომილ ორგანიზაციას საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობისა და ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად,

პროლეტარიატის სოციალური რევოლუცია მოსპობს საზოგადოების კლასებად დაყოფას და მით გაათავისუფლებს მთელ ჩაგრულ კაცობრიობას, რადგან ბოლოს მოუღებს საზოგადოების ერთი ნაწილის ყოველგვარ ექსპლოატაციას მეორე ნაწილის მიერ.

(11) ამ სოციალური რევოლუციის აუცილებელ პირობას შეადგენს პროლეტარიატის დიქტატურა, ე. ი. პროლეტარიატის მიერ ისეთი პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება, რომელიც საშუალებას მისცეს მას შემუსროს ექსპლოატატორების ყოველგვარი წინააღმდეგობა. ამოცანად ისახავს რა იმას, რომ პროლეტარიატმა შესძლოს თავისი დიადი ისტორიული მისიის შესრულება, საერთაშორისო კომუნისტური პარტია რაზმავს მას დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად, რომელიც უპირისპირდება ყველა ბურჟუაზიულ პარტიას, ხელმძღვანელობას უწევს მისი კლასობრივი ბრძოლის ყოველგვარ გამოხატულებას, ააშკარავებს მის წინაშე ექსპლოატატორების ინტერესების შეურიგებელ წინააღმდეგობას ექსპლოატირებულთა ინტერესებისადმი და ურკვევს მას მომავალი სოციალური რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობას და აუცილებელ პირობებს. ამასთანავე ის მთელი დანარჩენი მშრომელი და ექსპლოატირებული მასის წინაშე ააშკარავებს მისი მდგომარეობის უიმედობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში და სოციალური რევოლუციის აუცილებლობას კაპიტალის უღლისაგან მისი განთავისუფლების ინტერესებისათვის. მუშათა კლასის პარტია, კომუნისტური პარტია, თავის რიგებში მოუწოდებს მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობის ყველა ფენას, რამდენადაც ისინი პროლეტარიატის თვალსაზრისზე დგებიან».

* * *

(12) ამჟამად — დაახლოებით XX საუკუნის დამდეგიდან— მსოფლიო კაპიტალიზმმა მიაღწია იმპერიალიზმის საფეხურს. იმპერიალიზმი, ანუ ფინანსური კაპიტალის ეპოქა, არის იმდენად დიდად განვითარებული კაპიტალისტური მეურნეობა,

როცა კაპიტალისტების მონოპოლისტურმა კავშირებმა — სინდიკატებმა, კარტელებმა, ტრესტებმა — გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვეს, უდიდესი კონცენტრაციის საბანკო კაპიტალი შეუერთდა სამრეწველო კაპიტალს, უაღრესად განვითარდა კაპიტალის გატანა უცხო ქვეყნებში, მთელი მსოფლიო ტერიტორიულად უკვე დაყოფილია უმდიდრეს ქვეყნებს შორის და დაიწყო მსოფლიოს ეკონომიური დაყოფა ინტერნაციონალურ ტრესტებს შორის.

(13) იმპერიალისტური ომები, — ე. ი. ომები მსოფლიოზე გასაბატონებლად, საბანკო კაპიტალისთვის ბაზრების მოსაპოვებლად, მცირე და სუსტ ეროვნებათა ჩასახშობად, — საქმის ასეთი ვითარების დროს გარდუვალია. და სწორედ ასეთია 1914 — 1918 წლების პირველი დიდი იმპერიალისტური ომი.

(14) საერთოდ მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი საფეხურიც; თავისუფალი კონკურენციის შეცვლაც მონოპოლისტური კაპიტალიზმით; ბანკებისა და აგრეთვე კაპიტალისტთა კავშირების მიერ აპარატის მომზადებაც პროდუქტების წარმოებისა და განაწილების პროცესის საზოგადოებრივი რეგულირებისათვის; კაპიტალისტური მონოპოლიების ზრდასთან დაკავშირებული სიძვირის ზრდაც და სინდიკატების მხრივ მუშათა კლასის ჩაგვრის გაძლიერებაც, მისი ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის გიგანტური გაძნელებაც; იმპერიალისტური ომით წარმოშობილი საშინელება, უბედურება, გაჩანაგება და გაველურებაც, — ყოველივე ეს კაპიტალიზმის განვითარების ამჟამად მიღწეული საფეხურიდან ქმნის პროლეტარული, სოციალისტური რევოლუციის ერას.

ეს ერა დაიწყო.

(15) მხოლოდ პროლეტარულ, სოციალისტურ რევოლუციას შეუძლია გამოიყვანოს კაცობრიობა იმ ჩიხიდან, რომელიც შექმნა იმპერიალიზმმა და იმპერიალისტურმა ომებმა. რაც უნდა სიძნელეები გადაეღობოს რევოლუციას და რაც უნდა დროებითი წარუმატებლობა ან კონტრრევოლუციის ტალღები მოელოდეს მას, — პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვება გარდუვალია.

* * *

(16) პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება მოითხოვს ყველა მოწინავე ქვეყნის მუშათა კლასის სრულ ნდობას, უმჭიდროეს ძმურ კავშირს და რევოლუციური მოქმედების რაც შეიძლება მეტ ერთიანობას. ეს პირობები განუხორციელებელია, თუ გადაჭრით და პრინციპულად არ გავეთიშებით და დაუნდობლად არ შევებრძოლებით სოციალიზმის იმ ბურჟუაზიულ დამახინჯებას, რომელმაც გაიმარჯვა ოფიციალურ «სოციალ-დემოკრატიულ», «სოციალისტურ» პარტიათა დიდი უმრავლესობის ზედაფენებში.

(17) ასეთ დამახინჯებას წარმოადგენს, ერთი მხრივ, ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის მიმდინარეობა, სოციალიზმისა—სიტყვით, შოვინიზმისა—საქმით, დაფარვა «სამშობლოს დაცვის» ლოზუნგით «საკუთარი» ნაციონალური ბურჟუაზიის მძარცველური ინტერესების დაცვისა, როგორც საერთოდ, ისე განსაკუთრებით 1914 — 1918 წლების იმპერიალისტური ომის დროს. ეს მიმდინარეობა იმით შეიქმნა, რომ თითქმის ყველა მოწინავე ქვეყანა, ძარცვავდა რა კოლონიურ და სუსტ ხალხებს, საშუალებას აძლევდა ბურჟუაზიას ასეთი ზემოგების ნამცეცებით მოესყიდათ პროლეტარიატის ზედაფენები, უზრუნველეყოთ მათთვის მშვიდობიან დროს გაუჭირვებელი მეშჩანური არსებობა და თავიანთ სამსახურში ჰეყვანათ ამ ფენის ბელადები. ოპორტუნისტები და სოციალ-შოვინისტები, როგორც ბურჟუაზიის მსახურნი, პროლეტარიატის ნამდვილ კლასობრივ მტრებს წარმოადგენენ.

(18) მეორე მხრივ, სოციალიზმის ბურჟუაზიულ დამახინჯებად მოგვევლინა «ცენტრის» მიმდინარეობა, ასევე ფართო და საერთაშორისო ხასიათისა, რომელიც ქანაობს სოციალ-შოვინისტებსა და კომუნისტებს შორის, იცავს ერთიანობას პირველებთან და ცდილობს ააღორძინოს გაკოტრებული და ძირდამპალი II ინტერნაციონალი. ნამდვილად პროლეტარულია და რევოლუციურია მხოლოდ ახალი, III, კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც ფაქტიურად დაარსებულია

კომუნისტური პარტიების შექმნით წინანდელი სოციალისტური პარტიებიდან მთელ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი გერმანიაში, და რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ თანაგრძნობას იძენს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის მასებში.

---

* * *

პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ამოცანები რუსეთში

პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ამოცანები რუსეთში ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ ბოლომდე მიიყვანოს, დაამთავროს მემამულეებისა და ბურჟუაზიის უკვე დაწყებული ექსპროპრიაცია, ყველა ფაბრიკის, ქარხნის, რკინიგზის, ბანკის, ფლოტის და წარმოებისა და მიმოქცევის სხვა საშუალებათა გადაცემა საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებად;

გამოიყენოს ქალაქის მუშათა და უღარიბეს გლეხთა კავშირი, რომელმაც უკვე მოგვცა მიწის კერძო საკუთრების გაუქმება და კანონი წვრილი გლეხური მეურნეობიდან სოციალიზმზე იმ გარდამავალი ფორმის შესახებ, რომელსაც პროლეტარების მხარეზე გადასული გლეხობის თანამედროვე იდეოლოგებმა მიწის სოციალიზაცია უწოდეს, მიწის საერთო დამუშავებასა და მსხვილ სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე თანდათან, მაგრამ განუხრელად გადასასვლელად;

განამტკიცოს და შემდგომად განავითაროს საბჭოების ფედერაციული რესპუბლიკა, როგორც დემოკრატიის განუზომლად უფრო მაღალი და პროგრესული ფორმა, ვიდრე ბურჟუაზიული პარლამენტარიზმია, და როგორც სახელმწიფოს ერთადერთი ტიპი, რომელიც შეესაბამება პარიზის 1871 წლის კომუნის გამოცდილების, აგრეთვე რუსეთის 1905 და 1917 — 1918 წლების რევოლუციების გამოცდილების საფუძველზე, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდს, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდს;

ყოველმხრივ და ყოველნაირად გამოიყენოს რუსეთში დანთებული მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ჩირაღდანი იმისთვის, რომ, მოადუნოს რა იმპერიალისტური ბურჟუაზიული სახელმწიფოების ცდა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევისა ან ამ სახელმწიფოების გაერთიანებისა სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლისა და ომისათვის, რევოლუცია გადაიტანოს უფრო მოწინავე და საერთოდ ყველა ქვეყანაში; მთელი რიგი თანდათანობითი, მაგრამ განუხრელი ზომებით სავსებით მოსპოს კერძო ვაჭრობა და მოაწყოს პროდუქტების სწორი და გეგმაზომიერი გაცვლა-გამოცვლა ერთიანი სამეურნეო მთელის, როგორიც უნდა გახდეს საბჭოთა რესპუბლიკა, საწარმოო და სამომხმარებლო კომუნებს შორის.

უფრო კონკრეტულად ავითარებს რა საბჭოთა ხელისუფლების საერთო ამოცანებს, რკპ ამჟამად შემდეგნაირად განსაზღვრავს მათ:

პოლიტიკურ დარგში

თუ პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებამდე ბურჟუაზიული დემოკრატიის და მეტადრე პარლამენტარიზმის გამოყენება (აუცილებელი) საჭირო იყო მუშათა მასების პოლიტიკური აღზრდისა და ორგანიზებისათვის, ახლა, პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, საბჭოთა რესპუბლიკაში უფრო მაღალი ტიპის დემოკრატიზმის განხორციელების პირობებში, ყოველგვარი ნაბიჯის გადადგმა უკან, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიისაკენ, უეჭველად ექსპლოატატორების, მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესების რეაქციული მომსახურება იქნებოდა. მხოლოდ ექსპლოატატორების ინტერესებს ემსახურება ვითომ საყოველთაო-სახალხო, საერთო-ნაციონალური, საყოველთაო, გარეკლასობრივი, საქმით კი ბურჟუაზიული დემოკრატიის ლოზუნგები და ვიდრე რჩება მიწის და წარმოების სხვა საშუალებათა კერძო საკუთრება, ყველაზე დემოკრატიული

რესპუბლიკა გარდუვალად რჩება ბურჟუაზიის დიქტატურად, ერთი მუჭა კაპიტალისტების მიერ მშრომელთა გიგანტური უმრავლესობის დასათრგუნავ მანქანად.

ისტორიული ამოცანა, რომელიც ეკისრება საბჭოთა რესპუბლიკას — სახელმწიფოს ახალ ტიპს, სახელმწიფოს სრული მოსპობისაკენ გარდამავალ ტიპს, — შემდეგში მდგომარეობს:

1) შექმნა და განვითარება სწორედ კაპიტალიზმის მიერ ჩაგრული კლასების, პროლეტარიატისა და ნახევრადპროლეტარიატის ყოველმხრივი და მასობრივი ორგანიზებულობისა. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა საუკეთესო შემთხვევაში იწყნარებდა ექსპლოატირებული მასების ორგანიზაციას იმ აზრით, რომ აცხადებდა ორგანიზაციის თავისუფლებას, მაგრამ საქმით მუდამ უქმნიდა უამრავ ფაქტიურ დაბრკოლებას მათ ორგანიზებას, და ეს დაბრკოლებები დაუძლეველად იყო დაკავშირებული წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებასთან. საბჭოთა ხელისუფლება, პირველად ისტორიაში, არათუ ყოველმხრივ აადვილებს კაპიტალიზმის მიერ დაჩაგრული მასების ორგანიზებას, არამედ აგრეთვე ხდის მას მთელი სახელმწიფო აპარატის, თავიდან ბოლომდე, ადგილობრივი და ცენტრალური აპარატის მუდმივ და უეჭველ საფუძვლად. მხოლოდ ამ გზით ხორციელდება საქმით მოსახლეობის უმრავლესობისთვის დემოკრატიზმი, ე. ი. სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ხალხის გიგანტური უმრავლესობის, სახელდობრ მშრომელთა ფაქტიური მონაწილეობა, ნაცვლად სახელმწიფოს ფაქტიური მართვა-გამგეობისა, უმთავრესად, ბურჟუაზიული კლასების წარმომადგენლების მიერ, როგორც ეს ხდება ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში.

2) სახელმწიფოს საბჭოური ორგანიზაცია ერთგვარ ფაქტიურ უპირატესობას აძლევს მშრომელთა მასების სწორედ იმ ნაწილს, რომელიც ყველაზე უფრო მეტად კონცენტრირებული, გაერთიანებული, განათლებული და გამობრძმედილია ბრძოლაში სოციალიზმის მთელი წინამორბედი კაპიტალისტური განვითარებით, ე. ი. ქალაქის მრეწველობის პროლეტა-

რიატს. ეს უპირატესობა განუხრელად და სისტემატურად უნდა იქნას გამოყენებული იმისთვის, რომ წინააღმდეგ ვიწრო-ამქრული და ვიწრო-პროფესიული ინტერესებისა, რომელთაც ასაზრდოებდა კაპიტალიზმი მუშებში, თიშავდა რა მათ ერთმანეთის მეტოქე ჯგუფებად, მოწინავე მუშებთან უფრო მჭიდროდ შევაერთოთ სოფლის პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების ყველაზე ჩამორჩენილი და დაქსაქსული მასები, გამოვგლიჯოთ ისინი სოფლის კულაკობისა და სოფლის ბურჟუაზიის გავლენისაგან, დავრაზმოთ და აღვზარდოთ ისინი კომუნისტური მშენებლობისათვის.

3) ბურჟუაზიული დემოკრატია, დიდის ამბით აცხადებდა რა ყველა მოქალაქის თანასწორობას, საქმით თვალთმაქცურად ფარავდა ექსპლოატატორ-კაპიტალისტების ბატონობას, ატყუებდა მასებს იმაზე ფიქრით, თითქოს საქმით შესაძლებელი იყოს ექსპლოატატორისა და ექსპლოატირებულთა თანასწორობა. სახელმწიფოს საბჭოური ორგანიზაცია ამსხვრევს ამ ტყუილს და ამ თვალთმაქცობას, ახორციელებს რა ნამდვილ დემოკრატიზმს, ე. ი. ყველა მშრომელის თანასწორობას, და ექსპლოატატორებს რიცხავს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრებიდან. მთელი მსოფლიო ისტორიის, მჩაგვრელთა წინააღმდეგ ჩაგრული კლასების ყველა აჯანყების გამოცდილება გვასწავლის ექსპლოატატორების თავგანწირული და ხანგრძლივი წინააღმდეგობის გარდუვალობას მათი პრივილეგიების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში. სახელმწიფოს საბჭოურ ორგანიზაციას უნარი შესწევს ამ წინააღმდეგობის ჩასახშობად, ურომლისოდაც ლაპარაკიც კი ზედმეტია ძლევამოსილ კომუნისტურ რევოლუციაზე.

4) სახელმწიფოს მოწყობასა და მართვა-გამგეობაზე მშრომელი მასების უფრო უშუალო ზემოქმედება, ე. ი. დემოკრატიზმის უფრო მაღალი ფორმა, საბჭოთა ტიპის სახელმწიფოს დროს ხორციელდება აგრეთვე, ჯერ-ერთი, იმით, რომ არჩევნების პროცედურა და მისი უფრო ხშირად ჩატარების შესაძლებლობა, აგრეთვე დეპუტატების გადარჩევისა და გაწვევის პირობები გაცილებით უფრო ადვილია და უფრო

ხელმისაწვდომია ქალაქისა და სოფლის მუშებისთვის, ვიდრე ბურჟუაზიული დემოკრატიის საუკეთესო ფორმების პირობებში;

5) მეორე, იმით, რომ პირველადს საარჩევნო ერთეულს და სახელმწიფო მშენებლობის ძირითად უჯრედს, საბჭოთა ხელისუფლების დროს, წარმოადგენს არა ტერიტორიული ოლქი, არამედ ეკონომიური, საწარმოო ერთეული (ქარხანა, ფაბრიკა). სახელმწიფო აპარატის ეს უფრო მჭიდრო კავშირი კაპიტალიზმის მეოხებით გაერთიანებულ მოწინავე პროლეტართა მასებთან, უფრო მაღალი დემოკრატიზმის შექმნის გარდა, შესაძლებლობას იძლევა აგრეთვე განვახორციელოთ ღრმა სოციალისტური გარდაქმნები.

6) საბჭოთა ორგანიზაციამ საშუალება მოგვცა შეგვექმნა მუშათა და გლეხთა ისეთი შეიარაღებული ძალა, რომელიც წინანდელზე ბევრად უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული მშრომელ და ექსპლოატირებულ მასებთან. უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა სოციალიზმის გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი პირობის განხორციელება, სახელდობრ მუშების შეიარაღება და ბურჟუაზიის განიარაღება.

7) საბჭოთა ორგანიზაციამ შეუდარებლად უფრო შორს და ფართოდ განავითარა ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ის მხარე, რომელიც მომასწავებელია ამ დემოკრატიზმის დიდი ისტორიული პროგრესულობისა შუა საუკუნეებთან შედარებით, სახელდობრ მოსახლეობის მონაწილეობა სამსახურებრივ პირთა არჩევაში. არც ერთ ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში მშრომელ მასებს არასოდეს არ განუხორციელებიათ ბურჟუაზიის მიერ მათთვის ფორმალურად მინიჭებული, მაგრამ ფაქტიურად მის მიერ შეზღუდული, არჩევნების უფლება დაახლოებითაც კი ისე ფართოდ, ისე ხშირად, ისე საყოველთაოდ, ისე ადვილად და უბრალოდ, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს. მაგრამ ამასთანავე საბჭოთა ორგანიზაციამ აღგავა ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ის უარყოფითი მხარეები, რომელთა გაუქმება დაიწყო უკვე პარიზის კომუნამ; ამ მხარეების სივიწროვე, შეზღუ-

დულობა დიდი ხანია აღნიშნა მარქსიზმმა, სახელდობრ პარლამენტარიზმი, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების გამოყოფა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. საბჭოები აერთებენ ორივე ხელისუფლებას, უახლოებენ სახელმწიფო აპარატს მშრომელ მასებს და უკუაგდებენ იმ ტიხრს, რომელსაც წარმოადგენდა ბურჟუაზიული პარლამენტი, ხოლო ეს პარლამენტი ატყუებდა მასებს თვალთმაქცური აბრებით, ფარავდა პარლამენტის საქმოსანი წევრების ფინანსურ და საბირჟო ოინებს, უზრუნველყოფდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ბურჟუაზიული აპარატის ხელუხლებლობას.

8) მხოლოდ სახელმწიფოს საბჭოური ორგანიზაციის წყალობით შესძლო პროლეტარიატის რევოლუციამ ძველი, ბურჟუაზიული, სახელმწიფო აპარატის ერთბაშად დამსხვრევა და ძირიან-ფესვიანად განადგურება, უამისოდ კი შეუძლებელი იქნებოდა სოციალისტური მშენებლობის დაწყებაც. ამჟამად რუსეთში უკვე სავსებით დანგრეულია ბიუროკრატიზმის ციხე-სიმაგრეები, ბიუროკრატიზმისა, რომელიც ყველგან და ყოველთვის სახელმწიფო ხელისუფლებას აკავშირებდა მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესებთან, როგორც მონარქიის დროს, ისე ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში. მაგრამ ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ჩვენში სრულებითაც არ არის დამთავრებული. ბიუროკრატია ცდილობს დაკარგული პოზიციების ნაწილის დაბრუნებას და საამისოდ იყენებს, ერთი მხრივ, მოსახლეობის მასების არასაკმაოდ მაღალ კულტურულ დონეს, მეორე მხრივ, ქალაქის მუშათა ყველაზე შეგნებული ფენის ძალების უკიდურეს, თითქმის ზეადამიანურ დაძაბვას სამხედრო სამუშაოზე. ამიტომ ბრძოლის განგრძობა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ შემდგომი სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის უეჭველ და უცილობელ საჭიროებას წარმოადგენს.

9) ამ მიმართულებით მუშაობა, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ისტორიული ამოცანის განხორციელებასთან, სახელდობრ სახელმწიფოს სრულ მოსპობაზე გადასვლის განხორციელებასთან,

უნდა მდგომარეობდეს, ჯერ-ერთი, იმაში, რომ საბჭოს ყოველი წევრი უეჭველად ასრულებდეს განსაზღვრულ სამუშაოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, მეორეც, იმაში, რომ ეს სამუშაოები თანამიმდევრულად იცვლებოდეს და მოიცავდეს სახელმწიფო მართვა-გამგეობასთან დაკავშირებულ მთელ საქმეს, ყველა მის დარგს, და, მესამეც, იმაში, რომ თანდათანობით და ფრთხილად შერჩეული, მაგრამ განუხრელად განსახორციელებელი მთელი რიგი ზომებით მთელი მშრომელი მოსახლეობა გამოუკლებლივ იღებდეს მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

10) საერთოდ და მთლიანად, ერთი მხრივ, ბურჟუაზიული დემოკრატია და პარლამენტარიზმი და, მეორე მხრივ, საბჭოთა ანუ პროლეტარული დემოკრატია იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ პირველს სიმძიმის ცენტრი გადაჰქონდა ყოველგვარ თავისუფლებათა და უფლებათა საზეიმოდ და დიდის ამბით გამოცხადებაზე, ხოლო ფაქტიურად სწორედ მოსახლეობის უმრავლესობას, მუშებსა და გლეხებს ნებას არ აძლევდა, რომ რამდენადმე საკმაოდ გამოეყენებინა ისინი. პირიქით, პროლეტარულ ანუ საბჭოთა დემოკრატიას სიმძიმის ცენტრი გადააქვს არა იმაზე, რომ მთელი ხალხის უფლებები და თავისუფლებები გამოაცხადოს, არამედ იმაზე, რომ საქმით უზრუნველყოს მშრომელთა სწორედ იმ მასებისთვის, რომლებიც დაჩაგრული და ექსპლოატირებული იყვნენ კაპიტალის მიერ, ფაქტიური მონაწილეობის მიღება სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, საუკეთესო შენობებისა და სადგომების ფაქტიურად გამოყენება კრებებისა და ყრილობებისთვის, საუკეთესო სტამბებისა და ქაღალდის უდიდესი საწყობების (მარაგის) ფაქტიურად გამოყენება იმათ გასანათლებლად, ვისაც კაპიტალიზმი აყეყეჩებდა და აბეჩავებდა, უზრუნველყოს სწორედ ამ მასებისთვის რეალური (ფაქტიური) შესაძლებლობა თანდათან განთავისუფლდნენ რელიგიურ ცრურწმენათა უღლისაგან და სხვ. და ა. შ.. საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი მუშაობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ მიმართულებით ფაქტიურად მიეცეს შესაძ-

ლებლობა მშრომელებსა და ექსპლოატირებულებს საქმით ისარგებლონ კულტურის, ცივილიზაციისა და დემოკრატიის სიკეთით და ეს მუშაობა განუხრელად უნდა განაგრძოს მან შემდეგაც.

ნაციონალურ საკითხში რკპ პოლიტიკა, ერთა თანასწორობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული აღიარებისაგან განსხვავებით, რაც განუხორციელებელია იმპერიალიზმის დროს, იმაში მდგომარეობს, რომ განუხრელად განახორციელოს ყველა ერის პროლეტარებისა და მშრომელი მასების დაახლოება და შეერთება მათს რევოლუციურ ბრძოლაში ბურჟუაზიის დასამხობად. მეფისა და ბურჟუაზიული ველიკორუსული იმპერიალიზმის ეპოქისაგან მემკვიდრეობით მიღებული უნდობლობა ველიკორუსებისადმი სწრაფად ქრება იმ ერთა მშრომელ მასებში, რომლებიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ, ქრება საბჭოთა რუსეთთან ნაცნობობის გავლენით, მაგრამ ეს უნდობლობა ყველა ერში და მშრომელი მასების ყველა ფენაში სავსებით როდი გამქრალა. ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე ნაციონალური გრძნობის მიმართ, ერთა თანასწორობისა და გამოყოფის თავისუფლების მზრუნველობით განხორციელება სინამდვილეში, რათა ნიადაგი გამოვაცალოთ ამ უნდობლობას და მივაღწიოთ ყველა ერის საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობითს უმჭიდროეს კავშირს. ჩამორჩენილი და სუსტი ერების დახმარება უნდა გავაძლიეროთ იმით, რომ ხელი შევუწყოთ თვითეული ერის მუშებისა და გლეხების დამოუკიდებლად დარაზმვას და გათვითცნობიერებას შუასაუკუნებრივი და ბურჟუაზიული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე ხელი შევუწყოთ დღემდე დაჩაგრულ თუ ყოფილ არათანასწორუფლებიან ერთა ენისა და ლიტერატურის განვითარებას.

რელიგიური პოლიტიკის სფეროში (რკპ-ის) პროლეტარული დიქტატურის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არ დავკმაყოფილდეთ სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის უკვე დეკრეტირებული გამოყოფით, ე. ი. იმ ღონისძიებებით, რომლებსაც ბურჟუაზიული დემოკრატია შეგვპირდა,

მაგრამ არსად მთელ მსოფლიოში ბოლომდე არ მიუყვანია რელიგიურ პროპაგანდასთან კაპიტალის მრავალმხრივი ფაქტიური კავშირის გამო. პროლეტარულმა დიქტატურამ ბოლომდე უნდა მიიყვანოს კავშირის მოშლა ექსპლოატატორულ კლასებსა, მემამულეებსა და კაპიტალისტებსა და რელიგიური პროპაგანდის ორგანიზაციას შორის, პროპაგანდისა, რომელიც მასების სიბნელეს ასაზრდოებს. პროლეტარულმა დიქტატურამ განუხრელად უნდა განახორციელოს მშრომელი მასების ფაქტიური განთავისუფლება რელიგიური ცრურწმენისაგან და ამას უნდა მიაღწიოს პროპაგანდისა და მასების შეგნების ამაღლების გზით, ამასთან მზრუნველობით უნდა ერიდოს მოსახლეობის მორწმუნე ნაწილის გრძნობათა ყოველგვარ შელახვას და რელიგიური ფანატიზმის განმტკიცებას.

სახალხო განათლების სფეროში რკპ ამოცანად ისახავს ბოლომდე მიიყვანოს 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დროიდან დაწყებული სკოლის გარდაქმნა ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის იარაღიდან ამ ბატონობის დანგრევის იარაღად, ისევე როგორც საზოგადოების კლასებად დაყოფის სრულიად მოსპობის იარაღად.

პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, ე. ი. იმ პირობების მომზადების პერიოდში, რომლებიც შესაძლებლად ხდიან კომუნიზმის სრულ განხორციელებას, სკოლა უნდა იყოს არა მარტო საერთოდ კომუნიზმის პრინციპების გამტარებელი, არამედ აგრეთვე გამტარებელი პროლეტარიატის იდეური, ორგანიზაციული, აღმზრდელობითი ზეგავლენისა მშრომელი მასების ნახევრადპროლეტარულ და არაპროლეტარულ ფენებზე იმ მიზნით, რომ აღზარდოს ისეთი თაობა, რომელიც შესძლებს კომუნიზმის საბოლოოდ განხორციელებას.

ამჟამად უახლოეს ამოცანებს ამ გზაზე წარმოადგენს:

1) უფასო და სავალდებულო საერთო და პოლიტექნიკური (რომელიც თეორიასა და პრაქტიკაში ბავშვს აცნობს წარმოების ყველა მთავარ დარგს) განათლების გატარება ორივე სქესის ყველა ბავშვისთვის 16 წლამდე.

2) სწავლების მჭიდრო კავშირის განხორციელება საზოგადოებრივ-ნაყოფიერ შრომასთან.

3) ყველა მოსწავლის მომარაგება საჭმლით, ტანსაცმლითა და სახელმძღვანელოებით სახელმწიფოს ხარჯზე.

4) აგიტაციისა და პროპაგანდის გაძლიერება მასწავლებლებში.

5) კომუნიზმის იდეებით გამსჭვალული ახალი მასწავლებლობის კადრების მომზადება.

6) მშრომელი მოსახლეობის მიზიდვა განათლების საქმეში აქტიური მონაწილეობის მისაღებად (სახალხო განათლების საბჭოების განვითარება, წიგნიერთა მობილიზაცია და სხვ.).

7) საბჭოთა ხელისუფლების მიერ ყოველმხრივი დახმარების გაწევა მუშებისა და მშრომელი გლეხების თვითგანათლებისა და თვითგანვითარებისათვის (ბიბლიოთეკების, მოზრდილთა სკოლების, სახალხო უნივერსიტეტების, ლექციების კურსების, კინემატოგრაფების, სტუდიების და სხვ. მოწყობა).

8) კომუნისტური იდეების უაღრესად ფართო პროპაგანდის გაჩაღება.

უფრო კონკრეტულად ავითარებს რა საბჭოთა ხელისუფლების საერთო ამოცანებს, რკპ შემდეგნაირად განსაზღვრავს მათ ამჟამად:

ეკონომიურ დარგში

საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა ამჟამად მდგომარეობს შემდეგში:

(1) განუხრელად განაგრძოს და ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული და მთავარსა და ძირითადში უკვე დამთავრებული ექსპროპრიაცია ბურჟუაზიისა, წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა გადაქცევა საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებად, ე. ი. ყველა მშრომელის საერთო საკუთრებად.

(2) განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქციოს მშრომელთა ამხანაგური დისციპლინის განვითარებასა და განმტკიცებას და მათი თვითმოქმედებისა და პასუხისმგებლობის შეგნების ყოველმხრივ ამაღლებას. ამაში მდგომარეობს უმთავ-

რესი, თუ ერთადერთი არა, საშუალება საბოლოოდ დაძლეულ იქნას კაპიტალიზმი და ის ჩვევები, რომლებიც შექმნილია წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების ბატონობით. ამ მიზნის მიღწევა მოითხოვს შეუპოვარ ნელ მუშაობას მასების ხელახალ აღზრდაზე, და ასეთი ხელახალი აღზრდა არათუ შესაძლებელი გახდა ახლა, როცა მასებმა საქმით დაინახეს მემამულის, კაპიტალისტისა და ვაჭრის ჩამოშორება, — ეს ხელახალი აღზრდა ახლა ფაქტიურად ათასი გზით მიიმართება მუშებისა და გლეხების საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების გავლით. ამ მხრივ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობას მშრომელთა პროფესიული გაერთიანების განვითარებისთვის, რომელიც არასდროს და არსად მთელ მსოფლიოში არ მიმდინარეობდა ისე სწრაფად, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს, მაგრამ რომელიც მიყვანილ უნდა იქნას უკლებლივ ყველა მშრომელის გაერთიანებამდე მწყობრ, ცენტრალიზებულ, დისციპლინირებულ, საწარმოო კავშირებში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავჯერდეთ რა პროფესიული მოძრაობის ძველ შაბლონს, შევამოწმოთ რა თვითეული ნაბიჯი პრაქტიკული გამოცდილების შედეგებით, ჩვენ სისტემატურად უნდა გადავაქციოთ კავშირები, ერთი მხრივ, მთელი სახალხო მეურნეობის მართვის ორგანოებად; პროფესიული კავშირების დაახლოება და მჭიდრო კავშირი სმუს-თან, შრომის კომისარიატთან, შემდეგ კი სახელმწიფო მართვა-გამგეობის ყველა სხვა დარგთანაც უნდა გაიზარდოს და ვანმტკიცდეს; — მეორე მხრივ, პროფესიული კავშირები კიდევ უფრო მეტად უნდა გადაიქცნენ უკლებლივ მთელი მშრომელი მასის შრომითი და სოციალისტური აღზრდის ორგანოებად, იმ ვარაუდით, რომ მართვა-გამგეობაში მონაწილეობის პრაქტიკული გამოცდილება მოიცავდეს, მუშათა ავანგარდის კონტროლით, მუშების უფრო ჩამორჩენილ ფენებს.

(3) შრომის ნაყოფიერების გადიდება შეადგენს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, რადგან უამისოდ კომუნიზმზე საბოლოო გადასვლა შეუძლებელია. ამ მიზნის მიღწევა, მასების განათლებასა და მათი კულტურული დონის ამაღლებაზე ხან-

გრძლივი მუშაობის გარდა, მოითხოვს დაუყოვნებლივ, ფართოდ და ყოველმხრივ გამოყენებას მეცნიერებისა და ტექნიკის სპეციალისტებისას, რომლებიც მემკვიდრეობად დაგვიტოვა კაპიტალიზმმა და რომლებიც ჩვეულებრივ აუცილებლად გაჟღენთილი არიან ბურჟუაზიული მსოფლმხედველობითა და ჩვევებით. პარტიამ, პროფესიულ გაერთიანებებთან მჭიდრო კავშირში, უნდა აწარმოოს თავისი ძველი ხაზი: ერთი მხრივ, ოდნავი პოლიტიკური დათმობა არ უნდა მოახდინოს ამა თუ იმ ბურჟუაზიული ფენის მიმართ და ულმობლად დათრგუნოს მისი ყოველგვარი კონტრრევოლუციური ზრახვები, ხოლო მეორე მხრივ, ასევე ულმობლად ებრძოლოს ვითომ-რადიკალურ, სინამდვილეში კი უმეცარ, ყალბ წარმოდგენას, თითქოს მშრომელებს ძალუძთ კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული წყობილების დაძლევა ისე, თუ არ ისწავლიან ბურჟუაზიულ სპეციალისტებთან, არ გამოიყენებენ მათ, არ გაივლიან მათ გვერდით მუშაობის ხანგრძლივ სკოლას.

მივისწრაფვით რა ყოველგვარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა და სრული კომუნიზმისაკენ, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ამოცანად დავისახოთ ამ თანაბრობის დაუყოვნებლივ განხორციელება ამჟამად, როცა მხოლოდ პირველი ნაბიჯები იდგმება კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად. ამიტომ აუცილებელია განსაზღვრული დროით დარჩეს სპეციალისტების უფრო მაღალი ხელფასი, რათა მათ შეეძლოთ მუშაობა უფრო ცუდად კი არა, არამედ უფრო კარგად, ვიდრე წინათ, და ამავე მიზნით არ შეიძლება უარი ვთქვათ პრემიების სისტემაზედაც ყველაზე უფრო წარმატებული და მეტადრე ორგანიზატორული მუშაობისთვის; პრემიები შეუწყნარებელი იქნება სრული კომუნიზმის სისტემის დროს, მაგრამ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალ ეპოქაში პრემიებს ვერ შეველევით, როგორც ამას მოწმობს თეორიული მოსაზრებებიც და საბჭოთა ხელისუფლების ერთი წლის გამოცდილებაც.

ამასთან ერთად განუხრელად უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ ბურჟუაზიულ სპეციალისტებს შევუქმნათ პირობები

ამხანაგური საერთო შრომისა რიგითი მუშების მასასთან ხელიხელჩაკიდებით, მუშებისა, რომლებსაც შეგნებული კომუნისტები ხელმძღვანელობენ, და მოთმინებით, ისე რომ არ შევუშინდეთ აუცილებელ ცალკეულ წარუმატებლობას, მივაღწიოთ იმას, რომ მეცნიერულად მომზადებულ ადამიანებს გავუღვივოთ პირადი გამდიდრებისა და ადამიანის მიერ ადამიანის საექსპლოატაციოდ მეცნიერების გამოყენების მთელი სისაძაგლის შეგნება, გავუღვიძოთ მეცნიერების გამოყენების უფრო მაღალი ამოცანის შეგნება — მთელი მშრომელი მასის გაცნობა მეცნიერებასთან.

(4) კომუნიზმის განხორციელება, რომელიც უეჭველად მოითხოვს შრომის რაც შეიძლება მეტ და მტკიცე ცენტრალიზაციას საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით, ამით გულისხმობს მუშების იმ პროფესიული და ადგილობრივი დაქსაქსულობისა და დაქუცმაცების გადალახვას, რაც შეადგენდა კაპიტალის ძალისა და შრომის უძლურების ერთ-ერთ წყაროს. ბრძოლა ამქრულ სივიწროვესა და შეზღუდულობასთან, ამქრულ ეგოიზმთან, ბრძოლა, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია ბრძოლასთან ქალაქისა და სოფლის ერთმანეთთან დაპირისპირების მოსასპობად, დიდ სიძნელეებს წარმოადგენს და მისი ფართო მასშტაბით დაწყება შეუძლებელია, თუ წინასწარ დიდად არ იქნა გადიდებული სახალხო შრომის ნაყოფიერება. მაგრამ მიუხედავად ამისა ეს მუშაობა მაინც დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ, თუნდაც თავდაპირველად მცირე, ადგილობრივ, ფარგლებში და ცდის სახით, იმ სხვადასხვა ზომების შედეგთა შესადარებლად, რომლებიც მიღებული იქნება სხვადასხვა პროფესიის მიხედვით და სხვადასხვა ადგილას. საბჭოთა ხელისუფლების მიერ მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაცია გამოუკლებლივ, პროფესიული კავშირების მონაწილეობით, განსაზღვრულ საზოგადოებრივ სამუშაოთა შესასრულებლად, გაცილებით უფრო ფართოდ და სისტემატურად უნდა იყოს გამოყენებული, ვიდრე ეს დღემდე ხდებოდა.

(5) განაწილების სფეროში საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ განუხრელად გაგრძელდეს ვაჭრობის შეცვლა პროდუქტების გეგმაშეზომილი, საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით ორგანიზებული განაწილებით. ამის მიზანია მთელი მოსახლეობის გაერთიანება სამომხმარებლო-საწარმოო კომუნებში, რომელთაც შეეძლებათ ყველა საჭირო პროდუქტის განაწილება უდიდესი სისწრაფით, გეგმაშეზომილად, მომჭირნეობით, შრომის უმცირესი დახარჯვით, და მთელი განმანაწილებელი აპარატის მტკიცე ცენტრალიზაცია. ამ მიზნის მიღწევის გარდამავალ საშუალებას წარმოადგენენ კოოპერატივები. მათი გამოყენება იმდენად წარმოადგენს ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოყენების ერთგვაროვან ამოცანას, რამდენადაც კაპიტალიზმიდან შემკვიდრეობით გადმოცემული კოოპერაციული აპარატის სათავეში დგანან ადამიანები, რომლებიც გამსჭვალული არიან აზროვნებისა და მეურნეობის წარმართვის ბურჟუაზიული ჩვევებით. რკპ სისტემატურად უნდა განაგრძოს თავისი პოლიტიკა: ვალდებული გახადოს პარტიის ყველა წევრი იმუშაონ კოოპერატივებში, წარმართონ ისინი, აგრეთვე პროფესიული კავშირების დახმარებით, კომუნისტური სულისკვეთებით, განავითარონ კოოპერატივებში გაერთიანებული მშრომელი მოსახლეობის თვითმოქმედება და დისციპლინა, მიაღწიონ იმას, რომ მთელი მოსახლეობა მოიცვას კოოპერატივებმა და რომ ეს კოოპერატივები შეერთდნენ ერთიან, მთელი საბჭოთა რესპუბლიკის თავიდან ბოლომდე მომცველ კოოპერატივად; ბოლოს, და ეს უმთავრესია, რომ პროლეტარიატის უპირატესი გავლენა მშრომელთა დანარჩენ ფენებზე მუდამ უზრუნველყოფილი იყოს და რომ ყველგან პრაქტიკულად შემოწმდეს სხვადასხვაგვარი ზომები, რომლებიც გაადვილებენ და განახორციელებენ ძველი, კაპიტალისტური ტიპის წვრილბურჟუაზიული კოოპერატივებიდან გადასვლას სამომხმარებლო-საწარმოო კომუნებზე, რომლებსაც უხელმძღვანელებენ პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები.

(6) ფულის ერთბაშად მოსპობა კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პირველ ხანებში შეუძლებელია. ამის გამო მოსახლეობის ბურჟუაზიული ელემენტები განაგრძობენ კერძო საკუთრებად დარჩენილი ფულის ნიშნების, ექსპლოატატორების მიერ საზოგადოებრივი სიმდიდრის მიღების უფლების ამ მოწმობათა გამოყენებას სპეკულაციის, გამდიდრებისა და მშრომელთა გაძარცვის მიზნით. ბურჟუაზიული ძარცვის ამ ნაშთის წინააღმდეგ საბრძოლველად მარტო ბანკების ნაციონალიზაცია საკმარისი არ არის. რკპ შეეცდება რაც შეიძლება ჩქარა გატარდეს უაღრესად რადიკალური ზომები, რომლებიც მოამზადებენ ფულის მოსპობას, პირველ რიგში მათს შეცვლას შემნახველი წიგნაკებით, ჩეკებით, მოკლევადიანი ბილეთებით საზოგადოებრივი პროდუქტების მიღების უფლებით და სხვ., ბანკებში ფულის სავალდებულო შენახვის დაწესებას და ა. შ., ამ და მსგავსი ზომების მომზადებისა და გატარების პრაქტიკული გამოცდილება დაგვანახვებს, რომელია მათში ყველაზე უფრო მიზანშეწონილი.

(7) ფინანსების სფეროში რკპ გაატარებს პროგრესიულ საშემოსავლო და ქონების გადასახადს ყველა შემთხვევაში, როცა ამის შესაძლებლობა იქნება. მაგრამ ეს შემთხვევები არ შეიძლება მრავალრიცხოვანი იყოს მიწის და ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა საწარმოთა უმრავლესობის კერძო საკუთრების გაუქმების შემდეგ. პროლეტარიატის დიქტატურისა და წარმოების უმნიშვნელოვანეს საშუალებათა სახელმწიფო საკუთრების ეპოქაში სახელმწიფოს ფინანსები უნდა ემყარებოდეს სხვადასხვა სახელმწიფო მონოპოლიის შემოსავლის განსაზღვრული ნაწილის უშუალო მოხმარებას სახელმწიფოს საჭიროებისათვის. შემოსავლისა და გასავლის ბალანსირება შესაძლებელია მხოლოდ საქონლის გაცვლა-გამოცვლის სწორად დაყენების პირობებში, რისკენაც მივყავართ სამომხმარებლო-საწარმოო კომუნების მოწყობას და ტრანსპორტის აღდგენას, რაც საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ უახლოეს მიზანს შეადგენს.

აგრარულ დარგში

მიწის კერძო საკუთრების გაუქმების შემდეგ, მემამულეების [თითქმის] სრული ექსპროპრიაციისა და მიწის სოციალიზაციის იმ კანონის გატარების შემდეგ, რომელიც აღიარებს მიწის მსხვილი საერთო მეურნეობის უპირატესობას, საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ამოცანა არის ამ მიმართულებით ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და პრაქტიკული გარდამავალი ზომების გამონახვა და პრაქტიკულად გამოცდა.

რკპ აგრარული პოლიტიკის ძირითად ხაზს და წარმმართველ პრინციპს საქმის ასეთი ვითარების დროს წინანდებურად წარმოადგენს სოფლის პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ ელემენტებზე დაყრდნობის მისწრაფება. უწინარეს ყოვლისა საჭიროა მათი დარაზმვა დამოუკიდებელ ძალად, საჭიროა მათი დაახლოება ქალაქის პროლეტარიატთან და სოფლის ბურჟუაზიისა და წვრილმესაკუთრული ინტერესების გავლენისაგან გამოგლეჯა. ღარიბთა კომიტეტების მოწყობა ერთ-ერთი ნაბიჯი იყო ამ გზაზე, სოფლად პარტიული უჯრედების მოწყობა, დეპუტატთა საბჭოების ხელახალი არჩევნები და კულაკების ჩამოშორება, სოფლის პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების პროფესიული კავშირების განსაკუთრებული ტიპის შექმნა — ეს და ამგვარი ზომები დაუბრკოლებლივ უნდა გატარდეს.

კულაკობის, სოფლის ბურჟუაზიის მიმართ რკპ პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ გადამჭრელი ბრძოლა ვაწარმოოთ მათი ექსპლოატატორული ზრახვების წინააღმდეგ და დავთრგუნოთ მათი წინააღმდეგობა საბჭოთა, სოციალისტური პოლიტიკის მიმართ.

საშუალო გლეხობის მიმართ რკპ პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ფრთხილად მოვეპყრათ მას; საჭიროა მისი გამოყოფა კულაკებისაგან და არავითარ შემთხვევაში არ გავავრცელოთ მასზე დათრგუნვის ზომები; თავისი კლასობრივი მდგომარეობით საშუალო გლეხობას შეუძლია სოციალიზმზე გადასვლისას იყოს პროლეტარული ხელისუფლების მოკავშირე ან, ყოველ შემთხვევაში, ნეიტრალური ელემენტი. ამიტომ,

მიუხედავად აუცილებელი ნაწილობრივი წარუმატებლობისა და საშუალო გლეხობის მერყეობისა, განუხრელად უნდა ვესწრაფოდეთ მასთან შეთანხმებას და საამისოდ მზრუნველობით ვეპყრობოდეთ ყველა მის სურვილს და დათმობაზე მივდიოდეთ სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელების საშუალებათა განსაზღვრაში. ამასთან ერთ-ერთ პირველ ადგილას უნდა დავაყენოთ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების იმ წარმომადგენელთა უფლებების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, რომლებიც მოსატყუებლად იყენებენ კომუნისტების სახელწოდებას და საქმით ატარებენ არა კომუნისტურ, არამედ ბიუროკრატიულ, მბრძანებლურ პოლიტიკას, და ასეთების დაუნდობლად განდევნა, ამავე დროს უფრო მკაცრი კონტროლი დავაწესოთ როგორც პროფესიული კავშირების დახმარებით, ისე სხვა საშუალებებით.

რაც შეეხება კომუნისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებებს, რკპ პრაქტიკულად შეამოწმებს ცხოვრების მიერ უკვე შექმნილ სამ მთავარ ღონისძიებას — საბჭოთა მეურნეობებს, სასოფლო-სამეურნეო კომუნებს და მიწის საერთო დამუშავების საზოგადოებებს (აგრეთვე ამხანაგობებს), იზრუნებს მათ უფრო ფართოდ და უფრო მართებულ გამოყენებაზე, განსაკუთრებით კი ამხანაგური მიწათმოქმედების ამ ახალ ფორმებში გლეხთა ნებაყოფლობით მონაწილეობის განვითარების საშუალებებზე და მშრომელი გლეხობის ორგანიზაციაზე ქვევიდან მიმდინარე კონტროლისა და ამხანაგური დისციპლინის განხორციელებისათვის.

სასურსათო პოლიტიკის სფეროში რკპ იცავს სახელმწიფო მონოპოლიის განმტკიცებას და განვითარებას და უარს არ ამბობს გამოიყენოს კოოპერატივები და კერძო ვაჭრები ან საკაჭრო მოსამსახურეები, აგრეთვე პრემიების სისტემა საბჭოთა ხელისუფლების მხრივ კონტროლის გაწევის პირობით და საქმის საუკეთესო ორგანიზაციული დაყენების მიზნით. ნაწილობრივი დათმობები, რომელთა დაშვება გვიხდება დრო და დრო, გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ გაჭირვების განსაკუთრებული გამწვავებით და არასდროს არ იწვევს სა-

ხელმწიფო მონოპოლიის განხორციელების მედგარ მისწრაფებაზე ხელის აღებას. წვრილი გლეხური მეურნეობის ქვეყანაში შისი განხორციელება ძალიან ძნელი საქმეა, მოითხოვს ხანგრძლივ მუშაობას და მთელი რიგი იმ გარდამავალი ღონისძიებების პრაქტიკულად გამოცდას, რომლებსაც სხვადასხვა გზით მივყავართ მიზნისაკენ, ე. ი. საწარმოო-სამომხმარებლო კომუნების ყველგან მოწყობისა და წესიერად მოქმედებისაკენ სურსათის მთელი ნაჭარბის სახელმწიფოსათვის გადაცემით.

2

რკპ (ბოლშევიკების) პროგრამის პროექტი

(1) 1917 წ. 25. X-ის (7. XI-ის) რევოლუციამ რუსეთში განახორციელა დიქტატურა პროლეტარიატისა, რომელმაც უღარიბესი გლეხობის ანუ ნახევრადპროლეტარიატის მხარის დაჭერით დაიწყო კომუნისტური საზოგადოების საფუძვლების შექმნა. პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ზრდა ყველა მოწინავე ქვეყანაში, ყველგან გაჩენამ და განვითარებამ ამ მოძრაობის საბჭოთა ფორმისამ, ე. ი. ისეთი ფორმისამ, რომელიც პირდაპირ მიმართულია პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებისაკენ, ბოლოს, ავსტრია-უნგრეთში და მეტადრე გერმანიაში რევოლუციის დაწყებამ და მისი განვითარების მსვლელობამ, ყოველივე ამან თვალსაჩინოდ დაგვანახვა, რომ მსოფლიო პროლეტარული, კომუნისტური რევოლუციის ერა დაიწყო.

(2) ამ რევოლუციის მიზეზების, მნიშვნელობისა და მიზნების სწორად გაგება მოითხოვს კაპიტალიზმის არსის გარკვევას და კომუნიზმისაკენ მისი განვითარების გარდუვალობას იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომების გზით, ომებისა, რომლებიც აჩქარებენ იმპერიალიზმის კრახს.

* * *

(3) კაპიტალიზმისა და იმ ბურჟუაზიული საზოგადოების ბუნება, რომელიც ჯერ კიდევ ბატონობს ცივილიზებული ქვეყნების უმრავლესობაში და რომლის განვითარებას გარდუვალად მივყავართ პროლეტარიატის მსოფლიო კომუნისტურ

რევოლუციამდე, ჩვენმა ძველმა პროგრამამ სწორად დაახასიათა (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ პარტიას არაზუსტად ეწოდებოდა სოციალ-დემოკრატიული) შემდეგ დებულებებში:

(4) «ასეთი საზოგადოების მთავარ თავისებურებას შეადგენს სასაქონლო წარმოება კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის საფუძველზე, როცა წარმოების საშუალებათა და საქონლის მიმოქცევის მეტად მნიშვნელოვანი და საგრძნობი ნაწილი ეკუთვნის მცირერიცხოვან პირთა კლასს, მაშინ როდესაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა შესდგება პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარებისაგან, რომლებიც თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით იძულებული არიან მუდამ ან პერიოდულად ჰყიდონ თავიანთი სამუშაო ძალა, ე. ი. მიეჭირაონ კაპიტალისტებს და თავიანთი შრომით შექმნან საზოგადოების მაღალი კლასების შემოსავალი.

(5) კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის ბატონობის სფერო სულ უფრო და უფრო ფართოვდება იმისდამიხედვით, თუ რამდენად იწვევს ტექნიკის მუდმივი გაუმჯობესება, ადიდებს რა მსხვილ საწარმოთა სამეურნეო მნიშვნელობას, წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებელთა განდევნას, მათ ერთ ნაწილს ხდის პროლეტარებად, ხოლო დანარჩენთა როლს ზღუდავს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში და ალაგ-ალაგ აყენებს მათ მეტნაკლებად სრულ, მეტნაკლებად აშკარა, მეტნაკლებად მძიმე დამოკიდებულებაში კაპიტალისაგან.

(6) გარდა ამისა იგივე ტექნიკური პროგრესი შესაძლებლობას აძლევს მეწარმეებს სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობით გამოიყენონ ქალის და ბავშვის შრომა საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში. ხოლო რადგან, მეორე მხრივ, ის იწვევს მეწარმეთა მხრივ მუშათა ცოცხალი შრომის მოთხოვნილების შედარებითს შემცირებას, ამიტომ მოთხოვნილება მუშახელზე აუცილებლად ჩამორჩება მის მიწოდებას, რის გამო იზრდება დაქირავებული შრომის დამოკიდებულება კაპიტალისაგან და მატულობს მისი ექსპლოატაციის დონე.

(7) საქმის ასეთი ვითარება ბურჟუაზიული ქვეყნების შიგნით და მათი ურთიერთი მეტოქეობის მუდმივი გამწვავება

მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო და უფრო აძნელებენ საქონლის გასაღებას, რომელიც მუდამ მზარდი რაოდენობით მზადდება. ჭარბი წარმოება, რაც თავს იჩენს მეტნაკლებად მწვავე სამრეწველო კრიზისებში, რომლებსაც თან სდევს მრეწველობის შეფერხების მეტნაკლებად ხანგრძლივი პერიოდები, წარმოადგენს საწარმოო ძალების განვითარების აუცილებელ შედეგს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. კრიზისები და მრეწველობის შეფერხების პერიოდები თავის მხრივ კიდევ უფრო მეტად აჩანაგებენ წვრილ მწარმოებლებს, კიდევ უფრო ადიდებენ დაქირავებული შრომის დამოკიდებულებას კაპიტალისაგან, კიდევ უფრო აჩქარებენ მუშათა კლასის მდგომარეობის შედარებითს, ხოლო ზოგჯერ აბსოლუტურ გაუარესებას.

(8) ამრიგად, ტექნიკის გაუმჯობესება, რაც შრომის ნაყოფიერების გადიდებას და საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას ნიშნავს, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აპირობებს საზოგადოებრივი უთანასწორობის გაძლიერებას, შეძლებულთა და ხელმოკლეთა შორის მანძილის გადიდებას და არსებობის უზრუნველყოფის შემცირებას, უმუშევრობისა და მშრომელთა მასების სულ უფრო და უფრო ფართო ფენების სხვადასხვაგვარი გაჭირვების ზრდას.

(9) მაგრამ, რაც უფრო იზრდება და ვითარდება ყველა ეს წინააღმდეგურობა, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებას მოსდგამს, იმისდამიხედვით იზრდება აგრეთვე მშრომელი და ექსპლოატირებული მასის უკმაყოფილებაც არსებული ვითარებით, იზრდება პროლეტარების რიცხვი და დარაზმულობა და მწვავდება მათი ბრძოლა თავიანთ ექსპლოატატორებთან. ამავე დროს ტექნიკის გაუმჯობესება, რომელიც ეწევა წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა კონცენტრაციას და შრომის პროცესის განსაზოგადოებას კაპიტალისტურ საწარმოებში, სულ უფრო და უფრო აჩქარებს კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის კომუნისტურით შეცვლის მატერიალურ შესაძლებლობას, ე. ი. იმ სოციალური რევოლუციის მატერიალურ შესაძლებლობას, რომელიც წარმოადგენს

საერთაშორისო კომუნისტური პარტიის, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი მოძრაობის შეგნებული გამომხატველის, მთელი მუშაობის საბოლოო მიზანს.

(10) შესცვლის რა წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა კერძო საკუთრებას საზოგადოებრივით და შექმნის რა საზოგადოებრივ-ნაყოფიერი პროცესის გეგმაშეზომილ ორგანიზაციას საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობისა და ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად, პროლეტარიატის სოციალური რევოლუცია მოსპობს საზოგადოების კლასებად დაყოფას და მით გაათავისუფლებს მთელ ჩაგრულ კაცობრიობას, რადგან ბოლოს მოუღებს საზოგადოების ერთი ნაწილის ყოველგვარ ექსპლოატაციას მეორე ნაწილის მიერ.

(11) ამ სოციალური რევოლუციის აუცილებელ პირობას შეადგენს პროლეტარიატის დიქტატურა, ე. ი. პროლეტარიატის მიერ ისეთი პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება, რომელიც საშუალებას მისცემს მას შემუსროს ექსპლოატატორების ყოველგვარი წინააღმდეგობა. ამოცანად ისახავს რა იმას, რომ პროლეტარიატმა შესძლოს თავისი დიადი ისტორიული მისიის შესრულება, საერთაშორისო კომუნისტური პარტია რაზმავს მას დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად, რომელიც უპირისპირდება ყველა ბურჟუაზიულ პარტიას, ხელმძღვანელობას უწევს მისი კლასობრივი ბრძოლის ყოველგვარ გამოხატულებას, ააშკარავებს მის წინაშე ექსპლოატატორების ინტერესების შეურიგებელ წინააღმდეგურობას ექსპლოატირებულთა ინტერესებისადმი და ურკვევს მას მომავალი სოციალური რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობას და აუცილებელ პირობებს. ამასთანავე ის მთელი დანარჩენი მშრომელი და ექსპლოატირებული მასის წინაშე ააშკარავებს მისი მდგომარეობის უიმედობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში და სოციალური რევოლუციის აუცილებლობას კაპიტალის უღლისაგან მისი განთავისუფლების ინტერესებისათვის. მუშათა კლასის პარტია, კომუნისტური პარტია, თავის რიგებში მოუწოდებს მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეო-

ბის ყველა ფენას, რამდენადაც ისინი პროლეტარიატის თვალსაზრისზე დგებიან».

* * *

(12) კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესმა, სპობდა რა იგი თავისუფალ კონკურენციას, XX საუკუნის დამდეგს გამოიწვია კაპიტალისტთა მძლავრი მონოპოლისტური კავშირების, სინდიკატების, კარტელების, ტრესტების შექმნა, რომლებმაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვეს მთელ ეკონომიურ ცხოვრებაში, გამოიწვია საბანკო კაპიტალის შეერთება უდიდესი კონცენტრაციის სამრეწველო კაპიტალთან, კაპიტალის გაძლიერებული გატანა უცხო ქვეყნებში, გამოიწვია ის, რომ დაიწყო ტერიტორიულად უმდიდრეს ქვეყნებს შორის უკვე განაწილებული მსოფლიოს ეკონომიური განაწილება ტრესტებს შორის, რომლებიც მოიცავენ კაპიტალისტური სახელმწიფოების სულ უფრო და უფრო ფართო ჯგუფებს. ფინანსური კაპიტალის ეს ეპოქა, კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის არნახული გამძვინვარებული ბრძოლის ეპოქა, არის იმპერიალიზმის ეპოქა.

(13) აქედან გარდუვალად გამომდინარეობს იმპერიალისტური ომები, ომები გამსაღებელი ბაზრებისათვის, კაპიტალის დაბანდების სფეროებისთვის, ნედლეულისა და იაფი მუშახელისათვის, ე. ი. მსოფლიო ბატონობისა და მცირე და სუსტ ეროვნებათა ჩახშობისათვის. სწორედ ასეთია 1914 — 1918 წლების პირველი დიდი იმპერიალისტური ომი.

(14) საერთოდ მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარების მეტისმეტად მაღალი საფეხურიც; თავისუფალი კონკურენციის შეცვლაც სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმით; ბანკებისა და აგრეთვე კაპიტალისტთა კავშირების მიერ აპარატის მომზადებაც პროდუქტების წარმოებისა და განაწილების პროცესის საზოგადოებრივი რეგულირებისათვის; კაპიტალისტური მონოპოლიების ზრდასთან დაკავშირებული სიძვირის ზრდაც და სინდიკატების მხრივ მუშათა კლასის ჩაგვრის გაძლიერებაც, მისი დამონება იმპერიალისტური

სახელმწიფოს მიერ, პროლეტარიატის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის უდიდესი გაძნელება; იმპერიალისტური ომით წარმოშობილი საშინელებაც, უბედურებაც, გაჩანაგებაც, — ყოველივე ეს კაპიტალიზმის განვითარების ამჟამად მიღწეული საფეხურიდან ქმნის პროლეტარული, კომუნისტური რევოლუციის ერას.

ეს ერა დაიწყო.

მხოლოდ პროლეტარულ, კომუნისტურ რევოლუციას შეუძლია გამოიყვანოს კაცობრიობა იმ ჩიხიდან, რომელიც შექმნა იმპერიალიზმმა და იმპერიალისტურმა ომებმა. რაც უნდა სიძნელეები გადაეღობოს რევოლუციას და რაც უნდა დროებითი წარუმატებლობა ან კონტრრევოლუციის ტალღები მოელოდეს მას, — პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვება გარდუვალია.

* * *

(16) მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება მოითხოვს მოწინავე ქვეყნების მუშათა კლასის სრულ ნდობას, უმჭიდროეს ძმურ კავშირს და რევოლუციური მოქმედების რაც შეიძლება მეტ ერთიანობას. ამ პირობების განხორციელება შეუძლებელია, თუ გადაჭრით, პრინციპულად არ იქნა უარყოფილი და ულმობელი ბრძოლა არ გამოეცხადა სოციალიზმის იმ ბურჟუაზიულ დამახინჯებას, რომელმაც გაიმარჯვა ოფიციალურ «სოციალ-დემოკრატიულ» და «სოციალისტურ» პარტიათა ზედაფენებში.

(17) ასეთ დამახინჯებას წარმოადგენს, ერთი მხრივ, ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის მიმდინარეობა, სოციალიზმისა — სიტყვით, შოვინიზმისა — საქმით, «სამშობლოს დაცვის» ცრუ ლოზუნგით «საკუთარი» ნაციონალური ბურჟუაზიის მძარცველური ინტერესების დაცვის დაფარვა, როგორც საერთოდ, ისე განსაკუთრებით 1914 — 1918 წლების იმპერიალისტური ომის დროს. ეს მიმდინარეობა იმით შეიქმნა, რომ მოწინავე კაპიტალისტური სახელმწიფოები, ძარცვავდნენ რა კოლონიურ და სუსტ ხალხებს, საშუალებას აძლევ-

დნენ ბურჟუაზიას ამ ძარცვით მოპოვებული ზემოგების ნამცეცებით მოესყიდათ პროლეტარიატის ზედაფენები, უზრუნველეყოთ მათთვის მშვიდობიან დროს გაუჭირვებელი მეშჩანური არსებობა და თავიანთ სამსახურში აეყვანათ ამ ფენის ბელადები. ოპორტუნისტები და სოციალ-შოვინისტები, როგორც ბურჟუაზიის მსახურნი, პროლეტარიატის ნამდვილ კლასობრივ მტრებს წარმოადგენენ, განსაკუთრებით ახლა, როცა ისინი კაპიტალისტებთან კავშირში შეიარაღებული ხელით ახშობენ პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას როგორც საკუთარ, ისე უცხო ქვეყნებში.

(18) მეორე მხრივ, სოციალიზმის ბურჟუაზიულ დამახინჯებად მოგვევლინა «ცენტრის» მიმდინარეობა, — რასაც აგრეთვე ვხედავთ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, — რომელიც ქანაობს სოციალ-შოვინისტებსა და კომუნისტებს შორის, იცავს ერთიანობას პირველებთან და ცდილობს ააღორძინოს გაკოტრებული II ინტერნაციონალი. პროლეტარიატის ბრძოლის ხელმძღვანელი მისი განთავისუფლების საქმეში არის მხოლოდ ახალი, III, კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც ფაქტიურად დაარსებულია კომუნისტური პარტიების შექმნით წინანდელი სოციალისტური პარტიების ნამდვილი პროლეტარული ელემენტებისგან მთელ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი გერმანიაში, და რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ თანაგრძნობას იძენს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის მასებში. ეს ინტერნაციონალი არა მარტო თავისი სახელწოდებით უბრუნდება მარქსიზმს, არამედ მთელი თავისი იდეურ-პოლიტიკური შინაარსითაც, მთელი თავისი მოქმედებით ახორციელებს მარქსის რევოლუციურ მოძღვრებას, რომელიც გაწმენდილია ბურჟუაზიულ-ოპორტუნისტულ დამახინჯებათაგან.

* * *

«პრავდა» № 43,
1919 წ. 25 თებერვალი

იბეჭდება საწერ მანქანაზე
დაბეჭდილი ასლის მიხედვით,
რომელიც შესწორებულია
ვ. ი. ლენინის მიერ

3

ჩანართი პროგრამის პოლიტიკურ ნაწილში

ამასთანავე რკპ-მ უნდა განუმარტოს მშრომელთა მასებს, წარმავალი ხასიათის ისტორიულ საჭიროებათა არასწორად განზოგადების თავიდან ასაცილებლად, რომ მოქალაქეთა ერთი ნაწილისთვის საარჩევნო უფლების წართმევა საბჭოთა რესპუბლიკაში სრულებითაც არ ეხება, როგორც ეს იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკათა უმეტესობაში, მოქალაქეთა განსაზღვრულ თანრიგს, რომელთაც სამუდამოდ უუფლებოდ აცხადებდნენ, არამედ ეხება მხოლოდ ექსპლოატატორებს, მხოლოდ იმათ, ვინც წინააღმდეგ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონებისა დაჟინებით იცავს თავის ექსპლოატატორულ მდგომარეობას, კაპიტალისტური ურთიერთობის შენარჩუნებას. მაშასადამე, საბჭოთა რესპუბლიკაში, ერთი მხრივ, დღითი დღე სოციალიზმის განმტკიცებასა და იმათი რიცხვის შემცირებასთან ერთად, ვისაც ობიექტურად შესაძლებლობა აქვს ექსპლოატატორად დარჩეს ან კაპიტალისტური ურთიერთობა შეინარჩუნოს, თავისთავად მცირდება საარჩევნო უფლებაწართმეულთა პროცენტი. საეჭვოა, რომ ეს პროცენტი რუსეთში ახლა ორ-სამ პროცენტზე მეტი იყოს. მეორე მხრივ, სულ უახლოეს მომავალში საგარეო შემოსევის შეწყვეტას და ექსპროპრიატორების ექსპროპრიაციის დამთავრებას, განსაზღვრულ პირობებში, შეუძლია შექმნას ისეთი მდგომარეობა, როცა პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება სხვა საშუალებებს აირჩევს ექსპლოატატორების წინააღმდეგობის ჩასახშობად და სრულიად შეუზღუდველ საყოველთაო საარჩევნო უფლებას შემოიღებს.

4

ნაწყვეტი პროგრამის პოლიტიკური ნაწილიდან

უზრუნველყოფს რა მშრომელთა მასებისთვის ყველაზე ადვილი და მუშებისა და გლეხებისათვის მისაწვდომი საშუალებით არჩევნების მოხდენისა და დეპუტატების გაწვევის შეუდარებლად უფრო მეტ შესაძლებლობას, ვიდრე ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის დროს, საბჭოთა კონსტიტუცია ამავე დროს სპობს უკვე პარიზის კომუნის დროიდან გამოაშკარავებულ პარლამენტარიზმის უარყოფითს მხარეებს, მეტადრე საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფალთა განცალკევებას, პარლამენტის მოწყვეტას მასებისაგან და სხვ.

საბჭოთა კონსტიტუცია სახელმწიფო აპარატს აგრეთვე იმით აახლოებს მასებთან, რომ საარჩევნო ერთეულად და სახელმწიფოს ძირითად უჯრედად ხდება არა ტერიტორიული ოლქი, არამედ საწარმოო ერთეული (ქარხანა, ფაბრიკა).

მასებთან სახელმწიფო აპარატის უფრო მჭიდრო კავშირი, საბჭოების დროს, საშუალებას იძლევა შევქმნათ საერ....[15]

5

პროგრამის მუხლი ნაციონალური ურთიერთობის დარგში

სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მოქცეული პროლეტარიატის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში, განსხვავებით ერთა თანასწორობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფორმალური აღიარებისა, რაც განუხორციელებელია იმპერიალიზმის დროს, იმაში მდგომარეობს, რომ განუხრელად და ფაქტიურად განხორციელდეს ყველა ერის მუშებისა და გლეხების დაახლოება და შეერთება მათ რევოლუციურ ბრძოლაში ბურჟუაზიის დასამხობად. ამ მიზნის განხორციელება მოითხოვს კოლონიურ და სხვა დაჩაგრულ ან არასრულუფლებიან მდგომარეობაში მყოფ ერთა სრულ განთავისუფლებას მათთვის გამოყოფის თავისუფლების მინიჭებით, როგორც იმის გარანტიისა, რომ კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებული სხვადასხვა ერის მშრომელი მასების უნდობლობა და დაჩაგრულ ერთა მუშების გაბოროტება დამჩაგვრელ ერთა მუშების წინააღმდეგ სავსებით გაიფანტოს და შეიცვალოს შეგნებული და ნებაყოფლობითი კავშირით. იმ ერების მუშებს, რომლებიც კაპიტალიზმის დროს მჩაგვრელები იყვნენ, მოეთხოვებათ განსაკუთრებული სიფრთხილე ჩაგრულ ერთა ნაციონალური გრძნობის მიმართ (მაგალითად, ველიკოროსებს, უკრაინელებს, პოლონელებს ებრაელების მიმართ, თათრებს — ბაშკირების მიმართ და ა. შ.), ხელისშეწყობა წინათ დაჩაგრულ ერთა მშრომელი მასების არა მარტო ფაქტიური თანასწორუფლებიანობისათვის, არამედ ენის, ლიტერატურის განვითარებისთვისაც კაპიტალიზმის ეპოქისაგან მემკვიდრეობით მიღებული უნდობლობისა და განზე დგომის ყოველგვარი კვალის აღმოსაფხვრელად.

6

ჩანართი ნაციონალურ საკითხზე პროგრამის მუხლის საბოლოო პროექტში

იმ საკითხში, თუ ვინ არის გამოყოფის საქმეში ერის ნების გამომხატველი, რკპ დგას ისტორიულ-კლასობრივ თვალსაზრისზე, ანგარიშს უწევს რა იმას, თუ თავისი ისტორიული განვითარების რა საფეხურზე დგას ესა თუ ის ერი: შუა საუკუნეებიდან ბურჟუაზიული დემოკრატიისაკენ თუ ბურჟუაზიული დემოკრატიიდან საბჭოთა ანუ პროლეტარული დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე და ა. შ.. ყოველ შემთხვევაში,... მხრივ... [16]

7

შესავალი პროგრამის მუხლისა სამხედრო დარგში

სამხედრო ამოცანებისა და სამხედრო მუშაობის დარგში საქმის ვითარება პროლეტარიატის დიქტატურის დროს საბჭოთა რესპუბლიკაში შემდეგნაირად მოეწყო.

იმპერიალისტური ომი, როგორც დიდი ხანია ითვალისწინებდა ჩვენი პარტია, არ შეიძლებოდა დამთავრებულიყო არათუ სამართლიანი ზავით, არამედ საერთოდ რამდენადმე მაინც მტკიცე ზავის უბრალოდ დადებით ბურჟუაზიულ მთავრობათა შორის. დემოკრატების, სოციალისტებისა და სოციალ-დემოკრატების ეს წვრილბურჟუაზიული ილუზია სავსებით გააბათილა მოვლენათა მსვლელობამ. პირიქით, იმპერიალისტური ომი აუცილებლობის გამო ჩვენს თვალწინ იქცეოდა და იქცევა ექსპლოატირებული მშრომელი მასების სამოქალაქო ომად, პროლეტარიატის მეთაურობით, ექსპლოატატორების წინააღმდეგ, ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

როგორც ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა, რომელიც იზრდება პროლეტარიატის შეტევის ზრდის მიხედვით და განსაკუთრებით ძლიერდება ცალკეულ ქვეყნებში პროლეტარიატის გამარჯვებით, ისე ბურჟუაზიის საერთაშორისო სოლიდარობა და საერთაშორისო ორგანიზებულობა, ყოველივე ეს გარდუვალად იწვევს ცალკეულ ქვეყნებს შიგნით სამოქალაქო ომის შეხამებას რევოლუციურ ომებთან პროლეტარულ ქვეყნებსა და კაპიტალის ბატონობის დამცველ ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის. ასეთი ომების კლასობრივი ხასიათის გამო,

განსხვავება თავდაცვითსა და შეტევითს ომებს შორის საბოლოოდ ჰკარგავს ყოველგვარ აზრს.

საერთოდ და მთლიანად, ჩვენს თვალწინ გაშლილი საერთაშორისო სამოქალაქო ომის განვითარების ეს პროცესი, რომელიც მეტადრე სწრაფად გაიშალა 1918 წლის დამლევიდან, წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერ პროდუქტს კაპიტალიზმის დროს და კანონზომიერ საფეხურს საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისაკენ.

ამიტომ რკპ გადაჭრით უარყოფს, როგორც წვრილბურჟუაზიული დემოკრატების რეაქციულ მეშჩანურ ილუზიებს, თუნდაც ისინი სოციალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს უწოდებდნენ თავიანთ თავს, განიარაღების იმედებს კაპიტალიზმის დროს და სინამდვილეში მხოლოდ ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელ ყველა ამგვარ ლოზუნგს უპირისპირებს პროლეტარიატის შეიარაღებისა და ბურჟუაზიის განიარაღების ლოზუნგს, ექსპლოატატორების სრული და ულმობელი დათრგუნვის ლოზუნგს, ბრძოლის ლოზუნგს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიაზე გამარჯვებამდე შინაურ სამოქალაქო ომშიც და საერთაშორისო რევოლუციურ ომებშიც.

ერთ წელიწადზე მეტი ხნის სამხედრო მუშაობისა და ომის გამო მთელი მშრომელი მასების უზომოდ დასუსტებისა და დაღლის შემდეგ პროლეტარული რევოლუციური არმიის შექმნის პრაქტიკულმა გამოცდილებამ რკპ მიიყვანა შემდეგ ძირითად დასკვნებამდე:

8

პირველი აბზაცი პროგრამის მუხლისა სასამართლოს შესახებ

პროლეტარიატის დიქტატურის მეშვეობით კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე კომუნისტების პარტია, უკუაგდებს რა დემოკრატიულ ლოზუნგებს, სავსებით აუქმებს ბურჟუაზიული ბატონობის ისეთ ორგანოებსაც, როგორიცაა ძველი წყობის სასამართლოები, და მათ სცვლის კლასობრივი მუშურ-გლეხური სასამართლოებით. იღებს რა ხელში მთელ ძალაუფლებას, პროლეტარიატი ნაცვლად წინანდელი უსახო ფორმულისა: «მოსამართლეთა არჩევითობა ხალხის მიერ» აყენებს კლასობრივ ლოზუნგს: «მოსამართლეთა არჩევითობა მშრომელთაგან მხოლოდ მშრომელთა მიერ» და მას ახორციელებს სასამართლოს მთელს ორგანიზაციაში. კომუნისტური პარტია, ირჩევს რა სასამართლოს შემადგენლობაში მხოლოდ იმ მუშებისა და გლეხების წარმომადგენლებს, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ შრომას მოგების მისაღებად, არ განასხვავებს ქალებს, ორივე სქესს ათანაბრებს ყოველგვარ უფლებებში როგორც მოსამართლეთა არჩევის დროს, ისე მოსამართლეების მოვალეობათა შესრულებაში. პარტია აუქმებს დამხობილ მთავრობათა კანონებს და საბჭოთა ამომრჩევლების მიერ არჩეულ მოსამართლეებს აძლევს ლოზუნგს — განახორციელონ პროლეტარიატის ნება მისი დეკრეტების გამოყენებით, ხოლო სათანადო დეკრეტის უქონლობის ან მისი უსრულობის შემთხვევაში იხელმძღვანელონ სოციალისტური მართლშეგნებით და უკუაგდონ დამხობილ მთავრობათა კანონები.

9

პროგრამის მუხლი სახალხო განათლების დარგში

სახალხო განათლების დარგში რკპ ამოცანად ისახავს ბოლომდე მიიყვანოს 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დროიდან დაწყებული სკოლის გარდაქმნის საქმე ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის იარაღიდან ამ ბატონობის დანგრევის იარაღად, აგრეთვე საზოგადოების კლასებად დაყოფის სრულიად მოსპობის იარაღად. სკოლა უნდა გახდეს პროლეტარიატის დიქტატურის იარაღად, ე. ი. არა მარტო საერთოდ კომუნიზმის პრინციპების გამტარებლად, არამედ აგრეთვე გამტარებლად პროლეტარიატის იდეური, ორგანიზაციული, აღმზრდელობითი ზეგავლენისა მშრომელი მასების ნახევრად-პროლეტარულ და არაპროლეტარულ ფენებზე ექსპლოატატორების წინააღმდეგობის მთლიანად დათრგუნვისა და კომუნისტური წყობილების განხორციელების ინტერესებისათვის. ამჟამად უახლოეს ამოცანებს ამ გზაზე წარმოადგენენ:

(1) მუშებისა და მშრომელი გლეხების თვითმოქმედების შემდგომი განვითარება განათლების დარგში, საბჭოთა ხელისუფლების ყოველმხრივი დახმარებით;

(2) საბოლოოდ დაუფლება მასწავლებელთა პერსონალის არა მარტო ერთი ნაწილისა ან მისი უმრავლესობისა, როგორც ეს ამჟამად არის, არამედ მთელი პერსონალისა გაუსწორებელი ბურჟუაზიული კონტრრევოლუციური ელემენტების მოკვეთისა და კომუნისტური პრინციპების კეთილსინდისიერად განხორციელების უზრუნველყოფის აზრით; (პოლიტიკისა)

(3) უფასო და სავალდებულო საერთო და პოლიტექნიკური (რომელიც თეორიასა და პრაქტიკაში ბავშვს აცნობს წარმოების ყველა მთავარ დარგს) განათლების გატარება ორივე სქესის ყველა ბავშვისთვის 16 წლამდე;

(4) სწავლების მჭიდრო კავშირის განხორციელება ბავშვის საზოგადოებრივ ნაყოფიერ შრომასთან;

(5) ყველა მოსწავლის მომარაგება საჭმლით, ტანსაცმლითა და სახელმძღვანელოებით სახელმწიფოს ხარჯზე;

(6) მშრომელი მოსახლეობის მიზიდვა სახალხო განათლების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის (სახალხო განათლების საბჭოების განვითარება, წიგნიერთა მობილიზაცია და სხვ.);

ან ad* 2) (7) მასწავლებელთა პერსონალის მჭიდრო კავშირი რკპ აგიტაცია-პროპაგანდის აპარატთან.

---

* — სდმი. რედ

10
პროგრამის მუხლი რელიგიური ურთიერთობის დარგში

რელიგიის მიმართ რკპ პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ არ დავჯერდეთ სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის უკვე დეკრეტირებულ გამოყოფას, ე. ი. იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ბურჟუაზიული დემოკრატია შეგვპირდა, მაგრამ არსად მთელ მსოფლიოში ბოლომდე არ მიუყვანია, რელიგიურ პროპაგანდასთან კაპიტალის მრავალმხრივი ფაქტიური კავშირის გამო.

პარტია მიისწრაფვის სრულიად მოშალოს კავშირი ექსპლოატატორულ კლასებსა და რელიგიური პროპაგანდის ორგანიზაციას შორის, აგრეთვე ფაქტიურად გაათავისუფლოს მშრომელი მასები რელიგიური ცრურწმენისაგან, აწყობს რა ამისთვის უაღრესად ფართო სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ანტირელიგიურ პროპაგანდას. ამასთან საჭიროა მზრუნველობით ვერიდოთ მორწმუნეთა გრძნობების შელახვას, რასაც მოსდევს მხოლოდ რელიგიური ფანატიზმის განმტკიცება.

11

პროგრამის ეკონომიური ნაწილის მუხლები

უფრო კონკრეტულად ავითარებს რა საბჭოთა ხელისუფლების საერთო ამოცანებს, რკპ შემდეგნაირად განსაზღვრავს მათ ამჟამად:

ეკონომიურ დარგში

საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა ამჟამად მდგომარეობს შემდეგში:

(1) განუხრელად განაგრძოს და ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული და მთავარსა და ძირითადში უკვე დამთავრებული ექსპროპრიაცია ბურჟუაზიისა, წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა გადაქცევა საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებად, ე. ი. ყველა მშრომელის საერთო საკუთრებად.

(2) განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქციოს მშრომელთა ამხანაგური დისციპლინის განვითარებასა და განმტკიცებას და მათი თვითმოქმედებისა და პასუხისმგებლობის შეგნების ყოველმხრივ ამაღლებას. ამაში მდგომარეობს უმთავრესი, თუ ერთადერთი არა, საშუალება საბოლოოდ დაძლეულ იქნას კაპიტალიზმი და ის ჩვევები, რომლებიც შექმნილია წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების ბატონობით. ამ მიზნის მიღწევა მოითხოვს შეუპოვარ ნელ მუშაობას მასების ხელახალ აღზრდაზე, და ასეთი ხელახალი აღზრდა არათუ შესაძლებელი გახდა ახლა, როცა მასებმა საქმით დაინახეს მემამულის, კაპიტალისტისა და ვაჭრის ჩამოშორება, — ეს ხელახალი აღზრდა ახლა ფაქტიურად ათასი გზით მიიმართება მუშებისა და გლეხების საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების

გავლით. ამ მხრივ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობას მშრომელთა პროფესიული გაერთიანების განვითარებისთვის, რომელიც არასდროს და არსად მთელ მსოფლიოში არ მიმდინარეობდა ისე სწრაფად, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს, მაგრამ რომელიც მიყვანილ უნდა იქნას უკლებლივ ყველა მშრომელის გაერთიანებამდე მწყობრ, ცენტრალიზებულ, დისციპლინირებულ, საწარმოო კავშირებში.

8.[17] მწარმოებელ ძალთა განვითარების იგივე ამოცანა მოითხოვს კაპიტალიზმის მიერ ჩვენთვის მემკვიდრეობით დატოვებულ მეცნიერებისა და ტექნიკის სპეციალისტთა დაუყოვნებლივ, ფართოდ და ყოველმხრივ გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უმეტეს შემთხვევაში აუცილებლად გაჟღენთილი არიან ბურჟუაზიული მსოფლმხედველობითა და ჩვევებით. პარტიამ, პროფესიულ გაერთიანებებთან მჭიდრო კავშირში, უნდა აწარმოოს თავისი ძველი ხაზი: ერთი მხრივ, ოდნავი პოლიტიკური დათმობა არ უნდა მოახდინოს ამა თუ იმ ბურჟუაზიული ფენის მიმართ და ულმობლად დათრგუნოს მისი ყოველგვარი კონტრრევოლუციური ზრახვები, ხოლო მეორე მხრივ, ასევე ულმობლად ებრძოლოს ვითომ-რადიკალურ, სინამდვილეში კი უმეცარ ყალბ წარმოდგენას, თითქოს მშრომელებს ძალუძთ კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული წყობილების დაძლევა, თუ არ ისწავლიან ბურჟუაზიულ სპეციალისტებთან, არ გამოიყენებენ მათ, არ გაივლიან მათ გვერდით მუშაობის ხანგრძლივ სკოლას.

მიისწრაფვის რა ყოველგვარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა და სრული კომუნიზმისაკენ, საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია ამოცანად დაისახოს ამ თანაბრობის დაუყოვნებლივ განხორციელება ამ მომენტში, როცა მხოლოდ პირველი ნაბიჯები იდგმება კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად. ამიტომ აუცილებელია განსაზღვრული დროით დარჩეს სპეციალისტების უფრო მაღალი ხელფასი, რათა მათ შეეძლოთ მუშაობა უფრო ცუდად კი არა, არამედ უფრო კარგად, ვიდრე წინათ, და ამავე მიზნით არ შეიძლება უარი ვთქვათ

პრემიების სისტემაზედაც ყველაზე უფრო წარმატებული და მეტადრე ორგანიზატორული მუშაობისთვის.

ასევე აუცილებელია ბურჟუაზიულ სპეციალისტებს შევუქმნათ პირობები ამხანაგური საერთო შრომისა რიგითი მუშების მასასთან ხელიხელჩაკიდებით, რომლებსაც შეგნებული კომუნისტები ხელმძღვანელობენ, და მით ხელი შევუწყოთ კაპიტალიზმის მიერ გათიშულ ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკთა ურთიერთ გაგებასა და დაახლოებას.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის საყოველთაო მობილიზაცია, პროფესიული კავშირების მონაწილეობით, განსაზღვრულ საზოგადოებრივ სამუშაოთა შესასრულებლად გაცილებით უფრო ფართოდ და სისტემატურად უნდა იქნას გამოყენებული, ვიდრე ეს დღემდე ხდებოდა.

განაწილების სფეროში საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ განუხრელად გაგრძელდეს ვაჭრობის შეცვლა პროდუქტების გეგმაშეზომილი, საერთოსახელმწიფოებრივი მასშტაბით ორგანიზებული განაწილებით. ამის მიზანია მთელი მოსახლეობის დარაზმვა სამომხმარებლო კომუნების ერთიან ქსელში, რომელთაც შეეძლებათ ყველა საჭირო პროდუქტის განაწილება უდიდესი სისწრაფით, გეგმაშეზომილად, მომჭირნეობით, შრომის უმცირესი დახარჯვით და მთელი განმანაწილებელი აპარატის მტკიცე ცენტრალიზაცია.

ამ მიზნისათვის დღევანდელ გარდამავალ და ფორმაციების სხვადასხვა პრინციპის შემაერთებელ მომენტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოთა სასურსათო ორგანოების მიერ გამოყენება კოოპერატივებისა, როგორც გეგმაშეზომილი განაწილების ერთადერთი მასობრივი აპარატისა, რომელიც მემკვიდრეობად დაგვრჩა კაპიტალიზმისგან.

პრინციპულად ერთადერთ სწორ შეხედულებად თვლის რა ამ აპარატის ამგვარ კომუნისტურ შემდგომ განვითარებას და

არა მის უკუგდებას, რკპ-მ სისტემატურად უნდა განაგრძოს თავისი პოლიტიკა: ვალდებული გახადოს პარტიის ყველა წევრი იმუშაონ კოოპერატივებში, წარმართონ ისინი, აგრეთვე პროფესიული კავშირების დახმარებით, კომუნისტური სულისკვეთებით, განავითარონ კოოპერატივებში გაერთიანებული მშრომელი მოსახლეობის თვითმოქმედება და დისციპლინა, მიაღწიონ იმას, რომ მთელი მოსახლეობა მოიცვას კოოპერატივებმა და რომ ეს კოოპერატივები შეერთდნენ ერთიან, მთელი საბჭოთა რესპუბლიკის თავიდან ბოლომდე მომცველ კოოპერატივში; ბოლოს, და ეს უმთავრესია, რომ პროლეტარიატის უპირატესი გავლენა მშრომელთა დანარჩენ ფენებზე შუდამ უზრუნველყოფილი იყოს და რომ ყველგან პრაქტიკულად შემოწმდეს სხვადასხვაგვარი ზომები, რომლებიც გააადვილებენ და განახორციელებენ ძველი, კაპიტალისტური ტიპის წვრილბურჟუაზიული კოოპერატივებიდან გადასვლას სამომხმარებლო კომუნებზე, რომლებსაც უხელმძღვანელებენ პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები.

(6) ფულის ერთბაშად მოსპობა კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პირველ ხანებში შეუძლებელია. ამის გამო მოსახლეობის ბურჟუაზიული ელემენტები განაგრძობენ კერძო საკუთრებად დარჩენილი ფულის ნიშნების, ექსპლოატატორების მიერ საზოგადოებრივი სიმდიდრის მიღების უფლების ამ მოწმობათა გამოყენებას სპეკულაციის, გამდიდრებისა და მშრომელთა გაძარცვის მიზნით. ბურჟუაზიული ძარცვის ამ ნაშთის წინააღმდეგ საბრძოლველად მარტო ბანკების ნაციონალიზაცია საკმარისი არ არის. რკპ შეეცდება რაც შეიძლება ჩქარა გატარდეს უაღრესად რადიკალური ზომები, რომლებიც მოამზადებენ ფულის მოსპობას, პირველ რიგში მათ შეცვლას შემნახველი წიგნაკებით, ჩეკებით, მოკლევადიანი ბილეთებით საზოგადოებრივი პროდუქტების მიღების უფლებით და სხვ., ბანკებში ფულის სავალდებულო შენახვის დაწესებას და ა. შ.. ამ და მსგავსი ზომების მომზადებისა და გატარების პრაქტიკული გამოცდილება დაგვანახვებს, რომელია მათში ყველაზე უფრო მიზანშეწონილი.

(7) ფინანსების სფეროში რკპ გაატარებს პროგრესიულ საშემოსავლო და ქონების გადასახადს ყველა შემთხვევაში, როცა ამის შესაძლებლობა იქნება. მაგრამ ეს შემთხვევები არ შეიძლება მრავალრიცხოვანი იყოს მიწის და ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა საწარმოთა უმრავლესობის კერძო საკუთრების გაუქმების შემდეგ. პროლეტარიატის დიქტატურისა და წარმოების უმნიშვნელოვანეს საშუალებათა სახელმწიფო საკუთრების ეპოქაში სახელმწიფოს ფინანსები უნდა ემყარებოდეს სხვადასხვა სახელმწიფო მონოპოლიის შემოსავლის განსაზღვრული ნაწილის უშუალო მოხმარებას სახელმწიფოს საჭიროებისათვის. შემოსავლისა და გასავლის ბალანსირება შესაძლებელია მხოლოდ საქონლის გაცვლა-გამოცვლის სწორად დაყენების პირობებში, რისკენაც მივყავართ სამომხმარებლო კომუნების მოწყობას და ტრანსპორტის აღდგენას, რაც საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ უახლოეს მიზანს შეადგენს.

პირველი გვერდი
ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«პროგრამის აგრარული
მუხლი». — 1919 წ.

დაპატარავებულია

Прошу перепечать в 7 экз.

1)

Советская власть, осуществляя полную форму частной собственности на землю, перешла уже к проведению в жизнь целого ряда мер, направленных к организации крупного социалистического земледелия. Важнейшими из этих мер являются организация советских хозяйств т.е. крупного социалистического производства, развитие с.-х. коммун и добровольных союзов земледельцев для ведения крупного общего хозяйства, а также товариществ для совместной обработки земли; организация государственного посевов для засева всех, свободных от земли, неудобных земель; [illegible] национализация всех агрономических сил для практических мер по повышению с.-х. культуры и пр.

[redacted]

Развивая всё эти меры как единственный путь к абсолютно необходимому повышению производ. сельского земледельческого труда, Р.К.П. стремится к возможно более полному проведению в жизнь этих мер, к их распространению по всей стране, и к дальнейшему шагу в том же направлении.

В виду того, что противоположность городом и деревней является одной из самых глубоких основ буржуазной и культурной отсталости деревни, а в этому строю глубокого кризиса, так называемой, отсталости как города так и деревни через непосредственной опасности вырождения и гибели, Р.К.П. видит в уничтожении этой противоположности одну из коренных задач коммунистического строительства и [illegible], наряду с вышеуказанными мерами [illegible]

12

პროგრამის აგრარული მუხლი

საბჭოთა ხელისუფლება, განახორციელა რა მიწის კერძო საკუთრების სრული გაუქმება, უკვე გადავიდა იმ მთელი რიგი ზომების განხორციელებაზე, რომლებიც მიმართულია მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების ორგანიზაციისკენ. ამ ზომათაგან უმნიშვნელოვანესია საბჭოთა მეურნეობების, ე. ი. მსხვილი სოციალისტური ეკონომიების მოწყობა, წახალისება სასოფლო-სამეურნეო კომუნებისა, ე. ი. მიწათმოქმედთა ნებაყოფლობითი კავშირებისა საერთო მსხვილი მეურნეობის წარსამართავად და საზოგადოებებისა, აგრეთვე მიწის საზოგადოებრივი დამუშავების ამხანაგობებისა; სახელმწიფოებრივი თესვის ორგანიზაცია ყველა, ვისიც არ უნდა იყოს, დაუთესავი მიწის დასათესად; მთელი აგრონომიული ძალების სახელმწიფოებრივი მობილიზაცია ენერგიული ზომების მისაღებად სასოფლო-სამეურნეო კულტურის ამაღლებისათვის და ა. შ.

განიხილავს რა ყველა ამ ღონისძიებას როგორც ერთადერთ გზას სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერების აბსოლუტურად აუცილებელი გადიდებისაკენ, რკპ ესწრაფვის ამ ღონისძიებების რაც შეიძლება სრულად განხორციელებას, ქვეყნის უფრო ჩამორჩენილ ოლქებზე მათ გავრცელებას და იმავე მიმართულებით შემდგომი ნაბიჯების გადადგმას.

რადგან ქალაქისა და სოფლის დაპირისპირება წარმოადგენს სოფლის სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობის ერთ-ერთ უაღრესად ღრმა საფუძველს, ხოლო ესოდენ დიდი კრიზისის ეპოქაში, როგორიც დღევანდელი კრიზისია,

ქალაქსაც და სოფელსაც აყენებს გადაშენებისა და დაღუპვის უშუალო საფრთხის წინაშე, რკპ ამ დაპირისპირების მოსპობაში ხედავს კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას და ზემოაღნიშნულ ზომებთან ერთად აუცილებლად თვლის მრეწველობის მუშების ფართო და გეგმაშეზომილ ჩაბმას მიწათმოქმედების კომუნისტურ მშენებლობაში, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ მიზნით უკვე დაარსებული საერთო-სახელმწიფო «ხელისშემწყობ მუშათა კომიტეტის» მუშაობის განვითარებას და სხვ.

მთელ თავის მუშაობაში სოფლად რკპ წინანდებურად ეყრდნობა მის პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ ფენებს, უწინარეს ყოვლისა რაზმავს მათ დამოუკიდებელ ძალად, ქმნის სოფლად ღარიბთა კომიტეტებს, პარტიულ უჯრედებს, სოფლის პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების განსაკუთრებული ტიპის პროფესიულ კავშირებს და სხვ., ყოველნაირად აახლოებს მათ ქალაქის პროლეტარიატთან და ათავისუფლებს მათ სოფლის ბურჟუაზიისა და წვრილმესაკუთრული ინტერესების გავლენისაგან.

კულაკობის, სოფლის ბურჟუაზიის მიმართ რკპ პოლიტიკა მდგომარეობს გადამჭრელ ბრძოლაში მათი ექსპლოატატორული ზრახვების წინააღმდეგ და საბჭოთა, კომუნისტური პოლიტიკისადმი მათი წინააღმდეგობის დათრგუნვაში.

საშუალო გლეხობის მიმართ რკპ პოლიტიკა მდგომარეობს მის თანდათანობით და გეგმაშეზომილ ჩაბმაში სოციალისტური მშენებლობის მუშაობაში. პარტია ამოცანად ისახავს გამოჰყოს იგი კულაკებისაგან, მიიზიდოს იგი მუშათა კლასის მხარეზე ამ საშუალო გლეხობის საჭიროებათა მიმართ გულისყურის მიპყრობით, ებრძოლოს მის ჩამორჩენილობას იდეური ზეგავლენის ღონისძიებებით, და არა დათრგუნვის ღონისძიებებით, ეცადოს ყველა შემთხვევაში, როცა შელახულია მისი სასიცოცხლო ინტერესები, პრაქტიკულად შეუთანხმდეს მას, წავიდეს დათმობებზე სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელების წესების განსაზღვრაში.

———

რკპ(ბ) VIII ყრილობა [18]

1919 წ. 18 — 23 მარტი

დაიბეჭდა 1919 წ. მარტ-აპრილში
გაზეთ «პრავდაში»

იბეჭდება წიგნის —
«რუსეთის კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების) VIII ყრილობა.
სტენოგრაფიული ანგარიში»-ს
ტექსტის მიხედვით.
გამ. «კომმუნისტ», მოსკოვი,
1919, ტექსტი შედარებულია
სტენოგრამასთან და გაზეთ
«პრავდის» ტექსტთან

1

სიტყვა ყრილობის გახსნისას 18 მარტს

ამხანაგებო, პირველი სიტყვა ჩვენს ყრილობაზე უნდა მიეძღვნას ამხ. იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვს. ამხანაგებო, თუ მთელი პარტიისთვის საერთოდ და მთელი საბჭოთა რესპუბლიკისთვის იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვი უმთავრესი ორგანიზატორი იყო, რის შესახებაც დღეს დაკრძალვაზე ილაპარაკა ბევრმა ამხანაგმა, პარტიული ყრილობისთვის ის გაცილებით უფრო ძვირფასი და ახლობელიც იყო. აქ ჩვენ დავკარგეთ ამხანაგი, რომელმაც უკანასკნელი დღეები მთლიანად ყრილობას შესწირა. აქ მისი არყოფნა დააჩნდება ჩვენი მუშაობის მთელ მსვლელობას, და ყრილობაც მის არყოფნას განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობს. ამხანაგებო, გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მის ხსოვნას. (ყ ვ ე ლ ა ნ ი დ გ ე ბ ი ა ნ.)

ამხანაგებო, ჩვენი პარტიული ყრილობის გახსნა გვიხდება რუსეთისა და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ძალიან ძნელ, რთულ და თავისებურ მომენტში. თუ პირველ ხანებში ოქტომბრის შემდეგ პარტიის ძალები და საბჭოთა ხელისუფლების ძალები თითქმის მთლიანად მიპყრობილი იყო უშუალო თავდაცვის ამოცანაზე, მტერთან უშუალო გამკლავებისა, გარეშე და შინაურ ბურჟუაზიასთან გამკლავების ამოცანაზე, იმ ბურჟუაზიასთან, რომელსაც აზრადაც კი არ მოსდიოდა სოციალისტური რესპუბლიკის რამდენადმე ხანგრძლივი არსებობა, — ჩვენ მაინც თანდათან დავიწყეთ განმტკიცება, და პირველ ადგილას წამოიჭრა მშენებლობის

ამოცანები, ორგანიზაციული ამოცანები. მე მგონია, ჩვენს ყრილობას დასჭირდება მთლიანად ამ მშენებლობის მუშაობისა და ორგანიზაციული მუშაობის ნიშნით წარმართვა. პროგრამის საკითხებიც, რომლებიც თეორიულად უდიდეს სიძნელეს წარმოადგენენ, ყველაზე მეტად მშენებლობის საკითხებია, და ყრილობის დღის წესრიგში სპეციალურად დასმული ორგანიზაციული საკითხი, წითელი არმიის საკითხი და განსაკუთრებით სოფლად მუშაობის საკითხი, — ყოველივე ეს ჩვენგან მოითხოვს ყურადღების დაძაბვას და მიპყრობას მთავარ საკითხზე, რომელიც თუმცა ყველაზე მეტ სიძნელეს წარმოადგენს, მაგრამ ყველაზე მადლიერი ამოცანაც არის სოციალისტებისათვის: ორგანიზაციულ საკითხზე. აქ განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ახლა ჩვენს წინაშე უნდა დადგეს წვრილი გლეხობის ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უძნელესი ამოცანა: ეს არის ს ა შ უ ა ლ ო გ ლ ე ხ ო ბ ი ს ა დ მ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა მ ო ც ა ნ ა.

ამხანაგებო, ბუნებრივია, რომ პირველ ხანებში, როცა ჩვენ უნდა დაგვეცვა საბჭოთა რესპუბლიკის სიცოცხლის უფლება, ბუნებრივია, რომ ასეთ დროს ამ საკითხის ფართოდ წამოყენება პირველ რიგში არ შეიძლებოდა. შეუბრალებელი ომი სოფლის ბურჟუაზიასთან და კულაკებთან პირველ ადგილას აყენებდა სოფლის პროლეტარიატისა და ნახევრადპროლეტარიატის ორგანიზაციის ამოცანებს. მაგრამ შემდგომ ნაბიჯად იმ პარტიისთვის, რომელსაც სურს შექმნას კომუნისტური საზოგადოების მტკიცე საფუძვლები, დგება ამოცანა— სწორად გადაწყდეს საშუალო გლეხობისადმი ჩვენი დამოკიდებულების საკითხი. ეს ამოცანა უფრო მაღალი რიგისაა. ჩვენ არ შეგვეძლო მისი მთელი სიგრძე-სიგანით დაყენება, ვიდრე უზრუნველყოფილი არ იყო საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის საფუძვლები. ეს ამოცანა უფრო რთულია. იგი მოითხოვს ჩვენი დამოკიდებულების გარკვევას მოსახლეობის მრავალრიცხოვანი და ძლიერი ფენისადმი. ამ დამოკიდებულების გარკვევა შეუძლებელია უბრალო პასუხით: ბრძოლა

თუ დასაყრდენი. თუ ბურჟუაზიის მიმართ ჩვენი ამოცანა ყალიბდება სიტყვებით «ბრძოლა», «დათრგუნვა», თუ სოფლის პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების მიმართ ეს ამოცანა ყალიბდება სიტყვებით «ჩვენი დასაყრდენი», — აქ ამოცანა, უეჭველად, უფრო რთულია. აქ სოციალისტები, ძველი დროის სოციალიზმის საუკეთესო წარმომადგენლები, — როდესაც მათ ჯერ კიდევ სწამდათ რევოლუცია და სამსახურს უწევდნენ მას თეორიულად და იდეურად — ლაპარაკობდნენ გ ლ ე ხ ო ბ ი ს ნ ე ი ტ რ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს შესახებ, ე. ი. იმის შესახებ, რომ საშუალო გლეხობა გადავაქციოთ, თუ პროლეტარიატის რევოლუციის აქტიურად დამხმარე ფენად არა, ყოველ შემთხვევაში არა მის ხელისშემშლელად, ნეიტრალურ, საზოგადოებრივ ფენად, რომელიც ჩვენი მტრების მხარეზე არ დადგება. ამოცანის ასეთი განყენებული, თეორიული დაყენება ჩვენთვის სავსებით ნათელია. მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენ შევედით სოციალისტური მშენებლობის ისეთ სტადიაში, როცა საჭიროა კონკრეტულად, დეტალურად შევიმუშაოთ სოფლად მუშაობის გამოცდილებით შემოწმებული ძირითადი წესები და მითითებები, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ იმისათვის, რომ საშუალო გლეხის მიმართ დ ა ვ დ გ ე თ მ ტ კ ი ც ე კ ა ვ შ ი რ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე, რომ გამოირიცხოს ის არა ერთხელ მომხდარ გადახრათა და უმართებულობათა შესაძლებლობა, რომლებიც გვწყვეტდნენ საშუალო გლეხს, მაშინ როდესაც სინამდვილეში ჩვენ, როგორც ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას, რომელიც პირველად დაეხმარა რუს გლეხს საბოლოოდ გადაეგდო მემამულეების უღელი და შეექმნა მისთვის ნამდვილი დემოკრატია, — ჩვენ სავსებით შეგვეძლო იმედი გვქონოდა მისი სრული ნდობისა. ეს ამოცანა **არ** არის **იმ** ტიპის, რომელიც მოითხოვს ულმობელ, სწრაფ დათრგუნვასა და შეტევას. ეს ამოცანა, უსათუოდ, უფრო რთულია. მაგრამ ჩემს თავს ნებას მივცემ გამოვთქვა რწმენა, რომ ერთი წლის წინასწარი მუშაობის შემდეგ ჩვენ ამ ამოცანას მოვაგვარებთ.

კიდევ რამდენიმე სიტყვა ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაზე. ამხანაგებო, თქვენ ყველამ იცით, რა თქმა უნდა, რომ III, კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნა მოსკოვში ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გარკვევის მხრივ უდიდესი მნიშვნელობის აქტია. ჩვენს პირისპირ დღემდე ჯერ კიდევ დგას თავით ფეხამდე შეიარაღებული უდიდესი რეალური სამხედრო ძალა — მსოფლიოს ყველა უძლიერესი სახელმწიფო. და, მიუხედავად ამისა, ჩვენ დარწმუნებით ვამბობთ, რომ ეს გარეგნულად გიგანტური და ფიზიკური თვალსაზრისითაც ჩვენზე შეუდარებლად უფრო მძლავრი ძალა შეირყა. ეს უკვე აღარ არის ძალა. მასში აღარ არის ის სიმტკიცე, როგორიც წინათა ჰქონდა. ამიტომ ჩვენი ამოცანა და მიზანი — გამარჯვებული გამოვიდეთ ამ გიგანტთან ბრძოლაში — უტოპიური აღარ არის. პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ახლა ხელოვნურად ვართ მოწყვეტილი მთელ მსოფლიოს, ერთი დღეც არ გაივლის ისე, რომ გაზეთებს არ მოჰქონდეთ ცნობები ყველა ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის ზრდის შესახებ. კიდევ მეტიც, ჩვენ ვიცით, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ზრდა საბჭოთა ფორმას იღებს. ეს კი საწინდარია იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების განხორციელებით ჩვენ მივაგენით პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო, მ ს ო ფ ლ ი ო ფ ო რ მ ა ს. და ჩვენ აღსავსე ვართ იმ მტკიცე რწმენით, რომ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი დაადგა ასეთი ბრძოლის გზას, პროლეტარული ძალაუფლების, — მუშათა და მშრომელთა ძალაუფლების, — ასეთი ფორმების შექმნის გზას, და რომ ვერავითარი ძალა ამ ქვეყნად ვერ შეაფერხებს მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის მსვლელობას მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკისკენ. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი.)

ამხანაგებო, ახლა ნება მიბოძეთ რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით VIII ყრილობა გახსნილად გამოვაცხადო და შევუდგეთ პრეზიდიუმის არჩევას.

2

ცენტრალური კომიტეტის ანგარიში 18 მარტს

(მ ქ უ ხ ა რ ე, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა ში; ხ მ ე ბ ი: «გაუმარჯოს ილიჩს!», «გაუმარჯოს ამხანაგ ლენინს!».) ამხანაგებო, ნება მომეცით დავიწყო ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით. ანგარიშის წარმოდგენა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მუშაობის შესახებ უკანასკნელი ყრილობის დროიდან — ეს ნიშნავს არსებითად ანგარიშის მოცემას მთელი ჩვენი რევოლუციის შესახებ. და, მე ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ ასეთი ამოცანის შესრულება ერთ ადამიანს არამცთუ არ ძალუძს ასეთ მოკლე ვადაში, არამედ საერთოდ ასეთ ამოცანას ერთი ადამიანი ვერც გაართმევს თავს. ამიტომ მე გადავწყვიტე დავჯერდე მხოლოდ იმ პუნქტებს, რომლებსაც ჩემი შეხედულებით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო იმის ისტორიაში, რისი გაკეთებაც მოუხდა ჩვენს პარტიას ამ პერიოდში, არამედ დღევანდელი ამოცანების თვალსაზრისითაც. ისტორიის მთლიანად გადმოცემა ისეთ დროს, რომელსაც ჩვენ განვიცდით, წარსულის მოგონება ისე, რომ აწმყოსა და მომავალზე არ ვიფიქროთ, უნდა გამოვტყდე, ჩემთვის შეუძლებელი რამ იქნებოდა.

საგარეო პოლიტიკით თუ დავიწყებთ, თავისთავად ცხადია, პირველ რიგში დგას ჩვენი დამოკიდებულება გერმანიის იმპერიალიზმისადმი და ბრესტის ზავი. და, მე მგონია, ამ საკითხზე ლაპარაკი ღირს, რადგან მას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა როდი აქვს. მე მგონია, რომ ის წინადადება,

რომლითაც საბჭოთა ხელისუფლებამ მიმართა მოკავშირე სახელმწიფოებს, ან უკეთ ის თანხმობა, რომელიც ჩვენმა მთავრობამ მისცა ყველასათვის ცნობილ წინადადებაზე კონფერენციის შესახებ პრინცის კუნძულებზე[19], — მე მგონია, ეს წინადადება და ჩვენი პასუხი ზოგიერთ რამეზე, და საკმაოდ არსებითზე, მოგვაგონებს იმ დამოკიდებულებას იმპერიალიზმისადმი, რომელიც ჩვენ დავამყარეთ ბრესტის ზავის დროს. აი რატომ ვფიქრობ, რომ საჭიროა შევეხოთ ამ ისტორიას მოვლენათა განვითარების ახლანდელი სწრაფი ტემპის დროს.

როცა წყდებოდა ბრესტის ზავის საკითხი, მაშინ საბჭოთა მშენებლობა, პარტიულ მშენებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ჯერ კიდევ პირველ სტადიაში იმყოფებოდა. თქვენ იცით, რომ მაშინ პარტიას მთლიანად ჯერ კიდევ ძლიერ ცოტა გამოცდილება ჰქონდა იმისათვის, რომ გაერკვია, თუნდაც დაახლოებით, ჩვენი მოძრაობის სისწრაფე იმ გზაზე, რომელსაც ჩვენ დავადექით. წარსულისაგან გარდუვალად მემკვიდრეობით მიღებული ერთგვარი ქაოსურობა მაშინ ჯერ კიდევ მეტისმეტად აძნელებდა ამბების მიმოხილვას, იმის ზუსტად გაცნობას, რაც ხდებოდა. ხოლო უდიდესი მოწყვეტილობა დასავლეთ ევროპისა და ყველა დანარჩენი ქვეყნისაგან არავითარ ობიექტურ მასალას არ გვაძლევდა მსჯელობისათვის დასავლეთში პროლეტარული რევოლუციის ზრდის შესაძლებელი სისწრაფისა ან ფორმების შესახებ. ამ რთული მდგომარეობიდან გამომდინარეობდა ის, რომ ბრესტის ზავის საკითხმა ცოტა უთანხმოება როდი გამოიწვია ჩვენს პარტიაში.

მაგრამ მოვლენებმა დაგვანახვეს, რომ ეს იძულებითი უკანდახევა გერმანიის იმპერიალიზმის წინაშე, რომელიც ამოეფარა უაღრესად ძალმომრეობითს, აღმაშფოთებელ, მძარცველურ ზავს, რომ ეს უკანდახევა ერთადერთი სწორი გზა იყო მსოფლიო იმპერიალიზმისადმი (მსოფლიო იმპერიალიზმის ერთი ნახევრისადმი) ახალგაზრდა სოციალისტური რესპუბლიკის დამოკიდებულების თვალსაზრისით. მაშინ ჩვენ, რომლებმაც ის-იყო დავამხვეთ მემამულეები და ბურჟუაზია რუსეთში, სრულიად არავითარი სხვა არჩევანი არ გვრჩებოდა,

თუ არა უკანდახევა მსოფლიო იმპერიალიზმის ძალების წინაშე. ისინი, ვინც გმობდა ამ უკანდახევას რევოლუციონერის თვალსაზრისით, სინამდვილეში სრულიად არასწორ და არამარქსისტულ თვალსაზრისზე იდგნენ. მათ დაივიწყეს, თუ რა პირობებში, კერენსკის ეპოქის რა ხანგრძლივი და ძნელი განვითარების შემდეგ, საბჭოებში რა უდიდესი მოსამზადებელი მუშაობის ფასით მივაღწიეთ იმას, რომ, ივლისის მძიმე დამარცხების შემდეგ, კორნილოვშჩინის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ოქტომბერში, სავსებით მომწიფდა მშრომელთა უდიდეს მასებში გადაწყვეტილება და მზადყოფნა ბურჟუაზიის დამხობისა და ამისათვის საჭირო მატერიალური ორგანიზებული ძალაც. გასაგებია, რომ არავითარ ამის მსგავს რამეზე საერთაშორისო მასშტაბით მაშინ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ამ თვალსაზრისით მსოფლიო იმპერიალიზმთან ბრძოლის ამოცანა ასე იდგა: ვიმოქმედოთ შემდეგშიც ამ იმპერიალიზმის რღვევის აზრით, იმ მუშათა კლასის განათლებისა და გაერთიანების აზრით, რომელიც ყველგან იწყებდა მღელვარებას, მაგრამ რომელსაც დღემდე ჯერ კიდევ არ მიუღია სრული გარკვეულობა თავის მოქმედებაში.

აი რატომ აღმოჩნდა ერთადერთ სწორ პოლიტიკად ის პოლიტიკა, რომელიც ჩვენ გავატარეთ ბრესტის მიმართ, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ პოლიტიკამ გაამწვავა მაშინ ჩვენი მტრობა მთელ რიგ წვრილბურჟუაზიულ ელემენტებთან. რომლებიც სოციალიზმის მოწინააღმდეგენი არიან, შეუძლიათ იყვნენ და უნდა იყვნენ სრულიადაც არა ყველა პირობებში და სრულიადაც არა ყველა ქვეყანაში. აქ ისტორიამ ჩვენ მოგვცა გაკვეთილი, რომელიც საჭიროა კარგად შევითვისოთ, რადგან ეჭვი არ არის, რომ ჩვენ არა ერთხელ მოგვიხდება მით სარგებლობა. ეს გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატის პარტიის დამოკიდებულება წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული პარტიისადმი, იმ ელემენტების, ფენების, ჯგუფებისა და კლასებისადმი, რომლებიც განსაკუთრებით ძლიერი და მრავალრიცხოვანი არიან რუსეთში და რომლებიც ყველა ქვეყანაში არიან, რომ ეს დამოკიდებულება —

განსაკუთრებით რთული და ძნელი ამოცანაა. წვრილბურჟუაზიული ელემენტები მერყეობენ ძველ საზოგადოებასა და ახალს შორის. ისინი არ შეიძლება იყვნენ არც ძველი და არც ახალი საზოგადოების მამოძრავებელნი. ამავე დროს ისინი არ არიან ძველის იმდენად მომხრენი, როგორც მემამულეები და ბურჟუაზია. პატრიოტიზმი, ეს ისეთი გრძნობაა, რომელიც დაკავშირებულია სწორედ წვრილ მესაკუთრეთა ცხოვრების ეკონომიურ პირობებთან. ბურჟუაზია უფრო ინტერნაციონალურია, ვიდრე წვრილი მესაკუთრენი. ჩვენ ამასთან შეჯახება მოგვიხდა ბრესტის ზავის ეპოქაში, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურა და მსოფლიო რევოლუცია დააყენა ყოველგვარ ნაციონალურ მსხვერპლზე მაღლა, რარიგ მძიმეც უნდა ყოფილიყოს იგი. ამასთანავე ჩვენ მოგვიხდა უსასტიკესი და ულმობელი შეტაკება წვრილბურჟუაზიულ ელემენტებთან. ამ დროს ჩვენს წინააღმდეგ ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან ერთად დაირაზმა მთელი რიგი ისეთი ელემენტები, რომლებმაც შემდეგ მერყეობა დაიწყეს.

ზოგიერთი ამხანაგის მიერ აქ აღძრულ საკითხს წვრილბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ მნიშვნელოვნად ეხება ჩვენი პროგრამა და არსებითად მას შევეხებით დღის წესრიგის ყოველი პუნქტის განხილვის დროს. ჩვენი რევოლუციის მსვლელობაში ამ საკითხმა დაჰკარგა თავისი აბსტრაქტულობა, ზოგადობა და ის კონკრეტული გახდა. ბრესტის ზავის ეპოქაში ჩვენი, როგორც ინტერნაციონალისტების, ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ აუცილებლად მიგვეცა განმტკიცებისა და შემჭიდროების შესაძლებლობა პროლეტარული ელემენტებისათვის. სწორედ ამან ჩამოგვაცილა მაშინ წვრილბურჟუაზიული პარტიები. ჩვენ ვიცით, თუ როგორ დაიწყეს კვლავ მერყეობა წვრილბურჟუაზიულმა ელემენტებმა გერმანიის რევოლუციის შემდეგ. ამ ამბებმა თვალი აუხილა ბევრს, ვინც პროლეტარული რევოლუციის მომწიფების ეპოქაში ძველი პატრიოტიზმის თვალსაზრისით მსჯელობდა, მსჯელობდა არათუ არასოციალისტურად,

არამედ საერთოდ არასწორადაც. ამჟამად კვლავ, მძიმე სასურსათო მომენტთან დაკავშირებით, ომთან დაკავშირებით, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება ანტანტის წინააღმდეგ, ჩვენ კვლავ განვიცდით წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მერყეობის ტალღას. ჩვენ წინათაც გვიხდებოდა ამ მერყეობათა გათვალისწინება, მაგრამ, — აქ ყველა ჩვენგანისთვის გამომდინარეობს უდიდესი მნიშვნელობის გაკვეთილი, — ძველი სიტუაციები არ მეორდებიან წინანდელი სახით. ახალი სიტუაცია უფრო რთულია. ის შეიძლება სწორად იქნას გათვალისწინებული, და ჩვენი პოლიტიკაც შეიძლება სწორი იყოს, თუ შევიარაღდებით ბრესტის ზავის გამოცდილებით. როცა ჩვენ დავეთანხმეთ პრინცის კუნძულებზე კონფერენციის მოწვევის წინადადებაზე, ჩვენ ვიცოდით, რომ ვთანხმდებოდით უაღრესად ძალმომრეობითი ხასიათის ზავზე. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ ახლა უფრო მეტი ვიცით იმის შესახებაც, თუ როგორ ზვირთდება დასავლეთ ევროპაში რევოლუციური პროლეტარული ტალღა, როგორ იქცევა იქ მღელვარება შეგნებულ უკმაყოფილებად, როგორ მივყავართ მას მსოფლიო საბჭოთა პროლეტარული მოძრაობის ორგანიზაციისაკენ. თუ ჩვენ მაშინ ხელის ცეცებით მივდიოდით, თუ ჩვენ მაშინ ვვარაუდობდით იმის შესახებ, თუ როდის შეიძლება იფეთქოს რევოლუციამ ევროპაში, — ვვარაუდობდით ჩვენს თეორიულ რწმენათა საფუძველზე იმას, რომ ეს რევოლუცია უნდა მოხდეს, — ახლა ჩვენ უკვე გვაქვს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ მწიფდება რევოლუცია სხვა ქვეყნებში, როგორ დაიწყო ეს მოძრაობა. აი რატომ გვჭირდება ან დაგვჭირდება დასავლეთ ევროპის, ანტანტის ქვეყნების მიმართ განმეორება ბევრი რამისა იქიდან, რაც ჩვენ ბრესტის ზავის დროს მოვიმოქმედეთ. ბრესტის გამოცდილების შემდეგ ჩვენთვის გაცილებით უფრო ადვილი იქნება ამის ვაკეთება. როცა ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს მოუხდა პრინცის კუნძულებზე მოსაწვევ კონფერენციაში თეთრებთან ერთად მონაწილეობის საკითხის განხილვა, — რაც არსებითად ნიშნავდა ყოველივე

იმის ანექსიას, რაც თეთრების მიერ დაკავებული იყო, — დროებითი ზავის ამ საკითხს არც ერთი აღშფოთების ხმა არ გამოუწვევია პროლეტარიატში, და ასევე მოეკიდა ამას პარტიაც. ყოველ შემთხვევაში მე არსაიდან არ მსმენია უკმაყოფილება ან აღშფოთება. ეს იმიტომ მოხდა, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ჩვენმა გაკვეთილმა თავისი შედეგები მოგვცა.

რაც შეეხება წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს, აქ პარტიის ამოცანა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. მთელ რიგ საკითხებში, არსებითად უკლებლივ ყველა საკითხში, რომელიც დღის წესრიგში დგას, ჩვენ გასული წლის განმავლობაში შევქმენით საძირკველი ამ ამოცანის სწორად გადაჭრისათვის, განსაკუთრებით საშუალო გლეხის მიმართ. თეორიულად ჩვენ შევთანხმდით იმაზე, რომ საშუალო გლეხი არ არის ჩვენი მტერი, რომ ის მოითხოვს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მისდამი, რომ აქ საქმის ვითარება შეიცვლება რევოლუციის მრავალრიცხოვანი თანმოყოლილი მომენტების მიხედვით, კერძოდ შემდეგი საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით: პატრიოტიზმის სასარგებლოდ თუ პატრიოტიზმის წინააღმდეგ? ჩვენთვის ეს მეორეხარისხოვანი ან თვით მესამეხარისხოვანი საკითხებია, მაგრამ წვრილ ბურჟუაზიას ეს საკითხები აბსოლუტურად აბრმავებენ. მეორე მხრივ, ყველა ეს ელემენტი მერყეობს ბრძოლაში და სრულიად უხასიათო ხდება. მათ არ იციან რა სურთ, და უნარიც არ შესწევთ დაიცვან თავიანთი მდგომარეობა. აქ ჩვენ მოგვეთხოვება მეტისმეტად მოქნილი, მეტისმეტად ფრთხილი ტაქტიკა, რადგან ზოგჯერ გვიხდება ერთი ხელით გაცემა და მეორე ხელით მიღება. ამაში ბრალი მიგვიძღვის არა ჩვენ, არამედ იმ წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს, რომლებსაც ვერ მოუკრებიათ თავიანთი ძალები. ჩვენ ამას პრაქტიკულად ვხედავთ ახლა, და დღესაც წავიკითხეთ გაზეთებში, საითკენ მიისწრაფიან გერმანელი დამოუკიდებლები[20], რომელთაც ისეთი დიდი ძალები ჰყავთ, როგორიც კაუცკი და ჰილფერდინგია. თქვენ იცით, რომ მათ უნდოდათ საბჭოების სისტემა ჩაერთოთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, ე. ი. კანო-

ნიერი ქორწინებით შეეუღლებინათ დამფუძნებელი კრება და პროლეტარიატის დიქტატურა. ჩვენთვის ეს ისეთი აბუჩად აგდებაა ჩვენი რევოლუციის, გერმანიის რევოლუციის, უნგრეთის რევოლუციისა და პოლონეთის მომწიფების პროცესში მყოფი რევოლუციის საღი აზრისა, რომ შეგვიძლია მხოლოდ ხელი გავასავსავოთ. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მერყევი ელემენტები მოიპოვებიან ყველაზე მოწინავე ქვეყნებში. ზოგჯერ განათლებული, განვითარებული და ინტელიგენტური ელემენტები გამოდიან თვით ისეთ კაპიტალისტურად მოწინავე ქვეყანაშიც კი, როგორიცაა გერმანია, ასჯერ უფრო ბუნდოვანად და მყვირალად, ვიდრე ჩვენი ჩამორჩენილი წვრილი ბურჟუაზია. აქედან გამომდინარეობს გაკვეთილი რუსეთისათვის წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და საშუალო გლეხობის მიმართ. ჩვენი ამოცანა დიდხანს იქნება რთული და ორჭოფი. ეს პარტიები დიდხანს და გარდუვალად მოიქცევიან ისე, რომ ერთი ნაბიჯი წინ გადადგან, ორი უკან, რადგან საამისოდ არიან განწირული თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით, რადგან ისინი სოციალიზმს გაჰყვებიან სრულიადაც არა იმის გამო, რომ აბსოლუტურად სწამდეთ ბურჟუაზიული წყობილების უვარგისობა. სოციალიზმისადმი ერთგულების მოთხოვნა მათგან ზედმეტიცაა. იმედის დამყარება მათს სოციალიზმზე — სასაცილოა. ისინი სოციალიზმს გაჰყვებიან მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდებიან, რომ არავითარი სხვა გზა არ არსებობს, როცა ბურჟუაზია საბოლოოდ დამარცხებული და დათრგუნვილი იქნება.

მე შესაძლებლობა არა მაქვს სისტემატურად შევაჯამო გასული წლის გამოცდილება, მე გადავხედე წარსულს მხოლოდ იმის თვალსაზრისით, თუ რა დაგვჭირდება ხვალ ან ზეგ ჩვენი პოლიტიკისათვის. მთავარი გაკვეთილია — ვიყოთ მეტისმეტად ფრთხილი ჩვენს დამოკიდებულებაში საშუალო გლეხობისადმი და წვრილი ბურჟუაზიისადმი. ამას მოითხოვს წარსულის გამოცდილება, ეს განცდილია ბრესტის მაგალითით. ჩვენგან საჭირო იქნება მოქმედების ხაზის ხშირი ცვლა, რაც ზერელე მეთვალყურეს შეიძლება საოცრად და გაუგებრად

მოეჩვენოს. «როგორ, — იტყვის იგი, — გუშინ თქვენ დაპირებებს აძლევდით წვრილ ბურჟუაზიას, დღეს კი ძერჟინსკი აცხადებს, რომ მემარცხენე ესერები და მენშევიკები დაყენებული იქნებიან კედელთან. რა წინააღმდეგურობაა!..». დიახ, წინააღმდეგურობაა. მაგრამ წინააღმდეგურია მოქმედება თვით წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისა, რომელმაც არ იცის, სად დაჯდეს, სინჯავს დაჯდეს ორ სკამს შუა, ერთი სკამიდან მეორეზე ხტის და ეცემა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. ჩვენ შევცვალეთ ჩვენი ტაქტიკა მის მიმართ, და ყოველთვის, როცა ის პირს იბრუნებს ჩვენსკენ, ჩვენ ვეუბნებით მას: «მობრძანდით». ჩვენ სრულიადაც არ გვინდა საშუალო გლეხობის ექსპროპრიაცია, ჩვენ სრულიადაც არა გვსურს ძალმომრეობა ვიხმაროთ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ. ჩვენ ვეუბნებით მას: «თქვენ არა ხართ სერიოზული მტერი. ჩვენი მტერია ბურჟუაზია. მაგრამ თუ თქვენ გამოდიხართ მასთან ერთად, მაშინ ჩვენ იძულებული ვართ თქვენს მიმართაც გამოვიყენოთ პროლეტარული დიქტატურის ზომები».

ახლა მე გადავალ შინაური მშენებლობის საკითხზე და მოკლედ შევჩერდები მთავარზე, რაც ახასიათებს ამ ხნის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ გამოცდილებას, პოლიტიკური მუშაობის შედეგს. ცენტრალური კომიტეტის ეს პოლიტიკური მუშაობა თავს იჩენდა ყოველი დღის განმავლობაში უდიდესი მნიშვნელობის საკითხებში. რომ არ ყოფილიყო გაძლიერებული ერთსულოვანი მუშაობა, რომლის შესახებაც მე ვლაპარაკობდი, ჩვენ ვერ ვიმოქმედებდით ისე, როგორც ვმოქმედებდით, ვერ გადავწყვეტდით საბრძოლო ამოცანებს. წითელი არმიის საკითხზე, რომელიც ახლა ასეთ კამათს იწვევს და რომლისადმიც მიძღვნილია ყრილობის დღის წესრიგის განსაკუთრებული პუნქტი, ჩვენ მივიღეთ მრავალი ცალკეული წვრილმანი გადაწყვეტილება, რომლებსაც აყენებდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ატარებდა რა მათ სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გზით. კიდევ უფრო მეტია რიცხვი ცალკეული, უაღრესად მნიშვნე-

ლოვანი დანიშვნებისა, რომლებსაც ახდენდნენ სახალხო კომისრები თვითეული თავის მხრივ, მაგრამ რომლებიც ყველანი სისტემატურად, თანამიმდევრად ატარებდნენ ერთ საერთო ხაზს.

წითელი არმიის შენების საკითხი სრულიად ახალი იყო, ის სრულიად არ დასმულა თეორიულადაც კი. ოდესღაც მარქსი ამბობდა, რომ პარიზის კომუნართა დამსახურებას წარმოადგენდა ის, რომ ისინი ახორციელებდნენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ იყო ნასესხები რაიმე წინასწარაღებული დოქტრინებიდან, არამედ რომლებიც ნაკარნახევი იყო ფაქტიური აუცილებლობით [21]. მარქსის ეს სიტყვები კომუნარების მიმართ ატარებდა ერთგვარი გესლიანობის ხასიათს, იმიტომ რომ კომუნაში სჭარბობდა ორი მიმდინარეობა — ბლანკისტები და პრუდონისტები — და ორივე მიმდინარეობას უხდებოდა მოქმედება წინააღმდეგ იმისა, რასაც მათ დოქტრინა ასწავლიდა. მაგრამ ჩვენ ვიქცეოდით იმის თანახმად, რასაც მარქსიზმი გვასწავლიდა. ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მუშაობა კონკრეტულ გამოვლინებებში მთლიანად განისაზღვრებოდა გადაუდებელი საარსებო მოთხოვნილების აბსოლუტური საჭიროებით. ჩვენ ხშირად უნდა გვევლო ხელის ცეცებით. ამ ფაქტს ძლიერ გაუსვამს ხაზს ყოველი ისტორიკოსი, რომელსაც უნარი ექნება გაშალოს საერთოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა ხელისუფლების ამ წლის მთელი მუშაობა. ეს ფაქტი ყველაზე მეტად გვეცემა თვალში, როცა ვცდილობთ ერთის შეხედვით მიმოვავლოთ თვალი განცდილს. მაგრამ ამან ოდნავადაც ვერ შეგვარყია ჩვენ თვით 1917 წლის 10 ოქტომბერს, როცა წყდებოდა ძალაუფლების აღების საკითხი. ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ დაგვჭირდებოდა, ამხ. ტროცკის თქმით, ექსპერიმენტის, ცდის მოხდენა. ჩვენ ხელს ვკიდებდით ისეთ საქმეს, რომლისთვისაც მსოფლიოში არავის ჯერ ასე ფართოდ არ მოუკიდნია ხელი.

იგივე ითქმის წითელი არმიის მიმართაც. როცა, ომის დამთავრების შემდეგ, დაიწყო არმიის რღვევა, ჯერ ბევრს ეგონა, რომ ეს მხოლოდ რუსული მოვლენა იყო. მაგრამ ჩვენ

ვხედავთ, რომ რუსეთის რევოლუცია არსებითად იყო მსოფ-
ლიო პროლეტარული რევოლუციის გენერალური რეპეტიცია
ან ერთ-ერთი რეპეტიცია. როცა ჩვენ ბრესტის ზავს ვიხილავ-
დით, როცა 1918 წლის იანვრის დამდეგს ვაყენებდით ზავის
საკითხს, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, როდის და რომელ
სხვა ქვეყნებში დაიწყებოდა არმიის ეს რღვევა. ჩვენ ცდას
ცდაზე ვაკეთებდით, ჩვენ ვცდილობდით მოხალისეთა არმიის
შექმნას, მივდიოდით ხელის ცეცებით, ფათურით, ვსინჯავდით,
რა გზით შეიძლებოდა არსებულ ვითარებაში ამოცანის გადა-
ჭრა. ამოცანა კი ნათლად იდგა. სოციალისტური რესპუბლი-
კის შეიარაღებული დაცვის გარეშე ჩვენ არ შეგვეძლო არსე-
ბობა. გაბატონებული კლასი არასდროს არ დაუთმობს ძალა-
უფლებას დაჩაგრულ კლასს. მაგრამ უკანასკნელმა საქმით
უნდა დაამტკიცოს, რომ მას შეუძლია არამცთუ ექსპლოატა-
ტორების დამხობა, არამედ აგრეთვე დარაზმვაც თავდაცვისა-
თვის, ყველაფრის სასწორზე დადება. ჩვენ მუდამ ვამბობდით:
«ომიც არის და ომიც». ჩვენ ვგმობდით ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს-
ტ უ რ ომს, მაგრამ ს ა ე რ თ ო დ ო მ ს არ უარვყოფდით. დაიბ-
ნენ ის ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ მილიტარიზმი
დაებრალებინათ ჩვენთვის. და როცა მე მომიხდა ანგარიშის
წაკითხვა ყვითლების ბერნის კონფერენციის შესახებ, სადაც
კაუცკიმ იხმარა გამოთქმა, რომ ბოლშევიკებს სოციალიზმი
კი არა, მილიტარიზმი აქვთო, მე გამეღიმა და მხრები ავიჩეჩე.
თითქოს მართლადაც ყოფილიყოს ისტორიაში თუნდაც ერთი
დიდი რევოლუცია, რომელიც ომთან არ ყოფილიყოს დაკავში-
რებული. რა თქმა უნდა, არა! ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო
სახელმწიფოში, არამედ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო თ ა ს ი ს ტ ე მ ა-
შ ი ც, და საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა იმპერიალისტური
სახელმწიფოების გვერდით ხანგრძლივი დროის განმავლობაში
წარმოუდგენელია. ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს ან ერთი,
ან მეორე. ხოლო ვიდრე ეს ბოლო დადგებოდეს, საბჭოთა
რესპუბლიკასა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის
მთელი რიგი უსაშინელესი შეტაკებები გარდუვალია. ეს იმას
ნიშნავს, რომ გაბატონებულმა კლასმა, პროლეტარიატმა, თუკი

მას სურს ბატონობა და იბატონებს, უნდა დაამტკიცოს ეს თავისი სამხედრო ორგანიზაციითაც. როგორც კლასმა, რომელიც დღემდე უბრალო პირუტყვის როლს ასრულებდა გაბატონებული იმპერიალისტური კლასის მეთაურებისათვის, — როგორ შექმნას თავისი მეთაურები, როგორ გადაჭრას ამოცანა ენთუზიაზმის შეხამებისა, ჩაგრულთა ახალი რევოლუციური შემოქმედების შეხამებისა ბურჟუაზიული მეცნიერების იმ მარაგის გამოყენებასთან და მილიტარიზმის ტექნიკის იმ მარაგის გამოყენებასთან მათს უცუდეს ფორმებში, ურომლისოდაც ის ვერ შესძლებს დაეუფლოს ომის წარმოების თანამედროვე ტექნიკას და თანამედროვე წესებს?

აქ ჩვენს წინაშე წამოიჭრა ამოცანა, რომელიც ერთი წლის გამოცდილების მანძილზე განზოგადდა. როცა ჩვენი პარტიის რევოლუციურ პროგრამაში ვწერდით სპეციალისტების საკითხზე, ჩვენ ვაჯამებდით ჩვენი პარტიის პრაქტიკულ გამოცდილებას ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი საკითხის მიხედვით. მე არ მახსოვს, რომ სოციალიზმის წინანდელ მასწავლებლებს, რომლებმაც ძალიან ბევრი რამ განჭვრიტეს მომავალ სოციალისტურ რევოლუციაში და ძალიან ბევრი რამ დასახეს მასში, — მე არ მახსოვს, რომ მათ აზრი გამოეთქვათ ამ საკითხზე. ეს საკითხი მათთვის არ არსებობდა, იმიტომ რომ ის წამოიჭრა მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ხელი მოვკიდეთ წითელი არმიის მშენებლობას. ეს ნიშნავდა: შეგვექმნა დაჩაგრული კლასიდან, რომელიც გადაქცეული იყო უბრალო პირუტყვად, — ენთუზიაზმით აღსავსე არმია, და გვეიძულებინა ეს არმია გამოეყენებინა ყველაზე ძალმომრეობითი, ყველაზე საძაგელი რამ იქიდან, რაც მემკვიდრეობად დაგვრჩა კაპიტალიზმისაგან.

ეს წინააღმდეგურობა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას წითელი არმიის საკითხში, დგას აგრეთვე ჩვენი მშენებლობის ყველა დარგშიც. აიღეთ საკითხი, რომელსაც ყველაზე მეტად მოვუნდით: გადასვლა მრეწველობის მუშათა კონტროლიდან მუშათა მართვა-გამგეობაზე. სახალხო კომისართა საბჭოსი და საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების

დეკრეტებისა და დადგენილებების შემდეგ — ყველა ისინი ქმნიდნენ ჩვენს პოლიტიკურ გამოცდილებას ამ დარგში, — ცენტრალურ კომიტეტს, არსებითად რომ ვთქვათ, უხდებოდა მხოლოდ შეჯამება. საეჭვოა, რომ მას შესძლებოდა ასეთ საკითხში ხელმძღვანელობა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. საკმარისია მოვიგონოთ, რამდენად უმწეო, სტიქიური და შემთხვევითი იყო ჩვენი პირველი დეკრეტები და დადგენილებები მრეწველობის მიმართ მუშათა კონტროლის შესახებ. ჩვენ გვეგონა, რომ ეს ადვილი იყო. პრაქტიკულად კი ამან ის გამოიწვია, რომ დამტკიცდა შენების აუცილებლობა, მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ გაგვიცია პასუხი კითხვაზე, თუ რ ო გ ო რ ვაშენოთ. ყოველი ნაციონალიზებული ფაბრიკა, ნაციონალიზებული მრეწველობის ყოველი დარგი, ტრანსპორტი, განსაკუთრებით რკინიგზის ტრანსპორტი, — კაპიტალისტური მექანიზმის ყველაზე დიდი სახე, ყველაზე უფრო ცენტრალიზებულად აგებული მსხვილი მატერიალური ტექნიკის საფუძველზე და ყველაზე აუცილებელი სახელმწიფოსათვის; — ყოველივე ეს ასახიერებდა კაპიტალიზმის კონცენტრირებულ გამოცდილებას და განუზომელ სიძნელეებს გვიქმნიდა.

ჩვენ დღესაც კი ვერ დაგვიღწევია თავი ამ სიძნელეებიდან. თავდაპირველად ამ სიძნელეებს ჩვენ ვუყურებდით სრულიად აბსტრაქტულად, როგორც რევოლუციონერები, რომლებიც ვქადაგებდით, მაგრამ სრულიად არ ვიცოდით, როგორ მოგვეკიდა ხელი საქმისათვის. რა თქმა უნდა, ბევრნი ბრალს გვდებდნენ, და დღემდე ყველა სოციალისტი და სოციალ-დემოკრატი ბრალს გვდებს იმაში, რომ ხელი მოვკიდეთ ამ საქმეს და ის კი არ ვიცოდით, როგორ მიგვეყვანა ის ბოლომდე. მაგრამ ეს მკვდარი ადამიანების სასაცილო ბრალდებაა. თითქოს შეიძლებოდეს უდიდესი რევოლუციის მოხდენა ისე, რომ წინასწარ იცოდე როგორ მიიყვანო იგი ბოლომდე! თითქოს ამ ცოდნის მიღება წიგნებიდან შეიძლებოდეს! არა, მხოლოდ მასების გამოცდილებიდან შეიძლებოდა წარმომდგარიყო ჩვენი გადაწყვეტილება. და ჩემი აზრით, ჩვენი დამსახურება ის იყო, რომ ჩვენ განუზომელი სიძნელეების პირობებში

მოვკიდეთ ხელი იმ საკითხის გადაჭრას, რომელიც აქამდე სანახევროდ უცნობი იყო ჩვენთვის, რომ ჩვენ ჩავაბით პროლეტარული მასები დამოუკიდებელ მუშაობაში, რომ ჩვენ მივედით სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაციამდე და სხვ.. ჩვენ გვახსოვს, თუ როგორ ერთბაშად ვატარებდით სმოლნში 10 — 12 დეკრეტს. ის იყო გამოვლინება ჩვენი გამბედაობისა და სურვილისა გაგვეღვიძებინა პროლეტარული მასების გამოცდილება და თვითმოქმედება. ახლა ეს გამოცდილება ჩვენ გვაქვს. ახლა ჩვენ მუშათა კონტროლიდან გადავედით ან პირისპირ მივადექით მრეწველობის მუშათა მართვაგამგეობას. ახლა აბსოლუტური უმწეობის ნაცვლად ჩვენ გვაქვს გამოცდილების მთელი რიგი მითითებანი, და, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ჩვენ შევაჯამეთ იგი ჩვენს პროგრამაში. ამას დეტალურად შევეხებით ორგანიზაციულ საკითხში. ჩვენ ვერ შევასრულებდით ამ სამუშაოს, ჩვენ რომ არ დაგვხმარებოდნენ და ჩვენთან არ ემუშავნათ ამხანაგებს პროფესიულ კავშირებში.

დასავლეთ ევროპაში საკითხი სხვანაირად დგას. იქ ამხანაგები ბოროტებას პროფესიულ კავშირებში ხედავენ, რადგან იქ ამ კავშირებს იმდენად დაეუფლნენ ძველი სოციალიზმის ყვითელი წარმომადგენლები, რომ მათი მხრივ მხარის დაჭერა კომუნისტებს უნაყოფო საქმედ მიაჩნიათ. დასავლეთის კომუნისტების ბევრი წარმომადგენელი, თვით როზა ლუქსემბურგიც კი, პროფესიული კავშირების ლიკვიდაციას აცხადებენ[22]. ეს ცხადყოფს, თუ რამდენად უფრო ძნელია ჩვენი ამოცანა დასავლეთ ევროპაში. ჩვენში კი ერთ თვესაც ვერ გავძლებდით ამ კავშირების დაუხმარებლად. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს უდიდესი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევუდგეთ უძნელესი საკითხების გადაჭრას.

ავიღოთ სპეციალისტების საკითხი, რომელიც ჩვენში ყოველ ნაბიჯზე ისმება, რომელიც ისმება ყოველი დანიშვნის დროს, რომლის დაყენება უხდებათ სახალხო მეურნეობის წარმომადგენლებსაც და პარტიის ცენტრალურ კომიტეტსაც. ახლანდელ ვითარებაში პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ შეუძლია

ისე იმუშაოს, რომ დაიცვას ფორმა. იმ ამხანაგების გამოყოფის შესაძლებლობა **რომ არ ყოფილიყო**, რომლებიც თავიანთ დარგში დამოუკიდებლად მუშაობენ, ჩვენ სრულიად ვერ შევძლებდით მუშაობას. მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენ გვყავდნენ ისეთი ორგანიზატორები, როგორც ი. მ. სვერდლოვი, ჩვენ ომის პირობებში შევძელით მუშაობა ისე, რომ არ გვქონია არც ერთი კონფლიქტი, რომელიც ყურადღების ღირსი ყოფილიყო. და ამ მუშაობაში ჩვენ აუცილებლად უნდა გამოგვეყენებინა იმ ადამიანების დახმარება, რომლებიც გვთავაზობდნენ თავიანთ სამსახურს, აღჭურვილი იყვნენ ძველ დროში შეძენილი ცოდნით.

კერძოდ ავიღოთ სამხედრო უწყების მართვა-გამგეობის საკითხი. აქ შტაბისადმი, მსხვილი ორგანიზატორ-სპეციალისტებისადმი ნდობის გარეშე საკითხს ვერ გადავწყვეტთ. კერძოდ ჩვენ გვქონდა უთანხმოება ამის გამო, მაგრამ ძირითადში ეჭვი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენ მივმართავდით იმ ბურჟუაზიული სპეციალისტების დახმარებას, რომლებიც სულით-ხორცამდე გამსჭვალული არიან ბურჟუაზიული ფსიქოლოგიით და რომლებიც გვღალატობდნენ და კიდევ მთელი რიგი წლების განმავლობაში გვიღალატებენ. მიუხედავად ამისა, თუ საკითხს დავაყენებთ იმ აზრით, რომ ჩვენ მხოლოდ სუფთა კომუნისტების ხელით და არა ბურჟუაზიული სპეციალისტების დახმარებით ავაგოთ კომუნიზმი, ეს ბავშვური აზრი იქნება. ჩვენ გვაქვს გამობრძმედილობა ბრძოლაში, გვყავს ძალები, გვაქვს ერთიანობა, და ჩვენ უნდა ვიაროთ ორგანიზაციული მუშაობის გზით, უნდა გამოვიყენოთ ამ სპეციალისტების ცოდნა და გამოცდილება. ეს აუცილებელი პირობაა, ურომლისოდაც სოციალიზმის აშენება შეუძლებელია. კაპიტალისტური კულტურის მემკვიდრეობის გარეშე ჩვენ სოციალიზმს ვერ ავაშენებთ. სხვა ვერაფრისგან ავაშენებთ კომუნიზმს, თუ არა იმისგან, რაც კაპიტალიზმმა დაგვიტოვა.

ჩვენ უნდა ვაშენოთ ამჟამად **პრაქტიკულად**, და ჩვენი მტრების ხელით გვიხდება **კომუნისტური** საზოგადოების

შექმნა. ეს გვეჩვენება წინააღმდეგურობად, შეიძლება, გადაუჭრელ წინააღმდეგურობადაც, მაგრამ ნამდვილად მხოლოდ ამ გზით შეიძლება გადაიჭრას კომუნისტური მშენებლობის ამოცანა. და როცა ვუყურებთ ჩვენს გამოცდილებას, ყოველდღიურ შეჯახებას ამ საკითხთან, როცა ვხედავთ ცენტრალური კომიტეტის პრაქტიკულ მუშაობას, მე მგონია, რომ ჩვენმა პარტიამ ეს საკითხი ძირითადად გადაჭრა. ეს წარმოადგენდა უდიდეს სიძნელეებს, მაგრამ მხოლოდ ასე შეიძლებოდა ამოცანის გადაწყვეტა. ორგანიზაციულმა შემოქმედებითმა ერთსულოვანმა მუშაობამ ისეთ კალაპოტში უნდა მოაქციოს ბურჟუაზიული სპეციალისტები, რომ ისინი მიდიოდნენ პროლეტარიატის მწკრივებში, როგორ წინააღმდეგობასაც უნდა გვიწევდნენ ისინი და გვებრძოდნენ ყოველ ნაბიჯზე. ჩვენ უნდა დავაყენოთ ისინი სამუშაოზე, როგორც ტექნიკური და კულტურული ძალა, რომ შევინარჩუნოთ ისინი და უკულტურო და ველური კაპიტალისტური ქვეყნიდან შევქმნათ კულტურული კომუნისტური ქვეყანა. და მე ვფიქრობ, რომ ამ წლის განმავლობაში ჩვენ ვისწავლეთ შენება, ჩვენ დავადექით სწორ გზას და ამ გზას არ გადავუხვევთ.

მე მინდოდა კიდევ მოკლედ შევხებოდი სასურსათო საკითხს და სოფლის საკითხს. სასურსათო საკითხი ჩვენში ყოველთვის უძნელესი საკითხი იყო. იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატს მოუხდა ძალაუფლების აღება გლეხობის დახმარებით, სადაც პროლეტარიატს წილად ხვდა წვრილბურჟუაზიული რევოლუციის აგენტის როლი, — ჩვენი რევოლუცია ღარიბთა კომიტეტების ორგანიზაციამდე, ე. ი. 1918 წლის ზაფხულამდე და თვით შემოდგომამდისაც კი, მნიშვნელოვნად ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რევოლუცია იყო. ჩვენ არ გვეშინია ამის თქმის. ჩვენ ასე ადვილად იმიტომ მოვახდინეთ ოქტომბრის რევოლუცია, რომ გლეხობა საერთოდ ჩვენს მხარეზე იყო, იმიტომ, რომ ის მიდიოდა მემამულეების წინააღმდეგ, იმიტომ, რომ ის ხედავდა, რომ აქ ჩვენ ბოლომდე მივალთ, იმიტომ რომ ჩვენ კანონების სახით ვახორციელებდით იმას, რაც დაბეჭდილი იყო ესერთა გაზეთებში, — იმას, რასაც

ჰპირდებოდა მშიშარა წვრილი ბურჟუაზია, მაგრამ რის გაკეთებაც მას არ შეეძლო. მაგრამ როცა დაიწყო ღარიბთა კომიტეტების ჩამოყალიბება, — ამ მომენტიდან ჩვენი რევოლუცია პროლეტარულ რევოლუციად გადაიქცა. ჩვენს წინაშე დაისვა ამოცანა, რომლის გადაჭრისაგან ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ. მაგრამ მეტისმეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ ეს ამოცანა პრაქტიკულად დავაყენეთ. ღარიბთა კომიტეტები გარდამავალი საფეხური იყო. პირველი დეკრეტი ღარიბთა კომიტეტების ორგანიზაციის შესახებ საბჭოთა ხელისუფლებამ გაატარა ამხ. ციურუპას ინიციატივით, რომელიც მაშინ სასურსათო საქმის სათავეში იდგა. უნდა გვეხსნა დაღუპვისაგან არამიწათმოქმედი მოსახლეობა, რომელიც შიმშილით იტანჯებოდა. ამის გაკეთება შესაძლებელი იყო მხოლოდ ღარიბთა კომიტეტების, როგორც პროლეტარული ორგანიზაციების, მეოხებით. და როცა დავინახეთ, რომ სოფლად, 1918 წლის ზაფხულში, დაიწყო და მოხდა ოქტომბრის რევოლუცია, მხოლოდ მაშინ დავდექით ჩვენს ნამდვილ პროლეტარულ ბაზისზე, ჩვენი რევოლუცია მხოლოდ მაშინ გახდა პროლეტარული არა პროკლამაციებით, არა დაპირებებით და განცხადებებით, არამედ საქმით.

ჩვენ ამჟამად ჯერ კიდევ არ გადაგვიწყვეტია ის ამოცანა, რომელიც ჩვენი პარტიის წინაშე დგას, სოფლის პროლეტარიატისა და ნახევრადპროლეტარიატის ორგანიზაციის ფორმების შექმნის ამოცანა. ამ ცოტა ხნის წინათ მე მომიხდა ყოფნა პეტროგრადში, სადაც დავესწარი პეტროგრადის გუბერნიის სოფლის მეურნეობის მუშების ერთ-ერთ პირველ ყრილობას[23]. მე დავინახე, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ხელის ცეცებით ვუდგებით ამ საქმეს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ იგი უეჭველად წინ იქნება წაწეული. მე უნდა ვთქვა, რომ მთავარი გამოცდილება, რომელიც ჩვენ მოგვცა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ამ წლის განმავლობაში, იმაში მდგომარეობს, რომ აქ ვიპოვოთ ორგანიზაციული დასაყრდენი. ჩვენ გადავდგით ნაბიჯი ამისკენ, როცა შევქმენით ღარიბთა კომიტეტები, გადავარჩიეთ საბჭოები და გარდავქმენით სასურსათო პოლიტიკა, სადაც

წარმოუდგენელი სიძნელეები გვხვდებოდა. შეიძლება, რუსეთის იმ განაპირა მხარეებში, რომლებიც ახლა ხდებიან საბჭოთა მხარეებად, — უკრაინა, დონი, — მოგვიხდეს ამ პოლიტიკის შეცვლა. შეცდომა იქნებოდა, ჩვენ რომ უბრალოდ შაბლონურად გადაგვეწერა დეკრეტები რუსეთის ყველა ადგილისთვის, ბოლშევიკ-კომუნისტებს, საბჭოთა მუშაკებს უკრაინასა და დონში, განურჩევლად, ხელაღებით რომ გაევრცელებინათ ისინი სხვა ოლქებზედაც. ბევრი თავისებურების გადატანა მოგვიხდება, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვიბოჭავთ თავს ერთგვაროვანი შაბლონით, არ ვწყვეტთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ჩვენი გამოცდილება, ცენტრალური რუსეთის გამოცდილება, მთლიანად შეიძლება გადავიტანოთ ყველა განაპირა მხარეზე. ჩვენ ეს-არის მივადექით ნამდვილი მშენებლობის ამოცანას, ჩვენ ეს-არის ვდგამთ პირველ ნაბიჯებს ამ მხრივ,— ჩვენს წინაშე იშლება მუშაობის თვალუწვდენი ასპარეზი.

მე აღვნიშნავდი, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი იყო ღარიბთა კომიტეტების შექმნა. ეს ჩაატარეს სასურსათო მუშაკებმა და გამოწვეული იყო აუცილებლობით. მაგრამ ჩვენი ამოცანები რომ ბოლომდე მივიყვანოთ, საჭიროა არა ისეთი დროებითი ორგანიზაციები, როგორიცაა ღარიბთა კომიტეტები. ჩვენში საბჭოებთან ერთად არსებობენ პროფესიული ორგანიზაციები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ, როგორც ჩამორჩენილი მასების აღსაზრდელ სკოლას. იმ მუშების ფენა, რომლებიც ფაქტიურად განაგებდნენ რუსეთს ამ წლის განმავლობაში და მთელ პოლიტიკას ატარებდნენ, რომლებიც შეადგენდნენ ჩვენს ძალას,—ეს ფენა რუსეთში უზომოდ თხელია. ჩვენ ამაში დავრწმუნდით, ჩვენ ამას ვგრძნობთ საკუთარ თავზე. თუ ოდესმე მომავალი ისტორიკოსი შეაგროვებს ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ჯგუფები განაგებდნენ რუსეთში ამ 17 თვის განმავლობაში, რომელმა ასობით და ათასობით პირებმა იკისრეს მთელი ეს მუშაობა, იკისრეს ქვეყნის მართვა-გამგეობის მთელი განუზომელი სიმძიმე, — არავინ დაიჯერებს იმას, რომ ამის მიღწევა შეიძლებოდა ასეთი უმნიშვნელო რაოდენობის ძალებით. ეს რაოდენობა

უმნიშვნელოა იმიტომ, რომ ინტელიგენტური, განათლებული, ნიჭიერი პოლიტიკური ხელმძღვანელები რუსეთში ცოტანი იყვნენ. ეს ფენა რუსეთში თხელი იყო და განვლილი ბრძოლის მანძილზე წელში გაწყდა, უაღრესად მოიქანცა, იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე შეეძლო. მე ვფიქრობ, რომ ამ ყრილობაზე ჩვენ გამოვნახავთ პრაქტიკულ საშუალებებს, თუ როგორ გამოვიყენოთ მრეწველობაში და — რაც უფრო მნიშვნელოვანია — სოფლად ახალი და ახალი ძალები მასობრივი მასშტაბით, როგორ მივიზიდოთ საბჭოთა სამუშაოზე ის მუშები და გლეხები, რომლებიც დგანან საშუალოს დონეზე ანდა თვით ამ დონეზე დაბლა. მასობრივი მასშტაბით მათ დაუხმარებლად შემდგომი მუშაობა, ჩვენის აზრით, შეუძლებელია.

რადგან ჩემი დრო თითქმის გავიდა, მე მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა საშუალო გლეხობისადმი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ. ჩვენი დამოკიდებულება მისდამი პრინციპულად ნათელი იყო ჩვენთვის რევოლუციის დაწყების წინაც. ჩვენს წინაშე დაყენებული იყო გლეხობის ნეიტრალიზაციის ამოცანა. ერთ კრებაზე მოსკოვში, სადაც მოგვიხდა საკითხის დაყენება წვრილბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ, მე მოვიყვანე ზუსტი სიტყვები ენგელსისა, რომელიც არათუ აღნიშნავდა, რომ საშუალო გლეხობა ჩვენი მოკავშირეა, არამედ იმის რწმენასაც გამოთქვამდა, რომ, შეიძლება, არ დაგვჭირდეს რეპრესიები, დათრგუნვის ზომები მსხვილი გლეხობის მიმართაც[24]. რუსეთში ეს ვარაუდი არ გამართლდა: ჩვენ გვქონდა, გვაქვს და გვექნება უშუალო სამოქალაქო ომი კულაკებთან. ეს გარდუვალია. ჩვენ ეს პრაქტიკულად დავინახეთ. მაგრამ ხშირად საბჭოთა მუშაკების გამოუცდელობისა და საკითხის სიძნელის გამო დარტყმები, რომლებიც გათვალისწინებული იყო კულაკებისათვის, თავს ატყდებოდა საშუალო გლეხობას. აქ ჩვენ მეტისმეტად დავაშავეთ. ამ მხრივ შეძენილი გამოცდილება დაგვეხმარება გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რათა ეს შემდეგში თავიდან ავიცილოთ. აი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას არა თეორიულად, არამედ პრაქტიკულად. თქვენ

მშვენივრად იცით, რომ ეს ძნელი ამოცანაა. ჩვენ არ მოგვეპოვება ისეთი სიკეთენი, რომელთა მიცემა შეგვეძლოს საშუალო გლეხისთვის, ის კი მატერიალისტია, პრაქტიკოსია და მოითხოვს კონკრეტულ მატერიალურ სიკეთეებს, რომელთა მიცემა ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია და რომლებსაც ჩვენი ქვეყანა უნდა შეელიოს, შესაძლოა, კიდევ მძიმე ბრძოლის თვეების განმავლობაში, ბრძოლისა, რომელიც ახლა სრულ გამარჯვებას გვპირდება. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ გავაკეთოთ ჩვენს ადმინისტრაციულ პრაქტიკაში: გავაუმჯობესოთ ჩვენი აპარატი, გამოვასწოროთ მრავალი ბოროტმოქმედება. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი პარტიის ხაზი, რომელიც არასაკმაოდ სთანხმდებოდა ბლოკს, კავშირს, შეთანხმებას საშუალო გლეხობასთან, — ჩვენ ეს ხაზი შეგვიძლია და კიდევაც უნდა გამოვასწოროთ და გავმართოთ.

აი მოკლედ ის, რისი ამჟამად აღნიშვნის შესაძლებლობაც მქონდა თქვენს წინაშე ცენტრალური კომიტეტის ეკონომიური და პოლიტიკური მუშაობის შესახებ გასული წლის განმავლობაში. ახლა მეტად მოკლედ უნდა შევეხო იმ ამოცანის მეორე ნაწილს, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა დამავალა — ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ ანგარიშს. ამ ამოცანის შესრულება რიგიანად შეეძლო მხოლოდ იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვს, რომელიც დანიშნული იყო ცენტრალური კომიტეტის მომხსენებლად ამ საკითხზე. როგორც დიდი, წარმოუდგენელი მეხსიერების მქონე ადამიანს, მას თავისი ანგარიშის უმეტესი ნაწილი მეხსიერებაში ჰქონდა, და ადგილებზე ორგანიზაციული მუშაობის პირადად ცოდნა შესაძლებლობას აძლევდა მას გაეკეთებინა ეს ანგარიში. მე არ ძალმიძს თუნდაც მეასედ წილად შევცვალო იგი, იმიტომ რომ ამ მუშაობაში ჩვენ იძულებული ვიყავით მთლიანად დავყრდნობოდით და კიდეც გვქონდა სრული საფუძველი დავყრდნობოდით ამხ. სვერდლოვს, რომელსაც ძალიან ხშირად ერთპიროვნულად გამოჰქონდა გადაწყვეტილებები.

აქ მე შემიძლია გადმოგცეთ პატარა ნაწყვეტები იქიდან, რაც მზად არის წერილობითი ანგარიშებიდან. მაგრამ ცენტ-

რალური კომიტეტის სამდივნო, რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა დაემთავრებინა თავისი მუშაობა, ფრიად გარკვეულად შეგვპირდა, რომ უახლოეს კვირაში წერილობითი ანგარიშები მზად იქნება დასაბეჭდად, გამრავლდება როტატორზე და დაურიგდება ყრილობის ყველა წევრსო. ისინი შეავსებენ ნაჩქარევ ნაწყვეტ-ნაწყვეტ მითითებებს, რომელთა მოცემამე აქ შემიძლია. ანგარიშის იმ მასალაში, რომელიც ამჟამად მოგვეპოვება წერილობითი სახით, ჩვენ უწინარეს ყოვლისა ვპოულობთ ცნობებს შემოსული ქაღალდების შესახებ: 1918 წლის დეკემბერში — 1 483, 1919 წლის იანვარში — 1 537 და თებერვალში—1 840. გვაქვს ამ ქაღალდების პროცენტული განაწილებაც, მაგრამ მე ნებას მივცემ ჩემს თავს არ წავიკითხო იგი. ამხანაგები, რომელთაც ეს აინტერესებთ, დაინახავენ ანგარიშიდან, რომელიც დარიგდება, რომ, მაგალითად, ნოემბერში 490-ჯერ მოსულან სამდივნოში. და აქ ამხანაგები, რომლებმაც ეს ანგარიში გადმომცეს, ლაპარაკობენ, რომ მასში იმის ნახევარიც კი არ არის, რასაც სამდივნო განაგებდა, იმიტომ რომ ამხ. სვერდლოვი ყოველდღიურად იღებდა ათეულ დელეგატებს, და მათ შორის ნახევარზე მეტი იყვნენ, ალბათ, არა საბჭოთა თანამდებობის პირები, არამედ პარტიული მუშაკები.

მე უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება ანგარიშზე უცხოელთა ჯგუფების ფედერაციის მუშაობის შესახებ [25]. მუშაობის ეს დარგი ჩემთვის ცნობილია იმდენად, რამდენადაც მე შესაძლებლობა მქონდა ნაჩქარევად გადამეთვალიერებინა უცხოელთა ჯგუფების მასალები. თავდაპირველად მათი რიცხვი იყო 7, ახლა 9 არის. იმ ამხანაგებმა, რომლებიც წმინდაველიკორუსულ ადგილებში ცხოვრობენ და შესაძლებლობა არ ჰქონდათ უშუალოდ გასცნობოდნენ ამ ჯგუფებს და რომლებსაც არც ანგარიშები წაუკითხავთ გაზეთებში, კეთილინებონ და წაიკითხონ გაზეთის ამონაწერები, რომლებიც მე ნებას მივცემ ჩემ თავს მთლად არ წავიკითხო. უნდა მოგახსენოთ, რომ აქ ჩანს ნამდვილი საფუძველი იმისა, რაც გავაკეთეთ III ინტერნაციონალისათვის. მესამე ინტერნაციონალი დაარსდა მოსკოვში ხან-

მოკლე ყრილობაზე, რომლის შესახებ დაწვრილებით მოხსენებას, ისევე როგორც ყოველივე იმის შესახებ, რასაც აყენებს ცენტრალური კომიტეტი ყველა იმ საკითხზე, რომლებიც შეეხება ინტერნაციონალს, გააკეთებს ამხ. ზინოვიევი. თუ ჩვენ მოკლე დროში შევძელით ასე ბევრი რამის გაკეთება კომუნისტების ყრილობაზე მოსკოვში, ეს იმის წყალობით, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ყრილობის ორგანიზატორის ამხ. სვერდლოვის მიერ შესრულებულ იქნა გიგანტური მოსამზადებელი მუშაობა. წარმოებდა პროპაგანდა და აგიტაცია რუსეთში მყოფ უცხოელთა შორის და მოეწყო უცხოელთა მთელი რიგი ჯგუფები. ამ ჯგუფების მთელ ათეულ წევრებს მთლიანად გააცნეს პოლიტიკის ძირითადი გეგმები და საერთო ამოცანები სახელმძღვანელო ხაზების აზრით. ასი ათასობით სამხედრო ტყვეებმა იმ არმიებიდან, რომლებსაც იმპერიალისტები ქმნიდნენ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მიზნებისათვის, გადავიდნენ რა უნგრეთში, გერმანიასა და ავსტრიაში, გამოიწვიეს ის, რომ ბოლშევიზმის ბაცილები მთლიანად მოედო ამ ქვეყნებს, და თუ იქ ბატონობენ ჩვენდამი სოლიდარული ჯგუფები და პარტიები, ეს მოხდა რუსეთში მყოფ უცხოელთა ჯგუფების მუშაობის წყალობით, რომელიც გარეგნულად შეუმჩნეველია და ორგანიზაციულ ანგარიშში შეჯამებულად და მოკლედ არის მოყვანილი და რომელიც შეადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფურცელს რუსეთის კომუნისტური პარტიის, როგორც მსოფლიო კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უჯრედის, მუშაობაში.

შემდეგ მასალებში, რომლებიც მე გადმომცეს, არის მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ და რომელი ორგანიზაციებისაგან მოგვდიოდა ცნობები ცენტრალურ კომიტეტში, და აქ ჩვენი რუსული უორგანიზებულობა მეღავნდება ჩვენი შემარცხვენელი მთელი უბადრუკობით. რეგულარული ცნობები მოდიოდა ოთხი გუბერნიის ორგანიზაციებისაგან, არარეგულარული—14 გუბერნიიდან, ხოლო შემთხვევითი ცნობები კი 16 გუბერნიიდან. ეს გუბერნიები დასახელებულია სიაში, ნება მიბოძეთ არ წავიკითხო ისინი. რა თქმა უნდა, ბევრი რამ ამ

ჩვენს უკიდურეს უორგანიზებულობაში, ორგანიზებულობის უკიდურეს ნაკლებობაში, აიხსნება სამოქალაქო ომის პირობებით, მაგრამ სრულიადაც არა ყველაფერი. და ამით თავის დაფარვა, თავის დაცვა და მომიზეზება ყველაზე ნაკლებად გვმართებს. ორგანიზაციული მუშაობა არასდროს არ შეადგენდა საერთოდ რუსების და კერძოდ ბოლშევიკების ძლიერ მხარეს, ხოლო პროლეტარული რევოლუციის მთავარი ამოცანა სწორედ ორგანიზატორული ამოცანა არის. აქ ორგანიზაციული საკითხი ტყუილად კი არ არის დასმული ერთ-ერთ უაღრესად თვალსაჩინო ადგილზე. აქ საჭიროა გადაჭრით და მტკიცედ, და კიდევ გადაჭრით და კიდევ მტკიცედ, ყოველგვარი საშუალებით ვიბრძოლოთ. ხანგრძლივი აღზრდისა და ხელახალი აღზრდის გარეშე ჩვენ აქ ვერაფერს გავხდებით. აქ ის სფეროა, სადაც რევოლუციურ ძალმომრეობას, დიქტატურას იყენებენ იმისათვის, რომ ბოროტად გამოიყენონ ეს, მე კი ვბედავ გავაფრთხილოთ არ მიმართოთ ამ ბოროტად გამოყენებას. საუცხოო რამ არის რევოლუციური ძალმომრეობა და დიქტატურა, თუ მათ იყენებ, როცა საჭიროა და ვის წინააღმდეგაც საჭიროა. მაგრამ ორგანიზაციის სფეროში მათი გამოყენება არ შეიძლება. აღზრდის, ხელახალი აღზრდისა და ხანგრძლივი ორგანიზაციული მუშაობის ეს ამოცანა ჩვენ სრულიად არ გადაგვიჭრია და ამას ჩვენ სისტემატურად უნდა შევუდგეთ.

აქ გვაქვს დაწვრილებითი ფინანსური ანგარიში. ცალკეული მუხლებიდან ხარჯები ყველაზე დიდია მუშათა გამომცემლობასა და გაზეთებზე: 1 მილიონი, 1 მილიონი და კიდევ 1 მილიონი—3 მილიონი, პარტიულ ორგანიზაციებს 2 800 000, სარედაქციო ხარჯები 3 600 000. უფრო დეტალური ციფრები არის ამ ანგარიშში, რომელიც დაიბეჭდება და დაურიგდება ყველა დელეგატს. მანამდე კი ამხანაგებს შეუძლიათ მათი გაცნობა ჯგუფების წარმომადგენლების მეოხებით. ნება მომეცით ეს ციფრები არ წავიკითხო. ამხანაგებმა, რომლებმაც ანგარიშები წარმოადგინეს, აქ მოგვცეს მთავარი და ყველაზე უფრო თვალსაჩინო მონაცემები, სახელდობრ: პროპაგანდის-

ტული მუშაობის საერთო შედეგები გამომცემლობის მხრივ. გამომცემლობამ «კომმუნისტმა» გამოუშვა 62 სახელწოდების წიგნი. გაზეთმა «პრავდამ» 1918 წელს მოგვცა 2 მილიონი წმინდა მოგება, გამოუშვა 25 მილიონი ეგზემპლარი. გაზეთმა «ბედნოტამ» [26] მოგვცა 2 370 000 წმინდა მოგება და გამოუშვა 33 მილიონი ეგზემპლარი. ამხანაგები ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროდან დაგვპირდნენ გადაამუშაონ მათ ხელთ არსებული დაწვრილებითი ციფრები კიდევ ისეთნაირად, რომ შეიძლებოდეს თუნდაც ორი ამოსავალი წერტილის შედარება. მაშინ ყველასათვის დასანახი იქნება პარტიის ის უზარმაზარი საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც პირველად ისტორიაში იყენებს თანამედროვე სასტამბო მსხვილკაპიტალისტურ ტექნიკას არა ბურჟუაზიისათვის, არამედ მუშებისა და გლეხებისათვის. ჩვენ ათასჯერ და მილიონჯერ გვაბრალებდნენ და გვაბრალებენ პრესის თავისუფლების დარღვევას, დემოკრატიაზე უარისთქმას. ბრალმდებლები დემოკრატიას უწოდებენ იმას, რომ პრესა მოისყიდოს კაპიტალმა, რომ მდიდრებს შეეძლოთ ისარგებლონ ბეჭდვითი სიტყვით თავიანთი მიზნებისათვის. ჩვენ ამას ვუწოდებთ არა დემოკრატიას, არამედ პლუტოკრატიას. ყველაფერი ის, რაც ბურჟუაზიულ კულტურას შეუქმნია იმისათვის, რომ მოატყუოს ხალხი და დაიცვას კაპიტალისტები, ჩვენ წავართვით მათ იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ მუშებისა და გლეხების პოლიტიკური მოთხოვნილებანი. და ჩვენ ამ მხრივ იმდენი გავაკეთეთ, რამდენის გაკეთებაც ვერც ერთ სოციალისტურ პარტიას ვერ მოუხერხებია მეოთხედი საუკუნის თუ ნახევარი საუკუნის განმავლობაში. მაგრამ მაინც ჩვენ განუზომლად მცირედი რამ გავაკეთეთ იქიდან, რაც უნდა გაკეთდეს.

უკანასკნელი მასალა, რომელიც ბიურომ გადმომცა, ეს არის ცირკულარული წერილები. მათი რიცხვია 14, და ამხანაგებს, რომლებიც არ იცნობენ ან ნაკლებად იცნობენ ამ წერილებს, ვთხოვთ გაეცნონ მათ. რა თქმა უნდა, ამ მხრივ ცენტრალური კომიტეტის მუშაობა სრულიადაც არ იყო სრული, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ, როცა მუშაობა

გვიხდება იმ პირობებში, რომლებშიც ჩვენ ვმუშაობდით, როცა ყოველდღე გვიხდებოდა პოლიტიკური დირექტივების მიცემა მთელ რიგ საკითხებზე და მხოლოდ განსაკუთრებულ, იშვიათ შემთხვევებშიც კი გვეკეთებინა ეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ბიუროს ან პლენუმის მეშვეობით,— ასეთ პირობებში იმის ფიქრი, რომ ჩვენ ხშირად შეგვეძლო მიგვემართა პოლიტიკური ცირკულარებისათვის, შეუძლებელია.

ვიმეორებ, ჩვენ, როგორც მებრძოლი პარტიის მებრძოლ ორგანოს სამოქალაქო ომის ეპოქაში, სხვანაირად მუშაობა არც შეგვიძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება ან ნახევარსიტყვები, ან პარლამენტი, ხოლო პარლამენტის საშუალებით დიქტატურის ეპოქაში არ შეიძლება არც საკითხების გადაჭრა, არც პარტიის ან საბჭოთა ორგანიზაციების წარმართვა. ამხანაგებო, იმ ეპოქაში, როცა ჩვენ ვიყენებთ ბურჟუაზიული სტამბების და პრესის აპარატს, ცენტრალური კომიტეტის ცირკულარული წერილების მნიშვნელობა შესუსტდა. ჩვენ ვგზავნით მხოლოდ ისეთ დირექტივებს, რომელთა დაბეჭდვა არ შეიძლებოდა, რადგან ჩვენს მუშაობაში, რომელიც, მიუხედავად მისი უდიდესი მოცულობისა, აშკარა იყო, არალეგალური მუშაობა მაინც რჩებოდა, რჩება და დარჩება კიდევაც. ჩვენ არ გვეშინოდა საყვედურისა ჩვენი არალეგალობისა და საიდუმლოების გამო, არა, ჩვენ ვამაყობდით ამით. და როცა ჩვენ ისეთ მდგომარეობაში მოვექეცით, რომ, დავამხვეთ რა ბურჟუაზია, ევროპის ბურჟუაზიის წინაშე დავდექით, ჩვენს მოქმედებაში რჩებოდა საიდუმლოება და ჩვენს მუშაობაში იყო არალეგალობა.

ამით, ამხანაგებო, მე ვამთავრებ ჩემს მოხსენებას. (ტ ა შ ი.)

3

მოხსენება პარტიული პროგრამის შესახებ 19 მარტს

(ტ ა შ ი.) ამხანაგებო, თემების განაწილების თანახმად, რის შესახებაც ჩვენ შევუთანხმდით ამხ. ბუხარინს, მე დამეკისრა კომისიის თვალსაზრისის გარკვევა მთელ რიგ კონკრეტულ და ყველაზე სადავო ან ამჟამად პარტიისათვის ყველაზე უფრო საინტერესო მუხლებზე.

მოკლედ დავიწყებ იმ მუხლებით, რომლებსაც შეეხო ამხ. ბუხარინი თავისი მოხსენების ბოლოში, რაკი ეს მუხლები ჩვენს შორის, კომისიის შიგნით, სადავო მუხლებია. პირველი— ეს არის პროგრამის ზოგადი ნაწილის აგების ხასიათი. ჩემის აზრით, ამხ. ბუხარინმა სავსებით სწორად არ გადმოსცა აქ ის, თუ რატომ უარყო კომისიის უმრავლესობამ ყოველგვარი ცდა პროგრამის აგებისა ყოველივე იმის ამოშლით, რაც ნათქვამი იყო ძველ კაპიტალიზმზე. ამხ. ბუხარინი ისე ლაპარაკობდა, რომ მას ზოგჯერ გამოუდიოდა, თითქოს კომისიის უმრავლესობას ეშინოდა, თუ რას იტყვიან ამის შესახებ, ეშინოდა, რომ კომისიის უმრავლესობას დასწამებენ ძველისადმი არასაკმაო პატივისცემას. ეჭვი არ არის, რომ, კომისიის უმრავლესობის პოზიციის ასეთი გადმოცემისას, ეს პოზიცია ფრიად სასაცილოდ გვეხატება. მაგრამ ეს შორს არის ჭეშმარიტებისაგან. კომისიის უმრავლესობამ იმიტომ უარყო ასეთი ცდა, რომ ეს სწორი არ იქნებოდა. ის არ იქნებოდა საქმის ნამდვილი მდგომარეობის შესაბამისი. წმინდა იმპერიალიზმი კაპიტალიზმის ძირითადი ბაზის გარეშე არასოდეს არ არსებობდა, არსად არ

არსებობს და არც არასოდეს იარსებებს. ეს არის არასწორი განზოგადება ყოველივე იმისა, რაც ნათქვამი იყო სინდიკატების, კარტელების, ტრესტების, ფინანსური კაპიტალიზმის შესახებ, როცა ფინანსურ კაპიტალიზმს ისე სახავდნენ, თითქოს მას ძველი კაპიტალიზმის არავითარი საფუძველი არ ჰქონდეს.

ეს არ არის სწორი. ეს სწორი არ იქნება მეტადრე იმპერიალისტური ომის ეპოქისათვის და იმპერიალისტური ომის-შემდგომი ეპოქისათვის. ჯერ კიდევ ენგელსი წერდა ერთ-ერთ თავის მსჯელობაში მომავალი ომის შესახებ, რომ ამას მოჰყვება გაცილებით უფრო მძვინვარე გავერანება, ვიდრე ოცდაათწლიანი ომის შემდეგ იყო, რომ კაცობრიობა მნიშვნელოვნად გაველურდება, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის ჩვენი ხელოვნური აპარატი დაინგრევა[27]. ომის დასაწყისში სოციალ-გამცემლები და ოპორტუნისტები ტრაბახობდნენ კაპიტალიზმის სიცოცხლისუნარიანობის გამო და დასცინოდნენ «ფანატიკოსებს ანუ ნახევრადანარქისტებს», როგორც ისინი გვიწოდებდნენ. «შეხედეთ, — ამბობდნენ ისინი — ეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა. მოვლენებმა ცხადყვეს, რომ ეს სწორი იყო მხოლოდ ქვეყნების ძალიან მცირე ნაწილის მიმართ და დროის ფრიად მცირე პერიოდის განმავლობაში!». ახლა კი არა მარტო რუსეთში და არა მარტო გერმანიაში, არამედ გამარჯვებულ ქვეყნებშიც იწყება თანამედროვე კაპიტალიზმის სწორედ ისეთი გიგანტური ნგრევა, რომელიც ძალიან ხშირად სპობს ამ ხელოვნურ აპარატს და აღორძინებს ძველ კაპიტალიზმს.

როდესაც ამხ. ბუხარინი ამბობდა, რომ შეიძლება ვცადოთ კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ნგრევის მთლიანი სურათის მოცემაო, ჩვენ წინააღმდეგ წავედით კომისიაში, და მე უნდა ვუპასუხო აქ: სცადეთ და დაინახავთ, რომ არ მოხერხდება. ამხ. ბუხარინმა მოახდინა ერთი ასეთი ცდა იქ, კომისიაში, და თვითონვე უარყო იგი. მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ თუ ვისმე შეეძლო ეს, ყველაზე მეტად შეეძლო ამხ. ბუხარინს, რომელიც ძალიან ბევრს და ძალიან გულდასმით მუშაობდა ამ საკითხზე. მე ვამტკიცებ, რომ ასეთ ცდას არ შეიძლება წარ-

მატება ჰქონდეს, იმიტომ რომ ამოცანა სწორი არ არის. ჩვენ რუსეთში ამჟამად განვიცდით იმპერიალისტური ომის შედეგებს და პროლეტარიატის დიქტატურის დასაწყისს. იმავე დროს რუსეთის მთელ რიგ ოლქებში, რომლებიც ერთიმეორისაგან უფრო მოწყვეტილი იყვნენ, ვიდრე წინათ, ჩვენ ხშირად განვიცდით კაპიტალიზმის აღორძინებას და მისი პირველი სტადიის განვითარებას. ამ მდგომარეობას ვერსად გაექცევი. პროგრამა რომ ისე დავწეროთ, როგორც ამხ. ბუხარინს სურდა, — ეს პროგრამა სწორი არ იქნება. უკეთეს შემთხვევაში იგი ასახავს საუკეთესოს, რაც ნათქვამია ფინანსური კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის შესახებ, მაგრამ ვერ ასახავს სინამდვილეს, იმიტომ რომ ამ სინამდვილეში სწორედ ასეთი მთლიანობა არ არის. სხვადასხვაგვარი ნაწილებისაგან შედგენილი პროგრამა — შნოიანი არ გამოვა (მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არა აქვს), — მაგრამ სხვაგვარი პროგრამა პირდაპირ არ იქნება სწორი. ამ სხვადასხვაგვარობას, ამ სხვადასხვა მასალიდან აგებას, თუმცა ეს არასასიამოვნოა, თუმცა ეს არასაკმაოდ მწყობრია, ამას ჩვენ ძალიან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვერსად გავექცევით. როცა თავს დავაღწევთ, მაშინ ჩვენ სხვა პროგრამას შევქმნით. მაგრამ მაშინ ჩვენ უკვე სოციალისტურ საზოგადოებაში ვიცხოვრებთ. იმის პრეტენზია, რომ იქაც ისევე იქნება, როგორც ახლაა, სასაცილო იქნებოდა.

ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როცა მკვდრეთით აღდგენილია კაპიტალიზმის მთელი რიგი მეტისმეტად ელემენტარული ძირითადი მოვლენები. ავიღოთ თუნდაც ტრანსპორტის კრახი, რასაც ჩვენ ასე კარგად, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ასე ცუდად განვიცდით. ეს ხომ სხვა ქვეყნებშიც არის, გამარჯვებულ ქვეყნებშიც კი. და რას ნიშნავს ტრანსპორტის კრახი იმპერიალისტურ სისტემაში? — სასაქონლო წარმოების სულ პირვანდელი ფორმების დაბრუნებას. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რანი არიან მეტომრეები. ეს სიტყვა, მგონი, დღემდე უცხოელთათვის გაუგებარი იყო, ახლა? დაელაპარაკეთ III ინტერნაციონალის კონგრესზე ჩამოსულ ამხანაგებს. თურმე, ასეთი

სიტყვები ჩნდება გერმანიაშიც და შვეიცარიაშიც. ხოლო ამ კატეგორიას თქვენ ვერ მიუყენებთ პროლეტარიატის ვერავითარ დიქტატურას, არამედ უნდა დაუბრუნდეს კაპიტალისტური საზოგადოებისა და სასაქონლო წარმოების დაბლობებს.

ამ სავალალო სინამდვილის თავის არიდება მწყობრი და მთლიანი პროგრამის შექმნის მეოხებით იმას ნიშნავს, რომ უჰაერო სივრცეში, ღრუბლებს ზემოთ შეინავარდო, არასწორი პროგრამა დაწერო. ძველი პროგრამიდან ადგილების ჩამატებას ჩვენ აქ სრულიადაც არ გვაიძულებდა ძველისადმი პატივისცემა, როგორც ზრდილობიანად და გადაკვრით აღნიშნავდა ამხ. ბუხარინი. გამოდიოდა ასე: პროგრამა დაიწერა 1903 წელს ლენინის მონაწილეობით, პროგრამა უეჭველად ცუდია, მაგრამ რადგან ძველებს ყველაზე მეტად წარსულის მოგონება უყვართ, ამიტომ ძველისადმი პატივისცემის გამო ახალ ეპოქაში შეადგინეს ახალი პროგრამა, რომელშიც ძველს იმეორებენ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ შეიძლებოდა ასეთ ახირებულ ადამიანთა სასაცილოდ აგდება. მე ვამტკიცებ, რომ ეს ასე არ არის. ის კაპიტალიზმი, რომელიც დასურათებული იყო 1903 წელს, 1919 წელსაც განაგრძობს არსებობას საბჭოთა პროლეტარულ რესპუბლიკაში, სწორედ იმპერიალიზმის გახრწნის, მისი კრახის გამო. ასეთი კაპიტალიზმი შეიძლება ნახო, მაგალითად, სამარის გუბერნიაშიც, ვიატკის გუბერნიაშიც, რომლებიც არც ისე დაშორებული არიან მოსკოვს. იმ ეპოქაში, როცა სამოქალაქო ომი ქვეყანას ნაწილ-ნაწილად ჰგლეჯს; ამ მდგომარეობას, ამ მეტომრეობას ჩვენ მალე ვერ დავაღწევთ თავს! აი რატომ არ იქნებოდა სწორი პროგრამის სხვაგვარად აგება. უნდა ითქვას ის, რაც არის: პროგრამა უნდა შეიცავდეს აბსოლუტურად უდავოს, ფაქტიურად დადგენილს, მხოლოდ მაშინ არის ის მარქსისტული პროგრამა.

ამხ. ბუხარინს თეორიულად ეს სავსებით ესმის; ის ამბობს, რომ პროგრამა კონკრეტული უნდა იყოსო. მაგრამ ერთია გაგება, ხოლო მეორე — ფაქტიური განხორციელება. ამხ. ბუხარინის კონკრეტულობა — ეს არის ფინანსური კაპიტალიზმის მწიგნობრული გადმოცემა. სინამდვილეში ჩვენ სხვადა-

სხვაგვაროვან მოვლენებს ვამჩნევთ. ყოველ სამიწათმოქმედო გუბერნიაში მონოპოლიზებულ მრეწველობასთან ერთად ჩვენ ვხედავთ თავისუფალ კონკურენციას. არსად ქვეყნად მონოპოლისტური კაპიტალიზმი არ არსებულა და ვერც იარსებებს, თუ მთელ რიგ დარგებში თავისუფალი კონკურენცია არ არის. ასეთი სისტემის დაწერა ნიშნავს ისეთი სისტემის დაწერას, რომელიც მოწყვეტილია ცხოვრებას და სწორი არ არის. თუ მარქსი მანუფაქტურაზე ამბობდა, რომ იგი მოგვევლინა როგორც ზედნაშენი მასობრივი წვრილი წარმოებისაო[23], მაშინ იმპერიალიზმი და ფინანსური კაპიტალიზმი ზედნაშენია ძველი კაპიტალიზმისა. თუ მისი ზედა ნაწილი დაანგრიე, გამოჩნდება ძველი კაპიტალიზმი. იმ თვალსაზრისზე დგომა, თითქოს არსებობს მთლიანი იმპერიალიზმი ძველი კაპიტალიზმის გარეშე — ეს ნიშნავს სასურველის სინამდვილედ მიღებას.

ეს ბუნებრივი შეცდომა არის, რომელშიც ძალიან ადვილად ვარდებიან. და ჩვენს წინაშე რომ ყოფილიყო მთლიანი იმპერიალიზმი, რომელმაც ერთიანად გარდაქმნა კაპიტალიზმი, ჩვენი ამოცანა ასიათასჯერ უფრო ადვილი იქნებოდა. ეს ისეთ სისტემას მოგვცემდა, რომ ყველაფერი მარტო ფინანსურ კაპიტალს დაემორჩილებოდა. მაშინ ისღა დაგვრჩებოდა, რომ ზედა ნაწილი მოგვეხსნა და დანარჩენი პროლეტარიატისთვის გადაგვეცა. ეს მეტისმეტად სასიამოვნო იქნებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს არ არის. სინამდვილეში განვითარება ისეთია, რომ სულ სხვანაირად გვიხდება მოქცევა. ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ა რ ი ს ზ ე დ ნ ა შ ე ნ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს ა. როცა იგი ინგრევა, გვიხდება საქმე ვიქონიოთ ზედა ნაწილის დანგრევასთან და საფუძვლის გაშიშვლებასთან. აი რატომ უნდა თქვას ჩვენმა პროგრამამ, თუ მას სურს სწორი იყოს, ის, რაც არის. არის ძველი კაპიტალიზმი, რომელიც მთელ რიგ სფეროებში იმპერიალიზმად გაიზარდა. მისი ტენდენციები მხოლოდ იმპერიალისტურია. ძირითადი საკითხები შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ იმპერიალიზმის თვალსაზრისით. არ არსებობს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის არც ერთი დიდი საკითხი, რომლის გადაწყვეტა შეიძლებოდეს

სხვაგვარად, თუ არ ამ ტენდენციის თვალსაზრისით. პროგრამა ახლა ამაზე როდი ლაპარაკობს. სინამდვილეში არსებობს ძველი კაპიტალიზმის უდიდესი ქვენიადაგი. არსებობს იმპერიალიზმის ზედნაშენი, რომელმაც გამოიწვია ომი, და ამ ომიდან წარმოიშვა პროლეტარიატის დიქტატურის დასაწყისი. ამ ფაზას თავს ვერ დააღწევთ. ეს ფაქტი ახასიათებს თვით პროლეტარული რევოლუციის განვითარების ტემპს მთელ მსოფლიოში, და ფაქტად დარჩება მრავალი წლის განმავლობაში.

დასავლეთ ევროპის რევოლუციებმა, შესაძლოა, უფრო მწყობრად განვლონ, მაგრამ მაინც მთელი მსოფლიოს რეორგანიზაციას, უმეტესი ქვეყნების რეორგანიზაციას მრავალი და მრავალი წელი დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ გარდამავალ პერიოდში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ამ მოზაიკურ სინამდვილეს ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ. ამ სხვადასხვაგვაროვანი ნაწილებისაგან შემდგარი სინამდვილის უკუგდება არ შეიძლება, რაც უნდა უშნო იყოს იგი, აქედან ოდნავი რამის ამოგდება არ შეიძლება. სწორი არ იქნება პროგრამა, შედგენილი სხვაგვარად, ვიდრე იგი შედგენილია.

ჩვენ ვამბობთ, რომ დიქტატურამდე მივედით. მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ, რ ო გ ო რ მივედით. წარსული ხელიდან არ გვიშვებს, ათასი ხელით გვეჭიდება და არ გვანებებს წინ გადავდგათ ნაბიჯი ანდა გვაიძულებს ისე ცუდად გადავდგათ ეს ნაბიჯები, როგორც ჩვენ ვდგამთ. და ჩვენ ვამბობთ: იმის გასაგებად, თუ რა მდგომარეობაში ვვარდებით ჩვენ, საჭიროა ითქვას, როგორ მივდიოდით, რამ მიგვიყვანა თვით სოციალისტურ რევოლუციამდე. ჩვენ მიგვიყვანა იმპერიალიზმმა, ჩვენ მიგვიყვანა კაპიტალიზმმა მის პირვანდელ სასაქონლო-სამეურნეო ფორმებში. ყველაფერი ეს უნდა გვესმოდეს, იმიტომ რომ მხოლოდ სინამდვილის გათვალისწინებით შევძლებთ ჩვენ ისეთი საკითხების გადაჭრას, როგორიცაა, ვთქვათ, დამოკიდებულება საშუალო გლეხობისადმი. მართლაც, საიდან შეიძლებოდა გაჩენილიყო საშუალო გლეხი წმინდა-იმპერიალისტური კაპიტალიზმის ეპოქაში? ის ხომ უბრალო კაპიტალის-

ტურ ქვეყნებშიც კი არ ყოფილა. თუ ჩვენ ამ თითქმის შუასაუკუნებრივი მოვლენისადმი (საშუალო გლეხობისადმი) ჩვენი დამოკიდებულების საკითხს გადავწყვეტთ მხოლოდ და მხოლოდ იმპერიალიზმისა და პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისით, ჩვენ სრულებით ვერ გავართმევთ ამას თავსა და ბოლოს, და ბევრ კოპსაც გავიჩენთ. ხოლო თუ ჩვენ შევცვლით ჩვენს დამოკიდებულებას საშუალო გლეხობისადმი, — მაშინ გაისარჯეთ და თეორიულ ნაწილშიც თქვით, თუ საიდან გაჩნდა იგი, რას წარმოადგენს იგი. ის არის წვრილი საქონლისმწარმოებელი. აი კაპიტალიზმის ის ანაბანა, რომელიც საჭიროა ითქვას, იმიტომ რომ ჩვენ ამ ანაბანისთვის ჯერ კიდევ არ დაგვიღწევია თავი. ამის თავიდან არიდება და თქმა: «რად გვინდა ჩვენ ანაბანა, როცა ფინანსური კაპიტალიზმი შევისწავლეთო!» — ეს უაღრესად არასერიოზული საქმეა.

იგივე უნდა ვთქვა ნაციონალური საკითხის მიმართაც. ამხ. ბუხარინი აქაც სასურველს სინამდვილედ იღებს. ის ამბობს, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება შეუძლებელიაო. ერი — ეს არის: ბურჟუაზია პროლეტარიატთან ერთად. ჩვენ, პროლეტარებმა, უნდა ვაღიაროთ რომელიღაც საზიზღარი ბურჟუაზიის თვითგამორკვევის უფლება! ეს ხომ არაფერს არა ჰგავსო! არა, უკაცრავად, ეს იმასა ჰგავს, რაც არის. თუ თქვენ ამას ამოაგდებთ, გამოგივათ ფანტაზია. თქვენ იმოწმებთ დიფერენციაციის პროცესს, რომელიც ერის წიაღში ხდება, ბურჟუაზიისგან პროლეტარიატის გამოყოფის პროცესს. მაგრამ ჯერ ვნახოთ, როგორ მოხდება ეს დიფერენციაცია.

აიღეთ, მაგალითად, გერმანია, მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნის ნიმუში, რომელიც კაპიტალიზმის, ფინანსური კაპიტალიზმის ორგანიზებულობის მხრივ, ამერიკაზე მაღლა იდგა. ის ბევრნაირად, ტექნიკისა და წარმოების მხრივ და პოლიტიკურად უფრო დაბლა იდგა, მაგრამ ფინანსური კაპიტალიზმის ორგანიზებულობის, მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაქცევის მხრივ — გერმანია ამერიკაზე მაღლა იდგა. თითქოს, ეს ნიმუშია. მაგრამ

რა ხდება იქ? გამოეყო თუ არა გერმანიის პროლეტარიატი ბურჟუაზიას? არა! მხოლოდ რამდენიმე მსხვილი ქალაქის შესახებ იტყობინებოდნენ, რომ იქ მუშების უმრავლესობა შეიდემანელების წინააღმდეგიაო. მაგრამ როგორ მოხდა ეს? სპარტაკელების კავშირით სამგზის წყეულ გერმანელ მენშევიკ-დამოუკიდებლებთან, რომლებიც ყველაფერს ურევენ და სურთ საბჭოების სისტემა დამფუძნებელ კრებას შეაუღლონ! აი რა ხდება სწორედ ამ გერმანიაში! და ეს ხომ მოწინავე ქვეყანაა.

ამხ. ბუხარინი ამბობს: «რად გვესაჭიროება ერთა თვითგამორკვევის უფლებაო!». მე უნდა გავიმეორო ის, რასაც ვუპასუხებდი მას, როცა ის 1917 წლის ზაფხულში გვირჩევდა უკუგვეგდო პროგრამა-მინიმუმი და დაგვეტოვებინა მხოლოდ პროგრამა-მაქსიმუმი. მე მაშინ ვუპასუხე: «ომში წასვლას ნუ იქადი, დაბრუნება დაიქადე-მეთქი». როცა ჩვენ ძალაუფლებას ავიღებთ და ცოტას მოვიცდით, მაშინ ჩვენ ამას ვიზამთ-მეთქი[25]. ჩვენ ხელისუფლება ავიღეთ, ცოტა მოვიცადეთ, ახლა კი თანახმა ვარ ეს გავაკეთოთ. ჩვენ მთლიანად შევედით სოციალისტურ მშენებლობაში, მოვიგერიეთ პირველი შემოტევა, რომელიც გვემუქრებოდა, — ახლა ეს უადგილო არ იქნება. იგივე ითქმის ერთა თვითგამორკვევის უფლებაზეც. «მე მსურს ვაღიარო მხოლოდ მშრომელი კლასების თვითგამორკვევის უფლებაო», — ამბობს ამხ. ბუხარინი. მაშასადამე, თქვენ გსურთ ის აღიაროთ, რისთვისაც სინამდვილეში არ მიუღწევიათ არც ერთ ქვეყანაში, გარდა რუსეთისა. ეს სასაცილოა.

შეხედეთ ფინეთს: დემოკრატიული ქვეყანაა, ჩვენზე უფრო განვითარებული, უფრო კულტურული. იქ მიმდინარეობს პროლეტარიატის გამოყოფის, დიფერენციაციის პროცესი, მიმდინარეობს თავისებურად, გაცილებით უფრო მტკივნეულად, ვიდრე ჩვენში. ფინელებმა განიცადეს გერმანიის დიქტატურა, ახლა განიცდიან მოკავშირე სახელმწიფოების დიქტატურას. მაგრამ იმის მეოხებით, რომ ჩვენ ვაღიარეთ ერთა თვითგამორკვევის უფლება, დიფერენციაციის პროცესი იქ გაადვილდა. მე ძალიან კარგად მახსოვს ის სცენა, როცა მე

მომიხდა სმოლნში სიგელის მიცემა სვინხუვუდისთვის[30], — რაც ჩვენებურად «ღორისთავას» ნიშნავს, — ფინეთის ბურჟუაზიის წარმომადგენლისათვის, რომელმაც ჯალათის როლი შეასრულა. ის მე თავაზიანად მართმევდა ხელს, ჩვენ კომპლიმენტებს ვეუბნებოდით ერთმანეთს. რა ცუდი იყო ეს! მაგრამ ასე უნდა მოვქცეულიყავით, რადგან მაშინ ეს ბურჟუაზია ატყუებდა ხალხს, ატყუებდა მშრომელ მასებს იმით, რომ მოსკალებს, შოვინისტებს, ველიკოროსებს სურთ ფინელების წახრჩობაო. ასე უნდა მოვქცეულიყავით.

ხოლო განა გუშინ ასევე არ მოვიქეცით ბაშკირეთის რესპუბლიკის მიმართ[31]? როცა ამხ. ბუხარინი ამბობდა: «შეიძლება ზოგიერთების მიმართ ეს უფლება ვადიაროთო», მე ჩავიწერე კიდეც, რომ მის ამ სიაში მოხვდნენ ჰოტენტოტები, ბუშმენები, ინდოელები. როცა ამ ჩამოთვლას ვუსმენდი, ვფიქრობდი: როგორ დაივიწყა ამხ. ბუხარინმა ერთი პატარა წვრილმანი, დაივიწყა ბაშკირები? რუსეთში ბუშმენები არ არიან, ჰოტენტოტების შესახებაც არა მსმენია, რომ მათ ჰქონდეთ ავტონომიური რესპუბლიკის პრეტენზია, მაგრამ ჩვენ ხომ გვყავს ბაშკირები, ყირგიზები, მთელი რიგი სხვა ხალხები, და მათ მიმართ ჩვენ არ შეგვიძლია უარი ვთქვათ ცნობაზე. ჩვენ არ შეგვიძლია ამის უარი ვუთხრათ არც ერთ ხალხს, რომელიც ყოფილი რუსეთის იმპერიის ფარგლებში ცხოვრობს. ვთქვათ თუნდაც, რომ ბაშკირებმა დაამხვეს ექსპლოატატორები, და ჩვენ მათ ამაში დავეხმარეთ. მაგრამ ეს ხომ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გადატრიალება სავსებით მომწიფდა. და ეს უნდა გავაკეთოთ ფრთხილად, რომ ჩვენი ჩარევით არ შევაჩეროთ პროლეტარიატის დიფერენციაციის სწორედ ის პროცესი, რომელიც ჩვენ უნდა დავაჩქაროთ. რა შეგვიძლია ჩვენ გავაკეთოთ ისეთი ხალხების მიმართ, როგორიც არიან ყირგიზები, უზბეკები, ტაჯიკები, თურქმენები, რომლებიც აქამდე თავიანთი მოლების გავლენის ქვეშ იმყოფებიან? ჩვენში, რუსეთში, მოსახლეობა, ხუცებთან ხანგრძლივი გამოცდილების შემდეგ, დაგვეხმარა მათ ჩამოგდებაში. მაგრამ თქვენ იცით, ჯერ კიდევ რა ცუდად განხორციელდა დეკრეტი

სამოქალაქო ქორწინების შესახებ. შეგვიძლია თუ არა ჩვენ მივიდეთ ამ ხალხებთან და ვუთხრათ: «ჩვენ ჩამოვაგდებთ თქვენს ექსპლოატატორებსო»? ჩვენ არ შეგვიძლია ეს გავაკეთოთ, იმიტომ რომ ისინი მთლიანად თავიანთი მოლების მორჩილებაში არიან. აქ უნდა დავუცადოთ ამა თუ იმ ერის განვითარებას, რაც გარდუვალია, პროლეტარიატის დიფერენციაციას ბურჟუაზიული ელემენტებისაგან.

ამხ. ბუხარინს ლოდინი არა სურს. მას მოუთმენლობა იპყრობს: «რის გულისათვის? როცა ჩვენ თვითონ დავამხვეთ ბურჟუაზია, გამოვაცხადეთ საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა, რისთვისღა უნდა მოვიქცეთ ასეო?». ეს მოქმედებს როგორც გამამხნევებელი მოწოდება, შეიცავს ჩვენი გზის მითითებას, მაგრამ თუ ჩვენ მხოლოდ ამას ვაღიარებთ პროგრამაში, მივიღებთ არა პროგრამას, არამედ პროკლამაციას. ჩვენ შეგვიძლია გამოვაცხადოთ საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა და სრული ზიზღი ბურჟუაზიისადმი, რისი ათასჯერ ღირსიც არის იგი, მაგრამ პროგრამაში უნდა ჩავწეროთ აბსოლუტური სიზუსტით ის, რაც არის. მაშინ ჩვენი პროგრამა ურყევი იქნება.

ჩვენ მტკიცე კლასობრივ თვალსაზრისზე ვდგავართ. ის, რასაც ჩვენ პროგრამაში ვწერთ, არის იმის აღიარება, რაც სინამდვილეში მოხდა იმ ეპოქის შემდეგ, როცა ჩვენ ვწერდით საერთოდ ერთა თვითგამორკვევის შესახებ. მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ პროლეტარული რესპუბლიკები. როცა ისინი გაჩნდნენ და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი გაჩნდნენ, ჩვენ შევძელით იმის დაწერა, რაც აქ დავწერეთ: «ს ა ბ ჭ ო თ ა ტ ი პ ი ს მიხედვით ორგანიზებულ სახელმწიფოთა ფედერაციული გაერთიანება». საბჭოთა ტიპი ჯერ კიდევ საბჭოები არ არის, როგორც ისინი არსებობენ რუსეთში, მაგრამ საბჭოთა ტიპი საერთაშორისო ხდება. ჩვენ მხოლოდ ამის თქმა შეგვიძლია. ამაზე უფრო შორს წასვლა, ერთი ნაბიჯით, ერთი ბეწოთი უფრო შორს — უკვე სწორი აღარ იქნება, და ამიტომ პროგრამისთვის არ ვარგა.

ჩვენ ვამბობთ: ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რა საფეხურზე დგას ესა თუ ის ერი შუასაუკუნეებიდან ბურჟუაზიული დემოკრატიისკენ და ბურჟუაზიული დემოკრატიიდან პროლეტარული დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე. ეს აბსოლუტურად სწორია. ყველა ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება, — ჰოტენტოტებსა და ბუშმენებზე სპეციალურად ლაპარაკი არა ღირს. დედამიწის მთელი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, ალბათ, ცხრა მეათედი, შესაძლოა 95%-იც, უდგება ამ დახასიათებას, რადგან ყველა ქვეყანა დგას შუასაუკუნეებიდან ბურჟუაზიული დემოკრატიისაკენ, ან ბურჟუაზიული დემოკრატიიდან პროლეტარული დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე. ეს სავსებით გარდუვალი გზაა. მეტის თქმა არ შეიძლება, იმიტომ რომ ეს არ იქნება სწორი, იმიტომ რომ ეს არ იქნება ის, რაც არის. ერთა თვითგამორკვევის უკუგდება და მის ნაცვლად მშრომელთა თვითგამორკვევის თქმა სრულიად არ არის სწორი, იმიტომ რომ საკითხის ასეთი დაყენება ანგარიშს არ უწევს იმას, თუ რა სიძნელეებით, რა მიხვეულ-მოხვეული გზით ხდება დიფერენციაცია ერების შიგნით. გერმანიაში იგი სხვაგვარად ხდება, ვიდრე ჩვენში. ზოგიერთი მხრივ უფრო ჩქარი, ზოგიერთი მხრივ კი უფრო ნელი და სისხლისმღვრელი გზით. ჩვენში ისეთი გასაოცარი იდეა, როგორიცაა საბჭოებისა და დამფუძნებელი კრების შეუღლება, არც ერთი პარტიის მიერ არ ყოფილა მიღებული. ჩვენ ხომ ამ ერების გვერდით უნდა ვიცხოვროთ. შეიდემანელები ახლა უკვე ამბობენ ჩვენ შესახებ, რომ ჩვენ გერმანიის დაპყრობა გვსურს. ეს, რა თქმა უნდა, სასაცილოა, სისულელეა. მაგრამ ბურჟუაზიას აქვს თავისი ინტერესები და თავისი პრესა, რომელიც ასეულ მილიონ ეგზემპლარში საქვეყნოდ გაჰყვირის ამაზე, და ვილსონიც თავისი ინტერესებისათვის ამას ხელს უწყობს. ბოლშევიკებს დიდი არმია ჰყავთ, და მათ სურთ დაპყრობის გზით დანერგონ თავიანთი ბოლშევიზმი გერმანიაშიო. გერმანიის საუკეთესო ადამიანებმა — სპარტაკელებმა — მიგვითითეს, რომ გერმანელ მუშებს აქვეზებენ კომუნისტების წინააღმდეგ: აბა, შეხედეთ, რა ცუდი

მდგომარეობაა ბოლშევიკებთანო! ხოლო ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენში ძალიან კარგი მდგომარეობა იყოს. და აი გერმანიაში ჩვენი მტრები მასებზე იმ საბუთით მოქმედებენ, რომ პროლეტარული რევოლუცია გერმანიაში ნიშნავს ისეთსავე არეულობას, როგორც რუსეთშიო. ჩვენი არეულობა ჩვენი გაჭიანურებული სენია. ჩვენ ვებრძვით საშინელ სიძნელეებს, ვქმნით რა ჩვენში პროლეტარულ დიქტატურას. ვიდრე ბურჟუაზიაზე ან წვრილ ბურჟუაზიაზე ან თუნდაც გერმანელი მუშების ნაწილზე მოქმედებს ეს საფრთხობელა: «ბოლშევიკებს სურთ ძალდატანებით დაამყარონ თავიანთი წყობილებაო», — მანამდე ფორმულა «მშრომელთა თვითგამორკვევა» ვერ შეამსუბუქებს მდგომარეობას. ჩვენ ისე უნდა დავაყენოთ საქმე, რომ გერმანელ სოციალ-გამცემლებს არ შეეძლოთ თქმა, რომ ბოლშევიკები თავს გვახვევენ თავიანთ უნივერსალურ სისტემასო, რომელიც თითქოს შეიძლებოდეს წითელარმიელთა ხიშტებით შეიტანო ბერლინში. ხოლო ერთა თვითგამორკვევის პრინციპის უარყოფის თვალსაზრისით სწორედ ასე შეიძლება გამოვიდეს.

ჩვენი პროგრამა არ უნდა ლაპარაკობდეს მშრომელთა თვითგამორკვევაზე, იმიტომ რომ ეს სწორი არ არის. ის უნდა ლაპარაკობდეს იმაზე, რაც არის. რაკი ერები დგანან შუასაუკუნეებიდან ბურჟუაზიული დემოკრატიისაკენ და ბურჟუაზიული დემოკრატიიდან პროლეტარული დემოკრატიისაკენ მიმავალი გზის სხვადასხვა საფეხურზე, ჩვენი პროგრამის ეს დებულება აბსოლუტურად სწორია. ამ გზაზე ჩვენ ფრიად ბევრი მიხვევ-მოხვევა გვქონდა. თვითეულმა ერმა უნდა მიიღოს თვითგამორკვევის უფლება, და ეს ხელს უწყობს მშრომელთა თვითგამორკვევას. ფინეთში ბურჟუაზიისაგან პროლეტარიატის გამოყოფის პროცესი ფრიად მკაფიოდ, ძლიერად, ღრმად მიმდინარეობს. იქ ყველაფერი წავა ყოველ შემთხვევაში არა ისე, როგორც ჩვენში. თუ ჩვენ ვიტყვით, რომ არა ვცნობთ არავითარ ფინელ ერს, არამედ მხოლოდ მშრომელ მასებს — ეს სულ ფუჭი რამ იქნება. იმის არ აღიარება, რაც არის — შეუძლებელია: ის თვითონ გაიძულებს აღიარო იგი.

სხვადასხვა ქვეყანაში პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის გამიჯვნა თავისებური გზებით მიმდინარეობს. ამ გზაზე ჩვენ უაღრესად ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ვიყოთ სხვადასხვა ერის მიმართ, რადგან არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე ერების უნდობლობა. პოლონელებში წარმოებს პროლეტარიატის თვითგამორკვევა. აი უკანასკნელი ციფრები ვარშავის მუშათა დეპუტატების საბჭოს შემადგენლობის შესახებ[32]: პოლონელი სოციალ-გამცემლებისაგან — 333, კომუნისტებისაგან — 297. ეს ცხადყოფს, რომ იქ ჩვენი რევოლუციური კალენდრით ოქტომბერი უკვე შორს აღარ არის. ეს არის 1917 წლის აგვისტო თუ სექტემბერი. მაგრამ, ჯერ-ერთი, ჯერ კიდევ არ არის გამოცემული ისეთი დეკრეტი, რომ ყველა ქვეყანამ იცხოვროს ბოლშევიკური რევოლუციური კალენდრის მიხედვით, და გამოცემულიც რომ იყოს, არ შესრულდებოდა. ხოლო, მეორე, ახლა საქმე ისეა, რომ ჩვენს მუშებზე უფრო მოწინავე, უფრო კულტურული პოლონელი მუშების უმრავლესობა სოციალ-ობორონცების, სოციალ-პატრიოტიზმის თვალსაზრისზე დგას. უნდა დაველოდოთ. აქ მშრომელი მასების თვითგამორკვევაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ჩვენ უნდა ვიქადაგოთ ეს დიფერენციაცია. ამას ჩვენ ვაკეთებთ, მაგრამ ოდნავი ეჭვი არ არის, რომ ამჟამად არ შეიძლება არ ვაღიაროთ პოლონელი ერის თვითგამორკვევა. ეს ცხადია. პოლონეთის პროლეტარული მოძრაობა იმავე გზით მიდის, როგორითაც ჩვენი, მიდის პროლეტარიატის დიქტატურისკენ, მაგრამ არა ისე, როგორც რუსეთში. და მუშებს იქ იმით აშინებენ, რომ მოსკალებს, ველიკოროსებს, რომლებიც მუდამ ახშობდნენ პოლონელებს, სურთ პოლონეთში შეიტანონ თავიანთი ველიკორუსული შოვინიზმი, კომუნიზმის სახელწოდებით დაფარულიო. კომუნიზმი ძალმომრეობით როდი მკვიდრდება. პოლონეთის კომუნისტების ერთ-ერთმა საუკეთესო ამხანაგმა, როცა მას ვუთხარი: «თქვენ სხვანაირად გააკეთებთ»-მეთქი, მიპასუხა: «არა, ჩვენ იმასვე გავაკეთებთ, მაგრამ გავაკეთებთ უკეთ, ვიდრე თქვენ». ასეთი მოსაზრების წინააღმდეგ მე სრულიად არაფრის

თქმა არ შემეძლო. უნდა მივცეთ შესაძლებლობა შეასრულონ მცირედი სურვილი — შექმნან საბჭოთა ხელისუფლება უკეთ, ვიდრე ეს ჩვენშია. არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ იქ გზა რამდენადმე თავისებურად მიდის, და არ შეიძლება ითქვას: «ძირს ერთა თვითგამორკვევის უფლება! თვითგამორკვევის უფლებას ჩვენ მხოლოდ მშრომელ მასებს ვანიჭებთო». ეს თვითგამორკვევა ძალიან რთული და ძნელი გზით მიმდინარეობს. იგი არსად არ არის, გარდა რუსეთისა, და, ვითვალისწინებთ რა განვითარების ყველა სტადიას სხვა ქვეყნებში, არაფრის დეკრეტირება არ უნდა მოხდეს მოსკოვიდან. აი რატომ არის ეს წინადადება პრინციპულად მიუღებელი.

გადავდივარ შემდგომ მუხლებზე, რომლებიც, თანახმად ჩვენს მიერ შემუშავებული გეგმისა, მე უნდა გავაშუქო. პირველ ადგილას მე დავაყენე წ ვ რ ი ლ ი მ ე ს ა კ უ თ რ ე ე ბ ი ს ა და ს ა შ უ ა ლ ო გ ლ ე ხ ი ს საკითხი. ამის გამო 47-ე პარაგრაფში ნათქვამია:

«საშუალო გლეხობის მიმართ რკპ პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ თანდათანობით და გეგმაშეზომილად ჩავაბათ იგი სოციალისტური მშენებლობის მუშაობაში. პარტია ამოცანად ისახავს გამოჰყოს იგი კულაკებისაგან, გადმოიყვანოს იგი მუშათა კლასის მხარეზე იმით, რომ ყურადღებით მოეპყრას მის საჭიროებებს, ებრძოლოს მის ჩამორჩენილობას იდეური ზემოქმედების ზომებით და სრულიადაც არა დათრგუნვის ზომებით, ეცადოს ყველა შემთხვევაში, როცა საქმე მის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება, პრაქტიკულად შეუთანხმდეს მას, დაუთმოს მას სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელების საშუალებათა განსაზღვრაში».

მე მგონია, აქ ჩვენ ვაყალიბებთ იმას, რაც ბევრჯერ უთქვამთ სოციალიზმის ფუძემდებლებს საშუალო გლეხობის მიმართ. ამ მუხლის ნაკლს წარმოადგენს მხოლოდ მისი არასაკმაო კონკრეტულობა. პროგრამაში ჩვენ მეტის მოცემას ვერც კი შევძლებდით. მაგრამ ყრილობაზე გვიხდება არა მარტო პროგრამული საკითხების დაყენება, და საშუალო გლეხობის საკითხს ჩვენ უაღრესი და სამკეცად უაღრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ. ჩვენ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ იმ აჯანყებებში, რომლებიც ზოგიერთ ადგილას ხდებოდა, ნათლად ჩანს ს ა ე რ თ ო გ ე გ მ ა, და ეს გეგმა

აშკარად დაკავშირებულია თეთრგვარდიელთა სამხედრო გეგმასთან, რომლებმაც გადაწყვიტეს მარტისთვის საერთო შემოტევა და მთელი რიგი აჯანყებების მოწყობა. ყრილობის პრეზიდიუმს აქვს ყრილობის მიმართვის პროექტი, რომელიც თქვენ მოგხსენდებათ[31]. ეს აჯანყებები ცხადზე უცხადესად გვიჩვენებენ, რომ მემარცხენე ესერები და მენშევიკების ერთი ნაწილი — ბრიანსკში აჯანყების მოსაწყობად მენშევიკები მუშაობდნენ — თეთრგვარდიელთა პირდაპირი აგენტების როლს ასრულებენ. თეთრგვარდიელთა საერთო შემოტევა, აჯანყებები სოფლად, რკინიგზის მოძრაობის შეწყვეტა: — იქნებ მოხერხდეს ბოლშევიკების გადმოგდება ამ გზით მაინც? აქ განსაკუთრებით ცხადად, განსაკუთრებით ცხოვლად და დაბეჯითებით აშკარავდება საშუალო გლეხობის როლი. ყრილობაზე ჩვენ არა მარტო განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი ჩვენს დათმობითს დამოკიდებულებას საშუალო გლეხობისადმი, არამედ უნდა ვიფიქროთ აგრეთვე მთელ რიგ რაც შეიძლება უფრო კონკრეტულ ზომებზე, რომლებიც უშუალოდ რაიმეს მაინც აძლევენ საშუალო გლეხობას. ამ ზომების მიღებას დაჟინებით მოითხოვს თვითდაცვის ინტერესებიც და ყველა იმ ჩვენი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებიც, რომლებმაც იციან, რომ საშუალო გლეხი მერყეობს ჩვენსა და მათ შორის, და რომლებიც ცდილობენ ჩამოგვაშორონ იგი. ახლა ჩვენი მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენ გვყავს უდიდესი რეზერვები. ჩვენ ვიცით, რომ როგორც პოლონეთის, ისე უნგრეთის რევოლუციები ძლიერდებიან და ძალიან სწრაფადაც. ეს რევოლუციები მოგვცემენ პროლეტარულ რეზერვებს, შეამსუბუქებენ ჩვენს მდგომარეობას და უდიდესად განამტკიცებენ ჩვენს პროლეტარულ ბაზას, — იგი ჩვენში სუსტია. ეს შეიძლება მოხდეს უახლოეს თვეებში, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, როდის მოხდება ეს. თქვენ იცით, რომ ახლა დადგა მწვავე მომენტი, ამიტომ ახლა საშუალო გლეხობის საკითხი უდიდეს პრაქტიკულ მნიშვნელობას იღებს.

შემდეგ მე მინდოდა შევჩერებულიყავი კ ო ო პ ე რ ა ც ი ი ს თემაზე, — ეს არის ჩვენი პროგრამის 48-ე პარაგრაფი.

ეს პარაგრაფი რამდენადმე მოძველდა. როცა ჩვენ მას კომისიაში ვწერდით, ჩვენში არსებობდა კოოპერაცია და არ იყო სამომხმარებლო კომუნები, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ გატარდა დეკრეტი ყველა სახის კოოპერაციის ერთიან სამომხმარებლო კომუნად შეერთების შესახებ. მე არ ვიცი, გამოქვეყნებულია თუ არა ეს დეკრეტი და იცნობს თუ არა მას დამსწრეთა უმრავლესობა. თუ არა, ხვალ ან ზეგ ეს დეკრეტი გამოქვეყნდება. ამ მხრივ ეს პარაგრაფი უკვე მოძველდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მგონია, რომ ის საჭიროა, რადგან ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ დეკრეტებიდან შესრულებამდე საკმაო სიდიდის დისტანციაა. კოოპერატივებზე ჩვენ თავს ვიმტვრევთ და ვჯახირობთ უკვე 1918 წლის აპრილიდან, და თუმცა ჩვენ მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ, მაგრამ ჯერ კიდევ არა გადამწყვეტს. კოოპერატივებში მოსახლეობის გაერთიანებას ჩვენ ზოგჯერ იმ ზომამდე ვაღწევდით, რომ სოფლის მოსახლეობა 98%-ით ბევრ მაზრაში უკვე გაერთიანებულია. მაგრამ ეს კოოპერატივები, რომლებიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებობდნენ, მთლად გაჟღენთილია ბურჟუაზიული საზოგადოების სულისკვეთებით, და მათ სათავეში უდგანან მენშევიკები და ესერები, ბურჟუაზიული სპეციალისტები. ისინი ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავიმორჩილეთ, აქ ჩვენი ამოცანა გადაუჭრელი რჩება. ჩვენი დეკრეტი ნაბიჯს დგამს წინ სამომხმარებლო კომუნების შექმნის მხრივ, ადგენს, რომ მთელ რუსეთში ყველა სახის კოოპერაცია უნდა გაერთიანდეს. მაგრამ ეს დეკრეტიც, კიდეც რომ მთლიანად განვახორციელოთ იგი, დასტოვებს მუშათა კოოპერაციის ავტონომიურ სექციას მომავალი სამომხმარებლო კომუნის შიგნით, იმიტომ რომ საქმესთან პრაქტიკულად გაცნობილმა მუშათა კოოპერაციის წარმომადგენლებმა ჩვენ გვითხრეს და დაგვიმტკიცეს, რომ მუშათა კოოპერაცია, როგორც უფრო განვითარებული ორგანიზაცია, შენარჩუნებული უნდა იყოს, რამდენადაც მის მოქმედებას აუცილებლობა იწვევს. ჩვენს პარტიაში ცოტა უთანხმოება და დავა როდი იყო კოოპერაციის შესახებ, შეხლა-შემოხლა არსებობდა კოოპერაციაში მყოფ ბოლშევი-

კებსა და საბჭოებში მყოფ ბოლშევიკებს შორის. მე მგონია, პრინციპულად საკითხი უეჭველად იმ აზრით უნდა გადაწყდეს, რომ ეს აპარატი, როგორც ერთადერთი, რომელიც კაპიტალიზმმა მასებში მოამზადა, როგორც ერთადერთი, რომელიც მოქმედებს ჯერ კიდევ პრიმიტიული კაპიტალიზმის სტადიაზე მდგომ სოფლის მასებში, — რადაც უნდა დაჯდეს უნდა იქნას შენარჩუნებული, განვითარებული და ყოველ შემთხვევაში არა უკუგდებული. ეს ძნელი ამოცანაა, იმიტომ რომ უმეტეს შემთხვევაში კოოპერატივებს ბელადებად ჰყავთ ბურჟუაზიული სპეციალისტები, ხშირად ნამდვილი თეთრგვარდიელები. აქედან წარმოიშვა სიძულვილი მათდამი, კანონიერი სიძულვილი, აქედან წარმოიშვა მათთან ბრძოლა. მაგრამ ეს ამოცანა, რა თქმა უნდა, მოხერხებულად უნდა განვახორციელოთ: უ ნ დ ა ა ღ ვ კ ვ ე თ ო თ კ ო ო პ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი ს კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ზ რ ა ხ ვ ე ბ ი, მ ა გ რ ა მ ე ს ა რ უ ნ დ ა ი ყ ო ს ბ რ ძ ო ლ ა კ ო ო პ ე რ ა ც ი ი ს ა პ ა რ ა ტ თ ა ნ. ჩვენ უნდა მოვკვეთოთ ეს კონტრრევოლუციური მოღვაწენი, თვით აპარატი კი უნდა დავიმორჩილოთ. აქ სწორედ ისეთივე ამოცანა დგას, როგორც ბურჟუაზიული სპეციალისტების მიმართაც, ეს მეორე საკითხია, რომლის აღნიშვნაც მე მინდოდა.

ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს საკითხი ცოტა შეხლა-შემოხლას და უთანხმოებას როდი იწვევს. როცა მე ამ დღეებში მომიხდა პეტროგრადის საბჭოში გამოსვლა, ჩემთვის მოცემული ბარათებიდან რამდენიმე ეხებოდა განაკვეთის საკითხს. მეკითხებოდნენ: განა შეიძლება სოციალისტურ რესპუბლიკაში 3 000 მანეთამდე ხელფასის მიცემა? ჩვენ არსებითად ეს საკითხი პროგრამაში შევიტანეთ, რადგან უკმაყოფილება ამ ნიადაგზე საკმაოდ შორს წავიდა. ბურჟუაზიული სპეციალისტების საკითხი დგას არმიაში, მრეწველობაში, კოოპერატივებში, დგას ყველგან. ეს კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალი პერიოდის მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. კომუნიზმის აშენებას ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როცა ბურჟუაზიული მეცნიერებისა და ტექნიკის საშუალებებით

მას უფრო მისაწვდომად გავხდით მასებისათვის. სხვა-გვარად კომუნისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია. ხოლო ის რომ ასე ავაშენოთ, ბურჟუაზიას უნდა ჩამოვართვათ აპარატი, მუშაობაში უნდა ჩავაბათ ყველა ეს სპეციალისტი. პროგრამაში ჩვენ განზრახ განვავითარეთ დაწვრილებით ეს საკითხი, რათა ის რადიკალურად გადაწყდეს. ჩვენ ჩინებულად ვიცით, რას ნიშნავს რუსეთის კულტურული განუვითარებლობა, რას უშვრება ის საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც პრინციპულად განუზომლად უფრო მაღალი პროლეტარული დემოკრატია მოგვცა, ამ დემოკრატიის ნიმუში მოგვცა მთელი მსოფლიოსთვის, — როგორ ამდაბლებს ეს უკულტურობა საბჭოთა ხელისუფლებას და აღადგენს ბიუროკრატიას. საბჭოთა აპარატი სიტყვით მისაწვდომია ყველა მშრომელისთვის, საქმით კი იგი სულაც არ არის ყველა მათთვის მისაწვდომი, როგორც ეს ჩვენ ყველამ ვიცით. და სრულიადაც არა იმიტომ, რომ ამას ხელს უშლიდნენ კანონები, როგორც ეს ბურჟუაზიის დროს იყო: ჩვენი კანონები, პირიქით, ამას ხელს უწყობენ. მაგრამ მარტო კანონები აქ არ კმარა. საჭიროა უამრავი აღმზრდელობითი, ორგანიზაციული, კულტურული მუშაობა,— რასაც სწრაფად კანონით ვერ გააკეთებ და რაც უდიდეს ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს. ბურჟუაზიული სპეციალისტების ეს საკითხი ამ ყრილობაზე სრული გარკვეულობით უნდა გადაწყდეს. ასეთი გადაწყვეტა შესაძლებლობას მისცემს ამხანაგებს, რომლებიც უეჭველად ყურს უგდებენ ამ ყრილობას, დაეყრდნონ მის ავტორიტეტს, დაინახონ, რა სიძნელეებს ვეჯახებით. ეს დაეხმარება იმ ამხანაგებს, რომლებიც ამ საკითხს ყოველ ნაბიჯზე ეჯახებიან, მონაწილეობა მიიღონ თუნდაც პროპაგანდისტულ მუშაობაში.

სპარტაკელების წარმომადგენელმა ამხანაგებმა ყრილობაზე, აქ, მოსკოვში, გვიამბეს, რომ დასავლეთ გერმანიაში, სადაც ყველაზე მეტადაა განვითარებული მრეწველობა, სადაც ყველაზე მეტია სპარტაკელების გავლენა მუშებში, თუმცა იქ სპარტაკელებს ჯერ არ გაუმარჯვნიათ, მაგრამ ძალიან ბევრ ყველაზე მსხვილ საწარმოში ინჟინრები, დირექტორები მიდიო-

დნენ სპარტაკელებთან და ეუბნებოდნენ: «ჩვენ თქვენ გამოგყვებით». ჩვენში ეს არ ყოფილა. ცხადია, იქ მუშების უფრო მაღალმა კულტურულმა დონემ, ტექნიკური პერსონალის უფრო მეტმა პროლეტარიზაციამ, შესაძლოა, მთელმა რიგმა სხვა, ჩვენთვის უცნობმა, მიზეზებმა შექმნეს ისეთი ურთიერთობა, რომელიც რამდენადმე განსხვავდება ჩვენი ურთიერთობისაგან.

ყოველ შემთხვევაში აქ ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება შემდგომი წინსვლისათვის. ჩვენ ახლავე, სხვა ქვეყნებიდან დახმარების დაუცდელად, დაუყოვნებლივ და ახლავე უნდა ავწიოთ საწარმოო ძალები. ამის გაკეთება ბურჟუაზიული სპეციალისტების დაუხმარებლად შეუძლებელია. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას. რა თქმა უნდა, ამ სპეციალისტების უმეტესობა მთლად ბურჟუაზიული მსოფლმხედველობითაა გაჟღენთილი. ისინი უნდა მოვაქციოთ ამხანაგური თანამშრომლობის ატმოსფეროში, მათ გარშემო უნდა იყვნენ მუშათა კომისრები, კომუნისტური უჯრედები, ისეთ პირობებში უნდა ჩავაყენოთ ისინი, რომ ვერ წავიდნენ ჩვენგან, მაგრამ მათ უნდა მივცეთ საშუალება იმუშაონ უკეთეს პირობებში, ვიდრე კაპიტალიზმის დროს, რადგან ბურჟუაზიის მიერ აღზრდილი ეს ფენა სხვაგვარად არ იმუშავებს. არ შეიძლება მთელი ფენა იძულებით ამუშაო, — ეს ჩვენ კარგად გამოვცადეთ. შეიძლება აიძულო ისინი აქტიური მონაწილეობა არ მიიღონ კონტრრევოლუციაში, შეიძლება დააშინო ისინი, რომ მათ ეშინოდეთ ხელი გაუწოდონ თეთრგვარდიულ მოწოდებას. ამ მხრივ ბოლშევიკები ენერგიულად მოქმედებენ. ამის გაკეთება შეიძლება, და ამას ჩვენ საკმარისად ვაკეთებთ. ეს ჩვენ ყველამ ვისწავლეთ. მაგრამ შეუძლებელია მთელი ფენა აიძულო ასეთი წესით იმუშაოს. ეს ადამიანები შეეჩვივნენ კულტურულ მუშაობას, წინ სწევდნენ ამ მუშაობას ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში, ე. ი. ამდიდრებდნენ ბურჟუაზიას უდიდესი მატერიალური მონაპოვრებით, ხოლო პროლეტარიატისთვის მათ იმეტებდნენ სრულიად უმნიშვნელო დოზით. მაგრამ მათ რაც უნდა იყოს მაინც წინ მიჰყავდათ კულტურა,

ეს იყო მათი პროფესია. რამდენადაც ისინი ხედავენ, რომ მუშათა კლასი აყენებს ორგანიზებულ მოწინავე ფენებს, რომლებიც არათუ აფასებენ კულტურას, არამედ ხელსაც უწყობენ მის გატარებას მასებში, ისინი ცვლიან თავიანთ დამოკიდებულებას ჩვენდამი. როცა ექიმი ხედავს, რომ ეპიდემიებთან ბრძოლაში პროლეტარიატი აღვიძებს მშრომელთა თვითმოქმედებას, ის ჩვენ უკვე სულ სხვაგვარად გვეპყრობა. ჩვენ გვყავს ამ ბურჟუაზიული ექიმების, ინჟინრების, აგრონომების, კოოპერატორების დიდი ფენა, და, როცა ისინი პრაქტიკულად დაინახავენ, რომ პროლეტარიატი ამ საქმეში აბამს სულ უფრო და უფრო ფართო მასებს, ისინი დაძლეული იქნებიან მ ო რ ა ლ უ რ ა დ, და არა მარტო პოლიტიკურად მოკვეთილნი ბურჟუაზიისაგან. მაშინ ჩვენი ამოცანა უფრო იოლი გახდება. მაშინ ისინი თავისთავად ჩაებმებიან ჩვენს აპარატში, მისი ნაწილი გახდებიან. ამისათვის საჭიროა მსხვერპლის გაღება. ამისათვის თუნდაც ორი მილიარდის გადახდა — არაფერია. ამ მსხვერპლის გაღების შიში ბავშვობა იქნებოდა, რადგან ეს ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების გაუგებლობა იქნებოდა.

ტრანსპორტის მოშლა, მრეწველობისა და მიწათმოქმედების მოშლა ძირს უთხრის თვით საბჭოთა რესპუბლიკის არსებობას. აქ ჩვენ უნდა მივმართოთ უაღრესად ენერგიულ ღონისძიებებს, რომლებიც უკიდურესად ძაბავენ ქვეყნის მთელ ძალებს. სპეციალისტების მიმართ ჩვენ არ უნდა მივსდიოთ წვრილმანი შარის პოლიტიკას. ეს სპეციალისტები ექსპლოატატორების მსახურნი კი არ არიან, ესენი — კულტურული მოღვაწეები არიან, რომლებიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ბურჟუაზიას ემსახურებოდნენ და რომელთა შესახებაც მთელი მსოფლიოს ყველა სოციალისტი ლაპარაკობდა, რომ პროლეტარულ საზოგადოებაში ისინი ჩ ვ ე ნ გაგვიწევენ სამსახურსო. ამ გარდამავალ პერიოდში ჩვენ მათ უნდა მივცეთ არსებობის რაც შეიძლება უფრო კარგი პირობები. ეს იქნება უკეთესი პოლიტიკა, ეს იქნება მეურნეობის ყველაზე ეკონომიური გაძღოლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება რამდენიმე ასი მილიონის მომჭირნეობა გავწიოთ, მაგრამ შეიძლება

იმდენი დავკარგოთ, რომ ვერავითარი მილიარდები ველარ აღადგენენ დაკარგულს.

როცა ჩვენ განაკვეთების საკითხზე ვესაუბრებოდით შრომის კომისარს ამხ. შმიდტს, მან ასეთი ფაქტები აღნიშნა. ის ამბობს, რომ ხელფასის გათანაბრებისათვის ჩვენ იმდენი გავაკეთეთ, რამდენიც არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არსად არ გაუკეთებია და არც შეუძლია გააკეთოს ათეული წლების განმავლობაში. აიღეთ ომამდელი განაკვეთები: შავი მუშა იღებდა 1 მანეთს დღეში, — 25 მანეთს თვეში, სპეციალისტი კი 500 მანეთს თვეში, რომ სათვალავში არ მივიღოთ ისინი, ვისაც ასი ათასობით აძლევდნენ. სპეციალისტი მუშაზე 20-ჯერ მეტს იღებდა. ჩვენს ახლანდელ განაკვეთებში ქანაობა ხდება 600 მანეთსა და 3 000 მანეთს შორის — განსხვავება მხოლოდ ხუთმაგია. გათანაბრებისათვის ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ. რა თქმა უნდა, ჩვენ ახლა სპეციალისტებს ზედმეტს ვაძლევთ, მაგრამ მათთვის ზედმეტის მიცემა მეცნიერების გულისთვის არათუ ღირს, არამედ სავალდებულოცაა და თეორიულადაც აუცილებელია. პროგრამაში ეს საკითხი, ჩემი აზრით, საკმაოდ დეტალურად არის დამუშავებული. საჭიროა უაღრესად გავუსვათ მას ხაზი. საჭიროა იგი აქ არა მარტო პრინციპულად გადავწყვიტოთ, არამედ ისე მოვაწყოთ საქმე რომ ყრილობის ყველა წევრმა, როცა ადგილებზე წავლენ, თავიანთ მოხსენებებში ორგანიზაციების წინაშე, მთელ თავიანთ მუშაობაში მიაღწიონ იმას, რომ ეს განხორციელდეს.

მერყევ ინტელიგენციაში ჩვენ უკვე მივაღწიეთ უდიდეს გარდატეხას. თუ გუშინ ჩვენ ვლაპარაკობდით წვრილბურჟუაზიული პარტიების ლეგალიზაციის შესახებ, ხოლო დღეს ვაპატიმრებთ მენშევიკებსა და ესერებს, ამ მერყეობაში ჩვენ ვატარებთ სავსებით გარკვეულ სისტემას. ამ შერყეობაში ტარდება ერთი, უაღრესად მტკიცე ხაზი: კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა მ ო ვ კ ვ ე თ ო თ, კ უ ლ ტ უ რ უ ლ-ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ა პ ა რ ა ტ ი გ ა მ ო ვ ი ყ ე ნ ო თ. მენშევიკები სოციალიზმის ყველაზე უარესი მტრები არიან, რადგან ისინი პროლეტარულ ქურქში ეხვევიან, მაგრამ მენშევიკები —

არაპროლეტარული ფენაა. ამ ფენაში მხოლოდ უმნიშვნელო ზედაფენებია პროლეტარული, თვითონ იგი კი წვრილი ინტელიგენციისაგან შესდგება. ეს ფენა ჩვენსკენ გადმოდის. ჩვენ მას, როგორც ფენას, მთლიანად გადმოვიბირებთ. ყოველთვის, როცა ისინი ჩვენთან მოდიან, ჩვენ ვეუბნებით: «მობრძანდით». ყოველი ასეთი მერყეობის დროს მათი ერთი ნაწილი ჩვენსკენ გადმოდის. ასე დაემართათ მენშევიკებსა და ნოვაია-ჟიზნელებს, ესერებს, ასე დაემართება ყველა ამ მერყევ ელემენტს, რომლებიც კიდევ დიდხანს განაგრძობენ ფეხებში ბლანდვას, წუწუნს, ერთი ბანაკიდან მეორეში გადარბენას — მათთან ვერაფერს გააწყობ. მაგრამ ყველა ამ მერყეობის გავლით ჩვენ მივიღებთ კულტურული ინტელიგენციის ფენებს საბჭოთა მუშაკების რიგებში და მოვკვეთთ იმ ელემენტებს, რომლებიც განაგრძობენ თეთრგვარდიელებისათვის მხარის დაჭერას.

შემდეგი საკითხი, რომელიც თემების განაწილების თანახმად ჩემს ამოცანაში შედის, ეს არის ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი ს ა და ს ა ბ ჭ ო თ ა მ უ შ ა ო ბ ა შ ი ფ ა რ თ ო მ ა ს ე ბ ი ს ჩ ა ბ მ ი ს ს ა კ ი თ ხ ი. ჩივილი ბიუროკრატიზმის გამო დიდი ხანია გაისმის, ჩივილი უსათუოდ საფუძვლიანია. ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც არც ერთ სახელმწიფოს არ გაუკეთებია ქვეყნად. ის აპარატი, რომელიც მთლად ბიუროკრატიული და ბურჟუაზიულ-მჩაგვრელური იყო, რომელიც ასეთად რჩება თვით ყველაზე თავისუფალ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში, — ჩვენ ის ძირფესვიანად მოვსპეთ. ავიღოთ თუნდაც სასამართლო. აქ, მართალია, ამოცანა უფრო ადვილი იყო, აქ არ მოგვიხდა ახალი აპარატის შექმნა, იმიტომ რომ მშრომელი კლასების რევოლუციური მართლშეგნების საფუძველზე გასამართლება ყველას შეუძლია. ჩვენ აქ ჯერ სრულიადაც არ მიგვიყვანია საქმე ბოლომდე, მაგრამ მთელ რიგ ოლქებში სასამართლოდან შევქმენით ის, რაც საჭიროა. ჩვენ შევქმენით ორგანოები, რომლებშიც არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალები, ყველაზე

ჩამორჩენილი და უძრავი ელემენტები, შეიძლება გავატაროთ უკლებლივ.

მართვა-გამგეობის სხვა დარგებში უფრო დახავსებული მოხელე-ბიუროკრატები არიან. აქ ამოცანა უფრო ძნელია. უამაპარატოდ ცხოვრება ჩვენ არ შეგვიძლია, მართვა-გამგეობის ყოველგვარი დარგი ქმნის ასეთი აპარატის საჭიროებას. აქ ჩვენ ის ნაკლი გვაქვს, რომ რუსეთი საკმაოდ არ იყო განვითარებული კაპიტალისტურად. გერმანია, ალბათ, ამას უფრო იოლად გადაიტანს, იმიტომ რომ მისმა ბიუროკრატიულმა აპარატმა განვლო დიდი სკოლა, სადაც სწურავენ მთელ ძალღონეს, მაგრამ სადაც აიძულებენ საქმის გაკეთებას და არა საკარძლების გაცვეთას, როგორც ეს ჩვენს კანცელარიებში ხდება. ეს ძველი ბიუროკრატიული ელემენტი ჩვენ გავრეკეთ, გადავაქოთეთ და შემდეგ კვლავ დავიწყეთ ახალ ადგილებზე დაყენება. მეფის ბიუროკრატებმა იწყეს საბჭოთა დაწესებულებებში გადმოსვლა და ბიუროკრატიზმის გატარება, კომუნისტების ფერის მიღება და კარიერის მეტი წარმატებისათვის რკპ ბილეთების შოვნა. ამრიგად, თუმცა ისინი კარებიდან გავრეკეთ, მაგრამ ფანჯრიდან მოძვრებიან! აქ ყველაზე მეტად იჩენს თავს კულტურული ძალების ნაკლებობა. ამ ბიუროკრატების დათხოვნა შეიძლებოდა, მაგრამ მათი ერთბაშად ხელახალი აღზრდა შეუძლებელია. აქ ჩვენს წინაშე უწინარეს ყოვლისა ისმება ორგანიზაციული, კულტურული და აღმზრდელობითი ამოცანები.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლა ბოლომდე, მასზე სრულ გამარჯვებამდე მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მთელი მოსახლეობა მიიღებს მონაწილეობას მართვა-გამგეობაში. ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში ეს არათუ შეუძლებელი იყო: ამას ხელს უშლიდა თვით კანონი. თვით ყველაზე საუკეთესო ბურჟუაზიულ რესპუბლიკებს, რაც უნდა დემოკრატიულიც იყვნენ ისინი, ათასობით საკანონმდებლო დაბრკოლება აქვთ, რაც ხელს უშლის მშრომელთა მონაწილეობას მართვა-გამგეობაში. ჩვენ ის შევძელით, რომ ეს დაბრკოლებები ჩვენში აღარ არსებობს, მაგრამ დღევანდლამდე ვერ

მივაღწიეთ იმას, რომ მშრომელ მასებს შეეძლოთ მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღება, — გარდა კანონისა, არის კიდევ კულტურული დონე, რომელსაც ვერავითარ კანონს ვერ დაუმორჩილებ. ამ დაბალი კულტურული დონის ბრალია ის, რომ საბჭოები, რომლებიც თავიანთი პროგრამით მართვა-გამგეობის ორგანოები არიან მ შ რ ო მ ე ლ თ ა მ ე შ ვ ე ო ბ ი თ, სინამდვილეში წარმოადგენენ მართვა-გამგეობის ორგანოებს მ შ რ ო მ ე ლ თ ა თ ვ ი ს პროლეტარიატის მოწინავე ფენის მეშვეობით, მაგრამ არა მშრომელი მასების მეშვეობით.

აქ ჩვენს წინაშეა ამოცანა, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ ხანგრძლივი აღზრდით შეიძლება. ამჟამად ეს ამოცანა ჩვენთვის განუზომლად ძნელია, იმიტომ რომ, როგორც მე არა ერთხელ აღმინიშნავს, მუშათა ის ფენა, რომელიც მართავს, განუზომლად, წარმოუდგენლად თ ხ ე ლ ი ა. ჩვენ უნდა მივიღოთ დამხმარე ძალა. ყველა ნიშანია იმისა, რომ ასეთი რეზერვი იზრდება ქვეყნის შიგნით. ცოდნის უდიდესი წყურვილი და განათლების უდიდესი წარმატება, რასაც ყველაზე ხშირად სკოლისგარეშე გზით აღწევენ, — მშრომელი მასების განათლების გიგანტური წარმატება სრულიად არავითარ ეჭვს არ იწვევს. ეს წარმატება არავითარ სასკოლო ჩარჩოებში არ ეტევა, მაგრამ ეს წარმატება კოლოსალურია. ყველა ნიშანი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ უახლოეს მომავალში მივიღებთ უდიდეს რეზერვს, რომელიც დაიჭერს მუშაობით წელში გაწყვეტილ პროლეტარიატის თხელი ფენის წარმომადგენელთა ადგილს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ მხრივ ახლა ჩვენი მდგომარეობა მეტისმეტად ძნელია. ბიუროკრატია დამარცხებულია. ექსპლოატატორები განდევნილი არიან. მაგრამ კულტურული დონე არ არის ამაღლებული, და ამიტომ ბიუროკრატებს ძველი ადგილები უჭირავთ. ბიუროკრატიის შევიწროება შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის გაცილებით უფრო ფართო ორგანიზაციით, ვიდრე აქამდე იყო, მართვა-გამგეობაში მუშების მისაზიდავად საჭირო ზომების ნამდვილად გატარებასთან ერთად. ამ ზომებს

თქვენ ყველანი იცნობთ თვითეული სახალხო კომისარიატის დარგში, და მათზე მე არ შევჩერდები.

უკანასკნელი მუხლი, რომელსაც მე უნდა შევეხო, ეს არის პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი და საარჩევნო უფლების ჩამორთმევა. ჩვენი კონსტიტუცია სცნობს პროლეტარიატის უპირატესობას გლეხობის მიმართ და საარჩევნო უფლებას ართმევს ექსპლოატატორებს. ამას ყველაზე მეტად თავს ესხმოდნენ დასავლეთ ევროპელი წმინდა წყლის დემოკრატები. ჩვენ მათ ვუპასუხებდით და ვუპასუხებთ, რომ მათ დაივიწყეს მარქსიზმის უძირითადესი დებულებები, დაივიწყეს, რომ მათ ლაპარაკი აქვთ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე, ჩვენ კი პროლეტარულ დემოკრატიაზე გადავედით. არ არსებობს არც ერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც თუნდაც იმის მეათედი ნაწილი გაეკეთებინოს, რაც განვლილ თვეებში გააკეთა საბჭოთა რესპუბლიკამ მუშებისა და უღარიბესი გლეხებისათვის სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მათი მიზიდვის მხრივ. ეს აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. არავინ დაიწყებს იმის უარყოფას, რომ ნამდვილი და არა ქაღალდზე არსებული დემოკრატიისთვის, მუშებისა და გლეხების მისაზიდად ჩვენ იმდენი გავაკეთეთ, რამდენიც ასეული წლების განმავლობაში არ გაუკეთებიათ და არც შეეძლოთ გაეკეთებინათ ყველაზე უკეთეს დემოკრატიულ რესპუბლიკებს. ამან განსაზღვრა საბჭოების მნიშვნელობა, ამის მეოხებით საბჭოები გახდა ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ლოზუნგი.

მაგრამ ეს სრულიადაც არ გვათავისუფლებს იმ გარემოებისაგან, რომ ჩვენ გვაბრკოლებს მასების არასაკმაო კულტურულობა. ბურჟუაზიისათვის საარჩევნო უფლებების ჩამორთმევის საკითხი ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გაგვიხილავს აბსოლუტური თვალსაზრისით, იმიტომ რომ თეორიულად სავსებით დასაშვებია, რომ პროლეტარიატის დიქტატურა დათრგუნავს ბურჟუაზიას ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ მას შეუძლია საარჩევნო უფლებები არ ჩამოართვას ბურჟუაზიას. ეს თეორიულად სავსებით წარმოსადგენია, და ჩვენს კონსტიტუციას

სწორედ ასევე არ ვაყენებთ ნიმუშად სხვა ქვეყნებისათვის. ჩვენ მხოლოდ ვამბობთ, რომ ის, ვისაც სოციალიზმზე გადასვლა ესმის ბურჟუაზიის დაუთრგუნავად, ის სოციალისტი არ არის. მაგრამ თუ აუცილებელია ბურჟუაზიის, როგორც კლასის, დათრგუნვა, მისთვის საარჩევნო უფლებებისა და თანასწორობის წართმევა აუცილებელი არ არის. ბურჟუაზიისათვის თავისუფლება ჩვენ არა გვსურს. ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა თანასწორობას ჩვენ არა ვცნობთ, მაგრამ პროგრამაში ამ საკითხს ჩვენ იმნაირად ვიხილავთ, რომ ისეთი ზომები, როგორიცაა უთანასწორობა მუშებისა გლეხებთან, კონსტიტუციის მიერ სრულიადაც არ არის ნაკარნახევი. კონსტიტუციამ ისინი მას შემდეგ ჩასწერა, რაც ცხოვრებაში იქნენ შემოღებული. საბჭოების კონსტიტუცია ბოლშევიკებს არც კი შეუმუშავებიათ, იგი შეიმუშავეს ბოლშევიკურ რევოლუციამდე მენშევიკებმა და ესერებმა თავიანთი თავის წინააღმდეგ. მათ იგი ისე შეიმუშავეს, როგორც ცხოვრებამ შეიმუშავა. პროლეტარიატის ორგანიზაცია გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე გლეხობის ორგანიზაცია, რაც მუშებს რევოლუციის დასაყრდენად ხდიდა და მათ ფაქტიურად აძლევდა უპირატესობას. შემდეგ დგას ამოცანა: ამ უპირატესობათაგან თანდათანობით გადასვლა მათს გათანასწორებაზე. ბურჟუაზია ოქტომბრის რევოლუციამდე და მის შემდეგ არავის გაუძეგებია საბჭოებიდან. ბ ურ ჟ უ ა ზ ი ა თ ვ ი თ ონ გ ა შ ო რ დ ა ს ა ბ ჭ ო ე ბ ს.

აი რა მდგომარეობაშია ბურჟუაზიის საარჩევნო უფლებები. ჩვენი ამოცანაა — საკითხის სრული სიცხადით დაყენება. ჩვენ სრულიადაც არ ვიხდით ბოდიშს ჩვენი საქციელის გამო, მაგრამ სავსებით ზუსტად ჩამოვთვლით ფაქტებს, როგორც ისინი არიან. ჩვენი კონსტიტუცია, როგორც აღვნიშნავთ, იძულებული იყო შემოეღო ეს უთანასწორობა, იმიტომ რომ კულტურული დონე სუსტია, იმიტომ რომ ჩვენში ორგანიზაცია სუსტია. მაგრამ ჩვენ ამას იდეალად კი არ ვაქცევთ, არამედ, პირიქით, პროგრამაში პარტია ვალდებულებას კისრულობს სისტემატურად იმუშაოს უფრო ორგანიზებული პროლეტარიატის და

გლეხობის ამ უთანასწორობის მოსასპობად. ამ უთანასწორობას ჩვენ გავაუქმებთ, როგორც კი შევძლებთ კულტურული დონის ამაღლებას. მაშინ ჩვენ აღარ დაგვჭირდება ასეთი შეზღუდვები. ამ შეზღუდვებს უკვე ახლა, რევოლუციის რაღაც 17 თვის შემდეგ, პრაქტიკულად ფრიად მცირე მნიშვნელობა აქვთ.

აი ის მთავარი მუხლები, ამხანაგებო, რომლებზედაც შეჩერება საჭიროდ ვცანი პროგრამის საერთო განხილვისას იმ ანგარიშით, რომ შემდგომი განხილვა დისკუსიას დაეთმოს. (ტ ა შ ი.)

4

საბოლოო სიტყვა პარტიული პროგრამის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო 19 მარტს

(ტ ა შ ი.) ამხანაგებო, მე არ შემეძლო ამ ნაწილში საკითხი გამენაწილებინა ამხ. ბუხარინთან ისევე დეტალურად, როგორც ეს ჩვენ გავაკეთეთ მოხსენების მიმართ, და წინასწარ მოვთათბირებოდი მას. შეიძლება, ეს არც დაგვჭირდეს. მე მგონია, რომ კამათმა, რომელიც აქ გაიშალა, უმთავრესად ერთი რამ დაგვანახვა: რაიმე გარკვეული და ჩამოყალიბებული კონტრწინადადების უქონლობა. ბევრი ილაპარაკეს ნაწილ-ნაწილ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მაგრამ არავითარი კონტრწინადადება არ ყოფილა. მე შევჩერდები მთავარ საწინააღმდეგო გამოსვლებზე, რომლებიც უწინარეს ყოვლისა მიმართული იყო შესავალი ნაწილის წინააღმდეგ. ამხ. ბუხარინმა მიმითითა, რომ ის ეკუთვნის იმათ რიცხვს, ვინც იცავს შესავალში კაპიტალიზმის დახასიათებისა და იმპერიალიზმის დახასიათების ერთ დალაგებულ მთელად შეერთების შესაძლებლობის აზრს, მაგრამ რადგან ასეთი არ მოგვეპოვება, ჩვენ უნდა მივიღოთ არსებული პროექტიო.

ბევრი მოლაპარაკე გამოთქვამდა იმ თვალსაზრისს,— მეტადრე გამოთქვამდა ამას ამხ. პოდბელსკი, — რომ პროექტი იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია თქვენს წინაშე, სწორი არ არისო. ამხ. პოდბელსკის მტკიცებანი მეტისმეტად უცნაური იყო. მაგალითად, ასეთი რამ: პირველ პარაგრაფში რევოლუცია წოდებულია ამა და ამ რიცხვის რევოლუციად. ამან რატომღაც ამხ. პოდბელსკის მოაგონა, თითქოს ეს რევოლუციაც

კი დანომრილია. მე შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ სახალხო კომისართა საბჭოში საქმე გვაქვს ძლიერ ბევრ დანომრილ ქაღალდთან და ხშირად ეს გვღლის, მაგრამ რა საჭიროა ამ შთაბეჭდილების აქაც გადმოტანა? მართლაცდა, რა შუაშია აქ ნომერი? ჩვენ ვსაზღვრავთ სადღესასწაულო დღეს და ვზეიმობთ მას. როგორ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ძალაუფლება აღებულია სწორედ 25 ოქტომბერს? თუ თქვენ შეეცდებით ამის როგორმე შეცვლას, ეს იქნება ხელოვნური. თუ თქვენ რევოლუციას უწოდებთ ოქტომბერ-ნოემბრის რევოლუციას, ამით შესაძლებლობას მისცემთ თქვან, რომ საქმე გაკეთდა არა ერთ დღეს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ის ხდებოდა უფრო ხანგრძლივ პერიოდში — არა ოქტომბრის, არა ნოემბრის და არც ერთი წლის განმავლობაში. ამხ. პოდბელსკი თავს ესხმოდა იმას, რომ ერთ-ერთ პარაგრაფში ლაპარაკია მ ო მ ა ვ ა ლ სოციალურ რევოლუციაზე. ამ საფუძველზე ის გვიწყალებდა პროგრამას, როგორც «მისი უდიდებულესობის» — სოციალური რევოლუციის თითქმის რაღაც «შეურაცხყოფის» ცდას. ჩვენ ვიმყოფებით სოციალურ რევოლუციაში, მასზე კი გველაპარაკებიან, როგორც მომავალ რევოლუციაზეო! ასეთი მოსაზრება აშკარად უსაფუძვლოა, რადგან ჩვენს პროგრამაში ლაპარაკია სოციალურ რევოლუციაზე მსოფლიო მასშტაბით.

გვეუბნებიან, რომ ჩვენ ეკონომიურად ვუდგებით რევოლუციას. საჭიროა ეს თუ არა? აქ ბევრი გატაცებული ამხანაგი იქამდე მივიდა, რომ მსოფლიო სახალხო მეურნეობის საბჭოს დაარსებაზე და ყველა ნაციონალური პარტიის რკპ ცენტრალური კომიტეტისადმი დაქვემდებარებაზე ლაპარაკობდა. ამხ. პიატაკოვმა კინაღამ თქვა ეს. (პ ი ა ტ ა კ ო ვ ი (ა დ გ ი ლ ი დ ა ნ): «განა თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ცუდი იქნებოდა?».) თუ ის ახლა შენიშვნას იძლევა, რომ ეს ცუდი არ იქნებოდაო, მე უნდა ვუპასუხო, პროგრამაში რომ ამის მსგავსი რამ იყოს, მაშინ მისი გაკრიტიკებაც აღარ იქნებოდა საჭირო: ასეთი წინადადების ავტორები თავს თვითონ დაისამარებდნენ. ამ გატაცებულმა ამხანაგებმა არ მიიღეს

მხედველობაში ის, რომ პროგრამაში ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ იქიდან, რაც არის. ერთმა ამ ამხანაგთაგანმა, მგონი სუნიცამ, რომელიც ძალიან მკაცრად აკრიტიკებდა პროგრამას, როგორც უბადრუკს და სხვ., ერთმა ამ გატაცებულმა ამხანაგთაგანმა თქვა, რომ მას არ შეუძლია დაეთანხმოს იმას, რომ უნდა იყოს ის, რაც არის, და გვირჩევს, რომ უნდა იყოს ის, რაც არ არისო. (ს ი ც ი ლ ი.) მე ვფიქრობ, რომ საკითხის ასეთი ფორმულირება თავისი აშკარა უმართებულობის გამო კანონიერად იწვევს სიცილს. მე არ მითქვამს, რომ უნდა იყოს მხოლოდ ის, რაც არის. მე ვთქვი, რომ ჩვენ უნდა გ ა მ ო ვ დ ი ო დ ე თ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ დ ა დ გ ე ნ ი ლ ი დ ა ნ. ჩვენ უნდა ვუთხრათ და დავუმტკიცოთ პროლეტარებს და მშრომელ გლეხებს, რომ კომუნისტური რევოლუცია გარდუვალია. განა თქვა ვინმემ აქ, რომ ამის თქმა საჭირო არ არის? თუ ვინმე შეეცდებოდა ასეთი წინადადება წამოეყენებინა, მას დაუმტკიცებდნენ, რომ ეს ასე არ არის. არავის არაფერი ამის მსგავსი არ უთქვამს და არც იტყვის, რადგან უეჭველია ის ფაქტი, რომ ჩვენი პარტია ხელისუფლების სათავეში მოექცა არა მარტო კომუნისტურ პროლეტარიატზე დაყრდნობით, არამედ მთელ გლეხობაზედაც. ნუთუ ჩვენ მხოლოდ იმას დავჯერდებით, რომ ვეტყვით მთელ ამ მასებს, რომლებიც ამჟამად ჩვენ მოგვყვებიან: «პარტიის საქმეა მხოლოდ სოციალისტური მშენებლობის განხორციელება. კომუნისტური რევოლუცია მომხდარია, განახორციელეთ კომუნიზმი». ასეთი თვალსაზრისი ძირფესვიანად უმწეოა, თეორიულად უმართებულოა. ჩვენმა პარტიამ შემოიკრიბა პირდაპირ, და კიდევ უფრო მეტად არაპირდაპირ, მილიონობით ადამიანები, რომლებიც ამჟამად ერკვევიან კლასობრივი ბრძოლის საკითხში, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის საკითხში.

ახლა შეიძლება ითქვას — ერავითარი გაზვიადება, რა თქმა უნდა, აქ არ იქნება — რომ არსად, არც ერთ სხვა ქვეყანაში მშრომელი მოსახლეობა ისე არ ყოფილა დაინტერესებული კაპიტალიზმის სოციალიზმად გადაქცევის საკითხით, როგორც ახლა ჩვენში. ამაზე ჩვენში გაცილებით უფრო მეტს ფიქრობენ,

ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. ნუთუ პარტიამ არ უნდა გასცეს პასუხი ამ საკითხზე? ჩვენ მეცნიერულად უნდა ვაჩვენოთ, თუ როგორ განვითარდება ეს კომუნისტური რევოლუცია. ამ მხრივ ყველა დანარჩენი წინადადება ნახევრადია. ამის მთლიანად ამოგდება არავის არ უნდოდა. ლაპარაკობდნენ გაურკვევლად: იქნებ, შესაძლებელია შემოკლდეს, არ ვაციტიროთ ძველი პროგრამა, რადგან ის სწორი არ არისო. მაგრამ ის რომ სწორი არ ყოფილიყო, როგორ შეგვეძლო ჩვენ მასზე დაყრდნობა ჩვენი მუშაობის ამდენი წლის განმავლობაში? შეიძლება, ჩვენ გვქონდეს საერთო პროგრამა, როცა შეიქმნება მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკა, მანამდე კი ჩვენ, ალბათ, კიდევ დავწერთ რამდენიმე პროგრამას. ხოლო მათი წერა ამჟამად, როცა არსებობს მხოლოდ ერთი საბჭოთა რესპუბლიკა ძველი რუსეთის იმპერიის ადგილას, ნაადრევი იქნებოდა. თვით ფინეთსაც კი, რომელიც, უეჭველია, საბჭოთა რესპუბლიკისაკენ მიდის, ჯერ არ განუხორციელებია იგი, — ფინეთს, რომელიც განირჩევა წინანდელი რუსეთის იმპერიის ტერიტორიის მოსახლე ყველა დანარჩენი ხალხისაგან, მეტი კულტურულობით. ასე რომ ამჟამად პრეტენზიის გამოცხადება იმაზე, რომ პროგრამაში იყოს დასრულებული პროცესის გამოხატულება, უდიდესი შეცდომა იქნებოდა. ეს იმას დაემსგავსებოდა, რომ ჩვენ ამჟამად პროგრამაში წამოგვეყენებინა მსოფლიო სახალხო მეურნეობის საბჭო — «სოვნარხოზი». თანაც ამ მახინჯ სიტყვას «სოვნარხოზს» ჩვენ თვითონ ჯერ კიდევ ვერ შევეჩვიეთ, უცხოელებზე კი ამბობენ, რომ არის შემთხვევა, როცა ისინი ცნობარში ეძებენ, ხომ არ არის სადმე ასეთი სადგურიო. (ს ი ც ი ლ ი.) ჩვენ არ შეგვიძლია ეს სიტყვები მთელ მსოფლიოს დავუდგინოთ.

საერთაშორისო რომ გახდეს, ჩვენი პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს იმ კლასობრივ მომენტებს, რომლებიც ეკონომიურად დამახასიათებელია ყველა ქვეყნისთვის. ყველა ქვეყნისთვის დამახასიათებელია, რომ კაპიტალიზმი ბევრ ადგილას კიდევ ვითარდება. ეს სწორია მთელი აზიისათვის, ყველა იმ ქვეყნისათვის, რომლებიც გადადიან ბურჟუაზიულ

დემოკრატიაზე, ეს სწორია რუსეთის მთელი რიგი ნაწილებისთვის. აი ამხ. რიკოვმა, რომელიც ძალიან კარგად იცნობს ფაქტებს მეურნეობის დარგში, გვიამბო ახალ ბურჟუაზიაზე, რომელიც ჩვენში არსებობს. ეს სიმართლეა. იგი ჩნდება არა მარტო ჩვენი საბჭოთა მოსამსახურეებიდან — უმნიშვნელო ოდენობით იგი შეიძლება წარმოიშვას იქიდანაც, — იგი ჩნდება იმ გლეხობისა და შინამრეწველთა წრიდან, რომლებიც განთავისუფლებული არიან კაპიტალისტური ბანკების უღლისაგან და ახლა მოწყვეტილი არიან რკინიგზის ტრანსპორტს. ეს ფაქტია. როგორღა გნებავთ თქვენ ამ ფაქტს გვერდი აუაროთ? ამით თქვენ მხოლოდ თქვენს ილუზიებს კვებავთ, ანდა არასაკმაოდ მოფიქრებული წიგნი შეგაქვთ სინამდვილეში, რომელიც გაცილებით უფრო რთულია. სინამდვილე კი გვიჩვენებს, რომ თვით რუსეთშიც კი კაპიტალისტური სასაქონლო მეურნეობა ცოცხლობს, მოქმედებს, ვითარდება და წარმოშობს ბურჟუაზიას, როგორც ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაშიც.

ამხ. რიკოვი ამბობდა: «ჩვენ ვებრძვით ბურჟუაზიას, რომელიც ჩვენში იმიტომ ჩნდება, რომ გლეხური მეურნეობა ჯერ კიდევ არ გამქრალა, ხოლო ეს მეურნეობა წარმოშობს ბურჟუაზიას და კაპიტალიზმს». ამის შესახებ ზუსტი მონაცემები არ მოგვეპოვება, მაგრამ ეს რომ ხდება, უეჭველია. მთელ მსოფლიოში საბჭოთა რესპუბლიკა არსებობს ჯერჯერობით მხოლოდ ყოფილი რუსეთის იმპერიის ფარგლებში. მთელ რიგ ქვეყნებში იგი იზრდება და ვითარდება, მაგრამ არც ერთ სხვა ქვეყანაში ის ჯერ არ არის. ამიტომ ჩვენს პროგრამაში იმის დაჩემება, რაც ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვიპოვებია, ეს არის ოცნება, ეს არის იმ არასასიამოვნო სინამდვილიდან გამოხტომის სურვილი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სოციალისტური რესპუბლიკის მშობიარობის ტკივილები სხვა ქვეყნებში უეჭველად უფრო მძიმეა, ვიდრე ის, რაც ჩვენ განვიცადეთ. ეს ჩვენ ადვილად შევძელით, იმიტომ რომ 1917 წლის 27 ოქტომბერს დავაკანონეთ ის, რასაც მოითხოვდნენ გლეხები ესერების რეზოლუციებში. ეს არ არის არც ერთ ქვეყანაში. შვეი-

ცარიელმა ამხანაგმა და გერმანელმა ამხანაგმა აღნიშნეს, რომ შვეიცარიაში გლეხებმა იარაღი მოიმარჯვეს გაფიცულთა წინააღმდეგ ისე, როგორც არასდროს, და რომ გერმანიაში სოფლად არავითარი თავისუფალი სიო არა ჩანს მოჯამაგირეებისა და წვრილი გლეხებისაგან საბჭოების წარმოშობის მხრივ. ჩვენში რევოლუციის პირველი თვეების შემდეგ თითქმის მთელ ქვეყანას მოეფინა გლეხთა დეპუტატების საბჭოები. ჩვენ, ჩამორჩენილმა ქვეყანამ, შევქმენით ისინი. აქ დგება გიგანტური პრობლემა, რომელიც კაპიტალისტურ ხალხებს ჯერ კიდევ არ გადაუჭრიათ. და რომელი სანიმუშო კაპიტალისტური ერი ვართ ჩვენ? 1917 წლამდე ჩვენში ჯერ კიდევ იყო ბატონყმობის ნაშთები. მაგრამ ჯერ არც ერთ კაპიტალისტურად აგებულ ერს არ უჩვენებია, თუ როგორ წყდება ეს საკითხი პრაქტიკულად. ჩვენ მივაღწიეთ ძალაუფლებას განსაკუთრებულ პირობებში, როცა ცარიზმის უღელმა გვაიძულა დიდი აღტყინებით მოგვეხდინა ძირფესვიანი და სწრაფი ცვლილება, და ჩვენ შევძელით ამ განსაკუთრებულ პირობებში რამდენიმე თვით დავყრდნობოდით მთელ გლეხობას საერთოდ. ეს ისტორიული ფაქტია. ჩვენ 1918 წლის ზაფხულამდე, ღარიბთა კომიტეტების დაარსებამდე, მაინც გავიტანეთ თავი როგორც ხელისუფლებამ, იმიტომ რომ ვეყრდნობოდით მთელ გლეხობას საერთოდ. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ შეიძლება ეს მოხდეს. აი ამ ძირითად ეკონომიურ ფაქტს თქვენ ივიწყებთ, როცა ლაპარაკობთ მთელი პროგრამის საფუძვლიან გადაკეთებაზე. უამისოდ თქვენი პროგრამა არ იქნება მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობილი.

ჩვენ ვალდებული ვართ გამოვიდეთ იმ მარქსისტული დებულებიდან, რომელსაც ყველა აღიარებს, რომ პროგრამა უნდა აიგოს მეცნიერულ საფუძველზე. მან უნდა განუმარტოს მასებს, როგორ წარმოიშვა კომუნისტური რევოლუცია, რატომ არის იგი გარდუვალი, რაშია მისი მნიშვნელობა, მისი არსი, მისი ძალა, რა უნდა გადაწყვიტოს მან. ჩვენი პროგრამა უნდა იყოს შენაჯამი აგიტაციისათვის, ისეთივე შენაჯამი, როგორიც იყო ყველა პროგრამა, როგორიც იყო, მაგალითად,

ერფურტის პროგრამა[34]. ამ პროგრამის ყოველი პარაგრაფი შეიცავდა აგიტატორთა ასი ათასობით სიტყვასა და სტატიას. ჩვენს პროგრამაში ყოველი პარაგრაფი წარმოადგენს იმას, რაც უნდა იცოდეს, შეითვისოს და ესმოდეს ყოველ მშრომელს. თუ მას არ ესმის, რა არის კაპიტალიზმი, თუ მას არ ესმის, რომ წვრილი გლეხობა და კუსტარული მეურნეობა აუცილებლად, გარდუვალად და მუდამ წარმოშობს ამ კაპიტალიზმს, — თუ მას ეს არ ესმის, თუნდაც ასჯერ გამოაცხადოს თავი კომუნისტად და თავი მოჰქონდეს უაღრესად რადიკალური კომუნიზმით, ეს კომუნიზმი კაპიკად არა ღირს. კომუნიზმს ჩვენ მხოლოდ მაშინ ვაფასებთ, როცა ის ეკონომიურად არის დასაბუთებული.

სოციალისტური რევოლუცია ძალიან ბევრ რამეს შესცვლის ზოგიერთ მოწინავე ქვეყანაშიც კი. წარმოების კაპიტალისტური წესი განაგრძობს არსებობას მთელ მსოფლიოში და ხშირად ინარჩუნებს თავის ნაკლებ განვითარებულ ფორმებს, თუმცა იმპერიალიზმმა შეაგროვა და თავი მოუყარა ფინანსურ კაპიტალს. არც ერთ უაღრესად განვითარებულ ქვეყანაში არ შეიძლება ვიპოვოთ კაპიტალიზმი მხოლოდ და მხოლოდ მისი სრულყოფილი ფორმით. არაფერი ამის მსგავსი რამ არ არის თვით გერმანიაშიც კი. როცა ჩვენ ვაგროვებდით მასალას ჩვენი კონკრეტული ამოცანების შესახებ, ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს გამგე ამხანაგმა გვაცნობა, რომ გერმანიაში გერმანელმა გლეხმა სასურსათო ორგანოებს დ ა უ მ ა ლ ა თავისი კარტოფილის ნაჭარბის 40%. კაპიტალისტურ სახელმწიფოში, სადაც კაპიტალიზმი უაღრესად განვითარებულია, არსებობას განაგრძობენ წვრილი გლეხური მეურნეობები, საქონლის თავისუფალი წვრილ-წვრილი გაყიდვით, წვრილი სპეკულაციით. ასეთი ფაქტების დავიწყება არ შეიძლება. განა ბევრი მოიპოვება ისეთი ადამიანი პარტიის აქ წარმოდგენილი სამასი ათასი წევრიდან, რომელიც სავსებით ერკვეოდეს ამ საკითხში? სასაცილო ყალბი წარმოდგენა იქნებოდა გვეფიქრა, რომ, რადგან ჩვენთვის, რომლებსაც წილად გვხვდა ბედნიერება პროექტის დაწერისა, ყველაფერი ეს ცნობილია,

ამიტომ კომუნისტების მასასაც ყოველივე ეს შეთვისებული აქვს. არა, მათ ესაჭიროებათ ეს ანაბანა, მათ ეს ასჯერ მეტად ესაჭიროებათ, ვიდრე ჩვენ, რადგან კომუნიზმი არ შეიძლება ჰქონდეთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ვერ შეუთვისებიათ, რომლებიც ვერ გარკვეულან, თუ რა არის კომუნიზმი და რა არის სასაქონლო მეურნეობა. ჩვენ ყოველდღე, პრაქტიკული სამეურნეო პოლიტიკის, სასურსათო, სამიწათმოქმედო თუ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შესახები პოლიტიკის ყოველ საკითხში ვაწყდებით წვრილი სასაქონლო მეურნეობის ამ ფაქტებს. მაგრამ ამის შესახებ ვითომდა არ უნდა იყოს ლაპარაკი პროგრამაში! ჩვენ რომ ასე გვექნა, მხოლოდ იმას გამოვააშკარავებდით, რომ არ შეგვიძლია ამ საკითხის გადაჭრა, რომ რევოლუციის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში აიხსნება განსაკუთრებული პირობებით.

ჩვენთან ჩამოდიან გერმანელი ამხანაგები, რომ გაერკვნენ სოციალისტური წყობილების ფორმებში. და ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ დავუმტკიცოთ საზღვარგარეთელ ამხანაგებს ჩვენი ძალა, რათა მათ დაინახონ, რომ ჩვენს რევოლუციაში ოდნავადაც არ ვცილდებით სინამდვილის ფარგლებს, რომ მათ მივცეთ მასალა, რომელიც მათთვის ურყევი იქნება. სასაცილო იქნებოდა ჩვენი რევოლუცია დაგვესახა რაღაც იდეალად ყველა ქვეყნისთვის, წარმოგვედგინა, რომ მან მოახდინა მთელი რიგი გენიალური აღმოჩენები და უამრავი სოციალისტური ახალი რამ შემოიღო. მე ეს არავისგან არ გამიგონია, და ვამტკიცებ, რომ ვერავისგან გავიგონებთ. ჩვენ გვაქვს პრაქტიკული გამოცდილება პირველი ნაბიჯების განხორციელებისა კაპიტალიზმის დანგრევის მხრივ იმ ქვეყანაში, სადაც განსაკუთრებული ურთიერთობაა პროლეტარიატსა და გლეხობას შორის. მორჩა და გათავდა. თუ ჩვენ ბაყაყივით დავიწყებთ მანჭვას, გაბერვას და ქშინვას, საქვეყნოდ სასაცილოდ გავიხდით თავს, ჩვენ უბრალო მკვეხარები ვიქნებით.

ჩვენ მარქსისტულ პროგრამაზე აღვზარდეთ პროლეტარიატის პარტია, და ასევე უნდა აღვზარდოთ მშრომელთა ის ათეული მილიონები, რომლებიც ჩვენ გვყავს. ჩვენ აქ

შევიკრიბეთ, როგორც იდეური ხელმძღვანელები, და მასებს უნდა ვუთხრათ: «ჩვენ აღვზარდეთ პროლეტარიატი და ჩვენ ყოველთვის და უწინარეს ყოვლისა გამოვდიოდით ზუსტი ეკონომიური ანალიზიდან». ეს ამოცანა მანიფესტის საქმე არ არის. III ინტერნაციონალის მანიფესტი — ეს არის მოწოდება, ეს არის პროკლამაცია, ეს არის ყურადღების მიქცევა იმაზე, რაც ჩვენს წინაშე დგას, ეს არის აპელაცია მასების გრძნობებისადმი. გაისარჯეთ და მეცნიერულად დაამტკიცეთ, რომ თქვენ გაქვთ ეკონომიური ბაზა, და რომ თქვენ ქვიშაზე არ აშენებთ. თუ თქვენ ეს არ შეგიძლიათ, მაშინ ნუ კისრულობთ პროგრამის შედგენას. ხოლო ეს რომ გავაკეთოთ, ჩვენ მხოლოდ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ გადავსინჯოთ ის, რაც 15 წლის მანძილზე განვიცადეთ. თუ 15 წლის წინათ ჩვენ ვთქვით, რომ მივდივართ მომავალი სოციალური რევოლუციისკენ, ხოლო ახლა მივედით, ნუთუ ეს ჩვენ გვასუსტებს? ეს გვამაგრებს, გვაძლიერებს ჩვენ. ყველაფერი იმას მოწმობს, რომ კაპიტალიზმი გადადის იმპერიალიზმში, ხოლო იმპერიალიზმს სოციალისტური რევოლუციის დასაწყისამდე მივყავართ. ეს მოსაწყენი და გრძელია, და არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას ეს პროცესი ჯერ არ გაუვლია. მაგრამ ამ პროცესის აღნიშვნა პროგრამაში აუცილებელია.

აი რატომ ვერ უძლებენ კრიტიკის ნასახსაც კი ის საწინააღმდეგო თეორიული მოსაზრებანი, რომლებიც აქ წამოაყენეს. მე ეჭვი არ მეპარება, რომ თუ სამუშაოდ დავსვამთ სამოთხი საათით დღე-ღამეში თავისი აზრების გადმოცემაში გამოცდილ 10—20 ლიტერატორს, ერთ თვეში ისინი უკეთეს და უფრო მთლიან პროგრამას ააგებდნენ. მაგრამ იმის მოთხოვნა, რომ ეს გაკეთდეს ერთ-ორ დღეში, როგორც ამხ. პოდბელსკი ამბობდა, ეს სასაცილოა. ჩვენ ვმუშაობდით არა ერთ-ორ დღეს და არც ორ კვირას. ვიმეორებ, რომ შეიძლებოდეს ერთი თვით კომისიის არჩევა 30 კაცის შემადგენლობით და მათი დასხმა სამუშაოდ რამდენიმე საათით დღეში, თანაც მათ არ აწუხებდეს ტელეფონის ზარი, მაშინ, უეჭველია, ისინი ხუთჯერ უკეთეს პროგრამას მოგვცემდნენ. მაგრამ საქმის არსს

აქ არავინ შეგვდავებია. პროგრამა, რომელიც არაფერს იტყვის სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის საფუძვლების შესახებ, არ იქნება მარქსისტული ინტერნაციონალური პროგრამა. პროგრამა რომ ინტერნაციონალური იყოს, ამისათვის არ კმარა გამოაცხადოს მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკა, ანდა ერების გაუქმება, როგორც ეს გამოაცხადა ამხ. პიატაკოვმა: არავითარი ერი საჭირო არ არის, საჭიროა მხოლოდ ყველა პროლეტარის გაერთიანებაო. რა თქმა უნდა, ეს საუცხოო რამაა, და ეს იქნება, მხოლოდ კომუნისტური განვითარების სულ სხვა სტადიაზე. ამხ. პიატაკოვი აშკარა თავმოწონებით ამბობს: «1917 წელს თქვენ ჩამორჩენილი იყავით და ახლა წინ წაიწიეთ». ჩვენ წინ წავიწიეთ მაშინ, როცა პროგრამაში ჩავურთეთ ის, რაც სინამდვილის შესაბამისი გახდა. როცა ჩვენ ვთქვით, რომ ერები მიდიან ბურჟუაზიული დემოკრატიიდან პროლეტარული ხელისუფლებისაკენ, ჩვენ ვთქვით ის, რაც არის; ხოლო 1917 წელს ეს იყო ის, რაც თქვენთვის სასურველი იყო.

როცა ჩვენ სპარტაკელებთან გვექნება ის სრული ამხანაგური ნდობა, რომელიც საჭიროა ერთიანი კომუნიზმისათვის, ის ამხანაგური ნდობა, რომელიც დღითი დღე იბადება და შეიძლება რამდენიმე თვის შემდეგ შეიქმნას, მაშინ ის აღიბეჭდება პროგრამაში. მაგრამ ვიდრე ეს არ არის, მისი გამოცხადება იმას ნიშნავს, რომ ისინი იქამდე მივიზიდოთ, სადამდისაც თავისი გამოცდილებით ჯერ არ მისულან. ჩვენ ვამბობთ, რომ საბჭოთა ტიპმა ინტერნაციონალური მნიშვნელობა მიიღო. ამხ. ბუხარინი მიგვითითებდა ინგლისის საფაბრიკო მამასახლისების კომიტეტებზე. ეს არ არის სავსებით ის, რაც არის საბჭოები. ისინი იზრდებიან, მაგრამ ჯერ მუცლად იმყოფებიან. როცა ისინი გამოვლენ დღის სინათლეზე, «მაშინ ვნახავთ». ხოლო იმის თქმა, რომ ჩვენ რუსულ საბჭოებს ვუფეშქაშებთ ინგლისის მუშებს, ეს კრიტიკის ნასახსაც ვერ უძლებს.

შემდეგ მე უნდა შევჩერდე ერთა თვითგამორკვევის საკითხზე. ამ საკითხმა ჩვენს კრიტიკაში გაბერილი მნიშვნელობა მიიღო. აქ ჩვენი კრიტიკის სისუსტე გამოჩნდა იმაში, რომ ისეთი საკითხი, რომელიც პროგრამის საერთო მშენებლობაში,

საპროგრამო მოთხოვნათა საერთო ჯამში არსებითად მეორეხარისხოვან მნიშვნელობაზე ნაკლებ როლს ასრულებს, — რომ ამ საკითხმა ჩვენს კრიტიკაში სპეციალური მნიშვნელობა მიიღო.

როცა ამხ. პიატაკოვი ლაპარაკობდა, მე გაკვირვებული ვიყავი, რა იყო ეს: მსჯელობა პროგრამის შესახებ თუ ორი ორგანიზაციული ბიუროს დავა. როცა ამხ. პიატაკოვი ლაპარაკობდა, უკრაინელი კომუნისტები რკპ(ბ) ც. კ-ის დირექტივების თანახმად მოქმედებენო, მე ვერ გავიგე, რა კილოთი ლაპარაკობდა ის. სინანულის კილოთი? ამას მე ამხ. პიატაკოვზე ვერ ვიფიქრებ, მაგრამ მისი სიტყვის აზრი ასეთი იყო: რა საჭიროა ყველა ეს თვითგამორკვევა, როცა მოსკოვში საუცხოო ცენტრალური კომიტეტი არისო! ეს ბავშვური თვალსაზრისია. უკრაინა გამოეყო რუსეთს განსაკუთრებული პირობების გამო, და ნაციონალურ მოძრაობას იქ ღრმად არ გაუდგამს ფესვები. რამდენადაც მან თავი იჩინა, გერმანელებმა აღმოფხვრეს იგი. ეს ფაქტია, მაგრამ ფაქტი განსაკუთრებული. იქ თვით ენის მხრივაც საქმე ისე დგას, რომ გაურკვეველი გახდა: მასობრივია უკრაინული ენა თუ არა? სხვა ერების მშრომელი მასები უნდობლობით აღსავსე იყვნენ ველიკორუსების მიმართ, როგორც კულაკური და მჩაგვრელი ერისა. ეს ფაქტია. ფინეთის წარმომადგენელმა მიამბო, რომ ფინეთის ბურჟუაზიაში, რომელსაც სძულდა ველიკორუსები, გაისმის ხმები: «გერმანელები უფრო მეტი მხეცები აღმოჩნდნენ, ანტანტა უფრო მეტი მხეცი აღმოჩნდა, უმჯობესია ბოლშევიკები იყვნენო». აი უდიდესი გამარჯვება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ ნაციონალურ საკითხში ფინეთის ბურჟუაზიაზე. ეს ჩვენ ოდნავადაც არ შეგვიშლის ხელს ვებრძოლოთ მას, როგორც კლასობრივ მოწინააღმდეგეს, და ამისთვის სათანადო საშუალებები შევარჩიოთ. საბჭოთა რესპუბლიკამ, რომელიც შეიქმნა იმ ქვეყანაში, რომლის ცარიზმი ჩაგრავდა ფინეთს, უნდა თქვას, რომ ის პატივსა სცემს ერთა დამოუკიდებლობის უფლებას. ფინეთის წითელ მთავრობასთან, რომელიც ცოტა ხანს არსებობდა, ჩვენ დავდეკით ხელშეკრულება, წავედით ერთგვარ ტერიტორიულ

დათმობებზე, რომელთა გამო მე მსმენია ბევრი წმინდა-შოვინისტური საწინააღმდეგო მოსაზრება: «იქ თევზის კარგი სარეწაოებია და თქვენ კი ისინი მიეცითო». ეს ისეთი საწინააღმდეგო მოსაზრებებია, რომელთა გამო მე ვამბობდი: ზოგიერთი კომუნისტი რომ გადაფხიკო — ველიკორუს შოვინისტს აღმოაჩენ-მეთქი.

მე მგონია, ეს მაგალითი ფინეთის შესახებ, ისე როგორც ბაშკირთა შესახებ, გვიჩვენებს, რომ ნაციონალურ საკითხში არ შეიძლება ასე მსჯელობა: საჭიროა რადაც უნდა დაჯდეს სამეურნეო ერთიანობაო. რა თქმა უნდა, საჭიროა! მაგრამ ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამას პროპაგანდით, აგიტაციით, ნებაყოფლობითი კავშირით. ბაშკირები უნდობლობას გრძნობენ ველიკორუსებისადმი, იმიტომ რომ ველიკორუსები უფრო კულტურული არიან და თავიანთი კულტურულობა ბაშკირების გასაძარცვავად გამოიყენეს. ამიტომ ამ მიყრუებულ ადგილებში ველიკორუსის სახელი ბაშკირებისთვის ნიშნავს «მჩაგვრელს», «თაღლითს». ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ, ამას უნდა ვებრძოლოთ. მაგრამ ეს ხომ ხანგრძლივი საქმეა. ამას ხომ ვერავითარი დეკრეტით ვერ მოსპობ. ამ საქმეში ჩვენ ძალიან ფრთხილი უნდა ვიყოთ. სიფრთხილე განსაკუთრებით საჭიროა ისეთი ერის მხრივ, როგორიცაა ველიკორუსი ერი, რომელმაც თავის მიმართ ყველა სხვა ერში გააფთრებული სიძულვილი გამოიწვია და მხოლოდ ახლა ვისწავლეთ ჩვენ ამის გამოსწორება, და ისიც ცუდად. მაგალითად, განათლების კომისარიატში ან მის შორიახლო ჩვენ გვყავს კომუნისტები, რომლებიც ამბობენ: ერთიანი სკოლა, ამიტომ არ გაბედოთ სხვა ენაზე სწავლება, გარდა რუსულისო! ჩემი აზრით, ასეთი კომუნისტი ველიკორუსი შოვინისტია. ის ზის ბევრ ჩვენგანში და მას უნდა ვებრძოლოთ.

აი რატომ უნდა ვუთხრათ სხვა ერებს, რომ ჩვენ ბოლომდე ინტერნაციონალისტები ვართ და მივისწრაფვით ყველა ერის მუშებისა და გლეხების ნებაყოფლობითი კავშირისაკენ. ეს სრულიადაც არ გამორიცხავს ომებს. ომი, ეს სხვა საკითხია, რომელიც იმპერიალიზმის არსებიდან გამომდინარეობს.

თუ ჩვენ ვომობთ ვილსონთან, ხოლო ვილსონი პატარა ერს თავის იარაღად აქცევს, ჩვენ ვამბობთ: ჩვენ ვებრძვით ამ იარაღს. ჩვენ არასდროს არ გვითქვამს ამის წინააღმდეგ არაფერი. ჩვენ არასდროს არ გვითქვამს, რომ სოციალისტურ რესპუბლიკას შეუძლია არსებობა სამხედრო ძალის გარეშე. განსაზღვრულ პირობებში ომი შეიძლება აუცილებლობას წარმოადგენდეს. ხოლო ამჟამად ეროვნებათა თვითგამორკვევის საკითხში საქმის არსი იმაშია, რომ სხვადასხვა ერი ერთნაირი ისტორიული გზით მიდის, მაგრამ მეტისმეტად სხვადასხვაგვარი ზიგზაგებითა და ბილიკებით, და რომ უფრო კულტურული ერები აშკარად სხვანაირად მიდიან, ვიდრე ნაკლებად კულტურული ერები. ფინეთი სხვანაირად მიდიოდა. გერმანია სხვანაირად მიდის. ამხ. პიატაკოვი ათასჯერ მართალია, რომ ჩვენ გვესაჭიროება ერთიანობა. მაგრამ ამისთვის უნდა ვიბრძოლოთ პროპაგანდით, პარტიული გავლენით, ერთიანი პროფესიული კავშირების შექმნით. მაგრამ აქაც არ შეიძლება ერთი შაბლონით მოქმედება. ჩვენ რომ მოგვესპო ეს მუხლი ანდა სხვანაირი რედაქცია მიგვეცა მისთვის, ჩვენ ამოვშლიდით ნაციონალურ საკითხს პროგრამიდან. ამის გაკეთება შეიძლებოდა, რომ არსებობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მოკლებული არიან ნაციონალურ თავისებურებებს. მაგრამ ასეთი ადამიანები არ არსებობენ, და სხვანაირად სოციალისტური საზოგადოების აშენება ჩვენ არასგზით არ შეგვიძლია.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ აქ წარმოდგენილი პროგრამა საფუძვლად უნდა მივიღოთ, გადავცეთ კომისიას, რომელიც უნდა შევავსოთ ოპოზიციის წარმომადგენლებით, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იმ ამხანაგებით, რომლებსაც აქ შემოჰქონდათ საქმიანი წინადადებები, და ამ კომისიაში დავადგინოთ: 1) პროექტის ჩამოთვლილი შესწორებები და 2) ის თეორიული საწინააღმდეგო მოსაზრებანი, რომელთა შესახებ შეთანხმება შეუძლებელია. მე ვფიქრობ, ეს იქნება საკითხის ყველაზე საქმიანი დაყენება, რაც უაღრესი სისწრაფით მოგვცემს საკითხის სწორ გადაჭრას. (ტ ა შ ი.)

5

მისასალმებელი რადიოდეპეშა ყრილობის სახელით უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას[35] 22 მარტს

უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას,
ბუდაპეშტი

რუსეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობა მხურვალედ მიესალმება უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკას. ჩვენი ყრილობა დარწმუნებულია იმაში, რომ შორს არ არის ის დრო, როცა მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს კომუნიზმი. რუსეთის მუშათა კლასი მთელი ძალ-ღონით ისწრაფვის დაგეხმაროთ თქვენ. მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალყურს თქვენს შემდგომს ბრძოლას და ნებას არ მისცემს იმპერიალისტებს ხელი აღმართონ ახალ საბჭოთა რესპუბლიკაზე.

გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტურ რესპუბლიკას!

დაიბეჭდა უნგრულ ენაზე 1919 წ.
25 მარტს გაზეთში «Népszava» № 71

რუსულ ენაზე პირველად
გამოქვეყნდა 1927 წელს

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით
თარგმანი უნგრულიდან

6

მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ 23 მარტს

(ხანგრძლივი ტაში.) ამხანაგებო, ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ ვერ დავესწარი იმ სექციის ყველა სხდომას, რომელიც ყრილობამ აირჩია სოფლად მუშაობის საკითხზე [36]. ამიტომ დამატებად იქნება იმ ამხანაგების სიტყვები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამ სექციაში მისი მუშაობის დაწყებიდანვე. სექციამ ბოლოს და ბოლოს შეიმუშავა თეზისები, რომლებიც გადაეცა კომისიას და რომლებსაც თქვენ მოგახსენებენ. მე მინდა შევჩერდე საკითხის საერთო მნიშვნელობაზე, როგორც დაისვა ის ჩვენს წინაშე სექციის მუშაობის შედეგად და როგორც დაისვა ის ახლა, ჩემი შეხედულებით, მთლიანად პარტიის წინაშე.

ამხანაგებო, სრულიად ბუნებრივია, რომ პროლეტარული რევოლუციის განვითარებაში ჩვენ გვიხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე უფრო რთული და მნიშვნელოვანი საკითხებიდან ხან ერთი დავაყენოთ პირველ ადგილას და ხან მეორე. სრულიად ბუნებრივია, რომ გადატრიალების დროს, რომელიც შეეხება და არ შეიძლება არ შეეხოს ცხოვრების უღრმეს საფუძვლებს, მოსახლეობის უფართოეს მასებს, — არც ერთ პარტიას, არც ერთ მთავრობას, მასებთან ყველაზე დაახლოებულ მთავრობასაც კი აბსოლუტურად არ ძალუძს ერთბაშად გასწვდეს ცხოვრების ყველა მხარეს. და თუ ამჟამად გვიხდება შეჩერება სოფლად მუშაობის საკითხზე და

ამ საკითხიდან გამოყოფა უმთავრესად საშუალო გლეხობის მდგომარეობისა, — საერთოდ პროლეტარული რევოლუციის განვითარების თვალსაზრისით, აქ არ შეიძლება იყოს რაიმე საკვირველი და არანორმალური. გასაგებია, რომ პროლეტარულ რევოლუციას საქმის დაწყება მოუხდა ორი მტრული კლასის, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ძირითადი ურთიერთობიდან. ძირითადი ამოცანა იყო — ძალაუფლების გადაცემა მუშათა კლასისთვის, მისი დიქტატურის უზრუნველყოფა, ბურჟუაზიის დამხობა და მისი ძალაუფლების იმ ეკონომიური წყაროების წართმევა, რომლებიც უეჭველად წარმოადგენენ დაბრკოლებას საერთოდ ყოველი სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ჩვენ ყველას, რამდენადაც ვიცნობთ მარქსიზმს, არასდროს ეჭვი არ შეგვპარვია იმ ჭეშმარიტებაში, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, თვით ამ საზოგადოების ეკონომიური აგებულების მიხედვით, ან პროლეტარიატს, ან ბურჟუაზიას. ახლა ჩვენ ვხედავთ მრავალ ყოფილ მარქსისტს, — მაგალითად, მენშევიკების ბანაკიდან, — რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის გადამწყვეტი ბრძოლის პერიოდში შეიძლება ბატონობდეს ს ა ე რ თ ო დ დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა. ასე ლაპარაკობენ მენშევიკები, მთლიანად შეხმატკბილებულნი ესერებთან. თითქოს თვით ბურჟუაზია კი არ ქმნიდეს ან აუქმებდეს დემოკრატიას, იმის მიხედვით, თუ რა არის მისთვის უფრო ხელსაყრელი! ხოლო რაკი ასეა, მაშინ არავითარი ლაპარაკიც არ შეიძლება საერთოდ. დემოკრატიაზე პროლეტარიატთან ბურჟუაზიის გამწვავებული ბრძოლის დროს. გვაკვირვებს მხოლოდ, თუ როგორ მოხდა, რომ ეს მარქსისტები ანუ ვითომდა-მარქსისტები, — მაგალითად, ჩვენებური მენშევიკები, — ასე სწრაფად ამხელენ თავიანთ თავს, ასე სწრაფად აშკარავდება მათი ნამდვილი ბუნება, წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ბუნება.

მარქსი მთელ თავის სიცოცხლეში ყველაზე მეტად იბრძოდა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისა და ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ილუზიების წინააღმდეგ. მარქსი ყველაზე მე-

ტად დასცინოდა ლიტონ სიტყვებს თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ, როცა ისინი ფარავენ მუშების თავისუფლებას დაიხოცონ შიმშილით, ანდა იმ ადამიანის თანასწორობას, რომელიც თავის სამუშაო ძალას ჰყიდის, ბურჟუასთან, რომელიც თითქოს თავისუფალ ბაზარზე თავისუფლად და თანასწორუფლებიანად ყიდულობს მის შრომას და ა. შ.. მარქსი ყველა თავის ეკონომიურ ნაწარმოებში არკვევდა ამას. შეიძლება ითქვას, რომ მარქსის მთელი «კაპიტალის» საგანია იმ ჭეშმარიტების გამორკვევა, რომ კაპიტალისტური საზოგადოების ძირითად ძალებს წარმოადგენენ და შეიძლება წარმოადგენდნენ მხოლოდ ბურჟუაზია და პროლეტარიატი: — ბურჟუაზია, როგორც ამ კაპიტალისტური საზოგადოების მშენებელი, როგორც მისი ხელმძღვანელი, როგორც მისი მამოძრავებელი, — პროლეტარიატი, როგორც მისი მესაფლავე, როგორც ერთადერთი ძალა, რომელსაც უნარი შესწევს შესცვალოს იგი. საეჭვოა მოინახოს თუნდაც ერთი თავი მარქსის რომელიმე თხზულებაში, რომლის საგანიც ეს არ იყოს. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიოს სოციალისტები II ინტერნაციონალში უთვალავჯერ ღმერთსა და ხატს ეფიცებოდნენ მუშებს — ეს ჭეშმარიტება გვესმისო. მაგრამ როცა საქმე მიდგა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ნამდვილ და ამასთან გადამწყვეტ ბრძოლაზე ძალაუფლებისათვის, მაშინ დავინახეთ, რომ ჩვენებურ მენშევიკებსა და ესერებს, აგრეთვე ძველი სოციალისტური პარტიების ბელადებს მთელს მსოფლიოში, ეს ჭეშმარიტება დაავიწყდათ და მათ დაიწყეს წმინდა მექანიკურად განმეორება ფილისტერული ფრაზებისა საერთოდ დემოკრატიზმის შესახებ.

ჩვენში ზოგჯერ ცდილობენ მისცენ ამ სიტყვებს რაღაც თითქოს მეტი «სიმაგრე», როცა ლაპარაკობენ: «დემოკრატიის დიქტატურა». ეს უკვე სრული უაზრობაა. ჩვენ მშვენივრად ვიცით ისტორიიდან, რომ დემოკრატიული ბურჟუაზიის დიქტატურა ნიშნავდა აჯანყებულ მუშებთან გასწორებას და სხვას არაფერს. ასე იყო 1848 წლიდან მოკიდებული, —

ყოველ შემთხვევაში ამაზე უფრო გვიან არა, მაგრამ ცალკეული მაგალითები შეიძლება უფრო ადრეც მოინახოს. ისტორია გვიჩვენებს, რომ სწორედ ბურჟუაზიულ დემოკრატიაში ვითარდება ფართოდ და თავისუფლად ყველაზე მწვავე ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ჩვენ პრაქტიკაზე მოგვიხდა ამ ჭეშმარიტების სისწორეში დარწმუნება. და თუ 1917 წლის ოქტომბრიდან საბჭოთა მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები განირჩეოდა სიმტკიცით ყველა ძირითად საკითხში, ეს სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ამ ჭეშმარიტებიდან არასდროს არ გადაგვიხვევია, არასდროს არ დაგვივიწყებია იგი. მხოლოდ ერთი კლასის — პროლეტარიატის — დიქტატურას შეუძლია საკითხის გადაჭრა ბურჟუაზიასთან ბრძოლაში ბატონობისათვის. ბურჟუაზიის დამარცხება შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას. ბურჟუაზიის დამხობა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს. ბურჟუაზიის წინააღმდეგ მასების გაძღოლა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს.

მაგრამ აქედან არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს, — ეს უდიდესი შეცდომა იქნებოდა, — რომ კომუნიზმის შემდგომ მშენებლობაშიც, როცა ბურჟუაზია უკვე დამხობილია, როცა პოლიტიკური ძალაუფლება უკვე პროლეტარიატის ხელშია, — თითქოს შემდეგშიც შეგვიძლია შეველიოთ საშუალო, შუათანა ელემენტების მონაწილეობას.

ბუნებრივია, რომ რევოლუციის, — პროლეტარული რევოლუციის, — დასაწყისში, მისი მოღვაწეების მთელი ყურადღება ექცევა მთავარს, ძირითადს: პროლეტარიატის ბატონობას და ამ ბატონობის უზრუნველყოფას ბურჟუაზიის დამარცხებით, — იმის უზრუნველყოფას, რომ ბურჟუაზიამ კვლავ ვეღარ დაიბრუნოს ძალაუფლება. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ბურჟუაზიის ხელში დღემდე რჩება უპირატესობანი, რაც დაკავშირებულია მის სიმდიდრესთან სხვა ქვეყნებში, და რაც, ზოგჯერ ჩვენშიც კი, ფულად სიმდიდრეში მდგომარეობს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ არიან პროლეტარებზე უფრო გამოცდილი სოციალური ელემენტები, რომლებიც ბურჟუაზიას ეხმარებიან. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბურჟუაზია

არ გამოსთხოვებია თავისი ძალაუფლების დაბრუნების აზრს, მას არ შეუწყვეტია ცდა თავისი ბატონობის აღდგენისა.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ბურჟუაზია, რომელიც ყველაზე მეტად იცავს პრინციპს: «სადაც კარგია, სამშობლოც იქ არისო», ბურჟუაზია, რომელიც ფულის მხრივ მუდამ ინტერნაციონალური იყო, — ბურჟუაზია მსოფლიო მასშტაბით ამჟამად ჯერ კიდევ ძლიერია ჩვენზე. მის ბატონობას სწრაფად ეთხრება ძირი, იგი ხედავს ისეთ მაგალითებს, როგორიცაა უნგრეთის რევოლუცია, რომლის შესახებ ჩვენ ბედნიერება გვქონდა გუშინ გვეცნობებინა თქვენთვის და რომლის შესახებ დღეს მოდის დამადასტურებელი ცნობები, — ის უკვე ხვდება, რომ მისი ბატონობა ირყევა. მას არ რჩება მოქმედების თავისუფლება. მაგრამ ამჟამად, თუ გავითვალისწინებთ მატერიალურ საშუალებებს მსოფლიო მასშტაბით, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ახლა ბურჟუაზია მატერიალურად ჯერ კიდევ ჩვენზე ძლიერია.

აი ჩვენი ყურადღების, ჩვენი პრაქტიკული მუშაობის ცხრა მეათედი რატომ იყო და კიდევაც უნდა ყოფილიყო მიქცეული ამ ძირითად საკითხზე — ბურჟუაზიის დამხობაზე, პროლეტარიატის ძალაუფლების განმტკიცებაზე, ძალაუფლების სათავეში ბურჟუაზიის დაბრუნების ყოველგვარი შესაძლებლობის მოსპობაზე. ეს სავსებით ბუნებრივია, კანონიერია, გარდუვალია და ძალიან ბევრი რამ ამ მხრივ წარმატებით შესრულდა.

ახლა კი ჩვენ დღის წესრიგში უნდა დავაყენოთ სხვა ფენების საკითხი. მორიგ საკითხად ჩვენ უნდა დავაყენოთ, — ეს იყო ჩვენი საერთო დასკვნა აგრარულ სექციაში, და ამას, დარწმუნებული ვართ, დაეთანხმება ყველა პარტიული მუშაკი, იმიტომ რომ ჩვენ მხოლოდ შევაჯამეთ მათი დაკვირვებების გამოცდილება, — ჩვენ დღის წესრიგში უნდა დავაყენოთ საშუალო გლეხობის საკითხი მთელი თავისი მოცულობით.

რა თქმა უნდა, მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც ნაცვლად ჩვენი რევოლუციის მსვლელობის მოფიქრებისა,

ნაცვლად იმაზე ფიქრისა, თუ რა ამოცანები დგას ამჟამად ჩვენს წინაშე, — ნაცვლად ამისა საბჭოთა ხელისუფლების ყოველ ნაბიჯს გამოიყენებენ ხითხითისა და იმ ტიპის კრიტიკანობისა-თვის, რასაც ჩვენ ვხედავთ ბატონ მენშევიკებსა და მემარჯ-ვენე ესერებში. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც დღემ-დე ვერ გაიგეს, რომ მათ არჩევანი უნდა მოახდინონ ჩვენსა და ბურჟუაზიულ დიქტატურას შორის. ჩვენ დიდი მოთმინება და გულკეთილობაც კი გამოვიჩინეთ მათ მიმართ, ჩვენ კიდევ ერთხელ მივცემთ მათ შესაძლებლობას გამოსცადონ ეს ჩვე-ნი გულკეთილობა, მაგრამ ახლო მომავალში ამ მოთმინებას და გულკეთილობას ჩვენ საზღვარს დავუდებთ და, თუ ისინი თავის არჩევანს არ მოახდენენ, ჩვენ სრულიად სერიოზულად მივცემთ მათ წინადადებას — წავიდნენ კოლჩაკთან. (ტ ა შ ი.) ამ ხალხისაგან ჩვენ არ მოველით განსაკუთრებულ ბრწყინვა-ლე გონებრივ ნიჭს. (ს ი ც ი ლ ი.) მაგრამ შესაძლებელი იყო მოლოდინი გვქონოდა, რომ, რაკი თავიანთ თავზე გამოსცა-დეს კოლჩაკის მხეცობა, ისინი მიხვდებოდნენ, რომ ჩვენ უფ-ლება გვაქვს მოვთხოვოთ მათ არჩევანი მოახდინონ ჩვენსა და კოლჩაკს შორის. თუ პირველ თვეებში ოქტომბრის შემდეგ ბევრი გულუბრყვილო ადამიანი სისულელეს იჩენდა და ფიქ-რობდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ეს არის რაღაც წარმავალი, შემთხვევითი, — ახლა თვით მენშევიკებმაც და ესერებმაც უნდა შეიგნონ, რომ არის რაღაც კანონზომიერი იმ ბრძოლაში, რომელიც წარმოებს მთელი საერთაშორისო ბურჟუაზიის შემოტევის პირობებში.

სინამდვილეში შეიქმნა მხოლოდ ორი ძალა: ბურჟუაზიის დიქტატურა და პროლეტარიატის დიქტატურა. ვინც ვერ ამოიკითხა ეს მარქსიდან, ვინც ვერ ამოიკითხა ეს ყველა დიდი სოციალისტის თხზულებებიდან, — ის არასოდეს არ ყოფი-ლა სოციალისტი, სოციალიზმისა მას არაფერი არ გაეგებოდა, და მხოლოდ სოციალისტს უწოდებდა თავს. ამ ადამიანებს ჩვენ მოკლე ვადას ვაძლევთ მოსაფიქრებლად და მოვითხოვთ, რათა მათ ეს საკითხი გადაჭრან. ისინი მე იმიტომ ვახსენე, რომ ახლა ისინი ლაპარაკობენ ანდა ილაპარაკებენ: «ბოლშევიკებმა

დააყენეს საშუალო გლეხობის საკითხი, უნდათ მოელაქუცონ მას». მე საუცხოოდ ვიცი, რომ ამგვარი არგუმენტაცია, და გაცილებით უარესიც, ფართო ადგილს პოულობს მენშევიკურ პრესაში. ჩვენ უკუვაგდებთ მას, ჩვენ არასოდეს არ ვაძლევთ მნიშვნელობას ჩვენი მოწინააღმდეგეების ლაყბობას. იმ ადამიანებს, რომელთაც დღემდე უნარი შესწევთ ირბინონ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, შეუძლიათ, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ. ჩვენ ჩვენი გზით მივდივართ.

ჩვენი გზა განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა ძალების კლასობრივი გათვალისწინებით. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ვითარდება ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ბრძოლა. ვიდრე ეს ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ჩვენ გაძლიერებულ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ის ბოლომდე მივიყვანოთ. ის ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მიყვანილი. ამ ბრძოლაში უკვე ბევრის გაკეთება მოხერხდა. ამჟამად საერთაშორისო ბურჟუაზიას უკვე აღარ შეუძლია ხელ-ფეხგახსნილმა იმოქმედოს. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის, რომ მოხდა უნგრეთის პროლეტარული რევოლუცია. ამიტომ ცხადია, რომ ჩვენი მშენებლობა სოფლად უკვე გასცილდა იმ ფარგლებს, როცა ყველაფერი ემორჩილებოდა ძალაუფლებისათვის ბრძოლის ძირითად მოთხოვნას.

ამ მშენებლობამ ორი მთავარი ფაზა განვლო. 1917 წლის ოქტომბერში ჩვენ ძალაუფლებას ვიღებდით ს ა ე რ თ ო დ გ ლ ე ხ ო ბ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ. ეს იყო ბურჟუაზიული რევოლუცია, რამდენადაც კლასობრივი ბრძოლა სოფლად ჯერ კიდევ არ იყო გაშლილი. როგორც მე უკვე ვთქვი, მხოლოდ 1918 წლის ზაფხულში დაიწყო ნამდვილი პროლეტარული რევოლუცია სოფლად. ჩვენ რომ ვერ მოგვეხერხებინა ამ რევოლუციის გამოწვევა, ჩვენი მუშაობა სრული არ იქნებოდა. პირველი ეტაპი იყო ძალაუფლების აღება ქალაქში, მართვა-გამგეობის საბჭოთა ფორმის დამყარება. მეორე ეტაპი იყო, ის, რაც ყველა სოციალისტისათვის ძირითადია, ურომლისოდაც სოციალისტები სოციალისტები არ არიან: პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ელემენტების გამოყოფა

სოფლად, მათი შემჭიდროება ქალაქის პროლეტარიატთან ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად სოფლად. ძირითადად ეს ეტაპიც დამთავრებულია. ის ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენ თავდაპირველად ამისთვის შევქმენით, ღარიბთა კომიტეტები, იმდენად განმტკიცდნენ, რომ ჩვენ შესაძლებლად ვცანით შეგვეცვალა ისინი სწორად არჩეული საბჭოებით, ე. ი. მოგვეხდინა სოფლის საბჭოების რეორგანიზაცია ისე, რომ ისინი გამხდარიყვნენ კლასობრივი ბატონობის ორგანოებად, პროლეტარული ხელისუფლების ორგანოებად სოფლად. ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა კანონი სოციალისტური მიწათმოწყობისა და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გარდამავალი ზომების შესახებ, — რომელმაც არც ისე დიდი ხანია, რაც ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში გაიარა და, რა თქმა უნდა, ყველასათვის ცნობილია იგი, — აჯამებენ განვლილს ჩვენი პროლეტარული რევოლუციის თვალსაზრისით.

მთავარი, რაც პროლეტარული რევოლუციის პირველ და ძირითად ამოცანას შეადგენს, ჩვენ გავაკეთეთ. და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ეს გავაკეთეთ, — რიგში დადგა უფრო რთული ამოცანა: დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა შ უ ა ლ ო გ ლ ე ხ ო ბ ი ს ა დ მ ი. ვინც ფიქრობს, რომ ამ ამოცანის წამოყენება წარმოადგენს ჩვენი ძალაუფლების ხასიათის შესუსტების, პროლეტარიატის დიქტატურის შესუსტების, ჩვენი ძირითადი პოლიტიკის, თუნდაც ნაწილობრივ, თუნდაც ოდნავ სუსტი შეცვლის მსგავს რამეს, — მას სრულიად არ ესმის პროლეტარიატის ამოცანები, კომუნისტური გადატრიალების ამოცანები. მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ადამიანები ჩვენს პარტიაში არ მოიპოვებიან. მე მინდოდა მხოლოდ გამეფრთხილებინა ამხანაგები იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მოიპოვებიან მუშათა პარტიის გარეთ და ასე ილაპარაკებენ არა იმიტომ, რომ ეს გამომდინარეობდეს რაიმე მსოფლმხედველობიდან, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე გაგვიფუჭონ და თეთრგვარდიელებს დაეხმარონ, — უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენს წინააღმდეგ აამხედრონ

საშუალო გლეხი, რომელიც მუდამ მერყეობდა, არ შეიძლება არ მერყეობდეს და საკმაოდ დიდხანს იქნება კიდევ რყევაში. იგი რომ ჩვენს წინააღმდეგ აამხედრონ, ეტყვიან: «ხედავთ, ისინი გელაქუცებიან! მაშასადამე, ანგარიში გაუწიეს თქვენს აჯანყებებს, მაშასადამე, შეეყოყმანდნენ» და სხვ. და ა. შ.. საჭიროა, რომ ასეთი აგიტაციის წინააღმდეგ ყველა ჩვენი ამხანაგი იყოს შეიარაღებული. და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი შეიარაღებული იქნებიან, თუ მივაღწევთ ახლა ამ საკითხის დაყენებას კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით.

სრულიად ნათელია, რომ ეს ძირითადი საკითხი წარმოადგენს უფრო რთულ, მაგრამ არა ნაკლებ საარსებო ამოცანას: როგორ განვსაზღვროთ ზუსტად პროლეტარიატის დამოკიდებულება საშუალო გლეხობისადმი? ამხანაგებო, ეს საკითხი მარქსისტებისათვის არ წარმოადგენს სიძნელეს თეორიული თვალსაზრისით, რომელიც შეითვისა მუშების უდიდესმა უმრავლესობამ. მაგალითად, მე მოგაგონებთ, რომ კაუცკის წიგნში აგრარული საკითხის შესახებ, რომელიც დაწერილია ჯერ კიდევ იმ დროს, როცა კაუცკი სწორად გადმოსცემდა მარქსის მოძღვრებას და უდავო ავტორიტეტად იყო ცნობილი ამ სფეროში, — ამ წიგნში აგრარული საკითხის შესახებ ის ლაპარაკობს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის გამო: სოციალისტური პარტიის ამოცანას შეადგენს გლეხობის ნეიტრალიზაცია, ე. ი. იმის მიღწევა, რომ გლეხი ნეიტრალური დარჩეს პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ბრძოლაში, რომ გლეხს არ შეეძლოს აქტიური დახმარება გაუწიოს ბურჟუაზიას ჩვენს წინააღმდეგ.

ბურჟუაზიის ბატონობის უდიდესი პერიოდის განმავლობაში გლეხობა მხარს უჭერდა მის ძალაუფლებას, ბურჟუაზიის მხარეზე იყო. ეს გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ ბურჟუაზიის ეკონომიურ ძალას და მისი ბატონობის პოლიტიკურ საშუალებებს. ჩვენ არ შეგვიძლია იმის იმედი გვქონდეს, რომ საშუალო გლეხი დაუყოვნებლივ ჩვენს მხარეზე დადგება. მაგრამ თუ ჩვენ სწორად ვაწარმოებთ

პოლიტიკას, რამდენიმე ხნის შემდეგ ეს მერყეობა შეწყდება, და გლეხი შესძლებს ჩვენს მხარეზე დადგეს.

ჯერ კიდევ ენგელსი, რომელმაც მარქსთან ერთად ჩაუყარა საფუძველი მეცნიერულ მარქსიზმს, ე. ი. იმ მოძღვრებას, რომლითაც ხელმძღვანელობს ჩვენი პარტია მუდამ და განსაკუთრებით რევოლუციის დროს, — ჯერ კიდევ ენგელსი აწესებდა გლეხობის დაყოფას წვრილ, საშუალო და მსხვილ გლეხობად, და ეს დაყოფა ევროპის ქვეყნების უდიდესი უმრავლესობისათვის ახლაც შეეფერება სინამდვილეს. ენგელსი ამბობდა: «შესაძლოა, ყველგან არ მოგვიხდეს ძალით დათრგუნვა მსხვილი გლეხობისაც კი». ხოლო ჩვენ რომ ოდესმე ძალმომრეობა გამოვიყენოთ საშუალო გლეხობის მიმართ (წვრილი გლეხობა ჩვენი მეგობარია),—ეს არც ერთ გონიერ სოციალისტს არასოდეს არ უფიქრია. ასე ამბობდა ენგელსი 1894 წელს, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, როცა აგრარული საკითხი დღის წესრიგში დადგა [37]. ეს თვალსაზრისი გვიჩვენებს იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც ზოგჯერ ივიწყებენ, მაგრამ რომლის შესახებ თეორიაში ჩვენ ყველა თანახმა ვართ. მემამულეებისა და კაპიტალისტების მიმართ ჩვენი ამოცანაა — სრული ექსპროპრიაცია. მაგრამ არავითარ ძალმომრეობას საშუალო გლეხობის მიმართ ჩვენ არ დავუშვებთ. თვით მდიდარი გლეხობის მიმართაც ჩვენ არ ვლაპარაკობთ ისე გადაჭრით, როგორც ბურჟუაზიის მიმართ: მდიდარი გლეხობისა და კულაკების აბსოლუტური ექსპროპრიაციაო. ეს განსხვავება ჩვენს პროგრამაში გატარებულია. ჩვენ ვამბობთ: მდიდარი გლეხობის წინააღმდეგობის დათრგუნვა, მისი კონტრრევოლუციური ზრახვების დათრგუნვა. ეს არ არის სრული ექსპროპრიაცია.

ძირითად განსხვავებას, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს დამოკიდებულებას ბურჟუაზიისა და საშუალო გლეხობისადმი, — ბურჟუაზიის სრული ექსპროპრიაცია, კავშირი საშუალო გლეხობასთან, რომელიც სხვების ექსპლოატაციას არ ეწევაო, — ამ ძირითად ხაზს თეორიაში ყველა აღიარებს. მაგრამ პრაქტიკულად ამ ხაზს იცავენ არათანამიმდევრად,

ადგილებზე ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს მისი დაცვა. როცა, ბურ-ჟუაზიის დამხობისა და თავისი ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ, პროლეტარიატი სხვადასხვა მხრით შეუდგა ახალი საზოგადოების შექმნის საქმეს, საშუალო გლეხობის საკითხი პირველ რიგში დადგა. არც ერთი სოციალისტი ქვეყნად არ უარყოფდა იმას, რომ კომუნიზმის შექმნა სხვადასხვანაირად წავიდოდა მსხვილი მიწათმოქმედების ქვეყნებსა და წვრილი მიწათმოქმედების ქვეყნებში. ეს უაღრესად ელემენტარული, ანბანური ჭეშმარიტებაა. ამ ჭეშმარიტებიდან გამომდინარეობს, რომ, რაც უფრო ვუახლოვდებით კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, ჩვენი ცენტრალური ყურადღება ერთგვარად მიპყრობილი უნდა იყოს სწორედ საშუალო გლეხობაზე.

ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვსაზღვრავთ ჩვენს დამოკიდებულებას საშუალო გლეხობისადმი. თეორიულად ეს საკითხი გადაწყვეტილია, მაგრამ ჩვენ საუცხოოდ განვიცადეთ, საკუთარი გამოცდილებით ვიცით რა განსხვავებაა საკითხის თეორიულ გადაწყვეტასა და გადაწყვეტილების პრაქტიკულად განხორციელებას შორის. ჩვენ პირისპირ მივადექით ამ განსხვავებას, რომელიც ასე დამახასიათებელია საფრანგეთის დიდი რევოლუციისათვის, როცა საფრანგეთის კონვენტი გაბედულად სახავდა ფართო ღონისძიებებს, ხოლო მათი განხორციელებისთვის მას არ ჰქონდა სათანადო დასაყრდენი, მან ისიც კი არ იცოდა, თუ რომელ კლასს დაყრდნობოდა ამა თუ იმ ღონისძიების განსახორციელებლად.

ჩვენ განუზომლად უფრო ბედნიერ პირობებში ვიმყოფებით. განვითარების მთელი საუკუნის წყალობით ჩვენ ვიცით, თუ რომელ კლასს ვეყრდნობით. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ პრაქტიკული გამოცდილება ამ კლასს ძალიან და ძალიან არასაკმაო აქვს. მუშათა კლასისათვის, მუშათა პარტიისათვის ძირითადი ამოცანა ნათელი იყო: ბურჟუაზიის ხელისუფლების დამხობა და მუშებისათვის ძალაუფლების გადაცემა. მაგრამ რ ო გ ო რ გაგვეკეთებინა ეს? ყველას ახსოვს, რა სიძნელეებით, რამდენი შეცდომების შემდეგ გადავდიოდით მუშათა

კონტროლიდან მრეწველობის მუშათა მართვა-გამგეობაზე. და ეს ხომ ჩვენი კლასის შიგნით, იმ პროლეტარული წრის შიგნით მუშაობას წარმოადგენდა, რომელთანაც ჩვენ მუდამ გვიხდებოდა საქმის დაჭერა. ახლა კი გვიხდება ჩვენი დამოკიდებულების გარკვევა ახალი კლასისადმი, იმ კლასისადმი, რომელსაც ქალაქის მუშა არ იცნობს. საჭიროა დამოკიდებულების გარკვევა იმ კლასისადმი, რომელსაც არა აქვს განსაზღვრული მყარი მდგომარეობა. პროლეტარიატი, მასობრივად აღებული, სოციალიზმის მომხრეა, ბურჟუაზია, მასობრივად აღებული, სოციალიზმის წინააღმდეგია, — დამოკიდებულების გარკვევა ამ ორ კლასს შორის ადვილია. ხოლო როცა ჩვენ გადავდივართ ისეთ ფენაზე, როგორიცაა საშუალო გლეხობა, ვხედავთ, რომ ეს ისეთი კლასია, რომელიც მერყეობს. ის ნაწილობრივ მესაკუთრეა, ნაწილობრივ მშრომელი. ის არ ეწევა მშრომელთა სხვა წარმომადგენლების ექსპლოატაციას. მას ათეული წლობით უხდებოდა სიძნელით დაეცვა თავისი მდგომარეობა, მან თავის თავზე განიცადა მემამულეებისა და კაპიტალისტების ექსპლოატაცია, მან ყველაფერი გადაიტანა და ამავე დროს ის — მესაკუთრეა. ამიტომ ჩვენი დამოკიდებულება ამ მერყევი კლასისადმი უდიდეს სიძნელეებს წარმოადგენს. ვემყარებით რა ჩვენს ერთ წლისაზე მეტ გამოცდილებას, ჩვენს ნახევარ წლისაზე მეტ პროლეტარულ მუშაობას სოფლად, იმას, რომ უკვე მოხდა სოფლის კლასობრივი დაყოფა ფენებად,—ჩვენ აქ ყველაზე მეტად უნდა ვერიდოთ აჩქარებას, უხეირო თეორიულობას, პრეტენზიებს — მზად ჩავთვალოთ ის, რასაც ჩვენ ვიმუშავებთ, რაც ჩვენ ჯერ კიდევ არ გამოგვიმუშავებია. რეზოლუციაში, რომელსაც გიდგენთ სექციის მიერ არჩეული კომისია, და რომელსაც წაგიკითხავთ ერთ-ერთი შემდგომი ორატორი, თქვენ საკმაო გაფრთხილებას იპოვით ამ მხრივ.

ეკონომიური თვალსაზრისით ცხადია, რომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ საშუალო გლეხობას. თეორიულად ამაში არავითარი ეჭვი არ არის. მაგრამ ჩვენი ზნე-ჩვეულებების, ჩვენი კულტურულობის დონის პირობებში, ჩვენი იმ კულტურული

და ტექნიკური ძალების ნაკლებობის პირობებში, რომელთა მიწოდება ჩვენ შეგვიძლია სოფლისთვის, და იმ უძლურების დროს, რომლითაც ჩვენ ხშირად ვუდგებით სოფელს, ამხანაგები ძლიერ ხშირად მიმართავენ იძულებას, რითაც მთელ საქმეს აფუჭებენ. სულ ახლახან, გუშინ, ერთმა ამხანაგმა მომცა პატარა ბროშურა, სახელწოდებით «ინსტრუქციები და დებულებანი ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში პარტიული მუშაობის დაყენების შესახებ», გამოცემა რკპ (ბოლშევიკების) ნიჟნი-ნოვგოროდის კომიტეტისა, — და ამ ბროშურაში მე ვკითხულობ, მაგალითად, 41-ლ გვერდზე: «დეკრეტი საგანგებო გადასახადის შესახებ მთელი თავისი სიმძიმით მხრებზე უნდა დააწვეს სოფლის კულაკებს, სპეკულანტებს და საერთოდ გლეხობის საშუალო ელემენტს»[38]. აი აქ შეიძლება ითქვას, რომ მუშაკებმა «გაიგეს»! ან ეს ბეჭდვითი შეცდომაა, — მაგრამ შეუწყნარებელია ასეთი შეცდომების დაშვება! ან ეს ნაუცბათევი, ნაჩქარევი ნამუშევარია, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა საშიშია ყოველგვარი აჩქარება ამ საქმეში. ან აქ — ეს ყველაზე უარესი ვარაუდია, რომელიც მე არ მსურს დავუშვა ნიჟნი-ნოვგოროდელი ამხანაგების მიმართ, — უბრალო გაუგებლობაა. ადვილი შესაძლებელია ეს უბრალო შეუმჩნევლობა იყოს.

პრაქტიკაში ხდება ასეთი შემთხვევები, როგორც კომისიაში გვიამბო ერთმა ამხანაგმა. მას გარს შემოერტყნენ გლეხები, და თვითეული ეკითხებოდა: «გამირკვიე, საშუალო გლეხი ვარ მე თუ არა? მე მყავს ორი ცხენი და ერთი ძროხა. მე მყავს ორი ძროხა და ერთი ცხენი» და სხვ.. და აი ამ აგიტატორს, რომელიც დადის ყველა მაზრაში, საჭიროა ჰქონდეს ისეთი უტყუარი თერმომეტრი, რომ შეიძლებოდეს გაუკეთოს ის გლეხს და თქვას, საშუალო გლეხია ის თუ არა. ამისათვის საჭიროა ამ გლეხის მეურნეობის მთელი ისტორიის, დაბალ და მაღალ ჯგუფებთან მისი დამოკიდებულების ცოდნა, — ხოლო ამის ზუსტად ცოდნა ჩვენ არ შეგვიძლია.

აქ საჭიროა დიდი პრაქტიკული უნარი, ადგილობრივი პირობების ცოდნა. ეს კი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს. ამის

აღიარება სრულიად არ არის სირცხვილი; ჩვენ აშკარად უნდა ვაღიაროთ ეს. ჩვენ არასდროს არ ვყოფილვართ უტოპისტები და არ ვფიქრობდით, რომ კომუნისტურ საზოგადოებას ჩვენ ავაშენებთ იმ სუფთა კომუნისტების სუფთა ხელებით, რომლებიც უნდა დაიბადონ და აღიზარდონ წმინდა-კომუნისტურ საზოგადოებაში. ეს ბავშვური ზღაპრებია. კომუნიზმი ჩვენ უნდა ავაშენოთ კაპიტალიზმის ნამსხვრევებიდან, და ამის გაკეთება მხოლოდ იმ კლასს შეუძლია, რომელიც გამობრძმედილია ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ. პროლეტარიატი, — თქვენ ჩინებულად იცით ეს, — მოკლებული არ არის კაპიტალისტური საზოგადოების ნაკლოვანებებსა და სისუსტეს. ის იბრძვის სოციალიზმისათვის, და ამავე დროს იბრძვის საკუთარი ნაკლოვანებების წინააღმდეგ. პროლეტარიატის საუკეთესო მოწინავე ნაწილს, რომელიც ქალაქებში ათეული წლობით აწარმოებდა სასტიკ ბრძოლას, შეეძლო ამ ბრძოლაში ქალაქის და დედაქალაქის ცხოვრების მთელი კულტურა შეეთვისებინა და ერთგვარად კიდევაც შეითვისა იგი. თქვენ იცით, რომ თვით მოწინავე ქვეყნებშიც კი სოფლის ხვედრი იყო სიბნელეში ყოფნა. რა თქმა უნდა, სოფლის კულტურულობას ჩვენ ავამაღლებთ, მაგრამ ეს წლებისა და წლების საქმეა. აი რას ივიწყებენ ჩვენში ამხანაგები ყველგან და აი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ რას გვიხატავს ჩვენ ყოველი სიტყვა ადგილებიდან ჩამოსული ადამიანებისა, არა აქაური ინტელიგენტებისა, არა უწყებათა ადამიანებისა, — მათგან ჩვენ ბევრი რამ მოგვისმენია, — არამედ იმ ადამიანებისა, რომლებიც პრაქტიკულად ადევნებდნენ თვალყურს სოფლად მუშაობას. აი ეს ხმები იყო განსაკუთრებით საგულისხმო ჩვენთვის აგრარულ სექციაში. ეს ხმები განსაკუთრებით საგულისხმო იქნება ახლა, — მე ამაში დარწმუნებული ვარ, — მთელი პარტიული ყრილობისათვის, რადგან ისინი ამოღებულია არა წიგნებიდან, არა დეკრეტებიდან, არამედ თვით ცხოვრებიდან.

ყველაფერი ეს გვაქვეზებს ვიმუშაოთ იმ მხრივ, რომ მეტი გარკვეულობა შევიტანოთ ჩვენს დამოკიდებულებაში საშუალო

ბლეხობისადმი. ეს მეტად ძნელია, რადგან ეს გარკვეულობა არ არის ცხოვრებაში. ეს საკითხი არათუ გადაჭრილი არ არის, არამედ მისი გადაჭრა შეუძლებელიცაა, თუ მისი გადაჭრა ერთბაშად და დაუყოვნებლივ სურთ. არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ: «არ იყო საჭირო ამდენი დეკრეტების წერაო», — და უსაყვედურებენ საბჭოთა მთავრობას, რომ მან ხელი მოჰკიდა დეკრეტების წერას, როცა არ იცოდა, როგორ განეხორციელებინა ისინი. ეს ადამიანები არსებითად ვერ ამჩნევენ, როგორ მიექანებიან თეთრგვარდიელებისაკენ. ჩვენ რომ ვფიქრობდეთ, რომ ასეული დეკრეტის დაწერით შეიცვლება სოფლის მთელი ცხოვრება, ჩვენ სრული რეგვნები ვიქნებოდით. მაგრამ ჩვენ რომ უარი გვეთქვა დეკრეტებში გზის დასახვაზე, სოციალიზმის მოღალატენი ვიქნებოდით. ეს დეკრეტები, რომლებიც პრაქტიკულად არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო ერთბაშად და მთლიანად, დიდ როლს ასრულებდნენ პროპაგანდისთვის. თუ წინათ ჩვენ პროპაგანდას ვეწეოდით ზოგადი ჭეშმარიტებებით, ახლა ჩვენ პროპაგანდას ვეწევით მუშაობით. ესეც აგრეთვე ქადაგებაა, მაგრამ ეს არის ქადაგება მოქმედებით — მხოლოდ არა რომელიმე მეტიჩრების ცალკეული მოქმედების აზრით, რასაც ჩვენ ასე დავცინოდით ანარქისტებისა და ძველი სოციალიზმის ეპოქაში. ჩვენი დეკრეტი არის მოწოდება, მაგრამ მოწოდება არა წინანდელი სულისკვეთებით: «მუშებო, აღსდექით, დაამხვეთ ბურჟუაზიაო!». არა, ეს არის მოწოდება მასებისადმი, მათი მოწოდება პრაქტიკული საქმისაკენ. დეკრეტები, ეს არის ინსტრუქციები, რომლებიც მოუწოდებენ მასობრივი პრაქტიკული საქმისაკენ. აი რა არის მნიშვნელოვანი. დაე ამ დეკრეტებში ბევრი რამ იყოს უვარგისი, ბევრი რამ იყოს ისეთი, რაც არ განხორციელდება. მაგრამ მათში არის მასალა პრაქტიკული საქმისთვის, და დეკრეტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ასწავლოს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა იმ ასობით, ათასობით და მილიონობით ადამიანებს, რომ-

ლებიც ყურს უგდებენ საბჭოთა ხელისუფლების ხმას. ეს არის პრაქტიკული მოქმედების მოსინჯვა სოციალისტური მშენებლობის სფეროში სოფლად. თუ ჩვენ საქმეს ასე შევხედავთ, მაშინ ჩვენი კანონების, დეკრეტებისა და დადგენილებების მთელი ჯამიდან მეტისმეტად ბევრ რამეს გამოვიტანთ. ჩვენ არ შევხედავთ მათ, როგორც აბსოლუტურ დადგენილებებს, რომელთა განხორციელება საჭიროა აუცილებლად, ამწამსვე, ერთბაშად.

უნდა ვერიდოთ ყოველივე იმას, რაც წაახალისებდა პრაქტიკულად ცალკეულ ბოროტმოქმედებას. ჩვენ აქა-იქ მოგვეტმასნენ კარიერისტები, ავანტიურისტები, რომლებმაც კომუნისტები დაირქვეს და გვატყუებენ, რომლებიც შემოძვრნენ ჩვენს რიგებში იმიტომ, რომ ახლა კომუნისტები ხელისუფლების სათავეში არიან, იმიტომ, რომ უფრო პატიოსანი «მსახური» ელემენტები არ მოვიდნენ ჩვენთან სამუშაოდ თავიანთი ჩამორჩენილი იდეების გამო, ხოლო კარიერისტებს არავითარი იდეები, არავითარი პატიოსნება არ გააჩნიათ. ეს ადამიანები, რომლებიც მიისწრაფვიან მხოლოდ დამსახურებისაკენ, ადგილებზე იყენებენ იძულებას და ფიქრობენ, რომ ეს კარგია. საქმით კი ამას ზოგჯერ იქამდე მივყავართ, რომ გლეხები ამბობენ: «გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ ძირს კომუნია!» (ე. ი. კომუნიზმიო). ასეთი შემთხვევები გამოგონილი კი არაა, არამედ აღებულია ნამდვილი ცხოვრებიდან, ადგილობრივი ამხანაგების ცნობებიდან. ჩვენ არ უნდა დავიშალოთ ის, რა უზარმაზარი ვნება მოაქვს ყოველგვარ ზომაგადასულობას, ყოველგვარ ნაუცბათევობას და აჩქარებას.

ჩვენ აუცილებლად უნდა დაგვეჩქარებინა თავგანწირული ნახტომით გამოსვლა იმპერიალისტური ომიდან, რომელმაც კრახამდე მიგვიყვანა, საჭირო იყო დაგვეძაბა მთელი ძალღონე, რომ გაგვესრისა ბურჟუაზია და ის ძალები, რომლებიც ჩვენ გვემუქრებოდნენ გასრესას. ყველაფერი ეს აუცილებელი იყო, უამისოდ ჩვენ ვერ გავიმარჯვებდით. მაგრამ ამგვარადვე რომ ვიმოქმედოთ საშუალო გლეხობის მიმართ, — ეს ისეთი იდიოტიზმი, ისეთი სიბრიყვე და საქმის ისეთი დაღუპვა

იქნება, რომ შეგნებულად ასე მუშაობა მხოლოდ პროვოკატორებს შეუძლიათ. ამოცანა აქ სულ სხვანაირად უნდა დაისვას. აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ გავტეხოთ აშკარა ექსპლოატატორების წინააღმდეგობა, დავამარცხოთ ისინი და დავამხოთ, — ამ ამოცანას ჩვენ წინათ ვისახავდით. არა, იმისდაკვალად, თუ როგორ გადავჭერით ჩვენ ეს მთავარი ამოცანა, დღის წესრიგში უფრო რთული ამოცანები დგება. ძალმომრეობით აქ ვერაფერს შექმნი. ძალმომრეობა საშუალო გლეხობის მიმართ უდიდეს მავნებლობას წარმოადგენს. ეს არის მრავალრიცხოვანი, მრავალმილიონიანი ფენა. ევროპაშიც კი, სადაც ის არსად არ აღწევს ასეთ ძალას, სადაც გიგანტურად განვითარებულია ტექნიკა და კულტურა, ქალაქური ცხოვრება, რკინიგზები, სადაც ყველაზე ადვილი იქნებოდა ამაზე ფიქრი, — არავინ, არც ერთი ყველაზე რევოლუციური სოციალისტი არ მოითხოვდა ძალდატანებითი ზომების მიღებას საშუალო გლეხობის მიმართ.

როცა ძალაუფლებას ვიღებდით, ჩვენ ვეყრდნობოდით მთელ გლეხობას საერთოდ. მაშინ ყველა გლეხს ერთი ამოცანა ჰქონდა — ბრძოლა მემამულეებთან. მაგრამ დღემდე მათ შერჩათ აკვიატებული აზრი მსხვილი მეურნეობის მიმართ. გლეხი ფიქრობს: «თუ მსხვილი მეურნეობაა, მაშასადამე, მე ისევ მოჯამაგირე ვარ». რა თქმა უნდა, ეს შემცდარი აზრია. მაგრამ გლეხის გონებაში მსხვილი მეურნეობის წარმოდგენასთან დაკავშირებულია სიძულვილი, მოგონება იმაზე, თუ როგორ ჩაგრავდნენ ხალხს მემამულეები. ეს გრძნობა რჩება, ის ჯერ არ გამქრალა.

ყველაზე მეტად ჩვენ იმ ჭეშმარიტებას უნდა ვემყარებოდეთ, რომ აქ ძალმომრეობის მეთოდებით არსებითად არაფრის მიღწევა არ შეიძლება. აქ ეკონომიური ამოცანა სულ სხვანაირად დგას. აქ არ არის ის ზედაფენა, რომლის მოკვეთა შეიძლებოდეს ისე, რომ მთელი საძირკველი. მთელი შენობა დასტოვო. ის ზედაფენა, რომელსაც ქალაქში კაპიტალისტები შეადგენდნენ, აქ არ არის. აქ ძალმომრეობით

ბოქმედება მთელი საქმის დაღუპვას ნიშნავს. აქ საჭიროა ხანგრძლივი აღმზრდელობითი მუშაობა. გლეხს, რომელიც არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ მსოფლიოში, პრაქტიკოსია და რეალისტი, ჩვენ უნდა მივცეთ კონკრეტული მაგალითები იმის დასამტკიცებლად, რომ «კომუნია» ყველას სჯობია. რა თქმა უნდა, არაფერი არ გამოვა, თუ სოფლად გაჩნდებიან აჩქარებული ადამიანები, რომლებიც გადაფრინდნენ იქ ქალაქიდან, ჩავიდნენ, იმასლაათეს, მოაწყვეს რამდენიმე ინტელიგენტური, და შეიძლება არა ინტელიგენტური კინკლაობა, იჩხუბეს, იყაყანეს და წავიდ-წამოვიდნენ. ეს ხდება. პატივისცემის ნაცვლად ისინი დაცინვას იწვევენ და სრულიად კანონიერადაც.

ამ საკითხზე ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ კომუნებს ჩვენ ხელს ვუწყობთ, მაგრამ ისინი ისე უნდა მოვაწესრიგოთ, რომ გლეხის ნდობა მოიპოვონ. მანამდე კი ჩვენ — გლეხების მოწაფეები ვართ და არა მათი მასწავლებლები. იმაზე უფრო სულელური არაფერია, როცა ადამიანები, რომლებიც არ იცნობენ სოფლის მეურნეობას და მის თავისებურებას, ადამიანები, რომლებიც გაეშურნენ სოფელში მხოლოდ იმიტომ, რომ გაუგონიათ საზოგადოებრივი მეურნეობა სასარგებლოაო, დაიქანცნენ ქალაქური ცხოვრებით და სურთ სოფლად მუშაობა, — როცა ასეთი ადამიანები თავიანთ თავს გლეხების მასწავლებლად თვლიან ყველაფერში. არაფერია იმაზე უფრო სულელური, როგორც თვით აზრი ძალმომრეობის გამოყენებისა საშუალო გლეხის სამეურნეო ურთიერთობის სფეროში.

აქ ამოცანა მდგომარეობს არა საშუალო გლეხის ექსპროპრიაციაში, არამედ იმაში, რომ გავითვალისწინოთ გლეხის ცხოვრების განსაკუთრებული პირობები, იმაში, რომ ვისწავლოთ გლეხებისაგან უკეთეს წყობაზე გადასვლის წესები და არ გავბედოთ მბრძანებლობა! აი ის წესი, რომელიც ჩვენ დავისახეთ. (მთელი ყრილობის ტაში.) აი ის წესი, რომლის გადმოცემასაც ვეცადეთ რეზოლუციის

ჩვენს პროექტში, რადგან ამ მხრივ, ამხანაგებო, ჩვენ მართლაც რომ ცოტა ცოდვა არ მიგვიძღვის. ამის აღიარება სრულიად არ არის სირცხვილი. ჩვენ არ გვქონდა გამოცდილება. თვით ექსპლოატატორებთან ბრძოლა ჩვენ გამოცდილებიდან ვიღეთ. თუ ჩვენ ზოგჯერ გვკიცხავდნენ ამ ბრძოლისათვის, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: «ბატონო კაპიტალისტებო, ამაში თქვენა ხართ დამნაშავე. თქვენ რომ ასეთი ველური, ასეთი უაზრო, თავხედური და გააფთრებული წინააღმდეგობა არ გაგეწიათ, თქვენ რომ მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიას არ შეკავშირებოდით, — გადატრიალება უფრო მშვიდობიან ფორმებს მიიღებდა». ახლა, როცა უკუვაგდეთ გააფთრებული თავდასხმა ყოველი მხრიდან, ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ სხვა მეთოდებზე, იმიტომ რომ ჩვენ ვმოქმედებთ არა როგორც წრე, არამედ როგორც პარტია, რომელიც წინ მიუძღვის მილიონებს. მილიონებს არ შეუძლიათ ერთბაშად გაიგონ გეზის შეცვლა, და ამიტომ ხშირად კულაკებზე მოქნეული მუშტი საშუალო გლეხს ხვდება. ეს არ არის გასაკვირველი. საჭიროა მხოლოდ შევიგნოთ, რომ ამას იწვევს ისტორიული პირობები, რომლებიც აღმოფხვრილია, და რომ ახალი პირობები და ახალი ამოცანები ამ კლასის მიმართ ახალ ფსიქოლოგიას მოითხოვს.

ჩვენი დეკრეტები გლეხური მეურნეობის შესახებ ძირითადად სწორია. ჩვენ საფუძველი არა გვაქვს უარი ვთქვათ რომელიმე მათგანზე, სინანული გამოვთქვათ რომელიმეს გამო, მაგრამ თუ დეკრეტები სწორია, სწორი არ არის გლეხისთვის მათი ძალით თავს მოხვევა. არც ერთ დეკრეტში არ არის ეს თქმული. ისინი სწორია, როგორც დასახული გზები, როგორც მოწოდება პრაქტიკული ღონისძიებებისაკენ. როცა ჩვენ ვამბობთ: «წაახალისეთ გაერთიანება», — ჩვენ ვიძლევით დირექტივებს, რომლებიც ბევრჯერ უნდა მოისინჯოს, რომ ვიპოვოთ მათი განხორციელების საბოლოო ფორმა. რაკი თქმულია, რომ საჭიროა მივაღწიოთ ნებაყოფლობითს თანხმობას, მაშასადამე, საჭიროა გლეხის დარწმუნება და საჭიროა დარწმუნება პრაქტიკულად. სიტყვებით ისინი არ დაგვარწმუნებინებენ თავს და კარგსაც იზამენ. ცუდი

იქნებოდა, რომ ისინი გვარწმუნებინებდნენ თავს დეკრეტებისა და სააგიტაციო ფურცლების მარტო წაკითხვით. ეკონომიური ცხოვრების ასე გარდაქმნა რომ შეიძლებოდეს, — მთელი ეს გარდაქმნა გახვრეტილ კაპიკიანად არ ეღირებოდა. ჯერ უნდა დავამტკიცოთ, რომ ასეთი გაერთიანება უმჯობესია, უნდა გავაერთიანოთ ადამიანები ისე, რომ ისინი ნამდვილად გაერთიანდნენ, და არა ჩხუბობდნენ, — დავამტკიცოთ, რომ ეს ხელსაყრელია. ასე აყენებს საკითხს გლეხი, და ასე აყენებენ საკითხს ჩვენი დეკრეტებიც. თუ ამის მიღწევა ჩვენ დღემდე არ ვიცოდით, ამაში სამარცხვინო არაფერია, ჩვენ ეს აშკარად უნდა ვაღიაროთ.

ჯერჯერობით ჩვენ გადავჭერით მხოლოდ ყოველი სოციალისტური გადატრიალების ძირითადი ამოცანა, — ბურჟუაზიაზე გამარჯვების ამოცანა. ეს ამოცანა ჩვენ ძირითადად გადავჭერით, თუმცა ამჟამად იწყება საშინლად ძნელი ნახევარწელი, როცა მთელი მსოფლიოს იმპერიალისტები უკანასკნელ ძალას იკრებენ, რომ გაგვსრისონ. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, სრულიად გადაუჭარბებლად, რომ *მათ თვითონ შეიგნეს, რომ ამ ნახევარწლის შემდეგ მათი საქმე აბსოლუტურად უიმედოა.* ან ახლა ისარგებლებენ ისინი ჩვენი დაუძლურებით და დაამარცხებენ ერთ ქვეყანას, ანდა ჩვენ აღმოვჩნდებით გამარჯვებულნი არა მარტო ჩვენი ქვეყნის მიმართ. ამ ნახევარწელში, როცა სასურსათო და სატრანსპორტო კრიზისები ერთიმეორეს დაერთო, და იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობენ შემოტევას რამდენიმე ფრონტზე, ჩვენი მდგომარეობა მეტისმეტად მძიმეა. *მაგრამ ეს — უკანასკნელი მძიმე ნახევარწელია.* საჭიროა მთელი ძალ-ღონის წინანდებურად დაძაბვა გარეშე მტერთან საბრძოლველად, რომელიც თავს გვესხმის.

მაგრამ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ სოფლად მუშაობის ამოცანებზე, ჩვენ, მიუხედავად ყველა სიძნელისა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩვენი გამოცდილება მიმართულია ექსპლოატატორების უშუალო დათრგუნვისაკენ, — უნდა

გვახსოვდეს და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოფლად, საშუალო გლეხობის მიმართ, ამოცანები სხვანაირად დგას.

ყველა შეგნებული მუშა: პიტერის, ივანოვო-ვოზნესენსკის, მოსკოვის მუშები, რომლებიც სოფლად ყოფილან, — ყველანი გვიამბობდნენ იმის მაგალითებს, თუ მთელ რიგ გაუგებრობებს, რომელთა თავიდან აშორება თითქოს ყოვლად შეუძლებელი იყო, მთელ რიგ, თითქოს, უდიდეს, კონფლიქტებს თავიდან იშორებდნენ ან ასუსტებდნენ იმით, რომ გამოდიოდნენ გონიერი მუშები, რომლებიც ლაპარაკობდნენ არა წიგნურად, არამედ გლეხისთვის გასაგებ ენაზე, ლაპარაკობდნენ არა როგორც მეთაურნი, რომლებიც ნებას აძლევენ თავიანთ თავს იმბრძანებლონ, თუმცა ისინი არ იცნობენ სოფლურ ცხოვრებას, არამედ როგორც ამხანაგები, რომლებიც განმარტავდნენ მდგომარეობას, მიმართავდნენ მშრომელთა გრძნობებს ექსპლოატატორების წინააღმდეგ. და ამხანაგური ახსნა-განმარტების ამ ნიადაგზე აღწევდნენ იმას, რის მიღწევაც ვერ შესძლეს ასეულმა სხვებმა, რომელთაც თავი ეჭირათ როგორც მეთაურებსა და უფროსებს.

აი რა სულისკვეთებით არის გაჟღენთილი მთელი რეზოლუცია, რომელსაც ჩვენ ახლა ვადგენთ თქვენდა საყურადღებოდ.

ჩემს მოკლე მოხსენებაში მე ვცდილობდი შევჩერებულიყავი ამ რეზოლუციის პრინციპულ მხარეზე, მის საერთო პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. მე ვცდილობდი დამემტკიცებინა, და მინდა ვიფიქრო, რომ შევძელი დამტკიცება, — რომ საერთოდ მთელი რევოლუციის ინტერესების თვალსაზრისით ჩვენ არა გვაქვს არავითარი შებრუნება, ხაზის არავითარი ცვლილება. თეთრგვარდიელები და მათი თანაშემწეები ჰყვირიან ან დაიწყებენ ყვირილს ამის შესახებ. დაე იყვირონ. ეს ჩვენ არ გვაწუხებს. ჩვენ ფრიად თანამიმდევრად ვავითარებთ ჩვენს ამოცანებს. ჩვენთვის აუცილებელია ბურჟუაზიის დათრგუნვის ამოცანიდან ჩვენი ყურადღება გადავიტანოთ საშუალო გლეხობის ცხოვრების მოწყობის ამოცანაზე. ჩვენ მასთან მშვიდობიანად უნდა ვიცხოვროთ. საშუალო გლეხობა

კომუნისტურ საზოგადოებაში მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენს მხარეზე, როცა ჩვენ შევამსუბუქებთ და გავაუმჯობესებთ მისი ცხოვრების ეკონომიურ პირობებს. ჩვენ რომ შეგვეძლოს ხვალ 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორის მიცემა, მათი მომარაგება ბენზინით, მათი მომარაგება მემანქანეებით (თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჯერჯერობით ეს ფანტაზიაა), მაშინ საშუალო გლეხი იტყოდა: «მე კომუნიის მომხრე ვარ» (ე. ი. კომუნიზმის მომხრე ვარო). მაგრამ იმისთვის, რომ ეს გავაკეთოთ, ჯერ უნდა დავამარცხოთ საერთაშორისო ბურჟუაზია, უნდა ვაიძულოთ იგი მოგვცეს ეს ტრაქტორები, ანდა იმდენად უნდა გავადიდოთ ჩვენი შრომის ნაყოფიერება, რომ თვით ჩვენ შეგვეძლოს მათი მიწოდება. მხოლოდ ასე იქნება სწორად დასმული ეს საკითხი.

გლეხს ესაჭიროება ქალაქის მრეწველობა, უამისოდ მას ცხოვრება არ შეუძლია, ქალაქის მრეწველობა კი ჩვენს ხელშია. თუ ჩვენ სწორად მოვკიდებთ საქმეს ხელს, მაშინ გლეხიც მადლიერი გვეყოლება იმისთვის, რომ ჩვენ ქალაქიდან მივუტანთ მას ამ პროდუქტებს, ამ იარაღებს, ამ კულტურას. ყოველივე ამას მას მიუტანენ არა ექსპლოატატორები, არა მემამულეები, არამედ ისეთივე ამხანაგი-მშრომელები, რომლებსაც ის ძალიან დიდად აფასებს, მაგრამ აფასებს პრაქტიკულად, აფასებს მხოლოდ მათს ფაქტიურ დახმარებას, უარყოფს რა — და სრულიად სამართლიანადაც უარყოფს — ზევიდან მბრძანებლობას, «განკარგულებას».

ჯერ დაეხმარეთ, შემდეგ ეცადეთ ნდობის მოპოვებას. თუ სწორად გავუძღვებით ამ საქმეს, თუ სწორად იქნება დაყენებული ყოველი ჩვენი ჯგუფის ყოველი ნაბიჯი მაზრაში, ვოლოსტში, სასურსათო რაზმში, ყოველ ორგანიზაციაში, თუ ყოველი ჩვენი ნაბიჯი ყურადღებით იქნება შემოწმებული ამ თვალსაზრისით, ჩვენ მოვიპოვებთ გლეხის ნდობას და მხოლოდ მაშინ შევძლებთ წინ წასვლას. ახლა ჩვენ უნდა აღმოვუჩინოთ მას დახმარება, მივცეთ რჩევა-დარიგება. ეს იქნება არა მეთაურის ბრძანება, არამედ ამხანაგის რჩევა. მაშინ გლეხი სავსებით ჩვენს მხარეზე იქნება.

აი, ამხანაგებო, რას შეიცავს ჩვენი რეზოლუცია, აი რა უნდა გახდეს, ჩემი აზრით, ყრილობის გადაწყვეტილებად. თუ ჩვენ ამას მივიღებთ, თუ ეს განსაზღვრავს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მთელ მუშაობას, მაშინ ჩვენ თავს გავართმევთ მეორე დიდ ამოცანასაც, რომელიც ჩვენს წინაშე დგას.

თუ როგორ დავამხოთ ბურჟუაზია, როგორ დავთრგუნოთ იგი, — ეს ჩვენ ვისწავლეთ და ამით ვამაყობთ. თუ როგორ მოვაწესრიგოთ ურთიერთობა მილიონობით საშუალო გლეხობასთან, რა გზით მოვიპოვოთ მისი ნდობა, ეს ჩვენ ჯერ კიდევ არ გვისწავლია, — ეს აშკარად უნდა ითქვას, მაგრამ ამოცანა ჩვენ გავიგეთ, ჩვენ ის დავაყენეთ და ვეუბნებით ჩვენს თავს სრული იმედით, სრული ცოდნით და მთელი გაბედულებით: ამ ამოცანას ჩვენ დავძლევთ, და მაშინ სოციალიზმი აბსოლუტურად უძლეველი იქნება. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი.)

იბეჭდება ვ. ი. ლენინის მიერ შესწორებული
სტენოგრამის მიხედვით

7

სოფლად მუშაობის შესახებ მოხსენების გარშემო კამათის შეწყვეტის წინადადების წინააღმდეგ გამოსვლა

23 მარტს

ამხანაგებო, მე არასგზით არ შემიძლია დავეთანხმო იმას, რასაც წინა ორატორი ლაპარაკობდა, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ამ საღამოს თქვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადაიტანთ მუშაობას სოფლად. კომისიაში ჩვენ ვფიქრობდით, რომ აქ ყრილობაზე ვლაპარაკობთ არა ამ პატარა დარბაზისთვის, არამედ მთელი რუსეთისთვის, რომელიც არა მარტო წაიკითხავს ჩვენი ყრილობის გადაწყვეტილებებს, არამედ მოისურვებს ისიც გაიგოს, თუ რამდენად იზიარებს პარტია ინტერესს სოფლად მუშაობისადმი. ამიტომ საჭიროა მოვუსმინოთ ამხანაგებს ადგილებიდან. თუ თქვენ ამაზე დაკარგავთ ერთ საათს ან საათნახევარს, ამით სოფლად მუშაობას არა ევნება რა. ამიტომ კომისიის სახელით მე დაბეჯითებით გთხოვთ ნუ დაიშურებთ ამ ერთ ან ერთნახევარ საათს. უეჭველია, ბევრ რამეს არ მოგვცემს პრაქტიკოსების ის სიტყვები, რომელთაც აქ მოვისმენთ, მაგრამ გაზეთების მკითხველი მთელი რუსეთისთვის ჩვენი მუშაობის ეს რამდენიმე საათი ფრიად სასარგებლო იქნება.

8

რეზოლუცია საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ

სოფლად მუშაობის საკითხზე VIII ყრილობა, დგას რა 1919 წლის 22 მარტს მიღებული პარტიული პროგრამის საფუძველზე და მთლიანად უჭერს რა მხარს საბჭოთა ხელისუფლების მიერ უკვე გამოცემულ კანონს სოციალისტური მიწათმოწყობის შესახებ და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებათა შესახებ, აღიარებს, რომ ამჟამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული ხაზის უფრო სწორად გატარებას საშუალო გლეხობის მიმართ, მისი საჭიროებისადმი მეტი ყურადღების მიქცევის აზრით, ადგილობრივ ხელისუფალთა თვითნებობის აღმოფხვრისა და მასთან შეთანხმების მისწრაფების აზრით.

1) საშუალო გლეხების არევა კულაკობასთან, მათზე ამა თუ იმ ზომით კულაკობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გავრცელება, ნიშნავს არამცთუ საბჭოთა ხელისუფლების ყველა დეკრეტის და მთელი მისი პოლიტიკის, არამედ კომუნიზმის ყველა იმ ძირითადი პრინციპის უაღრესად უხეშად დარღვევას, რომლებიც მიგვითითებენ ბურჟუაზიის დასამხობად გაჩაღებული პროლეტარიატის გადამჭრელი ბრძოლის პერიოდში პროლეტარიატის შეთანხმებაზე საშუალო გლეხობასთან, როგორც ერთ-ერთ პირობაზე ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობაზე უმტკივნეულოდ გადასვლისათვის.

2) საშუალო გლეხობა, რომელსაც შედარებით მტკიცე ეკონომიური ფესვები აქვს, იმის გამო, რომ სასოფლო-სამე-

ურნეო ტექნიკა ჩამორჩება სამრეწველო ტექნიკას მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი, რუსეთზედაც რომ არაფერი ვთქვათ, საკმაოდ დიდხანს გაძლებს პროლეტარული რევოლუციის დაწყების შემდეგ. ამიტომ საბჭოთა მუშაკების ტაქტიკა სოფლად, ისე როგორც პარტიის მუშაკებისა, ნავარაუდევი უნდა იყოს საშუალო გლეხობასთან თანამშრომლობის ხანგრძლივი პერიოდისათვის.

3) პარტიამ აუცილებლად უნდა მიაღწიოს იმას, რომ სოფლის ყველა საბჭოთა მუშაკს სრულიად გარკვეული და მტკიცედ შეგნებული ჰქონდეს მეცნიერული სოციალიზმის მიერ სავსებით დადგენილი ჭეშმარიტება, რომ საშუალო გლეხობა არ ეკუთვნის ექსპლოატატორებს, რადგან არ იღებს მოგებას სხვისი შრომით. წვრილ მწარმოებელთა ასეთი კლასი ვერ იზარალებს სოციალიზმის დამყარებით, პირიქით, დიდად მოგებული დარჩება კაპიტალის უღლის დამხობით, კაპიტალისა, რომელიც მას ათასნაირი ხერხით ექსპლოატაციას უწევს ყოველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ყველაზე დემოკრატიულშიაც კი.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების სავსებით სწორი პოლიტიკა სოფლად უზრუნველყოფს ძლევამოსილი პროლეტარიატის კავშირსა და შეთანხმებას საშუალო გლეხობასთან.

4) საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა წაახალისონ ყოველგვარი ამხანაგობა და აგრეთვე საშუალო გლეხების სასოფლო-სამეურნეო კომუნები და არავითარი იძულება არ უნდა დაუშვან მათი შექმნის დროს. მხოლოდ იმ გაერთიანებებს აქვს ფასი, რომლებიც განხორციელებულია თვით გლეხების მიერ მათი თავისუფალი თაოსნობით და რომელთა სარგებლიანობაც შემოწმებულია მათ მიერ პრაქტიკულად. გადაჭარბებული სიჩქარე ამ საქმეში მავნებელია, რადგან ამას შეუძლია მხოლოდ გააძლიეროს საშუალო გლეხობის დაეჭვება სიახლეთა წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ნებას აძლევენ თავს მიმართონ არამცთუ პირდაპირს, არამედ თუნდაც **არაპირდაპირს იძულებას** კომუნებთან

გლეხების შეერთების მიზნით, უნდა მოეთხოვოთ უსასტიკესი პასუხისმგებლობა და გადაყენებულ იქნან სოფლად მუშაობიდან.

5) ყოველგვარი თვითნებური რეკვიზიცია, ე. ი. ისეთი რეკვიზიცია, რომელიც არ ეყრდნობა ცენტრალური ხელისუფლების კანონების ზუსტ მითითებებს, ულმობლად უნდა იდევნებოდეს. ყრილობა დაჟინებით მოითხოვს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და აგრეთვე სრ. რუს. ცაკის კონტროლის გაძლიერებას ამ მხრივ.

6) უკიდურესი ნგრევა, რომელიც გამოიწვია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ოთხი წლის იმპერიალისტურმა ომმა კაპიტალისტების მძარცველური ინტერესების გამო და რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა რუსეთში, ამჟამად მძიმე მდგომარეობაში აყენებს საშუალო გლეხებს.

იღებს რა ამას მხედველობაში, საბჭოთა ხელისუფლების კანონი საგანგებო გადასახადის შესახებ, მსოფლიოს ყველა ბურჟუაზიული მთავრობის ყველა კანონისაგან განსხვავებით, დაჟინებით მოითხოვს, რომ გადასახადის სიმძიმე მთლიანად დააწვეს კულაკებს, იმ ექსპლოატატორული გლეხობის მცირერიცხოვან წარმომადგენლებს, რომელმაც განსაკუთრებული სიმდიდრე მოიხვეჭა ომის განმავლობაში. საშუალო გლეხობა კი უნდა იბეგრებოდეს მეტისმეტად ზომიერად, ისე რომ მის ძალ-ღონეს შეეფერებოდეს და სამძიმო არ იყოს მისთვის.

პარტია მოითხოვს, რომ ყოველ შემთხვევაში საშუალო გლეხობას საგანგებო გადასახადის გადახდევინება შეუმსუბუქდეს, თუნდაც ამისთვის საჭირო გახდეს გადასახადის საერთო თანხის შემცირებაც კი.

7) სოციალისტურმა სახელმწიფომ უნდა გაშალოს უფართოესი დახმარება გლეხობისადმი, რაც, უმთავრესად, უნდა მდგომარეობდეს საშუალო გლეხების მომარაგებაში ქალაქის მრეწველობის პროდუქტებით და განსაკუთრებით გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, თესლით და

ყოველგვარი მასალით სასოფლო-სამეურნეო კულტურის ასამაღლებლად და გლეხების შრომისა და ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

თუ ახლანდელი ნგრევა საშუალებას არ გვაძლევს დაუყოვნებლივ და სრულად განვახორციელოთ ეს ზომები, ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფალნი ვალდებული არიან გამონახონ ყოველგვარი გზები ყოველგვარი რეალური დახმარების გასაწევად უღარიბესი და საშუალო გლეხობისათვის, რაც ზურგს გაუმაგრებდა მას დღევანდელ მძიმე მომენტში. პარტია საჭიროდ თვლის საამისოდ შეიქმნას დიდი სახელმწიფო ფონდი.

8) განსაკუთრებით უნდა ვეცადოთ, რომ ნამდვილად და ამასთან მთლიანად ხორციელდებოდეს საბჭოთა ხელისუფლების ის კანონი, რომელიც მოითხოვს საბჭოთა მეურნეობებისაგან, სასოფლო-სამეურნეო კომუნებისაგან და ყველა ამგვარი გაერთიანებისაგან დაუყოვნებლივი და ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენას ახლომახლო მიდამოების საშუალო გლეხებისათვის. მხოლოდ ასეთი, ფაქტიურად გაწეული, დახმარების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს შეთანხმება საშუალო გლეხობასთან. მხოლოდ ასე შეიძლება და უნდა იქნას მოპოვებული მისი ნდობა.

ყრილობა ყველა პარტიული მუშაკის ყურადღებას მიაქცევს ყველა იმ მოთხოვნის დაუყოვნებლივი რეალური განხორციელების აუცილებლობაზე, რომლებიც მითითებულია პარტიული პროგრამის აგრარულ ნაწილში, სახელდობრ:

ა) გლეხური მიწათსარგებლობის მოწესრიგება (მიწის ხარვეზიანობის, გრძელნაკვეთიანობის და სხვ. მოსპობა), ბ) გლეხების მომარაგება გაუმჯობესებული თესლით და ხელოვნური სასუქით, გ) გლეხური პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესება, დ) აგრონომიულ ცოდნათა გავრცელება, ე) აგრონომიული დახმარება გლეხებისათვის, ვ) საბჭოთა სარემონტო სახელოსნოებში სასოფლო-სამეურნეო გლეხური ინვენტარის შეკეთება, ზ) გასაქირავებელი პუნქტების, საცდელი სადგურების,

საჩვენებელი მინდვრების და სხვ. მოწყობა, თ) გლეხთა მიწების მელიორაცია.

9) გლეხთა კოოპერაციულ გაერთიანებებს სოფლის წარმოების გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების, გლეხთა მიწების მელიორაციის, შინამრეწველობისათვის ხელის შეწყობისა და სხვათა მიზნით ფართო ფინანსურ და ორგანიზაციულ დახმარებას უნდა უწევდეს სახელმწიფო.

10) ყრილობა მოგვაგონებს, რომ არც პარტიის დადგენილებებში, არც საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებში არასდროს არ ყოფილა გადახვევა საშუალო გლეხობასთან შეთანხმების ხაზიდან. ასე, მაგალითად, სოფლად საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხში, როცა ღარიბთა კომიტეტები შეიქმნა, გამოქვეყნდა ცირკულარი სახკომსაბჭოს თავმჯდომარის და სასურსათო საქმის სახალხო კომისრის ხელმოწერით, რომელშიც მითითებული იყო, რომ საჭიროა ღარიბთა კომიტეტებში აგრეთვე საშუალო გლეხობის წარმომადგენელთა შეყვანაცო. ღარიბთა კომიტეტების გაუქმების დროს საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობამ კვლავ აღნიშნა ვოლოსტის საბჭოებში საშუალო გლეხობის წარმომადგენელთა შეყვანის საჭიროება. მუშურ-გლეხური მთავრობისა და კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მომავალშიც უნდა წარმოებდეს საშუალო გლეხობასთან პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის შეთანხმების ამ სულისკვეთებით.

9

სიტყვა ყრილობის დახურვისას 23 მარტს

ჩვენი დღის წესრიგი, ამხანაგებო, ამოწურულია. ნება მიბოძეთ ახლა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ყრილობის მუშაობის დამთავრებასთან დაკავშირებით.

ამხანაგებო! ჩვენ მძიმე წუთს მოგვიხდა შეკრება არა მარტო იმიტომ, რომ დავკარგეთ ჩვენი საუკეთესო ორგანიზატორი და პრაქტიკული ხელმძღვანელი იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვი. ჩვენ შეკრება მოგვიხდა განსაკუთრებით მძიმე წუთს იმიტომ, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი, — ახლა ამაში აღარავითარი ეჭვი არ არის, — აკეთებს უკანასკნელ, განსაკუთრებით ძლიერ ცდას გასრისოს საბჭოთა რესპუბლიკა. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ გაძლიერებული შემოტევა დასავლეთით და აღმოსავლეთით, ამასთანავე მთელი რიგი თეთრგვარდიული აჯანყებები და რამდენიმე ადგილას რკინიგზების აყრის ცდა, — ყოველივე ეს წარმოადგენს «შეთანხმების» იმპერიალისტების სავსებით ნათლად მოფიქრებულ და, უეჭველია, პარიზში გადაწყვეტილ ნაბიჯს. ჩვენ ყველამ ვიცით, ამხანაგებო, თუ რა სიძნელეებით უხდებოდა რუსეთს, რომელმაც ოთხწლიანი იმპერიალისტური ომი გადაიტანა, კვლავ იარაღი აესხა საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად მტაცებელ-იმპერიალისტების წინააღმდეგ. ჩვენ ყველამ ვიცით, რა მძიმეა ეს ომი, როგორ გვქანცავს იგი. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ თუ ამ ომს ვეწევით დიდი ენერგიით, დიდი გმირობით, მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიოში პირველად არის შექმნილი არმია,

შეიარაღებული ძალა, რომელმაც იცის, რისთვის იბრძვის, და მუშებსა და გლეხებს, რომლებიც წარმოუდგენლად მძიმე მსხვერპლს იღებენ, პირველად აქვთ მსოფლიოში ნათლად შეგნებული, რომ ისინი იცავენ საბჭოთა სოციალისტურ რეს-პუბლიკას, მშრომელთა ძალაუფლებას კაპიტალისტების მიმართ, იცავენ მსოფლიო პროლეტარული სოციალისტური რევოლუციის საქმეს.

ასეთ მძიმე პირობებში ჩვენ მოკლე ვადაში შევძელით ძალიან დიდი საქმის გაკეთება. ჩვენ შევძელით დაგვემტკიცებინა, და თანაც ერთხმად დაგვემტკიცებინა — ისე როგორც ყრილობის ყველა არსებითი გადაწყვეტილება, — შევძელით დაგვემტკიცებინა პროგრამა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი, მიუხედავად მრავალი რედაქციული და სხვა ხასიათის ნაკლისა, უკვე შევიდა III ინტერნაციონალის ისტორიაში, როგორც ისეთი პროგრამა, რომელიც აჯამებს პროლეტარიატის მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც ჩვენ გაცილებით მეტი გვყავს მოკავშირეები და მეგობრები, ვიდრე ჩვენ ვიცით, ჩვენი პროგრამის უბრალო თარგმანი საუკეთესო პასუხი იქნება კითხვაზე, თუ რა გააკეთა რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც მსოფლიო პროლეტარიატის ერთ-ერთი რაზმია. ჩვენი პროგრამა უძლიერესი მასალა იქნება პროპაგანდისა და აგიტაციისათვის, ის დოკუმენტი იქნება, რომლის საფუძველზედაც მუშები იტყვიან: «აქ არიან ჩვენი ამხანაგები, ჩვენი ძმები, აქ კეთდება ჩვენი საერთო საქმე».

ამხანაგებო, ჩვენ შევძელით აგრეთვე ამ ყრილობაზე გაგვეტარებინა სხვა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი. ჩვენ მოვიწონეთ III, კომუნისტური ინტერნაციონალის, შექმნა, რომელიც დაარსებულია აქ, მოსკოვში. ჩვენ ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე მივედით სამხედრო საკითხში. თუმცა დიდად მოჩანდა თავდაპირველად უთანხმოება, თუმცა სხვადასხვაგვარი იყო აზრი ბევრი ამხანაგისა, რომლებმაც სრული გულახდილობით ილაპარაკეს აქ ჩვენი სამხედრო პოლიტიკის

ნაკლოვანებებზე, — ჩვენ მაინც მეტისმეტად ადვილად შეეძელით კომისიაში აბსოლუტურ ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე მისვლა, და ჩვენ ამ ყრილობიდან წავალთ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი მთავარი დამცველი, წითელი არმია, რომლის გულისთვისაც მთელი ჩვენი ქვეყანა ესოდენ აურაცხელ მსხვერპლს იღებს, — რომ იგი ყრილობის ყველა წევრში, პარტიის ყველა წევრში ჰპოვებს უმხურვალეს, ერთგულ, თავდადებულ თანაშემწეებს, ხელმძღვანელებს, მეგობრებსა და თანამშრომლებს.

ამხანაგებო, ორგანიზაციულ საკითხში ჩვენ იმიტომ გადავწყვიტეთ ასე ადვილად ჩვენს წინაშე დასმული პრობლემები, რომ საბჭოებისადმი პარტიის დამოკიდებულების ისტორიამ ყველა ეს გადაწყვეტილება დასახა. ჩვენ მოგვიხდა მხოლოდ შეჯამება. სოფლად მუშაობის საკითხში ყრილობის ერთსულოვანი და სწრაფი გადაწყვეტილებით ჩვენ დავსახეთ ხაზი განსაკუთრებით საჭირო და განსაკუთრებით ძნელ საკითხში, რომლის გადაჭრაც სხვა ქვეყნებში შეუძლებლადაც კი ითვლება, — ეს არის საკითხი ბურჟუაზიის დამამხობელი პროლეტარიატის დამოკიდებულებისა მრავალმილიონიანი საშუალო გლეხობისადმი. ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ ყრილობის ეს რეზოლუცია განამტკიცებს ჩვენს ძალაუფლებას. იმ მძიმე დროს, რომელსაც ჩვენ განვიცდით, როდესაც იმპერიალისტები უკანასკნელად ცდილობენ ძალით დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება, როდესაც მწვავე სასურსათო გაჭირვება, როდესაც ტრანსპორტის ნგრევა ისევ და ისევ ასობით, ათასობით და მილიონობით ადამიანს აყენებს სასოწარკვეთილ მდგომარეობაში, — ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მძიმე დროს ჩვენს მიერ გამოტანილი რეზოლუცია, ის სულისკვეთება, რომლითაც გამსჭვალული იყვნენ ყრილობის წევრები, დაგვეხმარება ამ განსაცდელის გადატანაში, დაგვეხმარება, რომ თავი დავაღწიოთ ამ მძიმე ნახევარწელს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს იქნება უკანასკ ნ ე ლ ი მ ძ ი მ ე ნ ა ხ ე ვ ა რ წ ე ლ ი. ამ ჩვენს რწმენას

განსაკუთრებით აძლიერებს ის ცნობა, რომელიც ჩვენ ამ დღეებში ვაუწყეთ ყრილობას, — ცნობა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა უნგრეთში. თუ აქამდე საბჭოთა ხელისუფლება იმარჯვებდა მხოლოდ შიგნით, ყოფილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ხალხთა შორის, თუ აქამდე ბეც ადამიანებს, რომლებიც განსაკუთრებით ძნელად ეთხოვებიან რუტინას, აზროვნების ძველ ჩვეულებებს (თუნდაც ისინი სოციალისტების ბანაკს ეკუთვნოდნენ), შეეძლოთ ეფიქრათ, რომ ეს მოულოდნელი მობრუნება პროლეტარული საბჭოთა დემოკრატიისაკენ გამოიწვია მხოლოდ რუსეთის თავისებურებამ, რომ, შესაძლოა, ამ დემოკრატიის თავისებურებაში, როგორც მრუდე სარკეში, ისახება მეფის რუსეთის ძველი თავისებურება, — თუ ასეთ აზრს კიდევ შეეძლო არსებობა, ახლა იგი ძირიან-ფესვიანად დამსხვრეულია. ამხანაგებო, დღეს მიღებული ცნობები გვიხატავს უნგრეთის რევოლუციის სურათს. დღევანდელი ცნობებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ მოკავშირე სახელმწიფოებმა უნგრეთს წაუყენეს უაღრესად მხეცური ულტიმატუმი ჯარების გატარების შესახებ. როცა ბურჟუაზიულმა მთავრობამ დაინახა, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს სურთ თავისი ჯარების გატარება უნგრეთზე, როცა დაინახა, რომ უნგრეთს კვლავ თავს ატყდება ახალი ომის გაუგონარი სიმძიმე, — ბურჟუაზიულ-შემთანხმებლურმა მთავრობამ თვითონ ითავა გადადგომა, თვითონ დაიწყო მოლაპარაკება საპყრობილეში გამომწყვდეულ კომუნისტებთან, ჩვენს უნგრელ ამხანაგებთან, და თვითონვე აღიარა, რომ არ არის სხვა გამოსავალი, გარდა ძალაუფლების გადაცემისა მშრომელი ხალხისათვის. (ტ ა შ ი.)

ამხანაგებო! თუ ჩვენზე ამბობდნენ, რომ დამპყრობნი ვართ; თუ 1917 წლის დამლევსა და 1918 წლის დამდეგს ბურჟუაზიას და ბევრ მის მომხრეს ჩვენი რევოლუციის მიმართ პირზე ეკერათ მხოლოდ სიტყვები «ძალმომრეობა» და «დაპყრობა»; თუ დღემდე გაისმის ხმები, რომელთა მთელი უაზრობა ჩვენ არა ერთხელ დაგვიმტკიცებია, თითქოს ბოლშევიკურ ხელისუფლებას მხოლოდ ძალმომრეობით გააქვს თავი;

თუ ასეთი უაზრობის განმეორება შეიძლებოდა წინათ, — ახლა უნგრეთის მაგალითმა ხმა ჩაუკმიდა ყველას. ბურჟუაზიამაც კი დაინახა, რომ შეუძლებელია სხვა ხელისუფლება, გარდა საბჭოების ხელისუფლებისა. უფრო კულტურული ქვეყნის ბურჟუაზიამ უფრო ნათლად, ვიდრე ჩვენმა ბურჟუაზიამ 25 ოქტომბრის წინ, დაინახა, რომ ქვეყანა იღუპება, რომ ხალხს თავს ატყდება სულ უფრო და უფრო მძიმე განსაცდელი, — მაშასადამე, ძალაუფლება საბჭოების ხელში უნდა იყოს, მაშასადამე, უნგრეთის მუშებმა და გლეხებმა, ახალმა საბჭოთა პროლეტარულმა დემოკრატიამ უნდა იხსნას იგი.

უნგრეთის რევოლუციის სიძნელენი, ამხანაგებო, უზარმაზარია. ეს რუსეთთან შედარებით პატარა ქვეყანა გაცილებით უფრო ადვილად შეიძლება ჩაახრჩონ იმპერიალისტებმა. მაგრამ როგორიც უნდა იყოს სიძნელენი, რომელნიც ჯერ კიდევ უეჭველად დგანან უნგრეთის წინაშე, ჩვენ აქ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების გარდა, გვაქვს ჩვენი მორალური გამარჯვებაც. ყველაზე რადიკალურმა, ყველაზე დემოკრატიულმა, შემთანხმებლურმა ბურჟუაზიამ აღიარა, რომ უდიდესი კრიზისის მომენტში, როცა ომით ლონემიხდილ ქვეყანას კარს მოადგა ახალი ომი, საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს ისტორიულ აუცილებლობას, აღიარა, რომ ასეთ ქვეყანაში არ შეიძლება იყოს სხვა ხელისუფლება, გარდა საბჭოების ხელისუფლებისა, გარდა პროლეტარიატის დიქტატურისა.

ამხანაგებო, ჩვენს ზურგს უკან დგანან მთელი რიგი რევოლუციონერები, რომლებიც თავის სიცოცხლეს მსხვერპლად სწირავდნენ რუსეთის განთავისუფლებას. ამ რევოლუციურ მოღვაწეთა უმრავლესობას წილად ხვდა მძიმე ბედი. მათ წილად ხვდათ დევნა ცარიზმის მხრივ, მათ არ მიეცათ ბედნიერება მოსწრებოდნენ ძლევამოსილ რევოლუციას. ჩვენ კი უფრო დიადი ბედნიერება გვერგო. ჩვენ არათუ ვიხილეთ ჩვენი რევოლუციის გამარჯვება, ჩვენ არათუ ვიხილეთ, როგორ მტკიცდებოდა იგი გაუგონარ სიძნელეთა პირობებში და ქმნიდა ხელისუფლების ახალ ფორმებს, რაც იწვევს მთელი

მსოფლიოს სიმპათიას ჩვენდამი, ჩვენ ვხედავთ აგრეთვე იმასაც, რომ რუსეთის რევოლუციის მიერ ჩაყრილი თესლი ღვივდება ევროპაში. ეს ბადებს ჩვენში აბსოლუტურ, ურყევ რწმენას, რომ, რაც უნდა მძიმე იყოს განსაცდელი, რომელიც ჩვენ შეიძლება კიდევ თავს დაგვატყდეს, რაც უნდა დიდი იყოს გასაჭირი, რომელიც შეიძლება კიდევ მოგვაყენოს საერთაშორისო იმპერიალიზმის სულთმობრძავმა მხეცმა, — ეს მხეცი დაიღუპება და სოციალიზმი მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს. (ხანგრძლივი ტაში.)

რუსეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობას დახურულად ვაცხადებ.

მისალმება რადიოთი უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას 1919 წ. 22 მარტს

ლენინი ვარ. გულწრფელი სალამი უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის პროლეტარულ მთავრობას და მეტადრე ამხ. ბელა კუნს[96]. თქვენი მისალმება მე გადავეცი რუსეთის ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის ყრილობას. უდიდესი ენთუზიაზმია. III, კომუნისტური ინტერნაციონალის, მოსკოვის კონგრესის გადაწყვეტილებებს, ისევე როგორც ცნობას სამხედრო მდგომარეობის შესახებ, რაც შეიძლება ჩქარა გამოგიგზავნით. უცილობლად საჭიროა მუდმივი რადიოცნობები ბუდაპეშტსა და მოსკოვს შორის. კომუნისტური სალამით და ხელის ჩამორთმევით ლ ე ნ ი ნ ი.

დაიბეჭდა უნგრულ ენაზე 1919 წ. 23 მარტს
გაზეთში «Népszava» № 70

რუსულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა
1927 წელს

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი უნგრულიდან

ჩანაწერი რადიოდეპეშისა ბელა კუნისადმი 1919 წ. 23 მარტს

ლენინი ბელა კუნს ბუდაპეშტში

გვაცნობეთ, გეთაყვა, რა ნამდვილი გარანტიები გაქვთ თქვენ იმისა, რომ უნგრეთის ახალი მთავრობა ნამდვილად კომუნისტური იქნება, და არა მხოლოდ უბრალო სოციალისტური, ესე იგი სოციალ-გამცემლური?

ჰყავთ თუ არა კომუნისტებს უმრავლესობა მთავრობაში? როდის მოხდება საბჭოების ყრილობა? რაში მდგომარეობს რეალურად სოციალისტების მიერ პროლეტარიატის დიქტატურის აღიარება?

სრულიად ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რუსული ტაქტიკის შიშველი წაბაძვა ყველა წვრილმანებში უნგრეთის რევოლუციის თავისებური პირობების გამო შეცდომა იქნებოდა. მე უნდა გაგაფრთხილოთ არ მოგვიდეთ ასეთი შეცდომა, მაგრამ მინდოდა გამეგო, რაში ხედავთ თქვენ ნამდვილ გარანტიებს.

დარწმუნებით რომ ვიცოდე, რომ პირადად თქვენ მიპასუხებთ, გთხოვთ მაცნობოთ, რა აზრით გელაპარაკებოდით თქვენ ეროვნული კრების შესახებ, როცა თქვენ უკანასკნელად იყავით ჩემთან კრემლში.

კომუნისტური სალამით

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1932 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

თარგმანი გერმანულიდან

პასუხი სპეციალისტის ლია წერილზე

მე დღეს მივიღე ქვემოთ მოყვანილი:

«სპეციალისტის» ღია წერილი ამხ. ლენინს

«იზვესტიაში» წავიკითხე თქვენი მოხსენება სპეციალისტებზე და არ შემიძლია შევიმაგრო აღშფოთების ხმა. ნუთუ არ გესმით, რომ არც ერთ პატიოსან სპეციალისტს, თუ მას შერჩენია თუნდ ოდნავი პატივისცემა თავისი თავისადმი, არ შეუძლია იმუშაოს იმ ცხოველური კეთილდღეობის გულისთვის, რომლის უზრუნველყოფას თქვენ მისთვის აპირებთ? ნუთუ თქვენ ისე ჩაიკეტეთ და განმარტოვდით თქვენს კრემლში, რომ ვეღარ ხედავთ თქვენს გარემო ცხოვრებას, ვერ შეამჩნიეთ, თუ რამდენია რუს სპეციალისტებში, მართალია, არა მთავრობის კომუნისტები, მაგრამ ნამდვილი მშრომელები, რომლებსაც თავიანთი სპეციალური ცოდნა შეუძენიათ ძალ-ღონის უკიდურესი დაძაბვით, არა კაპიტალისტების ხელიდან და არა კაპიტალის მიზნებისთვის, არამედ ძველი წყობილების სტუდენტური და აკადემიური ცხოვრების საშინელ პირობებთან შეუპოვარი ბრძოლით. ეს პირობები მათთვის არ გაუმჯობესებულა კომუნისტური ხელისუფლების დროს (ჩემს თვალში ეს არ ემთხვევა კომუნისტური წყობილების ცნებას). მათ, ამ ნამდვილ პროლეტარებს, თუმცა სხვადასხვა კლასიდან გამოსულთ, რომლებიც მშრომელ მოძმეს ემსახურებიან შეგნებული ცხოვრების პირველი ნაბიჯებიდანვე აზრითაც, სიტყვითაც, საქმითაც — მათ, რომლებსაც თქვენ «ინტელიგენციის» ერთ შეჩვენებულ გროვაში მოუყარეთ თავი, წაუსისიანეს შეუგნებელი ახლადმოვლენილი კომუნისტები ყოფილი პოლიციელებიდან, ურიადნიკებიდან, წვრილი მოხელეებიდან, მედუქნეებიდან; ხშირად ესენი შეადგენენ პროვინციაში «ადგილობრივ ხელისუფალთა» მნიშვნელოვან ნაწილს, და ძნელია მათგან განცდილ დამცირებათა და ტანჯვათა მთელი საშინელების აღწერა. გამუდმებული სულელური დაბეზღება და ბრალდებები, უშედეგო, მაგრამ უაღრესად დამამცირებელი ჩხრეკა, დახვრეტის, რეკვიზიციისა და კონფისკაციის მუქარა, პირადი ცხოვრების ფრიად ინტიმურ მხარეში შეჭრა (აკი მოითხოვდა ჩემგან იმ რაზმის უფროსი, რომელიც დაბინავებული იყო სასწავლებელში, სადაც მე ვასწავლი,

რომ მე უეჭველად ჩემ ცოლთან ერთად დამეძინა საწოლში). აი ის ვითარება, რომელშიც სულ უკანასკნელ დრომდე მუშაობა მოუხდა უმაღლესი სკოლის ბევრ სპეციალისტს. და მაინც ამ «წვრილ ბურჟუებს» არ მიუტოვებიათ თავიანთი პოსტები და წმინდად ასრულებდნენ ნაკისრ მორალურ ვალდებულებას დაეცვათ, ყოველგვარი მსხვერპლის გაღებით, კულტურა და ცოდნა იმათთვის, ვინც მათ ამცირებდა და შეურაცხყოფდა ხელმძღვანელების ჩაგონებით. მათ ესმოდათ, რომ არ შეიძლება თავისი პირადი უბედურების და მწუხარების არევა ახალი უკეთესი ცხოვრების მშენებლობის საკითხში, და ეს დაეხმარა და ეხმარება მათ მოითმინონ და იმუშაონ.

მაგრამ, მერწმუნეთ, იმ ადამიანებში, რომლებიც თქვენ ხელაღებით მონათლეთ ბურჟუებად, კონტრრევოლუციონერებად, მესაბოტაჟეებად და სხვა ამისთანებად მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მომავალი სოციალისტური და კომუნისტური წყობილებისადმი მიდგომა სხვანაირად ესმით, ვიდრე თქვენ და თქვენს მოწაფეებს, თქვენ ვერც ერთ ადამიანს ვერ იყიდით იმ ფასად, რომელზედაც თქვენ ოცნებობთ. ის «სპეციალისტები» კი, რომლებიც საკუთარი ქურქის გადარჩენის გულისთვის მოვლენ თქვენთან, ჩვენს ქვეყანას ისინი სარგებლობას ვერ მოუტანენ. სპეციალისტი მანქანა როდია, მისი უბრალოდ მომართვა და ამუშავება არ შეიძლება. რაც უნდა დიდი გასამრჯელო მიიღოს, ვერც ერთი სპეციალისტი ვერაფერს მოგვცემს, თუ მას არა აქვს აღმაფრენა, შინაგანი ცეცხლი, შემოქმედების მოთხოვნილება. ყველაფრის მოცემა შეუძლია მოხალისეს, რომელიც მუშაობს და ქმნის მის პატივისმცემელ ამხანაგ-თანამშრომელთა შორის როგორც მცოდნე ხელმძღვანელი, და არა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი, რომელსაც თავს დასდგომია კომისარი 1919 წლის მოსავლის კომუნისტებიდან.

თუ თქვენ გსურთ გყავდეთ არა ისეთი «სპეციალისტები», რომლებიც ჯამაგირის გულისთვის მუშაობენ, თუ თქვენ გსურთ, რომ ახალი პატიოსანი მოხალისეები შეუერთდნენ იმ სპეციალისტებს, რომლებიც ახლაც აქა-იქ მუშაობენ თქვენთან არა შიშის, არამედ სინდისის ქვეშ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ საკითხში პრინციპულად არ გეთანხმებიან, მიუხედავად იმ დამამცირებელი მდგომარეობისა, რომელშიც ხშირად აყენებს მათ თქვენი ტაქტიკა, მიუხედავად ბევრი იმ საბჭოთა დაწესებულების უმაგალითო ბიუროკრატიული უწესრიგობისა, რომლებიც ზოგჯერ ფრიად ცოცხალ წამოწყებებს ღუპავენ, — თუ თქვენ ეს გსურთ, მაშინ, უწინარეს ყოვლისა, გასწმინდეთ თქვენი პარტია და თქვენი სახელმწიფო დაწესებულებები უსინდისო Mitläufer-ებისაგან *, ხელი მოჰკიდეთ ისეთ წამგლეჯთ, ავანტიურისტებს, მაჩანჩალებსა და ბანდიტებს, რომლებიც ეფარებიან კომუნიზმის

* — თანამგზავრებისგან. რ ე დ.

დროშას და ან გათახსირების გამო იტაცებენ სახალხო ქონებას, ან სისუ-ლელის გამო თავიანთი უაზრო დეზორგანიზატორული ფაცი-ფუცით ფეს-ვებს აჭრიან ხალხის ცხოვრებას.

თუ თქვენ გსურთ «გამოიყენოთ» სპეციალისტები, კი ნუ ყიდულობთ მათ, არამედ ისწავლეთ მათი პატივისცემა, როგორც ადამიანებისა, და არა როგორც დროებით თქვენთვის საჭირო ცოცხალი და მკვდარი ინვენ-ტარისა.

მ. დ უ კ ე ლ ს კ ი

ვორონეჟის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი. ტყავეულობის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოთა ცენტრალური სამმართველოს თავმჯდო-მარე».

წერილი ბრაზიანი და, მგონი, გულწრფელია. მინდა მასზე პასუხი გავცე.

ჩემი აზრით, ავტორში მაინც სჭარბობს პირადი გაღიზიანე-ბა, რამაც უნარი წაართვა მას მოვლენები განეხილა მასობრი-ვი თვალსაზრისით და ამ მოვლენების ნამდვილი თანამიმდევ-რობის თვალსაზრისით.

ავტორს ისე გამოუდის, რომ ჩვენ, კომუნისტებმა, ხელი ვკარით სპეციალისტებს და ყოველგვარი ცუდი სიტყვებით «მოვნათლეთ» ისინი.

საქმე ასე როდი იყო.

მუშებმა და გლეხებმა, დაამხვეს რა ბურჟუაზია და ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი, შექმნეს საბჭოთა ხელის-უფლება. ახლა ძნელია იმის არდანახვა, რომ ეს იყო არა ბოლ-შევიკების «ავანტიურა» და არა «სიგიჟე», არამედ ორი მსოფ-ლიო-ისტორიული ეპოქის საკაცობრიო შეცვლის დასაწყისი: ბურჟუაზიის ეპოქისა და სოციალიზმის ეპოქისა, კაპიტალისტ-თა პარლამენტარიზმის ეპოქისა და პროლეტარიატის საბჭოთა სახელმწიფო დაწესებულებების ეპოქისა. თუ ერთ წელზე მეტი ხნის წინათ ამის დანახვა არ სურდა (ნაწილობრივ არ შეეძლო) ინტელიგენტთა უმრავლესობას, ამაში განა ჩვენა ვართ დამნაშავე?

საბოტაჟი დაიწყო ინტელიგენციამ და მოხელეობამ, რომელთა მასა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიულია. ეს გამოთქმები შეიცავენ კლასობრივ დახასიათებას, ისტორიულ შეფასებას, რომელიც შეიძლება სწორიც იყოს და არასწორიც, მაგრამ რომლის მიღება საძრახის სიტყვად ან ლანძღვა-გინებად შეუძლებელია. მუშებისა და გლეხების გაბოროტება ინტელიგენციის საბოტაჟის გამო გარდუვალია, და თუ ვისიმე «გამტყუნება» შეიძლება, ეს მხოლოდ ბურჟუაზიისა და მისი ნებსითი თუ უნებლიე დამხმარეებისა.

ჩვენ რომ «ინტელიგენციაზე» «ვუსისიანებდეთ», ამისთვის ღირსი ვიქნებოდით ჩამოხრჩობისა. მაგრამ ჩვენ არათუ ვუსისიანებდით ხალხს მას, არამედ პარტიისა და ხელისუფლების სახელით ვქადაგებდით ინტელიგენციისთვის მუშაობის უკეთესი პირობების შექმნის საჭიროებას. მე ასე ვიქცეოდი 1918 წლის აპრილიდან, თუ უფრო ადრე არა. არ ვიცი, «იზვესტიის» რომელ ნომერს იმოწმებს ავტორი, მაგრამ იმ ადამიანისთვის, რომელიც მისდევს პოლიტიკას, ე. ი. მოვლენათა განხილვას მასობრივი და არა პირადი თვალსაზრისით, მეტად უცნაურია იმის გაგონება, თითქოს უფრო მაღალი ხელფასის დაცვა უეჭველად «ყიდვის» ეღირსი ან საერთოდ ცუდი სურვილია. დაე მაპატიოს პატივცემულმა ავტორმა, მაგრამ, ღმერთმანი, ამან მე მომაგონა «კოხტაპრუწა ქალიშვილის» ლიტერატურული ტიპი.

ვთქვათ, ლაპარაკი ყოფილიყო განსაკუთრებულ, ხელოვნურად შერჩეულ პირთა წრის, ე. ი. ისეთი ჯგუფის მაღალ ხელფასზე, რომელიც წინათ, საერთო-სოციალური მიზეზების გამო, არ იღებდა და არც შეეძლო მიეღო უფრო მაღალი ჯამაგირი, მაშინ შეიძლებოდა ფიქრი — მთავრობის მიზანია ამ ჯგუფის «ყიდვაო». მაგრამ როდესაც ლაპარაკია ასი ათასობით ადამიანზე, თუ მილიონებზე არა, რომლებიც ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს იღებდნენ უკეთესს ჯამაგირს, როგორღა შეიძლება, თუ არ ავიღებთ გააფთრებული გაღიზიანების კილოს, რომელიც ყველაფერზე შარიანობს, რაღაც ვერაგობის ან «შეურაცხყოფის» მსგავსის დანახვა იმ აზრის დაცვაში, რომ განსაზღვრული

დროის მანძილზე აუცილებელია შემცირებული, მაგრამ საშუალოზე მაინც უფრო მაღალი ხელფასის შენარჩუნება?

ეგ კიდევ არაფერი, რომ საერთოდ ეს შეუსაბამობაა. ავტორი თვითონ იმათრახებს თავს, როცა მოგვითხრობს, როგორც უდიდეს შეურაცხყოფაზე, დამამცირებელ მოპყრობაზე, იმ შემთხვევას, როცა სასწავლებელში დაბინავებული რაზმის უფროსი მოითხოვდა პროფესორისაგან, რომ მას თავის ცოლთან აუცილებლად ერთ საწოლში დაეძინა.

ჯერ-ერთი, რამდენადაც ინტელიგენტ ადამიანთა სურვილი — ჰქონდეს ორ-ორი საწოლი, ქმარსა და ცოლს ცალ-ცალკე, კანონიერი სურვილია (ეს, უეჭველად, კანონიერია), იმდენად მის განსახორციელებლად საჭიროა საშუალოზე უფრო მაღალი ხელფასი. ხომ არ შეიძლება წერილის ავტორმა არ იცოდეს, რომ «საშუალოდ» რუსეთის მოქალაქეზე თითო საწოლი არასდროს არ მოდიოდა!

მეორე. ამ შემთხვევაში იყო თუ არა მტყუანი რაზმის უფროსი? თუ არ ყოფილა უხეშობა, შეურაცხყოფა, აბუჩად აგდების სურვილი და ა. შ. (რაც შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა ყოფილიყო და რისთვისაც საჭიროა დასჯა), თუ ეს, ვიმეორებ, ა რ ყ ო ფ ი ლ ა, მაშინ, ჩემი აზრით, ი გ ი მ ა რ თ ა ლ ი ი ყ ო. ჯარისკაცები გაწამებული არიან, მთელი თვეობით არ უნახავთ არც საწოლი, არც, ალბათ, რიგიანი ღამისსათევი საერთოდ. ისინი იცავენ სოციალისტურ რესპუბლიკას გაუგონრად ძნელ, არაადამიანურ პირობებში, და ნუთუ მათ უფლება არა აქვთ საწოლი წაიღონ ხანმოკლე დასვენების დროს? არა, ჯარისკაცები და მათი უფროსი მართალი იყვნენ.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ ინტელიგენტთა ცხოვრების საერთო პირობები ერთბაშად ჩამოქვეითდეს საშუალომდე — მაშასადამე, ჩვენ წინააღმდეგი ვართ მათი ხელფასის დაწევისა საშუალომდე. მაგრამ ომი ყველაფერს იქვემდებარებს, და ჯარისკაცთა დასვენების გულისთვის ინტელიგენტებმა ცოტათი უნდა მიიწ-მოიწიონ. ეს არის არა დამამცირებელი, არამედ სამართლიანი მოთხოვნა.

ავტორი მოითხოვს ამხანაგურ დამოკიდებულებას ინტელიგენტებისადმი. ეს სწორია. ამასვე მოვითხოვთ ჩვენც. ჩვენი პარტიის პროგრამაში სწორედ ასეთი მოთხოვნა წამოყენებულია ნათლად, პირდაპირ, ზუსტად. თუ, მეორე მხრივ, უპარტიო ინტელიგენტებისა ან ბოლშევიკებისადმი პარტიულად მტრული ჯგუფები ასევე ნათლად წამოაყენებენ თავიანთ მოთხოვნებს თავიანთი მომხრეებისადმი: ამხანაგურად მოეპყარით განაწამებ ჯარისკაცებს, დაქანცულ მუშებს, საუკუნოვანი ექსპლოატაციით გაბოროტებულებს, მაშინ ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკთა დაახლოების საქმე ბუმბერაზული ნაბიჯებით წავა წინ.

ავტორი მოითხოვს, რომ ჩვენი პარტია და მთავრობის დაწესებულებები გავწმინდოთ «უსინდისო შემთხვევითი თანამგზავრებისგან, წამგლეჯებისა, ავანტიურისტებისა, მაჩანჩალებისა და ბანდიტებისაგან».

სწორი მოთხოვნაა. ჩვენ ეს დიდი ხანია დავიწყეთ და ვახორციელებთ. «ახალბედა» ხალხს ჩვენს პარტიაში ჩვენ გასაქანს არ ვაძლევთ. ყრილობამ განსაკუთრებული ხელახალი აღრიცხვაც კი დანიშნა [40]. დაპატიმრებულ ბანდიტებს, წამგლეჯებს, ავანტიურისტებს ჩვენ ვხვრეტთ და მომავალშიც დავხვრეტთ. მაგრამ წმენდა რომ უფრო სრულად და სწრაფად მოხდეს, საჭიროა გულწრფელი უპარტიო ინტელიგენცია გვეხმარებოდეს ამაში. როცა ის დაიწყებს პირადად ერთმანეთის ნაცნობ პირთა ჯგუფების შედგენას, გამოვა მათი სახელით საბჭოთა დაწესებულებებში ლოიალური მუშაობის მოწოდებით, მოწოდებებით «ემსახურონ მშრომელ მოძმეს», თუ ვიხმართ ღია წერილის გამოთქმას, მაშინ ახალი საზოგადოებრივი წყობის მშობიარობის ტკივილები მნიშვნელოვნად შემცირდება და შემსუბუქდება.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1919 წ. 27 მარტი

«პრავდა» № 67, 1919 წ. 28 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მ. ი. კალინინის კანდიდატურის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკ-ის თავმჯდომარის პოსტზე

სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკ-ის XII სხდომაზე 1919 წ. 30 მარტს

ამხანაგებო! იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვის ნამდვილი მოადგილის მონახვა უაღრესად ძნელი ამოცანაა, რადგან ერთ პიროვნებაში შეთავსება პასუხისმგებელი პარტიული მუშაკისაც, რომელმაც პარტიის ისტორიაც იცის, და ამასთანავე ისეთი ადამიანისაც, რომელიც მშვენივრად ერკვეოდეს ადამიანებში და შეეძლოს მათი შერჩევა პასუხსაგებ საბჭოთა პოსტებზე, — თითქმის შეუძლებელია. ერთ ამხანაგში შეთავსება ყველა იმ ფუნქციისა, რომელსაც ამხ. სვერდლოვი ასრულებდა, — ამაში კანდიდატურის განხილვის დროს პარტიაში ყველანი ერთი აზრისა იყვნენ, — შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ ცალკეული ფუნქციების გაძღოლა აუცილებლად უნდა დაევალოს მთელ კოლეგიებს, რომლებიც ყოველდღე შეიკრიბებიან და ხელმძღვანელობას გაუწევენ ცალკეულ დარგებს. რაც შეეხება თავმჯდომარეს, აქ საკითხი ისე უნდა დაისვას, რომ ის ამჟღავნებდეს პარტიის ხაზს გლეხობის მიმართ.

თქვენ იცით, რომ ჩვენი დამოკიდებულება საშუალო გლეხობისადმი, როგორც ის გამოირკვა პარტიულ ყრილობაზე, არ წარმოადგენს ჩვენი საერთო პოლიტიკის შეცვლას. ამოცანები საშუალო გლეხობის მიმართ უნდა შესრულდეს მას შემდეგ, როცა გადაწყდება პირველი ამოცანა — ბურჟუაზიის დათრგუნვა. საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხი ჩვენთან უფრო მწვავედ დგას, ვიდრე ჩვენს ამხანაგებთან

ევროპაში, და ჩვენში ისე უნდა გაკეთდეს, რომ საბჭოთა ხელისუფლების სათავეში ისეთი ამხანაგი ჩადგეს, რომელიც გვიჩვენებდა, რომ ჩვენი დადგენილება საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ ნამდვილად განხორციელდება.

მე ვფიქრობ, რომ შეიძლება და უნდა მოვნახოთ ისეთი ამხანაგი, რომელიც მთლიანად თავის ამოცანად დაისახავდა ხელმძღვანელი პარტიის ხაზის განხორციელებას საშუალო გლეხობის მიმართ. ჩვენ ვიცით, რომ ამჟამად ცნობების მიწოდებისა და შეტყობინების ამოცანა განსაკუთრებით მწვავედ დგას. ჩვენ ვიცით, რომ ტრანსპორტის შესუსტების გამო, სამოქალაქო ომის არსებობის გამო, რაც ზოგჯერ ასუსტებს არა მარტო ცალკეული გუბერნიების, არამედ მთელი ოლქების კავშირსაც ცენტრთან, — ჩვენ ვიცით, რომ ასეთ პირობებში ცნობების მიწოდებისა და შეტყობინების ამოცანა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ჩვენ ვიცით, რომ, თუ ისეთ ამხანაგს მოვნახავთ, რომელშიც შეთავსებული იქნება ცხოვრების გამოცდილება და საშუალო გლეხობის ცხოვრების ცოდნა, ჩვენ ამ ამოცანის გადაჭრას შევძლებთ, და მე ვფიქრობ, რომ ის კანდიდატურა, რომლის შესახებაც თქვენ დღეს გაზეთში წაიკითხეთ, ყველა ამ პირობას აკმაყოფილებს. ეს არის ამხ. კალინინის კანდიდატურა.

ეს არის ამხანაგი, რომელიც თითქმის ოცი წელია პარტიულ მუშაობას ეწევა; თვითონ იგი ტვერის გუბერნიის გლეხია, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს გლეხურ მეურნეობასთან და მუდმივ ანახლებს და ახალისებს ამ კავშირს. პეტროგრადის მუშები დარწმუნდნენ, რომ მას ემარჯვება მშრომელი მასების ფართო ფენებისადმი მიდგომა, როცა მათ პარტიული მომზადება არა აქვთ, როცა პროპაგანდისტები და აგიტატორები ვერ ახერხებდნენ მათდამი ამხანაგურად და მარჯვედ მიდგომას, მაშინ ამხ. კალინინი ახერხებდა ამ ამოცანის გადაჭრას. ამჟამად ყოველივე ეს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, მთელი საშუალო

გლეხობა, მთელი მისი საუკეთესო ელემენტები იმ გადამჭრელ დახმარებას გვიწევენ, რომელიც დასძლევს ყველა სიძნელეს, რომელიც აგვაშორებს სოფლის კულაკებისა და მათი მიმდევარი სოფლის მასების უმნიშვნელო უმცირესობის აჯანყებას. ჩვენ ვიცით, რომ წვრილი მიწათმოქმედების ქვეყანაში ჩვენს მთავარ ამოცანას შეადგენს მუშებისა და საშუალო გლეხობის მტკიცე კავშირის უზრუნველყოფა. ჩვენმა საადგილმამულო ღონისძიებებმა — მემამულური მიწათმფლობელობის სავსებით გაუქმებამ და საშუალო გლეხობისათვის გადამწყვეტი დახმარების გაწევამ, — ამ ღონისძიებებმა უკვე მოგვცეს შედეგები, და ერთი წლის განმავლობაში საშუალო გლეხების რიცხვი, ამ ღონისძიებების მეოხებით, გაიზარდა. მაგრამ ადგილებზე ხშირად იყენებდნენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც როგორც ადმინისტრატორები, თავიანთ ამოცანებს არ შეეფერებოდნენ.

მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები იყო, მაგრამ ამაში ჩვენ ბრალი არ მიგვიძღვის. ჩვენ ვიცით, რომ ყველაფერს ვაკეთებდით ინტელიგენციის მისაზიდად, მაგრამ ჩვენ გვთიშავდა პოლიტიკური უთანხმოება. ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ეპოქა გათავდა, რომ მთელი მსოფლიოს მუშათა თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა, რომ რამდენიც უნდა დახოცოს ბურჟუაზიამ პროლეტარიატის ბელადები, როგორც ის ამას სჩადის გერმანიაში, — საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება გარდუვალია. მთელი გამოცდილება ინტელიგენციას აუცილებლად და საბოლოოდ მოიყვანს ჩვენს რიგებში, და ჩვენ მივიღებთ იმ მასალას, რომლის შემწეობით შეგვიძლია ვმართოთ. ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ თავიდან მოვიშოროთ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მიტმასნილი ადამიანები, ეს კი იმ უკმაყოფილების ერთ-ერთი საბაბია, რომლის კანონიერად აღიარებისა ჩვენ არ გვეშინია. ამ ბოროტებასთან ბრძოლას მაქსიმალური ყურადღება უნდა მივაქციოთ. პარტიულ ყრილობაზე ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ ყველა მუშაკს დაევალოს დაადგნენ მოქმედების ამ ხაზს.

გადავდივართ რა სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე, უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ მისი განხორციელება წარმოდგენილი გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ როგორც მთელი რიგი ამხანაგური შეთანხმებანი საშუალო გლეხობასთან. ჩვენ რაც შეიძლება მეტად უნდა მივმართოთ საშუალო გლეხს.

და ჩვენ ვიცით, რომ იმ ამხანაგებს, რომლებიც ყველაზე მეტს მუშაობდნენ რევოლუციის პერიოდში და მთლად ჩაბმული იყვნენ ამ მუშაობაში, არ ეხერხებოდათ საშუალო გლეხისადმი ისე მიდგომა, როგორც საჭიროა, არ ეხერხებოდათ ამის უშეცდომოდ გაკეთება, და ყოველ ასეთ შეცდომას ებღაუჭებოდნენ მტრები, ყოველი ასეთი შეცდომა თესდა ერთგვარ ეჭვს, აძნელებდა საშუალო გლეხის ჩვენდამი დამოკიდებულების საკითხს.

აი რატომ არის აქ მეტად მნიშვნელოვანი ისეთი ამხანაგის გამონახვა, რომელშიც შეთავსებული იქნებოდა ის თვისებები, რომლებზედაც მე ვილაპარაკე. უნდა დავეხმაროთ მას ჩვენი ორგანიზაციული გამოცდილებით, რათა საშუალო გლეხებმა მთელი საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის სახით დაინახონ მახლობელი ადამიანი, რათა ჩვენი პარტიული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საშუალო გლეხს საჭიროა მოხერხებულად მივუდგეთ, რომ ჩვენ მზადა ვართ თვითეული ჩვენი ნაბიჯი გავსინჯოთ, შევისწავლოთ, შევამოწმოთ იმ გამოცდილების თვალსაზრისით, რომელიც ჩვენ გვაქვს, — რათა ეს გადაწყვეტილება ქაღალდზე არ დარჩეს.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მოკავშირეების რიცხვი იზრდება, ჩვენ ვიცით, რომ უახლოეს თვეებში მათი რიცხვი ბევრად გადიდდება, მაგრამ ახლა ეს ტვირთი აწვება მხოლოდ ჩვენს ქვეყანას, ძალიან გაჩანაგებულს, გაღატაკებულს. ეს შრომა დიდად აღემატება საშუალო გლეხის ძალ-ღონეს. უნდა მივიდეთ მასთან და გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი შეგვიძლია, უნდა ვაგრძნობინოთ და საქმით ვაჩვენოთ, რომ ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ ჩვენი პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება.

აი რატომ უნდა გაგვაერთიანოს ჩვენ ყველანი ისეთი ამხანაგის კანდიდატურამ, როგორიცაა ამხ. კალინინი. ასეთი კანდიდატურა დაგვეხმარება პრაქტიკულად მოვაწყოთ საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლის მთელი რიგი უშუალო კავშირურთიერთობა საშუალო გლეხობასთან, დაგვეხმარება მასთან დაახლოებაში.

ამ ამოცანის ერთბაშად გადაწყვეტა შეუძლებელია; ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ის გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიტანოთ, სწორია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ მხრივ პრაქტიკული გამოცდილება ჩვენ ცოტა გვაქვს. დაე საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა თვითონ პირველმა, ჩვენი საერთო დახმარებით, დაიწყოს ამ გამოცდილების მიღება, ცოდნათა მთელი ჯამის შეგროვება, შემოწმება, და ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ამ ამოცანას ჩვენ გადავწყვეტთ, რომ რუსეთი გახდება არა მარტო ისეთი ქვეყნის ნიმუში, სადაც პროლეტარიატის დიქტატურა მტკიცედაა განხორციელებული და ბურჟუაზია ულმობლად დათრგუნვილია — ეს ჩვენ უკვე მოვიპოვეთ, — არამედ ისეთი ქვეყნის ნიმუშიც, სადაც ქალაქის მუშებისა და საშუალო გლეხობის ურთიერთობა, ამხანაგური მხარის დაჭერისა და ახალი გამოცდილების საფუძველზე, დამაკმაყოფილებლად წყდება, — ეს კი პროლეტარული რევოლუციის სრული გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია.

აი რატომ ვაძლევ ჩემს თავს ნებას გირჩიოთ ეს კანდიდატურა — ამხანაგ კალინინის კანდიდატურა.

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა
1919 წ. 1 აპრილს სრულიად
რუსეთის ცაკ-ის «იზვესტიაში» № 70

იბეჭდება
სტენოგრამის მიხედვით

პირველად სრულად დაიბეჭდა 1932 წ.

გრამოფონის ფირფიტებზე ჩაწერილი სიტყვები[41]

წარმოთქმულია 1919 წ.
მარტის დამლევს

ლენინგრადი გრამოფონის ფირფიტებზე
ჩანაწერის მიხედვით

1

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვის ხსოვნას

ვინც ყოველდღიურად მუშაობდა ამხანაგ სვერდლოვთან, მათთვის განსაკუთრებით ცხადია, რომ მისი იშვიათი ორგანიზატორული ნიჭი უზრუნველყოფდა ჩვენთვის იმას, რითაც სრული უფლებით ვამაყობდით. ის უზრუნველყოფდა ჩვენთვის იმ შეთანხმებული, მიზანშეწონილი ორგანიზებული მუშაობის შესაძლებლობას, რომელიც ღირსი იქნებოდა ორგანიზებული პროლეტარული მასებისა, იმ მუშაობისა, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა წარმატება და რომელიც მთლიანად აკმაყოფილებდა პროლეტარული რევოლუციის მოთხოვნილებებს. ამხანაგ იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვის ხსოვნა იქნება არა მარტო თავისი საქმისადმი რევოლუციონერის ერთგულების სიმბოლო, არა მარტო პრაქტიკული სიფხიზლისა და პრაქტიკული მოხერხებულობის, მასებთან სრული კავშირის, ამ მასების წარმართვის უნარის შეთავსების ნიმუში, არამედ იმის საწინდარიც იქნება, რომ პროლეტარიატის სულ უფრო და უფრო ფართო მასები წავლენ სულ წინ და წინ კომუნისტური რევოლუციის სრული გამარჯვებისაკენ.

2

III, კომუნისტური ინტერნაციონალი

მოსკოვში მიმდინარე, 1919 წლის მარტში შესდგა კომუნისტების საერთაშორისო ყრილობა. ამ ყრილობამ დააარსა III, კომუნისტური ინტერნაციონალი — კავშირი მთელი მსოფლიოს მუშებისა, რომლებიც მიისწრაფიან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისაკენ ყველა ქვეყანაში.

პირველმა ინტერნაციონალმა, რომელიც მარქსმა დააარსა, იარსება 64-დან 72-ე წლამდე. პარიზის გმირი მუშების, განთქმული პარიზის კომუნის, დამარცხება მოასწავებდა ამ ინტერნაციონალის დასასრულს. ის დაუვიწყარია, ის მარადიულია თავისი განთავისუფლებისათვის მუშათა ბრძოლის ისტორიაში. მან საძირკველი ჩაუყარა მსოფლიო სოციალისტური რესპუბლიკის იმ შენობას, რომლის აშენების ბედნიერება ახლა ჩვენ წილად გვხვდა.

მეორე ინტერნაციონალი არსებობდა 89-დან 914-ე წლამდე, ომამდე. ეს დრო იყო დრო კაპიტალიზმის ყველაზე წყნარი და მშვიდობიანი განვითარებისა, დრო, როცა დიდი რევოლუციები არ ყოფილა. ამ ხნის განმავლობაში მუშათა მოძრაობა განმტკიცდა და დავაჟკაცდა მთელ რიგ ქვეყნებში. მაგრამ მუშების ბელადებმა პარტიათა უმრავლესობაში, შეეჩვივნენ რა მშვიდობიან დროს, დაჰკარგეს რევოლუციური ბრძოლის უნარი. როცა 914 წელს დაიწყო ომი, რომელმაც სისხლით მორწყო დედამიწა ოთხი წლის განმავლობაში, ომი კაპიტალისტებს შორის მოგებათა განაწილებისათვის, მცირე

და სუსტ ხალხებზე ბატონობისათვის, ეს სოციალისტები თავიანთ მთავრობათა მხარეზე გადავიდნენ. მათ უღალატეს მუშებს, მათ ხელი შეუწყვეს ხოცვა-ჟლეტის გაჭიანურებას. ისინი სოციალიზმის მტრები გახდნენ, ისინი კაპიტალისტების მხარეზე გადავიდნენ.

მუშათა მასებმა ზურგი შეაქციეს სოციალიზმის ამ მოღალატეებს. მთელ მსოფლიოში დაიწყო შემობრუნება რევოლუციური ბრძოლისაკენ. ომმა დაგვანახვა, რომ კაპიტალიზმი დაიღუპა. მის შემცვლელად მოდის ახალი წესწყობილება. ძველი სიტყვა «სოციალიზმი» შეარცხვინეს სოციალიზმის მოღალატეებმა.

ახლა ის მუშები, რომლებიც კაპიტალიზმის უღლის დამხობის ერთგულნი დარჩნენ, თავიანთ თავს კომუნისტებს უწოდებენ. მთელ მსოფლიოში იზრდება კომუნისტების კავშირი. მთელ რიგ ქვეყნებში უკვე გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. კიდევ ცოტა ხანიც, და ჩვენ ვიხილავთ კომუნიზმის გამარჯვებას მთელ მსოფლიოში, ჩვენ ვიხილავთ საბჭოების მსოფლიო ფედერაციული რესპუბლიკის დაარსებას.

იბეჭდება გრამოფონის ფირფიტაზე
ჩანაწერის მიხედვით, რომელიც
შედარებულია ხელნაწერთან

3

ცნობა ბელა კუნთან რადიოთი მოლაპარაკების შესახებ

ამხანაგ ბელა კუნს კარგად ვიცნობდი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის სამხედრო ტყვედ იყო რუსეთში და არა ერთხელ მოსულა ჩემთან კომუნიზმისა და კომუნისტური რევოლუციის თემებზე სასაუბროდ. ამიტომ, როცა მოვიდა ცნობა უნგრეთის კომუნისტური რევოლუციის შესახებ და ამასთან ცნობა, რომელსაც ხელს აწერდა ამხ. ბელა კუნი, ჩვენ მოვისურვეთ მასთან დალაპარაკება და უფრო ზუსტად გამორკვევა, თუ როგორ იყო ამ რევოლუციის საქმე. პირველი ცნობები მის შესახებ რამდენადმე შიშს იწვევდნენ, ხომ არ ტყუოდნენ ეგრეთწოდებული სოციალისტები ან სოციალ-გამცემლები, გვერდი ხომ არ აუარეს მათ კომუნისტებს, მით უმეტეს, რომ ისინი საპყრობილეში ისხდნენ. და აი, უნგრეთის რევოლუციის შესახებ პირველი ცნობის მიღების მეორე დღეს, მე რადიოდეპეშა გავგზავნე ბუდაპეშტში და ვთხოვე ბელა კუნს მოსულიყო აპარატთან, მივეცი მას იმგვარი შეკითხვები, რომ შემემოწმებინა ის იყო იქ თუ არა, და შევეკითხე, რა რეალური გარანტიები არსებობს მთავრობის ხასიათისა და მისი ნამდვილი პოლიტიკის შესახებ. ამხ. ბელა კუნის პასუხი სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო და მან გაჰფანტა ყველა ჩვენი ეჭვი. აღმოჩნდა, რომ ბელა კუნთან საპყრობილეში მთავრობის შედგენის შესახებ სათათბიროდ მივიდნენ მემარცხენე სოციალისტები. და მხოლოდ ამ მემარცხენე სოციალისტებმა, რომლებიც კომუნისტებს თანა-

უგრძნობდნენ, და კიდევ ცენტრის პირებმა შეადგინეს ახალი მთავრობა, ხოლო მემარჯვენე სოციალისტები, სოციალ-გამცემლები, ასე ვთქვათ, შეურიგებელნი და გაუსწორებელნი, სულ გავიდნენ პარტიიდან და გავიდნენ ისე, რომ მუშათაგან ვერავინ გაიყოლიეს. შემდგომი ცნობებიდან ჩანს, რომ უნგრეთის მთავრობის პოლიტიკა მეტად მტკიცე და იმდენად კომუნისტური მიმართულებისა იყო, რომ თუ ჩვენ მუშათა კონტროლით დავიწყეთ და მხოლოდ თანდათან გადავდიოდით მრეწველობის სოციალიზაციაზე. ბელა კუნს თავისი ავტორიტეტით, თავისი რწმენით იმაში, რომ მას ზურგს უმაგრებენ უდიდესი მასები, შეეძლო ერთბაშად გაეყვანა კანონი უნგრეთის ყველა იმ სამრეწველო საწარმოთა საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევის შესახებ, რომლებსაც კაპიტალისტურად წარმართავდნენ. გავიდა ორი დღე, და ჩვენ სავსებით დავრწმუნდით იმაში, რომ უნგრეთის რევოლუცია ერთბაშად, არაჩვეულებრივ სწრაფად დადგა კომუნისტურ რელსებზე. ბურჟუაზიამ თვითონ ჩააბარა ძალაუფლება უნგრეთის კომუნისტებს. ბურჟუაზიამ მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ, როცა მძიმე კრიზისი დგება, როცა ერი საფრთხეშია, ბურჟუაზიას მართვა-გამგეობა არ შეუძლია. და მხოლოდ ერთია ნამდვილად სახალხო, ნამდვილად ხალხის საყვარელი ხელისუფლება — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელისუფლება.

გაუმარჯოს უნგრეთის საბჭოთა ხელისუფლებას!

4

მიმართვა წითელი არმიისადმი

ამხანაგო-წითელარმიელებო! ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის კაპიტალისტები ომს აწარმოებენ რუსეთის წინააღმდეგ. ისინი შურს იძიებენ მუშურ-გლეხური საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ იმის გამო, რომ მან დაამხო მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება და მით მაგალითი მისცა დედამიწის ყველა ხალხს. ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის კაპიტალისტები ფულითა და სამხედრო მასალებით ეხმარებიან რუსეთის მემამულეებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოუძღვებიან ჯარებს ციმბირიდან, დონიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან და სურთ აღადგინონ მეფის ხელისუფლება, მემამულეების ხელისუფლება, კაპიტალისტების ხელისუფლება. არა. ეს არ მოხდება. წითელი არმია შემჭიდროვდა, აღსდგა, მან გარეკა მემამულეთა ჯარები და თეთრგვარდიელი ოფიცრები ვოლგიდან, ბრძოლით დაიბრუნა რიგა, ბრძოლით დაიბრუნა თითქმის მთელი უკრაინა, ის უახლოვდება ოდესას და როსტოვს. კიდევ ცოტა ძალ-ღონის დაძაბვა, კიდევ რამდენიმე თვის ბრძოლა მტერთან, და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. წითელი არმია ძლიერია იმით, რომ შეგნებულად და ერთსულოვნად იბრძვის გლეხთა მიწისათვის, მუშათა და გლეხთა ძალაუფლებისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

წითელი არმია უძლეველია, რადგან მან მილიონობით შრომელი გლეხები გააერთიანა მუშებთან, რომლებმაც

ახლა ისწავლეს ბრძოლა, ისწავლეს ამხანაგური დისციპლინა, არ ეცემიან სულით, კაჟდებიან მცირე დამარცხებათა შემდეგ, სულ მეტი და მეტი გაბედულებით უტევენ მტერს და იციან, რომ მისი სრული დამარცხება ახლოსაა.

ამხანაგო-წითელარმიელებო! წითელი არმიის მუშებისა და გლეხების კავშირი მტკიცეა, მჭიდრო, ურღვევი. კულაკები და ძალიან მდიდარი გლეხები ცდილობენ აჯანყებები მოაწყონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ ისინი უმნიშვნელო უმცირესობაა. ისინი მოკლე ხნით და იშვიათად ახერხებენ გლეხების მოტყუებას. გლეხებმა იციან, რომ ისინი მხოლოდ მუშებთან კავშირში დასძლევენ მემამულეს. ზოგჯერ სოფლად თავიანთ თავს კომუნისტებს უწოდებენ მუშა ხალხის უცუდესი მტრები, მოძალადეები, რომლებიც მიტმასნებიან ხელისუფლებას ანგარებიანი მიზნებით და მოქმედებენ მოტყუებით, უსამართლობას სჩადიან საშუალო გლეხის წინააღმდეგ და შეურაცხყოფენ მას. მუშურ-გლეხურმა მთავრობამ მტკიცედ გადაწყვიტა ებრძოლოს ასეთ ადამიანებს და გასწმინდოს მათგან სოფელი. საშუალო გლეხი მტერი კი არა, მეგობარია მუშისა, მეგობარია საბჭოთა ხელისუფლებისა. საშუალო გლეხს შეგნებული მუშები და ნამდვილი საბჭოთა ადამიანები ეპყრობიან როგორც ამხანაგს. საშუალო გლეხი არ ძარცვავს სხვის შრომას, არ მდიდრდება სხვის ანგარიშზე, როგორც კულაკები, საშუალო გლეხი თვითონ შრომობს, საკუთარი შრომით ცხოვრობს. საბჭოთა ხელისუფლება შემუსრავს კულაკებს, გასწმენდს სოფელს იმათგან, ვინც უსამართლოდ ეპყრობა საშუალო გლეხებს და უეჭველად განახორციელებს მუშების კავშირს მთელ მშრომელ გლეხობასთან — ღარიბებთანაც და საშუალოებთანაც.

ეს კავშირი იზრდება მთელ მსოფლიოში. რევოლუცია ყველგან ახლოვდება, ძლიერდება. ამ დღეებში მან გაიმარჯვა უნგრეთში. უნგრეთში დამყარებულია საბჭოთა

ხელისუფლება — მუშათა მთავრობა. ამას აუცილებლად მიაღწევს ყველა ხალხი.

ამხანაგო-წითელარმიელებო! იდექით მაგრად, მტკიცედ, ერთსულოვნად! გაბედულად გასწიეთ წინ მტრის წინააღმდეგ! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. რუსეთში გატეხილი ძალაუფლება მემამულეებისა და კაპიტალისტებისა დამარცხებული იქნება მთელ მსოფლიოში!

29/III

5

საშუალო გლეხების შესახებ

ამჟამად ყველაზე მთავარი საკითხი, რომელიც კომუნისტების პარტიის წინაშე დგას და რომელმაც ყველაზე მეტი ყურადღება მიიპყრო უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე, ეს არის საშუალო გლეხების საკითხი.

ბუნებრივია, რომ ჩვეულებრივ ყველაზე უწინ იმას კითხულობენ, თუ რა არის საშუალო გლეხი.

ბუნებრივია, რომ პარტიულ ამხანაგებს არა ერთხელ უამბნიათ, თუ როგორ ეკითხებოდნენ მათ სოფლად, ვინ არის საშუალო გლეხი. და ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: საშუალო გლეხი — ეს ისეთი გლეხია, რომელიც არ ეწევა სხვისი შრომის ექსპლოატაციას, არ ცხოვრობს სხვისი შრომით, არავითარ შემთხვევაში ოდნავ არ სარგებლობს სხვისი შრომის ნაყოფით, არამედ თვითონ მუშაობს, საკუთარი შრომით ცხოვრობს.

ასეთი გლეხები კაპიტალიზმის დროს ნაკლები იყო, ვიდრე ახლაა, იმიტომ რომ უმრავლესობას შეადგენდნენ სრულიად გაჭირვებულნი, და მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას, როგორც მაშინ, ისე ახლა, შეადგენდნენ კულაკები, ექსპლოატატორები, მდიდარი გლეხები.

საშუალო გლეხების რიცხვი იზრდება მას შემდეგ, რაც გაუქმდა მიწის კერძო საკუთრება. და აი საბჭოთა ხელისუფლებამ მტკიცედ გადაწყვიტა აუცილებლად დაამყაროს საშუალო გლეხთან სრული მშვიდობისა და თანხმობის

ურთიერთობა. გასაგებია, რომ საშუალო გლეხს არ შეუძლია ერთბაშად დადგეს სოციალიზმის მხარეზე, იმიტომ რომ ის მტკიცედ დგას იმაზე, რასაც შეეჩვია, სიფრთხილით ეპყრობა ყოველგვარ სიახლეს, ჯერ საქმით, პრაქტიკით ამოწმებს იმას, რისკენაც მას მოუწოდებენ, ვერ ბედავს თავისი ცხოვრების შეცვლას, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ ეს ცვლილება აუცილებელია.

სწორედ ამიტომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, უნდა გვახსოვდეს და ვახორციელებდეთ, რომ მუშა-კომუნისტები, რომლებიც სოფლად მიდიან, ვალდებული არიან ეძიონ ამხანაგური ურთიერთობა საშუალო გლეხთან, ვალდებული არიან დაამყარონ ამხანაგური ურთიერთობა მასთან, ვალდებული არიან ახსოვდეთ, რომ ის მშრომელი, რომელიც არ ეწევა სხვისი შრომის ექსპლოატაციას, მუშის ამხანაგია და მასთან შეიძლება და კიდეც უნდა დამყარდეს ნებაყოფლობითი, გულწრფელობით აღსავსე, ნდობით აღსავსე კავშირი. ყოველგვარ ღონისძიებას, რომელსაც კომუნისტური ხელისუფლება აყენებს, ისე უნდა შევხედოთ, რომ ეს არის მხოლოდ რჩევა, მითითება საშუალო გლეხისთვის, წინადადება, რომ ის ახალ წესზე გადავიდეს.

და მხოლოდ ერთობლივი მუშაობით, რომელიც სცდის ამ ღონისძიებებს პრაქტიკულად, ამოწმებს მათს შეცდომებს, თავიდან იშორებს შესაძლებელ შეცდომებს, შეთანხმებას აღწევს საშუალო გლეხთან, — მხოლოდ ასეთი მუშაობით იქნება უზრუნველყოფილი მუშებისა და გლეხების კავშირი. ეს კავშირია საბჭოთა ხელისუფლების მთელი მთავარი ძალა და დასაყრდენი, ეს კავშირია იმის საწინდარი, რომ სოციალისტური გარდაქმნის საქმეს, კაპიტალზე გამარჯვების საქმეს, ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობის საქმეს ჩვენ საბოლოო გამარჯვებამდე მივიყვანთ.

5

რა არის საბჭოთა ხელისუფლება?

რა არის საბჭოთა ხელისუფლება? რაში მდგომარეობს არსი ამ ახალი ხელისუფლებისა, რომლის გაგება არა სურთ ან ჯერ კიდევ არ შეუძლიათ უმრავლეს ქვეყნებში? მისი არსი, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტად იზიდავს ყოველი ქვეყნის მუშებს, იმაში მდგომარეობს, რომ წინათ სახელმწიფოს ასე თუ ისე მართავდნენ მდიდრები ანუ კაპიტალისტები, ახლა კი სახელმწიფოს პირველად მართავენ, ამასთან მასობრივი რაოდენობით, სწორედ ის კლასები, რომელთაც კაპიტალიზმი ჩაგრავდა. თვით ყველაზე დემოკრატიულ, თვით ყველაზე თავისუფალ რესპუბლიკაში, ვიდრე კაპიტალის ბატონობა რჩება, ვიდრე მიწა კერძო საკუთრებად რჩება, სახელმწიფოს ყოველთვის მართავს პატარა უმცირესობა, რომლის ცხრა მეათედი კაპიტალისტებიდან ანუ მდიდრებიდან არის გამოსული.

სახელმწიფო ხელისუფლება ჩვენში, რუსეთში, პირველად არის მსოფლიოში იმგვარად აგებული, რომ მხოლოდ მუშები, მხოლოდ მშრომელი გლეხები, ექსპლოატატორების გამოკლებით, შეადგენენ მასობრივ ორგანიზაციებს — საბჭოებს, და ამ საბჭოებს აქვთ გადაცემული მთელი სახელმწიფო ძალაუფლება. აი რატომაა, რომ თუმცა ცილს სწამებენ რუსეთს ბურჟუაზიის წარმომადგენლები ყველა ქვეყანაში, მაგრამ ყველგან მსოფლიოში სიტყვა «საბჭო» არათუ გასაგები გახდა, არამედ პოპულარული, საყვარელი გახდა

მუშებისთვის, ყველა მშრომელისთვის. და აი ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც არ უნდა სდევნიდნენ კომუნიზმის მომხრეებს სხვადასხვა ქვეყანაში, საბჭოთა ხელისუფლება გარდუვალად, აუცილებლად და ახლო მომავალში მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის საქმეში. საბჭოთა ხელისუფლება სასწაულებრივი თილისმა როდია. ის ერთბაშად როდი ჰკურნავს წარსულის ნაკლოვანებათაგან, უცოდინარობისაგან, უკულტურობისაგან, მხეცური ომის მემკვიდრეობისაგან, მძარცველური კაპიტალიზმის მემკვიდრეობისაგან. სამაგიეროდ ის სოციალიზმზე გადასვლის შესაძლებლობას იძლევა. ის შესაძლებლობას აძლევს იმათ, ვისაც ჩაგრავდნენ, ამაღლდნენ და თვითვე სულ უფრო და უფრო აიღონ ხელში სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობა, მეურნეობის მთელი მართვა-გამგეობა, წარმოების მთელი მართვა-გამგეობა.

საბჭოთა ხელისუფლება ეს არის მშრომელი მასების მიერ ნახული გზა სოციალიზმისაკენ და ამიტომ — უტყუარი და ამიტომ — უძლეველი გზა.

7

როგორ ვიხსნათ მშრომელნი სამუდამოდ მემამულეებისა და კაპიტალისტების ჩაგვრისაგან

მშრომელთა მტრები — მემამულეები და კაპიტალისტები — ამბობენ: მუშები და გლეხები უჩვენოდ ვერ იარსებებენო. უჩვენოდ ვერავინ დაამყარებს წესრიგს, ვერავინ გაანაწილებს სამუშაოს, ვერავინ აიძულებს იშრომონო. უჩვენოდ ყველაფერი დაინგრევა, და სახელმწიფოც დაიშლებაო. ჩვენ გაგვაგდეს, მაგრამ ნგრევა კვლავ დაგვიბრუნებს ძალაუფლებასო. მემამულეებისა და კაპიტალისტების ასეთი სიტყვები ვერ შეაკრთობს, ვერ დააფრთხობს, ვერ მოატყუებს მუშებსა და გლეხებს. არმიაში საჭიროა უაღრესად მკაცრი დისციპლინა. მაგრამ შეგნებულმა მუშებმა მაინც შესძლეს გლეხების გაერთიანება, შესძლეს მეფის ძველი ოფიცრების სამსახურში აყვანა, შესძლეს ძლევამოსილი არმიის შექმნა.

წითელმა არმიამ შექმნა ჯერ არნახული მტკიცე დისციპლინა, არა ჯოხით, არამედ თვით მუშებისა და გლეხების შეგნებულობის, ერთგულებისა და თავდადების საფუძველზე.

და აი საბოლოოდ რომ ვიხსნათ მშრომელნი მემამულეებისა და კაპიტალისტების ჩაგვრისაგან, მათი ძალაუფლების აღდგენისაგან, — უნდა შევქმნათ შრომის დიდი წითელი არმია. ის უძლეველი იქნება, თუ მასში იქნება შრომითი დისციპლინა. მუშებმა და გლეხებმა უნდა დაამტკიცონ, და ისინი დაამტკიცებენ კიდევაც, რომ შრომის სწორი განაწილების, საერთო სასარგებლო შრომითი თავდადებული დისციპლინისა და ერთგულების შოგვარეგბას ისინი უძემამულეებოდ და

მემამულეების წინააღმდეგ, უკაპიტალისტებოდ და კაპიტალისტების წინააღმდეგ თვითონვე შესძლებენ.

შრომითი დისციპლინა, დაუცხრომელი ენერგია შრომაში, თავგანწირვისათვის მზადყოფნა, გლეხებისა და მუშების მჭიდრო კავშირი, — აი რა იხსნის სამუდამოდ მშრომელებს მემამულეებისა და კაპიტალისტების ჩაგვრისაგან.

8

ებრაელების დარბევითი ხასიათის დევნის შესახებ

ანტისემიტიზმი ეწოდება ებრაელებისადმი მტრობის გავრცელებას. როცა წყეული მეფის მონარქია თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, იგი ცდილობდა ბნელი მუშებისა და გლეხების წასისინებას ებრაელებზე. მეფის პოლიცია მემამულეებთან და კაპიტალისტებთან კავშირში აწყობდა ებრაელთა დარბევებს. მემამულეები და კაპიტალისტები ცდილობდნენ გაჭირვებით განაწამები მუშებისა და გლეხების სიძულვილი ებრაელებზე წარემართათ. სხვა ქვეყნებშიც ხშირად ვხედავთ, რომ კაპიტალისტები აღვივებენ მტრობას ებრაელებისადმი, რათა თვალი დაუბნელონ მუშებს, რათა მათი ყურადღება აარიდონ მშრომელთა ნამდვილ მტერს — კაპიტალს. ებრაელებისადმი მტრობას მხოლოდ იქა აქვს მტკიცედ გადგმული ფესვები, სადაც მემამულეებისა და კაპიტალისტების კაბალამ მუშებისა და გლეხების უკუნეთი სიბნელე შექმნა. ებრაელების წინააღმდეგ გავრცელებული სიცრუისა და ცილისწამების დაჯერება მხოლოდ სავსებით ბნელ, სავსებით დაბეჩავებულ ადამიანებს შეუძლიათ. ეს არის ძველი ბატონყმური დროის ნაშთები, როცა ხუცები აიძულებდნენ კოცონზე დაეწვათ ერეტიკოსები, როცა არსებობდა გლეხების მონობა, როცა ხალხი უღელქვეშ გმინავდა და უტყვი იყო. ამ ძველ ბატონყმურ სიბნელეს ბოლო ეღება. ხალხს თვალი ეხილება.

ებრაელები კი არ არიან მშრომელთა მტრები. მუშების მტრები ყველა ქვეყნის კაპიტალისტები არიან. ებრაელებს შორის არიან მუშები, მშრომელები, — ისინი უმრავლესობას

შეადგენენ. ისინი ჩვენი ძმები არიან კაპიტალის მიერ ერთად ჩაგვრაში, ჩვენი ამხანაგები არიან სოციალიზმისთვის ბრძოლაში. ებრაელებში არიან კულაკები, ექსპლოატატორები, კაპიტალისტები; ისევე როგორც რუსებში, ისევე როგორც ყველა ერში. კაპიტალისტები ცდილობენ გაავრცელონ და გააღვივონ მტრობა სხვადასხვა სარწმუნოების, სხვადასხვა ერის, სხვადასხვა რასის მუშებს შორის. არამუშა ხალხის დასაყრდნობია ძალა და კაპიტალის ბატონობა. მდიდარი ებრაელები, ისევე როგორც მდიდარი რუსები, ისევე როგორც ყველა ქვეყნის მდიდრები, ერთმანეთთან კავშირში არიან და ახშობენ, ჩაგრავენ, ძარცვავენ, თიშავენ მუშებს.

სირცხვილი წყეულ ცარიზმს, რომელიც აწვალებდა და სდევნიდა ებრაელებს. სირცხვილი მათ, ვინც ავრცელებს ებრაელებისადმი მტრობას, ვინც ავრცელებს სიძულვილს სხვა ერებისადმი.

გაუმარჯოს ყველა ერის მუშების ძმურ ნდობას და საბრძოლო კავშირს კაპიტალის დამხობისთვის ბრძოლაში.

ტელეფონოგრამა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას 1919 წ. 1 აპრილს

როგორც სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია გვატყობინებს, პეტროგრადიდან მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ კოლჩაკის, დენიკინისა და მოკავშირეთა აგენტებმა პეტროგრადში სცადეს წყალსადენის სადგურის აფეთქება. სარდაფში აღმოაჩინეს ფეთქებადი ნივთიერებანი, აგრეთვე ჯოჯოხეთის მანქანა, რომელიც მოსასპობად წაიღო საგანგებო რაზმმა, მაგრამ ნაადრევი აფეთქებით მოკლულია რაზმის მეთაური და დაჭრილია 10 წითელარმიელი.

ცალკეულ პუნქტებში ცდილობენ ხიდების აფეთქებას და რკინიგზის მოძრაობის შეჩერებას.

ცდილობენ რკინიგზის ლიანდაგის აყრას, რათა უსურსათოდ დასტოვონ წითელი მოსკოვი და პეტროგრადი.

სოციალისტ-რევოლუციონერები და მენშევიკები აქტიურ მონაწილეობას იღებენ გაფიცვებისადმი, საბჭოთა ხელისუფლების დამხობისადმი მოწოდებებში.

მიღებული ცნობების გამო, თავდაცვის საბჭო გავალებთ მეტად სასწრაფო ზომები მიიღოთ აფეთქებათა, რკინიგზების გაფუჭებისა და გაფიცვებისადმი მოწოდებების ყოველგვარი ცდის ჩასახშობად.

თავდაცვის საბჭო გავალებთ სიფხიზლისაკენ მოუწოდოთ საგანგებო კომისიათა ყველა მუშაკს და მიღებული ზომების შესახებ აცნობოთ თავდაცვის საბჭოს.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

სრ. რუს. ცაკ-ის «იზვესტია» № 71,
1919 წ. 2 აპრილი

იბეჭდება სრ. რუს. ცაკ-ის
გაზეთის «იზვესტიას»
ტექსტის მიხედვით

მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის საგანგებო სხდომა 1919 წ. 3 აპრილს

1

მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ

ამხანაგებო! ჩემი მოხსენების დაწყება საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ მე მიხდება იმით, რომ სწორედ ამ თვეებში, გაზაფხულის დამდეგიდან, ჩვენ კვლავ განვიცდით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობას. მე ვფიქრობ, რომ როგორც სამოქალაქო ომის, ისე ანტანტასთან ომის პირობები, ყოველ შემთხვევაში, ნებას გვაძლევენ, უდიდესი სიფრთხილითაც რომ ვიმსჯელოთ, — მე კიდევ ვილაპარაკებ ამ პირობებზე, როცა გადავალ საერთაშორისო მდგომარეობაზე, — ნებას გვაძლევენ უდიდესი სიფრთხილით მსჯელობის დროსაც ვთქვათ, რომ ეს ნახევარწელი, რომლის შუაგულში ჩვენ შევედით, უკანასკნელი მძიმე ნახევარწელი იქნება იმიტომ, რომ საფრანგეთისა და ინგლისის კაპიტალისტები ველარ შესძლებენ ისეთი შემოტევის განმეორებას, რომელსაც ისინი ახლა ავითარებენ მთელი ძალღონით. ხოლო მეორე მხრივ, ყველა მონაპოვარი, რომელსაც ჩვენმა წითელმა არმიამ მიაღწია უკრაინასა და დონზე და რომლის განმტკიცების საშუალება ჩვენა გვაქვს, მეტად არსებითად შეამსუბუქებს შინაურ მდგომარეობას, მოგვცემს პურსა და ქვანახშირს, სურსათსა და სათბობს. ახლა კი, ვიდრე ბრძოლა არ დამთავრებულა, ვიდრე კიდევ გვიხდება უდიდეს სიძნელეთა პირობებში მოქმედება უკრაინაში პურის აღების დროს, — ახლა, გაზაფხულის უგზოობისას, მდგომარეობა ფრიად მძიმეა.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ საბჭოთა ხელისუფლების მთელი ძალა ემყარება მუშების ნდობასა და შეგნებულ დამოკიდებულებას. ჩვენ არა ერთხელ დაგვიმტკიცებია, რომ, თუმცა მრავალრიცხოვანია მტერი, რომელიც გარს გვარტყია, და ჯაშუშები, რომელთაც ანტანტა გვიგზავნის და რომელთაც ეხმარებიან ის ადამიანები, რომლებიც, შესაძლოა, თანაშემწეებად არც კი თვლიან თავს, მაგრამ რომლებიც ეხმარებიან თეთრგვარდიელებს, ჩვენ სრულიადაც არ ვხუჭავდით თვალს იმაზე, რომ ყოველი სიტყვა, რომელიც აქ ითქმის, გადასხვაფერებული იქნება, რომ ჩვენს გულახდილ სიტყვებს ყურს დაუგდებენ თეთრგვარდიელთა აგენტები, — მაგრამ ჩვენ ვამბობთ: დაე დაუგდონ ყური! ჩვენ გაცილებით მეტ სარგებლობას ვნახავთ პირდაპირი და აშკარა სიმართლით, იმიტომ რომ დარწმუნებული ვართ, რომ თუმცა ეს მძიმე სიმართლეა, მაგრამ, როცა ის მკაფიოდ გაისმის, მუშათა კლასის ყოველი შეგნებული წარმომადგენელი, ყოველი მშრომელი გლეხი გამოიტანს მისგან ერთადერთ სწორ დასკვნას.

ისინი, ბოლოს და ბოლოს, იმ ერთადერთ შესაძლებელ დასკვნას გამოიტანენ, რომ მთელ მსოფლიოში ჩვენი საქმე ახლოსაა გამარჯვებასთან და რომ, თუმცა საშინლად მძიმეა იმპერიალისტური ომის ოთხი წლის განმავლობაში, ახლა კი კიდევ უსაშინელესი სამოქალაქო ომის ორი წლის განმავლობაში დაღლილი, დამშეული, განაწამები მშრომელი მასების მდგომარეობა, — თუმცა მეტად მძიმეა ეს მდგომარეობა, თუმცა მეტად გამწვავებულიც არის იგი ამჟამად, — ჩვენ გამარჯვების ფრიად სერიოზული შანსები გვაქვს არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. და ამიტომაც ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მძიმეა ეს 4 — 5 თვე, რომელიც ჩვენ უნდა გადავიტანოთ, შევძლებთ კიდევ და კიდევ დავძლიოთ ეს სიძნელეები და ამრიგად დავანახოთ მტრებს, დავანახოთ მთელი მსოფლიოს შეერთებულ კაპიტალისტებს, რომ მათ რუსეთზე შემოტევა ჩაეშლებათ.

ისინი კი სწორედ ახლა, უეჭველია, წინასწარ მოფიქრებული გეგმით, დასავლეთიდანაც და აღმოსავლეთიდანაც, ცდილობენ საომარი მოქმედებით გაგვსრისონ, რათა გადაარჩინონ კრასნოვის დასალუპად განწირული ბანდები. გუშინ ცნობა გვქონდა მარიუპოლის აღების შესახებ. ამრიგად, როსტოვი ნახევარრკალით გარშემორტყმულია. ერთი სიტყვით, შეთანხმების ქვეყნები მთელ ძალ-ღონეს მიმართავენ იქითკენ, რომ იხსნან კრასნოვი და სწორედ ამ გაზაფხულზე გვაგემონ ჩვენ ძლიერი დარტყმა. ისინი, უეჭველია, ჰინდენბურგთან შეთანხმებით მოქმედებენ. ლატვიიდან ჩამოსულმა ამხანაგმა გვიამბო, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდნენ იქაური ამხანაგები. ქვეყნის უმეტესი ნაწილი ისეთ გაჭირვებას განიცდიდა, რომლის შესახებ მოსკოვის მუშებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, — შემოსევისა და ჯარების მოძრავი ჯგუფების მიერ სოფლების მრავალგზისი აოხრებით გამოწვეულ გაჭირვებას. ახლა გერმანელები მიდიან დვინსკზე, რათა მოგვწყვიტონ რიგა. ჩრდილოეთით მათ ეხმარებიან ესტონელი თეთრგვარდიელები იმ ფულზე, რომელსაც ინგლისი გზავნის, ეხმარებიან მოხალისენი, რომელთაც გზავნიან შვედები და დანიელები, რომლებიც სულ მთლად მოსყიდული არიან ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის მილიარდერების მიერ. ისინი მოქმედებენ ჩვენთვის სავსებით ნათელი საერთო გეგმის მიხედვით, სარგებლობენ რა იმით, რომ გერმანიაში მათ სისხლისმღვრელი ჩახშობით დაასუსტეს სპარტაკელებისა და რევოლუციონერების მოძრაობა. და თუმცა ისინი გრძნობენ, რომ სულს ღაფავენ, მათ მაინც საკმაოდ ხელსაყრელად სცნეს მომენტის გამოყენება იმ მიზნით, რომ ჰინდენბურგისთვის მიეცათ ჯარების ნაწილი და გაეძლიერებინათ შეტევა დასავლეთიდან განაწამებ, დატანჯულ ლატვიაზე და დაგვმუქრებოდნენ ჩვენ. მეორე მხრივ, კოლჩაკმა მთელი რიგი გამარჯვებები მოიპოვა აღმოსავლეთში და, ამრიგად, ის ამზადებს პირობებს «შეთანხმების» ქვეყნების უკანასკნელი და ფრიად გადამწყვეტი შემოტევისათვის.

და, როგორც ყოველთვის, არ სჯერდებიან გარედან შემოტევას და ისინი ქვეყნის შიგნით მოქმედებენ შეთქმულებათა, აჯანყებათა გზით, ყუმბარების გადაგდებისა და პეტროგრადში წყალსადენის აფეთქების ცდით, რის შესახებაც თქვენ გაზეთებში წაიკითხავდით, რკინიგზის ლიანდაგების აყრის ცდით, რაც მოახდინეს სამარის ახლოს, — ეს არის რკინიგზის მთავარი ხაზი, რომელიც ამჟამად პურს გვაწვდის აღმოსავლეთიდან. ამ პურის ნაწილი დაიღუპა, ხელში ჩაიგდო კოლჩაკმა. რკინიგზის ლიანდაგის აყრის ცდა იყო კურსკ-ხარკოვის რკინიგზაზე, რომლითაც დაწყებულია ქვანახშირის შემოზიდვა წითელი არმიის მიერ დაბრუნებული დონეცის აუზიდან. როცა ჩვენ ყველაფერ ამას ვითვალისწინებთ და ვარკვევთ, ჩვენთვის ცხადია, რომ «შეთანხმების» ქვეყნები, საფრანგეთის იმპერიალისტები და მილიარდერები უკანასკნელად ცდილობენ საომარი მოქმედების გზით გასრისონ საბჭოთა ხელისუფლება.

მენშევიკებიც, მემარჯვენე და მემარცხენე ესერებიც, რომლებსაც დღემდე ვერ გაუგიათ, რომ ბრძოლა დასასრულს უახლოვდება, რომ საკითხი დგას უაღრესად თავგანწირული, ულმობელი ომის შესახებ, — განაგრძობენ გაფიცვისა თუ სამოქალაქო ომის შეწყვეტის ქადაგებას. როგორიც უნდა იყოს მათი საქმე, ისინი ეხმარებიან თეთრგვარდიელებს, — მათ შესახებ მე ვილაპარაკებ ქვემოთ, ახლა კი მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ მდგომარეობა მართლაც მძიმეა.

საერთაშორისო კაპიტალისტების მთელ ძალებს ამ გაზაფხულზე სურთ გაგვიმართონ უკანასკნელი ბრძოლა. საბედნიეროდ, ეს არის მიხრწნილი, მომაკვდავი, უიმედო ავადმყოფი მოხუცის — საერთაშორისო კაპიტალიზმის ძალები. მაგრამ, ასე თუ ისე, ამჟამად ჩვენს წინააღმდეგ თავმოყრილი სამხედრო ძალები მეტისმეტად დიდია. კერძოდ, კოლჩაკმა ახლა დასძრა მთელი თავისი რეზერვები, მას ჰყავს მოხალისე-თეთრგვარდიელები, ძალიან მნიშვნელოვანი ოდენობის ბანდები, მას იარაღითა და უდიდესი მოცულობის სამხედრო საჭურველით ეხმარებიან ინგლისი და ამერიკა. აი

რატომ მოითხოვს ჩვენგან შექმნილი ვითარება საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობის სიძნელის ცხადად შეგნებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშრომელმა მასებმა შეიგნეს, თუ რისთვის წარმოებს ომი. მათ იციან, რომ ამ რამ-დენიმე თვეში გადაწყდება ბედი როგორც ჩვენი რევოლუციის, ისე, მნიშვნელოვნად, საერთაშორისო რევოლუციისაც, რომ კაპიტალისტების ეს ცდა საბჭოთა რუსეთის მოტეხისა იმიტომ გამწვავდა ასე, იმიტომ გვესხმიან ისინი თავს ასეთი გააფთ-რებით, რომ მათ იციან, რომ შიგნით მათ იგივე მტერი ჰყავთ — ბოლშევიკური მოძრაობა. ეს მოძრაობა იქაც სწრაფად და შეუ-ჩერებლად იზრდება.

ჩვენს მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებს სასურსათო და სატრანსპორტო სიძნელეები და ეს გვაიძულებს კიდევ და კიდევ დასახმარებლად მოვუწოდოთ ყველა შეგნებულ მუშას. ტრანსპორტი ოთხი წლის განმავლობაში ინგრეოდა იმპერია-ლისტური ომის გამო, და ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორც რუსეთია, ამ ნგრევის კვალი კიდევ არ არის გამოსწორებული, ხოლო მისი გამოსწორება შეიძლება მხოლოდ მთელი თვეების ან, შესაძლოა, წლების მეტად შეუპოვარი მუშაობით. უსათ-ბობოდ მუშაობა კი შეუძლებელია. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დავიწყეთ ქვანახშირის მიღება დონეცის აუზიდან. თქვენ იცით, რომ ბაქოში ნავთობი ინგლისელებმა წაგვართვეს. მათ ხელში ჩაიგდეს გემების ერთი ნაწილი კასპიის ზღვაზე, დაიპყრეს გროზნი და ხელს გვიშლიან ნავთობით ვისარგებ-ლოთ. უსათბობოდ კი არც მრეწველობას და არც რკინიგზებს მუშაობა არ შეუძლიათ. მთელი ძალ-ღონის დაძაბვა გვიხდება.

ჩვენ ერთხელ კიდევ ვეუბნებით ყველა ამხანაგს: სასურ-სათო და სატრანსპორტო სამუშაოზე მეტი ძალები უნდა მივი-ზიდოთ. ტრანსპორტის მუშაობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ აღმოსავლეთ რუსეთში, ვოლგის იქით, ჩვენ გვაქვს რამდენიმე მილიონი ფუთი პური, — 10 — 20 მილიონი უკვე ჩაყრილი და დამზადებულია, მაგრამ ვერ გადმოგვიზიდავს იგი. ამ პუ-რის ერთი ნაწილი ჩვენ დავკარგეთ კოლჩაკის ჯარების უკანასკ-ნელი წინსვლის წყალობით, როცა ხელში ჩაიგდეს უფა და

უკან დაახევინეს ჩვენს ჯარებს. ეს დანაკარგი უაღრესად საგრძნობი და მძიმეა. სატრანსპორტო მუშაობა უდიდეს დაძაბულობას მოითხოვს. საჭიროა მუშები ყოველ კრებაზე აყენებდნენ საკითხს: რით შეგვიძლია დავეხმაროთ ტრანსპორტს? ხომ არ შეგვიძლია აქაურ სამუშაოებზე მამაკაცები შევცვალოთ ქალებით და მამაკაცები გადავიყვანოთ ან სარემონტო სახელოსნოებში, ან რკინიგზელთა დასახმარებლად? თუ როგორ მოვახერხოთ ეს — ამას უფრო ხედავენ მუშები, რომლებმაც იციან, ვინ რა სპეციალობაზე დააყენონ. ამას უფრო ხედავენ პრაქტიკის ადამიანები, რომლებმაც უნდა გამონახონ დახმარების სულ ახალახალი საშუალება. ჩვენ იმედი გვაქვს და დარწმუნებული ვართ, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენმა გზათა კომისარიატმა სასურსათო კომისარიატთან ერთად უკვე მიაღწიეს ერთგვარ წარმატებებს. სასაქონლო თვემ — სამგზავრო მოძრაობის შეწყვეტამ, როგორ ცილსაც უნდა გვწამებდნენ ჩვენი მტრები, უკვე მოგვცა გაუმჯობესება, მაგრამ საჭიროა ათწილ მეტად დავძაბოთ ძალ-ღონე, რომ უფრო მეტ წარმატებას მივაღწიოთ. გუშინ «იზვესტიაში» დაიბეჭდა ციფრობრივი მონაცემები. მოვიყვან უმთავრესს. მარტის დამდეგს მოსკოვში საშუალოდ დღეში მოდიოდა სურსათით დატვირთული 118 ვაგონი, მათში 25 დატვირთული იყო პურით. მარტის დამლევს დღეში მოსვლა იწყო 209 სასურსათო ვაგონმა, მათში 47 პურით იყო დატვირთული. ეს ნიშნავს თითქმის გაორკეცებას. ეს ნიშნავს, რომ სწორი იყო ისეთი მძიმე ღონისძიების მიღება, როგორიცაა სამგზავრო მოძრაობის აკრძალვა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ დავეხმარეთ მოსკოვის, პეტროგრადისა და მთელი სამრეწველო ოლქის დამშეულ მოსახლეობას. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა იმასთან შედარებით, რაც შეიძლება გაკეთდეს. შემდეგ კი, როცა სრული უგზოობა დადგება, გაცილებით უფრო ძნელი და მშიერი ხანა მოგველის. აი რატომ ვამბობთ ჩვენ, რომ აქ საჭიროა მეტად შეუსუსტებელი და ენერგიული მუშაობა. ჩვენ, უმთავრესად, უნდა დავეყრდნოთ არა ინტელიგენტ მუშაკებს,

რომლებიც თუმცა ჩადგნენ ჩვენს სამსახურში, მაგრამ მათ შორის მაინც ბევრია უვარგისი მუშაკი, — არამედ მუშათა მასებს.

ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ უკრაინაში არსებულ მდგომარეობასაც. ერთი წლის განმავლობაში, როცა მთელი უკრაინა გერმანელებს ეჭირათ და მთელი დონი ასეთ მძიმე მდგომარეობაში იყო, ჩვენ ძალიან ბევრი რამ გადავიტანეთ. ამჟამად ჩვენი მდგომარეობა უმჯობესდება. უკრაინაში ჩვენ გვაქვს 258 მილიონი ფუთი პური, რომლიდან 100 მილიონი ფუთი უკვე გაწერილია, მაგრამ მთელი საქმე ისაა, რომ უკრაინაში გლეხები საშინლად დაშინებული არიან გერმანელებით და გერმანელების ძარცვა-გლეჯით. მე გავიგე, რომ გლეხები იქ იმდენად დაშინებული არიან გერმანელების მიერ, რომ დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ მათ იციან, რა მდგომარეობაშია აქ საბჭოთა ხელისუფლება, ვერ გაუბედიათ მემამულეთა მიწების აღება. ამავე დროს უკვე დგება მიწის საგაზაფხულო დამუშავების დრო. უკრაინელმა გლეხებმა კი იმდენად გამოსცადეს თავიანთ ზურგზე გერმანელთა ძარცვა-გლეჯის მთელი საშინელება, რომ დღემდე ისინი მეტად გაუბედავნი არიან. უნდა ითქვას, რომ იქ სულ მუდამ პარტიზანული ომი წარმოებდა. ეს ომი სამხრეთში ახლაც წარმოებს. იქ რეგულარული ჯარები არ არის. რეგულარული ჯარების უყოლობის გამო იქ დღემდე ვერ მიულწევიათ სრული გამარჯვებისთვის. ჩვენ იქ გავგზავნეთ ჩვენი რეგულარული ჯარები, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა მუშაობის მნიშვნელოვნად გაძლიერება, ამიტომაც მე უნდა გითხრათ, რომ თვითეულმა მუშათა კრებამ გარკვევით უნდა დააყენოს სურსათისა და ტრანსპორტის საკითხი. ჩვენ უახლოეს დროში უნდა გადავწყვიტოთ საკითხი, როგორ ვუშველოთ მდგომარეობას და როგორ გამოვიყენოთ ის, რის გამოყენებაც ჩვენ ახლა შეგვიძლია.

ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ მუშათა კლასის ძალის დახმარებით შეგვიძლია მტკიცედ დავდგეთ ფეხზე, შეგვიძლია ჩვენს ბრწყინვალე გამარჯვებებს მივაღწიოთ, ამიტომაც ჩვენი პროლეტარიატის საუკეთესო ძალები უნდა გავგზავნოთ იქ, ფრონტზე. ჩვენ ფრონტზე უნდა გავგზავნოთ

პასუხისმგებელი მუშაკები. თუ აქ რომელიმე დაწესებულება დაზარალდება, ჩვენ, რა თქმა უნდა, ერთგვარ ზარალს ვნახავთ, მაგრამ ჩვენ ამით არ დავიღუპებით, ხოლო თუ ჩვენ არმიაში საკმარისი მუშები არ გვეყოლება, ჩვენ, უეჭველად, დავიღუპებით. ჩვენს არმიას დღემდე ის ნაკლი აქვს, რომ იგი არ არის საკმაოდ დარაზმული, საკმაოდ ორგანიზებული, და ამ მხრივ მთელ დახმარებას უნდა მოველოდეთ მუშებისგან და მთელი იმედი მათზე უნდა იყოს დამყარებული. მხოლოდ იმ მუშებს, რომლებსაც განუცდიათ მთელი ბრძოლა, რომლებსაც შეუძლიათ განცდილის, გამოვლილი ტანჯვის სხვებისთვის გაზიარება, მხოლოდ ასეთ მუშებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ არმიაზე და გლეხები გადააქციონ შეგნებულ და ჩვენთვის საჭირო მებრძოლებად.

ამიტომ ჩვენ ერთხელ კიდევ მოვედით აქ და გადავწყვიტეთ თქვენი შეკრება, რათა დაგვენახვებინა ტრანსპორტის ის მძიმე მდგომარეობა, რომელიც არსებობს საერთო მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ კიდევ 3 — 4 თვე უნდა გავძლოთ, და მხოლოდ მაშინ მივაღწევთ სრულ გამარჯვებას. მაგრამ ამისთვის საჭიროა ძალები. საიდან გავაჩინოთ ეს ძალები? მაგრამ განა ჩვენ არ ვხედავთ, რომ მხოლოდ იმ მუშებს, რომლებმაც თავიანთ ზურგზე გადაიტანეს ჩვენი ნგრევის მთელი სიმძიმე, როცა ბრძოლას ცვლიდა თეთრგვარდიელთა შემოსევანი, როცა მათ ამის გამო თავიანთ ზურგზე გადაიტანეს მთელი სიმძიმე და ამით დიდი გამოცდილება შეიძინეს, — მხოლოდ ამ მუშებს, მხოლოდ ამ ჩვენს მოწინავე რაზმებს შეუძლიათ დახმარება გაგვიწიონ! ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ისინი უზომოდ გაწამებული არიან, რომ ისინი ქანცგაწყვეტილი არიან იმ არაადამიანური მუშაობით, რომელიც მათ წილად ხვდათ. ჩვენ ყოველივე ეს ვიცით, მაგრამ ჩვენ მაინც გეუბნებით ახლა აქ, რომ საჭიროა მთელი ძალ-ღონის დაძაბვა, რომ საჭიროა იმაზე ფიქრი, რომ მთელ ძალებს მოვუყაროთ თავი რევოლუციისთვის, მისი ბრწყინვალე გამარჯვებისთვის. ახლა დგება ყველაზე ძნელი, ყველაზე მძიმე დრო, და ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ,

როგორც რევოლუციონერები. ჩვენ ძალები უნდა მივიღოთ მშრომელი მასებიდან.

გუშინ აქ შესდგა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პროფესიული მოძრაობის გავლენიან მოღვაწეთა კრება. და ამ კრებაზე ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ ამჟამად აუცილებელია მუშაობაში მივიზიდოთ საშუალო გლეხი, რომელსაც დღემდე ჩვენ არ ვთვლიდით ასეთი მუშაობის უნარის მქონედ. მაგრამ ახლა სავსებით ცხადია, რომ დაღლილი მუშაკების შესაცვლელად ჩვენ საშუალო გლეხები უნდა დავაყენოთ სამუშაოზე, მაგრამ ვიდრე ამას ვიზამდეთ, საჭიროა, რომ მათ ინსტრუქტაჟი გაუწიონ იმ მუშაკებმა, რომლებიც დღემდე მუშაობაში იყვნენ ჩაბმული. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ძალები, და დროებით ჩვენი პასუხისმგებელი მუშაკები უნდა შევცვალოთ საშუალო გლეხობიდან გამოსული მუშაკებით. ჩვენ ხომ ათიათასობით ასეთი მუშაკები უნდა ავამოძრაოთ. ჩვენ არ უნდა შევუშინდეთ იმას, რომ ისინი ისე კარგად ვერ შეასრულებენ თავიანთ სამუშაოს, როგორც ამას იზამდნენ გამოცდილი მუშაკები. თუ მათ პასუხსაგებ ადგილებზე დავაყენებთ, ის შეცდომები, რომელთაც ისინი პირველ ხანებში დაუშვებენ, არ არის საშიში. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს მათ წამოწევას მოწინავე პასუხსაგებ პოსტებზე. ისინი იქ შესძლებენ თავიანთი ძალის გაშლას და თავიანთი მუშაობის გაჩაღებას, იმიტომ რომ ისინი იმოქმედებენ მტკიცედ, მათ ეცოდინებათ, რომ მათ ზურგს უმაგრებენ დიდი გამოცდილი მუშაკები, რომელთაც უკვე აქვთ ერთი წლის გამოცდილება რუსეთში. მათ იციან, რომ მათი უფრო გამოცდილი ამხანაგები კრიზისულ მომენტში ამოცანას შეუმსუბუქებენ მათ. მუშების ეს ახალი ფენა შესძლებს საქმის კარგად წაყვანას, თუ მოწინავე მუშები წამოსწევენ მათ მოწინავე პოსტებზე. ჩვენ ეს შეგვიძლია გავაკეთოთ უზიანოდ, იმიტომ რომ ამ უფართოეს ფენას აქვს პროლეტარული ინსტინქტი, მოვალეობის პროლეტარული გაგება და შეგნება. მათ შეიძლება დავეყრდნოთ და მათ შესახებ შეიძლება ვთქვათ, რომ გაჭირვების დროს ისინი დაგვეხმარებიან. რუსეთი იმით განირჩეოდა, რომ სულ უმძიმეს

ხანაში მას ყოველთვის ჰყავდა მასები, რომელთა წინ დაძვრა შეიძლებოდა, როგორც მარაგი, რომელშიც პოვებდნენ ახალ ძალებს, როცა ძველი ძალები ილეოდა. დიახ, მოწინავე მუშა მეტისმეტად დაღლილია, და შემდგომი ფენა უფრო ცუდად წაიყვანს საქმეს, მაგრამ ეს არაფერია, ეს ზიანს ვერ მოგვიტანს, და ჩვენ საქმესაც არ დავღუპავთ, თუ წამოვწევთ ამ ახალ ძალებს, წარვმართავთ მათ და არ დავღუპავთ საქმეს.

ასეთ პირობებში არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ესერები და მენშევიკები. უკანასკნელ ხანებში საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო მათი გაზეთების დახურვა და თვით მათი დაპატიმრება. ზოგიერთი ამხანაგი-მუშა, ხედავს რა ამას, ამბობს: «მაშასადამე, მართალი არ ყოფილან ის ბოლშევიკები, — მათ რიცხვს მეც ვეკუთვნი, — რომლებმაც ჩაგვითრიეს წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისადმი ერთგვარ დათმობაშიო. რატომ მივდიოდით დათმობებზე, თუ ახლა ჩვენ იძულებული ვართ გაზეთები დავხუროთ და ისინი დავაპატიმროთ? განა ამაში არის თანამიმდევრობა?».

ამაზე მე შემდეგს ვუპასუხებ. ისეთ ქვეყანაში, როგორც რუსეთია, სადაც მთელ სოფლის მეურნეობას წვრილბურჟუაზიული ელემენტები ეწევიან, ასეთ ქვეყანაში წვრილბურჟუაზიული ფენის დაუხმარებლად ჩვენ დიდხანს ვერ გავძლებთ. ეს ფენა ამჟამად პირდაპირი გზით კი არ მიდის მიზნისაკენ, არამედ ზიგზაგებით. თუ მე მივსდევ მტერს, რომელიც მიდის არა სწორი გზით, არამედ ზიგზაგებით, მაშინ მეც, მტერს რომ დავეწიო, ზიგზაგებით უნდა ვიარო. პოლიტიკური ენით თუ ვიტყვით, წვრილბურჟუაზიული მასები დგანან შრომასა და კაპიტალს შუა, და ეს მასები ასჯერ უნდა გაილახონ, რათა მიხვდნენ, რომ საჭიროა გაერკვნენ ერთ რამეში: შესაძლებელია ან ბურჟუაზიის დიქტატურა, ან მუშათა კლასის დიქტატურა. ვინც ამას ითვალისწინებს, მან იცის ახლანდელი მომენტის ვითარება. და მუშებმაც იციან ეს. მათ შეგნებაში გამოცდილებით და მთელი რიგი დაკვირვებებით შეიჭრა იმის შეგნება, რომ ხელისუფლების სწორედ ეს ორი სახეა შესაძლებელი: ან მუშათა კლასის სრული ძალაუფლება,

ან ბურჟუაზიის სრული ძალაუფლება, — საშუალო რამ არ არსებობს, მესამე გზა არ არსებობს. მუშათა კლასმა დიდი ხანია გაიგო ეს საგაფიცვო და რევოლუციური ბრძოლით. წვრილ ბურჟუაზიას ერთბაშად ამის გაგება არ შეუძლია; ცხოვრების ასობით მითითებას არ შეუძლია ასწავლოს წვრილ ბურჟუაზიას, შეაჩვიოს იგი ამ აზრს, და ისიც თავს არ ანებებს მსხვილ ბურჟუაზიასთან გაერთიანების ფიქრს, რადგან ვერ გაუგია, რომ ვერ შეველევით პროლეტარიატის დიქტატურას ან ბურჟუაზიის დიქტატურას.

ესერებმა და მენშევიკებმა კოლჩაკთან ბრძოლის გამოცდილებით გაითვალისწინეს და გაიგეს, რომ ეს არ არის შემთხვევითი ამბავი, რომ უაღრესად გააფთრებული, თავგანწირული ბრძოლის დროს, უცხოეთის დახმარების პირობებში, დემოკრატიამ ვერაფერი ვერ მოგვცა. მათზე ორი ძალა მოქმედებს, — და ამ ძალების გარდა სხვა არაფერია — ან ბურჟუაზიის დიქტატურა, ან მუშათა კლასის ძალაუფლება და სრული დიქტატურა, საშუალო რამეს არსად არაფერი არ მოუცია, მისგან არსად არაფერი არ გამოსულა. არაფერი გამოვიდა დამფუძნებელი კრებიდანაც. ეს თავიანთ თავზე გამოსცადეს ესერებმა და მენშევიკებმა და წვრილმა ბურჟუაზიამ.

როდესაც ესერები და მენშევიკები ამბობდნენ: «ჩვენ ჩამოვშორდებით კოლჩაკს და ყველა მათ, ვინც მხარს უჭერს მას და ანტანტის ჩარევასო», ისინი ამას მარტო თვალთმაქცურად როდი ამბობდნენ. ეს მარტო პოლიტიკური ვერაგობა როდი იყო, თუმცა ამ ადამიანთა ერთ ნაწილს იმის იმედი ჰქონდა, რომ «ჩვენ ბოლშევიკებს მოვატყუებთ, ოღონდ კი ძველის განმეორების შესაძლებლობას მოგვცემდნენო». ჩვენ ეს ვერაგობა გავითვალისწინეთ და, რა თქმა უნდა, ზომებიც მივიღეთ მის წინააღმდეგ, მაგრამ როცა ამას მენშევიკები და ესერები ამბობდნენ, — ეს მარტო თვალთმაქცობა და ვერაგობა კი არ იყო, არამედ ბევრი შათგანის რწმენაც. მათ შორის ჩვენ გვყავს არა მარტო ლიტერატურული ჯგუფი, არამედ ტექნიკოსების, ინჟინრების და სხვათა წვრილბურჟუაზიული ფენებიც. როდესაც მენშევიკებმა განაცხადეს, მოკავ-

შირეთა ჩარევის წინააღმდეგი ვართო, ჩვენ წინადადება მივეცით მათ ემუშავნათ ჩვენთან და ისინიც სიამოვნებით დათანხმდნენ ჩვენს წინადადებაზე. მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენ მათ ვდევნით, ვდევნით წვრილბურჟუაზიულ ფენას, ჩვენ სავსებით მართალი ვართ, რადგან ეს ფენა მეტისმეტად ჩლუნგია რაიმეს გაგების მხრივ. მან ეს გამოააშკარავა კერენშჩინის პერიოდშიც და ახლანდელი თავისი საქციელითაც. მას შემდეგ, რაც ისინი ჩვენთან მოვიდნენ სამსახურში, ისინი ამბობენ: «ჩვენ უარი ვთქვით პოლიტიკაზე, სიამოვნებით ვიმუშავებთო». ასეთ ადამიანებს ჩვენ ვუპასუხებთ: «მენშევიკი მოხელეები ჩვენ გვესაჭიროება, რადგან ესენი არც ხაზინის ქურდები არიან და არც ის შავრაზმელები, რომლებიც მოძვრებიან ჩვენთან, ეწერებიან კომუნისტებად და საქმეს გვიფუჭებენ». თუ ადამიანებს სწამთ დამფუძნებელი კრება, ჩვენ მათ ვეუბნებით: «იწამეთ, ბატონებო, არა მარტო დამფუძნებელი კრება, არამედ ღმერთიც, მაგრამ აკეთეთ თქვენი საქმე და თავი დაანებეთ პოლიტიკას». მათ შორის იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც იციან, რომ პოლიტიკაში მათ სირცხვილი ჭამეს: ისინი გაჰყვიროდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მახინჯი გამოგონებაა, რომელიც მხოლოდ ველურ რუსეთშია შესაძლებელიო. ისინი ამბობდნენ, რომ დამფუძნებელი კრების გარეკვა, ეს ცარიზმის მიერ გამოზრდილი ბარბაროსების მოქმედებაა. და ევროპაშიც იმეორებდნენ ამას. ახლა ევროპიდან მოდის ცნობები, რომ მთელს მსოფლიოში ბურჟუაზიული დამფუძნებელი კრების შემცვლელად საბჭოთა ხელისუფლება მოდისო. ეს არის გაკვეთილი, რომელსაც იღებს მთელი ინტელიგენცია, რომელიც ჩვენთან მოდის სამსახურში. ახლა ჩვენთან ორჯერ მეტი მოხელეები მუშაობენ, ვიდრე ნახევარი წლის წინათ. ეს კარგია, რომ ჩვენ მივიღეთ ისეთი მოხელეები, რომლებიც უკეთ მუშაობენ, ვიდრე შავრაზმელები. როცა ჩვენ მათ სამსახურში ვიწვევდით, ისინი ამბობდნენ: «მეშინია კოლჩაკისა, მე შენი მომხრე ვარ, მაგრამ არა მსურს დაგეხმარო. მე ვიმსჯელებ როგორც წმინდა წყლის პარლამენტარი, თითქოს დამფუძნებელ კრებაში ვიჯდე, შენ კი არ გაბედო

ხელის ხლება, იმიტომ რომ მე დემოკრატი ვარო». ჩვენ დამფუძნებელი კრების შესახებ მოლაპარაკე ამ ჯგუფებს ვეუბნებით: «თუ თქვენ კიდევ დიდხანს ინებებთ ლაპარაკს, ჩვენ წაგიყვანთ კოლჩაკთან და საქართველოში». (ტ ა შ ი.) იმართება პოლემიკა, იქმნება ლეგალური ჯგუფის ოპოზიცია. ოპოზიციას ჩვენ არ დავუშვებთ. ჩვენ მთელი მსოფლიოს იმპერიალისტები ყელში ხელს გვიჭერენ, სამხედრო შემოტევის მთელი ძალიერებით ცდილობენ დაგვამარცხონ, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, აქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა. თუ შენ აქ დასახმარებლად მოხვედი — გთხოვთ, ხოლო თუ შენ დაიწყებ გაზეთების ბეჭდვას და მუშების წაქეზებას გაფიცვების მოსაწყობად, გაფიცვების გამო კი ჩვენი წითელარმიელები იღუპებიან ფრონტებზე, და გაფიცვის თვითეული დღის გამო ათი ათასობით ადამიანი ჩვენს ფაბრიკებში იტანს გაჭირვებას, შიმშილით გამოწვეულ ტანჯვას, იმ ტანჯვას, რომელიც ჩვენ გვაღელვებს,—მაშინ შენ, იქნებ, დამფუძნებელი კრების თვალსაზრისით მართალიც ხარ, მაგრამ ჩვენი ბრძოლისა და იმ პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, რომელიც ჩვენ დაკისრებული გვაქვს, შენ მართალი არა ხარ, შენ ვერ დაგვეხმარები, წაეთრიე საქართველოში, წაეთრიე კოლჩაკთან, ანდა საპყრობილეში იჯდები! და ამას ჩვენ ვიზამთ.

ამხანაგებო! მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ყველანი ერთხმად მივიღებთ იმ რეზოლუციას, რომელიც კრების ბოლოს იქნება წარმოდგენილი და რომელშიც ჩვენ ვცდილობთ მოვიყვანოთ ის აუცილებელი მითითებანი, რომელთა დასაბუთება მე მინდოდა ჩემს მოხსენებაში. ახლა მე მინდა გადავიდე ორ საკითხზე: საშუალო გლეხის მდგომარეობაზე და საერთაშორისო საკითხზე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საშუალო გლეხის შესახებ ჩვენ ვილაპარაკეთ პარტიულ ყრილობაზე და გადავწყვიტეთ, როგორი ხაზი უნდა გაატაროს ჩვენმა პარტიამ საშუალო გლეხობის მიმართ. ჩვენმა პარტიამ უაღრესად პასუხსაგებ პოსტზე, სრულიად რუსეთის ცაკ-ის თავმჯდომარის პოსტზე, მით უფრო პასუხსაგებ პოსტზე, რომ ის აქამდე ეკავა განსაკუთრებით ნიჭიერ ორგანიზატორს, ამხ.

სვერდლოვს, ამ პოსტზე ჩვენმა პარტიამ აირჩია ამხ. კალინინი, პეტერბურგელი მუშა, რომელსაც დღემდე კავშირი აქვს სოფელთან. დღევანდელ გაზეთებში გამოქვეყნებულია ცნობა, რომ ერთი ამხ. კალინინი მოჰკლეს ესერებმა, — ეს სხვა კალინინია. ეს გვიჩვენებს, თუ რა საშუალებებს მიმართავენ ესერები. ამხ. მ. ი. კალინინი — ტვერის გუბერნიის საშუალო გლეხია, და ყოველ წელს მიდის იქ. საშუალო გლეხობა — ეს ყველაზე დიდი ფენაა, რომელიც ჩვენი რევოლუციის შემდეგ გაიზარდა იმის გამო, რომ ჩვენ გავაუქმეთ მიწის მემამულური კერძო საკუთრება. გლეხობამ გაუმჯობესება იგრძნო ჩვენი რევოლუციით, იმიტომ რომ მან მიიღო მემამულეთა მთელი მიწა, და ამის გამო საშუალო გლეხების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ მასში უკმაყოფილებას ვამჩნევთ, ჩვენ ვამბობთ, რომ ამ უკმაყოფილებას იწვევენ ზევიდან, და უნდა ვიცოდეთ, რამდენად კანონიერია ის ჩვენი ძალების ნაკლებობის დროს. თქვენ აქ, დედაქალაქში, იცით, თუ რა ძნელია გაჭიანურებასთან, კანცელარულობასთან ბრძოლა. ჩვენ უნდა ავიყვანოთ ძველი მოხელეები, იმიტომ რომ სხვა არ არის. ისინი ხელახლა უნდა აღვზარდოთ, ვასწავლოთ მათ, ეს კი დროს მოითხოვს. ჩვენ შეგვიძლია სასურსათო ორგანიზაციებში პასუხსაგებ პოსტებზე ახალი მუშები დავაყენოთ, მაგრამ სახელმწიფო კონტროლში დღემდე ზის ძველი მოხელეების უზომოდ დიდი რიცხვი, და ჩვენ საქმეს გვიჭირებს გაჭიანურება, კანცელარულობა. ჩვენ ვცდილობთ მივცეთ ახალი მუშები, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ კონტროლის მუშაობაში, გზათა კომისარიატში, სპეციალისტების გვერდით. ასე ვებრძვით ჩვენ გაჭიანურებას და კანცელარულობას. მაგრამ აქაც, მოსკოვში, რამდენ შრომად გვიჯდება ეს! ხოლო რა ხდება სოფლებში? — იქ ადამიანები, რომლებიც პარტიულებს უწოდებენ თავს, ხშირად ვიგინდარები არიან, რომლებიც ყოვლად უსინდისოდ მოძალადეობენ. ხოლო რა ხშირად გვიხდება გამოუცდელ ადამიანებთან ბრძოლა, როცა ისინი ერთმანეთში ურევენ კულაკსა და საშუალო გლეხს! კულაკი ისაა, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს, ვინც ძარცვავს სხვის შრომას და თავისთვის იყენებს

სხვის გაჭირვებას; საშუალო გლეხი ისაა, ვინც არც ექსპლოატაციას ეწევა და არც თვითონ ხდება ექსპლოატაციის საგანი, ვინც ცხოვრობს წვრილი მეურნეობით, საკუთარი შრომით. და წვრილი მეურნისთვის არც ერთ სოციალისტს ქვეყნად არასდროს არ უფიქრია საკუთრების წართმევა. წვრილი მეურნე დიდხანს იარსებებს. აქ ვერავითარი დეკრეტებით ვერაფერს გახდები, აქ უნდა ელოდო, როდის ისწავლის გლეხი გამოცდილებისთვის ანგარიშის გაწევას. როდესაც იგი დაინახავს, რომ კოლექტიური მეურნეობა გაცილებით უკეთესია, მაშინ ის ჩვენთან იქნება. ჩვენ უნდა მოვიპოვოთ მისი ნდობა. აქ საჭიროა ბრძოლა მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან. ჩვენ ბრძოლა შეგვიძლია მხოლოდ ქალაქის მუშების ძალით, რადგან მათ უდიდესი კავშირი აქვთ გლეხთან, მათ შეუძლიათ მოგვცენ ასი ათასობით მუშაკი. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ვერ გვიშველის ვერც ამხანაგების დანიშვნა მაღალ პოსტებზე, ვერც ცირკულარები, ვერც დეკრეტები, არამედ თვითეული ჯგუფის, თვითეული წრის მუშებმა თვითონ უნდა მოჰკიდონ საქმეს ხელი, — მათ განსაკუთრებული კავშირი აქვთ სოფელთან.

მე ვთქვი, რომ მუშებს პირველ პუნქტად უნდა ჰქონდეთ: მთელი ძალ-ღონით დაგვეხმარონ ომში; მეორე პუნქტად უნდა ჰქონდეთ: დაეხმარონ საშუალო გლეხს მასთან კავშირით, რომ დაუსჯელად არ დასტოვონ მტრის არც ერთი სერიოზული შემოტევა სოფლად. უნდა მივუთითოთ, რომ ქალაქის მუშა ეხმარება საშუალო გლეხს, როგორც თავის ამხანაგს, იმიტომ რომ საშუალო გლეხი ისეთივე მშრომელია, ოღონდ ის სხვა პირობებშია აღზრდილი, ის განკერძოებულად, სოფლის სიბნელეში ცხოვრობს, და გზის გაკაფვა მისთვის განუზომლად უფრო ძნელია. და ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომ ამხანაგების შეუპოვრობით ჩვენ მივაღწევთ კავშირის დამყარებას საშუალო გლეხთან. გლეხთა უმნიშვნელო რიცხვი კულაკობაში გადავარდება, აჯანყებებს მოაწყობს, — ეს ჩვენ ვიცით. და თუ ეს არსებობს, როგორ შევუწყოთ ხელი, როგორ მოვიპოვოთ საშუალო გლეხის ნდობა, როგორ დავეხმაროთ მას ყოველ-

გვარ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ? თუ აქ ჩვენ ცოტა გავაკეთეთ, ეს ჩვენი ბრალი არ არის: ხელს გვიშლიდა ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს უნდა შევიგნოთ, ეს საკითხი თვითეულ მუშას უნდა დავუყენოთ და ვუთხრათ: ჩვენ, მუშებს, საერთოდ კავშირი გვაქვს საშუალო გლეხობასთან და ამ კავშირს ჩვენ გამოვიყენებთ, ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ თვითეულმა საშუალო გლეხმა არა მარტო ამხ. კალინინის დანიშვნით გაიგოს ჩვენი დახმარების შესახებ, არამედ მან საქმით უნდა მიიღოს თუნდაც პატარა, მაგრამ მაინც დახმარება, თუნდაც პატარა, მაგრამ ამხანაგური რჩევით. და გლეხიც ახლა ყველაზე მეტად ასეთ დახმარებას დააფასებს. მან უნდა გაიგოს, რატომ გვიშლის ხელს ჩვენი მდგომარეობის სიძნელე აღმოვუჩინოთ მას დახმარება, რომელსაც იგი საჭიროებს, რომელიც ქალაქის კულტურაშია. გლეხს ესაჭიროება ქალაქის პროდუქტები, ქალაქის კულტურა, და ჩვენც უნდა მივცეთ ეს მას. მხოლოდ მაშინ, როცა პროლეტარიატი აღმოუჩენს მას ამ დახმარებას, — გლეხი დაინახავს, რომ მუშა მას ეხმარება არა ისე, როგორც ექსპლოატატორები ეხმარებოდნენ. გლეხისთვის დახმარების გაწევა ისე, რომ ქალაქის დონემდე ამაღლდეს, — ეს ამოცანა უნდა დაისახოს ყოველმა მუშამ, რომელსაც კავშირი აქვს სოფელთან. ქალაქის მუშამ უნდა უთხრას თავის თავს, რომ ახლა, გაზაფხულზე, როცა განსაკუთრებით გამწვავდა სასურსათო მდგომარეობა, მან დახმარება უნდა აღმოუჩინოს გლეხს, და თუ თვითეული ამ საქმის თუნდაც მცირე ნაწილს შეასრულებს, მაშინ დავინახავთ, რომ ჩვენს შენობას მარტო ფასადი როდი აქვს, და რომ ჩვენი საქმე საბჭოთა ხელისუფლების უზრუნველყოფის მხრივ გაკეთდება, ვინაიდან გლეხი ამბობს: «გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს ბოლშევიკებს, ძირს კომუნია!». ის აგინებს «კომუნიას», რომელსაც სულელურად აწყობენ, რომელსაც მას თავს ახვევენ. ყველაფერს თავს მოხვეულს ის უნდობლობით ეპყრობა, კანონიერი უნდობლობით. ჩვენ უნდა მივიდეთ საშუალო გლეხთან, დავეხმაროთ მას, ვასწავლოთ მას, მაგრამ მხოლოდ მეცნიერებისა და სოციალიზმის სფეროში, ხოლო

სოფლის მეურნეობის სფეროში ჩვენ უნდა ვისწავლოთ მისგან. აი ამოცანა, რომელიც განსაკუთრებული სიძლიერით დგება ჩვენს წინაშე.

ახლა ჩვენ გადავდივართ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხზე. მე ვამბობ, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალისტები უკანასკნელად ცდილობენ ხელი წაგვიჭირონ ყელში, მაგრამ ამას ისინი ვერ შესძლებენ. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავამარცხებთ საერთაშორისო იმპერიალიზმს. ჩვენ დავამარცხებთ მთელი მსოფლიოს მილიარდერებს. ჩვენ მათი დამარცხება შეგვიძლია ორი მიზეზით. ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ისინი მხეცები არიან, რომლებმაც ისე შორს შესტოპეს ერთმანეთს შორის ბრძოლაში, რომ განაგრძობენ ერთმანეთის კბენას და ვერ ხედავენ, რომ უფსკრულის პირას დგანან. მეორე, იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლება განუწყვეტლივ იზრდება მთელ მსოფლიოში. არც ერთი დღე არ გაივლის, რომ ამის შესახებ გაზეთებში არ ვკითხულობდეთ. დღეს ჩვენ ვკითხულობთ ამერიკის ბეჭდვითი სიტყვის რადიობიუროს ცნობას ლიონიდან, რომ იმ ადამიანებმა, რომლებიც 10 კაცისაგან შემდგარ კომისიაში მუშაობდნენ, შეჰკვეცეს კომისია, და ახლა ლაპარაკობს 4 კაცი: ვილსონი, ლოიდ-ჯორჯი, კლემანსო და ორლანდო. ოთხი ერის ბელადები არიან და ისინიც ვერ შეთანხმებულან: ინგლისსა და ამერიკას არ უნდათ საფრანგეთს გაუნაწილონ მოგება ქვანახშირის მოპოვებიდან. ეს ის მხეცები არიან, რომლებსაც ნაძარცვი ნადავლი დაუგროვებიათ მთელი მსოფლიოდან და ახლა ვერ მორიგებულან. ეს ოთხი კაცი ჩაიკეტა ოთხთა ჯგუფში, რათა, ღმერთმა დაიფაროს, მითქმა-მოთქმა არ დაიწყოს, — ყველა ისინი დიდი დემოკრატები არიან, — მაგრამ ისინი თვითონ იწვევენ მითქმა-მოთქმას და რადიოს გზავნიან იმის შესახებ, რომ თანახმა არ არიან ქვანახშირიდან მიღებული მოგება გასცენ. მე მიამბო ერთმა ფრანგმა ამხანაგმა, რომელსაც ფრანგი ტყვეები ენახა, თუ რას ლაპარაკობენ ეს ტყვეები: «ჩვენ

გვითხრეს, რუსეთში უნდა წახვიდეთ გერმანელებთან საბრძოლველად, იმიტომ რომ გერმანელებმა ჩვენი ქვეყანა დაახრჩვესო. მაგრამ ახლა ხომ გერმანელებთან დროებითი ზავია დადებული, მაშ ვისთან მივდივარ საბრძოლველად?». ამაზე მას არაფერიც არ უთხრეს. და აი იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ამ კითხვას უყენებენ თავიანთ თავს, დღითი დღე იზრდება მილიონობით და მილიონობით. ამ ადამიანებმა განიცადეს იმპერიალისტური ომის საშინელებანი, და ისინი ამბობენ: «რისთვისღა მივდივართ საომრად?». თუ წინათ მათ ბოლშევიკები ასწავლიდნენ არალეგალური ფურცლებით, თუ რისთვის მიდიან ისინი საომრად, ახლა იმპერიალისტები გზავნიან რადიო-დეპეშებს: ინგლისი თანახმა არ არის ქვანახშირის მოგება საფრანგეთს მისცესო. ამრიგად, ერთი ფრანგი ჟურნალისტის თქმით, ისინი შერბიან და გამორბიან ერთი ოთახიდან მეორეში და ამაოდ ცდილობენ საკითხის გადაწყვეტას. ისინი სწყვეტენ საკითხს, თუ ვის მეტი მისცენ, და ხუთი თვეა ერთმანეთს ეჩხუბებიან; იქამდე მივიდნენ, რომ თავს ვეღარ იკავებენ, და ეს შხეცები ისე წაიჩხუბებიან, რომ მარტო კუდებიღა დარჩება. და ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც პირველ ხანებში იმდენად სუსტი იყო, რომ მათ შეეძლოთ ჩვენი გასრესა რამდენიმე კვირაში, ახლა, როცა მათ ერთმანეთს შორის ვერ გაუნაწილებიათ ნადავლი, იმიტომ რომ მათ ერთმანეთს დაუწყეს ღრღნა, — ახლა ჩვენი მდგომარეობა უკეთესია. ისინი ჯარისკაცებს ჰპირდებიან: დაამარცხე გერმანია და გაუგონარ სარგებლობას მიიღებ. ისინი დავობენ, 60 თუ 80 მილიარდი აიღონ გერმანიისაგან. საკითხი მეტისმეტად პრინციპული, მეტისმეტად საინტერესოა, განსაკუთრებით თუ ამას ეტყვი მუშას ან გლეხს. მაგრამ თუ ისინი დიდხანს იდავებენ, ვერც ერთსაც ვერ აიღებენ. აი რა არის ყველაზე საინტერესო!

აი რატომ ვამბობთ ჩვენ სრულიად გადაუჭარბებლად არა როგორც სოციალისტებიც კი, არამედ უბრალოდ იმ ძალების ფხიზელი აწონ-დაწონით, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ მოდიან,

რომ საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობა უმჯობესდება არა დღითი დღე, არამედ საათობით. მტრები ვერ მორიგებულან ერთმანეთს შორის. ხუთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მათ გაიმარჯვეს. და ისინი ზავს არ ჰკრავენ. საფრანგეთის პალატამ ამას წინათ ახალი ასეული მილიონები დაამტკიცა სამხედრო მზადებისათვის. ისინი თვითონ ითხრიან საფლავს, იქ კი მათ უკვე ჰყავთ ადამიანები, რომლებიც მათ ამ საფლავში ჩაუშვებენ და კარგადაც ჩაფლავენ. (ტ ა შ ი). ეს იმიტომ, რომ საბჭოთა მოძრაობა ყველა ქვეყანაში იზრდება, და უნგრეთის რევოლუციამაც გვიჩვენა, რომ როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ვიბრძვიით არა მარტო ჩვენთვის, არამედ საბჭოთა ხელისუფლებისთვის მთელ მსოფლიოში, რომ აქ წითელარმიელთა სისხლი იღვრება არა მარტო მშიერი ამხანაგების გულისთვის, არამედ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთვის მთელ მსოფლიოში, — უნგრეთის მაგალითმა გვიჩვენა, რომ ეს მარტო წინასწარჭვრეტა და დაპირება კი არ არის, არამედ ეს არის მეტად ცოცხალი უშუალო რეალობა.

უნგრეთში რევოლუცია არაჩვეულებრივ ორიგინალურად მოხდა. უნგრელი კერენსკი, რომელსაც იქ კაროლი ჰქვია, თვითონ გადადგა, და უნგრეთის შემთანხმებლები — მენშევიკები და ესერები — მიხვდნენ, რომ საჭირო იყო წასვლა საპყრობილეში, სადაც იჯდა უნგრელი ამხანაგი ბელა კუნი, ერთ-ერთი საუკეთესო უნგრელი კომუნისტი. ისინი მივიდნენ და უთხრეს მას: «თქვენ უნდა აიღოთ ძალაუფლებაო!». (ტ ა შ ი.) ბურჟუაზიული მთავრობა გადადგა. ბურჟუაზიული სოციალისტები, უნგრეთის მენშევიკები და ესერები, შეუერთდნენ უნგრელი ბოლშევიკების პარტიას და შექმნეს ერთიანი პარტია, ერთიანი მთავრობა. ამხ. ბელა კუნმა, ჩვენმა ამხანაგმა და კომუნისტმა, რომელმაც მთლიანად განვლო ბოლშევიზმის პრაქტიკული გზა რუსეთში, როცა მას რადიოთი ველაპარაკე, მითხრა: «მთავრობაში მე უმრავლესობა არა მყავს, მაგრამ მე გავიმარჯვებ იმიტომ, რომ მასები

მხარს მიჭერენ,— და ვიწვევთ საბჭოების ყრილობასო». ეს მსოფლიო-ისტორიული გადატრიალებაა.

დღემდე ყველა ევროპელ მუშას ატყუებდნენ, როცა საბჭოთა რუსეთის შესახებ ამბობდნენ: «იქ არავითარი ხელისუფლება არ არის, არამედ პირდაპირ ანარქიაა, ეს მხოლოდ ჩხუბისთავი ხალხი არისო». ამას წინათ საფრანგეთის მინისტრმა პიშონმა საბჭოთა რუსეთის შესახებ განაცხადა: «ეს არის ანარქია, ესენი მოძალადენი, უზურპატორები არიანო!». — «შეხედეთ რუსეთს, — ეუბნებოდნენ თავის მუშებს გერმანელი მენშევიკები: — ომი, შიმშილი, გაჩანაგება! განა ეს გინდათ თქვენ სოციალიზმისთვის?» და მათ ამით დააფრთხეს მუშები. უნგრეთმა კი გვიჩვენა ისეთი რევოლუციის მაგალითი, რომელიც სულ სხვაგვარად იბადება. უნგრეთს, უეჭველად, მოუხდება ბურჟუაზიასთან მძიმე ბრძოლის გადატანა — ეს გარდუვალია. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ, როცა ამ მხეცებმა, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებმა, გაითვალისწინეს უნგრეთში რევოლუცია მოხდებაო, მათ სურდათ მისი მოსპობა, არ მიეცათ მისთვის წარმოშობის შესაძლებლობა. ჩვენში მდგომარეობის სიძნელე იმაში იყო, რომ ჩვენ გვიხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების შექმნა პატრიოტიზმის წინააღმდეგ. იძულებული გავხდით გაგვეტეხა პატრიოტიზმი, შეგვეკრა ბრესტის ზავი. ეს იყო უაღრესად თავგანწირული და გააფთრებული სისხლისმღვრელი მსხვრევა. მეზობელ ქვეყნებში ბურჟუაზიამ დაინახა, ვინ უნდა განაგებდეს. ვინ, თუ არა საბჭო? ეს როგორც ძველ დროში, როცა მეფეები, პატარა მეფეები და მთავრები ხედავდნენ, რომ მათი ძალაუფლება სუსტდებოდა, ამბობდნენ: «საჭიროა კონსტიტუცია, დაე ბურჟუაზიამ დაიწყოს მართვაო!». ხოლო თუ მეფე სუსტდებოდა, ის იღებდა პენსიას ან შემოსაკლიან ადგილს. სწორედ იმასვე, რასაც მეფეები და პატარა მეფეები განიცდიდნენ 50 — 60 წლის წინათ, ახლა განიცდის მსოფლიო ბურჟუაზია. როცა ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებმა გაუგონარი მოთხოვნები წაუყენეს უნგრეთის კაპიტალისტებს, უკანასკნელებმა თქვეს: «ჩვენ ბრძოლა არ

შეგვიძლია. ჩვენ ხალხი არ გამოგვყვება, მაგრამ ჩვენ, როგორც უნგრეთის პატრიოტებს, გვინდა წინააღმდეგობა გავუწიოთ. რომელი ხელისუფლება უნდა იყოს? — საბჭოების ხელისუფლებაო». უნგრეთის ბურჟუაზიამ მთელი მსოფლიოს წინაშე აღიარა, რომ ის ნებაყოფლობით გადადგა, და რომ არის მხოლოდ ერთადერთი ხელისუფლება ქვეყნად, რომელსაც შეუძლია ხალხთა ხელმძღვანელობა მძიმე წუთში, — ეს არის საბჭოების ხელისუფლება. (ტ ა შ ი.) აი ამიტომაც უნგრეთის რევოლუცია იმით, რომ ის სულ სხვაგვარად წარმოიშვა, ვიდრე ჩვენი რევოლუცია, დაანახვებს მთელ მსოფლიოს იმას, რაც რუსეთის მიმართ დაფარული იყო: სახელდობრ, რომ ბოლშევიზმი დაკავშირებულია ახალ პროლეტარულ, მუშათა დემოკრატიასთან, რომელიც გამოდის ძველი პარლამენტის ადგილას. ეს ის დრო იყო, როცა მუშებს ატყუებდნენ, კაპიტალისტურად იმონებდნენ მათ. ძველი ბურჟუაზიული პარლამენტის ნაცვლად მოდის მსოფლიო საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც მოიპოვა ყველა მუშის თანაგრძნობა, იმიტომ რომ ის მშრომელთა ხელისუფლებაა, ხელისუფლებაა მილიონებისა, რომლებიც თვითონ ბატონობენ, თვითონ განაგებენ. შესაძლოა, ისინი ცუდად განაგებენ, როგორც ჩვენ რუსეთში, მაგრამ ჩვენ ხომ უზომოდ მძიმე პირობებში ვიმყოფებით. იმ სახელმწიფოში, სადაც ბურჟუაზია ასეთ გააფთრებულ წინააღმდეგობას არ გასწევს, საბჭოთა ხელისუფლების ამოცანები უფრო იოლი იქნება, ის შესძლებს იმ ძალმომრეობის, იმ სისხლისმღვრელი გზის გარეშე მუშაობას, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს ბატონმა კერენსკებმა და იმპერიალისტებმა. ჩვენ გავივლით უფრო მძიმე გზასაც. რა უყოთ, რომ რუსეთს მეტი მსხვერპლის გაღება ხვდა წილად, ვიდრე სხვა ქვეყნებს. ეს არ არის გასაკვირველი, როცა ჩვენ მემკვიდრეობად დაგვრჩა ძველი ნგრევა. სხვა ქვეყნები აღწევენ სხვა, უფრო ადამიანური გზით, აღწევენ იმასვე — საბჭოთა ხელისუფლებას. აი რატომ ექნება უნგრეთის მაგალითს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ხალხი გამოცდილებით სწავლობს. საბჭოთა ხელისუფლების სიმართლის დამტკიცება სიტყვებით შეუძლებელია. მარტო რუსეთის მაგალითი არ იყო გასაგები მთელი მსოფლიოს მუშებისთვის. მათ იცოდნენ, რომ იქ არის საბჭო, — ისინი ყველანი საბჭოს მომხრენი არიან, მაგრამ მათ აფრთხობდა სისხლისმღვრელი ბრძოლის საშინელებანი. უნგრეთის მაგალითი გადამწყვეტი იქნება პროლეტარული მასებისთვის, ევროპის პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობისთვის: მძიმე წუთს სხვა ვერავინ განაგებს ქვეყანას, გარდა საბჭოთა ხელისუფლებისა.

ჩვენ გვაგონდება მაგალითი, როცა ძველი ადამიანები ამბობენ: «შვილები წამოიზარდნენ, შვილები ხალხში გამოვიდნენ, შეიძლება მოვკვდეო». ჩვენ სიკვდილს არ ვაპირებთ, ჩვენ გამარჯვებისაკენ მივდივართ, მაგრამ როდესაც ვხედავთ ისეთ შვილებს, როგორც უნგრეთია, სადაც უკვე საბჭოთა ხელისუფლებაა, ვამბობთ, რომ ჩვენ უკვე ჩვენი საქმე გავაკეთეთ არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც, და რომ ჩვენ ყოველგვარ საშინელ სიძნელეებს გავუძლებთ, რათა სრული გამარჯვება მოვიპოვოთ, რათა რუსეთისა და უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკებს მიემატოს — და ჩვენ დავინახავთ, როგორ მიემატება — საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკა. (ტ ა შ ი.)

«პრავდა» № № 76, 77;
1919 წ. 9, 10 აპრილი

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

2

რეზოლუცია საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

საბჭოთა რესპუბლიკა მძიმე და სახელოვანი ბრძოლით, რომელსაც იგი აწარმოებს ყველა ხალხის სათავეში, შედის თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდში. მომავალი თვეები კრიზისის თვეები იქნება. ანტანტა უკანასკნელ საშინელ ძალ-ღონეს იკრებს, რათა იარაღით გაგვსრისოს. სასურსათო მდგომარეობა უაღრესად მწვავდება. ტრანსპორტი დიდად დანგრეულია.

ჩვენი ხსნა შეუძლია მხოლოდ ძალების უკიდურესად დაძაბვას. მაგრამ გამარჯვება სავსებით შესაძლებელია. უნგრეთის რევოლუცია წარმოადგენს იმის საბოლოო დამამტკიცებელ საბუთს, რომ ევროპაში სწრაფად იზრდება საბჭოთა მოძრაობა და ის გაიმარჯვებს. ჩვენ უფრო მეტი მოკავშირენი გვყავს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ. ჩვენს სრულ გამარჯვებამდე საჭიროა მხოლოდ გავძლოთ კიდევ 4 ან 5 თვე, შეიძლება, ყველაზე უფრო საშიში და მწარე თვეები. და ასეთ დღეებში უგუნურები და ავანტიურისტები, რომლებიც თავიანთ თავს მენშევიკებს, მემარცხენე და მემარჯვენე ესერებს უწოდებენ, სიტყვით ემხრობიან რა საბჭოთა ხელისუფლებას და პროტესტს აცხადებენ რა ანტანტის სამხედრო ჩარევის წინააღმდეგ, ქადაგებენ გაფიცვებს ან დათმობას თავისუფალი ვაჭრობის მიმართ, ან სამოქალაქო ომის შეწყვეტას, ის კი ავიწყდებათ, რომ ჩვენ ზავი შევთავაზეთ ყველას, და რომ ჩვენი

ომი — სამართლიანი, კანონიერი, აუცილებელი თავდაცვაა. ცხადია, ეს აგიტაცია ყველაზე აქტიურ და ნამდვილ დახმარებას წარმოადგენს თეთრგვარდიელებისთვის, რომლებიც უკანასკნელი დაძაბულობით გვიმზადებენ ხიფათს. კრება შეუბრალებლად ჰგმობს ხალხის ამ ფარულ მტრებს.

კრება უცხადებს ყველა მენშევიკსა და ესერს, რომლებიც ნამდვილად მზად არიან დაგვეხმარონ ჩვენს მძიმე ბრძოლაში, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება სრულ თავისუფლებას მიანიჭებს მათ და უზრუნველყოფს მათთვის საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთა სრულ ფართო უფლებებს.

კრება აცხადებს, რომ ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას წარმოადგენს ულმობელი ბრძოლა იმ მენშევიკებთან და ესერებთან, რომლებიც, ლიტერატურული და პოლიტიკური ჯგუფების «ვსეგდა ვპერიოდ!» და «დელო ნაროდას»[42] მსგავსად, სინამდვილეში ხელს უშლიან ჩვენს ბრძოლას და ჩვენი მოსისხლე მტრების მოკავშირენი არიან. კრება მოუწოდებს ყველა მუშათა ორგანიზაციას, ყველა პროლეტარს და მშრომელ გლეხს დაძაბონ მთელი ძალ-ღონე წინააღმდეგობის გასაწევად საბჭოთა ხელისუფლების მტრებისთვის, მის დასაცავად, აგრეთვე სასურსათო საქმისა და ტრანსპორტის მოსაწესრიგებლად.

ამისთვის კრება საჭიროდ თვლის:

1) დაქანცულ მოწინავეთა ადგილზე მივიზიდოთ საშუალო გლეხები, ე. ი. მოწინავე მუშებსა და გლეხებზე უფრო ნაკლებ გამოცდილი წარმომადგენლები ამ კლასებისა.

2) კიდევ და კიდევ გავაძლიეროთ როგორც მოწინავეთა, ისე მასობრივ მუშათა გაგზავნა სასურსათო საქმეზე, ტრანსპორტზე, ჯარში სამუშაოდ.

3) რაც შეიძლება მეტი შეგნებული მუშები და გლეხები მივიზიდოთ გზათა სახალხო კომისარიატში და სახელმწიფო კონტროლში სამუშაოდ მუშაობის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმის, გაჭიანურებისა და კანცელარულობის აღმოსაფხვრელად.

4) რაც შეიძლება მეტი ძალები გაიგზავნოს დამშეული ქალაქებიდან სოფლად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე — ბოსტნებში, უკრაინაში, დონში და ა. შ. პურისა და სოფლის სხვა პროდუქტების წარმოების გასაძლიერებლად.

5) დავძაბოთ მთელი ძალები საშუალო გლეხის დასახმარებლად და მისი ამხანაგური მხარის დაჭერის მიზნით იმ ბოროტმოქმედებათა აღსაკვეთათ, რომლებიც ხშირად ასე დიდ ზიანს აყენებენ მას. ისეთი საბჭოთა მუშაკები, რომელთაც არ ესმით ეს ერთადერთი სწორი პოლიტიკა ან არ ეხერხებათ მისი განხორციელება, დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნან.

6) ყველასათვის დღის წესრიგში დგას ბრძოლა დაღლილობის, სულმოკლეობისა და მერყეობის ყოველგვარ გამოხატულებასთან. ყველას უნდა ჩავუნერგოთ გულის სიმხნევე, მოვუწოდოთ სულიერი სიმტკიცისაკენ, გავაძლიეროთ შეგნებულობა და განვამტკიცოთ ამხანაგური დისციპლინა.

რუსეთის მუშათა კლასმა და გლეხობამ უზომო გაჭირვება გადაიტანეს. მათი ტანჯვა კიდევ უფრო გამწვავდა უკანასკნელ თვეებში. მაგრამ კრება აცხადებს, რომ მუშების ნება არ დაცემულა, რომ მუშათა კლასი კვლავინდებურად თავის პოსტზე დგას, ის აღსავსეა რწმენით, რომ ყველა სიძნელეს დასძლევს, რომ ის აუცილებლად დაიცავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამარჯვებას რუსეთსა და მთელ მსოფლიოში.

«პრავდა» № 73,
1919 წ. 4 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერთან

წერილი პეტროგრადელ მუშებს აღმოსავლეთის ფრონტის დახმარების შესახებ

ამხანაგ პეტროგრადელ მუშებს

ამხანაგებო! მდგომარეობა აღმოსავლეთის ფრონტზე უკიდურესად გაუარესდა. დღეს კოლჩაკმა აიღო ვოტკინის ქარხანა, იღუპება ბუგულმა; როგორც ჩანს, კოლჩაკი კიდევ წინ წამოიწევს.

საფრთხე მრისხანეა.

ჩვენ დღეს სახალხო კომისართა საბჭოში გაგვყავს მთელი რიგი სასწრაფო ზომები აღმოსავლეთის ფრონტის დასახმარებლად, ვაჩაღებთ გაძლიერებულ აგიტაციას.

ჩვენ ვთხოვთ პიტერის მუშებს ფეხზე დაიყენონ ყველაფერი, მობილიზაცია გაუკეთონ მთელ ძალებს აღმოსავლეთის ფრონტის დასახმარებლად.

იქ მუშა-ჯარისკაცები თვითონაც გამოიკვებებიან და თავიანთ ოჯახებსაც დაეხმარებიან სასურსათო ამანათებით. მთავარი კი ისაა, — რომ იქ წყდება რევოლუციის ბედი.

იქ გამარჯვებით ჩვენ ვამთავრებთ ომს, ვინაიდან საზღვარგარეთიდან თეთრებს მეტს აღარ დაეხმარებიან. სამხრეთში ჩვენ ახლოს ვართ გამარჯვებასთან. სამხრეთიდან ძალების წაყვანა არ შეიძლება, ვიდრე იქ სრულიად არ გავიმარჯვებთ.

ამიტომ დავეხმაროთ აღმოსავლეთის ფრონტს!

დეპუტატთა საბჭომაც და პროფესიულმა კავშირებმაც უნდა დაძაბონ მთელი ძალები, ფეხზე დააყენონ ყველაფერი, ყოველნაირად დაეხმარონ აღმოსავლეთის ფრონტს.

მე დარწმუნებული ვარ, ამხანაგებო, რომ პიტერელი მუშები მაგალითს უჩვენებენ მთელ რუსეთს.

კომუნისტური სალამით
ლ ე ნ ი ნ ი

მოსკოვი, 1919 წ. 10 აპრილი

«პეტროგრადსკაია პრავდა» № 81,
1919 წ. 12 აპრილი

იბეჭდება გაზეთ
«პეტროგრადსკაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

რკპ(ბ) ც. კ-ის თეზისები აღმოსავლეთის ფრონტის მდგომარეობასთან დაკავშირებით

კოლჩაკის გამარჯვებანი აღმოსავლეთის ფრონტზე უაღრესად მრისხანე საფრთხეს უქმნიან საბჭოთა რესპუბლიკას. საჭიროა ძალების მეტად უკიდურესი დაძაბვა კოლჩაკის დასამარცხებლად.

ამიტომ ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციას პირველ რიგში მთელი ძალღონე მოახმარონ შემდეგი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უნდა განახორციელონ როგორც პარტიის ორგანიზაციებმა, ისე განსაკუთრებით პროფესიულმა კავშირებმა მუშათა კლასის უფრო ფართო ფენების მისაზიდად ქვეყნის თავდაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის.

1. ყოველმხრივი მხარის დაჭერა 1919 წ. 11 აპრილს გამოცხადებული მობილიზაციისთვის.

პარტიისა და პროფესიული კავშირების მთელი ძალები დაუყოვნებლივ უნდა იქნას მობილიზებული, რათა სწორედ უახლოეს დღეებში, სრულიად დაუგვიანებლად გაეწიოს უაღრესად ენერგიული დახმარება სახკომსაბჭოს დეკრეტით 1919 წ. 10 აპრილს გამოცხადებულ მობილიზაციას.

საჭიროა ერთბაშად მივაღწიოთ იმას, რომ მობილიზებულები ხედავდნენ პროფესიული კავშირების გაცხოველებულ მონაწილეობას და გრძნობდნენ მუშათა კლასის მიერ მათდამი მხარის დაჭერას.

განსაკუთრებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ და თვითეულ მობილიზებულს განემარტოს, რომ მისი ფრონტზე

დაუყოვნებლივ გაგზავნა უზრუნველყოფს მისი სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესებას, ჯერ-ერთი, იმის გამო, რომ ჯარისკაცები უკეთ იკვებებიან ფრონტისპირა პურიან ზოლში; მეორე, დამშეულ გუბერნიებში შემოტანილი პურის განაწილების გამო მჭამელთა ნაკლებ რაოდენობაზე; მესამე, ფრონტისპირა ადგილებიდან სამშობლოში წითელარმიელთა ოჯახებისთვის სასურსათო ამანათების გზავნის ფართოდ მოწყობის გამო.

თვითეული პარტიული და თვითეული პროფესიული ორგანიზაციისაგან ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს ყოველ-კვირეულ, თუნდაც სულ მოკლე ანგარიშს იმის შესახებ, თუ რა გააკეთა მან მობილიზაციისა და მობილიზებულთა დასახმარებლად.

2. ფრონტისპირა ადგილებში, განსაკუთრებით პოვოლჟიეში, უნდა განხორციელდეს შეიარაღება პროფესიულ კავშირთა ყველა წევრისა გამოუკლებლივ, იარაღის ნაკლებობის შემთხვევაში კი მათი საყოველთაო მობილიზაცია წითელი არმიისათვის ყოველგვარი დახმარების გასაწევად, მწყობრიდან გამოსულთა შესაცვლელად და სხვ.

ჩვენ ნიმუშად უნდა გვქონდეს ისეთი ქალაქების მაგალითი, როგორიცაა პოკროვსკი, სადაც პროფესიულმა კავშირებმა თვითონ დაადგინეს დაუყოვნებლივ მოახდინონ ყველა თავის წევრთა 50%-ის მობილიზაცია. დედაქალაქები და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის უდიდესი ცენტრები არ უნდა ჩამორჩნენ პოკროვსკს.

პროფესიულმა კავშირებმა ყველგან, თავიანთი ძალებითა და საშუალებებით, უნდა მოახდინონ თავიანთი წევრების შესამოწმებელი რეგისტრაცია ყველა იმათ გასაგზავნად ვოლგისა და ურალის მხარისათვის საბრძოლველად, ვინც უცილობლად საჭირონი არ არიან სამშობლოში.

3. უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგიტაციის გაძლიერებას, განსაკუთრებით მობილიზაციით გასაწვევთა, მობილიზებულთა და წითელარმიელთა შორის. არ უნდა დავჯერდეთ აგიტაციის, ლექციების, მიტინგებისა და

სხვ. ჩვეულებრივ ხერხებს, უნდა გავაძლიეროთ აგიტაცია ჯგუფებისა და ერთეული მუშების საშუალებით წითელარმიელთა შორის, უბრალო მუშათა, პროფესიული კავშირის წევრთა ასეთ ჯგუფებს შორის განაწილდეს ყაზარმები, წითელარმიელთა ნაწილები, ფაბრიკები. პროფესიულმა კავშირებმა უნდა მოაწყონ იმის შემოწმება, რომ თვითეული მათი წევრი მონაწილეობას იღებდეს სახლების ჩამოვლაში სააგიტაციოდ, ფურცლების დარიგებასა და პირად საუბრებში.

4. ყველა მოსამსახურე-მამაკაცი შეიცვალოს ქალებით. ამისთვის ჩატარდეს ხელახალი აღრიცხვა როგორც პარტიული, ისე პროფესიული.

შემოღებულ იქნას საგანგებო ბარათები პროფესიულ კავშირთა ყველა წევრისა და ყველა მოსამსახურისათვის იმის აღნიშვნით, მიიღო თუ არა პირადი მონაწილეობა წითელი არმიისათვის დახმარების საქმეში.

5. დაუყოვნებლივ დაარსდეს, პროფესიული კავშირების, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, პარტიული ორგანიზაციების, კოოპერატივებისა და სხვ. მეშვეობით, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური დამხმარე ბიუროები ანდა ხელშემწყობი კომიტეტები. მათი მისამართები უნდა გამოქვეყნდეს. მოსახლეობას ფართოდ უნდა ეცნობოს მათ შესახებ. თვითეულმა მობილიზებულმა, თვითეულმა წითელარმიელმა, სამხრეთში, დონში, უკრაინაში სასურსათო სამუშაოზე წასვლის ყოველმა მსურველმა უნდა იცოდეს, რომ მუშისა და გლეხისთვის ასე მახლობელ და ხელმისაწვდომ დამხმარე ბიუროსა თუ ხელშემწყობ კომიტეტში ის მიიღებს რჩევას, მითითებას, მას გაუადვილებენ კავშირის დაჭერას სამხედრო დაწესებულებებთან და სხვ.

ასეთ ბიუროთა განსაკუთრებულ ამოცანად უნდა დაისვას წითელი არმიის მომარაგების საქმისათვის ხელისშეწყობა. ჩვენ შეგვიძლია ძლიერ გავადიდოთ ჩვენი არმია, თუ გავაუმჯობესებთ მის მომარაგებას იარაღით, ტანსაცმლით და სხვ.. მოსახლეობაში კი ჯერ კიდევ ბევრი იარაღია გადამალული ანდა არმიისათვის გამოუყენებელი. ცოტა როღია

საფაბრიკო მარაგი სხვადასხვა ქონებისა, რომელიც აუ-ცილებელია არმიისათვის, და საჭიროა მისი ჩქარა პოვნა და არმიაში გაგზავნა. სამხედრო დაწესებულებებს, რომლებიც არმიის მომარაგებას განაგებენ, უნდა აღმოეჩინოს დაუყოვნებ-ლივი, ფართო, გაცხოველებული დახმარება თვით მოსახ-ლეობის მხრივ. ამ ამოცანას მთელი ძალ-ღონით უნდა მოვ-კიდოთ ხელი.

6. პროფესიული კავშირების მეშვეობით უნდა მოეწყოს გლეხების, განსაკუთრებით არასამიწათმოქმედო გუბერნიების გლეხთა ახალგაზრდობის ფართოდ მიზიდვა წითელი არმიის რიგებში და დონსა და უკრაინაში სასურსათო რაზმებისა და სასურსათო არმიის შესადგენად.

ასეთი მუშაობა შეიძლება და დიდადაც უნდა გაფართოვ-დეს კიდეც, ის ერთ და იმავე დროს სამსახურს გაუწევს დედა-ქალაქებისა და არასამიწათმოქმედო გუბერნიების დამშეული მოსახლეობის დახმარების საქმესაც და წითელი არმიის გა-ძლიერებასაც.

7. მენშევიკებისა და ესერების მიმართ პარტიის ხაზი, ახლან-დელი მდგომარეობისას, ასეთია: საპყრობილეში ჩავსვათ ისი-ნი, ვინც შეგნებულად თუ შეუგნებლად ეხმარება კოლჩაკს. ჩვენს მშრომელთა რესპუბლიკაში ვერ მოვითმენთ ისეთ ადა-მიანებს, რომლებიც საქმით არ გვეხმარებიან კოლჩაკთან ბრძოლაში. მაგრამ მენშევიკებსა და ესერებს შორის არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ გაგვიწიონ ასეთი დახმარება. ასეთი ადამიანები უნდა წავახალისოთ, უნდა მივცეთ მათ პრაქტიკული სამუშაოები უმთავრესად ზურგში წითელი არმიისათვის ტექნიკური დახმარების გასაწევად, ამ მუშაობის მკაცრი შემოწმებით.

ცენტრალური კომიტეტი თხოვნით მიმართავს პარტიის ყველა ორგანიზაციას და ყველა პროფესიულ კავშირს ხელი მოჰკიდონ მუშაობას რევოლუციურად და არ დასჯერდნენ ძველ შაბლონებს.

ჩვენ შეგვიძლია დავამარცხოთ კოლჩაკი. შეგვიძლია დავა-მარცხოთ ჩქარა და საბოლოოდ, რადგან ჩვენი გამარჯვებანი

სამხრეთში და საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც ყოველდღიურად უმჯობესდება და ჩვენს სასარგებლოდ იცვლება, საბოლოოდ გამარჯვების გარანტიას გვაძლევენ.

საჭიროა დავძაბოთ მთელი ძალ-ღონე, გავშალოთ რევოლუციური ენერგია და კოლჩაკიც ჩქარა დამარცხებული იქნება. ვოლგა, ურალი, ციმბირი შეიძლება და კიდევაც უნდა დავიცვათ და ბრძოლით დავიბრუნოთ.

რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრალური კომიტეტი

დაწერილია 1919 წ. 11 აპრილს

დაიბეჭდა გაზეთ «პრავდაში» № 79
1919 წ. 12 აპრილს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს პლენუმი[43]

1919 წ. 11 აპრილი

შოკლე ანგარიში გამოქვეყნდა
1919 წ. 13 აპრილს სრ. რუს.

ცაკ-ის გაზეთ «იზვესტიაში» № 80
სრულად პირველად დაიბეჭდა 1932 წ.

აბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

1

მოხსენება პროფესიულ კავშირთა ამოცანების შესახებ აღმოსავლეთის ფრონტისთვის მობილიზაციასთან დაკავშირებით

ამხანაგებო, თქვენ, რა თქმა უნდა, ყველანი იცნობთ დღეს გამოქვეყნებულ დეკრეტს მობილიზაციის შესახებ არასამიწათმოქმედო გუბერნიებში, და მე არ მჭირდება ასეთ კრებაზე დიდხანს შევჩერდე იმ მიზეზებზე, რომლებმაც ეს დეკრეტი გამოიწვიეს, რადგან თქვენ, თავისთავად ცხადია, გაზეთებიდან მშვენივრად იცით, როგორ უცბად და მეტისმეტად დამძიმდა ჩვენი მდგომარეობა კოლჩაკის გამარჯვებათა გამო აღმოსავლეთის ფრონტზე.

თქვენ იცით, რომ ამ სამხედრო მდგომარეობასთან დაკავშირებით უკვე დიდი ხანია მთავრობის ყველა დირექტივა მიმართული იყო იქითკენ, რომ მთავარი ძალები საჩქაროდ გადაგვეყვანა სამხრეთის ფრონტზე. მართლაც, სამხრეთის ფრონტზე თავი მოიყარა კრასნოველების ისეთმა ძალებმა და იქ იმდენად მტკიცე იყო ბუდე უეჭველ კონტრრევოლუციური კაზაკობისა, რომელიც 1905 წლის შემდეგაც ისეთივე მონარქისტული დარჩა, როგორც წინათ, რომ სამხრეთის ფრონტზე გაუმარჯვებლად ცენტრში საბჭოთა პროლეტარული ხელისუფლების რაიმე განმტკიცებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო. იმის გამო, რომ მოკავშირეები-იმპერიალისტები სწორედ სამხრეთიდან, უკრაინიდან, ცდილობდნენ შემოტევას და სურდათ უკრაინა შეექმნათ დასაყრდენ პუნქტად საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, მით უფრო გაძლიერდა ჩვენთვის სამხრეთის ფრონტის მნიშვნელობა და ამიტომ ჩვენ არ ვნანობთ იმას, რომ ჩვენ ყველა სამხედრო

ამოცანას ისე ვაშენებდით, რომ მეტი ყურადღება და მეტი ძალები მიმართული ყოფილიყო სამხრეთის ფრონტისკენ. ამ მხრივ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ ვცდებოდით. შემდეგ უკანასკნელი ცნობები ოდესის აღებისა და დღევანდელი ცნობა სიმფეროპოლისა და ევპატორიის აღების შესახებ გვიჩვენებს, რომ იქ ისეთი მდგომარეობაა, რომ ეს რაიონი, რომელიც მთელ ომში ' მთავარ გადამწყვეტ როლს ასრულებდა, — ეს რაიონი ახლა გაწმენდილია.

თქვენ მშვენივრად იცით, რა უზომო შრომად გვიჯდება სამოქალაქო ომის განგრძობა ოთხი წლის იმპერიალისტური ომის შემდეგ, როგორ დაღლილია მასები, როგორ წარმოუდგენლად დიდია ახლა ის მსხვერპლი მუშებისა, რომლებიც ორი წელია სამოქალაქო ომს ეწევიან. თქვენ იცით, რომ ჩვენ ომს დიდი დაძაბვით ვაწარმოებთ. ამიტომ მთელი ძალების სამხრეთის ფრონტზე თავმოყრამ გამოიწვია აღმოსავლეთის ფრონტის მეტისმეტი დასუსტება. დამხმარე ძალების მიცემა იქ ჩვენ აღარ შეგვეძლო. არმია აღმოსავლეთის ფრონტზე გაუგონარ გაჭირვებასა და მსხვერპლს იტანდა. იგი თვეობით იბრძოდა, და მთელი რიგი ამხანაგი-მუშაკები იტყობინებოდნენ დეპეშებით, რომ მებრძოლი წითელარმიელებისათვის ასეთი სიმძიმის ატანა განუზომლად ძნელი ხდებაო. შედეგად მივიღეთ ძალების გადაჭარბებული დაძაბვა აღმოსავლეთის ფრონტზე. ამავე დროს კოლჩაკმა მეფის ანუ ჯოხის დისციპლინის შემწეობით მობილიზაცია გაუკეთა ციმბირის მოსახლეობას — გლეხებს. მან თავისი არმიიდან გამორიცხა ყოფილი ფრონტელები, შეხაძლებლობა ჰქონდა რა არმიაში ხელმძღვანელებად თავი მოეყარა ოფიცრებისთვის და მთელი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისთვის. მათზე დაყრდნობით კოლჩაკს უკანასკნელ დროს ისეთი მონაპოვარი აქვს აღმოსავლეთის ფრონტზე, რომ საფრთხეს უქადის ვოლგას და გვაიძულებს. ვთქვათ, რომ ჩვენ ძალების უდიდესი დაძაბვით მოგვიხდება კოლჩაკის უკუგდება. და ეს ძალები ჩვენ აქედან უნდა მივცეთ, იმიტომ რომ სამხრეთიდან მათი დაძვრა ჩვენ არ შეგვიძლია, — ეს იქნებოდა მთავარი მტრის საბოლოოდ მოსპობაზე ხელის აღება.

ჩვენი საერთო მდგომარეობა, სამხრეთსა და დონზე გამარჯვებების შემდეგ, საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით, დღითი დღე უმჯობესდება. ერთი დღეც არ არის ისეთი, რომ არ მოგვდიოდეს ცნობები ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

სამი თვის წინათ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის კაპიტალისტები არა მარტო მოჩანდნენ უდიდეს ძალად, არამედ ნამდვილადაც წარმოადგენდნენ ისეთ ძალას, რომელსაც, რა თქმა უნდა, შეეძლო ჩვენი გასრესა, მაშინ რომ მათ შესძლებოდათ თავიანთი უდიდესი მატერიალური ძალები გამოეყენებინათ ჩვენს წინააღმდეგ. ეს მათ შეეძლოთ. ახლა ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ მათ ეს ვერა ქნეს და არც შეუძლიათ ქნან. მათი უკანასკნელი დამარცხება ოდესაში ნათლად გვიჩვენებს, რომ, რაც უნდა დიდი იყოს იმპერიალისტების მატერიალური ძალა, წმინდა-სამხედრო თვალსაზრისით რუსეთზე ლაშქრობაში მათ სრული კრახი განიცადეს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ევროპის შიგ შუაგულში არის საბჭოთა რესპუბლიკები და რომ საბჭოთა ფორმის ზრდა შეუკავებელი ხდება, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თუ მდგომარეობას სავსებით საღად შევხედავთ, რომ ჩვენი გამარჯვება საერთაშორისო მასშტაბით სავსებით უზრუნველყოფილია.

საქმე რომ მხოლოდ ასე იყოს, ჩვენ შეგვეძლო აბსოლუტური დამშვიდებით გველაპარაკა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ კოლჩაკის უკანასკნელ გამარჯვებებს, უნდა ითქვას, რომ ჩვენ კიდევ მოგველის რამდენიმე თვის ძლიერი დაძაბვა მისი ჯარების დასამარცხებლად. ეჭვი არ არის, რომ მხოლოდ ძველი მეთოდებით ამ ამოცანის შესრულებას ჩვენ ვერ შევძლებთ, ჩვენში კი საბჭოთა ხელისუფლების წლინახევრის არსებობის მანძილზე ჩამოყალიბდა იმდენად ჩვეულებრივი, შეიძლება, ზოგჯერ რუტინული მეთოდებიც კი, რომლებმაც მნიშვნელოვნად ამოსწურეს მუშათა კლასის მოწინავე ფენის ენერგია. ჩვენ თვალს არ ვხუჭავთ იმაზე, თუ რა უკიდურესი

დაქანცულობა ჩანს მუშათა კლასის ზოგიერთ ფენაში, რა მძიმე ხდება ბრძოლა, მაგრამ ამჟამად ჩვენი ვარაუდი გაცილებით უფრო მარტივი და ნათელია. თვით საბჭოთა ხელისუფლების არამომხრეთათვისაც კი, რომლებიც თავს საკმაოდ დიდ ფიგურებად თვლიან პოლიტიკაში, მათთვისაც კი ცხადია, რომ საერთაშორისო მასშტაბით ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

კოლჩაკთან დაკავშირებით ჩვენ კიდევ გვიხდება გამძვინვარებული სამოქალაქო ომის ხანის განცდა. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სწორედ პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალურმა საბჭომ — ყველაზე ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ, რომელიც აერთიანებს პროლეტარიატის ფართო მასებს — თავის მხრივ უნდა წამოაყენოს მთელი რიგი მეტად ენერგიული ზომები, რომლებიც დაგვეხმარება რამდენიმე თვეში დავამთავროთ ომი საბოლოოდ. ეს სავსებით შესაძლებელია, იმიტომ რომ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა უმჯობესდება, და ამ მხრივ ჩვენ სავსებით უზრუნველყოფილი ვართ. ევროპისა და ამერიკის ზურგი ჩვენთვის საუკეთესო მდგომარეობაშია, რის შესახებაც ხუთი თვის წინათ ოცნებაც კი არ შეგვეძლო. აქ შეიძლება ითქვას, რომ ბატონმა ვილსონებმა და კლემანსოებმა მიზნად დაისახეს დაგვეხმარონ: დეპეშები, რომელთაც ყოველდღე მოაქვთ ცნობები მათი უთანხმოების შესახებ, მათი ურთიერთი სურვილის შესახებ კარი მიუჯახუნონ ერთმანეთს, გვიჩვენებს, რომ ეს ვაჟბატონები საშინლად წაეჩხუბნენ ერთმანეთს.

მაგრამ, რაც უფრო ცხადი ხდება, რომ საერთაშორისო მასშტაბით ჩვენი საქმე მოგებულია, მით უფრო მეტი თავგანწირულებით და მძვინვარებით იბრძვიან რუსეთის მემამულეები და კაპიტალისტები და ურალს გადაღმა გაქცეული კულაკები. მთელი ეს ნაკლებად პატივსაცემი ხალხი თავგანწირვით იბრძვის. თქვენ, რა თქმა უნდა, ყურადღება მიაქციეთ გაზეთების ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ზომამდე მივიდა თეთრგვარდიელთა ტერორი უფაში; ეჭვი არ არის, რომ ეს თეთრგვარდიული ელემენტები, ეს ბურჟუაზია თავიანთ უკანასკნელ

საშუალებას მიმართავენ. და ბურჟუაზიაც უკიდურესად გამ-ძვინვარებულია: მას იმედი აქვს უაღრესად თავგანწირული შემოტევით გვაიძულოს ჩვენი ძალების ერთი ნაწილი მოვა-ცილოთ სამხრეთის გადამწყვეტ ფრონტს. ჩვენ ამას არ ვი-ზამთ, და აშკარად ვეუბნებით მუშებს, რომ ეს ნიშნავს ჩვენი ძალების ახალი და ახალი დაძაბვის აუცილებლობას აღმოსავ-ლეთში.

ჩემს თავს ნებას მივცემ წარმოგიდგინოთ მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებმაც, ჩემის აზრით, უნდა გამოიწვიოს ძალების ახალი დაჯგუფება, ახალი გარკვეული ამოცანები პროფესიული კავშირების მხრივ და რომელთაც მე საჭიროდ ვთვლი ეს-არის ახლა ჩემს მიერ მოკლედ დასურა-თებული მდგომარეობის გამო. ამაზე მეტხანს შეჩერებას საჭიროება არ მოითხოვს — ეს ყველამ იცის. თუ სავსებით სა-ღად ვიმსჯელებთ, ეს მდგომარეობა შესაძლებლობას იძლევა რამდენიმე თვეში დავამთავროთ ომი შინაურიც და საერთა-შორისო მასშტაბითაც. მაგრამ ძალების დაძაბვა ამ რამდენიმე თვეში აუცილებელია. პირველი ამოცანა, რომელიც საჭიროა დავუსახოთ პროფესიულ კავშირებს, არის:

«1. ყოველნაირად მხარის დაჭერა 1919 წ. 11 აპრილს გამოცხადებული მობილიზაციისთვის.

პარტიისა და პროფესიული კავშირების მთელი ძალები დაუყოვნებლივ უნდა იქნას მობილიზებული, რათა სწორედ უახლოეს დღეებში, სრულიად დაუგვიანებლად გაეწიოს უაღ-რესად ენერგიული დახმარება სახკომსაბჭოს დეკრეტით 1919 წ. 10 აპრილს გამოცხადებულ მობილიზაციას.

საჭიროა ერთბაშად მივაღწიოთ იმას, რომ მობილიზებუ-ლები ხედავდნენ პროფესიული კავშირების გაცხოველებულ მონაწილეობას და გრძნობდნენ მუშათა კლასის მხრივ მათ-დამი მხარის დაჭერას.

განსაკუთრებით უნდა მივაღწიოთ იმას, რათა ყოველ და თვითეულ მობილიზებულს განემარტოს, რომ მისი ფრონტზე დაუყოვნებლივ გაგზავნა უზრუნველყოფს მისი სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესებას, ჯერ-ერთი, იმის გამო, რომ

ჯარისკაცები უკეთ იკვებებიან ფრონტისპირა პურიან ზოლში; მეორე, დამშეულ გუბერნიებში შემოტანილი პურის განაწილების გამო მჭამელთა ნაკლებ რაოდენობაზე; მესამე, ფრონტისპირა ადგილებიდან სამშობლოში წითელარმიელთა ოჯახებისთვის სასურსათო ამანათების გზავნის ფართოდ მოწყობის გამო...».

რა თქმა უნდა, სასურსათო მდგომარეობას მე აქ მხოლოდ მოკლედ შევეხე, მაგრამ თქვენ ყველამ იცით, რომ ეს ჩვენი მთავარი შინაური სიძნელეა და შესაძლებლობა რომ არ გვქონოდა მობილიზაცია დაგვეკავშირებინა სწრაფ წინსვლასთან ფრონტისპირა და პურიანი ადგილებისაკენ, ნაწილების შედგენასთან სწორედ იქ და არა აქ, — ეს შესაძლებლობა რომ არ გვქონოდა, მობილიზაცია უიმედო იქნებოდა, ე. ი. მისი წარმატების იმედი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ ახლა ასეთი შესაძლებლობა არის. მობილიზაცია ყველაზე მეტად მიმართულია არასამიწათმოქმედო გუბერნიებისაკენ, იმ ადგილებისაკენ, სადაც მუშები და გლეხები ყველაზე მეტ გაჭირვებას განიცდიან შიმშილისაგან. მათი გადაყვანა ჩვენ შეგვიძლია, უწინარეს ყოვლისა, დონისაკენ, — ამჟამად დონის მთელი ოლქი ჩვენს ხელშია; კაზაკობასთან ბრძოლა დიდი ხანია წარმოებდა, იქ არის შესაძლებლობა გავაუმჯობესოთ მოწინავე ნაწილების კვება, არა მარტო უშუალოდ, არამედ სასურსათო ამანათების გზავნის გახშირებითაც. ამ მხრივ ნაბიჯები გადადგმულია და სასურსათო ამანათები ნებადართულია 20 გირვანქის რაოდენობით თვეში ორჯერ. შეთანხმება ამ მხრივ მიღწეულია. და, ამგვარად, ის შელავათები, რაც შარშან იძულებული ვიყავით დაგვეშვა ფუთნახევრიანთა სახით[44] — ეს შელავათები შეიძლება შევადაროთ უფრო ფართო ხერხს, სასურსათო ამანათებს, რომლებიც დახმარებას გაუწევენ წითელარმიელთა ოჯახებს აქ.

ასეთი საქმიანობის გაჩაღებით ჩვენ ფრონტის დახმარებას შევაერთებთ იმ მთავარი არასამიწათმოქმედო რაიონების სასურსათო გაუმჯობესებასთან, რომლებიც ყველაზე მეტად არიან გაჭირვებული ამ მხრივ. გასაგებია, რომ დონისკენ მოძ-

რაობა დაკავშირებული იქნება მოძრაობასთან პოვოლჟიეში, სადაც ამჟამად მტერმა ისეთი მძიმე მარცხი მოგვაყენა, რომ ვოლგის იქით, აღმოსავლეთით, რამდენიმე მილიონი ფუთი დამზადებული პური უკვე დაგვეკარგა. იქ ომი წარმოადგენს უახლოესად, უშუალოდ, ომს პურისთვის. პროფესიული კავშირების ამოცანაა — მიაღწიონ იმას, რომ ეს მობილიზაცია არ ჩატარდეს ჩვეულებრივი მოვლენის ფარგლებში, არამედ შეერთებულ იქნას საბჭოებისთვის პროფესიულ დახმარებასთან. იმ თეზისში, რომელიც მე წავიკითხე, ეს რამდენადმე არასაკმარისი კონკრეტულობით არის გადმოცემული. მე ვფიქრობ, რომ ეს ყოველმხრივი დახმარება ჯერ უნდა გამოგვეხატა მთელი რიგი სანიმუშო ღონისძიებებით, შემდეგ კი კონკრეტულ მითითებათა და პრაქტიკული გეგმის გამომუშავებით, თუ სახელდობრ თავისი ძალების მობილიზაციით პროფესიული კავშირები როგორ უნდა დაეხმარონ ამ მობილიზაციას, რათა მას მისცენ არა მარტო სამხედრო-სასურსათო ღონისძიების ხასიათი, არამედ უდიდესი პოლიტიკური ნაბიჯისაც, გახადონ ის მუშათა კლასის საქმედ, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე თვეში დავამთავროთ ომი, იმიტომ რომ საერთაშორისო მასშტაბით ახალი მოკავშირეების მოსვლა უზრუნველყოფილია. ამის მიღწევა შეუძლიათ მხოლოდ პროლეტარულ ორგანიზაციებს, მხოლოდ პროფესიულ კავშირებს. ამ პრაქტიკულ ღონისძიებათა ჩამოთვლა მე არ ძალმიძს. მე ვფიქრობ, რომ ეს შეუძლიათ მხოლოდ თვით პროფესიულ კავშირებს. ამ ამოცანის გადაწყვეტა მათ შეუძლიათ ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით, თუ პრაქტიკულ ნიადაგზე დააყენებენ საქმეს. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ძირითადი პოლიტიკური მითითებები მივცეთ მუშათა კლასს, რომელიც უნდა დაირაზმოს ხელახლა და შეიგნოს ეს ჭეშმარიტება, რომელიც მეტად მწარეა, იმიტომ რომ მას მოსდევს ახალი სიმძიმე, მაგრამ ამავე დროს ის სახავს რეალურ და პრაქტიკულ გზას, რომ მოკლე ვადაში შესაძლებელი გახდეს სიძნელეების გადალახვა. მუშების გაძლიერებული მოძრაობით პურიანი სამხრეთისკენ ჩვენ განვამტკიცებთ

იქაურ ძალებს, და თუ თეთრგვარდიელებისა და მემამულეების ჯარებს იმის იმედი აქვთ, რომ ისინი აღმოსავლეთში თავიანთი გამარჯვებებით გვაიძულებენ სამხრეთი შევარყიოთ, ამას ისინი, მე ვფიქრობ, ვერ შესძლებენ, და მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ არ შევარყევთ სამხრეთს და დავეხმარებით აღმოსავლეთსაც. მტერმა თავი მოუყარა ციმბირის ახალგაზრდობას და თავი აარიდა ფრონტელებს — მას ეშინია ფრონტელებისა, და დასძრა ციმბირის გლეხები. ეს მისი უკანასკნელი იმედია, უკანასკნელი რესურსია. მას არავინ უჭერს მხარს, არა ჰყავს ცოცხალი ძალა. მოკავშირეებმა ვერ შესძლეს აღმოეჩინათ მისთვის დახმარება. საამისოდ მათ ძალა არ ეყოთ.

აი რატომ მივმართავ მე პროფესიული მოძრაობის წარმომადგენლებს თხოვნით — უდიდესი ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს და მიაღწიონ იმას, რომ მობილიზაცია ძველებურად არ ჩატარდეს. ეს უნდა გახდეს მუშათა კლასის უდიდესი პოლიტიკური კამპანია, — არა მარტო სამხედრო-სასურსათო, არამედ უდიდესი პოლიტიკური კამპანიაც. თუ საქმეს დიდი სიფხიზლით გავითვალისწინებთ ომის ფაქტორებისა და კლასობრივი ურთიერთობის თვალსაზრისით, არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ეს საქმეს გადაწყვეტს რამდენიმე უახლოეს თვეში. ამისთვის საჭიროა, რომ პროფესიული კავშირები არ დასჯერდნენ მუშაობის ძველ ფარგლებს. თუ ძველ ფარგლებში ვიმოქმედებთ, ამ ამოცანის გადაჭრა შეუძლებელია. აქ საჭიროა ახალი გაქანება. უნდა ვიმოქმედოთ არა მარტო როგორც პროფესიონალისტებმა, არამედ, როგორც რევოლუციონერებმაც, რომლებიც წყვეტენ საბჭოთა რესპუბლიკის ძირითად საკითხს, საკითხს, რომელსაც ჩვენ ვწყვეტდით ოქტომბერში — იმპერიალისტური ომის დამთავრებისა და სოციალისტური მშენებლობის დაწყების საკითხს. ახლა პროფესიულმა კავშირებმა ისევე უნდა იმოქმედონ, როგორც რევოლუციონერებმა — მასობრივი გზით, არ უნდა დასჯერდნენ ძველ ფარგლებს და გადაწყვიტონ რუსეთში სამოქალაქო ომის დამთავრების პრაქტიკული საკით-

ხი. ეს დასასრული სულ ახლოსაა, მაგრამ ის მეტისმეტად ძნელია. შემდეგ:

«2. ფრონტისპირა ადგილებში, განსაკუთრებით პოვოლჟიეში, უნდა განხორციელდეს შეიარაღება პროფესიულ კავშირთა ყველა წევრისა გამოუკლებლივ, იარაღის ნაკლებობის შემთხვევაში კი მათი საყოველთაო მობილიზაცია წითელი არმიისათვის ყოველგვარი დახმარების გასაწევად, მწყობრიდან გამოსულთა შესაცვლელად და სხვ...

3. უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგიტაციის გაძლიერებას, განსაკუთრებით მობილიზაციით გასაწვევთა, მობილიზებულთა და წითელარმიელთა შორის. არ უნდა დავჯერდეთ აგიტაციის, ლექციებისა, მიტინგებისა და სხვ. ჩვეულებრივ ხერხებს, უნდა განვავითაროთ აგიტაცია ჯგუფებისა და ერთეული მუშების საშუალებით წითელარმიელთა შორის, უბრალო მუშათა, პროფესიული კავშირის წევრთა, ასეთ ჯგუფებს შორის განაწილდეს ყაზარმები, წითელარმიელთა ნაწილები, ფაბრიკები. პროფესიულმა კავშირებმა უნდა მოაწყონ იმის შემოწმება, რომ თვითეული მათი წევრი მონაწილეობას იღებდეს სახლების ჩამოვლაში სააგიტაციოდ, ფურცლების დარიგებასა და პირად საუბრებში».

ჩვენ ახლა, რა თქმა უნდა, რამდენადმე გადავეჩვიეთ ძველი დროის აგიტაციის ხერხებს, როცა ჩვენ ვიყავით დევნილი ან ძალაუფლებისთვის მებრძოლი პარტია. სახელმწიფო ძალაუფლებამ ხელში მოგვცა უდიდესი სახელმწიფო აპარატი, რომლის შემწეობით აგიტაცია ახალ რელსებზე იქნა დაყენებული. ამ წელიწადნახევრის განმავლობაში ის სხვა მასშტაბით წარმოებდა, მაგრამ იმ საშინელი ნგრევის დროს, რომელიც იმპერიალისტურმა ომმა დაგვიტოვა და სამოქალაქო ომმა გააძლიერა, და იმ საშინელი სიძნელეების დროს, როცა რუსეთის მთელ რიგ გუბერნიებს თავს დაატყდა შემოსევა, თქვენ იცით, რომ ჩვენს აგიტაციას სულაც არ გაუკეთებია ის, რაც საჭიროა. მან სასწაულები მოახდინა წინანდელთან შედარებით, მაგრამ მას ყველაფერი არ გაუკეთებია და ეს საქმე ბოლომდე არ მიუყვანია. გლეხებისა და მუშების უდიდეს მასებს ამჟამად

მეტად მცირედ ეხება აგიტაცია. ამიტომ აქ ძველ ფარგლებს ვერ დავჯერდებით, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეყრდნობით იმას, რომ ამისთვის ახლა არსებობს სახელმწიფო საბჭოთა ორგანოები. ჩვენ რომ ამას დავყრდნობოდით, ამოცანას ვერ გადავწყვეტდით. ამ მხრივ საჭიროა მოვიგონოთ ძველი, საჭიროა დიდი ყურადღება მივაქციოთ პირად ინიციატივას, ვთქვათ, რომ, რაკი ეს პირადი ინიციატივა მასობრივი მასშტაბით იქნება გამოყენებული, ჩვენ ახლა მეტს განვახორციელებთ, ვიდრე წინათ, სწორედ იმიტომ, რომ ახლა მუშათა კლასმა, თუმცა მასობრივად რომ ავიღოთ, მას დაღლილი წარმომადგენლები ჰყავს, მაგრამ თავისი ინსტინქტით მაინც გაიგო ამოცანის არსი. თვით ისინიც კი, რომლებიც თავიანთ პოლიტიკურ იდეოლოგიაში — მენშევიკები და ესერები—კბილებით იბრძოდნენ იმის წინააღმდეგ, რომ საქმის მდგომარეობა გაეგოთ, რკინის ფარით იმიჯნებოდნენ და სინამდვილე არ ესმოდათ, — ისინიც კი მიხვდნენ, რომ აქ ბრძოლა წარმოებს მთელ ქვეყნიერებაზე ძველ, ბურჟუაზიულ, წყობილებასა და ახალ, საბჭოთა, წყობილებას შორის. მას შემდეგ, რაც გერმანიის რევოლუციამ საქმით დაგვანახვა თავისი თავი; მას შემდეგ, რაც მისმა მთავრობამ უმრავლესობის სოციალ-პატრიოტების მხარის დაჭერით მხოლოდ პროლეტარიატის საუკეთესო ბელადების მკვლელობა მოგვცა; მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, — მას შემდეგ საკითხი პრაქტიკულად გადაჭრილია. საკითხი ასე დგას: საბჭოთა ხელისუფლება თუ ძველი, ბურჟუაზიული, წესწყობილება. ეს პრაქტიკულად გადაწყვეტილია ისტორიული მასშტაბით. მუშების ინსტინქტმა გადაწყვიტა საქმე; საჭიროა, რომ ის გადაიქცეს გაათკეცებულ აგიტაციად.

ჩვენ არ შეგვიძლია გავადიდოთ სურსათი, როცა ის არ არის, გავაათკეცოთ პროფესიონალი აგიტატორებისა და ინტელიგენტების რიცხვი, როცა ისინი არ არიან, — ეს ჩვენ არ შეგვიძლია. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ მუშების ფართო მასას: თქვენ ახლა ისეთი აღარა ხართ, როგორიც გუშინდლამდე იყავით. თუ თქვენ საქმეს ხელს მოჰკიდებთ იმ მეთოდე-

ბით, რომლებიც პირად აგიტაციას წარმოადგენენ, თქვენი მრავალრიცხოვნობა გაიმარჯვებს.

ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ეს მობილიზაცია იქნება არა მარტო ჩვეულებრივი მობილიზაცია, არამედ ნამდვილი ლაშქრობა, რომელიც საბოლოოდ გადაწყვეტს ბედს მუშათა კლასისას, რომელსაც შეუგნია, რომ ეს უახლოესი თვეები გვაშორებს ჩვენ უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისგან — არა იმ აზრით, როგორც ეს სიმღერასა და ლექსებშია თქმული, არამედ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იმიტომ რომ ჩვენ ახლა ჩვენი პრაქტიკული ძალები ავწონ-დავწონეთ არა მარტო თეთრგვარდიელების მიმართ.

ერთი წლის ომის განმავლობაში ჩვენ პრაქტიკულად ავწონ-დავწონეთ ჩვენი ძალები საერთაშორისო იმპერიალიზმის მიმართ. იყო დრო, როცა ჩვენ გერმანელები გვახრჩობდნენ, და ჩვენ ვიცოდით, რომ გერმანელები შებოჭილი არიან, რომ ცალი ხელით ისინი უჭირავთ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს. იყო დრო, როცა ჩვენს წინააღმდეგ ილაშქრებდნენ ინგლისელები და ფრანგები; მათ ორივე ხელი გახსნილი ჰქონდათ. მათ რომ 1918 წლის დეკემბერში გამოელაშქრნათ ჩვენზე, ჩვენ ვერ გავუმაგრდებოდით, ახლა კი ჩვენ ისინი გამოვცადეთ კიდევ რამდენიმე მძიმე თვის განმავლობაში და ვიცით, რომ ბურჟუაზიული წესწყობილების მხრივ ისინი დამპალი არიან. და მათი საუკეთესო ჯარები მხოლოდ იმისთვის ვარგან, რომ უკან დაიხიონ იმ აჯანყებულთა რაზმების წინაშეც კი, რომლებიც უკრაინაში მოქმედებდნენ. ასე რომ ჩვენ საკუთარ ნათლად ვმსჯელობთ და მუშათა კლასმა ინსტინქტით იგრძნო, რომ აქ მოგველის უკანასკნელი ბრძოლა, რომ რამდენიმე თვეში გადაწყდება, საბოლოოდ გავიმარჯვებთ აქ, თუ განვაგრძობთ გზას ახალი სიძნელეებით.

შემდგომი ღონისძიებებიდან წავიკითხავ იმას, რომლებიც დასახულია აქ:

«4. ყველა მოსამსახურე-მამაკაცი შეიცვალოს ქალებით. ამისთვის ჩატარდეს ხელახალი აღრიცხვა როგორც პარტიული, ისე პროფესიული...

5. დაუყოვნებლივ დაარსდეს, პროფესიული კავშირების, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, პარტიული ორგანიზაციების, კოოპერატივებისა და სხვ. მეშვეობით, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური დამხმარე ბიუროები ანდა ხელშემწყობი კომიტეტები. მათი მისამართები უნდა გამოქვეყნდეს. მოსახლეობას ფართოდ უნდა ეცნობოს მათ შესახებ. თვითეულმა მობილიზებულმა, თვითეულმა წითელარმიელმა, სამხრეთში, დონში, უკრაინაში სასურსათო სამუშაოზე წასვლის ყოველმა მსურველმა უნდა იცოდეს, რომ მუშისა და გლეხისთვის ასე მახლობელ და ხელმისაწვდომ დამხმარე ბიუროსა თუ ხელშემწყობ კომიტეტში ის მიიღებს რჩევას, მითითებას, მას გაუადვილებენ კავშირის დაჭერას სამხედრო დაწესებულებებთან და სხვ.

ასეთ ბიუროთა განსაკუთრებულ ამოცანად უნდა დაისახოს წითელი არმიის მომარაგების საქმისთვის ხელისშეწყობა. ჩვენ შეგვიძლია უფრო მეტად გავადიდოთ ჩვენი არმია, თუ გავაუმჯობესებთ მის მომარაგებას იარაღით, ტანსაცმლით და სხვ.. მოსახლეობაში კი ჯერ კიდევ ბევრი იარაღია გადამალული ანდა არმიისათვის გამოუყენებელი. ცოტა როდია საფაბრიკო მარაგი სხვადასხვა ქონებისა, რომელიც აუცილებელია არმიისათვის, და საჭიროა მისი ჩქარა პოვნა და არმიაში გაგზავნა. სამხედრო დაწესებულებებს, რომლებიც არმიის მომარაგებას განაგებენ, უნდა აღმოეჩინოს დაუყოვნებლივი, ფართო, გაცხოველებული დახმარება თვით მოსახლეობის მხრივ. ამ ამოცანას მთელი ძალ-ღონით უნდა მოვკიდოთ ხელი».

მე ნებას მივცემ ჩემს თავს რამდენადმე შევეხო სხვადასხვა ეპოქას ჩვენი სამხედრო ამოცანების მიმართ. ჩვენს პირველ სამხედრო ამოცანას, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, ჩვენ იმავე პარტიზანული არარეგულარული აჯანყებით ვწყვეტდით, როგორც ამჟამად უკრაინაში წყვეტენ იქაური ამხანაგები. ჩვენ იქ იმდენად ომი არა გვაქვს, რამდენადაც პარტიზანული მოძრაობა და სტიქიური აჯანყება. ის იძლევა თავდასხმის იმ უდიდეს სისწრაფეს და უკიდურეს ქაოსურობას,

როცა სასურსათო მარაგთა გამოყენება უზომოდ ძნელ ამოცანას წარმოადგენს. არავითარი ძველი აპარატი იქ არ არის. ისეთიც კი, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობად გვერგო ჩვენი ძალაუფლების სმოლნის პერიოდისაგან — ის იყო ძალიან ცუდი აპარატი, რომელიც უფრო ჩვენს წინააღმდეგ მუშაობდა, ვიდრე ჩვენს სასარგებლოდ. მაგრამ რატომ უკრაინაში არ არის ასეთი აპარატი? იმიტომ, რომ ის არ გადასულა პარტიზანობისა და სტიქიურ აჯანყებათა პერიოდიდან რეგულარულ არმიაზე, რომელიც ახასიათებს ყოველი კლასის განმტკიცებულ ხელისუფლებას, მათ შორის პროლეტარიატისაც. ჩვენ ეს შევქმენით რამდენიმე თვის განუზომელი სიძნელეების შემდეგ.

მომარაგების საკითხზე ჩვენთან შეიქმნა სპეციალური დაწესებულებები. ჩვენ მოვედით მომარაგების საქმეში სპეციალისტების ერთგვარი გამოყენების გზით, ვუქვემდებარებდით მათ პარტიულ კონტროლს, და ახლა ჩვენ ყველგან გვაქვს სამხედრო დაწესებულებები, რომლებიც მომარაგებას განაგებენ. როდესაც დგება ძალების უკიდურესი დაძაბვის მომენტი, ჩვენ ვამბობთ: ჩვენ არ ვუბრუნდებით ძველ პარტიზანობას, ჩვენ დიდ ზიანს გვაყენებდა იგი, ჩვენ მოვუწოდებთ იქითკენ, რომ წითელი არმიის მომარაგების არსებულ ორგანიზებულ დაწესებულებებში, რეგულარულ დაწესებულებებში, შევიდნენ მუშათა კლასის წარმომადგენლები. მუშათა კლასის მასას ეს შეუძლია. თქვენ იცით, რა დიდი ქაოსი გვაქვს ქონების დარგში, მისი პოვნის, გაგზავნის დარგში და სხვ.. აქ დახმარების გაწევა წითელი არმიის მომარაგების მხრივ აუცილებელია. სამხედრო პირები გვეუბნებიან, რომ საქმე წარმატებით წავა, თუ მობილიზაციას გავუკეთებთ ჯარისკაცთა დიდ რაოდენობას, რომლებიც ერთბაშად და საბოლოოდ გადაწყვეტენ საქმეს აღმოსავლეთის ფრონტზეო. ეს საქმე ყველაზე უფრო ფერხდება მომარაგების ნაკლებობით. იმ ნგრევის დროს, რომელიც იმპერიალისტურმა ომმა და სამოქალაქო ომმა დაგვიტოვა, ეს არ არის გასაკვირველი. მაგრამ ეს ჩვენგან მოითხოვს ახალი ვითარების, ახალი ამოცანების

შეთვისებას და გაგებას. არ კმარა არც ის, რომ ჩვენ ერთი წლის წინათ გადავედით რეგულარულ დაწესებულებებზე: საჭიროა ამ რეგულარულ დაწესებულებებს დავეხმაროთ მასობრივი მოძრაობით, მუშათა კლასის მასობრივი ენერგიით. აქ დასახულია იმის დაახლოებითი სქემა, თუ როგორ შესძლებდნენ ამას პროფესიული კავშირები. ამის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ პროფესიულ კავშირებს, იმიტომ რომ ისინი ყველაზე ახლოს დგანან წარმოებასთან და ხელმძღვანელობენ მილიონობით მუშის ყველაზე მრავალრიცხოვან მასას. ეს ამოცანა მოითხოვს რამდენიმე თვით მუშაობის ტემპისა და მისი ხასიათის შეცვლას. ამ გზით ჩვენ რამდენიმე თვეში უზრუნველვყოფთ ჩვენს სრულ გამარჯვებას.

«6. პროფესიული კავშირების მეშვეობით უნდა მოეწყოს გლეხების, განსაკუთრებით არასამიწათმოქმედო გუბერნიების გლეხი ახალგაზრდობის ფართოდ მიზიდვა წითელი არმიის რიგებში და დონსა და უკრაინაში სასურსათო რაზმებისა და სასურსათო არმიის შესადგენად.

ასეთი მუშაობა შეიძლება ბევრად გაფართოვდეს და უნდა გაფართოვდეს კიდეც, ის ერთსა და იმავე დროს სამსახურს გაუწევს დედაქალაქებისა და არასამიწათმოქმედო გუბერნიების დამშეული მოსახლეობის დახმარების საქმესაც და წითელი არმიის გაძლიერებასაც».

მე უკვე ვილაპარაკე იმაზე, თუ როგორ დაუკავშირდა ჩვენში სასურსათო ამოცანები სამხედრო ამოცანებს, და თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ერთმანეთს არ დავუკავშიროთ ეს ამოცანები. ისინი აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ ერთმანეთს. არც ერთი ამოცანის გადაწყვეტა ერთიმეორის გარეშე არ შეიძლება.

«7. მენშევიკებისა და ესერების მიმართ პარტიის ხაზი, ახლანდელი მდგომარეობისას, ასეთია: საპყრობილეში ჩავსვათ ისინი, ვინც შეგნებულად თუ შეუგნებლად ეხმარება კოლჩაკს. ჩვენს მშრომელთა რესპუბლიკაში ვერ მოვითმენთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც საქმით არ გვეხმარებიან კოლჩაკთან ბრძოლაში. მაგრამ მენშევიკებსა და ესერებს შორის

არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ გაგვიწიონ ასეთი დახმარება. ასეთი ადამიანები უნდა წავახალისოთ, უნდა მივცეთ მათ პრაქტიკული სამუშაოები უმთავრესად ზურგში წითელი არმიისათვის ტექნიკური დახმარების გასაწევად, ამ მუშაობის მკაცრი შემოწმებით...».

აქ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ უკანასკნელ დროს მოგვიხდა განსაკუთრებით მძიმე და არასასიამოვნო განსაცდელის გადატანა. თქვენ იცით, რომ მენშევიკებისა და ესერების ხელმძღვანელმა ჯგუფებმა საქმეს ასე შეხედეს: «მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ გვსურს პარლამენტარებად დავრჩეთ და თანაბრად დავგმოთ ბოლშევიკებიც და კოლჩაკელებიცო». უკაცრავად, — უნდა გვეთქვა ჩვენ მათთვის, — ახლა ჩვენ პარლამენტისთვის არა გვცხელა. ჩვენ ყელში ხელს გვიჭერენ, და ჩვენც უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლას ვაწარმოებთ. ჩვენ ხუმრობას არ დაგიწყებთ. თუ თქვენ ამგვარ გაფიცვებს გვიწყობთ, თქვენ უდიდეს დანაშაულს ჩადიხართ მუშათა კლასის წინააღმდეგ. ყოველი გაფიცვა ჩვენ ათასობით წითელარმიელის სიცოცხლედ გვიღირს. ჩვენ ამას ადგილებზე ვხედავთ. თოფების წარმოების შეჩერება ტულაში — ეს ნიშნავს ათასობით გლეხისა და მუშის დაღუპვას; ჩვენი რამდენიმე ქარხნის დაკარგვა ტულაში — ეს ნიშნავს ათასობით მუშის სიცოცხლის წართმევას. ჩვენ ვამბობთ: ჩვენ ვომობთ, ჩვენ უკანასკნელ ძალებს ვხარჯავთ, ჩვენ ამ ომს ერთადერთ სამართლიან და კანონიერ ომად ვთვლით. ჩვენ სოციალიზმი დავანთეთ ჩვენშიც და მთელ მსოფლიოშიც. ვინც თუნდაც ოდნავ ხელს უშლის ამ ბრძოლას, მას ჩვენ დაუნდობლად ვებრძვით. ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენს წინააღმდეგაა. ხოლო თუ მოიპოვებიან ადამიანები, — ჩვენ კი ვიცით, რომ მენშევიკებს შორის ასეთები არიან, — რომლებიც, რაკი მათ არ შეუძლიათ გაიგონ ან არა სურთ გაიგონ რაც რუსეთში ხდება, კიდევ არ დარწმუნებულან, რომ თუ რუსეთში ამ «ცუდმა» ბოლშევიკებმა ასეთი რევოლუცია მოახდინეს, სამაგიეროდ გერმანიაში რევოლუცია განუზომლად მეტი ტანჯვით იბადება. იქაური დემოკრატიული

რესპუბლიკა — რა არის ეს? რა არის გერმანიის თავისუფლება? — ეს არის თავისუფლება — დახოცონ პროლეტარიატის ნამდვილი ბელადები: კარლ ლიბკნეხტი, როზა ლუქსემბურგი და ათეული სხვები. შეიდემანელები ამით აჭიანურებენ თავიანთ დამარცხებას. ცხადია, რომ მათ მართვა-გამგეობა არ შეუძლიათ. 9 ნოემბრიდან ხუთი თვე გავიდა რაც თავისუფლება არსებობს გერმანიის რესპუბლიკაში. ამ ხნის განმავლობაში ხელისუფლების წარმომადგენლებად იყვნენ ან შეიდემანელები, ან მათი დამქაშები. მაგრამ თქვენ იცით, რომ მათ შორის მტრობა სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია ან ბურჟუაზიის დიქტატურა, ან პროლეტარიატის დიქტატურა; თუ რამდენად აქ საშუალო რამ არ არსებობს, ეს იქიდან ჩანს, რასაც დღეს, მაგალითად, ჩვენ ვკითხულობთ გაზეთ «Frankfurter Zeitung»-ში [45]. ის ამბობს, უნგრეთის მაგალითი ამტკიცებს, რომ ჩვენ მოგვიხდება სოციალიზმისკენ წასვლაო. უნგრეთმა დაამტკიცა, რომ ბურჟუაზია ნებაყოფლობით უთმობს ძალაუფლებას საბჭოებს, რაკი იცის, რომ ქვეყანა ისეთ საშინელ მდგომარეობაშია, რომ არავინაა მისი მხსნელი, არავინაა გაუძღვეს ხალხს ხსნის ასეთ ძნელ გზაზე, გარდა საბჭოებისა. და იმ ადამიანებს, რომლებიც, მერყეობენ რა ძველსა და ახალს შორის, ამბობენ: თუმცა ჩვენ არ ვცნობთ იდეურად პროლეტარიატის დიქტატურას, მაგრამ მზადა ვართ დავეხმაროთ საბჭოთა ხელისუფლებას, ჩვენს რწმენას კი ჩვენთვის შევინახავთ, რადგან გვესმის, რომ გააფთრებულ ომში საჭიროა ბრძოლა ულაპარაკოდ, — ასეთ ადამიანებს ჩვენ ვუპასუხებთ: თუ თქვენ გინდათ პოლიტიკა აწარმოოთ, პოლიტიკა კი ისე გესმით, რომ თქვენ დაღლილი, დატანჯული მასების წინაშე თავისუფლად გააკრიტიკოთ საბჭოთა ხელისუფლება და ვერ შეამჩნიოთ, რომ ამით კოლჩაკს ეხმარებით, — ჩვენ ვამბობთ: ასეთ ადამიანებს — შეუბრალებელი ომი. ამ ხაზის ერთბაშად შეთვისება და გატარება ადვილი არ არის. ჩვენ შეგვიძლია მათ მიმართ ერთ ხაზს დავადგეთ. ჩვენ ვამბობთ: თუ გსურთ თქვენი პოლიტიკა

აწარმოოთ — ჩვენ მოგცემთ ადგილს საპყრობილეში ან გაგგზავნით სხვა ქვეყნებში, რომლებიც თქვენ მიგიღებენ. ჩვენ ასეთ ქვეყნებს სტუმრად გავუგზავნით რამდენიმე მენშევიკს. ან, ბოლოს, გინდათ თქვათ: ჩვენ დავეხმარებით საბჭოთა ხელისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ნიშნავს კიდევ რამდენიმე წლის უზარმაზარ უბედურებას, რაც მაინც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდება. ასეთ ადამიანებს ყოველგვარი დახმარება უნდა გაეწიოს და პრაქტიკული სამუშაო მიეცეს. ეს პოლიტიკა არ შეიძლება ისე იოლად და ერთბაშად განვსაზღვროთ, როგორც ერთი მიმართულებით მიმავალი პოლიტიკა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი მუშა, რომელსაც პრაქტიკულად უნახავს, თუ რას ნიშნავს მძიმე ომი, რას ნიშნავს წითელი არმიის მომარაგება, რას ნიშნავს ყველა ის სიმხეცე, რაც წილად ხვდება ყოველ წითელარმიელს ფრონტზე, — ყოველი მუშა პოლიტიკის ამ გაკვეთილებს ჩინებულად გაიგებს. ამიტომ მე მოგმართავთ თხოვნით მიიღოთ ეს თეზისები და პროფესიული კავშირების მთელი ძალები დაძაბოთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება უფრო ენერგიულად და რაც შეიძლება უფრო სასწრაფოდ განახორციელოთ ისინი.

2

პასუხი შეკითხვაზე ტულის გაფიცვის შესახებ

ტულის შესახებ მე კონკრეტული მასალები არა მაქვს და ამის შესახებ წინა ამხანაგებივით ავტორიტეტულად რაიმეს თქმა არ შემიძლია. მაგრამ მე ვიცნობ გაზეთ «ვსეგდა ვპერიოდ!»-ის პოლიტიკურ ფიზიონომიას. ეს არის გაფიცვების წაქეზება და სხვა არაფერი. ეს არის ხელის შეწყობა ჩვენი მტრების — მენშევიკებისათვის, რომლებიც აქეზებენ მუშებს გაფიცვებისადმი. ვიღაც შემეკითხა: დამტკიცებულია თუ არა ესაო? ვუპასუხებ: მე რომ ადვოკატი ან ვექილი, ანდა პარლამენტარი ვიყო, ვალდებული ვიქნებოდი დამემტკიცებინა. მე არც ერთი ვარ, არც მეორე და არც მესამე, და ამას არ გამოვეკიდები, არც საჭიროა ეს ჩემთვის. ვთქვათ, რომ მენშევიკების ც. კ. უკეთესია, ვიდრე ის მენშევიკები, რომლებიც პირდაპირ ამხილეს ტულაში, რომ ისინი აქეზებდნენ მუშებს, — მე ეჭვიც კი არ მეპარება, რომ მენშევიკური კომიტეტის უახლოეს წევრთა ერთი ნაწილი უკეთესია, — მაგრამ პოლიტიკურ ბრძოლაში, როდესაც თეთრგვარდიელები ყელში ხელს გიჭერენ, განა შეიძლება ეს განასხვაო? განა ჩვენ ამისთვის გვცალია? ფაქტი ფაქტია. ვთქვათ, ისინი ხელს არ უწყობდნენ, მაგრამ სუსტნი აღმოჩნდნენ მემარჯვენე მენშევიკების მიმართ. რა უნდა განვმარტოთ? მემარჯვენე მენშევიკები აგიტაციას ეწევიან გაფიცვის სასარგებლოდ, მარტოვი და სხვები ჰაიცხავენ ამ მემარჯვენეებს თავიანთ გაზეთში. რა გამოდის, რას გვასწავლის ეს ჩვენ?

ჩვენ ვღებულობთ ქაღალდს, სადაც წერია: მეც ვკიცხავ, მაგრამ... (ხ მ ა: «რა ვქნათ?».) იგივე, რაც ბოლშევიკურმა პარტიამ ქნა — დავიკავოთ ჩვენი პოზიცია არა სიტყვებით, არამედ საქმით. განა საზღვარგარეთული აგიტაცია არ იყენებს ყველა აქაური მენშევიკის საქციელს, განა ბერნის კონფერენციამ არ დაუჭირა მხარი ყველა იმპერიალისტს, როდესაც ისინი ამბობდნენ, რომ ბოლშევიკები უზურპატორები არიანო? ჩვენ ვამბობთ: თქვენ ისეთი მდგომარეობა დაიჭირეთ, როცა კოლჩაკის ბანდები გვირტყამენ, რის გამო ათასობით წითელარმიელი დაიღუპა ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც მთელი მსოფლიოს იმპერიალისტები აწვებიან. შესაძლოა, ორი წლის შემდეგ, როცა კოლჩაკს დავამარცხებთ, ამის გარკვევას დავიწყებთ, მაგრამ არა ახლა. ახლა საჭიროა ბრძოლა, რათა რამდენიმე თვეში დავამარცხოთ მტერი, რომელსაც, თქვენ იცით, რა მოაქვს მუშებისთვის. თქვენ ეს იცით ივაშჩენკოვოს[46] მაგალითით, და იცით ის, თუ რას სჩადის კოლჩაკი.

3

საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო

ამხანაგებო! ერთ-ერთი ორატორი, რომელსაც ოპოზიციის ორატორი უწოდეს, რეზოლუციაში მოითხოვდა მიგვემართა ჩვენი კონსტიტუციისათვის. როცა ეს გავიგონე, ვიფიქრე: ხომ არ აურია ორატორმა ჩვენი კონსტიტუცია შეიდემანის კონსტიტუციას? შეიდემანი და ყველა დემოკრატიული რესპუბლიკა ყველა მოქალაქეს ჰპირდებიან ყოველგვარ თავისუფლებას. ბურჟუაზიული რესპუბლიკები ასეული და ათასეული წლებია, რაც ამას ყველას ჰპირდებიან. თქვენ იცით, სადამდე მივიდნენ ისინი, ეს ბურჟუაზიული რესპუბლიკები, და როგორ ჩაფლავდნენ ისინი ახლა მსოფლიო მასშტაბით. მუშების უდიდესი უმრავლესობა კომუნისტების მხარეზეა, მთელ მსოფლიოში შექმნილია თვით სიტყვა «საბჭოელი», რომელიც რუსეთში არ არის, და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რომელ ქვეყანაშიც უნდა მივიდეთ, თუ ვიტყვით სიტყვას «საბჭოელი», ყველანი გაგვიგებენ და გამოგვყვებიან. კონსტიტუციის 23-ე მუხლში ნათქვამია:

«ხელმძღვანელობს რა მუშათა კლასის ინტერესებით მთლიანად, რსფსრ ართმევს ცალკეულ პირებსა და ცალკეულ ჯგუფებს უფლებებს, რომელთაც ისინი იყენებენ სოციალისტური რევოლუციის ინტერესების საზიანოდ».

ჩვენ თავისუფლებას მარჯვნივ და მარცხნივ არავის ვპირდებით, პირიქით, პირდაპირ ვთქვით კონსტიტუციაში, — რომელიც გადათარგმნილია ყველა ენაზე: გერმანულზედაც, ინგლისურზედაც, იტალიურზედაც, ფრანგულზედაც, — პირ-

დაპირ განვაცხადეთ, რომ ჩვენ თავისუფლებას წავართმევთ სოციალისტებს, თუ მას ისინი იყენებენ სოციალისტური ინტერესების საზიანოდ, თუ ის ჰფარავს კაპიტალისტების თავისუფლებას. აი რატომ არ იყო სწორი ფორმალურადაც ამ კონსტიტუციის დამოწმება. ჩვენ აშკარად განვაცხადეთ, რომ გარდამავალ დროს, გააფთრებული ბრძოლის დროს, ჩვენ არათუ არავის ვპირდებით თავისუფლებას მარჯვნივ და მარცხნივ, არამედ წინასწარ ვამბობთ, რომ უფლებებს წავართმევთ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ხელს უშლიან სოციალისტურ რევოლუციას. ხოლო ვინ განსჯის ამას? — განსჯის პროლეტარიატი.

აქ ცდილობდნენ საქმე გადაეტანათ პარლამენტური ბრძოლის ნიადაგზე. მე ყოველთვის ვამბობდი: მშვენიერია პარლამენტარიზმი, მაგრამ დრო ახლა პარლამენტური არ არის. როცა დაინახა, რომ მთავრობა აცხადებს — მდგომარეობა მძიმეაო, ამხ. ლოზოვსკი ამბობს: სწორედ ახლა უნდა წამოაყენოს მოსახლეობამ ათეული მოთხოვნებიო. ასე იქცეოდა ყველა პარლამენტარი «კურთხეულ ძველ დროს», მაგრამ ახლა ეს დროის შესაფერისი არ არის. მე ვიცი, რომ ჩვენ უამრავი ნაკლი გვაქვს, ვიცი, რომ უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლება უკეთესი იქნება, ვიდრე ჩვენშია. მაგრამ, როდესაც მობილიზაციის დროს გვეუბნებიან: გეძლევათ ერთი, მეორე და მესამე წინადადებაო — და მოდი ვივაჭროთო — მე ვამბობ, რომ ძველი პარლამენტარიზმის ასეთი გამოყენება უვარგისია, რომ შეგნებულმა მუშებმა ის უკვე უკუაგდეს. საქმე ამაში როდია.

ჩვენ ძირითადი ხაზი განვსაზღვრეთ, როგორც კლასობრივი ბრძოლა კულაკებთან, მდიდარ ელემენტებთან, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ არიან. როდესაც ეს უზრუნველყოფილი შეიქნა, ჩვენ ვამბობთ: ახლა საშუალო გლეხის მიმართ საჭიროა მივაღწიოთ უფრო სწორ მიზანდასახულობას. ეს ძალიან ძნელი სამუშაოა. დიდი საშიშროების მომენტში თქვენ უნდა დაეხმაროთ ისეთ საბჭოთა ხელისუფლებას, როგორიც ის არის. ჩვენ ამ თვეებში არ გამოვიცვლებით. აქ

არავითარი საშუალო რამ არ არის და არც შეიძლება იყოს. ამ საშუალოს შექმნა ხელოვნური პარლამენტური ფანდებით, ეს ნიშნავს მოლიპულ ნიადაგზე დადგომას. როდესაც ორატორმა განაცხადა, რომ მთელი გლეხობა ჩვენი წინააღმდეგიაო, ეს ერთ-ერთი ის «პატარა» გაზვიადებაა, რომელიც პრაქტიკულად აქეზებს მემარცხენე ესერებსა და მენშევიკებს. დიდმა უმრავლესობამ იცის, რომ გლეხობის უდიდესი უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა. მან პირველად მიიღო საბჭოთა ხელისუფლება. აჯანყების ლოზუნგებიც კი, აჯანყებისა, რომელიც მოედო გლეხთა მასების უმნიშვნელო ნაწილს, აჯანყების ლოზუნგები იყო: «საბჭოთა ხელისუფლებისთვის, ბოლშევიკებისთვის, ძირს კომუნია». ჩვენ ვამბობთ: ამასთან ბრძოლა მეტად შეუპოვარი იქნება, იმიტომ რომ ინტელიგენციამ შემოგვაპარა საბოტაჟი. ჩვენ იძულებული ვიყავით აგვეყვანა უფრო მეტი ცუდი ელემენტები, ვიდრე კარგი. როცა ინტელიგენციის საუკეთესო ელემენტებმა ზურგი შეგვაქციეს, იძულებული გავხდით უფრო ცუდი აგვეყვანა.

ამხ. რომანოვმა შემოიტანა რეზოლუცია, რომელიც მას თვითონ გაჰყავდა მას შემდეგ, რაც მისი ამხანაგები დააპატიმრეს. ისინი აცხადებენ: «ჩვენ მოვითხოვთ ყველასთვის თავისუფლებას...». (ლ ე ნ ი ნ ი კ ი თ ხ უ ლ ობ ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ა ს.) მუშები შემდეგ შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ ჩვენ ეს დაგვიჯდა რამდენიმე ათას დაკარგულ დღედ და რამდენიმე ათასი წითელარმიელის, მუშისა და გლეხის სიცოცხლედ აღმოსავლეთის ფრონტზე.

მე ვმსჯელობ საღად და კატეგორიულად: რა სჯობია — რამდენიმე ათეული თუ ასეული წამქეზებელი, დამნაშავე თუ უდანაშაულო, შეგნებული თუ შეუგნებელი ჩავსვათ საპყრობილეში, თუ დავკარგოთ ათასობით წითელარმიელი და მუშა? — პირველი სჯობია. დაე ბრალი დამდონ როგორიც გნებავთ მომაკვდინებელ ცოდვაში და თავისუფლების დარღვევაში — დამნაშავედ ვაღიარებ თავს, მუშების ინტერესები კი მოიგებს. როდესაც ისეთი დრო დადგა, რომ ხალხი დაქანცულია, შეგნებული ელემენტები უნდა დაეხმარონ მას

როგორმე თავი გაიტანოს ამ რამდენიმე თვეს. ოდესაში ჩვენ კი არ გაგვიმარჯვნია. სასაცილოა იმის ფიქრი, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ. ჩვენ ოდესა იმიტომ ავიღეთ, რომ მათი ჯარისკაცები არ ებმოდნენ ბრძოლაში. ჩრდილოეთის ფრონტიდან მე მაქვს დეპეშა, რომელშიც მწერენ: «გაგზავნეთ ინგლისელი ტყვეები ფრონტზე». ამხანაგები აქ ამბობენ, რომ ინგლისელები ტირილით აცხადებენ: არ დავბრუნდებით უკან, არმიაშიო. რას ნიშნავს ეს? — მათი ჯარები მონაწილეობას არ იღებენ ბრძოლაში. ისინი ჩვენზე ათწილ უფრო ძლიერი არიან და მაინც არ მიდიან საბრძოლველად.

აი ამიტომ, როდესაც გვეუბნებიან: თქვენ ბევრს დაგვპირდით, მაგრამ არაფერი შეგისრულებიათო, — ჩვენ ვუპასუხებთ: ჩვენ შევასრულეთ ძირითადი. ჩვენ შეგპირდით, რომ ვიწყებთ რევოლუციას, რომელიც მსოფლიო რევოლუცია გახდება — და ის დაიწყო, და ახლა ის ისე მტკიცედ დგას, რომ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა ბრწყინვალეა, — ეს ძირითადი დაპირება ჩვენ შევასრულეთ, და ეს, როგორც ჩანს, შეგნებულ მუშათა უდიდესმა უმრავლესობამ გაიგო. მათ გაიგეს, რომ ახლა მხოლოდ რამდენიმე თვე გვაშორებს ჩვენ მთელ მსოფლიოში კაპიტალისტებზე გამარჯვებისგან. მაშ როგორ მოვიქცეთ, თუ ამ რამდენიმე თვის განმავლობაში განსაზღვრული ელემენტები დაიღალა, როგორ მოვიქცეთ: ვეთამაშოთ მათ, წავაქეზოთ, თუ, პირიქით, დავეხმაროთ დაქანცულთ რამენაირად გასძლონ ამ რამდენიმე თვის განმავლობაში, რომლებიც წყვეტენ მთელი ომის ბედს. თქვენ ხედავთ, რომ სამხრეთში ჩვენ რამდენიმე თვეზე უფრო ადრე გავათავებთ ყველაფერს და გავათავისუფლებთ არმიას აღმოსავლეთისთვის, ასე რომ ანტანტა — ინგლისელებიც, ფრანგებიც და ამერიკელებიც — ჩაფლავდნენ, — ეს ფაქტია. ოდესაში მათ ჰყავდათ ათიათასიანი ჯარი და ფლოტი — აი როგორ იყო საქმე. აქ საქმე პარლამენტარიზმსა და დათმობაში როდია, — ამას ჩვენ არავის ვპირდებით და არც ვკისრულობთ, — აქ საქმე იმაშია, რომ როცა ხალხი დაღლილია ომით, როცა შიმშილი მძიმედ გვაწვება, როგორი უნდა იყოს

შეგნებული პროლეტარიატის, მუშების შეგნებული ნაწილის ამოცანა? შევიწყნაროთ თუ არა დაღლილობასთან თამაში? — ეს კი თამაში ხდება. თუ ჩვენ ვიტყვით: შევწყვიტოთ ომი, — შეუგნებელი მასები ამას ხმას მისცემენ, — შეგნებული ნაწილი კი ამბობს: შენ შეგიძლია დაამთავრო საქმე რამდენიმე თვეში. საჭიროა დაღლილთა გამხნევება, ხელის შეწყობა, საჭიროა გაკიყოლიოთ ისინი. ამხანაგები თვითონ ხედავენ, რომ შეგნებულ მუშას თან მიჰყავს ათეული დაღლილი. ჩვენ ამას ვამბობთ და ამასვე მოვითხოვთ. პროლეტარიატის დიქტატურა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ერთ კლასს თან მიჰყავს მეორე, იმიტომ რომ ის უფრო ორგანიზებული, დარაზმული და შეგნებულია. შეუგნებელნი ყოველგვარ ანკესზე ეგებიან, და ისინი დაღლილობის გამო ყველაფერზე მზად არიან, შეგნებული ნაწილი კი ამბობს: როგორმე უნდა გავუძლოთ, იმიტომ რომ რამდენიმე თვეში ჩვენ მთელ მსოფლიოში გავიმარჯვებთო. აი როგორა დგას საკითხი. მე ნებას მივცემ ჩემს თავს ვიფიქრო, რომ პარლამენტური დისკუსიისთვის დრო არ დამდგარა: კიდევ უნდა დავძაბოთ ძალები, რომ ამ თვეების განმავლობაში გავიმარჯვოთ, და გავიმარჯვოთ უკვე საბოლოოდ.

წინასიტყვაობა ანრი ჰილბოს ბროშურისა: «სოციალიზმი და სინდიკალიზმი საფრანგეთში ომის დროს»

ამხ. ჰ ი ლ ბ ო ს ბროშურა მეტისმეტად დროიანია. სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტური და პროფესიული მოძრაობის ომისდროინდელი ისტორია უნდა დაიწეროს ყველა ქვეყნისთვის. ეს ისტორია ცხადზე უცხადესად გვიჩვენებს ნელ, მაგრამ მტკიცე გადახრას მარცხნივ, ძვრას მუშათა კლასის რევოლუციური აზროვნებისა და რევოლუციური მოქმედებისკენ. ეს ისტორია, ერთი მხრივ, ააშკარავებს III, კომუნისტური ინტერნაციონალის ღრმად გადგმულ ფესვებს, მის მომზადებას, თავისებურს თვითეული ერის შიგნით, მის ისტორიულ თავისებურებათა მიხედვით. III ინტერნაციონალის ღრმა ფესვებს უნდა ვიცნობდეთ, რომ გავიგოთ მისი გარდუვალობა და იმ გზების განსხვავება, რომლებითაც მისკენ მიდიან სხვადასხვა ნაციონალური სოციალისტური პარ_ ტიები.

მეორე მხრივ, სოციალისტური და პროფესიული მოძრაობის ომისდროინდელი ისტორია გვიჩვენებს ბურჟუაზიული დემოკრატიისა და ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის კრახის დასაწყისს, შემობრუნების დასაწყისს ბურჟუაზიული დემოკრატიისგან საბჭოთა ანუ პროლეტარული დემოკრატიისკენ. ეს უდიდესი მსოფლიო-ისტორიული ცვლა ძალიან, ძალიან ბევრ სოციალისტს ჯერ ვერას გზით ვერ გაუგია, რადგან შებოჭილი არიან რუტინის ბორკილებით, ფილისტერული ქედის მოხრით იმის წინაშე, რაც არის და რაც იყო გუშინ,

მეშჩანური სიბეცით იმის მიმართ, რასაც დაღუპვის გზაზე დამდგარი კაპიტალიზმი წარმოშობს ყველა ქვეყანაში.

ამხ. ჰ ი ლ ბ ო მ იკისრა ამოცანა—დაეწერა საფრანგეთის სოციალისტური და პროფესიული მოძრაობის ომისდროინდელი ისტორიის ნარკვევი. ფაქტების ნათელი და ზუსტი ჩამოთვლა თვალსაჩინოდ უჩვენებს მკითხველს დიდი მობრუნების, გარდატეხის დასაწყისს სოციალიზმის ისტორიაში. შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჰ ი ლ ბ ო ს ბროშურა არათუ ფრიად ფართოდ გავრცელდება ყველა შეგნებულ მუშაში, არამედ გამოიწვევს აგრეთვე მთელი რიგი სხვა ამგვარი ბროშურების დაწერას, რომლებიც მიეძღვნება სხვა ქვეყნების სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის ომისდროინდელ ისტორიას.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

მოსკოვი, 13. IV. 1919.

დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1919 წ.

რუსულ ენაზე პირველად
დაიბეჭდა 1920 წ.

იბეჭდება ბროშურის რუსული
გამოცემის ტექსტის მიხედვით

სიტყვა მოსკოვის პირველ საბჭოთა მეთაურების კურსებზე 1919 წ. 15 აპრილს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

ლენინი იგონებს ერთი გერმანელი გენერლის სიტყვებს, რომელიც ამბობდა — ჯარისკაცებმა რომ იცოდნენ, რისთვის ომობენ ისინი, ომი აღარ იქნებოდაო. — ახლა სხვა საქმეა. წითელი არმიის წინაშე დასმულია დიადი გარკვეული ამოცანები — მუშათა კლასის განთავისუფლება. ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია დღითი დღე იზრდება და მტკიცდება. ეს ზრდა აიხსნება მუშებისა და გლეხების მიერ თავიანთი მიზნების ღრმა შეგნებით, და თუ ახლა ჩვენ აღმოსავლეთის ფრონტზე მთელი რიგი წარუმატებლობა გვაქვს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უნდა შევაჩეროთ კოლჩაკი და დავამარცხოთ იგი, და ჩვენ კიდევაც დავამარცხებთ მას. კრასნოვის ბანდებს არა ერთხელ შეუქმნიათ სერიოზული მდგომარეობა საბჭოთა რუსეთისთვის, და, მიუხედავად მთელი ბურჟუაზიული სამყაროს მხარის დაჭერისა, ისინი დამარცხდნენ და ახლო ხანში საბოლოოდ განადგურებულნი იქნებიან. ჩვენ ამის მიღწევა შევძელით მხოლოდ მუშებისა და გლეხების შეგნებულობის წყალობით. იბარებთ რა წითელ დროშას რაიონული კომიტეტისგან, თქვენ მტკიცედ და გაბედულად უნდა ატაროთ იგი წინ. ყოველდღე მოდის ცნობა, რომ ხან იქ, ხან აქ აღმართულია განთავისუფლების დროშაო. თქვენს თვალწინ შეიქმნა უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა, საბჭოთა ბავარია, — მესამე, კომუნისტური ინტერნაციონალი, და თქვენც ახლო ხანში დაინახავთ, თუ როგორ შეიქმნება საბჭოების მსოფლიო ფედერაციული რესპუბლიკა.

გაუმარჯოს საბჭოების მსოფლიო ფედერაციულ რესპუბ-ლიკას!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს წითელ მეთაურებს! (ტაშის გრიალი.)

«პრავდა» № 83, 1919 წ. 17 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში

«შეთანხმების» ქვეყნების იმპერიალისტები ბლოკადას უქმნიან რუსეთს, ცდილობენ მოწყვიტონ საბჭოთა რესპუბლიკა, როგორც გადამდები სენის კერა, კაპიტალისტურ მსოფლიოს. ეს ადამიანები, რომლებიც ბაქიობენ თავიანთ დაწესებულებათა «დემოკრატიზმით», იმდენად დაბრმავებული არიან საბჭოთა რესპუბლიკისადმი სიძულვილით, რომ ვერ ამჩნევენ, თუ როგორ იხდიან თავს სასაცილოდ. აბა დაუფიქრდით: მოწინავე, ყველაზე უფრო ცივილიზებულ და «დემოკრატიულ» ქვეყნებს, თავით-ფეხამდე შეიარაღებულთ, სამხედრო თვალსაზრისით განუყოფლად გაბატონებულთ მთელს დედამიწაზე, როგორც ცეცხლისა ისე ეშინიათ ი დ ე უ რ ი გადამდები სენისა, რომელიც გაჩანაგებული, დამშეული, ჩამორჩენილი, მათი თქმით — ნახევრადველური, ქვეყნიდან მოდის!

უკვე მარტო ეს წინააღმდეგურობა უხელს თვალს ყველა ქვეყნის მშრომელ მასებს და ხელს უწყობს იმპერიალისტების — კლემანსოს, ლოიდ-ჯორჯის, ვილსონისა და მათ მთავრობათა ფარისევლობის მხილებას.

მაგრამ ჩვენ გვეხმარება არა მარტო კაპიტალისტების დაბრმავება საბჭოებისადმი სიძულვილით, არამედ მათი შუღლიც ერთმანეთს შორის, რაც მათ აიძულებს ფეხი გამოსდონ ერთიმეორეს. მათ ერთმანეთს შორის დუმილის ნამდვილი შეთქმულება მოაწყვეს, რადგან ყველაზე უფრო ეშინიათ

საბჭოთა რესპუბლიკაზე საერთოდ მართალი ცნობებისა და განსაკუთრებით მისი ოფიციალური დოკუმენტების გავრცელებისა. მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზიის მთავარმა ორგანომ «დროებამ» («Le Temps») დაბეჭდა ცნობა მოსკოვში III, კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების შესახებ.

ჩვენ ამისთვის საფრანგეთის ბურჟუაზიის მთავარ ორგანოს, საფრანგეთის შოვინიზმისა და იმპერიალიზმის ამ ბელადს, ვუძღვნით ჩვენს მოკრძალებითს მადლობას. ჩვენ მზადა ვართ გაზეთ «დროებას» გავუგზავნოთ საზეიმო ადრესი ჩვენი მადლობის გამოსახატავად იმისათვის, რომ იგი ასე წარმატებით და ასე უნარიანად გვეხმარება.

იქიდან, თუ როგორ შეადგინა გაზეთმა «დროებამ» თავისი ცნობა ჩვენი რადიოს საფუძველზე, სრული სიაშკარავით ჩანს ის მოტივები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ფულის ქისის ეს ორგანო. მას სურდა ეკბინა ვილსონისთვის, ეჩხვლიტა მისთვის: აბა ერთი შეხედეთ, როგორი არიან ისინი, ვისთანაც მოლაპარაკება დასაშვებად მიგაჩნიათო! ბრძენნი, რომლებიც ფულის ქისის შეკვეთით წერენ, ვერ ამჩნევენ, თუ როგორ იქცევა მათ მიერ ვილსონის დაშინება ბოლშევიკებით ბოლშევიკების რეკლამად მშრომელი მასების თვალში. კიდევ ერთხელ: ჩვენი მოკრძალებული მადლობა საფრანგეთის მილიონერთა ორგანოს!

III ინტერნაციონალის დაარსება ისეთ მსოფლიო ვითარებაში მოხდა, რომ «შეთანხმების» იმპერიალისტების ან კაპიტალიზმის ლაქიების, როგორიც არიან შეიდემანები გერმანიაში, რენერები — ავსტრიაში, არავითარ წვრილმან და უბადრუკ ფანდებს არ ძალუძთ დააბრკოლონ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასში ცნობების გავრცელება ამ ინტერნაციონალის შესახებ და მისდამი თანაგრძნობა. ეს ვითარება შექმნა ყველგან აშკარად მზარდმა, არა დღითი დღე, არამედ საათობით მზარდმა პროლეტარულმა რევოლუციამ. ეს ვითარება შექმნა მშრომელთა მასებში გაღვივებულმა ს ა ბ ჭ ო თ ა მოძრაობამ, რომელმაც უკვე ისეთ ძლიერებას მიაღწია, რომ მართლაც ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო გახდა.

პირველმა ინტერნაციონალმა (1864 — 1872) საძირკველი ჩაუყარა მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციას კაპიტალზე მათი რევოლუციური იერიშის მოსამზადებლად. მეორე ინტერნაციონალი (1889 — 1914) იყო საერთაშორისო ორგანიზაცია პროლეტარული მოძრაობისა, რომლის ზრდა გ ა ფ ა რ თ ო ვ დ ა, რაც ვერ ასცდა რევოლუციური დონის სიმაღლის დროებით დაცემას, ოპორტუნიზმის დროებით გაძლიერებას, რამაც ბოლოს და ბოლოს ამ ინტერნაციონალის სამარცხვინო კრახი გამოიწვია.

მესამე ინტერნაციონალი ფაქტიურად შეიქმნა 1918 წელს, როდესაც ოპორტუნიზმთან და სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლის მრავალწლოვანმა პროცესმა, მეტადრე ომის დროს, გამოიწვია კომუნისტური პარტიების შექმნა მთელ რიგ ერებში. ფორმალურად III ინტერნაციონალი დაარსებულია მის პირველ ყრილობაზე, 1919 წლის მარტში, მოსკოვში. და ამ ინტერნაციონალის უაღრესად დამახასიათებელმა თვისებამ, მისმა მოწოდებამ: შეასრულოს, ცხოვრებაში გაატაროს მარქსიზმის ანდერძები და განახორციელოს სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის საუკუნოვანი იდეალები, — III ინტერნაციონალის ამ უაღრესად დამახასიათებელმა თვისებამ ერთბაშად იჩინა თავი იმით, რომ ახალი, მესამე, «მუშათა საერთაშორისო საზოგადოება» უ კ ვ ე ა მ ჟ ა მ ა დ ე მ თ ხ ვ ე ვ ა, რამდენადმე, ს ა ბ ჭ ო თ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ბ ი ს კ ა ვ შ ი რ ს.

პირველმა ინტერნაციონალმა საძირკველი ჩაუყარა პროლეტარულ, საერთაშორისო ბრძოლას სოციალიზმისათვის.

მეორე ინტერნაციონალი წარმოადგენდა ნიადაგის მომზადების ეპოქას მთელ რიგ ქვეყნებში მოძრაობის ფართო, მასობრივი გავრცელებისათვის.

მესამე ინტერნაციონალმა შეითვისა II ინტერნაციონალის მუშაობის ნაყოფი, მოჰკვეთა მისი ოპორტუნისტული, სოციალ-შოვინისტური, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული სიბილწე და დ ა ი წ ყ ო პროლეტარიატის დიქტატურის გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ა.

მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი პარტიების, კაპიტალის უღლის დასამხობად პროლეტარიატის მოძრაობის ხელმძღვანელი პარტიების საერთაშორისო კავშირს ამჟამად აქვს თავისი სიმტკიცით ჯერ არნახული ბაზა: რამდენიმე საბჭოთა რესპუბლიკა, რომლებიც საერთაშორისო მასშტაბით ხორცს ასხამენ პროლეტარიატის დიქტატურას, მის გამარჯვებას კაპიტალიზმზე.

III, კომუნისტური ინტერნაციონალის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან დაიწყო მარქსის უდიდესი ლოზუნგის განხორციელება, ლოზუნგისა, რომელმაც შეაჯამა სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის საუკუნოვანი განვითარება, ლოზუნგისა, რომელიც გამოიხატება ცნებით: პროლეტარიატის დიქტატურა.

ეს გენიალური წინასწარჭვრეტა, ეს გენიალური თეორია სინამდვილედ ხდება.

ეს ლათინური სიტყვები ამჟამად გადათარგმნილია თანამედროვე ევროპის ყველა ხალხის ენაზე, — ეს კიდევ ცოტაა: მსოფლიოს ყველა ენაზე.

დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა.

კაცობრიობა თავიდან იშორებს მონობის უკანასკნელ ფორმას: კაპიტალისტურ ანუ დაქირავებულ მონობას.

კაცობრიობა თავისუფლდება მონობისაგან და პირველად ხდება ნამდვილად თავისუფალი.

როგორ მოხდა, რომ პირველი ქვეყანა, რომელმაც განახორციელა პროლეტარიატის დიქტატურა, მოაწყო საბჭოთა რესპუბლიკა, აღმოჩნდა ევროპის ერთ-ერთი უაღრესად ჩამორჩენილი ქვეყანა? არა მგონია შევცდეთ, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ეს წინააღმდეგურობა რუსეთის ჩამორჩენილობასა და მის «ნახტომს» შორის დემოკრატიზმის უმაღლესი ფორმისკენ, ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე გადახტომით საბჭოთა ანუ პროლეტარული დემოკრატიისაკენ, სწორედ ეს წინააღმდეგურობა იყო ერთ-ერთი მიზეზი (გარდა იმისა, რომ სოციალიზმის ბელადთა უმრავლესობას ამძიმებს ოპორტუნისტული ჩვეულებებისა და ფილისტერული ცრურწმე-

ნის ტვირთი), რომელმაც განსაკუთრებით გააძნელა ან დააყოვნა საბჭოების როლის გაგება დასავლეთში.

მუშათა მასები ინსტინქტით მიხვდნენ, მთელ მსოფლიოში, საბჭოების, როგორც პროლეტარიატის ბრძოლის იარაღისა და როგორც პროლეტარული სახელმწიფოს ფორმის, მნიშვნელობას. მაგრამ ოპორტუნიზმით გარყვნილი «ბელადები» განაგრძობდნენ და განაგრძობენ თაყვანისცემას ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი, უწოდებენ რა მას «დემოკრატიას» საერთოდ.

განა გასაკვირველია, რომ პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებამ უწინარეს ყოვლისა ცხადყო «წინააღმდეგურობა» რუსეთის ჩამორჩენილობასა და ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე მის «გ ა დ ა ხ ტ ო მ ა ს» შორის? საკვირველი იქნებოდა, რომ დემოკრატიის ა ხ ა ლ ი ფორმის განხორციელება ისტორიას ჩვენთვის მთელ რიგ წინააღმდეგურობათა გარეშე ეჩუქებინა.

ყოველი მარქსისტი, ყოველი ადამიანიც კი, რომელიც იცნობს თანამედროვე მეცნიერებას საერთოდ, თუ მას დავუსვამთ კითხვას: «მოხდება თუ არა სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნის თანაბარზომიერი ან ჰარმონიულ-პროპორციული გადასვლა პროლეტარიატის დიქტატურაზე?», — ამ კითხვაზე, უეჭველად, უარყოფით უპასუხებს. არც თანაბარზომიერება, არც ჰარმონიულობა, არც პროპორციულობა კაპიტალიზმის სამყაროში არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. თვითეული ქვეყანა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ავითარებდა კაპიტალიზმისა და მუშათა მოძრაობის ხან ერთს, ხან მეორე მხარეს თუ თვისებას, ანდა თვისებათა ჯგუფს. განვითარების პროცესი უთანაბროდ მიმდინარეობდა.

როდესაც საფრანგეთი თავის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციას ახდენდა და ისტორიულად ახალი ცხოვრებისთვის აღვიძებდა ევროპის მთელ კონტინენტს, ინგლისი კონტრრევოლუციური კოალიციის სათავეში აღმოჩნდა, ამავე დროს კი იგი კაპიტალისტურად გაცილებით უფრო განვითარებული

იყო, ვიდრე საფრანგეთი. ხოლო ინგლისის იმ ეპოქის მუშათა მოძრაობა გენიალურად წინასწარჭვრეტს ბევრ რამეს მომავალი მარქსიზმიდან.

როდესაც ინგლისმა მსოფლიოს მისცა პირველი ფართო, ნამდვილად მასობრივი, პოლიტიკურად ჩამოყალიბებული, პროლეტარულ-რევოლუციური მოძრაობა, ჩარტიზმი, ევროპის კონტინენტზე უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა სუსტი ბურჟუაზიული რევოლუციები, ხოლო საფრანგეთში იფეთქა პირველმა დიდმა სამოქალაქო ომმა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ბურჟუაზიამ პროლეტარიატის სხვადასხვა ნაციონალური რაზმი სათითაოდ და სხვადასხვაგვარად დაამარცხა სხვადასხვა ქვეყანაში.

ინგლისმა ისეთი ქვეყნის ნიმუში მოგვცა, რომელშიც, ენგელსის თქმით, ბურჟუაზიამ გაბურჟუებულ არისტოკრატიასთან ერთად შექმნა პროლეტარიატის ყველაზე უფრო გაბურჟუებული ზედაფენა[47]. მოწინავე კაპიტალისტური ქვეყანა რამდენიმე ათეული წლით ჩამორჩენილი აღმოჩნდა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის მხრივ. საფრანგეთმა თითქოს ამოსწურა პროლეტარიატის ძალები მუშათა კლასის ორი გმირული აჯანყებით ბურჟუაზიის წინააღმდეგ 1848 და 1871 წლებში, რამაც არაჩვეულებრივად ბევრი რამ მოგვცა მსოფლიო-ისტორიული აზრით. მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალში ჰეგემონია შემდეგ გადავიდა გერმანიის ხელში, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც გერმანია ეკონომიურად ჩამორჩენილი იყო ინგლისზედაც და საფრანგეთზედაც. ხოლო როდესაც გერმანიამ ორივე ამ ქვეყანას გაუსწრო ეკონომიურად, ე. ი. XX საუკუნის მეორე ათწლეულისთვის, მაშინ გერმანიის მსოფლიოში სანიმუშო მარქსისტული მუშათა პარტიის სათავეში აღმოჩნდა ხროვა გაუსწორებელი არამზადებისა, კაპიტალისტების მიერ მოსყიდული უბინძურესი არამზადებისა, დაწყებული შეიდემანით და ნოსკეთი და გათავებული დავიდით და ლეგინით, მუშებიდან გამოსული, მონარქიისა და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის სამსახურში მყოფი უსაზიზღრესი ჯალათებისა.

მსოფლიო ისტორია განუხრელად მიდის პროლეტარიატის დიქტატურისკენ, მაგრამ მიდის სრულიად არა გზტკეცილი, არა უბრალო, არა პირდაპირი გზებით.

როდესაც კარლ კაუცკი ჯერ კიდევ მარქსისტი იყო, და არა მარქსიზმის ის რენეგატი, რადაც ის გახდა როგორც შეიდემანებთან ერთიანობისათვის და ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის მებრძოლი და საბჭოთა ანუ პროლეტარული დემოკრატიის წინააღმდეგ მებრძოლი, მან XX საუკუნის დამდეგსვე დაწერა სტატია: «სლავები და რევოლუცია». ამ სტატიაში კაუცკი გადმოსცემდა იმ ისტორიულ პირობებს, რომლებიც სახავდნენ საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ჰეგემონიის გადასვლის შესაძლებლობას სლავების ხელში.

ასეც მოხდა. დროებით — თავისთავად ცხადია, მხოლოდ მოკლე ხნით — ჰეგემონია რევოლუციურ პროლეტარულ ინტერნაციონალში რუსების ხელში გადავიდა ისევე, როგორც XIX საუკუნის სხვადასხვა პერიოდში ჰეგემონია იყო ინგლისელების, შემდეგ ფრანგების, შემდეგ გერმანელების ხელში.

მე უკვე არა ერთხელ მითქვამს: მოწინავე ქვეყნებთან შედარებით რუსებისთვის უფრო ადვილი იყო დიდი პროლეტარული რევოლუციის დ ა წ ყ ე ბ ა, მაგრამ მათთვის უფრო ძნელი იქნება მისი გ ა ნ გ რ ძ ო ბ ა და საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანა, სოციალისტური საზოგადოების სრული ორგანიზაციის აზრით.

ჩვენთვის უფრო ადვილი იყო დაწყება, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ მეფის მონარქიის არაჩვეულებრივი — XX საუკუნის ევროპისთვის — პოლიტიკური ჩამორჩენილობა იწვევდა მასების რევოლუციური შეტევის არაჩვეულებრივ ძალას. მეორე, რუსეთის ჩამორჩენილობამ თავისებურად შეაერთა პროლეტარული რევოლუცია ბურჟუაზიის წინააღმდეგ გლეხურ რევოლუციასთან მემამულეების წინააღმდეგ. ჩვენ ამით დავიწყეთ 1917 წლის ოქტომბერს, და ჩვენ მაშინ ასე ადვილად ვერც გავიმარჯვებდით, ამით რომ არ დაგვეწყო. მარქსი ჯერ კიდევ 1856 წელს აღნიშნავდა, როდესაც პრუსიაზე ლაპარაკობდა,

პროლეტარული რევოლუციის თავისებური შეთავსების შესაძლებლობას გლეხთა ომთან[43]. ბოლშევიკები 1905 წლის დამდეგიდან იცავდნენ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის იდეას. მესამე, 1905 წლის რევოლუციამ უაღრესად ბევრი რამ გააკეთა მუშებისა და გლეხების მასების პოლიტიკური სწავლებისათვის როგორც დასავლეთის სოციალიზმის «უკანასკნელ სიტყვასთან» მათი ავანგარდის გაცნობის აზრით, ისე მასების რევოლუციური მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს აზრით. ისეთი «გენერალური რეპეტიციის» გარეშე, როგორიც იყო 1905 წელს, 1917 წლის რევოლუცია, როგორც თებერვლის, ბურჟუაზიული, ისე ოქტომბრის, პროლეტარული, შეუძლებელი იქნებოდა. მეოთხე, რუსეთის გეოგრაფიული პირობები საშუალებას აძლევდა მას უფრო ხანგრძლივად გაეძლო, ვიდრე სხვა ქვეყნებს, კაპიტალისტური, მოწინავე ქვეყნების სამხედრო უპირატესობის წინააღმდეგ. მეხუთე, პროლეტარიატის თავისებური დამოკიდებულება გლეხობისადმი აადვილებდა გადასვლას ბურჟუაზიული რევოლუციიდან სოციალისტურზე, აადვილებდა ქალაქის პროლეტარების გავლენას სოფლის მშრომელთა ნახევრადპროლეტარულ, უღარიბეს ფენებზე. მეექვსე, საგაფიცვო ბრძოლის ხანგრძლივი სკოლა და ევროპის მასობრივი მუშათა მოძრაობის გამოცდილება აადვილებდა, ღრმა და სწრაფად გამწვავების რევოლუციურ სიტუაციაში, პროლეტარული რევოლუციური ორგანიზაციის ისეთი თავისებური ფორმის წარმოშობას, როგორიცაა ს ა ბ ჭ ო ე ბ ი.

ეს ჩამოთვლა, რა თქმა უნდა, სრული არაა. მაგრამ ჯერჯერობით შეიძლება ამას დავჯერდეთ.

საბჭოთა ანუ პროლეტარული დემოკრატია რუსეთში იშვა. პარიზის კომუნასთან შედარებით გადაიდგა მეორე მსოფლიო-ისტორიული ნაბიჯი. პროლეტარულ-გლეხური საბჭოთა რესპუბლიკა პირველი მტკიცე სოციალისტური რესპუბლიკა აღმოჩნდა მსოფლიოში. იგი უკვე აღარ შეიძლება მოკვდეს, როგორც ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა ხ ა ლ ი ტ ი პ ი. ის ახლა უკვე განმარტოებული არა დგას.

სოციალიზმის მშენებლობის საქმის განსაგრძობად, მის ბოლომდე მისაყვანად, ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამაა საჭირო. უფრო კულტურული ქვეყნების საბჭოთა რესპუბლიკებს, სადაც პროლეტარიატი მეტი წონისა და გავლენის მქონეა, ყველა შანსი აქვთ გაუსწრონ რუსეთს, რაკი ისინი პროლეტარიატის დიქტატურის გზას დაადგებიან.

გაკოტრებული II ინტერნაციონალი ამჟამად კვდება და ცოცხლად იხრწნება. ფაქტიურად იგი საერთაშორისო ბურჟუაზიის მსახურის როლს ასრულებს. ეს ნამდვილი ყვითელი ინტერნაციონალია. მისი უდიდესი იდეური ბელადები, როგორიცაა კაუცკი, აქებ-ადიდებენ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ დემოკრატიას, უწოდებენ რა მას «დემოკრატიას» საერთოდ, ანდა — რაც კიდევ უფრო სულელური და უფრო ტლანქია — «წმინდა დემოკრატიას».

ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ დრო მოიჭამა, ისე როგორც თავისი დრო მოიჭამა II ინტერნაციონალმა, რომელიც ასრულებდა ისტორიულად აუცილებელ, სასარგებლო მუშაობას, როცა დღის წესრიგში იდგა მუშათა მასების მომზადება ამ ბურჟუაზიული დემოკრატიის ფარგლებში.

უაღრესად დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკაც კი არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა რამ, თუ არა კაპიტალის მიერ მშრომელთა დასათრგუნავი მანქანა, თუ არა კაპიტალის პოლიტიკური ბატონობის იარაღი, ბურჟუაზიის დიქტატურა. დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა ძალაუფლებას ჰპირდებოდა უმრავლესობას, აცხადებდა ამას, მაგრამ არასდროს არ შეეძლო მას განეხორციელებინა იგი, ვიდრე არსებობდა მიწისა და წარმოების სხვა საშუალებათა კერძო საკუთრება.

ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში «თავისუფლება» ნამდვილად წარმოადგენდა თავისუფლებას მ დ ი დ რ ე ბ ი ს თ ვ ი ს. პროლეტარებს და მშრომელ გლეხებს მისი გამოყენება შეეძლოთ და უნდა გამოეყენებინათ კიდევაც თავიანთი ძალების მომზადებისთვის კაპიტალის დასამხობად, ბურჟუაზიული დემოკრატიის დასაძლევად, მაგრამ

ფაქტიურად დემოკრატიით სარგებლობა კაპიტალიზმის დროს მშრომელთა მასებს, როგორც საერთო წესი, არ შეეძლოთ.

საბჭოთა ანუ პროლეტარულმა დემოკრატიამ მსოფლიოში პირველად შექმნა დემოკრატია მასებისთვის, მშრომელებისთვის, მუშებისა და წვრილი გლეხებისთვის.

ჯერ არასდროს არ ყოფილა ქვეყნად მოსახლეობის უმრავლესობის ისეთი სახელმწიფო ხელისუფლება, ამ უმრავლესობის ხელისუფლება საქმით, როგორიც არის საბჭოთა ხელისუფლება.

იგი ახშობს ექსპლოატატორებისა და მათი დამქაშების «თავისუფლებას», იგი ართმევს მათ ექსპლოატაციის «თავისუფლებას», შიმშილობაზე გამდიდრების «თავისუფლებას», კაპიტალის ბატონობის აღდგენისთვის ბრძოლის «თავისუფლებას», თავისი სამშობლოს მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ უცხო ქვეყნების ბურჟუაზიასთან შეთანხმების «თავისუფლებას».

დაე კაუცკებმა დაიცვან ასეთი თავისუფლება. ამისათვის საჭიროა მარქსიზმის რენეგატობა, სოციალიზმის რენეგატობა.

II ინტერნაციონალის იდეური ბელადების კრახი, ისეთების, როგორიც ჰილფერდინგი და კაუცკია, ისე მკაფიოდ არაფერში გამოხატული, როგორც მათს სრულ უუნარობაში — გაეგოთ საბჭოთა ანუ პროლეტარული დემოკრატიის მნიშვნელობა, მისი დამოკიდებულება პარიზის კომუნისადმი, მისი ისტორიული ადგილი, მისი აუცილებლობა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ფორმისა.

გაზეთ «თავისუფლების» («**Die Freiheit**»), გერმანიის «დამოუკიდებელი» (წაიკითხე: მეშჩანური, ფილისტერული, წვრილბურჟუაზიული) სოციალ-დემოკრატიის ორგანოს, 74-ე ნომერში 1919 წლის 11 თებერვალს მოთავსებულია მოწოდება: «გერმანიის რევოლუციური პროლეტარიატისადმი».

ამ მოწოდებას ხელს აწერს . პარტიის გამგეობა და მთელი მისი ფრაქცია «ეროვნული კრებისა», გერმანიის «დამფუძნებელი კრებისა».

ეს მოწოდება ბრალს სდებს შეიდემანებს საბჭოების თავიდან მოცილების მისწრაფებაში და წინადადებას იძლევა — ხუმრობა არ გეგონოთ! — საბჭოები შეუთავსდნენ დამ-ფუძნებელ კრებას, მიეცეთ საბჭოებს განსაზღვრული სახელმწიფოებრივი უფლებები, განსაზღვრული ადგილი კონსტიტუციაშიო.

ბურჟუაზიის დიქტატურის მორიგება, გაერთიანება პროლეტარიატის დიქტატურასთან! რა უბრალო რამაა! რა გენიალურ-ფილისტერული იდეაა!

სამწუხაროა მხოლოდ, რომ კერენსკის დროს ეს უკვე სინჯეს რუსეთში გაერთიანებულმა მენშევიკებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა, ამ წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატებ-მა, რომლებსაც თავი სოციალისტებად მოაქვთ.

ვინც მარქსი წაიკითხა და ვერ გაიგო, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყოველ მწვავე მომენტში, კლასთა ყოველი სე-რიოზული შეჯახებისას შესაძლებელია ან ბურჟუაზიის დიქტა-ტურა, ან პროლეტარიატის დიქტატურა, მას ვერაფერი გაუგია მარქსის ვერც ეკონომიურ და ვერც პოლიტიკურ მოძღვრე-ბაში.

მაგრამ ჰილფერდინგის, კაუცკისა და კომპანიის გენიალურ-ფილისტერული იდეა ბურჟუაზიის დიქტატურისა და პროლე-ტარიატის დიქტატურის მშვიდობიანი შეერთების შესახებ მოითხოვს საგანგებო განხილვას, თუ გვინდა ამოვწუროთ ის ეკონომიური და პოლიტიკური აბდაუბდა, რაც დაგროვილია 11 თებერვლის ამ უშესანიშნავეს და უაღრესად კომიკურ მოწო-დებაში. ეს მეორე სტატიისათვის უნდა გადავდოთ [49].

მოსკოვი, 1919 წ. 15 აპრილი

გამოქვეყნებულია 1919 წ. 1 მაისს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა მოსკოვის კვანძის რკინიგზელთა კონფერენციაზე 1919 წ. 16 აპრილს

ამხანაგებო, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ამჟამად ჩვენი ქვეყანა მძიმე დროს განიცდის. ჩვენ იძულებული გავხდით მობილიზაცია გამოგვეცხადებინა, რათა მოვიგერიოთ კონტრრევოლუციისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის უკანასკნელი შემოტევა. ამჟამად აუცილებელია თვით მშრომელი მასების ქმედითი დახმარება ამ მობილიზაციის წარმატებით ჩატარების საქმეში.

ამხანაგებო, თქვენ, რა თქმა უნდა, ყველას მშვენივრად გესმით, რა კოლოსალურ სიძნელეებს ქმნის ომი და რა უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს იგი, მით უმეტეს ახლა, როცა ქვეყანა განიცდის სიძნელეებს სასურსათო საქმეში და ომთან დაკავშირებულ ტრანსპორტის ნგრევას. ამის გამო ახლა კიდევ უფრო გაძლიერდა ის ტანჯვა, რაც ამ ომის გამო თავს ატყდება მშრომელ მასებს.

მაგრამ ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ და ვამტკიცოთ, რომ ჩვენი მდგომარეობა გაუმჯობესდა, და ჩვენ გამარჯვებული გამოვალთ ყველა სიძნელიდან. ჩვენ არ ვიტყუებთ თავს. ჩვენ ვიცით, რომ ახლა ჩვენი მტრები — ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის კაპიტალისტები, რომლებიც აშკარად მოქმედებენ რუსეთის კაპიტალისტებთან ერთად, უკანასკნელად ცდილობენ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენ ვხედავთ, რომ მემამულეებისა და კაპიტალისტების წარმომადგენლები უკვე დიდი ხანია თათბირობენ პარიზში. ჩვენ ვხედავთ,

თუ დღითი დღე და ყოველ საათობით უფრო და უფრო როგორ იმედოვნებენ ისინი, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვეღარ გასძლებს. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ დღემდისაც, გერმანიაზე გამარჯვების ხუთი თვის შემდეგ, მათ კიდევ ვერ შესძლეს ზავის შეკვრა. რატომ? იმიტომ, რომ ერთმანეთს ეჩხუბებიან გემრიელი ლუკმის გაყოფის დროს — ვის ერგოს თურქეთი, ვის ბულგარეთი, როგორ გაძარცვონ გერმანია, როგორი ლუკმა შეხვდება ინგლისს, როგორი საფრანგეთსა და ამერიკას, რამდენი ათეული მილიარდი კონტრიბუცია აიღონ გერმანელებისაგან. ცხადია, გერმანიისაგან ისინი უთუოდ ვერაფერს აიღებენ, იმიტომ რომ ქვეყანა გაჩანაგებულია ომით, და მისი მშრომელი მასები სულ მეტი და მეტი ენერგიით გამოდიან ბურჟუაზიული მთავრობის უღლის წინააღმდეგ.

ჩვენ, ამხანაგებო, ამის გამო გვეგადება სრულიად განსაზღვრული და მტკიცე რწმენა იმისა, რომ ამჟამად, აღმოსავლეთის ფრონტზე კოლჩაკის გამარჯვებასთან დაკავშირებით, კვლავ დაებადათ ერთგვარი იმედი რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალისტებს. მაგრამ კოლჩაკმა ნაწილობრივ გამარჯვებებსაც რომ მიაღწიოს, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში ისინი მაინც ვერ შესძლებენ თავიანთი იმედების განხორციელებას.

ჩვენ ვიცით, რომ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ მოკავშირეებს დარჩათ კაპიტალები, მრავალმილიონიანი არმია, დარჩათ ფლოტიც, რომელსაც მეტოქე არა ჰყავს. გერმანიის დამარცხებისთანავე მათ სრული შესაძლებლობა ჰქონდათ მთელი ძალები მიემართათ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის დასაპყრობად. ის, რასაც მოკავშირეები მიმართავდნენ სამხრეთ რუსეთში — მათი ჯარების გადმოსხმა შავ ზღვაზე, ოდესის დაკავება, — ყოველივე ეს მოკავშირე იმპერიალისტების მხრივ მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

რანაირი მდგომარეობაა ახლა, ხუთი თვის შემდეგ? მერე რა, განა მათ არ ჰყავდათ სამხედრო ძალები, მილიონიანი არმია, არ ჰყავდათ ფლოტი? რატომღა უნდა დაეხიათ მათ უკან უკრაინელი მუშებისა და გლეხების ცუდად შეიარაღებული არმიის წინაშე?

იმიტომ, რომ მათ საკუთარ ჯარში წარმოებს რღვევა, რაზედაც ლაპარაკობენ ის ცნობები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს. ეს ცნობები დადასტურდა. არ შეიძლება ოთხი წლის განმავლობაში დაუსჯელად აწარმოო ომი კაპიტალისტების მოგებათა გაანაწილების გამო. და ახლა, მას შემდეგ, რაც მათ დაამარცხეს ვილჰელმი, რომელსაც თავს მოახვიეს ყველა დანაშაული, ომის განგრძობა მათ არ ძალუძთ. ჩვენ ვიცით, რომ სამხედრო თვალსაზრისით «შეთანხმების» ქვეყნები შეიძლება იყვნენ და, ზუსტად რომ ვთქვათ, რჩებიან კიდეც ჩვენზე განუზომლად უფრო ძლიერი, მაგრამ ამავე დროს ვამბობთ: მათ წააგეს ომი ჩვენს წინააღმდეგ. ეს არის არა მარტო ჩვენი წარმოდგენა, არა მარტო ჩვენი გატაცება, ეს დაამტკიცა უკრაინის ამბებმა. მათ არ შეუძლიათ ბრძოლა მას შემდეგ, როცა ყველა ქვეყანა გამოფიტულია ომით, გაწამებულია ომით, როცა ყველასთვის ცხადი ხდება, რომ ომი გრძელდება მხოლოდ იმისთვის, რომ კაპიტალმა შეინარჩუნოს ბატონობა მშრომელებზე. მოკავშირეები კვლავ აჭიანურებენ აუცილებელ ზავის დადებას რუსეთთან, ზავისა, რომლის განსახორციელებლად ჩვენ გადავდგით მთელი რიგი ნაბიჯები და რომელსაც ჩვენ ვაყენებდით ჩვენთვის უაღრესად მძიმე პირობებითაც კი. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მძიმე ფინანსური პირობებიც კი განუზომლად უფრო ადვილია, ვიდრე ომის განგრძობა, რომელიც მუშებისა და გლეხების საუკეთესო შვილებს იწირავს. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა იციან, რომ მათ ჩვენს წინააღმდეგ არ შეუძლიათ ომის წარმოება. მათ იციან, რა არის მოძრაობა კოლჩაკისა, რომელმაც მობილიზაცია მოახდინა ციმბირის რამდენიმე ათეული ათასი ახალგაზრდა გლეხისა. მან ვერ გაბედა ჯარში ფრონტელების წაყვანა, მან იცის, რომ ისინი მას არ გაჰყვებოდნენ, და ახალგაზრდობას აჩერებს ჯოხის დისციპლინითა და მოტყუებით.

აი რატომაა, რომ თუმცა ჩვენი მდგომარეობა გამწვავდა, მაგრამ სრული რწმენით ვამბობთ: ჩვენ შეგვიძლია დავამთავროთ ეს ომი რამდენიმე თვეში და მოკავშირენი იძულებული იქნებიან ზავი შეკრან ჩვენთან. ისინი ეყრდნობიან კოლჩაკს,

მათ იმედი აქვთ, რომ სასურსათო სიძნელეები დაამხობს საბ-ჭოთა ხელისუფლებას, ჩვენ კი ვამბობთ: ამას ვერ შესძლებენ. რა თქმა უნდა, ჩვენი სასურსათო მდგომარეობა ადვილი არ არის; ჩვენ ვიცით — ახლოვდება კიდევ მეტი სიძნელეები, მაგრამ ჩვენ მაინც ვამბობთ: ჩვენი მდგომარეობა სრულებითაც არ არის ისე ცუდი, როგორც შარშან იყო; მაშინ, გაზაფხულზე, სასურსათო ნგრევის და ტრანსპორტის ნგრევის სიმძიმე კიდევ უფრო მრისხანე იყო.

1918 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ჩვენს სასურ-სათო ორგანოებს შეეძლოთ დაემზადებინათ მხოლოდ 28 მი-ლიონი ფუთი პური, წლის მეორე ნახევარში — 67 მილიონი. წლის პირველი ნახევარი ყოველთვის უფრო ძნელი და მში-ერია, და შარშანაც, როცა მთელი უკრაინა გერმანელების ხელ-ში იყო, როცა დონზე კრასნოვი გერმანელებისგან ათეული ვაგონობით სამხედრო საჭურველს იღებდა, როცა ჩეხოსლოვა-კებმა ხელში ჩაიგდეს ვოლგა, — სასურსაოო მდგომარეობა გაცილებით უფრო უარესი იყო.

ახლა რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას მიე-მატა სხვა რესპუბლიკები. ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკამ უკანასკნელ ხანებში განამტკიცა თავისი მდგომარეობა; იმ გერმანელ ჯარებში, რომლებიც ასე სწრაფად უტევდნენ, და-იწყო დაშლა, და გერმანელი ჯარისკაცები ლაპარაკობენ, რომ ბარონების ხელისუფლების აღსადგენად ჩვენ საომრად არ წა-ვალთო. უკრაინა კი, რომელიც მოკლე ხნით პეტლიურელებმა ჩაიგდეს ხელში, მთლად გაწმენდილია პეტლიურელებისაგან, და წითელი ჯარები ბესარაბიაზე მიდიან. ჩვენ ვიცით, რომ საბ-ჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა დღითი დღე, შეიძლება ითქვას, ყოველ საათობით მტკიცდება. თქვენ ყველამ იცით, რომ უნგრეთშიც საბჭოთა ხელისუფლებაა, რომ იქ შექმნილია საბჭოთა რესპუბლიკა, რომ ბურჟუაზია წავიდა, და მის მაგივრად ჩადგნენ მუშები, როცა გამოირკვა, რომ მო-კავშირეებს ქვეყნის გაძარცვა უნდოდათ.

ახლა, უკრაინის დაპყრობით და დონზე საბჭოთა ხელისუფ-ლების გამაგრებით, ჩვენი ძალა მტკიცდება. ჩვენ ახლა ვამბობთ,

რომ პურისა და სურსათის წყაროები, დონეცის აუზიდან სათბობის მიღების შესაძლებლობა ჩვენ გვაქვს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, თუმცა ახლოვდება ყველაზე ძნელი თვეები, როცა სასურსათო კრიზისი გამწვავებულია, როცა ჩვენი ტრანსპორტი გაცვეთილი და დანგრეულია, ჩვენ, მიუხედავად ამისა, ამ კრიზისს დავძლევთ. უკრაინაში მოიპოვება პურის უდიდესი მარაგი, ნაჭარბი, მისი ერთბაშად წამოღება ძნელია — იქ დღემდე პარტიზანობაა, იქ გლეხები დაშინებული არიან გერმანელების მხეცური პარპაშით და ეშინიათ მემამულეთა მიწების აღებისა. მშენებლობის პირველი ნაბიჯები უკრაინაში ძნელია, როგორც ეს ჩვენშიც იყო იმ პერიოდში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება სმოლნში იმყოფებოდა.

ჩვენ არა ნაკლებ სამი ათასი რკინიგზელი მუშა, ნაწილობრივ დამშეული ჩრდილოეთი რუსეთის გლეხები უნდა დავძრათ უკრაინისკენ. უკრაინის მთავრობამ უკვე გაატარა დეკრეტი პურის იმ რაოდენობის ზუსტად გაწერის შესახებ, რომელიც ახლავე შეიძლება ავიღოთ 100 მილიონი ფუთის რაოდენობით.

მიღებული ცნობებით, დონეცის აუზის ერთ-ერთ ოლქში აგრეთვე არის 1 მილიონი ფუთი პური რკინიგზიდან არა უმეტეს 10 ვერსის მანძილზე.

აი ის მარაგი, ის რესურსები, რომლებიც შარშან არ ყოფილა, რომლებიც ახლა არის. ეს გვიჩვენებს, რომ თუ მოკლე დროის განმავლობაში დავძაბავთ მთელ ძალებს, რამდენიმე თვის შემდეგ შეგვიძლია დავამთავროთ ომი. სამხრეთში ძალთა გადამწყვეტი სიჭარბე გვაქვს. მოკავშირეებმა — ფრანგებმა და ინგლისელებმა — წააგეს კამპანია, მათ გამოააშკარავეს, რომ იმ უმნიშვნელო ჯარებს, რომლებიც მათს განკარგულებაშია, ომის წარმოება საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ არ შეუძლიათ. სიცრუე, რომელსაც ისინი ავრცელებენ ჩვენს შესახებ, იფანტება; ზღაპრებს, ბოლშევიკებმა ძალით დაამხვეს მთავრობა და ძალმომრეობით სძლებენო, უკვე არავინ უჯერის, და ახლა ყველამ იცის, რომ საბჭოთა რესპუბლიკა დღითი დღე მტკიცდება.

ახლა თქვენ გიწვევთ, რადგან ეს მობილიზაცია წყვეტს ომის მთელ ბედს. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ეს მობილიზაცია საქმეს ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტს, და ის ზავი, რომელსაც ჩვენ ვთავაზობდით იმპერიალისტებს, ისინი იძულებული იქნებიან მოგვცენ, იმიტომ რომ დღითი დღე სუსტდებიან.

ამხანაგებო, აი რატომ გადაწყვიტა საბჭოთა ხელისუფლებამ დაძაბოს მთელი ძალები, მობილიზაცია გაუკეთოს უმთავრესად არასამიწათმოქმედო გუბერნიების მუშებსა და გლეხებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მობილიზაცია, ფრონტებზე სწრაფი მოძრაობისას, შესაძლებლობას მოგვცემს გავაუმჯობესოთ სასურსათო მდგომარეობაც იმით, რომ შეამცირებს მჭამელთა რიცხვს არასამიწათმოქმედო, ყველაზე უფრო დამშეულ გუბერნიებში, იმით, რომ ფრონტზე — ჩვენ კი ომს ვაწარმოებთ ყველაზე უფრო პურიან და მაძღარ ადგილებში — იქითკენ ათიათასობით დაძრული ადამიანები გამოკვების შესაძლებლობას მიიღებენ და საფოსტო ამანათების გაგზავნის გაძლიერებით მათ შესაძლებლობა მიეცემათ დაუყოვნებლივ დაეხმარონ შინ დარჩენილ ოჯახებს, დაეხმარონ არა ნაკლებ იმისა, ვიდრე წინათ ეხმარებოდნენ ფუთნახევრიანები, და უფრო მეტადაც.

ამ მობილიზაციასთან დაკავშირებულია ომის სწრაფად დამთავრების შესაძლებლობა, ამ მობილიზაციასთან დაკავშირებულია ჩვენი იმედები იმისა, რომ კოლჩაკის მოძრაობა შეჩერებული და საბოლოოდ მოტეხილი იქნება. ჩვენ არ გვინდა ხელი ვახლოთ ჩვენს ჯარებს, რომლებიც სამხრეთში გამარჯვებას ამთავრებენ კრასნოვის ბანდების ნარჩენებზე, რათა უზრუნველყონ თავისთვის ყველაზე პურიანი ადგილები. ჩვენ თითქმის მთელი დონის ოლქი ავიღეთ, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში პური კიდევ უფრო მეტია, იქ მარაგი კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია, და ამ მარაგს უზრუნველვყოფთ ჩვენთვის, თუ არ შევასუსტებთ სამხრეთის ფრონტს.

ამხანაგებო, ჩვენში, პირველად მსოფლიოში, წარმოებს ისეთი ომი, როცა მუშებსა და გლეხებს, რომლებმაც იციან,

გრძნობენ და ხედავენ, რომ ომის სიმძიმე განუზომელია და გამოსცადეს შიმშილის მთელი წამება იმ ქვეყანაში, რომელსაც, როგორც ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეს, იმპერიალისტები გარს ახვევიან, შეგნებული აქვთ, რომ ომს აწარმოებენ მიწისთვის, ფაბრიკებისა და ქარხნებისთვის. ვერასდროს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შვილებისთვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას. და ჩვენ, ამხანაგებო, დარწმუნებული ვართ, რომ ეს მობილიზაცია ჩატარდება შეუდარებლად უფრო კარგად, ვიდრე წინანდელი მობილიზაციები, რომ ის მხარის დაჭერას ჰპოვებს თქვენს წრეში, რომ გარდა იმ აგიტატორებისა, რომლებიც კრებებზე გამოდიან, თვითეული თქვენგანი და თვითეული თქვენი ნაცნობი თვითონ გადაიქცევა აგიტატორად, თვითონ მივა თავის ამხანაგებთან, ქარხნის მუშებთან და რკინიგზელებთან, და აუხსნის მათ გასაგებად, ნათლად, რატომ არის საჭირო ახლა მთელი ძალების დაძაბვა და რამდენიმე თვეში მტრის მოსპობა. თვითონ მასები აღსდგებიან, ყველანი აგიტატორებად გადაიქცევიან და შექმნიან ურყევ ძალას, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკას უზრუნველყოფს არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

«პრავდა» № 85, 1919 წ. 23 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა კოლჩაკთან ბრძოლის შესახებ მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების კონფერენციაზე 1919 წ. 17 აპრილს

საგაზეთო ანგარიში

ლენინი ბრწყინვალე სიტყვით მოუწოდებს მოსკოვის პროლეტარიატს უშუალო მონაწილეობა მიიღოს კოლჩაკთან ბრძოლაში. კოლჩაკის უკანასკნელი შემოტევა, ლენინის თქმით, უეჭველად მოწყობილია «შეთანხმების» იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ. — რომ სწორედ ანტანტა ხელმძღვანელობს მთელ თეთრგვარდიულ მოძრაობას განაპირა მხარეებში, ამას მოწმობს გუშინ ამხ. სტუჩკასაგან მიღებული დეპეშა: თურმე, გერმანელებმა კურლანდიაში შეაჩერეს შეტევა, მაგრამ მათთან მშვიდობიანი შეთანხმება ლატვიის საბჭოთა მთავრობისთვის შეუძლებელია იმიტომ, რომ საფრანგეთი, ინგლისი და ამერიკა გერმანელებისაგან მოითხოვენ, რომ ისინი დარჩნენ კურლანდიაში და განაგრძონ ომი; გენერლები მზად არიან დაემორჩილონ გამარჯვებულებს, მაგრამ ჯარისკაცები გადაჭრით უარს ამბობენ ბრძოლაზე. მოკავშირეთა უკანასკნელი ცდა ჩაიფუშა. სამხრეთში მოპოვებულმა გამარჯვებებმა ცხადყვეს, რომ მოკავშირეებს არა ჰყავთ ძალები ჩვენთან ომის საწარმოებლად, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, მათ დაჰკარგეს გავლენა თავიანთ სამხედრო ძალებზე. მოკავშირეთა ავანტიურა სამხრეთში დამთავრდა ძარცვის ფრიად სამარცხვინო აქტით ოდესიდან გაქცევისას. «განათლებულმა» მოკავშირეებმა, რომლებიც ჩვენ გვაბრალებდნენ ძარცვასა და ძალმომრეობას, ყოველგვარი უფლებისა და საფუძვლის გარეშე ოდესიდან

წაიყვანეს მთელი ჩვენი სავაჭრო ფლოტი, რითაც შიმშილის საფრთხე შეუქმნეს მშვიდობიან მოსახლეობას. ეს იყო შურისძიების აქტი იმპერიალიზმის ჩაშლილი გეგმების გამო. ჩვენ ლიკვიდაცია მოვახდინეთ სამხრეთის და ყირიმის ფრონტებისა და დონის ფრონტის ლიკვიდაციის წინ ვიმყოფებით. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ჩვენ 40 ვერსის მანძილზე ვართ ნოვოჩერკასკისაგან. ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

კოლჩაკის შემოტევა, წაქეზებული მოკავშირეების მიერ, მიზნად ისახავს მიიზიდოს ჩვენი ძალები სამხრეთის ფრონტიდან, რათა საშუალება მიეცეთ თეთრგვარდიელთა სამხრეთის რაზმების ნარჩენებს და პეტლურელებს სული მოითქვან, მაგრამ ამას ისინი ვერ შესძლებენ. სამხრეთის ფრონტიდან ჩვენ არც ერთ პოლკს, არც ერთ ასეულს არ გადავიყვანთ.

აღმოსავლეთის ფრონტისთვის ჩვენ შევკრებთ ახალ არმიებს, და ამისთვის გამოვაცხადეთ მობილიზაცია. ეს მობილიზაცია უკანასკნელი იქნება, ის საშუალებას მოგვცემს ბოლო მოვუღოთ კოლჩაკს, ე. ი. დავამთავროთ ომი, და ამჯერად ერთხელ და სამუდამოდ.

ახლა გამოცხადებული მობილიზაცია ეხება არასამიწათმოქმედო, მხოლოდ და მხოლოდ სამრეწველო გუბერნიებს. მობილიზაციის გეგმის შემუშავების დროს მხედველობაში იქნა მიღებული არა მარტო სამხედრო ინტერესები, არამედ მიწათმოქმედებისა და სურსათის ინტერესებიც. ჩვენ ხალხი მიგვყავს დამშეული გუბერნიებიდან და გადაგვყავს იგი პურიან ადგილებში. ეს მობილიზაცია მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს სასურსათო მდგომარეობას დედაქალაქებსა და ჩრდილოეთის გუბერნიებში. უფლებას ვანიჭებთ რა ყველა მობილიზებულს თვეში ორი სასურსათო ამანათი გაუგზავნონ თავიანთ ოჯახებს, ჩვენ საშუალებას ვაძლევთ მუშათა მოსახლეობას მიიღონ პური ფრონტზე წაყვანილი თავიანთი ნათესავებისგან. ფოსტის კომისრის ცნობით, სასურსათო ამანათები დიდად უწყობენ ხელს ქალაქების მომარაგებას; ერთი დღის განმავლობაში მოვიდა 37 ვაგონი სასურსათო ამანათები. ამ ღონისძიების შედე-

გები უეჭველად უფრო არსებითი, უფრო საგრძნობი იქნება, ვიდრე «ფუთნახევრიანებთან» შარშანდელი ცდის შედეგები.

მობილიზაცია მოფიქრებული და დამუშავებულია სწორად, მაგრამ იმისთვის, რომ ის წარმატებით მოხდეს, ის არ უნდა განხორციელდეს ბიუროკრატიული წესებით. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მობილიზაცია გადამწყვეტ როლს ასრულებს, და საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა მის განსახორციელებლად. თვითეულმა შეგნებულმა მუშამ, თვითეულმა შეგნებულმა მუშა-ქალმა უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს მასში. არ კმარა კრებები და მიტინგები, საჭიროა პირადი აგიტაცია, საჭიროა მობილიზებულთა ჩამოვლა, საჭიროა თვითეულს ცალ-ცალკე ჩავაგონოთ, რომ ომის დამთავრება დამოკიდებულია მის სიმამაცეზე, გამბედაობასა და თავდადებაზე.

პროლეტარული რევოლუცია ედება მსოფლიოს ყველა ქვეყანას; თუ მოკავშირეებმა ფაქტიურად უარი თქვეს რუსეთის საქმეში აშკარა სამხედრო ჩარევაზე, ეს იმიტომ, რომ მათ ვერ დაუმორჩილებიათ თავიანთი არმიები, რომლებმაც ინსტინქტურად იგრძნეს რუსეთის რევოლუცია. მათ ეშინიათ თავიანთი ჯარისკაცებისა და მუშებისა, ისინი იცავენ მათ რუსეთის რევოლუციის გავლენისაგან. უკანასკნელ ხანებში «შეთანხმების» ქვეყნებში საგაზეთო ცნობებსაც კი არ უშვებენ ბოლშევიზმის წარმატებათა შესახებ. იტალიაში შექმნილია ბარიერი, რომელსაც ვერ გადალახავს რუსეთიდან გაგზავნილი კერძო წერილებიც კი. ლენინი იტყობინება, რომ ამ დღეებში მან მიიღო წერილი ცნობილი იტალიელი სოციალისტის მორგარისაგან, რომელიც ციმერვალდის კონფერენციაზე მეტად ზომიერი იყო. ეს წერილი გამოიგზავნა საიდუმლოდ, დაწერილია ქაღალდის პატარ-პატარა ნაგლეჯებზე ისე, როგორც ხდებოდა მეფის დროს პარტიულ მიწერ-მოწერაში. ამ კონსპირაციულ წერილში მორგარი წერს: «იტალიის პარტიის სახელით უმხურვალეს სალამს ვუძღვნი რუს ამხანაგებს და საბჭოთა ხელისუფლებას». (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.) უნგრეთში, როგორც ვიცით, ბურჟუაზიული მთავრობა ნებაყოფლობით გადადგა, ნებაყოფლობით გაათავისუფლა საპყრობილიდან ბელა კუნი,

უნგრეთის კომუნისტი-ოფიცერი, რომელიც ტყვედ იყო რუსეთში და აქტიურად იბრძოდა რუსი კომუნისტების რიგებში, მონაწილეობას იღებდა მემარცხენე ესერთა აჯანყების ჩაქრობაში გასული წლის ივლისში. ეს უნგრელი ბოლშევიკი, რომელსაც სდევნიდნენ, ცილს სწამებდნენ და აბუჩად იგდებდნენ, ახლა უნგრეთის საბჭოთა მთავრობის ფაქტიური ხელმძღვანელია. რუსეთთან შედარებით, უნგრეთი პატარა ქვეყანაა, მაგრამ უნგრეთის რევოლუცია, ალბათ, მეტ როლს შეასრულებს ისტორიაში, ვიდრე რუსეთის რევოლუცია. ამ კულტურულ ქვეყანაში ითვალისწინებენ რუსეთის რევოლუციის მთელ გამოცდილებას, მტკიცედ ტარდება სოციალიზაცია და, უფრო მომზადებული ნიადაგის წყალობით, უფრო გეგმაშეზომილად და უფრო წარმატებით შენდება სოციალიზმის შენობა.

და აი ასეთ მომენტში, როცა ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმის საქმე სამუდამოდ წაგებულია, ჩვენ გვემუქრება საფრთხე აღმოსავლეთიდან, კოლჩაკის გამძვინვარებულ და სასოწარკვეთილ თეთრგვარდიელთა ბანდების მხრივ. ამას ბოლო უნდა მოვუღოთ. კოლჩაკის განადგურებით ჩვენ სამუდამოდ ვამთავრებთ ომს. საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა, უკლებლივ მთელი შეგნებული პროლეტარიატის მონაწილეობის მიღება მობილიზაციაში. შეგნებული მუშისა და მუშა-ქალის ყოველი თავისუფალი დღე, ყოველი თავისუფალი საათი უნდა მოხმარდეს პირად აგიტაციას. ეს დაძაბვა ჩვენ გვესაჭიროება არა დიდხანს, არამედ რამდენიმე თვით, შესაძლოა, რამდენიმე კვირით, და ეს იქნება უკანასკნელი და საბოლოო დაძაბვა, ვინაიდან ჩვენი გამარჯვება უეჭველია.

სრ. რუს. ცაკ-ის «იზვესტია» № 84,
1919 წ. 18 აპრილი

იბეჭდება სრ. რუს. ცაკ-ის
გაზეთის «იზვესტიის»
ტექსტის მიხედვით

სიტყვა კომუნისტ-მოსწავლეთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1919 წ. 17 აპრილს [50]

ძალიან მოხარული ვარ მოგესალმოთ. არ ვიცი, რამდენი გუბერნიაა აქ წარმოდგენილი და საიდანა ხართ ჩამოსულნი. საყურადღებო ის არის, რომ ახალგაზრდობა, კომუნისტური ახალგაზრდობა ირაზმება. საყურადღებო ის არის, რომ ახალგაზრდობა იკრიბება, რათა ახალი სკოლის შენება ისწავლოს. ახლა თქვენს წინაშე ახალი სკოლაა. ძველი, ათვალწუნებული, სახაზინო, საძულველი და თქვენთან დაუკავშირებელი სკოლა უკვე აღარ არის. მუშაობა ჩვენ მიერ ძალიან დიდი ხნისთვისაა ნავარაუდევი. მომავალი საზოგადოება, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, საზოგადოება, რომელშიც მარტოოდენ მუშაკები უნდა იყვნენ; საზოგადოება, რომელშიც არავითარი განსხვავება არ უნდა იყოს, — ეს საზოგადოება დიდხანს უნდა ვაშენოთ. ამჟამად ჩვენ მომავალ საზოგადოებას მხოლოდ საძირკველს ვუყრით, ხოლო შენება თქვენ მოგიხდებათ, როცა დავაჟკაცდებით. ახლა კი იმუშავეთ თქვენი ძალ-ღონის მიხედვით, ხელს ნუ მოჰკიდებთ ისეთ სამუშაოს, რაც თქვენს ძალ-ღონეს აღემატება, იმუშავეთ უფროსების ხელმძღვანელობით. ერთხელ კიდევ მივესალმები ყრილობას და გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას თქვენს საქმეში.

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

მისალმება
ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკას

გმადლობთ მოსალმებისათვის და ჩვენი მხრივ სულით და გულით მივესალმებით საბჭოთა რესპუბლიკას ბავარიაში. ძალიან გთხოვთ გვაცნობოთ ხშირად და კონკრეტულად — რა ღონისძიებები გაატარეთ ბურჟუაზიულ ჯალათებთან — შეიდეგმანებთან და კომპანიასთან საბრძოლველად, შექმენით თუ არა მუშათა და შინამოსამსახურეთა საბჭოები ქალაქის უბნების მიხედვით, შეაიარაღეთ თუ არა მუშები, განაიარაღეთ თუ არა ბურჟუაზია, გამოიყენეთ თუ არა ტანსაცმლისა და სხვა პროდუქტების საწყობები დაუყოვნებლივი და ფართო დახმარების აღმოსაჩენად მუშებისთვის, განსაკუთრებით კი მოჯამაგირეებისა და წვრილი გლეხებისთვის, ექსპროპრიაცია გაუკეთეთ თუ არა ფაბრიკებსა და კაპიტალისტების სიმდიდრეებს მიუნხენში, აგრეთვე კაპიტალისტურ სამიწათმოქმედო მეურნეობებს მის მიდამოებში, გააუქმეთ თუ არა ჰიპოტეკები და საიჯარო გადასახადი წვრილი გლეხებისთვის, გააორკეცეთ თუ გაასამკეცეთ მოჯამაგირეებისა და შავი მუშების ხელფასი, კონფისკაცია გაუკეთეთ თუ არა მთელ ქაღალდს და ყველა სტამბას მასებისთვის პოპულარული ფურცლებისა და გაზეთების დასაბეჭდად, შემოიღეთ თუ არა 6-საათიანი სამუშაო დღე ორ ან სამსაათიანი მეცადინეობით სახელმწიფოს მართვაგამგეობაში, შეამჭიდროვეთ თუ არა ბურჟუაზია მიუნხენში მუშების დაუყოვნებლივ ჩასასახლებლად მდიდრების ბინებში, ხელში აიღეთ თუ არა ყველა ბანკი, აიყვანეთ თუ არა

მძევლები ბურჟუაზიიდან, შემოიღეთ თუ არა უფრო მაღალი სასურსათო ულუფა მუშებისთვის, ვიდრე ბურჟუაზიისთვის, მოახდინეთ თუ არა მუშების საყოველთაო მობილიზაცია როგორც თავდაცვისათვის, ისე იდეური პროპაგანდისათვის გარეშემო სოფლებში? ასეთი და მსგავსი ზომების ფრიად სასწრაფოდ და ფართოდ გატარებამ მუშათა, მოჯამაგირეთა და მათგან ცალკე წვრილ გლეხთა საბჭოების თვითმოქმედებასთან ერთად უნდა განამტკიცოს თქვენი მდგომარეობა. აუცილებელია ბურჟუაზიის დაბეგვრა საგანგებო გადასახადით და ერთბაშად და რადაც უნდა დაჯდეს ფაქტიურად გაუმჯობესება მუშების, მოჯამაგირეებისა და წვრილი გლეხების მდგომარეობისა.

გიძღვნით დიდ სალამს და გისურვებთ წარმატებას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 27 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1930 წ.
22 აპრილს გაზეთში «პრავდა» № 111

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

დეკეშა უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს

ეკატერინოსლაველი ესერების რეზოლუცია ცხადყოფს, რომ ისინი არამზადები, კულაკების დამცველები არიან. საჭიროა გაზეთებში გააჩაღოთ დევნა მათ წინააღმდეგ კულაკების დაცვისა და ლოზუნგის გამო — წინააღმდეგობა გავუწიოთ ცენტრალიზაციას, — მოითხოვოთ მათგან კულაკების მხილება და გლეხების მიერ პურის თავისუფალი გაყიდვის წინააღმდეგ ბრძოლა. მთავრობაში მათ ხელ-ფეხი უნდა შეუბოჭოთ ფრიად ზუსტი დირექტივებით, უსასტიკესი მეთვალყურეობა უნდა გაუწიოთ და მთავრობის ხაზიდან მცირედი გადახვევისათვის სასურსათო, კოოპერაციულ, ფინანსურ საკითხებში და რუსეთთან უმჭიდროესი დაახლოების საკითხში მოამზადოთ მათი სამარცხვინო განდევნა. ხშირ-ხშირად მომაწოდეთ ინფორმაცია.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ.
აპრილის დამლევს.

იბეჭდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სამი სიტყვა წითელ მოედანზე 1919 წ. 1 მაისს

საქრონიკო ჩანაწერები

1

(ლენინის გამოჩენა დემონსტრანტებს შორის იწვევს ხანგრძლივ დაუცხრომელ ტაშს.) მოსკოვისა და მსოფლიო პროლეტარიატისადმი მისალმების შემდეგ ლენინს პარალელი გაჰყავს შარშანდელ საპირველმაისო დღესასწაულებსა და ახლანდელს შორის. ამ წლის განმავლობაში პოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. გასული წლის 1 მაისს ჩვენ ვიდექით გერმანიის იმპერიალიზმის საშიშროების წინაშე. ახლა ის მოტეხილი და გაცამტვერებულია.

პროლეტარული დღის დღესასწაულის სურათი მარტო ჩვენში როდი შეცვლილა. ყველა ქვეყანაში მუშები დაადგნენ იმპერიალიზმთან ბრძოლის გზას. განთავისუფლებული მუშათა კლასი ძლევამოსილი იხდის თავის დღესასწაულს თავისუფლად და აშკარად არა მარტო საბჭოთა რუსეთში, არამედ საბჭოთა უნგრეთშიც და საბჭოთა ბავარიაშიც. ამასთანავე დღეს დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო წითელ მოსკოვში, წითელ პეტროგრადსა და ბუდაპეშტში, არამედ ყველა დიდ პროლეტარულ ცენტრში მუშები, რომლებიც სასეირნოდ კი არა, თავიანთი ძალების სადემონსტრაციოდ გამოსულან, ლაპარაკობენ საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობასა და პროლეტარიატის მოახლოებულ გამარჯვებაზე.

გადადის რა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის საშიშროებაზე, ლენინი ამბობს, რომ თუ ინგლის-საფრანგეთის

იმპერიალიზმი იძულებული იყო ბრძოლის ასპარეზი დაეთმო უკრაინაში, სადაც აჯანყებულთა მცირე რაზმები მოქმედებდნენ, გაერთიანებული საბჭოთა რუსეთის, უნგრეთისა და ბავარიის ძალებს ის სრულებითაც ვეღარ გაუძლებს. ოდესისა და ყირიმის დატოვება ცხადყოფს, რომ ინგლის-საფრანგეთის ჯარისკაცებს არა სურთ ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, და ეს არის ჩვენი გამარჯვების საწინდარი.

ლენინი აქვეყნებს ამხ. კამენევისგან მიღებულ დეპეშას იმის შესახებ, რომ სევასტოპოლი სავსებით გაწმენდილია ფრანგთა რაზმებისგანო. ამრიგად, ამბობს ის, დღეს განთავისუფლებულ სევასტოპოლში ფრიალებს წითელი დროშა პროლეტარიატისა, რომელიც დღესასწაულობს იმპერიალისტური ბანდებისაგან განთავისუფლების დღეს. (ხანგრძლივი ტაში. დაუცხრომელი «ვაშა».)

ლენინი ჩერდება კოლჩაკის საშიშროებაზე და ამბობს, რომ ფრონტიდან მიღებული უკანასკნელი ცნობები შესაძლებლობას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ კოლჩაკზე გამარჯვება სულ ახლოსაა. ფრონტზე მიდიან ათიათასობით და ასიათასობით მებრძოლნი, რომლებიც საბოლოოდ გაანადგურებენ კოლჩაკის ბანდებს.

დასასრულ ლენინი გამოთქვამს მთელ მსოფლიოში საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვების რწმენას და ამბობს: «გაუმარჯოს საბჭოების საერთაშორისო რესპუბლიკას! გაუმარჯოს კომუნიზმს!».

სრ. რუს. ცაკ-ის «იზვესტია» № 93,
1919 წ. 3 მაისი

იბეჭდება სრ. რუს. ცაკ-ის
გაზეთის «იზვესტიის»
ტექსტის მიხედვით

2

დამსწრეთა უმეტესობა, — ამბობს ლენინი, — რომელიც 30 — 35 წლის ასაკს არ გადასცილებია, მოესწრება კომუნიზმის აყვავებას, რომლისგანაც ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ.

მიუთითებს რა ბავშვებზე, ლენინი ამბობს, რომ ისინი, რომლებიც ახლა შრომის განთავისუფლების დღესასწაულში იღებენ მონაწილეობას, სრულად ისარგებლებენ რევოლუციონერთა მიერ გაწეული შრომისა და მსხვერპლის ნაყოფით.

— ჩვენს შვილიშვილებს უცნაურ რამედ მოეჩვენებათ კაპიტალისტური წყობილების ეპოქის დოკუმენტები და ძეგლები. ისინი ძლივს წარმოიდგენენ, თუ როგორ შეიძლებოდა კერძო პირის ხელში ყოფილიყო პირველი საჭიროების საგნების ვაჭრობა, როგორ შეიძლებოდა ფაბრიკები და ქარხნები ცალკეულ პირებს ჰქონოდათ საკუთრებად, როგორ შეეძლო ერთ კაცს მეორის ექსპლოატირება, როგორ შეიძლებოდა არსებულიყვნენ ადამიანები, რომლებიც არ შრომობდნენ. დღემდე, როგორც ზღაპარზე, ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რასაც ჩვენი ბავშვები იხილავენ, მაგრამ ახლა, ამხანაგებო, თქვენ ნათლად ხედავთ, რომ სოციალისტური საზოგადოების შენობა, რომელსაც ჩვენ ჩავუყარეთ საძირკველი — უტოპია როდია. კიდევ უფრო გულმოდგინედ შეუდგებიან ამ შენობის აგებას ჩვენი შვილები. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

დაიბეჭდა 1919 წ. 2 მაისს
მოსკოვის საბჭოს გაზეთში
«ვეჩერნიე იზვესტია» № 230

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით

3

სიტყვა «ლოგნოე მესტოდან» სტეფან რაზინის ძეგლის გახსნაზე

(მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.) დღეს ჩვენ, ამხანაგებო, ვდღესასწაულობთ 1 მაისს მთელი მსოფლიოს პროლეტარებთან ერთად, რომლებსაც სწყურიათ კაპიტალის დამხობა. ეს «ლობნოე მესტო» მოგვაგონებს, თუ რამდენ საუკუნეებს წვალობდნენ და საშინლად იტანჯებოდნენ მშრომელი მასები მჩაგვრელთა უღლის ქვეშ, ვინაიდან კაპიტალის ბატონობა არასდროს არ არსებულა ისე, თუ არ ძალმომრეობითა და დამამცირებელი საქციელით, რაც წარსულშიც კი აღშფოთებას იწვევდა. ეს ძეგლი წარმოადგენს აჯანყებული გლეხობის ერთ-ერთ წარმომადგენელს. ამ ადგილას დასდო მან თავი თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ბევრი მსხვერპლი გაიღეს რუსეთის რევოლუციონერებმა კაპიტალთან ბრძოლაში. იღუპებოდნენ პროლეტარიატისა და გლეხობის საუკეთესო ადამიანები, თავისუფლებისათვის მებრძოლნი, მაგრამ არა იმ თავისუფლებისათვის, რომელსაც კაპიტალი გვთავაზობს, — ბანკების, კერძო ფაბრიკებისა და ქარხნების, სპეკულაციის თავისუფლებისთვის. ძირს ასეთი თავისუფლება, — ჩვენ გვინდა ნამდვილი თავისუფლება, რომელიც მაშინ არის შესაძლებელი, როცა საზოგადოების წევრებად იქნებიან მხოლოდ მუშაკები. ბევრი შრომის, ბევრი მსხვერპლის გაღება მოგვიხდება ასეთი თავისუფლებისთვის. და ჩვენ ძალ-ღონეს არ დავზოგავთ ამ დიადი მიზნისთვის, სოციალიზმის განხორციელებისთვის. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

დაიბეჭდა 1919 წ. 2 მაისს
მოსკოვის საბჭოს გაზეთში
«ვეჩერნიე იზვესტია» № 230

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

სკოლისგარეშე განათლების სრულიად რუსეთის I ყრილობა

1919 წ. 6 — 19 მაისს

დაიბეჭდა 1919 წელს ბროშურაში:
ნ. ლენინი. «ორი სიტყვა
სკოლისგარეშე განათლების სრულიად
რუსეთის I ყრილობაზე», მოსკოვი

იბეჭდება ბროშურის ტექსტის
მიხედვით

1

მისასალმებელი სიტყვა
6 მაისი

ამხანაგებო, ძალიან მოხარული ვარ მივესალმო სკოლისგარეშე განათლების მუშაკთა ყრილობას. რა თქმა უნდა, თქვენ ჩემგან არ მოელით ისეთი სიტყვის წარმოთქმას, რომ იგი შეიცავდეს საქმის არსებით მხარეს, როგორიც წარმოსთქვა საკითხს გაცნობილმა წინა ორატორმა, ამხ. ლუნაჩარსკიმ, რომელიც სპეციალურად მუშაობს ამ საკითხზე. ნება მიბოძეთ დავკმაყოფილდე მხოლოდ მისალმების რამდენიმე სიტყვით და მცირეოდენი დაკვირვებებისა და ფიქრების გაზიარებით, რომლებიც მებადებოდა, როცა სახალხო კომისართა საბჭოში რამდენადმე ახლოს ვეხებოდით თქვენს უშუალო მუშაობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ძნელია მოიძებნოს საბჭოთა მუშაობის ისეთი სფერო, როგორიცაა სკოლისგარეშე სწავლა-განათლება, სადაც ერთ-ნახევარი წლის განმავლობაში მიღწეული ყოფილიყოს ესოდენ დიდი წარმატებები. ეჭვი არ არის, რომ ამ სფეროში მუშაობა ჩვენთვისაც და თქვენთვისაც უფრო ადვილი იყო, ვიდრე სხვა სფეროებში. აქ ჩვენ გვიხდებოდა უკუგვეგდო ძველი ტიხრები და ძველი დაბრკოლებები. აქ უფრო ადვილი იყო დახმარების გაწევა ცოდნის, თავისუფალი განათლების, თავისუფალი განვითარების უდიდესი მოთხოვნილებისთვის, რამაც ყველაზე მეტად იჩინა თავი მუშათა და გლეხთა მასებში, ვინაიდან თუ ჩვენთვის ადვილი იყო, მასების მძლავრი მოწოლის გამო, იმ გარეგანი დაბრკოლებების უკუგდება, რომლებიც მათ გზაზე ეღობებოდა, დამსხვრევა

ისტორიული ბურჟუზიული დაწესებულებებისა, რომლებითაც მიბმული ვიყავით იმპერიალისტურ ომზე და რომლებიც რუსეთს უმზადებდნენ ამ ომიდან გამომდინარე უაღრესად დიდ ტვირთს, Lთუ ჩვენთვის ადვილი იყო გარეგანი დაბრკოლებების დანგრევა, სამაგიეროდ ჩვენ მოგვიხდა მით უფრო მეტი სიმწვავით გვეგრძნო მუშაობის მთელი სიმძიმე მასების ხელახალი აღზრდის საქმეში, ორგანიზებისა და სწავლების საქმეში, ცოდნათა გავრცელების საქმეში, სიბნელისა და უკულტურობის, სიმხეცისა და გაველურების იმ მემკვიდრეობასთან ბრძოლის საქმეში, რომელიც ჩვენ გვერგო. აქ ბრძოლის წარმოება გვიხდებოდა სულ სხვა მეთოდებით. აქ იმედის დამყარება გვიხდებოდა მხოლოდ ხანგრძლივ წარმატებაზე და მოსახლეობის მოწინავე ფენების შეუპოვარ სისტემატურ ზეგავლენაზე, რომელსაც მასები დიდი გულთბილობით ხვდებიან, და ჩვენ ხშირად დამნაშავე ვართ იმაში, რომ უფრო ნაკლებს ვიძლევით, ვიდრე შეგვიძლია მივცეთ. მე ვფიქრობ, რომ ამ პირველ ნაბიჯებში, სკოლისგარეშე განათლების გავრცელების საქმეში, თავისუფალი, ძველ ფარგლებსა და პირობითობასთან დაუკავშირებელი განათლების საქმეში, რომელსაც ხალისით ეკიდება მოზრდილი მოსახლეობა, რომ ამ სფეროში პირველ ხანებში ყველაზე მეტად ბრძოლა გვიხდებოდა ორგვარ დაბრკოლებასთან. ორივე დაბრკოლება ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ ძველი, კაპიტალისტური საზოგადოებისაგან, რომელიც დღემდე გვებღაუჭება, ქვევით გვეზიდება ათასი და მილიონი ძაფით, თოკითა და ჯაჭვით.

პირველი ნაკლია — იმ ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან გამოსულთა სიმრავლე, რომელიც გლეხებისა და მუშების ახლებურად შექმნილ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ყოველთვის უყურებდა როგორც მეტად ხელსაყრელ ასპარეზს თავისი პირადი ნათხზავისათვის ფილოსოფიის ან კულტურის სფეროში, როცა ძალიან ხშირად სულ უაზრო მანჭიობა საღდებოდა რაღაც ახალ რამედ და წმინდა პროლეტარული ხელოვნებისა და პროლეტარული კულტურის სახით

გვთავაზობდნენ რაღაც ზებუნებრივსა და უაზროს [51]. (ტ ა შ ი.) მაგრამ პირველ ხანებში ეს ბუნებრივი იყო და შესაძლოა საპატიებელიც ყოფილიყო, და ეს არ შეიძლება დანაშაულად ჩავუთვალოთ ფართო მოძრაობას, და მეც ვიმედოვნებ, რომ ჩვენ მაინც, ბოლოს და ბოლოს, ამას თავს ვაღწევთ და კიდევაც დავაღწევთ თავს.

მეორე ნაკლი — ესეც კაპიტალიზმის მემკვიდრეობაა. წვრილბურჟუაზიულ მშრომელთა ფართო მასებს, რომლებიც ცოდნისაკენ მიისწრაფოდნენ, ამსხვრევდნენ ძველს, არაფერი მაორგანიზებელი, არაფერი ორგანიზებული არ შეეძლოთ შეეტანათ. მე საქმეს ვაკვირდებოდი, როცა სახალხო კომისართა საბჭოში ისმებოდა საკითხი წერა-კითხვის მცოდნეთა მობილიზაციისა და საბიბლიოთეკო განყოფილების შესახებ, და ამ მცირე დაკვირვებებიდან მე ვაკეთებდი დასკვნებს იმის შესახებ, თუ რა ცუდადაა საქმე ამ მხრივ. რა თქმა უნდა, მისასალმებელ სიტყვებში არცთუ ძალიან მიღებულია ლაპარაკი ცუდ რამეზე. მე იმედი მაქვს, რომ თქვენ ამ პირობითობისგან თავისუფალი იქნებით და არ დამემდურებით, თუ გაგიზიარებთ ამ ჩემს რამდენადმე სამწუხარო დაკვირვებებს. როცა ჩვენ ვაყენებდით წერა-კითხვის მცოდნეთა მობილიზაციის საკითხს, ყველაზე მეტად თვალში გვეცემოდა ის, რომ ჩვენში რევოლუციამ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ისე, რომ ერთბაშად არ გამოსულა ბურჟუაზიული რევოლუციის ფარგლებიდან. იგი განვითარების თავისუფლებას ანიჭებდა არსებულ ძალებს და ამ არსებულ ძალებს — წვრილბურჟუაზიულ ძალებს, ისევ ის ლოზუნგი აქვთ — «თვითეული თავისთვის, ღმერთი კი ყველასთვის», იგივე წყეული კაპიტალისტური ლოზუნგი, რომელსაც არასდროს სხვა არაფერი მოუცია, გარდა კოლჩაკისა და ძველი ბურჟუაზიული რესტავრაციისა. როცა გადახედავ, თუ რა ხდება ჩვენში წერა-კითხვის უცოდინართა სწავლების სფეროში, ამ მხრივ მე ვფიქრობ, ძალიან ცოტაა გაკეთებული, და აქ ჩვენი საერთო ამოცანაა— გავიგოთ, რომ აუცილებელია პროლეტარული ელემენტების ორგანიზებულობა. საქმე იმ სასაცილო ფრაზებში როდია,

რომლებიც ქაღალდზე რჩება, არამედ იმ საარსებო ღონისძიებებში, რომლებიც საჭიროა მივცეთ ხალხს ამჟამად, და რომლებიც ყოველ წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს აიძულებს თავის მოვალეობად მიიჩნიოს რამდენიმე წერა-კითხვის უცოდინარის სწავლება. ეს ჩვენს დეკრეტში გამოცხადებულია [52]. მაგრამ ამ სფეროში თითქმის არაფერია გაკეთებული.

როდესაც სახალხო კომისართა საბჭოში ვხვდებოდი მეორე საკითხს, საბიბლიოთეკო საკითხს, მე ვამბობდი: ის ჩივილი, რომელიც მუდმივ ისმოდა — დამნაშავეა ჩვენი საწარმოო ჩამორჩენილობა, ჩვენ ცოტა წიგნები გვაქვს და არ შეგვიძლია მათი საკმაო რაოდენობით წარმოება, — მე ჩემთვის ვამბობ — ეს მართალია. რა თქმა უნდა, ჩვენ სათბობი არა გვაქვს, ფაბრიკები დგას, ქაღალდი ცოტაა, და წიგნებსაც ვერ მივიღებთ. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ გარდა ამისა სწორია ისიც, რომ ჩვენ ვერ ვიღებთ იმ წიგნს, რომელიც გვაქვს. ამ მხრივ ჩვენ კიდევ დაგვრჩენია გლეხური გულუბრყვილობა და გლეხური უმწეობა, როცა გლეხი, რომელმაც ბატონის ბიბლიოთეკა გაძარცვა, გარბოდა შინ და ეშინოდა, რომ ის როგორმე ვინმეს არ წაერთმია მისთვის, რადგან ის აზრი, რომ შესაძლებელია სწორი განაწილება, რომ ხაზინა რაღაც საძულველი რამ არ არის, რომ ხაზინა ეს არის მუშებისა და მშრომელთა საერთო კუთვნილება, ეს შეგნება მას ჯერ კიდევ ვერ ექნებოდა. გლეხთა განუვითარებელ მასას ამაში ბრალი არ მიუძღვის, და რევოლუციის განვითარების თვალსაზრისითაც ეს სავსებით კანონიერია, — ეს გარდუვალი სტადიაა, და, როდესაც გლეხს შინ მიჰქონდა ბიბლიოთეკა და სხვებისგან საიდუმლოდ ინახავდა, მას არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო, რადგან მას არ ესმოდა, რომ შეიძლება რუსეთის ბიბლიოთეკების ერთად შეერთება, რომ წიგნები საკმარისი იქნება იმისთვის, რომ წერა-კითხვის მცოდნეს წყურვილი მოვუკლათ და უცოდინარსაც ვასწავლოთ. ამჟამად საჭიროა ვებრძოლოთ დეზორგანიზაციის ნაშთებს, ქაოსს, სასაცილო საუწყებო დავას. ეს უნდა შეადგენდეს ჩვენს მთავარ ამოცანას. ჩვენ ხელი უნდა მოვკიდოთ წერა-კითხვის მცოდნეთა

მობილიზაციის და უცოდინარობასთან ბრძოლის მარტივ და საარსებო საქმეს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის წიგნები, რომლებიც გვაქვს, და შევუდგეთ ბიბლიოთეკების ორგანიზებული ქსელის შექმნას, ბიბლიოთეკებისა, რომლებიც დახმარებას გაუწევდნენ ხალხს გამოეყენებინა ყოველი წიგნი, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, არ უნდა შევქმნათ პარალელური ორგანიზაციები, არამედ უნდა შევქმნათ ერთიანი გეგმაზომიერი ორგანიზაცია. ამ პატარა საქმეში ისახება ჩვენი რევოლუციის ძირითადი ამოცანა. თუ ის ამ ამოცანას ვერ გადაწყვეტს, თუ ის რუსული უთავბოლო ქაოსისა და შეუსაბამობის ნაცვლად ვერ დაადგება ნამდვილად გეგმაზომიერი ერთიანი ორგანიზაციის შექმნის გზას — მაშინ ეს რევოლუცია დარჩება ბურჟუაზიულ რევოლუციად, რადგან კომუნიზმისაკენ მიმავალი პროლეტარული რევოლუციის ძირითადი თავისებურება სწორედ ამაში მდგომარეობს, ბურჟუაზიისთვის კი საკმარისი იყო ძველის დამსხვრევა და თავისუფლების მინიჭება გლეხური მეურნეობისთვის, რომელიც, როგორც ძველი დროის ყველა რევოლუციაშიც, იმავე კაპიტალიზმს აღადგენდა.

თუ ჩვენ კომუნისტების პარტია გვქვია, უნდა გავიგოთ, რომ მხოლოდ ახლა, როდესაც ბოლო მოვუღეთ გარეგან დაბრკოლებებს, დავამსხვრიეთ ძველი დაწესებულებები, ჩვენს წინაშე პირველად ნამდვილი სახით და მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ნამდვილი პროლეტარული რევოლუციის პირველი ამოცანა, — ათეული და ასეული მილიონობით ადამიანის დარაზმვა. ამ სფეროში წლინახევრის გამოცდილების შემდეგ, რომელიც ყველა ჩვენგანმა განვლო, ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, უნდა დავადგეთ სწორ გზას, რომელიც დაამარცხებს იმ უკულტურობას და იმ სიბნელესა და სიველურეს, რაც ჩვენ მუდმივ ზიანს გვაყენებდა. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

2

სიტყვა ხალხის მოტყუების შესახებ თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით 19 მაისს

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მიმდინარე მომენტის შეფასების ნაცვლად, რომელსაც, მგონი, ზოგიერთი თქვენგანი მოელოდა დღეს, პასუხი გავცე ყველაზე უფრო არსებითს პოლიტიკურ საკითხებზე, რა თქმა უნდა, არა მარტო თეორიულს, არამედ პრაქტიკულ საკითხებზედაც, რომლებიც ამჟამად ჩვენს წინაშე დგება, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა რევოლუციის მთელ ეტაპს და რომლებიც ყველაზე მეტ დავას, ყველაზე მეტ თავდასხმას იწვევენ იმ ადამიანების მხრივ, რომლებიც სოციალისტებად თვლიან თავს, ყველაზე მეტ გაკვირვებას იწვევენ იმ ადამიანების მხრივ, რომლებიც დემოკრატებად თვლიან თავს და განსაკუთრებული სიამოვნებითა და განსაკუთრებით ფართოდ ავრცელებენ ბრალდებას ჩვენს წინააღმდეგ ჩვენს მიერ დემოკრატიზმის დარღვევის გამო. მე ვფიქრობ, რომ ეს ზოგადი პოლიტიკური საკითხები ძალიან ხშირად, თითქმის მუდამ გვხვდება მთელს ახლანდელ პროპაგანდაში, აგიტაციაში, ბოლშევიზმისადმი მტრულად განწყობილ მთელ ლიტერატურაში, — თუ, რა თქმა უნდა, ეს ლიტერატურა ოდნავ მაინც მაღლა დგას უბრალო სიცრუეზე, ცილისწამებასა და ლანძღვა-გინებაზე, რა ხასიათიც მუდამ აქვს მას ბურჟუაზიის ყველა ორგანოში. თუ ავიღებთ ამაზე ოდნავ მაღლა მდგომ ლიტერატურას, მე ვფიქრობ, რომ ძირითადი საკითხები დიქტატურისადმი დემოკრატიის დამოკიდებულების შესახებ, რევოლუციურ პერიოდში რევოლუციური

კლასის ამოცანების შესახებ, საერთოდ სოციალიზმზე გადასვლის ამოცანების შესახებ, მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობის შესახებ, მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხები შეადგენენ ყველა თანამედროვე პოლიტიკური კამათის უაღრესად არსებითს საფუძველს და მათი გარკვევა, თუმცა, შესაძლოა, ზოგჯერ კიდევაც მოგეჩვენოთ, რომ ეს რამდენადმე შორდება უშუალო დღიურ ჭირ-ვარამს, — მათი გარკვევა, მე ვფიქრობ, მაინც უნდა შეადგენდეს ჩვენს საერთო მთავარ ამოცანას. რა თქმა უნდა, მოკლე რეფერატში მე არავითარ შემთხვევაში არ შემიძლია დავიჩემო, რომ ყველა ამ საკითხს გავაშუქებ. მე შევარჩიე ზოგიერთი მათგანი და მინდა ზოგიერთ ამ საკითხზე გესაუბროთ.

I

ჩემს მიერ დასახული საკითხებიდან პირველი საკითხია ყოველი რევოლუციის სიძნელეების, ახალ წყობილებაზე ყოველი გადასვლის საკითხი. თუ თქვენ დაუკვირდებით იმ თავდასხმებს, რაც ბოლშევიკების წინააღმდეგ გაისმის იმ ადამიანების მხრივ, რომლებიც სოციალისტებად და დემოკრატებად თვლიან თავს, — ამ ადამიანთა ნიმუშად მე შემიძლია დავასახელო ლიტერატურული ჯგუფები «ვსეგდა ვპერიოდ!» და «დელო ნაროდა», — გაზეთები, რომლებიც, ჩემი აზრით, სავსებით სამართლიანად დახურეს და რევოლუციის ინტერესებიც მოითხოვდა მათ დახურვას, გაზეთები, რომელთა წარმომადგენლები თავიანთ თავდასხმებში, რაც მეტად ბუნებრივია იმ ორგანოების მხრივ, რომლებსაც ჩვენი ხელისუფლება კონტრრევოლუციურ ორგანოებად აღიარებს, ძალიან ხშირად მიმართავენ თეორიულ კრიტიკას, — თუ თქვენ დაუკვირდებით იმ თავდასხმებს, რაც ბოლშევიზმის წინააღმდეგ გაისმის ამ ბანაკიდან, დაინახავთ, რომ ბრალდებათა შორის ძალიან ხშირად არის ასეთი რამ: «ბოლშევიკები თქვენ, მშრომელნო, შეგპირდნენ პურს, ზავსა და თავისუფლებას; მათ არ მოუციათ არც პური, არც ზავი, არც თავისუფლება, მაო მოგატყუეს და მოგატყუეს იმით, რომ გადაუხვიეს

დემოკრატიას». დემოკრატიისგან გადახვევის შესახებ ცალკე გვექნება ლაპარაკი. მე ახლა შევეხები ამ ბრალდების მეორე მხარეს: «ბოლშევიკები შეგპირდნენ პურს, ზავსა და თავისუფლებას, ნამდვილად კი ბოლშევიკებმა მოგვცეს ომის განგრძობა, მოგვცეს განსაკუთრებით სასტიკი და განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლა, «შეთანხმების» ყველა ქვეყნის ყველა იმპერიალისტის, ყველა კაპიტალისტის ომი, მაშასადამე, ყველა ქვეყნის, ყველაზე უფრო ცივილიზებული და მოწინავე ქვეყნების ომი დატანჯული, გაწამებული, ჩამორჩენილი, დაქანცული რუსეთის წინააღმდეგ». ასეთ ბრალდებებს, ვიმეორებ, თქვენ დაინახავთ თვითეულ დასახელებულ გაზეთში, გაიგონებთ იმ ბურჟუაზიული ინტელიგენტის ყოველ ლაპარაკში, რომელსაც, რა თქმა უნდა, თავი მოაქვს არა ბურჟუაზიულ ინტელიგენტად, — თქვენ ამას მუდამ გაიგონებთ ყოველი ფილისტერის სიტყვაში. სწორედ ამიტომაც გთხოვთ ჩაუფიქრდეთ ამგვარ ბრალდებებს.

დიახ, ბოლშევიკებმა იმიტომ იკისრეს რევოლუციის დაწყება ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული მთავრობის დამხობა ძალმომრეობით, უკუგდება ბურჟუაზიული დემოკრატიის ყოველგვარი ტრადიციული ჩვეულებებისა, დაპირებებისა, აღთქმათა, უაღრესად თავგანწირული, ძალმომრეობითი ბრძოლა და ომი შეძლებულ კლასთა დასათრგუნავად, — რომ გამოეგლიჯათ რუსეთი, ხოლო შემდეგ მთელი კაცობრიობაც იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტიდან და ბოლო მოეღოთ ყოველგვარი ომისთვის. დიახ, ბოლშევიკებმა ამისთვის იკისრეს რევოლუციის დაწყება და მათ, რა თქმა უნდა, არასოდეს არ უფიქრიათ ხელი აეღოთ ამ თავიანთ ძირითად, მთავარ ამოცანაზე. უეჭველია ისიც, რომ ამ იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტიდან თავის დაღწევის, ბურჟუაზიის ბატონობის გატეხის ცდამ გამოიწვია ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ. ეს იმიტომ, რომ ასეთია საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის პოლიტიკური პროგრამა, რაც უნდა ირწმუნებოდნენ ისინი, რომ ხელს იღებენ ინტერვენციაზე. რაც უნდა ირწმუნებოდნენ ამაში ლოიდ-ჯორჯები, ვილსონები

და კლემანსოები, რაც უნდა ირწმუნებოდნენ, რომ ხელს იღებენ ინტერვენციაზე, ჩვენ მაინც ყველამ ვიცით, რომ ეს სიცრუეა. ჩვენ ვიცით, რომ ოდესიდან და სევასტოპოლიდან წასული და იძულებით წასული მოკავშირეთა სამხედრო გემები ბლოკადას უქმნიან შავი ზღვის სანაპიროებს და კერჩის ახლოს სროლასაც კი უტეხენ ყირიმის ნახევარკუნძულის იმ ნაწილს, სადაც მოხალისეები არიან გამაგრებული. ისინი ამბობენ: «ამას ვერ დაგითმობთ. მოხალისეებმა რომ ვერაფერი მოგიხერხონ, ჩვენ მაინც ვერ დაგითმობთ ყირიმის ნახევარკუნძულის ამ ნაწილს, იმიტომ რომ თქვენ გახდებით აზოვის ზღვის ბატონ-პატრონნი, გადაგვიჭრით გზას დენიკინისკენ და საშუალებას არ მოგვცემთ მოვამარაგოთ ჩვენი მეგობრებიო». ანდა ჩაღდება შემოტევა პეტროგრადზე: გუშინ ჩვენს ნაღმოსანს ბრძოლა ჰქონდა მოწინააღმდეგის ოთხ ნაღმოსანთან. განა ცხადი არ არის, რომ ეს არის ინტერვენცია, განა ინგლისის ფლოტი არ იღებს აქ მონაწილეობას? განა იგივე არ ხდება არხანგელსკში, ციმბირში? ფაქტი ასეთია: ამჟამად მთელი ცივილიზებული სამყარო ილაშქრებს რუსეთის წინააღმდეგ.

იბადება კითხვა, ჩვენ ჩავცვივდით წინააღმდეგურობაში, როცა მშრომელებს მოვუწოდებდით რევოლუციისაკენ და ზავს ვპირდებოდით, ხოლო გამოვიწვიეთ მთელი ცივილიზებული სამყაროს ლაშქრობა სუსტი, დაქანცული, ჩამორჩენილი, დამარცხებული რუსეთის წინააღმდეგ, თუ ისინი ჩაცვივდნენ წინააღმდეგურობაში დემოკრატიისა და სოციალიზმის ელემენტარულ ცნებებთან, ვისაც თავხედობა შესწევს ასეთი საყვედურით მოგვმართოს? აი საკითხი. ეს საკითხი რომ თეორიული, ზოგადი ფორმით დაგიყენოთ, მოვიყვან შედარებას. ჩვენ ვლაპარაკობთ რევოლუციური კლასის შესახებ, ხალხის რევოლუციური პოლიტიკის შესახებ, მოგმართავთ აიღოთ ცალკეული რევოლუციონერი. ავიღოთ თუნდაც ჩერნიშევსკი, შევაფასოთ მისი მოღვაწეობა. როგორ შეუძლია შეაფასოს ეს მოღვაწეობა სრულიად უვიცმა და ბნელმა ადამიანმა? ის, ალბათ, იტყვის: «რას იზამ, გაიფუჭა კაცმა ცხოვრება, მოხვდა ციმბირში, ვერაფერს მიაღწია». აი ნიმუში. როცა ასეთ შეფასებას გავიგონებთ უცნობი

ვინმესგან, ვიტყვით: «საუკეთესო შემთხვევაში ასეთ შეფასებას იძლევა სრულიად ბნელი ადამიანი, რომელსაც, შესაძლოა, ბრალი არ მიუძღვის იმაში, რომ ის ისე დაბეჩავებულია, რომ არ ესმის ცალკეული რევოლუციონერის მოღვაწეობის მნიშვნელობა რევოლუციური ამბების საერთო ჯაჭვთან დაკავშირებით; ან ამ შეფასებას იძლევა არამზადა, რეაქციის მომხრე, რომელსაც შეგნებულად სურს დააფრთხოს და მოაცილოს მშრომელები რევოლუციას». ჩერნიშევსკის მაგალითი იმიტომ ავიღე, რომ რა მიმართულებასაც უნდა ეკუთვნოდნენ ის ადამიანები, რომლებიც სოციალისტებს უწოდებენ თავს, აქ, ამ ინდივიდუალური რევოლუციონერის შეფასებაში, არსებითად აზრთა სხვადასხვაობა შეუძლებელია არსებობდეს. ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ, თუ ცალკეულ რევოლუციონერს შევაფასებთ იმ გარეგნულად უსარგებლო, ხშირად უნაყოფო მსხვერპლთა თვალსაზრისით, რომლებიც მან გაიღო, და განზე დავტოვებთ მისი მოღვაწეობის შინაარსს და მისი მოღვაწეობის კავშირს წინა და შემდგომ რევოლუციონერებთან, თუ ასე შევაფასებთ მისი მოღვაწეობის მნიშვნელობას, — ეს ან სიბნელე და საშინელი უმეცრება იქნება, ანდა რეაქციის ინტერესების, ჩაგვრის, ექსპლოატაციისა და კლასობრივი უღლის ბოროტგანზრახული, თვალთმაქცური დაცვა. ამის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა შეუძლებელია არსებობდეს.

ახლა გთხოვთ გადახვიდეთ ცალკეული რევოლუციონერიდან მთელი ხალხის, მთელი ქვეყნის რევოლუციაზე. და განა რომელიმე ბოლშევიკს ოდესმე უარუყვია ის, რომ საბოლოო ფორმით რევოლუციამ შეიძლება გაიმარჯვოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მოედება ყველა ან, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ ყველაზე უფრო არსებითად მოწინავე ქვეყანას? ამას ჩვენ ყოველთვის ვამბობდით. განა ჩვენ ვამტკიცებდით, რომ იმპერიალისტური ომიდან გამოსვლა შესაძლებელია მიწაში ხიშტების უბრალო ჩარჭობითო? მე განგებ ვხმარობ იმ გამოთქმას, რომელსაც კერენსკის ეპოქაში ჩვენ — პირადად მეც და ყველა ჩვენი ამხანაგიც — მუდამ ვხმარობდით რეზოლუციებში, სიტყვებსა და გაზეთებში. ჩვენ ვამბობდით: ომის

დამთავრება შეუძლებელია მიწაში ხიშტების ჩარჭობით; თუკი არსებობენ ტოლსტოველები, რომლებიც ასე ფიქრობენ, უნდა შევიბრალოთ შეშლილნი, — რას გააწყობ, მათ არაფერი მოეთხოვებათ.

ჩვენ ვამბობდით, რომ ამ ომიდან გამოსვლა შეიძლება რევოლუციურ ომს ნიშნავდესო. ამას ჩვენ ვამბობდით 1915 წლიდან და შემდეგ კერენსკის ეპოქაში. და, რა თქმა უნდა, რევოლუციური ომიც — ომია, ისეთივე მძიმე, სისხლისმღვრელი და მტანჯველი რამ. ხოლო როდესაც ის იქცევა რევოლუციად მსოფლიო მასშტაბით, იგი უეჭველად იწვევს წინააღმდეგობას ასევე მსოფლიო მასშტაბით. ამიტომაც, როდესაც ახლა ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებს მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ქვეყანა, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ამის გამო დაპირებათა დარღვევას გვაბრალებენ სრულიად უმეცარი ტეტიები: ჩვენ ვიტყვით — მათ არაფერი მოეთხოვებათ. მათი სრული სიბნელე, უკიდურესი უმეცრება ნებას არ გვაძლევს ბრალი დავდოთ მათ. მართლაც, სად ნახულა, სრულიად ბნელ გლეხს მოსთხოვო იმის გაგება, რომ ომიც არის და ომიც, რომ არის ომები სამართლიანი და უსამართლო, პროგრესული და რეაქციული, ომები მოწინავე კლასებისა და ომები ჩამორჩენილი კლასებისა, ომები, რომლებიც განამტკიცებენ კლასობრივ ჩაგვრას, და ომები, რომლებიც ამხობენ მას? ამისათვის საჭიროა იცნობდე კლასობრივ ბრძოლას, სოციალიზმის საფუძვლებს, თუნდაც ოდნავ რევოლუციის ისტორიას. ბნელ გლეხს ჩვენ ამას ვერ მოვთხოვთ.

მაგრამ თუ ის ადამიანი, რომელიც დემოკრატს, სოციალისტს უწოდებს თავს, რომელიც ტრიბუნაზე ადის საჯაროდ გამოსასვლელად, დამოუკიდებლად იმისგან, თუ რას უწოდებს თავის თავს — მენშევიკს, სოციალ-დემოკრატს, ესერს, ჭეშმარიტ სოციალისტს, ბერნის ინტერნაციონალის მომხრეს, — მრავალი სხვადასხვა სახელი არსებობს, სახელი იაფი რამაა, — თუ ასეთი სუბიექტი გვიყენებს ბრალდებას: «თქვენ ზავს შეგვპირდით და ომი გამოიწვიეთო!» — რა უნდა ვუპასუხოთ მას? განა შეიძლება დავუშვათ, რომ ის ისეთ სიბნელემდე

მივიდა, როგორც უმეცარი გლეხი, რომ ვერ არჩევს — ომიც არის და ომიც? შეიძლება განა დავუშვათ, რომ მას არ ესმის რა განსხვავებაა იმპერიალისტურ ომსა, რომელიც მძარცველური ომი იყო და ახლა ბოლომდე გამოაშკარავებულია, — ვერსალის ზავის შემდეგ, მხოლოდ მსჯელობისა და ფიქრის უნარს სრულიად მოკლებულ ადამიანებს ან სრულიად ბრმებს შეუძლიათ ვერ დაინახონ, რომ ეს ომი იყო მძარცველური ორივე მხრივ, — შეიძლება განა დავუშვათ, რომ მოიპოვება თუნდაც ერთი გაგებული კაცი, რომელსაც არ ესმოდეს განსხვავება იმ ომსა, მძარცველურ ომსა, და ჩვენს ომს შორის, რომელიც იმიტომ იღებს მსოფლიო მასშტაბს, რომ მსოფლიო ბურჟუაზიამ შეიგნო, რომ მის წინააღმდეგ წარმოებს გადამწყვეტი ბრძოლა? ყოველივე ამის დაშვება ჩვენ არ შეგვიძლია. ამიტომაც ვამბობთ: ყოველი ადამიანი, ვინც ჩემულობს დემოკრატის ან რომელიმე ელფერის სოციალისტის სახელწოდებას და ასე თუ ისე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ავრცელებს ხალხში ბრალდებას, თითქოს ბოლშევიკები აჭიანურებდნენ სამოქალაქო ომს, მძიმე ომს, მტანჯველ ომს, მაშინ როდესაც ისინი ზავს შეგვპირდნენო, — მომხრეა ბურჟუაზიისა, და ჩვენ ასე ვუპასუხებთ მას და დავუპირისპირდებით ერთმანეთს ისევე, როგორც კოლჩაკს, — აი ჩვენი პასუხი. აი რაშია საქმე.

«დელო ნაროდა»-ელ ვაჟბატონებს უკვირთ: «მაგრამ ჩვენ ხომ კოლჩაკის წინააღმდეგი ვართ; რა ალმაშფოთებელი უსამართლობაა, რომ გვდევნიანო».

ძალიან სამწუხაროა, ბატონებო, რომ არ გინდათ თავი და ბოლო ერთმანეთს მოაბათ და არ გინდათ გაიგოთ ის უბრალო პოლიტიკური ანბანა, რომლიდანაც გარკვეული დასკვნები გამომდინარეობს. თქვენ ირწმუნებით, რომ კოლჩაკის წინააღმდეგი ხართ. მე ხელთ ვიღებ გაზეთებს «ვსეგდა ვპერიოდ!» და «დელო ნაროდა», ვიღებ ამგვარი ტიპის ყველა ობივატელურ მსჯელობას, ამ განწყობილებებს, რაც ასე უამრავია ინტელიგენციაში, ეს განწყობილებანი სჭარბობენ ინტელიგენციაში. ვამბობ: ყოველი თქვენგანი, ვინც ავრცელებს ხალხში

ამგვარ ბრალდებებს,—კოლჩაკელია, იმიტომ რომ მას არ ესმის ის ელემენტარული, ძირითადი, ყოველივე შეგნებული ადამიანისთვის გასაგები განსხვავება იმპერიალისტურ ომსა, რომელიც ჩვენ მოვსპეთ, და სამოქალაქო ომს შორის, რომელიც თავს დაგვატეხეს. არასოდეს არ დაგვიმალავს ხალხისთვის, რომ ჩვენ ვწევთ ამ რისკს. ჩვენ მთელ ძალებს ვძაბავთ იმისთვის, რომ ამ სამოქალაქო ომში დავამარცხოთ ბურჟუაზია და ძირი გამოვუთხაროთ კლასობრივი ჩაგვრის შესაძლებლობას. არა, არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს ისეთი რევოლუცია, რომელიც დაზღვეული ყოფილიყოს იმისგან, რომ არ დასჭირდებოდა ხანგრძლივი, მძიმე ბრძოლა და, შესაძლოა, უსაშინელესი მსხვერპლის გაღება. ის, ვისაც არ შეუძლია განასხვაოს რევოლუციური ბრძოლის მსვლელობაში მისი გამარჯვებისათვის გაღებული მსხვერპლი, როცა ყველა შეძლებული, ყველა კონტრრევოლუციური კლასი იბრძვის რევოლუციის წინააღმდეგ, ის, ვისაც არ შეუძლია განასხვაოს ეს მსხვერპლი მძარცველური ექსპლოატატორული ომის მსხვერპლთაგან,—ის არის უკიდურესი სიბნელის წარმომადგენელი, და მასზე უნდა ითქვას: მას ხელში უნდა მივცეთ ანაბანა, და ვიდრე სკოლისგარეშე განათლების მიღებას დაიწყებდეს, მივცეთ მას დაბალი სკოლის განათლება, ანდა ეს არის უბოროტესი კოლჩაკური თვალთმაქცობის წარმომადგენელი, რაც არ უნდა ერქვას მას, რა სახელსაც არ უნდა ეფარებოდეს იგი. ხოლო ასეთი ბრალდებები ბოლშევიკების მიმართ სრულიად ჩვეულებრივი და «გასავლიანი» ბრალდებებია. ეს ბრალდებები მართლაც დაკავშირებულია ფართო მშრომელ მასებთან, რადგან ბნელი გლეხისთვის ამის გაგება ძნელია. ის თანაბრად ზარალობს ომისაგან, რის გულისთვისაც არ უნდა წარმოებდეს ეს ომი. მე არ მაკვირვებს, თუ ბნელ გლეხობაში მესმის ასეთი აზრი: «მეფისთვის ვიბრძოდით, მენშევიკებისთვის ვიბრძოლეთ და ახლა კიდევ ბოლშევიკებისთვის უნდა ვიბრძოლოთო». მე ეს არ მაკვირვებს. მართლაც, ომი ომია, მას თან სდევს უთვალავი მძიმე მსხვერპლი. «მეფე ამბობდა, ეს თავისუფლების გულისთვის და უღლისაგან განთავისუფლებისთვისაო,

მენშევიკები ამბობდნენ, თავისუფლების გულისთვის და უღლისაგან განთავისუფლებისთვისაო, ახლა ბოლშევიკებიც ამასვე ლაპარაკობენ. ყველა ამას ლაპარაკობს, რა გავიგოთო!»

მართლაც, ბნელმა გლეხმა, აბა, რა უნდა გაიგოს. ასეთმა კაცმა ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს ელემენტარული პოლიტიკური ანბანა. მაგრამ რა უნდა ვთქვათ იმ ადამიანზე, რომელიც ხმარობს სიტყვებს «რევოლუცია», «დემოკრატია», «სოციალიზმი», რომელსაც პრეტენზია აქვს ეს სიტყვები ხმაროს და ამბობდეს მესმის ისინიო. მას ასეთი ცნებებით ჯამბაზობა არ შეუძლია, თუ არა სურს პოლიტიკური თაღლითი გახდეს, რადგან განსხვავება მტაცებელთა ორ ჯგუფს შორის ამტყდარ ომსა და იმ ომს შორის, რომელსაც ყოველგვარი მტაცებლობის წინააღმდეგ ამხედრებული დაჩაგრული კლასი აწარმოებს, — ეს არის ელემენტარული, ძირითადი და მთავარი განსხვავება. საქმე ის კი არ არის, რომ ესა თუ ის პარტია, ესა თუ ის კლასი, ესა თუ ის მთავრობა ომს ამართლებდნენ, არამედ საქმე ის არის, როგორია ამ ომის შინაარსი, როგორია მისი კლასობრივი შინაარსი, რომელი კლასი აწარმოებს ომს, რა პოლიტიკა სახიერდება ომში.

II

იმ მძიმე და ძნელი პერიოდის შეფასების საკითხიდან, რომელსაც ჩვენ ამჟამად განვიცდით და რომელიც გარდუვალად დაკავშირებულია რევოლუციასთან, მე გადავალ მეორე პოლიტიკურ საკითხზე, რომელიც აგრეთვე ხშირად იჩენს თავს ყველა კამათსა და ყველა გაუგებრობისას, — ეს არის იმპერიალისტებთან ბლოკის, იმპერიალისტებთან კავშირის, შეთანხმების საკითხი.

თქვენ გაზეთებში, ალბათ, შეხვედრიხართ სოციალისტ-რევოლუციონერების ვოლსკის და, მგონი, მეორის — სვიატიცკის სახელებს, რომლებიც უკანასკნელ ხანებში «იზვესტიაშიც» წერდნენ, რომლებიც საკუთარი მანიფესტით გამოვიდნენ და რომლებიც თავიანთ თავს თვლიან სწორედ ისეთ

სოციალისტ-რევოლუციონერებად, რომლებსაც კოლჩაკელობას ვერ დავწამებთ: ისინი კოლჩაკისაგან წამოვიდნენ, ისინი კოლჩაკმა შეავიწროვა, მათ, როცა ჩვენთან გადმოვიდნენ, სამსახური გაგვიწიეს კოლჩაკის წინააღმდეგ. ეს მართალია. მაგრამ ჩაუკვირდით ამ მოქალაქეთა მსჯელობას, ჩაუკვირდით იმას, როგორ შეფასებას აძლევენ ისინი იმპერიალისტებთან ბლოკის, იმპერიალისტებთან კავშირის თუ შეთანხმების საკითხს. მე მომიხდა გავცნობოდი მათს მსჯელობას მაშინ, როცა მათ ნაწერები ჩამოართვა კონტრრევოლუციასთან მებრძოლმა ჩვენმა ხელისუფლებამ და როცა გვიხდებოდა გავცნობოდით მათს დოკუმენტებს, რათა საფუძვლიანად შეგვეფასებინა, თუ რა კავშირი ჰქონდათ მათ კოლჩაკელობასთან. ეს უეჭველად საუკეთესო წარმომადგენლები არიან ესერებისა. და მათ ნაწერებშიც მინახავს ამგვარი მსჯელობა: «უკაცრავად, ჩვენგან მოელიან მონანიებას; მოელიან, რომ მოვინანიებთ. არაფერსაც, არასოდეს! ჩვენ მოსანანიებელი არაფერი გვაქვს! ჩვენ ბრალს გვდებენ იმაში, რომ ბლოკი, შეთანხმება გვქონდა ანტანტასთან, იმპერიალისტებთან. თქვენ კი, ბოლშევიკებს, განა თქვენ არ გქონდათ შეთანხმება გერმანიის იმპერიალისტებთან? აბა რა არის ბრესტი? განა ბრესტი იმპერიალიზმთან შეთანხმება არ არის? თქვენ უთანხმდებოდით გერმანიის იმპერიალიზმს ბრესტში, ჩვენ ვუთანხმდებოდით საფრანგეთის იმპერიალიზმს, — ქვითა ვართ, ჩვენ მოსანანიებელი არაფერი გვაქვს!».

ეს მსჯელობა, რომელიც მე ვიპოვე ჩემს მიერ დასახელებულ პირთა და მათ თანამოაზრეთა ნაწერებში, მე მხვდება, როდესაც მაგონდება ჩემს მიერ დასახელებული გაზეთები, როდესაც ვცდილობ შევაჯამო ობივატელების ნალაპარაკევიდან მიღებული შთაბეჭდილება. ასეთ მსჯელობას თქვენ მუდამ შეხვდებით. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური მსჯელობა, რომელსაც ვხვდებით. და აი, ამ მსჯელობის გამო გთხოვთ შეჩერდეთ გარჩევაზე, ანალიზზე, თეორიულ ფიქრზე. როგორია ამ მსჯელობის მნიშვნელობა? მართალი არიან თუ არა ისინი, ვინც ამბობს: «ჩვენ, დემოკრატებს, სოციალისტებს, ბლოკი გვქონდა ანტანტასთან, თქვენ კი ბლოკი გქონდათ

ვილჰელმთან, ბრესტის ზავს სდებდით, — ერთმანეთს ვერაფერს დავაყვედრით, ქვით ვართო»? თუ ჩვენა ვართ მართალი, როდესაც ვამბობთ, რომ ისინი, ვინც არა სიტყვით, არამედ საქმით დაგვანახვა, რომ შეუთანხმდა ანტანტას ბოლშევიკური რევოლუციის წინააღმდეგ, კოლჩაკელები არიან? თუნდაც მათ ასიათასჯერ უარყონ ეს, თუნდაც პირადად მოსცილდნენ კოლჩაკს და მთელ ხალხს განუცხადონ, კოლჩაკის წინააღმდეგი ვართო, ისინი მაინც კოლჩაკელები არიან თავიანთი მთავარი ფესვების მიხედვით, თავიანთი მსჯელობისა და თავიანთი საქმის მთელი შინაარსით და მნიშვნელობით. ვინ არის მართალი? ეს არის რევოლუციის ძირითადი საკითხი, და მას უნდა ჩავუფიქრდეთ.

ამ საკითხის გასარკვევად ჩემს თავს ნებას მივცემ მოვიყვანო შედარება, — ამჯერად არა ინდივიდუალურ რევოლუციონერთან, არამედ ინდივიდუალურ ობივატელთან. წარმოიდგინეთ, რომ თქვენს ავტომობილს გარს შემოერტყნენ ბანდიტები და რევოლვერს გადებენ საფეთქელზე. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ამის შემდეგ ბანდიტებს აძლევთ ფულს და იარაღს და ამ ავტომობილით ისტუმრებთ. რაშია საქმე? თქვენ ბანდიტებს მიეცით იარაღი და ფული. ეს ფაქტია. ახლა წარმოიდგინეთ, რომ მეორე მოქალაქემ მისცა ბანდიტებს იარაღი და ფული, რათა მონაწილეობა მიიღოს ამ ბანდიტების თარეშში მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ.

ორივე შემთხვევაში არის შეთანხმება. ჩაწერილია ეს თუ არა, ნათქვამია ეს თუ არა, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ კაცი უსიტყვოდ აბარებს თავის რევოლვერს, თავის იარაღსა და ფულს. შეთანხმების შინაარსი ნათელია. ის ეუბნება ბანდიტებს: «მე შენ მოგცემ რევოლვერს, იარაღსა და ფულს, შენ მომცემ საშუალებას გავშორდე შენთან სასიამოვნო სიახლოვეს» (ს ი ც ი ლ ი); შეთანხმება ფაქტია. სწორედ ასევე შესაძლებელია, რომ უსიტყვო შეთანხმებას სდებს ადამიანი, რომელიც იარაღსა და ფულს იმიტომ აძლევს ბანდიტებს, რომ მათ

საშუალება მისცეს ძარცვონ სხვები, და შემდეგ ნადავლის ნაწილს იღებს. ესეც უსიტყვო შეთანხმებაა.

გეკითხებით, მოიპოვება განა ისეთი გაგებული ადამიანი, რომელიც ვერ შესძლებს განასხვაოს ორივე შეთანხმება? თქვენ იტყვით: ეს ალბათ კრეტინი იქნება, თუ მართლაც მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელსაც უნარი არ შესწევს განასხვაოს ორივე ეს შეთანხმება და რომელიც ამბობს: «შენ იარაღი და ფული მიეცი ბანდიტებს, მაშასადამე, სხვას ნურავის აბრალებ ბანდიტიზმს; რა უფლება გაქვს ამის შემდეგ ბანდიტიზმი დააბრალო ვისმეს?». თუ თქვენ ასეთ გაგებულ ადამიანს იპოვით, იძულებული იქნებით აღიაროთ, ან ყოველ შემთხვევაში 1 000-დან 999 აღიარებს, რომ ის თავის ჭკუაზე არ არის და ასეთ ადამიანთან შეუძლებელია მსჯელობა არათუ პოლიტიკურ, არამედ სისხლის სამართლის თემებზედაც კი.

ახლა გთხოვთ ამ მაგალითიდან გადახვიდეთ ბრესტის ზავისა და ანტანტასთან შეთანხმების შედარებაზე. რას წარმოადგენდა ბრესტის ზავი? განა ეს ძალმომრეობა არ არის ბანდიტებისა, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ გამოვიდნენ მაშინ, როცა ჩვენ პატიოსნად შევთავაზეთ ზავი და წინადადება მივეცით ყველა ხალხს დაემხოთ თ ა ვ ი ა ნ თ ი ბურჟუაზია? — სასაცილო იქნებოდა, ჩვენ რომ გერმანიის ბურჟუაზიის დამხობით დაგვეწყო! ეს ხელშეკრულება ჩვენ ვამხილეთ მთელი მსოფლიოს წინაშე, როგორც უაღრესად მძარცველური და ყაჩაღური ხელშეკრულება, დავგმეთ იგი და უარიც კი ვთქვით მაშინვე ხელი მოგვეწერა ამ ზავზე, რადგან იმედს ვამყარებდით გერმანიის მუშების დახმარებაზე. ხოლო როცა მოძალადეებმა რევოლვერი მოგვადეს საფეთქელზე, ჩვენ ვთქვით: მიირთვით იარაღი, ფული, შემდეგ კი სხვა საშუალებებით გაგისწორდებითო. გერმანიის იმპერიალიზმის მიმართ ჩვენ ვიცით სხვა მტერი, რომელსაც ბევრი ადამიანები ვერ ამჩნევდნენ, — გერმანელი მუშები. განა შეიძლება იმპერიალიზმთან ეს შეთანხმება შევადაროთ იმ შეთანხმებას, როცა დემოკრატები, სოციალისტები, სოცია-

ლისტ-რევოლუციონერები, — ხუმრობა არ გეგონოთ, რაც უფრო მაგრად არის ნათქვამი, მით უფრო მეტად ეღერს, — როცა ისინი უთანხმდებოდნენ ანტანტას თავიანთი ქვეყნის მუშების წინააღმდეგ გასალაშქრებლად? საქმე ხომ მართლაც ასე იყო და დღემდეც ასეა. ევროპაში ცნობილი მენშევიკებისა და ესერების უგავლენიანესი ნაწილი ხომ ახლაც საზღვარგარეთ არის, ისინი ახლა უთანხმდებიან ანტანტას. ხელმოწერილია ეს თუ არა — არ ვიცი, — ალბათ არ არის ხელმოწერილი, — ჭკვიანი ადამიანები ასეთ რამეებს უსიტყვოდ აკეთებენ. მაგრამ ცხადია, რომ ასეთი შეთანხმება არსებობს, რაკი მათ ხელით ატარებენ, პასპორტებს აძლევენ, მთელ ქვეყანას რადიოდეპეშით აწვდიან ცნობებს იმის შესახებ, რომ დღეს გამოვიდა აქსელროდი, ხვალ გამოვა სავინკოვი ან ავქსენტიევი, ზეგ ბრეშკოვსკაიაო. განა ეს შეთანხმება არ არის, თუმცა უსიტყვო? და ეს ისეთივე შეთანხმებაა იმპერიალისტებთან, როგორც ჩვენი შეთანხმება? მისი გარეგნული სახე ისევე ჰგავს ჩვენს შეთანხმებას, როგორც გარეგნულად იმ ადამიანის აქტი, რომელიც იარაღსა და ფულს აძლევს ბანდიტებს, ჰგავს ყოველგვარ ამგვარ აქტს, განურჩევლად მისი მიზნისა და ხასიათისა, — ყოველ შემთხვევაში განურჩევლად იმისა, თუ რისთვის ვაძლევ მე ფულსა და იარაღს ბანდიტებს. იმისთვის ვაძლევ, რომ თავი დავაღწიო მათ, როცა ისინი თავს მესხმიან და როცა ჩაყენებული ვარ ისეთ მდგომარეობაში, რომ, თუ რევოლვერი არ მივეცი, ისინი მომკლავენ? თუ ფულსა და იარაღს ვაძლევ ბანდიტებს, რომლებიც საძარცვავად მიდიან, რაც მე უნდა ვიცოდე და რის შემოსავალშიც მე მონაწილეობას ვიღებ?

«მე ამას ვუწოდებ, რა თქმა უნდა, რუსეთის განთავისუფლებას მოძალადეთა დიქტატურისაგან, მე, რასაკვირველია, დემოკრატი ვარ, იმიტომ რომ მხარს ვუჭერ ყველასათვის ცნობილ ციმბირის ან არხანგელსკის დემოკრატიას, მე ვიბრძვი, რასაკვირველია, დამფუძნებელი კრებისთვის. არ გაბედოთ და ეჭვი არ მოიტანოთ ჩემზე, რომ ცუდ რამეს

ჩავდიოდე და, თუ სამსახურს ვუწევ ბანდიტებს — ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის იმპერიალისტებს, ამას ჩავდივარ დემოკრატიის, დამფუძნებელი კრების, სახალხო ხელისუფლების, მოსახლეობის მშრომელი კლასების ერთიანობისა და მოძალადეების, უზურპატორების, ბოლშევიკების დამხობის გულისთვის!»

მიზნები, რა თქმა უნდა, მეტად კეთილშობილურია. მაგრამ განა არ იცის ყველამ, ვინც პოლიტიკას მისდევს, რომ პოლიტიკას აფასებენ არა განცხადებების, არამედ რეალური კლასობრივი შინაარსის მიხედვით? რომელ კლასს ემსახურები? თუ იმპერიალისტებთან ხარ შეთანხმებული, მონაწილეობას იღებ თუ არა იმპერიალისტურ ბანდიტიზმში?

ჩემს «წერილში ამერიკელი მუშებისადმი» სხვათა შორის აღვნიშნე, რომ ამერიკელი რევოლუციური ხალხი, როდესაც ის XVIII საუკუნეში ინგლისისგან თავისუფლდებოდა, როდესაც ის აწარმოებდა კაცობრიობის ისტორიაში თავის ერთ-ერთ პირველ და უაღრესად დიად მართლაც გამათავისუფლებელ ომს და კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ იშვიათ მართლაც რევოლუციურ ომს, ის, დიდი რევოლუციური ამერიკელი ხალხი, რომელიც თავს ითავისუფლებდა, უთანხმდებოდა ესპანეთისა და საფრანგეთის იმპერიალიზმის ბანდიტებს, იმპერიალიზმისა, რომელსაც მაშინ კოლონიები ჰქონდა თვით ამერიკაში ამ ხალხის მეზობლად. ამ ბანდიტებთან კავშირში ამერიკელი ხალხი ამარცხებდა ინგლისელებს და კიდევაც განთავისუფლდა მათგან. განა ყოფილან ქვეყნად ისეთი გაგებული ადამიანები, განა გინახავთ ისეთი სოციალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები, დემოკრატიის წარმომადგენლები, ან არ ვიცი კიდევ რა ეწოდებათ მათ, თვით მენშევიკების ჩათვლით, — გინახავთ თუ არა ოდესმე, რომ მათ გაებედოთ და საჯაროდ დაედოთ ბრალი ამის გამო ამერიკელი ხალხისთვის, ეთქვათ, რომ მან დაარღვია დემოკრატიზმის, თავისუფლებისა და სხვ. პრინციპი? ასეთი უცნაური ადამიანი ჯერ არ დაბადებულა. ახლა კი ჩვენში გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ასეთ სახელებს

ირქმევენ და იმის პრეტენზიასაც აცხადებენ, რომ ერთ ინტერნაციონალში უნდა იყვნენ ჩვენთან და რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკური ჭირვეულობაა, — ეს ხომ ცნობილია, რომ ბოლშევიკები ჭირვეულები არიან, — როცა თავიანთ კომუნისტურ ინტერნაციონალს აარსებენ და არა სურთ შევიდნენ ბერნის კარგ, ძველ, საერთო, ერთიან ინტერნაციონალში!

და მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ამბობენ: «მოსანანიებელი არაფერი გვაქვს — თქვენ უთანხმდებოდით ვილჰელმს, ჩვენ ვუთანხმდებოდით ანტანტას, — ქვით ვართო!».

მე ვამტკიცებ, რომ ეს ადამიანები, თუკი მათ ელემენტარული პოლიტიკური ცოდნა გააჩნიათ, კოლჩაკელები არიან, პირადად რაც უნდა უარყოფდნენ ამას, პირადად რაც უნდა ზიზღს ჰგვრიდეთ მათ კოლჩაკოვშჩინა, პირადად რაც უნდა დაზარალებული იყვნენ ისინი კოლჩაკისაგან და თუნდაც ჩვენს მხარეზე იყვნენ გადმოსულნი. ისინი კოლჩაკელები არიან, რადგან შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ მათ არ ესმოდეთ, თუ რით განსხვავდება ექსპლოატატორებთან ბრძოლის დროს დადებული იძულებითი შეთანხმება, რომელიც რევოლუციის მთელი ისტორიის მანძილზე ექსპლოატირებულ კლასებს ძალიან ხშირად ძალაუნებურად უნდა დაედოთ, იმისაგან, რასაც სჩადიოდნენ და სჩადიან ჩვენი ვითომ-დემოკრატების უგავლენიანესი წარმომადგენლები, ვითომ-«სოციალისტური» ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ნაწილობრივ გუშინ უთანხმდებოდნენ და ნაწილობრივ დღეს უთანხმდებიან საერთაშორისო იმპერიალიზმის ბანდიტებსა და ყაჩაღებს თავიანთი ქვეყნის მშრომელი კლასების ერთი ნ ა წ ი ლ ი ს, — ასე ამბობენ ისინი, — ერთი ნაწილის წინააღმდეგ. ესენი კოლჩაკელები არიან და მათდამი ყოვლად შეუწყნარებელია სხვა რაიმე დამოკიდებულება, გარდა იმისა, რომელიც შეგნებულ რევოლუციონერებს უნდა ჰქონდეთ კოლჩაკელებისადმი.

III

ახლა გადავალ შემდეგ საკითხზე. ეს არის საერთოდ დემოკრატიისადმი დამოკიდებულების საკითხი.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ყველაზე გაცვეთილი გამართლება, ყველაზე გაცვეთილი დაცვა იმ პოლიტიკური პოზიციებისა, რომლებიც დემოკრატებსა და სოციალისტებს უკავიათ ჩვენს წინააღმდეგ, ეს არის დემოკრატიის დამოწმება. ევროპულ ლიტერატურაში ამ თვალსაზრისის ყველაზე მტკიცე წარმომადგენელია, როგორც თქვენ, რა თქმა უნდა, მოგეხსენებათ, კაუცკი, II ინტერნაციონალის იდეური ბელადი და დღემდე ბერნის ინტერნაციონალის წევრი. «ბოლშევიკებმა აირჩიეს ისეთი მეთოდი, რომელიც არღვევს დემოკრატიას, ბოლშევიკებმა აირჩიეს დიქტატურის მეთოდი, ამიტომ მათი საქმე სწორი არ არის», — ასე ლაპარაკობს ის. ეს მოსაზრება ათასჯერ და მილიონჯერ მოჰყავდათ ყველგან და მუდამ მთელ პრესაში და ჩემს მიერ დასახელებულ გაზეთებში. მას მუდამ იმეორებს მთელი ინტელიგენციაც, ხოლო ზოგჯერ არგუმენტაციის დროს ნახევრადშეგნებულად იმეორებენ ობივატელები. «დემოკრატია ეს არის თავისუფლება, ეს არის თანასწორობა, ეს არის უმრავლესობის გადაწყვეტილება; რა შეიძლება იყოს თავისუფლებაზე, თანასწორობაზე, უმრავლესობის გადაწყვეტილებაზე უფრო მაღლა! თუ თქვენ, ბოლშევიკებმა, გადაუხვიეთ ამას და ამასთან თავხედობაც გამოიჩინეთ აშკარად გეთქვათ, რომ თავისუფლებაზედაც, თანასწორობაზედაც, უმრავლესობის გადაწყვეტილებაზედაც უფრო მაღლა დგახართ, მაშინ ნუღარ გიკვირთ და ნუღარ სჩივით, რომ ჩვენ უზურპატორებს, მოძალადეებს გიწოდებთ!»

ჩვენ სრულიადაც არ გვაკვირვებს ეს, იმიტომ რომ ჩვენ ყველაზე მეტად გვინდა გარკვეულობა და მხოლოდ იმის იმედი გვაქვს, რომ მშრომელთა მოწინავე ნაწილს მართლაც ნათლად ჰქონდეს შეგნებული თავისი მდგომარეობა. დიახ, ჩვენ მუდამ ვამბობდით და ვამბობთ ჩვენს პროგრამაში, პარტიულ პროგრამაში, რომ ჩვენ ისეთი ლამაზი ლოზუნგებით,

როგორიცაა თავისუფლება, თანასწორობა და უმრავლესობის ნება, არ მოვტყუვდებით და რომ იმათ, ვინც თავს უწოდებს დემოკრატს, წმინდა დემოკრატიის მომხრეს, თანამიმდევარი დემოკრატიის მომხრეს და პირდაპირ თუ არაპირდაპირ უპირისპირებს ამ დემოკრატიას პროლეტარიატის დიქტატურას, — რომ ჩვენ მათ ვეპყრობით, როგორც კოლჩაკის ხელშემწყობთ.

გაერკვიეთ, საჭიროა გაერკვეთ. მართლა დამნაშავე არიან წმინდა დემოკრატები იმაში, რომ ისინი ქადაგებენ წმინდა დემოკრატიას, იცავენ მას უზურპატორების წინააღმდეგ, თუ ისინი დამნაშავე არიან იმაში, რომ ისინი შეძლებული კლასების მხარეზე, კოლჩაკის მხარეზე არიან?

გარკვევა დავიწყოთ თავისუფლებიდან. თავისუფლება, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ყოველი რევოლუციისთვის, სოციალისტური იქნება ის თუ დემოკრატიული, ეს არის ლოზუნგი, რომელიც ვეტისმეტად არსებითია. ჩვენი პროგრამა კი აცხადებს: თავისუფლება, თუ ის ეწინააღმდეგება კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლებას, მოტყუებაა. და ყოველმა თქვენგანმა, ვისაც მარქსი წაუკითხავს, — მე ვფიქრობ, ყველამ, ვისაც წაუკითხავს მარქსის თუნდაც ერთი პოპულარული გადმოცემა, — იცის, რომ თავისი ცხოვრებისა და თავისი ლიტერატურული შრომების მეტი ნაწილი და თავის მეცნიერულ გამოკვლევათა მეტი ნაწილი მარქსმა მოანდომა სწორედ იმას, რომ დასცინოდა თავისუფლებას, თანასწორობას, უმრავლესობის ნებას და ყოველგვარ ბენტამებს, რომლებიც ალამაზებდნენ ამას, და იმის დამტკიცებას, რომ ამ ფრაზებს სარჩულად უდევს ინტერესები საქონლის მფლობელის თავისუფლებისა, კაპიტალის თავისუფლებისა, რომელსაც იგი მშრომელი მასების დასაჩაგრავად იყენებს.

ჩვენ ვეუბნებით ყველას, ვინც იმ დროს, როცა საქმე მიდგა მთელ მსოფლიოში, ან თუნდაც ერთ ქვეყანაში, კაპიტალის ბატონობის დამხობაზე, ვინც ისეთ ისტორიულ მომენტში, როცა პირველ რიგში დგება ჩაგრული მშრომელი

კლასების ბრძოლა კაპიტალის სრული დამხობისთვის, სასაქონლო წარმოების სრული მოსპობისთვის, ყველა, ვინც ასეთ პოლიტიკურ მომენტში სიტყვას «თავისუფლებას» ეპყრობა საერთოდ, ვინც ამ თავისუფლების გულისთვის ილაშქრებს პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, — ის მხოლოდ ექსპლოატატორებს ეხმარება და სხვა არაფერი, მათი მომხრეა, იმიტომ რომ თავისუფლება, თუ ის არ ემორჩილება კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების ინტერესებს, მოტყუებაა, როგორც ეს პირდაპირ განვაცხადეთ ჩვენს პარტიულ პროგრამაში. შესაძლოა, ეს ზედმეტიც იყოს პროგრამის გარეგნული აგების თვალსაზრისით, მაგრამ ეს ყველაზე ძირითადია მთელი ჩვენი პროპაგანდისა და აგიტაციის თვალსაზრისით, პროლეტარული ბრძოლისა და პროლეტარული ძალაუფლების საფუძველთა თვალსაზრისით. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ უნდა ვებრძოლოთ მსოფლიო კაპიტალს, მშვენივრად ვიცით, რომ თავის დროზე მსოფლიო კაპიტალს ჰქონდა თავისუფლების შექმნის ამოცანა, რომ მან დაამხო ფეოდალური მონობა, რომ მან შექმნა ბურჟუაზიული თავისუფლება, ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ეს მსოფლიო-ისტორიული პროგრესია. და ჩვენ ვაცხადებთ, რომ ვილაშქრებთ საერთოდ კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რესპუბლიკური კაპიტალიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიული კაპიტალიზმის წინააღმდეგ, თავისუფალი კაპიტალიზმის წინააღმდეგ, — რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით, რომ იგი ჩვენს წინააღმდეგ წამოაყენებს თავისუფლების დროშას. და ჩვენ მას ვუპასუხებთ. ჩვენ საჭიროდ ვთვლიდით ეს პასუხი გაგვეცა ჩვენს პროგრამაში: ყოველგვარი თავისუფლება მოტყუებაა, თუ იგი ეწინააღმდეგება კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების ინტერესებს.

მაგრამ იქნებ ეს შეუძლებელია? იქნებ თავისუფლება არ ეწინააღმდეგება კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლებას? გადახედეთ დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანას, სადაც ან ყოფილხართ, ანდა, ყოველ შემთხვევაში, რომელთა შესახებ წაგიკითხავთ. ყოველ წიგნში გაშუქებულია

მათი წყობილება, როგორც ყველაზე თავისუფალი წყობილება, და ახლა ამ დასავლეთ ევროპის ცივილიზებულმა ქვეყნებმა — საფრანგეთმა, ინგლისმა, ამერიკამ — აღმართეს ეს დროშა, ისინი ბოლშევიკების წინააღმდეგ ილაშქრებენ «თავისუფლების გულისთვის». სულ ამ დღეებში — ფრანგული გაზეთები ახლა იშვიათად აღწევს ჩვენამდე, იმიტომ რომ რკალში ვართ მომწყვდეული, მაგრამ რადიოთი ცნობები აღწევს, ჰაერის მიკუთვნება მაინც შეუძლებელია, ჩვენ ვიჭერთ უცხოეთის რადიოს — ამ დღეებში საშუალება მქონდა წამეკითხა რადიოში, რომელსაც გზავნიდა საფრანგეთის მძარცველური მთავრობა: როცა საფრანგეთი ბოლშევიკების წინააღმდეგ ილაშქრებს და მათ მოწინააღმდეგეებს ეხმარება, მას კვლავინდებურად მაღლა უჭირავს მისთვის ჩვეული «თავისუფლების მაღალი იდეალი». ამას ვხვდებით ყოველ ნაბიჯზე, ეს არის მათი ძირითადი კილო პოლემიკისა ჩვენს წინააღმდეგ.

მერე რას უწოდებენ ისინი თავისუფლებას? ეს ცივილიზებული ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, ისინი თავისუფლებას უწოდებენ თუნდაც კრებების თავისუფლებას. კონსტიტუციაში უნდა ეწეროს: «კრებების თავისუფლება ყველა მოქალაქისათვის». «აი ეს, — ამბობენ ისინი, — ეს არის შინაარსი, აი ეს არის მთავარი გამოვლინება თავისუფლებისა. თქვენ კი, ბოლშევიკებმა, კრებების თავისუფლება დაარღვიეთო».

დიახ, — ვუპასუხებთ ჩვენ, — თქვენი თავისუფლება, ბატონო ინგლისელებო, ფრანგებო, ამერიკელებო, ეს არის მოტყუება, როცა ის ეწინააღმდეგება კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლებას. თქვენ დაგავიწყდათ წვრილმანი, ბატონნო ცივილიზებულნო. დაგავიწყდათ, რომ თქვენი თავისუფლება ჩაწერილია ისეთ კონსტიტუციაში, რომელიც ა კ ა ნ ო ნ ე ბ ს კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა ს. აი რაშია საქმის არსი.

თავისუფლების გვერდით არის საკუთრება, სწორედ ასე სწერია თქვენს კონსტიტუციაში. თქვენ რომ კრებების თავისუფლებას აღიარებთ, ეს, რა თქმა უნდა, უდიდესი პროგრე-

სია ფეოდალურ წესწყობილებასთან, შუასაუკუნეებთან, ბატონყმობასთან შედარებით. ეს აღიარა ყველა სოციალისტმა, როცა ბურჟუაზიული საზოგადოების ეს თავისუფლება გამოიყენეს იმისათვის, რომ პროლეტარიატისთვის ესწავლებინათ, როგორ დაემხო კაპიტალიზმის უღელი.

მაგრამ თქვენი თავისუფლება ისეთია, რომ ეს არის თავისუფლება ქაღალდზე და არა საქმით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ დიდ ქალაქებში არის დიდი დარბაზები, როგორც ეს დარბაზი, ისინი ეკუთვნიან კაპიტალისტებსა და მემამულეებს, მათ ეწოდებათ, მაგალითად, «კეთილშობილთა საკრებულოს» დარბაზები. თქვენ შეგიძლიათ თავისუფლად შეიკრიბოთ, რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქენო, მაგრამ ეს — კერძო საკუთრებაა, უკაცრავად, გეთაყვათ, საჭიროა პატივი ვცეთ კერძო საკუთრებას, თორემ თქვენ იქნებით ბოლშევიკები, დამნაშავენი, ყაჩაღები, მძარცველები, ჭირვეულები. ჩვენ კი ვამბობთ: «ჩვენ ამას გადავატრიალებთ. ჩვენ ჯერ «კეთილშობილთა საკრებულოს» ამ შენობას გავხდით მუშათა ორგანიზაციების შენობად, შემდეგ კი ვილაპარაკოთ კრებების თავისუფლებაზე». თქვენ გვაბრალებთ თავისუფლების დარღვევას. ჩვენ კი ვაღიარებთ, რომ ყოველგვარი თავისუფლება, თუ იგი არ ემორჩილება კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების ინტერესებს, მოტყუებაა. კრებების თავისუფლება, რომელიც სწერია ყველა ბურჟუაზიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, მოტყუებაა, რადგან, რომ შეეკრიბოთ ცივილიზებულ ქვეყანაში, რომელსაც რაც უნდა იყოს ზამთარი არ მოუსპია, ამინდი არ გარდაუქმნია, საჭიროა შენობა კრებებისთვის, საუკეთესო შენობები კი კერძო საკუთრებას შეადგენს. ჯერ ჩამოვართვათ საუკეთესო შენობები და შემდეგ ვილაპარაკოთ თავისუფლებაზე.

ჩვენ ვამბობთ, რომ კრებების თავისუფლება კაპიტალისტებისთვის უდიდესი დანაშაულია მშრომელთა მიმართ, ეს არის კრებების თავისუფლება კონტრრევოლუციონერებისთვის. ჩვენ ვეუბნებით ბატონ ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს, ბატონ დემოკრატიის მომხრეებს: თქვენ სტყუით, როცა

გვიყენებთ ბრალდებას თავისუფლების დარღვევაში! როდესაც თქვენი დიდი ბურჟუაზიული რევოლუციონერები ინგლისში 1649 წელს, საფრანგეთში 1792 — 1793 წლებში რევოლუციას ახდენდნენ, ისინი მონარქისტებს კრებების თავისუფლებას არ აძლევდნენ. საფრანგეთის რევოლუციას სწორედ იმიტომ ეწოდება დიდი რევოლუცია, რომ მას არ ახასიათებდა მოდუნებულობა, ორჭოფობა, ფრაზიორობა 1848 წლის ბევრი რევოლუციისა, არამედ ეს იყო საქმიანი რევოლუცია, რომელმაც დაამხო მონარქისტები და საბოლოოდ გასრისა ისინი. ჩვენც ასევე მოვექცევით ბატონ კაპიტალისტებს, რადგან ვიცით, რომ კაპიტალის უღლისაგან მშრომელთა გასათავისუფლებლად საჭიროა წავართვათ კაპიტალისტებს კრებების თავისუფლება, საჭიროა წავართვათ ან შევუკვეცოთ «თავისუფლება». ეს ემსახურება კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლებას, ეს ემსახურება იმ ნამდვილ თავისუფლებას, როცა აღარ იქნება ისეთი შენობები, რომლებშიც ცხოვრობს ცალკეული ოჯახი და რომლებიც ეკუთვნის ვისმე ცალ-ცალკე — მემამულეებს, კაპიტალისტებს ან რომელიმე სააქციო საზოგადოებას. როდესაც ეს იქნება, როდესაც დაივიწყებენ, რომ შესაძლებელია საზოგადოებრივი შენობები ვისიმე საკუთრება იყოს, მაშინ ჩვენ მხარს დავუჭერთ სრულ «თავისუფლებას». როცა ქვეყნად იქნებიან მხოლოდ მუშაკები და დაივიწყებენ იმაზე. ფიქრს, რომ შეიძლება საზოგადოების წევრი იყოს არა მუშაკი, — ეს არც ისე ჩქარა იქნება, დაყოვნება ბატონ ბურჟუებისა და ბატონ ბურჟუაზიული ინტელიგენტების ბრალია, — მაშინ ჩვენ მხარს დავუჭერთ კრებების თავისუფლებას ყველასთვის, ახლა კი კრებების თავისუფლება ეს არის კრებების თავისუფლება კაპიტალისტებისთვის, კონტრრევოლუციონერებისთვის. ჩვენ მათ ვებრძვით, ჩვენ მათ ვეწინააღმდეგებით და ვაცხადებთ, რომ ამ თავისუფლებას ჩვენ ვაუქმებთ.

ჩვენ ბრძოლაში ვებმებით — ეს არის პროლეტარიატის დიქტატურის შინაარსი. წავიდა ის დრო გულუბრყვილო, უტოპიური, ფანტასტიკური, მექანიკური, ინტელიგენტური

სოციალიზმისა, როცა საქმე ისე წარმოედგინათ, რომ დაარწმუნებდნენ უმრავლესობას, დახატავდნენ სოციალისტური საზოგადოების ლამაზ სურათს, და უმრავლესობაც სოციალიზმის თვალსაზრისზე დადგებოდა. წავიდა ის დრო, როცა ამ ბავშვური ზღაპრით თვითონაც ერთობოდნენ და სხვებსაც ართობდნენ. მარქსიზმი, რომელიც აღიარებს კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობას, ამბობს: კაცობრიობა სოციალიზმს მიაღწევს მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის გზით. დიქტატურა — სასტიკი, მძიმე, სისხლიანი, ტანჯვის შემცველი სიტყვაა, და ასეთ სიტყვებს ფუჭად არ ხარჯავენ. თუ სოციალისტები ასეთი ლოზუნგით გამოვიდნენ, ეს იმიტომ, რომ მათ იციან, თავგანწირული, ულმობელი ბრძოლის გაუმართავად ექსპლოატატორთა კლასი იარაღს არ დაჰყრის და შეეცდება ყოველგვარი კარგი სიტყვებით დაფაროს თავისი ბატონობა.

კრებების თავისუფლება, — რა შეიძლება იყოს ამ სიტყვაზე უფრო დიდი, ამ სიტყვაზე უკეთესი! განა შეიძლება წარმოვიდგინოთ მშრომელთა და მათი შეგნებულობის განვითარება კრებების თავისუფლების გარეშე? განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ადამიანობის საფუძვლები კრებების თავისუფლების გარეშე? ჩვენ კი ვამბობთ, რომ ინგლისისა და ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში კრებების თავისუფლება მოტყუებაა, იმიტომ რომ ხელ-ფეხს უბოჭავს მშრომელ მასებს სოციალიზმზე გადასვლის მთელი ხნის განმავლობაში, — იგი მოტყუებაა, რადგან ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ბურჟუაზია არაფერს დაზოგავს, რათა დაამხოს ეს ხელისუფლება, ესოდენ არაჩვეულებრივი, ესოდენ «საშინელი» თავდაპირველად. სხვანაირად შეუძლებელია იყოს იმის თვალში, ვინც ჩაფიქრებია კლასობრივ ბრძოლას, ვინც რამდენადმე კონკრეტულად, ნათლად ფიქრობს აჯანყებული მუშების დამოკიდებულებაზე ბურჟუაზიისადმი, რომელიც დამხობილია ერთ ქვეყანაში და დამხობილი არ არის ყველა ქვეყანაში და რომელიც სწორედ

იმიტომ, რომ ის მთლად დამხობილი არ არის, მით უფრო მეტი გაბოროტებით ებმება ბრძოლაში.

სწორედ ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ კლასობრივი ბრძოლა უაღრესად მწვავე ფორმებს იღებს. და არაფრად ვარგან ის დემოკრატები და სოციალისტები, რომლებიც იტყუებენ თავს, ხოლო შემდეგ სხვებსაც ატყუებენ, როცა ამბობენ: რაკი ბურჟუაზია დამხობილია, საქმე გათავებულიაო. საქმე მხოლოდ დაწყებულია და არა გათავებული, იმიტომ რომ ბურჟუაზიას დღემდე არ სჯეროდა ის აზრი, რომ ის დამხობილია, და ოქტომბრის რევოლუციის წინ მეტად საამოდ და მეტად თავაზიანად ხუმრობდა; ხუმრობდნენ მილიუკოვიც, ჩერნოვიც, ნოვაიაჟიზნელებიც. ისინი ხუმრობდნენ: «აბა, მობრძანდით, ბატონო ბოლშევიკებო, შეადგინეთ კაბინეტი, იკისრეთ ძალაუფლება ორიოდე კვირით, — ჩინებულ დახმარებას გაგვიწევთ!». სწორედ ამას წერდა ჩერნოვი ესერების სახელით, ამას წერდა მილიუკოვი «რეჩში», ამას წერდა ნახევრადმენშევიკური «ნოვაია ჟიზნ». ისინი ხუმრობდნენ, იმიტომ რომ სერიოზულად არ ეკიდებოდნენ საქმეს. ახლა კი დაინახეს, რომ საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო, და ბატონმა ინგლისელმა, ფრანგმა და შვეიცარიელმა ბურჟუებმა, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მათი «დემოკრატიული რესპუბლიკები» ეს არის ჯავშანი, რომელიც მათ იცავს, დაინახეს და შეიგნეს, რომ საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო, და ახლა ყველა ისინი იარაღდებიან. თქვენ რომ შეგეძლოთ იმის დანახვა, თუ რა ხდება თავისუფალ შვეიცარიაში, როგორ იარაღდება იქ უკლებლივ ყველა ბურჟუა, როგორ ქმნის თეთრ გვარდიას, რადგან მან იცის, რომ საკითხი ეხება იმას, შეინარჩუნებს თუ არა ის თავის პრივილეგიებს, რაც საშუალებას აძლევს მას მილიონობით დაქირავებული მონები ჰყავდეს. ახლა ბრძოლამ მსოფლიო გაქანება მიიღო, ამიტომ ახლა ყველა, ვინც «დემოკრატიის», «თავისუფლების» სიტყვებით გამოდის ჩვენს წინააღმდეგ, შეძლებული კლასების მხარეზე დგება, ატყუებს ხალხს, რადგან მას არ ესმის, რომ თავისუფლება და დემოკრატია დღემდე თა-

ვისუფლება და დემოკრატია იყო შ ე ძ ლ ე ბ უ ლ თ ა თ ვ ი ს და მხოლოდ ნასუფრალი — ღარიბთათვის.

რას წარმოადგენს კრებების თავისუფლება, როცა მშრომელნი დაბეჩავებული არიან კაპიტალის მონობით და კაპიტალისთვის მუშაობით? ეს არის მოტყუება, და იმისთვის, რომ მივაღწიოთ თავისუფლებას მშრომელთათვის, ჯერ უნდა დავძლიოთ ექსპლოატატორების წინააღმდეგობა, ხოლო თუ მე ვუმკლავდები მთელი კლასის წინააღმდეგობას, ცხადია, მე ვერავის შევპირდები ვერც თავისუფლებას, ვერც თანასწორობას, ვერც უმრავლესობის გადაწყვეტილებას ამ კლასის სასარგებლოდ.

IV

ახლა თავისუფლებიდან გადავალ თანასწორობაზე. აქ საქმის ვითარება უფრო ღრმაა. აქ ჩვენ ვეხებით კიდევ უფრო სერიოზულ საკითხს, რაც აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს და უფრო საჭირბოროტოცაა.

რევოლუცია თავის მსვლელობაში ზედიზედ ამხობს ექსპლოატატორულ კლასებს. ჯერ მან დაამხო მონარქია და თანასწორობა მხოლოდ ისე ესმოდა, რომ ყოფილიყო არჩევითი ხელისუფლება, ყოფილიყო რესპუბლიკა. შემდეგ მან წინ წაიწია და დაამხო მემამულეები, და თქვენ იცით, რომ მთელი ბრძოლა შუასაუკუნებრივი წესწყობილების, ფეოდალიზმის წინააღმდეგ «თანასწორობის» ლოზუნგით მიმდინარეობდა. ყველა თანასწორია, წოდებათა განურჩევლად, ყველა თანასწორია, მათ შორის მილიონერიც და ღატაკიც, — ასე ამბობდნენ, ასე ფიქრობდნენ, ასე თვლიდნენ გულწრფელად უდიდესი რევოლუციონერები იმ პერიოდისა, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდი. რევოლუცია მემამულეების წინააღმდეგ მიმდინარეობდა თანასწორობის ლოზუნგით, და თანასწორობას იმას უწოდებდნენ, რომ მილიონერს და მუშას თანასწორი უფლებები უნდა ჰქონდეთო. რევოლუცია წინ წავიდა. იგი ამბობს, რომ «თანასწორობა», — ჩვენ ეს ცალკე არ გვითქვამს ჩვენს

პროგრამაში, მაგრამ ხომ არ შეიძლება უსაზღვროდ ვიმეოროთ, ეს ისევე ცხადია, როგორც ის, რაც ჩვენ ვთქვით თავისუფლების შესახებ, — თანასწორობა მოტყუებაა, თუ ის ეწინააღმდეგება კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლებას. ჩვენ ამას ვამბობთ, და ეს სრული სიმართლეა. ჩვენ ვამბობთ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა თანამედროვე თანასწორობით ეს არის სიცრუე, მოტყუება, რომ თანასწორობას იქ არ იცავენ და იქ ის არც შეიძლება იყოს, და ის, რაც ხელს უშლის გამოიყენონ ეს თანასწორობა — ეს არის წარმოების საშუალებათა საკუთრება, ფულის, კაპიტალის საკუთრება. შეიძლება ერთბაშად მოსპო ძვირფასი შენობების საკუთრება, შეიძლება შედარებით ჩქარა ჩამოართვა კაპიტალი და წარმოების იარაღები, მაგრამ აიღეთ ფულის საკუთრება.

ფული ხომ შეკუმშული საზოგადოებრივი სიმდიდრეა, შეკუმშული საზოგადოებრივი შრომაა, ფული ეს არის მოწმობა ხარკის ასაღებად ყველა მშრომელისგან, ფული ეს არის გუშინდელი ექსპლოატაციის ნაშთი. აი რა არის ფული. შეიძლება თუ არა მისი ერთბაშად მოსპობა? არა. ჯერ კიდევ სოციალისტურ რევოლუციამდე სოციალისტები წერდნენ, რომ ფულის ერთბაშად გაუქმება შეუძლებელიაო, და ჩვენ შეგვიძლია ჩვენი გამოცდილებით დავადასტუროთ ეს. საჭიროა მეტად დიდი ტექნიკური და, რაც გაცილებით უფრო ძნელი და გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანია, ორგანიზაციული მონაპოვარნი, რომ ფული მოვსპოთ, მანამდე კი უნდა დავჯერდეთ სიტყვიერ, კონსტიტუციაში ჩაწერილ თანასწორობას, და ისიც ისეთ ვითარებაში, როდესაც ყველას, ვისაც ფული აქვს, ექსპლოატაციის ფაქტიური უფლებაც აქვს. და ჩვენ ვერ შევძელით ფულის ერთბაშად გაუქმება. ჩვენ ვამბობთ: ჯერჯერობით ფული რჩება, და საკმაოდ დიდხანს დარჩება ძველი კაპიტალისტური საზოგადოებიდან ახალ სოციალისტურ საზოგადოებაზე გარდამავალი დროის განმავლობაში. თანასწორობა ეს არის მოტყუება, თუ ის ეწინააღმდეგება კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების ინტერესებს.

ენგელსი ათასჯერ მართალი იყო, როცა წერდა: თანასწორობის ცნება უაღრესად სულელური და უაზრო ცრურწმენაა კლასების მოუსპობლადო[58]. ბურჟუაზიული პროფესორები თანასწორობის ცნების გამო ცდილობდნენ ვემხილებინეთ იმაში, თითქოს ჩვენ გვსურდეს ერთი კაცი მეორის თანაბარი გავხადოთ. ისინი ცდილობდნენ მათ მიერვე მოჭორილი უაზრობა სოციალისტებისთვის დაებრალებინათ. მაგრამ თავიანთი უვიცობის გამო მათ არ იცოდნენ, რომ სოციალისტები — და სწორედ თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები, მარქსი და ენგელსი — ამბობდნენ: თანასწორობა ლიტონი სიტყვაა, თუ თანასწორობას არ გავიგებთ როგორც კლასების მოსპობასო. კლასების მოსპობა ჩვენ გვსურს, ამ მხრივ ჩვენ თანასწორობის მომხრე ვართ. მაგრამ იმის დაჩემება, რომ ჩვენ ყველა ადამიანს გავუთანაბრებთ ერთმანეთს, ეს უაზრობა და სულელური მონაჭორია იმ ინტელიგენტისა, რომელიც ხანდახან კეთილსინდისიერად იმანჭება, აბრუნებს სიტყვებს, შინაარსი კი არ არის, — თუნდაც ის თავს უწოდებდეს მწერალს, ზოგჯერ მეცნიერს და კიდევ სხვა რამეს.

და აი ჩვენ ვამბობთ: ჩვენ მიზნად ვისახავთ თანასწორობას, როგორც კლასების მოსპობას. მაშინ უნდა მოვსპოთ კლასობრივი განსხვავებაც მუშებსა და გლეხებს შორის. სწორედ ეს არის ჩვენი ამოცანა. საზოგადოება, რომელშიც დარჩენილია კლასობრივი განსხვავება მუშასა და გლეხს შორის, არ არის არც კომუნისტური და არც სოციალისტური საზოგადოება. რა თქმა უნდა, სიტყვა სოციალიზმის განმარტების დროს ერთგვარად შეიძლება ვუწოდოთ მას სოციალისტური, მაგრამ ეს იქნება კაზუისტიკა, დავა სიტყვების შესახებ. სოციალიზმი ეს არის კომუნიზმის პირველი სტადია, — მაგრამ სიტყვებზე დავა არა ღირს. ერთი რამ ცხადია, რომ ვიდრე რჩება კლასობრივი განსხვავება მუშასა და გლეხს შორის, ჩვენ ვერ ვილაპარაკებთ თანასწორობაზე ისე, რომ არ გამოვიჩინოთ სიფრთხილე — არ მივუშვათ წყალი ბურჟუაზიის წისქვილზე. გლეხები — ეს არის პატრიარქალური ეპოქის

კლასი, რომელიც აღზრდილია ათეული წლებისა და ასეული წლების მონობაში, და ყველა ამ ათეული წლის მანძილზე გლეხი არსებობდა, როგორც წვრილი მეპატრონე, თავდაპირველად სხვა კლასებისადმი დაქვემდებარებული, შემდეგ კი ფორმალურად თავისუფალი და თანასწორი, მაგრამ საკვები საგნების მესაკუთრე და მფლობელი.

და აი აქ ჩვენ ვუახლოვდებით იმ საკითხს, რომელიც ყველაზე მეტ საყვედურს იწვევს ჩვენი მტრების მხრივ, ყველაზე მეტ ეჭვებს ბადებს გამოუცდელ და დაუფიქრებელ ადამიანებში და ყველაზე მეტად გვაშორებს იმათგან, ვისაც სურს დემოკრატად, სოციალისტად ითვლებოდეს და ვინც ნაწყენია ჩვენზე იმისთვის, რომ ჩვენ მას არც დემოკრატად ვთვლით და არც სოციალისტად, არამედ ვთვლით კაპიტალისტების მომხრედ, შესაძლოა უვიცობის გამო, მაგრამ მაინც კაპიტალისტების მომხრედ.

გლეხის მდგომარეობა ისეთია მისი ყოფა-ცხოვრების, წარმოების პირობების, მისი ცხოვრების პირობების, მისი მეურნეობის პირობების გამო, რომ გლეხი ნახევრადმშრომელი, ნახევრადსპეკულანტია.

ეს ფაქტია. ამ ფაქტს თქვენ ვერ გაექცევით, ვიდრე არ მოსპობთ ფულს, არ მოსპობთ გაცვლა-გამოცვლას. ხოლო ეს რომ გაკეთდეს, საჭიროა პროლეტარიატის მტკიცე ბატონობის მრავალი წელი, იმიტომ რომ მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია დაამარცხოს ბურჟუაზია. როდესაც გვეუბნებიან: «თქვენ არღვევთ თანასწორობას, თქვენ დაარღვიეთ თანასწორობა არა მარტო ექსპლოატატორებთან, — ამაში მე, შეიძლება, დაგეთანხმოთო, აცხადებს რომელიმე სოციალისტ-რევოლუციონერი თუ მენშევიკი, და ის კი არ ესმის, თუ რას ამბობს, — მაგრამ თქვენ დაარღვიეთ მუშების თანასწორობა გლეხებთან, დაარღვიეთ «მშრომელი დემოკრატიის» თანასწორობა, თქვენ დამნაშავენი ხართ!». ჩვენ ვუპასუხებთ: «დიახ, ჩვენ დავარღვიეთ მუშების თანასწორობა გლეხებთან და ვამტკიცებთ, რომ თქვენ, რომლებიც იცავთ ამ თანასწო-

რობას, — კოლჩაკის მომხრეები ხართ». ამას წინათ «პრავდა-ში» მე წავიკითხე ამხ. გერმანოვის ჩინებული სტატია, რომელშიც მოყვანილი იყო მოქალაქე შერის, ერთ-ერთი ყველაზე უფრო «სოციალისტური» სოციალ-დემოკრატი მენშევიკის თეზისები. ეს თეზისები წამოყენებული იყო ერთ ჩვენს კოოპერაციულ დაწესებულებაში. ეს თეზისები ისეთია, რომ კარგი იქნებოდა ამოგვეჭრა იგი დაფაზე, ჩამოგვეკიდა ყოველი ვოლოსტის აღმასკომში და ქვეშ წაგვეწერა: «ესე არს კოლჩაკელი».

მე მშვენივრად ვიცი, რომ ეს მოქალაქე შერი და მისი თანამოაზრეები ამის გამო ცილისმწამებელს და კიდევ უარესს დამარქმევენ. მიუხედავად ამისა, ვთხოვ იმათ, ვისაც უსწავლია პოლიტიკური ეკონომიის ანაბანა და პოლიტიკური ცოდნა გააჩნია, გულდასმით გაერკვეს, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. მოქალაქე შერი ამბობს: საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო პოლიტიკა და საერთოდ ეკონომიური პოლიტიკა არაფრად ვარგა და უნდა გადავიდეთ ჯერ თანდათან, ხოლო შემდეგ უფრო ფართოდ სასურსათო პროდუქტების თავისუფალ ვაჭრობაზე და კერძო საკუთრების უზრუნველყოფაზე.

მე ვამბობ, რომ ეს არის კოლჩაკის ეკონომიური პროგრამა, ეკონომიური საფუძველი. მე ვამტკიცებ, რომ ის, ვისაც წაუკითხავს მარქსი, განსაკუთრებით «კაპიტალის» პირველი თავი, ვისაც წაუკითხავს მარქსის პოპულარიზაცია თუნდაც კაუცკის მიერ: «კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება», ის იმ დასკვნამდე უნდა მივიდეს, რომ მართლაც იმ დროს, როდესაც ხდება პროლეტარიატის რევოლუცია ბურჟუაზიის წინააღმდეგ, როცა ემხობა მემამულური და კაპიტალისტური საკუთრება, როცა შიმშილობს ქვეყანა, გაჩანაგებული ოთხი წლის იმპერიალისტური ომით, პურის ვაჭრობის თავისუფლება ეს არის კაპიტალისტის თავისუფლება, კაპიტალის ბატონობის აღდგენის თავისუფლება. ეს არის კოლჩაკის ეკონომიური პროგრამა, რადგან კოლჩაკს ჰაერი როდი ასულდგმულებს.

მაინცდამაინც ჭკვიანური არ არის კოლჩაკის დაგმობა მხოლოდ იმისთვის, რომ ის ძალმომრეობას მიმართავდა მუშების მიმართ და მასწავლებელ ქალებსაც კი წკეპლავდა იმისათვის, რომ ისინი ბოლშევიკებს თანაუგრძნობდნენ. ეს არის დემოკრატიის ვულგარული დაცვა, ეს არის კოლჩაკისთვის სულელური ბრალდებების წაყენება. კოლჩაკი მოქმედებს იმ საშუალებებით, რომლებიც მას მოეპოვება. მაგრამ რით გააქვს მას თავი ეკონომიურად? მას თავი გააქვს ვაჭრობის თავისუფლებით, იგი მას მიჰყვება, ა მ ი ს თ ვ ი ს უჭერს მას მხარს ყველა კაპიტალისტი. თქვენ კი ამბობთ: «მე კოლჩაკს გამოვეცალე, მე კოლჩაკელი არა ვარო». ეს, რა თქმა უნდა, პატივს გდებს, მაგრამ ეს კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ შენ მხრებზე ისეთი თავი გაბია, რომელსაც მსჯელობის უნარი ჰქონდეს. და ჩვენც ასე ვუპასუხებთ ამ ადამიანებს და სრულიადაც არ ვბღალავთ ესერებისა და მენშევიკების სახელს, რომლებიც მაშინ მოშორდნენ კოლჩაკს, როცა დაინახეს, რომ ის მოძალადეა. მაგრამ თუ ასეთი ადამიანი იმ ქვეყანაში, რომელიც თავგანწირვით ებრძვის კოლჩაკს, განაგრძობს ბრძოლას «მშრომელი დემოკრატიის თანასწორობისათვის», პურის ვაჭრობის თავისუფლებისათვის — ის სწორედ კოლჩაკელია, მას მხოლოდ არ ესმის საქმის ვითარება, თავი და ბოლო ერთმანეთისთვის ვერ მოუბამს.

კოლჩაკს იმით გააქვს თავი, რომ, როცა პურით მდიდარ ადგილს იკავებს, — კოლჩაკი იქნება ის თუ დენიკინი, მუნდირები სხვადასხვაგვარია, დედაარსი კი ერთი, — იქ ნებას რთავს პურის ვაჭრობის თავისუფლებას და კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს ა ღ დ გ ე ნ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს. ასე იყო ყველა რევოლუციის დროს, ასე იქნება ჩვენშიც, თუ პროლეტარიატის დიქტატურიდან გადავალთ ამ «თავისუფლებაზე» და «თანასწორობაზე» ბატონ დემოკრატებისა, ესერებისა, მემარცხენე მენშევიკებისა და სხვათა, ზოგჯერ თვით ანარქისტებისაც კი, — ამისთანა სახელი ბევრია. ახლა უკრაინაში ყოველი ბანდა ირქმევს სახელს, ერთიმეორეზე უფრო თავის-

უფალს, ერთიმეორეზე უფრო დემოკრატიულს, და ყოველ მაზრაში თითო ბანდაა.

თანასწორობას მუშებსა და გლეხებს შორის გვთავაზობენ «მშრომელი გლეხის ინტერესების დამცველები», უმეტეს ნაწილად ესენი არიან ესერები. სხვები, როგორც, მაგალითად, მოქალაქე შერი, სწავლობდნენ მარქსიზმს და მათ მაინც არ ესმით, რომ თანასწორობა მუშასა და გლეხს შორის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ ხანაში შეუძლებელია, და ისინი, ვინც ამას ჰპირდებიან, ისეთ ადამიანებად უნდა ვაღიაროთ, რომლებიც ავითარებენ კოლჩაკის პროგრამას, თუნდაც მათ ეს არ ესმოდეთ. მე ვამტკიცებ, რომ ყველა, ვინც ჩაუფიქრდება ქვეყნის, მეტადრე სავსებით გაჩანაგებული ქვეყნის, კონკრეტულ პირობებს, ის ამას გაიგებს.

ჩვენი «სოციალისტები», რომლებიც ამტკიცებენ, ახლა ჩვენ ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდი გვაქვსო, მუდამ იმ ბრალდებას გვიყენებენ, რომ ჩვენი კომუნიზმი სამომხმარებლო კომუნიზმია. ზოგიერთები უმატებენ — ჯარისკაცთა კომუნიზმიო, და თავი მოაქვთ უფრო მაღლა მდგომად, თავი ისე მოაქვთ, რომ ისინი კომუნიზმის ამ «დაბალ» სახეობაზე მაღლა დადგნენ. ეს, უბრალოდ რომ ვთქვათ, ის ადამიანები არიან, რომლებიც ისე ატრიალებენ სიტყვებს, როგორც სურთ. მათ წიგნები უნახავთ, წიგნები დაუზეპირებიათ, წიგნები გაუმეორებიათ და წიგნებში სრულიად ვერაფერი გაუგიათ. არიან ხოლმე ასეთი სწავლული ადამიანები და უაღრესად სწავლულებიც კი. წიგნებში მათ წაუკითხავთ, რომ სოციალიზმი არის წარმოების უმაღლესი განვითარება. კაუცკი ახლაც კი მხოლოდ იმას აკეთებს, რომ ამას იმეორებს. ამ დღეებში შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა ერთი გერმანული გაზეთი და მასში წავიკითხე გერმანიის საბჭოების უკანასკნელი ყრილობის ამბავი. მომხსენებლად გამოსულა კაუცკი და თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღუნიშნავს, — პირადად კაუცკი კი არ გამოსულა, არამედ მისი ცოლი, რადგან თვითონ ავად იყო და ცოლმა წაიკითხა მისი

მოხსენება, — ამ მოხსენებაში ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ სოციალიზმი არის წარმოების უმაღლესი განვითარება და რომ წარმოების განუვითარებლად ვერც კაპიტალიზმი და ვერც სოციალიზმი ვერ იარსებებს, ეს კი გერმანელ მუშებს არ ესმითო.

საბრალო გერმანელი მუშები! ისინი ებრძვიან შეიდემანსა და ნოსკეს, ებრძვიან ჯალათებს, ცდილობენ დაამხონ ბატონობა ჯალათ შეიდემანისა და ნოსკესი, რომლებიც კვლავ სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ თავიანთ თავს, ისინი ფიქრობენ, რომ სამოქალაქო ომი წარმოებს. მოკლულია ლიბკნეხტი, მოკლულია როზა ლუქსემბურგი. ყველა რუსი ბურჟუა ამბობს — ეს დაბეჭდილი იყო ეკატერინოდარის გაზეთში: — «აი როგორ უნდა მოვექცეთ ჩვენს ბოლშევიკებსო!». სწორედ ასეა დაბეჭდილი. ვისაც საქმის ვითარება ესმის, მან მშვენივრად იცის, რომ მთელი საერთაშორისო ბურჟუაზია ამ თვალსაზრისზე დგას. საჭიროა თავი დავიცვათ. შეიდემანი და ნოსკე სამოქალაქო ომს აწარმოებენ პროლეტარიატის წინააღმდეგ. ომი ომია. გერმანელი მუშები ფიქრობენ, რომ სამოქალაქო ომში არიან ჩაბმული, ყველა დანარჩენ საკითხს კი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა გამოვკვებოთ მუშა. კაუცკი ამას უწოდებს ჯარისკაცთა ანუ სამომხმარებლო კომუნიზმს. საჭიროა განვავითაროთ წარმოებაო!..

ოჰ, ბრძენთა-ბრძენო ბატონებო! მაგრამ როგორ შეგიძლიათ განავითაროთ წარმოება ისეთ ქვეყანაში, რომელიც გაძარცული და გაჩანაგებულია იმპერიალისტების მიერ, სადაც არ არის ქვანახშირი, არ არის ნედლეული, არ არის წარმოების იარაღები? «წარმოების განვითარებაო»! ჩვენ სახალხო კომისართა საბჭოს ან თავდაცვის საბჭოს არც ერთი ისეთი სხდომა არა გვაქვს, სადაც არ ვანაწილებდეთ უკანასკნელ რამდენიმე მილიონ ფუთ ქვანახშირს ან ნავთობს და არ განვიცდიდეთ მტანჯავ მდგომარეობას, როცა ყველა კომისარს მიაქვს თავისთვის უკანასკნელი ნარჩენები, მაგრამ არც ერთს არ ჰყოფნის და საჭიროა გადავწყვიტოთ: აქ და-

ვხუროთ ფაბრიკები თუ იქ, აქ დავტოვოთ მუშები უმუშევრად თუ იქ, — მტანჯავი საკითხია, მაგრამ იძულებული ვართ ასე მოვიქცეთ, იმიტომ რომ ქვანახშირი არ არის. ქვანახშირი დონეცის აუზშია, ქვანახშირი მოსპო გერმანელთა შემოსევამ. აიღეთ ბელგია, პოლონეთი, — ეს ტიპიური მოვლენაა, ყველგან იგივე ხდება, როგორც იმპერიალისტური ომის შედეგი. ეს იმას ნიშნავს, რომ უმუშევრობა და შიმშილი მოგვველის მრავალი წლით, რადგან არის ისეთი მაღაროები, რომლებსაც, როცა ისინი წყლით არის ამოვსებული, მრავალი წლის განმავლობაში ვერ აღადგენ. და ასეთ პირობებში გვეუბნებიან: «სოციალიზმი არის წარმოების ნაყოფიერების გადიდება». წიგნები წაგიკითხავთ, ჩვენო კარგებო, წიგნები დაგიწერიათ, წიგნებში ვერაფერი გაგიგიათ. (ტ ა შ ი.)

რა თქმა უნდა, ისეთი კაპიტალისტური საზოგადოების თვალსაზრისით, რომელიც მშვიდობიან დროს მშვიდობიანად გადავიდოდა სოციალიზმზე, ჩვენ არ გვექნებოდა იმაზე უფრო გადაუდებელი ამოცანები, როგორიცაა ნაყოფიერების გადიდება. ოღონდ საჭიროა დავურთოთ პატარა სიტყვა: «რომ». სოციალიზმი რ ო მ ისე მშვიდობიანად იბადებოდეს, როგორც ბატონმა კაპიტალისტებმა არ მოისურვეს ნება მიეცათ მისთვის დაბადებულიყო. ცოტა რამ დააკლდათ. ომი რომ არც ყოფილიყო, ბატონი კაპიტალისტები მაინც ყოველგვარ ზომებს მიიღებდნენ, რომ არ დაეშვათ ასეთი მშვიდობიანი განვითარება. დიდი რევოლუციები, მაშინაც კი, როდესაც ისინი მშვიდობიანად იწყებოდა, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუცია, მთავრდებოდა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მიერ ატეხილი გააფთრებული ომებით. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, თუ ამ საკითხს შევხედავთ კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით და არა თავისუფლების, თანასწორობის, მშრომელი დემოკრატიისა და უმრავლესობის ნების შესახებ იმ მეშჩანური ფრაზიორობის, იმ მეშჩანური გონებაჩლუნგი ფრაზიორობის თვალსაზრისით, რომლითაც გვიმასპინძლდებიან მენშევიკები, ესერები, მთელი ეს «დემოკრატია». მშვიდობიანი განვითარება სოციალიზმისაკენ

შეუძლებელია. ახლანდელ პერიოდში კი, იმპერიალისტური ომის შემდეგ, სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, რომ განვითარება მიმდინარეობდეს მშვიდობიანად, განსაკუთრებით გაჩანაგებულ ქვეყანაში. აიღეთ საფრანგეთი. საფრანგეთი გამარჯვებული ქვეყანაა, პურის წარმოება კი იქ სანახევროდ შემცირდა. ინგლისში, მე წავიკითხე ინგლისურ ბურჟუაზიულ გაზეთებში, ამბობენ: «ჩვენ ახლა ღატაკნი ვართო». და როგორ უნდა უსაყვედურო გაჩანაგებულ ქვეყანაში კომუნისტებს წარმოების შეჩერება! ვინც ამას ლაპარაკობს, ის ან მთლად იდიოტია, თუნდაც ბერნის ინტერნაციონალის სამგზის ბელადს უწოდებდეს თავს, ან მუშების მოღალატეა.

იმ ქვეყანაში, რომელიც გაჩანაგებულია, პირველი ამოცანაა — გადაარჩინო მშრომელი. მთელი კაცობრიობის პირველი საწარმოო ძალაა მუშა, მშრომელი. თუ ის გადარჩება, ჩვენ *ყველაფერს* გადავარჩენთ და აღვადგენთ.

ჩვენ მოვითმენთ მრავალი წლის სიღატაკეს, უკან დაბრუნებას, ბარბაროსობისკენ. ჩვენ უკან, ბარბაროსობისკენ უკუგვაგდო იმპერიალისტურმა ომმა, და, თუ გადავარჩენთ მშრომელს, გადავარჩენთ კაცობრიობის მთავარ საწარმოო ძალას — მუშას, — ჩვენ *ყველაფერს* დავიბრუნებთ, მაგრამ ჩვენ დავიღუპებით, თუ ვერ შევძლებთ მის გადარჩენას, ამიტომ მას, ვინც ასეთ დროს გაჰყვირის სამომხმარებლო და ჯარისკაცთა კომუნიზმზე, ქედმაღლურად დაჰყურებს სხვებს და წარმოუდგენია, რომ ის უფრო ამაღლდა, ვიდრე ეს ბოლშევიკი-კომუნისტები, მას, ვიმეორებ, აბსოლუტურად არაფერი ესმის პოლიტიკურ ეკონომიაში, ის ჩაჰფრენია წიგნებიდან ამოღებულ ციტატებს, როგორც მეცნიერი, რომელსაც თავში თითქოს ციტატებით სავსე ყუთი აქვს და იქიდან იღებს ამ ციტატებს, ხოლო თუ ახალი კომბინაცია შეიქმნა, რომელიც წიგნში აწერილი არ არის, ის იბნევა და ყუთიდან იღებს სწორედ არა იმ ციტატს, რომელიც საჭიროა.

იმ დროს, როცა ქვეყანა გაჩანაგებულია, ჩვენი მთავარი ძირითადი ამოცანაა — დავიცვათ მუშის სიცოცხლე, გადა-

ვარჩინოთ მუშა, ხოლო მუშები იმიტომ იღუპებიან, რომ ფაბრიკები დგება, ხოლო ფაბრიკები იმიტომ დგება, რომ არ არის სათბობი, აგრეთვე იმიტომაც, რომ ჩვენი წარმოება სულ ხელოვნურია, მრეწველობა მოწყვეტილია ნედლეულის მიღების ადგილებს. ეს მთელ მსოფლიოში ასეა. რუსეთის ბამბეულის ფაბრიკებს ნედლეული უნდა მიუზიდო ეგვიპტიდან, ამერიკიდან, ყველაზე ახლო — თურქესტანიდან; აბა ეცადეთ და მიუზიდეთ, როცა იქ კონტრრევოლუციურმა ბანდებმა და ინგლისის ჯარებმა ხელთ იგდეს აშხაბადი და კრასნოვოდსკი, მიუზიდეთ ეგვიპტიდან, ამერიკიდან, როცა რკინიგზებს არ მოაქვთ, როცა ისინი გაანადგურეს, როცა რკინიგზები დგას, ქვანახშირი არ არის.

საჭიროა გადავარჩინოთ მუშა, თუმცა მას მუშაობა არ შეუძლია. თუ მას გადავარჩენთ ამ რამდენიმე წელს, ჩვენ ვიხსნით ქვეყანას, საზოგადოებას და სოციალიზმს. თუ ვერ გადავარჩენთ, დავქანდებით უკან, დაქირავებული მონობისკენ. ასე დგას სოციალიზმის საკითხი, სოციალიზმისა, რომელიც იბადება არა მშვიდობიანი ჩერჩეტის ფანტაზიიდან, სოციალდემოკრატს რომ უწოდებს თავის თავს, არამედ რეალური სინამდვილიდან, გააფთრებული, თავგანწირული სასტიკი კლასობრივი ბრძოლიდან. ეს ფაქტია. ყველაფერი უნდა შევწიროთ მუშის არსებობის გადასარჩენად. და ამ თვალსაზრისით, როცა მოდიან და გვეუბნებიან: «ჩვენ მხარს ვუჭერთ მშრომელი დემოკრატიის თანასწორობას, თქვენ კი, კომუნისტები, თანასწორობას არ ანიჭებთ თვით მუშებსაც და გლეხებსაცო», — ჩვენ ვუპასუხებთ: მუშა და გლეხი, როგორც მშრომელები, თანასწორი არიან, მაგრამ პურით მაძღარი სპეკულანტი თანასწორი არ არის მშიერი მშრომელისა. მხოლოდ ამიტომ სწერია ჩვენს კონსტიტუციაში, რომ მუშა და გლეხი თანასწორი არ არიან.

თქვენ ამბობთ, ისინი თანასწორი უნდა იყვნენო? მოდით ავწონ-დავწონოთ, ვიანგარიშოთ. ავიღოთ 60 გლეხი და 10 მუშა. 60 გლეხს აქვს ნაჭარბი პური. ისინი ჩამოფლეთილი არიან, მაგრამ მათ პური აქვთ. ავიღოთ 10 მუშა. იმპერია-

ლისტური ომის შემდეგ ისინი ჩამოფლეთილი, გაწამებული არიან, მათ არა აქვთ პური, სათბობი, ნედლეული. ფაბრიკები დგას. რა გამოდის, თქვენი აზრით ისინი თანასწორი არიან? 60 გლეხს უფლება აქვს გადაწყვიტოს, ხოლო 10 მუშა უნდა დაემორჩილოს? ეს არის მშრომელი დემოკრატიის თანასწორობის, ერთიანობისა და უმრავლესობის გადაწყვეტილების დიადი პრინციპი!

ასე გვეუბნებიან. ჩვენ ვუპასუხებთ: «ტაკიმასხარები ხართ, რადგან ლამაზი სიტყვებით აფუჩეჩებთ და ფარავთ შიმშილის საკითხს».

გეკითხებით: მშიერ მუშებს გაჩანაგებულ ქვეყანაში, სადაც ფაბრიკები დგას, აქვთ თუ არა უფლება დაემორჩილონ გლეხების უმრავლესობის გადაწყვეტილებას, თუ ისინი არ იძლევიან ნაჭარბ პურს? აქვთ თუ არა მათ უფლება წაიღონ ეს ნაჭარბი პური თუნდაც ძალით, თუ სხვანაირად შეუძლებელია? გვიპასუხეთ პირდაპირ! აქ იწყებენ მელაკუდობას და კუდის ქნევას, როცა საკითხი ეხება საქმის ნამდვილ დედაარსს.

ყველა ქვეყანაში მრეწველობა გაჩანაგებულია და გაჩანაგებული იქნება რამდენიმე წლის განმავლობაში, იმიტომ რომ ფაბრიკების დაწვა ან მაღაროების წყლით ამოვსება ადვილი რამაა, ვაგონების აფეთქება, ორთქლმავლების დამტვრევა ადვილი რამაა, ეს ყოველ ბრიყვს, თუნდაც მას გერმანელი ან ფრანგი ოფიცერი ერქვას, ადვილად შეუძლია, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას კარგი ასაფეთქებელი, სასროლი მანქანა აქვს და სხვა, მაგრამ აღდგენა ძალიან ძნელი საქმეა, ამას წლები სჭირდება.

გლეხები განსაკუთრებული კლასია: როგორც მშრომელნი, ისინი მტრები არიან კაპიტალისტური ექსპლოატაციისა, მაგრამ ამავე დროს ისინი მესაკუთრენი არიან. გლეხი ასეული წლობით იზრდებოდა იმ სულისკვეთებით, რომ პური მისია და ნება აქვს გაყიდოს იგი. ეს ჩემი უფლებაა, ფიქრობს გლეხი, რადგან ეს ჩემი შრომა, ჩემი ოფლი და სისხლიაო. მისი ფსიქოლოგიის სწრაფად გარდაქმნა შეუძლებე-

ლია, ეს ბრძოლის ხანგრძლივი და ძნელი პროცესია. ვისაც წარმოუდგენია, რომ სოციალიზმზე გადასვლა ისეთი იქნება, რომ ერთი დაარწმუნებს მეორეს, მეორე — მესამეს, ის უკეთეს შემთხვევაში ბალღი ან პოლიტიკური თვალთმაქცია, ხოლო იმ ადამიანებიდან, რომლებიც პოლიტიკურ კათედრაზე გამოდიან, უმრავლესობა, რა თქმა უნდა, უკანასკნელ კატეგორიას ეკუთვნის.

საკითხი იმგვარად დგას, რომ გლეხი მიჩვეულია პურის თავისუფალ ვაჭრობას. როდესაც ჩვენ კაპიტალისტური დაწესებულებები დავამხვეთ, აღმოჩნდა, რომ არსებობს კიდევ ერთი ძალა, რომელსაც ეყრდნობოდა კაპიტალიზმი, — ეს არის ჩვეულების ძალა. რაც უფრო გაბედულად დავამხვეთ ჩვენ ყველა ის დაწესებულება, რომლებიც კაპიტალიზმს ხელს უწყობდნენ, მათ უფრო ნათლად გამოჩნდა მეორე ძალა, რომელიც კაპიტალიზმს ხელს უწყობდა, — ჩვეულების ძალა. დაწესებულება შეიძლება მარჯვე შემთხვევაში ერთბაშად დაამსხვრიო, ჩვეულებას ვერასდროს, ვერავითარ მარჯვე შემთხვევაში ერთბაშად ვერ დაამსხვრევ. როდესაც ჩვენ მთელი მიწა მივეცით გლეხობას, გავათავისუფლეთ იგი მემამულური მიწათმფლობელობისგან, როცა დავამხვეთ ყველაფერი, რაც მას ბოჭავდა, ის კვლავ «თავისუფლებად» თვლის პურის თავისუფლად გაყიდვას და არათავისუფლებად — ნაჭარბი პურის მტკიცე ფასად გაცემის ვალდებულებას. რას ჰგავს ეს და როგორ თუ «გავცეო», აღშფოთებით ამბობს გლეხი, მეტადრე, თუ აპარატიც ცუდია, ის კი იმიტომაა ცუდი, რომ მთელი ბურჟუაზიული ინტელიგენცია სუხარევკის მომხრეა. გასაგებია, რომ ეს აპარატი უნდა ეყრდნობოდეს იმ ადამიანებს, რომლებიც სწავლობენ; უკეთეს შემთხვევაში, თუ ისინი კეთილსინდისიერი და საქმის ერთგული არიან, რამდენიმე წელიწადში ისწავლიან, მანამდე კი აპარატი ცუდი იქნება, ზოგჯერ კი მას ეტმასნებიან ყოველგვარი გაიძვერები, რომლებიც კომუნისტების სახელს ირქმევენ. ეს საფრთხე მოელის ყოველ მმართველ პარტიას, ყოველ ძლევამოსილ პროლეტარიატს, რადგან ერთბაშად ვერც ბურჟუაზიის

წინააღმდეგობას გასტეხ და ვერც სრულყოფილ აპარატს შექმნი. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ სასურსათო კომისარიატის აპარატი ჯერ კიდევ ცუდია. ამას წინათ მოახდინეს იმის მეცნიერული სტატისტიკური გამოკვლევა, თუ როგორ იკვებება მუშა არასამიწათმოქმედო გუბერნიებში. აღმოჩნდა, რომ ის პროდუქტების მთელი რაოდენობის ნახევარს იღებს სასურსათო კომისარიატისგან, მეორე ნახევარს კი სპეკულანტებისგან; პირველი ნახევრისთვის იხდის მთელი თავისი სასურსათო ხარჯების ერთ მეათედს, მეორე ნახევრისთვის — ცხრა მეათედს.

სურსათის ნახევარი, რომელიც შეაგროვა და შემოიტანა სასურსათო კომისარიატმა, რა თქმა უნდა, ცუდად არის შეგროვილი, მაგრამ იგი შეგროვილია სოციალისტურად და არა კაპიტალისტურად. იგი შეგროვილია სპეკულანტის დამარცხებით და არა მასთან გარიგებით, იგი შეგროვილია დამშეული მუშების ინტერესების გულისათვის ქვეყნიერებაზე მთელი დანარჩენი ინტერესების შეწირვით, მათ შორის იმ ფორმალური «თანასწორობის» ინტერესებისაც, რომლითაც თავი მოსწონთ ბატონ მენშევიკებს, ესერებსა და კომპანიას. თავი დაგვანებეთ თქვენი «თანასწორობით», ბატონებო, ჩვენ კი დავრჩებით მშიერ მუშებთან ერთად, რომლებიც ჩვენ შიმშილს გადავარჩინეთ. როგორც უნდა გვისაყვედურონ მენშევიკებმა «თანასწორობის» დარღვევისათვის, ფაქტი მაინც ის არის, რომ ჩვენ სურსათის ამოცანა სანახევროდ გადავწყვიტეთ გაუგონარ, განუზომელ სიძნელეთა პირობებში. და ჩვენ ვამბობთ, რომ თუ 60 გლეხს ნაჭარბი პური აქვს, ხოლო 10 მუშა შიმშილობს, უნდა ვილაპარაკოთ არა საერთოდ «თანასწორობაზე» და არა «მშრომელ ადამიანთა თანასწორობაზე», არამედ 60 გლეხის უეჭველ ვალდებულებაზე დაემორჩილონ 10 მუშის გადაწყვეტილებას და მისცენ მათ, თუნდაც სესხად, ნაჭარბი პური.

მთელი პოლიტიკური ეკონომია, თუკი ვისმე რამე უსწავლია იქიდან, რევოლუციის მთელი ისტორია, პოლიტიკური განვითარების მთელი ისტორია მთელი XIX საუკუნის განმავ-

ლობაში გვასწავლის, რომ გლეხი მიჰყვება ან მუშას, ან ბურჟუას. მას სხვანაირად სიარული არ შეუძლია. ეს, რა თქმა უნდა, ზოგიერთ დემოკრატს, შეიძლება, საწყენად დარჩეს, — ზოგიერთი იფიქრებს, თითქოს მე მარქსისტული შარიანობით ცილს ვწამებდე გლეხს. გლეხები უმრავლესობაა, ისინი მშრომელები არიან — და საკუთარი გზით ვერ ივლიანო! რატომ ვერ ივლიანო?

თუ თქვენ არ იცით რატომ, ვეტყოდი მე ასეთ მოქალაქეებს, წაიკითხეთ მარქსის პოლიტიკური ეკონომიის საწყისები, მისი გადმოცემა კაუცკის წიგნში, ჩაუფიქრდით XVIII და XIX საუკუნის რომელიმე დიდი რევოლუციის განვითარებას, XIX საუკუნის რომელიმე ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიას. ის გიპასუხებთ რატომ. კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკა ისეთია, რომ გაბატონებული ძალა შეიძლება იყოს მხოლოდ კაპიტალი ან მისი დამამხობელი პროლეტარიატი.

ს ხ ვ ა ძ ა ლ ე ბ ი ა რ ა რ ი ს ა მ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ე კ ო ნ ო მ ი კ ა შ ი.

გლეხი ნახევრადმშრომელი, ნახევრადსპეკულანტია. გლეხი მშრომელია, იმიტომ რომ ოფლითა და სისხლით შოულობს ლუკმა პურს, მას ექსპლოატაციას უწევენ მემამულეები, კაპიტალისტები, ვაჭრები. გლეხი სპეკულანტია, იმიტომ რომ ჰყიდის პურს, აუცილებელი საჭიროების საგანს, საგანს, რომელიც, თუ ის არა გაქვს, ღირს იმად, რომ მთელი ავლადიდება მისცე მასში. შიმშილი მწარეა; პურში აძლევენ ათას მანეთსაც და რამდენიც გნებავთ, თუნდაც მთელ ქონებას.

გლეხი აქ დამნაშავე არ არის, მაგრამ მისი ეკონომიური პირობები ისეთია, რომ ის ცხოვრობს სასაქონლო მეურნეობის პირობებში, ცხოვრობდა ათეული და ასეული წლები, მიეჩვია თავისი პურის გადაცვლას ფულზე. ჩვეულებას ვერ გარდაქმნი, ფულს ერთბაშად ვერ მოსპობ. მის მოსასპობად საჭიროა ჩამოაყალიბო პროდუქტების განაწილების ორგანიზაცია ასეული მილიონობით ადამიანისთვის, — ეს შორეული საქმეა. და აი ვიდრე სასაქონლო მეურნეობა არსებობს, ვიდ-

რე არიან მშიერი მუშები მაძღარი გლეხების გვერდით, რომლებიც ნაჭარბ პურს მალავენ, მანამდე რჩება მუშათა და გლეხთა ინტერესების ერთგვარი წინააღმდეგობა, და ვინც ცხოვრების მიერ შექმნილ ამ რეალურ წინააღმდეგობას თავს არიდებს ლაყბობით «თავისუფლების», «თანასწორობისა» და «მშრომელი დემოკრატიის» შესახებ, ის უკეთეს შემთხვევაში უშინაარსო ფრაზიორია, ხოლო უარეს შემთხვევაში — კაპიტალიზმის თვალთმაქცი დამცველი. თუ კაპიტალიზმი დაამარცხებს რევოლუციას, დაამარცხებს გლეხთა უვიცობის გამოყენებით, იმით, რომ მათს გულს იგებს, ინადირებს თავისუფალი ვაჭრობის დაბრუნებით. ფაქტიურად მენშევიკები და ესერები კაპიტალიზმის მხარეზე დგანან სოციალიზმის წინააღმდეგ.

კოლჩაკის, დენიკინის და ყველა რუსი თეთრგვარდიელის ეკონომიური პროგრამაა თავისუფალი ვაჭრობა. ეს მათ ესმით, და რა მათი ბრალია, რომ მოქალაქე შერს ეს არ ესმის. ცხოვრების ეკონომიური ფაქტები იმით როდი იცვლება, რომ ამა თუ იმ პარტიას არ ესმის ისინი. ბურჟუაზიის ლოზუნგია — თავისუფალი ვაჭრობა. ცდილობენ მოატყუონ გლეხები და ეუბნებიან: «განა არ სჯობდა ძველებურად ცხოვრება? განა არ სჯობდა სამიწათმოქმედო შრომის თავისუფალი გაყიდვით ცხოვრება? რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო სამართლიანი?». ასე ამბობენ შეგნებული კოლჩაკელები, და ისინი მართალი არიან კაპიტალის ინტერესების თვალსაზრისით. რუსეთში კაპიტალის ბატონობის აღსადგენად საჭიროა დაეყრდნო ტრადიციებს — გლეხის ცრურწმენას მისი გონების წინააღმდეგ, თავისუფალი ვაჭრობის ძველ ჩვეულებას, და საჭიროა ძალით ჩაახშო მუშების წინააღმდეგობა. სხვა გამოსავალი არ არისო. კაპიტალის თვალსაზრისით კოლჩაკელები მართალი არიან, თავიანთ ეკონომიურ და პოლიტიკურ პროგრამაში მათ ეხერხებათ თავისა და ბოლოს შეერთება, ესმით, სად არის თავი და სად ბოლო, ესმით კავშირი გლეხთა თავისუფალ ვაჭრობასა და მუშების ძალმომრეობით დახვრეტას შორის. კავშირი არსებობს, თუმცა მოქალაქე შერს ეს არ

ესმის. პურის თავისუფალი ვაჭრობა კოლჩაკელების ეკონომიური პროგრამაა, ათიათასობით მუშის დახვრეტა (როგორც ეს მოხდა ფინეთში) აუცილებელი საშუალებაა ამ პროგრამის განსახორციელებლად, იმიტომ რომ მუშა უბრალოდ არ დასთმობს იმ მონაპოვართ, რომლებიც მან შეიძინა. კავშირი განუყრელია, ხოლო ის ადამიანები, რომლებსაც სრულიად არაფერი გაეგებათ ეკონომიურ მეცნიერებასა და პოლიტიკაში, ადამიანები, რომლებსაც თავიანთი მეშჩანური შიშის გამო დავიწყებიათ სოციალიზმის საფუძვლები, სახელდობრ მენშევიკები და «სოციალ-რევოლუციონერები», ეს ადამიანები ცდილობენ გვაიძულონ დავივიწყოთ ეს კავშირი ფრაზებით «თანასწორობის», «თავისუფლების» შესახებ, გოდებით, რომ ჩვენ ვარღვევთ თანასწორობის პრინციპს «მშრომელი დემოკრატიის» შიგნით, რომ ჩვენი კონსტიტუცია «უსამართლოა».

რამდენიმე გლეხის ხმა იმდენსავეს ნიშნავს, რამდენსაც ერთი მუშის ხმა. ეს უსამართლობა არის?

არა, ეს სამართლიანია იმ ეპოქისთვის, როცა საჭიროა დავამხოთ კაპიტალი. მე ვიცი, საიდან იღებთ სამართლიანობის თქვენს გაგებას. ის თქვენ აღებული გაქვთ გუშინდელი კაპიტალისტური ეპოქიდან. საქონელმფლობელი, მისი თანასწორობა, მისი თავისუფლება — აი თქვენი გაგება სამართლიანობისა. ეს არის წვრილბურჟუაზიული ცრურწმენის წვრილბურჟუაზიული ნაშთები — აი რას წარმოადგენს თქვენი სამართლიანობა, თქვენი თანასწორობა, თქვენი მშრომელი დემოკრატია. ჩვენთვის კი სამართლიანობა ემორჩილება კაპიტალის დამხობის ინტერესებს. კაპიტალის დამხობა შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატის გაერთიანებული ძალღონით.

შეიძლება თუ არა ათეული მილიონობით გლეხის ერთბაშად და მტკიცედ გაერთიანება კაპიტალის წინააღმდეგ, თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ? თქვენ ამას ვერ შესძლებთ ეკონომიური პირობების გამო, თუნდაც გლეხები სრულიად თავისუფალი და გაცილებით უფრო კულტურული იყვნენ. ამას ვერ შესძლებთ, იმიტომ რომ ამისთვის საჭიროა სხვა ეკონო-

მიური პირობები, ამისთვის საჭიროა ხანგრძლივი მომზადება. მერე ვინ შესძლებს ამას, ამ მომზადებას? ან პროლეტარიატი, ან ბურჟუაზია.

გლეხი თავისი ეკონომიური მდგომარეობით ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გარდუვალად ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ ის ან მუშას მიჰყვება, ან ბურჟუაზიას. შუათანა რამ არ არსებობს. ის შეიძლება მერყეობდეს, დაიბნეს, ფანტაზიას მიეცეს, შეიძლება კიცხავდეს, ილანძღებოდეს, მას შეუძლია შეაჩვენოს პროლეტარიატის «გონებაშეზღუდული» წარმომადგენლები, ბურჟუაზიის «გონებაშეზღუდული» წარმომადგენლები. ისინი ხომ უმცირესობას წარმოადგენენო. ისინი შეიძლება შევაჩვენოთ, ვილაპარაკოთ მაღალფარდოვანი ფრაზები უმრავლესობის შესახებ, თქვენი მშრომელი დემოკრატიის ფართო, საყოველთაო ხასიათის შესახებ, წმინდა დემოკრატიის შესახებ. სიტყვები რამდენიც გნებავთ იმდენი შეიძლება ავასხათ. ეს იქნება სიტყვები, რომლებიც დაჰფარავენ იმ ფაქტს, რომ თუ გლეხი არ მიჰყვება მუშას, ის მიჰყვება ბურჟუაზიას. შუათანა რამ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. და ის ადამიანები, რომლებიც ისტორიის ამ უძნელესი გადასვლის დროს, როცა მუშები შიმშილობენ და მათი მრეწველობა დგას, არ ეხმარებიან მუშებს პურის მიღებაში უფრო სამართლიან, არა «თავისუფალ» ფასში, არა კაპიტალისტურ, არა ჩარჩულ ფასში, — ეს ადამიანები ახორციელებენ კოლჩაკელების პროგრამას, რაც უნდა უარყოფდნენ ისინი ამას თვითონ პირადად თავისთვის და რაც უნდა გულწრფელად იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ ისინი კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ პროგრამას.

V

ახლა მე შევჩერდები ჩემს მიერ დასახულ უკანასკნელ საკითხზე, რევოლუციის დამარცხებისა და გამარჯვების საკითხზე. კაუცკიმ, რომელიც მე დაგისახელეთ, როგორც ძველი, დამპალი სოციალიზმის მთავარი წარმომადგენელი, ვერ გაი-

გო პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანები. ის გვისაყვედურებდა, უმრავლესობით საკითხის გადაწყვეტა ისეთი გადაწყვეტა იქნებოდა, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობიან გამოსავალსო. დიქტატურით გადაწყვეტა ეს არის სამხედრო გზით გადაწყვეტა. მაშასადამე, თუ სამხედრო გზით ვერ მოიგებთ, თქვენ დაგამარცხებენ და მოგსპობენ, იმიტომ რომ სამოქალაქო ომში ტყვეები არ მიჰყავთ, მათ სპობენო. ასე «გვაშინებდა» შეშინებული კაუცკი.

სრული სიმართლეა. ეს ფაქტია. ჩვენ ვადასტურებთ ამ დაკვირვების სისწორეს. აქ ლაპარაკი ზედმეტია. სამოქალაქო ომი უფრო სერიოზული და სასტიკია, ვიდრე ყოველგვარი სხვა ომი. ყოველთვის ასე ყოფილა ისტორიაში, დაწყებული ძველი რომის სამოქალაქო ომებით, იმიტომ რომ საერთაშორისო ომები ყოველთვის თავდებოდა გარიგებით შეძლებულ კლასებს შორის, და დაჩაგრული კლასი მხოლოდ სამოქალაქო ომში მიმართავს თავის ძალ-ღონეს იქითკენ, რომ ბოლომდე მოსპოს მჩაგვრელი კლასი, მოსპოს ამ კლასის არსებობის ეკონომიური პირობები.

გეკითხებით: რა ფასი აქვთ ისეთ «რევოლუციონერებს», რომლებიც დაწყებულ რევოლუციას იმით აშინებენ, რომ იგი შეიძლება დამარცხდესო? არ ყოფილა, არ არის, არ იქნება და არც შეიძლება იყოს ისეთი რევოლუციები, რომლებსაც დამარცხების რისკი არ გაეწიოთ. რევოლუცია ეწოდება კლასთა თავგანწირულ ბრძოლას, რომელიც უდიდეს გააფთრებამდეა მისული. კლასობრივი ბრძოლა გარდუვალია. ან ხელი უნდა ავიღოთ საერთოდ რევოლუციაზე, ან უნდა ვაღიაროთ, რომ შეძლებულ კლასებთან ბრძოლა ყველაზე გააფთრებული იქნება ყველა რევოლუციათა შორის. ამის შესახებ რამდენადმე შეგნებულ სოციალისტებში აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. როდესაც მე მიხდებოდა კაუცკის ამ ნაწერების მთელი რენეგატული სარჩულის განხილვა, ერთი წლის წინათ ვწერდი: თუნდაც ხვალ, — ეს იყო გასული წლის სექტემბერში, — თუნდაც ხვალ რომ დაამხონ იმპერიალისტებმა ბოლშევიკური ხელისუფლება, ჩვენ ერთი

წუთითაც არ ვინანებდით, რომ ხელისუფლება ვიკისრეთ. და არც ერთი შეგნებული მუშა, რომელიც მშრომელი მასების ინტერესებს გამოხატავს, არ ინანებს ამას, არ დაეჭვდება, რომ ჩვენმა რევოლუციამ მაინც გაიმარჯვა. რადგან რევოლუცია იმარჯვებს, თუ მას წინ მიჰყავს მოწინავე კლასი, რომელიც სერიოზულ ლახვარს სცემს ექსპლოატაციას. რევოლუციები ასეთ ვითარებაში მაშინაც კი იმარჯვებენ, როცა მარცხდებიან. ეს შეიძლება სიტყვების თამაშად მოეჩვენოს ვისმე, მაგრამ იმის დასანახვებლად, რომ ეს ფაქტია, ავიღოთ კონკრეტული მაგალითი ისტორიიდან.

აიღეთ საფრანგეთის დიდი რევოლუცია. მას ტყუილად კი არ ეწოდება დიდი. თავისი კლასისთვის, რომლისთვისაც ის მუშაობდა, ბურჟუაზიისთვის, მან ისე ბევრი რამ გააკეთა, რომ მთელმა XIX საუკუნემ, იმ საუკუნემ, რომელმაც ცივილიზაცია და კულტურა მისცა მთელ კაცობრიობას, საფრანგეთის რევოლუციის ნიშნით ჩაიარა. მსოფლიოს ყოველ კუთხეში ის მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ ატარებდა, ნაწილ-ნაწილ ახორციელებდა, ამთავრებდა იმას, რაც შექმნეს ბურჟუაზიის დიდმა ფრანგმა რევოლუციონერებმა, ბურჟუაზიისა, რომლის ინტერესებს ისინი ემსახურებოდნენ, თუმცა ეს' არც კი ჰქონდათ შეგნებული, ინიღბებოდნენ რა სიტყვებით თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის შესახებ.

ჩვენმა რევოლუციამ ჩვენი კლასისთვის, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, პროლეტარიატისთვის, წლინახევრის განმავლობაში უკვე გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე საფრანგეთის დიდმა რევოლუციონერებმა.

მათ თავიანთ ქვეყანაში ორი წელი გასძლეს და დაიღუპნენ იმით, რომ მათ ევროპის გაერთიანებულმა რეაქციამ ლახვარი ჩასცა, დაიღუპნენ იმით, რომ ლახვარი ჩასცეს მთელი მსოფლიოს გაერთიანებულმა ურდოებმა, რომლებმაც გასტეხეს საფრანგეთის რევოლუციონერები, აღადგინეს ლეგიტიმური, კანონიერი მონარქი საფრანგეთში, მაშინდელი რომანოვი, აღადგინეს მემამულეები და მრავალი ათეული წლით ჩაახშეს ყოველგვარი რევოლუციური მოძრაობა საფრანგეთში.

და მიუხედავად ამისა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ მაინც გაიმარჯვა.

ყველა, ვინც შეგნებულად ეკიდება ისტორიას, იტყვის, რომ საფრანგეთის რევოლუციამ, თუმცა ის დაამარცხეს, მაინც გაიმარჯვა, იმიტომ რომ მან მთელ მსოფლიოს ბურჟუაზიული დემოკრატიის, ბურჟუაზიული თავისუფლების ისეთი საფუძვლები მისცა, რომლებიც უკვე დაუძლეველი იყვნენ.

ჩვენმა რევოლუციამ წლინახევრის განმავლობაში პროლეტარიატს, იმ კლასს, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც ჩვენ ვმუშაობთ, კაპიტალის ბატონობის დამხობისათვის, განუზომლად უფრო მეტი მისცა, ვიდრე საფრანგეთის რევოლუციამ თავის კლასს. ამიტომაც ვამბობთ ჩვენ, ხვალ რომ რომელიმე, ვიღებთ ჰიპოტეტურად შესაძლებელ, შესაძლებელ შემთხვევათაგან უარეს შემთხვევას, — ხვალ რომ რომელიმე იღბლიან კოლჩაკს კიდევაც გაეჟლიტა უკლებლივ ყველა და ყოველი ბოლშევიკი, რევოლუცია უძლეველი დარჩებოდა. და ჩვენი სიტყვების დადასტურებას ვპოულობთ იმაში, რომ ახალმა სახელმწიფო ორგანიზაციამ, რომელიც ამ რევოლუციამ წამოაყენა, მორალურად უკვე გაიმარჯვა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასში, ის უკვე ახლაც სარგებლობს მისი მხარის დაჭერით. როდესაც ბრძოლაში დაიღუპნენ საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციონერები, ისინი დაიღუპნენ მარტოდმარტონი, მათ მხარი არ დაუჭირეს სხვა ქვეყნებში. მათ წინააღმდეგ ამხედრდა ყველა ევროპული სახელმწიფო და ყველაზე მეტად მოწინავე ინგლისი. ჩვენმა რევოლუციამ ახლა, ბოლშევიკური ხელისუფლების ბატონობის სულ რაღაც წელიწადნახევარში, მიაღწია იმას, რომ ახალი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც მან შექმნა, საბჭოთა ორგანიზაცია, მთელი მსოფლიოს მუშებისთვის გასაგები, ნაცნობი, პოპულარული გახდა, თავისი ორგანიზაცია გახდა მათთვის.

მე გიმტკიცებდით, რომ კაპიტალიზმიდან თავის დასაღწევად გარდუვალი, აუცილებელი და უეჭველად სავალდებულოა

პროლეტარიატის დიქტატურა. დიქტატურა ნიშნავს არა მარტო ძალმომრეობას, თუმცა იგი შეუძლებელია არსებობდეს უძალმომრეობოდ, იგი ნიშნავს აგრეთვე შრომის უფრო მაღალ ორგანიზაციას, ვიდრე წინა ორგანიზაცია იყო. აი რატომ იყო, რომ ყრილობის დასაწყისში ჩემს მოკლე მისალმებაში მე ხაზგასმით აღვნიშნე ორგანიზაციის ეს ძირითადი, ელემენტარული, უმარტივესი ამოცანა და აი რატომ ვეპყრობი მე ასეთი ულმობელი მტრობით ყოველგვარ ინტელიგენტურ ჩმახვას, ყოველგვარ «პროლეტარულ კულტურას». ამ ჩმახვას მე ვუპირისპირებ ორგანიზაციის ანაბანას. გაანაწილეთ პური და ქვანახშირი ისე, რომ ჩანდეს ზრუნვა ყოველ ფუთ ქვანახშირზე, ყოველ ფუთ პურზე, — აი პროლეტარული დისციპლინის ამოცანა. არა ისეთი დისციპლინა, რომელიც ჯოხს ეყრდნობოდეს, როგორც ეყრდნობოდა ჯოხს მებატონეთა დისციპლინა, ან ეყრდნობოდეს შიმშილს, როგორც კაპიტალისტების დისციპლინა, არამედ ამხანაგური დისციპლინა, მუშათა კავშირების დისციპლინა. გადაწყვიტეთ ორგანიზაციის ეს ელემენტარული, უმარტივესი ამოცანა, და ჩვენ გავიმარჯვებთ. რადგან მაშინ სავსებით გამოგვყვება გლეხი, რომელიც ქანაობს მუშასა და კაპიტალისტს შორის, არ იცის გაჰყვეს იმათ, ვისაც ჯერ კიდევ ვერ ენდობა, მაგრამ იძულებულია აღიაროს, რომ ისინი ახორციელებენ შრომის უფრო სამართლიან წესს, როცა აღარ იქნება ექსპლოატაცია, როცა პურის «თავისუფალი» ვაჭრობა სახელმწიფო დანაშაული იქნება, გაჰყვეს მათ, თუ გაჰყვეს იმათ, ვინც ძველებურად ჰპირდება პურის თავისუფალ ვაჭრობას, რაც თითქოს შრომის თავისუფლებას ნიშნავს. თუ გლეხი დაინახავს, რომ პროლეტარიატი თავის სახელმწიფო ხელისუფლებას ისე აშენებს, რომ შეუძლია წესრიგის დამყარება, — გლეხი კი მოითხოვს წესრიგს, მას სურს იგი და ამაში ის მართალიცაა, თუმცა ბევრი რამ ბუნდოვანი, ბევრი რამ რეაქციული და ბევრი ცრურწმენაა დაკავშირებული წესრიგისადმი გლეხის ამ მისწრაფებასთან, — მაშინ გლეხი ბოლოს, და ბოლოს, მთელი რიგი ყოყმანის შემდეგ, გაჰყვება მუშას.

გლეხს არ შეუძლია უბრალოდ, ადვილად, ერთბაშად დაანებოს თავი ძველ საზოგადოებას და ახალში გადავიდეს. მან იცის, რომ ძველი საზოგადოება მას «წესრიგს» აძლევდა მშრომელთა გაჩანაგების ფასად, მათი მონებად გადაქცევის ფასად. მან არ იცის, შეუძლია თუ არა პროლეტარიატს მისცეს მას წესრიგი. მას, დაბეჩავებულს, უმეცარს, დაქსაქსულს მეტი არც მოეთხოვება. ის არ დაუჯერებს არავითარ სიტყვებს, არავითარ პროგრამებს. და კარგსაც იზამს, რომ არ დაუჯერებს სიტყვებს, იმიტომ რომ წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ვერ დააღწევდა მოტყუებას. ის დაუჯერებს მხოლოდ საქმეს, პრაქტიკულ გამოცდილებას. დაუმტკიცეთ მას, რომ თქვენ, გაერთიანებულ პროლეტარიატს, პროლეტარულ სახელმწიფო ხელისუფლებას, პროლეტარულ დიქტატურას, შეგიძლიათ გაანაწილოთ პური და ქვანახშირი ისე, რომ დაზოგოთ თვითეული ფუთი პური და თვითეული ფუთი ქვანახშირი, შეგიძლიათ მიაღწიოთ იმას, რომ თვითეული ნაჭარბი ფუთი პური და თვითეული ნაჭარბი ფუთი ქვანახშირი არ მიდიოდეს სპეკულაციურ ფასებში გასაყიდად, არ უვარდებოდეს ხელში სუხარევკის გმირებს, არამედ ხმარდებოდეს სამართლიან განაწილებას, მშიერი მუშების მომარაგებას, მათს დახმარებას ისეთ მომენტებშიც კი, როგორიცაა უმუშევრობა, როცა დგება ქარხნები, ფაბრიკები. დაუმტკიცეთ ეს. აი პროლეტარული კულტურის, პროლეტარული ორგანიზაციის ძირითადი ამოცანა. ძალმომრეობის გამოყენება შეიძლება მაშინ, როცა არა გაქვს ეკონომიური ფესვები, მაგრამ მაშინ იგი ისტორიის მიერ დასაღუპად არის განწირული. მაგრამ შეიძლება ძალმომრეობა გამოიყენო, თუ ეყრდნობი მოწინავე კლასს, სოციალისტური წყობილების, წესრიგისა და ორგანიზაციის უფრო მაღალ პრინციპებს. და მაშინ მას შეიძლება დროებითი წარუმატებლობა ჰქონდეს, მაგრამ ის უძლეველია.

თუ პროლეტარული ორგანიზაცია დაანახვებს **გლეხს,** რომ წესი სწორია, შრომისა და პურის განაწილება სწორია, ზრუნვა თვითეულ ფუთ პურსა და ქვანახშირზე

განხორციელებულია, რომ ჩვენ, როგორც მუშებს, ჩვენი ამხანაგური დისციპლინით, კავშირის დისციპლინით შეგვიძლია ეს განვახორციელოთ, რომ ძალმომრეობით ჩვენ ვიბრძვით მხოლოდ შრომის ინტერესების დასაცავად, სპეკულანტისათვის და არა მშრომელისთვის პურის ჩამოსართმევად, და რომ ვუთანხმდებით საშუალო გლეხს, მშრომელ გლეხს, რომ მზადა ვართ მივცეთ მას ყველაფერი, რის მიცემაც შეგვიძლია ახლა, — თუ გლეხი დაინახავს ამას, მაშინ მისი კავშირი მუშათა კლასთან, მისი კავშირი პროლეტარიატთან ურღვევი იქნება, — სწორედ აქეთკენ მივდივართ ჩვენც.

მაგრამ ცოტა არ იყოს დავშორდი ჩემს თემას და უნდა დავუბრუნდე მას. ახლა ყველა ქვეყანაში სიტყვა «ბოლშევიკი» და სიტყვა «საბჭო» აღარ არის უცნაური გამოთქმა, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ იყო, მსგავსად სიტყვისა «ბოქსერი», რომელსაც ჩვენ ვიმეორებდით ისე, რომ ის არ გვესმოდა. სიტყვა «ბოლშევიკს» და «საბჭოს» ახლა იმეორებენ მსოფლიოს ყველა ენაზე. შეგნებული მუშები ხედავენ, ყველა ქვეყნის ბურჟუაზია ყოველდღე თავის გაზეთების მილიონობით ეგზემპლარში როგორ ანთხევს ცილისწამებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, — ამ ლანძღვა-გინებით მუშები ჭკუას სწავლობენ. ამას წინათ წავიკითხე ზოგიერთი ამერიკული გაზეთი. მე ვნახე სიტყვა ერთი ამერიკელი ხუცესისა, რომელიც ამბობდა, რომ ბოლშევიკები უზნეო ადამიანები არიან, რომ ისინი აწესებენ ქალების ნაციონალიზაციას, რომ ისინი ყაჩაღები, მძარცველები არიანო. და მე ვნახე ამერიკელი სოციალისტების პასუხიც: 5 ცენტად ისინი ავრცელებენ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის, ამ «დიქტატურის», კონსტიტუციას, რომელიც არ ანიჭებს «თანასწორობას მშრომელ დემოკრატიას». ისინი უპასუხებენ, მოჰყავთ რა ერთი პარაგრაფი ამ «უზურპატორების», «ყაჩაღების», «მოძალადეების», მშრომელი დემოკრატიის ერთიანობის დამრღვევთა ამ კონსტიტუციიდან. სხვათა შორის, როცა ბრეშკოვსკაიას მიესალმებოდნენ, ნიუ-იორკის უდიდესმა კაპიტალისტურმა გაზეთმა ადლიანი ასოებით დაბეჭდა ბრეშკოვსკაიას ჩასვლის

დღეს: «კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბებიავ!». ამერიკის სოციალისტებმა ეს გადაბეჭდეს და ამბობდნენ: «ის მომხრეა პოლიტიკური დემოკრატიისა, — არ გიკვირთ, ამერიკელო მუშებო, რომ მას ქებას ასხამენ კაპიტალისტები?». ის მომხრეა პოლიტიკური დემოკრატიისა. რატომ უნდა აქებდნენ მას კაპიტალისტები? იმიტომ, რომ ის წინააღმდეგია საბჭოთა კონსტიტუციისა. «აი, — ამბობენ ამერიკის სოციალისტები, — ერთი პარაგრაფი ამ ყაჩაღების კონსტიტუციიდან». მათ მუდამ მოჰყავთ ერთი და იგივე პარაგრაფი, რომელიც ამბობს: არ შეუძლია აირჩიოს და უფლება არა აქვს არჩეულ იქნას ის, ვინც ექსპლოატაციას უწევს სხვის შრომას. ჩვენი კონსტიტუციის ამ პარაგრაფს მთელ მსოფლიოში იცნობენ. საბჭოთა ხელისუფლებამ სწორედ იმის წყალობით, რომ მან აშკარად თქვა, რომ პროლეტარიატის დიქტატურას ემორჩილება ყველაფერი, რომ ის არის სახელმწიფო ორგანიზაციის ახალი ტიპიო, სწორედ ამით მოიპოვა მან მთელი მსოფლიოს მუშების თანაგრძნობა. სახელმწიფოს ეს ახალი ორგანიზაცია უდიდესი სიძნელით იბადება, იმიტომ რომ საკუთარი დეზორგანიზატორული, წვრილბურჟუაზიული თავაშვებულების დაძლევა — ეს უაღრესად ძნელი საქმეა, ეს მილიონჯერ უფრო ძნელია, ვიდრე მოძალადე მემამულის ან მოძალადე კაპიტალისტის დათრგუნვა, მაგრამ ეს მილიონჯერ უფრო ნაყოფიერიცაა ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ახალი ორგანიზაციის შესაქმნელად. როდესაც პროლეტარული ორგანიზაცია გადაწყვეტს ამ ამოცანას, მაშინ სოციალიზმი საბოლოოდ გაიმარჯვებს. ამას უნდა მოხმარდეს სკოლისგარეშე და სასკოლო განათლების მთელი მოღვაწეობა. მიუხედავად არაჩვეულებრივ მძიმე პირობებისა, მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტური გადატრიალება პირველად ხდება მსოფლიოში ასეთი დაბალი კულტურის ქვეყანაში, მიუხედავად ამისა საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე მიაღწია იმას, რომ მას ალიარებენ სხვა ქვეყნების მუშები. სიტყვა «პროლეტარიატის დიქტატურა» ლათინური სიტყვაა, და არც ერთ მშრომელს, რომელსაც ეს ესმოდა, არ გაეგებოდა, რა არის ეს, არ

გაეგებოდა, როგორ ხორციელდება ეს ცხოვრებაში. ახლა ეს სიტყვა ლათინურიდან გადათარგმნილია თანამედროვე ხალხურ ენებზე, ახლა ჩვენ დავანახვეთ ყველას, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არის საბჭოთა ხელისუფლება, ისეთი ხელისუფლება, როდესაც მუშები თვითონ ირაზმებიან და ამბობენ: «ჩვენი ორგანიზაცია ყველაზე მაღლა დგას; არც ერთ არამშრომელს, არც ერთ ექსპლოატატორს არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ამ ორგანიზაციაში. მთელი ეს ორგანიზაცია მთლიანად მიმართულია ერთი მიზნისაკენ — კაპიტალიზმის დამხობისაკენ. ვერავითარი ყალბი ლოზუნგებით, ვერავითარი ფეტიშებით, როგორიცაა «თავისუფლება», «თანასწორობა», ვერ მოგვატყუებთ. ჩვენ არ ვცნობთ არც თავისუფლებას, არც თანასწორობას, არც მშრომელ დემოკრატიას, თუ ეს ეწინააღმდეგება კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების ინტერესებს». ეს ჩვენ შევიტანეთ საბჭოთა კონსტიტუციაში და უკვე მოვუპოვეთ მას მთელი მსოფლიოს მუშების სიმპათია. მათ იციან, რომ, რაც უნდა დიდი გაჭირვებით იბადებოდეს ახალი წესწყობილება, რაც უნდა მძიმე განსაცდელი და დამარცხებაც კი ხვდეს წილად ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკებს, ვერავითარი ძალა ქვეყნად ვერ დააბრუნებს უკან კაცობრიობას. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

«თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით ხალხის მოტყუების შესახებ» წარმოთქმული სიტყვის გამოცემის წინასიტყვაობა

საკითხი, რომელიც მე განვიხილე ჩემს სიტყვაში 19 მაისს ყრილობაზე სკოლისგარეშე განათლების შესახებ, სახელდობრ საკითხი საერთოდ თანასწორობის შესახებ და მეტადრე მუშისა და გლეხის თანასწორობის შესახებ, უეჭველია, თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და «საჭირბოროტო» საკითხია, რომელიც ეხება წვრილი ბურჟუის, წვრილი მეპატრონის, წვრილი საქონელმფლობელის, ყოველი ობივატელისა და ინტელიგენციის (მათ შორის მენშევიკური და ესერული ინტელიგენციის) ცხრა მეათედის ყველაზე ძირგადგმულ ცრურწმენას.

უარყოფა მუშის თანასწორობისა გლეხთან! ერთი იფიქრეთ, რა საშინელი რამაა! რა თქმა უნდა, კაპიტალისტთა ყველა მეგობარი, ყველა მათი მაჩანჩალა, პირველ რიგში კი მენშევიკები და ესერები შეეცდებიან ჩაებღაუჭონ მას, რომ «გააღიზიანონ» გლეხი, «გაახელონ» ის, მიუსიონ მუშებს, კომუნისტებს. ასეთი ცდა აუცილებელია, მაგრამ რადგან ეს სიცრუეზეა დამყარებული, მისი სამარცხვინო ჩაფუშვა უზრუნველყოფილია.

გლეხები ფხიზელი, საქმიანი ხალხია, პრაქტიკული ცხოვრების ხალხია. მათ საქმე უნდა განუმარტო პრაქტიკულად, უბრალო, საყოფაცხოვრებო მაგალითებით. სამართლიანია თუ არა, რომ გლეხმა, რომელსაც ნაჭარბი პური აქვს, გადამალოს ეს ნაჭარბი და უცადოს ფასის სპეკულაციურ, საშინელ გადიდებას

და ანგარიში არ გაუწიოს მშიერ მუშებს? ანდა სამართლიანია თუ არა, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ, რომელიც ხელთ უპყრიათ მუშებს, მთელი ნაჭარბი პური წაიღოს არა სპეკულაციურ, არა ჩარჩულ, არა მძარცველურ ფასში, არამედ სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მტკიცე ფასში?

საკითხი სწორედ ასე დგას. ამაშია მთელი დედაარსი. საქმის ამ დედაარსს სურთ თავი დააღწიონ ყოველგვარი «ლაყბობით» «თანასწორობისა» და «მშრომელი დემოკრატიის ერთიანობის» შესახებ ყოველგვარ მატყუარებს, რომლებიც, მენშევიკებისა და ესერების მსგავსად, კაპიტალისტების სასარგებლოდ, კაპიტალისტების სრული ბატონობის დაბრუნების სასარგებლოდ მუშაობენ.

გლეხმა უნდა აირჩიოს:

პურის თავისუფალი ვაჭრობის მხარის დაჭერა,—ეს ნიშნავს მხარის დაჭერას პურით სპეკულაციისთვის, ეს ნიშნავს მდიდრების გამდიდრების თავისუფლებისთვის მხარის დაჭერას, ღარიბთა გაღატაკებისა და შიმშილის თავისუფლებისთვის მხარის დაჭერას, ეს ნიშნავს მემამულეებისა და კაპიტალისტების სრული ბატონობის დაბრუნებისთვის მხარის დაჭერას, გლეხებისა და მუშების კავშირის გაწყვეტისთვის მხარის დაჭერას;

ან ნაჭარბი პურის მტკიცე ფასში სახელმწიფოსთვის, ე. ი. გაერთიანებული მუშათა ხელისუფლებისთვის, ჩაბარების მხარის დაჭერას, — ეს ნიშნავს იმას, რომ მხარი დაუჭირო მუშებთან გლეხების კავშირს ბურჟუაზიის სრულიად მოსასპობად, მისი ბატონობის აღდგენის ყოველგვარი შესაძლებლობის მოსასპობად.

ასეთია არჩევანი.

მდიდარი გლეხები, კულაკები, პირველს აირჩევენ, მოისურვებენ ბედის მოსინჯვას კაპიტალისტებთან და მემამულეებთან კავშირში მუშების, ღარიბების წინააღმდეგ, მაგრამ რუსეთში ასეთი გლეხები უმცირესობა იქნება. გლეხების უმრავლესობა კი კავშირს შეკრავს მუშებთან კაპიტალისტთა ბატონობის აღდგენის წინააღმდეგ, «მდიდრის გამდიდრების თავისუფლების»

წინააღმდეგ, «ღარიბის შიმშილის თავისუფლების» წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ მოტყუებით დაფარულ იქნას ეს წყეული კაპიტალისტური «თავისუფლება» (შიმშილით სიკვდილის თავისუფლება) მაღალფარდოვნი სიტყვებით «თანასწორობის» შესახებ (ნაჭარბი პურის მქონე მაძღარის თანასწორობის შესახებ მშიერთან).

ჩვენი ამოცანაა — ვებრძოლოთ ვერაგულ კაპიტალისტურ ტყუილს, რომელსაც მენშევიკები და ესერები მიმართავენ «თავისუფლებისა» და «თანასწორობის» შესახებ წკრიალა და მაღალფარდოვანი სიტყვების შემწეობით.

გლეხებო! ჩამოგლიჯეთ ნიღაბი ცხვრის ქურქში გახვეულ იმ მგლებს, რომლებიც ტკბილად მღერიან «თავისუფლების», «თანასწორობის», «მშრომელი დემოკრატიის ერთიანობის» შესახებ, საქმით კი ამით იცავენ მემამულის «თავისუფლებას» ჩაგროს გლეხები, მდიდარი კაპიტალისტის «თანასწორობას» მუშასთან ან ნახევრადმშიერ გლეხთან, ნაჭარბი პურის დამმალავი მაძღარი ადამიანის «თანასწორობას» მუშასთან, რომელსაც შიმშილი და უმუშევრობა აწუხებს ომის წყალობით ქვეყნის გაჩანაგების გამო. ცხვრის ქურქში გახვეული ასეთი მგლები მშრომელთა უცუდესი მტრები არიან, ისინი საქმით, თუნდაც მენშევიკების, ესერებისა და უპარტიოების სახელწოდებას ატარებდნენ, კაპიტალისტების მეგობრები არიან.

«მუშა და გლეხი, როგორც მშრომელნი, თანასწორნი არიან, მაგრამ პურით მაძღარი სპეკულანტი არ არის მშიერი მშრომელის თანასწორი». «ჩვენ ვიბრძვით მხოლოდ იმისთვის, რომ დავიცვათ შრომის ინტერესები, პურს ვართმევთ რა სპეკულანტს და არა მშრომელს». «ჩვენ შეთანხმებას ვდებთ საშუალო გლეხთან, მშრომელ გლეხთან» — აი რა განვაცხადე მე ჩემს სიტყვაში, აი რაშია საქმის დ ე დ ა ა რ ს ი, აი როგორია ნამდვილი სიმართლე, რომელსაც ხლართავენ მაღალფარდოვანი ფრაზებით «თანასწორობის» შესახებ. და გლეხთა უდიდესმა უმრავლესობამაც იცის, რომ ეს სიმართლეა, რომ მ უ შ ა თ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ებრძვის

სპეკულანტებსა და მდიდრებს, ყოველნაირად ეხმარება მშრომელებსა და ღარიბებს, — მაშინ როდესაც მემამულეთა სახელმწიფოც (მეფის დროს) და კაპიტალისტური სახელმწიფოც (ყველაზე თავისუფალ და დემოკრატიულ რესპუბლიკაში) ყოველთვის და ყოველგან, ყველა ქვეყანაში ეხმარებიან მდიდრებს მშრომელთა გაძარცვაში, ეხმარებიან სპეკულანტებსა და მდიდრებს გამდიდრდნენ გაჩანაგების გზაზე დამდგარ ღარიბთა ხარჯზე.

ეს სიმართლე ყოველმა გლეხმა იცის. ამიტომაც გლეხების უმრავლესობა, რაც უფრო შეგნებული იქნებიან ისინი, მით უფრო სწრაფად და მტკიცედ მოახდენს არჩევანს: მუშებთან კავშირის, მუშათა მთავრობასთან შეთანხმების სასარგებლოდ, მემამულური ან კაპიტალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ; საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ «დამფუძნებელი კრების» ან «დემოკრატიული რესპუბლიკის» წინააღმდეგ; ბოლშევიკ-კომუნისტებთან შეთანხმების სასარგებლოდ, კაპიტალისტების, მენშევიკებისა და ესერებისთვის მხარის დაჭერის წინააღმდეგ!

* * *

ხოლო ბატონ «განათლებულთ», დემოკრატებს, სოციალისტებს, სოციალ-დემოკრატებს, სოციალისტ-რევოლუციონერებს და სხვ. ჩვენ ვეტყვით: სიტყვით თქვენ ყველანი აღიარებთ «კლასობრივ ბრძოლას», საქმით კი თქვენ მას ივიწყებთ სწორედ მაშინ, როდესაც ის განსაკუთრებით მწვავდება. მისი დავიწყება კი ნიშნავს კაპიტალის მხარეზე, ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლას მშრომელთა წინააღმდეგ.

ვინც კლასობრივ ბრძოლას აღიარებს, მან უნდა აღიაროს, რომ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, თუნდაც ყველაზე თავისუფალსა და ყველაზე დემოკრატიულში, «თავისუფლება» და «თანასწორობა» ყოველთვის იყო და არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო მხოლოდ საქონელმფლობელთა თანა-

სწორობისა და თავისუფლების, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს თანასწორობისა და თავისუფლების გამოხატულება. მარქსი ყველა თავის ნაწარმოებში და განსაკუთრებით «კაპიტალში» (რომელსაც თქვენ ყველანი ს ი ტ ყ ვ ი ე რ ა დ აღიარებთ) ათასჯერ განმარტავდა ამას, დასცინოდა «თავისუფლებისა და თანასწორობის» აბსტრაქტულ გაგებას, დასცინოდა უხამს ბენტამებს, რომლებიც ამას ვერ ხედავდნენ, ააშკარავებდა ამ აბსტრაქციათა მატერიალურ ფესვებს.

«თავისუფლება და თანასწორობა» ბურჟუაზიულ წყობილებაში (ე. ი. ვიდრე არსებობს მიწისა და წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება) და ბურჟუაზიულ დემოკრატიაში მხოლოდ ფორმალურადაა, საქმით კი ნიშნავს მუშების (ფორმალურად თავისუფალი, ფორმალურად თანასწორუფლებიანი მუშების) დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ მ ო ნ ო ბ ა ს და კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს რ უ ლ ბ ა ტ ო ნ ო ბ ა ს, კაპიტალის მიერ შრომის ჩაგვრას. ეს სოციალიზმის ანაბანაა, ბატონო «განათლებულნო», — და თქვენ ეს ანაბანა დაგვიწყებიათ.

ამ ანაბანიდან გამომდინარეობს, რომ პროლეტარული რევოლუციის დროს, როდესაც კლასობრივი ბრძოლა ისე გამწვავდა, რომ სამოქალაქო ომად გადაიქცა, მხოლოდ ჩერჩეტებსა და გამცემლებს შეუძლიათ დასჯერდნენ ფრაზებს «თავისუფლების», «თანასწორობის», «მშრომელი დემოკრატიის ერთიანობის» შესახებ. საქმით ყველაფერს წყვეტს ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის ბრძოლის შედეგი, ხოლო შუალედი კლასები, საშუალო კლასები (მათ შორის მთელი წვრილი ბურჟუაზია და მაშასადამე მთელი «გლეხობაც») აუცილებლად ქანაობენ ორ ბანაკს შორის.

ლაპარაკია ამ შუალედი ფენების შეერთებაზე ერთ-ერთ მთავარ ძალასთან, პროლეტარიატთან ან ბურჟუაზიასთან. სხვა რამ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა იყოს: ვინც ეს ვერ გაიგო მარქსის «კაპიტალის» წაკითხვის დროს, მას ვერაფერი გაუგია მარქსისა, ვერაფერი გაუგია სოციალიზმისა, ის საქმით ფილისტერი და მეშჩანინია, რომელიც ბრმად მისჩანჩალებს კუდში ბურჟუაზიას. ხოლო ვინც ეს გაიგო, ის არ მოტყუვდება

ფრაზებით «თავისუფლებისა» და «თანასწორობის» შესახებ, ის იფიქრებს და ილაპარაკებს საქმეზე, ესე იგი მუშებისა და გლეხების დაახლოების კონკრეტულ პირობებზე, მათს კავშირზე კაპიტალისტების წინააღმდეგ, მათ შეთანხმებაზე ექსპლოატატორების, მდიდრებისა და სპეკულანტების წინაალმდეგ.

პროლეტარიატის დიქტატურა კლასობრივი ბრძოლის დამთავრება კი არ არის, არამედ მისი განგრძობაა ახალ ფორმებში. პროლეტარიატის დიქტატურა არის კლასობრივი ბრძოლა გამარჯვებული პროლეტარიატისა, რომელმაც ხელთ აიღო პოლიტიკური ძალაუფლება დამარცხებული, მაგრამ არა განადგურებული, არა გამქრალი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ბურჟუაზიისა, რომელიც განაგრძობს წინააღმდეგობის გაწევას, აძლიერებს თავის წინაალმდეგობას. პროლეტარიატის დიქტატურა არის კლასობრივი კავშირის განსაკუთრებული ფორმა მშრომელთა ავანგარდის — პროლეტარიატისა და მშრომელთა მრავალრიცხოვანი არაპროლეტარული ფენებისა (წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მეპატრონეები, გლეხობა, ინტელიგენცია და სხვ.), ან მათი უმრავლესობისა, განსაკუთრებული ფორმა კავშირისა კაპიტალის წინააღმდეგ, კავშირისა კაპიტალის სრულიად დასამხობად, ბურჟუაზიის წინააღმდეგობისა და მისი მხრივ რესტავრაციის ცდის სრულიად დასათრგუნავად, კავშირისა სოციალიზმის საბოლოოდ დამყარებისა და განმტკიცებისათვის. ეს არის განსაკუთრებული სახის კავშირი, რომელიც ყალიბდება განსაკუთრებულ ვითარებაში, სახელდობრ გააფთრებული სამოქალაქო ომის ვითარებაში, ეს არის კავშირი სოციალიზმის მტკიცე მომხრეებისა მის მერყევ მოკავშირეებთან, ზოგჯერ «ნეიტრალურებთან» (მაშინ კავშირი ბრძოლის შესახებ შეთანხმებიდან გადაიქცევა შეთანხმებად ნეიტრალიტეტის შესახებ), კავშირი ეკონომიურად, პოლიტიკურად, სოციალურად, სულიერად არაერთნაირ კლასებს შორის. ამ კავშირის კონკრეტული ფორმების, პირობების, ამოცანების შესწავლის თავიდან მოშორება საერთო ფრაზებით «თავისუფლების», «თანასწორობის», «მშრომელი

დემოკრატიის ერთიანობის» შესახებ, ე. ი. თავიდან მოშორება ნაწყვეტებით სასაქონლო მეურნეობის ეპოქის იდეური ბაგაჟიდან, შეუძლიათ მხოლოდ «ბერნის» დამპალი ანუ ყვითელი ინტერნაციონალის დამპალ გმირებს, მსგავსად კაუცკისა, მარტოვისა და კომპანიისა.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1919 წლის 23 ივნისი.

დაიბეჭდა 1919 წელს ბროშურაში: ნ. ლენინი. «ორი სიტყვა სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე სკოლისგარეშე განათლების შესახებ», მოსკოვი

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

დეკეშა უკრაინის სახკომსაბჭოს

კიევი

პარტიის ცეკამ განიხილა დონბასსა და მანიჩში შექმნილი კრიზისული, კატასტროფას მიახლოებული მდგომარეობა და დაჟინებით აძლევს წინადადებას კიევის თავდაცვის საბჭოს დაძაბოს მთელი ძალები დონბასისთვის სამხედრო დახმარების დასაჩქარებლად და გასაძლიერებლად, მთელი რიგი საუკეთესო ამხანაგების დასანიშნავად, რათა შეუნელებელი ყოველდღიური მეთვალყურეობა გაეწიოს ამის შესრულებას და განსაკუთრებით ოდესის, ეკატერინოსლავის, ნიკოლაევის, ხარკოვისა და სევასტოპოლის მუშების დაუყოვნებლივსა და საყოველთაო მობილიზაციას სამხრეთის ფრონტის მაშველი ჯარებით შესავსებად, დასასრულ პოდვოისკისა და ანტონოვის პირადი პასუხისმგებლობის დასაწესებლად მახნოს ჯგუფის გამო. გაიგეთ, რომ თუ როსტოვს სასწრაფოდ არ ავიღებთ, რევოლუციის დაღუპვა გარდუვალია.

ცეკას სახელით

ლ ე ნ ი ნ ი. ს ტ ა ლ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 8 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დამატება გერმანელი მუშებისა და იმ გლეხებისადმი მიმართვის პროექტისა, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან

მთელ მსოფლიოში იზრდება პროლეტარების თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, იზრდება მათი რწმენა, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, თვით მშრომელთა ხელისუფლებას, და არა ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს თუნდაც ყველაზე უფრო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, შეუძლია გაათავისუფლოს შრომა კაპიტალის უღლისაგან, ხალხები მტრობისა და ომებისაგან, კაცობრიობა გააფთრებული იმპერიალიზმის თარეშისაგან.

ეს რწმენა აუცილებლად გზას გაიკაფავს. ყველა ქვეყნის მუშები სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ შეუძლებელია ხსნა იმპერიალიზმისა და ომებისაგან, თუ კავშირი არ გაწყვიტეს ბურჟუაზიასთან და არ დაამარცხეს იგი, არ დაამხვეს მისი ბატონობა, თუ შეუბრალებლად არ ჩაახშეს ექსპლოატატორების წინააღმდეგობა. ამის დაწყება შეიძლება მხოლოდ საკუთარი ქვეყნით. თუ რუსეთის საბჭოთა სისტემამ თანაგრძნობა ჰპოვა მთელი მსოფლიოს მუშათა მასებში, თუ ყველა, გარდა ექსპლოატატორებისა და მათი ლაქიებისა, ახლა ხსნას ხედავს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებაში, ჩვენ, რუსეთის მუშებმა და გლეხებმა, ეს ნდობა იმით მოვიპოვეთ, რომ კავშირი გავწყვიტეთ ჩვენს ბურჟუაზიასთან, დავამხვეთ იგი, ჩავახშვეთ მისი წინააღმდეგობა, მშრომელთა წრიდან სამარცხვინოდ განვდევნეთ გამცემლური სოციალიზმის ისეთი ბელადები, რომლებიც, როგორც მენშევიკები და ესერები,

პირდაპირაც და არაპირდაპირაც ახორციელებდნენ კავშირს იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან, კერენსკისთან და სხვ.

ვიდრე გერმანელი მუშები ხელისუფლების სათავეში ითმენენ სოციალიზმის ასეთივე გამცემლებს, არამზადებსა და ბურჟუაზიის ლაქიებს, შეიდემანებსა და მთელ მათს პარტიას, მანამდე გერმანელი ხალხის ხსნაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. მანამდე გერმანელი ხალხი სინამდვილეში რჩება— მიუხედავად ყოველგვარი «სოციალისტური» ფრაზებისა და ყოველგვარი «დემოკრატიული» და «რესპუბლიკური» სამკაულებისა — ბურჟუაზიის მონად და მის დანაშაულობათა **თანამონაწილედ,** — სწორედ ისევე, როგორც სოციალიზმის გამცემლებად, არამზადებად და საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის ბურჟუაზიის მხეცობისა და დანაშაულობათა თანამონაწილეებად რჩებიან ანტანტის «სოციალისტები», რომლებიც მოკალათებული არიან «ბერნის» ყვითელ ინტერნაციონალში და რომლებიც ანტანტის მხეცობაზე იმით უპასუხებენ, რომ თვალთმაქცურ კეთილ სურვილებს გამოსთქვამენ, ყოვლად უშინაარსო კეთილ ფრაზებს ამბობენ ან ქათინაურებით იხსენიებენ ვილსონს და სხვ.

გერმანელი მუშების გათიშვა სოციალიზმის გამცემლებთან, შეიდემანებთან და მათს პარტიასთან, გარდუვალია. გერმანელი მუშების მხრივ გარდუვალია კავშირის გაწყვეტა ეგრეთწოდებულ «დამოუკიდებელთა» მოდუნებულობასთან, ორპოფობასთან, უიდეობასთან, უნიათობასთან, იმ «დამოუკიდებელთა», რომლებიც გუშინ დამოკიდებული იყვნენ შეიდემანებზე, დღეს დამოკიდებული არიან იმის შიშზე, რომ გადაჭრით მიემხრონ საბჭოების სრულ ძალაუფლებიანობას. ბურჟუაზიას შეუძლია ამოხოცოს ასობით ბელადები და ათასობით მუშა, მაგრამ მას არ ძალუძს ხელი შეუშალოს ამ კავშირის გაწყვეტას.

დაწერილია 1919 წ. 11 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1949 წელს ჟურნალ «ბოლშევიკის» № 1-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეკეშა ი. ბ. სტალინს[54]

20. V. 1919 წ.

პეტროგრადი

სმოლნი

სტალინს

ორივე ბარათი მივიღე. დაწვრილებით შევუთანხმდი სკლიანსკის შეუნელებლად ადევნოს თვალყური შესრულებას. იმედი მაქვს, რომ პიტერელების საყოველთაო მობილიზაცია გამოიწვევს მათს შეტევას და არა ყაზარმებში ჯდომას.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა
1938 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა საყოველთაო სამხედრო სწავლების დღესასწაულზე 1919 წ. 25 მაისს[55]

ვოკლე საგაზეთო ანგარიში

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ მშრომელთა საყოველთაო სამხედრო სწავლების დღეს.

დღემდე სამხედრო საქმე ერთ-ერთი იარაღი იყო პროლეტარიატის ექსპლოატაციისა კაპიტალისტებისა და მემამულეების კლასის მიერ, და დღემდე მთელს ევროპაში კაპიტალისტების ბატონობას ზურგს უმაგრებენ ნარჩენები ძველი არმიისა, რომელსაც ბურჟუაზიული ოფიცრები ხელმძღვანელობენ. მაგრამ ბურჟუაზიის ეს ყველაზე უფრო მტკიცე დასაყრდენი დაეცემა, როდესაც მუშები ხელთ აიღებენ შაშხანას, როდესაც ისინი დაიწყებენ პროლეტარიატის საკუთარი უდიდესი არმიის შექმნას, დაიწყებენ ისეთი ჯარისკაცების აღზრდას, რომელთაც ეცოდინებათ, თუ რისთვის ომობენ, რომლებიც დაიცავენ მუშებსა და გლეხებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს, რათა მემამულეებმა და კაპიტალისტებმა ველარ დაიბრუნონ ძალაუფლება.

დღევანდელი დღესასწაული ცხადყოფს, თუ რა წარმატებებს მივაღწიეთ, როგორი ახალი ძალა იზრდება მუშათა კლასის წიაღში. როცა ამ პარადს შევყურებთ, ვრწმუნდებით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა ქვეყნის მუშათა თანაგრძნობა მოიპოვა, რომ საერთაშორისო ომის ნაცვლად დამყარდება საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკების ძმური კავშირი.

მე თქვენ გირდგენთ უნგრელ ამხანაგს, ტიბორ სამუელს, უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო საქმეთა კომისარს.

გაუმარჯოს უნგრეთის პროლეტარიატს!

გაუმარჯოს ინტერნაციონალურ კომუნისტურ რევოლუციას!

სრ. რუს. ცაკ-ის «იზვესტია» № 113, 1919 წ. 27 მაისი

იბეჭდება სრ. რუს. ცაკ-ის გაზეთის «იზვესტიის» ტექსტის მიხედვით

სალამი უნგრეთის მუშებს

ამხანაგებო! ცნობები, რომლებსაც ჩვენ ვღებულობთ უნგრეთის საბჭოთა მოღვაწეებისგან, აღფრთოვანებითა და სიხარულით გვავსებს. სულ ორ თვეზე ცოტა მეტია, რაც უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, დარაზმულობის მხრივ კი უნგრეთის პროლეტარიატმა, როგორც ჩანს, უკვე გაგვასწრო. ეს გასაგებია, რადგან უნგრეთში მოსახლეობის საერთო კულტურული დონე უფრო მაღალია, გარდა ამისა მთელ მოსახლეობაში სამრეწველო მუშების წილი განუზომლად უფრო დიდია (ახლანდელი უნგრეთის 8-მილიონიან მოსახლეობაში ბუდაპეშტზე მოდის 3 მილიონი), ბოლოს, საბჭოთა წყობილებაზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე გადასვლაც უნგრეთში გაცილებით უფრო ადვილად და მშვიდობიანად მოხდა.

ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ევროპის სოციალისტური ბელადების უმრავლესობა, როგორც სოციალ-შოვინისტური, ისე კაუცკური მიმართულებისა, ისე ჩაეფლო წმინდა მეშჩანური, შედარებით «მშვიდობიანი» კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ათეული წლობით აღზრდილ ცრურწმენაში, რომ მათ საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის გაგება არ შეუძლიათ. პროლეტარიატს არ ძალუძს თავისი მსოფლიო-ისტორიული განმათავისუფლებელი მისიის შესრულება, თუ თავისი გზიდან არ ჩამოიშორა ეს ბელადები,

თუ თავიდან არ მოიწყვიტა ისინი. ამ ადამიანებს სჯეროდათ, მთლიანად თუ ნახევრად, ბურჟუაზიული სიცრუე რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების შესახებ, და მათ ვერ შესძლეს გარჩევა ახალი, პროლეტარული დემოკრატიისა, დემოკრატიისა მშრომელთათვის, საბჭოთა ხელისუფლებაში განსახიერებული სოციალისტური დემოკრატიისა ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან, რომლის წინაშე ისინი მონურად ქედს იხრიან, უწოდებენ რა მას «წმინდა დემოკრატიას» ან საერთოდ «დემოკრატიას».

ამ ბრმა, ბურჟუაზიული ცრურწმენით გამოთაყვანებულმა ადამიანებმა ვერ გაიგეს მსოფლიო-ისტორიული შემობრუნება ბურჟუაზიული დემოკრატიიდან პროლეტარული დემოკრატიისაკენ, ბურჟუაზიული დიქტატურიდან პროლეტარული დიქტატურისაკენ. ისინი ერთმანეთში ურევდნენ რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების, მისი განვითარების რუსეთის ისტორიის ამა თუ იმ თავისებურებას და საბჭოთა ხელისუფლებას მისი საერთაშორისო მნიშვნელობით.

უნგრეთის პროლეტარული რევოლუცია ბრმებსაც კი ეხმარება თვალის ახელაში. უნგრეთში პროლეტარიატის დიქტატურაზე გადასვლის ფორმა სრულიად სხვანაირია, ვიდრე რუსეთში: ბურჟუაზიული მთავრობის ნებაყოფლობით გადადგომა, მუშათა კლასის ერთიანობის, სოციალიზმის ერთიანობის უცბად აღდგენა კომუნისტური პროგრამის საფუძველზე. საბჭოთა ხელისუფლების დედაარსი ახლა მით უფრო ნათლად იჩენს თავს: არავითარი სხვა ხელისუფლება, რომელსაც მხარს უჭერენ მშრომელები პროლეტარიატის მეთაურობით, არსად არ შეიძლება ახლა მთელ მსოფლიოში, გარდა საბჭოთა ხელისუფლებისა, გარდა პროლეტარიატის დიქტატურისა.

ეს დიქტატურა გულისხმობს დაუნდობელი, მკაცრი, ჩქარი და გაბედული ძალმომრეობის გამოყენებას ექსპლოატატორების, კაპიტალისტების, მემამულეებისა და მათი მაჩანჩალების წინააღმდეგობის დასათრგუნავად. ისინი, ვინც ეს ვერ გაიგო, რევოლუციონერები არ არიან და უნდა

გადავაყენოთ ბელადების ან პროლეტარიატის მრჩეველთა პოსტიდან.

მაგრამ მარტო ძალმომრეობა და უმთავრესად ძალმომრეობა როდია პროლეტარული დიქტატურის დედაარსი. მისი დედაარსი უმთავრესად მშრომელთა მოწინავე რაზმის, მისი ავანგარდის, მისი ერთადერთი ხელმძღვანელის, პროლეტარიატის დარაზმულობა და დისციპლინაა. მისი მიზანია — სოციალიზმის შექმნა, საზოგადოების კლასებად დაყოფის მოსპობა, საზოგადოების ყველა წევრის მშრომელად გადაქცევა, ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციისთვის ნიადაგის გამოცლა. ამ მიზნის განხორციელება ერთბაშად არ შეიძლება, იგი მოითხოვს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე საკმაოდ ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდს, — იმიტომაც, რომ წარმოების ხელახალი ორგანიზაცია ძნელი საქმეა, იმიტომაც, რომ საჭიროა დრო ძირფესვიანი გარდაქმნისათვის ცხოვრების ყველა სფეროში, იმიტომაც, რომ მეურნეობის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული წარმართვის ჩვევის უდიდესი ძალის გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლით. ამიტომაც ლაპარაკობს მარქსი პროლეტარიატის დიქტატურის მთელ პერიოდზე, როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდზე [56].

მთელი ამ გარდამავალი დროის განმავლობაში გადატრიალებას წინააღმდეგობას გაუწევენ კაპიტალისტებიც, აგრეთვე მათი მრავალრიცხოვანი დამქაშებიც ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან, რომლებიც შეგნებულად ეწევიან წინააღმდეგობას, წვრილბურჟუაზიული ჩვეულებებითა და ტრადიციებით ფრიად დატვირთულ მშრომელთა უდიდესი მასაც, მათ შორის გლეხებისაც, რომლებიც ხშირად წინააღმდეგობას ეწევიან შეუგნებლად. მერყეობა ამ ფენებში აუცილებელია. გლეხი, როგორც მშრომელი, სოციალიზმისკენ მიიწევს, უპირატესობას აძლევს მუშათა დიქტატურას ბურჟუაზიის დიქტატურის წინაშე. გლეხი, როგორც პურის გამყიდველი, მიიწევს ბურ-

ჟუაზიისკენ, თავისუფალი ვაჭრობისკენ, ე. ი. უკან «ჩვეულები», ძველი, «ძველთაძველი» კაპიტალიზმისაკენ.

საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურა, ერთი კლასის ძალაუფლება, მისი დარაზმულობისა და დისციპლინის ძალა, მისი ცენტრალიზებული ძლიერება, დამყარებული კულტურის, მეცნიერების, კაპიტალიზმის ტექნიკის ყველა მონაპოვარზე, მისი პროლეტარული სიახლოვე ყოველი მშრომელის ფსიქოლოგიასთან, მისი ავტორიტეტი დაქსაქსული, ნაკლებ განვითარებული, პოლიტიკაში ნაკლებ მტკიცე სოფლელი მშრომელი ადამიანის ან წვრილი წარმოების მშრომელი ადამიანის წინაშე, რომ პროლეტარიატს შეეძლოს გ ა ი ყ ო ლ ი ო ს გლეხობა და საერთოდ ყველა წვრილბურჟუაზიული ფენა. აქ ფრაზიორობით «დემოკრატიის» შესახებ საერთოდ, «ერთიანობის» შესახებ ან «მშრომელი დემოკრატიის ერთიანობის» შესახებ, ყველა «მშრომელი ადამიანის» «თანასწორობის» შესახებ და სხვა და სხვა, — ასეთი ფრაზიორობით, რასაც ასე ძალიან ეტანებიან გამეშჩანებული სოციალ-შოვინისტები და კაუცკელები, — ამ ფრაზიორობით საქმეს ვერ უშველი. ფრაზიორობა მხოლოდ თვალს ანაგვიანებს, გონებას აბნელებს, კაპიტალიზმის, პარლამენტარიზმის, ბურჟუაზიული დემოკრატიის ძველ სიჩლუნგეს, უძრაობას, რუტინას განამტკიცებს.

კლასების მოსპობა — ეს არის საქმე ხანგრძლივი, ძნელი, შეუპოვარი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ა, რომელიც კაპიტალის ბატონობის დამხობის შ ე მ დ ე გ, ბურჟუაზიული სახელმწიფოს დანგრევის შ ე მ დ ე გ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შ ე მ დ ე გ **კი არ ჭქრება** (როგორც ეს ძველი სოციალიზმისა და ძველი სოციალ-დემოკრატიის უხამს ადამიანებს წარმოუდგენიათ), არამედ მხოლოდ ფორმას იცვლის, ბევრი მხრივ კიდევ უფრო მძვინვარე ხდება.

კლასობრივი ბრძოლით ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დასაძლევად, კლასობრივი ბრძოლით წვრილი ბურჟუაზიის უძრაობის, რუტინის, გაუბედაობისა და მერყეობის წინააღმდეგ პროლეტარიატმა უნდა დაიცვას თავისი ძალაუფლება,

განამტკიცოს თავისი მაორგანიზებელი ზეგავლენა, მიაღწიოს იმ ფენათა «ნეიტრალიზაციას», რომლებსაც ეშინიათ ბურჟუაზიას ჩამოშორდნენ და მეტად არამტკიცედ მიჰყვებიან პროლეტარიატს, დაამკვიდროს ახალი დისციპლინა, მშრომელთა ამხანაგური დისციპლინა, მათი მტკიცე კავშირი პროლეტარიატთან, მათი დარაზმულობა პროლეტარიატის გარშემო, ეს ახალი დისციპლინა, საზოგადოებრივი კავშირის ახალი საფუძველი, ნაცვლად შუა საუკუნეების ბატონყმური დისციპლინისა, ნაცვლად შიმშილის დისციპლინისა, ნაცვლად კაპიტალიზმის დროის «ნებით»-დაქირავებული მონობის დისციპლინისა.

კლასების მოსასპობად საჭიროა ერთი კლასის დიქტატურის პერიოდი, სახელდობრ იმ დაჩაგრულ კლასთაგანისა, რომელსაც უნარი შესწევს არათუ დაამხოს ექსპლოატატორები, არათუ დათრგუნოს დაუნდობლად მათი წინააღმდეგობა, არამედ იდეურადაც გაეთიშოს მთელ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეოლოგიას, მთელ მეშჩანურ ფრაზიორობას საერთოდ თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ (საქმით, რაც დიდი ხანია ცხადყო მარქსმა, ეს ფრაზიორობა ნიშნავს საქონლისმფლობელთა «თავისუფლებასა და თანასწორობას», კაპიტალისტისა და მუშის «თავისუფლებასა და თანასწორობას»).

ეს კიდევ ცოტაა. დაჩაგრულ კლასთაგან მხოლოდ იმ კლასს შესწევს უნარი თავისი დიქტატურით მოსპოს კლასები, რომელიც გაწაფული, გაერთიანებული, აღზრდილი, გამოწრთობილია კაპიტალთან საგაფიცვო და პოლიტიკური ბრძოლის ათეული წლობით, — მხოლოდ იმ კლასს, რომელმაც მთლიანად შეითვისა ქალაქის კულტურა, სამრეწველო, მსხვილი კაპიტალისტური კულტურა, რომელსაც აქვს გამბედაობა და უნარი დაიცვას იგი, შეინარჩუნოს და შემდგომ განავითაროს ყველა მისი მონაპოვარი, გახადოს ამ კულტურის ყველა მონაპოვარი მთელი ხალხის, ყველა მშრომელის ხელმისაწვდომი, — მხოლოდ იმ კლასს, რომელიც შესძლებს გადაიტანოს მთელი სიმძიმე, განსაცდელი, უკუღმართობა,

უდიდესი მსხვერპლი, რასაც გარდუვალად აკისრებს ისტორია იმას, ვინც კავშირს სწყვეტს წარსულთან და გაბედულად იკაფავს გზას ახალი მომავლისკენ, — მხოლოდ იმ კლასს, რომლის საუკეთესო ადამიანები აღსავსენი არიან სიძულვილითა და ზიზღით ყოველივე მეშჩანური და ფილისტერული თვისებებისადმი, თვისებებისადმი, რაც ასე განვითარებული აქვთ წვრილ ბურჟუაზიას, წვრილ მოსამსახურეებს, «ინტელიგენციას», — მხოლოდ იმ კლასს, რომელმაც «განვლო გამომწრთობი სკოლა შრომისა» და რომელსაც შეუძლია თავისი შრომისუნარიანობისადმი პატივისცემა ჩაუნერგოს ყოველ მშრომელს, ყოველ პატიოსან ადამიანს.

ამხანაგო უნგრელო მუშებო! თქვენ მსოფლიოს კიდევ უფრო უკეთესი ნიმუში უჩვენეთ, ვიდრე საბჭოთა რუსეთმა, იმით, რომ შესძელით ყველა სოციალისტის ერთბაშად გაერთიანება ნამდვილი პროლეტარული დიქტატურის პლატფორმაზე. თქვენ ახლა მოგელით უმადლიერესი და უმძიმესი ამოცანა — გაუძლოთ მძიმე ომს ანტანტის წინააღმდეგ. იყავით მტკიცენი. თუ თავი იჩინოს მერყეობამ იმ სოციალისტებში, რომლებიც თქვენ გუშინ მოგემხრნენ, მიემხრნენ პროლეტარიატის დიქტატურას, ანდა თავი იჩინოს მერყეობამ წვრილ ბურჟუაზიაში, შეუბრალებლად დათრგუნეთ მერყეობა. დახვრეტა — აი ლაჩრის კანონიერი ხვედრი ომში.

თქვენ ეწევით ერთადერთ კანონიერ, სამართლიან, ნამდვილ რევოლუციურ ომს, დაჩაგრულთა ომს დამჩაგვრელთა წინააღმდეგ, მშრომელთა ომს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, ომს სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ყველაფერი, რაც კი მთელ ქვეყნიერებაზე პატიოსანია მუშათა კლასში, თქვენს მხარეზეა. ყოველი თვე აახლოებს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას.

იყავით მტკიცენი! გამარჯვება თქვენ დაგრჩებათ!

27. V. 1919. ლ ე ნ ი ნ ი

«პრავდა» № 115, 1919 წ. 29 მაისი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბერნის ინტერნაციონალის გმირები

სტატიაში: «მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში» («კომუნისტური ინტერნაციონალი»[57], № 1, 1. V. 1919, გვ. 38 რუსული გამოცემისა) მე აღვნიშნე «ბერნის» ძველი, დამპალი ინტერნაციონალის წარმომადგენელთა იდეური კრახის ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო გამოხატულება. რეაქციული სოციალიზმის თეორეტიკოსთა ეს კრახი, რეაქციული სოციალიზმისა, რომელსაც ვერ გაუგია პროლეტარიატის დიქტატურა, იმაში გამოიხატა, რომ გერმანიის «დამოუკიდებელმა» სოციალ-დემოკრატებმა წინადადება წამოაყენეს შეახამონ, შეაერთონ, შეათავსონ ბურჟუაზიული პარლამენტი საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ძველი ინტერნაციონალის ყველაზე თვალსაჩინო თეორეტიკოსებმა, კაუცკიმ, ჰილფერდინგმა, ოტო ბაუერმა და კომპანიამ ვერ გაიგეს, რომ ისინი ბურჟუაზიის დიქტატურისა და პროლეტარიატის დიქტატურის შეთავსების წინადადებას იძლევიან! ადამიანებმა, რომლებმაც სახელი მოიხვეჭეს და მუშების თანაგრძნობა მოიპოვეს კლასობრივი ბრძოლის ქადაგებით, მისი აუცილებლობის განმარტებით, ვერ გაიგეს, — სოციალიზმისთვის ბრძოლის უაღრესად გადამწყვეტ მომენტში — რომ ისინი ,სავსებით ხელს იღებენ კლასობრივი ბრძოლის მთელ მოძღვრებაზე, სავსებით უარს ამბობენ მასზე და ფაქტიურად ბურჟუაზიის ბანაკში გადადიან, როცა ცდილობენ ბურჟუაზიის დიქტატურის შეთავსებას პროლე-

ტარიატის დიქტატურასთან. ეს თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია.

იშვიათი გამონაკლისის სახით, ჩვენ ახლა შევძელით და მოსკოვში მივიღეთ საკმაოდ ბევრი, თუმცა სულ სხვადასხვა-გვარი, უცხოური გაზეთი, ასე რომ შესაძლებლობა არსებობს რამდენადმე დაწვრილებით აღვადგინოთ ისტორია, — თუმცა, რა თქმა უნდა, სრულებითაც არა მთლიანი — ბატონ «დამოუკიდებელთა» მერყეობისა თანამედროვეობის უმთავრეს, თეორიულ და პრაქტიკულ საკითხში. ეს არის დემოკრატიისადმი (ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დემოკრატიისადმი) დიქტატურის (პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დიქტატურის) ანუ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების საკითხი.

თავის ბროშურაში «პროლეტარიატის დიქტატურა» (**Wien.** 1918) ბატონი კაუცკი წერდა, რომ «საბჭოთა ორგანიზაცია ჩვენი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ის იმედს იძლევა, რომ გადამწყვეტ მნიშვნელობას მოიპოვებს კაპიტალისა და შრომის დიდ გადამჭრელ ბრძოლებში, რომლებისკენაც ჩვენ მივდივართ» (გვ. 33 კაუცკის ბროშურისა). და ის უმატებდა, რომ ბოლშევიკებმა შეცდომა დაუშვეს, როცა საბჭოები «ერთი კ ლ ა ს ი ს მ ე ბ რ ძ ო ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი დ ა ნ» გადააქციეს «ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა დ» და მით «მოსპეს დემოკრატია» (იქვე).

ჩემს ბროშურაში «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი» (პეტროგრადი და მოსკოვი. 1918) მე დაწვრილებით გავარჩიე კაუცკის ეს მსჯელობა და გამოვააშკარავე, რომ ის შეიცავს სახელმწიფოს შესახებ მარქსიზმის მოძღვრების თვით საფუძვლების სრულ დავიწყებას. ვინაიდან სახელმწიფო (ყოველგვარი, მათ შორის ყველაზე დემოკრატიული რესპუბლიკაც) სხვა არაფერია, თუ არა მანქანა ერთი კლასის დასათრგუნავად მეორის მიერ. უწოდო საბჭოებს კ ლ ა ს ი ს მებრძოლი ორგანიზაცია და უარყო მისი უფლება «სახელმწიფო ორგანიზაციად» გადაქცევისა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი

იმას ნიშნავს, რომ უარი თქვა სოციალიზმის ანაბანაზე, გამოაცხადო ან დააცვა პროლეტარიატის დამთრგუნავი ბურჟუაზიული მანქანის (ესეიგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის, ბურჟუაზიული სახელმწიფოს) ხელუხლებლობა, იმას ნიშნავს, რომ ფაქტიურად გადახვიდე ბურჟუაზიის ბანაკში.

კაუცკის პოზიციის უაზრობა ისე გვეცემა თვალში, იერიში მუშათა მასებისა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას მოითხოვენ, ისე ძლიერია, რომ კაუცკი და კაუცკელები იძულებული გახდნენ სამარცხვინოდ უკან დაეხიათ, აბნეულიყვნენ, რადგან მათ ვერ შესძლეს შეცდომის პატიოსნად აღიარება.

1919 წლის 9 თებერვალს გაზეთ «თავისუფლებაში» («Freiheit»), გერმანიის «დამოუკიდებელი» (მარქსიზმისგან დამოუკიდებელ, მაგრამ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისგან სავსებით დამოკიდებული) სოციალ-დემოკრატების ორგანოში, იბეჭდება სტატია ბატონ ჰილფერდინგისა, რომელიც უკვე მოითხოვს საბჭოების გადაქცევას სახელმწიფო ორგანიზაციებად, მაგრამ ბურჟუაზიული პარლამენტის, «ეროვნული კრების» გვერდით, მასთან ერთად. 1919 წლის 11 თებერვალს მოწოდებაში გერმანიის პროლეტარიატისადმი მთელი «დამოუკიდებელი» პარტია იღებს ამ ლოზუნგს (მაშასადამე, ბატონი კაუცკიც, რომელიც აქარწყლებს თავის 1918 წლის შემოდგომაზე გაკეთებულ განცხადებებს).

პროლეტარიატის დიქტატურასთან ბურჟუაზიის დიქტატურის შეთავსების ეს ცდა არის სრული განდგომა მარქსიზმისგანაც და საერთოდ სოციალიზმისგანაც, არის იმ რუსი მენშევიკებისა და «სოციალისტ-რევოლუციონერების» გამოცდილების დავიწყება, რომლებმაც 1917 წ. 6 მაისიდან 1917 წ. 25 ოქტომბრამდე (ძველი სტილით) მოახდინეს საბჭოების, როგორც «სახელმწიფო ორგანიზაციის», შეხამების «ცდა» ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრიობასთან და სამარცხვინოდ დამარცხდნენ ამ ცდაში.

«დამოუკიდებელთა» პარტიულ ყრილობაზე (1919 წ. მარტის დამდეგს) მთელი პარტია დადგა ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმთან საბჭოების შეერთების ამ ბრძნულ პოზიციაზე. მაგრამ აი 1919 წ. 13 აპრილის «თავისუფლება» № 178 («დამატება») იტყობინება, რომ «დამოუკიდებელთა» ფრაქციამ საბჭოების II ყრილობაზე წარადგინა რეზოლუცია:

«საბჭოების მეორე ყრილობა დგება საბჭოთა სისტემის ნიადაგზე. ამის თანახმად, გერმანიის პოლიტიკური და სამეურნეო წყობა უნდა ეყრდნობოდეს საბჭოების ორგანიზაციებს. მუშათა დეპუტატების საბჭოები წარმოადგენენ მშრომელი მოსახლეობის მოწოდებულ წარმომადგენლობას პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში».

ხოლო ამასთან ერთად იმავე ფრაქციამ ყრილობას წარუდგინა «დირექტივების» (**Richtlinien**) პროექტი, რომელშიც ვკითხულობთ:

«მთელი პოლიტიკური ძალაუფლება აქვს საბჭოების ყრილობას»... «უფლება აირჩიონ და არჩეულ იქნან საბჭოებში აქვთ, განურჩევლად სქესისა, იმათ, ვინც ასრულებს საზოგადოებრივად აუცილებელ და სასარგებლო მუშაობას და არ ეწევა სხვისი სამუშაო ძალის ექსპლოატაციას»...

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, როგორ აღმოჩნდნენ «დამოუკიდებელი» ბელადები უბადრუკ მეშჩანებად, რომლებიც სავსებით დამოკიდებული არიან პროლეტარიატის ყველაზე ჩამორჩენილი ნაწილის ფილისტერულ ცრურწმენაზე. 1918 წლის შემოდგომაზე ეს ბელადები, კაუცკის პირით, უარს ამბობენ საბჭოების ყოველგვარ გადაქცევაზე სახელმწიფო ორგანიზაციებად. 1919 წლის მარტში ისინი სთმობენ ამ პოზიციას და კუდში მისჩანჩალებენ მუშათა მასას. 1919 წლის აპრილში ისინი ყირამალა ატრიალებენ თავიანთი ყრილობის გადაწყვეტილებას და მთლიანად გადადიან კომუნისტების პოზიციაზე: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს».

დიდი ფასი არა აქვთ ასეთ ბელადებს. ბელადები საჭირო არ არიან იმისთვის, რომ გამოხატონ სულიერი განწყობილება პროლეტარიატის ყველაზე ჩამორჩენილი ნაწილისა, რომელიც ავანგარდის წინ კი არ მიდის, არამედ უკან. და ისეთი უხასიათობის გამო, როგორითაც ისინი თავიანთ ლოზუნგებს

იცვლიან, ეს ბელადები არაფრად ღირან. მათი ნდობა შეუძლებელია. ისინი მუშათა მოძრაობაში ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ზედმეტი ბარგი, უარყოფითი სიდიდე იქნებიან.

მათში ყველაზე «მემარცხენე» ვინმე ბატონი დეიმიგი (Däumig) პარტიის ყრილობაზე (იხ. 9 მარტის «თავისუფლება») შემდეგნაირად მსჯელობდა:

...«დეიმიგი აცხადებს, რომ მას არაფერი აშორებს კომუნისტების მოთხოვნისაგან: «მთელი ძალაუფლება მუშათა დეპუტატების საბჭოებს». მაგრამ ის იძულებულია წინააღმდეგობა გაუწიოს კომუნისტების პარტიის პუტშიზმის პრაქტიკულად გატარებას და ბიზანტინიზმს, რასაც ისინი იჩენენ მასების მიმართ, ნაცვლად იმისა, რომ აღზარდონ ისინი. პუტშისტური, დაქსაქსული მოქმედება წინ ვერ წაგვიყვანს»...

გერმანელები პუტშიზმს უწოდებენ იმას, რასაც ძველი რევოლუციონერები რუსეთში 50 წლის წინათ უწოდებდნენ «აფეთქებას», წვრილ შეთქმულებათა, ხელყოფათა, აჯანყებათა მოწყობას და სხვ.

ბატონი დეიმიგი კომუნისტებს აბრალებს «პუტშიზმს», რითაც ამტკიცებს მხოლოდ თავის «ბიზანტინიზმს», თავის ლაქიურ მლიქვნელობას წვრილი ბურჟუაზიის ფილისტერული ცრურწმენის მიმართ. «მემარცხენეობა» ასეთი ვაჟბატონისა, რომელიც მასის შიშით იმეორებს «მოდურ» ლოზუნგს, და რომელსაც ვ ე რ ა ფ ე რ ი გ ა უ გ ი ა მ ა ს ო ბ რ ი ვ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ა, გახვრეტილ ფარად არა ღირს.

გერმანიაში აზვირთებულია სტიქიური საგაფიცვო მოძრაობის ძლიერი ტალღა. პროლეტარული ბრძოლის გაუგონარი აღმავლობა და ზრდა, რომელიც, როგორც ჩანს, აღემატება იმას, რაც რუსეთში იყო 1905 წელს, როცა საგაფიცვო მოძრაობამ მიაღწია ჯერ ქვეყნად არნახულ სიმაღლეს. ასეთი მოძრაობის წინაშე ლაპარაკი «აფეთქებაზე» იმას ნიშნავს, რომ გაუსწორებელი უხამსი ადამიანი და ფილისტერული ცრურწმენის ლაქია იყო.

ბატონი ფილისტერები, დეიმიგის მეთაურობით, ალბათ, ოცნებობენ ისეთ რევოლუციაზე (თუკი საერთოდ მათ თავში

არსებობს რევოლუციის რაიმე იდეა), როდესაც მასები აღსდგებიან ერთბაშად და სავსებით ორგანიზებულად.

ასეთი რევოლუციები არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. კაპიტალიზმი არ იქნებოდა კაპიტალიზმი, მას რომ მშრომელთა მილიონიანი მასები, მათი უდიდესი უმრავლესობა არ ჰყავდეს დაჩაგრული, დაბეჩავებული, გაჭირვებასა და სიბნელეში. კაპიტალიზმი არ შეიძლება დაინგრეს სხვაგვარად, თუ არ რევოლუციის მეშვეობით, რომელიც ბრძოლის მსვლელობაში ფეხზე აყენებს წინათ ხელუხლებელ მასებს. რევოლუციის ზრდის დროს სტიქიური აფეთქებანი გარდუვალია. უამისოდ არც ერთი რევოლუცია არ ყოფილა და არც იქნება.

კომუნისტები რომ სტიქიურობას ექომაგებიან, ეს ბატონი დეიმიგის სიცრუეა, სავსებით ისეთივე ჯურის სიცრუე, რომელიც ბევრჯერ გვსმენია მენშევიკებისა და ესერებისგან. კომუნისტები არ ექომაგებიან სტიქიურობას, არ ემხრობიან დაქსაქსულ აფეთქებებს. კომუნისტები მასებს ასწავლიან ორგანიზებულ, მთლიან, შეთანხმებულ, თავისდროულ, მომწიფებულ გამოსვლას. ბატონ დეიმიგის, კაუცკისა და კომპანიის ფილისტერული ცილისწამებანი ვერ გააბათილებენ ამ ფაქტს.

მაგრამ ფილისტერებს უნარი არ შესწევთ გაიგონ, რომ კომუნისტები თავის მოვალეობად სთვლიან — და სავსებით სამართლიანადაც — იყონ ჩაგრულთა მებრძოლ მასებთან, და არა განზე მდგომ და ლაჩრულად მოლოდინე მეშჩანობის გმირებთან. როდესაც მასები იბრძვიან, შეცდომები ბრძოლაში აუცილებელია: კომუნისტები, როცა ამ შეცდომებს ხედავენ, განუმარტავენ მათ მასებს, ცდილობენ გამოასწორონ შეცდომები, განუხრელად იცავენ შეგნებულობის გამარჯვებას სტიქიურობაზე და მასებთან რჩებიან. უმჯობესია იყო მებრძოლ მასებთან, რომლებიც ბრძოლის მსვლელობაში თანდათან თავისუფლდებიან შეცდომებისგან, ვიდრე ინტელიგენტუნებთან, ფილისტერებთან

და კაუცკელებთან, რომლებიც განზე გამდგარნი ელოდებიან «სრულ გამარჯვებას», — აი ის ჭეშმარიტება, რომლის გაგება ბატონ დეიმიგებს არ შეუძლიათ.

მით უარესი მათთვის. ისინი უკვე შევიდნენ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ისტორიაში, როგორც ლაჩარი მეშჩანები, რეაქციული მოწუწუნენი, შეიდემანების გუშინდელი მსახურნი, «სოციალური მშვიდობის» დღევანდელი მქადაგებელნი, სულ ერთია, ეს ქადაგება იმალება საბჭოებთან დამფუძნებელი კრების შეერთების საბურველით თუ «პუტშიზმის» ღრმააზროვანი დაგმობის საბურველით.

რეაქციულ-მეშჩანური წუწუნით მარქსიზმის შეცვლის საქმეში რეკორდი დაამყარა ბატონმა კაუცკიმ. იგი სულ ერთ კილოზე მოსთქვამს: დასტირის იმას, რაც ხდება, ჩივის, ტირის, ელდა ნაცემია, შერიგებას ჰქადაგებს! მთელ თავის სიცოცხლეში ეს მწუხარე სახის რაინდი კლასობრივ ბრძოლასა და სოციალიზმზე წ ე რ დ ა, ხოლო როცა საქმე მიდგა კლასობრივი ბრძოლის მაქსიმალურად გამწვავებაზე და სოციალიზმი სახვალიო საქმედ გადაიქცა, ჩვენი ბრძენი დაიბნა, ატირდა და ჩვეულებრივი ფილისტერი აღმოჩნდა. სოციალიზმის ვენელი გამცემლების, აუსტერლიცების, რენერების, ბაუერების გაზეთის («მუშათა გაზეთი», 1919 წ. 9 აპრილი, ვენა, დილის გამოშვება) 98-ე ნომერში კაუცკი მეასედ, თუ მეათასედ არა, აჯამებს თავის ლამენტაციებს:

...«ეკონომიური აზროვნება და ეკონომიური გაგება — მისტირის ის — განდევნილია ყველა კლასის გონებიდან»... «ხანგრძლივმა ომმა პროლეტარიატის ფართო ფენები შეაჩვია ეკონომიური პირობების სრულ უგულებელყოფას და ძალმომრეობის ყოვლისშემძლეობის მტკიცე რწმენას»...

ეს არის ჩვენი «ფრიად განსწავლული» ადამიანის ორი «მცირე პუნქტი»! «ძალმომრეობის კულტი» და წარმოების კრახი — აი რის გულისთვის გადავარდა ის ჩვეულ, ძველ, ძველთაძველ მეშჩანურ წუწუნში კლასობრივი ბრძოლის რ ე ა ლ უ რ პირობათა ანალიზის ნაცვლად; «ჩვენ მოველოდით, — წერს ის, — რომ რევოლუცია მოვა როგორც პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის პროდუქტი»...

«რევოლუცია კი მოვიდა გაბატონებული სისტემის სამხედრო კრახის შედეგად როგორც რუსეთში, ისე გერმანიაში»...

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ეს ბრძენი «მოელოდა» მშვიდობიან რევოლუციას! ეს დიდებული რამაა!

მაგრამ ბატონი კაუცკი იმდენად დაიბნა, რომ დაავიწყდა, თუ როგორ წერდა თვითონვე წინათ, როცა მარქსისტი იყო, იმაზე, რომ, ფრიად შესაძლებელია, ომი რევოლუციის საბაბი გახდესო. ახლა, ნაცვლად ფხიზელი, თამამი ანალიზისა, თუ ომის გამო რევოლუციის ფორმების რა ცვლილებებია აუცილებელი, ჩვენი «თეორეტიკოსი» დასტირის თავის დამსხვრეულ «მოლოდინს»!

...«ეკონომიური პირობების უგულებელყოფა პროლეტარიატის ფართო ფენების მხრივ»!

რა უბადრუკი აბდაუბდაა! რა კარგად ვიცნობთ ჩვენ ამ მეშჩანურ ლათაიებს კერენსკის ეპოქის მენშევიკური გაზეთების მიხედვით!

ეკონომისტ კაუცკის დავიწყებია, რომ როცა ქვეყანა გაჩანაგებულია ომით და დაღუპვის პირასაა მიყვანილი, მაშინ მთავარ, არსებით, ძირითად «ეკონომიურ პირობას» წარმოადგენს მუშის გადარჩენა. თუ მუშათა კლასი გადაურჩა შიმშილით სიკვდილს, აშკარა დაღუპვას, მაშინ შესაძლებელი გახდება დანგრეული წარმოების აღდგენა. ხოლო მუშათა კლასი რომ გადაარჩინო, საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურა, რაც ერთადერთი საშუალებაა ხელი შეუშალო იმას, რომ მუშებს დააკისრონ ომის სიმძიმე და შედეგები.

ეკონომისტ კაუცკის «დავიწყებია», რომ დამარცხების სიმძიმეთა განაწილების საკითხი წყდება კლასობრივი ბრძოლით, და რომ კლასობრივი ბრძოლა სრულიად გაწამებული, გაჩანაგებული, დამშეული, დაღუპვის პირას მისული ქვეყნის ვითარებაში გარდუვალად იცვლის თავის ფორმებს. ეს არის უკვე კლასობრივი ბრძოლა არა თავისი წილისთვის წარმოებაში, არა წარმოების გაძღოლისთვის (ვინაიდან წარმოება გაჩერებულია, ქვანახშირი არ არის, რკინიგზები გაფუჭებულია, ომმა ადამიანები კალაპოტიდან

ამოაგდო, მანქანები გაცვეთილია და სხვ. და ა. შ.), არამედ შიმშილისაგან გადასარჩენად. მხოლოდ ბრიყვებს, თუნდაც ფრიად «განსწავლულებს», შეუძლიათ ასეთ მდგომარეობაში «გაჰკიცხონ» «სამომხმარებლო, ჯარისკაცული» კომუნიზმი და ქედმაღლურად ჭკუა ასწავლონ მუშებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოებას.

ჯერ, უწინარეს ყოვლისა, პირველ რიგში საჭიროა მუშის გადარჩენა. ბურჟუაზიას სურს შეინარჩუნოს პრივილეგიები, მუშას დააკისროს ომის მთელი შედეგები, ეს კი ნიშნავს მუშების შიმშილით ამოხოცვას.

მუშათა კლასს სურს თავი გადაირჩინოს შიმშილისგან, ამისთვის კი საჭიროა ბურჟუაზიის განადგურება, ჯერ მოხმარების უზრუნველყოფა, თუნდაც სრულიად მცირედისა, თორემ უამისოდ ვერ აიტანს ნახევრადმშიერ არსებობას, ვერ გასძლებს იმ დრომდე, როცა შესაძლებელი გახდება წარმოების კვლავ ამუშავება.

«იფიქრე წარმოებაზე!» — ეუბნება მაძღარი ბურჟუა დამშეულ და შიმშილისგან ქანცმილეულ მუშას, და კაუცკიც იმეორებს კაპიტალისტების ამ ლათაიებს ვითომ «ეკონომიური მეცნიერების» სახით და სავსებით ბურჟუაზიის ლაქია ხდება.

მუშა კი ამბობს: დაე ბურჟუაზიამაც იცხოვროს ნახევრადმშიერი ულუფით, რათა მშრომელნი წელში გასწორდნენ, არ დაიღუპნენ. «სამომხმარებლო კომუნიზმი» მუშის გადარჩენის პირობაა. მუშის გადასარჩენად არავითარ მსხვერპლს არ უნდა დავერიდოთ! ნახევარ-ნახევარ გირვანქა კაპიტალისტებს, თითო გირვანქა მუშებს — აი როგორ უნდა დავაღწიოთ თავი შიმშილის ხანას, გაჩანაგებას. დამშეული მუშისათვის მოხმარების უზრუნველყოფა — წარმოების აღდგენის საფუძველი და პირობაა.

ცეტკინმა სრული უფლებით უთხრა კაუცკის, რომ ის «ექანება ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიისკენ. წარმოება ადამიანისთვის, და არა პირიქით»...

წვრილბურჟუაზიული ცრურწმენისაგან სავსებით ასეთივე დამოკიდებულება გამოამჟღავნა დამოუკიდებელმა ბატონმა კაუცკიმ, დასტირის რა «ძალმომრეობის კულტს». როდესაც ბოლშევიკები ჯერ კიდევ 1914 წელს აღნიშნავდნენ, იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად გადაიქცევაო, მაშინ ბატონი კაუცკი სდუმდა, იყო რა ერთ პარტიაში დავიდთან და კომპ., რომლებიც ამ წინასწარხედვას (და ამ ლოზუნგს) «სიგიჟედ» აცხადებდნენ. კაუცკიმ აბსოლუტურად ვერ გაიგო იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის გარდუვალობა, ახლა კი თავის გაუგებლობას თავს ახვევს სამოქალაქო ომში მებრძოლ ორივე მხარეს! განა ეს რეაქციული მეშჩანური გონების სიჩლუნგის ნიმუში არ არის?

მაგრამ თუ 1914 წელს იმის გაუგებლობა, რომ იმპერიალისტური ომი გარდუვალად გადაიქცეოდა სამოქალაქო ომად, მ ხ ო ლ ო დ მეშჩანური გონების სიჩლუნგე იყო, ახლა, 1919 წელს, ეს უკვე რაღაც უფრო ცუდია. ეს არის მუშათა კლასისადმი ღალატი. ვინაიდან სამოქალაქო ომი რუსეთშიც, ფინეთშიც, ლატვიაშიც, გერმანიაშიც და უნგრეთშიც ფ ა ქ ტ ი ა. თავის წინანდელ ნაწარმოებებში კაუცკის ასჯერ და ათასჯერ უღიარებია, რომ არის ხოლმე ისეთი ისტორიული პერიოდები, როდესაც კლასობრივი ბრძოლა გარდუვალად იქცევა სამოქალაქო ომადო. ეს პერიოდი დადგა, კაუცკი კი მერყეევი, მშიშარა წვრილი ბურჟუაზიის ბანაკში აღმოჩნდა.

...«ს პ ა რ ტ ა კ ი ს გ ა მ ა მ ხ ნ ე ვ ე ბ ე ლ ი ს უ ლ ი, ა რ ს ე ბ ი თ ა დ ლ უ დ ე ნ დ ო რ ფ ი ს უ ლ ი ა... ს პ ა რ ტ ა კ ი ა ღ წ ე ვ ს ა რ ა მ ა რ ტ ო თ ა ვ ი ს ი ს ა ქ მ ი ს დ ა ღ უ პ ვ ა ს, ა რ ა მ ე დ ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ი ს გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა ს ა ც უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ თ ა მ ხ რ ი ვ. ნ ო ს კ ე ს პ ა რ ტ ა კ ი ს ა ნ ტ ი პ ო დ ი ა»...

კაუცკის ეს სიტყვები (მისი სტატიიდან ვენის «მუშათა გაზეთში») იმდენად უსასრულოდ ჩლუნგი, მდაბალი და უმსგავსოა, რომ საკმარისია მხოლოდ მათზე მითითება. პარტია, რომელიც ასეთ ბელადებს ითმენს, დამპალი პარტიაა.

ბერნის ინტერნაციონალი, რომელსაც ბატონი კაუცკი ეკუთვნის, კაუცკის ამ სიტყვების თვალსაზრისით ჩვენს მიერ ღირსეულად უნდა შეფასდეს, როგორც ყვითელი ინტერნაციონალი.

როგორც კურიოზს, მოვიყვანთ კიდევ ბატონ ჰააზეს მსჯელობას სტატიაში «ამსტერდამის ინტერნაციონალი»-ს შესახებ («თავისუფლება», 1919 წ. 4 მაისი). ბატონ ჰააზეს თავი მოაქვს იმით, რომ კოლონიების საკითხში წარადგინა რეზოლუცია, რომლის მიხედვით «ინტერნაციონალის წინადადებით ორგანიზებული ხალხთა კავშირის... ამოცანაა სოციალიზმის განხორციელებამდე...» (ეს დაიხსომეთ!) ...«კოლონიები განაგოს უწინარეს ყოვლისა ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესებისთვის, შემდეგ კი ყველა იმ ხალხის ინტერესებისთვის, რომლებიც გაერთიანებული არიან ხალხთა კავშირში»...

განა ხელიხელსაგოგმანებელი მარგალიტი არ არის? სოციალიზმის **განხორციელებამდე**, ამ ბრძენის რეზოლუციის თანახმად, **კოლონიებს განაგებს** არა ბურჟუაზია, არამედ რომელიღაც კეთილი, სამართლიანი, გულთბილი «ხალხთა კავშირი»!! რით განსხვავდება ეს პრაქტიკულად ყველაზე საძაგელი კაპიტალისტური თვალთმაქცობის შელამაზებისაგან? და ეს — ბერნის ინტერნაციონალის «მემარცხენე» წევრები არიან...

მკითხველმა რომ უფრო თვალსაჩინოდ შეადაროს ჰააზეს, კაუცკისა და კომპ. ნაწერთა მთელი სიჩლუნგე, სიმდაბლე და სისაძაგლე გერმანიის რეალურ ვითარებას, მოვიყვან კიდევ ერთ პატარა ციტატს.

ცნობილმა კაპიტალისტმა ვალტერ რატენაუმ გამოაქვეყნა წიგნაკი: **«ახალი სახელმწიფო» (Der neue Staat)**. წიგნაკი დათარიღებულია 1919 წლის 24 მარტით. მისი თეორიული ღირებულება ნულს უდრის. მაგრამ როგორც მეთვალყურე, ვალტერ რატენაუ იძულებულია აღიაროს შემდეგი:

...«ჩვენ, პოეტთა და მოაზროვნეთა ხალხი, ჩვენი მეორადი საქმიანობით (im Nebenberuf) ფილისტერები ვართ»...

...«იდეალიზმი ახლა მხოლოდ უკიდურეს მონარქისტებსა და სპარტაკელებს შერჩენიათ»...

«შეუფერადებელი ჭეშმარიტება ასეთია: ჩვენ მივდივართ დიქტატურისკენ, პროლეტარული ან პრეტორიანული დიქტატურისკენ» (გვ. 29, 52, 65).

ამ ბურჟუას, ჩანს, თავი წარმოუდგენია ისევე «დამოუკიდებლად» ბურჟუაზიისგან, როგორც ბატონ კაუცკისა და ჰააზეს აქვთ თავი წარმოდგენილი «დამოუკიდებლებად» მეშჩანობისა და ფილისტერობისაგან.

მაგრამ ვალტერ რატენაუ ბევრად უფრო მაღლა დგას კარლ კაუცკიზე, რადგან მეორე წუწუნებს და ლაჩრულად ემალება «შეუფერადებელ ჭეშმარიტებას», პირველი კი პირდაპირ აღიარებს მას.

28. V. 1919.

გამოქვეყნებულია 1919 წ. ივნისში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა ი. ბ. სტალინს

პეტროგრადი, სმოლნი, სტალინისთვის

პეტროგრადზე თეთრგვარდიელების შემოტევის მთელი ვითარება გვაიძულებს ვივარაუდოთ, რომ ჩვენს ზურგში, შესაძლოა თვით ფრონტზედაც კი, არსებობს ორგანიზებული გამცემლობა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას შედარებით უმნიშვნელო ძალებით თავდასხმა, სწრაფად წინ წამოწევა და აგრეთვე ხიდების არა ერთხელ აფეთქება პეტროგრადის მაგისტრალებზე. ისე ჩანს, მტერი სრულიად დარწმუნებულია, რომ ჩვენ არა გვყავს რამდენადმე ორგანიზებული სამხედრო ძალა წინააღმდეგობის გასაწევად და გარდა ამისა მტერს იმედი აქვს ზურგიდან დახმარებისა (საარტილერიო საწყობის ხანძარი ნოვო-სოკოლნიკში, ხიდების აფეთქება, დღევანდელი ცნობა აჯანყების შესახებ ორედეჟში). თხოვნაა, გაძლიერებული ყურადღება მიაქციოთ ამ გარემოებას და სასწრაფო ზომები მიიღოთ შეთქმულებათა აღმოსაჩენად.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 29 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს

იბეჭდება ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი ორიგინალის მიხედვით

უფრთხილდით ჯაშუშებს!

სიკვდილი ჯაშუშებს!

პეტროგრადზე თეთრგვარდიელების შემოტევამ ცხადად დაამტკიცა, რომ მთელ ფრონტისპირა ზოლში, ყოველ დიდ ქალაქში თეთრებს აქვთ ჯაშუშობის, გამცემლობის, ხიდების აფეთქების, ზურგში აჯანყებათა მოწყობის, კომუნისტებისა და მუშათა ორგანიზაციების გამოჩენილი წევრების მკვლელობის ფართო ორგანიზაცია.

ყველანი თავიანთ პოსტზე უნდა იყვნენ.

ყველგან გავაორკეცოთ სიფხიზლე, მოვიფიქროთ და სასტიკად განვახორციელოთ მთელი რიგი ზომები ჯაშუშებისა და თეთრ შეთქმულთა კვალის მისაგნებად და მათ შესაპყრობად.

რკინიგზის მუშაკები და პოლიტიკური მუშაკები გამოუკლებლივ ყველა სამხედრო ნაწილში განსაკუთრებით ვალდებული არიან გაორკეცონ სიფრთხილე.

ყველა შეგნებულმა მუშამ და გლეხმა მკერდით უნდა დაიცვას საბჭოთა ხელისუფლება, უნდა აღსდგნენ ისინი ჯაშუშებთან და თეთრგვარდიელ გამცემლებთან საბრძოლველად. დაე ყველა იდგეს სადარაჯო პოსტზე — განუწყვეტელი, სამხედრო ყაიდაზე მოწყობილი კავშირი იქონიოს პარტიის კომიტეტებთან, საგანგებო კომიტეტთან, ყველაზე საიმედო და გამოცდილ ამხანაგებთან საბჭოთა მუშაკებს შორის.

მუშურ-გლეხური თავდაცვის
საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)
შინსახკომი ფ. ძერჟინსკი

«პრავდა» № 116, 1919 წ.
31 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის» ტექსტის
მიხედვით

პროექტი ც. კ-ის დირექტივისა სამხედრო ერთიანობის შესახებ

მიიღო რა მხედველობაში:

1) რომ რსფსრ იძულებულია უკრაინის, ლატვიის, ესტონეთის, ლიტვისა და ბელორუსიის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან კავშირში აწარმოოს თავდაცვითი ბრძოლა საერთო მტრის — მსოფლიო იმპერიალიზმისა და შავრაზმული და თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, რომელსაც იგი მხარს უჭერს.

2) რომ ამ ომის წარმატების აუცილებელი პირობაა წითელი არმიის ყველა რაზმის ერთიანი სარდლობა და უსასტიკესი ცენტრალიზაცია სოციალისტური რესპუბლიკების მთელი ძალებისა და რესურსების, კერძოდ, სამხედრო მომარაგების მთელი აპარატისა და აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტის გამგებლობისა, რაკი რკინიგზის ტრანსპორტი ომის უმნიშვნელოვანესი მატერიალური ფაქტორია, რომელსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამხედრო ოპერაციების შესრულებისათვის, არამედ აგრეთვე წითელი არმიის საბრძოლო და მატერიალური ქონებითა და სურსათით მომარაგებისთვისაც.

რკპ ც. კ-მა დაადგინა:

1) აუცილებლად საჭიროდ იქნას ცნობილი სოციალისტური თავდაცვითი ომის მთელი ხნის განმავლობაში წითელი არმიის მომარაგების მთელი საქმის გაერთიანება თავდაცვის საბჭოს და რსფს რესპუბლიკის სხვა ცენტრალური დაწესებულებების ერთიანი ხელმძღვანელობით;

2) აუცილებლად საჭიროდ იქნას ცნობილი სოციალისტური თავდაცვითი ომის მთელი ხნის განმავლობაში რკინიგზის ტრანსპორტისა და რკინიგზის ქსელის გამგებლობის გაერთიანება მოძმე სოციალისტური რესპუბლიკების მთელ სივრცეზე რსფს რესპუბლიკის გზათა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით და მართვა-გამგეობით;

3) თავდაცვის ინტერესებთან შეუთავსებლად იქნას ცნობილი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში წითელი არმიის მომარაგების ცალკეული ორგანოების და გზათა ცალკეული კომისარიატების არსებობა და დაჟინებით მოვითხოვოთ ომის განმავლობაში გარდაიქმნას ასეთები რსფს რესპუბლიკის წითელი არმიის მომარაგების ორგანოების განყოფილებებად და რსფს რესპუბლიკის გზათა სახალხო კომისარიატის განყოფილებებად, რომლებიც უშუალო გამგებლობაში იქნებიან და სავსებით დაექვემდებარებიან რსფს რესპუბლიკის წითელი არმიის მომარაგების ცენტრალურ ორგანოებს და რსფს რესპუბლიკის გზათა სახალხო კომისარიატს;

4) გაუქმდეს ყველა ის დეკრეტი, რომლებიც შეეხება წითელი არმიის მომარაგებას და რკინიგზის ტრანსპორტს ან რკინიგზის ქსელის მართვა-გამგეობას, რამდენადაც ისინი ეწინააღმდეგებიან იმ დადგენილებებსა და დეკრეტებს, რომლებიც აწესრიგებენ რსფს რესპუბლიკის წითელი არმიის მომარაგებას და აგრეთვე რსფს რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტისა და რკინიგზის ქსელის მართვა-გამგეობას.

ლ ე ნ ი ნ ი. სტ ა ლ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. მაისში
პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება
ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის
მიერ ხელმოწერილი, საწერ
მანქანაზე დაბეჭდილი ეგზემპლარის
მიხედვით

დეპეშა ი. ბ. სტალინს

პეტროგრადი, სმოლნი, სტალინს

თუ მდგომარეობა პიტერის ფრონტზე ხელსაყრელია, საჭიროა დავძაბოთ ყველაფერი სწრაფი და გადამწყვეტი დარტყმისათვის, რადგან ჯარები მეტისმეტად საჭიროა სხვა ადგილებში.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 4 ივნისს
პირველად დაიბეჭდა 1938 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პროექტი რკპ(ბ) ც. კ-ის დადგენილებისა პეტროგრადის ფრონტის შესახებ

ც. კ. ადგენს:

1. პიტერის ფრონტი აღიარებულ იქნას პირველი მნიშვნელობის ფრონტად. ვიხელმძღვანელოთ ამით ჯარების განაწილებისას და სხვ.

2. აღმოსავლეთის ფრონტიდან მოხსნილი დივიზიების ⅔ მიეცეს პიტერს, ⅓ სამხრეთის ფრონტს.

3. დაევალოს ორგბიუროს მიიღოს მთელი რიგი ფრიად ენერგიული და ფრიად სასწრაფო ზომები საბჭოთა (ცენტრალური და ადგილობრივი) სამუშაოდან კომუნისტების მოხსნის გასაძლიერებლად და სამხედრო სამუშაოზე გადასაყვანად, განსაკუთრებით ფრონტის ღრმა და უახლოეს ზურგში (ბრძოლა დეზერტირობასთან, სამხედრო დამზადება, საწყობები, მობილიზაციის დაჩქარება და სხვა).

4. ასეთივე დავალება ეძლევათ თავდაცვის საბჭოსა და სახალხო კომისართა საბჭოს.

დაწერილია არა უგვიანეს
1919 წ. 10 ივნისისა

პირველი ორი მუხლი
გამოქვეყნდა 1941 წელს
სრულად იბეჭდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

დიადი თაოსნობა

(მუშების გმირობის შესახებ ზურგში.
«კომუნისტურ შაბათობათა» გამო.)

დაიბეჭდა 1919 წ. ივლისში
ცალკე ბროშურად, მოსკოვი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პრესა წითელარმიელების გმირობის მრავალ მაგალითს გვაუწყებს. მუშები და გლეხები კოლჩაკელებთან, დენიკინელებთან და მემამულეებისა და კაპიტალისტების სხვა ჯარებთან ბრძოლაში ხშირად მამაცობისა და ამტანობის სასწაულს იჩენენ, იცავენ რა სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრებს. ნელა და ძნელად ხდება პარტიზანობის აღმოფხვრა, დაღლილობისა და თავაშვებულობის დაძლევა, მაგრამ იგი მაინც წინ მიდის, მიუხედავად ყველაფრისა. გმირობა მშრომელი მასებისა, რომლებიც შეგნებულად სწირავენ მსხვერპლს სოციალიზმის გამარჯვების საქმეს, აი რა არის საფუძველი ახალი, ამხანაგური დისციპლინისა წითელ არმიაში, მისი აღორძინებისა, განმტკიცებისა და ზრდისა.

არანაკლები ყურადღების ღირსია მუშების გმირობა ზურგში. ამ მხრივ პირდაპირ უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს მუშების მიერ მათივე საკუთარი თაოსნობით მოწყობილ კომუნისტურ შაბათობებს. ჩანს, ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ ეს არის არაჩვეულებრივ დიდი მნიშვნელობის დასაწყისი. ეს არის დასაწყისი ბურჟუაზიის დამხობაზე უფრო ძნელი, უფრო არსებითი, უფრო ძირითადი, უფრო გადამწყვეტი გადატრიალებისა, რადგან ეს არის გამარჯვება საკუთარ უძრაობაზე, თავაშვებულობაზე, წვრილბურჟუაზიულ ეგოიზმზე, ამ ჩვეულებებზე, რაც წყეულმა კაპიტალიზმმა მემკვიდრეობად დაუტოვა მუშასა და გლეხს, როდესაც ეს

გამარჯვება განმტკიცდება, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიქმნება ახალი საზოგადოებრივი დისციპლინა, სოციალისტური დისციპლინა, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეუძლებელი გახდება დაბრუნება უკან, კაპიტალიზმისაკენ, და კომუნიზმი ნამდვილად უძლეველი გახდება.

17 მაისის «პრავდამ» მოათავსა ამხ. ა. ე-ს სტატია «რევოლუციურად მუშაობა (კომუნისტური შაბათი)». ეს სტატია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ სრულად მოვიყვანთ მას:

რევოლუციურად მუშაობა

(კომუნისტური შაბათი)

რკპ ც. კ-ის წერილმა **რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ა დ** მუშაობის შესახებ ძლიერი ბიძგი მისცა კომუნისტურ ორგანიზაციებს და კომუნისტებს. საერთო აღმავლობამ მრავალი რკინიგზელი-კომუნისტი ფრონტზე გაგზავნა, მაგრამ მათს უმრავლესობას არ შეეძლო თავიანთი პასუხსაგები პოსტები დაეტოვებინათ და რევოლუციურად მუშაობის ახალი საშუალებები გამოეძებნათ. ადგილებიდან მიღებულმა ცნობებმა სამობილიზაციო მუშაობის ნელა მიმდინარეობის შესახებ და კანცელარულმა საქმის გაჭიანურებამ აიძულა მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის ქვე-რაიონი ყურადღება მიექცია სარკინიგზო მეურნეობის მექანიზმისათვის. აღმოჩნდა, რომ მუშახელის ნაკლებობისა და შრომის სუსტი ინტენსივობის გამო გვიანდება სასწრაფო შეკვეთები და ორთქლმავალთა სასწრაფო შეკეთება. მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის ქვე-რაიონის კომუნისტებისა და თანამგრძნობთა 7 მაისის საერთო კრებაზე დაისვა საკითხი კოლჩაკზე გამარჯვების ხელის შეწყობის სიტყვებიდან საქმეზე გადასვლის შესახებ. გამოტანილი წინადადება ასეთი იყო:

«ძძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობის გამო, კლასობრივი მტრის დასაძლევად კომუნისტებმა და თანამგრძნობებმა კვლავ უნდა დაძაბონ თავიანთი ძალ-ღონე და თავიანთ დასვენებას გამოსტაცონ კიდევ ერთი სამუშაო საათი, ე. ი. გაადიდონ თავიანთი სამუშაო დღე ერთი საათით, შეჯამონ იგი და შაბათს ერთბაშად იმუშაონ 6 საათი ფიზიკური შრომით, რათა დაუყოვნებლივ შექმნან რეალური ღირებულება. ვინაიდან კომუნისტები არ უნდა ზოგავდნენ თავიანთ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს რევოლუციის მონაპოვართათვის — მუშაობა უნდა წარმოებდეს უსასყიდლოდ. **კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი შ ა ბ ა თ ი** შემოღებულ იქნას მთელ ქვე-რაიონში კოლჩაკზე სრულ გამარჯვებამდე».

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ეს წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად. შაბათს, 10 მაისს, საღამოს 6 საათზე, კომუნისტები და თანამგრძნობნი ჯარისკაცებივით გამოცხადდნენ სამუშაოზე, დაეწყვნენ რიგებად და ოსტატებმა უდავიდარაბოდ მიუჩინეს მათ თავიანთი ადგილები.

რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ს ა ნ ა ა. თანდართული შენაჯამი გვიჩვენებს საწარმოებსა და მუშაობის ხასიათს.

მუშაობის ადგილი	სამუშაოთა დასახელება	რაოდ. მუშათა დენობა	საათების რაოდენობა: ერთეულ დროის	საათების რაოდენობა: სულ	შესრულებული სამუშაო
მოსკოვი. მთავარი სარ-ორთქლმავ-ლო სახელოსნოები.	დატვირთვა მასალებისა ხაზისათვის, მოწყობილობის დატვირთვა ორქლმავლებისა და ვაგონთა ნაწილების სარემონტოდ პეროვო,—მურომ,—ალატირსა და სიზრანში.	48 21 5	5 3 4	240 63 20	დატვირთულია 7 500 ფუთი, გადმოტვირთულია 1 800 ფუთი.
მოსკოვი. სამგზავრო დეპო.	რთული მიმდინარე რემონტი ორთქლმავლებისა	26	5	130	საერთოდ რემონტი გაუკეთდა $1^1/_2$ ორთქლმავალს.
მოსკოვი. განმანაწილებელი სადგური.	ორთქლმავალთა მიმდინარე რემონტი.	24	6	144	გამოშვებულია 2 ორთქლმავალი და 4 ორთქლმავალს მოეხსნა სარემონტო ნაწილები.
მოსკოვი. სავაგონო განყოფილება.	საკლასო ვაგონების მიმდინარე რემონტი.	12	6	72	მესამე კლასის 2 ვაგონი.
«პეროვოს». მთავარი სავაგონო სახელოსნოები.	ვაგონების რემონტი და მცირე რემონტი შაბათს, კვირას.	46 23	5 5	230 115	საქონლის 12 დახურული ვაგონი და 2 პლატფორმა.
	ს უ ლ.....	205	—	1014	საერთოდ გამოშვებულია 4 ორთქლმავალი, 16 ვაგონი და გადმოტვირთულ-დატვირთული 9 300 ფუთი.

მუშაობის საერთო ღირებულება ნორმალური გასამრჯელოს მიხედვით 5 000 ათასი მანეთია, საზეგანაკვეთო მუშაობისა $1^1/_2$-ჯერ მეტი.

შრომის ინტენსივობა დატვირთვის მიხედვით 270%-ით აღემატება ჩვეულებრივი მუშებისას. დანარჩენი სამუშაოები დაახლოებით ასეთივე ინტენსივობისაა.

თავიდან აცილებულია შეკვეთების (სასწრაფო შეკვეთების) დაგვიანება მუშახელის ნაკლებობისა და საქმის გაჭიანურების გამო 7 დღიდან 3 თვემდე.

მუშაობა წარმოებდა მოწყობილობის მოუწესრიგებლობის (ადვილად ასაცილებელის) პირობებში, რაც აფერხებდა ცალკეულ ჯგუფებს 30-დან 40 წუთამდე.

სამუშაოთა სახელმძღვანელოდ დატოვებული ადმინისტრაცია ძლივს ასწრებდა ახალ სამუშაოთა მომზადებას და, შესაძლოა, ცოტათი გადაჭარბებული იყოს მოხუცი ოსტატის სიტყვები, რომ კომუნისტური შაბათის განმავლობაში, შეუგნებელ და მოდუნებულ მუშებთან შედარებით, ერთი კვირის სამუშაოა შესრულებულიო.

ვინაიდან მუშაობას დაესწრნენ საბჭოთა ხელისუფლების უბრალო გულწრფელი მომხრეებიც და მომავალ შაბათებზედაც მოსალოდნელია ამგვარი ხალხის მოზღვავება, აგრეთვე იმის გამო, რომ სხვა რაიონებსაც სურთ მოსკოვ-ყაზანის რკინიგზელი კომუნისტების მაგალითს მიბაძონ, მე უფრო დაწვრილებით შევჩერდები ორგანიზაციულ მხარეზე ადგილებიდან მიღებული ცნობების მიხედვით.

სამუშაოზე იყო ათიოდე პროცენტი კომუნისტებისა, რომლებიც მუდმივ მუშაობენ ადგილობრივ. დანარჩენები იყვნენ პასუხსაგები თანამდებობის პირნი და არჩეულები, გზის კომისრიდან დაწყებული ცალკე საწარმოს კომისრამდე, აგრეთვე პროფესიული კავშირიდან და გზათა სამმართველოს და კომისარიატის მომუშავენი.

აღფრთოვანება და მუშაობის შეთანხმებულობა გაუგონარი იყო. როცა ულანძღვაგინებოდ და უჩხუბრად მუშები, კანტორის და სამმართველოს მუშაკნი ჩასჭიდებდნენ ხელს სამგზავრო ორთქლმავლის ბორბლის ორმოცფუთიან ბანდაჟს და მიაგორებდნენ მას დანიშნულ ადგილას, როგორც შრომისმოყვარე ჭიანჭველები, — გულში კოლექტიური შრომის სიხარულის მხურვალე გრძნობა იღვიძებდა და მტკიცდებოდა რწმენა მუშათა კლასის გამარჯვების ურყეობისა. მსოფლიო მტაცებლები ვერ ჩაახრჩობენ გამარჯვებულ მუშებს, შინაგანი საბოტაჟი ვერ ეღირსება კოლჩაკის მოსვლას.

მუშაობის დამთავრებისას დამსწრენი არნახული სურათის მოწმე გახდნენ: ასეული კომუნისტი, დაღლილი, მაგრამ სიხარულის ნაპერწკლებით თვალანთებული, ინტერნაციონალის საზეიმო ჰანგებით მიესალმა საქმის წარმატებას — და გეგონებოდათ, გამარჯვების ჰიმნის ეს ძლევამოსილ-

ტალღები გადალახავენ კედლებს, მოედებიან მუშათა მოსკოვს და, მსგავსად წყალში ჩაგდებული ქვისგან გამოწვეული ტალღებისა, გაიშლებიან მუშათა რუსეთში და გამოაფხიზლებენ დაღლილებსა და მოდუნებულთ.

ა. ჟ.

20 მაისის «პრავდა» შეფასებას აძლევდა ამ უშესანიშნავეს «მისაბაძ მაგალითს» და ამხ. ნ. რ-ის სტატიაში ამავე სათაურით წერდა:

«კომუნისტების ამგვარი მუშაობის შემთხვევა იშვიათი არ არის. მე ვიცი ასეთი შემთხვევები ელსადგურზე და სხვადასხვა რკინიგზაზე. ნიკოლოზის რკინიგზაზე კომუნისტებმა რამდენიმე ღამეს ზედმეტი საათები იმუშავეს მოსაბრუნზე ჩავარდნილი ორთქლმავლის ასაწევად; ჩრდილოეთის გზაზე, ზამთარში, ყველა კომუნისტმა და თანამგრძნობმა იმუშავეს რამდენიმე კვირა-დღის განმავლობაში, სწენდდნენ ლიანდაგს თოვლისაგან; მრავალი სატვირთო სადგურის უჯრედები ღამ-ღამობით აზდენენ სადგურების შემოვლას ტვირთის მტაცებლობასთან ბრძოლის მიზნით, — მაგრამ ეს მუშაობა შემთხვევითი და არასისტემატური იყო. ყაზანელმა ამხანაგებმა შემოიტანეს ის სიახლე, რაც სისტემატურ, მუდმივ ხასიათს აძლევს ამ მუშაობას. «კოლჩაკზე სრულ გამარჯვებამდე», — დაადგინეს ყაზანელმა ამხანაგებმა, და სწორედ ამაშია მათი მუშაობის მთელი მნიშვნელობა. ისინი ერთი საათით ადიდებენ კომუნისტებისა და თანამგრძნობთა სამუშაო დღეს სამხედრო მდგომარეობის მთელი ხნის მანძილზე; ამავე დროს ისინი გვიჩვენებენ ნაყოფიერი მუშაობის მაგალითს.

ამ მაგალითმა უკვე გამოიწვია და კიდევაც უ ნ დ ა გამოიწვიოს შემდგომი მიბაძვა. ალექსანდრეს რკინიგზის კომუნისტთა და თანამგრძნობთა საზოგადო კრებამ, განიხილა რა სამხედრო მდგომარეობა და ყაზანელი ამხანაგების გადაწყვეტილება, დაადგინა: 1) შემოღებულ იქნას «შაბათობა» ალექსანდრეს რკინიგზის კომუნისტებისა და თანამგრძნობთათვის. პირველი შაბათობა ინიშნება 17 მაისს. 2) მოეწყოს კომუნისტთა და თანამგრძნობთა სამაგალითო, საჩვენებელი ბრიგადები, რომლებმაც უნდა აჩვენონ მუშებს, როგორ უნდა მუშაობა და რისი გაკეთება შეიძლება ნამდვილად დღევანდელი მასალების, იარაღისა და კვების პირობებში.

ყაზანელი ამხანაგების თქმით, მათმა მაგალითმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, და უახლოესი შაბათისთვის ისინი მოელიან უ პ ა რ ტ ი ო მუშების მნიშვნელოვანი რაოდენობის მოსვლას სამუშაოდ. როდესაც ეს სტრიქონები იწერება, ალექსანდრეს რკინიგზის სახელოსნოებში კომუნისტების საზეგანაკვეთო მუშაობა ჯერ არ დაწყებულა, მხოლოდ ხმა გავარდა განზრახული მუშაობის შესახებ, უპარტიო მასა კი უკვე აბობქრდა, ამეტყველდა. «ჩვენ გუშინ არ ვიცოდით, თორემ ჩვენც მოვემზადებოდით და ვიმუშავებდითო», «ზომავალ შაბათს უეჭველად მოვალ», —

გაისმის ყოველი მხრიდან. ასეთი მუშაობა მეტად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ყაზანელი ამხანაგების მაგალითს ზურგის ყველა კომუნისტურმა უჯრედმა უნდა მიბაძოს. არა მარტო მოსკოვის კვანძის კომუნისტურმა უჯრედებმა, არამედ რუსეთის მთელმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა მიბაძოს ამ მაგალითს. სოფლადაც კომუნისტურმა უჯრედებმა პირველ რიგში ხელი უნდა მოჰკიდონ წითელარმიელთა მინდვრების დამუშავებას, დახმარება უნდა გაუწიონ მათს ოჯახებს.

ყაზანელმა ამხანაგებმა პირველ კომუნისტურ შაბათს თავიანთი მუშაობა ინტერნაციონალის სიმღერით დაამთავრეს. თუ მთელი რუსეთის კომუნისტური ორგანიზაცია გაჰყვება ამ მაგალითს და განუხრელად გაახორციელებს მას, — უახლოეს მძიმე თვეებს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა გადაიტანს რესპუბლიკის ყველა მშრომელის ინტერნაციონალის მქუხარე ხმების გუგუნით...

საქმეს შევუდგეთ, ამხანაგო კომუნისტებო!».

1919 წ. 23 მაისს «პრავდამ» გვაუწყა, რომ

«17 მაისს ალექსანდრეს რკინიგზაზე შესდგა პირველი კომუნისტური «შაბათობა». 98 კომუნისტმა და თანამგრძნობმა, თანახმად საერთო კრების დადგენილებისა, ზედმეტად იმუშავა 5 საათი უსასყიდლოდ, მხოლოდ ნება დართეს მეორედ ესადილნათ ფულზე, ამასთან სადილად, აგრეთვე ფულზე, მათ, როგორც ფიზიკური შრომის მუშებს, დაურიგდათ ნახევარ-ნახევარი გირვანქა პური».

√მიუხედავად იმისა, რომ მუშაობა სუსტად მომზადებული და სუსტად ორგანიზებული იყო, **შრომის ნაყოფიერება** მაინც **ჩვეულებრივზე ორჯერ-სამჯერ უფრო მაღალი** იყო.**√**

აი მაგალითებიც:

5 ხარატმა 4 საათის განმავლობაში გააკეთა 80 ლილვაკი. ნაყოფიერება ჩვეულებრივთან შედარებით უდრის 213%.

20 შავმა მუშამ 4 საათის განმავლობაში შეაგროვა ძველი მასალა 600 ფუთის რაოდენობით და ვაგონის 70 რესორი, თვითეული წონით $3^1/_2$ ფუთი, სულ 850 ფუთი. შრომის ნაყოფიერება ჩვეულებრივთან შედარებით 300%-ს უდრის.

«ამას ამხანაგები იმით ხსნიან, რომ ჩვეულებრივი დროის მუშაობა მობეზრდათ, მოსწყინდათ მუშებს, აქ კი ხალისით და აღფრთოვანებით მუშაობენ. მაგრამ ახლა ჩვეულებრივ დროსაც სირცხვილი იქნება უფრო ნაკლების გაკეთება, ვიდრე კომუნისტური შაბათობის დღეს».

«ახლა მრავალი უპარტიო მუშა აცხადებს შაბათობაში მონაწილეობის სურვილს. ორთქლმავალთა ბრიგადები კისრულობენ შაბათობისთვის ორთქლმავლის წამოღებას «სასაფლაოდან», მის შეკეთებას და ამუშავებას.

მიღებულია ცნობები, რომ ასეთივე შაბათობებს აწყობენ ვიაზმის ხაზზე».

თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ამ კომუნისტურ შაბათობებზე, ამის შესახებ წერს ამხ. ა. დიაჩენკო 7 ივნისის «პრავდაში». მოგვყავს მისი სტატიის მთავარი ნაწილი. ამ სტატიის სათაურია «შაბათობის მონაწილის შენიშვნები»:

«დიდი სიხარულით მოვემზადეთ მე და ჩემი ამხანაგი შაბათის «სტაჟის» მოსახდელად რკინიგზის პარტიული ქვე-რაიონის გადაწყვეტილების თანახმად და დროებით, რამდენიმე საათით, გონება დაგვესვენებინა და კუნთებიც აგვემუშავებინა... ჩვენ უნდა გვემუშავნა გზის ხისდამმუშავებელ ქარხანაში. მივედით, ვნახეთ ჩვენები, მივესალმეთ ერთმანეთს, ვიხუმრეთ, დავთვალეთ მუშახელი — სულ 30 კაცი აღმოჩნდა... ჩვენ წინ კი ძევს «ბუმბერაზი» — ორთქლის ქვაბი საკმაოდ დიდი წონისა, ასე 600 — 700 ფუთი, და სწორედ ამ ქვაბს უნდა «გადავუნაცვლოთ» ადგილი, ე. ი. უნდა გადავაგოროთ თითქმის 1/4 თუ 1/3 ვერსის მანძილზე, ბაქნამდე. გულში ეპვი გვეპარება... მაგრამ აი შევუდექით უკვე საქმეს: ამხანაგებმა შემოუდეს ქვაბს ხის საგორავები, მიამაგრეს ორი თოკი, და მუშაობაც დაიწყო... ქვაბი უხალისოდ დაგვემორჩილა, მაგრამ მაინც დაიძრა. ჩვენ გვიხარია, ჩვენ ხომ ასე ცოტანი ვართ... სწორედ ამ ქვაბს ხომ თითქმის ორი კვირის განმავლობაში ეჭიდებოდნენ არაკომუნისტი მუშები, რიცხვით ჩვენზე 3-ჯერ მეტი, იგი კი ჯიუტობდა, ვიდრე ჩვენ მივიდოდით... ვმუშაობთ ერთ საათს, თავგამოდებით, ერთსულოვნად, ჩვენი ამხ. მეურნალის ბრძანების შეწყობილ ხმაზე: «ერთი, ორი, სამი», ქვაბი კი მიდის და მიდის. უცებ, ეს რა ამბავია? უეცრად, სასაცილოდ გაგორდნენ მიწაზე მთელი რიგი ამხანაგები, — თურმე თოკმა «გვიღალატა» ხელში... მაგრამ შევფერხდით ერთი წუთით: მის მაგიერ ბაგირს ვამაგრებთ... საღამოა, საკმაოდ შებინდდა კიდეც, მაგრამ ჯერ კიდევ ერთი პატარა გორაკი უნდა გადავლახოთ, და მაშინ მუშაობა მალე გათავდება. ხელები გკტეხს, ხელის გულებს ცეცხლი ეკიდება, ვხურდებით, ვაწვებით მთელი ძალ-ღონით. — და საქმეც იჩარხება. «ადმინისტრაცია» დგას და, ჩვენი წარმატებით დარცხვენილი, უნებურად თვითონაც ჰკიდებს ხელს თოკს: დაგვეხმარეთ! დროა! აი წითელარმიელი მისჩერებია გაშტერებით ჩვენს მუშაობას. ხელში გარმონი უჭირავს. ნეტავ რას ფიქრობს? ეს რა ხალხია? რა უნდათ ამ შაბათ დღეს, როდესაც ყველანი თავ-თავიანთ სახლში სხედან? მე მივუხვდი აზრებს და ვეუბნები:

«ამხანაგო! დაუკარ რამე სამხიარულო, ჩვენ უბრალო მომუშავენი არ გეგონოთ, ნამდვილი კომუნისტები ვართ, — ხედავ, როგორ დუღს მუშაობა ჩვენს ხელში, როდი ვზარმაცობთ, მთელი ძალ-ღონით ვაწვებით». წითელარმიელი ფრთხილად დებს გარმონს და სასწრაფოდ მოეშურება ბაგირისკენ...

—«**Англичанин мудрец!**» — იწყებს ლამაზი ტენორით ამხ. უ. ჩვენც ბანს ვაძლევთ, და ყრუდ გაისმის მუშური სიმღერის სიტყვები: «**Эй, дубинушка, ухнем, подернем, подернем....**».

დაუჩვევლობის გამო კუნთები დაგვეღალა, ბეჭები და ზურგი გვტეხს, მაგრამ... წინ ხომ თავისუფალი დღე გვაქვს — ჩვენი დასვენების დღე, მოვასწრებთ გამოძინებას. მიზანი ახლოს არის, და ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ჩვენი «ბუმბერაზი» თითქმის ბაქანთან არის მითრეული; დაუდეთ ფიცრები, დააყენეთ ბაქანზე, დე ამ ქვაბმა მოგვცეს ის მუშაობა, რომელსაც დიდი ხანია ელოდებიან მისგან. ჩვენ კი გროვად შევდივართ ოთახში, ადგილობრივი უჯრედის «კლუბში», რომლის კედლებზე დაკიდულია პლაკატები, მიყუდებულია შაშხანები, და რომელიც კარგად არის განათებული. შეწყობილად ვმღერით «ინტერნაციონალს» და პირს ვიტკბარუნებთ «რომიანი» ჩაით და, ასე გასინჯეთ, პურითაც კი. ასეთი გამასპინძლება, რომელიც ადგილობრივ ამხანაგებს გაუმართავთ, სწორედ მისწრებაა ჩვენი მძიმე მუშაობის შემდეგ. ძმურად ვეთხოვებით ამხანაგებს და ვეწყობით რაზმებად. რევოლუციის სიმღერები ედება მიძინებულ ქუჩას ღამის დუმილში, ნაბიჯის მწყობრი ხმაური ბანს აძლევს სიმღერას. «**Смело, товарищи, в ногу**». «აღსდექ, კრულვითა დაღდასმულო» — გაისმის ჩვენი სიმღერა ინტერნაციონალისა და შრომისა.

გავიდა ერთი კვირა. ჩვენი ხელები და მხარ-ბეჭი დასვენებულია. და ჩვენც მივდივართ «შაბათობაზე» ახლა უკვე 9 ვერსის დაშორებით, ვაგონების საკეთებლად — პეროვოში. ამხანაგები ამძვრალან «ამერიკელის» სახურავზე და მძლავრად და ლამაზად მღერიან «ინტერნაციონალს». მატარებლის ხალხი ყურს უგდებს და, ეტყობა, გაკვირვებულია. ბორბლები მწყობრად ხმაურობენ, და ჩვენ, რომლებმაც მაღლა ასვლა ვერ მოვასწარით, დაკიდებული ვართ «ამერიკელის» გარშემო კიბეებზე, როგორც «თავზე ხელაღებული» მგზავრები. აი სადგურიც, მივაღწიეთ კიდეც დანიშნულ ადგილს, გავიარეთ გრძელი ეზო და ვხვდებით გულთბილ კომისარს ამხ. გ.

— სამუშაო არის, მხოლოდ ხალხი ცოტაა! სულ 30 კაცი, 6 საათის განმავლობაში კი 13 ვაგონია გამოსაშვები საშუალო რემონტიდან! აი აგერ დგას დანიშნული წყვილათვლები, არა მარტო ცარიელი ვაგონებია, ერთი სავსე ცისტერნიც არის... მაგრამ არა უშავს რა, «შევეგუებით», ამხანაგებო!

მუშაობა დუღს. მე და ხუთი ამხანაგი «ვაქკებით», ე. ი. ბერკეტებით ვმუშაობთ. ეს 60 — 70-ფუთიანი წყვილ-წყვილი ბორბლები, ჩვენი ბეჭის

მიწოლით, კოხტად და სწრაფად გადააქვს ამხ. «მეურნალის» ხელმძღვანელობით ორ ბერკეტს ერთი ლიანდაგიდან მეორეზე. ერთი წყვილი აღებულია, მის ადგილას ახალი წყვილია. აი უკვე ყველა თავის ადგილასაა, და ამ გაცვეთილ ძველმანს სწრაფად მივაგორებთ რელსებზე პირდაპირ საწყობში... ერთი, ორი, სამი, — რკინის ტრიალა ბერკეტებს ზევით ააქვთ ჰაერში ეს ბორბლები, და ლიანდაგიც თავისუფლდება. იქ, სიბნელეში, გაისმის ჩაქუჩების ხმაური, ეს ამხანაგები სწრაფად, ფუტკრებივით, მუშაობენ თავიანთ «ავადმყოფ» ვაგონებზე. კიდეც დურგლობენ, კიდეც მღებრობენ, სახურავზედაც მუშაობენ, — მუშაობა დღეს ჩვენს და ამხ. კომისრის სასიხარულოდ. იქ მჭედლებსაც დასჭირდათ ჩვენი ხელები. გადასატან ქურაში ძევს გავარვარებული «სამართი», ე. ი. ვაგონის ღერო უხეირო დარტყმით გაღუნული კავით. გავარვარებული, ნაპერწკლიანი ღერო უცებ თუჯის ფილაზე გაჩნდა და ჩვენი მარჯვე დარტყმით, გამოცდილი ამხანაგის თვალზომით, თავის ნორმალურ ფორმას იღებს. ის ჯერ კიდევ თეთრ-წითელია, მაგრამ უკვე ჩვენს მხრებზე გადებული სწრაფად მიგვაქვს თავის ადგილას და ნაპერწკლების ცვენით შედის რკინის ხვრელში, — რამდენიმე დაკვრა კიდევ, და ის თავის ადგილზეა. ვაგონს ქვეშ მივძვრებით. იქ ამ გადასაბმელთა და სამართთა მოწყობილობა არც ისე მარტივია, როგორც გვგონია, იქ მთელი სისტემაა მოქლონებითა და სპირალური ზამბარით...

დღეს მუშაობა, ღამდება, უფრო ძლიერად ანათებენ ჩირაღდნები. ჩქარა მოვრჩებით კიდეც. ამხანაგების ერთი ნაწილი «მიკუნჭულა» ფერსოების გროვასთან და ცხელ ჩაის «ხვრეპს». გრილია მაისის ღამე, და ლამაზად მოჩანს ცაზე ახალი მთვარის ნამგალი. გაისმის ოხუნჯობა, სიცილი, ჯანსაღი ხუმრობა.

— ამხანაგო გ., დაანებე თავი მუშაობას, გეყოფა 13 ვაგონი!

მაგრამ ამხ. გ-სთვის ეს ცოტაა.

გათავდა ჩაის სმაც, გავაბით ჩვენი ძლევამოსილი სიმღერა და გავსწიეთ გასასვლელისკენ...».

მოძრაობა «კომუნისტურ შაბათობათა» მოწყობის სასარგებლოდ მოსკოვით არ განისაზღვრება. 6 ივნისის «პრავდა» იუწყება:

«31 მაისს ტვერში შესდგა პირველი კომუნისტური შაბათობა. რკინიგზაზე მუშაობდა 128 კომუნისტი. $3^1/_2$ საათში დატვირთულია და გადმოტვირთული 14 ვაგონი, რემონტიდან გამოშვებულია 3 ორთქლმავალი, დაიხერხა 10 საჟენი შეშა და შესრულდა სხვა სამუშაოებიც. კვალიფიციური მუშა-კომუნისტების მუშაობის ინტენსივობა 13-ჯერ აღემატებოდა ჩვეულებრივ ნაყოფიერებას».

შემდეგ 8 ივნისის «პრავდაში» ვკითხულობთ:

კომუნისტური შაბათობები

«ს ა რ ა ტ ო ვ ი, 5 ივნისი. რკინიგზელმა კომუნისტებმა, გამოეხმაურნენ რა მოსკოველი ამხანაგების მოწოდებას, საერთო პარტიულ კრებაზე დაადგინეს: იმუშაონ შაბათობით ხუთი ზედმეტი საათის განმავლობაში უსასყიდლოდ სახალხო მეურნეობის დასახმარებლად».

* * *

მე რაც შეიძლება დაწვრილებით და სრულად მოვიყვანე ცნობები კომუნისტურ შაბათობათა შესახებ, რადგან აქ, უეჭველად, ჩვენ ვხედავთ კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს, რომელსაც ჩვენი პრესა საკმაო ყურადღებას არ აქცევს და რომელიც ჩვენ ყველას ჯერ კიდევ საკმარისად არ შეგვიფასებია.

რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური ლაქლაქი, მეტი ყურადღება კომუნისტური მშენებლობის უაღრესად მარტივი, მაგრამ ცოცხალი, ცხოვრებიდან აღებული, ცხოვრების მიერ შემოწმებული ფაქტებისადმი — ეს ლოზუნგი განუწყვეტლივ უნდა ვიმეოროთ ჩვენ ყველამ, ჩვენმა მწერლებმა, აგიტატორებმა, პროპაგანდისტებმა, ორგანიზატორებმა და სხვ.

ბუნებრივი და გარდუვალია, რომ პირველ ხანებში პროლეტარული რევოლუციის შემდეგ ჩვენ ყველაზე უფრო გვაინტერესებს მთავარი და ძირითადი ამოცანა, ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დაძლევა, ექსპლოატატორებზე გამარჯვება, მათი შეთქმულების დათრგუნვა (როგორიც იყო «მონათმფლობელების შეთქმულება» პიტერის ჩაბარების შესახებ, რომელ შეთქმულებაშიც მონაწილეობას იღებდა ყველა, დაწყებული შავი რაზმით და კადეტებით და გათავებული მენშევიკებითა და ესერებით [58]). მაგრამ ამ ამოცანასთან ერთად ასევე გარდუვალად დგება. — და რაც უფრო დრო გადის, მით უფრო მეტად — დადებითი კომუნისტური მშენებლობის, ახალი ეკონომიური ურთიერთობის, ახალი საზოგადოების შემოქმედების უფრო არსებითი ამოცანა.

პროლეტარიატის დიქტატურა, — როგორც უკვე არა ერთხელ აღმინიშნავს, სხვათა შორის 12 მარტს პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაშიც, — მხოლოდ ექსპლოატატორების წინააღმდეგ მიმართული ძალმომრეობა როდია და არც უმთავრესად ძალმომრეობაა. ამ რევოლუციური ძალმომრეობის ეკონომიური საფუძველი, მისი ცხოველმყოფელობისა და წარმატების საწინდარი ის არის, რომ პროლეტარიატი წარმოადგენს და ახორციელებს შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის უფრო მაღალ ტიპს, კაპიტალიზმთან შედარებით. ამაშია დედაარსი. ამაშია კომუნიზმის ძალის წყარო და აუცილებელი სრული გამარჯვების საწინდარი.

საზოგადოებრივი შრომის ბატონყმური ორგანიზაცია ემყარებოდა ჯოხის დისციპლინას, როცა უკიდურესად უმეცარი და დაბეჩავებული იყვნენ მშრომელები, . რომელთაც ძარცვავდნენ და აბუჩად იგდებდნენ ერთი მუჭა მემამულეები. საზოგადოებრივი შრომის კაპიტალისტური ორგანიზაცია ემყარებოდა შიმშილის დისციპლინას, და მშრომელთა უდიდესი მასა, მიუხედავად ბურჟუაზიული კულტურის და ბურჟუაზიული დემოკრატიის მთელი პროგრესისა, ყველაზე მოწინავე, ცივილიზებულ და დემოკრატიულ რესპუბლიკებში რჩებოდა დაქირავებული მონების ანდა ჩაგრული გლეხების ბნელ და დაბეჩავებულ მასად, რომელსაც ძარცვავდნენ და აბუჩად იგდებდნენ ერთი მუჭა კაპიტალისტები. საზოგადოებრივი შრომის კომუნისტური ორგანიზაცია, რომლის პირველ ნაბიჯს სოციალიზმი წარმოადგენს, ემყარება და რაც უფრო წინ მივდივართ, მით უფრო დაემყარება როგორც მემამულეთა, ისე კაპიტალისტთა უღლის დამამხობელ მშრომელთა თავისუფალ და შეგნებულ დისციპლინას.

ეს ახალი დისციპლინა ციდან არ ვარდება და არც კეთილი სურვილებიდან იბადება, მას წარმოშობს მსხვილი კაპიტალისტური წარმოების მატერიალური პირობები, და მხოლოდ ეს პირობები. უამპირობოდ იგი შეუძლებელია. ხოლო ამ მატერიალური პირობების მატარებელი ანუ გამტარებელია

განსაზღვრული ისტორიული კლასი, შექმნილი, ორგანიზებული, დარაზმული, გაწვრთნილი, განათლებული, გამობრძმედილი მსხვილი კაპიტალიზმის მიერ. ეს კლასია — პროლეტარიატი.

პროლეტარიატის დიქტატურა, თუ ამ ლათინურ, მეცნიერულ, ისტორიულ-ფილოსოფიურ გამოთქმას უფრო უბრალო ენაზე გადავთარგმნით, აი რას ნიშნავს:

მხოლოდ განსაზღვრულ კლასს, სახელდობრ ქალაქის და საერთოდ ფაბრიკა-ქარხნების, მრეწველობის მუშებს, შეუძლიათ უხელმძღვანელონ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელ მასას კაპიტალის უღლის დამხობისთვის ბრძოლაში, თვით დამხობის მსვლელობაში, გამარჯვების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ახალი, სოციალისტური. საზოგადოებრივი წყობილების შექმნის საქმეში, კლასთა სრული მოსპობისათვის მთელ ბრძოლაში. (შევნიშნავთ ფრჩხილებში: მეცნიერული განსხვავება სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის მხოლოდ ისაა, რომ პირველი სიტყვა ნიშნავს კაპიტალიზმიდან აღმოცენებული ახალი საზოგადოების პირველ საფეხურს, მეორე სიტყვა — მის უფრო მაღალს, შემდგომ საფეხურს.)

«ბერნის» ინტერნაციონალის, ყვითელი ინტერნაციონალის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ბელადები მხოლოდ სიტყვით აღიარებენ კლასობრივ ბრძოლას და პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს, მათ ეშინიათ ბოლომდე მიიყვანონ აზრი, ეშინიათ სწორედ იმ აუცილებელი დასკვნისა, რომელიც განსაკუთრებით საშიშია ბურჟუაზიისათვის და აბსოლუტურად მიუღებელია მისთვის. მათ ეშინიათ აღიარონ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არის აგრეთვე პერიოდი კლასობრივი ბრძოლისა, რომელიც აუცილებელია, ვიდრე არ მოსპობილან კლასები, და რომელიც იცვლის თავის ფორმებს, ხდება რა პირველ ხანებში კაპიტალის დამხობის შემდეგ განსაკუთრებით მძვინვარე და განსაკუთრებით თავისებური. პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების შემდეგ პროლეტარიატი კი არა წყვეტს კლასობრივ ბრძოლას, არამედ განაგ-

რძობს მას — ვიდრე კლასები მოისპობოდნენ — მაგრამ, რასაკვირველია, სხვა ვითარებაში, სხვა ფორმით, სხვა საშუალებებით.

ხოლო რას ნიშნავს «კლასების მოსპობა»? ყველა, ვინც თავს სოციალისტს უწოდებს, აღიარებს სოციალიზმის ამ საბოლოო მიზანს, მაგრამ ყველა როდი უფიქრდება მის მნიშვნელობას. კლასები ეწოდება ადამიანთა დიდ ჯგუფებს, რომლებიც განსხვავდებიან მათი ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მათი (მეტწილად კანონებში განმტკიცებული და გაფორმებული) დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი, მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, და, მაშასადამე, საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ წილის მიღების წესით და სიდიდით, რომელიც მათ ხელთ აქვთ. კლასები, ეს ადამიანთა ისეთი ჯგუფებია, რომელთაგან ერთს შეუძლია მიითვისოს მეორის შრომა, საზოგადოებრივი მეურნეობის განსაზღვრულ წყობაში მათი ადგილის განსხვავების მეოხებით.

ცხადია, კლასების სრული მოსპობისათვის საჭიროა არა მარტო დავამხოთ ექსპლოატატორები, მემამულეები და კაპიტალისტები, არა მარტო გავაუქმოთ მ ა თ ი საკუთრება, საჭიროა გავაუქმოთ აგრეთვე წარმოების საშუალებათა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი კერძო საკუთრება, საჭიროა მოვსპოთ როგორც განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, ისე განსხვავება ფიზიკური შრომის ადამიანთა და გონებრივი შრომის ადამიანთა შორისაც. ეს მეტად ხანგრძლივი საქმეა. ეს რომ მოხდეს, საჭიროა უდიდესი ნაბიჯის წინ გადადგმა საწარმოო ძალთა განვითარებაში, საჭიროა დავძლიოთ წვრილი წარმოების მრავალრიცხოვანი ნაშთების წინააღმდეგობა (ხშირად პასიური, რომელიც განსაკუთრებით შეუპოვარი და განსაკუთრებით ძნელი დასაძლევია), საჭიროა დავძლიოთ ამ ნაშთებთან დაკავშირებული ჩვეულების და უძრაობის უდიდესი ძალა.

იმის ვარაუდი, რომ ყველა «მშრომელს» ერთნაირი უნარი აქვს ამ მუშაობისა, ადამის ჟამის, მარქსის წინადროინდელი

სოციალისტის ცარიელზე ცარიელი ფრაზა ან ილუზია იქნებოდა, ვინაიდან ეს უნარი თავისთავად კი არ ეძლევა ადამიანს, არამედ წარმოიშობა ისტორიულად და წარმოიშობა მ ხ ო ლ ო დ მსხვილი კაპიტალისტური წარმოების მატერიალური პირობებიდან. ეს უნარი აქვს, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასასვლელი გზის დასაწყისში, მ ხ ო ლ ო დ პროლეტარიატს. მას შეუძლია შეასრულოს მასზე დაკისრებული გიგანტური ამოცანა, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ იგი ცივილიზებულ საზოგადოებათა ყველაზე ძლიერი და ყველაზე მოწინავე კლასია; მეორე, იმიტომ, რომ ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში იგი შეადგენს მოსახლეობის უმრავლესობას; მესამე, იმიტომ, რომ რუსეთივით, ჩამორჩენილ კაპიტალისტურ ქვეყნებში მოსახლეობის უმრავლესობა ეკუთვნის ნახევრადპროლეტარებს, ე. ი. იმ ადამიანებს, რომელთაც მუდამ წლის ნაწილი პროლეტარულად უტარებიათ, მუდამ საზრდოს განსაზღვრული ნაწილი მოუპოვებიათ დაქირავებული მუშაობით კაპიტალისტურ საწარმოებში.

ვინც ცდილობს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ამოცანები გადაწყვიტოს თავისუფლების, თანასწორობის, საერთოდ დემოკრატიის, მშრომელი დემოკრატიის თანასწორობის და სხვ. შესახებ ზოგადი ფრაზების მიხედვით (როგორც ამას სჩადიან კაუცკი, მარტოვი და ბერნის ყვითელი ინტერნაციონალის სხვა გმირები), ისინი ამით ამჟღავნებენ მხოლოდ თავიანთ ბუნებას წვრილი ბურჟუებისას, ფილისტერებისას, მეშჩანებისას, რომლებიც იდეური მხრივ მონურად მისჩანჩალებენ კუდში ბურჟუაზიას. ამ ამოცანის სწორი გადაჭრა შეუძლია მოგვცეს მხოლოდ იმის კონკრეტულ შესწავლას, თუ რა განსაკუთრებული ურთიერთობა არსებობს განსაკუთრებულ კლასსა, სახელდობრ პროლეტარიატსა, რომელმაც პოლიტიკური ძალაუფლება მოიპოვა, და მშრომელი მოსახლეობის მთელ არაპროლეტარულ, აგრეთვე ნახევრადპროლეტარულ მასას შორის, ამასთან ეს ურთიერთობა ყალიბდება არა ფანტასტიკურ-ჰარმონიულ, «იდეალურ», ვითარებაში, არამედ ბურჟუაზიის მხრივ გააფთრე-

ბული და მრავალფეროვანი წინააღმდეგობის რეალურ ვითარებაში.

ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც, მოსახლეობის — მით უფრო მშრომელი მოსახლეობის — დიდმა უმრავლესობამ ათასჯერ გამოსცადა თავის თავზე და თავის მახლობლებზე კაპიტალის უღელი, ძარცვა მისი მხრივ, ყოველგვარი დაცინვა. იმპერიალისტურმა ომმა, — ე. ი. ათი მილიონი ადამიანის გაჟლეტამ იმ საკითხის გადასაჭრელად, ინგლისისა თუ გერმანიის კაპიტალმა მიიღოს პირველობა მთელი მსოფლიოს ძარცვაში, — არაჩვეულებრივ გაამწვავა, გააფართოვა, გააღრმავა ეს წამება, გვაიძულა შეგვეგნო ის. აქედანაა მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისა და განსაკუთრებით მშრომელთა მასის გარდუვალი თანაგრძნობა პროლეტარიატისადმი იმის გამო, რომ იგი გმირული გამბედაობით, რევოლუციური დაუნდობლობით ამხობს კაპიტალის უღელს, ამხობს ექსპლოატატორებს, თრგუნავს მათს წინააღმდეგობას, საკუთარი სისხლით იკაფავს გზას იმ ახალი საზოგადოების შესაქმნელად, რომელშიც აღარ იქნებიან ექსპლოატატორები.

თუმცა დიდია, თუმცა აუცილებელია წვრილბურჟუაზიული ქანაობა და მერყეობა უკან, ბურჟუაზიული «წესწყობილებისაკენ», ბურჟუაზიის «ფრთის» ქვეშ ამოფარებისაკენ მშრომელი მოსახლეობის არაპროლეტარული და ნახევრადპროლეტარული მასების მხრივ, მაგრამ მათ მაინც არ შეუძლიათ არ აღიარონ მორალურ-პოლიტიკური ავტორიტეტი პროლეტარიატისა, რომელიც არათუ ამხობს ექსპლოატატორებს და თრგუნავს მათს წინააღმდეგობას, არამედ აგრეთვე აშენებს ახალ, უფრო მაღალ, საზოგადოებრივ ურთიერთობას, საზოგადოებრივ დისციპლინას: დისციპლინას შეგნებული და გაერთიანებული მუშაკებისას, რომლებიც არ განიცდიან არავითარ უღელს და არავითარ ძალაუფლებას, გარდა თავიანთი საკუთარი გაერთიანების, თავიანთი საკუთარი, უფრო შეგნებული, შეუპოვარი, დარაზმული, რევოლუციური, მტკიცე ავანგარდის ძალაუფლებისა.

√რომ გაიმარჯვოს, რომ შექმნას და განამტკიცოს სოციალიზმი, პროლეტარიატმა უნდა გადაწყვიტოს ორნაირი ან ორმაგი ამოცანა: ჯერ-ერთი, კაპიტალის წინააღმდეგ თავისი რევოლუციური ბრძოლის თავდადებული გმირობით გაიტაცოს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელი მასა, გაიტაცოს იგი, დარაზმოს იგი, უხელმძღვანელოს მას ბურჟუაზიის დასამხობად და მისი ყოველგვარი წინააღმდეგობის სავსებით დასათრგუნავად; მეორე, გაიყოლიოს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელი მასა, აგრეთვე ყველა წვრილბურჟუაზიული ფენა, ახალი სამეურნეო მშენებლობის გზაზე, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის, ახალი შრომითი დისციპლინის, შრომის იმ ახალი ორგანიზაციის შექმნის გზაზე, რომელიც მეცნიერებისა და კაპიტალისტური ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას აერთებს მსხვილი სოციალისტური წარმოების შემქმნელ შეგნებულ მუშაკთა მასობრივ გაერთიანებასთან.√

ეს მეორე ამოცანა პირველზე უფრო ძნელია, რადგან იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გადაიჭრას ცალკეული აღტყინების გმირობით, არამედ მოითხოვს მასობრივი და ყ ო ვ ე ლ დ ღ ე ი ს ა ო ბ ი მუშაობის უაღრესად ხანგრძლივ, უაღრესად შეუპოვარ, უაღრესად ძნელ გმირობას. მაგრამ ეს ამოცანა უფრო არსებითიცაა, ვიდრე პირველი, რადგან საბოლოო ანგარიშში ბურჟუაზიაზე გასამარჯვებლად ძალის ყველაზე ღრმა წყარო და ამ გამარჯვების სიმტკიცისა და განუყოფლობის ერთადერთი საწინდარი შეიძლება იყოს მხოლოდ საზოგადოებრივი წარმოების ახალი, უფრო მაღალი წესი, კაპიტალისტური და წვრილბურჟუაზიული წარმოების შეცვლა მსხვილი სოციალისტური წარმოებით.

* * *

√«კომუნისტურ შაბათობას» სწორედ იმიტომ აქვს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, რომ იგი გვიჩვენებს მუშების შეგნებულ და ნებაყოფლობით თაოსნობას შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, ახალ შრომითს დისციპლინაზე

გადასვლაში, მეურნეობისა და ცხოვრების სოციალისტური პირობების შემოქმედებაში.

გერმანიის ერთმა არამრავალთაგანმა — უფრო სწორი იქნება ვთქვათ: ერთმა განსაკუთრებით იშვიათმა ბურჟუაზიულმა დემოკრატმა, რომელიც 1870 — 1871 წლების გაკვეთილების შემდეგ გადავიდა არა შოვინიზმისაკენ და არც ნაციონალლიბერალიზმისაკენ, არამედ სოციალიზმისაკენ, ი. იაკობიმ, თქვა, რომ მუშათა ერთი კავშირის დაარსებას უფრო დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სადოვაიასთან ბრძოლასო[59]. ეს მართალია. სადოვაიასთან ბრძოლა სწყვეტდა ორი ბურჟუაზიული მონარქიიდან ერთის, ავსტრიის თუ პრუსიის, პირველობის საკითხს გერმანიის ნაციონალური კაპიტალისტური სახელმწიფოს შექმნის საქმეში. მუშათა ერთი კავშირის დაარსება იყო პატარა ნაბიჯი ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის მსოფლიო გამარჯვებისაკენ. ასევე ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველ კომუნისტურ შაბათობას, რომელიც მოაწყვეს 1919 წლის 10 მაისს მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მუშებმა მოსკოვში, უფრო დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჰინდენბურგის ან ფოშის და ინგლისელების რომელიმე გამარჯვებას 1914 — 1918 წლების იმპერიალისტურ ომში. იმპერიალისტების გამარჯვებანი არის მილიონობით მუშის გაჟლეტა ინგლის-ამერიკის და საფრანგეთის მილიარდერების მოგებისათვის, არის დაღუპვის გზაზე დამდგარი, გამაძღარი, ცოცხლად მლპობი კაპიტალიზმის მხეცობა. მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მუშების კომუნისტური შაბათობა არის ერთ-ერთი უჯრედი ახალი, სოციალისტური, საზოგადოებისა, რომელსაც დედამიწის ყველა ხალხისთვის მოაქვს კაპიტალის უღლისა და ომებისაგან განთავისუფლება.

ბატონი ბურჟუები და მათი მაჩანჩალები, მენშევიკებისა და ესერების ჩათვლით, რომლებიც მიჩვეულნი არიან თავიანთი თავი «საზოგადოებრივი აზრის» წარმომადგენლებად ჩათვალონ, რასაკვირველია, აბუჩად იგდებენ კომუნისტების იმედებს, ამ იმედებს უწოდებენ «ბაობაბს რეზედას ქოთანში», დასცინიან შაბათობათა უმნიშვნელო რიცხვს დატაცების,

უმოქმედობის, ნაყოფიერების დაცემის, ნედლი მასალის გაფუჭების, პროდუქტების გაფუჭებისა და სხვათა მასობრივ შემთხვევებთან შედარებით. ჩვენ ვუპასუხებთ ამ ვაჟბატონებს: ბურჟუაზიულ ინტელიგენციას რომ თავისი ცოდნა გამოეყენებინა მშრომელთა დასახმარებლად, და არა რუს და უცხოელ კაპიტალისტთა დასახმარებლად მათი ძალაუფლების აღდგენისათვის, მაშინ გადატრიალება უფრო სწრაფად და უფრო მშვიდობიანად მოხდებოდა. მაგრამ ეს უტოპიაა, რადგან საკითხი წყდება კლასთა ბრძოლით, ხოლო ინტელიგენციის უმრავლესობა ბურჟუაზიისაკენ მიიწევს. არა ინტელიგენციის დახმარებით, არამედ მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა (უმეტეს შემთხვევაში მაინც) პროლეტარიატი გაიმარჯვებს, თავიდან მოიშორებს რა გაუსწორებელ ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს, გარდაქმნის, ხელახლა აღზრდის, დაიმორჩილებს მერყევთ, თანდათან გადმოიყვანს თავის მხარეზე მათს სულ უფრო და უფრო მეტ ნაწილს. ნიშნის მოგება გადატრიალების სიძნელეებისა და წარუმატებლობათა გამო, პანიკის გავრცელება, უკან მობრუნების პროპაგანდა— ყოველივე ეს ბურჟუაზიული ინტელიგენციის კლასობრივი ბრძოლის იარაღი და ფანდებია. ამით პროლეტარიატი თავს არავის მოატყუებინებს.

ხოლო თუ ავიღებთ საკითხს, არსებითად, განა ყოფილა ისტორიაში, რომ წარმოების ახალი წესი ერთბაშად დანერგილიყოს, მთელ რიგ წარუმატებლობათა, შეცდომათა და რეციდივთა გარეშე? ბატონყმობის გადავარდნიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, რუსეთის სოფელში კიდევ დარჩა ბატონყმობის მრავალი ნაშთი. ამერიკაში ზანგების მონობის გაუქმებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ ზანგების მდგომარეობა იქ ხშირად კიდევ ნახევრადმონური რჩებოდა. ბურჟუაზიული ინტელიგენცია, მათ შორის მენშევიკები და ესერები, არ ღალატობენ თავიანთ თავს, როცა კაპიტალს ემსახურებიან და ერთიანად ყალბ არგუმენტაციას ინარჩუნებენ: პროლეტარიატის რევოლუციამდე ისინი გვისაყვედურებდნენ უტოპიზმს, ხოლო ამ რევოლუციის შემდეგ ისინი მოითხოვენ

ჩვენგან წარსულის კვალის ფანტასტიკურად სწრაფად აღმოფხვრას!

მაგრამ ჩვენ უტოპისტები არა ვართ და ვიცით ბურჟუაზიული «არგუმენტების» ნამდვილი ფასი, ვიცით აგრეთვე, რომ ძველის ნაშთები ზნე-ჩვეულებებში განსაზღვრული დროის განმავლობაში გადატრიალების შემდეგ აუცილებლად ახლის ყლორტებზე მეტი იქნება. როდესაც ახალი ეს-ესაა დაიბადა, ძველი ყოველთვის რჩება და ერთხანს მასზე ძლიერია, ეს ყოველთვის ასე ხდება ბუნებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. სასაცილოდ აგდება ახლის ყლორტების სისუსტისა, იაფფასიანი ინტელიგენტური სკეპტიციზმი და სხვა ასეთი რამ, — ყოველივე ეს, არსებითად, პროლეტარიატის წინააღმდეგ ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლის ხერხებია, კაპიტალიზმის დაცვაა სოციალიზმის წინააღმდეგ. ჩვენ გულდასმით უნდა შევისწავლოთ ახლის ყლორტები, უდიდესი ყურადღებით მოვეპყრათ მათ, ყოველნაირად დავეხმაროთ მათს ზრდას და «მოვუაროთ» ამ სუსტ ყლორტებს. ზოგიერთი მათგანი რომ დაიღუპება, ეს აუცილებელია. არ შეიძლება იმის თავდებობა, რომ სწორედ «კომუნისტური შაბათობები» შეასრულებენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს. საქმე ამაში როდია. საქმე ისაა, რომ მხარი დავუჭიროთ ახლის ყველა და ყოველგვარ ყლორტს, რომელთაგან ცხოვრება შეარჩევს ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიან ყლორტებს. თუ იაპონელმა მეცნიერმა, ადამიანებს რომ დახმარებოდა ათაშანგის დაძლევაში, მოთმინება იქონია და გამოსცადა 605 პრეპარატი, ვიდრე გამოიმუშავებდა 606-ე პრეპარატს, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნებს, მაშინ მათ, ვისაც სურს გადაჭრას უფრო ძნელი ამოცანა, დაამარცხოს კაპიტალიზმი, უნდა ეყოს შეუპოვრობა გამოსცადოს ბრძოლის ასობით და ათასობით ახალი ხერხი, წესი, საშუალება მათგან ყველაზე უფრო გამოსადეგთა გამოსამუშავებლად.

«კომუნისტური შაბათობები» იმიტომაა ასე მნიშვნელოვანი, რომ ისინი დაიწყეს სრულიადაც არა განსაკუთრებით კარგ

პირობებში ჩაყენებულმა მუშებმა, არამედ სხვადასხვა სპეციალობის მუშებმა, მათ შორის სპეციალობის უქონელმა მუშებმაც, შავმა მუშებმა, რომლებიც ჩაყენებული არიან ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ, ე. ი. უ ა ღ რ ე ს ა დ მ ძ ი მ ე პირობებში. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით ძირითადი პირობა შრომის ნაყოფიერების დაცემისა, რომელსაც ვხედავთ არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოშიც: გაჩანაგება და გაღატაკება, გაბოროტება და დაღლილობა, რაც გამოწვეულია იმპერიალისტური ომით, ავადმყოფობანი და ნახევრადშიმშილი. უკანასკნელს თავისი მნიშვნელობით პირველი ადგილი უკავია. შიმშილი — აი მიზეზი. ხოლო შიმშილის თავიდან ასაცილებლად საჭიროა შრომის ნაყოფიერების გადიდება მიწათმოქმედებაშიც, ტრანსპორტზედაც, მრეწველობაშიც. მაშასადამე, გამოდის რაღაც მოჯადოებული წრე: შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად საჭიროა შიმშილისაგან თავის დახსნა, ხოლო შიმშილისაგან თავის დასახსნელად საჭიროა შრომის ნაყოფიერების გადიდება.

ცნობილია, რომ ამგვარი წინააღმდეგობა პრაქტიკაში წყდება ამ მოჯადოებული წრის გარღვევით, მასების სულისკვეთების გარდატეხით, ცალკეულ ჯგუფთა გმირული ინიციატივით, რომელიც ასეთი გარდატეხის ფონზე ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს. მოსკოვის შავი მუშები და მოსკოვის რკინიგზელები (რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს უმრავლესობა და არა ერთი მუჭა სპეკულანტები, სამმართველოს მოხელეები და სხვ. ამგვარი თეთრგვარდიელობა), ესენი არიან მშრომელები, რომლებიც საშინლად მძიმე პირობებში ცხოვრობენ. მუდმივი ნახევრადუჭმელობა, ახლა კი, ახალი მოსავლის წინ, სასურსათო მდგომარეობის საერთო გაუარესების დროს, პირდაპირ შიმშილი. და აი ეს მშიერი მუშები, ბურჟუაზიის, მენშევიკებისა და ესერების ბოროტი კონტრრევოლუციური აგიტაციის ვითარებაში, აწყობენ «კომუნისტურ შაბათობებს», ზედმეტ საათებში მუშაობენ სრულიად უსასყიდლოდ და აღწევენ შრომის ნაყოფიერების უდიდეს გადიდე-

ბ ა ს, მიუხედავად იმისა, რომ დაღლილი, გაწამებული, ქანცგაწყვეტილი არიან უჭმელობით. განა ეს უდიდესი გმირობა არ არის? განა ეს იმ შემობრუნების დასაწყისი არ არის, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს?

შრომის ნაყოფიერება, ეს, საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება, რომელიც გიგანტური იყო ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და კიდევაც დამარცხდება საბოლოოდ იმით, რომ სოციალიზმი ქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას. ეს ძალიან ძნელი და ძალიან ხანგრძლივი საქმეა, მაგრამ ი გ ი დ ა წ ყ ე ბ უ ლ ი ა, ა ი რ ა არის ყველაზე მთავარი. თუ შშიერ მოსკოვში 1919 წლის ზაფხულში მშიერმა მუშებმა, რომლებმაც განიცადეს იმპერიალისტური ომის მძიმე ოთხი წელიწადი, შემდეგ წელიწადნახევარი კიდევ უფრო მძიმე სამოქალაქო ომისა, შესძლეს დაეწყოთ ეს დიადი საქმე, როგორიღა იქნება შემდეგი განვითარება, როცა ჩვენ გავიმარჯვებთ სამოქალაქო ომში და მოვიპოვებთ მშვიდობას?

კომუნიზმი არის შრომის უმაღლესი, კაპიტალისტურთან შედარებით, ნაყოფიერება ნებაყოფლობით მომუშავე, შეგნებული, გაერთიანებული, მოწინავე ტექნიკის გამომყენებელი მუშებისა. კომუნისტური შაბათობა არაჩვეულებრივ საგულისხმო მოვლენაა, როგორც კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს ფ ა ქ ტ ი უ რ ი დასაწყისი, ეს კი უდიდესი იშვიათობაა, რადგან ჩვენ ვიმყოფებით ისეთ საფეხურზე, როდესაც «მხოლოდ პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ბ ი ჯ ე ბ ი იდგმება კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად» (როგორც ნათქვამია, სრულიად სამართლიანად, ჩვენს პარტიულ პროგრამაში).

კომუნიზმი იწყება იქ, სადაც ჩნდება უ ბ რ ა ლ ო მ უ შ ე ბ ი ს თავგანწირული, მძიმე შრომის დამძლევი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, თ ვ ი თ ე უ ლ ი ფ უ თ ი პ უ რ ი ს, ქ ვ ა ნ ა ხ შ ი რ ი ს, რ კ ი ნ ი ს და სხვა პროდუქტების

დაცვაზე, რომლებიც ხვდება არა მომუშავეებს პირადად და არა მათ «მახლობლებს», არამედ «შორეულებს», ე. ი. საერთოდ მთელ საზოგადოებას, ათეულ და ასეულ მილიონობით ადამიანს, გაერთიანებულთ ჯერ ერთ სოციალისტურ სახელმწიფოდ, შემდეგ კი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად.

კარლ მარქსი «კაპიტალში» დასცინის ადამიანის თავისუფლებათა და უფლებათა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დიდი ჭარტიის ბრწყინვალებასა და მაღალფარდოვნებას, მთელ ამ ყბედობას თავისუფლებაზე, თანასწორობაზე, საერთოდ ძმობაზე, რომელიც თვალსა სჭრის ყველა ქვეყნის მეშჩანებსა და ფილისტერებს ბერნის საზიზღარი ინტერნაციონალის ახლანდელი საზიზღარი გმირების ჩათვლით. მარქსი უფლებათა ამ მაღალფარდოვან დეკლარაციებს უპირისპირებს პროლეტარიატის მიერ საკითხის მარტივ, უბრალო, საქმიან, სადღეისო დაყენებას: სამუშაო დღის სახელმწიფოებრივი შემცირება, აი ასეთი დაყენების ერთ-ერთი ტიპიური ნიმუში[60]. მარქსის შენიშვნის მთელი სიმახვილე და მთელი სიღრმე მით უფრო ნათლად, თვალსაჩინოდ აშკარავდება ჩვენს წინაშე, რაც უფრო მეტად იშლება პროლეტარული რევოლუციის შინაარსი. ნამდვილი კომუნიზმის «ფორმულები» იმით განსხვავდება კაუცკების, მენშევიკების, ესერებისა და მათ საყვარელ ბერნელ «ძმათა» მაღალფარდოვანი, ყალთაბანდური, საზეიმო ფრაზიორობისაგან, რომ ეს «ფორმულები» ყველაფერს შრომის პირობებს უფარდებენ. რაც შეიძლება ნაკლები ლაყბობა «მშრომელ დემოკრატიაზე», «თავისუფლებაზე, თანასწორობასა და ძმობაზე», «ხალხის ძალაუფლებაზე» და სხვა ამგვარ რამეებზე: ჩვენი დროის შეგნებული მუშა და გლეხი ამ გაბერილ ფრაზებში ისევე ადვილად ამჩნევს ბურჟუაზიული ინტელიგენტის გაიძვერობას, როგორც ზოგი ცხოვრებაში გამოცდილი კაცი, «კეთილშობილი ადამიანის» უმწიკვლო, «წესიერი» ფიზიონომიისა და გარეგნობის დანახვაზე, მაშინვე შეუცდომლად ასკვნის: «ალბათ, დიდი თაღლითი ვინმეაო».

რაც შეიძლება ნაკლები მაღალფარდოვანი ფრაზები, რაც შეიძლება მეტი უბრალო, ს ა დ ღ ე ი ს ო საქმიანობა და მზრუნველობა ერთ ფუთ პურსა და ერთ ფუთ ქვანახშირზე! რაც შეიძლება მეტი მზრუნველობა იმაზე, რომ ეს აუცილებლად საჭირო ფუთი პური და ფუთი ქვანახშირი ხვდეს დამშეულ მუშას და ჩამოფლეთილ, გატიტვლებულ გლეხს ა რ ა ჩ ა რ ჩ უ ლ ი გარიგებით, არა კაპიტალისტურად, არამედ უბრალო მშრომელთა შეგნებული, ნებაყოფლობითი, თავდადებულ-გმირული მუშაობით, აი სწორედ ისეთებისა, როგორიც არიან მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის შავი მუშები და რკინიგზელები.

ჩვენ ყველამ უნდა ვაღიაროთ, რომ რევოლუციის საკითხებისადმი ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური, ფრაზისტული შიდგომის კვალი ყოველ ნაბიჯზე იჩენს თავს ყველგან, აგრეთვე ჩვენს რიგებშიც. ჩვენი პრესა, მაგალითად, ძალიან ნაკლებ ებრძვის დამპალი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წარსულის ამ დამპალ ნაშთებს, ნაკლებ უწყობს ხელს ნამდვილი კომუნიზმის უბრალო, მცირედს, სადღეისო, მაგრამ ცოცხალ ყლორტებს.

აიღეთ ქალის მდგომარეობა. არც ერთ დემოკრატიულ პარტიას ქვეყნად არც ერთ ყველაზე მოწინავე ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში ათეული წლების განმავლობაში არ გაუკეთებია ამ მხრივ ერთი მეასედიც კი იმისა, რაც ჩვენ გავაკეთეთ ჩვენი ძალაუფლების პირველივე წლის განმავლობაში. ჩვენ ჭეშმარიტად ქვა-ქვაზე არ დაგვიტოვებია იმ უხამსი კანონებიდან ქალის უთანასწორობის, განქორწინების სიძნელის და მასთან დაკავშირებული საზიზღარი ფორმალობის შესახებ, დაუქორწინებელ მშობელთა ბავშვების უკანონოდ აღიარების, მათი მამების ძებნის და სხვ. შესახებ, — იმ კანონებიდან, რომელთა ნაშთები მრავალია ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ბურჟუაზიისა და კაპიტალიზმის სამარცხვინოდ. ჩვენ უფლება გვაქვს ათასჯერ ვიამაყოთ იმით, რაც ამ სფეროში გაგვიკეთებია. მაგრამ რაც უფრო ს უ ფ თ ა დ გავწმინდეთ ნიადაგი ძველი, ბურუაზიული კანონებისა და

დაწესებულებების ნაგავისაგან, მით უფრო აშკარა გახდა ჩვენთვის, რომ ეს მხოლოდ ადგილის გასუფთავებაა შენობის ასაგებად და არა თვით შენობის აგება.

მიუხედავად ყოველგვარი განმათავისუფლებელი კანონებისა, ქალი დღესაც შინაურ მხევლად რჩება, რადგან მას მძიმედ აწვება, ახრჩობს, აჩლუნგებს, ამდაბლებს წვრილი საოჯახო მეურნეობა, რომელიც აბამს მას სამზარეულოსა და საბავშვო ოთახზე, ანიავებს მის შრომას ყოვლად უნაყოფო, წვრილმანი, ნერვებამშლელი, დამაჩლუნგებელი და დამაბეჩავებელი მუშაობით. ქალის ნამდვილი განთავისუფლება, ნამდვილი კომუნიზმი დაიწყება მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც დაიწყება მასობრივი ბრძოლა (რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს სახელმწიფო ძალაუფლების მქონე პროლეტარიატი) ამ წვრილი საოჯახო მეურნეობის წინააღმდეგ, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისი მასობრივი გარდაქმნა მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად.

განა ჩვენ პრაქტიკულად საკმაო ყურადღებას ვაქცევთ ამ საკითხს, რომელიც თეორიულად ყოველი კომუნისტისათვის უდავოა? რა თქმა უნდა, არა. განა საკმაო მზრუნველობით ვეპყრობით კომუნიზმის იმ ყლორტებს, რომლებიც უკვე ახლაც მოიპოვება ამ სფეროში? არა, არა და არა. საზოგადოებრივი სასადილოები, ბაგები, საბავშვო ბაღები — აი ამ ყლორტების ნიმუშები, აი ის უბრალო, ყოველდღიური, საშუალებები, რომლებიც მოკლებული არიან ყოველგვარ ბრწყინვალებას, მაღალფარდოვნობას და საზეიმო ხასიათს და რომელთაც საქმით შეუძლიათ გაათავისუფლონ ქალი, საქმით შეუძლიათ შეამცირონ და მოსპონ ქალის უთანასწორობა მამაკაცთან, მისი როლის კვალობაზე საზოგადოებრივ წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს საშუალებები ახალი არ არის, ისინი შექმნილია (როგორც საერთოდ სოციალიზმის ყველა მატერიალური წანამძღვარი) მსხვილი კაპიტალიზმის მიერ, მაგრამ კაპიტალიზმის დროს ეს საშუალებები, ჯერ-ერთი, იშვიათობას წარ-

მოადგენდა, მეორე, — რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, — ეს იყო ან ჩ ა რ ჩ უ ლ ი წამოწყება სპეკულაციის, მოგების, მოტყუების, სიყალბის ყველა უცუდესი მხარით, ან «ბურჟუაზიული ქველმოქმედების ჯამბაზობა», რაც სრულიად სამართლიანად სძულდათ და ეზიზღებოდათ საუკეთესო მუშებს.

ეჭვი არ არის, რომ ასეთი დაწესებულებები ჩვენში გამრავლდნენ და თავიანთი ხასიათის გამოცვლასაც ი წ ყ ე ბ ე ნ. ეჭვი არ არის, რომ მუშა და გლეხ ქალთა შორის ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ უ ლ ი ნ ი ჭ ი თ აღჭურვილი ადამიანები მოიპოვებიან იმაზე ბევრად უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ ვიცით, ადამიანები, რომლებსაც ეხერხებათ პრაქტიკული საქმის მოგვარება, მუშაკთა დიდი რიცხვის და მომხმარებელთა კიდევ უფრო დიდი რიცხვის მონაწილეობით, სადაც არ იქნება ფრაზების სიუხვე, ფუსფუსი, აყალმაყალი და ლაყბობა გეგმებზე, სისტემებზე და სხვ., რითაც «დასნეულებულია» «ინტელიგენცია», რომელსაც ფრიად დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე, ან კიდევ ახლად გამომცხვარი «კომუნისტები». მაგრამ ჩვენ ვ ე რ ვ უ ვ ლ ი თ, როგორც საჭიროა, ახლის ამ ყლორტებს.

შეხედეთ ბურჟუაზიას. რა საუცხოოდ იცის მან რეკლამირება იმისა, რაც მ ა ს ესაჭიროება! რა ქება-დიდება ესხმება კაპიტალისტთა თვალში «სანიმუშო» საწარმოებს მ ა თ ი გაზეთების მრავალმილიონიან ეგზემპლარში, როგორ იქმნება ამ «სანიმუშო» ბურჟუაზიული დაწესებულებებიდან ნაციონალური სიამაყის საგანი! ჩვენი პრესა არ ზრუნავს, ან თითქმის სრულიადაც არ ზრუნავს, იმაზე, რომ ასწეროს საუკეთესო სასადილოები ან საბავშვო ბაგები, რომ ყოველდღიური დაჟინებული მოთხოვნით მიაღწიოს ზოგიერთი მათგანის სანიმუშოდ გადაქცევას, რომ რეკლამა გაუკეთოს მას, ასწეროს დაწვრილებით, თუ როგორ იზოგება ადამიანის შრომა, რა ხელსაყრელია მომხმარებელთათვის, რა დაზოგვაა პროდუქტისა, როგორ თავისუფლდება ქალი ოჯახური მონობისაგან, როგორ უმჯობესდება სანიტარული პირობები ს ა ნ ი მ უ შ ო კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი მ უ შ ა ო ბ ი თ, როგორ შეიძლება

ყოველივე ამას მივაღწიოთ, როგორ შეიძლება გავავრცელოთ ეს მთელ საზოგადოებაზე, ყველა მშრომელზე.

სანიმუშო წარმოება, სანიმუშო კომუნისტური შაბათობა, სანიმუშო მზრუნველობა და კეთილსინდისიერება თვითეული ფუთი პურის მოპოვებისა და განაწილების საქმეში, სანიმუშო სასადილოები, სანიმუშო სისუფთავე ამა და ამ მუშათა სახლისა, ამა და ამ უბნისა, — ყოველივე ეს ახლანდელზე ათჯერ უფრო მეტი ყურადღების და მზრუნველობის საგანს უნდა შეადგენდეს როგორც ჩვენი პრესისათვის, ისე მუშათა და გლეხთა თ ვ ი თ ე უ ლ ი ორგანიზაციისათვის. ყოველივე ეს — კომუნიზმის ყლორტებია, და ამ ყლორტების მოვლა ჩვენს საერთო და უპირველეს მოვალეობას შეადგენს. თუმცა ძალიან ძნელია ჩვენი სასურსათო და საწარმოო მდგომარეობა, მაგრამ ბოლშევიკური ხელისუფლების წელიწადნახევრის არსებობის განმავლობაში ჩვენი წინსვლა მ თ ე ლ ფ რ ო ნ ტ ზ ე მაინც უეჭველია: პურის დამზადება 30 მილიონ ფუთიდან (1917 წ. 1 აგვისტოდან 1918 წ. 1 აგვისტომდე) 100 მილიონ ფუთამდე გადიდდა (1918 წ. 1 აგვისტოდან 1919 წ. 1 მაისამდე); საბოსტნე მეურნეობა გაიზარდა, პურის დაუთესაობამ იკლო, რკინიგზის ტრანსპორტმა გაუმჯობესება იწყო, მიუხედავად სათბობის დიდი სიძნელეებისა და სხვა. ამ საერთო ფონზე და პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლების დახმარებით, კომუნიზმის ყლორტები კი არ ჩაჭკნება, არამედ გაიფურჩქნება და სრულ კომუნიზმად განვითარდება.

* * *

საჭიროა კარგად ჩავუფიქრდეთ «კომუნისტურ შაბათობათა» მნიშვნელობას, რათა ამ დიადი თაოსნობიდან გამოვიყენოთ ყველა ის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პრაქტიკული გაკვეთილი, რომელიც მისგან გამომდინარეობს.

ამ თაოსნობის ყოველმხრივი მხარის დაჭერა პირველი და მთავარი გაკვეთილია. სიტყვა «კომუნა» ჩვენში ძალიან იოლად იხმარება. ყოველგვარი წამოწყება, რომელიც კომუ-

ნისტებს შემოაქვთ ან მათი მონაწილეობით შემოდის, ხშირად ერთბაშად უკვე «კომუნად» ცხადდება, — ამავე დროს ხშირად ივიწყებენ, რომ ესოდენ საპატიო სახელწოდება ხანგრძლივი და შეუპოვარი შრომით უნდა მოვიპოვოთ, უნდა მოვიპოვოთ დამტკიცებული პრაქტიკული წარმატებით ნამდვილად კომუნისტურ მშენებლობაში.

ამიტომ, ჩემი აზრით, სრულიად სწორია ცაკ-ის უმრავლესობის გონებაში მომწიფებული გადაწყვეტილება, გაუქმდეს სახკომსაბჭოს დეკრეტის ის ნაწილი, რომელიც შეეხება «სამომხმარებლო კომუნების»[61] სახელწოდებას. დაე უფრო უბრალო სახელწოდება იყოს, — მით უმეტეს, ახალი ორგანიზატორული მუშაობის პირველი საფეხურების შეცდომებს და ნაკლოვანებებს «კომუნებს» კი აღარ მოახვევენ თავს, არამედ ცუდ კომუნისტებს დააბრალებენ (და ეს სამართლიანიც იქნება). ძალიან სასარგებლო იქნებოდა სიტყვა «კომუნას» განვდევნიდეთ გაცვეთილი ხმარებიდან, ავუკრძალავდეთ გამვლელ-გამომვლელს მის . ადვილად ხელის წამოკვრას, ანამ სახელწოდებას ვაღიარებდეთ **მხოლოდ** ნამდვილი კომუნებისათვის, რომლებმაც მართლაც დაამტკიცეს პრაქტიკულად (და დაადასტურეს მთელი გარშემო მოსახლეობის ერთსულოვანი აღიარებით) საქმის კომუნისტურად დაყენების უნარი და ცოდნა. ჯერ დაამტკიცე, რომ უნარი შეგწევს უსასყიდლოდ მუშაობისა საზოგადოების ინტერესებისათვის, ყველა მშრომელის ინტერესებისათვის, რომ უნარი შეგწევს «რევოლუციურად მუშაობისა», შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, საქმის სანიმუშოდ დაყენებისა, და შემდეგ წაეპოტინე «კომუნის» საპატიო სახელწოდებას!

ამ მხრივ «კომუნისტური შაბათობები» — ყველაზე საგულისხმო გამონაკლისია. ვინაიდან აქ მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის შავმა მუშებმა და რკინიგზელმა მუშებმა ჯერ საქმით გვიჩვენეს, რომ მათ შეუძლიათ მუშაობა კომუნისტებივით, და შემდეგ მიაკუთვნეს თავიანთ თაოსნობას

«კომუნისტურ შაბათობათა» სახელწოდება. უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ და კიდევაც უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს შემდეგშიც ასე ხდებოდეს, რომ ყველას და თვითეულს, ვინც თავის საწარმოს, დაწესებულებას ან საქმეს კომუნას უწოდებს, მაგრამ შრომით და ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი შ რ ო მ ი ს პრაქტიკული წ ა რ მ ა ტ ე ბ ი თ, საქმის სამაგალითო და ნამდვილი კომუნისტური დაყენებით ა რ დ ა ა მ ტ კ ი ც ე ბ ს ამას, — წილად ხვდეს დაუნდობელი გაკიცხვა და შერცხვენა, როგორც თაღლითს ან ცრუპენტელას.

«კომუნისტურ შაბათობათა» დიადი თაოსნობა უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე მეორე მხრივაც, სახელდობრ: პარტიის გ ა ს ა წ მ ე ნ დ ა დ, სრულიად აუცილებელია, რომ პირველ ხანებში გადატრიალების შემდეგ, როდესაც «პატიოსან» და ობივატელურად განწყობილ ადამიანთა მასა განსაკუთრებული შიშით გვიყურებდა, როდესაც ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რასაკვირველია, მენშევიკებისა და ესერების ჩათვლით, გამოუკლებლივ საბოტაჟს გვიმართავდა და ბურჟუაზიის წინაშე ლაქიობდა, სრულიად აუცილებელი იყო, რომ მმართველ პარტიას ეტმასნებოდნენ ავანტიურისტები და სხვა უაღრესად მავნე ელემენტები. უამისოდ არც ერთი რევოლუცია არ მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს. მთელი საქმე ისაა, რომ მმართველ პარტიას, რომელიც ჯანსაღსა და ძლიერ მოწინავე კლასს ეყრდნობა, შესწევდეს თავისი რიგების გაწმენდის უნარი.

ამ მხრივ ჩვენ დიდი ხანია დავიწყეთ მუშაობა. საჭიროა განვაგრძოთ იგი განუხრელად და დაუღალავად. ომის საჭიროებისათვის კომუნისტების მობილიზაცია ჩვენ დაგვეხმარა: ლაჩრები და არამზადები გაიქცნენ პარტიიდან. გზა დაგვილოცნია! პარტიის წევრთა რიცხვის ა მ გ ვ ა რ ი შემცირება მისი ძალისა და წონის უ დ ი დ ე ს ი გ ა დ ი დ ე ბ ა ა. საჭიროა განვაგრძოთ წმენდა და საამისოდ გამოვიყენოთ «კომუნისტურ შაბათობათა» თაოსნობა. პარტიაში უნდა მივიღოთ მხოლოდ ის პირნი, რომელთაც გაიარეს «რევოლუციურად მუშაობის», ვთქვათ, ნახევარი წლის «გამოცდა» ანუ «სტაჟი».

ასეთივე შემოწმება უნდა მოეთხოვოს პარტიის ყ ვ ე ლ ა იმ წევრს, რომლებიც შემოსულან პარტიაში 1917 წ. 25 ოქტომბრის შემდეგ და განსაკუთრებული მუშაობით ან დამსახურებით არ დაუმტკიცებიათ თავიანთი უცილობელი ნდობა, ერთგულება და უნარი კომუნისტობისა.

პარტიის წმენდა, დაკავშირებული მ ი ს ი მ ო მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ო ბ ი ს გ ა ნ უ ხ რ ე ლ გ ა დ ი დ ე ბ ა ს თ ა ნ ნამდვილი კომუნისტური მუშაობის მიმართ, გააუმჯობესებს სახელმწიფო ხელისუფლების ა პ ა რ ა ტ ს და გიგანტურად მოაახლოებს გლეხების ს ა ბ ო ლ ო ო გ ა დ მ ო ს ვ ლ ა ს რევოლუციური პროლეტარიატის მხარეზე.

«კომუნისტურმა შაბათობამ», სხვათა შორის, არაჩვეულებრივ ნათელი შუქი მოჰფინა სახელმწიფო ხელისუფლების აპარატის კლასობრივ ხასიათს პროლეტარიატის დიქტატურის დროს. პარტიის ცეკა წერს წერილს «რევოლუციურად მუშაობის» შესახებ [62]. ეს აზრი დაებადა 100 — 200 ათას წევრიანი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს (ვფიქრობ, ამდენი დარჩება სერიოზული წმენდის შემდეგ, რადგან ამჟამად მეტია).

ამ აზრს გამოეხმაურნენ პროფესიულად ორგანიზებული მუშები. მათი რიცხვი ჩვენში, რუსეთსა და უკრაინაში, 4 მილიონამდეა. მათი უდიდესი უმრავლესობა პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის მომხრეა. 200 000 და 4 000 000 — აი თანაფარდობა «კბილათვლებისა», თუ შეიძლება ასე ითქვას. შემდეგ მოდის ა თ ე უ ლ ი მ ი ლ ი ო ნ ო ბ ი თ გლეხობა, რომელიც განიყოფება სამ მთავარ ჯგუფად: ყველაზე მრავალრიცხოვანი და პროლეტარიატთან ყველაზე მახლობელია ნახევრადპროლეტარები ანუ ღარიბები; შემდეგ — საშუალო გლეხობა; ბოლოს, ფრიად მცირერიცხოვანი — კულაკები ანუ სოფლის ბურჟუაზია.

ვიდრე პურის ვაჭრობისა და შიმშილობის სასპეკულაციოდ გამოყენების შესაძლებლობა არსებობს, გლეხი რჩება (და ეს გარდუვალია ერთხანს პროლეტარიატის დიქტატურის

დროს) ნახევრადმშრომელად, ნახევრადსპეკულანტად. როგორც სპეკულანტი, იგი მტრულადაა განწყობილი ჩვენდამი, მტრულადაა განწყობილი პროლეტარული სახელმწიფოსადმი, იგი მზადაა შეუთანხმდეს ბურჟუაზიას და მის ერთგულ ლაქიებს, თვით მენშევიკ შერსაც ან ესერ ბ. ჩერნენკოვსაც, რომლებიც პურის თავისუფალი ვაჭრობის მომხრენი არიან. მაგრამ როგორც მშრომელი, გლეხი პროლეტარული სახელმწიფოს მეგობარია, მუშის უერთგულესი მოკავშირეა მემამულისა და კაპიტალისტის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც მშრომელი, გლეხი თავისი უზარმაზარი, მრავალმილიონიანი მასით მხარს უჭერს სახელმწიფოს იმ «მანქანას», რომელსაც ძეთაურობს რამდენიმე ასიათასიანი კომუნისტური პროლეტარული ავანგარდი და რომელიც შესდგება მილიონობით ორგანიზებული პროლეტარისგან.

უფრო დემოკრატიული, ამ სიტყვის ჭეშმარიტი აზრით, მშრომელ და ექსპლოატირებულ მასებთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული სახელმწიფო ჯერ არ ყოფილა ქვეყანაზე.

სწორედ ამგვარ პროლეტარულ მუშაობას, რომელსაც მოასწავებენ «კომუნისტური შაბათობები» და რომელსაც ახორციელებენ ისინი, თან მოსდევს გლეხობის მხრივ პროლეტარული სახელმწიფოსადმი პატივისცემისა და სიყვარულის საბოლოო განმტკიცება. ასეთი მუშაობა — და მხოლოდ ასეთი მუშაობა — საბოლოოდ არწმუნებს გლეხს ჩვენს სიმართლეში, კომუნიზმის სიმართლეში, ხდის გლეხს ჩვენს თავდადებულ მომხრედ, ეს კი ნიშნავს: ასეთ მუშაობას მივყავართ სასურსათო სიძნელეთა სრული დაძლევისაკენ, კაპიტალიზმზე კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ პურის წარმოებისა და განაწილების საკითხში, მივყავართ კომუნიზმის უეჭველი განმტკიცებისაკენ.

1919 წ. 28 ივნისი.

დეპეშა ი. ბ. სტალინს

პეტროგრადი, სმოლნი

ეკატერინოსლავი აღებულია. სამხრეთში ვაზნების მხრივ საშინელი მდგომარეობაა. ამასთან დაკავშირებით, როცა მიიღებთ სამ ძილიონს და ვიდლიცის[63] მარაგს, ვაზნების და სხვა სამხედრო საჭურვლის მომჭირნეობა უნდა გასწიოთ რამდენადაც კი შეგიძლიათ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 30 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ტელეგრაფის ბლანკის ტექსტის მიხედვით

ყველაფერი დენიკინთან საბრძოლველად

(რკპ (ბოლშევიკების) ც. კ-ის წერილი პარტიის ორგანიზაციებისადმი)

ამხანაგებო! დადგა სოციალისტური რევოლუციის უაღრესად კრიზისული, შესაძლებელია, ყველაზე კრიზისული მომენტიც კი. ექსპლოატატორების, მემამულეებისა და კაპიტალისტების რუსი და უცხოელი (პირველ რიგში ინგლისელი და ფრანგი) დამცველები თავგანწირულად ცდილობენ აღადგინონ ხალხის შრომის მძარცველთა, მემამულეთა და ექსპლოატატორთა ხელისუფლება რუსეთში, რათა განამტკიცონ მთელ მსოფლიოში მათი ძალაუფლება, რომელიც ეცემა. ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებს ჩაეფუშათ თავიანთი საკუთარი ჯარებით უკრაინის დაპყრობის გეგმა; მათ ჩაეფუშათ კოლჩაკისთვის დახმარების გაწევა ციმბირში; წითელი არმია, რომელიც ურალის საყოველთაო აჯანყების ცეცხლში გახვეული მუშების დახმარებით გმირულად მიიწევს წინ ურალში, უახლოვდება ციმბირს, რათა გაათავისუფლოს იგი იქაურ ბატონთა, კაპიტალისტთა გაუგონარი უღლისა და მხეცობისაგან. ბოლოს, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებს ჩაეფუშათ კონტრრევოლუციური შეთქმულების საშუალებით პეტროგრადის ხელში ჩაგდების გეგმა, შეთქმულებისა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ რუსი მონარქისტები, კადეტები, მენშევიკები და ესერები, თვით მემარცხენე ესერების ჩათვლით.

ახლა საზღვარგარეთელი კაპიტალისტები თავგანწირულად ცდილობენ აღადგინონ კაპიტალის უღელი დენიკინის შემოსევის საშუალებით, რომელსაც, როგორც ოდესღაც კოლჩაკს,

დახმარება ალმოუჩინეს ოფიცრებით, მომარაგებით, ყუმბარებით, ტანკებით და სხვ. და ა. შ.

უნდა დავძაბოთ მუშებისა და გლეხების მთელი ძალები, საბჭოთა რესპუბლიკის მთელი ძალები, რათა მოვიგერიოთ დენიკინის შემოსევა და დავამარცხოთ იგი ისე, რომ არ შევაჩეროთ წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევა ურალსა და ციმბირზე. ამაში მდგომარეობს

მოუმენტის ძირითადი ამოცანა

უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ყველა კომუნისტმა, ყველა მათმა თანამგრძნობმა, ყველა პატიოსანმა მუშამ და გლეხმა, ყველა საბჭოთა მუშაკმა სამხედრო ყაიდის სიბეჯითე უნდა გამოიჩინონ და თავიანთი მუშაობის, თავიანთი ძალ-ღონისა და ზრუნვის მაქსიმუმი გადაიტანონ ომის უშუალო ამოცანებზე, დენიკინის შემოსევის სასწრაფოდ მოგერიებაზე, და მთელი თავიანთი დანარჩენი მუშაობა ისე უნდა შეკვეცონ და გარდაქმნან, რომ ამ ამოცანას დაუმორჩილონ.

საბჭოთა რესპუბლიკა მტრით არის ალყაშემორტყმული. იგი ერთიან სამხედრო ბანაკს უნდა წარმოადგენდეს არა სიტყვით, არამედ საქმით.

ყველა დაწესებულების მთელი მუშაობა ომს შევუგუოთ და სამხედრო ყაიდაზე გარდავქმნათ!

მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საქმეთა გადასაჭრელად აუცილებელია კოლეგიალობა. მაგრამ კოლეგიალობის ყოველგვარი გაბერვა, მისი ყოველგვარი დამახინჯება, რაც იწვევს საქმის გაჭიანურებას, უპასუხისმგებლობას, კოლეგიალურ დაწესებულებათა ყოველგვარი გადაქცევა სალაყბოდ უდიდესი ბოროტებაა, და ამ ბოროტებას საჭიროა ბოლო მოვუღოთ რადაც უნდა დაჯდეს, რაც შეიძლება ჩქარა, და არ დავერიდოთ არაფერს.

კოლეგიალობა არ უნდა გასცილდეს აბსოლუტურად აუცილებელ მინიმუმს არც კოლეგიების წევრთა რიცხვის მხრივ, არც მუშაობის საქმიანი წარმართვის მხრივ, «სიტყვების»

აკრძალვის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შეძლებისამებრ მეტი სისწრაფისა და ამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის დაყვანისა ინფორმაციამდე და ზუსტი პრაქტიკული წინადადებების წამოყენებამდე.

ყოველთვის, როცა ამის თუნდაც უმცირესი შესაძლებლობაა, კოლეგიალობა უნდა დავიყვანოთ მხოლოდ უაღრესად დიდმნიშვნელოვან საკითხთა სულ მოკლედ განხილვამდე რაც შეიძლება ნაკლებ ფართო კოლეგიაში, ხოლო პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გ ა მ გ ე ბ ლ ო ბ ა დაწესებულებისა, საწარმოსი, საქმისა, ამოცანისა უნდა მიენდოს ე რ თ ა მ ხ ა ნ ა გ ს, რომელიც ცნობილია თავისი სიმტკიცით, ურყეობით, გაბედულებით, პრაქტიკული საქმის გაძღოლის უნარით და რომელიც უდიდესი ნდობით სარგებლობს. ყოველ შემთხვევაში და გამოუკლებლივ ყოველგვარ გარემოებაში კოლეგიალობას თან უნდა ახლდეს თ ვ ი თ ე უ ლ ი პიროვნების პირადი პასუხისმგებლობის უაღრესი სიზუსტით დაწესება ზ უ ს ტ ა დ გარკვეული საქმისთვის. უპასუხისმგებლობა, რომელიც იფარება კოლეგიალობის დამოწმებით, ყველაზე საშიში ბოროტებაა, რომელიც მოელის ყველას, ვისაც ძალიან დიდი გამოცდილება არა აქვს საქმიან კოლეგიალურ მუშაობაში, და რომელიც სამხედრო საქმეში ძალიან ხშირად და გარდუვალად იწვევს კატასტროფას, ქაოსს, პანიკას, მრავალხელისუფლებიანობას, დამარცხებას.

არა ნაკლებ საშიში ბოროტებაა ორგანიზაციული ფაცაფუცი ანუ ორგანიზაციული პროექტერობა. ომისთვის აუცილებელი მუშაობის გარდაქმნა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწვევდეს დაწესებულებათა გარდაქმნას, მეტადრე სახელდახელოდ ახალ დაწესებულებათა შექმნას. ეს უცილობლად შეუწყნარებელია, ეს მხოლოდ ქაოსს იწვევს. მუშაობის გარდაქმნა უნდა მდგომარეობდეს იმ დაწესებულებათა დროებით შეჩერებაში, რომლებიც აბსოლუტურად საჭირო არ არის, ანდა მათს განსაზღვრულ ზომამდე შემცირებაში. მაგრამ ომისადმი დახმარების მთელი მუშაობა უნდა წარმოებდეს მ თ ლ ი ა ნ ა დ და მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო-

ლ ო დ უ კ ვ ე ა რ ს ე ბ უ ლ სამხედრო დაწესებულებათა **მეშვეობით,** მათი შესწორების, განმტკიცების, გაფართოების და მათთვის დახმარების გაწევის გზით. საგანგებო «თავდაცვის კომიტეტების» ან «რევკომების» (რევოლუციური ან სამხედრო-რევოლუციური კომიტეტების) შექმნა დასაშვებია, ჯერ-ერთი, მხოლოდ გამონაკლისის სახით; მეორე, მხოლოდ სათანადო სამხედრო ხელისუფლების ან უმაღლესი საბჭოთა ხელისუფლების დამტკიცებით; მესამე, აღნიშნული პირობის სავალდებულო შესრულებით.

ხალხისთვის სიმართლის ახსნა-განმარტება კოლჩაკისა და დენიკინის შესახებ

კოლჩაკი და დენიკინი საბჭოთა რესპუბლიკის მთავარი და ერთადერთი სერიოზული მტრები არიან. ანტანტას (ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკას) რომ მათთვის დახმარება არ გაეწია, ისინი დიდი ხანია დაიშლებოდნენ. მხოლოდ ანტანტის დახმარება ხდის მათ ძალად. მაგრამ ისინი მაინც იძულებული არიან ატყუონ ხალხი, დროდადრო თავი მოაჩვენონ «დემოკრატიის», «დამფუძნებელი კრების», «სახალხო ხელისუფლების» მომხრეებად და სხვა. მენშევიკები და ესერები სიამოვნებით იტყუებენ თავს.

ამჟამად სიმართლე კოლჩაკის შესახებ (ხოლო დენიკინი მისი ორეულია) სავსებით გამოაშკარავებულია. ა თ ი ა თ ა-ს ო ბ ი თ მუშების დახვრეტა. დახვრეტა თვით მენშევიკებისა და ესერებისა. მთელი მაზრობით გლეხების გაწკეპლვა. ქალების საჯაროდ გაწკეპლვა. ოფიცრების — მემამულეების ნაშიერთა სრული თარეში. დაუსრულებელი ძარცვა-გლეჯა. ასეთია სიმართლე კოლჩაკისა და დენიკინის შესახებ. თვით მენშევიკებსა და ესერებში, რომლებიც თვითონ იყვნენ მუშების მოღალატენი და რომლებიც კოლჩაკისა და დენიკინის მხარეზე იყვნენ, სულ უფრო და უფრო მეტი მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც იძულებული არიან აღიარონ ეს სიმართლე.

მთელ აგიტაციასა და პროპაგანდას ქვაკუთხედად უნდა დაედოს ამის გაცნობა ხალხისთვის. საჭიროა განემარტოს მას, რომ ან კოლჩაკი და დენიკინი უნდა იყვნენ, ან საბჭოთა ხელისუფლება, მუშების ხელისუფლება (დიქტატურა); შუათანა რამ არ არსებობს; შუათანა რამ შეუძლებელია იყოს. განსაკუთრებით უნდა გამოვიყენოთ არა ბოლშევიკ მოწმეთა: კოლჩაკთან ან დენიკინთან ნ ა მ ყ ო ფ მენშევიკთა, ესერთა, უპარტიოთა ჩვენება. დაე იცოდეს ყოველმა მუშამ და გლეხმა, თუ რისთვის წარმოებს ბრძოლა, რა მოელის მას კოლჩაკის ან დენიკინის გაძარჯვების შემთხვევაში.

მუშაობა მობილიზებულთა შორის

ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი საგანი უნდა იყოს ახლა მუშაობა იმათ შორის, ვისაც მობილიზაცია ეხება, მობილიზაციის დასახმარებლად, მობილიზებულთა შორის. კომუნისტები და მათი თანამგრძნობნი ყველგან, სადაც კი თავმოყრილი არიან მობილიზებულნი ან სადაც არის გარნიზონები და განსაკუთრებით სათადარიგო ბატალიონები და სხვ., უკლებლივ ფეხზე უნდა დავაყენოთ. გამოუკლებლივ ყველანი უნდა გაერთიანდნენ და იმუშაონ, ზოგიერთებმა ყოველდღიურად, სხვებმა, ვთქვათ, 4 ან 8 საათი კვირაში, მობილიზაციის დასახმარებლად და მობილიზებულთა შორის, ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცებს შორის, რასაკვირველია, სასტიკად ორგანიზებულად, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციისა და სამხედრო ხელისუფალთა მიერ თვითეულისთვის სათანადო მუშაობის მიჩენით.

უპარტიო მოსახლეობას ან მოსახლეობას, რომელიც არა კომუნისტურ პარტიას ეკუთვნის, რა თქმა უნდა, არ ძალუძს იდეურად იმუშაოს დენიკინის ან კოლჩაკის წინააღმდეგ. მაგრამ ამ საფუძველზე ყოველგვარი მუშაობისაგან მისი განთავისუფლება შეუწყნარებელია. საჭიროა გამოინახოს ყოველგვარი საშუალება, რომ უკლებლივ მთელი მოსახლეობა (პირველ რიგში კი უ ფ რ ო შ ე ძ ლ ე ბ უ ლ ი, როგორც ქალაქად, ისე სოფლად) ვალდებული იყოს თავისი

წვლილი გაიღოს, ამა თუ იმ სახით, მობილიზაციისა ან მობილიზებულთა დასახმარებლად.

დახმარების ზომების განსაკუთრებულ კატეგორიას უნდა შეადგენდეს მობილიზებულთა სასწრაფოდ და საუკეთესოდ გაწვრთნისთვის ხელისშეწყობა. საბჭოთა ხელისუფლება იწვევს ყველა ყოფილ ოფიცერს, უნტერ-ოფიცერსა და სხვ.. კომუნისტური პარტია და აგრეთვე ყველა თანამგრძნობი, ყველა მუშა უნდა დაეხმაროს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, ჯერ-ერთი, იმით, რომ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი გამოცხადებაზე თავის ამრიდებელ ყოფილ ოფიცერთა, უნტერ-ოფიცერთა და სხვათა დაჭერას, მეორეც, იმით, რომ პარტიული ორგანიზაციის კონტროლით და პარტიულ ორგანიზაციასთან მოაწყოს იმათი ჯგუფები, ვინც თეორიულად თუ პრაქტიკულად სწავლობდა (მაგალითად, იმპერიალისტურ ომში მონაწილეობის დროს) სამხედრო საქმეს და ვისაც შეუძლია თავისი წილი სარგებლობა მოიტანოს.

მუშაობა დეზერტირებს შორის

უკანასკნელ ხანებში აშკარა გარდატეხა მოხდა დეზერტირობასთან ბრძოლის საქმეში. მთელ რიგ გუბერნიებში დეზერტირი მასობრივად ბრუნდება არმიაში, დეზერტირი, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, პირდაპირ მოაწყდა წითელ არმიას. ამის მიზეზია, ჯერ-ერთი, პარტიული ამხანაგების უფრო უნარიანი და უფრო სისტემატური მუშაობა; მეორე, გლეხების მზარდი შეგნება, რომ კოლჩაკს და დენიკინს იმაზე უარესი წესწყობილების აღდგენა მოაქვთ, ვიდრე მეფის წესწყობილება იყო, მოაქვთ მუშებისა და გლეხების მონობის, გაწკეპლვის, ძარცვა-გლეჯის, ოფიცრებისა და თავადაზნაურთა მხრივ აბუჩად აგდების აღდგენა.

ამიტომ საჭიროა ყველგან და მთელი ძალ-ღონით გავაძლიეროთ მუშაობა დეზერტირებს შორის და არმიაში დეზერტირების დასაბრუნებლად. ეს არის ერთ-ერთი უპირველესი და ფრიად არსებითი საქმე.

სხვათა შორის. დეზერტირებზე ზემოქმედების შესაძლებლობა ჩაგონებით და ასეთი ზემოქმედების წარმატება

ცხადყოფს მემამულური და კაპიტალისტური სახელმწიფოსაგან განსხვავებით მუშური სახელმწიფოს სრულიად განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გლეხობისადმი. ჯოხის შიში თუ შიმშილის შიში — აი დისციპლინის ერთადერთი წყარო მემამულური და კაპიტალისტური სახელმწიფოსათვის. მუშური სახელმწიფოსთვის ანუ პროლეტარიატის დიქტატურისთვის შესაძლებელია დისციპლინის სხვა წყარო: გლეხების დარწმუნება მუშების მიერ, მათი ამხანაგური კავშირი. როცა მოისმენ დამსწრეთა ნაამბობს იმის შესახებ, რომ ამა და ამ გუბერნიაში (მაგალითად, რიაზანის გუბ.) ათასობით დეზერტირი ბრუნდება ნებაყოფლობით, რომ მიტინგებზე ზოგჯერ მიმართვას «ამხანაგ დეზერტირებისადმი» აუწერელი წარმატება აქვს, მაშინ იწყებ იმის წარმოდგენას, თუ რამდენი გამოუყენებელი ძალა მარხია ჯიდევ მუშათა და გლეხთა ამ ამხანაგურ კავშირში. გლეხს აქვს ცრურწმენა და ამის გამო მისდევს ის კაპიტალისტს, ესერს, «თავისუფალ ვაჭრობას», მაგრამ მას აქვს გონებაც, რომელსაც სულ უფრო და უფრო მიჰყავს ის მუშასთან კავშირისაკენ.

არმიისათვის პირდაპირი დახმარების გაწევა

ჩვენი არმია ყველაზე მეტად საჭიროებს მომარაგებას: ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, იარაღით, ყუმბარებით. გაჩანაგებულ ქვეყანაში გვიხდება უდიდესი ძალ-ღონის დახარჯვა არმიის ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, და ყაჩაღების — ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის კაპიტალისტების დახმარება, რომელსაც უხვად უწევენ ისინი კოლჩაკსა და დენიკინს, მხოლოდ ეს შველით მათ გადაურჩნენ გარდუვალ კრახს მომარაგების ნაკლებობის გამო.

თუმცა რუსეთი დიდად გაჩანაგებულია, მაგრამ მას მაინც მოეპოვება ძალიან და ძალიან დიდი რესურსები, რომლებიც ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გამოვიყენეთ, ხშირად ვერ შევძელით გამოგვეყენებინა. ჯერ კიდევ არის სამხედრო ქონების მრავალი საწყობი, რომლებიც ნახული ან შემოწმებული არ

არის, ბევრი საწარმოო შესაძლებლობაა, რასაც ნაწილობრივ ხელიდან ვუშვებთ მოხელეთა შეგნებული საბოტაჟის გამო, ნაწილობრივ გაჭიანურების, კანცელარულობის, უთავბოლობის და უნიათობის გამო — ყველა ამ «წარსულის ცოდვის» გამო, რაც ასე გარდუვალად და ასე სასტიკად აწევს ტვირთად ყოველ რევოლუციას, რომელიც «ნახტომს» აკეთებს ახალი საზოგადოებრივი წყობილებისკენ.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი დახმარება არმიისთვის. ის დაწესებულებები, რომლებიც ამას განაგებენ, განსაკუთრებით საჭიროებენ «განახლებას», გარედან დახმარებას, ადგილებზე მუშებისა და გლეხების ნებაყოფლობითს, ენერგიულ, გმირულ თაოსნობას.

რაც შეიძლება ფართოდ უნდა მოვუწოდოთ ამ თაოსნობისაკენ ყველა შეგნებულ მუშასა და გლეხს, ყველა საბჭოთა მოღვაწეს, საჭიროა მოვსინჯოთ სხვადასხვა ადგილას და მუშაობის სხვადასხვა სფეროში ამ მხრივ არმიისათვის დახმარების სხვადასხვანაირი ფორმა. «რევოლუციურად მუშაობა» აქ გაცილებით უფრო ნაკლებ წარმოებს, ვიდრე სხვა სფეროებში, საჭიროება კი «რევოლუციურად მუშაობისა» აქ გაცილებით უფრო ძლიერია.

მოსახლეობაში იარაღის შეკრება ამ მუშაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. იმ ქვეყანაში, რომელმაც ოთხი წლის იმპერიალისტური ომი და შემდეგ ორი სახალხო რევოლუცია განიცადა, ძალიან ბევრი იარაღი რომ აქვს გადამალული გლეხებს და ბურჟუაზიას, ეს ბუნებრივია, ეს გარდუვალად წარმოიშვა. მაგრამ ახლა, როცა დენიკინი მრისხანედ შემოგვესია, საჭიროა ამას მთელი ძალ-ღონით ვებრძოლოთ. ის, ვინც მალავს ან ხელს უწყობს იარაღის გადამალვას, უდიდესი დამნაშავეა მუშებისა და გლეხების მიმართ, იგი ღირსია დახვრეტისა, რადგან ის არის მიზეზი ათასობით საუკეთესო წითელარმიელის დაღუპვისა, რომლებიც ხშირად მხოლოდ ფრონტზე იარაღის ნაკლებობის გამო იღუპებიან.

პიტერელმა ამხანაგებმა შესძლეს ათასობით და ათასობით შაშხანის პოვნა, როდესაც მოახდინეს — მტკიცე

ორგანიზებულობით — მასობრივი ჩხრეკა. საჭიროა დანარჩენი რუსეთიც არ ჩამორჩეს პიტერს, არამედ რადაც უნდა დაჯდეს დაეწიოს და გაუსწროს მას.

მეორე მხრივ, ეჭვი არ არის, რომ ყველაზე მეტ შაშხანას მალავენ გლეხები და ხშირად ისე, რომ არავითარი ბოროტი განზრახვა არა აქვთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი უნდობლობა ყოველგვარი «სახელმწიფოებრიობისადმი» და სხვ.. თუ ჩვენ შევძელით ბევრის, ძალიან ბევრის გაკეთება (საუკეთესო გუბერნიებში) დ ა რ წ მ უ ნ ე ბ ი თ, უნარიანი აგიტაციით, საქმისადმი მიზანშეწონილი მიდგომით დეზერტირების ნებაყოფლობით დასაბრუნებლად წითელ არმიაში, ეჭვი არ არის, რომ ასევე ბევრი, თუ კიდევ მეტი არა, შეიძლება და კიდევაც უნდა გავაკეთოთ იარაღის ნებაყოფლობით დასაბრუნებლად.

მუშებო და გლეხებო! მოძებნეთ გადამალული შაშხანები და ჩააბარეთ ისინი არმიას! ამით თქვენ იხსნით თავს კოლჩაკისა და დენიკინის მიერ ამოწყვეტისა, დახვრეტისა, მასობრივი გაწკეპლვისა და ძარცვისაგან!

არასამხედრო სამუშაოს შეკვეცა

იმ სამუშაოთა ნაწილის შესასრულებლადაც კი, რომლებიც მოკლედ არის დასახული ზემოთ, საჭიროა ახალ-ახალი მუშაკები, ამასთან ყველაზე საიმედო, თავდადებული, ენერგიული კომუნისტები. მერე სად უნდა ვიშოვოთ ისინი, როცა ყველგან უჩივიან ასეთ მუშაკთა ნაკლებობას და მეტისმეტ დაღლას?

ეჭვი არ არის, რომ ეს ჩივილი ბევრი მხრივ სამართლიანია. ვინმემ რომ ზუსტად გამოიანგარიშოს, მოწინავე მუშებისა და კომუნისტების რა თხელი ფენა მართავდა რუსეთს უკანასკნელი 20 თვის განმავლობაში მუშათა და გლეხთა მასის მხარის დაჭერით და თანაგრძნობით, ეს პირდაპირ წარმოუდგენლად შოეჩვენება. ჩვენ კი ვმართავდით უდიდესი წარმატებით, ვქმნიდით სოციალიზმს, ვძლევდით გაუგონარ სიძნელეებს, ვამარცხებდით ყველგან თავწამოყოფილ

მტრებს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული იყვნენ ბურჟუაზიასთან. და ჩვენ უკვე დავამარცხეთ ყველა მტერი, გარდა ერთისა: გარდა ანტანტისა, გარდა ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის მსოფლიო მასშტაბის მძლავრი იმპერიალისტური ბურჟუაზიისა, ამასთან ამ მტერსაც მოვტეხეთ უკვე ცალი ხელი — კოლჩაკი; ჩვენ გვემუქრება მხოლოდ მისი მეორე ხელი — დენიკინი.

სწრაფად იზრდება მუშათა ახალი ძალები სახელმწიფოს სამართავად, პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანების განსახორციელებლად იმ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის სახით, რომელიც ყველაზე უფრო გულწრფელად, მხურვალედ, თავდადებით სწავლობს, ითვისებს ახალი წყობილებიდან მიღებულ ახალ შთაბეჭდილებებს, თავიდან იშორებს ძველი, კაპიტალისტური და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ცრურწმენის ნაჭუჭს, იბრძმედება უფრო მტკიცე კომუნისტებად, ვიდრე მათი ძველი თაობა იყო.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი ფენა სწრაფად იზრდება, სწრაფად სწავლობს და მწიფდება სამოქალაქო ომის და ბურჟუაზიის გააფთრებული წინააღმდეგობის ცეცხლში, მას მაინც არ შეუძლია უახლოეს თვეებში მოგვცეს მ ო მ ზ ა დ ე ბ უ ლ ი მუშაკები სახელმწიფოს სამართავად. საქმე კი ეხება სწორედ უახლოეს თვეებს, 1919 წლის ზაფხულსა და შემოდგომას, რადგან დენიკინთან ბრძოლის საკითხი დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ უნდა გ ა დ ა წ ყ დ ე ს.

სამხედრო მუშაობის გასაძლიერებლად მომზადებულ მუშაკთა დიდი რაოდენობის მისაღებად საჭიროა შ ე ვ ა მ ც ი რ ო თ მთელი რიგი არასამხედრო დარგები და დაწესებულებები, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, არა უშუალოდ სამხედრო, საბჭოთა სამუშაო, საჭიროა ამ მიმართულებით (ე. ი. შემცირების მიმართულებით) გ ა რ დ ა ვ ქ მ ნ ა თ ყ ვ ე ლ ა დაწესებულება და საწარმო, რომლებიც კი უ ს ა თ უ ო დ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა რ ა რ ი ს.

მაგალითისათვის ავიღოთ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილება. ეს არის

უაღრესად სასარგებლო დაწესებულება, რომელიც აუცილებლად საჭიროა სოციალიზმის სავსებით ასაშენებლად, მთელი მეცნიერულ-ტექნიკური ძალების სწორი აღრიცხვისა და განაწილებისათვის. მაგრამ უსათუოდ საჭიროა თუ არა ასეთი დაწესებულება? რა თქმა უნდა, არა. ამჟამად მისთვის იმ ადამიანების მიცემა, რომლებიც შეიძლება და კიდევაც უნდა გამოვიყენოთ საარსებო და უკიდურესად საჭირო კომუნისტურ სამუშაოზე ა რ მ ი ა შ ი და უ შ უ ა ლ ო დ არმიისთვის, პირდაპირ დანაშაული იქნებოდა.

ამგვარი დაწესებულებები და დაწესებულებათა განყოფილებები ჩვენში, ცენტრსა და ადგილებზე, ძალიან ბევრია. ვისწრაფოდით რა სოციალიზმის სრული განხორციელებისაკენ, ჩვენ არ შეგვეძლო ერთბაშად არ დაგვეწყო ასეთ დაწესებულებათა აგება. მაგრამ ჩვენ ბრიყვები ან დამნაშავენი ვიქნებით, თუ დენიკინის მრისხანე შემოსევის დროს ვერ შევძლებთ რ ი გ ე ბ ი ს ისე გ ა რ დ ა ქ მ ნ ა ს, რომ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, რაც უსათუოდ საჭირო არ არის, შ ე ვ ა ჩ ე რ ო თ და შ ე ვ ა მ ც ი რ ო თ.

ჩვენ არ უნდა მივეცეთ პანიკას და არ უნდა დავიწყოთ ორგანიზაციული ფაცაფუცი, არც ერთი დაწესებულება არც უნდა გარდავქმნათ, არც მთლად უნდა დავხუროთ, არც — რაც განსაკუთრებით მავნებელია ნაჩქარევად მუშაობის დროს — ახალი დაწესებულებების შენება უნდა დავიწყოთ. ჩვენ სამი, ოთხი, ხუთი თვით უნდა შ ე ვ ა ჩ ე რ ო თ ყ ვ ე ლ ა, არააუცილებელი დაწესებულება და დაწესებულებათა განყოფილება ცენტრშიც და ადგილებზედაც, ან, თუ მათი მთლად შეჩერება არ შეიძლება, შ ე ვ კ ვ ე ც ო თ ისინი ამ დროის განმავლობაში (დაახლოებით), შევკვეცოთ რაც შეიძლება მეტად, ე. ი. დავტოვოთ მხოლოდ სამუშაოს უსათუოდ საჭირო მინიმუმი.

რადგან ჩვენი მთავარი მიზანია სამხედრო მუშაობისთვის ერთბაშად მივიღოთ მომზადებული, გამოცდილი, ერთგული, ნაცადი კომუნისტების ან სოციალიზმის თანამგრძნობთა დიდი რაოდენობა, აქიტომ უნდა გავწიოთ ისეთი რისკი, რომ

ბევრი ძლიერ შეკვეცილი დაწესებულება (ან დაწესებულებათა განყოფილებანი) დროებით დავტოვოთ ისე, რომ იქ **არ იყოს** არც ერთი კომუნისტი, ჩავაბაროთ ისინი მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიულ მუშაკებს. ეს რისკი არც ისე დიდია, რადგან ლაპარაკია მხოლოდ იმ დაწესებულებებზე, რომლებიც უსათუოდ საჭირო არ არის, მათი (სანახევროდ შეჩერებული) მუშაობის შესუსტებით ზარალი იქნება, მაგრამ ეს ზარალი არ იქნება დიდი, ეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაგვღუპავს. ხოლო სამხედრო მუშაობის გასაძლიერებლად, დაუყოვნებლივ და მნიშვნელოვნად გასაძლიერებლად საჭირო ენერგიის ნაკლებობას შეუძლია დაგვღუპოს. ეს ნათლად უნდა შევიგნოთ და ყველა დასკვნა გამოვიყვანოთ აქედან.

თუ უწყების ან საუწყებო განყოფილების ყოველი ხელმძღვანელი გუბერნიაში, მაზრაში და სხვ., კომუნისტების ყოველი უჯრედი, ერთი წუთის დაუკარგავად, შეეკითხება თავის თავს: უსათუოდ საჭიროა თუ არა ესა და ეს დაწესებულება? ესა და ეს განყოფილება? ხომ არ დავიღუპებით, თუ შევაჩერებთ მას ან 9/10-ით შევკვეცავთ მის მუშაობას და სრულიად უკომუნისტებოდ დავტოვებთ მას? — თუ საკითხის ასე დაყენებას მოჰყვება მუშაობის სწრაფი და გადამჭრელი შეკვეცა და კომუნისტების მოხსნა (მათი უსათუოდ საიმედო თანამგრძნობი თუ უპარტიო თანაშემწეებიანად), მაშინ ჩვენ შევძლებთ უმოკლეს დროში მივიღოთ მრავალი ასეული მუშაკი არმიის პოლიტგანყოფილებებში, კომისრების თანაშდგომობაზე და სხვაგან სამუშაოდ. და მაშინ სერიოზული შანსები გვექნება ისევე დავამარცხოთ დენიკინი, როგორც დავამარცხეთ უფრო ძლიერი კოლჩაკი.

მუშაობა ფრონტისპირა ზოლში

ფრონტისპირა ზოლი რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში უკანასკნელ კვირეებში საშინლად გაფართოვდა და არაჩვეულებრივ სწრაფად შეიცვალა. ეს ომის გადამწყვეტი მომენტის, ომის კვანძის გახსნის მოახლოების მომასწავებელი ან თანამგზავრია.

ერთი მხრივ, უდიდესი ფრონტისპირა ზოლი, პრიურალიეში და ურალში, ჩვენი ფრონტისპირა ზოლი გახდა წითელი არმიის გამარჯვებათა და კოლჩაკის დაშლის, კოლჩაკეთში რევოლუციის ზრდის გამო. მეორე მხრივ, უ ფ რ ო დ ი დ ი ფრონტისპირა ზოლი, ჩვენ დანაკარგთა გამო, პიტერთან მტრის ძალიან მოახლოებისა და სამხრეთიდან უკრაინაზე და რუსეთის ცენტრზე შემოსევის გამო, ფრონტისპირა ზოლი გახდა პიტერთან და სამხრეთში.

ფრონტისპირა ზოლში მუშაობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იღებს.

პრიურალიეში, სადაც წითელი არმია სწრაფად მიიწევს წინ, არმიის მუშაკებს, კომისრებს, პოლიტგანყოფილების წევრებს და სხვ., შემდეგ კი ადგილობრივ მუშებსა და გლეხებს ბუნებრივად ებადებათ სურვილი დარჩნენ ახალდაპყრობილ ადგილზე საბჭოთა შემოქმედებითი მუშაობისთვის; ეს სურვილი მით უფრო ბუნებრივია, რაც უფრო ძლიერია ომით გამოწვეული დაღლილობა, რაც უფრო მძიმეა იმ ნგრევის სურათი, რაც კოლჩაკმა მოახდინა. მაგრამ იმაზე უფრო საშიში არაფერია, როგორც ამ სურვილის შესრულება. ეს ქმნის შეტევის შესუსტების, მისი შეფერხების, იმის შანსების გადიდების საფრთხეს, რომ კოლჩაკი კვლავ წელში გაიმართება. ჩვენი მხრივ ეს პირდაპირ დანაშაული იქნებოდა რევოლუციის წინაშე.

არავითარ "შემთხვევაში არც ერთი ზედმეტი მუშაკი არ იყვეს წაყვანილი აღმოსავლეთის არმიიდან ადგილობრივი მუშაობისთვის! * არავითარ შემთხვევაში არ შესუსტდეს შეტევა! სრული გამარჯვების ერთადერთი შანსია მონაწილეობის მიღება პრიურალიესი და ურალის უკლებლივ მთელი მოსახლეობისა, რომელმაც განიცადა კოლჩაკის «დემოკრატიის» საშინელებანი, შეტევის განგრძობა ციმბირზე რევოლუციის ს რ ულ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა მ დ ე ციმბირში.

---

* საერთოდ არ იყვეს წაყვანილი, თუ ამას უკიდურესი საჭიროება არ მოითხოვს; მათი გადმოყვანა შეიძლება ცენტრალური გუბერნიებიდან!

დაე დაგვიანდეს მშენებლობა პრიურალიეში და ურალში, დაე უფრო სუსტად მიმდინარეობდეს ეს მშენებლობა წმინდა ადგილობრივი, ახალგაზრდა, გამოუცდელი, სუსტი ძალების ამარად. ამით ჩვენ არ დავიღუპებით. ურალსა და ციმბირზე შეტევის შესუსტებით კი ჩვენ დავიღუპებით, უნდა გავაძლიეროთ ეს შეტევა ურალის აჯანყებული მუშების ძალებით, იმ პრიურალიეს გლეხების ძალებით, რომლებმაც საკუთარი გამოცდილებით იგემეს ახლა, თუ რას ნიშნავს მენშევიკ მაისკისა და ესერ ჩერნოვის «დამფუძნებლური» დაპირებები და რას ნიშნავს ამ დაპირებათა ნამდვილი შინაარსი, ესე იგი კოლჩაკი.

ურალსა და ციმბირზე შეტევის შესუსტება ნიშნავს მოღალატე გახდე რევოლუციისა, მოღალატე გახდე კოლჩაკის უღლისაგან მუშებისა და გლეხების განთავისუფლების საქმისა.

ფრონტისპირა, ახლახან განთავისუფლებულ ზოლში მუშაობის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ იქ ძირითად ამოცანას შეადგენს საბჭოთა ხელისუფლებას ნდობა მოვუპოვოთ არა მარტო მუშებში, არამედ გლეხებშიც, საქმით განვუმარტოთ მათ საბჭოთა ხელისუფლების, როგორც მუშათა და გლეხთა ხელისუფლების, არსი, ერთბაშად ავიღოთ სწორი გეზი, რომელიც შეთვისებული აქვს პარტიას ოცი თვის მუშაობის გათვალისწინების საფუძველზე. ურალში ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ ის შეცდომები, რომლებსაც ზოგჯერ ჩავდიოდით ველიკოროსიაში და რომელთაგან ჩვენ სწრაფად ვთავისუფლდებით.

ფრონტისპირა ზოლში პიტერთან და იმ უდიდეს ფრონტისპირა ზოლში, რომელიც ასე სწრაფად და ასე მრისხანედ გაფართოვდა უკრაინასა და სამხრეთში, ყველაფერი უნდა გადავიყვანოთ სამხედრო მდგომარეობაზე, მთლიანად დავუმორჩილოთ მთელი მუშაობა, მთელი ძალ-ღონე, მთელი აზრი ომს და მხოლოდ ომს. წინააღმდეგ შემთხვევაში დენიკინის შემოსევის მოგერიება შეუძლებელი იქნება. ეს

ცხადია. და ეს ნათლად უნდა შევიგნოთ და მთლიანად განვახორციელოთ.

სხვათა შორის. დენიკინის არმიის თავისებურებას წარმოადგენს ოფიცრობისა და კაზაკობის სიმრავლე. ეს ის ელემენტია, რომელსაც არა ჰყავს ზურგს უკან მასობრივი ძალა და მეტისმეტად ეხერხება სწრაფი თარეში, ავანტიურა, თავზე ხელაღებული მოქმედება, რათა გამოიწვიოს პანიკა, რათა სრულიად უმიზნოდ ცეცხლსა და მახვილს მისცეს ყველაფერი.

ასეთი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელია უმაღლეს საზღვრამდე მიყვანილი სამხედრო დისციპლინა და სამხედრო სიფხიზლე. დაყოვნება ან დაბნევა ყველაფრის დაკარგვას ნიშნავს. ეს უნდა გაითვალისწინოს ყოველმა პასუხისმგებელმა პარტიულმა თუ საბჭოთა მუშაკმა.

სამხედრო დისციპლინა როგორც სამხედრო, ისე ყოველგვარ საქმეში!

სამხედრო სიფხიზლე და სიმკაცრე, სიმტკიცე სიფრთხილის ყოველგვარი ზომების მიღებაში!

დამოკიდებულება სამხედრო სპეციალისტებისადმი («სამხედრო სპეცებისადმი»)

იმ დიდმა შეთქმულებამ, რომელმაც თავი იჩინა კრასნაია გორკაში და რომელიც მიზნად ისახავდა პეტროგრადის ჩაბარებას, კვლავ განსაკუთრებული დაჟინებით დააყენა სამხედრო სპეციალისტების და ზურგში კონტრრევოლუციასთან ბრძოლის საკითხი. ეჭვი არ არის, რომ სასურსათო და სამხედრო მდგომარეობის გამწვავება გარდუვალად იწვევს და კიდევაც გამოიწვევს უახლოეს მომავალში კონტრრევოლუციონერების ცდის გაძლიერებას (პიტერის შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდა «აღორძინების კავშირი», კადეტებიც, მენშევიკებიც და მემარჯვენე ესერებიც; ცალკეულად იღებდნენ მონაწილებას, მაგრამ მაინც იღებდნენ მონაწილეობას, მემარცხენე ესერებიც). ასევე უეჭველია, რომ უახლოეს დროში სამხედრო სპეციალისტები მოგვცემენ მოღალატეთა

გადიდებულ პროცენტს, მსგავსად კულაკების, ბურჟუაზიული ინტელიგენტების, მენშევიკებისა და ესერებისა.

მაგრამ გამოუსწორებელი შეცდომა და მიუტევებელი უხასიათობა იქნებოდა ამის გამო აღგვეძრა ჩვენი სამხედრო პოლიტიკის საფუძვლების შეცვლის საკითხი. ჩვენ გვღალატობენ და კვლავაც გვიღალატებენ ასეული და ასეული სამხედრო სპეციალისტები, ჩვენ მათ დავაპატიმრებთ და დავხვრეტთ, მაგრამ ჩვენთან სისტემატურად და დიდი ხნობით მუშაობენ ათასობით და ათი ათასობით სამხედრო სპეციალისტები, ურომლებისოდაც ვერ შეიქმნებოდა ის წითელი არმია, რომელიც წარმოიშვა ავად მოსაგონებელი პარტიზანობიდან და რომელმაც შესძლო ბრწყინვალე გამარჯვება მოეპოვებინა აღმოსავლეთში. გამოცდილი და ჩვენი სამხედრო უწყების სათავეში მდგომი ადამიანები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ იქ, სადაც ყველაზე მტკიცედაა გატარებული პარტიული პოლიტიკა სამხედრო სპეციალისტების მიმართ და პარტიზანობის აღმოსაფხვრელად, იქ, სადაც ყველაზე მაგარია დისციპლინა, სადაც ყველაზე მეტი მზრუნველობით ტარდება პოლიტმუშაობა ჯარში და კომისართა მუშაობა, — იქ, საერთოდ და მთლიანად, სამხედრო სპეციალისტებში ყველაზე ნაკლებია ღალატის ჩადენის მსურველები, იქ ყველაზე ნაკლები შესაძლებლობა აქვთ ასეთ მსურველებს განახორციელონ თავიანთი ზრახვები, იქ არ არის მოდუნებულობა არმიაში, იქ უკეთესია მისი წყობა და სულისკვეთება, იქ მეტია გამარჯვებები. პარტიზანობამ, მისმა კვალმა, მისმა ნაშთებმა, მისმა გადანაშთებმა როგორც ჩვენს არმიას, ისე უკრაინის არმიას განუზომლად მეტი უბედურება, დაშლა, დამარცხება, კატასტროფა, ადამიანთა და სამხედრო ქონების დანაკლისი მოუტანა, ვიდრე სამხედრო სპეციალისტების ყველა ღალატმა.

ჩვენმა პარტიულმა პროგრამამ როგორც ბურჟუაზიული სპეციალისტების საერთო საკითხში, ისე მათი ერთ-ერთი სახეობის, სამხედრო სპეციალისტების კერძო საკითხში სრული სიზუსტით განსაზღვრა კომუნისტური პარტიის პოლიტიკა.

ჩვენი პარტია იბრძვის და «დაუნდობლად იბრძოლებს იმ ვითომ რადიკალური, ნამდვილად კი უმეცრული ყოყოჩობის წინააღმდეგ, თითქოს მშრომელებს ძალუძთ დაამარცხონ კაპიტალიზმი და ბურჟუაზიული წყობილება ისე, რომ არ ისწავლონ ბურჟუაზიულ სპეციალისტებთან, არ გამოიყენონ ისინი, არ განვლონ მათთან ხანგრძლივი მუშაობის სკოლა».

რასაკვირველია, ამასთან ერთად პარტია «ოდნავ პოლიტიკურ დათმობაზე არ მიდის ამა თუ იმ ბურჟუაზიული ფენის მიმართ», პარტია ახშობს და მომავალშიც «დაუნდობლად ჩაახშობს მის ყოველგვარ კონტრრევოლუციურ ზრახვას». ბუნებრივია, რომ როცა ასეთი «ზრახვა» იჩენს თავს ან იხატება მეტ-ნაკლები შესაძლებლობით, მისი «დაუნდობელი ჩახშობა» მოითხოვს სხვა თვისებებს, ვიდრე არის მოსწავლის ნელი ტემპი, განწყობილების სიფრთხილე, რასაც მოითხოვს «ხანგრძლივი სკოლა» და რასაც ეს სკოლა უნერგავს ადამიანებს. წინააღმდეგურობას იმ ადამიანთა განწყობილებისა, რომლებიც სამხედრო სპეციალისტებთან «ერთად მუშაობის ხანგრძლივ სკოლას» გადიან, და იმ ადამიანთა განწყობილებისა, რომლებიც გატაცებული არიან უშუალო ამოცანით «დაუნდობლად ჩაახშონ კონტრრევოლუციური ზრახვები» სამხედრო სპეციალისტებისა, ადვილად შეუძლია გამოიწვიოს და კიდევაც იწვევს შეხლა-შემოხლას და კონფლიქტებს. იგივე ითქმის აუცილებელ პირად გადაყვან-გადმოყვანაზე, ზოგჯერ სამხედრო სპეციალისტების დიდი რიცხვის გადანაცვლებაზე, რომელსაც იწვევს კონტრრევოლუციური «ზრახვების» და მით უმეტეს დიდ შეთქმულებათა ესა თუ ის შემთხვევა.

ამ შეხლა-შემოხლასა და კონფლიქტებს ჩვენ ვწყვეტთ და კვლავაც გადავწყვეტთ პარტიული გზით, ამასვე მოვითხოვთ პარტიის ყველა ორგანიზაციისგან და თან დაჟინებით მოვითხოვთ, რომ ოდნავი ზიანი არ მიადგეს პრაქტიკულ მუშაობას, ოდნავადაც არ გაჭიანურდეს საჭირო ზომების მიღება, არავითარი მერყეობა არ იქნეს დაშვებული ჩვენი

სამხედრო პოლიტიკის დადგენილი საფუძვლების გატარებაში.

თუ ზოგიერთი პარტიული ორგანო არასწორ კილოს იღებს სამხედრო სპეციალისტებისადმი (როგორც ეს ამას წინათ იყო პეტროგრადში) ან თუ ცალკეულ შემთხვევებში სამხედრო სპეციალისტების «კრიტიკა» ისეთ მახინჯს სახეს იღებს, რომ პირდაპირ ხელს უშლის სისტემატურ და შეუპოვარ მუშაობას მათი გამოყენების საქმეში, პარტია მაშინვე ასწორებს და კვლავაც გამოასწორებს ამ შეცდომებს.

მათი გამოსწორების მთავარი და ძირითადი საშუალებაა პოლიტმუშაობის გაძლიერება არმიაში და იმათ შორის, ვისაც მობილიზაცია ეხება, კომისრების მუშაობის გაძლიერება არმიაში, მათი შემადგენლობის გაუმჯობესება, მათი დონის ამაღლება, მათ მიერ ს ა ქ მ ი თ განხორციელება იმისა, რასაც პარტიული პროგრამა მოითხოვს და რაც ძალიან ხშირად საკმაოდ არ სრულდება, სახელდობრ: «(არმიის) მეთაურთა შემადგენლობის მიმართ ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ ი კონტროლის მოქცევა მუშათა კლასის ხელში». სამხედრო სპეციალისტების კრიტიკა გარედან, საქმის გამოსწორების ცდა «იერიშით» — მეტად იოლი და ამიტომ უიმედო და მავნე საქმეა. ყველა, ვინც გრძნობს თავის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, ვისაც გული სტკივა ჩვენი არმიის ნაკლოვანებების გამო, დაე ჩადგეს რიგებსა და მწკრივებში, წითელარმიელებად თუ მეთაურებად, პოლიტმუშაკებად თუ კომისრებად, დაე იმუშაოს ყველამ — პარტიის ყოველი წევრი იპოვის სამუშაოს თავისი უნარის მიხედვით — სამხედრო ორგანიზაციის შიგნით მის გასაუმჯობესებლად.

საბჭოთა ხელისუფლებამ კარგა ხანია უდიდესი ყურადღება მიაქცია იმას, რომ მუშებს, ხოლო შემდეგ გლეხებს, განსაკუთრებით კი კომუნისტებს, შეეძლოთ სამხედრო საქმის სერიოზულად შესწავლა. ეს ხდება მთელ რიგ საწარმოებში, დაწესებულებებში, კურსებზე, მაგრამ ეს სულაც არ არის საკმარისი. პირად თაოსნობას, პირად ენერგიას აქ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. კომუნისტებმა განსაკუთრებით

გულმოდგინედ უნდა შეისწავლონ სატყვიამფრქვევო, საარტილერიო, საჯავშნოსნო საქმე და სხვ., რადგან ჩვენი ჩამორჩენილობა ამ საქმეში უფრო საგრძნობია, აქ მოწინააღმდეგის უპირატესობა, რომელსაც ოფიცრების დიდი რაოდენობა ჰყავს, უფრო მნიშვნელოვანია, აქ არასაიმედო სამხედრო სპეციალისტს დიდი ვნების მიყენება შეუძლია, აქ კომუნისტის როლი უაღრესად დიდია.

კონტრრევოლუციასთან ბრძოლა ზურგში

ისე როგორც შარშან ივლისში, კონტრრევოლუცია ჩვენს ზურგში, ჩვენს შორის, თავს მაღლა იწევს.

კონტრრევოლუცია დამარცხებულია, მაგრამ სრულებითაც არ არის მოსპობილი, და, გასაგებია, დენიკინის გამარჯვებებით და სასურსათო გაჭირვების გამწვავებით სარგებლობს. ხოლო პირდაპირ და აშკარა კონტრრევოლუციას, შავ რაზმსა და კადეტებს, რომლებიც ძლიერი არიან თავიანთი კაპიტალით, ანტანტის იმპერიალიზმთან პირდაპირი კავშირურთიერთობით, დიქტატურის გარდუვალობის შეგნებით და მისი განხორციელების (კოლჩაკურად) უნარით, — უკან მისჩანჩალებენ, როგორც ყოველთვის, მერყევი, უხასიათო მენშევიკები, მემარჯვენე და მემარცხენე ესერები, რომლებიც სიტყვებით ალამაზებენ თავიანთ საქმეს.

არავითარი ილუზია ამ მხრივ. ჩვენ ვიცნობთ იმ «მასაზრდოებელ წრეს», რომელიც წარმოშობს კონტრრევოლუციურ წამოწყებებს, ამბოხს, შეთქმულებებს და სხვა, ძალიან კარგად ვიცნობთ. ეს არის წრე ბურჟუაზიის, ბურჟუაზიული ინტელიგენციისა, სოფლად — კულაკების, ყველგან — «უპარტიო» ხალხისა, შემდეგ ესერებისა და მენშევიკებისა. საჭიროა გავასამკეცოთ და გავაათკეცოთ მეთვალყურეობა ამ წრის მიმართ. საჭიროა გავაათკეცოთ სიფხიზლე, რადგან ამ მხრიდან კონტრრევოლუციური ზრახვები აბსოლუტურად გარდუვალია სწორედ ამჟამად და უახლოეს მომავალში. ამ ნიადაგზე ბუნებრივია აგრეთვე მოველოდეთ ხიდების აფეთქების, გაფიცვების მოწყობის, ყოველგვარი ჯაშუშური ოინებისა და

სხვათა განმეორებითს ცდას. აუცილებლად საჭიროა მიღებულ იქნას სიფრთხილის ყოველგვარი ზომები, უაღრესად გაძლიერებული, სისტემატური, განმეორებითი, მასობრივი და მოულოდნელი, გამოუკლებლივ ყველა ცენტრში, სადაც კი «თავის შეფარების» თუნდაც რაიმე შესაძლებლობა აქვს კონტრრევოლუციონერთა «მასაზრდოებელ წრეს».

მენშევიკების, მემარჯვენე და მემარცხენე ესერების შესახებ საჭიროა გავითვალისწინოთ უკანასკნელი გამოცდილება. მათ «პერიფერიებში», მათ მომხრე ხალხში, უეჭველად, არის ძვრა კოლჩაკისა და დენიკინისგან საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოებისკენ. ჩვენ გავითვალისწინეთ ეს ძვრა, და ყოველთვის, როცა კი ის რაიმე რეალურ სახეს იღებდა, ჩვენი მხრივ გარკვეული ნაბიჯის გადადგმით ვეხმაურებოდით. ამ ჩვენს პოლიტიკას არავითარ შემთხვევაში არ შევცვლით, და «გადაფრენათა» რიცხვი მენშევიზმიდან და ესერობიდან, რომლებიც კოლჩაკისა და დენიკინისაკენ მიიწევენ, იმ მენშევიზმისა და ესერობის მხარეზე, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მიიწევენ, საერთოდ უეჭველად გაიზრდება.

მაგრამ ამჟამად უხასიათო და მერყევი, როგორც ყოველთვის, წვრილბურჟუაზიული დემოკრატია ესერებისა და მენშევიკების მეთაურობით, ამინდს უყურებს და გამარჯვებული დენიკინისაკენ იხრება. ეს ითქმის მეტადრე მემარცხენე ესერების, მენშევიკების (მსგავსად მარტოვისა და კომპ.), მემარჯვენე ესერების (მსგავსად ჩერნოვისა და კომპ.) «პოლიტიკური ბელადების» და საერთოდ მათი იმ «ლიტერატურული ჯგუფების» მიმართ, რომელთა წევრები, სხვა ყველაფერს გარდა, ძლიერ გულნატკენი არიან თავიანთი სრული პოლიტიკური კრახით და ამიტომ თითქმის განუკურნებლად არიან «გატაცებული» ავანტიურებით საბჭოთა ხელისუფლების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

არ უნდა მოვიტყუოთ თავი მათი წინამძღოლების სიტყვებითა და იდეოლოგიით, მათი პირადი პატიოსნებით და თვალთმაქცობით. ამას მნიშვნელობა აქვს თვითეული მათგანის ბიოგრაფიისათვის. ამას მნიშვნელობა არა აქვს პოლიტიკის,

ე. ი. კლასთა ურთიერთობის, მილიონობით ადამიანთა ურთიერთობის თვალსაზრისით. მარტოვი და კომპ. «ც. კ-ის სახელით» საჯაროდ ჰგმობენ თავიანთ «აქტივისტებს» და პარტიიდან გარიცხვით ემუქრებიან მათ (მუდამ ემუქრებიან!). ამით სრულიადაც არ ქარწყლდება ის ფაქტი, რომ «აქტივისტები» ყველაზე ძლიერი არიან მენშევიკებში, მათს ზურგს უკან ეფარებიან და თავიანთ კოლჩაკურ-დენიკინურ მუშაობას ეწევიან. ვოლსკი და კომპ. ჰგმობენ ავქსენტიევს, ჩერნოვსა და კომპანიას, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ უშლის ხელს ამ უკანასკნელთ ვოლსკიზე უფრო ძლიერი იყვნენ, არ უშლის ხელს ჩერნოვს თქვას: «თუ არა ჩვენ და თუ არა ახლა, მაშ ვინღა და როდის დაამხობს ბოლშევიკებს». მემარცხენე ესერებს შეუძლიათ «იმუშაონ» «დამოუკიდებლად», რეაქციასთან, ჩერნოვებთან, წინასწარ სრულიად შეუთანხმებლად, მაგრამ საქმით ისინი დენიკინის ისეთივე მოკავშირეები და პაიკები არიან მ ი ს ხელში, როგორც განსვენებული მემარცხენე ესერი მურავიოვი, ყოფილი მთავარსარდალი, რომელიც «იდეური» მოტივებით უხსნიდა ფრონტს ჩეხოსლოვაკებსა და კოლჩაკს.

მარტოვს, ვოლსკისა და კომპანიას თავი მოაქვთ ორივე მებრძოლ მხარეზე «მაღლა მდგომად», თავი მოაქვთ იმით, რომ «მესამე მხარის» შექმნის უნარი შეგვწევსო.

ეს სურვილი გულწრფელიც რომ იყოს, მაინც ილუზიად რჩება წვრილბურჟუაზიული დემოკრატისა, რომელსაც ახლაც კი, როცა 1848 წლიდან 70 წელი გავიდა, ვერ უსწავლია ის ანაბანა, რომ კაპიტალისტურ ვითარებაში შესაძლებელია ან ბურჟუაზიის დიქტატურა, ან პროლეტარიატის დიქტატურა და მესამე რამის არსებობა შეუძლებელია. მარტოვები და კომპანია, ჩანს, ამ ილუზიით მოკვდებიან. ეს მათი საქმეა. ჩვენი საქმე კია გვახსოვდეს, რომ სინამდვილეში გარდუვალია ასეთი ხალხის ქანაობა დღეს დენიკინისაკენ, ხვალ ბოლშევიკებისაკენ. დღეს კი ს ა დ ღ ე ი ს ო საქმე უნდა ვაკეთოთ.

ჩვენი საქმეა პირდაპირ დავაყენოთ საკითხი. რა სჯობია? დავიჭიროთ და საპყრობილეში ჩავსვათ, ზოგჯერ კიდევაც

დავხვრიტოთ ასობით კადეტი, უპარტიო, მენშევიკი, ესერი მოღალატენი, რომლებიც «გამოდიან» (ზოგი იარაღით ხელში, ზოგი შეთქმულებით, ზოგი მობილიზაციის საწინააღმდეგო აგიტაციით, როგორც, მაგალითად, მენშევიკი მბეჭდავები ან მენშევიკი რკინიგზელები და სხვ.) საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ესე იგი დენიკინის სასარგებლოდ? თუ საქმე იქამდე მივიყვანოთ, რომ საშუალება მივცეთ კოლჩაკსა და დენიკინს ამოწყვიტონ, დახვრიტონ, გაწკეპლვით სული ამოხადონ ათი ათასობით მუშასა და გლეხს? არჩევანი ძნელი არ არის.

საკითხი ასე და მხოლოდ ასე დგას.

ვინც ეს დღემდე ვერ შეიგნო, ვინც წუწუნებს საკითხის ასეთი გადაწყვეტის «უსამართლობის» გამო, მასზე ხელი უნდა ჩავიქნიოთ, ის საჯაროდ უნდა დავამციროთ და სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ.

მოსახლეობის საყოველთაო მობილიზაცია ომისთვის

საბჭოთა რესპუბლიკა წარმოადგენს მსოფლიო კაპიტალის მიერ ალყაშემორტყმულ სიმაგრეს. ამ სიმაგრით, როგორც კოლჩაკის საწინააღმდეგო თავშესაფრით, სარგებლობის უფლება, და საერთოდ მასში ცხოვრების უფლება ჩვენ შეგვიძლია მივანიჭოთ მხოლოდ იმას, ვინც აქტიურ მონაწილეობას იღებს ომში და ყოველნაირ დახმარებას გვიწევს. აქედან გამომდინარეობს ჩვენი უფლება და მოვალეობა — მოვახდინოთ მოსახლეობის საყოველთაო მობილიზაცია ომისთვის, ზოგის სამხედრო მუშაობისთვის პირდაპირი აზრით, ზოგის ომის დამხმარე ყოველგვარი მუშაობისთვის.

ამის სრული განხორციელება მოითხოვს იდეალურ ორგანიზაციას. ხოლო რადგან ჩვენი სახელმწიფო ორგანიზაცია ფრიად შორსაა სრულყოფისაგან (რაც სრულიად არ არის გასაკვირველი, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ახალგაზრდობას, სიახლეს და მისი განვითარების განსაკუთრებულ სიძნელეებს), ამიტომ ფართო მასშტაბით, ერთბაშად ხელის მოკიდება ამ სფეროში რაიმე სრულის ან თუნდაც რაიმე ძალიან

ფართოს განხორციელებისთვის მეტად მავნე ორგანიზაციული პროექტორობა იქნებოდა.

მაგრამ ამ მხრივ იდეალთან მისაახლოებლად ბევრი ნაწილობრივის გაკეთება შეიძლება, და ამ მიმართულებით ჩვენი პარტიული მოღვაწეების, ჩვენი საბჭოთა მუშაკების «თაოსნობა» სრულიადაც არ არის საკმარისი.

აქ საკმაოა დავაყენოთ ეს საკითხი და ამხანაგების ყურადღება მივაქციოთ მასზე. რაიმე კონკრეტული მითითებების მიცემა ან რაიმე ვარაუდები საჭირო არ არის.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან ყველაზე უფრო ახლო მდგომ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს, რომლებიც, როგორც ეს მიღებულია, სოციალისტებს უწოდებენ თავიანთ თავს, მაგალითად, ზოგიერთ «მემარცხენე» მენშევიკს და სხვებს, განსაკუთრებით უყვართ აღშფოთების გამოთქმა მძევლების აყვანის, მათი აზრით, ბარბაროსული წესის გამო.

დაე აღშფოთდნენ, მაგრამ უამისოდ ომის წარმოება შეუძლებელია, და საფრთხის გამწვავების დროს ამ საშუალების გამოყენება აუცილებელია ყოველმხრივ გავაფართოოთ და გავახშიროთ. ხშირად, მაგალითად, მენშევიკი მბეჭდავები ანუ ყვითელი მბეჭდავები, «სამმართველოს მოხელე» რკინიგზელები და ფარული სპეკულანტი რკინიგზელები, კულაკები, ქალაქის (და სოფლის) მოსახლეობის შეძლებული ნაწილი და სხვა ამგვარი ელემენტები კოლჩაკისა და დენიკინისაგან თავდაცვის საქმეს ეკიდებიან უსაზღვროდ დანაშაულებრივი და უსაზღვროდ თავხედური გულგრილობით, რაც საბოტაჟში გადადის. საჭიროა შევადგინოთ ასეთი ჯგუფების სიები (ან ვაიძულოთ ისინი თვითონვე შეადგინონ ჯგუფები ურთიერთთავდებობით) და არა მარტო დავაყენოთ ისინი სანგრების სათხრელად, როგორც ეს ზოგჯერ ხდება, არამედ უნდა დავაკისროთ მათ სხვადასხვაგვარი და ყოველმხრივი მატერიალური დახმარების გაწევაც წითელი არმიისთვის.

წითელარმიელთა ყანები უკეთ იქნება დამუშავებული, წითელარმიელთა მომარაგება საქმლით, წეკოთი და სხვა საჭირო

საგნებით უკეთ იქნება დაყენებული, ათასობით მუშისა და გლეხის დაღუპვის საფრთხე ცალკეული შეთქმულების გამო და სხვ. ძნიშვნელოვნად შემცირდება, თუ ჩვენ უფრო ფართოდ, უფრო მრავალ მხრივ და უფრო მარჯვედ გამოვიყენებთ ამ ხერხს.

«რევოლუციურად მუშაობა»

თუ ზემოთ ნათქვამს შევაჯამებთ, მივიღებთ მარტივ შედეგს: ყველა კომუნისტს, ყველა შეგნებულ მუშასა და გლეხს, ყველას, ვისაც არ სურს კოლჩაკისა და დენიკინის გამარჯვება, მოეთხოვება დაუყოვნებლივ და უახლოესი თვეების განმავლობაში გამოიჩინოს ენერგიის არაჩვეულებრივი აღმავლობა, მოეთხოვება «რევოლუციურად მუშაობა».

თუ მოსკოვის მშიერმა, დაღლილმა და გაწამებულმა რკინიგზელებმა, როგორც სპეციალისტმა მუშებმა, ისე შავმა მუშებმა, შესძლეს კოლჩაკზე გამარჯვების გულისთვის და მის სრულ დამარცხებამდე შემოეღოთ «კომუნისტური შაბათობები», შესძლეს უფასოდ ემუშავნათ რამდენიმე საათით კვირაში და ამასთანავე განევითარებინათ შრომის არნახული, ჩვეულებრივზე ბევრად უფრო მაღალი ნაყოფიერება, ეს იმას ამტკიცებს, რომ ბევრი, ბევრი რამის გაკეთება კიდევ შეიძლება.

და ეს ბევრი რამ ჩვენ უნდა გავაკეთოთ.

მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ.

* რკპ (ბოლშევიკების) ც. კ.

დაწერილია არა უგვიანეს 1919 წ. 3 ივლისისა
დაიბეჭდა 1919 წ. 9 ივლისს
რკპ(ბ) ც. კ-ის «იზვესტიაში»

იბეჭდება რკპ(ბ) ც. კ-ის «იზვესტიის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ვ. ი. ლენინის მიერ შესწორებულ საწერ მანქანაზე დაბეჭდილ ასლთან

თანამედროვე მდგომარეობისა და საბჭოთა ხელისუფლების უახლოესი ამოცანების შესახებ

მოხსენება სრულიად რუსეთის ცაკ-ის, მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს, პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის საბჭოს და მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა წარმომადგენლების შეერთებულ სხდომაზე

1919 წ. 4 ივლისს [64]

ამხანაგებო, როცა ჩვენს წინაშე ისმება ამოცანა შევაფასოთ ახლა ჩვენი საერთო მდგომარეობა, უნებურად იბადება აზრი უწინარეს ყოვლისა შევადაროთ 1919 წლის ივლისი 1918 წლის ივლისს. მე მგონია, ასეთი შედარება, რომელიც ბუნებრივად ისახება, ყველაზე ადვილად მოგვცემს სწორ წარმოდგენას როგორც იმ ახალ, ხოლო რამდენადმე ახლა აქ განმტკიცებულ ისევ და ისევ ძველ სიძნელეებზე, რომლებმაც მძიმე მდგომარეობა შექმნეს და ეს მდგომარეობა ჩვენგან მოითხოვს ახალ დაძაბულობას, ისე, მეორე მხრივ, ეს შედარება გვიჩვენებს, თუ რა უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა მსოფლიო რევოლუციამ ამ წლის განმავლობაში, და რატომ გვაძლევს ეს რევოლუცია საქმისადმი უაღრესად საღი, უაღრესად ფრთხილი დამოკიდებულების დროსაც კი, რატომ გვაძლევს იგი ისევ და ისევ სრულ რწმენას, რომ ჩვენ მივდივართ სრული და საბოლოო გამარჯვებისკენ.

ამხანაგებო, მოიგონეთ, თუ რა მდგომარეობა იყო ერთი წლის წინათ. სწორედ 1918 წლის ივლისში, თითქოს, უაღრესად ძრისხანე ღრუბელი და, თითქოს, სრულიად აუშორებელი უბედურებანი მოევლინა საბჭოთა რესპუბლიკას. მაშინ, ისე როგორც ახლა, სასურსათო მდგომარეობა გაუარესდა სწორედ ახალი მოსავლის წინ, სწორედ ძველი სასურსათო

წლის მიწურულს, როცა მარაგი ილევა. შარშან მდგომარეობა შეუდარებლად უფრო მძიმე იყო. ისე როგორც ახლაც, შარშანდელ ზაფხულის სასურსათო სიძნელეებს დაემატა კიდევ უფრო მეტი პოლიტიკური და სამხედრო სიძნელეები შიგნითაც და გარეთაც. როდესაც შარშან ზაფხულში საბჭოების ყრილობა შეიკრიბა, ის დაემთხვა მემარცხენე ესერების აჯანყებას მოსკოვში, ის დაემთხვა არმიის მაშინდელი სარდლის მემარცხენე ესერის მურავიოვის ღალატს, რომელმაც თითქმის გახსნა ჩვენი ფრონტი. 1918 წლის ზაფხული დაემთხვა იაროსლავლის უდიდეს შეთქმულებას, რომელიც, როგორც ახლა დამტკიცებული და აღიარებულია მონაწილეების მიერ, გამოიწვია საფრანგეთის ელჩმა ნულანსმა; მან შეაგულიანა სავინკოვი მოეწყო ეს შეთქმულება და გარანტია მისცა, რომ არხანგელსკში გადმოსხმული საფრანგეთის ჯარები დაეხმარებოდნენ იაროსლავლს, რომ თუ ვინიცობაა იაროსლავლი დიდად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა, იგი შეუერთდებოდა არხანგელსკს, მოკავშირეებს და, მაშასადამე, მოსკოვი უახლოეს ხანში დაეცემაო. ამ დროს აღმოსავლეთით მტერმა შესძლო სამარის, ყაზანის, სიმბირსკის, სიზრანის, სარატოვის ხელში ჩაგდება. სამხრეთით კაზაკთა ჯარები, რომელსაც ზურგს უმაგრებდა გერმანიის იმპერიალიზმი, — ეს სრული სიზუსტითაა დადგენილი, — ზურგს უმაგრებდა გერმანიის იმპერიალიზმი, ფულსა და საჭურველს ღებულობდნენ. მტრები თავს დაგვესხნენ, ისინი ორი მხრივ გარსშემოგვერტყნენ, აბუჩად გვიგდებდნენ. გერმანიის იმპერიალისტური წრეები გვეუბნებოდნენ: «თუ თქვენ არ შეგიძლიათ ჩეხოსლოვაკებს მოურიგდეთ, ჩვენ მოგვირიგდითო». აი რა თავხედურ კილოზე ბედავდნენ ლაპარაკს გერმანელი იმპერიალისტები.

აი როგორი იყო საბჭოთა რესპუბლიკის მაშინდელი, თითქოს, სრულიად გამოუკალი გარემოცვა, სასურსათო მდგომარეობის გაუგონარი სიძნელეების პირობებში, როცა ჩვენი არმია ძლიერ ძლივობით ეწყობოდა. მას არ გააჩნდა ორგანიზაცია, მას არ გააჩნდა გამოცდილება, ჩვენ იძულებული

ვიყავით ნაჩქარევად, სასწრაფოდ გაგვესტუმრებინა რაზმები ერთმანეთის მიყოლებით, — მთლიან სისტემატურ მუშაობაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. და თუ ჩვენ გადავიტანეთ ეს წელიწადი, თუ ამ გამოცდილებას დავეყრდნობით, მტკიცედ შევინარჩუნებთ მას მეხსიერებაში და ისე შევხედავთ ახლანდელ მდგომარეობას, სრული უფლებით შეგვიძლია ვთქვათ: დიახ, მდგომარეობა ძნელია, მაგრამ იმის შედარება, რაც შარშან განვიცადეთ, ახლანდელ მდგომარეობასთან, — ეს უეჭველია ყოველი ადამიანისთვის, რომელსაც სურს ყურადღებით შეისწავლოს და დაუკვირდეს, და არ აჰყვეს თავის გუნებას, — ეს შედარება გვიჩვენებს თვით ძალთა შინაგანი უბრალო თანაფარდობის მხრივაც, თვით იმ ფაქტების დაპირისპირების მხრივაც, რომლებიც დროებითს სიძნელეებს შეეხებიან, რომ ახლანდელი ჩვენი მდგომარეობა გაცილებით უფრო მაგარია და ამიტომაც ათასჯერ დანაშაული იქნებოდა, რომ პანიკას ავყოლოდით. თუ ერთი წლის წინათ მდგომარეობა შეუდარებლად უფრო მძიმე იყო და სიძნელეები მაინც დავძლიეთ, აბსოლუტური რწმენით შეგვიძლია ვთქვათ, ძალების სრულიად გაუზვიადებლად და სიძნელეების შეუმცირებლად, რომ ჩვენ ამ სიძნელეებს ახლაც დავძლევთ. მე უნდა აღვნიშნო მთავარი შედარებითი მონაცემები, იმიტომ რომ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით შემდგომი ორატორები შეჩერდებიან.

შარშან, როცა ზაფხულისთვის სასურსათო მდგომარეობა გამწვავდა, ჩვენში საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ივლისსა და აგვისტოში იმ ორგანიზაციას, რომელიც ჩვენს სასურსათო საქმეს განაგებდა, სასურსათო კომისარიატს, საწყობებში სრულიად არაფერი არა ჰქონდა, რომ მიეცა ქალაქებისა და არასამიწათმოქმედო ადგილების ყველაზე უფრო დაღლილი, ყველაზე უფრო გაწამებული, ყველაზე უფრო დამშეული მოსახლეობისთვის. წელს ჩვენმა აპარატმა უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ. ერთი წლის განმავლობაში, 1917 წლის 1 აგვისტოდან 1918 წლის 1 აგვისტომდე, ჩვენ შევძელით მხოლოდ 30 მილიონი ფუთის დამზადება, ხოლო 1918 წლის 1 აგვის-

ტოდან 1919 წლის 1 მაისამდე დამზადებული იყო უკვე 100 მილიონი ფუთი. ეს ძალიან ცოტაა იმასთან შედარებით, რაც ჩვენ გვესაჭიროება, მაგრამ ეს ამტკიცებს, რომ სურსათის დამზადების საქმეში საჭიროა გადავლახოთ მილიონობით ორგანიზაციული სიძნელე, რასაც ჩვენ გვიპირისპირებს ნაჭარბი პურის მქონე ყოველი გლეხი, რომელიც მიჩვეულია პურის ძველ ვაჭრობას თავისუფალ ბაზარზე და რომელიც თავის წმინდა უფლებად თვლის თავისუფალ ფასში პურის გაყიდვას, — გლეხი, რომელსაც ჯერ კიდევ იმის გაგების უნარი არ შესწევს, რომ ისეთ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა ებრძვის რუსეთის და მსოფლიო კაპიტალს, ასეთ დროს პურის ვაჭრობა უდიდესი სახელმწიფო დანაშაულია. ეს არის ღარიბის და მშიერის აბუჩად აგდება, ეს არის საუკეთესო სამსახური, რომელსაც უწევენ კაპიტალისტსა და სპეკულანტს. ჩვენ ვიცით, რომ ყოველმა გლეხმა, რომელსაც შრომით, ოფლით, სისხლითა და წელებზე ფეხის დადგმით მოუპოვებია საცხოვრებელი სარჩო, იცის რა არის კაპიტალიზმი. ის თანაუგრძნობს პროლეტარს, თუმცა ბუნდოვანად, ინსტინქტურად, რადგან მას სწამს, რომ პროლეტარიატი მთელ თავის სიცოცხლეს სწირავს და მთელ თავის სისხლს ღვრის იმისთვის, რომ დაამხოს კაპიტალი. მაგრამ აქედან სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების დაცვის უნარამდე, ამ ინტერესების იმ ჩარჩის ინტერესებზე მაღლა დაყენების უნარამდე, რომელსაც სურს გამდიდრდეს ახლა, როცა მას შეუძლია პური მიჰყიდოს მშიერს გაუგონარ და უნახავ ფასში — აქამდე გრძელი და შორი მანძილია. ჩვენ ახლა ვიწყებთ ამ მანძილის გაზომვას. ჩვენ ამ გზის ნაწილი უკვე განვლეთ და ამიტომ ძტკიცედ ვიცით, რომ, თუმცა ეს გზა მეტად მძიმე და ძნელია, ჩვენ ამ სიძნელეების დაძლევა ძალგვიძს. მას შემდეგ შარშანდელთან შედარებით უდიდესი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ ჩვენ სრულებითაც არ გადაგვიწყვეტია ყველა სიძნელე. ჩვენ დაუყოვნებლივ გაუმჯობესებას ვერავის შევპირდებით, მაგრამ ვიცით, რომ მდგომარეობა მაინც გაცილებით მეტ იმედებს იძლევა, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი რესურსები ამჟამად ისე

მოწყვეტილი არ არის, როგორც შარშან იყო მოწყვეტილი სამხრეთ-აღმოსავლეთით კაზაკთა ბანდების, სამხრეთ-დასავლეთით გერმანიის იმპერიალიზმის, პურიანი აღმოსავლეთით — ჩეხოსლოვაკების მიერ. საქმე გაცილებით უკეთესადაა, და ამიტომაც იმ უახლოეს კვირეებს, რომელთაც, უეჭველია, თან მოაქვთ ახალი მსხვერპლი და გაჭირვება, ჩვენ გადავიტანთ და დავძლევთ, რადგან ვიცით, რომ ეს შარშან ერთხელ უკვე გავაკეთეთ, რადგან ვიცით, რომ ახლა ჩვენი მდგომარეობა უკეთესია, რადგან ვიცით, რომ ეს ყოველი სოციალისტური გადატრიალების მთავარზე უმთავრესი სიძნელეა, ეს პურის სიძნელეა, ის ჩვენ პრაქტიკულად გამოვცადეთ. და ჩვენ, მართლაც, არა ვარაუდებისა და იმედების, არამედ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, ვამბობთ და ვამტკიცებთ, რომ ჩვენ ვისწავლეთ მისი დაძლევა და ვისწავლით მის ბოლომდე დაძლევას.

თუ აიღებთ სამხედრო მდგომარეობას ახლა, როდესაც მოკავშირეები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს უკრაინა გერმანელების შემდეგ და რომლებსაც დაკავებული ჰქონდათ ოდესა, სევასტოპოლი, და ახლა ჩაეფუშათ საქმე, — ჩვენ ვხედავთ, რომ ის საფრთხე, რომელიც წვრილი ბურჟუაზიის მასას და დამფრთხალ ობივატელს დაუძლეველი ეჩვენებოდა, ფუჭი აღმოჩნდა, — ჩვენ ვხედავთ, რომ ამ საფრთხეს, ამ გოლიათს თიხის ფეხები ჰქონია. მათ, რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი იღონეს, რომ იარაღითა და საჭურვლით დახმარებოდნენ თეთრგვარდიელებს, მემამულეებსა და კაპიტალისტებს. ინგლისური გაზეთები, — აგრეთვე ინგლისის მინისტრებიც, — აშკარად იკვეხნიდნენ, — დენიკინს დახმარება აღმოვუჩინეთ და მხარი გავუმაგრეთო. ჩვენამდე მოაღწია ცნობებმა, რომ მათ საჭურველი გაგზავნეს 250 ათასი კაცისთვის და მთელი შეიარაღება მისცეს. ჩვენ გვქონდა ცნობები, რომლებიც დადასტურდა, რომ მათ ათეული ტანკები გაუგზავნეს დენიკინს. ამან ხელი შეუწყო იმ მდგომარეობას, რომ იმ დროს, როცა ჩვენ აღმოსავლეთით გვავიწროებდნენ, უაღრესად მძიმე დარტყმები განვიცადეთ დენიკი-

ნის მხრივ. ჩვენ ვიცით, თუ რა მძიმე დროს განვიცდიდით შარშან ივლისში. ჩვენ სრულიადაც არ ვამცირებთ საფრთხეს და ოდნავადაც არ ვხუჭავთ თვალს იმაზე, რომ ჩვენ აშკარად უნდა მივიდეთ ფრიად ფართო მასებთან და ვუამბოთ მათ საქმის ვითარება, განვუმარტოთ მთელი სიმართლე, ავუხილოთ თვალი, იმიტომ რომ, რაც უფრო მეტად იციან მუშებმა და განსაკუთრებით გლეხებმა, — ძალიან ძნელია გლეხებისთვის სიმართლის ჩაგონება, — რაც უფრო მეტად იციან მათ ეს სიმართლე, მით უფრო გადაჭრით, მტკიცედ და შეგნებულად გადმოდიან ისინი ჩვენს მხარეზე. (ტ ა შ ი.)

ამხანაგებო, გუშინ ცენტრალურ კომიტეტში გადავწყვიტეთ, რომ სამხედრო მდგომარეობაზე აქ მოხსენებას გააკეთებდა ამხ. ტროცკი. სამწუხაროდ, დღეს ექიმებმა გადაჭრით აუკრძალეს მას მოხსენების გაკეთება. ამიტომ რამდენიმე სიტყვით მე გაგაცნობთ მდგომარეობას, თუმცა მე სრულიად არა მაქვს მომზსენებლის როლის პრეტენზია ამ საქმეში, მაგრამ მე შემიძლია სულ მოკლედ მოგითხროთ, ამხანაგებო, ის, რაც გუშინ მოვისმინეთ ამხ. ტროცკისგან, რომელმაც სამხრეთის ფრონტი შემოიარა.

მდგომარეობა იქ მართლაც ძნელია, მეტისმეტად მძიმე დარტყმები განვიცადეთ და დანაკლისიც ფრიად დიდი გვაქვს. ყველა ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი ორგვარია. სწორედ ორი მიზეზია: პირველი — ის, რომ ჩვენ მოგვიხდა ჯარების საგრძნობი ნაწილის მოხსნა და მათი გადაყვანა აღმოსავლეთის დასახმარებლად სწორედ იმ დროს, როცა კოლჩაკი გვირტყამდა. და სწორედ ამ დროს დენიკინი საყოველთაო მობილიზაციაზე გადავიდა. თუმცა მართალია, რომ სამხრეთის ფრონტის რევოლუციური საბჭოს ერთ-ერთი წევრი, რომელიც დიდი ხანია იქ მუშაობს, გვატყობინებს, რომ სწორედ ეს საყოველთაო მობილიზაცია დაღუპავს დენიკინს, როგორც დაღუპა მან კოლჩაკიო. ვიდრე მისი არმია კლასობრივი იყო, ვიდრე ის სოციალიზმის მოძულე მოხალისეებისაგან შესდგებოდა, ამ არმიას სიმაგრე და სიმტკიცე ჰქონდა. მაგრამ როდესაც მან საყოველთაო გაწვევა დაიწყო, მას, რა

თქმა უნდა, შეეძლო არმიის სწრაფად შეგროვება, მაგრამ ეს არმია, რაც უფრო დიდია იგი, მით უფრო ნაკლებად კლასობრივი იქნება და მით უფრო სუსტი. დენიკინის არმიაში გაწვეული გლეხები ამ არმიაში იმასვე მოახდენენ, რაც ციმბირის გლეხებმა მოახდინეს კოლჩაკის არმიაში, — მის სრულ დაშლას გამოიწვევენ.

წარუმატებლობათა მეორე მიზეზი, გარდა დენიკინის არმიის უდიდესი გაძლიერებისა, — ეს არის პარტიზანობის განვითარება სამხრეთის ფრონტზე. ამხ. ტროცკიმ გუშინ ესეც დაწვრილებით აგვიწერა. თქვენ ყველამ იცით, თუ რა განიცადეს ჩვენმა არმიებმა გრიგორიევის ავანტიურის გამო, რაც მახნოვშჩინის შედეგია, და რა განიცადეს უკრაინელმა გლეხებმა და უკრაინის მთელმა პროლეტარიატმა გეტმანობის დროს. უკრაინაში პროლეტარული შეგნების უკიდურესი ნაკლებობის, სისუსტისა და დაურაზმელობის, პეტლიურას დროის დეზორგანიზაციისა და გერმანიის იმპერიალიზმის შემოტევის პირობებში, — ამ ნიადაგზე იქ სტიქიურად იზრდებოდა მტრობა და პარტიზანობა. თვითეულ რაზმში გლეხები ხელს ჰკიდებდნენ იარაღს, ირჩევდნენ ატამანს ანუ თავის «ბატკოს», რომ შემოეღოთ, შეექმნათ ადგილობრივი ხელისუფლება. ცენტრალურ ხელისუფლებას ისინი სრულიად არ უწევდნენ ანგარიშს, და თვითეული ბატკო ფიქრობდა, რომ ის არის ადგილობრივი ატამანი, მას წარმოდგენილი ჰქონდა, რომ თვითონ შეუძლია უკრაინის ყველა საკითხის გადაჭრა და ანგარიში არ გაუწიოს იმას, რასაც კი ცენტრში აკეთებენ. ახლა ჩვენთვის სავსებით ნათელია, რომ, თანამედროვე მდგომარეობის დროს მარტო ენთუზიაზმით, მარტო გატაცებით გლეხობას ვერ მიიმხრობ, — ასეთი საშუალება არ არის მტკიცე. ჩვენ ათასჯერ გაგვიფრთხილებია უკრაინელი ამხანაგები, რომ, როცა საქმე ეხება მილიონობით ხალხის მასების მოძრაობას, აქ არ კმარა სიტყვები, აქ საჭიროა მათი საკუთარი გამოცდილება ცხოვრებაში, რომ ადამიანებმა თვითონ შეამოწმონ მითითებები, რომ მათ დაუჯერონ თავიანთ საკუთარ გამოცდილებას. უკრაინელ გლეხებს ეს გამოცდი-

ლება მეტისმეტად ძვირად დაუჯდათ. გერმანელთა ოკუპაციის დროს მათ განიცადეს გაუგონარი გაჭირვება, გაიღეს გაუგონარი მსხვერპლი, ბევრად იმაზე უფრო მეტი, რაც ჩვენ განვიცადეთ, მაგრამ მათ ჯერ მაინც არ იციან, როგორ უნდა მოიპოვონ თავიანთი ორგანიზებულობა, თავიანთი დამოუკიდებლობა, და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. პირველ ხანებში, როდესაც, გერმანიის იმპერიალიზმისაგან განთავისუფლების შემდეგ, დენიკინის ბანდებმა გაძლიერება იწყეს, ჩვენი ჯარები ყოველთვის როდი უწევდნენ მათ შესაფერ წინააღმდეგობას, და როდესაც მდინარეების გაზაფხულის სწრაფი წყალდიდობის შემდეგ ჩვენი ჯარები შეჩერებულ იქნენ, რადგან წინსვლა აღარ შეიძლებოდა, აქედან კი დამხმარე ძალები არ მოდიოდა, — დადგა ის კატასტროფული წუთი, რომელმაც პირველი ლახვარი ჩასცა მთელ უკრაინელ გლეხობას და უკრაინისა და დონის მომიჯნავე ზოლის გლეხობას, მაგრამ რომელიც, საბედნიეროდ, განკურნავს მათ პარტიზანობისა და ქაოსის იმ ნაკლოვანებათაგან. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ უკრაინელი გლეხობის ძალა დაამხობს დენიკინის ძალებს, ჩვენ ვიცით, რომ ის დარტყმები, რომლებიც მათ განიცადეს, მეტისმეტად მძიმეა, მაგრამ ეს დარტყმები გააღვიძებს მათში ახალ შეგნებას და ახალ ძალებს. და ამხ. ტროცკიც, რომელიც თვითონ ხედავდა იქ გაუგონარ დანაკლისს, გადაჭრით აცხადებს, რომ ამ გამოცდილებამ არ შეიძლება უკვალოდ ჩაიაროს უკრაინელებისთვის, რომ ეს აუცილებლად გამოიწვევს უკრაინელი გლეხების მთელი ფსიქოლოგიის გარდაქმნას, და ჩვენ ხომ ეს უკვე განვიცადეთ. ჩვენ ვიცით, რომ შარშან ჩვენი მდგომარეობა უკეთესი არ ყოფილა. ჩვენ ვიცით, რომ მთელი რიგი ქვეყნები ზიზღით გვიყურებდნენ ჩვენ, რუსეთის ახალგაზრდა რესპუბლიკას, ახლა კი ბევრ ქვეყანაში იგივე იწყება, იმავე მოვლენებს ვხედავთ.

უკრაინა უფრო მძიმედ იკურნება, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ის იკურნება. რღვევის, პარტიზანობის გაკვეთილები უკრაინამ

შეიგნო. ეს იქნება მთელი უკრაინის რევოლუციის გარდატეხის ეპოქა, ეს გავლენას მოახდენს უკრაინის მთელ განვითარებაზე. ეს არის გარდატეხა, რომელიც ჩვენც განვიცადეთ, გარდატეხა პარტიზანობისა და ფრაზების რევოლუციური წამოსროლისაგან: ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთო! — ხანგრძლივი, მტკიცე, შეუპოვარი, მძიმე ორგანიზაციული მუშაობის აუცილებლობის შეგნებისაკენ! ეს ის გზაა, რომელსაც ჩვენ ოქტომბრის დროიდან მრავალი თვის გასვლის შემდეგ დავადექით და რომელშიც მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ. მომავალს ჩვენ ვუყურებთ იმის დიდი რწმენით, რომ ყველა სიძნელეს დავძლევთ.

ერთ-ერთი გარემოება, რომელსაც ხაზგასმით აღნიშნავდა ამხ. ტროცკი და რომელიც თვალსაჩინოდ მოწმობდა ამ გარდატეხას, ეს ისაა, რასაც ის ხედავდა დეზერტირების მიმართ. მან ბევრი გუბერნია გაიარა, სადაც ჩვენ ამხანაგებს ვგზავნიდით დეზერტირობასთან საბრძოლველად და წარმატებას ვერ ვაღწევდით. ის თვითონ გამოდიოდა მიტინგებზე და ხედავდა, რომ ათი ათასობით ჩვენი დეზერტირები ისეთ ადამიანებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ან პანიკას ეძლეოდნენ, ან ძალიან ადვილად მისჩანჩალებდნენ კუდში ბურჟუაზიას. ჩვენ კი მზადა ვართ გამოვიყვანოთ სასოწარკვეთილების მსგავსი დასკვნები. ტროცკი, რომელმაც გაიარა კურსკი და რიაზანი, რამდენიმე ქალაქში დარწმუნდა ამაში და ლაპარაკობდა იმ გარდატეხაზე, რომელიც მოხდა ამ მხრივ და რომლის აწერა შეუძლებელია. ზოგიერთი კომისარი ამბობდა, რომ ჩვენ ახლა ველარ ავუდივართ დეზერტირების დენას წითელ არმიაშიო. ისინი ისეთი რაოდენობით მოდიან წითელ არმიაში, რომ ჩვენ შეგვიძლია შევაჩეროთ მობილიზაცია იმდენად, რომ საკმარისი რაოდენობით გვეყოლება ძველი, დაბრუნებული დეზერტირებიო.

გლეხებმა ნახეს, რას ნიშნავს კაზაკთა და დენიკინის ლაშქრობანი, და გლეხთა მასას, რომელმაც იწყო გაორკეცებული შეგნებით მიდგომა საქმისადმი, რომელსაც სურდა, რომ მისთვის ერთბაშად მიეცათ ზავი, არ ძალუძს გაიგოს, რომ სამო-

ქალაქო ომი ჩვენ თავს მოგვახვიეს. გლეხები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ გაწვევას გადარჩენოდნენ, ტყეში დამალულიყვნენ, მწვანე ბანდებში მოხვედროდნენ და შემდეგ — თუნდ ქვა-ქვაზე არ დარჩენილიყო. ეს ის მდგომარეობაა, რომელიც რღვევად გადაიქცა უკრაინაში, ეს ის მდგომარეობაა, რომელმაც ჩვენში შექმნა ისეთი გარემოება, როცა დეზერტირთა რაოდენობა მრავალ ათასს აღწევდა. ტროცკი ლაპარაკობს იმ გარდატეხაზე, რომელიც დაიწყო, როცა უფრო გაბედულად მივუდექით ამ საქმეს და ვადა გავუგრძელეთ დეზერტირებს. რიაზანის გუბერნიაში ასობით გამოცხადდნენ ამხანაგები სამუშაოდ, და გარდატეხაც დაიწყო. ისინი დაესწრნენ ძიტინგს, და დეზერტირები მოაწყდნენ წითელ არმიას. ადგილობრივი კომისრები ამბობენ, ვეღარ ვასწრებთ მათ ჩარიცხვას წითელ რიგებშიო. აი ის გარემოება, რომლითაც დაიწყო კურსკისა და ვორონეჟის მიმართულებით პოზიციების გამაგრება, რომელიც დაკავშირებულია სადგურ «ლისკის» უკან დაბრუნებასთან. ამ გარემოებამ შესაძლებლობა მისცა ტროცკის ეთქვა, რომ მდგომარეობა სამხრეთში მძიმეა, და ჩვენ მთელი ძალები უნდა დავძაბოთო. მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ეს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ უ ლ ი არ ა რ ი ს. აი ის დასკვნა, რომელიც ჩვენ გუშინ მივიღეთ. (ტ ა შ ი.)

მაგრამ ეს დასკვნა ყოველივე ეჭვს გარეშეა, და ჩვენ ყოველგვარ ზომებს მივიღებთ, რომ დავძაბოთ მთელი ძალები, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშრომელი მასების შეგნებულობა გაიმარჯვებს, რადგან უკრაინის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ, რაც უფრო გვიახლოვდება დენიკინი, რაც უფრო ნათელი ხდება, თუ რა მოაქვს დენიკინს, კაპიტალისტებსა და მემამულეებს, მით უფრო გვიადვილდება დეზერტირობასთან ბრძოლა, მით უფრო გაბედულად ვაგრძელებთ კიდევ დეზერტირების გამოცხადების ვადას ერთი კვირით. ამ სამი დღის წინათ თავდაცვის საბჭოში გამოცხადების ვადა გავახანგრძლივეთ კიდევ ერთი კვირით, იმიტომ რომ ჩვენ სავსებით დავრწმუნდით, რომ შეგნებულობა, რომელიც

დენიკინს მოაქვს, მათთვის ფუჭად არ ჩაივლის, და წითელი არმიაც გაიზრდება, თუ არ დავივიწყებთ იმას, რომ უახლოეს თვეებში მთელი ძალ-ღონე უნდა შევწიროთ სამხედრო მუშაობას. და ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ, როგორც აღმოსავლეთს დავეხმარეთ, ისე ახლაც დავძაბავთ ძალ-ღონეს, რომ დავეხმაროთ სამხრეთს და გავიმარჯვოთ იქ. ამხანაგებო, აქ ისეთ ადამიანს, რომელიც განწყობილებას, ყველაზე მეტ პანიკურ განწყობილებას ემორჩილება, შეუძლია დააყენოს საკითხი: თუ ჩვენ მივაწვებით სამხრეთს, მაშინ, — იტყვის ის, — დავკარგავთ იმას, რაც აღმოსავლეთში მოვიპოვეთ. ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მონაპოვარნი, რომლებსაც ჩვენმა ჯარებმა მიაღწიეს აღმოსავლეთში, ყველა არსებული მონაცემების მიხედვით იმედს გვაძლევენ, რომ შეუერთდებიან ციმბირის რევოლუციას. (ტ ა შ ი.)

გუშინ მოსკოვში მოხსენება გააკეთა ერთმა მენშევიკმა. გაზეთ «იზვესტიაში» თქვენ წაიკითხავდით ცნობას მოქალაქე გოლოსოვის ამ მოხსენების შესახებ. ის გადმოგვცემს, თუ როგორ წავიდნენ მენშევიკები ციმბირში იმ აზრით, რომ იქ არის დამფუძნებელი კრებაც და ხალხის ძალაუფლებაც, საყოველთაო საარჩევნო უფლების ბატონობაც, ხალხის თავისუფლებაც, და არა ერთი კლასის რაღაც დიქტატურა, უზურპაცია, ძალმომრეობა, როგორც ისინი უწოდებენ საბჭოთა ხელისუფლებას. ამ ადამიანების გამოცდილებამ, რომლებსაც რვა თვის განმავლობაში რომანი ჰქონდათ კერენსკისთან და ყველაფერი კორნილოვს ჩააბარეს, რომლებმაც ვერაფერი ისწავლეს და კოლჩაკთან წავიდნენ, — ახლა მათმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ არა რომელიღაც ბოლშევიკებმა, არამედ ბოლშევიკების მტრებმა, იმ ადამიანებმა, რომლებიც მთელ თავიანთ საქმიანობას ბოლშევიზმთან მტრულ ბრძოლას ანდომებდნენ, ფეხით შემოიარეს მრავალი ასეული ვერსი და ის დასკვნები გამოიტანეს, რომელთა შესახებ ჩვენ ვიცით და რომელთა შესახებ ხალხმა გაიგო მენშევიკების ანგარიშებიდან, — დასკვნები, რომლებიც მოწმობენ, რომ მათ ჩამოიშორეს არა მარტო მუშები, არამედ გლეხებიც,

არა მარტო გლეხები, არამედ კულაკებიც. კულაკებიც კი ფეხზე დგებიან კოლჩაკის წინააღმდეგ! (ტ ა შ ი.) ყველა ის ცნობა, რომელსაც იძლეოდნენ კოლჩაკოვშჩინის საწინააღმდეგო აჯანყებების შესახებ, სრულებითაც არ არის გაზვიადებული. კოლჩაკს ზურგი შეაქციეს არა მარტო მუშებმა და გლეხებმა, არამედ პატრიოტულად განწყობილმა ინტელიგენციამაც, თავის დროზე ერთიანად საბოტაჟს რომ ეწეოდა, სწორედ იმ ინტელიგენციამ, რომელსაც კავშირი ჰქონდა ანტანტასთან. ახლა გვეუბნებიან, აჯანყება წარმოებს ურალშიო, და ჩვენ ვხედავთ ნამდვილი მუშური აჯანყების ხანას და კვლავ ვამბობთ, რომ ყველა შანსი და ყველა საფუძველი არსებობს უახლოეს თვეებში მოველოდეთ, რომ გამარჯვებას ურალში მოჰყვება გარდატეხა ციმბირის მოსახლეობის მთელი მასის სრული გამარჯვებისაკენ კოლჩაკოვშჩინაზე.

ამხანაგებო! გუშინ თქვენ გაზეთში წაიკითხეთ მოტოვილიხის აღების შესახებ, — ეს საქარხნო რაიონის დასაწყისია ურალში. ამას ადასტურებს დაწვრილებითი ცნობები პერმის აღების შესახებ, სადაც რამდენიმე პოლკი ჩვენს მხარეზე გადმოვიდა, და ყოველდღე ვღებულობთ დეპეშას-დეპეშაზე, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ურალში დაიწყო გადამწყვეტი გარდატეხა. დღეს მივიღე დეპეშა უფიდან, 2 ივლისის თარიღით, რომელიც ამასვე მოწმობს. ჩვენ მოგვეპოვება უფრო დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც სრულ საფუძველს გვაძლევენ ვთქვათ, რომ გადამწყვეტი გარდატეხა დაიწყო, და რომ ჩვენ გავიმარჯვებთ ურალში. პერმისა და შემდეგ მოტოვილიხის, — უდიდესი ქარხნების ამ ცენტრების აღებით, სადაც მუშები ირაზმებიან, ასობით გადმოდიან ჩვენს მხარეზე და რკინიგზებს სჭრიან მტრის ზურგში, — ჩვენ ბევრ რამეს მივაღწიეთ. ალბათ, ბევრ თქვენგანს შესაძლებლობა არ ჰქონდა ენახა კოლჩაკელები — იქიდან გადმოსული მუშები და გლეხები, მაგრამ ჩვენ მსურველი ვიქნებოდით, რომ მოსკოვში რაც შეიძლება მეტი ენახათ იქიდან მოსული ხალხი. ერთი წლის წინათ ხომ პრიურალიეს და ციმბირის გლეხები

მზად იყვნენ ზურგი შეექციათ ბოლშევიკებისთვის. ისინი გულისწყრომას და აღშფოთებას გამოთქვამდნენ, როდესაც ბოლშევიკები დახმარებას მოითხოვდნენ მძიმე ომში, როდესაც ბოლშევიკები ამბობდნენ: «მემამულეებსა და კაპიტალისტებზე გამარჯვება მუქთად როდი გვეძლევა, და თუ კაპიტალისტები და მემამულეები ომს გვიცხადებენ, თქვენ ყოველგვარი მსხვერპლი უნდა გაიღოთ, რათა დაიცვათ რევოლუციის მონაპოვარნი. რევოლუცია მუქთად როდი გვეძლევა, და, თუ თქვენ ქედს მოიხრით ამ მსხვერპლთა გამო, თუ თქვენ არ გეყოფათ გამძლეობა ამ მსხვერპლის გასაღებად, თქვენ დაღუპავთ რევოლუციას». გლეხებს არ სურდათ ამის მოსმენა, ეს მათ მხოლოდ რევოლუციური მოწოდება ეგონათ. და, როდესაც იქ შეჰპირდნენ მშვიდობასა და ანტანტის დახმარებას, ისინი გადადიოდნენ იმათ მხარეზე. თქვენ ხომ იცით, რომ ციმბირის გლეხებს, ამ გლეხებს ბატონყმობა არ განუცდიათ. ეს ყველაზე მაძღარი გლეხები არიან, რომლებიც მიჩვეული არიან ექსპლოატაცია გაუწიონ რუსეთიდან ჩამოსულ გადასახლებულებს, ეს ისეთი გლეხები არიან, რომლებსაც რევოლუციით გაუმჯობესება არ უნახავთ, და ეს გლეხები ბელადებს იღებდნენ რუსეთის მთელი ბურჟუაზიისგან, ყველა მენშევიკისა და ესერისგან, — ისინი იქ ასობით, ათასობით იყვნენ. მაგალითად, ომსკში ახლა ერთნი 900 ათას ბურჟუას ითვლიან, სხვები — 500 ათასს. მთელმა ბურჟუაზიამ უკლებლივ იქ მოიყარა თავი, ყველამ, ვისაც კი ხალხის ხელმძღვანელობის პრეტენზია ჰქონდა, ცოდნის, კულტურისა და მართვა-გამგეობის ჩვევის თვალსაზრისით, ყველა პარტიამ — მენშევიკებით დაწყებულმა და ესერებით გათავებულმა — იქ მოიყარა თავი. ბათ ჰყავდათ მაძღარი, წელმაგარი გლეხები, რომელთაც სოციალიზმისადმი მიდრეკილება არ ჰქონდათ, მათ დახმარებას უწევდნენ ანტანტის სახელმწიფოები, ყოვლისშემძლე სახელმწიფოები, რომელთაც მთელ მსოფლიოში ხელთ უპყრიათ ძალაუფლება. მათ ჰქონდათ ზღვისკენ მიმავალი თავისუფალი რკინიგზები, ეს კი ნიშნავს სრულ ბატონობას, იმიტომ რომ მოკავშირეთა ალამს არავითარი მოწინააღმდეგე არა ჰყავს

მსოფლიოში და ის მთელ დედამიწაზეა გაბატონებული. მაშ რაღა აკლდათ კიდევ? რატომაა, რომ ეს ადამიანები, რომლებმაც შეკრიბეს ყველაფერი, რის შეკრებაც კი შეიძლებოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ: მხარეც წელმაგარი და ღონიერი გლეხებით, ანტანტის დახმარებაც, — რატომაა, რომ ორი წლის გამოცდილების შემდეგ ისე ჩავარდნენ, რომ «ხალხის ბატონობის» ნაცვლად დარჩა მემამულეების ნაშიერთა და კაპიტალისტების მხეცური ბატონობა და მიიღეს კოლჩაკეთის სრული რღვევა, რასაც ჩვენ ხელის შეხებით ვგრძნობთ, როცა ჩვენი წითელარმიელები უახლოვდებიან ურალს, როგორც განმათავისუფლებლები. ერთი წლის წინათ კი გლეხები ამბობდნენ: «ძირს ბოლშევიკები, იმიტომ რომ ისინი მთელ სიმძიმეს გლეხებს აკისრებენო», და მემამულეებისა და კაპიტალისტების მხარეზე გადადიოდნენ. მაშინ მათ არ სჯეროდათ ის, რასაც ჩვენ ვლაპარაკობდით; ახლა მათ თვითონ გამოსცადეს ეს, როცა დაინახეს, რომ ბოლშევიკებს მიჰყავდათ ერთი ცხენი, კოლჩაკელებს კი ყველაფერი მიჰქონდათ, — ცხენებიც და ყველაფერი დანარჩენიც, და აწესებდნენ შეფის დროის დისციპლინას. ახლა კი გლეხები, როცა ხედავენ წარსულის გამოცდილებას, წითელ არმიას ხვდებიან როგორც განმათავისუფლებელს, და ამბობენ, რომ ბოლშევიკებთან ერთად ციმბირში დამყარდება მტკიცე და სრული თავისუფლებაო. (ტ ა შ ი.)

კოლჩაკეთის ეს გამოცდილება ყველაზე საგულისხმო გამოცდილებაა ჩვენთვის, ის მცირე მასშტაბით გვიჩვენებს იმას, რაც მთელ მსოფლიოში ხდება, ის გვიჩვენებს ნამდვილ წყაროებს, — უძლეველ წყაროებს, აღმოუფხვრელ წყაროებს, — იმას, რითაც ძლიერი არიან ბოლშევიკები. ჩვენ უძლურებად ვჩანდით, როცა ციმბირი ჩვენი მტრების ხელში იყო. ახლა მთელი ეს უზარმაზარი ძალა დაირღვა. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ მართალი ვიყავით იმპერიალისტური ომისა და მისი შედეგების შეფასებაში, მართალი ვიყავით, როცა ვამბობდით, რომ ამ ომიდან კაცობრიობა ძველებურად ვერ გამოვა, — ხალხი ისე დაიტანჯა, გაეწამა, გაბოროტდა კაპიტალიზმის

მიმართ, რომ დადგება მუშათა კლასის ბატონობის დრო და დამყარდება სოციალიზმი. აქ ლაპარაკობდნენ «საშუალო რამეზე», და მე მშვენივრად ვიცი, რომ ამ საშუალო რამეზე ოცნებობენ მემარჯვენე ესერები და მენშევიკები, რომ ამ შუალედი პარტიების საუკეთესო ადამიანები სავსებით გულწრფელად ოცნებობენ ამ საშუალო რამეზე, მაგრამ მთელი ქვეყნების გამოცდილებით, ხალხთა გამოცდილებით ვიცით, რომ ეს სულ ფუჭი ოცნებაა, იმიტომ რომ საშუალო რამ არ არსებობს დამფუძნებელი კრების ამ სამეფოში, სადაც ჩერნოვები და მაისკები კვლავ მიმართავდნენ სამინისტრო ოინებს და სადაც სრული დაშლა მოხდა. რა არის ეს — შემთხვევითობა თუ ბოლშევიკური ჭორი? მაგრამ ამას ხომ არავინ დაიჯერებს! და თუ მათ დამფუძნებელი კრების ასეთი რწმენით დაიწყეს და ასეთი რღვევით დაამთავრეს, ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ბოლშევიკები მართალი არიან, როდესაც ლაპარაკობენ: ან მუშათა კლასის დიქტატურა, ყველა მშრომელის დიქტატურა და კაპიტალიზმის დამარცხება, ან უაღრესად ბინძური და სისხლისმღვრელი ბატონობა ბურჟუაზიისა თვით მონარქიამდე, რომელიც კოლჩაკმა დაამყარა, როგორც ეს ციმბირში იყო. და ახლა, გადავდივარ რა ციმბირის გაკვეთილებიდან და დასკვნებიდან, შემიძლია დავასრულო საერთაშორისო მდგომარეობის მოკლე აღნიშვნით.

ამხანაგებო, საშინაო მდგომარეობაში ჩვენ ახლა ის უდიდესი ნაბიჯი გადავდგით წინ, რომ მილიონობით რუსმა გლეხებმა, — რომლებიც ერთი წლის წინათ სრულიად შეუგნებლად უყურებდნენ ამ ქვეყნიერებას, ყველას სიტყვა სჯეროდათ, ვინც კი ლამაზად ლაპარაკობდა დამფუძნებელი კრების შესახებ, სულით ეცემოდნენ ბოლშევიზმის სიძნელეთაგან, შორს გარბოდნენ ბრძოლისაკენ პირველი მოწოდებისთანავე, — მას შემდეგ გლეხებმა განიცადეს სამხრეთში გერმანელების ბატონობის გაუგონრად მძიმე სისხლისმღვრელი გამოცდილება, და ამ გამოცდილებიდან მათ ბევრი რამ ისწავლეს. ჩვენ უსაზღვროდ ძლიერი გავხდით იმიტომ, რომ მილიონო-

ბით ხალხმა ისწავლა იმის გაგება, თუ რა არის კოლჩაკი; ციმ-ბირის მილიონობით გლეხი ბოლშევიზმთან მივიდა, — იქ უკლებლივ ყველა ელოდება ბოლშევიკებს, — არა ჩვენი ქადაგებისა და მოძღვრების გამო, არამედ საკუთარი გამოცდილებით, იმით, რომ ისინი სოციალისტ-რევოლუციონერებს ეპატიჟებოდნენ, ხელისუფლების სათავეში სვამდნენ, ხოლო ხელისუფლების სათავეში ესერებისა და მენშევიკების ამ დასშიდან გამოვიდა რუსეთის ძველი მონარქია, ძველი დერ-ჟიმორდა, რომელმაც «დემოკრატიის» დროს გაუგონარი ძალმომრეობა მოუტანა ჩვენს ქვეყანას. მაგრამ ხალხის ეს განკურნება დიდ რამედ ღირს. (ტ ა შ ი.)

შეხედეთ საერთაშორისო მდგომარეობას. განა ამ მხრივ განვლილი წლის განმავლობაში ჩვენ გაუგონარი ნაბიჯები არ გადავდგით წინ, მას შემდეგ, რაც ერთი წლის წინათ იყო? განა მაშინ ჩვენ ზურგი არ შეგვაქციეს რევოლუციისადმი თავდადებულმა ადამიანებმაც კი, რომლებიც ლაპარაკობდნენ, რომ ბოლშევიკებმა რუსეთი ჩააბარეს მტაცებელ-გერმანელებსო, რომ ბრესტის ზავმა დაამტკიცა, რომ ჩადენილია გამოუსწორებელი შეცდომა, და განა ისინი არ ფიქრობდნენ, რომ რუსეთს მხოლოდ დემოკრატიული საფრანგეთისა და ინგლისის კავშირი იხსნისო? მერე რა? შარშანდელი კრიზისის შემდეგ რამდენიმე თვეში ბრესტის ზავი დაირღვა. გავიდა ნახევარი წელი 1918 წლის 9 ნოემბრის შემდეგ, როდესაც გერმანია დამარცხდა, და ნახევარი წლის ჯახირის შემდეგ საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტებმა დასდეს ზავი. და მერე რა მოგვცა ამ ზავმა? მან ის მოგვცა, რომ ყველა მუშა, რომელიც მანამდე საფრანგეთისა და ინგლისის იმ იმპერიალისტების მომხრეთა მხარეზე იდგა, რომლებიც ქადაგებდნენ ომს ბოლომდე, — ისინი ახლა ყველანი არა დღითი დღე, არამედ ყოველ საათობით ჩვენს მხარეზე გადმოდიან და ამბობენ: «ჩვენ ოთხი წლის განმავლობაში გვატყუებდნენ, ომში მივყავდით. თავისუფლების გულისთვის შეგვპირდნენ გერმანიის დამარცხებას, თავისუფლების, თანასწორობის გამარჯვებას და დემოკრატიის გამარჯვებას, ამის ნაცვლად კი

მოგვიძღვნეს ვერსალის ზავი, — უღირსი ძალმომრეობითი ზავი ძარცვისა და გამდიდრების ინტერესებისთვის». ჩვენი მდგომარეობა ამ წლის განმავლობაში იყო მძიმე მდგომარეობა ბრძოლისა საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვებისათვის. და ჩვენი მდგომარეობა, თუ მას მტრების მდგომარეობას შევადარებთ, ისეთი იყო, რომ ყოველ ნაბიჯზე ვიძენდით მთელ მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მეტ მოკავშირეს. და ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ის, რასაც გერმანელები თავიანთი იმპერიალისტური თვალსაზრისით დამარცხებად სთვლიან, ის, რასაც ფრანგები და ინგლისელები სრულ გამარჯვებად სთვლიან, — ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებისათვის ეს არის დასაწყისი დასასრულისა. მუშათა მოძრაობა ამჟამად იზრდება არა დღითი დღე, არამედ ყოველ საათობით. მუშები მოითხოვენ უცხოური ჯარების გაყვანას რუსეთიდან და ვერსალის ზავის დამხობას. ჩვენ ბრესტის ზავის წინაშე განმარტოებული ვიდექით, ის დაირღვა, და მისი ადგილი დაიჭირა ვერსალის ზავმა, რომელიც ახრჩობს გერმანიას.

ვაფასებთ რა ამ განვლილ წელიწადს და ვაღიარებთ რა აშკარად ყველა სიძნელეს, ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებით, დარწმუნებით და მტკიცედ გითხრათ: ამხანაგებო, ჩვენ კიდევ და კიდევ მოვედით გაგაცნოთ საერთო მდგომარეობა და მოსკოვის მოწინავე მუშებს ავუწეროთ ის სიძნელეები, რომლებსაც ჩვენ კვლავ წავაწყდით, და გთხოვოთ იფიქროთ იმაზე, რა გაკვეთილები გამოვიტანეთ ჩვენ ამ მძიმე წლის განმავლობაში, და ამ ფიქრისა და გათვალისწინების საფუძველზე, ამ გამოცდილების საფუძველზე, ჩვენთან ერთად მიხვიდეთ უძლეველ და მტკიცე რწმენამდე, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, და არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. კიდევ და კიდევ ერთხელ დავძაბავთ ძალებს იმ დამარცხებათა დასაძლევად, რომლებიც სამხრეთში განვიცადეთ. ჩვენ წამოვაყენებთ ორგანიზებულობის, დისციპლი-

ნისა და ერთგულების ნაცად საშუალებებს, და მაშინ, დარწმუნებული ვართ, დენიკინი ისევე იქნება მოტეხილი და გასრესილი და ისევე დაირღვევა, როგორც დაირღვა კოლჩაკი და როგორც ახლა ირღვევიან საფრანგეთის და ინგლისის იმპერიალისტები. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

შემოკლებული ანგარიში გამოქვეყნდა
1919 წ. 5 ივლისს
გაზეთ «პრავდაში», № 145

პირველად სრულად დაიბეჭდა
1932 წელს

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით, რომელიც
შედარებულია გაზეთ
«პრავდის» ტექსტთან

სახელმწიფოს შესახებ

ლექცია სვერდლოვის უნივერსიტეტში 1919 წ. 11 ივლისს[66]

ამხანაგებო, დღევანდელი ჩვენი საუბრის საგანს, იმ გეგმით, რომელიც აქ მიიღეს და მე მაცნობეს, წარმოადგენს სახელმწიფოს საკითხი. არ ვიცი, უკვე რამდენად იცნობთ ამ საკითხს. თუ არ ვცდები, თქვენი კურსები ახლახან გაიხსნა, და თქვენ გიხდებათ ამ საკითხს სისტემატურად პირველად მიუდგეთ. თუ ეს ასეა, ადვილად შესაძლებელია პირველ ლექციაში ვერ მოვახერხო ბევრი მსმენელისათვის ამ ძნელი საკითხის საკმაო სიცხადით და გასაგებად გადმოცემა. და თუ ასე მოხდა, გთხოვთ ეს ნუ შეგაფიქრიანებთ, იმიტომ რომ სახელმწიფოს საკითხი ერთ-ერთი ურთულესი და უძნელესი საკითხია და თითქმის ყველაზე უფრო დახლართულია ბურჟუაზიულ მეცნიერთა, მწერალთა და ფილოსოფოსთა მიერ. ამიტომ არასოდეს არ უნდა გვეგონოს, რომ ერთ მოკლე საუბარში შეიძლებოდეს მივაღწიოთ ამ საკითხის სრულ გარკვევას. ამ საგანზე პირველი საუბრის შემდეგ საჭიროა აღვნიშნოთ გაუგებარი ან ბუნდოვანი ადგილები, რათა დავუბრუნდეთ მათ მეორედ, მესამედ და მეოთხედ, რომ ის, რაც გაუგებარი დარჩა, შევავსოთ და გავარკვიოთ შემდგომ, როგორც კითხვით, ისე ცალკეული ლექციებითა და საუბრებით. იმედი მაქვს, ჩვენ კიდევ მოვახერხებთ შეკრებას, და მაშინ შევძლებთ აზრთა გაცვლა-გამოცვლას ყველა დამატებითს საკითხზე და იმის შემოწმებას, რაც უფრო ბუნდოვანი დარჩა. აგრეთვე იმედი მაქვს, რომ საუბრებისა და ლექციების შესავსე-

ბად განსაზღვრულ დროს დაუთმობთ მარქსისა და ენგელსის თუნდაც ზოგიერთ უმთავრეს ნაწარმოებთა წაკითხვას. ეჭვი არ არის, ლიტერატურის საძიებელსა და სახელმძღვანელოებში, რაც საბჭოთა და პარტიული სკოლის მოსწავლეებს მოეპოვებათ ბიბლიოთეკაში, რომელიც თქვენა გაქვთ, — უეჭველად იპოვით ამ მთავარ ნაწარმოებებს, და თუმცა შესაძლებელია ამ შემთხვევაშიც ზოგიერთი მსმენელი ნაწარმოების გადმოცემის სიძნელემ დააფრთხოს, — მაგრამ ისევ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ამან არ უნდა შეგაკრთოთ, რომ პირველი წაკითხვისას გაუგებარი — გასაგები გახდება ხელმეორედ წაკითხვისას, ან შემდეგ, როცა საკითხს ცოტა სხვა მხრივ მიუდგებით, რადგან, კიდევ ვიმეორებ, საკითხი იმდენად რთულია და ისეა დახლართული ბურჟუაზიულ მეცნიერთა და მწერალთა მიერ, რომ ყოველი ადამიანი, რომელსაც სურს ამ საკითხს სერიოზულად ჩაუფიქრდეს და დამოუკიდებლად შეითვისოს, აუცილებლად რამდენჯერმე უნდა მიუდგეს მას, ისევ და ისევ დაუბრუნდეს, მოისაზროს საკითხი სხვადასხვა მხრივ, რომ იგი ნათლად და მტკიცედ გაიგოს. ხოლო ამ საკითხს თქვენ მით უფრო ადვილად დაუბრუნდებით, რომ იგი მთელი პოლიტიკის იმდენად ძირითადი, იმდენად მთავარი საკითხია, რომ არათუ ასეთ მშფოთვარე, რევოლუციურ დროს, როგორსაც ჩვენ ახლა განვიცდით, არამედ უაღრესად მშვიდობიან დროსაც ყოველ გაზეთში ყოველი ეკონომიური თუ პოლიტიკური საკითხის გარშემო თქვენ მუდამ წააწყდებით კითხვას: რა არის სახელმწიფო, რაშია მისი დედაარსი, მისი მნიშვნელობა და როგორია ჩვენი პარტიის დამოკიდებულება, კაპიტალიზმის დამხობისათვის მებრძოლი პარტიისა, კომუნისტების პარტიის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი, — ამ საკითხს თქვენ ყოველდღე დაუბრუნდებით ამა თუ იმ საბაბის გამო. უმთავრესი კი ის არის, რომ წიგნების კითხვამ, საუბრებმა და ლექციებმა, რასაც თქვენ სახელმწიფოს შესახებ მოისმენთ, შეგძინოთ უნარი ამ საკითხისადმი დამოუკიდებელი მიდგომისა, რადგან ეს საკითხი თქვენ შეგხვდებათ სულ სხვადასხვაგვარი საბაბის გამო,

ყოველი წვრილმანი საკითხის გამო, სრულიად მოულოდნელ გარემოებაში, მოწინააღმდეგეებთან საუბრებსა და კამათში. მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ ისწავლით დამოუკიდებლად გაერკვეთ ამ საკითხში, — მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ საკმაოდ მტკიცე ხართ თქვენს რწმენაში და შეგიძლიათ საკმაო წარმატებით დაიცვათ იგი ყველას წინაშე და ყოველთვის.

ამ მცირე შენიშვნების შემდეგ გადავალ თვით საკითხზე — რა არის სახელმწიფო, როგორ წარმოიშვა იგი და ძირითადად როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი მუშათა კლასის პარტიისა, რომელიც იბრძვის კაპიტალიზმის სრული დამხობისათვის, — კომუნისტების პარტიისა.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ძნელია მოინახოს სხვა საკითხი, რომელიც ისე იყოს დახლართული განზრახ და განუზრახველად ბურჟუაზიული მეცნიერების, ფილოსოფიის, იურისპრუდენციის, პოლიტიკური ეკონომიისა და პუბლიცისტიკის წარმომადგენლების მიერ, როგორც სახელმწიფოს საკითხი. ძალიან ხშირად ამ საკითხს დღემდე რელიგიურ საკითხებში ურევენ, ძალიან ხშირად არა მარტო რელიგიურ მოძღვრებათა წარმომადგენლები (სწორედ მათგან სავსებით ბუნებრივია ამას მოველოდეთ), არამედ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თავიანთ თავს რელიგიური ცრურწმენისაგან თავისუფლად თვლიან, რელიგიის საკითხებში ურევენ სახელმწიფოს სპეციალურ საკითხს და ცდილობენ ააგონ, — ძალიან ხშირად რთული, იდეური ფილოსოფიური მიდგომით და დასაბუთებით, — მოძღვრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო არის რაღაც ღვთაებრივი, ზებუნებრივი რამ, რომ ეს არის ერთგვარი ძალა, რომლითაც ცხოვრობდა კაცობრიობა და რომელიც აძლევს ან მისცემს ადამიანებს, შეიცავს ისეთ რამეს, რაც ადამიანისაგან კი არ წარმოსდგება, არამედ მიეცა მას გარედან, რომ ეს არის ღვთაებრივი წარმოშობის ძალა. უნდა ითქვას, რომ ეს მოძღვრება ისე მჭიდროდაა დაკავშირებული ექსპლოატატორული კლასების — მემამულეებისა და კაპი-

ტალისტების — ინტერესებთან, ისე ემსახურება მათს ინტერესებს, ისე ღრმად გამსჭვალა მან ბატონ ბურჟუაზიულ წარმომადგენელთა ყველა ჩვეულება, ყველა შეხედულება, მთელი მეცნიერება, რომ მის ნაშთებს თქვენ შეხვდებით ყოველ ნაბიჯზე, თვით მენშევიკებისა და ესერების შეხედულებაში სახელმწიფოზე, რომლებიც აღშფოთებით უარყოფენ იმ აზრს, რომ ისინი რელიგიური ცრურწმენის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, და დარწმუნებული არიან, რომ შეუძლიათ ფხიზლად შეხედონ სახელმწიფოს. ეს საკითხი ასე აბნეული და გართულებულია იმიტომ, რომ იგი (ჩამორჩება რა ამ მხრივ მხოლოდ ეკონომიური მეცნიერების საფუძვლებს) გაბატონებული კლასების ინტერესებს უფრო მეტად ეხება, ვიდრე რომელიმე სხვა საკითხი. სახელმწიფოს მოძღვრება ემსახურება საზოგადოებრივი პრივილეგიების გამართლებას, ექსპლოატაციის არსებობის გამართლებას, კაპიტალიზმის არსებობის გამართლებას, — და სწორედ ამიტომ უდიდესი შეცდომა იქნება, რომ ამ საკითხში მიუდგომლობას მოველოდეთ, ამ საკითხში საქმეს ისე მივუდგეთ, თითქოს იმ ადამიანებს, რომლებიც მეცნიერულობას ჩემულობენ, შეუძლიათ აქ მოგვცენ წმინდა მეცნიერების თვალსაზრისი. სახელმწიფოს საკითხში, სახელმწიფოს მოძღვრებაში, სახელმწიფოს თეორიაში, როცა საკითხს გაეცნობით და მას საკმაოდ ჩასწვდებით, ყოველთვის დაინახავთ სხვადასხვა კლასის ერთმანეთთან ბრძოლას, ბრძოლას, რომელიც იხატება ან თავის გამოხატულებას პოულობს სახელმწიფოზე არსებულ შეხედულებათა ბრძოლაში, სახელმწიფოს როლისა და მნიშვნელობის შეფასებაში.

ამ საკითხს რომ შეძლებისამებრ მეცნიერულად მივუდგეთ, საჭიროა ოდნავ მაინც გადავავლოთ თვალი ისტორიას და ვნახოთ, როგორ წარმოიშვა სახელმწიფო და როგორ ვითარდებოდა იგი. ყველაზე საიმედო საზოგადოებრივი მეცნიერების საკითხში და აუცილებელი იმისათვის, რომ ნამდვილად შეკიძინოთ ჩვევა ამ საკითხისადმი სწორად მიდგომისა და არ დავიბნეთ უამრავ წვრილმანებში ან ერთმანეთთან

მებრძოლ შეხედულებათა უდიდეს სხვადასხვაობაში, — ყველაზე მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ამ საკითხს მეცნიერული თვალსაზრისით მივუდგეთ, — არის ის, რომ არ დავივიწყოთ ძირითადი ისტორიული კავშირი, ყოველ საკითხს შევხედოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა ისტორიაში განსაზღვრული მოვლენა, რა და რა მთავარი ეტაპები განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში, და მისი ამ განვითარების თვალსაზრისით შევხედოთ, თუ რად იქცა ეს მოვლენა ამჟამად.

იმედი მაქვს, რომ სახელმწიფოს საკითხის გამო თქვენ გაეცნობით ენგელსის თხზულებას — «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა». ეს არის თანამედროვე სოციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი თხზულება, რომელშიც შეგვაძლია ვენდოთ ყოველ ფრაზას, ვენდოთ, რომ თვითეული ფრაზა იქ მოუფიქრებლად კი არ არის ნათქვამი, არამედ დაწერილია უდიდესი ისტორიული და პოლიტიკური მასალის საფუძველზე. ეჭვი არ არის, რომ ამ თხზულებაში ყველა ნაწილი ერთნაირად მისაწვდომი და გასაგები არ არის: ზოგიერთი ნაწილი გულისხმობს ისეთ მკითხველს, რომელსაც უკვე განსაზღვრული ისტორიული და ეკონომიური ცოდნა აქვს. მაგრამ კვლავ ვიტყვი: არ უნდა შეკრთეთ, თუ ამ ნაწარმოებს წაკითხვის შემდეგ ერთბაშად ვერ გაიგებთ. ასეთი რამ თითქმის ყველას ემართება. მაგრამ, როცა მას დაუბრუნდებით შემდეგ, როდესაც ინტერესი გაგეღვიძებათ, თქვენ მიაღწევთ იმას, რომ მთლად თუ არა, მომეტებული ნაწილი მაინც გასაგები გახდება თქვენთვის. ამ წიგნს იმიტომ მოგაგონებთ, რომ იგი გვაძლევს საკითხისადმი სწორ მიდგომას ამ მხრივ. იწყება იგი ისტორიული ნარკვევით, თუ როგორ წარმოიშვა სახელმწიფო.

სწორად რომ მივუდგეთ ამ საკითხს, როგორც ყოველგვარ საკითხს, მაგალითად, კაპიტალიზმის წარმოშობის, ადამიანთა შორის ექსპლოატაციის, სოციალიზმის საკითხს, იმას, თუ როგორ გაჩნდა სოციალიზმი, რა პირობებმა წარმოშვეს იგი, — ყოველ ასეთ საკითხს საფუძვლიანად და რწმენით

შეგვიძლია მივუდგეთ მხოლოდ მაშინ, თუ თვალს გადავავლებთ მის ისტორიულ განვითარებას მთლიანად. ამ საკითხში უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ სახელმწიფო ყოველთვის როდი არსებობდა. იყო დრო, როდესაც სახელმწიფო არ იყო. სახელმწიფო ჩნდება იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ჩნდება საზოგადოების დაყოფა კლასებად, როდესაც ჩნდებიან ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულები.

ვიდრე წარმოიშობოდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის პირველი ფორმა, მონათმფლობელთა და მონათა კლასებად დაყოფის პირველი ფორმა, — მანამდე არსებობდა კიდევ პატრიარქალური ანუ — როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ — კ ლ ა ნ უ რ ი (კლანი — თაობა, გვარი, როცა ადამიანები ცხოვრობდნენ გვარებად, თაობებად) ოჯახი. ამ პირველყოფილი ხანის კვალი საკმაო სიცხადით დარჩა ბევრი პირველყოფილი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, და თუ აიღებთ რომელიმე თხზულებას პირველყოფილ კულტურაზე, ყოველთვის წააწყდებით ცოტად თუ ბევრად გარკვეულ აღწერას, მითითებებს და მოგონებებს იმაზე, რომ იყო დრო, რომელიც მეტნაკლებად ჰგავდა პირველყოფილ კომუნიზმს, როცა არ არსებობდა საზოგადოების დაყოფა მონათმფლობელებად და მონებად. და მაშინ არ არსებობდა სახელმწიფო, არ არსებობდა საგანგებო აპარატი ძალმომრეობის სისტემატურად გამოსაყენებლად და ძალმომრეობისადმი ადამიანების დასამორჩილებლად. სწორედ ასეთ აპარატს ეწოდება სახელმწიფო.

პირველყოფილ საზოგადოებაში, როცა ადამიანები ჯერ კიდევ პატარ-პატარა გვარებად ცხოვრობდნენ, როცა ისინი ჯერ კიდევ განვითარების მეტად დაბალ საფეხურზე იდგნენ და ველურ მდგომარეობას უახლოვდებოდნენ; იმ ეპოქაში, რომლისაგანაც თანამედროვე ცივილიზებული კაცობრიობა რამდენიმე ათასი წლით არის დაშორებული, — იმ ხანაში სახელმწიფოს არსებობის ნიშნები ჯერ კიდევ არა ჩანს. ჩვენ ვხედავთ ზნე-ჩვეულებათა ბატონობას, ავტორიტეტს,

პატივისცემას, ძალაუფლებას, რომლითაც სარგებლობდნენ გვარის უხუცესნი, ვხედავთ, რომ ეს ძალაუფლება ზოგჯერ ქალებს ეკუთვნოდათ, — ქალის მდგომარეობა მაშინ არ ჰგავდა მის ახლანდელ უუფლებო, ჩაგრულ მდგომარეობას, — მაგრამ ვერსად ვერ ვხედავთ იმ ადამიანთა განსაკუთრებულ თანრიგს, რომლებიც გამოიყოფიან, რომ სხვები განაგონ და მართვა-გამგეობის გულისთვის, ამ მიზნისთვის სისტემატურად, მუდმივ ჰქონოდათ იძულების განსაზღვრული აპარატი, ძალმომრეობის აპარატი, რომელიც ამჟამად არსებობს და რომელიც თქვენ ყველამ იცით: ჯარის შეიარაღებული რაზმები, საპყრობილეები და ძალმომრეობისადმი სხვისი ნების დამორჩილების სხვა საშუალებები, — ის, რაც სახელმწიფოს დედაარსს შეადგენს.

თუ თავს დავანებებთ ეგრეთწოდებულ რელიგიურ მოძღვრებებს, ყალთაბანდობას, ფილოსოფიურ კონსტრუქციებს, იმ სხვადასხვაგვარ შეხედულებებს, რასაც ბურჟუაზიული მეცნიერები ქმნიან, და საქმის ნამდვილ არსს მოვძებნით, დავინახავთ, რომ სახელმწიფო წარმოადგენს ადამიანთა საზოგადოებიდან გამოყოფილ მართვა-გამგეობის სწორედ ასეთ აპარატს. როდესაც ჩნდება ადამიანთა ისეთი განსაკუთრებული ჯგუფი, რომლის საქმესაც მხოლოდ და მხოლოდ მართვა-გამგეობა შეადგენს, და რომელსაც ამ მართვა-გამგეობისათვის ესაჭიროება იძულებისა და ძალმომრეობისადმი სხვისი ნების დამორჩილების განსაკუთრებული აპარატი — საპყრობილეები, ადამიანთა განსაკუთრებული რაზმები, ჯარი და სხვ., — მაშინ ჩნდება სახელმწიფო.

მაგრამ იყო დრო, როცა სახელმწიფო არ არსებობდა, ~~როცა საერთო კავშირი~~ თვით საზოგადოება, დისციპლინა და შრომის გაწესრიგება ემყარებოდა ჩვეულების, ტრადიციების ძალას, ავტორიტეტს ან პატივისცემას, რითაც სარგებლობდნენ გვარის უხუცესნი ან ქალები, რომელთაც იმ დროს არამცთუ მამაკაცების თანაბარი უფლებები ჰქონდათ, არამედ ხშირად უფრო მაღალი მდგომარეობაც ეჭირათ, და როცა, არ არსებობდა ადამიანთა განსაკუთრებული თანრიგი — მართვა-

გამგეობის სპეციალისტები. ისტორია გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო, როგორც ადამიანთა იძულების განსაკუთრებული აპარატი, ჩნდებოდა მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ჩნდებოდა საზოგადოების დაყოფა კლასებად — მაშასადამე, ადამიანთა დაყოფა ისეთ ჯგუფებად, რომელთაგან ერთ ნაწილს მუდამ შეუძლია მიითვისოს სხვების შრომა, სადაც ერთი ექსპლოატაციას უწევს მეორეს.

და საზოგადოების ეს დაყოფა კლასებად ისტორიაში ყოველთვის ნათლად უნდა იდგეს ჩვენს წინაშე, როგორც ძირითადი ფაქტი. ადამიანთა ყველა საზოგადოების განვითარება მრავალი ათასი წლის მანძილზე, გამოუკლებლივ ყველა ქვეყანაში, გვიჩვენებს ამ განვითარების საერთო კანონზომიერებას, სისწორეს და თანამიმდევრობას ისე, რომ პირველად ჩვენ გვაქვს უკლასო საზოგადოება — პირვანდელი პატრიარქალური, პირველყოფილი საზოგადოება, სადაც არ იყვნენ არისტოკრატები; შემდეგ — მონობაზე დამყარებული საზოგადოება, მონათმფლობელური საზოგადოება. ეს გზა განვლო მთელმა თანამედროვე ცივილიზებულმა ევროპამ — მონობა სავსებით გაბატონებული იყო ორი ათასი წლის წინათ. ეს გზა განვლო ქვეყნის დანარჩენი მხარეების ხალხთა დიდმა უმეტესობამ. ყველაზე ნაკლებ განვითარებულ ხალხებში მონობის კვალი ახლაც არის დარჩენილი, და მონობის დაწესებულებებს ახლაც ნახავთ, მაგალითად, აფრიკაში. მონათმფლობელნი და მონები — ეს არის პირველი დიდი დაყოფა კლასებად. პირველი ჯგუფი ფლობდა არა მარტო წარმოების ყველა საშუალებას — მიწას, იარაღებს, თუმცა მაშინ ეს იარაღები სუსტი, პრიმიტიული იყო, — იგი ფლობდა აგრეთვე ადამიანებსაც. ამ ჯგუფს ეწოდებოდა მონათმფლობელნი, ხოლო იმათ, ვინც შრომობდა და თავის შრომას სხვას აძლევდა, ეწოდებოდა მონები.

ამ ფორმას ისტორიაში მოჰყვა მეორე ფორმა — ბატონყმობა. ქვეყნების დიდ უმეტესობაში მონობა თავისი განვითარების პროცესში ბატონყმობად გადაიქცა. საზოგადოების ძირითადი დაყოფაა—მებატონე-მემამულეები და ყმა-გლეხები.

ადამიანთა ურთიერთობის ფორმა შეიცვალა. მონათმფლობელნი მონებს თავიანთ საკუთრებად სთვლიდნენ, კანონი ამ შეხედულებას განამტკიცებდა და მონებს სთვლიდა ნივთად, რომელიც სავსებით მონათმფლობელს ეკუთვნოდა. ყმა-გლეხი დარჩა კლასობრივად ჩაგრული, დამოკიდებული, მაგრამ მებატონე-მემამულე არ ითვლებოდა გლეხის, როგორც ნივთის, მფლობელად; მას ჰქონდა უფლება მხოლოდ მის შრომაზე და განსაზღვრული ბეგარის შესრულების იძულებაზე. სინამდვილეში, როგორც თქვენ ყველამ იცით, ბატონყმობა, განსაკუთრებით რუსეთში, სადაც იგი ყველაზე უფრო დიდხანს არსებობდა და სადაც მან ყველაზე მეტად მიიღო უხეში ფორმები, არაფრით არ განირჩეოდა მონობისაგან.

შემდეგ, — ბატონყმურ საზოგადოებაში, ვაჭრობის განვითარებასა, მსოფლიო ბაზრის წარმოშობასა და ფულის ტრიალის განვითარებასთან ერთად ჩნდებოდა ახალი კლასი — კაპიტალისტების კლასი. საქონლიდან, საქონლის გაცვლა-გამოცვლიდან, ფულის ბატონობის წარმოშობიდან იბადებოდა კაპიტალის ბატონობა. XVIII საუკუნის მანძილზე, უკეთ — XVIII საუკუნის დასასრულიდან, და XIX საუკუნის განმავლობაში მოხდა რევოლუციები მთელ მსოფლიოში. ბატონყმობა განიდევნა დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნიდან. ყველაზე გვიან ეს რუსეთში მოხდა. 1861 წელს რუსეთშიც მოხდა გადატრიალება, რასაც შედეგად მოჰყვა საზოგადოების ერთი ფორმის შეცვლა მეორე ფორმით — ბატონყმობის შეცვლა კაპიტალიზმით, რომლის დროსაც კლასებად დაყოფა დარჩა, დარჩა ბატონყმობის სხვადასხვა კვალი და ნაშთი, მაგრამ ძირითადად კლასებად დაყოფამ სხვაგვარი ფორმა მიიღო.

კაპიტალის მფლობელნი, მიწის მფლობელნი, ფაბრიკებისა და ქარხნების მფლობელნი ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოში წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობას, რომელიც სავსებით განაგებს ხალხის მთელ შრომას და რომელიც, მაშასადამე, იმორჩილებს, ჩაგრავს და ექსპლოატაციას უწევს მშრომელთა მთელ

მასას; ამ მშრომელთა უმრავლესობას შეადგენენ პროლეტარები, დაქირავებული მუშები, რომლებიც საარსებო სახსარს წარმოების პროცესში მხოლოდ თავისი მუშახელის, სამუშაო ძალის გაყიდვით იღებენ. გლეხები, დაქსაქსულნი და შევიწროებულნი ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს, კაპიტალიზმზე გადასვლის შემდეგ ხდებოდნენ ნაწილობრივ (უმრავლესობა) პროლეტარებად, ნაწილობრივ (უმცირესობა) — შეძლებულ გლეხობად, რომელიც თვითონ ქირაობდა მუშებს და სოფლის ბურჟუაზიას წარმოადგენდა.

თქვენ ყოველთვის მხედველობაში უნდა იქონიოთ ეს ძირითადი ფაქტი — საზოგადოების გადასვლა მონობის პირველყოფილი ფორმებიდან ბატონყმობაზე და, ბოლოს, კაპიტალიზმზე, რადგან მხოლოდ მაშინ, როცა მოიგონებთ ამ ძირითად ფაქტს, როცა ამ მთავარ ჩარჩოში მოაქცევთ ყველა პოლიტიკურ მოძღვრებას, მხოლოდ მაშინ შესძლებთ სწორად შეაფასოთ ეს მოძღვრებანი და გაერკვეთ, რას ეხებიან ისინი, რადგან კაცობრიობის ისტორიის თვითეული ეს დიდი პერიოდი — მონათმფლობელური, ბატონყმური და კაპიტალისტური — მოიცავს ათეულ და ასეულ საუკუნეებს და წარმოადგენს ისეთ უამრავ პოლიტიკურ ფორძას, სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ მოძღვრებას, შეხედულებას, რევოლუციას, რომ ყველა ამ უდიდეს სიჭრელესა და უაღრეს მრავალფეროვნებაში გარკვევა, — რაც განსაკუთრებით დაკავშირებულია ბურჟუაზიულ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და სხვ. მოძღვრებასთან, — მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სახელმძღვანელო ძირითად გეზად მტკიცედ აიღებთ საზოგადოების ამ დაყოფას კლასებად, კლასობრივი ბატონობის ფორმების შეცვლას და ამ თვალსაზრისით გაერკვევით ყველა საზოგადოებრივ საკითხში — ეკონომიურ, პოლიტიკურ, სულიერ, რელიგიურ და სხვ. საკითხებში.

თუ ამ ძირითადი დაყოფის თვალსაზრისით შეხედავთ სახელმწიფოს, დაინახავთ, რომ საზოგადოების კლასებად დაყოფამდე, როგორც უკვე ვთქვი, არც სახელმწიფო არსებობდა.

მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორ ჩნდება და მტკიცდება საზოგადოების კლასებად დაყოფა, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ჩნდება კლასობრივი საზოგადოება, ამისდა მიხედვით ჩნდება და მტკიცდება სახელმწიფოც. კაცობრიობის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ათეულ და ასეულ ქვეყნებს, რომლებიც განიცდიდნენ და დღესაც განიცდიან მონობას, ბატონყმობას და კაპიტალიზმს. თვითეულ მათგანში, მიუხედავად მომხდარი უდიდესი ისტორიული ცვლილებებისა, მიუხედავად ყველა პოლიტიკური პერიპეტიისა და ყველა რევოლუციისა, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ კაცობრიობის ამ განვითარებასთან, მონობიდან ბატონყმობის გავლით კაპიტალიზმზე გადასვლასთან და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ახლანდელ მსოფლიო ბრძოლაზე გადასვლასთან, — თქვენ ყოველთვის ხედავთ სახელმწიფოს წარმოშობას. სახელმწიფო ყოველთვის წარმოადგენდა გარკვეულ აპარატს, რომელიც გამოყოფილი იყო საზოგადოებიდან და შესდგებოდა იმ ადამიანთა ჯგუფისაგან, რომელთა საქმეც მხოლოდ ან თითქმის მხოლოდ, ანდა უმთავრესად ის იყო, რომ ისინი მართავდნენ. ადამიანები იყოფიან ორ კატეგორიად — ვისაც მართავენ და მართვა-გამგეობის სპეციალისტებად, რომლებიც საზოგადოებაზე მაღლა დგებიან და რომლებსაც მმართველებს, სახელმწიფოს წარმომადგენლებს უწოდებენ. ამ აპარატს, ამ ჯგუფს ადამიანებისას, რომლებიც სხვებს მართავენ, ყოველთვის ხელთ უპყრია იძულების, ფიზიკური ძალის განსაზღვრული აპარატი, — სულ ერთია, ამ ძალმომრეობას ადამიანების მიმართ გამოხატავს პირველყოფილი კეტი, თუ მონობის ეპოქაში — უფრო გაუმჯობესებული ტიპის შეიარაღება, თუ ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც შუასაუკუნეებში გაჩნდა, თუ, ბოლოს, თანამედროვე იარაღი, რომელმაც XX საუკუნეში ტექნიკურ სასწაულებს მიაღწია და რომელიც სავსებით თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს ემყარება. ძალმომრეობის ხერხები იცვლებოდა, მაგრამ ყოველთვის, როცა სახელმწიფო არსებობდა, თვითეულ საზოგადოებაში იყო ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც მართავდნენ, ბრძანებ-

ლობდნენ, ბატონობდნენ და რომლებსაც ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხელთ ჰქონდათ ფიზიკური იძულების აპარატი, ძალმომრეობის აპარატი, ის შეიარაღება, რომელიც შეეფერებოდა თვითეული ეპოქის ტექნიკურ დონეს. როცა ვუკვირდებით ამ საერთო მოვლენებს და ვკითხულობთ, რატომ არ არსებობდა სახელმწიფო მაშინ, როცა არ იყვნენ კლასები, როცა არ იყვნენ ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულები, და რატომ წარმოიშვა იგი მაშინ, როცა კლასები წარმოიშვნენ, — მხოლოდ მაშინ ვპოულობთ გარკვეულ პასუხს კითხვაზე სახელმწიფოს დედაარსისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.

სახელმწიფო — ეს არის მანქანა ერთი კლასის ბატონობის შესანარჩუნებლად მეორე კლასის მიმართ. როცა საზოგადოებაში კლასები არ იყო, როცა ადამიანები არსებობის მონურ ეპოქამდე შრომობდნენ უფრო მეტი თანასწორობის პირველყოფილ პირობებში, შრომის ჯერ კიდევ უაღრესად დაბალი ნაყოფიერების პირობებში, როცა პირველყოფილი ადამიანი ძლივძლივობით შოულობდა მეტად ტლანქი პირველყოფილი არსებობისათვის საჭირო სახსარს, მაშინ არ წარმოშობილა და არც შეიძლებოდა წარმოშობილიყო იმ ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფიც, რომლებიც სპეციალურად გამოყოფილი იქნებოდნენ მართვა-გამგეობისათვის და გაბატონებული მთელ დანარჩენ საზოგადოებაზე. მხოლოდ მაშინ, როცა გაჩნდა საზოგადოების კლასებად დაყოფის პირველი ფორმა, როცა გაჩნდა მონობა, როცა ადამიანთა განსაზღვრულ კლასს საშუალება მიეცა, სამიწათმოქმედო შრომის უაღრესად უხეშ ფორმებზე დაყრდნობით, შეექმნა ერთგვარი ნაჭარბი, როცა ეს ნაჭარბი მონობის უაღრესად ღატაკური არსებობისათვის აბსოლუტურ საჭიროებას არ წარმოადგენდა და იგი მონათმფლობელის ხელში გადადიოდა, როცა, ამრიგად, მონათმფლობელთა ამ კლასის არსებობა განმტკიცდა, — და მისი არსებობა რომ განმტკიცებულიყო, — მაშინ საჭირო გახდა სახელმწიფო გაჩენილიყო.

და იგი გაჩნდა — მონათმფლობელური სახელმწიფო, — აპარატი, რომელიც მონათმფლობელებს აძლევდა ძალაუფლებას და ყველა მონის მართვის შესაძლებლობას. საზოგადოებაც და სახელმწიფოც მაშინ გაცილებით უფრო პატარა იყო, ვიდრე ახლა, მის განკარგულებაში კავშირურთიერთობის ბევრად უფრო სუსტი აპარატი იყო, — მაშინ არ იყო მიმოსვლის ახლანდელი საშუალებები. მთები, მდინარეები და ზღვები განუზომლად უფრო დიდ დაბრკოლებებს წარმოადგენდნენ, ვიდრე ახლა, და სახელმწიფოც გაცილებით უფრო ვიწრო გეოგრაფიული საზღვრების ფარგლებში ყალიბდებოდა. ტექნიკურად სუსტი სახელმწიფო აპარატი ემსახურებოდა სახელმწიფოს, რომლის საზღვრები და მოქმედების არე შედარებით უფრო ვიწრო იყო. მაგრამ მაინც იყო აპარატი, რომელიც მონებს აიძულებდა მონობაში დარჩენილიყვნენ, საზოგადოების ერთ ნაწილს ამყოფებდა მეორე ნაწილის იძულებასა და ჩაგვრაში. საზოგადოების ერთი უმეტესი ნაწილი რომ აიძულო სისტემატურად იმუშაოს მეორე ნაწილისათვის, ამისათვის აუცილებელია არსებობდეს იძულების მუდმივი აპარატი. ვიდრე არ არსებობდნენ კლასები — ასეთი აპარატიც არ იყო. როცა კლასები გაჩნდნენ, ყველგან და ყოველთვის ამ დაყოფის ზრდასა და განმტკიცებასთან ერთად ჩნდებოდა განსაკუთრებული ინსტიტუტიც — სახელმწიფო. სახელმწიფოს ფორმები მეტისმეტად მრავალფეროვანი იყო. მონათმფლობელურ ხანაში მაშინდელი დროის მიხედვით ყველაზე უფრო მოწინავე, კულტურულ და ცივილიზებულ ქვეყნებში, მაგალითად, ძველ საბერძნეთსა და რომში, რომლებიც მთლიანად მონობას ემყარებოდნენ, ჩვენ უკვე ვხედავთ სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმას. მაშინ უკვე ჩნდება განსხვავება მონარქიასა და რესპუბლიკას შორის, არისტოკრატიასა და დემოკრატიას შორის. მონარქია — როგორც ერთი პიროვნების ძალაუფლება, რესპუბლიკა — როცა რაიმე აურჩეველი ხელისუფლება არ არსებობს; არისტოკრატია — როგორც შედარებით უმნიშვნელო უმცირესობის ძალაუფლება, დემოკრატია — როგორც ხალხის ძალაუფლება (დემოკრა-

ტია, ბერძნულიდან რომ სიტყვასიტყვით ვთარგმნოთ, სწორედ ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს). ყველა ეს განსხვავება წარმოიშვა მონობის ეპოქაში. ამ განსხვავებათა მიუხედავად მონათმფლობელური ეპოქის სახელმწიფო მონათმფლობელური სახელმწიფო იყო, სულ ერთია — მონარქია იყო ის თუ არისტოკრატიული ან დემოკრატიული რესპუბლიკა.)

ძველი დროის ისტორიის ყველა კურსში, ამ საგანზე რომ ლექცია მოისმინოთ, გაიგონებთ იმ ბრძოლის ამბავს, რომელიც მონარქიულ და რესპუბლიკურ სახელმწიფოებს შორის წარმოებდა, მაგრამ ძირითადი ის იყო, რომ მონები ადამიანებად არ ითვლებოდნენ; არათუ მოქალაქეებად, არამედ ადამიანებადაც კი არ ითვლებოდნენ. რომაული კანონი მონას ნივთად სთვლიდა. კანონი მკვლელობის შესახებ, ადამიანის პიროვნების დამცველ სხვა კანონებზე რომ არაფერი ვთქვათ, მონებს არ ეხებოდა. იგი იცავდა მხოლოდ მონათმფლობელებს, რადგან მხოლოდ ისინი ითვლებოდნენ ერთადერთ სრულუფლებიან მოქალაქეებად. მაგრამ თუ მონარქია დამყარდებოდა, ეს იყო მონათმფლობელური მონარქია, თუ რესპუბლიკა — ეს მონათმფლობელური რესპუბლიკა იყო. ორივეში ყოველგვარი უფლებებით მონათმფლობელები სარგებლობდნენ, მონები კი კანონის მიხედვით ნივთს წარმოადგენდნენ, და მათ მიმართ შეიძლებოდა არა მარტო ყოველგვარი ძალმომრეობის ხმარება, არამედ მონის მოკვლაც კი დანაშაულად არ ითვლებოდა. მონათმფლობელური რესპუბლიკები განსხვავდებოდნენ თავიანთი შინაგანი ორგანიზაციის მიხედვით: იყო რესპუბლიკები არისტოკრატიული და დემოკრატიული. არისტოკრატიულ რესპუბლიკაში არჩევნებში მონაწილეობას იღებდა პრივილეგირებულთა მცირე რაოდენობა, დემოკრატიულ რესპუბლიკაში — მონაწილეობას იღებდა ყველა, მაგრამ აქაც ყველა მონათმფლობელი, ყველანი, გარდა მონებისა. ეს ძირითადი გარემოება უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, იმიტომ რომ ის ყველაზე უფრო მეტად ჰფენს შუქს სახელმწიფოს საკითხს და ნათლად გვიჩვენებს სახელმწიფოს დედაარსს.

(სახელმწიფო არის მანქანა ერთი კლასის მიერ მეორის ჩაგვრისათვის, მანქანა, რომლის საშუალებითაც ერთი კლასი ყველა დანარჩენ დაქვემდებარებულ კლასს იმორჩილებს. ამ მანქანის ფორმა სხვადასხვაგვარია. მონათმფლობელურ სახელმწიფოში გვაქვს მონარქია, არისტოკრატიული რესპუბლიკა, ანდა დემოკრატიული რესპუბლიკაც კი. სინამდვილეში მართვა-გამგეობის ფორმები მეტისმეტად სხვადასხვაგვარი იყო, მაგრამ დედაარსი ერთი და იგივე რჩებოდა: მონებს არავითარი უფლებები არ ჰქონდათ და ჩაგრულ კლასად რჩებოდნენ, მათ ადამიანებად არ სცნობდნენ. ამასვე ვხედავთ ბატონყმურ სახელმწიფოშიც.)

ექსპლოატაციის ფორმის შეცვლამ მონათმფლობელური სახელმწიფო ბატონყმურ სახელმწიფოდ აქცია. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მონათმფლობელურ საზოგადოებაში— მონა სრულიად უუფლებო იყო, მას ადამიანად არ სცნობდნენ; ბატონყმურ საზოგადოებაში — გლეხი მიმაგრებული იყო მიწაზე. ბატონყმობის ძირითადი ნიშანი ის არის, რომ გლეხობა (მაშინ კი გლეხები უმრავლესობას შეადგენდნენ, ხოლო ქალაქის მოსახლეობა მეტად სუსტად იყო განვითარებული) მიმაგრებული იყო მიწაზე, — აქედან წარმოიშვა სწორედ თვით ცნებაც — ბატონყმობა. გლეხს განსაზღვრულ დღეებში შეეძლო ემუშავნა თავისთვის მიწის იმ ნაკვეთზე, რომელსაც მას მემამულე აძლევდა, ხოლო დანარჩენ დღეებში ყმა-გლეხი ბატონისთვის მუშაობდა. კლასობრივი საზოგადოების დედაარსი რჩებოდა: საზოგადოება კლასობრივ ექსპლოატაციას ეყრდნობოდა. სრულუფლებიანი მხოლოდ მემამულეები იყვნენ, გლეხები მოკლებული იყვნენ ყოველგვარ უფლებას. გლეხების მდგომარეობა სინამდვილეში ძალიან მცირედ განსხვავდებოდა მონათმფლობელური სახელმწიფოს დროის მონების მდგომარეობისაგან. მაგრამ მაინც მათ განთავისუფლებას, გლეხთა განთავისუფლებას, უფრო ფართო გზა ეხსნებოდა, რადგან ყმა-გლეხი მემამულის უშუალო საკუთრებად არ ითვლებოდა. მას შეეძლო დროის ერთი ნაწილი თავის ნაკვეთზე გაეტარებინა, შეეძლო, ასე ვთქვათ, რამდე-

ნადმე თავისი თავის პატრონი ყოფილიყო, და ბატონყმობაც გაცვლა-გამოცვლისა და სავაჭრო კავშირურთიერთობის განვითარების უფრო ფართო შესაძლებლობის გამო სულ უფრო და უფრო იშლებოდა, და სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა გლეხობის განთავისუფლების არეც. ბატონყმური საზოგადოება ყოველთვის უფრო რთული იყო, ვიდრე მონათმფლობელური საზოგადოება. მასში დიდი იყო ვაჭრობის, მრეწველობის განვითარების ელემენტი, რასაც ჯერ კიდევ მაშინ განვითარება კაპიტალიზმისაკენ მიჰყავდა. შუასაუკუნეებში ბატონყმობა სჭარბობდა. სახელმწიფოს ფორმები აქაც სხვადასხვანაირი იყო, აქაც გვაქვს მონარქიაც და რესპუბლიკაც, თუმცა გაცილებით უფრო სუსტად გამოსახული; მაგრამ გაბატონებული ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ მებატონე-მემამულეები ითვლებოდნენ. ყმა-გლეხები აბსოლუტურად მოკლებული იყვნენ ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს.

როგორც მონობის, ისე ბატონყმობის დროს ადამიანთა უმნიშვნელო უმცირესობის ბატონობა უდიდეს უმრავლესობაზე შეუძლებელია იძულების გარეშე. მთელი ისტორიის მანძილზე ჩაგრული კლასები განუწყვეტლივ ცდილობენ ჩაგვრის დამხობას. მონობის ისტორიამ იცის ბევრი ისეთი ომი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გრძელდებოდა მონობისაგან განთავისუფლებისათვის. სხვათა შორის, სახელი «სპარტაკელები», რომელიც ახლა დაირქვეს გერმანიის კომუნისტებმა, — გერმანიის ამ ერთადერთმა პარტიამ, რომელიც ნამდვილად იბრძვის კაპიტალიზმის უღლის წინააღმდეგ, — იმიტომ დაირქვეს, რომ სპარტაკი იყო ერთ-ერთი დიდად გამოჩენილი გმირი მონების ერთ-ერთი უდიდესი აჯანყებისა, რომელიც მოხდა დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ. თითქოს ყოვლისშემძლე რომის იმპერია, რომელიც მთლიანად მონობაზე იყო დამყარებული, მთელი რიგი წლების განმავლობაში ირყეოდა და დარტყმებს განიცდიდა მონების უდიდესი აჯანყების გამო; მონები შეიარაღდნენ და შეერთდნენ სპარტაკის წინამძღოლობით, მათ შექმნეს

უდიდესი არმია. ბოლოს და ბოლოს ისინი მონათმფლობელებმა ამოწყვიტეს, შეიპყრეს და აწამეს. ეს სამოქალაქო ომები წარმოებდა კლასობრივი საზოგადოების არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე. მე ახლა დაგისახელეთ მონათმფლობელობის ეპოქის ყველაზე უდიდესი სამოქალაქო ომის მაგალითი. ბატონყმობის მთელი ეპოქა ამგვარადვე აღსავსეა გლეხთა მუდმივი აჯანყებებით. მაგალითად, გერმანიაში შუასაუკუნეებში ეს ბრძოლა ორ კლასს შორის, მემამულეებსა და ყმებს შორის, მეტად გაფართოვდა და გადაიქცა გლეხების სამოქალაქო ომად მემამულეების წინააღმდეგ. თქვენ ყველას მოგეხსენებათ, რომ გლეხების ასეთივე აჯანყებები მებატონე მემამულეების წინააღმდეგ ბევრჯერ ყოფილა რუსეთშიც.

თავისი ბატონობისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად მემამულეს ესაჭიროებოდა ისეთი აპარატი, რომელიც გააერთიანებდა და მას დაუმორჩილებდა ადამიანთა უდიდეს რაოდენობას, დაუმორჩილებდა განსაზღვრულ კანონებს, წესებს, — და ყველა ამ კანონს ერთი ძირითადი დანიშნულება ჰქონდა — განემტკიცებინა მემამულის ბატონობა ყმა-გლეხის მიმართ. ეს იყო სწორედ ბატონყმური სახელმწიფო, რომელიც რუსეთში, მაგალითად, ან აზიის სრულიად ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც ბატონყმობა დღემდე გაბატონებულია — ფორმით იგი განსხვავდებოდა — იყო რესპუბლიკური ან მონარქიული. როდესაც სახელმწიფო მონარქიული იყო — ერთი პირის ძალაუფლებას სცნობდნენ; როდესაც იგი რესპუბლიკური იყო — მართვა-გამგეობაში მეტ-ნაკლებ მონაწილეობას იღებდნენ მემამულური საზოგადოების არჩეული წარმომადგენლები, — ასე იყო ბატონყმურ საზოგადოებაში. ბატონყმური საზოგადოება წარმოადგენდა კლასთა ისეთ დაყოფას, როდესაც უდიდესი უმრავლესობა — ყმა-გლეხობა — სავსებით დამოკიდებული იყო უმნიშვნელო უმცირესობაზე — მემამულეებზე, რომლებიც მიწას ფლობდნენ.

ვაჭრობის, საქონლის გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ გამოიწვია ახალი კლასის — კაპიტალისტების გამოყოფა. კაპიტალი წარმოიშვა შუასაუკუნეების დაძლევს, როდესაც

მსოფლიო ვაჭრობა ამერიკის აღმოჩენის შემდეგ უაღრესად განვითარდა, როდესაც გადიდდა ძვირფასი ლითონების რაოდენობა, როდესაც ვერცხლი და ოქრო გაცვლა-გამოცვლის იარაღად გადაიქცა, როდესაც ფულის ბრუნვამ შესაძლებელი გახადა უდიდესი სიმდიდრის ერთ ხელში მოქცევა. ვერცხლსა და ოქროს სიმდიდრედ სცნობდნენ მთელს მსოფლიოში. ეცემოდა მემამულეთა კლასის ეკონომიური ძალა, და ვითარდებოდა ახალი კლასის — კაპიტალის წარმომადგენლების ძალა. საზოგადოების გარდაქმნა წარმოებდა იმგვარად, რომ ყველა მოქალაქე ერთგვარად თანასწორი გამხდარიყო, რომ მოსპობილიყო წინანდელი დაყოფა მონათმფლობელებად და მონებად, რომ ყველა ყოფილიყო თანასწორი კანონის წინაშე, მიუხედავად იმისა, თუ ვის რა კაპიტალი ექნებოდა — მიწის მფლობელი იქნებოდა კერძო საკუთრების უფლებით, თუ არაფერი ებადებოდა, გარდა საკუთარი სამუშაო ძალისა, ყველანი თანასწორი ყოფილიყვნენ კანონის წინაშე. კანონი თანაბრად იცავს ყველას, იცავს საკუთრებას, ვისაც იგი აქვს, იმ მასის მხრივ ხელყოფისაგან, რომელსაც არა აქვს საკუთრება, არაფერი აბადია, გარდა თავისი ხელებისა; ეს მასა თანდათან ღატაკდება, ჩანაგდება და პროლეტარებად იქცევა. ასეთია კაპიტალისტური საზოგადოება.

ამაზე დაწვრილებით ვერ შევჩერდები. ამ საკითხს თქვენ კიდევ დაუბრუნდებით, როდესაც საუბარი გექნებათ პარტიის პროგრამაზე, — იქ მოისმენთ კაპიტალისტური საზოგადოების დახასიათებას. ამ საზოგადოებამ გაილაშქრა ბატონყმობის წინააღმდეგ, ძველი ბატონყმური წესების წინააღმდეგ თავისუფლების ლოზუნგით. მაგრამ ეს იყო თავისუფლება იმისთვის, ვინც საკუთრებას ფლობს. და როდესაც ბატონყმობა დაინგრა, რაც მოხდა XVIII საუკუნის დამლევს — XIX საუკუნის დამდეგს — რუსეთში ეს სხვა ქვეყნებზე უფრო გვიან მოხდა, 1861 წელს, — მაშინ ბატონყმური სახელმწიფო შესცვალა კაპიტალისტურმა სახელმწიფომ, რომელიც თავის ლოზუნგად აყენებს საყოველთაო-სახალხო თავისუფლებას, ამბობს, რომ ის მთელი ხალხის ნებას გამოხატავს,

უარყოფს, რომ ის კლასობრივი სახელმწიფოა, და აი აქ სოციალისტებსა, რომლებიც მთელი ხალხის თავისუფლებისათვის იბრძვიან, და კაპიტალისტურ სახელმწიფოს შორის ვითარდება ბრძოლა, რომელსაც ახლა შედეგად მოჰყვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა და რომელიც მთელ მსოფლიოს ედება.

მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის გასაგებად, კაპიტალისტური სახელმწიფოს დედაარსის გასაგებად საჭიროა გვახსოვდეს, რომ კაპიტალისტური სახელმწიფო, როცა ბატონყმური სახელმწიფოს წინააღმდეგ ილაშქრებდა, ბრძოლას იწყებდა თავისუფლების ლოზუნგით. ბატონყმობის გაუქმება კაპიტალისტური სახელმწიფოს წარმომადგენელთათვის მოასწავებდა თავისუფლებას და სამსახურს უწევდა მათ იმდენად, რამდენადაც ბატონყმობა ირღვეოდა და გლეხებს საშუალება ეძლეოდათ სრულ საკუთრებად ჰქონოდათ ის მიწა, რომელიც შეიძინეს გამოსყიდვით, ან ნაწილობრივ ღალით, — ამას სახელმწიფო ყურადღებას არ აქცევდა: იგი იცავდა საკუთრებას, რა გზითაც უნდა ყოფილიყო ის წარმოშობილი, რადგან სახელმწიფო კერძო საკუთრებას ემყარებოდა. გლეხები კერძო მესაკუთრეები ხდებოდნენ ყველა თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფოში. სახელმწიფო კერძო საკუთრებას იცავდა იქაც, სადაც მემამულე მიწის ნაწილს გლეხს აძლევდა, სახელმწიფო უნაზღაურებდა მას გამოსყიდვით, ფულზე გაყიდვით. სახელმწიფო თითქოს აცხადებდა: სრულ კერძო საკუთრებას დავიცავთო, და ყოველნაირად მხარს უჭერდა და ესარჩლებოდა მას: სახელმწიფო სცნობდა ამ საკუთრებას ყოველი ვაჭრისათვის, მრეწველისა და მეფაბრიკისათვის. და ეს საზოგადოება, დამყარებული კერძო საკუთრებაზე, კაპიტალის ბატონობაზე, ყველა ხელმოკლე მუშისა და გლეხობის მშრომელი მასების სრულ დამორჩილებაზე, — ეს საზოგადოება თავის თავს გაბატონებულად აცხადებდა თავისუფლების საფუძველზე. იბრძოდა რა ბატონყმობის წინააღმდეგ, მან საკუთრების

თავისუფლება გამოაცხადა და განსაკუთრებით ამაყობდა იმით, თითქოს სახელმწიფო კლასობრივი, აღარ იყო.

ამავე დროს სახელმწიფო წინანდებურად რჩებოდა მანქანად, რომელიც ეხმარება კაპიტალისტებს მორჩილებაში იყოლიონ უღარიბესი გლეხობა და მუშათა კლასი, მაგრამ გარეგნულად იგი თავისუფალი იყო. სახელმწიფო აღიარებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას და თავის მომხრეთა, მქადაგებელთა, მეცნიერთა და ფილოსოფოსთა პირით აცხადებს, რომ ეს არ არის კლასობრივი სახელმწიფოო. ახლაც კი, როცა მის წინააღმდეგ დაიწყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ბრძოლა, ისინი ბრალს გვდებენ, თითქოს ჩვენ ვარღვევთ თავისუფლებას, თითქოს ჩვენ ვაშენებთ იძულებაზე, ერთის მიერ მეორის დათრგუნვაზე დამყარებულ სახელმწიფოს, ხოლო ისინი საყოველთაო-სახალხო, დემოკრატიულ სახელმწიფოს წარმოადგენენ. აი ეს საკითხი — სახელმწიფოს შესახებ — ახლა, როცა მთელ მსოფლიოში სოციალისტური რევოლუცია დაიწყო, და სწორედ ახლა, როცა რევოლუციამ ზოგიერთ ქვეყანაში გაიმარჯვა, როცა განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა მსოფლიო კაპიტალთან, — სახელმწიფოს საკითხმა უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა და, შეიძლება ითქვას, ის თანამედროვეობის უაღრესად საჭირბოროტო საკითხად, ყველა პოლიტიკური საკითხისა და ყველა პოლიტიკური დავის ფოკუსად გადაიქცა.

—— რომელი პარტიაც უნდა ავიღოთ რუსეთში ან რომელიმე უფრო ცივილიზებულ ქვეყანაში, — თითქმის ყველა პოლიტიკური დავა, აზრთა სხვადასხვაობა, შეხედულება ამჟამად ტრიალებს სახელმწიფოს ცნების ირგვლივ. არის თუ არა სახელმწიფო კაპიტალისტურ ქვეყანაში, დემოკრატიულ რესპუბლიკაში, — განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა შვეიცარია ან ამერიკა, — ყველაზე თავისუფალ დემოკრატიულ რესპუბლიკებში, არის თუ არა სახელმწიფო ხალხის ნების გამომხატველი, საერთო-სახალხო გადაწყვეტილების შეჯამება, ნაციონალური ნების გამომხატველი და სხვ., — თუ სახელმწიფო არის ისეთი მანქანა, რომლის საშუალებითაც

იქაურ კაპიტალისტებს შეეძლებათ იბატონონ მუშათა კლასზე და გლეხობაზე? ეს არის ძირითადი საკითხი, რომლის ირგვლივაც ამჟამად მთელ მსოფლიოში პოლიტიკური დავა წარმოებს. რას ამბობენ ბოლშევიზმის შესახებ? ბურჟუაზიული პრესა აგინებს ბოლშევიკებს. ვერ ნახავთ ვერც ერთ გაზეთს, რომელიც არ იმეორებდეს იმ გაცვეთილ ბრალდებას ბოლშევიკების წინააღმდეგ, თითქოს ისინი ხალხის ბატონობის დამრღვევნი არიან. თუ ჩვენებური მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები გულუბრყვილოდ (შესაძლოა, არა გულუბრყვილოდაც, ან, შესაძლოა, ეს ისეთი გულუბრყვილობაა, რომელზედაც ნათქვამია — ის ქურდობაზე უარესიაო) ფიქრობენ, რომ ისინი არიან აღმომჩენლები და გამომგონებლები ბოლშევიკების წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებისა იმაში, რომ მათ დაარღვიეს თავისუფლება და ხალხის ბატონობა, ისინი სასაცილოდ სცდებიან. ამჟამად არ არსებობს არც ერთი უმდიდრესი გაზეთი უმდიდრესი ქვეყნებისა, რომლებიც ათეულ მილიონებს ხარჯავენ მათს გასავრცელებლად და ათეულ მილიონ ეგზემპლარებში ავრცელებენ ბურჟუაზიულ სიცრუესა და იმპერიალისტურ პოლიტიკას, — არ არსებობს არც ერთი ასეთი გაზეთი, რომელიც არ იმეორებდეს ბოლშევიზმის წინააღმდეგ ამ ძირითად მოსაზრებებს და ბრალდებებს: რომ აი ამერიკა, ინგლისი და შვეიცარია — ხალხის ბატონობაზე დამყარებული მოწინავე სახელმწიფოებია, ბოლშევიკური რესპუბლიკა კი უაჩაღების სახელმწიფოა, რომ იქ არ არის თავისუფლება, რომ ბოლშევიკები ხალხის ბატონობის იდეის დამრღვევნი არიან და იქამდეც კი მივიდნენ, რომ დამფუძნებელი კრება გარეკესო. ! ამ საშინელ ბრალდებებს ბოლშევიკების მიმართ იმეორებენ მთელ მსოფლიოში. ყველა ეს ბრალდება ჩვენს წინაშე აყენებს საკითხს: რა არის სახელმწიფო? ეს ბრალდებები რომ გავიგოთ, მათში რომ გავერკვეთ და სრულიად შეგნებულად მოვეკიდოთ მათ და გავერკვეთ არა მარტო გაგონილის მიხედვით, არამედ მტკიცე აზრი გვქონდეს, საჭიროა ნათლად შევიგნოთ, თუ რა არის სახელმწიფო. ჩვენს წინაშეა ყოველგვარი კაპიტა-

ლისტური სახელმწიფოები და მათი დამცველი ყველა მოძღვრება, რომლებიც ომამდე წარმოიშვნენ. საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა კრიტიკულად მოვეპყრათ ყველა ამ მოძღვრებას და შეხედულებას.

დამხმარედ მე უკვე დაგისახელეთ ენგელსის თხზულება «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა». სწორედ ამ თხზულებაში ნათქვამია, რომ ყოველი სახელმწიფო, სადაც არსებობს მიწისა და წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, სადაც ბატონობს კაპიტალი, რაც უნდა დემოკრატიული იყოს ეს სახელმწიფო, — იგი არის კაპიტალისტური სახელმწიფო, იგი არის მანქანა კაპიტალისტების ხელში, რათა მორჩილებაში იყოლიონ მუშათა კლასი და უღარიბესი გლეხობა. ხოლო საყოველთაო საარჩევნო უფლება, დამფუძნებელი კრება, პარლამენტი — ეს არის მხოლოდ ფორმა, ერთგვარი თამასუქი, რომელიც არსებითად საქმის ვითარებას სრულიადაც არა ცვლის(!!)

სახელმწიფოს ბატონობის ფორმა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: კაპიტალი ერთნაირი სახით იჩენს თავის ძალას იქ, სადაც არის ერთი ფორმა, და მეორენაირი სახით იქ, სადაც არის მეორე ფორმა, მაგრამ არსებითად ძალაუფლება კაპიტალის ხელში რჩება: ცეხზიანი უფლება არსებობს თუ სხვა რომელიმე, დემოკრატიულია რესპუბლიკა თუ არა, და რაც უფრო დემოკრატიულია იგი, მით უფრო უხეში, ცინიკურია კაპიტალიზმის ეს ბატონობა(!!) ერთ-ერთი უაღრესად დემოკრატიული რესპუბლიკა მსოფლიოში — ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატებია — და არსად ისე, როგორც ამ ქვეყანაში (ვინც იქ ყოფილა 1905 წლის შემდეგ, მას უთუოდ აქვს წარმოდგენა ამის შესახებ), არსად კაპიტალის ბატონობა, ერთი მუჭა მილიარდერების ბატონობა მთელი საზოგადოების მიმართ არ იჩენს თავს ისე უხეშად, ისე აშკარა მოსყიდვით, როგორც ამერიკაში. რაკი კაპიტალი არსებობს, ის ბატონობს მთელ საზოგადოებაზე, და ვერავითარი დემოკრატიული რესპუბლიკა, ვერავითარი საარჩევნო უფლება საქმის ვითარებას ვერა სცვლის(!!!)

დემოკრატიული რესპუბლიკა და საყოველთაო საარჩევნო უფლება ბატონყმურ წყობილებასთან შედარებით უდიდესი პროგრესი იყო: მათ შესაძლებლობა მისცეს პროლეტარიატს მიეღწია იმ გაერთიანებისათვის, იმ შემჭიდროებისათვის, რომელიც მას აქვს, შეექმნა ის მწყობრი დისციპლინირებული რიგები, რომლებიც სისტემატურ ბრძოლას ეწევიან კაპიტალთან. არაფერი ამის მსგავსი დაახლოებითაც კი არ ჰქონდა ყმა-გლეხს, რომ აღარაფერი ვთქვათ მონებზე. მონები, როგორც ვიცით, აწყობდნენ აჯანყებებს, ამბოხებებს, იწყებდნენ სამოქალაქო ომებს, მაგრამ მათ ვერასოდეს ვერ შესძლეს შეექმნათ შეგნებული უმრავლესობა, ბრძოლის ხელმძღვანელი პარტიები, ვერ შესძლეს ნათლად შეეგნოთ თავიანთი მიზანი, და ისტორიის უაღრესად რევოლუციურ მომენტებშიც კი ისინი ყოველთვის უბრალო იარაღს წარმოადგენდნენ გაბატონებული კლასების ხელში. ბურჟუაზიული რესპუბლიკა, პარლამენტი, საყოველთაო საარჩევნო უფლება — ყველაფერი ეს საზოგადოების მსოფლიო განვითარების თვალსაზრისით უდიდეს პროგრესს წარმოადგენს. კაცობრიობა კაპიტალიზმისაკენ მიიმართებოდა, და მხოლოდ კაპიტალიზმმა, ქალაქის კულტურის მეოხებით, საშუალება მისცა პროლეტარების დაჩაგრულ კლასს შეეცნო თავისი თავი და შეექმნა ის მსოფლიო მუშათა მოძრაობა, ის მილიონობით მუშები, რომლებიც მთელს მსოფლიოში პარტიებად არიან დარაზმულნი, ის სოციალისტური პარტიები, რომლებიც შეგნებულად ხელმძღვანელობენ მასების ბრძოლას. პარლამენტარიზმის, არჩევითობის გარეშე მუშათა კლასის ეს განვითარება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ არის, რომ ყოველივე ამან ხალხის უფართოესი მასების თვალში ესოდენ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. ამიტომ არის, რომ გარდატეხა ასეთ ძნელ საქმედ გვეჩვენება. არა მარტო შეგნებული თვალთმაქცები, მეცნიერები და ხუცები უჭერენ მხარს და იცავენ იმ ბურჟუაზიულ სიცრუეს, რომ სახელმწიფო თავისუფალია და მოწოდებულია დაიცვას ყველას ინტერესებიო, არამედ იმ ადამიანთა მასებიც, რომლებიც გულწრფელად იმეორებენ ძველ ცრუ-

რწმენას და რომელთაც ვერ შეუგნიათ ძველი კაპიტალისტური საზოგადოებიდან სოციალიზმზე გადასვლა. არა მარტო ისინი, ვინც პირდაპირ დამოკიდებულია ბურჟუაზიაზე, არა მარტო ისინი, ვისაც კაპიტალი სჩაგრავს, ან ვინც ამ კაპიტალის მიერ არის მოსყიდული (კაპიტალის სამსახურში არიან სხვადასხვა ჯურის მრავალი მეცნიერი, ხელოვანი, ხუცესი და სხვ.), არამედ ისინიც, ვინც პირდაპირ ბურჟუაზიული თავისუფლების ცრურწმენის გავლენის ქვეშ იმყოფება, ყველა ეს ამხედრდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ მთელს მსოფლიოში იმის გამო, რომ საბჭოთა რესპუბლიკამ წარმოშობისთანავე უკუაგდო ეს ბურჟუაზიული სიცრუე და აშკარად განაცხადა: თქვენ თქვენს სახელმწიფოს თავისუფალს უწოდებთ, ნამდვილად კი, ვიდრე კერძო საკუთრება არსებობს, თქვენი სახელმწიფო, თუნდაც იგი დემოკრატიული რესპუბლიკა იყოს, მხოლოდ მანქანაა კაპიტალისტების ხელში მუშების დასათრგუნავად, და, რაც უფრო თავისუფალია სახელმწიფო, მით უფრო მკაფიოდაა ეს გამოხატული. ამის მაგალითია შვეიცარია — ევროპაში, ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები — ამერიკაში. კაპიტალი ისე ცინიკურად და დაუნდობლად არსად არ ბატონობს, და ისე თვალნათლივ არსად არა ჩანს ეს, როგორც სწორედ ამ ქვეყნებში, — თუმცა ეს ქვეყნები დემოკრატიული რესპუბლიკებია — რანაირადაც უნდა იყვნენ ისინი შელამაზებული, მიუხედავად ყოველგვარი სიტყვებისა მშრომელი დემოკრატიის და ყველა მოქალაქის თანასწორობის შესახებ. სინამდვილეში შვეიცარიასა და ამერიკაში კაპიტალი ბატონობს, და მუშების ყოველგვარი ცდა, რომ რამდენადმე მაინც სერიოზულად გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა, მაშინვე სამოქალაქო ომს იწვევს. ამ ქვეყნებში ნაკლები ჯარისკაცები, ნაკლები მუდმივი ჯარია, — შვეიცარიაში არსებობს მილიცია, და თვითეულ შვეიცარიელს თოფი აქვს შინ, ამერიკას უკანასკნელ დრომდე მუდმივი ჯარი არ ჰყავდა, — ამიტომ, როცა გაფიცვა ხდება, ბურჟუაზია იარაღდება, ქირაობს ჯარისკაცებს და ახშობს გაფიცვას, და მუშათა მოძრაობის ეს ჩახშობა არსად ისეთი ულმობელი

მძვინვარებით არ ხდება, როგორც შვეიცარიასა და ამერიკაში, და არსად პარლამენტში ისე მძლავრად არა ჩანს კაპიტალის გავლენა, როგორც სწორედ იქ. კაპიტალის ძალა — ყველაფერია, ბირჟა — ყველაფერია, ხოლო პარლამენტი და არჩევნები — სათამაშო ტიკინებია... მაგრამ, რაც დრო გადის, მით უფრო ეხილება თვალი მუშებს, და მით უფრო ფართოდ ვრცელდება საბჭოთა ძალაუფლების იდეა, მეტადრე იმ სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, რომელიც ჩვენ ახლახან განვიცადეთ. მუშათა კლასისთვის სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება დაუნდობელი ბრძოლის აუცილებლობა კაპიტალისტების წინააღმდეგ.

რაგვარ ფორმებსაც უნდა ამოეფაროს რესპუბლიკა, თუნდაც ეს იყოს უაღრესად დემოკრატიული რესპუბლიკა, თუ იგი ბურჟუაზიულია, თუ იქ დარჩა მიწის, ქარხნების, ფაბრიკების კერძო საკუთრება, და კერძო კაპიტალს დაქირავებულ მონობაში ჰყავს მთელი საზოგადოება, ე. ი., თუ იქ არ სრულდება ის, რასაც აცხადებს ჩვენი პარტიის პროგრამა და საბჭოთა კონსტიტუცია, — ეს სახელმწიფო იქნება ერთის მიერ მეორის ჩაგვრის მანქანა. და ამ მანქანას ხელში ავიღებთ ჩვენ, ის კლასი, რომელმაც კაპიტალის ბატონობა უნდა დაამხოს. ჩვენ უკუვაგდებთ ყველა ძველ ცრურწმენას, თითქოს სახელმწიფო საყოველთაო თანასწორობა იყოს, — ეს მოტყუებაა: ვიდრე არსებობს ექსპლოატაცია, თანასწორობა შეუძლებელია. შეუძლებელია მემამულე მუშის თანასწორი იყოს, მშიერი — მაძღრისა. იმ მანქანას, რომელსაც სახელმწიფო ეწოდებოდა, რომლის წინაშე ადამიანები ცრუმორწმუნეობრივი მოკრძალებით ჩერდებიან, სჯერათ რა ძველი ზღაპარი, რომ ეს საყოველთაო-სახალხო ბატონობა არისო, — პროლეტარიატი ამ მანქანას უკუაგდებს და ამბობს: ეს ბურჟუაზიული სიცრუეა. ჩვენ ეს მანქანა კაპიტალისტებს წავართვით, ხელთ ავიღეთ. ამ მანქანით ანუ კეტით ჩვენ გავანადგურებთ ყოველგვარ ექსპლოატაციას, და, როდესაც ქვეყნად აღარ დარჩება ექსპლოატაციის შესაძლებლობა, აღარ დარჩებიან მიწათმფლობელნი, ფაბრიკების მფლობელნი, აღარ იქნება

ისე, რომ ზოგნი ყელამდე მაძღარი იყვნენ, ზოგნი კი მშიერნი, — მხოლოდ მაშინ, როცა ამის შესაძლებლობა აღარ იქნება,/ჩვენ ამ მანქანას დასამსხვრევად გადავდებთ. მაშინ აღარ იქნება სახელმწიფო, აღარ იქნება ექსპლოატაცია. აი ჩვენი კომუნისტური პარტიის თვალსაზრისი./იმედი მაქვს, რომ ამ საკითხს შემდეგ ლექციებში არა ერთხელ დავუბრუნდებით.

პირველად დაიბეჭდა
1929 წ. 18 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 15

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

მოხსენება რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ რკპ(ბ) მოსკოვის კონფერენციაზე 1919 წ. 12 ივლისს[66]

საგაზეთო ანგარიში

წინა მომხსენებელმა უკვე აღნიშნა, თუ რა მძიმე გრძნობით ვარღვევთ ჩვენი სასურსათო პოლიტიკის სისტემას[67]. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ დახეული ტანსაცმლის სახელდახელო გამონემსვაა ახლის შეძენის ნაცვლად. მაგრამ, როცა ასე ვიქცევით, ჩვენ სწორად ვიქცევით. მოვიგონოთ გასული წელი, როცა სასურსათო მდგომარეობა გაცილებით უფრო უარესი იყო: ჩვენ სრულიად არავითარი სასურსათო რესურსები არ გაგვაჩნდა. და მაშინ ის გარემოება, რომ ჩვენ მოგვიხდა გადახვევა ჩვენი სასურსათო პოლიტიკის პრინციპებიდან, დიდად აფიქრიანებდა ჩვენს რიგებს. ფიქრობდნენ, რომ პატარა დათმობებს დიდი დათმობები მოჰყვებოდა, რაც შეუძლებლად გახდიდა სოციალისტური პოლიტიკის დაბრუნებასო. მაგრამ ეს მართალი არ აღმოჩნდა. თუმცა მძიმე მდგომარეობა იყო, მაგრამ ჩვენ ის გადავიტანეთ. ჩვენი მტრების იმედები არ გამართლდა.

ახლა მდგომარეობა შარშანდელზე გაცილებით უკეთესია: ახლა ჩვენ ისეთი სასურსათო რესურსები გვაქვს, რომელთა შესახებ გასულ წელს ოცნებაც კი არ შეგვეძლო. შარშან მტრის მიერ დაკავებული ტერიტორია გაცილებით უფრო მეტი იყო. ახლა ჩვენ დიდი გამარჯვებები მოვიპოვეთ აღმოსავლეთში, სადაც კოლოსალურ მოსავალს მოელიან. გარდა ამისა, ჩვენ უკვე გამოცდილება გვაქვს. ეს არის უმთავრესი. ამ გამოცდილების საფუძველზე ჩვენ მეტი რწმენით ვამბობთ, რომ დავძლევთ იმ სიძნელეებს, რომლებიც გზაზე გვე-

ლობება. ივლისი ყველაზე ცუდი თვეა არა მარტო სურსათის მხრივ, არამედ იმ აზრითაც, რომ კონტრრევოლუცია თავს მაღლა სწევს.

მაგრამ შარშან კონტრრევოლუციური ტალღაც ქვეყნის შიგნით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ახლა. მემარცხენე ესერების ძოქმედებამ მაშინ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია. ჩვენთვის მოულოდნელი იყო ის შეიარაღებული ბრძოლა, რომელზედაც უეცრად გადავიდნენ ისინი მას შემდეგ, რაც სიტყვით ჩვენ მხარს გვიჭერდნენ. სიძნელეები განუზომელი იყო. მომენტი ძალიან მოხერხებულად იყო შერჩეული. ესერებს უნდოდათ გამოეყენებინათ შიმშილის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ობივატელის განწყობილება. ამავე დროს მურავიოვმა გვიღალატა ფრონტზე. მემარცხენე ესერების აჯანყება ძალიან ჩქარა იქნა ლიკვიდირებული, მაგრამ პროვინციაში რამდენიმე დღის განმავლობაში მაინც სერიოზული მერყეობა იყო.

ახლა, ერთი წლის გამოცდილების წყალობით, ჩვენში დამყარდა უფრო სწორი დამოკიდებულება წვრილბურჟუაზიული პარტიებისადმი. მახნოვშჩინის, გრიგორიევშჩინის გამოცდილებამ, მენშევიკებისა და ესერების მერყეობამ დაგვანახვეს, რომ მათი ზეგავლენა მუშათა და გლეხთა მასებზე მოჩვენებითია. სინამდვილეში მათი ძალა — მოჭორილი ამბავია. ამიტომ, როცა ჩვენ გვატყობინებენ მემარჯვენე ესერების პარტიის ამას წინათ შემდგარი ბჭობის შესახებ, როცა ჩერნოვი აცხადებს: «თუ არა ახლა და არა ჩვენ, მაშ სხვა ვინღა ჩამოაგდებს ბოლშევიკებს?» — ჩვენ ვამბობთ: «არც ისე წვიმს, როგორცა ჰქუხს». ახლა ჩვენ მხოლოდ გვიკვირს, როგორ არ მოსწყინდათ მათ თავიანთი შეცდომების განმეორება. ორი წლის განმავლობაში ჩვენ ვხედავდით «საერთოდ დემოკრატიის» შესახებ მათი ყველა ოცნების სრულ კრახს, და მაინც თვითეული მათი ჯგუფი თავის მოვალეობად სთვლის თავის ყაიდაზე მოახდინოს ეს ცდა. რევოლუციის განვითარება გვიჩვენებს, რომ მათი შეცდომები მეორდება, და ამ განმეორებას უთვალავი უბედურება მოაქვს ჩვენთვის. აღმოსავლეთში

გლეხები მხარს უჭერდნენ ესერებსაც და მენშევიკებსაც, რადგან გლეხებს არ სურდათ ომი და ამავე დროს ისინი გრძნობდნენ, რომ ბოლშევიკები მაგარი ხელისუფლებაა, რომელიც მოსთხოვს მათ ომში მონაწილეობის მიღებას. ამის შედეგად გაჩნდა კოლჩაკი, რომელმაც უთვალავი უბედურება მოუტანა მათ, ამჟამად, უკანდახევისას, ის ყველაფერს სპობს თავის გზაზე, — ქვეყანა სავსებით გაჩანაგებულია, ქვეყნის ტანჯვა განუზომელია, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ განვიცდით. საჭიროა ბურჟუაზიული ლიტერატორების მთელი თვალთმაქცობა, რომ ამ ფაქტების დამნახავებმა ბოლშევიკების სიმხეცეზე ილაპარაკონ.

კოლჩაკის ამბებთან დაკავშირებით ესერებმა და მენშევიკებმა, ისევე როგორც კერენსკის ამბებთან დაკავშირებით, კვლავ იგივე სისხლისმღვრელი პოლიტიკური გზა განვლეს, რამაც ისინი ძველ გამოსავალ წერტილამდე მიიყვანა და რამაც კოალიციის იდეის სრული კრახი დაგვანახვა.

ამჟამად მასებმა ზურგი შეაქცია მათ, და ჩვენ ვხედავთ აჯანყებას ციმბირში, რომელშიც მონაწილეობას იღებენ არა მარტო მუშები და გლეხები, არამედ კულაკებიც კი და ინტელიგენციაც კი. ჩვენ ვხედავთ კოლჩაკოვშჩინის სრულ რღვევას. როგორც ჩანს, თვითეული მათი შეცდომა უნდა განმეორდეს, რომ თვალი აეხილოს შეუგნებელ მასებს. მასები, როცა გამოცდილებით ხედავენ, რომ კოალიცია რეაქციას იწვევს, ჩვენსკენ გადმოდიან, თუმცა მოტეხილი და გაწამებული, მაგრამ გამობრძმედილი და გამოცდილებით ჭკუანასწავლი. იგივე შეიძლება ითქვას ყველა იმპერიალისტზედაც. ისინი აჭიანურებენ ომს, აძლიერებენ ძალღონისაგან დაცლას, მაგრამ ამით მხოლოდ განამტკიცებენ მასებში რევოლუციის აუცილებლობის შეგნებას. თუმცა მეტად მძიმეა ეს წელი, მაგრამ მას ის სარგებლობა მოაქვს, რომ არა მარტო ზედაფენებმა, არამედ ფართო მასებმაც, თვით ყველაზე მივარდნილი მაზრებისა და განაპირა მხარეების გლეხების ჩათვლით, მიიღეს ის გამოცდილება, რომელმაც აიძულა ისინი იმავე დასკვნამდე მისულიყვნენ, რა დასკვნამდისაც ჩვენ მივედით.

ეს ჩვენ გამარჯვების სიმტკიცესა და რწმენას გვაძლევს. უკოლჩაკოდ ციმბირელი გლეხი ერთი წლის განმავლობაში ვერ მივიდოდა იმ რწმენამდე, რომ მას ესაჭიროება ჩვენი, მუშათა ხელისუფლება. ის მხოლოდ ამ წლის მძიმე გამოცდილებამ დაარწმუნა ამაში.

ადვილი შესაძლებელია, რომ მენშევიკებისა და ესერების ლიტერატურული ჯგუფები ისე მოკვდებიან, რომ ვერაფერს გაიგებენ ჩვენი რევოლუციისას, და კიდევ დიდხანს თუთიყუშივით გაიმეორებენ, რომ მათ საუკეთესო ხელისუფლება ეყოლებოდათ ქვეყნიერებაზე — სამოქალაქო ომი რომ არ იყოს, ჭეშმარიტად სოციალისტური და ჭეშმარიტად დემოკრატიული, კოლჩაკი და ბოლშევიკები რომ არ იყვნენ, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა; ასეთი ჯიუტი ჩერჩეტები ყველა რევოლუციაში ყოფილან. მნიშვნელოვანი ის არის, რომ მასები, რომლებიც მათ მიჰყვებოდნენ, შორდებიან მათ. გლეხობის მასები ბოლშევიკების მხარეზე გადმოვიდნენ — ეს ფაქტია. ეს ყველაზე უკეთ დაამტკიცა ციმბირმა. გლეხები არ დაივიწყებენ იმას, რაც მათ კოლჩაკის ბატონობის დროს განიცადეს. რაც უფრო მძიმეა განსაცდელი, მით უფრო კარგად ითვისებენ ბოლშევიკების გაკვეთილებს.

აღმოსავლეთის ფრონტზე ჩვენ ამჟამად ვაღწევთ დიდ გამარჯვებებს, რომლებიც იმედს გვაძლევენ, რომ აღმოსავლეთში რამდენიმე კვირის მანძილზე კოლჩაკის ლიკვიდაციას მოვახდენთ. სამხრეთში გარდატეხა მოხდა ფრონტზე და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გარდატეხა მოხდა ფრონტისპირა გლეხების განწყობილებაში. ეს გლეხები კი მდიდარი გლეხობაა; იქ საშუალო გლეხები კულაკებს გვანან. მაგრამ გარდატეხა მათს განწყობილებაში ჩვენს სასარგებლოდ უკვე მოხდა, ეს ფაქტია, ამას ამტკიცებს დეზერტირების დაბრუნებაც და ჩვენს მიერ სამხედრო წინააღმდეგობის გაწევაც. ქალაქად, ცხოვრების შუაგულში მყოფი მუშები ჩვენს იდეებს უფრო სხდომებიდან, სიტყვებიდან და გაზეთებიდან ითვისებენ. გლეხს ეს არ შეუძლია, მას მხოლოდ ცხოვრების ბამოცდილება არწმუნებს. გლეხები სამხრეთში სიტყვით მზად იყვნენ

შეეჩვენებინათ ბოლშევიკები, მაგრამ, როდესაც მოახლოვდა დენიკინი, რომელიც დემოკრატიაზე გაჰყვიროდა (რადგან მარტო მენშევიკები და ესერები როდი გაჰყვირიან მასზე, — ამ სიტყვას ხვდებით დენიკინის გაზეთის ყოველ სტრიქონში), გლეხებმა დაიწყეს მის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან ძალიან ჩქარა დაინახეს გამოცდილებით, რომ მშვენიერ სიტყვებს ეფარება გაწკეპლვა და ძარცვა-გლეჯა. ტანჯვა და გაჩანაგება სამხრეთის ფრონტისპირა ზოლში იმასვე იწვევენ, რასაც აღმოსავლეთშიც, — ბათ უფრო მტკიცე მონაპოვარნი მოაქვთ ჩვენთვის. ჩვენ ერთი წუთითაც არ დაგვიწყებია ის სიძნელეები, რომლებსაც განვიცდით, ის, რომ საჭიროა ჩვენი ძალების საშინლად დაძაბვა და მობილიზაცია, მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ამის შედეგი იქნება უფრო მტკიცე გამარჯვება. ამ წლის გამოცდილებამ მასებს დაანახვა, რომ ამჟამად შესაძლებელი და საჭიროა მხოლოდ ერთი ხელისუფლება: ბოლშევიკების მუშურ-გლეხური ხელისუფლება. აი რა გვაძლევს რწმენას ვთქვათ, რომ ეს მძიმე ივლისი უკანასკნელი მძიმე ივლისია.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ საერთაშორისო მდგომარეობას, ის მხოლოდ განამტკიცებს ჩვენს რწმენას გამარჯვებაში.

ჩვენს მიმართ ყველა მტრულ სახელმწიფოში იზრდება ჩვენდამი მეგობრული ძალები. ავიღოთ პატარა სახელმწიფოები — ფინეთი, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი. ყოველგვარი ცდა "შეექმნათ იქ მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის კოალიცია ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად — კრახით დამთავრდა, და ვერავითარი ხელისუფლება, გარდა ჩვენი ხელისუფლებისა, ვერ იქნება იქ შესაძლებელი.

იგივეა მსხვილ სახელმწიფოებშიც. ავიღოთ გერმანია. ვერსალის ზავის ხელმოწერისთანავე იქ დაიწყო უდიდესი რევოლუციური მოძრაობა. ანტანტის საფრთხობელა თავიდან აცილებულია, და მუშა ფეხზე დგება, მიუხედავად პროლეტარიატის მიერ გაღებული ყველა მსხვერპლისა. ამ წლის განმავლობაში გერმანიამ რამდენადმე სხვა სახით განიცადა

იგივე გამოცდილება, რაც ჩვენ განვიცადეთ, რაც ციმბირმა განიცადა, — გამოცდილება, რომელიც კომუნისტურ რევოლუციას იწვევს. ანტანტა? გამარჯვებულნი? ისინი ამბობენ, რომ გამარჯვებით უშიშარყვეს თავი, მაგრამ ზავზე ხელის მოწერა ვერც კი მოასწრეს, რომ ნათელი გახდა, რომ ზავზე ხელის მოწერა საკუთარი თავის მიმართ განაჩენის ხელმოწერაა. მასების მოძრაობა მათ წინააღმდეგ ძლიერდება. აი რატომაა, რომ, ვითვალისწინებთ რა ყველაფერს განცდილს, ამ წლის მთელ გამოცდილებას, დარწმუნებით ვამბობთ, რომ დავძლევთ სიძნელეებს, რომ ეს ივლისი — უკანასკნელი მძიმე ივლისია, შემდგომ ივლისს კი ჩვენ შევხვდებით საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებით, — და ეს გამარჯვება სრული და ხელშეუვალი იქნება.

«პრავდა» № 154,
1919 წ. 16 ივლისი

«ბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

III ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ

(რამსეი მაკდონალდი III ინტერნაციონალის შესახებ)

ფრანგული სოციალ-შოვინისტური გაზეთის «L'Humanité»-ს («კაცობრიობა»)[68] 5475-ე ნომერში, 1919 წ. 14 აპრილს, მოთავსებულია მოწინავე სტატია ბრიტანეთის ეგრეთწოდებული «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» — სინამდვილეში ეს არის ბურჟუაზიაზე მუდამ დამოკიდებული ოპორტუნისტული პარტია — ცნობილი ბელადის რამსეი მაკდონალდისა. ეს სტატია იმდენად ტიპიურია იმ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს პოზიციისათვის, რომელსაც «ცენტრს» უწოდებენ და რომელსაც ასეთი სახელი უწოდა კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესმა მოსკოვში, რომ ის მ თ ლ ი ა ნ ა დ მოგვყავს «L'Humanité»-ს რედაქციის შესავალ სტრიქონებთან ერთად.

მესამე ინტერნაციონალი

ჩვენი მეგობარი რამსეი მაკდონალდი ომამდე მუშათა პარტიის პოპულარული ლიდერი იყო თემთა პალატაში. როგორც მტკიცე სოციალისტმა და ურყევი რწმენის ადამიანმა მან თავის ვალდებულებად მიიჩნია ამ ომის დაგმობა, როგორც იმპერიალისტური ომისა, იმათ წინააღმდეგ, ვინც მას ეგებებოდა, როგორც სამართლისათვის დაწყებულ ომს. ამის გამო მან 4 აგვისტოს შემდეგ უარი თქვა «მუშათა პარტიის» (Labour Party) ხელმძღვანელის როლზე და თავის ამხანაგებთან, «Independent»-ის («დამოუკიდებელი მუშათა პარტიის») წევრებთან ერთად, კეირ-ჰარდთან ერთად, რომლითაც ჩვენ ყველანი აღტაცებული ვიყავით, უშიშრად ომი გამოუცხადა ომს.

საამისოდ ცოტა გმირობა როდი იყო საჭირო, გმირობა, რომელიც დღითი დღე მეორდება.

მაკდონალდმა საკუთარი მაგალითით დაგვანახვა, რომ ვაჟკაცობა, ჟორესის სიტყვებით რომ ვთქვათ, «ის არის, რომ არ დაემორჩილო გამარჯვებული სიცრუის კანონს და ბრიყვთა ტაშისა და ფანატიკოსთა სტვენის გამოძახილად არ გადაიქცე».

«ნაბრძანები» * არჩევნებში ნოემბრის დამლევს მაკდონალდი დაამარცხა ლოიდ-ჯორჯმა. ჩვენ შეგვიძლია გულდამშვიდებული ვიყოთ, — მაკდონალდი სამაგიეროს გადაუხდის, და ეს სულ ახლო მომავალში იქნება.

სეპარატისტული ტენდენციების წარმოშობა სოციალიზმის ნაციონალურ და ინტერნაციონალურ პოლიტიკაში უბედურება იყო მთელი სოციალისტური მოძრაობისთვის.

რა თქმა უნდა, არავითარი უბედურება არ არის იმაში, რომ სოციალიზმის შიგნით აზრთა სხვადასხვა ელფერი და მეთოდთა სხვადასხვაობა არსებობს. ჩვენი სოციალიზმი ხომ ჯერ კიდევ ექსპერიმენტების სტადიაში იმყოფება.

მისი ძირითადი პრინციპები დადგენილია, მაგრამ ამ პრინციპების საუკეთესოდ გამოყენების საშუალება, კომბინაციები, რომლებიც რევოლუციის გამარჯვებას უზრუნველყოფენ, სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზაცია — ყველა ეს საკითხი ჯერ კიდევ განსახილველია და მათ შესახებ ჯერ კიდევ არ თქმულა უკანასკნელი სიტყვა. მხოლოდ ყველა ამ საკითხის ღრმა შესწავლით შეიძლება უფრო მაღალ ჭეშმარიტებას მივაღწიოთ.

უკიდურესობანი შეიძლება ერთმანეთს შეეჯახონ, და ასეთი ბრძოლა ხელს შეუწყობს სოციალისტურ შეხედულებათა განმტკიცებას, მაგრამ ბოროტება იწყება, როცა ყოველ პიროვნებას, თავისი მოწინააღმდეგე გამცემლად, ისეთ მორწმუნედ მიაჩნია, რომელმაც მადლი დაჰკარგა და რომლის წინაშე უნდა დაიხუროს პარტიული სამოთხის კარი.

როცა სოციალისტებს დოგმატიზმის სული იპყრობს, ისეთივე, როგორიც ოდესღაც ქრისტიანობაში სამოქალაქო ომს აღვივებდა ღვთის სადიდებლად და ეშმაკის დასათრგუნავად, ბურჟუაზიას შეუძლია გულდამშვიდებულად მოისვენოს, რადგან მისი ბატონობის პერიოდი ჯერ არ დამთავრებულა, რაც უნდა დიდი იყოს სოციალიზმის მიერ მიღწეული ადგილობრივი და საერთაშორისო წარმატებანი.

ამჟამად ჩვენს მოძრაობას, სამწუხაროდ, გზაზე ახალი დაბრკოლება ელობება. მოსკოვში ახალი ინტერნაციონალი დაარსდა.

---

* სიტყვასიტყვით «ხაკი»: ასე უწოდეს მათ ჯარისკაცებმა, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ მთავრობის კანდიდატებისთვის მიეცათ ხმა.

მე პირადად ეს ფაქტი დიდად მაწუხებს, — სოციალისტური ინტერნაციონალის კარი ამჟამად ხომ საკმაოდ ღიაა სოციალისტური აზროვნების ყველა სახეობისთვის, და, მიუხედავად ყველა იმ თეორიული და პრაქტიკული უთანხმოებისა, რაც მასში ბოლშევიზმმა შექმნა, მე ვერ ვხედავ მიზეზს, რად უნდა გამოეყოს ცენტრს სოციალისტური ინტერნაციონალის მემარცხენე ფრთა და დამოუკიდებელი ჯგუფი შექმნას.

უწინარეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ რევოლუციის მშობიარობის პერიოდს განვიცდით. მართვა-გამგეობის ფორმები, რომლებიც ომით გამოწვეულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა განადგურებამ წარმოშვა, ჯერ კიდევ შემოწმებული არ არიან და არ შეიძლება საბოლოოდ დადგენილად ჩაითვალონ.

ახალი ცოცხი თავდაპირველად საოცრად კარგად ჰგვის, მაგრამ არ შეიძლება წინასწარ დარწმუნებით ითქვას, ბოლოს როგორ იმუშავებს.

რუსეთი უნგრეთი არ არის, უნგრეთი — საფრანგეთი და საფრანგეთი — ინგლისი; ამიტომ ვინც მარტო ერთი რომელიმე ერის გამოცდილებით ხელმძღვანელობს და ინტერნაციონალში გათიშვა შეაქვს, ის დანაშაულებრივ გონებრივ შეზღუდულობას იჩენს.

მართლაც, რა ღირებულებას წარმოადგენს რუსეთის გამოცდილება? ვინ მოგვცემს ამის პასუხს? მოკავშირე მთავრობებს ეშინიათ სრული გაცნობის შესაძლებლობა მოგვცენ. მაგრამ არის ორი რამ, რაც ჩვენ ვიცით.

უწინარეს ყოვლისა ვიცით, რომ რუსეთის დღევანდელ მთავრობას რევოლუცია არ მოუხდენია წინასწარ შედგენილი გეგმით. რევოლუცია გაიშალა მოვლენათა მსვლელობასთან დაკავშირებით. როცა ლენინმა კერენსკის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, ის დამფუძნებელი კრების მოწვევას მოითხოვდა. მოვლენებს ის მოჰყვა, რომ მან ეს კრება გარეკა. როცა რუსეთში სოციალისტურმა რევოლუციამ იფეთქა, არავის ეგონა, რომ საბჭოები მთავრობაში იმ ადგილს დაიკავებდნენ, რომელიც მათ დაიკავეს.

შემდეგ, ლენინი სრულიად სამართლიანად არწმუნებდა უნგრელებს, რომ მათ მონურად არ წაებაძათ რუსეთისთვის და უნგრეთის რევოლუციისთვის შესაძლებლობა მიეცათ თავისუფლად განვითარებულიყო, თავისი საკუთარი სულისკვეთების მიხედვით.

იმ გამოცდილების განვითარებას და მერყეობას, რომლის მოწმენი ჩვენა ვართ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოეწვია გათიშვა ინტერნაციონალის შიგნით.

ყველა სოციალისტურ მთავრობას ესაჭიროება ინტერნაციონალის დახმარება და რჩევა. ინტერნაციონალმა მათს ცდას ბეჯითად და კრიტიკულად უნდა ადევნოს თვალყური.

ერთმა მეგობარმა, რომელმაც ლენინი ამ ცოტა ხნის წინათ ნახა, ესაარის მითხრა, რომ საბჭოთა მთავრობას არავინ ისე თავისუფლად არ აკრიტიკებს, როგორც თვით ლენინი.

* *
*

თუ ომისშემდგომი არეულობა და რევოლუციები გათიშვას არ ამართლებენ, შეიძლება მას ის პოზიცია ამართლებდეს, რომელიც ომის დროს ზოგიერთმა სოციალისტურმა ფრაქციამ დაიკავა? გულახდილად ვაღიარებ, რომ აქ შეიძლებოდა უფრო გონიერი მიზეზის პოვნა. მაგრამ თუ ინტერნაციონალის გათიშვისთვის რაიმე საბაბი მართლაც არსებობს, ყოველ შემთხვევაში მოსკოვის კონფერენციაზე ეს საკითხი მეტად უხეიროდ იყო დაყენებული.

მე ამ შეხედულების მომხრეთა რიცხვს ვეკუთვნი, რომ ბერნის კონფერენციაზე ატეხილი კამათი ომის პასუხისმგებლობის საკითხზე მ ხ ო ლ ო დ დ ა თ მ ო ბ ა ი ყ ო ა რ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი წ რ ე ე ბ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი ა ზ რ ი ს ა დ მ ი.

ბერნის კონფერენციაზე არათუ შეუძლებელი იყო ამ საკითხზე ისეთი გადაწყვეტილების გამოტანა, რომელსაც რაიმე ისტორიული ღირებულება ექნებოდა (თუმცა შეიძლებოდა მას რაიმე პოლიტიკური ღირებულება ჰქონებოდა), არამედ თვით საკითხიც ვერ იყო სათანადოდ დაყენებული.

გერმანელთა უმრავლესობის დაგმობა (დაგმობა, რომელიც სავსებით დაიმსახურა გერმანელთა უმრავლესობამ, და რომელსაც მეც სიამოვნებით შევუერთდი) ომის მიზეზების განმარტებად ვერ გამოდგებოდა.

ბერნში გამართულ კამათს არ მოჰყოლია იმ პოზიციის გულახდილი განხილვა, რომელიც სხვა სოციალისტებმა დაიკავეს ომის მიმართ.

იქ მოქმედების არავითარი ფორმულა არ მოუციათ, რომელიც სავალდებულო იქნებოდა სოციალისტებისთვის ომის დროს. ყველაფერი, რაც მანამდე ინტერნაციონალის მიერ ითქვა, იმაში მდგომარეობდა, რომ, როცა ომს ნაციონალური თავდაცვის ხასიათი აქვს, სოციალისტები სხვა პარტიებთან უნდა გაერთიანდნენო.

ვინ უნდა გავიცხოთ ასეთ პირობებში?

ზოგიერთმა ჩვენგანმა იცოდა, რომ ინტერნაციონალის ამ გადაწყვეტილებებს მნიშვნელობა არ ჰქონდათ და არც საქმის პრაქტიკული ხელმძღვანელობისთვის გამოდგებოდნენ.

ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ომი იმპერიალიზმის გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო, და, რადგან არც პაციფისტები ვიყავით და არც ანტიპაციფისტები, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, იმ პოლიტიკას მივემხრეთ, რომელიც, ჩვენი აზრით, ერთადერთი შეეფერებოდა ინტერნაციონალიზმს. მ ა გ რ ა მ ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ს არასოდეს არ უკარნახებია ჩვენთვის მოქმედების ასეთი გეზი.

აი რატომ მოხდა, რომ იმ მომენტში, როცა ომი დაიწყო, ინტერნაციონალმა კრახი განიცადა. მან დაჰკარგა ავტორიტეტი და ვერც ერთი დადგენილება ვერ გამოსცა, რომლის საფუძველზე ჩვენ უფლება გვექნებოდა

დღეს გაგვეკიცხა ისინი, ვინც კეთილსინდისიერად ასრულებდნენ საერთაშორისო ყრილობების რეზოლუციებს.

ამის გამო ამჟამად ასეთი თვალსაზრისი უნდა დავიცვათ: ნაცვლად ომისა, რომ ერთმანეთს დავშორდეთ უთანხმოებისათვის წარსული ამბების გამო, შევქმნათ ნამდვილად აქტიური ინტერნაციონალი, რომელიც დაეხმარება სოციალისტურ მოძრაობას რევოლუციისა და მშენებლობის იმ პერიოდში, რომელშიც ფეხი შევდგით.

აუცილებლად საჭიროა ჩვენი სოციალისტური პრინციპების აღდგენა. აუცილებლად საჭიროა მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ ინტერნაციონალურ სოციალისტურ მოქმედებას.

ხოლო თუ აღმოჩნდება, რომ ჩვენ არსებითად არ ვეთანხმებით ერთმანეთს ამ პრინციპებში, თუ ვერ შევთანხმდებით თავისუფლებისა და დემოკრატიის საკითხში, თუ ჩვენი შეხედულებები იმ პირობებზე, როცა პროლეტარიატს ძალაუფლების აღება შეუძლია, საბოლოოდ დაშორდებიან ერთმანეთს, თუ, ბოლოს, აღმოჩნდება, რომ ომმა იმპერიალიზმის შხამით მოწამლა ინტერნაციონალის ზოგიერთი სექცია, — მაშინ გათიშვა შესაძლებელია.

მაგრამ არა მგონია, რომ ასეთი უბედურება მოხდეს.

და ამიტომ გული მატკინა მოსკოვის მანიფესტმა, .როგორც, სულ ცოტა, ნაადრევმა და, რა თქმა უნდა, უსარგებლომ; იმედი მაქვს, რომ ჩემი ფრანგი ამხანაგები, რომლებსაც უკანასკნელი ოთხი ბედუკუღმართი წლის განმავლობაში ამდენი ცილი დასწამეს და ამდენი უსიამოვნება დაატყდათ თავს, მოუთმენლობას არ გამოიჩენენ და თავის მხრივ ხელს არ შეუწყობენ ინტერნაციონალური სოლიდარობის დარღვევას.

წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შვილებს ხელახლა მოუხდებოდათ ამ სოლიდარობის აღდგენა, თუ პროლეტარიატს უწერია ოდესმე ქვეყნიერება მართოს.

ჯ. რამსეი მაკდონალდი

როგორც მკითხველი ხედავს, ამ სტატიის ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ გათიშვა საჭირო არ არისო. პირიქით, სწორედ გათიშვის აუცილებლობა გამომდინარეობს იქიდან, რასაც ლაპარაკობს რამსეი მაკდონალდი, II ინტერნაციონალის ეს ტიპიური წარმომადგენელი, შეიდემანისა და კაუცკის, ვანდერველდესი და ბრანტინგის და სხვათა და სხვათა ღირსეული თანამებრძოლი.

რამსეი მაკდონალდის სტატია საუკეთესო ნიმუშია იმ გაშალაშინებული, კეთილხმოვანი, შაბლონური, ალბათ, სოცია-

ლისტური ფრაზებისა, რომელთაც ყველა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაში დიდი ხანია იყენებენ ბურჟუაზიული პოლიტიკის დასაფარავად მუშათა მოძრაობის შიგნით.

I

დავიწყოთ ნაკლებმნიშვნელოვანი, მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელი ამბით. ავტორი, კაუცკის მსგავსად (მის ბროშურაში «პროლეტარიატის დიქტატურა»), იმეორებს ბურჟუაზიულ სიცრუეს, თითქოს რუსეთში წინდაწინ არავინ ხედავდა საბჭოების როლს, თითქოს მე და ბოლშევიკებმა კერენსკის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ დამფუძნებელი კრების გულისთვის დავიწყეთ.

ეს ბურჟუაზიული სიცრუეა. ნამდვილად მე უკვე 1917 წ. 4 აპრილს, პეტროგრადში ჩამოსვლის პირველ დღესვე, წამოვაყენე «თეზისები», სადაც მოვითხოვდი ს ა ბ ჭ ო თ ა რესპუბლიკას და არა ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ - პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ს. კერენსკის დროს მე ეს მრავალჯერ გავიმეორე პრესაში და კრებებზე. ბოლშევიკების პარტიამ საქვეყნოდ და ოფიციალურად განაცხადა ეს თავისი კონფერენციის გადაწყვეტილებებში 1917 წლის 29 აპრილს [69]. ამის არ ცოდნა იმას ნიშნავს, რომ ა რ გ ი ნ დ ო დ ე ს სიმართლე იცოდე რუსეთის სოციალისტური რევოლუციის შესახებ. ვისაც არა სურს გაიგოს, რომ ბურჟუაზიულ-პარლამენტური რესპუბლიკა დამფუძნებელი კრებითურთ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ასეთივე რესპუბლიკასთან შედარებით, რომელსაც დამფუძნებელი კრება ა რ ა ა ქ ვ ს, ხოლო ს ა ბ ჭ ო თ ა რესპუბლიკა წინგადადგმული ორი ნაბიჯია მასთან შედარებით, ვისაც ამის გაგება არა სურს, ის თვალს ხუჭავს განსხვავებაზე ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის.

ვინც სოციალისტს უწოდებს თავს და ამ განსხვავებას ვერ ხედავს დღეს, როცა რუსეთში ამ საკითხის დაყენების შემდეგ ორმა წელმა განვლო, როცა რუსეთში საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების შემდეგ წელიწადნახევარმა განვლო, ის «არასოციალისტური წრეების საზოგადოებრივი აზრის»,

ესე იგი ბურჟუაზიის იდეებისა და პოლიტიკის სრულ ტყვეობაში იმყოფება.

გათიშვა ასეთ ადამიანებთან საჭიროც არის და აუცილებელიც, რადგან სოციალისტურ რევოლუციას ვერ მოახდენ ისეთ ადამიანებთან ხელიხელჩაკიდებული, ვინც ბურჟუაზიისაკენ მიიწევს.

და თუ რამსეი მაკდონალდის ან კაუცკისა და სხვათა მსგავსმა ადამიანებმა არ მოისურვეს იმ სულ პატარა «სიძნელის» დაძლევაც კი, რასაც ამ «ბელადებისთვის» იმ დოკუმენტების გაცნობა წარმოადგენდა, რომლებიც შეეხებოდნენ ბოლშევიკების დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ამ საკითხის დაყენებას 1917 წლის 25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) წინ და შემდეგ, განა სასაცილო არ იქნებოდა, რომ ასეთი ადამიანებისაგან მოველოდეთ სოციალისტური რევოლუციის გულისთვის ნამდვილი ბრძოლის გაცილებით მეტი სიძნელის დაძლევის მზადყოფნასა და უნარს?

ყველაზე უარესი ყრუ ის არის, ვისაც არა სურს გაიგონოს.

II

გადავიდეთ მეორე ტყუილზე (იმ უთვალავ ტყუილთა შორის, რომლითაც აღსავსეა რამსეი მაკდონალდის სტატია, რადგან ამ სტატიაში, მგონი, ტყუილი მეტია, ვიდრე სიტყვები). ეს ტყუილი თითქმის ყველაზე მნიშვნელოვანია.

ჯ. რ. მაკდონალდი ამტკიცებს, თითქოს ინტერნაციონალს 1914 — 1918 წლების ომამდე მხოლოდ ის ეთქვას, რომ «როცა ომს ნაციონალური თავდაცვის ხასიათი აქვს, სოციალისტები სხვა პარტიებთან უნდა გაერთიანდნენო».

ეს ჭეშმარიტების საშინელი, აღმაშფოთებელი ღალატია.

ყველამ იცის, რომ ბაზელის 1912 წლის მანიფესტი ერთხმად მიიღო ყველა სოციალისტმა და ინტერნაციონალის ყველა დოკუმენტიდან ეს მანიფესტი ერთადერთია, რომელიც ეხება სწორედ იმ ომს ინგლისელ და გერმანელ იმპერიალისტ მტაცებელთა ჯგუფებს შორის, რომელიც 1912 წელს

ყველასათვის აშკარად მზადდებოდა და რომელმაც 1914 წელს იფეთქა. სწორედ ამ ომის შესახებ ბაზელის მანიფესტმა სამი რამ თქვა, რასაც მაკდონალდი აფუჩეჩებს და ამით სოციალიზმის წინაშე უდიდეს დანაშაულს სჩადის და ამტკიცებს, რომ მაკდონალდის მსგავს ადამიანებს უსათუოდ უნდა გამოვეთიშოთ, რადგან ისინი საქმით ბურჟუაზიას ემსახურებიან და არა პროლეტარიატს.

ეს სამი რამ შემდეგია:

ომი, რომელიც გვემუქრება, არ შეიძლება გამართლებულ იქნას ნაციონალური თავისუფლების ინტერესების ნასახითაც კი;

მუშების მხრივ დანაშაული იქნებოდა ამ ომში ერთმანეთს ტყვია დაუშინონ;

ომს პროლეტარული რევოლუციისკენ მივყავართ.

აი ის სამი მთავარი, ძირითადი ჭეშმარიტება, რომელთა «დავიწყებით» მაკდონალდი (თუმცა მან ომამდე მოაწერა მათ ხელი) ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი ბურჟუაზიის მხარეზე გადადის პროლეტარიატის წინააღმდეგ და ამით ამტკიცებს, რომ გათიშვა აუცილებელია.

კომუნისტური ინტერნაციონალი ვერ დათანხმდება ისეთ პარტიებთან ერთიანობაზე, რომელთაც არა სურთ ამ ჭეშმარიტების აღიარება და არ შეუძლიათ ს ა ქ მ ი თ დაამტკიცონ, რომ მზად არიან, გაბედულება და უნარი შესწევთ ეს ჭეშმარიტება მასების შეგნებაში შეიტანონ.

ვერსალის ზავმა თვით უგუნურებსა და ბრმებსაც, თვით ბეც ადამიანთა მასებსაც კი დაუმტკიცა, რომ ანტანტა ისეთივე სისხლისმსმელი და ბინძური იმპერიალისტური მტაცებელი იყო და დარჩა, როგორც გერმანია. ამის არდანახვა შეეძლოთ ან თვალთმაქცებსა და მატყუარებს, რომლებიც შეგნებულად ატარებენ ბურჟუაზიულ პოლიტიკას მუშათა მოძრაობაში, ბურჟუაზიის პირდაპირ აგენტებსა და ნოქრებს (**labor lieutenants of the capitalist class**, მუშა ოფიცრები კაპიტალისტების კლასის სამსახურში, როგორც ამერიკელი სოციალისტები ამბობენ), ან ბურჟუაზიულ იდეებსა და ბურჟუაზიულ

გავლენას იმდენად დამორჩილებულ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ სიტყვით არიან სოციალისტები, საქმით კი წვრილი ბურჟუები, ფილისტერები, კაპიტალისტების დამქაშები არიან. განსხვავება პირველ და მეორე კატეგორიას შორის მნიშვნელოვანია პიროვნებათა თვალსაზრისით, ე. ი. ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტთა შორის ივანეს ან პეტრეს შესაფასებლად. პოლიტიკოსისთვის, ე. ი. მილიონობით ადამიანის, კლასების ურთიერთობის თვალსაზრისით ეს განსხვავება უმნიშვნელოა.

ის სოციალისტები, რომლებმაც 1914—1918 წლების ომის დროს ვერ გაიგეს, რომ ეს ომი დანაშაულებრივი, რეაქციული, მძარცველური, იმპერიალისტური ომია ორივე მხრივ, სოციალ-შოვინისტები არიან, ე. ი. სოციალისტები სიტყვით, შოვინისტები საქმით; სიტყვით მუშათა კლასის მეგობრები არიან, საქმით კი «თავიანთი» ნაციონალური ბურჟუაზიის ლაქიები, რომლებიც ხალხის მოტყუებაში ეხმარებიან ბურჟუაზიას იმით, რომ «ნაციონალურ», «განმათავისუფლებელ», «თავდაცვითს», «სამართლიან» და სხვა ომად გვიხატავენ ომს თანაბრად ბინძურ, ანგარებიან, სისხლისმსმელ, დამნაშავე, რეაქციულ ინგლისელ და გერმანელ იმპერიალისტ-მტაცებელთა ჯგუფებს შორის.

ერთიანობა სოციალ-შოვინისტებთან რევოლუციის ღალატია, პროლეტარიატის ღალატი, სოციალიზმის ღალატი და ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლაა, რადგან ეს არის «ერთიანობა» «საკუთარი» ქვეყნის ნაციონალურ ბურჟუაზიასთან ინტერნაციონალური რევოლუციური პროლეტარიატის ერთიანობის წინააღმდეგ, ეს არის ერთიანობა ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის წინააღმდეგ.

1914—1918 წლების ომმა ეს საბოლოოდ დაამტკიცა. ვინც ეს ვერ გაიგო, დაე ის სოციალ-გამცემლების ბერნის ყვითელ ინტერნაციონალში დარჩეს.

III

რამსეი მაკდონალდი იმ «სალონური» სოციალისტის სასაცილო გულუბრყვილობით, რომელიც ჰაერში ისვრის სიტყვებს და სრულიად არ ესმის მათი სერიოზული მნიშვნელობა,

სრულიად არ ფიქრობს იმაზე, რომ სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს, აცხადებს: ბერნში «დაუთმეს არასოციალისტური წრეების საზოგადოებრივ აზრსო».

სწორედ ასეა! ბერნის მთელ ინტერნაციონალს ჩვენ ვთვლით ყვითელ, გამცემლურ, მოღალატურ ინტერნაციონალად, რადგან მთელი მისი პოლიტიკა ეს არის «დათმობა» ბურჟუაზიისადმი.

რამსეი მაკდონალდმა საუცხოოდ იცის, რომ ჩვენ ავაგეთ III ინტერნაციონალი და უყოყმანოდ გავწყვიტეთ კავშირი II ინტერნაციონალთან, რადგან დავრწმუნდით, რომ იგი არარაა, გამოუსწორებელია, რომ იგი ასრულებს იმპერიალიზმის მსახურისა და მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიული გავლენის, ბურჟუაზიული სიცრუისა და ბურჟუაზიული გარყვნილების გამტარებლის როლს. თუ რამსეი მაკდონალდი, სურს რა იმსჯელოს III ინტერნაციონალზე, გვერდს უვლის საქმის დედაარსს, გარშემო უტრიალებს მას, ლაპარაკობს ცარიელ ფრაზებს და არაფერს ამბობს იმის შესახებ, რის შესახებაც საჭიროა ლაპარაკი, ეს მისი ბრალი და მისი დანაშაულია. ვინაიდან პროლეტარიატს ესაჭიროება სიმართლე, და მისი საქმისათვის იმაზე უფრო მავნე არაფერია, როგორც ლამაზი, დარბაისლური, ობივატელური სიცრუე.

საკითხი იმპერიალიზმისა და მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმთან, მუშათა ბელადების მიერ მუშათა საქმის ღალატთან მისი კავშირის შესახებ დიდი ხანია, ძალიან დიდი ხანია დასმულია.

მარქსი და ენგელსი ორმოცი წლის განმავლობაში, 1852-დან 1892 წლამდე, მუდამ მიუთითებდნენ ინგლისის მუშათა კლასის ზედაფენების გაბურჟუებაზე ინგლისის ეკონომიურ თავისებურებათა გამო (კოლონიები; მონოპოლია მსოფლიო ბაზარზე და სხვ.)[70]. მარქსმა გასული საუკუნის 70-იან წლებში მოიპოვა მაშინდელი «ბერნის» ინტერნაციონალური მიმართულების საზიზღარი გმირების, ოპორტუნისტებისა და რეფორმისტების საპატიო სიძულვილი იმის გამო,

რომ მან სამარცხვინო ბოძზე გააკრა ინგლისის ტრედ-უნიონების ბევრი ბელადი, როგორც ისეთი ადამიანები, რომლებიც მიეყიდნენ ბურჟუაზიას ან სასყიდელს იღებდნენ მისგან იმისათვის, რომ ისინი მუშათა მოძრაობის **შიგნიდან** სამსახურს უწევდნენ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს კლასს.

ინგლისელების და ბურების ომის დროს ანგლო-საქსურმა პრესამ უკვე სავსებით ნათლად დააყენა იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უახლესი (და უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი) სტადიის საკითხი. თუ მეხსიერება არ მღალატობს, სწორედ რამსეი მაკდონალდი გამოვიდა მაშინ «ფაბიანური საზოგადოებიდან», «ბერნის» ინტერნაციონალის ამ წინაპრიდან, ოპორტუნიზმის ამ კერიდან და ნიმუშიდან, რომელიც გენიალური სიძლიერით, სიცხადითა და სიმართლით დაახასიათა ენგელსმა ზორგესთან მიწერ-მოწერაში[7]. «ფაბიანური იმპერიალიზმი» — ასეთი იყო მაშინ გავრცელებული გამოთქმა ინგლისის სოციალისტურ ლიტერატურაში.

თუ რამსეი მაკდონალდმა დაივიწყა ეს, მით უარესი მისთვის.

«ფაბიანური იმპერიალიზმი» და «სოციალ-იმპერიალიზმი», ეს ერთი და იგივეა: სოციალიზმი სიტყვით, იმპერიალიზმი საქმით, ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი ს გ ა დ ა ზ რ დ ა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ა დ. ეს მოვლენა ახლა, 1914 — 1918 წლების ომის დროს და მის შემდეგ, მ ს ო ფ ლ ი ო ფაქტი გახდა. მისი გაუგებლობა «ბერნის», ყვითელი, ინტერნაციონალის უდიდესი სიბეცე და მისი უდიდესი დანაშაულია. ოპორტუნიზმი ანუ რეფორმიზმი გარდუვალად უნდა გადაზრდილიყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მქონე ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ა დ ანუ სოციალ-შოვინიზმად, რადგან იმპერიალიზმმა გამოჰყო ერთი მუჭა უმდიდრესი, მოწინავე ერები, რომლებიც ძარცვავენ მთელ მსოფლიოს, და მით საშუალება მისცა ამ ქვეყნების ბურჟუაზიას მ ო ე ს ყ ი დ ა თავისი მონოპოლისტური ზემოგების (იმპერიალიზმი არის მონოპოლისტური

კაპიტალიზმი) ხარჯზე ამ ქვეყნების მუშათა კლასის ზედაფენები.

იმპერიალიზმის დროს ამ ფაქტის ეკონომიური გარდუვალობის არ დანახვა შეუძლიათ ან ნამდვილ უმეცრებს, ან თვალთმაქცებს, რომლებიც ატყუებენ მუშებს, იმეორებენ რაზოგად ადგილებს კაპიტალიზმის შესახებ და ამრიგად ფარავენ მწარე სინამდვილეს იმის შესახებ, რომ მთელი მიმდინარეობა სოციალიზმში იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა.

ამ ფაქტიდან კი გამომდინარეობს ორი უდავო დასკვნა:

დასკვნა პირველი: «ბერნის» ინტერნაციონალი ფაქტიურად, მისი ნამდვილი ისტორიული და პოლიტიკური როლის მიხედვით, მიუხედავად მისი ამა თუ იმ წევრის კეთილი ნებისა და გულუბრყვილო სურვილებისა, არის ორგანიზაცია საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტებისა, რომლებიც მოქმედებენ მუშათა მოძრაობის შიგნით, ატარებენ მასში ბურჟუაზიულ გავლენას, ბურჟუაზიულ იდეებს, ბურჟუაზიულ სიცრუესა და ბურჟუაზიულ გარყვნილებას.

დიდიხნის დემოკრატიულ-პარლამენტური კულტურის ქვეყნებში ბურჟუაზიამ საუცხოოდ ისწავლა მოქმედება არა მარტო ძალმომრეობით, არამედ აგრეთვე მოტყუებით, მოსყიდვით, მლიქვნელობით, ამ ხერხების უაღრესად დახვეწილი ფორმებით. ინგლისის «მუშათა ბელადების» (ე. ი. მუშების მოტყუების საქმეში ბურჟუაზიის ნოქრების) «საუზმეები» ტყუილად კი არ გახდა ცნობილი და მის შესახებ ლაპარაკობდა ჯერ კიდევ ენგელსი[72]. ასეთივე ხასიათის ფაქტია ბატონ კლემანსოს მიერ სოციალ-გამცემელ მერჰეიმის «მომხიბვლელი» მიღება, ანტანტის მინისტრების მიერ «ბერნის» ინტერნაციონალის ბელადების თავაზიანი მიღება და სხვა ასეთები. «თქვენ მათ გაწრთვნით, ჩვენ კი მათ ვიყიდით», — ეუბნებოდა ერთი ჭკვიანი ინგლისელი კაპიტალისტი ქალი ბატონ სოციალ-იმპერიალისტ ჰაინდმანს, რომელმაც თავის მემუარებში გვიამბო, თუ როგორ აფასებდა ეს ქალბატონი—

უფრო გამჭრიახი, ვიდრე «ბერნის» ინტერნაციონალის ყველა ბელადი, ერთად აღებული, — სოციალისტ-ინტელიგენტთა «შრომას» მუშათა წრიდან გამოსული სოციალისტი ბელადების გაწრთვნაში.

ომის დროს, როცა ვანდერველდეები, ბრანტინგები და გამცემლების მთელი ეს ბანდა აწყობდა «საერთაშორისო» კონფერენციებს, საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები ძალიან გესლიანად და ძალიან სწორად იცინოდნენ: «ამ ვანდერველდეებს რაღაც ფილენჯის მსგავსი სენი სჭირთ. როგორც ფილენჯით დაავადებულ ადამიანებს ორი ფრაზის თქმაც კი არ შეუძლიათ ისე, რომ უცნაურად არ აუთამაშდეთ სახის კუნთები, ასევე ვანდერველდეებს არ შეუძლიათ პოლიტიკური გამოსვლა, თუ თუთიყუშივით არ გაიმეორეს სიტყვები: ინტერნაციონალიზმი, სოციალიზმი, მუშათა საერთაშორისო სოლიდარობა, პროლეტარიატის რევოლუცია და სხვ.. დაე იმეორონ რა საკრამენტალური ფორმულებიც სურთ, ოღონდ კი დაგვეხმარონ მუშების მოტყუებაში და სამსახური გაგვიწიონ ჩვენ, კაპიტალისტებს, იმპერიალისტური ომის წარმოებისა და მუშების დამონების დროს».

ინგლისელი და ფრანგი ბურჟუები ზოგჯერ ძალიან ჭკვიანები არიან და საუცხოოდ აფასებენ «ბერნის» ინტერნაციონალის ლაქიურ როლს.

მარტოვი სადღაც წერდა: თქვენ, ბოლშევიკები, ლანძღავთ ბერნის ინტერნაციონალს, მაგრამ მისი წევრიაო «თქვენივე» მეგობარი, ლორიო.

ეს — გაიძვერას საბუთია. რადგან ყველამ იცის, რომ ლორიო აშკარად, პატიოსნად, გმირულად იბრძვის III ინტერნაციონალისათვის. როცა ზუბატოვი 1902 წელს მოსკოვში მუშათა კრებებს აწყობდა მათ გასაბრიყვებლად «პოლიციური სოციალიზმით», მაშინ მუშა ბაბუშკინი, რომელსაც 1894 წლიდან ვიცნობდი, როცა იგი ჩემს პიტერის მუშათა წრეში იყო, ერთ-ერთი საუკეთესო და თავდადებული მუშა-«ისკრელი», რევოლუციური პროლეტარიატის ერთ-ერთი ბელადი, 1906 წელს დახვრეტილი რენენკამპფის მიერ ციმ-

ბირში, დადიოდა ზუბატოვის კრებებზე, რათა ებრძოლნა ზუბატოველობის წინააღმდეგ და გამოეგლიჯა მუშები მისი თათებიდან. ბაბუშკინი ისევე ნაკლებად იყო «ზუბატოველი», როგორც ლორიოა «ბერნელი».

IV

დასკვნა მეორე: III, კომუნისტური, ინტერნაციონალი სწორედ იმიტომ დაარსდა, რომ საშუალება არ მისცეს «სოციალისტებს» თავი დაიძვრინონ რევოლუციის იმ სიტყვიერი აღიარებით, რომლის ნიმუშებსაც იძლევა რამსეი მაკდონალდი თავის სტატიაში. რევოლუციის სიტყვიერი აღიარება, რომელიც საქმით ფარავს სულ მთლად ოპორტუნისტულ, რეფორმისტულ, ნაციონალისტურ, წვრილბურჟუაზიულ პოლიტიკას, II ინტერნაციონალის ძირითადი დანაშაული იყო, და ამ ბოროტებას ჩვენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვებრძვით.

როცა ამბობენ: II ინტერნაციონალი მოკვდა სამარცხვინო გაკოტრების შემდეგო, საჭიროა ამის გაგება. ეს ნიშნავს: გაკოტრდა და მოკვდა ოპორტუნიზმი, რეფორმიზმი, წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი. ვინაიდან II ინტერნაციონალს აქვს ისტორიული დამსახურება, აქვს მონაპოვარი ãìÿ àãi (სამუდამოდ), რომელსაც შეგნებული მუშა არასდროს არ უარყოფს, სახელდობრ: მუშათა მასობრივი ორგანიზაციების, კოოპერაციული, პროფესიული და პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნა, გამოყენება ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისა, ისე როგორც საერთოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის ყველა დაწესებულებისა და სხვ.

ნამდვილად რომ დავძლიოთ ოპორტუნიზმი, რომელმაც გამოიწვია II ინტერნაციონალის სამარცხვინო სიკვდილი, ნამდვილად რომ შევუწყოთ ხელი რევოლუციას, რომლის მოახლოება იძულებულია აღიაროს თვით რამსეი მაკდონალდმაც კი, საჭიროა:

ჯერ-ერთი, მთელი პროპაგანდა და აგიტაცია ვაწარმოოთ რევოლუციის თვალსაზრისით, წინააღმდეგ რეფორმებისა,

სისტემატურად განვუმარტოთ მასებს ეს წინააღმდეგურობა თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, პარლამენტური, პროფესიული, კოოპერაციული და სხვ. მუშაობის ყოველ ნაბიჯზე. არავითარ შემთხვევაში არა ვთქვათ უარი (განსაკუთრებულ შემთხვევებს გარდა, გამონაკლისის სახით) პარლამენტარიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის ყველა «თავისუფლების» გამოყენებაზე, არა ვთქვათ უარი რეფორმებზე, მაგრამ განვიხილოთ ისინი მ ხ ო ლ ო დ როგორც პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის თ ა ნ ა უ რ ი შ ე დ ე გ ი. «ბერნის» ინტერნაციონალის არც ერთი პარტია არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. არც ერთი მათგანი არ იჩენს იმის გაგების უნარსაც კი, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ მ თ ე ლ ი პროპაგანდა და აგიტაცია, და განვმარტოთ, თუ რით გ ა ნ ს ხ ვ ა ვ დ ე ბ ა რევოლუცია რეფორმებისაგან, როგორ უნდა აღვზარდოთ გ ა ნ უ ხ რ ე ლ ა დ პარტიაც და მასებიც რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა თ ვ ი ს.

მ ე ო რ ე, უნდა შევაერთოთ ლეგალური და ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი მუშაობა. ამას ასწავლიდნენ ყველას ბოლშევიკები მუდამ და განსაკუთრებით დაჟინებით 1914—1918 წლების ომის დროს. ამას დასცინოდნენ საზიზღარი ოპორტუნიზმის გმირები, რომლებიც თვითკმაყოფილებით ადიდებდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების, რესპუბლიკების «კანონიერებას», «დემოკრატიას», «თავისუფლებას» და სხვ.. ახლა უკვე მხოლოდ ნამდვილ გაიძვერებს, რომლებიც მუშებს ატყუებენ ფრაზებით, შეუძლიათ უარყონ, რომ ბოლშევიკები მართალი აღმოჩნდნენ. არ არსებობს მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა, ყველაზე მოწინავე და ყველაზე «თავისუფალი» ბურჟუაზიული რესპუბლიკა, სადაც არ მეფობდეს ბურჟუაზიის ტერორი, სადაც არ კრძალავდნენ სოციალისტური რევოლუციისათვის აგიტაციის თავისუფლებას, სწორედ ამ მიმართულებით პროპაგანდისა და ორგანიზაციული მუშაობის თავისუფლებას. პარტია, რომელმაც დღემდე არ აღიარა ეს ბურჟუაზიის ბატონობის დროს და რომელიც არ აწარმოებს სისტემატურ, ყოველმხრივ ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ მუშაობას,

წინააღმდეგ ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული პარლამენტების კანონებისა, არის პარტია გამცემლებისა და არამზადებისა, რომლებიც რევოლუციის სიტყვიერი აღიარებით ატყუებენ ხალხს. ასეთი პარტიების ადგილია ყვითელ, «ბერნის» ინტერნაციონალში. კომუნისტურ ინტერნაციონალში ისინი ვერ იქნებიან.

მ ე ს ა მ ე, საჭიროა მტკიცე და ულმობელი ომი იმ ოპორტუნისტული ბელადების სავსებით გასადევნად მუშათა მოძრაობიდან, რომლებმაც ომამდეც და განსაკუთრებით ომის დროს თავი გამოამჟღავნეს როგორც პოლიტიკის სფეროში, ისე განსაკუთრებით პროფესიულ კავშირებსა და კოოპერატივებში. «ნეიტრალობის» თეორია არის თაღლითური და საზიზღარი ხრიკი, რომელმაც ხელი შეუწყო ბურჟუაზიას დაუფლებოდა მასებს 1914 — 1918 წლებში. პარტიები, რომლებიც სიტყვით უჭერენ მხარს რევოლუციას, ხოლო საქმით არ ეწევიან განუხრელ მუშაობას სწორედ რევოლუციური, მხოლოდ რევოლუციური პარტიის გავლენისათვის ყველა და ყოველგვარ მასობრივ მუშათა ორგანიზაციაში, გამცემთა პარტიები არიან.

მ ე ო თ ხ ე, არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ სიტყვით გმობენ იმპერიალიზმს, ხოლო საქმით არ ეწევიან რევოლუციურ ბრძოლას კოლონიების (და დამოკიდებული ერების) განთავისუფლებისათვის **თავიანთი** იმპერიალისტური ბურჟუაზიისაგან. ეს თვალთმაქცობაა. ეს არის პოლიტიკა ბურჟუაზიის აგენტებისა მუშათა მოძრაობაში (**labor lieutenants of the capitalist class**). ის პარტია ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბელგიისა და სხვათა, რომელიც სიტყვით არის მტრულად განწყობილი იმპერიალიზმის მიმართ, ხოლო საქმით არ აწარმოებს რევოლუციურ ბრძოლას «თავის» კოლონიებში «თავისი» ბურჟუაზიის დ ა ს ა მ ხ ო ბ ა დ, სისტემატურად არ ეხმარება უკვე ყველგან დაწყებულ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ მუშაობას კოლონიებში, არ შეაქვს იქ იარაღი და ლიტერატურა კოლონიების რევოლუციური პარტიებისათვის, არის არამზადებისა და გამცემლების პარტია.

მეხუთე, უდიდეს თვალთმაქცობას წარმოადგენს «ბერნის» ინტერნაციონალის პარტიების ტიპიური მოვლენა: სიტყვით რევოლუციის აღიარება და მუშების წინაშე მაღალფარდოვანი ფრაზებით თავის მოწონება რევოლუციის აღიარების შესახებ, ნამდვილად კი წმინდა რეფორმისტული დამოკიდებულება რევოლუციის ზრდის იმ ჩანასახებისა, ყლორტებისა და გამოვლინებისადმი, როგორიც არის მასების ყოველგვარი გამოსვლა, რომელიც ამსხვრევს ბურჟუაზიულ კანონებს, შორდება ყოველგვარი ლეგალობის ფარგლებს, მაგალითად, მასობრივი გაფიცვები, ქუჩის დემონსტრაციები, ჯარისკაცების პროტესტები, მიტინგები ჯარში, ფურცლების გავრცელება ყაზარმებსა და ბანაკებში და სხვ.

«ბერნის» ინტერნაციონალის რომელიმე გმირს რომ ჰკითხოთ, აწარმოებს თუ არა მისი პარტია ასეთ სისტემატურ მუშაობას, ის გიპასუხებთ ან მიკიბულ-მოკიბული ფრაზებით, რომლებიც ფარავენ იმ გარემოებას, რომ ასეთ მუშაობას პარტია არ აწარმოებს: საამისო ორგანიზაციები და აპარატი არ არსებობს, მის პარტიას უნარი არ შესწევს აწარმოოს ასეთი მუშაობა, ან დეკლამაციით «პუტშიზმის» (ჯანყის), «ანარქიზმის» და სხვ. წინააღმდეგ. ეს კი მუშათა კლასის ღალატია ბერნის ინტერნაციონალის მხრივ, მისი ფაქტიური გადასვლა ბურჟუაზიის ბანაკში.

ბერნის ინტერნაციონალის ყველა არამზადა ბელადი ყოველნაირად ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ საერთოდ «თანაუგრძნობენ» რევოლუციას, კერძოდ კი რუსეთის რევოლუციას. მაგრამ მხოლოდ თვალთმაქცებს ან რეგვნებს შეუძლიათ ვერ გაიგონ, რომ რუსეთის რევოლუციის განსაკუთრებით სწრაფი წარმატება დაკავშირებულია რევოლუციური პარტიის ხანგრძლივ მუშაობასთან აღნიშნული მიმართულებით, როცა წლობით იქმნებოდა სისტემატური არალეგალური აპარატი დემონსტრაციებისა და გაფიცვების სახელმძღვანელოდ, ჯარში სამუშაოდ, წარმოებდა სხვადასხვა ხერხის დეტალური შესწავლა, იქმნებოდა არალეგალური ლიტერატურა, რომელიც აჯამებდა გამოცდილების შედეგებს

და მთელ პარტიას უნერგავდა რევოლუციის აუცილებლობის აზრს, იზრდებოდნენ მასების ბელადები ასეთი შემთხვევებისათვის და სხვ. და ა. შ.

V

ყველაზე დიდ, ძირითად უთანხმოებას, რომელიც აჯამებს ყველა ზემოაღნიშნულს და ხსნის «ბერნის» ინტერნაციონალთან რევოლუციური პროლეტარიატის შეურიგებელი თეორიული და პრაქტიკულ-პოლიტიკური ბრძოლის გარდუვალობას, წარმოადგენს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხები.

«ბერნის» ინტერნაციონალის ტყვეობა ბურჟუაზიული იდეოლოგიით ყველაზე მეტად იმაში აშკარავდება, რომ მან, ვერ გაიგო რა (ან: არ მოისურვა რა გაეგო, ან: თავს გვაჩვენებდა, თითქოს არ ესმოდა) 1914 — 1918 წლების ომის იმპერიალისტური ხასიათი, ვერ გაიგო მისი გადაქცევის გარდუვალობა სამოქალაქო ომად ყველა მოწინავე ქვეყნის პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

როცა ბოლშევიკებმა ჯერ კიდევ 1914 წლის ნოემბერში აღნიშნეს ეს გარდუვალობა, ყველა ქვეყნის ფილისტერები ბრიყვულად დასცინოდნენ მათ და ამ ფილისტერთა რიცხვს ეკუთვნოდა ბერნის ინტერნაციონალის ყველა ბელადი. ახლა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა ფაქტი გახდა მთელ რიგ ქვეყნებში, არა მარტო რუსეთში, არამედ ფინეთშიც, უნგრეთშიც, გერმანიაშიც, ნეიტრალურ შვეიცარიაშიც კი, ხოლო სამოქალაქო ომის გაძლიერებას ვხედავთ, ვგრძნობთ ყველა მოწინავე ქვეყანაში გამოუკლებლივ.

ახლა ამ საკითხისათვის დუმილით გვერდის ავლა (როგორც ამას რამსეი მაკდონალდი სჩადის) ან სამოქალაქო ომის გარდუვალობის უარყოფა მოთაფლული შემარიგებელი ფრაზებით (როგორც ამას სჩადიან ბატონი კაუცკი და კომპანია) უდრის პროლეტარიატის პირდაპირ ღალატს, უდრის

ბურჟუაზიის მხარეზე ფაქტიურად გადასვლას, რადგან ბურჟუაზიის ნამდვილმა პოლიტიკურმა ბელადებმა დიდი ხანია შეიგნეს სამოქალაქო ომის გარდუვალობა და ისინი საუცხოოდ, მოფიქრებულად, სისტემატურად ამზადებენ მას, ამაგრებენ თავიანთ პოზიციებს სამოქალაქო ომისათვის.

მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია მთელი ძალ-ღონით, უდიდესი ენერგიით, ჭკუით და გაბედულად ამზადებს პროლეტარიატის დათრგუნვას მომავალ სამოქალაქო ომში და საამისოდ არავითარ ბოროტმოქმედებას არ ერიდება, შიმშილსა და სრულ ამოწყვეტას უქადის მთელ ქვეყნებს. ბერნის ინტერნაციონალის გმირები კი, როგორც ჩერჩეტები ან თვალთმაქცი ხუცები, ან პედანტი პროფესორები, განაგრძობენ ძველ, გაცვეთილ, ნაცოდვილევ რეფორმისტულ სიმღერას! ამაზე უფრო საზიზღარი და საძაგელი სანახაობა შეუძლებელია!

კაუცკები და მაკდონალდები განაგრძობენ კაპიტალისტების დაშინებას რევოლუციით, ბურჟუაზიის დაფრთხობას სამოქალაქო ომით, რათა დაათმობინონ მათ, დაითანხმონ რეფორმისტულ გზაზე დასადგომად. ამით ამოიწურება ბერნის მთელი ინტერნაციონალის მთელი ნაჯღაბნი, მთელი ფილოსოფია, მთელი პოლიტიკა. ლაქიების ამ უბადრუკ ხერხს ჩვენ ვხედავდით რუსეთში 1905 წელს ლიბერალების (კადეტების) მხრივ, 1917—1919 წლებში მენშევიკებისა და «სოციალისტ-რევოლუციონერების» მხრივ. ბერნის ინტერნაციონალის ლაქიები სრულიად არ ფიქრობენ იმაზე, რომ სამოქალაქო ომში ბურჟუაზიაზე გამარჯვების გარდუვალობისა და აუცილებლობის შეგნებით აღზარდონ მასები, რომ მთელი პოლიტიკა აწარმოონ ამ მიზნის თვალთახედვით, ყველა საკითხი გააშუქონ, დააყენონ და გადაჭრან ამ და მხოლოდ ამ თვალსაზრისით. ამიტომ ჩვენს მიზანს უნდა შეადგენდეს მხოლოდ ის, რომ გაუსწორებელი რეფორმისტები, ე. ი. ბერნის ინტერნაციონალის ბელადების ცხრა მეათედი საბოლოოდ გადავისროლოთ ბურჟუაზიის მსახურთა სიბინძურის ორმოში.

ბურჟუაზიას **ესაჭიროება** ისეთი მსახურნი, რომლებსაც ენდობა მუშათა კლასის ნაწილი და რომლებიც შეალამაზებდნენ, შეაფერადებდნენ ბურჟუაზიას ლათაიებით რეფორმისტული გზის შესაძლებლობაზე, თვალს აუხვევდნენ ხალხს ამ ლათაიებით, ჩ ა მ ო ა შ ო რ ე ბ დ ნ ე ნ ხალხს რევოლუციას რეფორმისტული გზის მშვენიერებათა და შესაძლებლობათა შეფერადებით.

კაუცკების, ისე როგორც ჩვენი მენშევიკებისა და ესერების, მთელი ნაჯღაბნი ასეთი შელამაზებაა, იმ მხდალი მეშჩანის წუწუნია, რომელსაც ეშინია რევოლუციისა.

ჩვენ აქ შესაძლებლობა არა გვაქვს დაწვრილებით გავიმეოროთ, რა ძირითადმა ეკონომიურმა მიზეზებმა გახადეს გარდუვალი სწორედ რევოლუციური გზა და მხოლოდ რევოლუციური გზა, გახადეს შეუძლებელი ისტორიის მიერ დღის წესრიგში დასმული საკითხების სხვაგვარი გადაჭრა, გარდა სამოქალაქო ომით გადაჭრისა. ამაზე ტომები უნდა იწერებოდეს და კიდევაც დაიწერება. თუ ბატონმა კაუცკებმა და ბერნის ინტერნაციონალის სხვა ბელადებმა ეს ვერ შეიგნეს, ისღა დაგვრჩენია, რომ ვთქვათ: უმეცრება ნაკლებ დაშორებულია ჭეშმარიტებას, ვიდრე ცრურწმენა.

ვინაიდან უმეცარ, მაგრამ გულწრფელ მშრომელებს და მშრომელთა მომხრეებს უფრო ადვილად ესმით ახლა, ომის შემდეგ, რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და პროლეტარიატის დიქტატურის გარდუვალობა, ვიდრე უაღრესად მეცნიერული რეფორმისტული ცრურწმენით გატენილ ბატონ კაუცკებს, მაკდონალდებს, ვანდერველდეებს, ბრანტინგებს, ტურატებსა და **tutti quanti** *.

მასებში რევოლუციური შეგნების ზრდის ყველგან შემჩნეული, მასობრივი მოვლენის ერთ-ერთ განსაკუთრებით თვალსაჩინო დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ანრი ბარბიუსის რომანები: **«Le feu»** («ცეცხლში») და **«Clarté»** («სიცხადე»). პირველი უკვე გადათარგმნილია ყველა ენაზე

* — ყველა დანარჩენს. რ ე დ.

და გავრცელებულია საფრანგეთში 230 000 ეგზემპლარის რაოდენობით. სრულიად უმეცარის, იდეებითა და ცრურწმენით მთლად დაბეჩავებული ობივატელისა და მასაში მომუშავე ადამიანის გადაქცევა რევოლუციონერად სწორედ ომის ზეგავლენით ნაჩვენებია არაჩვეულებრივი სიძლიერით, ნიჭიერად და მართლად.

პროლეტართა და ნახევრადპროლეტართა მასები ჩვენ გვიჭერენ მხარს და დღითი დღე კი არა, არამედ ყოველ საათობით გადმოდიან ჩვენს მხარეზე. ბერნის ინტერნაციონალი უარმიო შტაბია, რომელიც ხუხულასავით დაიშლება, თუ ბოლომდე ვამხილებთ მას მასების წინაშე.

კარლ ლიბკნეხტის სახელს ანტანტის მთელ ბურჟუაზიულ პრესაში ომის დროს იყენებდნენ მასების მოსატყუებლად: რათა საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალიზმის ყაჩაღები და მძარცველები გამოეყვანათ ამ გმირის, ამ, როგორც ისინი ამბობდნენ, «ერთადერთი პატიოსანი გერმანელის» თანამგრძნობლებად.

ახლა ბერნის ინტერნაციონალის გმირები ერთ ორგანიზაციაში სხედან შეიდემანებთან, რომლებიც აწყობდნენ კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის მკვლელობას, შეიდემანებთან, რომლებიც ასრულებდნენ მუშებიდან გამოსული ჯალათების როლს და ჯალათების სამსახურს უწევდნენ ბურჟუაზიას. სიტყვით — თვალთმაქცური ცდა შეიდემანების «დაგმობისა» (თითქოს «დაგმობით» იცვლებოდეს საქმე!). ნამდვილად კი მკვლელებთან ერთ ორგანიზაციაში ყოფნა.

განსვენებული ჰარი კველჩი 1907 წელს გერმანიის მთავრობამ შტუტგარტიდან გადაასახლა იმის გამო, რომ მან «ქურდების კრება» უწოდა ევროპის დიპლომატების სხდომას [73]. ბერნის ინტერნაციონალის ბელადები წარმოადგენენ არა მარტო ქურდების კრებას, არამედ საზიზღარი მკვლელების კრებასაც.

რევოლუციური მუშების მსჯავრს ისინი ვერ გაექცევიან.

VI

პროლეტარიატის დიქტატურის საკითხს რამსეი მაკდონალდი თავიდან იცილებს ორიოდე სიტყვით, როგორც დისკუსიის საგანს თავისუფლებისა და დემოკრატიის შესახებ.

არა. დროა ვიმოქმედოთ. დისკუსიები დაგვიანებულია.

ყველაზე საშიში ბერნის ინტერნაციონალის მხრივ ეს არის პროლეტარიატის დიქტატურის სიტყვიერი აღიარება. ამ ხალხს შეუძლია ყველაფერი აღიაროს, ყველაფერს ხელი მოაწეროს, ოღონდ კი მუშათა მოძრაობის სათავეში დარჩეს. კაუცკი ახლა უკვე ამბობს, რომ იგი არ არის პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგი! საფრანგეთის სოციალ-შოვინისტები და «ცენტრისტები» ხელს აწერენ რეზოლუციას პროლეტარიატის დიქტატურის სასარგებლოდ!

ისინი ერთი ბეწო ნდობის ღირსიც არ არიან.

საჭიროა არა სიტყვიერი აღიარება, არამედ სრული უარყოფა ს ა ქ მ ი თ რეფორმიზმის პოლიტიკისა, ბურჟუაზიული თავისუფლების ცრურწმენისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის ცრურწმენისა, რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკის ნამდვილად გატარება.

ცდილობენ პროლეტარიატის დიქტატურა აღიარონ სიტყვით, რათა მის გვერდით ჩუმად გააპარონ «უმრავლესობის ნება», «საყოველთაო კენჭისყრა» (ასე იქცევა სწორედ კაუცკი), ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი, ხელის აღება მთელი ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის სრულ მოსპობაზე, აფეთქებაზე და ბოლომდე დამსხვრევაზე. რეფორმიზმის ამ ახალი ხრიკებისა, ახალი ხვრელისა ყველაზე მეტად უნდა გვეშინოდეს.

პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელი იქნებოდა, მოსახლეობის უმრავლესობას რომ არ შეადგენდნენ პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები. კაუცკი და კომპანია ცდილობენ ეს ჭეშმარიტება ისე გააყალბონ, თითქოს საჭირო იყოს «უმრავლესობის ხმისმიცემა», რათა «სწორად» ვაღიაროთ პროლეტარიატის დიქტატურაო.

სასაცილო პედანტები! მათ ვერ შეიგნეს, რომ ხმისმიცემა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ფარგლებში, დაწესებულებებში, ჩვეულებებში არის ნაწილი ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატისა, რომელიც უნდა დაიმსხვრეს და დაიმტვრეს თავიდან ბოლომდე პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლად, ბურჟუაზიული დემოკრატიიდან პროლეტარულ დემოკრატიაზე გადასასვლელად.

მათ ვერ შეიგნეს, რომ საერთოდ არა კენჭისყრით, არამედ სამოქალაქო ომით, წყდება პოლიტიკის ყველა სერიოზული საკითხი, როცა ისტორიის მიერ დღის წესრიგში დაყენებულია პროლეტარიატის დიქტატურა.

მათ ვერ შეიგნეს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არის ხელისუფლება ერთი კლასისა, რომელიც ხელთ იღებს ახალი სახელმწიფოებრიობის მთელ აპარატს, ამარცხებს ბურჟუაზიას და ანეიტრალებს მთელ წვრილ ბურჟუაზიას, გლეხობას, ობივატელობას, ინტელიგენციას.

კაუცკები და მაკდონალდები სიტყვით აღიარებენ კლასობრივ ბრძოლას, რათა საქმით დაივიწყონ იგი პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის ყველაზე გადამწყვეტ მომენტში: იმ მომენტში, როცა პროლეტარიატი, რომელმაც სახელმწიფო ხელისუფლება აიღო და რომელსაც მხარს უჭერს ნახევრადპროლეტარიატი, ამ ხელისუფლების მეშვეობით განაგრძობს კლასობრივ ბრძოლას და იგი კლასების მოსპობამდე მიჰყავს.

როგორც ნამდვილი ფილისტერები, ბერნის ინტერნაციონალის ბელადები იმეორებენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სიტყვებს თავისუფლების, თანასწორობისა და დემოკრატიის შესახებ და ვერ ხედავენ, რომ იმეორებენ იდეების ნამსხვრევებს თავისუფალი და თანასწორი საქონლისმფლობელის შესახებ, მათ არ ესმით, რომ პროლეტარიატს სახელმწიფო ესაჭიროება არა «თავისუფლებისათვის», არამედ თავისი მტრის, ექსპლოატატორის, კაპიტალისტის დასათრგუნავად.

საქონლისმფლობელის თავისუფლება და თანასწორობა მოკვდა, როგორც მოკვდა კაპიტალიზმი. კაუცკები და მაკდონალდები ვერ გააცოცხლებენ მას.

პროლეტარიატს ესაჭიროება კლასების მოსპობა — აი პროლეტარული დემოკრატიის, პროლეტარული თავისუფლების (კაპიტალისტისაგან, საქონლის გაცვლა-გამოცვლისაგან თავისუფლების), პროლეტარული თანასწორობის (არა კლასთა თანასწორობის — ამ უხამსობაში ვარდებიან კაუცკები, ვანდერველდეები და მაკდონალდები — არამედ იმ მშრომელთა თანასწორობის, რომლებიც ამხობენ კაპიტალსა და კაპიტალიზმს) რეალური შინაარსი.

ვიდრე კლასები არსებობენ, კლასთა თავისუფლება და თანასწორობა ბურჟუაზიული მოტყუებაა. პროლეტარიატი იღებს ხელისუფლებას, ხდება გაბატონებულ კლასად, ამსხვრევს ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმსა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას, თრგუნავს ბურჟუაზიას, თრგუნავს ყველა დანარჩენი კლასის ყოველგვარ .ცდას — დაუბრუნდნენ კაპიტალიზმს, ნამდვილ თავისუფლებასა და თანასწორობას ანიჭებს მშრომელებს (რაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების გაუქმების დროს), აძლევს მათ არა მხოლოდ «უფლებებს», არამედ იმის საშუალებასაც, რომ რეალურად გამოიყენოს ის, რაც ბურჟუაზიას წაერთვა.

ვინც ვერ გაიგო პროლეტარიატის დიქტატურის (ან, რაც იგივეა, საბჭოთა ხელისუფლების ან პროლეტარული დემოკრატიის) ეს შინაარსი, მას ამაოდ აკერია პირზე ეს სიტყვა.

მე აქ არ შემიძლია უფრო დაწვრილებით განვავითარო ეს აზრები, რომლებიც გამოვთქვი «სახელმწიფოსა და რევოლუციაში» და ბროშურაში «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი». მე შემიძლია დავამთავრო და ეს შენიშვნები მივუძღვნა ბერნის ინტერნაციონალის 1919 წ. 10 აგვისტოს ლუცერნის კონგრესის[74] დელეგატებს.

1919 წ. 14 ივლისი.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გამოქვეყნებულია 1919 წ. აგვისტოში

სიტყვა საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ ხოდინის ბანაკთა წითელარმიელების კონფერენციაზე 1919 წ. 15 ივლისს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

(ამხანაგ ლენინის გამოჩენას ტრიბუნაზე მქუხარე ტაშით მიესალმნენ.) ამხანაგებო, ჩვენ ამჟამად იმპერიალისტური ომის დამთავრების დიდმნიშვნელოვან მომენტს განვიცდით. გერმანიის დამარცხების შემდეგ, 1918 წლის ნოემბრიდან, ყველა მოკავშირე სახელმწიფო გართულია ზავის პირობების გამომუშავებით, ამასთან ლაპარაკობენ, გერმანიის იმპერიალიზმი დაიღუპა და ხალხები განთავისუფლდნენო. ეროვნულმა კრებამ ზავის რატიფიკაცია მოახდინა, — ზავი დამტკიცებულია იმ ომის შემდეგ, რომელშიც გაიჟლიტა 10 მილიონი კაცი და დასახიჩრდა 20 მილიონი ყაჩაღური მიზნების გულისთვის, ნადავლის გულისთვის.

ახლა, როცა ვერსალის ზავი ხელმოწერილია, ბოლშევიკები მართალი აღმოჩნდნენ: ეს ზავი უარესია, ვიდრე თავის დროზე გერმანიის სულთმობრძავ იმპერიალიზმთან ჩვენს მიერ დადებული ბრესტის ზავი. ახლა სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ ვერსალის ზავის ეს დღე ინგლისის, ამერიკისა და სხვათა იმპერიალიზმის დამარცხების დღე იქნება. ზავის დადებისთანავე იმპერიალისტები შეუდგნენ კოლონიების განაწილებას: ინგლისმა წაიღო სპარსეთი, ინაწილებენ სირიას, თურქეთს, — ახლა კაპიტალისტური ქვეყნების მუშებს თვალი აეხილათ იმაზე, რომ ეს იყო მტაცებელთა ომი. და თუმცა ეს კურიოზული ამბავია, მიღებულია ცნობები,

რომ თავადმა ლვოვმა, კერენსკის დროებითი მთავრობის ყოფილმა წევრმა, რომელიც ამჟამად პარიზში იმყოფება, ანტანტას რუსეთისთვის კონსტანტინოპოლი და სრუტეები მოსთხოვა და ეს იმით დაასაბუთა, რომ რუსეთი მხოლოდ და მხოლოდ მათი გულისთვის ომობდაო, — მაგრამ მის გულუბრყვილო მოთხოვნაზე, რა თქმა უნდა, უპასუხეს, რომ ეს მხოლოდ ძველ, ძლიერ რუსეთს მიეცემოდაო.

საფრანგეთის იმპერიალისტებმა, ხალხის მოსატყუებლად, 14 ივლისისთვის, ბასტილიის აღების დღეს, დანიშნეს გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაული. მაგრამ ფრანგი მუშები არ წამოეგნენ ამ ანკესს, და 14 ივლისს გამოცხადდა ყავახანებისა და რესტორანების მოსამსახურეთა გაფიცვა — და ამ დღეს, როცა ჩვეულებრივ მთელი ხალხი სეირნობს და ცეკვავს ქუჩაში, ყავახანები და რესტორანები დაკეტილი იყო, და მით დღესასწაული ჩაიშალა. 21 ივლისისთვის ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს[75] — და შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ბრესტის ზავი გერმანიისთვის, ისე ვერსალის ზავი საფრანგეთისა და ინგლისისთვის დამთავრდება კაპიტალისტების დამარცხებით და პროლეტარიატის გამარჯვებით. დასავლეთის პროლეტარიატის იმავე მოძრაობას გვანიშნებს მარცხი ანტანტის პირველი შემოსევისა სამხრეთ რუსეთში და მეორე შემოსევისა ციმბირში. ამ წარუმატებლობამ ცხადყო, რომ დასავლეთის პროლეტარიატი ჩვენს მხარეზეა.

და თვით ციმბირისა და უკრაინის გლეხობამაც, რომელიც წინათ კოლჩაკისა და დენიკინისთვის იბრძოდა, მძიმე ხარკისა, საყოველთაო ძარცვისა და ძალმომრეობის შემდეგ ზურგი შეაქცია მათ. ახლა ცხადია, რომ კოლჩაკი დაიღუპა და ახლოსაა დენიკინზე გამარჯვება; ეს გამარჯვება დამთავრდება პროლეტარიატის გამარჯვებით დასავლეთშიც, რადგან დასავლეთში მუშათა მოძრაობა ყველგან ბოლშევიკურ ხასიათს იღებს, და თუ რუსეთი თავისი საბჭოთა ხელისუფლებით პირველად განმარტოებული იყო, შემდეგში მას შეუერთდა საბჭოთა უნგრეთი, გერმანიაში საქმე იქით მიიმართება, რომ

ძალაუფლება საბჭოებს გადაეცეს, და შორს აღარ არის ის დღე, როცა მთელი ევროპა შეერთდება ერთიან საბჭოთა რესპუბლიკად, რომელიც მთელ მსოფლიოში მოსპობს კაპიტალისტების ბატონობას. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი.)

დაიბეჭდა 1919 წ. 17 ივლისს
მოსკოვის საბჭოს «ვეჩერნიე
იზვესტიის» № 293-ში

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

პასუხი ამერიკელი ჟურნალისტის კითხვებზე [76]

ვუპასუხებ ჩემთვის მოცემულ ხუთ კითხვაზე, იმ პირობით, თუ შესრულებული იქნება წერილობით მოცემული დაპირება, რომ ჩემი პასუხი მთლიანად დაიბეჭდება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ასზე მეტ გაზეთში.

1. საბჭოთა მთავრობას ჰქონდა არა რეფორმისტული სახელმწიფო პროგრამა, არამედ რევოლუციური. რეფორმები ეს არის დათმობები, მიღებული გაბატონებული კლასისაგან, მისი ბატონობის შენარჩუნებით. რევოლუცია ეს არის გაბატონებული კლასის დამხობა. ამიტომ რეფორმისტული პროგრამები ჩვეულებრივ შესდგება მრავალი ნაწყვეტ-ნაწყვეტი მუხლისაგან. ჩვენი, რევოლუციური, პროგრამა შეიცავდა, (აცმა რომ თქვას, ერთ საერთო მუხლს: მემამულეებისა და კაპიტალისტების უღლის ჩამოგდება, მათი ხელისუფლების დამხობა, მშრომელი მასების განთავისუფლება ამ ექსპლოატატორებისაგან. ეს პროგრამა ჩვენ არასდროს არ შეგვიცვლია. ცალკეული ნაწილობრივი ღონისძიებები, მიმართული ამ პროგრამის განხორციელებისაკენ, ხშირად იცვლებოდა; მათი ჩამოთვლა მთელ ტომს დაიკავებდა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ჩვენს მთავრობის პროგრამაში არის კიდევ ერთი საერთო მუხლი, რომელიც, მგონია, ცალკეულ ღონისძიებათა ყველაზე მეტ ცვლილებებს იწვევდა. ეს მუხლია: ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის შემუსვრა. 1917 წ. 25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) რევოლუციის შემდეგ ჩვენ ბურჟუაზიული გაზეთებიც კი არ დაგვიხურავს, ტერორის შესახებ კი

ლაპარაკიც არ ყოფილა. ჩვენ გავათავისუფლეთ არა მარტო კერენსკის ბევრი მინისტრი, არამედ კრასნოვიც, რომელიც ომს აწარმოებდა ჩვენს წინააღმდეგ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ექსპლოატატორებმა, ე. ი. კაპიტალისტებმა, დაიწყეს წინააღმდეგობის გაძლიერება, ჩვენ დავიწყეთ მისი სისტემატური ჩახშობა, ტერორიც კი. ეს იყო პროლეტარიატის პასუხი ბურჟუაზიის ისეთ მოქმედებაზე, როგორიცაა შეთქმულება გერმანიის, ინგლისის, იაპონიის, ამერიკისა და საფრანგეთის კაპიტალისტებთან ერთად ექსპლოატატორების ძალაუფლების აღსადგენად რუსეთში, ინგლის-საფრანგეთის ფულით ჩეხოსლოვაკების მოსყიდვა, გერმანიისა და საფრანგეთის ფულით — მანერჰეიმისა, დენიკინისა და სხვ. და ა. შ.. ერთ-ერთი უკანასკნელი შეთქმულება, რომელმაც გამოიწვია «ცვლილება», — სახელდობრ ტერორის გაძლიერება ბურჟუაზიის წინააღმდეგ პეტროგრადში, — ეს იყო ბურჟუაზიის შეთქმულება ესერებთან და მენშევიკებთან ერთად პეტროგრადის ჩაბარების შესახებ, შეთქმული ოფიცრების მიერ კრასნაია გორკის ხელში ჩაგდება, ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტების მიერ შვეიცარიის საელჩოს მოსამსახურეთა მოსყიდვა ბევრ რუს მოსამსახურესთან ერთად და სხვ.

2. ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის მოქმედება ავღანისტანში, ინდოეთსა და სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში რუსეთს გარეთ ისეთივეა, როგორც ჩვენი მოქმედება მრავალრიცხოვან მუსლიმანებსა და სხვა არარუს ეროვნებათა შორის რუსეთის შიგნით. ჩვენ, მაგალითად, საშუალება მივეცით ბაშკირთა მასებს დაეარსებინათ ავტონომიური რესპუბლიკა რუსეთის შიგნით, ჩვენ ყოველნაირად ვეხმარებით თვითეული ეროვნების დამოუკიდებელ, თავისუფალ განვითარებას, ლიტერატურის ზრდასა და გავრცელებას თვითეულის დედა-ენაზე, ვთარგმნით და ვქადაგებთ ჩვენს საბჭოთა კონსტიტუციას, რომლის უბედურება ის არის, რომ იგი უფრო მოსწონს დედამიწის მილიარდზე მეტ მცხოვრებს, რომლებიც ეკუთვნიან კოლონიურ, დამოკიდებულ, დაჩაგრულ, არასრულუფლებიან ეროვნებებს, ვიდრე ბურჟუაზიულ-«დემოკრატიულ»

სახელმწიფოთა «დასავლეთ-ევროპისა» და ამერიკის კონსტიტუცია, რომელიც განამტკიცებს მიწისა და კაპიტალის კერძო საკუთრებას, ე. ი. განამტკიცებს მცირერიცხოვანი «ცივილიზებული» კაპიტალისტების მხრივ თავიანთი ქვეყნების მშრომელთა და აზიის, აფრიკისა და სხვ. კოლონიების ასეული მილიონობით ადამიანის ჩაგვრას.

3. შეერთებული შტატებისა და იაპონიის მიმართ ჩვენ უწინარეს ყოვლისა ვისახავთ იმ პოლიტიკურ მიზანს, რომ მოვიგერიოთ მათი თავხედური, დანაშაულებრივი, მძარცველური, მხოლოდ მათი კაპიტალისტების გამამდიდრებელი შემოსევა რუსეთში. ორივე ამ სახელმწიფოს ჩვენ ბევრჯერ და საჯაროდ შევთავაზეთ ზავი, მაგრამ მათ პასუხიც კი არ მოგვცეს, ისინი განაგრძობენ ომს ჩვენს წინააღმდეგ და ეხმარებიან დენიკინსა და კოლჩაკს, ძარცვავენ მურმანსა და არხანგელსკს, განსაკუთრებით აჩანაგებენ და ავერანებენ აღმოსავლეთ ციმბირს, სადაც რუსი გლეხები იაპონიისა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ყაჩაღ კაპიტალისტებს გმირულ წინააღმდეგობას უწევენ.

ჩვენი შემდგომი პოლიტიკური და სამეურნეო მიზანი ყველა ხალხის მიმართ, მათ შორის შეერთებული შტატებისა და იაპონიის მიმართაც, — ერთია: ძმური კავშირი გამოუკლებლივ ყველა ქვეყნის მუშებთან და მშრომელებთან.

4. ის პირობები, რომელზედაც ჩვენ თანახმა ვართ ზავი შევკრათ კოლჩაკთან, დენიკინთან და მანერჰეიმთან, ჩვენ სავსებით ზუსტად, ნათლად, წერილობით ბევრჯერ გამოგვითქვამს, მაგალითად, ბულიტისთვის [77], რომელიც შეერთებული შტატების მთავრობის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩვენთან (და პირადად ჩემთანაც მოსკოვში), წერილში ნანსენისადმი[78] და სხვ.. ჩვენი ბრალი არ არის, თუ შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების მთავრობები სიმართლეს უმალავენ ხალხს და ეშინიათ მთლიანად დაბეჭდონ ეს დოკუმენტები. მოგაგონებთ მხოლოდ ჩვენს ძირითად პირობას: ჩვენ მზადა ვართ მთელი ვალი გადავუხადოთ საფრანგეთს და სხვა სახელმწიფოებსაც, ოღონდ ზავი იყოს ნამდვილი ზავი

და არა მხოლოდ სიტყვიერი, ე. ი. რომ ის ფორმალურად იყოს ხელმოწერილი და დამტკიცებული ინგლისის, საფრანგეთის, შეერთებული შტატების, იაპონიის, იტალიის მთავრობების მიერ, რადგან დენიკინი, კოლჩაკი, მანერჰეიმი და სხვ. — უბრალო პაიკები არიან ამ მთავრობათა ხელში.

5. ყველაზე უფრო მე მსურს ამერიკის საზოგადოებრივ აზრს ვაცნობო შემდეგი:

ფეოდალიზმთან შედარებით კაპიტალიზმი მსოფლიო-ისტორიული წინგადადგმული ნაბიჯი იყო «თავისუფლების», «თანასწორობის», «დემოკრატიის», «ცივილიზაციის» გზაზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, კაპიტალიზმი იყო და რჩება დაქირავებული მონობის, თანამედროვე («moderne») მონათმფლობელების, მემამულეებისა და კაპიტალისტების უმნიშვნელო უმცირესობისთვის მილიონობით მშრომელის, მუშისა და გლეხის დამონების სისტემად. ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ, ფეოდალიზმთან შედარებით, შესცვალა ამ ეკონომიური მონობის ფორმა, განსაკუთრებით ბრწყინვალე საფარი შექმნა მისთვის, მაგრამ მას არ შეუცვლია და არც შეეძლო შეეცვალა მისი დედაარსი. კაპიტალიზმი და ბურჟუაზიული დემოკრატია დაქირავებული მონობაა.

საერთოდ ტექნიკის, განსაკუთრებით კი გზების უდიდესმა პროგრესმა, კაპიტალისა და ბანკების კოლოსალურმა ზრდამ ისა ჰქნეს, რომ კაპიტალიზმი მომწიფდა და გადამწიფდა. მან დრო მოჭამა. ის კაცობრიობის განვითარების ურეაქციულეს შეფერხებად იქცა. ის იმ ერთი მუჭა მილიარდერებისა და მილიონერების ყოვლისშემძლეობად გადაიქცა, რომლებიც გასაყლეტად მიერეკებიან ხალხებს იმ საკითხის გადასაწყვეტად, გერმანიის თუ ინგლის-საფრანგეთის მტაცებელთა ჯგუფს ხვდეს იმპერიალისტური ნადავლი, ბატონობა კოლონიებზე, ფინანსური «გავლენის სფეროები» ან «მართვა-გამგეობის მანდატები» და ა. შ.

1914 — 1918 წლების ომის დროს ათეული მილიონობით ადამიანი დაიხოცა და დასახიჩრდა სწორედ ამისთვის, მხოლოდ ამისთვის. ამ ჭეშმარიტების შეგნება შეუჩერებელი

ძალითა და სისწრაფით ვრცელდება ყველა ქვეყნის მშრომელთა მასებში, — და ეს მით უფრო, რომ ომმა ყველგან გაუგონარი გაჩანაგება გამოიწვია, ომისთვის კი ყ ვ ე ლ გ ა ნ, მათ შორის «გამარჯვებულმა» ხალხებმაც სესხთა პროცენტები უნდა იხადონ. მერე რა არის ეს პროცენტები? ეს არის მილიარდიანი ხარკი, რომელიც ეძლევათ ბატონ მილიონერებს იმისთვის, რომ ისინი იმდენად თავაზიანნი იყვნენ, რომ ნება დართეს ათეულ მილიონ მუშასა და გლეხს გაეჟლიტათ და დაესახიჩრებინათ ერთმანეთი კაპიტალისტების მოგებათა განაწილების საკითხის გადასაწყვეტად.

კაპიტალიზმის კრახი გარდუვალია. მასების რევოლუციური შეგნება ყველგან იზრდება. ამის დამადასტურებელია ათასი ნიშანი. ერთ-ერთი არადიდმნიშვნელოვანი, მაგრამ ფილისტერისთვის ძალიან თვალსაჩინოა: რომანები ანრი ბარბიუსისა (**«Le feu»** და **«Clarté»**), რომელიც ომში წავიდა როგორც უაღრესად მშვიდობიანი, წყნარი, კანონის მორჩილი წვრილი ბურჟუა, ფილისტერი, ობივატელი.

კაპიტალისტებს, ბურჟუაზიას მათთვის «საუკეთესო» შემთხვევაში შეუძლიათ გააჭიანურონ სოციალიზმის გამარჯვება ამა თუ იმ ცალკეულ ქვეყანაში კიდევ ასი ათასობით მუშისა და გლეხის გაჟლეტის ფასად. მაგრამ კაპიტალიზმის გადარჩენა მათ არ შეუძლიათ. მის შემცვლელად მოვიდა ს ა ბ ჭ ო თ ა რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა, რომელიც ძალაუფლებას ანიჭებს მშრომელებს, და მხოლოდ მშრომელებს, მათი განთავისუფლების ხელმძღვანელობას ანდობს პროლეტარიატს, აუქმებს მიწის, ფაბრიკებისა და წარმოების სხვა საშუალებათა კერძო საკუთრებას, რადგან ეს კერძო საკუთრება წყაროა მცირერიცხოვან პირთა მიერ ბევრის ექსპლოატაციისა, წყაროა მასების სიღატაკისა, წყაროა მძარცველური ომებისა ხალხთა შორის, რაც მხოლოდ კაპიტალისტებს ამდიდრებს.

საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვება უზრუნველყოფილია.

დასასრულ პატარა ილუსტრაცია: ამერიკის ბურჟუაზია ატყუებს ხალხს, როცა თავს იქებს მის ქვეყანაში არსებული

თავისუფლებით, თანასწორობით, დემოკრატიით. მაგრამ ვერც ეს, ვერც რომელიმე სხვა ბურჟუაზია, ვერც ერთი მთავრობა ქვეყნად ვერ შეეჯიბრება, ვერ გაბედავს შეეჯიბროს ჩვენს მთავრობას ნამდვილი თავისუფლების, თანასწორობის, დემოკრატიის საფუძვლებზე; ვთქვათ, ხელშეკრულება ჩვენი და რომელიმე სხვა მთავრობისთვის უზრუნველყოფს გაცვლა-გამოცვლის თავისუფლებას... ბროშურებისას, რომლებიც მთავრობის სახელით გამოდის რომელიმე ენაზე და შეიცავს ამა თუ იმ ქვეყნის კანონთა ტექსტს, კონსტიტუციის ტექსტს, სხვების მიმართ ამ კონსტიტუციის უპირატესობის განმარტებით.

ვერც ერთი ბურჟუაზიული მთავრობა ქვეყნად ვერ გაბედავს დასდოს ჩვენთან ასეთი მშვიდობიანი, ცივილიზებული, თავისუფალი, თანასწორი, დემოკრატიული ხელშეკრულება.

რატომ? იმიტომ რომ ყველა, გარდა საბჭოთა მთავრობებისა, ემყარება მასების ჩაგვრასა და მოტყუებას. მაგრამ 1914 — 1918 წლების დიდმა ომმა დაამსხვრია დიდი ტყუილი.

ლ ე ნ ი ნ ი

1919 წლის 20 ივლისი.

«პრავდა» № 162, 1919 წ. 25 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა სასურსათო და სამხედრო მდგომარეობის შესახებ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, პროფკავშირებისა და მოსკოვის ცენტრალური მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა მოსკოვის კონფერენციაზე 1919 წ. 30 ივლისს

(ტ ა შ ი.) ამხანაგებო, რაც შეეხება ჩვენს სასურსათო და სამხედრო მდგომარეობას, ნება მომეცით მოგმართოთ მცირე და მოკლე ახსნა-განმარტებით. იმედი მაქვს, რომ ძირითადი ფაქტები, რომლებიც ამ საკითხებს ეხება, ყველას მოგეხსენებათ, და ჩემი ამოცანა, მგონია, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ რამდენადმე გავაშუქო ამ ფაქტების მნიშვნელობა.

სწორედ იმ დროს, როცა თქვენ კოოპერაციული საკითხების გადაჭრა გიხდებათ, ჩვენ განვიცდით მწვავე მომენტს, განსაკუთრებით სურსათის მხრივ, როგორც გასული წლის ზაფხულში. თქვენ იცით, რომ ჩვენი სასურსათო მუშაობის წარმატება უკანასკნელი წლის განმავლობაში, წინა წელთან შედარებით, ძალიან დიდი იყო. მგონი საბჭოთა მუშაობის სხვა სფეროებში არც კი შეიძლება ამ წარმატების ისე ზუსტად გაზომვა, როგორც სასურსათო მუშაობაში. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლის განმავლობაში, კერენსკის რეჟიმის ბოლო დროის ნაწილის ჩათვლით, სახელმწიფო დამზადება სულ შესრულდა 30 მილიონი ფუთის რაოდენობით. შემდგომ წელს ჩვენ დავამზადეთ 107 მილიონ ფუთზე მეტი, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მდგომარეობის მხრივ და ყველაზე პურიანი ტერიტორიისკენ თავისუფლად მიდგომის მხრივ ჩვენ ამ მეორე წელიწადს უფრო მძიმე პირობებში ვიმყოფებოდით, რადგან ჩვენთვის სრულიად მიუწვდომელი

იყო არა მარტო ციმბირი, არამედ უკრაინაც და შორეული სამხრეთის დიდი ნაწილიც. მიუხედავად ამისა, როგორც ხედავთ, პურის დამზადება გასამკეცდა. სასურსათო აპარატის მუშაობის თვალსაზრისით ეს დიდი წარმატებაა, მაგრამ არასამიწათმოქმედო ადგილების პურით მომარაგების თვალსაზრისით, ეს ძალიან ცოტაა, იმიტომ რომ, როცა ზუსტად გამოვიკვლიეთ არასამიწათმოქმედო მოსახლეობისა და, მეტადრე, ქალაქების მუშათა მოსახლეობის კვების პირობები, აღმოჩნდა, რომ ქალაქებში მუშა მიმდინარე წლის გაზაფხულსა და ზაფხულში სასურსათო პროდუქტების დაახლოებით მხოლოდ ნახევარს იღებს სასურსათო კომისარიატისგან, დანარჩენი კი ის იძულებულია იშოვოს თავისუფალ ბაზარზე, სუხარევკაზე და სპეკულანტებთან, ამასთან პირველ ნახევარში მუშა იხდის მთელი თავისი გასავლის ერთ მეათედს, მეორე ნახევარში კი — ცხრა მეათედს. როგორც მოსალოდნელი იყო, ბატონი სპეკულანტები მუშას აძრობენ 9-ჯერ მეტს იმ ფასთან შედარებით, რაც სახელმწიფოს მიაქვს დამზადებული პურისთვის. ჩვენი სასურსათო მდგომარეობის ამ ზუსტ ცნობებს თუ ავიღებთ, უნდა ვთქვათ, რომ სანახევროდ, ცალი ფეხით, ჩვენ ძველ კაპიტალიზმში ვდგავართ და მხოლოდ სანახევროდ ამოვფოფხდით სპეკულაციის ამ ჭანჭრობიდან, ამ ჭაობიდან და გამოვედით პურის ნამდვილი სოციალისტური დამზადების გზაზე, როცა პური აღარ არის საქონელი, აღარ არის სპეკულაციის საგანი და კინკლაობის, ბრძოლისა და ბევრთა გაღატაკების საგანი და საბაბი. როგორც ხედავთ, იმის თვალსაზრისით, რაც აუცილებელია არასამიწათმოქმედო და მუშათა მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად, ცოტაა გაკეთებული, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ რა ძნელ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა საშოქალაქო ომის ვითარებაში, როცა ყველაზე პურიანი ტერიტორიის მეტი ნაწილი ჩვენს მფლობელობაში არ იყო, — სასურსათო აპარატის დაყენების სისწრაფე არაჩვეულებრივ დიდი იყო. მე ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ ამ მხრივ ორგანიზაციული ამოცანა, არა კაპიტალისტური გზით გლეხობის მასებისგან პურის აკრეფის ამოცანა, უზო-

მოდ ძნელი ამოცანაა, რომელსაც დაწესებულებათა ვერავითარი შეცვლა — მე აღარაფერს ვამბობ მთავრობის შეცვლაზე — ვერ გადაწყვეტს, იმიტომ რომ ეს ამოცანა მოითხოვს ორგანიზაციულ გარდაქმნას, ის მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების იმ საყრდენთა გარდაქმნას, რომლებიც შექმნილან საუკუნეობით, თუ ათასი წლობით არა. ჩვენ რომ, ვთქვათ, სრული ზავის პირობებში მოგვცემოდა, მაგალითად, 5 წელი ორგანიზაციული აპარატის შექმნისათვის, აპარატისა, რომელიც შესძლებდა სახელმწიფოს ხელში მთელი პურის მოგროვებას და სპეკულანტების ხელიდან გამოგლეჯას, მაშინ ჩვენ ვიტყოდით, რომ საზოგადოებრივ-სამეურნეო გარდაქმნის ასეთი სისწრაფე — არნახული და გაუგონარიაო. და თუ ჩვენ ორ წელიწადზე ნაკლებ დროში შევძელით ამ ამოცანის სანახევროდ გადაწყვეტა, ეს ძალიან დიდი რამაა. ეს იმის უდავო დამამტკიცებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სასურსათო საკითხში, ყველაზე ძნელ და მძიმე საკითხში, სწორი ხაზი აიღო და ის სწორ გზაზე დგას. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, საბჭოთა ხელისუფლებამ მეტად მტკიცედ გადასწყვიტა მხოლოდ ამ გზით იაროს წინ და არ შედრკეს იმ მერყეობის, ეჭვებისა და კრიტიკის გამო, ზოგჯერ კი სასოწარკვეთილების გამოც, რომელთაც ჩვენს გარშემო ვხედავთ. გასაკვირველი როდია, რომ დამშეული ადგილების ამა თუ იმ წარმომადგენლების მხრივ ზოგჯერ ჩვენ ვხედავთ უაღრესად მძიმე და მწარე სასოწარკვეთილებას. ეს გასაკვირველი იმიტომ არ არის, რომ ის საერთო ციფრები, რომლებიც მე მოვიყვანე და რომლებიც ეხება არასამიწათმოქმედო ადგილებისა და ქალაქების მუშათა კვებას, ცხადყოფენ, რომ ისინი სანახევროდ დამოკიდებული ხდებიან სპეკულანტებზე, შემთხვევაზე და სხვ.

თქვენ კი იცით, რომ სპეკულაცია ჩვენში უაღრესად გაფთრებული ბრძოლისა და საშინელი წამგლეჯობის ხასიათს იღებს იმათ მხრივ, ვისაც ამ ბაზარზე პროდუქტების მოტანის შესაძლებლობა აქვს. გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენ სასოწარკვეთილებას ვხვდებით იმათ მხრივ, ვინც სპეკულანტთა და

მშიერთა ამ გააფთრებულ ბრძოლაში კრახი განიცადა. გასაგებია, რომ ისეთ პირობებში, როცა რკინიგზის ტრანსპორტი შესუსტებულია, როცა ყველაზე უფრო პურიან ადგილებში ჩვენ იმასვე ვხედავთ, რაც უკრაინაში ხდება, სადაც არავითარი აპარატის შექმნა არ ხერხდება, სადაც დღემდე პარტიზანობის ძველი ნაშთები ფუშავენ ორგანიზაციული მუშაობის ყოველგვარ შესაძლებლობას, სადაც მოსახლეობას დღემდე ვერ დაუძლევია პარტიზანობა, — ეს სავსებით ხელს უწყობს დენიკინს, რომელიც იქ ძალიან იოლად იმარჯვებს, და ეს გვიძნელებს გამოვიყენოთ ყველაზე პურიანი ბაზრები, სადაც მოიპოვება პურის მარაგი, რომელიც ადვილად გამოგვიყვანდა გაჭირვებიდან. მე ვამბობ, რომ ასეთი მდგომარეობის დროს გასაკვირველი არ არის, რომ სასოწარკვეთილების გამოხატულებას ხედავდე ირგვლივ იმ ადამიანთა მხრივ, რომლებმაც განსაკუთრებით მძიმე კრახი განიცადეს პურისთვის ბრძოლაში. თუ ჩვენ საერთოდ და მთლიანად საბჭოთა მუშაობის განვითარებას ავიღებთ, არა ცალკეულ შემთხვევათა მიხედვით, არამედ მუშაობის შედეგად, თუ ერთმანეთს შევადარებთ, რა მოგვცა საბჭოთა ხელისუფლებამ და რა მოგვცა თავისუფალმა ბაზარმა, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ სასურსათო საქმის ის ნახევარი, რომელიც სპეკულანტების ხელშია, ეს ნახევარი დღემდე წარმოადგენს საშინელი ჩაგვრისა და მეტად აღვირახსნილი, საზიზღარი, არაფრით რეგულირებული გამდიდრების წყაროს სპეკულანტებისთვის, — ამასთან ისეთ პირობებში, როცა, ერთი მხრივ, არიან მშიერი ადამიანები, ხოლო მეორე მხრივ, არის გამდიდრების შესაძლებლობა ზოგიერთებისთვის, — წარმოადგენს უსაშინელესი გარყვნილების წყაროს.

გასაგებია, რომ ის ადამიანები, რომლებსაც ვერ გაუგიათ მთლიანად ეს პროცესი და თავი და ბოლო ვერ მოუბამთ, ისინი ძალიან ხშირად იმის ნაცვლად, რომ იფიქრონ, თუ როგორ დასძლიონ კაპიტალიზმთან ბრძოლაში ეს ახალი ამოცანა — მტკიცე ფასებში პურის მოგროვების მოგვარება მუშათა სახელმწიფოსადმი ნდობის საფუძველზე, — იმის

ნაცვლად, რომ ამაზე იფიქრონ, გვეუბნებიან: «შეხედეთ, თუ მუშები თავისი გასავლის ცხრა მეათედს სუხარევკაზე ხარჯავენ, ეს ამტკიცებს, რომ თქვენ არსებობთ მხოლოდ მეტომრეებისა და სპეკულანტების წყალობით. ამიტომ თქვენ ამას უნდა შეეგუოთო». ზოგჯერ ჩვენ ეს გვესმის ისეთი ადამიანებისაგან, რომლებსაც გონებამახვილ და მოვლენის ღრმა მცოდნე პირებად წარმოუდგენიათ თავი. სინამდვილეში კი ისინი სოფიზმის წარმომადგენლები არიან. რევოლუციის გამოცდილება ადასტურებს, რომ მართვა-გამგეობის ფორმების შეცვლა — ძნელი საქმე არ არის, რომ მემამულეებისა და კაპიტალისტების გაბატონებული კლასის ჩამოშორება — შესაძლებელია მოკლე ვადაში, რევოლუციის წარმატებითი განვითარებისას რამდენიმე კვირაშიც კი, მაგრამ ეკონომიური ცხოვრების ძირითადი პირობების გარდაქმნა, იმ ჩვეულებებთან ბრძოლა, რომლებითაც ასეული და ათასეული წლების განმავლობაში იმსჭვალებოდა თვითეული წვრილი მეურნე, ეს ისეთი საქმეა, რომელიც, ექსპლოატატორული კლასების სრული დამხობის პირობებში, მოითხოვს მრავალი წლის შეუპოვარ ორგანიზაციულ მუშაობას. და, როდესაც მიგვითითებენ, აი, შეხედეთ, თქვენს გვერდით რა საუცხოოდ ხარობს სუხარევკა, როგორ არის მასზე დამოკიდებული საბჭოთა ხელისუფლებაო, ჩვენ ვამბობთ: მერე რა გაკვირვებთ? ნუთუ ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლებოდა ორ წელზე ნაკლებ ვადაში და ისიც იმ დროს, როცა რუსეთს მოწყვეტილია საუკეთესო სამიწათმოქმედო რაიონები? ის ადამიანები, რომლებიც ყველაზე მეტს გვედავებიან პრინციპული თვალსაზრისით და ზოგჯერ კიდევაც გვარწმუნებენ, რომ სოციალისტური თვალსაზრისით ლაპარაკობენ, — ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი სოციალიზმისაგან! — ისინი ბოლშევიკებს უსაყვედურებენ უტოპიზმსა და ავანტიურიზმს იმის გამო, რომ ბოლშევიკები ამბობდნენ: რევოლუციური გზით შეიძლება და უნდა დავამსხვრიოთ კიდეც არა მარტო მონარქია და მემამულური მიწათმფლობელობა, არამედ უნდა დავამსხვრიოთ და აღვგავოთ კაპიტალისტების კლასი და ძველი

იმპერიალისტური ომის ნაშთები, რათა ნიადაგი გავუწმინდოთ ორგანიზაციულ მშენებლობას, რომელიც გარდუვალად გვაიძულებს ანგარიში გავუწიოთ მუშათა ხელისუფლების ბატონობის ხანგრძლივ პერიოდს, მუშათა ხელისუფლებისა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ შეუძლია გაიყოლიოს გლეხობის ფართო მასები. ეს ადამიანები, რომლებიც უტოპიზმს გვისაყვედურებენ იმის გამო, რომ ჩვენ შესაძლებლად ვცნობდით მემამულეებისა და კაპიტალისტების კლასის რევოლუციური გზით დამსხვრევას, თვითონ გვახვევენ თავს უტოპიურ აზოცანას, რომ ორგანიზაციული საკითხები ახალი სოციალისტური წყობილებისა და იმ ძველ ჩვეულებებთან ბრძოლისა, რომელთა მოსპობა დაწესებულებათა არავითარი გაუქმებით არ შეიძლება, რომ ეს საკითხები გადაწყდეს ისეთ ვითარებაში, როცა ჩვენ ხელფეხშეკრული ვართ სამოქალაქო ომით, და იმ ვადაში, რომელშიც მათი გადაჭრა არავითარ მიწიერ ძალებს არ შეუძლიათ.

დიახ, სწორედ სასურსათო პოლიტიკა განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებს, რომ სოციალიზმის ბრძოლა კაპიტალიზმთან ამ ბრძოლის უკანასკნელ ფორმაში ხდება სწორედ აქ, როცა საჭიროა დავძლიოთ არა მარტო ძველი დაწესებულებები და არა მარტო მემამულეები და კაპიტალისტები, არამედ კაპიტალიზმის მიერ აღზრდილი ყველა ჩვეულება მილიონობით დასათვლელი წვრილი მეპატრონეებისა და მათი მეურნეობის წარმართვის პირობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მათმა გონებამ გაიმარჯვოს მათ ცრურწმენაზე. ყოველი ცოტად თუ ბევრად შეგნებული გლეხი დაგვეთანხმება, რომ პურის თავისუფალი ვაჭრობა და მისი თავისუფალ ბაზარზე გაყიდვა, როდესაც ხალხი შიმშილობს, ეს ნიშნავს ომს ადამიანთა შორის და სპეკულანტების გამდიდრებას, ხალხის მასებისთვის კი ეს ნიშნავს შიმშილს. მაგრამ მარტო შეგნება არ კმარა, იმიტომ რომ გლეხის მთელი ცრურწმენა და მთელი ჩვეულება იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ რამდენიმე ას მანეთად პურის სპეკულანტისთვის მიყიდვა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სახელმწი-

ფოსთვის მიცემა რამდენიმე ათ მანეთად ქაღალდის ფულზე, რომლითაც მას ახლა საქონლის მიღება არ შეუძლია. ჩვენ ვამბობთ: როცა ქვეყანა გაჩანაგებულია, როცა სათბობი არ არის და ფაბრიკები გაჩერებულია, შენ, გლეხმა, დახმარება უნდა გაუწიო მუშათა სახელმწიფოს, უნდა მისცე მას პური სესხად. ის ქაღალდის ფული, რომელსაც შენ პურის სანაცვლოდ გაძლევენ, — ეს არის მოწმობა იმისა, რომ შენ სესხი მიეცი სახელმწიფოს. თუ შენ, გლეხი, პურს მისცემ სახელმწიფოს სესხად, მაშინ მუშას შეუძლია აღადგინოს მრეწველობა. მრეწველობის აღდგენის სხვა საშუალება იმ ქვეყანაში, რომელიც გაჩანაგებულია ოთხი წლის იმპერიალისტური ომით და ორი წლის სამოქალაქო ომით, — სხვა საშუალება არ არსებობს! ყოველი გლეხი, რომელიც რამდენადმე განვითარებულია და რომელსაც თავი დაუღწევია პირველყოფილი გლეხური უვიცობისთვის, დაგვეთანხმება, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობს. მაგრამ ერთია — შეგნებული გლეხი, რომელსაც თქვენ დაარწმუნებთ, თუ ადამიანურად მიმართავთ მას, და სხვაა იმ მილიონობით გლეხების ცრურწმენა, რომლებიც ანგარიშს უწევენ იმ ფაქტს, რომ მათ მთელი სიცოცხლე კაპიტალიზმის დროს გაუტარებიათ, რომ ისინი პურის საკუთრებას სამართლიან საქმედ სთვლიან, რომ მათ ახალი წესწყობილება არ გამოუცდიათ და არც შეუძლიათ მისი რწმენა ჰქონდეთ. აი რატომ ვამბობთ ჩვენ, რომ სწორედ ამ, სასურსათო, სფეროში წარმოებს ყველაზე უღრმესი ომი კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის უკვე საქმით და არა მხოლოდ სიტყვით, და არა სახელმწიფო მშენებლობის ზედაფენების სფეროში. ამ ზედაფენების გარდაქმნა ადვილია, და არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ გარდაქმნას. აქ კი მშრომელთა და მათი ავანგარდის — მუშათა კლასის — შეგნება გადამწყვეტ და უკანასკნელ ბრძოლას უმართავს გლეხთა მასების ცრურწმენას, დაქსაქსულობასა და დაქუცმაცებას. როდესაც კაპიტალიზმის მომხრენი — სულ ერთია, ბურჟუაზიულ პარტიათა წარმომადგენლები ჰქვია მათ თუ მენშევიკები ან ესერები, — როდესაც ისინი ამბობენ: «ხელი აიღეთ სახელმწიფო მონო-

პოლიის განხორციელებაზე, იძულებითი გზით მტკიცე ფასებში პურის აკრეფაზეო», — ჩვენ ვუპასუხებთ: «თქვენ, ძვირფასო მენშევიკებო და ესერებო, თქვენ, შეიძლება, გულწრფელი ადამიანებიც იყოთ, მაგრამ თქვენ იცავთ კაპიტალიზმს, თქვენი პირით მხოლოდ ძველი წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ცრურწმენა ლაპარაკობს, დემოკრატიისა, რომელსაც, გარდა თავისუფალი ვაჭრობისა, სხვა არაფერი უნახავს, რომელიც განზე დგას კაპიტალიზმთან გააფთრებული ბრძოლისგან და ჰგონია, რომ ამის შერიგება და შეთანხმება შეიძლება». ჩვენ საკმაო გამოცდილება გვაქვს და ვიცით, რომ ნამდვილად მშრომელი მასების წარმომადგენლებმა, იმათ, რომლებიც არ გამოყოფილან ზედაფენებად, რომელთაც მთელ სიცოცხლეში ექსპლოატაციას უწევდნენ მემამულეები და კაპიტალისტები, — მათ იციან, რომ აქ საქმე ეხება კაპიტალიზმთან უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლას, რომელმაც არავითარი შერიგება არ იცის. მათ იციან, რომ სწორედ აქ, ამ სფეროში, რაიმე დათმობა შეუძლებელია. თუ საბჭოთა ხელისუფლება დროებით ამბობს, როგორც შარშან ზაფხულში ამბობდა: გავუშვათ ფუთნახევრიანები ამდენი და ამდენი კვირითაო, — ამის შემდეგ მან აამუშავა თავისი აპარატი, და მან წინანდელზე მეტი მოგვცა. თქვენ იცით, რომ ანჟამადაც მოგვიხდა დაგვეშვა ასეთივე დათმობა და ასეთი შესვენება: დაე მუშებმა შვებულების დროს მოიმარაგონ პური ცალ-ცალკე. ამით უფრო უზრუნველყოფთ ჩვენს შესაძლებლობას კვლავ მოვკიდოთ ხელი მუშაობას, უზრუნველყოფთ ჩვენს სოციალისტურ მუშაობას. ჩვენ ნამდვილ ომს ვუმართავთ კაპიტალიზმს და ვამბობთ, რანაირი დათმობაც არ უნდა გაგვაკეთებინოს მან, ჩვენ მაინც იმის მომხრე ვართ, რომ ვიბრძოლოთ კაპიტალიზმისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ჩვენ აქ ისეთივე შეუბრალებლობით ვიბრძოლებთ, როგორც ვებრძვით კოლჩაკსა და დენიკინს, იმიტომ რომ ის ძალა, საიდანაც ისინი დახმარებას იღებენ, ეს არის კაპიტალიზმის ძალა, ის კი, რა თქმა უნდა, ჰაერიდან არ მოდის, ის ემყარება პურისა და საქონლის თავისუფალ ვაჭ-

რობას. ჩვენ ვიცით, რომ როდესაც პურს თავისუფლად ჰყიდიან ქვეყანაში, ეს გარემოება არის სწორედ კაპიტალიზმის მთავარი წყარო, წყარო, რომელიც დღემდე სწორედ ყველა რესპუბლიკის დაღუპვის მიზეზი იყო. ახლა გადამწყვეტი და უკანასკნელი ბრძოლა წარმოებს კაპიტალიზმსა და თავისუფალ ვაჭრობასთან, და ჩვენთვისაც ახლა ყველაზე ძირითადი ბრძოლა წარმოებს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის. თუ ჩვენ ამ ბრძოლაში გავიმარჯვებთ, კაპატალიზმისკენ და ძველი ხელისუფლებისკენ, ყოველივე იმისკენ დაბრუნება, რაც წინათ იყო, უკვე აღარ მოხდება. ეს დაბრუნება შეუძლებელი იქნება, საჭიროა მხოლოდ ომი გამოეცხადოს ბურჟუაზიას, სპეკულაციას, წვრილ მეურნეობას, რომ არ იყოს შენარჩუნებული ის პრინციპი, რომელიც წინათ არსებობდა: «ყველა თავისთვის, ღმერთი კი ყველასთვისო». უნდა დავივიწყოთ ის პრინციპი, როცა ყოველი გლეხი თავისთვის იქნებოდა, კოლჩაკი კი — ყველასთვის. ჩვენ ახლა ურთიერთდამოკიდებულებისა და მშენებლობის ახალი ფორმა გვაქვს. უნდა ვიცოდეთ, რომ სოციალიზმი მოდის, და, რაც უნდა მოვიხვიოთ თავს ჩვენი ძველი გადანაშთები, უნდა გვახსოვდეს, რომ ესენი იქნება მხოლოდ ძველი აზრების ძველი ნაწყვეტები, იმიტომ რომ გლეხი სულ სხვაგვარად უნდა ეპყროობოდეს მის მიერ ნაწარმოებ მოხმარების საგანს; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ის პურს «თავისუფალ» ფასში მიჰყიდის მუშას, ის, უეჭველად, ბურჟუა და მესაკუთრე ხდება, ჩვენ კი ვამბობთ, რომ პური უნდა იყიდებოდეს მტკიცე სახელმწიფო ფასში, და ეს საშუალებას მოგვცემს გავშორდეთ კაპიტალიზმს. და აი, როცა ჩვენ გვიხდება ჩვენი შიმშილობის მთელი სიმძიმის განცდა და ჩვენი ახლანდელი მდგომარეობის შედარება შარშანდელთან, უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა შეუდარებლად უკეთესია ვიდრე შარშან. მართალია, ჩვენ გვიხდება ზოგიერთი რამის დათმობა, მაგრამ ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია ამ დათმობათა გამო პასუხის გაცემა და მათი განმარტება. მიუხედავად ამისა, თუმცა ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების 20 თვის განმავლობაში ბევრი რამ

გავაკეთეთ, მაგრამ ჯერ კიდევ არ გადაგვიწყვეტია დღევანდელი მძიმე მდგომარეობის ყველა სიძნელე.

როდესაც ჩვენ გლეხებს მოვგლეჯთ საკუთრებისგან, მოვაბრუნებთ მათ და ჩავაბამთ ჩვენს სახელმწიფო მუშაობაში, მაშინ შეიძლება თქმა, რომ განვვლეთ ჩვენი გზის ძნელი ნაწილი. მაგრამ ჩვენ არ გადავუხვევთ ამ გზას, როგორც არ გადავუხვევთ დენიკინთან და კოლჩაკთან ბრძოლის გზას. იმ ადამიანების ბანაკიდან, რომლებიც თავიანთ თავს ესერებსა და მენშევიკებს უწოდებენ, ჩვენ გვესმის ასეთი რამეები, რომ ომი გამოუვალია, რომ ამ ომიდან გამოსავალი არ არსებობს და რომ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები მის დასამთავრებლადო, — ამ სიტყვებს ძალიან ხშირად გაიგონებთ. ამას ლაპარაკობენ ისეთი ადამიანები, როლებსაც არ ესმით საქმის ნამდვილი ვითარება. ისინი სამოქალაქო ომს გამოუვალად სთვლიან, იმიტომ რომ ის მეტად მძიმეა, მაგრამ განა მათ არ ესმით, რომ ამ ომს ჩვენ თავს გვახვევენ ევროპის იმპერიალისტები, იმიტომ რომ მათ ეშინიათ საბჭოთა რუსეთისა. ამავე დროს მათ თავიანთ სასახლეებში ჰყავთ: დღეს სავინკოვი, ხვალ — მაკლაკოვი, შემდეგ — ბრეშკოვსკაია და გამართული აქვთ მათთან არა რაიმე ტკბილი საუბარი, არამედ საუბრობენ იმაზე, თუ როგორ გამოგზავნონ აქ, ჩვენთან, ჯარისკაცები, არტილერია ზარბაზნებით და სიკვდილის სხვა იარაღებით უფრო რაციონალურად, როგორ დაეხმარონ არხანგელსკის ფრონტს, როგორ წაუმატონ მას სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფრონტი და კიდევ პეტროგრადისა. მთელი ევროპა და ევროპის მთელი ბურჟუაზია ამხედრდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ბურჟუაზია ისე გათავხედდა, რომ უნგრეთის მთავრობას ასეთ წინადადებას აძლევს: «ჩვენ მოგცემთ პურს, თქვენ კი უარი თქვით საბჭოთა ხელისუფლებაზეო». მე ვფიქრობ, უნგრეთისათვის ეს წინადადება უდიდესი აგიტაცია იქნება, როცა მას ბუდაპეშტის გაზეთებში წაიკითხავენ! მაგრამ ეს მაინც უკეთესია, ეს უფრო პატიოსანი და აშკარა გზაა, ვიდრე ყოველგვარი მკითხაობა თავისუფალი ვაჭრობისთვის ბრძოლის შესახებ და სხვ.. აქ ნათლა-

დაა ნაფქვამი: თქვენ გესაჭიროებათ პური, — უარი თქვით ამა და ამაზე, რაც ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის, და მოგცემთ ამ პურსო.

ამიტომ, თავაზიანი კაპიტალისტები რომ ამ წინადადებით რუს გლეხებს მიმართავდნენ, ჩვენ ძალიან მადლობელი ვიქნებოდით მათი. ჩვენ ვიტყოდით: ჩვენ არ გვყოფნიდა აგიტატორები, — ახლა კლემანსო, ლოიდ-ჯორჯი, ვილსონი დაგვეხმარნენ და ისინი საუკეთესო აგიტატორები აღმოჩნდნენ. ახლა ლაპარაკი აღარ იქნება დამფუძნებელ კრებაზე, კრებების თავისუფლებაზე და სხვ., ყველაფერი აშკარაა. მაგრამ შევეკითხებით ბატონ კაპიტალისტებს — თქვენ ასე ბევრი სამხედრო ვალი გაქვთ ასაღები, თქვენ ყველა ჩემოდანი გატენილი გაქვთ სავალო ვალდებულებებით, ამდენ და ამდენ მილიარდს შეადგენენ სამხედრო ვალები — და თქვენ ფიქრობთ, ხალხი გადაიხდის მათ? თქვენ იმდენი ყუმბარები, ვაზნები, ზარბაზნები გაქვთ, რომ აღარ იცით რა უყოთ მათ, და თქვენ საუკეთესოდ ჩათვალეთ დაცალოთ ისინი რუს მუშებზე? თქვენ კოლჩაკი იყიდეთ, რატომღა არ იხსენით ის? თქვენ ხომ ამას წინათ გამოიტანეთ რეზოლუცია, რომ «შეთანხმების» სახელმწიფოთა საერთაშორისო ერთა ლიგა კოლჩაკს სცნობს რუსეთის ერთიან სრულუფლებიან მთავრობადო [79]. ამის შემდეგ კი კოლჩაკმა თავქუდმოგლეჯილმა გაქუსლა. რატომ მოხდა ეს ასე? (ტ ა შ ი.) აი კოლჩაკეთის გამოცდილებით ჩვენ ვხედავთ, რა ფასი აქვთ ესერებისა და მენშევიკების ბელადთა დაპირებებს. აკი მათ წამოიწყეს კოლჩაკოვშჩინა, მათ ჰქონდათ სამარის ხელისუფლება. რაღა ფასი აქვთ ამ დაპირებებს? და როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებას აპირებენ ისეთი ძალები, რომლებიც, რა თქმა უნდა, სამხედრო მხრივ წარმოუდგენლად სჭარბობენ ჩვენს ძალებს — ჩვენ დაახლოებითაც კი არ შეგვიძლია მათი შედარება. რა თქმა უნდა, როგორც მსხვილ, ისე წვრილ ბურჟუაზიას აქედან სათანადო დასკვნა გამოჰყავს და დაღლილ, დამშეულ მასებს ეუბნება: «თქვენ ჩაგითრიეს სამოქალაქო ომში, საიდანაც გამოსავალი არ არსებობს. სად შეგიძლიათ

თქვენ, დაღლილ, ჩამორჩენილ ქვეყანას, ებრძოლოთ ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკას?». ეს მოტივი მუდამ გვესმის ჩვენს ირგვლივ ბურჟუაზიული ინტელიგენციისგანაც — ყოველდღე და ყოველ საათს. ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ სამოქალაქო ომი უიმედო საქმეა. მაგრამ ჩვენ პასუხს გვაძლევს ისტორია. ეს არის — ისტორია ციმბირის ხელისუფლებისა. ჩვენ ვიცით, რომ იქ ცხოვრობენ შეძლებული გლეხები, რომელთაც არ განუცდიათ ბატონყმობა და რომლებიც ამიტომ არ შეიძლება ბოლშევიკების მადლიერი იყვნენ მემამულეებისაგან განთავისუფლების გამო. ჩვენ ვიცით, რომ იქ შექმნილი იყო მთავრობა და საქმის დასაწყებად იქ გაგზავნეს მშვენიერი დროშები, რომლებიც დაამზადა ესერმა ჩერნოვმა თუ მენშევიკმა მაისკიმ, და მათზე წარწერილი იყო ლოზუნგები — დამფუძნებელი კრება, ვაჭრობის თავისუფლება — რაც გინდა ყველაფერს დაგიწერთ, ჩვენო უბირო გლეხო, ოღონდ დაგვეხმარე ბოლშევიკების დამხობაშიო! მერე რა გამოვიდა ამ ხელისუფლებიდან? — დამფუძნებელი კრების ნაცვლად გამოვიდა კოლჩაკის დიქტატურა, — უაღრესად გააფთრებული, ყოველგვარ მეფისდროინდელზე უარესი. რა არის ეს — შემთხვევა? გვიპასუხებენ — ეს შეცდომა იყოო. მაგრამ, ბატონებო, შეცდომა შეიძლება დაუშვან ცალკეულმა პირებმა თავიანთი ცხოვრების ამა თუ იმ აქტში, მაგრამ აქ ხომ თქვენ გეხმარებოდა ყველა თქვენი საუკეთესო ადამიანი, ყველანი, ვინც საუკეთესონი იყვნენ თქვენს პარტიებში. განა თქვენ არ გეხმარებოდათ ინტელიგენცია? ხოლო თუ ის არ იყო, — თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ის იყო, — თქვენთან იყო ყველა მოწინავე ქვეყნის — საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკისა და იაპონიის ინტელიგენცია. თქვენ გქონდათ მიწაწყალი, გყავდათ ფლოტი, გყავდათ ჯარები, გქონდათ ფული — მაშ რატომ დაიშალა ყველაფერი? შეცდომით, რომელიც დაუშვა რომელიმე ჩერნოვმა თუ მაისკიმ? არა! იმიტომ, რომ ამ თავგანწირულ ომში არ შეიძლება იყოს შუათანა რამ, და ხელისუფლების შესანარჩუნებლად ბურჟუაზიამ ათობით და ასობით უნდა დახვრიტოს ყველა, ვინც კი შემო-

ქმედებითი ძალაა მუშათა კლასში. ეს ნათლად ჩანს ფინეთის მაგალითზე, ამას გვიჩვენებს ახლა ციმბირის მაგალითი. იმის დასამტკიცებლად, რომ ბოლშევიკები უმწეონი არიან, ესერებმა და მენშევიკებმა დაიწყეს ახალი ხელისუფლების შექმნა, მაგრამ საქვეყნოდ ჩაეფუშათ საქმე და პირდაპირ კოლჩაკის ხელისუფლებისაკენ ჩაცვივდნენ. არა, ეს არ არის შემთხვევითი რამ, ეს ხდება მთელ მსოფლიოში, და კიდევაც რომ გამქრალიყო ბოლშევიკების მიერ წარმოთქმული ყველა სიტყვა, ყველა მათი ნაბეჭდი ნაწარმოები, რომელთაც ახლა სდევნიან ყველა ქვეყანაში, სადაც დაეძებენ ბოლშევიკურ ბროშურებს, როგორც რომელიმე გადამდებ სენს, სახიფათოს საბრალო ვილსონების, კლემანსოებისა და ლოიდ-ჯორჯებისთვის, — ყველაფერი ეს რომ გამქრალიყო, ჩვენ მივუთითებდით ციმბირზე, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ მათი დამქაშები მოქმედებდნენ, და ვეტყოდით: აი ეს ყოველგვარ აგიტაციაზე უკეთ მოქმედებს! ეს გვიჩვენებს, რომ ბურჟუაზიის დიქტატურასა და მუშათა კლასის დიქტატურას შორის საშუალო რამ შეუძლებელია იყოს. ეს აზრი იჭრება არა მარტო მუშათა მასების თავში, ის იჭრება ყველაზე შეუგნებელი გლეხის თავშიც კი. თქვენ იცით, რომ გლეხები ამბობდნენ: «ჩვენ არ გვინდა ბოლშევიკური მთავრობა, ჩვენ პურის თავისუფალი ვაჭრობა გვინდაო». თქვენ იცით, რომ სამარაში გლეხობა, საშუალო გლეხობა, ბურჟუაზიის მხარეზე იყო. ვინღა ჩამოაშორა ახლა ის კოლჩაკს? თურმე, მარტოოდენ გლეხს თავისი *... შექმნა არ შეუძლია. ამას ადასტურებს რევოლუციის მთელი ისტორია, და ყველამ, ვინც იცნობს მას და სოციალისტური მოძრაობის ისტორიას, იცის, რომ აქამდე მივყავართ პოლიტიკური პარტიების მთელ განვითარებას XIX საუკუნეში.

გლეხმა ეს, რა თქმა უნდა, არ იცოდა. მას არ ჰქონია საქმე არც სოციალიზმის ისტორიასთან, არც რევოლუციის ისტორიასთან, მაგრამ ის უჯერის და სცნობს იმ დასკვნებს, რომელნიც მის საკუთარ ზურგზე ყალიბდება. როდესაც

* სტენოგრამაში ერთი სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

მან დაინახა, რომ ბოლშევიკური სიძნელენი ეს იყო სიძნელენი ექსპლოატატორებზე გამარჯვებისათვის და რომ კოლჩაკის ხელისუფლებას დერჟიმორდების კაპიტალიზმის აღდგენა მოჰყვა, მან შეგნებულად თქვა: «მე ვირჩევ მუშათა მასების დიქტატურას და საბოლოოდ გავანადგურებ ბიუროკრატიული ბურჟუაზიის დიქტატურას, — როგორც ის უწოდებს კოლჩაკის დიქტატურას, — რათა დამყარდეს პროლეტარიატის დიქტატურა, ხალხის დიქტატურა». კოლჩაკის ეს ისტორია გვიჩვენებს, რომ რაც უნდა ბოლო არ უჩანდეს სამოქალაქო ომს, რაც უნდა მძიმე იყოს იგი, რაც უნდა გამოუვალი გვეჩვენებოდეს, ჩიხში მას მაინც არ მივყავართ. სამოქალაქო ომი ბოლშევიკებისაგან ყველაზე უფრო მოწყვეტილ ხალხის მასებს მათივე საკუთარი გამოცდილებით უნერგავს **იმ რწმენას, რომ აუცილებელია ამ ხელისუფლების მხარეზე გადასვლა.**

აი, ამხანაგებო, ჩვენი სამხედრო მდგომარეობა. ახლა ნება მომეცით მოხსენება დავამთავრო იმ კოოპერაციულ მუშაობაზე მითითებით, რომელიც ჩვენ უნდა შევასრულოთ. თქვენს წინაშე დასახული პრაქტიკული ამოცანების შეფასებაში ბევრმა ჩემზე გაცილებით უფრო კომპეტენტურმა ამხანაგმა უკვე გამოთქვა თავისი აზრი. მე ნებას მივცემ ჩემ თავს გამოვთქვა სურვილი, რომ ის ამოცანა, რომელიც თქვენ გეკისრებათ, — მშრომელი მასების მომცველი სამომხმარებლო კოოპერაციული საზოგადოების შექმნა, რაც უდიდესი მნიშვნელობის საქმეა, — წარმატებით იქნას შესრულებული. კოოპერატივები კაპიტალისტური საზოგადოების ვითარებაში გარდუვალად გამოჰყოფდნენ ხოლმე მათ ხელმძღვანელ ზედაფენებს, და ეს ზედაფენები მთლიანად თეთრგვარდიული იყო. ეს აღმოჩნდა არა მარტო ჩვენში, ეს დაამტკიცეს იმ ზედაფენებმა, რომლებიც ხელშეკრულებას სდებენ კოლჩაკთან. ეს იყო ინგლისსა და გერმანიაში, — კაპიტალისტურ ქვეყნებში. როდესაც ომი დაიწყო, კოოპერატივების ზედაფენები, კაპიტალებით ცხოვრებას მიჩვეულნი, უკლებლივ იმპერიალისტების მხარეზე გადავიდნენ.

შემთხვევითი როდია, რომ მთელ მსოფლიოში, იმპერიალისტური ომის დროს პარლამენტარ-სოციალისტების ზედაფენები, სოციალისტური მოძრაობის ზედაფენები, მთლიანად გადავიდნენ იმპერიალისტების მხარეზე. ისინი აღვივებდნენ ომს, და იქამდე მივიდნენ, რომ მათი მეგობრები იმ მთავრობის სათავეში არიან, რომელმაც ლიბკნეხტი და ლუქსემბურგი მოკლა, და ეხმარებიან მუშათა კლასის ბელადების დახვრეტაში. ეს ცალკეულ ადამიანთა ბრალი როდია. ეს ამა თუ იმ უბედური დამნაშავე ადამიანის დანაშაული როდია. ეს არის შედეგი კაპიტალიზმისა, რომელიც რყვნიდა მათ. ასე იყო მთელ მსოფლიოში, და რუსეთი ხომ წმინდა ქვეყანა არ არის, და ჩვენც კაპიტალისტური საზოგადოებიდან არ შეგვეძლო გადავსულიყავით სხვაგვარად, ჩვენც გველოდა მძიმე ომის გადატანა ამ ზედაფენებთან ერთად. ეს ომი ახლაც არ არის დამთავრებული, როცა ის ედება ხალხის მასებს, როცა მასები ფეხზე დგებიან ყოველგვარი სპეკულაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი, ვინც საკუთარ ზურგზე გადაიტანა ექსპლოატაცია, არ დაივიწყებენ მას, როცა ხელთ აიღებენ განაწილების საქმეს. შესაძლებელია, ჩვენ ამ საქმეში ბევრი დამარცხება ვიგემოთ. ჩვენ ვიცით, რომ აქ ბევრი სიბნელე და უმეცრებაა, რაც ხან აქ გადმოხეთქს, ხან იქ, — ჩვენ ვიცით, რომ ერთი დარტყმით ვერაფერს გავხდებით. მაგრამ ჩვენ, რომლებიც შეგნებულად ვაწარმოებთ საბჭოთა მუშაობას, შეგნებული გლეხები და მუშები, რომლებიც აწყობენ სოციალისტურ რუსეთს, ამ ომს გავუძღვებით. ამ ომს თქვენ გაუძღვებით ჩვენთან ერთად, და ამ ომს, რაც უნდა ძნელი და მძიმე იყოს იგი, ჩვენ დავამთავრებთ სრული გამარჯვებით, ამხანაგებო. (ტ ა შ ი.)

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა
1919 წ. 31 ივლისს
გაზეთ «პრავდაში» № 167
პირველად სრულად დაიბეჭდა 1932 წ.

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

სიტყვა განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1919 წ. 31 ივლისს[1]

ამხანაგებო, ძალიან მოხარული ვარ მივესალმო თქვენს ყრილობას სახალხო კომისართა საბჭოს სახელით.

სახალხო განათლების დარგში ჩვენ დიდიხნის განმავლობაში მოგვიხდა ბრძოლა იმავე სიძნელეებთან, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის ხვდებოდა მუშაობის ყველა დარგში და ორგანიზაციის ყველა დარგში. ჩვენ ვხედავდით, რომ იმ ორგანიზაციების სათავეში, რომლებიც ერთადერთ მასობრივ ორგანიზაციებად ითვლებოდნენ, სულ თავიდანვე ის ადამიანები აღმოჩნდნენ, რომლებიც კიდევ დიდხანს იმყოფებოდნენ ბურჟუაზიული ცრურწმენის ტყვეობაში. საბჭოთა ხელისუფლების პირველ ხანებში იმასაც კი ვხედავდით, 1917 წლის ოქტომბერში, პეტროგრადში, როგორ გვაყრიდა არმია განცხადებებს იმის შესახებ, რომ არ ვცნობთ საბჭოთა ხელისუფლებასო, იმუქრებოდა პეტროგრადზე გამოლაშქრებით და სოლიდარობას უცხადებდა ბურჟუაზიულ მთავრობებს. ჯერ კიდევ მაშინ დავრწმუნდით, რომ ეს განცხადებები მომდინარეობდა ამ ორგანიზაციების იმ ზედაფენებიდან, მაშინდელი საარმიო კომიტეტებიდან, რომლებიც ჩვენი არმიის განწყობილებათა, რწმენათა და შეხედულებათა განვითარებაში მთლიანად წარსულს წარმოადგენდნენ. მას შემდეგ ეს მოვლენა მეორდებოდა ყველა მასობრივი ორგანიზაციის მიმართ: რკინიგზის პროლეტარიატის მიმართაც, იგი მეორდებოდა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მიმარ-

თაც. ჩვენ ყოველთვის ვხედავდით, რომ პირველ ხანებში წარსულს ჯერ კიდევ ხელში უჭირავს ძალა და გავლენა მასობრივ ორგანიზაციებზე. ამიტომ ჩვენ სრულიად არ გვაკვირვებდა ის ხანგრძლივი შეუპოვარი ბრძოლაც, რაც მასწავლებლობაში წარმოებდა, რომელიც თავიდანვე ისეთ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომლის უდიდესი უმრავლესობა, თუ მთლად არა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულ პლატფორმაზე იდგა. ჩვენ ვხედავდით, როგორი თანდათანობით გვიხდებოდა ძველი ბურჟუაზიული ცრურწმენის დაძლევა, და როგორ მოუხდა ამ მასწავლებლობას, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუშებთან და მშრომელ გლეხობასთან, როგორ მოუხდა მას წინა ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში მოეპოვებინა თავისი უფლებები და გაეკაფა გზა მშრომელ მასებთან ნამდვილი დაახლოებისაკენ, მომხდარი სოციალისტური რევოლუციის ხასიათის ნამდვილი გაგებისაკენ. დღემდე თქვენ უფრო მეტად გქონდათ საქმე, ვიდრე ვინმე სხვას, ბურჟუაზიული ინტელიგენციის ძველ ცრურწმენასთან, მის ჩვეულებრივ ფანდებსა და არგუმენტაციებთან, მის მიერ ბურჟუაზიული ან კაპიტალისტური საზოგადოების დაცვასთან, მის ბრძოლასთან, რომელიც ჩვეულებრივ წარმოებს არა პირდაპირ, არამედ ამა თუ იმ გარეგნულად კეთილხმოვანი ლოზუნგების ნიღაბით, ლოზუნგებისა, რომლებსაც სინამდვილეში ასე თუ ისე აყენებენ კაპიტალიზმის დასაცავად.

ამხანაგებო, შესაძლოა, გახსოვდეთ, როგორ აგვიწერს მარქსი მუშის ფეხის შედგმას თანამედროვე კაპიტალისტურ ფაბრიკაში, როგორ გამოიკვლია მარქსმა კაპიტალის მიერ მშრომელთა ჩაგვრის მიზეზები, ანალიზი გაუკეთა რა მუშის მონობას დისციპლინირებულ, კულტურულ და «თავისუფალ» კაპიტალისტურ საზოგადოებაში, როგორ უდგება ის საწარმოო პროცესის საფუძვლებს, როგორ აგვიწერს ის მუშის შესვლას კაპიტალისტურ ფაბრიკაში, სადაც ხდება ზედმეტი ღირებულების ძარცვა, სადაც საფუძველი ეყრება მთელ კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, სადაც იქმნება კაპიტალისტური

საზოგადოება, რომელიც სიმდიდრეს ადამიანთა მცირე რიცხვს უგდებს ხელში და რომელსაც მასები დაჩაგრულ მდგომარეობაში ჰყავს. როდესაც მარქსი თავისი ნაწარმოების ამ ყველაზე არსებითს და ძირითად ადგილამდე — კაპიტალისტური ექსპლოატაციის ანალიზამდე მიდის, ამ შესავალს ის ურთავს ირონიულ შენიშვნას: «აქ, სადაც მე თქვენ შეგიყვანთ, კაპიტალისტების მიერ მოგების გამოწურვის ამ ადგილს, აქ ბატონობს თავისუფლება, თანასწორობა და ბენტამი» [81]. როდესაც მარქსი ამას ამბობდა, ის ხაზგასმით აღნიშნავდა ბურჟუაზიის იმ იდეოლოგიას, რომელსაც იგი ახორციელებს კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელსაც იგი ამართლებს, რადგან იმ ბურჟუაზიის თვალსაზრისით, რომელმაც გაიმარჯვა ფეოდალთან ბრძოლაში, ამ ბურჟუაზიის თვალსაზრისით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელიც ემყარება კაპიტალის ბატონობას, ფულის ბატონობას, მშრომელთა ექსპლოატაციას, სწორედ «თავისუფლება, თანასწორობა და ბენტამი» ბატონობს. თავისუფლება, რომელსაც ისინი უწოდებენ ფულის შოვნის თავისუფლებას, მცირე რიცხვთა გამდიდრების თავისუფლებას, სავაჭრო ბრუნვის თავისუფლებას; თანასწორობა, რომელსაც ისინი უწოდებენ კაპიტალისტებისა და მუშების თანასწორობას; ბენტამის ბატონობა, ე. ი. წვრილბურჟუაზიული ცრურწმენის ბატონობა თავისუფლებისა და თანასწორობის მიმართ.

თუ მიმოვიხედავთ გარშემო, თუ დავუკვირდებით იმ საბუთებს, რომლებითაც მასწავლებელთა ძველი კავშირის წარმომადგენლები გუშინ გვებრძოდნენ და დღესაც გვებრძვიან და რომლებსაც ჩვენ დღემდე ვხვდებით ჩვენს იდეურ მოწინააღმდეგეებში, სოციალისტებს რომ უწოდებენ თავიანთ თავს, ესერებსა და მენშევიკებში, იმ საბუთებს, რომელთაც ჩვენ ნაკლებშეგნებული ფორმით ვხვდებით ყოველდღიურ ლაპარაკში გლეხთა მასასთან, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გაუგია სოციალიზმის მნიშვნელობა, — თუ თქვენ დაუკვირდებით ამას და ჩაუფიქრდებით ამ საბუთების იდეურ მნიშვნელობას, სწორედ იმავე ბურჟუაზიულ მოტივს იპოვით, რომელსაც

მარქსი ხაზგასმით აღნიშნავდა «კაპიტალში». ყველა ეს ადამიანი ადასტურებს იმ აზრს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში თავისუფლება, თანასწორობა და ბენტამი ბატონობს. როდესაც გვედავებიან ამ თვალსაზრისით და ამბობენ, რომ ჩვენ, ბოლშევიკები და საბჭოთა ხელისუფლება, თავისუფლებისა და თანასწორობის დამრღვევნი ვართ, ჩვენ მივუთითებთ მათ, ვინც ასე ლაპარაკობს, პოლიტიკური ეკონომიის საწყისებზე, მარქსის მოძღვრების საფუძვლებზე. ჩვენ ვამბობთ: ის თავისუფლება, რომლის დარღვევასაც თქვენ უსაყვედურებთ ბოლშევიკებს, ეს არის კაპიტალის თავისუფლება, მეპატრონის თავისუფლება პურის გაყიდვისა თავისუფალ ბაზარზე, ე. ი. გამდიდრების თავისუფლება მცირერიცხოვან პირთათვის, რომელთაც ეს პური ზედმეტი აქვთ. პრესის ის თავისუფლება, რომლის დარღვევას მუდამ უსაყვედურებდნენ ბოლშევიკებს, — რას წარმოადგენს პრესის ეს თავისუფლება კაპიტალისტურ საზოგადოებაში? ყველას უნახავს, რას წარმოადგენდა პრესა ჩვენში, «თავისუფალ» რუსეთში. კიდევ უფრო მეტად უნახავთ ეს იმ ადამიანებს, რომლებიც ეცნობოდნენ, უშუალოდ ხედავდნენ ან საქმე ჰქონდათ პრესის მდგომარეობასთან მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში. პრესის თავისუფლება კაპიტალისტურ საზოგადოებაში — ეს ნიშნავს პრესითა და ხალხის მასებზე ზემოქმედებით ვაჭრობის თავისუფლებას. პრესის თავისუფლება — ეს არის პრესის, ხალხის მასებზე უძლიერესი ზეგავლენის ამ იარაღის შენახვა კაპიტალის ხარჯზე. აი რა არის პრესის თავისუფლება, რომელიც ბოლშევიკებმა დაარღვიეს, და ისინი ამაყობენ იმით, რომ პირველად გაათავისუფლეს პრესა კაპიტალისტებისაგან, რომ მათ პირველად შექმნეს უდიდეს ქვეყანაში ისეთი პრესა, რომელიც არ არის დამოკიდებული ერთი მუჭა მდიდრებისა და მილიონერებისაგან, — პრესა, რომელიც მთლიანად ემსახურება კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებს, და ამ ბრძოლას ჩვენ უნდა დავუმორჩილოთ ყველაფერი. ამ ბრძოლაში მშრომელთა მოწინავე ნაწილი, მათი ავანგარდი

შეიძლება იყოს მხოლოდ მუშა პროლეტარიატი, რომელსაც შეუძლია გაუძღვეს შეუგნებელ გლეხთა მასებს.

როდესაც ჩვენ გვისაყვედურებენ ერთი პარტიის დიქტატურას და გვთავაზობენ, როგორც თქვენც გაიგონეთ, ერთიან სოციალისტურ ფრონტს, ჩვენ ვამბობთ: «დიახ, ერთი პარტიის დიქტატურა! ჩვენ მას ვადგივართ და ამ ნიადაგს ვერ მოვშორდებით, იმიტომ რომ ეს არის ის პარტია, რომელმაც ათეული წლების განმავლობაში მოიპოვა მთელი ფაბრიკა-ქარხნებისა და მრეწველობის პროლეტარიატის ავანგარდის მდგომარეობა. ეს არის პარტია, რომელმაც ეს მდგომარეობა მოიპოვა ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციამდე. ეს არის პარტია, რომელიც 1905 წელს მუშათა მასების სათავეში აღმოჩნდა, რომელიც ამ დროიდან დაწყებული და რეაქციის დროსაც 1905 წლის შემდეგ, როცა, სტოლიპინის სათათბიროს არსებობისას, ასეთი სიძნელით განახლდა მუშათა მოძრაობა, — ეს პარტია შეუერთდა მუშათა კლასს, და მხოლოდ მარტოდმარტო მას შეეძლო გასძღოლოდა მუშათა კლასს ძველი საზოგადოების ღრმა და ძირფესვიანი გარდაქმნისაკენ». როდესაც ჩვენ ერთიან სოციალისტურ ფრონტს გვთავაზობენ, ჩვენ ვამბობთ: ამას გვთავაზობენ მენშევიკებისა და ესერების პარტიები, რომლებიც რევოლუციის განმავლობაში მერყეობას იჩენდნენ ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ჩვენ ორი გამოცდილება გვაქვს: კერენშჩინა, როდესაც ესერები ადგენდნენ კოალიციურ მთავრობას, რომელსაც ეხმარებოდა ანტანტა, ე. ი. მსოფლიო ბურჟუაზია, საფრანგეთის, ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტები. მერე რა ვიხილეთ ამის შედეგად? ვიხილეთ თუ არა ის თანდათანი გადასვლა სოციალიზმზე, რომელსაც შეგვპირდნენ? არა, ჩვენ ვიხილეთ კრახი, იმპერიალისტების სრული ბატონობა, ბურჟუაზიის ბატონობა და ყოველგვარი შემთანხმებლური ილუზიების სრული გაკოტრება.

თუ ეს გამოცდილება ცოტაა, აიღეთ ციმბირი. იქ ჩვენ ვიხილეთ ამ გამოცდილების განმეორება. ციმბირში ხელისუფლება ბოლშევიკების წინააღმდეგი აღმოჩნდა. პირველ

ხანებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩეხოსლოვაკებ-ის აჯანყებას და მენშევიკებისა და ესერების აჯანყებას და-ხმარებას უწევდა საბჭოთა ხელისუფლებისაგან გაქცეული მთელი ბურჟუაზია. მათ დახმარებას უწევდნენ ევროპისა და ამერიკის ყველაზე ძლიერი ქვეყნების მთელი ბურჟუაზია და კაპიტალისტები და დახმარებას უწევდნენ არა მარტო იდეურად, არამედ ფინანსურადაც და სამხედრო თვალ-საზრისითაც. მერე შედეგი? რა მოგვიტანა ვითომდა და-მფუძნებელი კრების ამ ბატონობამ, ესერებისაგან და მენ-შევიკებისაგან შემდგარმა ვითომდა დემოკრატიულმა მთავრო-ბამ? კოლჩაკის ავანტიურა. რატომ გამოიწვია ამან ჩავარდნა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ? იმიტომ, რომ აქ თავი იჩინა იმ ძირითადმა ჭეშმარიტებამ, რომლის გაგება არ სურთ ჩვენ მოწინააღმდეგეთა ბანაკის ვითომ-სოციალისტებს, რომ კაპი-ტალისტურ საზოგადოებაში, როცა ის ვითარდება, მტკიცედ დგას ან როცა იღუპება, სულ ერთია — შეიძლება იყოს ორი ხელისუფლებიდან მხოლოდ ერთ-ერთი ხელისუფლება: ან კაპიტალისტების ხელისუფლება, ან პროლეტარიატის ხელის-უფლება. ყოველგვარი საშუალო ხელისუფლება — ოცნებაა, ყოველგვარი ცდა რაღაც მესამის შექმნისა იმას იწვევს, რომ ადამიანები, სრულიად გულწრფელებიც კი, ან ერთი ან მეო-რე მხარისკენ დაქანდებიან ხოლმე. მხოლოდ პროლეტარიატის ხელისუფლებას, მხოლოდ მუშების ბატონობას შეუძლია მი-იმხროს მთელი უმრავლესობა, რომელიც შრომის ნიადაგზე დგას, რადგან გლეხთა მასები, თუმცა მშრომელთა მასები არიან, მაგრამ ერთგვარად თავიანთი წვრილი მეურნეობის, თავიანთი პურის მესაკუთრენიც არიან. აი ის ბრძოლა, რომე-ლიც ჩვენს თვალწინაა გადაშლილი, — ბრძოლა, რომელიც გვიჩვენებს, თუ პროლეტარიატი ხანგრძლივ პოლიტიკურ სიძნელეთა მსვლელობაში, მთავრობათა ცვლის მსვლელობა-ში, რასაც ჩვენ ვხედავთ რუსეთის სხვადასხვა განაპირა მხა-რეში, როგორ თანდათან უკუაგდებს ყველაფერს, რაც ექს-პლოატაციას ემსახურება, როგორ იკაფავს იგი გზას და სულ უფრო და უფრო ხდება მშრომელი მასების ნამდვილ და სრულ

ბელადად კაპიტალის წინააღმდეგობის შემუსვრისა და მოსპობის საქმეში.

იმ ადამიანებს, რომლებიც ბოლშევიკების მიერ თავისუფლების დარღვევაზე ლაპარაკობენ, რომლებიც გვთავაზობენ ერთიან სოციალისტურ ფრონტს, ე. ი. იმათთან გაერთიანებას, ვინც მერყეობდა, ვინც რუსეთის რევოლუციის ისტორიაში უკვე ორჯერ გადავარდნილა ბურჟუაზიის მხარეზე, — ამ ადამიანებს ძალიან უყვართ ბრალის დადება ჩვენთვის ტერორის გამოყენებაში. ისინი ამბობენ, რომ ბოლშევიკებმა ტერორის სისტემა შემოიღეს მართვა-გამგეობაშიო, ისინი ამბობენ, რომ რუსეთის გადასარჩენად საჭიროა ბოლშევიკებმა ხელი აიღონ ტერორზეო. მაგონდება ერთი გონებამახვილი ფრანგი ბურჟუა, რომელიც ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე იდგა და სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ ამბობდა: «დაე ბატონმა მკვლელებმა დაიწყონ სიკვდილით დასჯის გაუქმებაო». ეს პასუხი მაგონდება, როდესაც ლაპარაკობენ: «დაე ბოლშევიკებმა ხელი აიღონ ტერორზეო». დაე ხელი აიღონ მასზე ბატონმა რუსმა კაპიტალისტებმა და მათმა მოკავშირეებმა — ამერიკამ, საფრანგეთმა და ინგლისმა, ე. ი. მათ, ვინც თავს მოახვია ტერორი საბჭოთა რუსეთს! ეს ის იმპერიალისტები არიან, რომლებიც თავს დაგვესხნენ და დღემდე თავს გვესხმიან მთელი თავიანთი სამხედრო ძლიერებით, ათასჯერ უფრო მძლავრით, ვიდრე ჩვენია. განა ეს ტერორი არ არის, როცა «შეთანხმების» ყველა ქვეყანას, ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის ყველა იმპერიალისტს თვითეულს თავის დედაქალაქში ჰყავს საერთაშორისო კაპიტალის მსახურნი, — სულ ერთია საზონოვები ჰქვია მათ, თუ მაკლაკოვები, — რომლებმაც დარაზმეს ბურჟუაზიისა და კაპიტალის ასი და ათი ათასობით უკმაყოფილო, გაღატაკებული, ნაწყენი და აღშფოთებული წარმომადგენლები? თუ თქვენ გსმენიათ სამხედრო წრეში მომხდარ შეთქმულებათა შესახებ, თუ თქვენ წაგიკითხავთ იმ უკანასკნელი შეთქმულების ამბავი კრასნაია გორკაში, რომელმაც კინაღამ ჩააბარა პეტროგრადი, რა იყო ეს, თუ არა ტერორის გამოხატულება

მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის მხრივ, რომელიც მზადაა ჩაიდინოს ყოველგვარი მხეცობა, დანაშაული და ძალმომრეობა, რათა რუსეთში აღადგინოს ექსპლოატატორები და ჩააქროს სოციალისტური რევოლუციის ის ხანძარი, რომელიც ამჟამად მათ საკუთარ ქვეყნებსაც კი ემუქრება? აი სად არის ტერორის სათავე, აი ვის ეკისრება პასუხისმგებლობა! და აი რატომ ვართ ჩვენ დარწმუნებული, რომ ისინი, ვინც რუსეთში ტერორზე ხელის აღებას ქადაგებს, მხოლოდ შეგნებულ ან შეუგნებელ იარაღს, აგენტებს წარმოადგენენ იმ ტერორისტ-იმპერიალისტების ხელში, რომლებიც თავიანთი ბლოკადებით, კოლჩაკისა და დენიკინისათვის დახმარების გაწევით ახრჩობენ რუსეთს. მაგრამ მათი საქმე უიმედოა.

რუსეთი პირველი ქვეყანაა, რომელსაც ისტორიამ არგუნა სოციალისტური რევოლუციის დამწყების როლი, და სწორედ ამიტომაც გვხვდა წილად ამდენი ბრძოლა და ტანჯვა. სხვა ქვეყნების იმპერიალისტებსა და კაპიტალისტებს ესმით, რომ რუსეთი თავით ფეხამდე იარაღასხმული დგას, რომ რუსეთში წყდება ბედ-იღბალი არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო კაპიტალისაც. აი რატომ ავრცელებენ ისინი ბოლშევიკების წინააღმდეგ გაუგონრად ბევრ სიცრუეს მთელ თავიანთ პრესაში, — ბურჟუაზიის მსოფლიო პრესაში, რომელიც მთლიანად მოსყიდულია მილიონებად და მილიარდებად.

ისინი რუსეთის წინააღმდეგ მხედრდებიან «თავისუფლების, თანასწორობისა და ბენტამის» იმავე პრინციპების გულისთვის. როდესაც თქვენ ჩვენში შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ისინი იცავენ რაღაც დამოუკიდებელს, საერთოდ დემოკრატიის პრინციპებს, როდესაც ისინი ლაპარაკობენ თავისუფლებაზე, თანასწორობაზე და ბოლშევიკების მიერ მათ დარღვევაზე, — სთხოვეთ ამ ადამიანებს გაეცნონ ევროპის კაპიტალიზმის პრესას. რა საფარით მოდიან კოლჩაკი და დენიკინი, რა საფარით ახრჩობენ რუსეთს ევროპის კაპიტალი და ბურჟუაზია? ყველა ისინი მხოლოდ ამას იმეორებენ — თავისუფლება და თანასწორობა! როდესაც ამერიკელებმა, ინგლისელებმა და ფრანგებმა ხელში ჩაიგდეს

არხანგელსკი, როდესაც ისინი თავიანთ ჯარებს გზავნიან სამხრეთში, — ისინი თავისუფლებასა და თანასწორობას იცავენ. აი რა ლოზუნგს ეფარებიან ისინი, და აი რატომაა, რომ ამ გააფთრებული ბრძოლის ვითარებაში ფეხზე დგება რუსეთის პროლეტარიატი მთელი მსოფლიოს კაპიტალის წინააღმდეგ. აი რას ემსახურებიან თავისუფლებისა და თანასწორობის ეს ლოზუნგები, რომლებითაც ატყუებს ხალხს ბურჟუაზიის ყველა წარმომადგენელი და რომელთა ბოლომდე დამსხვრევა წილად ხვდება ინტელიგენციას, რომელიც ნამდვილად მუშებისა და გლეხობის მხარეზეა.

ჩვენ ვხედავთ, რომ, რაც უფრო შეუპოვარი და გაბოროტებული ხდება «შეთანხმების» ქვეყნების იმპერიალისტთა ცდა, პროლეტარიატის მით უფრო მეტ გამკლავებასა და წინააღმდეგობას იწვევს იგი თავიანთ საკუთარ ქვეყნებში. 21 ივლისს ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მუშებმა პირველად სცადეს საერთაშორისო გაფიცვის მოწყობა ამ ქვეყნების მთავრობათა წინააღმდეგ შემდეგი ლოზუნგით: შეწყდეს ყოველგვარი ჩარევა რუსეთის საქმეებში და დადებულ იქნას პატიოსანი ზავი რესპუბლიკასთან. ეს არ მოხერხდა. მთელ რიგ ქვეყნებში — ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში — იფეთქა ცალკეულმა გაფიცვებმა. ამერიკასა და კანადაში გააფთრებით სდევნიან ყველაფერს, რაც კი ბოლშევიზმს მოგვაგონებს. უკანასკნელ წლებში ჩვენ განვიცადეთ ორი დიდი რევოლუციის ისტორია. ჩვენ ვიცით, თუ რა სიძნელით დაიწყო ბრძოლა 1905 წელს რუსეთის მშრომელი მასების ავანგარდმა ცარიზმის წინააღმდეგ. 1905 წლის 9 იანვრის შემდეგ, პირველი სისხლისმღვრელი გაკვეთილის შემდეგ, რა გაჭირვებით, ნელა და სიძნელით მიმდინარეობდა საგაფიცვო მოძრაობის განვითარება 1905 წლის ოქტომბრამდე, როდესაც რუსეთში მასობრივმა გაფიცვამ პირველად გაიმარჯვა. ჩვენ ვიცით, რა ძნელი იყო ეს. ეს დაამტკიცა ორი რევოლუციის გამოცდილებამ, თუმცა რუსეთში მდგომარეობა უფრო რევოლუციური იყო, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ჩვენ ვიცით, რა სიძნელით ირაზმება მთელი რიგი გაფიცვების

დროს ძალა კაპიტალიზმთან საბრძოლველად. ამიტომ ჩვენ არ გვაკვირვებს 21 ივლისის ამ პირველი საერთაშორისო გაფიცვის წარუმატებლობა. ჩვენ ვიცით, რომ რევოლუცია ევროპის ქვეყნებში გაცილებით უფრო მეტ წინააღმდეგობასა და დაბრკოლებას ხვდება, ვიდრე ჩვენში. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მუშები, როდესაც 21 ივლისისთვის საერთაშორისო გაფიცვას ნიშნავდნენ, გაუგონარ სიძნელეებს სძლევდნენ. ეს იყო ექსპერიმენტი, ისტორიაში არნახული. გასაკვირველი როდია, რომ ის ჩაიშალა. სამაგიეროდ ჩვენ ვიცით, რომ ყველაზე მოწინავე და ცივილიზებული ქვეყნების მშრომელი მასები, მიუხედავად ევროპის ბურჟუაზიის გააფთრებისა ჩვენს წინააღმდეგ, — ეს მშრომელი მასები ჩვენთან არიან, მათ ესმით ჩვენი საქმე, და რა სიძნელეებიც უნდა შეხვდეს რევოლუციას და როგორიც უნდა იყოს ის განსაცდელი, რაც ჩვენ მოგველის, და როგორიც უნდა იყოს სიცრუისა და მოტყუების ატმოსფერო კაპიტალის «თავისუფლებისა და თანასწორობის», მშიერისა და მაძღრის თანასწორობის გულისთვის, როგორიც უნდა იყოს ეს ატმოსფერო, ჩვენ ვიცით რომ ჩვენი საქმე ყველა ქვეყნის მუშათა საქმეა, და ამიტომაც იგი, ეს საქმე, გარდუვალად და აუცილებლად დაამარცხებს საერთაშორისო კაპიტალს.

«პრავდა» № 170,
1919 წ. 3 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ
«პრავდის» ტექსტის
მიხედვით

სალაქიოში

ამხანაგებმა სამხრეთიდან ჩამოიტანეს რამდენიმე მენშევიკური, ესერული და სხვ. გამოცემანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ გადავხედოთ «იდეურ ცხოვრებას» ბარიკადის ი ქ ი თ, ი მ ბანაკში. ბაზაროვისა და მარტოვის ხარკოვის «მისლი», მიაკოტინისა და პეშეხონოვის, ბუნაკოვისა და ვიშნიაკის, პოტრესოვისა და გროსმანის «გრიადუშჩი დენ», ბალაბანოვისა და სტ. ივანოვიჩის, მიაკოტინისა და პეშეხონოვის «იუჟნოე დელო», «ობედინენიე» — ასეთია ამ გამოცემათა და მათი ზოგიერთი გამოჩენილი თანამშრომლის სახელები.

აღნიშნულ გამოცემათა რამდენიმე, განცალკევებული ნომრებიც კი ისეთ მთლიან და ძლიერ სურნელებას იძლევიან, რომ ერთბაშად გრძნობ თავს, როგორც სალაქიოში. განათლებული ინტელიგენტები, რომელთაც თავი სოციალისტებად წარმოუდგენიათ და რომლებიც სოციალისტებს უწოდებენ თავიანთ თავს, მთლად გაჟღენთილი არიან ბურჟუაზიული ცრურწმენით და ლაქიობენ ბურჟუაზიის წინაშე, — ასეთია, არსებითად, მწერალთა მთელი ეს კომპანია. ელფერი ამ ხალხს შორის ძალიან ბევრია, მაგრამ მათ, პოლიტიკური თვალსაზრისით, არავითარი სერიოზული მნიშვნელობა არა აქვთ, რადგან ყველაფერი იმაში გამოიხატება, თუ რამდენად თვალთმაქცურად ან გულწრფელად, უხეშად ან მარჯვედ, ულაზათოდ ან ოსტატურად ასრულებენ ისინი თავიანთ ლაქიურ მოვალეობებს ბურჟუაზიის მიმართ.

I

თანამდებობის მიხედვით ლაქიას ეკუთვნის ფრაკის კოსტიუმი, მას უნდა ჰქონდეს ცივილიზებული გარეგნობა და სათანადო მანერები, თეთრი ხელთათმანები. ლაქიას ნება აქვს დართული იყოს რამდენადმე ხალხთმოყვარული: ერთი მხრივ, ეს აუცილებელია, რადგან ის წრე, რომელიც ლაქიებს იძლევა, ძლიერ გაჭირვებული უნდა იყოს; მეორე მხრივ, ეს ხელსაყრელიც კია ბატონისთვის, რადგან შესაძლებლობას აძლევს მას «ავარჯიშოს» თავისი ქველმოქმედება — პირველ რიგში, რასაკვირველია, იმ ფენების «მორჩილ» წარმომადგენელთა მიმართ, რომელთაგან იყვანენ შინამოსამსახურეებს, ნოქრებს, მუშებს. რაც უფრო ჭკვიანი და განათლებული არიან ის კლასები, რომლებსაც ლაქიები ჰყავთ, მით უფრო სისტემატურად და მოფიქრებულად ატარებენ ისინი თავიანთ პოლიტიკას, იყენებენ რა ლაქიებს იმისათვის, რომ ჯაშუშობა გასწიონ მშრომელთა შორის, რათა გათიშონ ისინი დათმობებით მათი განსაზღვრული ნაწილისადმი, რათა განამტკიცონ თავიანთი მდგომარეობა, დააინტერესონ «მსახური» ბატონის სიმდიდრის გადიდებაში იმის იმედით, რომ მიიღებს მოწყალებას და სხვ. და ა. შ.

ლაქიას ხალხთმოყვარეობის ნება აქვს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ძალიან მცირე ზომით და იმ აუცილებელი პირობით, რომ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა «დანუგეშების» მზადყოფნასთან ერთად ის მორჩილი და დამჯერი იქნება. ფრჩხილებში უნდა ითქვას, რომ ფეიერბახმა ძალიან მოსწრებულად უპასუხა იმათ, ვინც იცავს რელიგიას, როგორც ადამიანთა «ნუგეშის» წყაროს, რომ მონის დანუგეშება ხელსაყრელი საქმეა მონათმფლობელისთვის, ხოლო მონების ნამდვილი მომხრე ასწავლის მათ აღშფოთებას, აჯანყებას, უღლის გადაგდებას და სრულიადაც არ «აიუგეშებს» მათ. ლაქია აფერადებს, ალამაზებს იმ ყალბ ყვავილებს, რითაც დაქირავებულ მონებს «ანუგეშებენ» იმაში, რომ ისინი შებორკილი არიან დაქირავებული მონობის ჯაჭვებით. დაქირავებული

მონობისგან ადამიანთა განთავისუფლების მომხრე ამ ბორკილებს აცლის ყალბ, მათ შემამკობელ ყვავილებს, რათა. მონებმა უფრო შეგნებულად და უფრო ძლიერ შეიძულონ თავიანთი ბორკილები, მალე გადაიგდონ ისინი და ხელი გაუწოდონ ცოცხალ ყვავილებს.

ლაქიის მდგომარეობას ის ახასიათებს, რომ ხალხთმოყვარეობის მეტად ზომიერი დოზა აუცილებლად შეუერთოს მორჩილებისა და ბატონის ინტერესების დაცვის მეტად დიდ დოზას, რაც გარდუვალად წარმოშობს ლაქიის, როგორც სოციალური ტიპის, დამახასიათებელ თვალთმაქცობას. მთავარი აქ სწორედ სოციალური ტიპია და არა ცალკეულ პირთა თვისებები. ლაქია შეიძლება ფრიად პატიოსანი ადამიანი იყოს, თავისი ოჯახის სანიმუშო წევრი, საუცხოო მოქალაქე, მაგრამ მისი გარდუვალი ხვედრია ის, რომ ითვალთმაქცოს, რამდენადაც მისი პროფესიის ძირითადი ნიშანია იმ ბატონის ინტერესების შეერთება, რომლის მიმართ მან «იკისრა» სამსახური «რწმენითა და ალალმართლობით», იმ წრის ინტერესებთან, რომლიდანაც აჰყავთ შინამოსამსახურენი. ამიტომ, თუ საკითხს განვიხილავთ პოლიტიკოსის თვალსაზრისით, ე. ი. მილიონობით ადამიანისა და მილიონთა ურთიერთობის თვალსაზრისით, არ შეიძლება არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ლაქიის, როგორც სოციალისტური ტიპის, მთავარი თვისებებია თვალთმაქცობა და სილაჩრე. სწორედ ამ თვისებებს ასაზრდოებს ლაქიის პროფესია. ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში დაქირავებული მონებისა და მშრომელთა მთელი მასის თვალსაზრისით სწორედ ეს თვისებებია ფრიად არსებითი.

II

განათლებულ ინტელიგენტებს, რომლებიც თავიანთ თავს უწოდებენ მენშევიკებს, სოციალ-დემოკრატებს, სოციალისტ-რევოლუციონერებს და სხვ., სურთ პოლიტიკა ასწავლონ ხალხს. ამიტომ მათ არ შეეძლოთ არ შეხებოდნენ მთელი დღევანდელი ეპოქის ძირითად საკითხსაც, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის საკითხს. ნახეთ, როგორ მსჯელობენ ისინი ამ საკითხზე.

ბ-ნი პ. იუშკევიჩი «ობედინენიეში» მთელ სტატიას უძღვნის «რევოლუციას და სამოქალაქო ომს». რაგვარ ლიტერატურას — უკაცრავად პასუხია, ლიტერატურას — ეკუთვნის ეს სტატია, დავინახავთ ავტორის თუნდაც ორი შემდეგი მსჯელობიდან:

...«მიზნად ისახავს რა რევოლუციას, რომელიც იცავს უმრავლესობის ინტერესებს და რომელსაც ახორციელებს ეს უმრავლესობა, სოციალიზმს არა აქვს საფუძველი (!!) მიმართოს სამოქალაქო ომის მეთოდებს (!!!), რომლებიც ფატალურად უწერიათ ძალაუფლების ხელში ჩამგდებ უმცირესობებს»... «და თანამედროვე საზოგადოების ყველაზე უფრო მოწინავე კლასიც კი, როდესაც ის იმდენად მომწიფდება, რომ სავსებით შეიგნებს თავის მსოფლიო-განმათავისუფლებელ მისიას და მასთან დაკავშირებულ ამოცანებს, იძულებული იქნება უკუაგდოს იგი (სამოქალაქო ომი), ისტორიული ბარბაროსობის სხვა მემკვიდრეობასთან ერთად»...

ხელიხელ საგოგმანებელი მარგალიტია, არა?

რუსეთის ბურჟუაზიამ, ბოლშევიკურ გადატრიალებისთანავე, იწყო შეთანხმების ძებნა და შეთანხმების დადება უცხოურ ბურჟუაზიასთან თავისი ქვეყნის მუშებისა და მშრომელთა წინააღმდეგ. ბურჟუაზიას მხარს უჭერდნენ მენშევიკები და ესერები. ასე იყო ფინეთში 1918 წლის დამდეგს. ასე იყო ჩრდილოეთ და სამხრეთ რუსეთშიც 1918 წლის დამდეგს, როცა კადეტებიც, მენშევიკებიცა და ესერებიც გერმანელებთან კავშირში ახრჩობდნენ ბოლშევიკებს. ასევე იყო საქართველოში. გერმანელები ფულსა და იარაღს აძლევდნენ კრასნოვს. შემდეგ ანტანტის ბურჟუაზიამ მოისყიდა ჩეხოსლოვაკები, დენიკინი, ჯარები გადმოსხა მურმანში, არხანგელსკში, ციმბირში, ბაქოში, აშხაბადში.

საერთაშორისო ბურჟუაზიამ, ჯერ გერმანიის, შემდეგ კი ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიამ (ხშირად ორივემ ერთადაც), რუსეთში გამარჯვებულ პროლეტარიატს ომი აუტეხა. და ამ დროს ჩნდება კაცი, რომელიც სოციალისტს უწოდებს თავის თავს, და, გადადის რა ბურჟუაზიის მხარეზე, ურჩევს მუშებს «უკუაგდონ» «სამოქალაქო ომის მეთოდები!» განა ეს ფრიად უახლესი კაპიტალისტური ფორმაციის იუდუშკა გოლოვლევი არ არის?

შეიძლება მითხრან, რომ იუშკევიჩი ბურჟუაზიის დაქირავებული უბრალო მჯღაბნელია, რომ რომელიმე პარტიისთვის იგი სრულიად არ არის დამახასიათებელი, და ეს პარტიები მის მაგიერ პასუხს არ აგებენო. მაგრამ ეს სწორი არ იქნებოდა. ჯერ-ერთი, «ობედინენიეს» თანამშრომელთა შემადგენლობა და მთელი მიმართულება გვიჩვენებს მთელი მენშევიკურ-ესერული კომპანიის სწორედ ასეთი ლაქიობის ტიპიურობას. მეორეც, აიღეთ ლ. მარტოვი. ეს სუბიექტი — ყველაზე თვალსაჩინო (და თითქმის ყველაზე «მემარცხენე») მენშევიკია, ამასთანავე ბერნის ინტერნაციონალის უპატივცემულესი წევრი, რომელიც სოლიდარულია ამ ინტერნაციონალის იდეური ბელადისა, კ. კაუცკისა.

ყური უგდეთ მარტოვის მსჯელობას. «მისლის» 1919 წლის აპრილის წიგნში ის წერს «მსოფლიო ბოლშევიზმის» შესახებ. ის ზედმიწევნით იცნობს ლიტერატურას ბოლშევიზმისას და ბოლშევიზმის შესახებ. და ეს მწერალი სამოქალაქო ომზე ეი როგორ წერს:

...«ომის პირველსავე კვირეებში მე მიხდებოდა წერა იმაზე, რომ ომის მიერ გამოწვეული მუშათა მოძრაობის კრიზისი უწინარეს ყოვლისა «მორალური კრიზისია», პროლეტარიატის სხვადასხვა ნაწილის მიერ ურთიერთნდობისა და პროლეტარული მასების მხრივ ძველ მორალურ-პოლიტიკური ღირებულებებისადმი რწმენის დაკარგვის კრიზისი. მე მაშინ კიდევ ვერ წარმომედგინა იმის შესაძლებლობა, რომ ურთიერთნდობის ეს დაკარგვა, იდეურ სამაგრთა ეს მოსპობა, იმ სამაგრთა, რომლებიც უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ერთმანეთს აკავშირებდა არა მარტო რეფორმისტებსა და რევოლუციონერებს, არამედ განსაზღვრულ მომენტებში სოციალისტებსაც კი აერთიანებდა ანარქისტებთან, ხოლო ერთსაც და მეორესაც ლიბერალურ და ქრისტიანულ მუშებთან, — რომ ეს მოსპობა ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ომ ს გამოიწვევდა პროლეტარებს შორის»...

ხაზგასმა ბატონ მარტოვისაა. ის თვითონვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აქ სწორედ სამოქალაქო ომის შეფასებას იძლევა. ისიც შესაძლებელია, რომ ის ხაზს უსვამს თავის სრულ თანხმობას კაუცკისთან, რომელიც ყოველ შემთხვევაში სწორედ ასე მსჯელობს სამოქალაქო ომის შესახებ.

ამ მსჯელობაში კი იმდენი უაღრესად დახვეწილი სიფლიდეა, ისეთი უამრავი სიცრუე და მუშების მოტყუებაა, მათი ინტერესების ისეთი მდაბალი ღალატია, ისეთი თვალთმაქცობა და რენეგატობაა სოციალიზმის მიმართ, რომ გიკვირს, რამდენი ლაქიობა დაუგროვებია კაუცკებსა და მარტოვებში ოპორტუნიზმთან ათეული წლობით «კეკლუცობას!»

ჯერ-ერთი, როდესაც კაუცკი და მარტოვი ფარისევლურად აფრქვევენ ცრემლებს «პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ს შ ო რ ი ს სამოქალაქო ომის» გამო, ამით ისინი ცდილობენ დაფარონ თავიანთი გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე. რადგან სინამდვილეში სამოქალაქო ომი წარმოებს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ისტორიაში არასდროს არ ყოფილა და კლასობრივ საზოგადოებაში არც შეიძლება იყოს ექსპლოატირებული მასის სამოქალაქო ომი ექსპლოატატორულ უმცირესობასთან უიმისოდ, რომ ექსლოატირებულთა ერთი ნაწილი არ გაჰყოლოდეს ექსპლოატატორებს, არ ყოფილიყოს მათთან ერთად თავისი ძმების წინააღმდეგ. ყოველი გაგებული ადამიანი აღიარებს, რომ ფრანგი, რომელიც მონარქიისა და მემამულეების სასარგებლო ვანდეის გლეხთა აჯანყების დროს ცრემლს დააფრქვევდა «გ ლ ე ხ ებ ს შ ო რ ი ს ატეხილი სამოქალაქო ომის» გამო, თავისი თვალთმაქცობით მონარქიის საზიზღარი ლაქია იქნებოდა. კაპიტალისტების ასეთივე ლაქიები არიან ბატონი კაუცკები და მარტოვები.

მსოფლიო მასშტაბით ძლიერი საერთაშორისო ბურჟუაზია ახრჩობს ერთი ქვეყნის გამარჯვებულ მუშებს კაპიტალის დამხობის გამო და თავის კვალზე მიჰყავს მოტყუებული, უცოდინარი, დაბეჩავებული მუშების ერთი ნაწილი, ხოლო არამზადა კაუცკები და მარტოვები ცრემლებს ღვრიან «პროლეტარებს შორის სამოქალაქო ომის» გამო. ეს სუბიექტები იძულებული არიან ამ საზიზღარ თვალთმაქცობას მიმართონ, რადგან ხომ არ შეიძლება აშკარად გამოტყდნენ იმაში, რომ ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის სამოქალაქო ომში ისინი ბურჟუაზიის მხარეზე აღმოჩნდნენ!

მეორე, მარტოვმა, ისევე როგორც კაუცკიმ, ისევე როგორც ბერნის მთელმა ინტერნაციონალმა, ჩინებულად იციან, რომ ისინი თანაგრძნობით სარგებლობდნენ მუშებში როგორც სოციალისტები, რადგან პროლეტარიატის რევოლუციის აუცილებლობას ქადაგებდნენ. 1902 წელს კაუცკი წერდა რევოლუციის შესაძლებელ კავშირზე ომთან და იმაზე, რომ პროლეტარიატის მომავალი რევოლუცია, ალბათ, უფრო დაემთხვევა სამოქალაქო ომს, ვიდრე წინა რევოლუციებიო. 1912 წელს ბაზელის მანიფესტში მთელი II ინტერნაციონალი საჯაროდ აცხადებს, რომ მომავალი ომი მომავალ პროლეტარულ რევოლუციასთან არის დაკავშირებულიო. ხოლო როდესაც ეს ომი ატყდა, II ინტერნაციონალის «რევოლუციონერები» ბურჟუაზიის ლაქიები აღმოჩნდნენ!

1914 წლის ნოემბერში ბოლშევიკებმა განაცხადეს, რომ იმპერიალისტურ ომს მოჰყვება სამოქალაქო ომად გადაქცევაო. ეს მართალი აღმოჩნდა. ეს ახლა ფაქტია მსოფლიო მასშტაბით. როცა მარტოვი «მსოფლიო ბოლშევიზმზე» ლაპარაკობდა, ის იძულებული იყო ეღიარებინა ეს ფაქტი. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ პატიოსნად ეღიარებინა თავისი სრული იდეური კრახი, ყველა იმათი შეხედულებების გაწბილება, ვინც მეშჩანის ქედმაღლური მანჭვით უარყოფდა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის აზრს, ამის ნაცვლად მარტოვი თვალთმაქცობს და «თავს იქნევს» «პროლეტარული მასებისკენ», მათ «დაჰკარგეს ძველი მორალურ-პოლიტიკური ღირებულებების რწმენაო!!»

რენეგატები თავიანთ რენეგატობას მასებს აბრალებენ. მასები თანაუგრძნობენ ბოლშევიკებს და ყველგან რევოლუციის გზას ადგებიან. ეს, თურმე, მასების ბრალი ყოფილა იმ ადამიანთა «თეორიით», რომლებიც მთელ სიცოცხლეში ფიცულობდნენ რევოლუციის ერთგულებას, რათა, როცა რევოლუცია მოხდა, ბურჟუაზიის ბანაკში ამოეყოთ თავი პროლეტარიატის წინააღმდეგ.

მესამე, ორი სხვადასხვა თეორია ომის წინ სოციალიზმში არსებული შინაგანი ბრძოლის შესახებ შემდეგი იყო. კაუცკისა

და მარტოვს, აგრეთვე ოპორტუნისტების უმრავლესობასაც, რეფორმისტები და რევოლუციონერები მიაჩნდათ ერთი კლასის ერთი მოძრაობის ორ კანონიერ ელფერად, აუცილებელ ფრთად. ამ ელფერთა გათიშვას ჰგმობდნენ. მათ დაახლოებას და შეერთებას პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ყოველ სერიოზულ მომენტში გარდუვალად სცნობდნენ. გათიშვის მომხრეებს სიბეცეს აბრალებდნენ.

მეორე შეხედულებას, ბოლშევიკურს, რეფორმისტები მიაჩნდა პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამტარებლებად, მათთან კავშირს დასაშვებად სთვლიდა როგორც დროებითს ბოროტებას აშკარად არა რევოლუციურ ვითარებაში, მათთან კავშირის გაწყვეტას და გათიშვას გარდუვალად სთვლიდა ბრძოლის ყოველი სერიოზული გამწვავების დროს, მით უმეტეს რევოლუციის დასაწყისში.

ვინ აღმოჩნდა მართალი?

ბოლშევიკები.

მთელ მსოფლიოში ომს მუშათა მოძრაობის გათიშვა, სოციალ-პატრიოტების ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლა მოჰყვა. რუსეთის შემდეგ ეს ყველაზე თვალსაჩინოდ ცხადყო მოწინავე კაპიტალისტურმა ქვეყანამ, გერმანიამ. და ახლა რეფორმისტებისა და რევოლუციონერების «იდეურ სამაგრთა» დაცვა იმას ნიშნავს, რომ მხარი დაუჭირო მუშათა წრიდან გამოსულ იმ ჯალათებს, ნოსკესა და შეიდემანს, რომლებიც ბურჟუაზიას ეხმარებოდნენ როზა ლუქსემბურგისა და კარლ ლიბკნეხტის მოკვლაში, ათასობით მუშების დახოცვაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ მათი რევოლუციური ბრძოლის გამო.

დაწერილია 1919 წ. ივლისში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა უპარტიო მუშათა და წითელარმიელთა კონფერენციაზე 1919 წ. 6 აგვისტოს

საქრონიკო ჩანაწერი

პირველი ვარიანტი

(აღფრთოვანებული ოვაციაა.) ამხანაგებო, ნება მომეცით დავიწყო იმ ამბებით, რომლებიც თქვენ გუშინ და დღეს წაიკითხეთ გაზეთების ფურცლებზე. ეს არის — უნგრეთის ამბები.

თქვენ იცით, რომ მარტის დამლევამდე უნგრეთში გაბატონებული იყო «კერენშჩინა», და მხოლოდ მარტის დამლევს გადადგნენ კერენშჩინის წარმომადგენლები, დარწმუნდნენ რა იმაში, რომ მათ აღარ შეუძლიათ ხელისუფლების შენარჩუნება, ხოლო სოციალ-შემთანხმებლებმა თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნეს საპყრობილეში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ამხ. ბელა კუნი, რომელიც ერთ დროს ჩვენი წითელი არმიის რიგებშიც მოქმედებდა. მათ მოლაპარკება გამართეს ბელა კუნთან, და ამხ. ბელა კუნი საპყრობილედან პირდაპირ მთავრობაში მოხვდა.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში მიღებულია ცნობები, რომ უნგრეთის სოციალისტური პარტიის შიგნით რაღაც კარგი ამბავი ვერ ხდება.

შემდეგ ლენინი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ შევიდნენ რუმინეთის ჯარები ბუდაპეშტში. მაგრამ ამაზე არ ღირს განსაკუთრებული ყურადღების მიქცევაო.

ასე იყო ჩვენშიც, — ამბობს ის, — სხვადასხვა ფრონტზე. მაგრამ ჩვენ საკმაო ძალები გვყავდა ზურგში, რომ ისე გავმაგრებულიყავით, რომ შემდეგ ღირსეული პასუხი გაგვეცა

კოლჩაკისთვის, ანდა როგორი პასუხიც გავეცით პეტროგრადის ფრონტზე. თქვენ იცით, ჩვენმა ჯარებმა იამბურგი აიღეს.

ლენინი შემდეგ ლაპარაკობს იმ პოლიტიკურ გამოცდილებაზე, რომელიც ჩვენ მივიღეთ ამ ხნის განმავლობაში. ასეთი გამოცდილება, რა თქმა უნდა, უნგრელებს არა აქვთ.

მაგრამ ჩვენ სულით არ დავეცემით, რადგან ვიცით, თუ რას გამოიწვევს კოლჩაკოვშჩინისა და კორნილოვშჩინის დროებით გამარჯვება. დაე რუმინეთის კოლჩაკოვშჩინამ ამჟამად ფერხული გამართოს უნგრელი მუშების გვამებზე. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ზეიმი ხანმოკლეა. მართალია ის, რომ ამ მძიმე ომიდან თავის დაღწევა შეუძლია მხოლოდ მუშების რკინისებურ ძალას, რომელიც ყოველ მშრომელს დახმარებას უწევს და ყოველ სპეკულანტს სჯის.

შემდეგ ლენინი ლაპარაკობს შემთანხმებლების, მენშევიკებისა და ესერების, მოქმედებაზე ციმბირში, რომლებიც ახლა საბჭოთა მთავრობას ბრალს სდებენ არასწორ ტაქტიკაში, მაგრამ თვითონ მათ ვერ შესძლეს ტაქტიკის ნიმუში მოეცათ. არსებითად, ყველაფერმა, რაც ციმბირში მოხდა, მენშევიკებისა და ესერების ყველა იმ დაპირებამ, რომელსაც ისინი იძლეოდნენ, მხოლოდ მარტო ტანჯვა მოუტანა როგორც გლეხებს, ისე მუშებსაც. მაგრამ იმ დროიდან, რაც ხელი მოაწერეს ვერსალის ზავს, საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების მუშები იწყებენ მდგომარეობის სულ უფრო და უფრო მეტად გაგებას.

აი რატომ ჰგავს უნგრეთის უკანასკნელი ამბები, მიუხედავად მისი ასეთი სიმძიმისა, იმ ამბებს, რომლებიც დატრიალდა დენიკინისა და კოლჩაკის ბანაკში. ეს ამბები თვალს აუხელს ახალ ასი ათასობით მუშას და დაანახვებს მათ, რომ კაპიტალი ხელს იშვერს, რათა თამასუქებით გაინაღდოს ის, რაც მან დაჰკარგა.

შემდეგ ლენინი ლაპარაკობს იმ შეთქმულებებზე, რომელთაც აწყობენ მენშევიკები, სოციალისტ-რევოლუციონერები და კაპიტალისტები ხელისუფლების დასაბრუნებლად. აწყობენ

რა შეთქმულებებს, შეთქმულნი ცდილობენ ჩააგონონ საბ-ჭოთა მთავრობას, რომ მან ხელი აიღოს ტერორზე.

მაგრამ არა, ჩვენ ხელს არ ავიღებთ ტერორზე, რადგან ვიცით, რომ ამას მოსდევს კოლჩაკებისა და დენიკინების დროებითი გამარჯვება! ამ ომში კაპიტალმა თავი დაისამარა. და ეს სულთმობრძავი მხეცი უღმუის ახლა მუშებს სულის დალევის დროს. მაგრამ სულის ამოსვლას ის ვერ შეაჩერებს, ის ჩაკვდება! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

მეოთხე ვარიანტი

ამხანაგებო, ახლა ნება მომეცით გადმოგცეთ ის ამბები, რომლებიც ჩვენს თვალწინ მოხდა უნგრეთში.

როგორც ვიცით, ამ წლის მარტის დამლევამდე იქ გაბატონებული იყო «კერეშჩინა» მთელი თავისი მშვენიერებით. როცა მაშინ, 21 მარტს, იქ უცებ საბჭოების ხელისუფლება შეიქმნა, და ამასთანავე იქაური მენშევიკები დათანხმდნენ ამ ხელისუფლების მხარის დაჭერაზე, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სოციალიზმში რაღაც ახალი ერა დადგა... მაგრამ აი უკანასკნელმა ამბებმა დაგვანახვა, რომ სოციალ-შემთანხმებლები ოდნავადაც არ შეცვლილან. როგორც ჩანს, ის, რაც ახლა უნგრეთში მოხდა, დიდი მასშტაბით იმეორებს იმას, რაც ამას წინათ ბაქოში მოხდა ჩვენს თვალწინ [82].

ლენინი მკვეთრ სახეებში იგონებს ბაქოს პროლეტარიატის ტრაგიკულ ისტორიას, როდესაც იქაურმა სოციალ-გამცემლებმა დახმარებისათვის მიმართეს ინგლისის სარდლობას და მუშების ზურგს უკან საიდუმლოდ შეუთანხმდნენ დასავლეთის იმპერიალისტებს. ორატორს გაჰყავს ანალოგია ბაქოს ამ ტრაგედიასა და უნგრეთის ახლანდელ გადატრიალებას შორის, ლაპარაკობს რადიო-დეპეშაზე, რომლითაც ვგებულობთ, რომ რუმინელები უკვე შევიდნენ წითელ ბუდაპეშტში.

შემდეგ ლენინი ადარებს უნგრეთისა და საბჭოთა რუსეთის მდგომარეობას და, ჩამოთვლის რა მოკლედ ყველა ჩვენს დროებითს წარუმატებლობას, ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენ

გვშველოდა და გვშველის ტერიტორიის სიდიდე, მაშინ როდესაც უნგრეთი ძალიან პატარაა იმისთვის, რომ გაუმკლავდეს ყველა თავის მტერს. გადადის რა შემდეგ საერთოდ შემთანხმებლების საკითხზე, ორატორი ეხება რუსეთის ჩვენს შემთანხმებლურ სოციალისტურ პარტიებსაც და აცხადებს:

— თუ რუსეთის შემთანხმებლებმა შეცდომა დაუშვეს კერენსკის დროს, ექვსი თვის პრაქტიკული მუშაობის განმავლობაში, რატომ არ გამოასწორეს მათ ეს შეცდომა კოლჩაკოვშჩინის დროს ციმბირში?

მაგრამ საქმე ისაა, რომ დენიკინელებიც გვიმღერიან დამფუძნებელი კრების შესახებ, კონტრრევოლუცია არსად არ გამოდის აშკარად, და ამიტომ ვამბობთ: ჩვენ ვერ შეგვაშფოთებს ვერავითარი დროებითი წარუმატებლობა, მსგავსი უნგრეთის უკანასკნელი ამბებისა. ყოველგვარი უბედურებიდან თავის დაღწევის სხვა საშუალება, გარდა რევოლუციისა, არ არსებობს, და დარჩენილა მხოლოდ ერთადერთი უტყუარი საშუალება — პროლეტარიატის დიქტატურა. ჩვენ ვამბობთ: წითელი არმიის ყოველი ახალი დამარცხება მხოლოდ აკაჟებს მას, დიდ სიმტკიცესა და შეგნებას მატებს მას, რადგან მუშები და გლეხები ახლა სისხლისმღვრელი გამოცდილებით მიხვდნენ, თუ რა მოაქვს ჩვენთვის ბურჟუაზიისა და შემთანხმებლების ძალაუფლებას. მსოფლიო კაპიტალის სულთმობრძავი მხეცი უკანასკნელად იკრებს ძალ-ღონეს, მაგრამ ის მაინც ჩაკვდება! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

დაიბეჭდა: პირველი ვარიანტი
1919 წ. 7 აგვისტოს გაზეთში—სრ. რუს. ცაკ-ის
«იზვესტია» № 173; მეორე ვარიანტი—1919 წ.
8 აგვისტოს გაზეთში — მოსკოვის საბჭოს
«ვეჩერნიე იზვესტია» № 312

იბეჭდება გაზეთების
ტექსტის მიხედვით.

ამხანაგებს სერატის და ლაძარის

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! გმადლობთ მისალმებისთვის, რომელიც გამოგვიგზავნეთ თქვენი პარტიის სახელით. ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით თქვენს მოძრაობაზე; ჩვენ არავითარი დოკუმენტები არა გვაქვს. მაგრამ, ის ცოტა რამ, რაც ვიცით, გვიმტკიცებს, რომ ჩვენ თქვენთან ერთად — წინააღმდეგი ვართ ბერნის ყვითელი ინტერნაციონალისა, რომელიც ატყუებს მასებს, და მხარს ვუჭერთ კომუნისტურ ინტერნაციონალს. მოლაპარაკება, რომელსაც ყვითელი ინტერნაციონალის ხელმძღვანელები აწარმოებდნენ თქვენს პარტიასთან, ამტკიცებს, რომ ისინი წარმოადგენენ მხოლოდ უარმიო გენერალურ შტაბს. პროლეტარიატის დიქტატურამ და საბჭოთა სისტემამ მორალურად უკვე გაიმარჯვა მთელ მსოფლიოში. ნამდვილი და საბოლოო გამარჯვება, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა, სისხლის მდინარეებისა, მიუხედავად ბურჟუაზიის თეთრი ტერორისა და სხვ., გარდუვალად დადგება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

ძირს კაპიტალიზმი! ძირს ცრუ ბურჟუაზიული დემოკრატია! გაუმარჯოს საბჭოების მსოფლიო რესპუბლიკას!

მარად თქვენი

მოსკოვი, 1919 წ. 19 აგვისტო. ვ. ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა იტალიურ ენაზე 1919 წ.
2 სექტემბერს გაზეთში «Avanti!»
№ 243
რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1932 წელს

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი იტალიურიდან

წერილი მუშებისა და გლეხებისადმი კოლჩაკზე გამარჯვების გამო

ამხანაგებო! წითელმა ჯარებმა კოლჩაკისაგან გაათავისუფლეს მთელი ურალი და დაიწყეს ციმბირის განთავისუფლება. ურალისა და ციმბირის მუშები და გლეხები აღფრთოვანებით ეგებებიან საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან იგი რკინის ცოცხით ჰგვის მთელ მემამულური და კაპიტალისტური არამზადების ხროვას, რომელმაც სული ამოხადა ხალხს გადასახადებით, აბუჩად აგდებით, გაწკეპლვით, მეფისდროის ჩაგვრის აღდგენით.

ჩვენმა საყოველთაო აღფრთოვანებამ, ჩვენმა სიხარულმა ურალის განთავისუფლებისა და ციმბირში წითელი ჯარების შესვლის გამო არ უნდა დაგვამშვიდოს. მტერი ჯერ კიდევ სულაც არ არის განადგურებული. ის საბოლოოდ მოტეხილიც კი არ არის.

საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა, რათა ციმბირიდან განვდევნოთ კოლჩაკი და იაპონელები სხვა უცხოელ ავაზაკებთან ერთად, და ძალების კიდევ უფრო მეტი დაძაბვაა საჭირო იმისთვის, რომ მოვსპოთ მტერი, არ მივცეთ მას საშუალება ისევ და ისევ დაიწყოს თავისი ავაზაკური საქმე.

როგორ მივაღწიოთ ამას?

ურალისა და ციმბირის მიერ გადატანილმა მძიმე გამოცდილებამ, ისე როგორც ოთხი წლის იმპერიალისტური ომით განაწამები ყველა ქვეყნის გამოცდილებამ, ჩვენთვის ამაოდ არ უნდა ჩაიაროს.

ა ი ხ უ თ ი მ თ ა ვ ა რ ი გ ა კ ვ ე თ ი ლ ი, რომლებიც უნდა გამოიტანოს ამ ზამოცდილებიდან ყველა მუშამ და გლეხმა, ყველა მშრომელმა, რათა თავი ოაიზღვიოს კოლჩაკოვშჩინის უბედურებათა განმეორებისაგან.

პ ი რ ვ ე ლ ი გ ა კ ვ ე თ ი ლ ი. მუშებისა და გლეხების ხელისუფლების დასაცავად ყაჩაღებისაგან, ესე იგი მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან, საჭიროა გვყავდეს მძლავრი წითელი არმია. ჩვენ სიტყვებით კი არა, საქმით დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია მისი შექმნა, რომ ვისწავლეთ მისი მართვა და კაპიტალისტების დამარცხება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უხვად იღებდნენ დახმარებას იარაღითა და საჭურვლით მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნებისაგან. ბოლშევიკებმა ეს საქმით დაამტკიცეს. ყველა მუშამ და გლეხმა, — თუ ისინი შეგნებული არიან, — უნდა დაუჯეროს მათ არა სიტყვებისა (სიტყვების დაჯერება სისულელეა), არამედ ურალისა და ციმბირის მრავალი მილიონი ადამიანის გამოცდილების საფუძველზე. მუშებისა და გლეხების შეიარაღებისა და ყოფილი ოფიცრების სარდლობის შეთავსების ამოცანა, იმ ოფიცრებისა, რომელთა უმეტესი ნაწილი მემამულეებსა და კაპიტალისტებს თანაუგრძნობს, უძნელესი ამოცანაა. მისი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩინებულად გვეხერხება დარაზმვა, თუ არის მკაცრი და შეგნებული დისციპლინა, თუ ფართო მასა ენდობა მუშა კომისრების ხელმძღვანელ ფენას. ეს უძნელესი ამოცანა ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს: ყოფილი ოფიცრების ღალატის შემთხვევები ძალიან ბევრი გვაქვს, და მიუხედავად ამისა წითელი არმია არათუ ჩვენს ხელშია, არამედ კიდევაც ისწავლა მან მეფის გენერლებისა და ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის გენერლების დამარცხება.

ამიტომ ყველამ, ვისაც სერიოზულად სურს თავი დააღწიოს კოლჩაკოვშჩინას, მთელი ძალ-ღონე, მთელი სახსარი, მთელი უნარი მთლიანად უნდა მოახმაროს წითელი არმიის შექმნისა და განმტკიცების საქმეს. არა შიშით, არამედ სინდისის კარნახით შეასრულე ყველა კანონი წითელი არმიის შესა-

ხებ, ყველა ბრძანება, ყოველნაირად დაიცავი მასში დისციპ-ლინა, დაეხმარე წითელ არმიას ყველაფრით, ვისაც რით შეუძლია დახმარება, — ასეთია პირველი, ძირითადი და უმთავრესი მოვალეობა ყოველი შეგნებული მუშისა და გლეხისა, რომელსაც არა სურს კოლჩაკოვშჩინა.

როგორც ცეცხლის, ისე უნდა გვეშინოდეს პარტიზანულობის, ცალკეული რაზმების თვითნებობის, ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისა, რადგან ამას დაღუპვისკენ მივყავართ: ეს დაამტკიცა ურალმაც, ციმბირმაც და უკრაინამაც.

ვინც მთელი არსებით და თავდადებით არ ეხმარება წითელ არმიას, მთელი ძალ-ღონით არ იცავს მასში წესრიგსა და დისციპლინას, ის გამცემი და მოღალატეა, ის კოლჩაკოვშჩინის მომხრეა, ის შეუბრალებლად უნდა გავანადგუროთ.

ძლიერი წითელი არმიით ჩვენ უძლეველნი ვართ. ძლიერი არმია თუ არ გვეყოლება, ჩვენ უცილობლად მსხვერპლი გავხდებით კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩისა.

მ ე ო რ ე გ ა კ ვ ე თ ი ლ ი. წითელი არმია ძლიერი ვერ იქნება, თუ არ გვექნება პურის დიდი სახელმწიფო მარაგი, რადგან უამისოდ არ შეიძლება არც არმიის თავისუფლად გადაყვან-გადმოყვანა, არც მისი ჯეროვნად მომზადება. უამისოდ არ შეიძლება იმ მუშების რჩენა, რომლებიც არმიისთვის მუშაობენ.

ყოველ შეგნებულ მუშას და გლეხს უნდა ესმოდეს და ახსოვდეს, რომ ჩვენი წითელი არმიის არასაკმარისად სწრაფი და მტკიცე წარმატების მთავარი მიზეზი ამჟამად სწორედ პურის სახელმწიფო მარაგის ნაკლებობაა. ვინც ნაჭარბ პურს არ აბარებს სახელმწიფოს, ის ეხმარება კოლჩაკს, ის მუშებისა და გლეხების მოღალატე და გამცემია, ის მიზეზია წითელი არმიის მუშებისა და გლეხების ზედმეტი ათეული ათასების სიკვდილისა და ტანჯვისა.

გაიძვერები, სპეკულანტები და სულ უბირი გლეხები ასე მსჯელობენ: უმჯობესია პური გავყიდო თავისუფალ ფასებში,

ამით გაცილებით მეტს მივიღებ, ვიდრე სახელმწიფოს მიერ მოცემული მტკიცე ფასებითო.

მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ თავისუფალი გაყიდვით იზრდება სპეკულაცია, მდიდრდებიან ცოტანი, ძღებიან მხოლოდ მდიდრები, მუშათა მასა კი მშიერი რჩება. ეს ჩვენ საქმით დავინახეთ ციმბირისა და უკრაინის პურით უმდიდრეს ადგილებში.

პურის თავისუფლად გაყიდვისას კაპიტალი ზეიმობს, შრომა კი შიმშილობს და გაჭირვებულია.

პურის თავისუფლად გაყიდვისას ფუთი პურის ფასი იზრდება ათასობით მანეთამდე, ფული უფასურდება, იგებენ ერთი მუჭა სპეკულანტები, ხალხი ღატაკდება.

პურის თავისუფლად გაყიდვისას სახელმწიფო მარაგი დაცლილია, არმია უძლურია, მრეწველობა კვდება, კოლჩაკისა ან დენიკინის გამარჯვება გარდუვალია.

პურის თავისუფლად გაყიდვას შეგნებულად იცავენ მხოლოდ მდიდრები, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მხოლოდ უბოროტესი მტრები. ვინც თავისი უმეცრებით პურის თავისუფლად გაყიდვას იცავს, მან ციმბირისა და უკრაინის მაგალითზე უნდა ისწავლოს და გაიგოს, თუ რატომ ნიშნავს პურის თავისუფლად გაყიდვა კოლჩაკისა და დენიკინის გამარჯვებას.

კიდევ არიან ბნელი გლეხები, რომლებიც ასე მსჯელობენ: დაე ჯერ სახელმწიფომ მომცეს პურის სანაცვლოდ კარგი საქონელი ომამდელ ფასებში, მაშინ მივცემ ნაჭარბ პურს, სხვა გზით არ მივცემო. და ასეთი მსჯელობის გამო გაიძვერები და მემამულეების მომხრეები ხშირად «აგებენ» ანკესზე ბნელ გლეხებს.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ მუშათა სახელმწიფოს, რომელიც კაპიტალისტებმა სრულიად გააჩანაგეს ოთხწლიანი მძარცველური ომით კონსტანტინოპოლისთვის და რომელსაც მერე კიდევ შურისსაძიებლად აჩანაგებენ კოლჩაკები და დენიკინები მთელი მსოფლიოს კაპიტალისტების დახმარებით, — ძნელი არ არის იმის გაგება, რომ მუშათა სახელმწი-

ფოს ამჟამად არ შეუძლია მისცეს გლეხებს საქონელი, რადგან მრეწველობა დგას. არ არის პური, არ არის სათბობი, არ არის მრეწველობა.

ყოველი გონიერი გლეხი დაგვეთანხმება, რომ მშიერ მუშას სესხად უნდა მიეცეს ნაჭარბი პური მრეწველობის პროდუქტების მიღების პირობით.

აი ასეა ახლაც. ყველა შეგნებული, გონიერი გლეხი, ყველა, გარდა თაღლითებისა და სპეკულანტებისა, დაგვეთანხმება, რომ მუშათა სახელმწიფოს სესხად უნდა მიეცეს მ თ ე ლ ი ნ ა ჭ ა რ ბ ი პ უ რ ი ს რ უ ლ ა დ, რადგან მაშინ სახელმწიფო აღადგენს მრეწველობას და მრეწველობის პროდუქტებს მისცემს გლეხებს.

ენდობიან კი გლეხები მუშათა სახელმწიფოს, რომ მას მისცენ ნაჭარბი პური სესხად? — ასეთი კითხვა შეუძლიათ მოგვცენ.

ჩვენ ვუპასუხებთ: ჯერ-ერთი, სახელმწიფო იძლევა სესხში მოწმობას, ფულის ნიშნებს. მეორე, ყველა გლეხმა გამოცდილებით იცის, რომ მუშათა სახელმწიფო, ესე იგი საბჭოთა ხელისუფლება, ეხმარება მშრომელებს, ებრძვის მემამულეებსა და კაპიტალისტებს. ამიტომ ჰქვია სწორედ საბჭოთა ხელისუფლებას მუშურ-გლეხური ხელისუფლება. მესამე, სხვა არჩევანი გლეხებს არა აქვთ: ან მუშას უნდა დაუჯერონ, ან კაპიტალისტს; ან მუშათა სახელმწიფოს უნდა ენდონ და სესხი მისცენ, ან კაპიტალისტების სახელმწიფოს. სხვა არჩევანი არ არსებობს არც რუსეთში, არც ერთ ქვეყანაში მთელ დედამიწაზე. რაც უფრო შეგნებული ხდებიან გლეხები, მით უფრო მტკიცედ უჭერენ ისინი მხარს მუშებს, მით უფრო მტკიცეა მათი გადაწყვეტილება ყოველმხრივ დაეხმარონ მუშათა სახელმწიფოს, რათა შეუძლებელი გახადონ მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლების დაბრუნება.

მ ე ს ა მ ე გ ა კ ვ ე თ ი ლ ი. კოლჩაკისა და დენიკინის ბოლომდე გასანადგურებლად საჭიროა უმკაცრესი რევოლუციური წესრიგის დაცვა, საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების

კანონებისა და ბრძანებების წმინდად დაცვა და თვალყურის დევნება, რომ მათ ყველა ასრულებდეს.

ციმბირსა და ურალში კოლჩაკის გამარჯვებათა მაგალითზე ჩვენ ყველამ ნათლად დავინახეთ, რომ ოდნავი უწესრიგობა, საბჭოთა ხელისუფლების კანონების ოდნავი დარღვევა, ოდნავი უყურადღებობა ან დაუდევრობა დაუყოვნებლივ ხელს უწყობს მემამულეებისა და კაპიტალისტების გაძლიერებას, მათს გამარჯვებებს. ვინაიდან მემამულეები და კაპიტალისტები არ არიან მოსპობილი და თავს არ სცნობენ დამარცხებულად: ყოველი გონიერი მუშა და გლეხი ხედავს, ყველა მათგანმა იცის და ყველას გაეგება, რომ ისინი მხოლოდ დამარცხებულნი და მიმალულნი არიან, მიყუჩდნენ, ძალიან ხშირად «საბჭოთა» «დამცველი» ფერის ქურქში არიან გახვეულნი. ბევრი მემამულე შეძვრა საბჭოთა მეურნეობებში, ბევრი კაპიტალისტი — სხვადასხვა «გლავკებსა» და «ცენტრებში», საბჭოთა მოსამსახურე გახდა; ყოველ ნაბიჯზე უთვალთვალებენ ისინი საბჭოთა ხელისუფლების შეცდომებსა და სისუსტეს, რათა დაამხონ ის, რათა დაეხმარონ დღეს ჩეხოსლოვაკებს, ხვალ დენიკინს.

საჭიროა ამ ავაზაკების, მიმალული მემამულეებისა და კაპიტალისტების კვალის მიგნება მთელი ძალ-ღონით და დაჭერა მათს **ყოველგვარ საფრებში,** მათი გამომჟღავნება და დაუზოგავად დასჯა, რადგან ისინი მშრომელთა უბოროტესი, დახელოვნებული, მცოდნე, გამოცდილი, შეთქმულებისთვის ხელსაყრელი მომენტის მოთმინებით მომლოდინე მტრები არიან; ისინი არიან მესაბოტაჟეები, რომლებიც არ დაერიდებიან არავითარი დანაშაულის ჩადენას, რათა ზიანი მიაყენონ საბჭოთა ხელისუფლებას. მშრომელთა ამ მტრების, მემამულეების, კაპიტალისტების, მესაბოტაჟეების, თეთრების მიმართ ულმობელი უნდა ვიყოთ.

ხოლო მათი დაჭერა რომ შევძლოთ, საჭიროა ვიყოთ დახელოვნებული, ფრთხილი, შეგნებული, უაღრესად გულდასმით უნდა ვადევნოთ თვალყური სულ მცირე უწესოებას, საბჭოთა ხელისუფლების კანონების კეთილსინდისიერად

შესრულების სულ მცირეოდენ გადახვევას. მემამულეები და კაპიტალისტები ძლიერი არიან არა მარტო თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით, არა მარტო მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების დახმარებით, არამედ აგრეთვე იმ ფართო მასების ჩვეულების ძალითაც და სიბნელითაც, რომლებსაც «ძველებურად» სურთ იცხოვრონ და არ ესმით იმის საჭიროება, რომ აუცილებელია საბჭოთა ხელისუფლების კანონების მკაცრად და კეთილსინდისიერად დაცვა.

სულ მცირეოდენი უკანონობა, საბჭოთა წესრიგის სულ მცირეოდენი დარღვევა უკვე ის ხ ვ რ ე ლ ი ა, რომელსაც დაუყოვნებლივ გამოიყენებენ მშრომელთა მტრები, — ხ ე ლ-ჩ ა ს ა ჭ ი დ ი ა კოლჩაკისა და დენიკინის გამარჯვებათათვის. დანაშაულია იმის დავიწყება, რომ კოლჩაკოვშჩინა დაიწყო პატარა გაუფრთხილებლობით ჩეხოსლოვაკების მიმართ, ცალკეული პოლკების მცირე დაუმორჩილებლობით.

მ ე ო თ ხ ე გ ა კ ვ ე თ ი ლ ი. დანაშაულია არა მარტო იმის დავიწყება, რომ კოლჩაკოვშჩინა უბრალო რამეებით დაიწყო, არამედ იმისაც, რომ მის ქვეყნად გაჩენას ხელს უწყობდნენ და მას პირდაპირ მხარს უჭერდნენ მენშევიკები («სოციალ-დემოკრატები») და ესერები («სოციალისტ-რევოლუციონერები»). დროა ვისწავლოთ პოლიტიკური პარტიების შეფასება მათი საქმეებისა და არა მათი სიტყვების მიხედვით.

მენშევიკები და ესერები თავიანთ თავს სოციალისტებს უწოდებენ, საქმით კი — თ ე თ რ ე ბ ი ს ხ ე ლ ი ს შ ე მ წ ყ ო ბ ნ ი, მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისშემწყობნი არიან. ეს საქმით დაამტკიცა არა მარტო ცალკეულმა ფაქტებმა, არამედ რუსეთის რევოლუციის ისტორიის ორმა დიდმა ეპოქამ: 1) კერენშჩინამ და 2) კოლჩაკოვშჩინამ. ორივეჯერ მენშევიკებმა და ესერებმა, სიტყვით «სოციალისტებმა» და «დემოკრატებმა», საქმით თ ე თ რ გ ვ ა რ დ ი ე ლ ო ბ ი ს ხ ე ლ ი ს შ ე მ წ ყ ო ბ თ ა როლი შეასრულეს. ნუთუ ჩვენ ისეთი რეგვნები აღმოვჩნდებით, რომ მათ დავუჯერებთ ახლა, როცა წინადადებას გვაძლევენ ერთხელ კიდევ მივცეთ მათ ნება — «სცადონ», უწოდებენ რა ამ ნების მიცემას

«ერთიან სოციალისტურ (თუ დემოკრატიულ) ფრონტს?» ნუთუ კოლჩაკოვშჩინის შემდეგ კიდევ დარჩებიან ისეთი გლეხები, ერთეულებს გარდა, რომელთაც არ ესმოდეთ, რომ «ერთიანი ფრონტი» მენშევიკებთან და ესერებთან — ეს არის ერთიანობა კოლჩაკის დამქაშებთან?

გვეტყვიან: მენშევიკებმა და ესერებმა დაინახეს თავიანთი შეცდომა და უარყვეს ყოველგვარი კავშირი ბურჟუაზიასთანო. მაგრამ ეს არ არის მართალი. ჯერ-ერთი, მემარჯვენე მენშევიკებსა და ესერებს ჯერ არც კი აუღიათ ხელი ასეთ კავშირზე, ხოლო განსაზღვრული მიჯნა ამ «მემარჯვენეებთან» ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს, და ის არ არსებობს «მემარცხენე» მენშევიკებისა და ესერების მიზეზით; სიტყვით «ჰკიცხავენ» რა თავიანთ «მემარჯვენეებს», საქმით საუკეთესო მენშევიკები და ესერებიც კი უ ძ ლ უ რ ნ ი რჩებიან მათ გვერდით, მიუხედავად მთელი მათი სიტყვებისა. მეორე, საუკეთესო მენშევიკები და ესერებიც კი იცავენ სწორედ კ ო ლ ჩ ა კ ი ს იდეებს, რაც ეხმარება ბურჟუაზიას და კოლჩაკს დენიკინთან ერთად, ჰფარავს მათს ბინძურ და სისხლისმღვრელ კაპიტალისტურ საქმეს. ეს იდეებია: ხალხის ძალაუფლება, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლება, დამფუძნებელი კრება, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება და სხვა. მთელ მსოფლიოში ჩვენ ვხედავთ კაპიტალისტურ რესპუბლიკებს, რომლებიც სწორედ ამ «დემოკრატიული» სიცრუით ამართლებენ კაპიტალისტების ბატონობასა და ომებს კოლონიების დასამონებლად. ჩვენში კი ვხედავთ, თუ როგორი სიამოვნებით არიგებენ ასეთ «დემოკრატიულ» დაპირებებს კოლჩაკიც, დენიკინიც, იუდენიჩიც და ყოველი გენერალიც. განა შეიძლება დავუჯეროთ იმ ადამიანს, რომელიც სიტყვიერი დაპირებებისათვის ეხმარება აშკარა ბანდიტს? მენშევიკები და ესერები, ყველანი გამოუკლებლივ, ეხმარებიან აშკარა ბანდიტებს, მსოფლიო იმპერიალისტებს, ცრუ-დემოკრატიული ლოზუნგებით აფერადებენ რა მ ა თ ს ხელისუფლებას, მ ა თ ს ლაშქრობას რუსეთზე, მ ა თ ს ბატონობას, მ ა თ ს პოლიტიკას. ყველა მენშევიკი და ესერი გვთა-

ვაზობს «კავშირს» იმ პირობით, რომ დავუთმოთ კაპიტალისტებს და მათს ბელადებს, — კოლჩაკსა და დენიკინს, მაგალითად, «ხელი ავიღოთ ტერორზე» (როცა ჩვენს წინააღმდეგ დგას ტერორი მთელი ანტანტის მილიარდერებისა, იმ უმდიდრესი ქვეყნების მთელი კავშირისა, რომლებიც შეთქმულებებს აწყობენ რუსეთში), ანდა გზა გავუხსნათ პურის თავისუფალ ვაჭრობას და სხვ.. მენშევიკებისა და ესერების ეს «პირობები» ნიშნავს აი რას: ჩვენ, მენშევიკები, ესერები, ვიხრებით კაპიტალისტებისაკენ, და გვინდა «ერთიანი ფრონტი» ბოლშევიკებთან, რომელთა წინააღმდეგ ილაშქრებენ კაპიტალისტები, იყენებენ რა ყოველგვარ დათმობას! არა, ბატონო მენშევიკებო და ესერებო, ახლა უკვე რუსეთში ნულარ ეძებთ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ დაგიჯერონ. რუსეთში შეგნებულმა მუშებმა და გლეხებმა გაიგეს, რომ მენშევიკები და ესერები თეთრგვარდიელების დამქაშები არიან, ერთნი — შეგნებულად და ბოროტად, სხვები — უმეცრებითა და ძველი შეცდომების ჯიუტად დაცვით, მაგრამ ყველანი თეთრგვარდიელების დამქაშები არიან.

მ ე ხ უ თ ე გ ა კ ვ ე თ ი ლ ი. კოლჩაკისა და კოლჩაკოვშჩინის გასანადგურებლად, იმისთვის, რომ მათ არ მივცეთ კვლავ თავის წამოყოფის საშუალება, საჭიროა ყველა გლეხმა უყოყმანოდ მოახდინოს არჩევანი მუშათა სახელმწიფოს სასარგებლოდ. გლეხებს აშინებენ (განსაკუთრებით მენშევიკები და ესერები, ყველანი, მათ შორის თვით «მემარცხენეებიც» კი) «ერთი პარტიის დიქტატურის», ბოლშევიკ-კომუნისტების პარტიის დიქტატურის საფრთხობელათი.

კოლჩაკის მაგალითზე გლეხებმა ისწავლეს ის, რომ არ შეუშინდნენ საფრთხობელას.

ან მემამულეებისა და კაპიტალისტების დიქტატურა (ე. ი. რკინის ხელისუფლება), ან მუშათა კლასის დიქტატურა.

საშუალო რამ არ არსებობს. საშუალო რამეზე ტყუილად ოცნებობენ ბატონკაცთა ნაშიერნი, ინტელიგენტუნები, ბატონები, რომლებიც ცუდად სწავლობდნენ ცუდი წიგნებით. არსად ქვეყნად საშუალო რამ არ არის და არც შეიძლება

იყოს. ან ბურჟუაზიის დიქტატურა (დაფარული ესერებისა და მენშევიკების მაღალფარდოვანი ფრაზებით ხალხის ძალაუფლების, დამფუძნებელი კრების, თავისუფლებათა და სხვ. შესახებ), ან პროლეტარიატის დიქტატურა. ვინც ეს ვერ ისწავლა მთელი XIX საუკუნის ისტორიიდან, ის გამოუსწორებელი იდიოტია. რუსეთში კი ჩვენ ყველანი ვხედავდით, თუ როგორ ოცნებობდნენ საშუალო რამეზე მენშევიკები და ესერები კერენშჩინის დროს და კოლჩაკის ბატონობისას.

ვის გაუწია სამსახური ასეთმა ოცნებამ? ვის დაეხმარა იგი? — კოლჩაკსა და დენიკინს. საშუალო რამეზე მეოცნებენი — კოლჩაკის ხელისშემწყობნი არიან.

ურალსა და ციმბირში მუშებმა და გლეხებმა გამოცდილებით შეადარეს ერთმანეთს ბურჟუაზიის დიქტატურა და მუშათა კლასის დიქტატურა. მუშათა კლასის დიქტატურას ახორციელებს ბოლშევიკების ის პარტია, რომელიც ჯერ კიდევ 1905 წლიდან და უფრო წინათაც შეუსისხლხორცდა მთელ რევოლუციურ პროლეტარიატს.

აი რას ნიშნავს მუშათა კლასის დიქტატურა: მუშათა სახელმწიფო უყოყმანოდ შემუსრავს მემამულეებსა და კაპიტალისტებს, შემუსრავს მოღალატეებსა და გამცემლებს, რომლებიც ეხმარებიან ამ ექსპლოატატორებს, დაამარცხებს მათ.

მუშათა სახელმწიფო დაუნდობელი მტერია მემამულისა და კაპიტალისტის, სპეკულანტისა და თაღლითის, მტერია მიწისა და კაპიტალის კერძო საკუთრებისა, მტერია ფულის ბატონობისა.

მუშათა სახელმწიფო მშრომელებისა და გლეხობის ერთადერთი ერთგული მეგობარი და თანაშემწეა. არავითარი გადახრა კაპიტალისკენ, მშრომელთა კავშირი მის წინააღმდეგ ბრძოლაში, მ უ შ უ რ-გ ლ ე ხ უ რ ი ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, ს ა ბ ჭ ო თ ა ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა — აი რას ნიშნავს ს ა ქ მ ი თ «მუშათა კლასის დიქტატურა».

მენშევიკებსა და ესერებს სურთ შეაშინონ გლეხები ამ სიტყვებით. ვერ შესძლებენ. კოლჩაკის შემდეგ მუშები და

გლეხები მიყრუებულ ადგილებშიც კი მიხვდნენ, რომ ეს სიტყვები ნიშნავს სწორედ იმას, ურომლისოდაც კოლჩაკისგან თავს ვერ გადაირჩენენ.

ძირს მერყევნი, უნებისყოფონი, რომლებიც გზააცდენილი არიან და კაპიტალს ეხმარებიან, კაპიტალის ლოზუნგებითა და დაპირებებით იხიბლებიან! ულმობელი ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ და მშრომელთა კავშირი, გლეხების კავშირი მუშათა კლასთან — აი კოლჩაკოვშჩინის უკანაკნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი.

ნ. ლენინი

1919 წ. 24 აგვისტო.

«პრავდა» № 190,
1919 წ. 28 აგვისტო

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით:
ვ. ი. ლენინი. «წერილი მუშებისა და გლეხებისადმი კოლჩაკზე გამარჯვების გამო», მოსკოვი, 1919 წ.

წერილი სილვია პანკჰერსტს[83]

ამხანაგ სილვია პანკჰერსტს ლონდონში

1919 წ. 28 აგვისტო

ძვირფასო ამხანაგო! თქვენი წერილი 1919 წ. 16 ივლისის თარიღით მე მხოლოდ გუშინ მივიღე. უაღრესად მადლობელი ვარ ინფორმაციისათვის ინგლისის შესახებ და შევეცდები შეგისრულოთ თხოვნა, ე. ი. გიპასუხოთ კითხვაზე.

მე სრულიადაც ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ბევრი მუშა, რომლებიც ეკუთვნიან პროლეტარიატის საუკეთესო, უაღრესად პატიოსან, გულწრფელად-რევოლუციურ წარმომადგენლებს, მტერია პარლამენტარიზმისა და პარლამენტში ყოველგვარი მონაწილეობისა. რაც უფრო ხანდაზმულია კაპიტალისტური კულტურა და ბურჟუაზიული დემოკრატია ამა თუ იმ ქვეყანაში, მით უფრო გასაგებია ეს, რადგან ძველ პარლამენტურ ქვეყნებში ბურჟუაზიამ ჩინებულად შეისწავლა თვალთმაქცობა და ხალხის ათასგვარი ხრიკებით მოტყუება, ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს ასაღებს «დემოკრატიად საერთოდ» ან «წმინდა დემოკრატიად» და სხვა, ოსტატურად ჰფარავს პარლამენტის მილიონობით კავშირს ბირჟასა და კაპიტალისტებთან, იყენებს მოქრთამულ, მოსყიდულ პრესას და ყოველგვარი საშუალებით იყენებს ფულის ძალას, კაპიტალის ძალაუფლებას.

უეჭველია, კომუნისტური ინტერნაციონალი და ცალკეული ქვეყნების კომუნისტური პარტიები გამოუსწორებელ შეცდომას ჩაიდენდნენ, მათ რომ ხელი ეკრათ იმ მუშებისთვის, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას უჭერენ მხარს, მაგრამ

თანახმა არ არიან მონაწილეობა მიიღონ პარლამენტურ ბრძოლაში. თუ საკითხს შევხედავთ ზოგადად, თეორიულად, მაშინ სწორედ ამ პროგრამას, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლებისათვის, საბჭოთა რესპუბლიკისათვის ბრძოლას შეუძლია გააერთიანოს და კიდევაც უნდა გააერთიანოს ახლა მუშათა წრის ყველა უცილობლად გულწრფელი, პატიოსანი რევოლუციონერი. ახლა ძალიან ბევრი მუშა-ანარქისტი საბჭოთა ხელისუფლების უგულწრფელესი მომხრე ხდება, ხოლო რაკი ასეა, ეს იმას ამტკიცებს, რომ ისინი ჩვენი საუკეთესო ამხანაგები და მეგობრები, საუკეთესო რევოლუციონერები არიან, რომლებიც მხოლოდ გაუგებრობით იყვნენ მარქსიზმის მტრები, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, არა გაუგებრობით, არამედ იმის გამო, რომ II ინტერნაციონალის ეპოქის (1889 — 1914) გაბატონებულმა ოფიციალურმა სოციალიზმმა უღალატა მარქსიზმს, გადავარდა ოპორტუნიზმში, დაამახინჯა საერთოდ მარქსის რევოლუციური მოძღვრება და განსაკუთრებით მისი მოძღვრება 1871 წლის პარიზის კომუნის გაკვეთილების შესახებ. ამის შესახებ მე დაწვრილებით ვწერ ჩემს წიგნში «სახელმწიფო და რევოლუცია» და ამიტომ მეტს აღარ შევჩერდები ამ საკითხზე.

როგორ მოვიქცეთ, თუ ამა თუ იმ ქვეყნის კომუნისტებს თავიანთი რწმენითა და მზადყოფნით, რომ რევოლუციური მუშაობა აწარმოონ, საბჭოთა ხელისუფლების («საბჭოთა სისტემის», როგორც ზოგჯერ ამბობენ არარუსები) გულწრფელ მომხრეებს არ შეუძლიათ გაერთიანება იმის გამო, რომ უთანხმოება აქვთ პარლამენტში მონაწილეობის საკითხის გარშემო?

ასეთ უთანხმოებას ამჟამად მე არსებით უთანხმოებად არ ჩავთვლიდი, რადგან საბჭოთა ხელისუფლებისთვის ბრძოლა ეს არის პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლა მისი უმაღლესი, ფრიად შეგნებული, ფრიად რევოლუციური ფორმით. სჯობს რევოლუციურ მუშებთან იყო, როცა ისინი სცდებიან კერძო ან მეორეხარისხოვან საკითხში, ვიდრე «ოფიციალურ» სოციალისტებთან ან სოციალ-დემოკრატებთან, თუ ისინი არ

არიან გულწრფელი, მტკიცე რევოლუციონერები, თუ მათ არა სურთ ან არ შეუძლიათ რევოლუციური მუშაობის წარმოება მუშათა მასებში, მაგრამ ამ კერძო საკითხში სწორ ტაქტიკას იზიარებენ. ხოლო პარლამენტარიზმის საკითხი ამჟამად კერძო, მეორეხარისხოვანი საკითხია. ჩემი აზრით, როზა ლუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტი მართალი იყვნენ, როცა სპარტაკელების 1919 წლის იანვრის კონფერენციაზე ბერლინში ამ კონფერენციის უმრავლესობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ გერმანიის ბურჟუაზიული პარლამენტის, დამფუძნებელი «ეროვნული კრების» არჩევნებში მონაწილეობის მიღებას იცავდნენ[84]. მაგრამ, რასაკვირველია, ისინი კიდევ უფრო მეტად მართალი იყვნენ, როცა ამჯობინებდნენ დარჩენას კომუნისტურ პარტიასთან, რომელიც კერძო ხასიათის შეცდომას უშვებდა, ვიდრე გაჰყოლოდნენ სოციალიზმის აშკარა გამცემლებს, როგორიცაა შეიდემანი და მისი პარტია, ან იმ ლაქიური სულის ადამიანებს, დოქტრინიორებს, ლაჩრებს, ბურჟუაზიის უნებისყოფო ხელშემწყობებს და საქმით რეფორმისტებს, როგორიც არიან კაუცკი, ჰააზე, **Däumig**-ი და გერმანელ «დამოუკიდებელთა» მთელი ეს «პარტია».

პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობაზე უარისთქმა შეცდომაა ინგლისის რევოლუციური მუშების მხრივ, მაგრამ უმჯობესია ეს შეცდომა დაუშვა, ვიდრე დააყოვნო მუშათა დიდი კომუნისტური პარტიის შექმნა ინგლისში ყველა თქვენ მიერ ჩამოთვლილ მიმართულებათა და ელემენტთაგან, რომლებიც თანაუგრძნობენ ბოლშევიზმს და გულწრფელად ემხრობიან საბჭოთა რესპუბლიკას. მაგალითად, **B. S. P.**-ში[85] რომ მოიძებნონ ისეთი გულწრფელი ბოლშევიკები, რომლებიც პარლამენტში მონაწილეობის საკითხში უთანხმოების გამო უარს იტყოდნენ ახლავე შეერთებოდნენ კომუნისტურ პარტიაში მიმდინარეობებს № 4, № 6, № 7, ეს ბოლშევიკები, ჩემი აზრით, ათასჯერ მეტს შეცდომას დაუშვებდნენ, ვიდრე არის შეცდომით უარისთქმა ინგლისის ბურჟუაზიული პარლამენტის არჩევნებ-

ში მონაწილეობის მიღებაზე. რასაკვირველია, როცა ამას ვლაპარაკობ, მე ვვარაუდობ, რომ მიმდინარეობანი 4, 6, 7, ერთად აღებულნი, მართლაც დაკავშირებული არიან მუშათა მ ა ს ა ს თ ა ნ და არ წარმოადგენენ მ ხ ო ლ ო დ პატარ-პატარა ინტელიგენტურ ჯგუფებს, როგორც ეს ხშირად ხდება ინგლისში. ამ მხრივ, ალბათ, განსაკუთრებით საყურადღებოა **Workers Committees** და **Shop Stewards** *, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, მჭიდროდ არიან დაკავშირებული მ ა ს ა ს თ ა ნ.

განუყრელი კავშირი მუშათა მასასთან, მასში მუდმივი აგიტაციის გაწევის უნარი, ყოველ გაფიცვაში მონაწილეობის მიღება, მასის ყოველგვარ საჭიროებაზე გამოხმაურება, ეს არის მთავარი კომუნისტური პარტიისთვის, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა ინგლისი, სადაც დღემდე (თუმცა როგორც ყველა იმპერიალისტურ ქვეყანაში) სოციალისტურ და საერთოდ მუშათა მოძრაობაში უმთავრესად მონაწილეობას იღებდნენ მუშათა ფრიად ვიწრო ზედაფენები, მუშათა არისტოკრატიის წარმომადგენლები, რომლებიც უმთავრესად სულიან-ხორციანად და უიმედოდ არიან გაფუჭებული რეფორმიზმით, ბურჟუაზიული და იმპერიალისტური ცრურწმენის ტყვეობაში იმყოფებიან. ამ ფენის წინააღმდეგ უბრძოლველად, მუშებში მისი ყოველგვარი ავტორიტეტის დაუმსხვრევლად, მასების დაურწმუნებლად ამ ფენის სრულ ბურჟუაზიულ გათახსირებაში ლაპარაკიც კი შეუძლებელია სერიოზული კომუნისტური მუშათა მოძრაობის შესახებ. ეს შეეხება ინგლისსაც, საფრანგეთსაც, ამერიკასაც და გერმანიასაც.

ის მუშა რევოლუციონერები, რომლებიც თავიანთ თავდასხმათა ცენტრად პარლამენტარიზმს ხდიან, სავსებით მართალი არიან იმდენად, რამდენადაც ეს თავდასხმები გამოხატავს ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის პრინციპულ უარყოფას. საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოთა რესპუბლიკა — აი ის, რაც მუშათა

* — მუშათა კომიტეტები და ფაბრიკის მამასახლისები. რ ე დ.

რევოლუციამ დააყენა ბურჟუაზიული დემოკრატიის ადგილას, აი კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ფორმა, პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა. და პარლამენტარიზმის კრიტიკა არათუ კანონიერი და აუცილებელია, როგორც საბჭოთა ხელისუფლებაზე გადასვლის დასაბუთება, არამედ სავსებით სწორიცაა, როგორც პარლამენტარიზმის ისტორიული პირობითობისა და შეზღუდულობის, მისი კაპიტალიზმთან და მხოლოდ კაპიტალიზმთან კავშირის შეგნება, შეგნება მისი (პარლამენტარიზმის) პროგრესულობისა შუასაუკუნეების მიმართ და რეაქციულობისა — საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

მაგრამ პარლამენტარიზმის კრიტიკოსები ევროპასა და ამერიკაში, თუ ისინი ანარქისტებს და ანარქო-სინდიკალისტებს ეკუთვნიან, ძალიან ხშირად მართალი არ არიან, რამდენადაც ისინი უარყოფენ ყოველგვარ მონაწილეობას არჩევნებში და საპარლამენტო მოღვაწეობაში. აქ თავს იჩენს რევოლუციური გამოცდილების ნაკლებობა, და მეტი არაფერი. ჩვენ, რუსებმა, XX საუკუნეში ორი დიდი რევოლუცია განვიცადეთ და კარგად ვიცით, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს და ფაქტიურად აქვს პარლამენტარიზმს საერთოდ რევოლუციურ ხანაში და განსაკუთრებით უშუალოდ რევოლუციის დროს. ბურჟუაზიული პარლამენტები უნდა მოისპონ და შეიცვალონ საბჭოთა დაწესებულებებით. ეს უეჭველია. უეჭველია ახლა, რუსეთის, უნგრეთის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების გამოცდილების შემდეგ, რომ ეს უსათუოდ მოხდება პროლეტარული რევოლუციის დროს. ამიტომ საამისოდ მუშათა მასის სისტემატური მომზადება, მისთვის წინდაწინვე განმარტება საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობისა, პროპაგანდა და აგიტაცია მის სასარგებლოდ — ყოველივე ეს უეჭველი მოვალეობაა იმ მუშისთვის, რომელსაც სურს საქმით რევოლუციონერი იყოს. მაგრამ ჩვენ, რუსები, ამ ამოცანას ვასრულებდით საპარლამენტო ასპარეზზე მოქმედებითაც. მეფის სათათბირო-

ში, გაყალბებულ, მემამულურ სათათბიროში ჩვენი წარმომადგენლები ახერხებდნენ რევოლუციური და რესპუბლიკური პროპაგანდის გაწევას. სწორედ ასევე შეიძლება და უნდა ვეწეოდეთ საბჭოთა პროპაგანდას ბურჟუაზიულ პარლამენტებში, პარლამენტების შიგნიდან.

შესაძლოა, ამა თუ იმ პარლამენტურ ქვეყანაში ამის ერთბაშად მიღწევა არ იყოს ადვილი. მაგრამ ეს სხვა საკითხია. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს სწორი ტაქტიკა შეითვისონ ყველა ქვეყნის რევოლუციურმა მუშებმა. და თუ მუშათა პარტია მართლაც რევოლუციურია, თუ ის მართლაც მუშურია (ე. ი. დაკავშირებულია მასასთან, მშრომელთა უმრავლესობასთან, პროლეტარიატის ქვედაფენებთან, და არა მხოლოდ მის ზედაფენასთან), თუ ის მართლაც პარტიაა, ე. ი. მტკიცედ, სერიოზულად შემჭიდროებული რევოლუციური ავანგარდის ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია ყველა შესაძლებელი საშუალებით აწარმოოს რევოლუციური მუშაობა მასებში, მაშინ ასეთი პარტია, უეჭველია, შესძლებს ხელში იყოლიოს თავისი პარლამენტარიები, გახადოს ისინი ნამდვილ რევოლუციურ პროპაგანდისტებად, ისეთებად, როგორც კარლ ლიბკნეხტი, და არა ოპორტუნისტებად, არა პროლეტარიატის გამხრწნელებად ბურჟუაზიული ფანდებით, ბურჟუზიული ჩვეულებებით, ბურჟუაზიული იდეებით, ბურჟუაზიული უიდეობით.

ინგლისში რომ ამისთვის ერთბაშად ვერ მიგვეღწია, გარდა ამისა, ინგლისში რომ საბჭოთა ხელისუფლების მომხრეთა არავითარი გაერთიანება არ ყოფილიყო შესაძლებელი სწორედ პარლამენტარიზმის შესახებ უთანხმოების გამო და მხოლოდ ამის გამო, მაშინ მე წინ გადადგმულ, სრული ერთიანობისაკენ გადადგმულ სასარგებლო ნაბიჯად ჩავთვლიდი ორი კომუნისტური პარტიის დაუყოვნებლივ შექმნას, ე. ი. ორი პარტიისა, რომლებიც მომხრე იქნებოდნენ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმიდან საბჭოთა ხელისუფლებაზე გადასვლისა. დაე ერთმა ამ პარტიათაგანმა აღიაროს ბურჟუაზიულ

პარლამენტში მონაწილეობის მიღება, მეორემ კი უარყოს: ეს აზრთა სხვადასხვაობა ახლა ისე არაარსებითია, რომ ყველაზე მეტი გონიერება იქნებოდა ამის გამო გათიშვა არ მომხდარიყო. მაგრამ ორი ასეთი პარტიის ერთად არსებობაც კი უდიდესი პროგრესი იქნებოდა ახლანდელ მდგომარეობასთან შედარებით, — ეს, ალბათ, სრულ ერთიანობაზე და კომუნიზმის სწრაფ გამარჯვებაზე გადასვლა იქნებოდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ გვიჩვენა რუსეთში თითქმის ორი წლის გამოცდილებით არა მარტო ის, რომ პროლეტარიატის დიქტატურა შესაძლებელია გლეხურ ქვეყანაშიც კ ი და მას შეუძლია ძლიერი არმიის შექმნით (რაც ორგანიზებულობისა და წესრიგის საუკეთესო დამამტკიცებელია) გასძლოს და თავი გაიტანოს წარმოუდგენელ, გაუგონარ ძნელ პირობებში.

საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა უფრო მეტიც: მან უკვე მორალურად გაიმარჯვა მ თ ე ლ მსოფლიოში, რადგან მუშათა მასა ყველგან, თუმცა იგი მხოლოდ ჭეშმარიტების ნამცეცს გებულობს საბჭოთა ხელისუფლების შესახებ, თუმცა ათასობით და მილიონობით ცრუ ცნობები ესმის საბჭოთა ხელისუფლების შესახებ, მუშათა მასა უ კ ვ ე ს ა ბ ჭ ო თ ა ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მ ო მ ხ რ ე ა. მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი უკვე მიხვდა, რომ ეს ხელისუფლება მშრომელთა ხელისუფლებაა, რომ მარტო მასშია ხსნა კაპიტალიზმისაგან, კაპიტალის უღლისაგან, იმპერიალისტებს შორის ამტყდარი ომებისაგან, რომ მხოლოდ მას მივყავართ მტკიცე მშვიდობიანობისაკენ.

სწორედ ამიტომ შესაძლებელია, რომ იმპერიალისტებმა დაამარცხონ ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკები, მაგრამ პროლეტარიატის მსოფლიო საბჭოთა მოძრაობის დამარცხება შეუძლებელია.

კომუნისტური სალამით

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S *. ქვემოთმოყვანილი ამონაწერი რუსული გაზეთებიდან იძლევა ჩვენი ინფორმაციის ნიმუშს ინგლისის შესახებ:

«ლ ო ნ დ ო ნ ი, 25—VIII. (ბელოოსტროვით.) კოპენჰაგენის გაზეთის «ბერლინგსკე ტიდენდეს» ლონდონელი კორესპონდენტი ინგლისის ბოლშევიკური მოძრაობის გამო ა/წ. 3 აგვისტოს დეპეშით იტყობინება: «უკანასკნელი დღეების გაფიცვებმა და ამას წინათ მომხდარმა მხილებამ შეარყიეს ინგლისელების რწმენა, რომ მათი ქვეყანა თითქოს შეუვალი იყოს ბოლშევიზმისათვის. ამჟამად გაზეთები გაცხოველებით იხილავენ ამ საკითხს, ხოლო ადმინისტრაცია ყოველგვარ ზომებს იღებს, რათა დაადგინოს, რომ «შეთქმულება» საკმაოდ დიდი ხანია არსებობდა და მიზნად ისახავდა, არც მეტს, არც ნაკლებს, არსებული წყობილების დამხობას. ინგლისის პოლიციამ დააპატიმრა რევოლუციური ბიურო, რომლის განკარგულებაში, როგორც გაზეთები ირწმუნებიან, ფულიც იყო და იარაღიც. «ტაიმსი» აქვეყნებს ზოგიერთი იმ დოკუმენტის შინაარსს, რომელიც დაპატიმრებულებს უნახეს. ამ დოკუმენტებში მოცემულია მთელი რევოლუციური პროგრამა, რომლის თანახმად განიარაღებულ უნდა იქნას მთელი ბურჟუაზია; მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოებისთვის უნდა გამოიძებნოს იარაღი და სამხედრო საჭურველი და უნდა შესდგეს წითელი არმია; ყველა სახელმწიფო პოსტი მუშებმა უნდა დაიკავონ. შემდეგ განზრახული იყო რევოლუციური ტრიბუნალის შექმნა პოლიტიკურ დამნაშავეთათვის და იმ პირთათვის, ვისაც ბრალდებათ პატიმრებისადმი სასტიკი მოპყრობა. განზრახული იყო მთელი სურსათის კონფისკაცია. პარლამენტი და საზოგადოებრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოები უნდა დაეთხოვათ და მათ ადგილას შეექმნათ რევოლუციური საბჭოები. სამუშაო დღე უნდა შეეზღუდათ ექვსი საათით და დაბალი კვირეული ხელფასი გაედიდებინათ 7 გირვანქა სტერლინგამდე. სახელმწიფო და ყველა სხვა ვალი უნდა გაეუქმებინათ. ყველა ბანკი, სამრეწველო საწარმო, სავაჭრო დაწესებულება და სატრანსპორტო საშუალება ნაციონალურად უნდა გამოეცხადებინათ».

თუ ეს მართალია, ინგლისის იმპერიალისტებსა და კაპიტალისტებს მათი ორგანოს სახით, მთელ მსოფლიოში უმდიდ-

---

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

რესი გაზეთის «Times»-ის * სახით, დიდი მოწიწებით მადლობა უნდა მივუძღვნათ, და მადლიერი ვიყოთ მისი ჩინებული პროპაგანდისთვის ბოლშევიზმის სასარგებლოდ. განაგრძეთ იმავე ყაიდაზე «Times»-ელო ვაჟბატონებო, თქვენ ჩინებულად მიგყავთ ინგლისი ბოლშევიზმის გამარჯვებისაკენ!

გამოქვეყნდა
1919 წ. სექტემბერს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — «დროება». რ ე დ.

პურის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ

გამარჯვების ძირითადი პირობა

როგორ განვამტკიცოთ კოლჩაკზე გამარჯვება? როგორ მივიყვანოთ იგი ბოლომდე და გავანადგუროთ დენიკინი? როგორ გავხადოთ შეუძლებელი მემამულეების, კაპიტალისტების, კულაკების შემდგომი ცდა — დაიბრუნონ ძალაუფლება, მიწა, კაპიტალი, მუშებსა და გლეხებზე ბატონობა?

ეს საკითხი უდრის რუსეთის მთელი სოციალისტური რევოლუციის ბედის საკითხს. ყოველი შეგნებული მუშა და გლეხი ფიქრობს ამ საკითხზე. და ძნელი არ არის იმაში დარწმუნება, რომ სოციალიზმის მთელ მშენებლობას ახლა საფუძვლად უძევს სასურსათო საკითხი.

მთელი ნაჭარბი პურის ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში დაგროვება, მათი სწორი განაწილება, ეს იმას ნიშნავს, რომ უძლეველი გავხადოთ ჩვენი წითელი არმია, ეს იმას ნიშნავს, რომ საბოლოოდ გავსრისოთ კოლჩაკი და დენიკინი, ეს იმას ნიშნავს, რომ აღვადგინოთ მრეწველობა და უზრუნველვყოთ წესიერი სოციალისტური წარმოება და განაწილება, უზრუნველვყოთ სრული სოციალისტური წესრიგი.

ჩვენ ახლა უკვე გვაქვს სასურსათო მუშაობისა და სოციალისტური მშენებლობის საკმაო გამოცდილება, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ ამ ამოცანის მოცულობაც და მისი გადაწყვეტის წესებიც. ჩვენ ვიცით ამოცანის მთელი სიძნელე, მაგრამ გამოცდილებით ვიცით აგრეთვე, რომ ჩვენ ვიპოვეთ სწორი გზა მის გადასაწყვეტად და თუ მეტ ყურადღებას

მივაქცევთ ამ ამოცანას, გავაძლიერებთ ენერგიას, დავძაბავთ ძალ-ღონეს, გავაუმჯობესებთ აპარატს, ჩვენ შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა ბოლომდე გადავწყვიტოთ ეს ამოცანა.

1917 წ. 1 აგვისტოდან 1918 წ. 1 აგვისტომდე სახელმწიფომ დაამზადა 30 მილიონი ფუთი პური. 1918 წ. 1 აგვისტოდან 1919 წ. 1 აგვისტომდე — დაახლოებით 105 მილიონი ფუთი, ე. ი. 3 ½-ჯერ მეტი, თუმცა ამ პერიოდში ჩვენს ხელში სრულებით არ ყოფილა დონი, ჩრდილოეთი კავკასია და დასავლეთი ციმბირი, ჩვენს ხელში თითქმის არ ყოფილა უკრაინა, ესე იგი პურის ყველაზე მდიდარი ადგილები.

1919 წლის კარგი მოსავლის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია დავამზადოთ ძალიან ბევრი, შესაძლოა 400 მილიონი ფუთი პური და მეტიც. მაშინ ჩვენ მეტისმეტად გავაძლიერებთ სათბობის, ხე-ტყის, ქვანახშირისა და სხვათა მოპოვებას. მაშინ ჩვენ აღვადგენთ მრეწველობას და მტკიცედ, საბოლოოდ გამოვალთ გეგმაშეზომილი სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე. მაშინ ჩვენ სავსებით დავძლევთ სპეკულაციას, მოვსპობთ კაპიტალიზმის ამ საზიზღარ მემკვიდრეობას, რომელიც ახლა ასე აფუჭებს ყველგან სოციალიზმის ყლორტებს.

გამარჯვების უტყუარი გზა

მოყვანილი ციფრები გვიჩვენებს საბჭოთა ხელისუფლების სერიოზულ წარმატებებს სასურსათო საქმეში, წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია გაუგონარ, არაჩვეულებრივ სიძნელეთა პირობებში. მაგრამ უაღრესად ნათელ ციფრებს, უაღრესად უდავო ფაქტებს სადავოდ ხდიან ანდა აფუჩეჩებენ მათ, როცა საქმე შეეხება ბურჟუაზიის, კაპიტალისტების, სპეკულანტების, კულაკების ანგარებიან ინტერესებს.

ქალაქის მუშის კვების ზუსტად გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ის პროდუქტების მხოლოდ ნახევარს (დაახლოებით) იღებს სახელმწიფოსაგან, სასურსათო კომისარიატისგან, მეორე ნახევარს კი იძენს «კერძო», «თავისუფალ» ბაზარზე, ე. ი. სპეკულანტებისგან. ამასთან პირველ ნახევარში მუშა

იხდის სურსათზე მთელი თავისი ხარჯების ერთ მეათედს, მეორე ნახევარში კი — ცხრა მეათედს.

სპეკულანტები მშიერ მუშას ცხრამმაგ ტყავს აძრობენ.

სპეკულანტები გაუგონრად ძარცვავენ მას. და ყველამ ვიცით, თუ ფულის მოხვეჭის, ქურდობის, დანაშაულობათა, მუშათა მასების შიმშილით გამოწვეული ტანჯვის, მცირერიცხოვან გაიძვერათა გამდიდრების რა ალვირახსნილობაა დაკავშირებული პურის ყბადაღებულ «თავისუფალ ვაჭრობასთან».

მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც მოიპოვებიან თავისუფალი ვაჭრობის დამცველნი!

ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობა, მთელი საბჭოთა რესპუბლიკა, მთელი ჩვენი სოციალისტური საზოგადოება, რომელიც ახლა იბადება, უაღრესად მძიმე, თავგანწირულ, გააფთრებულ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ, სპეკულაციის წინააღმდეგ, პურის თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ. ეს სოციალიზმის წინააღმდეგ კაპიტალიზმის ფრიად ღრმა, ფრიად ძირეული, ფრიად ყოველდღიური, ფრიად მასობრივი ბრძოლაა. ამ ბრძოლაზეა დამოკიდებული ჩვენი რევოლუციის მთელი ბედის საკითხის გადაწყვეტა. ხოლო ის ადამიანები, რომლებიც «სოციალისტებს» უწოდებენ თავიანთ თავს: სოციალ-დემოკრატები, მენშევიკები, «სოციალისტ-რევოლუციონერები», ამ ბრძოლაში კაპიტალიზმს ეხმარებიან სოციალიზმის წინააღმდეგ! ყველაზე უკეთესნი ამ ადამიანთაგან, ყველაზე უფრო მტრულად განწყობილნი კოლჩაკის, დენიკინის, კაპიტალისტების მიმართ, საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო პოლიტიკის საკითხში მუდამ კაპიტალიზმის მხარეზე დგებიან, მოითხოვენ მცირე დათმობებს «კერძო სავაჭრო აპარატის», «ინდივიდუალური თაოსნობის» სასარგებლოდ და სხვ. და ა. შ.

არსებითად, თუ ყურადღებით ჩავუკვირდებით, თუ კარგად ჩავუფიქრდებით იმას, რის გამო წარმოებს ბრძოლა საბჭოთა

ხელისუფლების წინააღმდეგ, მივიღებთ დასკვნას: საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგენი ორ დიდ ჯგუფად იყოფიან. ორივენი იცავენ კაპიტალიზმს სოციალიზმის წინააღმდეგ. ერთი ამას სჩადის მხეცურად და მეტად უხეში ანგარებით; ესენი არიან მემამულეები, კაპიტალისტები, კულაკები, დენიკინები, კოლჩაკები, შავრაზმელები, კადეტები. მეორე ჯგუფი კაპიტალიზმს იცავს «იდეურად», ესე იგი უანგაროდ ან აშკარა, პირადი ანგარების გარეშე, ცრურწმენის, ახლისადმი შიშის გამო; ესენი არიან მენშევიკები და ესერები. ესენი კაპიტალიზმის უკანასკნელი «იდეური» დამცველები არიან. ამიტომაც სრულებით არ არის შემთხვევითი, რომ კოლჩაკები და დენიკინები, რუსი და ყველა უცხოელი კაპიტალისტი ეფარებიან მენშევიკებსა და ესერებს, მ ა თ ს დროშას, მ ა თ ს ბაირაღს, იმეორებენ **მათს** ლოზუნგებსა და ფრაზებს საერთოდ «თავისუფლების» შესახებ, საერთოდ «დემოკრატიის» შესახებ, «კერძო» (სავაჭრო, კაპიტალისტური) თანასნობის შესახებ და სხვ. და ა. შ.

ჭკვიან კაპიტალისტებს ესმით, რომ მენშევიკებისა და ესერების «იდეური» პოზიცია ემსახურება მათ, მათს კლასს, «მ ა თ ს» კაპიტალიზმს, ხოლო მენშევიკებსა და ესერებს, როგორც ყველგან და ყოველთვის ყველა წვრილბურჟუაზიულ სოციალისტს, არ ესმით ეს. მათ ეშინიათ სამკვდრო-სასიცოცხლო ომისა პურის თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ, მათ სურთ დაუთმონ თავისუფალ ვაჭრობას, იცნონ ის თუნდაც ნაწილობრივ, «ზავი» და შეთანხმება სურთ მასთან.

რა არის პურის თავისუფალი ვაჭრობა?

პურის თავისუფალი ვაჭრობა არის დაბრუნება კაპიტალიზმისა, მემამულეების და კაპიტალისტების ყოვლისშემძლეობისა, გააფთრებული ბრძოლისა ადამიანებს შორის ფულის მოხვეჭისათვის, მცირეთა «თავისუფალი» გამდიდრებისა, მასების გალატაკებისა, მათი სამუდამო კაბალისა, რასაც ჩვენ ვხედავთ ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, ყველაზე თავისუფალი და დემოკრატიული რესპუბლიკების ჩათვლით.

თუ შეეკითხებით რომელიმე მშრომელ ადამიანს, მუშას, გლეხს, თუნდაც ინტელიგენტსაც, სურს თუ არა მას ასეთი «წესები», ყველა გიპასუხებთ, რომ არა. მაგრამ უბედურებაც ის არის, საშიშროებაც იმაშია, რომ მშრომელთა ძალიან დიდ რიცხვს, განსაკუთრებით გლეხთა დიდ რიცხვს ა რ ე ს მ ი ს პურის თავისუფალი ვაჭრობის კავშირი მემამულეებისა და კაპიტალისტების ყოვლისშემძლეობასთან.

დაწერილია 1919 წ. აგვისტოში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები

1 «წ ა რ ჩ ი ნ ებ უ ლ ი ბ ერ ნ ე ლ ი რ ე ვ ი ზ ო რ ე ბ ი» — ლენინი გულისხმობს კომისიას, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკაში გასაგზავნად დანიშნა II ინტერნაციონალის პარტიების ბერნის კონფერენციამ; კონფერენცია მიმდინარეობდა 1919 წლის 3 — 10 თებერვალს. კომისიის ჩამოსვლის ნებართვის თხოვნაზე საბჭოთა მთავრობამ 1919 წლის 19 თებერვალს განაცხადა, თუმცა ბერნის კონფერენციას არ ვთვლით არც სოციალისტურ კონფერენციად და არც მუშათა კლასის რაიმე წარმომადგენლად, მაგრამ მიუხედავად ამისა ნებას ვრთავთ კომისიას საბჭოთა რუსეთში შემოსვლაზეო. კომისია არ ჩამოსულა. — 3.

2 ლაპარაკია პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ იქნა მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914—1918) დამთავრების შემდეგ. კონფერენცია გაიხსნა 1919 წლის 18 იანვარს და მუშაობა დაამთავრა 1919 წლის 28 ივნისს ვერსალის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერით. — 6.

3 «ტ ა ი მ ს ი» («The Times» — «დროება») — გაზეთი, რომელიც დაარსდა ლონდონში 1785 წელს; ინგლისის ბურჟუაზიის კონსერვატიული წრეების ერთ-ერთი დიდი გაზეთი. — 6.

4 საკითხი ჩრდილოეთის დიდი გზის კონცესიის გაცემის შესახებ — რკინიგზის მშენებლობა, რომელიც შეაერთებდა მდ. ობს კოტლასით პეტროგრადთან და მურმანსკთან, — განიხილა სახკომსაბჭოს სხდომამ 1919 წლის 4 თებერვალს. სახკომსაბჭომ მიიღო ლენინის წინადადება, რომელიც ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების ინტერესებისთვის პრინციპულად შესაწყნარებლად აღიარებდა კონცესიების მიცემას უცხოეთის კაპიტალის წარმომადგენლებისათვის. ამ კონცესიაზე ხელშეკრულება არ დაუდვიათ. — 15.

5 **დეკრეტი ერთდროული საგანგებო ათმილიარდიანი რევოლუციური გადასახადის შესახებ** მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1918 წლის 30 ოქტომბერს. დეკრეტის თანახმად ერთდროული საგანგებო გადასახადით უმთავრესად იბეგრებოდნენ კულაკები და ქალაქის ბურჟუაზია, საშუალო ფენები იბეგრებოდნენ მხოლოდ მცირე თანხებით. გადასახადისგან თავისუფლდებოდნენ ქალაქისა და სოფლის ღარიბები და ის პირნი, რომელთა არსებობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა ხელფასი. 1919 წლის 9 აპრილს სრულიად რუსეთის ცაკ-მა მიიღო დამატებითი დეკრეტი საგანგებო გადასახადის გადახდაში საშუალო გლეხობისთვის შეღავათების მიცემის შესახებ. — **20.**

6 **სათესი ფართობის კომიტეტი** დაარსდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან სახალხო კომისართა საბჭოს 1919 წლის 28 იანვრის დეკრეტის საფუძველზე. ამ დეკრეტის თანახმად დასათესად ვარგისი მთელი გამოუყენებელი მიწა გადადიოდა სახელმწიფოს განკარგულებაში პურეულის დასათესად. სათესი ფართობის გადიდების ღონისძიებათა ხელმძღვანელობა და განხორციელება დაკისრებული ჰქონდა სათესი ფართობის კომიტეტს. — **21.**

7 **მუშათა დამხმარე კომიტეტი** მოეწყო 1919 წლის თებერვალში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან სრულ. რუს. ცაკ-ის მიერ დამტკიცებული «სოციალისტური მიწათმოწყობისა და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებათა დებულების» საფუძველზე. კომიტეტის ამოცანას შეადგენდა: გამოცდილი მუშა ორგანიზატორების გაგზავნა საბჭოთა მეურნეობების საგუბერნიო და რაიონულ სამმართველოებსა და ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში, ინდუსტრიული პროლეტარიატის ჩაბმა სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში, ყოველგვარ ტექნიკურ მოწყობილობათა ორგანიზაცია საბჭოთა მეურნეობებისა და მათი მიდამოს სოფლის მოსახლეობის საჭიროებისათვის, სოფლის მეურნეობის მუშების პროფესიულ გაერთიანებათა ორგანიზაციის ხელისშეწყობა და სხვ. — **22.**

8 **პეტროგრადის გუბერნიის სოფლის მეურნეობის მუშების I ყრილობა** მიმდინარეობდა პეტროგრადში 1919 წლის 11 — 13 მარტს. ყრილობას დაესწრო დაახლოებით 200 დელეგატი. ყრილობამ განიხილა მიმდინარე მომენტის, საორგანიზაციო ბიუროს მუშაობის, მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის საკითხები და მოისმინა მოხსენებანი ადგილებიდან. ყრილობაზე მიიღეს სოფლის მეურნეობის მუშების კავშირის წესდება და აირჩიეს გამგეობა. — **26.**

9 ლაპარაკია კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესზე, რომელიც მიმდინარეობდა მოსკოვში 1919 წლის 2 — 6 მარტს. — **43.**

10 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 28, გვ. **607 — 611. — 44.**

11 ღ ა რ ი ბ თ ა კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი (ღარიბკომები) დაარსდა სრ. რუს. ცაკ-ის 1918 წლის 11 ივნისის დეკრეტით («სოფლის ღარიბთა ორგანიზაციისა და მათი მომარაგების შესახებ პურით, პირველი საჭიროების საგნებითა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებით»). საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობის გადაწყვეტილებით (1918 წლის ნოემბერი) ღარიბთა კომიტეტები, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი ამოცანები, შეუერთდნენ საბჭოებს სოფლად. — **76.**

12 ეს ბოლოსიტყვაობა ბროშურისა «საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი და სიძნელენი» 1919 წელს არ გამოქვეყნებულა ზინოვიევის მიზეზით, მიუხედავად ლენინის თხოვნისა. ბოლოსიტყვაობა პირველად გამოქვეყნდა 1922 წელს. — **88.**

13 «რკპ(ბ) პროგრამის პროექტი» შეიცავს შემდეგ დოკუმენტებს: «რკპ პროგრამის პროექტის შავად მონასახი» და პროგრამის ამ პროექტის ცალკე თავები და მუხლები ლენინის მიერ შეტანილი ცვლილებებით. პროგრამის პროექტის შავად მონასახის თავი «პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ამოცანები რუსეთში» პირველად ქვეყნდება სრულად.

გარდა ამისა თხზულებებში პირველად ქვეყნდება: «რკპ (ბოლშევიკების) პროგრამის პროექტი», რომელიც წარმოადგენს «რკპ პროგრამის შავად მონასახის» პირველ თავებს, ლენინის მიერ შეტანილი ცვლილებითა და დამატებებით და «ჩანართი ნაციონალურ საკითხზე პროგრამის მუხლის საბოლოო პროექტში».

პარტიის პროგრამის შემმუშავებელმა კომისიამ, რომელიც აირჩია რკპ(ბ) VII ყრილობამ ლენინის, სტალინისა და სხვათა შემადგენლობით, პარტიის პროგრამის შედგენის მუშაობას საფუძვლად დაუდო რკპ(ბ) პროგრამის პროექტის ლენინის მიერ წამოყენებული მასალები და დოკუმენტები. — **99.**

14 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი **24,** გვ. 553 — 559 და ტომი 27, გვ. 166—173. — **101.**

15 აქ ხელნაწერი წყდება. ნაწყვეტი ცვლილებებით შევიდა VIII ყრილობაზე მიღებულ რკპ(ბ) პროგრამაში, მეხუთე მუხლი თავისა «საერთოპოლიტიკურ დარგში». (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციე-

ბისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 285 — 286.) — **135.**

16 ჩანართი მთლიანად შევიდა VIII ყრილობაზე მიღებულ რკპ(ბ) პროგრამაში, მეოთხე მუხლი თავისა «ნაციონალური ურთიერთობის დარგში». (იხ. საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 287.) — **137.**

17 პროგრამის ეკონომიური ნაწილის პროექტის ეს მუხლი პირვანდელ ვარიანტში ითვლებოდა მესამე მუხლად; შემდეგ ლენინმა გადაამუშავა ის და აღნიშნა მერვე მუხლად. მერვე მუხლადვე შევიდა ის პარტიის პროგრამის ეკონომიურ ნაწილში. — **145.**

18 **რ კ პ (ბ) VIII ყ რ ი ლ ო ბ ა** მიმდინარეობდა მოსკოვში 1919 წლის 18 — 23 მარტს. ყრილობას დაესწრო: 301 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 313 766 წევრს, და 102 დელეგატი სათათბირო ხმით. ყრილობის დღის წესრიგი იყო: ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, რკპ(ბ) პროგრამა, კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნა, სამხედრო მდგომარეობა და სამხედრო პოლიტიკა, მუშაობა სოფლად, ორგანიზაციული და სხვა საკითხები.

ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა. პროგრამის განხილვის დროს ყრილობამ გაილაშქრა ბუხარინის ანტიბოლშევიკური შეხედულებების წინააღმდეგ; ბუხარინი წინადადებას აძლევდა ყრილობას ამოეგდო პროგრამიდან მუხლები კაპიტალიზმის შესახებ, წვრილი სასაქონლო წარმოებისა და საშუალო გლეხის მეურნეობის შესახებ. ბუხარინის შეხედულებანი ნიშნავდა საბჭოთა მშენებლობაში საშუალო გლეხის როლის მენშევიკურ-ტროცკისტულ უარყოფას. ამასთანავე ბუხარინი ჩქმალავდა წვრილი, სასაქონლო მეურნეობიდან კულაკური ელემენტების წარმოშობისა და ზრდის ფაქტს. ყრილობამ გაანადგურა აგრეთვე ბუხარინისა და პიატაკოვის ანტიბოლშევიკური შეხედულებანი ნაციონალურ საკითხზე; ბუხარინი და პიატაკოვი გამოდიოდნენ იმის წინააღმდეგ, რომ პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო მუხლი ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, ილაშქრებდნენ ერთა თანასწორუფლებიანობის წინააღმდეგ.

VIII ყრილობამ საშუალო გლეხობის მიმართ ახალი ხაზი დაუსახა პარტიას. ეს ხაზი განისაზღვრა ლენინის მოხსენებაში სოფლად მუშაობის შესახებ და ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ამ საკითხზე. ყრილობამ საჭიროდ სცნო საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პოლიტიკიდან გადასვლა მასთან მტკიცე კავშირზე ამ კავშირში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შენარჩუნებით.

სამხედრო საკითხზე ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მიმართული იყო წითელი არმიის განმტკიცებისაკენ. ლენინი და სტალინი თავიანთ გამოსვლებში მოითხოვდნენ უსასტიკესი რკინისებური დისციპლინის სულისკვეთებით გამსჭვალული რეგულარული წითელი არმიის შექმნას. ყრილობაზე ისინი ამხელდნენ ტროცკის ანტიპარტიულ სამხედრო პოლიტიკას, ტროცკისა, რომელიც მტრულად უყურებდა არმიაში ძველ ბოლშევიკურ კადრებს და ქედს იხრიდა მეფის ძველი არმიის სამხედრო სპეციალისტების წინაშე, რომელთა ნაწილი ღალატობდა საბჭოთა ხელისუფლებას სამოქალაქო ომის დროს. ლენინმა და სტალინმა გადაჭრით გაილაშქრეს ყრილობაზე ეგრეთწოდებული «სამხედრო ოპოზიციის» წინააღმდეგ, რომელიც იბრძოდა რეგულარული წითელი არმიის შექმნის წინააღმდეგ და იცავდა პარტიზანობის ნაშთებს არმიაში. ყრილობამ უარყო «სამხედრო ოპოზიციის» მთელი რიგი წინადადებები და ამავე დროს შემმუსვრელი ლახვარი ჩასცა ტროცკის გამცემლურ ხაზს.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება პარტიული და საბჭოთა მშენებლობის შესახებ და შეებრძოლა საპრონოვ-ოსინსკის ოპორტუნისტულ ჯგუფს, რომელიც უარყოფდა პარტიის ხელმძღვანელ როლს საბჭოების მუშაობაში.

პარტიული მშენებლობის საკითხზე ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება პარტიის წევრთა საერთო ხელახალი აღრიცხვის ჩატარებისა და პარტიის სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესების შესახებ.

ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი ლენინის, სტალინის, კალინინის, ძერჟინსკისა და სხვათა შემადგენლობით. — **151.**

19 კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა პ რ ი ნ ც ი ს კ უ ნ ძ უ ლ ე ბ ზ ე (მარმარილოს ზღვა) ნავარაუდევი იყო ანტანტის ინიციატივით რუსეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა მთავრობის წარმომადგენელთაგან მშვიდობიანობის აღდგენის საკითხზე. საბჭოთა მთავრობა უშუალოდ არ მიუწვევიათ კონფერენციაზე, მან პრესის უცხოეთის რადიო-სატელეგრაფო მიმოხილვიდან გაიგო, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობენ საბჭოთა მთავრობის პასუხის მიუღებლობა ხალხთა მასებს განუმარტონ როგორც კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე უარისთქმა. საბჭოთა მთავრობამ თავისი მოქმედების ყოველგვარი ყალბი განმარტების თავიდან ასაცილებლად 1919 წლის 4 თებერვლის რადიოდეპეშით დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა სახელზე გამოსთქვა თანხმობა დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება და აღნიშნა, რომ მშვიდობის გულისთვის მზად არის სერიოზულ დათმობებზე წავიდეს. ანტანტის მთავრობებს საბჭოთა მთავრობის რადიოდეპეშაზე პასუხი არ გაუცია. კონფერენცია არ შედგა. — **158.**

20 «გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია» — ცენტრისტული პარტია, რომელიც შეიქმნა 1917 წლის აპრილში. 1920 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჰალეს ყრილობაზე მოხდა გათიშვა. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი 1920 წლის დეკემბერში გაერთიანდა გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან. მემარჯვენე ელემენტებმა შექმნეს ცალკე პარტია და დაარქვეს ძველი სახელწოდება — დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც იარსება 1922 წლამდე. — **162.**

21 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 550 — 551. — **165.**

22 ლაპარაკია როზა ლუქსემბურგის გამოსვლაზე გერმანიის კომუნისტური პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა ბერლინში 1918 წლის 30 დეკემბრიდან 1919 წლის 1 იანვრამდე. როზა ლუქსემბურგმა მხარი დაუჭირა ყრილობის ცალკეულ დელეგატთა მცდარ გამოსვლებს პროფკავშირთა ლიკვიდაციის საკითხზე. პროფკავშირთა ამოცანები, მისი აზრით, უნდა ეკისრათ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს და საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების საბჭოებს. — **169.**

23 იხ. ეს ტომი, გვ. 26 — 31. — **172.**

24 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც მე-4, ტომი 28, გვ. **235** — **268.** — **174.**

25 უცხოელთა ჯგუფების ფედერაცია შექმნილია 1918 წლის მაისში როგორც უცხოელი კომუნისტების ხელმძღვანელი ორგანო რუსეთში მყოფ ყოფილ სამხედრო ტყვეთა შორის სამუშაოდ. ფედერაცია გაუქმდა 1920 წლის დამდეგს. — **176.**

26 «ბედნოტა» — ყოველდღიური გაზეთი, კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის გამოცემა; გამოდიოდა მოსკოვში 1918 წლის 27 მარტიდან 1931 წლის 31 იანვრამდე. გაზეთი შეიქმნა რკპ(ბ) ც. კ.-ის დადგენილებით ნაცვლად გაზეთებისა «დერევენსკაია ბედნოტა», «დერევენსკაია პრავდა» და «სოლდატსკაია პრავდა». 1931 წლის 1 თებერვლიდან «ბედნოტა» შეუერთდა გაზეთს «სოციალისტიჩესკოე ზემლედელიე», რომელიც ამჟამადაც გამოდის. — **179.**

27 იხ. ფ. ენგელსი. «შესავალი ბორკჰეიმის ბროშურისა «სახსოვრად 1806 — 1807 წლების მეავე პატრიოტებს»» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, 1937, გვ. 303 — 304). — **182.**

28 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1930, გვ. 320. — **185.**

29 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 26, გვ. 190 — 196. — **188.**

30 იგულისხმება ვ. ი. ლენინის მიერ 1917 წლის 18 (31) დეკემბერს ფინეთის ბურჟუაზიული მთავრობის მეთაურის სვინხუვუდისთვის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების გადაცემა ფინეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. 1917 წლის 22 დეკემბერს (1918 წლის 4 იანვარს) ეს დადგენილება დაამტკიცა სრულ. რუს. ცაკ-ის სხდომამ ი. ბ. სტალინის მოხსენების მიხედვით. — **189.**

31 ლენინს მხედველობაში აქვს მოლაპარაკება, რომელსაც აწარმოებდა ი. ბ. სტალინი მოსკოვში 1919 წლის მარტში ბაშკირეთის დელეგაციასთან საბჭოთა ავტონომიური ბაშკირეთის შექმნის საკითხზე. 1919 წლის 20 მარტს ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა «ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების შეთანხმებას ბაშკირეთის მთავრობასთან საბჭოთა ავტონომიური ბაშკირეთის შესახებ». ეს შეთანხმება დამტკიცეს სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ლენინმა და სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა. შეთანხმება ითვალისწინებდა ბაშკირეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის მოწყობას საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე, აწესებდა რესპუბლიკის საზღვრებს და მის ადმინისტრაციულ დაყოფას. — **189.**

32 ვ ა რ შ ა ვ ი ს მ უ შ ა თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო შეიქმნა 1918 წლის 11 ნოემბერს. მუშათა დეპუტატების საბჭოები შეიქმნა აგრეთვე პოლონეთის ბევრ სხვა ქალაქსა და სამრეწველო რაიონში. ვარშავის მუშათა დეპუტატების საბჭომ დაიწყო საწარმოებში 8-საათიანი სამუშაო დღის ფაქტიური შემოღება, მეწარმეთა საბოტაჟთან ბრძოლა, გამოიტანა გადაწყვეტილება რევოლუციურ რუსეთთან კავშირურთიერთობის დამყარების შესახებ და სხვა. 1919 წლის ზაფხულში საბჭოები გააუქმა პოლონეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ. — **193.**

33 რ კ პ (ბ) V I I I ყ რ ი ლ ო ბ ი ს მ ი მ ა რ თ ვ ა პ ა რ ტ ი უ ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს ა დ მ ი გამოქვეყნდა 1919 წლის 20 მარტს (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 312 — 313). — **195.**

34 გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ე რ ფ უ რ ტ ი ს პ რ ო გ რ ა მ ა მიღებული იყო 1891 წლის ოქტომბერში ერფურტის ყრილობაზე ნაცვლად გოთას 1875 წლის პროგრამისა. ერფურტის პროგრამის შეც-

დომები გააკრიტიკა ენგელსმა ნაშრომში «1891 წლის სოციალ-დემოკრატიული პროგრამის პროექტის კრიტიკისათვის» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 101 — 116). — **214.**

35 რკპ(ბ) VIII ყრილობამ ვ. ი. ლენინს მიანდო ყრილობის სახელით მისალმება გაეგზავნა უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკისთვის იმ ცნობასთან დაკავშირებით, რომ 1919 წლის 21 მარტს უნგრეთში გამოცხადდა საბჭოთა რესპუბლიკა და დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა. უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკამ იარსება 1919 წლის აგვისტომდე. — **221.**

36 სექცია სოფლად მუშაობის საკითხში შეიქმნა 1919 წლის 18 მარტს რკპ(ბ) VIII ყრილობის პირველ სხდომაზე. სექციას ჰქონდა სამი სხდომა; ამ სხდომებზე მოისმინეს მოხსენებები საადგილმამულო პოლიტიკის შესახებ, სოფლად მუშაობის შესახებ და აირჩიეს კომისია რეზოლუციების შესამუშავებლად. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ და რეზოლუცია სოფლად პოლიტიკური პროპაგანდისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა. — **222.**

37 იხ. ფ. ენგელსი. «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 527 — 530). — **231.**

38 ლენინის მიერ მოყვანილი ადგილის გამო ბროშურიდან «ინსტრუქციები და დებულებანი ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში პარტიული მუშაობის დაყენების შესახებ» ნიჟნი-ნოვგოროდის (ამჟამად გორკის) პარტორგანიზაციის დელეგატებმა განცხადება შეიტანეს რკპ(ბ) VIII ყრილობის პრეზიდიუმში. განცხადებაში აღნიშნული იყო, ბროშურაში ბეჭდვითი შეცდომაა. — **234.**

39 კუნი, ბელა — უნგრელი კომუნისტი, შემდეგში მხილებული როგორც კომუნიზმის საქმის მოღალატე. — **257.**

40 ლაპარაკია რკპ(ბ) VIII ყრილობის გადაწყვეტილებაზე ორგანიზაციულ საკითხში. ყრილობამ დაადგინა მთელ რუსეთში ჩაეტარებინათ პარტიის ყველა წევრის საერთო ხელახალი აღრიცხვა. ხელახალი აღრიცხვა ტარდებოდა 1919 წლის მაისიდან ოქტომბრამდე. — **264.**

41 ლენინის სიტყვების ჩაწერა გრამოფონის ფირფიტებზე მოაწყო ბეჭდვითი სიტყვის ცენტრალურმა საგენტომ (სრულ. რუს. ცაკ-ის ბეჭდ-

ვითი სიტყვის მომმარაგებელი და გამავრცელებელი ცენტრალური სააგენტო). 1919 — 1921 წლებში ჩაწერილ იქნა ლენინის 13 სიტყვა. — **271.**

42 «ვ ს ე გ დ ა ვ პ ე რ ი ო დ» — გაზეთი, მენშევიკების პარტიის ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1918 წელს (გამოვიდა ერთი ნომერი) და 1919 წელს 22 იანვრიდან 25 თებერვლამდე.

«დ ე ლ ო ნ ა რ ო დ ა» — გაზეთი, ესერების პარტიის ორგანო; გამოდიოდა ხანგამოშვებით 1917 — 1919 წლებში. ორივე გაზეთი დახურეს კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის. — **313.**

43 პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ლ კ ა ვ შ ი რ თ ა ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ს ა ბ ჭ ო ს პ ლ ე ნ უ მ ი შესდგა მოსკოვში 1919 წლის 11 აპრილს. ლენინის მოხსენების შემდეგ პროფესიული კავშირების ამოცანების საკითხზე, აღმოსავლეთის ფრონტისთვის მობილიზაციასთან დაკავშირებით, პლენუმმა მიიღო ლენინის მიერ წამოყენებული და მეორე დღეს გაზეთ «პრავდაში» გამოქვეყნებული «რეზ(ბ) ც. კ.-ის თეზისები აღმოსავლეთის ფრონტის მდგომარეობასთან დაკავშირებით» (იხ. ეს ტომი, გვ. 317—321). — **328.**

44 ლენინს მხედველობაში აქვს მოსკოვის საბჭოს 1918 წლის 24 აგვისტოს და პეტროგრადის საბჭოს 5 სექტემბრის დადგენილებანი, რომელთა თანახმად მოსკოვისა და პეტროგრადის მუშა-მოსამსახურეებს მძიმე სასურსაო მდგომარეობასთან დაკავშირებით ნება ეძლეოდათ წაეღოთ ფუთნახევრამდე სასურსათო პროდუქტები პირადი მოხმარებისთვის. სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით ამ დადგენილებათა მოქმედების ვადა დაწესებულ იქნა 1918 წლის 1 ოქტომბრამდე. — **330.**

45 «Frankfurter Zeitung» («ფრანკფურტის გაზეთი») — გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა მაინის ფრანკფურტში 1856-დან 1943 წლამდე. — **340.**

46 ლენინს მხედველობაში აქვს თეთრგვარდიელთა მხეცური საქციელი 1918 წლის 1 და 2 ოქტომბერს სადგურ ივაშჩენკოვოში, სამარის ახლოს, სერგიევსკის ქარხნისა და ტომილოვის საარტილერიო საწყობის მუშებთან. მუშებმა წითელი არმიის ნაწილების მოახლოებისას გადაწყვიტეს არ დაეშვათ თეთრგვარდიელთა მიერ ქარხნების მოწყობილობის ევაკუაცია. ჩეხოსლოვაკთა კონტრრევოლუციური ნაწილების დახმარებით თეთრგვარდიელებმა გასტეხეს მუშების წინააღმდეგობა და ათასზე მეტი კაცი დახვრიტეს. — **343.**

47 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 107. — **358.**

48 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 87. — **360.**

49 იხ. ეს ტომი, გვ. 458 — 469. — **363.**

50 კომუნისტ-მოსწავლეთა სრულიად რუსეთის I ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1919 წლის 15 — 21 აპრილს. ყრილობას დაესწრო 200-მდე დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ კომუნისტ-მოსწავლეთა კავშირის 8 000 წევრს. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება კომუნისტ-მოსწავლეთა კავშირის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. რკპ(ბ) ც. კ.-ის მიერ 1919 წლის 11 მაისს დამტკიცებულ დებულების თანახმად მთელი მუშაობა როგორც მუშურ-გლეხურ, ისე მოსწავლე ახალგაზრდობაში დაეკისრა ახალგაზრდობის რუსეთის კომუნისტურ კავშირს. — **375.**

51 ლენინს მხედველობაში აქვს ა. ბოგდანოვისა და სხვების ანტიმარქსისტული შეხედულებანი, რომლებსაც ნერგავდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში (პროლეტკულტებში). «პროლეტარული კულტურის» სახით ბოგდანოვის მომხრეები ავრცელებდნენ რეაქციულ ბურჟუაზიულ შეხედულებებს ფილოსოფიაში (მახიზმს), უარყოფდნენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ როლს კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა კულტურის განვითარებას აშორებდნენ სოციალისტური მშენებლობის საერთო ამოცანებს, უარყოფდნენ წარსულის კულტურულ მიღწევათა გამოყენების საჭიროებას. ისინი ცდილობდნენ პროლეტკულტის ორგანიზაციები დაეყენებინათ საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიისგან დამოუკიდებელ მდგომარეობაში. ლენინმა გადაჭრით გაილაშქრა პროლეტკულტებში ანტიმარქსისტული, ბურჟუაზიული თეორიების დანერგვის ცდის წინააღმდეგ. რკპ(ბ) ც. კ.-მა და პროლეტკულტების სრულიად რუსეთის I ყრილობის კომუნისტურმა ფრაქციამ 1920 წლის ოქტომბერში მიიღეს გადაწყვეტილება პროლეტკულტის ორგანიზაციების განსახკომის ორგანოებისადმი დაქვემდებარების შესახებ, სადაც ისინი შედიოდნენ როგორც განყოფილებები. რკპ(ბ) ც. კ.-მა წერილში «პროლეტკულტების შესახებ» დაგმო ანტიმარქსისტული, ბურჟუაზიული მიმდინარეობანი პროლეტკულტებში. 1922 წლიდან დაიწყო პროლეტკულტის ორგანიზაციების დაშლა. — **387.**

52 ლაპარაკია დეკრეტზე «წერა-კითხვის მცოდნეთა მობილიზაციისა და საბჭოთა წყობილების პროპაგანდის მოწყობის შესახებ», რომელიც მიიღო სახალხო კომისართა საბჭომ 1918 წლის 10 დეკემბერს. — **388.**

53 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1950, გვ. 100 — 101. — **415.**

54 პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და თავდაცვის საბჭომ 1919 წლის 17 მაისს იუდენიჩის შემოტევასთან და პეტროგრადისთვის საფრთხის შექმნასთან დაკავშირებით ი. ბ. სტალინი გაგზავნეს პეტროგრადის ფრონტზე. 19 და 20 მაისს ი. ბ. სტალინმა ლენინს გაუგზავნა ორი ბარათი პირდაპირი მავთულით პეტროგრადთან არსებული მდგომარეობისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც აუცილებელი იყო ფრონტის განსამტკიცებლად. ეს დეპეშა წარმოადგენდა ვ. ი. ლენინის პასუხს მის მიერ ი. ბ. სტალინისგან მიღებულ ბარათებზე. იმავე დღეს, 20 მაისს, თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წარმომადგენლის ცნობა პეტროგრადის ფრონტის დასახმარებლად მაშველი ძალების დაძვრის შესახებ. გადაწყდა ამ ცნობების უმოკლეს ვადაში გაგზავნა ი. ბ. სტალინისთვის. — **449.**

55 სიტყვა საყოველთაო სამხედრო სწავლების დღესასწაულზე 1919 წ. 25 მაისს ლენინმა წარმოთქვა წითელ მოედანზე მუშათა პოლკების, კომუნისტური ბატალიონებისა და ქ. მოსკოვის სამხედრო სკოლების კურსანტების პარადზე. ეს დღესასწაული ჩატარდა საყოველთაო სამხედრო სწავლების პირველ წლისთავთან დაკავშირებით; საყოველთაო სამხედრო სწავლება შემოღებულ იქნა სრულ. რუს. ცაკ-ის 1918 წლის 22 აპრილის დეკრეტით და ვრცელდებოდა მუშებზე და იმ გლეხებზე, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწეოდნენ. ერთი წლის განმავლობაში ასიათასობით მშრომელმა შეისწავლა სამხედრო საქმე და შეავსო წითელი არმიის რიგები. — **450.**

56 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 27. — **454.**

57 «კომუნისტური ინტერნაციონალი»—ჟურნალი, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა 1919 წლის 1 მაისიდან 1943 წლის ივნისამდე. — **458.**

58 ლენინს მხედველობაში აქვს შეთქმულება პეტროგრადის ჩაბარების შესახებ, რომელსაც ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციური ჯაშუშურ-დიეერსიული ორგანიზაცია, სადაც შედიოდნენ კადეტები, მენშევიკები და ესერები. ამ ორგანიზაციას სათავეში ედგა ეგრეთწოდებული «ნაციონალური ცენტრი», რომელიც მოქმედებდა უცხოეთის დაზვერვათა კარნახით. ამ ორგანიზაციის გეგმის მიხედვით 1919 წლის 13 ივნისს დაიწყო აჯანყება კრასნაია გორკის ფორტის გარნიზონში.

ი. ბ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, რომელიც ამ დროს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით პეტროგრადის ფრონტზე იმყოფებოდა, აჯანყებულთა გასანადგურებლად გაიგზავნა სანაპირო ჯგუფის ჯარები და ბალტიის ფლოტის გემები, რომლებმაც შეტევა დაიწყეს ხმელეთიდანაც და ზღვიდანაც. 16 ივნისს საბჭოთა ჯარებმა აიღეს ფორტი. შეთქმულების ხელმძღვანელი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია აღმოჩენილ და მოსპობილ იქნა. — 488.

59 ბრძოლა სადოვასთან (სოფელია ჩეხიაში, ქალაქ კრალოვ გრადეცის (ცენიგრეცის) ახლოს) მოხდა 1866 წლის 3 ივლისს. ამ ბრძოლამ, რომელიც დამთავრდა პრუსიის სრული გამარჯვებით და ავსტრიის სასტიკი დამარცხებით, გადაწყვიტა ავსტრია-პრუსიის ომის ბედი. — 495.

60 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1930, გვ. 256. — 500.

61 სახალხო კომისართა საბჭომ 1919 წლის 16 მარტის დეკრეტით სამომხმარებლო კოოპერატივების რეორგანიზაცია მოახდინა და მათ «სამომხმარებლო კომუნები» დაარქვა. მაგრამ დეკრეტი კოოპერატივების ასეთი სახელწოდების შესახებ აქა-იქ გლეხურმა მოსახლეობამ არასწორად გაიგო. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გაითვალისწინა ეს გარემოება და თავის 1919 წლის 30 ივნისის დადგენილებით, მოიწონა რა დეკრეტი, გადაწყვიტა სახელწოდება «სამომხმარებლო კომუნა» შეეცვალა მოსახლეობისათვის ჩვეული სახელწოდებით «სამომხმარებლო საზოგადოება». — 505.

62 იხ. ეს ტომი, გვ. 317 — 321. —507.

63 ლაპარაკია საბრძოლო საჭურვლის, მოწყობილობისა და სურსათის იმ საწყობებზე, რომლებიც 1919 წლის 27 ივნისს წითელი არმიის ნაწილებმა ლადოგის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე ს. ვიდლიცისა და ვიდლიცის ქარხნის აღებისას ჩაიგდეს ხელში; ს. ვიდლიცი და ვიდლიცის ქარხანა მთავარი ბაზა იყო იმ თეთრფინელებისა, რომლებიც პეტროგრადის ფრონტის ოლონეცის უბანზე მოქმედებდნენ. — 500.

64 სხდომა შესდგა 1919 წლის 4 ივლისს დიდ თეატრში ერთ-ერთ იმ მძიმე მომენტში, რომელსაც საბჭოთა რესპუბლიკა განიცდიდა დენიკინის შემოტევასთან დაკავშირებით. ვ. ი. ლენინის მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა მიმართვა «ყველა მუშის, გლეხის, წითელარმიელისა და მატროსისადმი», რომელშიც მოუწოდებდნენ დაეძაბათ მთელი ძალ-ღონე მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად კოლჩაკის, დენიკინისა და კონტრრევოლუციის ყველა აგენტის საბოლოოდ განადგურებისათვის. — 584.

65 ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი შეიქმნა აგიტატორთა და ინსტრუქტორთა კურსებისაგან, რომლებიც სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ჩამოყალიბდა 1918 წელს და რომლებიც შემდეგ გარდაიქმნა საბჭოთა მუშაობის სკოლად. მას შემდეგ, რაც რკპ(ბ) VIII ყრილობამ გადასწყვიტა ცენტრალურ კომიტეტთან უმაღლესი სკოლის მოწყობა პარტიული კადრების მოსამზადებლად, სკოლა გადაკეთდა საბჭოთა და პარტიული მუშაობის ცენტრალურ სკოლად; 1919 წლის მეორე ნახევარში რკპ(ბ) ც. კ-ის ორგბიუროს გადაწყვეტილებით სკოლას დაერქვა ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი.

სახელმწიფოს შესახებ ლენინმა წაიკითხა ორი ლექცია. 1919 წლის 29 აგვისტოს წაკითხული მეორე ლექციის ჩანაწერი შენახული არ არის. — **552.**

66 რკპ(ბ) მოსკოვის საერთო-საქალაქო კონფერენცია შესდგა 1919 წლის 12 ივლისს. დაესწრო ქ. მოსკოვის პარტიული ორგანიზაციების 200 დელეგატი. მოხსენებით რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ კონფერენციაზე გამოვიდა ლენინი. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნული იყო პარტიული და საბჭოთა მუშაობის — სამხედრო, სასურსათო, სოციალური უზრუნველყოფის, სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გაძლიერების, აგრეთვე მუშებსა და ჯარისკაცებს შორის კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკური მუშაობის გაშლის აუცილებელი საჭიროება. დასახული იყო უპარტიო მუშების რაიონული კონფერენციებისა და წითელარმიელთა უპარტიო კონფერენციების რეგულარულად მოწვევა. — **578.**

67 იგულისხმება მოსკოვის საბჭოს 1918 წლის 24 აგვისტოს და პეტროგრადის საბჭოს 5 სექტემბრის დადგენილებები, რომელთა მიხედვით მუშა-მოსამსახურეებს ნება მიეცათ თან წაეღოთ ფუთნახევრამდე სასურსათო პროდუქტები (1919 წლის 1 ოქტომბრამდე), სახალხო კომისართა საბჭოს 1919 წლის 30 ივნისის დეკრეტი 1919 წლის 15 აგვისტომდე ცენტრალური გუბერნიების მუშათა და სასოფლო ორგანიზაციების მიერ სიმბირსკის გუბერნიაში პურის დამოუკიდებლად დამზადების შესახებ და სხვა. საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო ეს ღონისძიებები გაეტარებინა ჩვენი ქვეყნის მძიმე სასურსათო მდგომარეობასთან დაკავშირებით. — **578.**

68 **«L'Humanité»** — ყოველდღიური გაზეთი, დაარსებული ჟ. ჟორესის მიერ 1904 წელს როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის

ორგანო. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) გაზეთი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის ხელში იყო და მას სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეკავა. 1920 წლის დეკემბრის კონგრესზე სოციალისტური პარტიის გათიშვისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შექმნის შემდეგ მალე გაზეთი მისი ორგანო გახდა; ამჟამადაც გამოდის პარიზში როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — **584.**

69 იგულისხმება რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის გადაწყვეტილებანი; კონფერენცია მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 24—29 აპრილს (7—12 მაისს) (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I 1940, გვ. 224 — 239). — **589.**

70 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 107, 389 — 390, 458 — 459; თხზულებანი, ტ. XXVI, 1935, გვ. 288, 370; ტ. XXIV, 1931, გვ. 529 — 530; რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 499 — 506. — **593.**

71 იხ. ფ. ენგელსი. წერილი ფ. ა. ზორგესადმი 1893 წ. 18 იანვრის თარიღით (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 499 — 506). — **594.**

72 იხ. ფ. ენგელსი. წერილი ფ. ა. ზორგესადმი 1889 წ. 7 დეკემბრის თარიღით (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 458 — 459). — **595.**

73 იგულისხმება ინგლისელი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ბელადის ჰარი კველჩის გამოსვლა II ინტერნაციონალის შტუტჰარტის კონგრესზე 1907 წელს. თავის გამოსვლაში მან ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც ამ დროს მიმდინარეობდა, «ქურდების კრება» უწოდა (**«a thief's supper»**), რისთვისაც გერმანიის მთავრობამ ის გააძევა შტუტჰარტიდან (იხ. ვ. ი. ლენინი. ჰარი კველჩი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 435 — 438). — **604.**

74 ლენინს მხედველობაში აქვს II ინტერნაციონალის კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობდა ლუცერნში (შვეიცარია) 1919 წლის 2-დან 9 აგვისტომდე. კონფერენციის ცალკეულ დელეგატთა გამოსვლების დახასიათება ლენინმა მოგვცა სტატიაში «როგორ იყენებს ბურჟუაზია რენეგატებს», რომელიც მან დაწერა 1919 წლის სექტემბერში. — **607.**

75 ლაპარაკია მუშების 1919 წლის 21 ივლისისთვის განზრახულ საერთაშორისო პოლიტიკურ გაფიცვაზე რუსეთისა და უნგრეთის რევოლუ-

ციებისთვის მხარის დაჭერის ლოზუნგით და რუსეთისა და უნგრეთის საქმეებში იმპერიალისტურ მთავრობათა ჩაურევლობის მოთხოვნით. დანიშნულ დღეს ცალკეული გაფიცვები ჩატარდა ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიასა და ნორვეგიაში, მაგრამ გაფიცვა, როგორც ყველა ქვეყნის პროლეტარიატის საერთაშორისო გამოსვლა, არ შესდგა. — **609.**

76 ეს სტატია პასუხია ქვემოთ მოყვანილ იმ ხუთ კითხვაზე, რომლებიც «იუნაიტედ პრესის» სააგენტომ მისცა ლენინს:

«1) შეიტანა თუ არა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკამ რაიმე მცირე ან დიდი ცვლილებები მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პირვანდელ პროგრამასა და ეკონომიურ პროგრამაში, როდის და რანაირი?

2) როგორია რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ტაქტიკა ავღანეთის, ინდოეთისა და სხვა მუსლიმანური ქვეყნების მიმართ რუსეთის ფარგლებს გარეთ?

3) რა პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზნებს ისახავთ შეერთებული შტატებისა და იაპონიის მიმართ?

4) რა პირობებზე დათანხმდებოდით ზავის დადებას კოლჩაკთან, დენიკინთან და მანერჰეიმთან?

5) რას აცნობებდით კიდევ ამერიკის საზოგადოებრივ აზრს?».

1919 წლის ოქტომბერში მემარცხენე სოციალისტურ ჟურნალში **«The Liberator»** დაიბეჭდა სტატია **«A Statement and a Challenge»** («განცხადება და გამოწვევა»), რომელშიც გამოქვეყნდა ლენინის პასუხი მეხუთე კითხვაზე. სტატიის შენიშვნაში ჟურნალის რედაქცია იტყობინებოდა, რომ «იუნაიტედ პრესის» სააგენტომ ლენინის პასუხი დაუგზავნა გაზეთებს, მაგრამ გამორიცხა პასუხი გამოქვეყნებულ მეხუთე კითხვაზე როგორც «წმინდა ბოლშევიკური პროპაგანდა». — **611.**

77 მოლაპარაკებას ბულიტთან, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვილსონის დავალებით, საბჭოთა მთავრობა აწარმოებდა 1919 წლის მარტში ზავის დადების საკითხზე. საბჭოთა მთავრობამ მთელი რიგი დამატებანი და დაზუსტებანი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წინადადებებში, რის შემდეგ შემუშავებულ იქნა შეთანხმების საბოლოო პროექტი. საბჭოთა წინადადებები არ მიიღეს ამ მთავრობებმა, რადგან გაზაფხულზე კოლჩაკის არმიამ დაიწყო შემოტევა და მათ იმედი ჰქონდათ საბჭოთა რუსეთის დამარცხებისა კოლჩაკის ძალებით.—**618.**

78 წერილი ფ. ნანსენს (პოლარული ქვეყნების ნორვეგიელი მკვლევარი) იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ანტანტის ქვეყნების მთავრობებთან სამხედრო მოქმედების შეწყვეტის საკითხზე, საგარეო საქმეთა კომისარიატმა გაუგზავნა 1919 წლის 7 მაისს. საბჭოთა მთავრობის ეს წინადადებები ნანსენის მეშვეობით ანტანტის ქვეყნების მთავრობებს გადაეცა, მაგრამ პასუხი არ მოუციათ. — **618.**

79 ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიისა და იაპონიის მთავრობებმა კოლჩაკს გაუგზავნეს ნოტა, რომელშიც აცხადებდნენ, რომ მზად არიან სცნონ ის სრულიად რუსეთის მმართველად, აღმოუჩინონ დახმარება სამხედრო მოწყობილობით, სურსათითა და საომარი საჭურვლით. მაგრამ ვერც ცნობამ ანტანტის მთავრობების მხრივ, ვერც მათმა დახმარებამ ვერ იხსნა კოლჩაკი წითელი არმიის მიერ მისი ჯარების განადგურებისაგან. — **627.**

80 განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა სრულიად რუსეთის I ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1919 წლის 28 ივლისიდან 1 აგვისტომდე. მას დაესწრო 32 გუბერნიის 230 დელეგატი. ყრილობამ მოისმინა მოხსენებები პროგრამაზე განათლების სფეროში და კულტურული მშენებლობის მორიგ ამოცანებზე, პროფესიულ მოძრაობაზე, ახალგაზრდობის მოძრაობაზე რუსეთსა და დასავლეთში და სხვ. საკითხები. 31 ივლისს ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. ყრილობამ შექმნა განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირი და აირჩია კავშირის ცენტრალური კომიტეტი. — **632.**

81 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1930, გვ. 136. — **634.**

82 ლენინს მხედველობაში აქვს ბაქოს ამბები, როცა 1918 წლის 25 ივლისს ბაქოს საბჭოს სხდომაზე მენშევიკებმა, ესერებმა და დაშნაკებმა თურქთა ჯარების შემოტევისაგან ბაქოს დაცვის საბაბით ხმის უმნიშვნელო უმრავლესობით გაიყვანეს მოღალატური გადაწყვეტილება — დახმარებისათვის მიიმართათ ინგლისის იმპერიალისტებისთვის. მთელ ძირგამომთხრელ კონტრრევოლუციურ მუშაობას ბაქოში, ქალაქის მომარაგების ჩაშლის საქმეს, არმიასა და ფლოტში კონტრრევოლუციურ აგიტაციას ხელმძღვანელობდა ინგლისის კონსული მაკ-დონელი.

ი. ბ. სტალინმა, რომელიც იმ დროს ცარიცინში იმყოფებოდა, 1918 წლის 20 ივლისს ბაქოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ს. გ. შაუმიანის სახელზე გამოგზავნილი დეპეშით სრულიად რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს სახელით კატეგორიულად მოსთხოვა ბაქოს საბჭოს

უსიტყვოდ განენორციელებინა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა და გადაჭრით შებრძოლებოდა უცხოეთის კაპიტალის აგენტებს. ეს მოთხოვნა სახკომსაბჭოს სახელით დაადასტურა ვ. ი. ლენინმა და სრულიად რუსეთის ცაკ-ის სახელით ი. მ. სვერდლოვმა. ბაქოს საბჭოს 25 ივლისის სხდომაზე ბოლშევიკების ფრაქციამ შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც დაჟინებით მოითხოვდა საკუთარი ძალებით დაუყოვნებლივი ზომების მიღებას ბაქოს დასაცავად. უმცირესობაში დარჩენილმა ბაქოს საბჭოს ბოლშევიკმა წევრებმა მოიხსნეს რწმუნებულება, რის შემდეგ ძალაუფლება ფაქტიურად გადავიდა კონტრრევოლუციური მთავრობის ხელში, რომელმაც დაირქვა «ცენტროკასპიის დიქტატურა». რამდენიმე დღის შემდეგ ბაქოში შევიდნენ მათ მიერ მიწვეული ინგლისელები. ბაქოს საბჭოს წევრი ბოლშევიკები — 26 ბაქოელი კომისარი — მხეცურად მოკლეს ინგლისელმა ინტერვენტებმა მენშევიკებისა და ესერების უშუალო მონაწილეობით. (იხ. ი. ბ. სტალინი. «ინგლისის იმპერიალიზმის აგენტების მიერ 26 ბაქოელი ამხანაგის დახვრეტის გამო», თხზულებანი, ტომი 4, 1948, გვ. 276 — 280). — **652.**

83 ს ი ლ ვ ი ა პ ა ნ კ ჰ ე რ ს ტ მ ა — ინგლისელმა პოლიტიკურმა მოღვაწე ქალმა, რომელიც 1919 წელს კომუნისტური პარტიის წევრი იყო, წერილი მისწერა ლენინს და სთხოვა გამოეთქვა აზრი პარლამენტში მონაწილეობის საკითხზე. წერილში ის ახასიათებს ინგლისის პარტიებსა და ჯგუფებს და ასე ნომრავს მათ: 1) ტრედ-უნიონისტები და მოძველებული ტიპის მუშა პოლიტიკოსები; 2) დამოუკიდებელი მუშათა პარტია; 3) ბრიტანეთის სოციალისტური პარტია; 4) რევოლუციური ინდუსტრიალისტები; 5) სოციალისტური მუშათა პარტია; 6) «მუშათა სოციალისტური ფედერაცია»; 7) სამხრეთ-უელსის სოციალისტური საზოგადოება; ლენინიც თავის პასუხში ამ ნუმერაციას იცავს. — **666.**

84 ლაპარაკია გერმანიის კომუნისტური პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა ბერლინში 1918 წლის 30 დეკემბრიდან 1919 წლის 1 იანვრამდე. მიუხედავად კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის გამოსვლისა, რომლებიც ურჩევდნენ ყრილობას მონაწილეობა მივიღოთ ეროვნული კრების არჩევნებშიო, კრილობამ ხმის უმრავლესობით (62 მომხრე, 23 წინააღმდეგი) მიიღო მცდარი გადაწყვეტილება — მონაწილეობა არ მიეღოთ საარჩევნო კამპანიაში. — **668.**

85 ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ი ს პ ა რ ტ ი ა (**B. S. P. — «British Socialist Party»**) დაარსდა 1911 წელს მანჩესტერში. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია მარქსისტულ პროპაგანდასა და აგიტა-

ციას ეწეოდა და წარმოადგენდა «არა ოპორტუნისტულ, არამედ ლიბერალებისაგან ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ დამოუკიდებელ» პარტიას (ლ ე ნ ი ნ ი). პარტიის მცირერიცხოვნობა და მასებისაგან მოწყვეტა ერთგვარ სექტანტურ ხასიათს აძლევდა მას.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914 — 1918) პარტიაში გამოისახა ორი მიმდინარეობა: ერთი — აშკარად სოციალ-შოვინისტური ჰაინდმანის მეთაურობით და მეორე — ინტერნაციონალისტური ა. ინკპინისა და სხვათა მეთაურობით. 1916 წლის აპრილში პარტია გაითიშა. ჰაინდმანი და მისი მომხრეები უმცირესობაში აღმოჩნდნენ და გამოვიდნენ პარტიიდან. ამ დროიდან ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას სათავეში ჩაუდგნენ ინტერნაციონალისტური ელემენტები. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია ინიციატორი იყო დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის შექმნისა, რომელიც ჩამოყალიბდა 1920 წელს. — **668.**

ვ. ი. ლენინის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1919* წლის მარტი — აგვისტო)

1919

თებერვალი — მარტი. ლენინი მუშაობს რკპ(ბ) პროგრამის პროექტის შედგენაზე.

მარტი, 12 — 13. ლენინი იმყოფება პეტროგრადში.

მარტი, 12. ლენინი პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე გამოდის მოხსენებით სახკომსაბჭოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ.

მარტი, 13. ლენინი ესწრება მ. ტ. ელიზაროვის დაკრძალვას ვოლკოვის სასაფლაოზე პეტროგრადში.

ლენინი ათვალიერებს შრომის სასახლეს პეტროგრადში; პეტროგრადის გუბერნიის სოფლის მეურნეობის მუშების I ყრილობის სხდომაზე გამოდის სიტყვით სოფლის მეურნეობის მუშების პროფესიული კავშირის შექმნის შესახებ.

ლენინი ორჯერ გამოდის მიტინგებზე პეტროგრადის სახალხო სახლში.

მარტი, 14. ლენინი ბრუნდება პეტროგრადიდან მოსკოვში.

მარტი, 16. ლენინი ნახულობს კრემლში ავადმყოფ ი. მ. სვერდლოვს.

მარტი, 17. ლენინი მონაწილეობას იღებს მთავრობის ცნობის შედგენაში და ი. ბ. სტალინთან ერთად ხელს აწერს ამ ცნობას ბრძოლის ღონისძიებების შესახებ მემარცხენე ესერების ახალი კონტრრევოლუციური გამოსვლის გამო პეტროგრადში.

მარტი, 18. ლენინი გამოდის სრ. რუს. ცაკ-ის საგანგებო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ი. მ. სვერდლოვის ხსოვნას.

	სხდომის გათავების შემდეგ ლენინი სამგლოვიარო პროცესიასთან ერთად მიდის წითელ მოედანზე, სადაც ი. მ. სვერდლოვის საფლავზე წარმოთქვა მოკლე სიტყვა.
მარტი, 18 — 23.	ლენინი ხელმძღვანელობს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) VIII ყრილობის მუშაობას.
მარტი, 18.	ლენინი ყრილობას ხსნის შესავალი სიტყვით, მას ირჩევენ ყრილობის პრეზიდიუმში; გამოდის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ანგარიშით.
მარტი, 19.	ლენინი ყრილობის მეორე სხდომაზე გამოდის მოხსენებით, ხოლო მესამე სხდომაზე საბოლოო სიტყვით პარტიის პროგრამის შესახებ.
მარტი, 20 — 21.	ლენინი თავმჯდომარეობს ყრილობის საპროგრამო კომისიის სხდომებზე.
მარტი, 21.	ლენინი ყრილობის მეხუთე (დახურულ) სხდომაზე გამოდის სამხედრო საკითხზე.
მარტი, 22.	ლენინი ყრილობის დავალებით მისასალმებელ რადიოგრამას უგზავნის უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკას.
მარტი, 23.	ლენინი ყრილობის მერვე სხდომაზე გამოდის მოხსენებით სოფლად მუშაობის შესახებ; ყრილობა იღებს მის მიერ დაწერილ რეზოლუციას საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ.
	ლენინს ირჩევენ ცენტრალური კომიტეტის წევრად; ის წარმოთქვამს სიტყვას ყრილობის დახურვისას.
მარტი, 20.	ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ბაშკირეთის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ,— საკითხი განსახილველად შეაქვს ი. ბ. სტალინს; სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მობილიზაციის შესახებ და სხვ.
მარტი, 25.	ლენინს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმზე ირჩევენ რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრად.

მარტი, 27. ლენინი წერს სტატიას «პასუხი სპეციალისტის ღია წერილზე».

მარტი, 30. ლენინი სრ. რუს. ცაკ-ის სხდომაზე გამოდის სიტყვით სრ. რუს. ცაკ-ის თავმჯდომარის პოსტზე მ. ი. კალინინის კანდიდატურის წამოყენების შესახებ.

მარტის დამლევი. ლენინი წარმოთქვამს 8 სიტყვას გრამოფონის ფირფიტებზე ჩასაწერად.

აპრილი, 1. ლენინი ტელეფონოგრამას უგზავნის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას სასწრაფო ზომების მისაღებად რკინიგზების აფეთქებისა და გაფუჭების ყოველგვარი ცდის ჩასახშობად.

აპრილი, 8. ლენინი მოსკოვის საბჭოს საგანგებო სხდომაზე გამოდის მოხსენებით საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ; წერს რეზოლუციის პროექტს.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: საბჭოთა მუშურ-გლეხური მილიციის შესახებ; აღმოსავლეთის რკინიგზებიდან სასურსათო ტვირთთა გადმოზიდვის გადიდების შესახებ; სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის დეკრეტის პროექტის შესახებ, — საკითხი შეიტანა ი. ბ. სტალინმა.

აპრილი, 8. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ერთდროული საგანგებო რევოლუციური გადასახადის გადახდევინებაში საშუალო გლეხებისთვის შეღავათების მიცემის შესახებ; მომხმარებელ გუბერნიებში პირუტყვის საკვებისა და სასურსათო ნორმების შესახებ და სხვ.

აპრილი, 9. ლენინი, სტალინი და კალინინი ხელს აწერენ სრ. რუს. ცაკ-ის მიერ დამტკიცებულ დეკრეტს სახელმწიფო კონტროლის შესახებ.

აპრილი, 10. ლენინი სწერს «წერილს პეტროგრადის მუშებს აღმოსავლეთის ფრონტის დახმარების შესახებ».

აპრილი, 11. ლენინი წერს «რკპ(ბ) ც. კ-ის თეზისებს აღმოსავლეთის ფრონტის მდგომარეობასთან დაკავშირებით».

ლენინი პროფესიულ კავშირთა სრ. რუს. ცენტრალური საბჭოს პლენუმზე გამოდის მოხსენებით პროფესიულ კავშირთა ამოცანების შესახებ აღმოსავლეთის ფრონტისთვის მობილიზაციასთან დაკავშირებით.

აპრილი, 13. ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის მუშაობაში.

ლენინი წერს წინასიტყვაობას ანრი ბარბიუსის ბროშურისათვის: «სოციალიზმი და სინდიკალიზმი საფრანგეთში ომის დროს».

აპრილი, 15. ლენინი წერს სტატიას «მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში».

ლენინი გამოდის სიტყვით მძიმე არტილერიის საბჭოთა მეთაურების მოსკოვის პირველი კურსების საზეიმო სხდომაზე რკპ(ბ) როგოჟის რაიკომის მიერ კურსანტებისთვის დროშის გადაცემის დროს.

აპრილი, 16. ლენინი გამოდის სიტყვით მოსკოვის კვანძის რკინიგზელთა კონფერენციაზე მთელი ძალების მობილიზაციის შესახებ კოლჩაკთან საბრძოლველად.

აპრილი, 17. ლენინი გამოდის სიტყვით მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა და პროფესიულ კავშირთა კონფერენციაზე კოლჩაკის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ლენინი წერს ბოლოსიტყვაობას ბროშურისათვის «საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი და სიძნელენი».

ლენინი გამოდის მისასალმებელი სიტყვით კომუნისტმოსწავლეთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე.

აპრილი, 20. ლენინი სამხრეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოსადმი გაგზავნილ დეპეშაში წინადადებას აძლევს მას დააჩქაროს ოპერაციები დენიკინის წინააღმდეგ დონბასში.

აპრილი, 21. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით ინიშნებიან კომისიის წევრებად წითელი არმიის მომმარაგებელ საგანგებო კომისიაში სამხედრო ქონების აღრიცხვის დაყენების გამოსაკვლევად.

აპრილი, 25. ლენინი დირექტივას აძლევს უკრაინის ფრონტის სარდალს აიღოს ტაგანროგი.

აპრილი, 27. ლენინი წერს მისალმებას ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკისადმი.

აპრილი, 28. ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: საგანგებო მობილიზაციის შესახებ კოლჩაკის ლაშქრობასთან დაკავშირებით; სათბობის მომჭირნეობის საქმეში სასწრაფო ზომების მიღების შესახებ და სხვ.

აპრილი. ლენინი წერილში პეტროგრადის ორგანიზაციებისადმი დირექტივას აძლევს მათ პიტერელი მუშების გაგზავნის შესახებ დონსა და უკრაინაში და სამრეწველო საწარმოთა მუშაობის ორგანიზაციის შესახებ ომის საჭიროებათათვის.

აპრილის დამლევი. ლენინი უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში წინადადებას აძლევს მას დააწესოს უმკაცრესი კონტროლი უკრაინის სახელმწიფო დაწესებულებებში ესერების მოქმედების მიმართ.

მაისი, 1. ლენინი წარმოთქვამს სამ სიტყვას წითელ მოედანზე: ორ სიტყვას პირველი მაისობის შესახებ და ერთ სიტყვას «სასჯელის ადგილიდან» სტეფანე რაზინის ძეგლის გახსნისას.

მაისი, 3. ლენინი გამოდის მოხსენებით სრ. რუს. ცაკ-ის საგიტაციო კურსებისა და პროლეტარული უნივერსიტეტის მსმენელთა კრებაზე პარტიის პოლიტიკის შესახებ საშუალო გლეხობის მიმართ.

მაისი, 4. ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის მუშაობაში.

მაისი, 5. ლენინი უკრაინის საბჭოთა მთავრობისადმი გაგზავნილ დეპეშაში მოითხოვს დონბასისათვის სამხედრო დახმარების დაჩქარებას.

ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: საბჭოთა დაწესებულებების რევიზიის შედეგებისა და შტატების შესამცირებლად მიღებული ზომების შესახებ (ი. ბ. სტალინის მოხსენება); სამხედრო ტვირთთა ტრანსპორტის მოწესრიგების შესახებ და სხვ.

მაისი, 6. ლენინი გამოდის მისასალმებელი სიტყვით სკოლისგარეშე განათლების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე.

მაისი, 8. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი პარტიის ც. კ-ის სახელით დეპეშას უგზავნიან უკრაინის სახკომსაბჭოს სამხრეთის ფრონტისათვის სამხედრო დახმარების გაძლიერების შესახებ.

მაისი, 9. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი პარტიის ც. კ-ის სახელით დირექტივას უგზავნიან თავდაცვის საბჭოს რწმუნებულს კიევში სასწრაფოდ მოახდინოს მუშების მობილიზაცია და გაგზავნოს ისინი სამხრეთის ფრონტზე.

მაისი, 11. ლენინი წერს გერმანელი მუშებისა და იმ გლეხებისადმი მიმართვის პროექტის შესწორებებსა და დამატებებს, რომლებიც არ ეწევიან სხვისი შრომის ექსპლოატაციას.

მაისი, 12. ლენინი V არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოსთვის გაგზავნილ დეპეშაში მოითხოვს შეტევის დაჩქარებას და კოლჩაკზე გამარჯვების განმტკიცებას.

მაისი, 15. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: რაიონული სასურსათო ორგანოების შესახებ; შატურისა და კაშირის ელსადგურების მშენებლობისთვის სახსრების გადადების შესახებ და სხვ.

მაისი, 17. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ; ბავშვთა უფასო კვების შესახებ და სხვ.

ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ პეტროგრადის მდგომარეობის საკითხს თეთრგვარდიელთა შემოტევასთან დაკავშირებით; ხელს აწერს ი. ბ. სტალინის მანდატს, ი. ბ. სტალინს თავდაცვის საბჭო გზავნის პეტროგრადში და სხვა რაიონებში დასავლეთის ფრონტის განმტკიცებისათვის სასწრაფო ზომების მისაღებად.

მაისი, 19. ლენინი სკოლისგარეშე განათლების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე გამოდის სიტყვით «თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით ხალხის მოტყუების შესახებ».

მაისი, 20. ვ. ი. ლენინი თავის პასუხში ი. ბ. სტალინის ორ ბარათზე აცნობებს მას, რომ მიღებულია ზომები პეტროგრადის დასახმარებლად.

მაისი, 25. ლენინი წითელ მოედანზე იღებს საყოველთაო სამხედრო სწავლების მუშათა პოლკების პარადს და მიმართავს მათ სიტყვით მშრომელთა საყოველთაო სამხედრო სწავლების მნიშვნელობის შესახებ; წარმოთქვამს სიტყვას საყოველთაო სამხედრო სწავლების პარადის დამსწრე ახალგაზრდა კომუნისტების წინაშე.

მაისი, 27. ლენინი წერს სტატიას «სალამი უნგრეთის მუშებს».

მაისი, 28. ლენინი წერს სტატიას «ბერნის ინტერნაციონალის გმირები».

ლენინი უკრაინის სახკომსაბჭოსაგან მოითხოვს სასწრაფო ზომების მიღებას სამხრეთის ფრონტის დასახმარებლად.

ლენინი უკრაინის სამხედრო კომისრის მოადგილისთვის გაგზავნილ დეპეშაში მოითხოვს მუშების გაგზავნას ხარკოვიდან ლუგანსკის დასაცავად.

მაისი, 29. ლენინი აღმოსავლეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოსთვის სიმბირსკში გაგზავნილ დეპეშაში მოითხოვს მთელი ძალ-ღონის დაძაბვას ზამთრისათვის ურალის გასათავისუფლებლად.

ვ. ი. ლენინი დეპეშით აცნობებს ი. ბ. სტალინს პეტროგრადში, რომ საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება პეტროგრადზე თეთრგვარდიელების შემოტევასთან დაკავშირებით ზურგსა და ფრონტზე შესაძლებელ შეთქმულებათა აღმოსაჩენად.

მაისი, 31. ვ. ი. ლენინისა და ფ. ე. ძერჟინსკის ხელმოწერით «პრავდაში» ქვეყნდება მოწოდება მოსახლეობისადმი: «უფრთხილდით ჯაშუშებს!».

მაისი. ვ. ი. ლენინს ი. ბ. სტალინთან ერთად შეაქვთ ც. კ-ში პროექტი დირექტივისა რუსეთის, უკრაინის, ლატვიის, ესტონეთის, ლიტვისა და ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო ერთიანობისა და კავშირის შესახებ.

ივნისი, 1. ლენინი მონაწილეობას იღებს ც. კ.-ის პოლიტბიუროს სხდომაში, რომელზედაც იხილავენ უკრაინის არმიის შექმნის საკითხს.

ივნისი, 2. ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტიკური და ორგანიზაციული ბიუროების გაერთიანებული სხდომის მუშაობაში.

ივნისი, 4. ვ. ი. ლენინი დეპეშას უგზავნის ი. ბ. სტალინს პეტროგრადში და სთხოვს გაემგზავროს დასავლეთის ფრონტზე.

ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინისთვის გაგზავნილ დეპეშაში სთხოვს მას მთელი ძალ-ღონის დაძაბვას პიტერის ფრონტზე სასწრაფო და გადამწყვეტი დარტყმისათვის.

ივნისი, 6. ლენინი აღმოსავლეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოსთვის სიმბირსკში გაგზავნილ დეპეშაში წინადადებას აძლევს მას მიიღოს მთელი რიგი სასწრაფო ზომები ვიატკისკენ კოლჩაკის შესაძლებელ გაჭრასთან დაკავშირებით.

ივნისი, 9. ლენინი განკარგულებას აძლევს რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს მოაგვაროს პეტროგრადის დახმარება აღმოსავლეთის ფრონტიდან ი. ბ. სტალინის დეპეშასთან დაკავშირებით.

არა უგვიანეს 10 ივნისისა.	ლენინი წერს რკპ(ბ) ც. კ.-ის დადგენილების პროექტს პეტროგრადის ფრონტის შესახებ.
ივნისი 10.	ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ.-ის პოლიტიკური და ორგანიზაციული ბიუროების გაერთიანებული სხდომის მუშაობაში.
ივნისი, 11.	ლენინი განკარგულებას აძლევს რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს დანიშნოს გამოძიება ი. ბ. სტალინის მოთხოვნის თანახმად პეტროგრადის ფრონტზე მაშველი ძალების გაგზავნის შეფერხების საქმეზე.
ივნისი, 14.	ლენინი სამხრეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს და X არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოსთვის გაგზავნილ დეპეშებში წინადადებას აძლევს მათ დაძაბონ მთელი ძალ-ღონე ცარიცინის შესანარჩუნებლად.
	ლენინი გამოდის სიტყვით მოსკოვის სატყვიამფრქვევო კურსების კურსანტების კავშირთა სახლში გამართულ მიტინგზე.
ივნისი, 15.	ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტიკური და ორგანიზაციული ბიუროების გაერთიანებული სხდომის მუშაობაში.
18 ივნისზე ადრე.	ვ. ი. ლენინი პეტროგრადში გაგზავნილ დეპეშაში სთხოვს ი. ბ. სტალინს რაც შეიძლება ხშირად მიაწოდოს ცნობები ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ და გამოუგზავნოს ფრონტის რუკა.
ივნისი, 18.	ლენინი X არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოსთვის გაგზავნილ დეპეშაში სალამს უძღვნის წითელი ცარიცინის დამცველებს.
ივნისი, 19.	ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სასურსათო არმიის გადიდების ღონისძიებათა შესახებ; კრასნაია გორკას ამბების გამოძიების შესახებ. ი. ბ. სტალინს დაეკისრა მოამზადოს მოხსენება გამოძიების შედეგების შესახებ.

ივნისი, 23. ლენინი წერს წინასიტყვაობას «თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით ხალხის მოტყუების შესახებ» წარმოთქმული სიტყვის გამოცემისათვის.

ივნისი, 25. ლენინი თავდაცვის საბჭოს სახელით მადლობას უცხადებს V, II და თურქესტანის არმიების წითელარმიელებსა და მეთაურთა შემადგენლობას კოლჩაკელებთან ბრძოლაში განსაკუთრებული მამაცობისა და ენერგიის გამოჩენისათვის.

ივნისი, 28. ლენინი ამთავრებს ბროშურას «დიადი თაოსნობა (მუშების გმირობის შესახებ ზურგში». «კომუნისტურ შაბათობათა გამო»)».

ივნისი, 30. ლენინი ხელს აწერს სახკომსაბჭოს დადგენილებას იმის შესახებ, რომ ცენტრალური გუბერნიების მუშებსა და სასოფლო ორგანიზაციებს სიმბირსკის გუბერნიაში პურის დამოუკიდებლად დამზადების ნებართვა მიეცეთ.

ვ. ი. ლენინი აცნობებს ი. ბ. სტალინს დენიკინის ჯარების მიერ ეკატერინოსლავის აღებას, აგრეთვე სამხრეთში ვაზნების დიდ ნაკლებობას, და სთხოვს ვაზნებისა და სამხედრო საჭურვლის დაზოგვას.

ივლისი, 1. ლენინი აღმოსავლეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს უგზავნის დეპეშას, რომლითაც ულოცავს ურალის გამათავისუფლებლებს — გმირ წითელ ჯარებს, რომლებმაც აიღეს პერმი და კუნგური.

ივლისი, 3 — 4. ლენინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის მუშაობაში. პლენუმმა მიიღო ლენინის მიერ დაწერილი წერილი პარტიის ორგანიზაციებისადმი: «ყველაფერი დენიკინთან საბრძოლველად!»

ივლისი, 4. ლენინი სრ. რუს. ცაკ-ის, მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს, პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის საბჭოს და მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა წარმომადგენლების შეერთებულ სხდომაზე გამოდის მოხსენებით თანამედროვე მდგომარეობისა და საბჭოთა ხელისუფლების უახლოესი ამოცანების შესახებ.

ივლისი, 11.	ლენინი სვერდლოვის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციას სახელმწიფოს შესახებ.
ივლისი, 12.	ლენინი რკპ(ბ) მოსკოვის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე გამოდის მოხსენებით რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ.
ივლისი, 14.	ლენინი წერს სტატიას «III ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ (რამსეი მაკდონალდი III ინტერნაციონალის შესახებ)».
ივლისი, 15.	ლენინი ხოდინის ბანაკების წითელარმიელთა კონფერენციაზე გამოდის სიტყვით რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ.
ივლისი, 20.	ლენინი წერს «პასუხს ამერიკელი ჟურნალისტის კითხვებზე».
ივლისი, 30.	ლენინი ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა, პროფკავშირთა და მოსკოვის ცენტრალური მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა მოსკოვის კონფერენციაზე გამოდის სიტყვით სასურსათო და სამხედრო მდგომარეობის შესახებ.
ივლისი, 31.	ლენინი გამოდის სიტყვით განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე.
ივლისი.	ლენინი წერს სტატიას «სალაქიოში». სტატია დაუმთავრებელი დარჩა.
აგვისტო, 6.	ლენინი გამოდის სიტყვით მუშათა და წითელარმიელთა უპარტიო კონფერენციაზე.
აგვისტო, 7 — 9.	ლენინი რკპ(ბ) ც. კ.-ის პოლიტბიუროს სახელით დირექტივას აძლევს რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციურ საბჭოსა და უკრაინის სახკომსაბჭოს დაიცვან ოდესა და კიევი.

აგვისტო, 19. ლენინი სწერს წერილს იტალიელ სოციალისტებს სერატისა და ლაძარის.

აგვისტო, 24. ლენინი წერს «წერილს მუშებისა და გლეხებისადმი კოლჩაკზე გამარჯვების გამო».

აგვისტო, 28. ლენინი სწერს წერილს ინგლისელ კომუნისტ ქალს სილვია პანკჰერსტს.

აგვისტო, 29. ლენინი სვერდლოვის უნივერსიტეტში კითხულობს მეორე ლექციას სახელმწიფოს შესახებ.

აგვისტო. ლენინი წერს სტატიას «პურის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ».

შინაარსი

წინასიტყვაობა . IX

1919 წ. მარტი—აგვისტო

პეტროგრადის საბჭოს სხდომა 1919 წ. 12 მარტს . . 1 — 25

1. მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . 1

2. პასუხი გარათებზე . 10

პეტროგრადის გუბერნიის სოფლის მეურნეობის მუშების I ყრილობის სხდომა 1919 წ. 13 მარტს . . 26 — 35

1. სიტყვა სოფლის მეურნეობის მუშების პროფესიული კავშირის ორგანიზაციის შესახებ . 26

2. პასუხი გარათებზე . 32

სიტყვა პეტროგრადის სახალხო სახლში გამართულ მიტინგზე 1919 წ. 13 მარტს. საგაზეთო ანგარიში . 37 — 45

საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი და სიძნელენი . . . . . 47 — 89

ბოლოსიტყვაობა . . 88

ი. მ. სვერდლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკ-ის საგანგებო სხდომაზე 1919 წ. 18 მარტს . . . . . 90 — 97

სიტყვა ი. მ. სვერდლოვის დაკრძალვაზე 1919 წ. 18 მარტს. საქრონიკო ჩანაწერი 98

რკპ(ბ) პროგრამის პროექტი . . 99 — 150

1. რკპ პროგრამის შავად მონახაზი . . . 101

პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ამოცანები რუსეთში 109

2. რკპ (ბოლშევიკების) პროგრამის პროექტი . 127

3. ჩანართი პროგრამის პოლიტიკურ ნაწილში . . 134

4. ნაწყვეტი პროგრამის პოლიტიკური ნაწილიდან . . 135

5. პროგრამის მუხლი ნაციონალური ურთიერთობის დარგში 136

6. ჩანართი ნაციონალურ საკითხზე პროგრამის მუხლის საბოლოო პროექტში 137

7. შესავალი პროგრამის მუხლისა სამხედრო დარგში . 138

8. პირველი აბზაცი პროგრამის მუხლისა სასამართლოს შესახებ 140

9. პროგრამის მუხლი სახალხო განათლების დარგში . 141

10. პროგრამის მუხლი რელიგიური ურთიერთობის დარგში 143

11. პროგრამის ეკონომიური ნაწილის მუხლები . . 144

12. პროგრამის აგრარული მუხლი 149

რკპ(ბ) VIII ყრილობა 1919 წ. 18 — 23 მარტი . . 151 — 256

1. სიტყვა ყრილობის გახსნისას 18 მარტს . 153

2. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში 18 მარტს . 157

3. მოხსენება პარტიული პროგრამის შესახებ 19 მარტს 181

4. საბოლოო სიტყვა პარტიული პროგრამის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო 19 მარტს 208

5. მისასალმებელი რადიოდეპეშა ყრილობის სახელით უნაშრომის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას 22 მარტს 221

6. მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ 23 მარტს 222

7. სოფლად მუშაობის შესახებ მოხსენების გარშემო კამათის შეწყვეტის წინადადების წინააღმდეგ გამოსვლა 23 მარტს . . . 245

8. რეზოლუცია საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ 246

9. სიტყვა ყრილობის დახურვისას 23 მარტს . 251

მისალმება რადიოთი უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას 1919 წ. 22 მარტს 257

ჩანაწერი რადიოდეპეშისა ბელა კუნისადმი 1919 წ. 23 მარტს 258

პასუხი სპეციალისტის ღია წერილზე . 259

მ. ი. კალინინის კანდიდატურის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკ-ის თავმჯდომარის პოსტზე. სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკ-ის XII სხდომაზე 1919 წ. 30 მარტს . . . . . 265 — 269

გრამოფონის ფირფიტებზე ჩაწერილი სიტყვები . 271 — 288

1. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვის ხსოვნას 273

2. III, კომუნისტური ინტერნაციონალი . . 274

3. ცნობა ბელა კუნთან რადიოთი მოლაპარაკების შესახებ 276

4. მიმართვა წითელი არმიისადმი . 278

5. საშუალო გლეხების შესახებ . 281

6. რა არის საბჭოთა ხელისუფლება? . . . 283

7. როგორ ვიხსნათ მშრომელნი სამუდამოდ მემამულეებისა და კაპიტალისტების ჩაგვრისაგან 285

8. ეგრაელების დარგევითი ხასიათის დევნის შესახებ 287

ტელეფონოგრამა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას 1919 წ. 1 აპრილს 289

მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის საგანგებო სხდომა 1919 წ. 3 აპრილს . . . . . 290 — 314

1. მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ . . 290

2. რეზოლუცია საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო . . 312

წერილი პეტროგრადის მუშებს აღმოსავლეთის ფრონტის დახმარების შესახებ. ამხანაგ პეტროგრადელ მუშებს . . . . . 315 — 316

რკპ(ბ) ც. კ-ის თეზისები აღმოსავლეთის ფრონტის მდგომარეობასთან დაკავშირებით . . . . 317 — 321

პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს პლენუმი 1919 წ. 1 აპრილი . 323 — 348

1. მოხსენება პროფესიულ კავშირთა ამოცანების შესახებ აღმოსავლეთის ფრონტისთვის მობილიზაციასთან დაკავშირებით . . 325

2. პასუხი შეკითხვაზე ტულის გაფიცვის შესახებ 342

3. საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო . . 344

წინასიტყვაობა ანრი ჰილბის ბროშურისა: «სოციალიზმი და სინდიკალიზმი საფრანგეთში ომის დროს». . . . . 349 — 350

სიტყვა მოსკოვის პირველ საბჭოთა მეთაურების კურსებზე 1919 წ. 15 აპრილს. მოძღვე საგანგებო ანგარიში . . . . . 351 — 352

მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში . . . . . 354 — 368

სიტყვა მოსკოვის კვანძის რკინიგზელთა კონფერენციაზე 1919 წ. 16 აპრილს . . . . . 364 — 370

სიტყვა კოლჩაკთან ბრძოლის შესახებ მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების კონფერენციაზე 1919 წ. 17 აპრილს. საგაზეთო ანგარიში. . . . . 371 — 374

სიტყვა კომუნისტ-მოსწავლეთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1919 წ. 17 აპრილს. . . . 375

მისალმება ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკას . . 376 — 377

დეპეშა უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს . 378

სამი სიტყვა წითელ მოედანზე 1919 წ. 1 მაისს. საქრონიკო ჩანაწერები . 379 — 382

1. 379
2. 381
3. სიტყვა სასჯელის ადგილიდან სტეფანე რაზინის ძეგლის გახსნაზე 382

სკოლისგარეშე განათლების სრულიად რუსეთის I ყრილობა 1919 წ. 6 — 19 მაისს . 383 — 438

1. მისასალმებელი სიტყვა 6 მაისი 385

2. სიტყვა ხალხის მოტყუების შესახებ თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით 19 მაისს 390

I . . . 391
II 398
III 405
IV 413
V 430

«თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით ხალხის მოტყუების შესახებ» წარმოთქმული სიტყვის გამოცემის წინასიტყვაობა . 439 — 445

დეპეშა უკრაინის სახკომსაბჭოს . . . 446

დამატება გერმანელი მუშებისა და იმ გლეხებისადმი მიმართვის პროექტისა, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან . . . . 447 — 448

დეპეშა ი. ბ. სტალინს 20. V. 1919 წ. 449

სიტყვა საყოველთაო სამხედრო სწავლების დღესასწაულზე 1919 წ. 25 მაისს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 450 — 451

სალამი უნგრეთის მუშებს . . . . . 452 — 457

ბერნის ინტერნაციონალის გმირები . . . . 458 — 469

დეპეშა ი. ბ. სტალინს 1919 წ. 29 მაისს . . 470

უფრთხილდით ჯაშუშებს! . 471

პროექტი ც. კ-ის დირექტივისა სამხედრო ერთიანობის შესახებ . . . . . 472 — 473

დეპეშა ი. ბ. სტალინს 1919 წ. 4 ივლისს . 474

პროექტი რკპ(ბ) ც. კ-ის დადგენილებისა პეტროგრადის ფრონტის შესახებ 475

დიადი თაობნობა (მუშების გმირობის შესახებ ზურგში. «კომუნისტურ შაბათობათა» გამო) . 477 — 503

დეპეშა ი. ბ. სტალინს 1919 წ. 30 ივნისს . . 509

ყველაფერი დენიკინთან საბრძოლველად! (რკპ (ბოლშევიკების) ც. კ-ის წერილი პარტიის ორგანიზაციებისადმი) . . . . . 510 — 533

მომენტის ძირითადი ამოცანა 511

ხალხისათვის სიმართლის ახსნა-განმარტება კოლჩაკისა და დენიკინის შესახებ 513

მუშაობა მობილიზებულთა შორის . 514

მუშაობა დეზერტირებს შორის 515

არმიისათვის პირდაპირი დახმარების გაწევა . 516
არასამხედრო სამუშაოს შეკვეცა . 518
მუშაობა ფრონტისპირა ზოლში . 521
დამოკიდებულება სამხედრო სპეციალისტებისადმი («სამ-ხედრო სპეციებისადმი») 524
კონტრრევოლუციასთან ბრძოლა ზურგში . . 528
მოსახლეობის საყოველთაო მობილიზაცია ომისთვის 531
«რევოლუციურად მუშაობა» . . . 533

თანამედროვე მდგომარეობისა და საბჭოთა ხელისუფლების უახლოესი ამოცანების შესახებ. მოხსენება სრულიად რუსეთის ცაკ-ის, მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს, პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის საბჭოს და მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა წარმომადგენლების შეერთებულ სხდომაზე 1919 წ. 4 ივლისს . . . . . 534 — 551

სახელმწიფოს შესახებ. ლექცია სვერდლოვის უნივერსიტეტში 1919 წ. 11 ივლისს . . 552 — 577

მოხსენება რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ რკპ(ბ) მოსკოვის კონფერენციაზე 1919 წ. 12 ივლისს. საგაზეთო ანგარიში 578 — 583

III ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ (რამსეი მაკდონალდი III ინტერნაციონალის შესახებ) . . . . . 584 — 607

I 589
II 590
III 592
IV 597
V 601
VI 605

სიტყვა საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ ხოდინის განაკთა წითელარმიელების კონფერენციაზე 1919 წ. 15 ივლისს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 608 — 610

პასუხი ამერიკელი ჟურნალისტის კითხვებზე . . 611 — 616

სიტყვა სასურსათო და სამხედრო მდგომარეობის შესახებ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, პროფკავშირებისა და მოსკოვის ცენტრალური მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა მოსკოვის კონფერენციაზე 1919 წ. 30 ივლისს . . . . . 617 — 631

სიტყვა განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1919 წ. 31 ივლისს . . . . . 632 — 641

სალაქიოში . . . . . 642 — 649

I 643
II 644

სიტყვა უპარტიო მუშათა და წითელარმიელთა კონფერენციაზე 1919 წ. 6 აგვისტოს. საქრონიკო ჩანაწერი . . . . . 650 — 653

პირველი ვარიანტი 650
მეორე ვარიანტი 652

ამხანაგებს სერატის და ლაქარის 654

წერილი მუშებისა და გლეხებისადმი კოლჩაკზე გამარჯვების გამო . . . . . 655 — 665

წერილი სილვია პანკჰერსტს . . . . . 666 — 674

პურის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ . . . 675 — 679

გამარჯვების ძირითადი პირობა 675
უტყუარი გზა გამარჯვებისაკენ? 676
რა არის პურის თავისუფალი ვაჭრობა? 678

შენიშვნები . . . . . 681 — 700

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 701 — 714

ილუსტრაციები

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «პროგრამის აგრარული მუხლი». — 1919 წ. . . . . 148 — 149

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «დიადი თაოსნობა». — 1919 წ. 28 ივნისი . . . . . 478 — 479

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VIII-1952.
უე 02849. საბეჭდ ფორმათა რაოდ. 46.
ფასი 8 მან.

•

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 368.